

საჩუქრის ცხელგონი



ქართული  
მწერლობა

წერილობის ნაკვეთები  
ესეები



თბილისი „მერანი“ 1990

სარგის ცაიშვილის წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ავტორის რჩეული წერილების, ნარკვევებისა და ესეისტური ხასიათის ეტიუდების კრებულს. წიგნში საუბარია ქართული მწერლობის როგორც ძველი, ისე ახალი მწერლობის პრობლემურ საკითხებზე, წარმოდგენილია ლიტერატურული პორტრეტები მე-20 საუკუნის ქართველ მწერლებზე. კრებულში მოთავსებულია აგრეთვე ფილოლოგიური ხასიათის ეტიუდები და ეტიმოლოგიური დაკვირვებანი.

**რედაქტორი ნოდარ ბრიგლაშვილი**

# წიგნი



## სიტყვის უკვდავება

(იაკობ ხუციანის „შუშანიკის წამება“)

ათას ხუთასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაიწერა ქართული ორიგინალური ძოთხრობა „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“. როგორც მხატვრული ღირსებებით, ისე მძაფრი პრობლემატიკით იგი უნიკალური ძეგლია და სათავეს უდებს მრავალსაუკუნოვან ქართულ მხატვრულ პროზას.

საოცარია, რომ „შუშანიკის წამებაზე“ საუბრისას ჩვენ თითქმის არ გვჭირდება კრიტიკიუმების დავიწროება, როცა „მხატვრულობის“ ცნებას უფრო და უფრო ვზღუდავთ იმის მიხედვით, თუ რამდენად შორეულ წარსულშია შექმნილი ესა თუ ის ნაწარმოები.

მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ რაიმე მსგავს შედგავათს არ ითხოვს ნებისმიერი ასაკის, ოღონდ ჰეშმარიტად მხატვრული ქმნილება. დროუქამის „მსახვრალი ხელი“ ასეთ ქმნილებებს ვერაფერს აკლებს. საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებენ ისინი პირველქმნადობის მომხიბვლელობას, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებენ ადამიანურ ვნებათა მარადისობაზე.

მსოფლიო მწერლობას რომ თავი დავანებოთ, ქართული მწერლობის მაგალითზე არაერთი ასეთი მხატვრული ძეგლის დასახელება შეიძლება. „შუშანიკის წამება“ ერთი გამორჩეულია მათ შორის და დღესაც მრავალმხრივ იქცევის ჩვენს ყურადღებას. მაგრამ ვიდრე ქართული კულტურის ამ უთვალსაჩინოეს ძეგლთან დაკავშირებულ ზოგ საკითხს შევეხებოდეთ, აქ წინასწარ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი:

„შუშანიკის წამება“ მხოლოდ პირობით შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი მწერლობის დამწყებ ძეგლად. უფრო ზუსტნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ძეგლს, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია შედარებით სრული სახით.

ქართული მწერლობის სათავეები კი, რასაკვირველია, ბევრად უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი.

მაგრამ საქმე ისაა, რომ მეხუთე საუკუნეზე ადრეულ (ე. ი. როცა შეიქმნა „შუშანიკის წამება“) ძეგლებს, კერძოდ კი, ანტიკური ხანის ნიმუშებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მათზე მხოლოდ ცალკეული მინიშნებანი თუ მოგვეპოვება, ისიც შედარებით გვიანდელ წყაროებში.

როგორც ჩანს, ერთნაირი ბედი გაიზიარა როგორც ქართულმა დამწერლობამ, ისე ამ დამწერლობაზე შექმნილმა ლიტერატურამ.

მეცნიერების დღევანდელ ეტაპზე მტკიცება არ სჭირდება დებულებას, რომ ქართველი ერი უძველესი ცივილიზაციის მქონე ხალხთა ოჯახს მიეკუთვნება. ამაზე, სხვას რომ თავი დავანებოთ, მეტყველებს უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ნაშთები. ხოლო ზეარქაულობის არაერთი უტყუარი ფაქტია დადასტურებული ქართული ენის, ისტორიის, მითოლოგიისა თუ ეთნოგრაფიული ყოფის გადმონაშთების შესწავლის საფუძველზე.

ამასთან, ანტიკური ხანის უცხოურ წყაროებში ჩვენ არაერთ ცნობას ვპოულობთ ქართველ ტომთა შორის აღმოცენებულ მითოლოგიურ წარმოდგენებსა და ფოლკლორული ხასიათის ნიმუშებზე, ხოლო ძველ-ქართულ ისტორიულ წყაროებში განმტკიცებული ტრადიციის მიხედვით კი ქართული მწიგნობრობა ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეზე მოდის: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

უამთა ვითარებამ, როგორც ჩანს, მრავალზე მრავალი რამ ამ ხანიდან უჩინოდ აქცია.

შუა საუკუნეების საქართველოს ახალი კულტურა კი სხვა მიმართულებით წარიმართა. ამ გზაზე პირველი და უდიდესი მნიშვნელობის აქტი ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადება შეიქმნა. ეს კი, როგორც ცნობილია, დაახლოებით მეოთხე საუკუნის ოცდაათიან წლებში მოხდა.

მაგრამ ისევე, როგორც ყოველი სიახლე, ეს ნაბიჯიც, რასაკვირველია, მტკივნეული აღმოჩნდა. შინაგანი ბრძოლების ანარეკლი საკმარისად კარგად ჩანს ძველ მათიანებში. ამასთან, ძნელი არ უნდა იყოს ამის დაშვებაც, რომ იქნებ ეს მძაფრი ჭიდილიც იყოს ერთი მთავარი მიზეზი ძველის განადგურებისა. როგორც ეს სხვა ხალხთა ცხოვრებაში ხდებოდა, ქართულ ისტორიულ სინამდვილეშიც დასტურდება ფაქტები, როცა ახალი იდეოლოგია სპობს ძველს ან ითვისებს და ასხვაფერებს ადრეული კულტურის მონაპოვარს.

მხოლოდ ორიოდ მაგალითი: როგორც ცნობილია, წარმართული რწმენებისა და ქრისტიანული რელიგიის შერწყმა-შეთვისება იშვიათი სიმბიოზის სახით დღემდე შემოგვინახა საქართველოს მთიანეთმა, ხოლო წარმართული მზისა და მთვარის კულტების გარდასახვამ ღვთისმშობლისა თუ წმინდა გიორგის კულტებში ზოგად ქართული რელიგიურ-სიმბოლური ასპექტები შეიძინა და ამგვარადვე შემორჩა ჩვენი ხალხის ცნობიერებას.

ასევე მწვავედ დგას ქართული ეროვნული დამწერლობის საკითხიც, რომელთა ნიმუშები მხოლოდ V საუკუნიდან არის აღმოჩენილი.

აქ მხოლოდ ორი შესაძლებლობა არსებობს: საქართველოში ახლად დანერგილმა ქრისტიანულმა მწერლობამ გამოიყენა უკვე არსებული დამწერლობა ან პირიქით, ქრისტიანულმა მწიგნობრობამ მისცა ბიძგი ქართული ანბანის წარმოშობას.

საკითხი რთული და პრობლემატურია. თეორიულად კი ძნელი დასაშვებია, რომ ანტიკური ხანიდან უკვე მყარ ერთეულებად ჩამოყალიბებული ქართული სახელმწიფოები ეროვნულ დამწერლობათა გარეშე არსებობდნენ. სწორედ ეს თვალსაზრისი ედო საფუძვლად დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის ჰიპოთეზას. იგი ქართული ანბანის წარმოშობას ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნიდან ეარაუდობდა და მის სათავეებს ფინიკიურ-სემურ ალფაბეტს უკავშირებდა. მეცნიერის შეხედულებებში მინიშნებული იყო ისიც, რომ ქართულ ანბანს, როგორც ჩანს, შემდგომში ახალი ელემენტები შეუძენია ბერძნულ სამყაროსთან ახლო ურთიერთობის შედეგად. რისი კვალიც აშკარად ემჩნევა როგორც ასოთა რიგს, ისე ხმოვანთა სისტემას.

მომავალი კვლევა-ძიება, განსაკუთრებით ახალი ფაქტების აღმოჩენა, რის იმედიც უნდა ვიქონიოთ, ალბათ საბოლოოდ გაარკვევს ამ საჭოჭმანო საკითხს.

მაგრამ ეს კი ცხადზე უცხადესია, ქართულ ნიადაგზე გადმონერგილმა ქრისტიანულმა რელიგიამ განუზომლად დიდი მისია იტვირთა ჩვენი ხალხის შემდგომ ისტორიულ ცხოვრებაში.

ზოგადი თვალსაზრისითაც, ქრისტიანობა, წინარე რელიგიებთან (ამ შემთხვევაში წარმართულ რელიგიებთან). შედარებით, მაღალ იდეოლოგიურ დონეს გულისხმობდა. ხელს უწყობდა როგორც საზოგადოებრივი, ისე პიროვნული სრულყოფისა და ზნეობრიობის ახალი იდეალების დაფუძნებას. ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ მაგალითზე კი იგი გადაიქცა მძლავრ შემაკავებელ ზღუდედ აღმოსავლური ექსპანსიის გზაზე და, ამდენად, აშკარად ეროვნული შინაარსი შეიძინა. ამასთან. პერსპექტივაში, ამ ნაბიჯით ქართველი ხალხი სრულიად ახალ კულტურულ რეგიონში მოექცა და იმთავითვე მკიდროდ დაუქვემირდა ახალი ცივილიზაციისაკენ მსწრაფ ქვეყნებს.

დასასრულ კი, ქრისტიანობამ, ვითარცა უაღრესად მწიგნობრულმა რელიგიამ, დიდად შეუწყო ხელი ჩვენში განათლებისა და კულტურის წინსვლა-აღორძინებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ხანებში ვითარდებოდა სასულიერო მწერლობა მრავალფეროვანი დარგებით, ხოლო შემდეგ კი მასთან უშუალო კავშირში თუ დაპირისპირებაში აღორძინებას იწყებდნენ. წ. საერო მწერლობა, რომელიც თავის აპოგეას XII საუკუნეში აღწევს.

„შუშანიკის წამება“ სწორედ ქართული ქრისტიანობის გარიყრაჟ-ზე შექმნილი ძეგლია და სათავეს უდებს ახალი ტიპის მწერლობის ზრდა-განვითარებას.

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც იმარჯვებდა ქრისტიანული იდეოლოგია, საქართველოშიც, პირველ ხანებში, მწიგნობრობა მთარგმნელობითი გზით ვითარდებოდა. ითარგმნებოდა ყველაფერი, რაც ქრისტიანულ ღვთისმსახურებას სჭირდებოდა, პირველ რიგში კი ისეთი მნიშვნელოვანი წიგნები, როგორცაა ბიბლია, ანუ საღვთო წერილი. ხოლო ყოველივე ამას სულ მალე მოჰყვა სასულიერო მწერლობის სხვა მრავალფეროვანი დარგების აღორძინება, რომელთა შორის მხატვრული სიტყვის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმო იყო აგიოგრაფია და სასულიერო პოეზია, ანუ ჰიმნოგრაფია.

უკვე ამავე დროიდან ჩასახვას იწყებს ქართული ორიგინალური ქრისტიანული მწერლობაც, რომლის ერთი უპირველესი ნიმუშია სწორედ „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა“.

თავისი მიმართულებით „შუშანიკის წამება“ აგიოგრაფიული ხასიათის თხზულებაა, ხოლო თუ რას წარმოადგენს თვით აგიოგრაფიული მწერლობა, აქ მკითხველს გვინდა შევახსენოთ შემდეგი:

მწერლობის ეს დარგი ჩაისახა და განვითარდა ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე წლებში, როცა ახალი იდეოლოგია გზას იკაფავდა ძველთან ბრძოლაში. ეს ბრძოლა ე. წ. პროზელიტიზმის ნიშნით იყო აღბეჭდილი, როცა ახალ იდეოლოგიას უნდა დაესაბუთებინა საკუთარი უპირატესობა და ახალ-ახალი მიმდევრები შეეძინა. ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა პირადი მაგალითი, რწმენა და ამ რწმენისათვის თავდადება, რამაც მოითხოვა სპეციალური სამწერლო დარგის აღმოცენება, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა ქრისტიანობისათვის თავდადებული ე. წ. „წმინდა მხედრების“ ცხოვრების აღწერა. აგიოგრაფიის გმირები ან „მოწამებრივი სიკვდილით“ ან „ცხოვრება-მოქალაქეობით“ მისაბამ ნიმუშებად უნდა ქცეულიყვნენ, რითაც განამტკიცებდნენ ქრისტიანული იდეოლოგიის დამკვიდრებას.

გმირის იდეალი და თბრობითი ელემენტი, რაც გამოარჩევს აგიოგრაფიას ქრისტიანული მწერლობის სხვა დარგებისაგან. უკვე თავისთავად განაპირობებდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხატვრულ ნაკადს, რაც მეტ-ნაკლებად ახასიათებს თითქმის ყველა იმ ტიპის თხზულებას, ეს კი თავის დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული მწერლობა ამ ნიშნით ვითარდებოდა და მან საუკუნეთა მანძილზე (V—XVIII სს.) არაერთი მნიშვნელოვანი თხზულებით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა. მათ შორის უნიკალური თავისებურებებით გამორჩეულად ბრწყინავს იაკობ ჭუცის „შუშანიკის წამება“.



ცნობილი ფრანგი ლიტერატორი გუსტავ ლენსონი თავის წიგნში „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“ აჯამებს რა შუა საუკუნეების სულიერ ფასეულობათა მიღწევებს, წერს, რომ კაცობრიობის ისტორიის ეს მონაკვეთი არა მარტო თავისთავად იყო ნაყოფიერი, არამედ იგი ამჟამად მომავალს. მართლაც, შუა საუკუნეები, რომელიც ძირითადად ქრისტიანული კულტურის ნიშნით ვითარდებოდა, მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა სფეროში გიგანტური ნაბიჯებით აღინიშნა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამის დიდებულ მაგალითებს გვაწვდის ქართული მწერლობის ისტორიაც, რომლის პირველი მონაკვეთი მთლიანად ქრისტიანული სასულიერო მწერლობითაა წარმოდგენილი.

მაგრამ ყოველივე ეს აქ იმიტომ გავიხსენე, რომ, ჩემი აზრით, სერიოზულ დავას იწვევს ვახტანგ ქელიძის წერილი, რომელიც ეძღვნება ქართულ აგიოგრაფიას და, კერძოდ, „შუშანიკის წამებას“ („ლიტერატურული საქართველო“, 1976 წ., № 23).

ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს ზოგიერთ ნაშრომს, რომლებშიც. მართლაც, უკუღმართი აზრებია წარმოდგენილი სასულიერო მწერლობაზე. წერილში გონებამახვილურად არის დანახული არაერთი საგულისხმო მხატვრული ფაქტიც, მაგრამ მე ვერ გავიზიარებ თვით ავტორისეულ კონცეფციას ქართულ სასულიერო და კერძოდ, აგიოგრაფიულ მწერლობაზე. წერილის ხერხემალს ქმნის თვალსაზრისი, რომლითაც „მხატვრულობა“ და „საერო მწერლობა“ იდენტურ ცნებებად არის გამოცხადებული. ხოლო თუ ამ თვალსაზრისის ბოლომდე გავყვებით, სასულიერო მწერლობა მასში ოდენ „საერო ელემენტების“ არსებობით ფასდება და ასეცაა იგი წარმოდგენილი დასახელებულ წერილში.

მაპატიოს ავტორმა, მაგრამ ასეთი თვალსაზრისი ავიწროებს სასულიერო მწერლობის რეალურ შინაარსს და თვით „მხატვრულობის“ ცნებასაც.

მსოფლიო მასშტაბით, სასულიერო მწერლობა, რომელიც ეფუძნებოდა ქრისტიანულ კულტურას, თავისთავადი მოვლენა და კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპს მოასწავებდა. ანტიკურობასთან შედარებით ქრისტიანულმა კულტურამ იმთავითვე ადამიანის პიროვნული სრულყოფის პრობლემები წამოსწია წინ და ზნეობრიობის ახალი კატეგორიები აღმოაჩინა. სასულიერო მწერლობაც, როგორც ითქვა, ამ გზით ვითარდებოდა და ადამიანობის თავისებურ ესთეტიკურ იდეალს უყრიდა საფუძველს.

ასეთი და მსგავსი სპეციფიური მომენტების გათვალისწინების გარეშე (რომელთა შესახებ დაწვრილებით საუბარი შორს წაგვიყვანდა) ჩვენ ამკარად დავარდევთ ისტორიულ პერსპექტივას და სრულყოფილად ვერ შევიცნობთ გარდასულ ეპოქათა სულიერ ფასეულობებს, ხოლო „მხატვრულობის“ ზემოთ მოტანილი გაგებით სასულიერო ლი-

ტერატურა თავისი მრავალფეროვანი დარგებით, ფაქტიურად, მხატვრული მწერლობის მიღმა დარჩებოდა. რამდენად გალარბდებოდა მსგავსი შეფასებით, მაგალითად ისეთ ღრმა სულიერ განცდებზე დამყარებული პოეტური ქმნილება, როგორცაა დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, სხვა ნიმუშებს თავი რომ დაეანებოთ.

ცილობას იწვევს აგრეთვე წერილის ავტორის მიერ აგიოგრაფიული ჟანრის მკაცრი შეფასებაც (წერილის სათაურშივე „ჩარჩობები“ ხაზგასმულია ეს გარემოება). მე მგონია, რომ სწორედ აგიოგრაფიული ჟანრი, მიუხედავად გარკვეული ტრაფარეტის არსებობისა, სასულიერო მწერლობის სხვა დარგთა შორის თავისი ძირითადი მოთხოვნით (გმირი და „სიმართლის აღწერა“) უფრო უწყობს ხელს სინამდვილის მხატვრულ ფაქტად გარდასახვას, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ჩვენ უნდა გვახსოვდეს თვით ჟანრისა და მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის ორმხრივი ურთიერთობა. ჟანრი წარმართავს, თუმცა საბოლოო ჯამში ვერ იქცევა არტახებად ჰეგემარიტი შემოქმედისათვის, ერთი ცნობილი ლიტერატორის ხატოვანი თქმით: მეორე რანგის მწერლები ქმნიან ჟანრობრივ ბასტიონებს, რომელთა იერიში მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ამის ერთი ნიმუშიც სწორედ „შუშანიკის წამება“, რომლის ავტორი თუმცა ითვალისწინებს აგიოგრაფიული თხზულებისათვის ზოგ აუცილებელ კომპონენტს, მაგრამ ფაქტიურად ბევრად უფრო მასშტაბურ მხატვრულ ამოცანას წყვეტს, რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

\* \* \*

„შუშანიკის წამება“, როგორც ითქვა, მეხუთე საუკუნის ძეგლია. უფრო ზუსტად, იგი დაწერილი უნდა იყოს 476—483 წლებს შორის. ეს დათარიღება ემყარება მისი ორი უმთავრესი პერსონაჟის შუშანიკისა და მისი მეუღლის ვარსკენ პიტიახშის გარდაცვალების წლებს. ყველაზე უფრო ზუსტად თვით თხზულებაში გადმოცემული ისტორიული რეალიების მიხედვით შუშანიკის გარდაცვალების თარიღი დაადგინა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ. შუშანიკი გარდაიცვალა 475 წლის 17 ოქტომბერს, ხოლო ვარსკენი, ვითარცა მოღალატე და სპარსული ორიენტაციის გამტარებელი, ვახტანგ გორგასალის თაოსნობით ქართლის პატრიოტულ ძალებს მოუჟკლავთ 484 წელს. თხზულების დაწერისას კი ვარსკენი ცოცხალი ჩანს, რადგან ამ ფაქტს აგიოგრაფი უეჭველად აღნიშნავდა. ე. ი. თხზულების დაწერა ივარაუდება ამ ორ თარიღს შორის. ამასთან, ჩვენი აზრით, ზემოთ მოტანილი თარიღის კიდევ უფრო შემჭიდროებაც შეიძლება. თხზულება შუშანიკის ტრაგიკული ხვედრის ისეთი უშუალო შთაბეჭდილების გავლენითაა დაწერილი, რომ იგი წამებული დედოფლის გარდაცვალების უმალ უნდა იყოს შექმნილი. ამდენად, იგი მეხუთე საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსაც კი ვერ გადმოცილდებოდა, რის გამოც გადაწყდა, რომ სწო-



რედ 1978 წლისათვის აღნიშნულიყო ამ დიდებული ძეგლის 1500 წლისთავი.

თხზულების ავტორია ძეგლში აღწერილი ამბების თვითმხილველი და თვით შუშანიკის უახლოესი პირი იაკობ ხუცესი, რაც არაერთხელ არის კიდევ აღნიშნული ტექსტის მანძილზე. „და მეცა ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი...“ „შუშანიკ მრქუა მე: ხუცეს“... „მოვიდა ყრმა ერთი და თქვა: იაკობ მანდა არსა?! და მე ვარქუ, ვითარმედ: „რამ გინებს“... და სხვ. ხოლო რადგან იაკობი ამ ხანებში მოღვაწეობდა ქვემო ქართლში, კერძოდ, ცურტავში, მკვლევართა ერთი ნაწილი მას იაკობ ცურტაველად იხსენიებს. რაც გავრცელდა კიდევ სამეცნიერო წრეებში. ზნეობრივად წმინდა და შეუპოვარი სახე იაკობისა ჩანს არა მარტო თხზულებაში ჩაქსოვილ აზრებსა და განწყობილებაში, არამედ იგი, ვითარცა პერსონაჟისა, განფენილია მისსავე ქმნილებაში, რაც მხატვრული სიმართლის მომხიბლავ ატმოსფეროს ქმნის.

\* \* \*

მძაფრი ეპოქები მძაფრ ტალანტებს ბადებენ, — ეს ჭეშმარიტება არაერთხელ გაცხადებულა კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის სფეროში.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ერთ-ერთი ასეთი ეპოქაა სწორედ მეხუთე საუკუნე. ორი დიდი ქვეყნის, ირანისა და რომის შეტაკებათა სარბიელად ქცეული, საქართველოც ხსნის საკუთარ გზას ეძიებდა.

როგორც ცნობილია, ამ ხანებში ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის უპირველესი გმირი ვახტანგ გორგასალი შეიქნა, ხოლო მისი მოღვაწეობა კი სამი უმთავრესი ნიშან-სვეტით აღიბეჭდა:

ა) შეუპოვარი ბრძოლა ირანული აგრესიის წინააღმდეგ, რომელშიც ვახტანგ გორგასალმა შეძლო ქართველ ხალხთან ერთად კავკასიის სხვა, მათ შორის მოძმე სომეხი ხალხების შემოკრება. ამასთან, იგი ორიენტაციას ხალხის დაბალ ფენებზე იღებდა, რომელიც, წინააღმდეგ მოლაღატე ფეოდალებისა, მხარში ამოუდგა სახელოვან მეფეს უთანასწორო ბრძოლაში.

ბ) ახალი იდეოლოგიის განმტკიცება, რომელიც ქრისტიანობის ნიშნით მძლავრ იარაღად იქცა ირანული იდეოლოგიის (კერძოდ, მაზდეანობის) წინააღმდეგ.

გ) და, ბოლოს, გაბედული პოლიტიკური აქტი: ქვეყნის დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადმოტანა, რის უდიდესი მნიშვნელობაც აგრერივად გაამართლა ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ.

სწორედ ამ ეპოქის შეუპოვარი სული ტრიალებს იაკობ ხუცესის „ძესანიშნავ თხზულებაში „შუშანიკის წამება“.

ერთი შეხედვით, ავტორის მიზანია დეტალურად აღწეროს შუშანიკ დედოფლის მოწამებრივი ღვაწლი ქრისტიანობისათვის, რაც საერთოდ, ყოველი აგიოგრაფიული თხზულების ძირითადი ამოცანაა.

მაგრამ ფაქტიურად აქ წარმოდგენილია ფართო ისტორიული ტი-

ლო, რომლის ხერხემალს ქმნის მძაფრი დაპირისპირება ორ მოწინააღმდეგე პოლიტიკურსა და იდეოლოგიურ ძალებს შორის.

მოქმედება გაშლილია სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ პროვინციაში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ირანს.

ამ პროვინციის ერისთავი, ანუ პიტიახში ვარსკენი ირანულ ორიენტაციას განასახიერებს და ფაქტიურად ღალატის გზას დაადგება. სწორედ ასეთი ხალხი იყო საჭირო ირანული აგრესიისათვის, რომელთაც ირანის შაჰები ქვეყნის მოღალატე ფეოდალთა შორის ეძებდნენ (ეს ადრევე ნაცადი ხერხი იყო და, სამწუხაროდ, ჩვენმა ისტორიამ ამის არაერთი მაგალითი იცის.) ვარსკენი, როგორც ჩანს ირანის შაჰის შთაგონებით, უარყოფს ქრისტიანობას და აღიარებს წარმართულ რელიგიას, ცეცხლთაყვანისმცემლობას ანუ მაზდეანობას. გარდა ამისა, გულუხვი საჩუქრებითა და დაპირებებით დაბრმავებული. აღუთქვამს შაჰს, რომ იგი საკუთარ ოჯახსაც მოაქცევდა მაზდეანობაზე, გასაგებია, თუ რა მაგალითის მიმცემი იქნებოდა ეს ნაბიჯი მის გამგებლობაში მყოფი ქვეყნისათვის. ეს იყო არა მხოლოდ იდეოლოგიური ღალატი, არამედ უწინარეს, პოლიტიკურიც, რაც ეროვნულ დამოუკიდებლობას აშკარად უთხრიდა ძირს.

ასეთ მძაფრ სიტუაციაში საპირისპირო ძალას გამოხატავს შუშანიკ დედოფალი, მეუღლე ვარსკენისა, რომელმაც თავს იღვა მოწამის გვირგვინი და ბოლომდე შეუპოვრად აღუდგა წინ ოჯახისა და ქვეყნის მოღალატე ქმარს. მაგრამ ავტორი, რომელიც აგრერიგად გრძნობს ისტორიულ პერსპექტივას, არ იფარგლება ამით და მხატვრულად ძლიერად ნაწერი ეპიზოდებით გვიჩვენებს შუშანიკის მოწამეობის მაღალ ზემოქმედებით ძალას ეროვნული შეგნების გამოღვიძებისათვის. გვიხატავს იმ საყოველთაო თანაგრძობას, რომელსაც იწვევდა ხალხში შუშანიკის მოწამებრივი ღვაწლი. მხოლოდ ორიოდ მაგალითი: „შუშანიკის შეუპოვრობით გამძვინვარებულმა ვარსკენმა ბრძანა სასახლიდან გამდგარი და უკვე ორგზის საშინლად ნაწამები დედოფლის ციხეში „შეყენება“. ვარსკენი ცხენზე ამხედრებული თვით წარუძღვა შეურაცხმყოფელ პროცესიას, როცა თავშიშველი და „უხამური“, (ფეხშიშველა) დედოფალი მიწაზე თრევით მიჰყავდათ ციხისკენ. ხალხი არ შეეპუა გამძვინვარებულ ვარსკენს და „და მივიდოდა წმიდისა მისთანა ამბოხი (ხალხი) მრავალი დედებისა და მამებისა, სიმრავლე ურიცხვი, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ხმა აღემალდა და ტიროდეს და იხახდეს (იხოკდეს) დაწვთა მათდა და საწყალობელად დასთხვედეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისათვის“. ხოლო მეორეგან წარმოსახულია, თუ როგორ აღზევდა ხალხის თვალში ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული დედოფალი: „და მიერიტგან განითქვა ყოველსა ქართლსა საქმე მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქვემთა (შეპირებულთა) შეწირვად და. რა ვის უხმდა (სჭირდებოდა), მიემადლებოდა (მიენიჭებოდა) წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსაც მოსცემდა მას კაცთმოყვარე ღმერთი: უშვილოთა შვილი, სნეულთა კურნება, ბრმათა თვალთა ახილვა“.

ასეთი მხატვრული ხერხით პიროვნული ტრაგედია ეროვნულ ქედ-რაცლობას იძენს, რაც ავტორის ჩანაფიქრის უმთავრესი მიმართულებაც იყო. ამასთან დაკავშირებით მართებულად წერდა კორნელი კეკელიძე, რომ ავტორის მიზანია განმტკიცება ქრისტიანობისა და სამშობლოსადმი ერთგულებისა, რომელსაც თრგუნავდა აგრესიულად განწყობილი ირანი, ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობისა. იაკობი ხაზს უსვამს იმ თანაგრძნობას, რომელსაც იწვევს თანამედროვეთა გულში მოწამებრივი ღვაწლი შუშანიკისა და იმ ზიზღს, რომელიც დაიმსახურა ვარსკენის ჯალათობამ, პოლიტიკურ-სარწმუნოებრივმა რენეგატობამ და სამშობლოს დალატმამ.

იაკობ ხუცესი მთლიანად დგას იმ პოზიციაზე, რომელსაც სათავეში ედგა დიდი პატრიოტი და სახელმწიფო მოღვაწე ვახტანგ გორგასალი (მან, მართლაც, სასტიკად დასაჯა 484 წელს ეროვნული საქმის დალატის გამო ვარსკენ პიტიაში), ხოლო იაკობი სათავეს უდებს ქართულ მწერლობაში იმ ეროვნულ კონცეფციას, რომელიც რჯულისა და მამულისათვის ერთიან ბრძოლაში იწრთობოდა. გაივლის ხანი და უკვე იოანე საბანისძე სამარცხვინო ბოძზე გაკრავს რჯულისა და მამულის მოღალატეებს, აღრეულთ „ერსა უცხოსა და სარწმუნოებასა ჩვენსა მაკინებელსა“ შორის და იტყვის: რომ ასეთნი სულთი დაცემულნი „მძღავრებასა მათსა ქვეშე დამონებულნი და ხარკსა ქვეშე მათსა გუემულნი და ჭენჯნილნი, მძღავრობითა შეიწრებულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.



მაგრამ არც ეს, თავისთავად უაღრესად პროგრესული, კონცეფცია, არც ზემოთ წარმოდგენილი იდეოლოგიური კონფლიქტი ალბათ არ იქნებოდა საკმარისი ჭეშმარიტი მხატვრული სინამდვილის შესაქმნელად. რომელსაც, რასაკვირველია, ყოველთვის მეტი ემოციური ზემოქმედების ძალა შესწევს.

იაკობ ხუცესმა კონფლიქტის მთელი სიმძიმე პერსონაჟთა სულიერ სამკაროში გადაიტანა და მკითხველს ღრმა, შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე ფსიქოლოგიური ღრამა წარმოუხსახა. რომელიც, ამასთან, სათავეს სოციალურ შიშებში იდებს.

ვარსკენის მოღალატური ნაბიჯი ეროვნულ სიბეცესთან ერთად დანგრევას უქადის სულ სხვა ზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებულ ოჯახს. შუშანიკისა და ვარსკენის მეუღლეობრივ კავშირს (მაზდეანობა მრავალცოლიანობას დასაშვებად მიიჩნევდა. ხოლო ვარსკენს შესთავაზა კიდევ შამპა თავისი ქალიშვილი).

მართლაც, იაკობ ხუცესის მიერ წარმოდგენილ შუშანიკის სახეში ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს საზოგადოებრივი და პირადი ტრაგედია. რაც საოცარ სიმძაფრეს ანიჭებს თხზულებაში გათამაშებულ კოლიზიებს.

და, აი, აქ იწყება სწორედ ის, რითაც „შუშანიკის წამება“ ერთგვა-

რად ემიჯნება ჩვეულებრივი აგიოგრაფიული თხზულებისათვის განკუთვნილ სქემას.

აგიოგრაფთა უმრავლესობა როგორც ჩვენში, ისე სხვაგანაც (კერძოდ, ბიზანტიურ მწერლობაში) მასალად ისტორიულ ფაქტებსა და ისტორიულ პირთა ცხოვრებას იყენებდა და ამით ისინი ერთგვარად ახლოს იდგნენ ძველ მემპტიანებთან, თუმცა, რასაკვირველია, მათ სხვა მიზანდასახულობა ამოძრავებდათ.

იაკობ ხუცესი ამ შემთხვევაში იგივე გზას ირჩევს და კონკრეტულ ისტორიულ პირებზე აგებს თხრობას, ხოლო ამ მომენტს დამაჯერებლობას მატებს ისიც, რომ იგი აღწერილ მოვლენათა მონაწილეა (რაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, არაერთხელ არის ხაზგასმული მის მიერვე).

მაგრამ აგიოგრაფიულმა ლიტერატურამ შეიმუშავა სარწმუნოებისათვის თავდადებული „წმინდანის“ იდეალური სახე. ხოლო ამ იდეალს ნიმუშად, მაგალითად, როგორც მოსალოდნელი იყო, საფუძვლად დაედო თვით პირველმოწამის ანუ ჭვარცმული ქრისტეს სახე. ამდენად, აგიოგრაფის წმინდა მიზანი იყო, რომ მის მიერ აღწერილი პიროვნების სახე რაც შეიძლება მეტად მიემსგავსებინა იდეალად ქცეულ პირველ სახესთან (იგულისხმება ქრისტე და მისი მოწამებრივი ღვაწლი). ამდენად აგიოგრაფი ავტორები თავის გმირებს მიაწერდნენ მხოლოდ ისეთ თვისებებს, რომლებიც მათ უფრო აახლოვებდა პირველსავესთან, ხოლო რეალური მოწამის პირადი, ადამიანური თვისებები ხშირად მათი მხედველობის მიღმა რჩებოდა. ეს იყო გარკვეული მხატვრული მოდელი, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც ერთგვარი შტამპი, ტრაფარეტი. ამიტომაც აგიოგრაფიულ თხრობათა სტილმა აბსტრაქტული სახე მიიღო, ხოლო ამ ტიპის თხზულებათა გმირები უსიცოცხლო, ინდივიდუალურ თვისებათაგან განძარცულ ლიტერატურულ სქემებად იქცნენ და წყლის ორი წვეთით დაემსგავსნენ ერთმანეთს.

იაკობ ხუცესის უდიდესი დამსახურება სწორედ ის არის (ცალკე საკითხია, თუ რა იყო ამის მიზეზი), რომ იგი თითქმის არც ერთი პუნქტით არ დაემორჩილა ასეთ სქემას, თუმცა მასაც იგივე მიზანდასახულება ამოძრავებდა (ეჩვენებინა სარწმუნოებისათვის თავდადებული მოწამის სახე.), სქემათაგან განთავისუფლება კი, მით უფრო შუა საუკუნეთა მწერლობაში, საგულისხმო ცდაა „მხატვრულობის“ საზღვართა გაფართოების გზაზე. ყველაზე უფრო სწორედ ამ თვალსაზრისით დგას „შუშანიკის წამება“ ქართული მხატვრული სიტყვის სათავეებთან, ხოლო მისი ავტორი სამართლიანად ითვლება ორიგინალური ქართული მოთხრობის მამამთავრად.

\* \* \*

შორეულ საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენ შემოგვცქერის მწუხარე სახე მაღალი ზნეობრივი პრინციპებისათვის მებრძოლი ქალისა. მას თითქმის აღარაფერი აქვს საერთო ე. წ. აგიოგრაფიის ლიტერატურულ გმირთან, რომლის უპირველესი თვისებაა ტანჯვისადმი ინდიფერენტობა და სიკვდილთან მიახლოების ნეტარი განცდა.

ქმრის უკუღმართი საქციელით შეურაცხყოფილი ახალგაზრდა ქალი ფანტიკური სიჭიუტით ეგებება მოახლოებულ საშინელებას. მაღალი წრის, ნებიერად გაზრდილი დედოფალი (იგი სომეხთა სპასპეტის, სხვათა შორის ირანელთა დაუძინებელი მტრის, ვარდან მამიკონიანის ასულია და „სიყრმიდანვე“ საქართველოში გაზრდილი), მზადაა აიტანოს ყოველგვარი დამცირება, ტანჯვა და გვემა.

ფერები და ინდივიდუალური შტრიხები არ დაუკლია შუშანიკის ხასიათისათვის მხატვარ-აგიოგრაფს. თუ ერთი მხრივ, აგიოგრაფთა სტილის თანახმად შუშანიკი „ნეტარი“, „წმინდა“, „ქრისტეს სძალი და მხევალია“, მეორე მხრივ მისთვის არაფერი ადამიანური არ არის უცხო, იგი ჩვეულებრივი წმინდანით უდრტვინველად როდი ხვდება მასზე დატეხილ უბედურებას. არც გადამეტებული სიფიცხე და თავშეუკავებლობაა მისთვის უცნობი რამ. მოთხრობაში ცოცხლად ნაწერი ეპიზოდი, როცა ვარსკენი მზაკვრულად ცდილობს შუშანიკის შემორიგებას და საკუთარ ძმასა და რძალთან ერთად პურობაზე მოიპატოყებს გაჯიუტებულ დედოფალს. დედაკაცთა და მამაკაცთა პურობის ეს უჩვეულო სპექტაკლი ვარსკენის დადგმულია და შუშანიკი კარგად ჩასწვდა მის ნამდვილ აზრს. აღშფოთება მას კონტროლს აკარგვინებს. იგი სახეზე შეალეწს ღვინით სავსე ჭიქას ვარსკენის ძმის, ჯოჯიკის მეუღლეს, რომელიც ფაქტიურად არაფერ შუაშია და ვარსკენის ჩანაფიქრის (პურობის აქტით შუშანიკის გულის მოღობვის) უნებური ხელისშემწყობია მხოლოდ<sup>1</sup>.

შუშანიკის სახე საოცრად დინამიურია და ვითარდება მთელი ნაწარმოების მანძილზე, რაც აგრეთვე უჩვეულო იყო აგიოგრაფიის ლიტერატურული გმირისათვის (აქ გმირი სტატიური და იმთავითვე დასრულებულია). შუშანიკის პიროვნება შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსეა და ასეთ წინააღმდეგობათა ჭიდილში ყალიბდება მისი, როგორც წამებული გმირის ხასიათი. იგი ჯიუტად იბრძვის მის მიერ აღიარებული პრინციპების დასაცავად და სულიერი მხნეობით ხვდება ყოველგვარ განსაცდელს (გავიხსენოთ მისი წამებისა და გვემის საშინელი სცენები), მაგრამ ემოციურად იგი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ამკლავნებს სიცოცხლისადმი დაუოკებელ ლტოლვას. ჩვენ კარგად ვგრძნობთ გონებისა და გრძნობის შეუპოვარ ჭიდილს, სიცოცხლეზე შეყვარებულ ახალგაზრდა ქალის გულის ფეთქვას. უნებურად შეუძლებელია არ მოგვაგონდეს განდევგილობის უნივერსალური თემა, რომელიც ასე ბრწყინვალედ წარმოგვისახა ილია ჭავჭავაძემ თავის პოემაში. როგორ გვაგონებს ილიას განდევგილის სიტყვები „ხოლო გზა ხსნისა, ასეთი მერგო მე უბედურსა“, შუშანიკის მიერ წარმოთქმულ საყვედურს: „ჩემდა მარტოჲსა არიან ჭირნი ესე“.

<sup>1</sup> სწორედ აქ ამბობს შუშანიკი ცნობილ ფრაზას: „ოდეს ყოფილ არს აქამოდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ექამა პური?“ ზოგ მკვლევარს აქ შუშანიკი, სავრთოდ, თანასწორობის მოწინააღმდეგე გამოჰყავს, მაშინ როცა შუშანიკი მხოლოდ ამ კონკრეტულ ფაქტში ხედავს ვარსკენის ცბიერ კომპრომისს, თორემ იგივე შუშანიკი ნატრობს ისეთ ქვეყანას (თუნდაც გარდაცვალების შემდეგ), „სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა“ (შდრ. ბიბლია, გალატ. 3, 28).

ნაცვლად ნეტარი ღალადისა, შურისგება და სიცოცხლიდან გასვლის მწარე სინანული ისმის შუშანიკის მიერ წარმოთქმულ ფრაზებში: „მიაგოს მას (ვარსკენს) უფალმან, ვითარ მან უქამოდ ნაყოფნი ჩემნი მომსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჰნო, შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემს შორის“.

თხზულებაში თანდათან ჟონავს და ყალიბდება მეორე თემა. რომელიც აგრეთვე სცილდება სარწმუნოების ფარგლებს. იგი სოციალურია და მწვავე ოჯახური კონფლიქტის ფონზე ვითარდება. როგორც ზემოთაც ითქვა, შუშანიკის აშკარა აფექტის ფორმაში გამოვლენილი მრისხანება ოჯახის ზნეობრივი პრინციპის რღვევითაცაა გამოწვეული. ავტორი თითქოს არას ამბობს, მაგრამ თხზულებაში აღწერილი პერიპეტეიბი თავისთავად მიგვანიშნებს, რომ შუშანიკის პიროვნებაში დაიძრა მანამდე უცნობი ახალი ტალღა — ტალღა ექვიანობისა. მას ხვალ თუ ზეგ მეტოქე გაუჩნდება ვარსკენის ახალი ცოლის სახით. ეს კი მისი ქალური ღირსების მსხვერველს მოასწავებს, ხოლო ამასთან შერიგება კი უკვე მის ძალებს აღემატება. აი, ერთ-ერთი ფსიქოლოგიური საფუძველი შუშანიკის დაუოკებელი ქცევისა, რის დამალვაც, როგორც ამას მართებულად შენიშნავდა ივანე ჯავახიშვილი, იაკობ ხუცესს ფტკრადაც არ მოსდის.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ აქ ექვიანობა მხოლოდ ერთი მხრიდან როდია დაძრული. შუშანიკის განდგომა ვარსკენს საკუთარი და ოჯახის ღირსების დამცირებად მიაჩნია. როცა დიპლომატიურმა სვლებმა არ გასჭრა მის აღსაკვეთად, იგი უკიდურეს ბარბაროსულ ზომებსაც კი მიმართავს, რაც ასე შემზარავი საღებავებითაა წარმოდგენილი თხზულებაში. და აი, აქ მკითხველი გრძნობს, რომ ვარსკენს სულის სიღრმეში კიდევ უფრო მწარედ რალაც აწუხებს (ეს მომენტი კარგადაა ხაზგასმული თამაზ ჭილაძის წერილში „შუშანიკის წამებაზე“, იხ. ცისკარი, 1977, № 6). ეს ნათელი გახდება. თუ დავაკვირდებით „წამების“ ერთ ეპიზოდს.

მრავალჯონისი გვემის შემდეგ ციხეში უპატიურად მყოფ დედოფალს ახალი ულტიმატუმით მიმართავს ვარსკენი: დაბრუნდი სასახლეში, ხოლო თუ გაჩიუტდები და არ დაბრუნდები. საერთოდ გაჯაბყვებ ჩორს (იგულისხმება დარუბანდის მხარე). ან კი სპარსეთის კარზეო. მაგრამ ვარსკენი მყისვე თვითონვე უარყოფს ამ მუქარას: იაი. თუ ჩემგან წასული შუშანიკი ცოლად გაჰყვეს ღინმი მთავარსო („ნოუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“)...

მართლაც, დამახასიათებელი დეტალია. რომელიც აშკარად ავლენს ტრაგიზმის არსს. სიძულვილი და სიყვარული აქ თითქოს ერთმანეთს ენაცვლება. ტრაგედიის საფუძველია სხვადასხვა არჩევანი. რომელიც ცოლ-ქმრის განსხვავებულ საზოგადოებრივ პოზიციაში ვლინდება. რაც, თავის მხრივ განაპირობებს მათი გათიშვის გარდაუვალობას.

ვარსკენი ქვეყნისა და სარწმუნოების მოღალატეა. ოჯახის დამქცევი და ზნეობრივად მდაბალი — ასეა იგი წარმოდგენილი თხზულება-

ში. ავტორი არც შესაფერ ეპითეტებსა და მეტაფორებს იზურებს სახის ხატოვანებისათვის („მგელი იგი“, „უბადრუკი და სამგზის საწყალობელი ვარსკენი“, „ურჩულო“ და ა. შ.).

მაგრამ იაკობს სიმართლის გრძობა არც აქ ღალატობს და მისი სახე არ არის მხოლოდ მუქი ფერებით ნაწერი. ვარსკენს არ ეყო მოქალაქეობრივი სინდისი და აპყვა ცდუნებას, უღალატა ეროვნულსა და სარწმუნოებრივ პოზიციას. იგი ფაქტიურად მოღალატე მტრის იარაღია და ამით დაუპირისპირდა საკუთარ ხალხს, ოჯახსა და ახლობლებს. იაკობის აზრით, ვარსკენი სუსტი ნების ადამიანია, მაგრამ მაინც ადამიანი, რომელიც სხვა სიტუაციაში, თუმცა მას ეს არ ამართლებს, შესაძლოა ასე არ დაცემულიყო. ცდუნებას აყოლილი ვარსკენი ხან საშინლად მძვინვარეა, ხან კი მას სინდისის ქენჯნა იპყრობს (შუშანიკის პირველი გვემის შემდგომ, როგორც ჩანს, მას მთელი დამე არ უძინია და დილით, თითქოსდა სტრესიდან გამოფხიზლებული, უთენია კითხულობს ცოლის მდგომარეობას: „წყულულებისა მისგან ვითარ არს“), იგი ზოგჯერ ცდილობს კიდევ დამალოს თავისი ნამოქმედარი, რომ საყოველთაო სიძულვილი არ დაიმსახუროს, მაგრამ მის მიმართ სახალხო მსჯავრი ურყევია და სწორედ ეს უცდომელად წარმოგვიდგინა თხზულების ავტორმა.

მაგრამ, მართლაც, განსაცვიფრებელი სიცხოველით ნაწერი ორი მთავარი პერსონაჟით არ ამოიწურება მოთხრობაში წარმოდგენილი მხატვრული სურათი. აქ მოქმედ პირთა მთელი გალერეაა წარმოსახული და თითქმის ყველა მათგანისათვის მონახულია რალაც დამახასიათებელი კუთხე, ნიშანდობლივი შტრიხი.

საკმარისია აქ გავიხსენოთ ვარსკენისავე ძმა ჯოჯიკი და მისი თვინიერი მეუღლე. ისინი მხარში უდგანან (ალბათ, ვარსკენის ნების საწინააღმდეგოდ) წამებულ დედოფალს და ყოველმხრივ ცდილობენ მასზე დატეხილ „ჭირთა შემსუბუქებას“. ჯოჯიკი არ შეეპუა თავის განარისხებულ ძმას, როცა იგი საცემრად მიექრა დედოფალს, ვიდრემდე ვარსკენმა არ „გვემა იგიცა“. მაგრამ ჯოჯიკს არ ძალუძს გადამჭრელი ზომების მიღება შუშანიკის დასაცავად. თუმცა ბევრჯერ იხსნა იგი უკიდურესი სასჯელისაგან, რადგან მაშინ მან უნდა გასწიროს საკუთარი ძმა, ამასთან მისივე პატრონი, მისი ეს უძღურება და უძღურებით გამოწვეული ტკივილი ასევე დამახასიათებელი შტრიხებითაა წარმოსახული იაკობის მიერ. განსაკუთრებით ეს ჩანს იმ ეპიზოდში, როცა ჯოჯიკი და მისი მეუღლე ეთხოვებიან წამებულ დედოფალს და ცოდვათა შენდობას ითხოვენ მისგან.

ასევე დამახასიათებელია სულ პატარა ეპიზოდური სახე ვინმე სპარსისა, რომელიც არ იზიარებს ვარსკენის ჭიქურ პოლიტიკას და გარეგნული შემწყნარებლობით (იგი ურჩევს კიდევ ამას ვარსკენს) სურს განახორციელოს მზაკვრული განზრახვა — გადმოიბიროს სასახლიდან გაკიდევანებული დედოფალი. ასეთი მომენტები სინამდვილის მრავალფეროვან შეგრძნებას ბადებენ და მიგვანიშნებენ ავტორის თანდაყოლილ ბელეტრისტულ ნიჭიერებაზე. მის დაკვირვებულ თვალს

თხრობაში შემოაქვს ისეთი დეტალები, რომლებიც თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ ზუსტად გახაზავს არსებითსა და დამახასიათებელს.

იაკობ ხუცესის ხელით ვარსკენი ჩამოართმევს სამკაულებს შუშანიკს და თანაც დასძენს, რომ გამოჩნდება სხვა ვინმე, რომელიც გამოიყენებს მას. ავტორს შემოაქვს ეს დეტალი, რათა გვაგრძნობინოს მთავარი: ვარსკენი ყოველმხრივ ეცადა, რათა ააფორიაქოს, ეჭვებში ჩააგდოს დედოფალი, რომ მას მალე მეტოქე ეყოლება. თუ იგი არ ინებებს სახლში დაბრუნებას. შუშანიკი, რასაკვირველია, არ წამოპგებია ამ ანკესს და საკადრისი პასუხი გასცა კიდევ პიტიანშს.

თუ რა შიშს გვრიდა ყველას გამძვინვარებული ვარსკენი, ეს კიდევ უფრო გახაზულია ერთი ეპიზოდით, რომელშიც გადმოცემულია ნაგვეში შუშანიკის სასახლიდან ციხეში გადაყვანა. ერთ დიაკვანს ამ დროს უცდია დედოფლის გამხნეება, მაგრამ უცბად თვალი ჰკიდა თურმე ვარსკენს. ნაცვლად ასეთ დროს სათქმელი სტერეოტიპული ფრაზისა „მტკიცედ სდეგ“, დიაკვანს მხოლოდ „მტკი“-ლა უთქვამს და შეშინებული მყისვე მიმალულა (როგორც ავტორი დასძენს: „სივლტოლი იწყო სწრაფით.“) დეტალი მიგვანიშნებს, რომ ოდენ შუშანიკი არ ეპუებოდა ვარსკენს და მხნეობით იტანდა ყოველგვარ ტანჯვა-წამებას.

ასევე კონკრეტულია მისი თხრობის საერთო სტილი. არავითარი ზედმეტი აბსტრაგირება, რომელიც ასეთი ტიპის თხზულებებს პათეტიკურობით ტვირთავდა, თუმცა, როცა საჭიროა, ავტორი არ გაურბის მხატვრულ დახასიათებებს. ფიგურალური გამოთქმები ზუსტია და გამიზნული. აქაც იგი ერიდება ყოველგვარ სტერეოტიპს და მასალას სინამდვილიდან იღებს. თუ რამდენად ორიგინალურია მისი რამდენიმე შეტაფორა თუ მხატვრული ეპითეტი, ეს, მე ვფიქრობ, ისედაც ნათელია, როცა ძირითადი პერსონაჟების დახასიათებაზე ვსაუბრობთ, როცა შუშანიკის ფიზიკურ უმწურობასა და ვარსკენის მძვინვარებას ვაღმოსცემს ავტორი მათი ერთ-ერთი შეტაკების დროს, იგი იტყვის: ჯოჯიკმა შუშანიკი „ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ხელთა მისთა“, ან როგორი სურათია წარმოსახული, როცა წამებულ დედოფალს მიაცილებენ უკანასკნელი ნავთსაყუდელისაკენ მისი ახლობლები: „მაშინდა ეპისკოპოსთა მათ ორთავე, იოანე და აფოც, ვითარცა ხართა მხნეთა დაუღლვითა ზესკენლისა მის ფასისათა, ყოვლითურთ კრებულთურთ ფსალმუნითა სულიერთა (სასულიერო გალობით) და კეროვნითა აღნთებულთა (ანთებული სანთლებით) და საკუმეველითა სურნელითა აღვიხუენით პატოსანნი ძვალნი და გამოვიხუენით (გამოვიტანეთ) წმიდასა მას ეკლესიასა“.

ავტორს სურს, არა მხოლოდ აჩვენოს, არამედ დაასაბუთოს შუშანიკის არჩევანის სიმართლე და ვარსკენის ნაბიჯის უგუნურობა, რომელიც ამასთან მისსავე წინაპართა ეროვნული ტრადიციების შეურაცხყოფაც იყო. ამას იგი შუშანიკს ათქმევინებს, ხოლო გმირის მეტყველება აქ უკვე რიტორიკული ელფერისაა და მხატვრულ კონტარსტებზეა აგებული:

„მამამან შენმან (იგულისხმება ვარსკენის მამა, არშუშა პიტიანში)



წმინდანი შემოიხუნა სახიდ (სახლში) თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნე. მან ღმერთი ცათა ქუეყანისაი აღიარა და ჰრწმუნა, ხოლო შენ ღმერთი ჰემმარიტი უჲვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უჲვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხყავ“.

თავის დროზე ივანე ჭავჭავაძის დეტალურად განიხილა „შუშანიკის წამების“ ისტორიული ფონი და მდიდარი ისტორიული რეალიებით დატვირთული თხრობა (ფაქტიურად, აქ V საუკუნის ისტორიული პანორამაა გადაშლილი და წარმოდგენილია უნიკალური ცნობები) და მანვე ერთმა პირველთაგანმა შენიშნა იაკობ ცურტაველის მიდრეკილება სიმატლისა და თხრობის უშუალობისაკენ, რაც, მისი აზრით, ამგვარი თხზულებისათვის იშვიათი მოვლენა იყო. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „წამებაში“ განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ის გულწრფელობა, უშუალობა და ბუნებრიობა, რომლითაც იაკობ ხუცესის კილა გამსჭვალული თავიდან ბოლომდის“.

და აქ კვლავ დგება საკითხები, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ გაკვირვით უკვე ვისაუბრეთ. საქმე ეხება თხზულების მიმართებას ე. წ. ტიპიური სახით მოცემულ აგიოგრაფიულ მწერლობასთან.

ჩემი აზრით, თხზულების მხატვრული ანალიზი ასეთი მიმართების უმთავრეს ასპექტს თავისთავად ცხადყოფს. მიუხედავად იდეური ამოცანების ერთგვარობისა, „შუშანიკის წამება“ გარკვეულად შორდება აგიოგრაფიული ლიტერატურისათვის ადრევე შემუშავებულ სქემას, რასაც თხზულების ავტორის დიდ მწერლურ ტალანტთან ერთად განაპირობებდა სხვა მიზეზებიც.

როგორც ცნობილია, აგიოგრაფიული ლიტერატურა თავისი ძირითადი კანონებით ბიზანტიურ მწერლობაში აღწევს სრულყოფას, საბოლოო სახით სწორედ აქ შემუშავდა მისთვის დამახასიათებელი მხატვრული მოდელი.

მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ აღნიშნულმა მწერლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, როცა იგი ახალ გარემოში, კერძოდ საქართველოში, გადმოინერგა ქრისტიანული მწერლობის ჩასახვა-განვითარებასთან ერთად.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ ქართული ორიგინალური აგიოგრაფია, მით უფრო ადრეულ ეტაპზე (იქნება არც ის იყოს დასავიწყებელი, რომ „შუშანიკის წამება“ ყველაზე ადრეული ძეგლია), ზუსტად არ გაპყობილია გატკეპნილ გზას, არ გაუზიარებია ყველა ის დოგმა, რომელიც ამ დროისათვის თანდათან მყარ ფორმებს იძენდა ბიზანტიურ მწერლობაში.

სხვათა შორის, ისიც საგულისხმოა, რომ ქართული სასულიერო მწერლობა და კერძოდ, აგიოგრაფია ამ შემთხვევაში გამონაკლისივით არ გამოიყურება. ანალოგიური პროცესები დადასტურებულია ქრისტიანული ხელოვნების სხვა დარგებშიც. შუა საუკუნეთა ქართული არქიტექტურა თუ კედლის მხატვრობა, მიუხედავად გარკვეული მიმართებისა, არაა ზუსტი ანალოგია ბიზანტიური ხელოვნების ამავე დარგებისა. ეს იდენტურ გაზიარებული ტენდენციებია, მართლაც კედლის მხატვრობისა.

ერობის პარალელური შესწავლა გადაშლის ჩვენ თვალწინ ძალზე თავისებურ სურათს ამავე პერიოდის (იგულისხმება ადრეფეოდალური ხანა) ქართული მონუმენტური მხატვრობის განვითარებისას. ეს თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ იგი რამდენადმე შორდება ამავე ეპოქის ბიზანტიური ხელოვნების განვითარების გზებს“ (თ. ვირსალაძე) და რომ ეს თავისებურებანი, რომლებიც დასტურდება ხელოვნების სხვა დარგებში. არის სისწლხორობეულად დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სოციალურ თუ პოლიტიკურ ვითარებასთან. აღსანიშნავია, რომ ქართულ ხელოვნებაზე ასეთი თვალსაზრისი უფრო უხვი მასალებით იყო განმტკიცებული როგორც ქართველ, ისე უცხოელ მეცნიერთა მიერ 1977 წელს თბილისში ჩატარებულ II საერთაშორისო სიმპოზიუმზე (მათ შორის აღსანიშნავია შარლ დელუსს მოხსენება თემაზე: „ქრისტიანული ეპოქის ბიზანტიისა და საქართველოს არქიტექტურა“).

ადრეული ქართული კულტურის ეს თვითმყოფი ხასიათი, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად გარკვეული ტრადიციების არსებობასაც გულისხმობდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჩვენს მეცნიერებაში. ივანე ჯავახიშვილს. როცა იგი პირველთაგანი აყალიბებდა დღეს ასე გავრცელებულ ჰიპოთეზას „ქართული რენესანსის“ შესახებ, მხედველობიდან არ გამოორჩენია ქართულ აგიოგრაფიაში დადასტურებული დემოკრატიული ნაკადი. ამიტომ იყო, რომ იგი „სხვა მიმართულების“ პიროვნებად თვლიდა ქართული კლასიკური აგიოგრაფიული ძეგლის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორს გიორგი მერჩულეს.

ასეთ დროს. ძველ. და მაინცდამაინც, ქრისტიანობამდელ კულტურაზე მინიშნება მშვენივრად არის წარმოჩენილი გერონტი ქიქოძის შემდეგ სიტყვებში. როცა იგი ანტიკური ტრადიციების უწყვეტობაზე საუბრობს: „ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ადამიანი რენესანსის და ჰუმანიზმის ეპოქის სუნთქვას გრძნობს ჩვენს კლასიკურ მწერლობაში. რენესანსისებურია მისი გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვე. მისი ინტერესი რეალური ქვეყნებისადმი და კლასიკური კულტურისადმი, მისი მოუსვენარი, მაძიებელი სული“.

სწორედ ასეთი კუთხით უნდა შევხედოთ ჩვენ იაკობ ხუცესის თხზულებასაც, რომელიც სათავეს უდებს ფართო მასშტაბის მხატვრულ პროზას. „შუშანიკის წამება“ ქართულ ნოადაზე აღმოცენებული მხატვრული ქმნილებაა და ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი ითვალისწინებს მშობლიური კულტურის წიაღში უკვე მანამდე არსებულ მხატვრულ გამოცდილებას. რასაკვირველია, ამ გამოცდილების ათვისებაში გადაწყვეტი რილი ითამაშა ავტორის სწორმა ისტორიულმა ალლომ და დიდმა მხატვრულმა ტალანტმა.

\* \* \*

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქრისტიანული მწერლობის უბადლო მკოდნე გერმანელი მეცნიერი ჰარნაკი, როცა იგი გაეცნო ნიკო მარის შრომას „იერუსალიმსა და სინაზე მუშაობის წინასწარი ანგარიში“.

განცვიფრებული წერდა ქართული კულტურის მისთვის მანამდე უცნობი მდიდარი ტრადიციების შესახებ. ცხადი შეიქნა, რომ მსოფლიო ქრისტიანული მწერლობის ჯეროვანი შესწავლისათვის აუცილებელია ქართული სასულიერო მწერლობის მონაპოვართა გათვალისწინება.

შედარებითი შესწავლა აგლენს არა მხოლოდ ქართული კულტურის თვითმყოფ ხასიათს, რაზედაც ქართული მწერლობისა და სელოვნების სხვადასხვა დარგების მაგალითზე ზემოთაც იყო საუბარი, არამედ მას უღრმეს კავშირებს მასლობელი ხალხების კულტურასთან. კერძოდ კი, ქართული მწერლობა, განსაკუთრებით აღზევების ეპოქებში, არც ერთი წამითაც არ მდგარა განზე მსოფლიო მწერლობის ძირითადი პროცესებისაგან, რადგან კულტურულ იზოლაციას არასოდეს მოუტანია კეთილი ნაყოფი.

ამ დებულების დასტურად გამოგვადგება ისევ და ისევ „შუშანიკის წამება“, რომელიც თბრობის მაღალპოეტური ოსტატობით ახლაც განცვიფრებას იწვევს. თავის ზემოდასახელებულ წერილში თამაზ კილაძემ პართებულად შენიშნა, ამ ნაწარმოებს მეტად მარტივ კალაპოტში მოვაქცევდით, თუ ვერ ჩაეწვდებით სიღრმისეულ შრეებსა და ქვეტექსტებს (მანვე გამოჰყო კიდევ რამდენიმე ასეთი ადგილი თხზულებაში).

მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ ავტორისეული წვლილია და სირთულეთა დაძლევის გზაზე მას წინამორბედები არ ჰყოლია.

ერია აუერბახი თავის ბრწყინვალე ნაშრომში „ნაჭრილობევი ოდისეისის ფეხზე“ (იხ. მისი წიგნი „მიმეზისი“) გვთავაზობს ძალზე მნიშვნელოვან დაკვირვებას. დაკვირვების საფუძვლად იგი იყენებს ანტიკური ხანის ეპიკურ თხზულებებს (განსაკუთრებით ჰომეროსის „ოდისეას“) და საღვთო წერილს, რომელიც უპირველესი წყაროა შუა საუკუნეთა მწერლობისათვის.

შეპირისპირების შედეგად გამოვლინებულია პრინციპული სხვაობა: ჰომეროსის თბრობა კონკრეტულ თვალსაჩინოებას ეყრდნობა, სურათი, პლასტიკურია, ხოლო მონათბრობი აღწერითი ხასიათისაა და უმრავლეს შემთხვევებში შეიცავს (ამასთან რეტროსპექტიული ეპიზოდების ჩართვით), და რაც მთავარია, ყველაფერი ეს ხდება ჩვენ თვალწინ, წინა პლანზე.

თბრობის სხვადასხვა დონის საჩვენებლად მკვლევარი ნიმუშად ირჩევს ეპიზოდს ბიბლიიდან, რომელშიც ისააკის მსხვერპლმწერევაა გადმოცემული. წინააღმდეგ ჰომეროსის თბრობის სტილისა, აქ არ ჩანს. მაგალითად, როგორ გამოეცხადება ღმერთი აბრაამს. საღ იმყოფება იგი, ბერძენებში თუ საღლაც სხვაგან, შენობაში თუ ღია ცისქვეშეთში, ეს მთბრობელს არ აინტერესებს და ამას ვერც მკითხველი შეიტყობს. ხოლო თუ რას აკეთებდა იმ წუთებში აბრაამი, როცა მას უხმო ღმერთმა, ესეც გაურკვეველი რჩება. გავიხსენოთ, რომ უფრო მკვეთრად ვიგრძნობთ სხვაობა, თუ როგორ გამოეცხადება ჰერმესი ნიმფას. რომლის სახელია კალიფსო. აქ დავალების მიცემა, მოგზაურობა, ჩამოსვლა.

შეხვედრა ზევისის მორბედ ჰერმესთან, ზრუნვა და კალიფსოს საქმიანობა გადმოცემულია დეტალურად მრავალრიცხოვანი სტროფების მანძილზე. ასე ხდება მაშინაც, როცა ღმერთები გამოეცხადებიან მოულოდნელად, „იოტის წამისად“, რათა დაეხმარონ თავიანთ რჩეულთ ან აცდუნონ და დაღუპონ მათთვის საძულველი რომელიმე მოკვდავი. როგორც წესი, მათი გამოცხადებისა თუ გაუჩინარების გარემოება წარმოსახულია ზუსტად და დეტალურად. ხოლო ბიბლიაში, ისევე როგორც სხვა ეპიზოდებში, აქაც (მსხვერპლშეწირვის სცენაში) ღმერთი მოგვევლინება ისე, რომ მას არა აქვს რაიმე კონკრეტული სახე (და მაინც „მოგვევლინება“), მოგვევლინება იღუმალი სამყაროდან და ჩვენ მოგვესმის მხოლოდ მისი ხმა. ხოლო ხმა იგი წარმოსთქვამს მხოლოდ სახელს — იმ პიროვნების აღწერის გარეშე, ვისაც მიემართება ეს სიტყვები, რაც სრულიად მოულოდნელია ანალოგიურ სიტუაციაში ჰომეროსთან.

არც აბრაამის სახეა წარმოდგენილი კონკრეტული თვალსაჩინოებით, ისმის მხოლოდ სიტყვები, რომლითაც პასუხობს იგი ღმერთს „ჰინნე ნი“ („აჰა მე“ — იხ. წიგნი მოსესი 1, თავი კბ) — რადგან ეს სიტყვები გვაგვრძობინებენ ჩვენ ძალზე შთამბეჭდავ ეესტს, რომელშიც ჩანს მორჩილება და მზადყოფნა (აბრაამი ხომ თანახმა იყო უსაყვარლესი შვილი ზვარაკად მიეტანა ღვთის საკურთხეველზე). მაგრამ სურათის დასრულება ეკისრება თვით მკითხველის წარმოსახვის უნარს. მოსაუბრეთა შორის (ღმერთი — აბრაამი) მხოლოდ ერთი რამ ცნაურდება კონკრეტულად და თვალსაჩინოდ: ესაა მოკლე, წყვეტილი, თითქოსდა შემზადების გარეშე წარმოთქმული, მკვეთრად დაპირისპირებული სიტყვები. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ამ დროს იბადება შეგრძნება მოძრაობისა, რომელიც გამოხატავს მონურ ერთგულებას, ხოლო სხვა დანარჩენს ფარავს უკუნი.

ჩვენ არ ვიცით ამ მძაფრი სიტუაციის ქამს როგორაა სივრცეში აღმართული თვით აბრაამის ფიგურა: მუხლმოდრეკილია იგი, დამხობილია მიწაზე თუ ხელაპყრობილი შეჭოლადებს ღმერთს. ერთი რამ კი ცხადია, იგი წინა პლანზეა, ხოლო ღმერთის ხმა მიღმა, საიდუმლო სამყაროდან ისმის.

სიმძიმის ცენტრი, აქ, და ყველგან, იმ ეპიზოდებში, რომელიც „საღვთო წერილიდან“ მოაქვს მკვლევარს, გადატანილია სულიერ მოძრაობაზე, მინიშნებებზე, რეალური და მისტიკური პლანების მონაცვლეობაზე. თხრობის ასეთი სტილი აქ უნივერსალურ ხასიათს ატარებს და მემკვიდრეობად გადმოეცემა მთელს შუა საუკუნეთა სასულიერო მწერლობას.

„შუშანიკის წამების“ მაგალითიც ცხადყოფს, რომ ქართულმა სასულიერო მწერლობამაც შემოქმედებითად აითვისა მხატვრული აზროვნების ისტორიაში ეს, მართლაც, უღრმესი მონაბეგარი.

მე ზემოთ აღვნიშნე თამაზ ჭილაძის მითითება „შუშანიკის წამებაში“ დადასტურებულ ქვეტექსტებზე, რაც ჩემი აზრით, თავისი ხასიათით ბიბლიიდან იღებს სათავეს, მაგრამ აქვე შევნიშნავ, რომ ზოგჯერ ეს მითითებანი სცილდებიან ტექსტს და წერილის ავტორის საკუთარ ვარაუდებს უფრო ჰგვანან. ფაქტიურად წერილის ავტორი დაპირისპირებულ ძალთა საკუთარ ვარიანტს გვთავაზობს, რაც ძალზე შორდება ტექსტში გადმოცემულ თუ ნაგულისხმევ ვითარებას. მაგალითად, უმართებულოა იაკობის გამოცხადება ვარსკენის ბრმა იარაღად, აგრეთვე ეპისკოპოსი აფოციის ვარსკენის ბანაკში მოთავსება. გავიხსენოთ, თუ როგორ არის დახასიათებული აფოცი მოთხრობის ბოლოს, როცა იოანე და აფოცი მიასვენებენ „დედოფალს, ისინი ჰგვანდნენო ხართა მხნეთა დაულღვილთა ზესკნელისა მის ფასისათა“. დედოფალი კი მანამდე სწორედ აფოცს ავედრებდა სულს „მოწლებისა (თანაგრძნობისა) მისისათვის“ და, სხვათა შორის, მასვე ავედრებდა მომავალ შემწეობას თვით მისივე მოძღვრის იაკობისათვის. ასევე უსაფუძვლო ჩანს ეპისკოპოსის შეტანა ვარსკენის ძმის ჯოჯიკის გულწრფელობაში, და მრავალი სხვა. ეპისკოპოსს აგრეთვე წერილის მთელი ის ნაწილი, სადაც თითქოს სადღაც სიღრმიდან იგრძნობა ვახტანგ გორგასალის გამიზნული ქმედება, რომლის მსხვერპლია შუშანიკი, მიზანი კი ხალხის თვალში ვარსკენის საბოლოო დისკრედიტაცია. სხვათა შორის სცენის მიღმიდან პერსონაჟის მოქმედება ასევე გავრცელებული ზერხია ბიბლიურ წიგნებში, რომლის ერთი საგულისხმო მაგალითი ბიბლიური დავითის ცხოვრებიდან მოაქვს იმავე ერიკ აუერბახს დასახელებულ წიგნში. ბრძოლის ველზე არ იმყოფება დავითი, მაგრამ მანც ყოველივეს წარმართავს მისი ნება, და ეს უნავს სტრიქონთა შორის. ეს მართლაც ასეა ბიბლიის აღნიშნულ ეპიზოდში, მაგრამ, ჩემი აზრით, „შუშანიკის წამება“ არ იძლევა ვახტანგის ასეთ მოქმედებაზე სულ მცირე მინიშნებასაც კი. წერილის ავტორი იქნება დაფიქრებულიყო იმაზეც, რომ ქართული წყაროების მიხედვით ვახტანგი საერთოდ არ ჩანს ამ ხანებში საქართველოში და იგი დაბრუნდა დაახლოებით 480-იანი წლების დასაწყისისათვის, როცა „შუშანიკის წამებაში“ გადმოცემული ტრაგედია უკვე დასრულებული იყო. ცოცხალი იყო მხოლოდ ვარსკენი, რომელიც, იმავე წყაროების დამოწმებით, მოაკვლევინა ვახტანგმა, რითაც მან აღასრულა სახალხო მსჯავრი.

არა მხოლოდ ქვეტექსტების დიდი საიდუმლო, რაც მხატვრული სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება, არამედ მხატვრული აზროვნების ამოუწყველი მარაგი უანდერძეს სასულიერო მწერლობას ბიბლიური წიგნების ავტორებმა. თუ კეშმარიტი მხატვრული შემეცნება ადამიანურ ვნებათა და სულიერ მოძრაობათა ენციკლოპედიაა, ამის დიდებულ მაგალითებს გვაწვდიან აღნიშნული წიგნები და მათი ღირსეული მემკვიდრე — სასულიერო მწერლობა. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ, მოგვიანებით, ისეთი დიდი მხატვრული მოძრაობა, რო-

მელმაც ისევ და ისევ ადამიანის უღრმესი სულიერი შრეების გამოძე-  
ურება დაისახა მიზნად, დაეწაფა სწორედ ქრისტიანულ სასულიერო  
მწერლობას. მე აქ ვეულისხმობ რომანტიკულ პოეზიას, სადაც ეს მი-  
მართება მსოფლიო მასშტაბით უნივერსალურ ხასიათს იძენს (საკმარი-  
სია აქ ქართველი რომანტიკოსების გახსენება, აქვე შევნიშნავ, რომ  
ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართება ქართულ სასულიერო მწერლო-  
ბასთან საფუძვლიანადაა წარმოჩენილი გურამ ასათიანის წიგნში „მე-  
რანი და მისი ავტორი“).

საკუთარ ტრადიციებთან ერთად, როგორც ითქვა, ქართული მწერ-  
ლობის ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებს აშკარად ატყვია ფართო თვალ-  
საწიერი, რაც იმთავითვე მასშტაბურობას ანიჭებდა მათ.

\* \* \*

ნიკო მარმა, რომელმაც, სხვათა შორის, ერთმა პირველთაგანმა შე-  
ნიშნა ქართული სასულიერო მწერლობის გარკვეული წვლილი საერო  
მწერლობის მატერიალური სტილის შემუშავებაში, ჭერ კიდევ 1910 წელს  
აღნიშნა ქართული კლასიკური მწერლობის აშკარა მასშტაბურობა.  
სპეციალური ხასიათის ნაშრომში, რომელიც მან უძღვნა. მისი აზრით,  
ქართველ ნეოპლატონიკოსთა ერთ-ერთ მეთაურს იოანე პეტრიწს, იგი  
წერდა, რომ ქართველები X—XI საუკუნიდანვე (თუ უფრო ადრე  
არა) ფილოსოფიის სფეროში იმავე კითხვების კვლევა-ძიებაში იყვნენ,  
რა კითხვებშიც აინტერესებდათ იმ ხანების მოწინავე საქრისტიანო  
ქვეყნების მოაზროვნეებს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.  
ამ შემთხვევაში სხვებისაგან, სახელდობრ, ევროპელთაგან იმით ვან-  
სხვადებოდნენ. რომ იმ ხანებში ქართველები სხვებზე უწინ ეხმა-  
ურებოდნენ ფილოსოფიური აზროვნების ახალ მიმართულებას და აღ-  
ქურვლინი იყვნენ იმ დროისათვის სამაგალითო კრიტიციზმით. რომ-  
ელსაც საგნად ჰქონდა ბერძენთა ნაწერების განხილვა თვით ორიგი-  
ნალშივე.

სასიამოვნოა, რომ ქართული კულტურის ეს მრავალმხრივობა თან-  
დათან აღიარებას ჰპოვებს უცხოეთის სამეცნიერო წრეებშიც. მაგალი-  
თად, მსოფლიო პოეზიის ისეთი დიდი სპეციალისტი, როგორიც მო-  
რის ბოურაა, რომელიც საფუძვლიანად გაეცნო რუსთაველის მხატ-  
ვრულ სამყაროს, ასეთ დასკვნამდე მივიდა: შოთა რუსთაველი დანტე  
ალიგიერის მსგავსად ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული შუა სა-  
უკუნეთა მსოფლიო კულტურასთან. მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ავტო-  
რისათვის ამასთან, დამახასიათებელია შემდეგი: იგი თანაბრად ემყა-  
რება როგორც აღმოსავლეთის. ისე დასავლეთის სულიერ გამოცდი-  
ლებას. მთავარი კი მაინც ის არის, კულტურათა გზაჯვარედინზე „შო-  
თა რუსთაველს საკუთარი გეზი აქვს აღებული მსოფლიო პოეზიის დიდ  
შარავგზაზე“ („Inspiration and poetry“, ლონდონი, 1955, გვ. 55).

ეს მაღალი პოზიცია იმთავითვე დაჰყვა ქართულ ლიტერატურას,  
მის ადრეულ ძეგლებს. იგი, როგორც კულტურული ტრადიცია, მემ-

კვიდრობად გადმოეცა მომღვენო ეპოქათა ქართულ მწერლობას, რის გარეშეც იგი პროვინციალიზმის დასშულ კარიბჭეში მოექცეოდა.

მსოფლიო მეცნიერება ლიტერატურის შესახებ დღევანდელ ეტაპზე სწორედ ასეთ ამოცანებს ისახავს მიზნად. საერთო პროცესების ფონზე ამა თუ იმ ხალხის კონკრეტული წვლილის გათვალისწინება. ექვს გარეშეა, საფუძველთა საფუძველია ტიპოლოგიური კვლევისა და უალრესად ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას მსოფლიო კულტურულ მოძრაობათა რეალურ მიზეზებზე. ამასთან დაკავშირებით. მართებულად შენიშნავს ცნობილი რუსი მეცნიერი დიმიტრი ლიხაჩოვი, რომ «Мы должны прежде всего изучать своеобразное и неповторимое, «индивидуальность» народов и прошлых эпох. Именно в разнообразии эстетических сознаний их особенная поучительность, их богатство и залог возможности их использования в современном художественном творчестве» («Поэтика древнерусской литературы», 1967, стр. 370).

უალრესად ეროვნული ქმნილება „წამებაა წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაა“, რომელიც ქართული ქრისტიანული კულტურის გარეგარეშეა შექმნილი, ზემოთ აღნიშნული კუთხითაც არაერთ მნიშვნელოვან საკითხს აღძრავს და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ქართველი ხალხის წვლილზე მსოფლიო კულტურის ისტორიაში.

1978 წ.

## ძველი ქართული პოეზია\*

(V—VII სს.)

წინამდებარე ტომით იწყება ქართული პოეზიის თხუთმეტტომეულის გამოცემა. მასში მოთავსებულია როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის პოეტური ნიმუშები და მოიცავს პერიოდს V საუკუნიდან მოკიდებული XIII საუკუნის დამდეგამდე. გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ცალკეა წარმოდგენილი მეორე ტომის სახით.

ქართული პოეზიისა და საერთოდ ქართული მწერლობის სათავეები კი, რასაკვირველია, უფრო შორეულ წარსულშია საძიებელი.

მეხუთე საუკუნეზე ადრეული, კერძოდ კი, ანტიკური ხანისა თუ ადრექრისტიანული ეპოქის ნიმუშებს ჩვენამდე არ მოუღწევია ან მათზე მხოლოდ ცალკეული მინიშნებანი თუ მოგვეპოვება, ისიც შედარე-

\* „ქართული პოეზიის“ თხუთმეტტომეულის (გამომც. „ნაკადული“) პირველი ტომის წინასიტყვაობა. იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

ბით გვიანდელ წყაროებში (საკმარისია ითქვას, რომ ანტიკური ხანის უცხოურ წყაროებში ჩვენ არაერთ ცნობას ვპოულობთ ქართველ ტომთა შორის აღმოცენებულ მითოლოგიურ წარმოდგენებსა და ფოლკლორული ხასიათის ნიმუშებზე). აღნიშნულ საკითხებზე მყარი მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავება მკიდროდ უკავშირდება ქართული დამწერლობის სათავეების კვლევას, რაც ქართული კულტურის უაღრესად აქტუალურ პრობლემათა რიგში დგას და მისი საბოლოო გადაწყვეტა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ქართული მწერლობის ხელშესახები ფაქტები კი ჩვენ სწორედ იმ ეპოქიდან მოგვეპოვება, როცა საქართველოში ქრისტიანობის სახით, ახალი, თავისი დროისათვის აშკარად მოწინავე იდეოლოგია იკიდებს ფეხს (IV საუკ. პირველი მეოთხედი).

აშკარაა ისიც, რომ ქრისტიანობამ, ვითარცა უაღრესად მწიგნობრულმა რელიგიამ, დიდად შეუწყო ხელი ჩვენში განათლებისა და კულტურის წინსვლა-აღორძინებას. როგორც მოსალოდნელი იყო, ვითარდებოდა სასულიერო მწერლობა მრავალფეროვანი დარგებით, ხოლო შემდეგ მასთან უშუალო კავშირით თუ დაპირისპირებით აღორძინებას იწყებს ახალი ტიპის ე. წ. საერო მწერლობა, რომელიც თავის აპოგეას XII საუკუნეში აღწევს.

\* \* \*

ქართული პოეტური აზროვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანული მწერლობის ერთ-ერთ ისეთ უმთავრეს დარგს, როგორცაა სასულიერო პოეზია ანუ ჰიმნოგრაფია.

ჰიმნოგრაფია ჩვენში, ისევე როგორც სხვა მეზობელ ქვეყნებში, ღვთისმსახურების ანუ ლიტურგიკის წიაღში აღმოცენდა.

გალობა ქრისტიანულ ეკლესიაში იმთავითვე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და ღვთისმსახურების აუცილებელ ელემენტს შეადგენს. იგი რელიგიურ გრძნობათა გამოხატვის ერთ-ერთ უმთავრეს ფორმას წარმოადგენდა.

ებრაული რელიგიის ტრადიციისამებრ ქრისტიანობაც პირველ ხანებში საგალობელთა ტექსტებისათვის ბიბლიურ წიგნებს მიმართავს, განსაკუთრებით კი დავით წინასწარმეტყველის გალობებს ანუ ფსალმუნებს, შემდეგ კი იმავე ბიბლიური წიგნებიდან გალობათა თემატიკური არე ფართოვდება. ყალიბდება ე. წ. კანონები, რომლებიც გალობათა გარკვეულ თემატიკასა და თანმიმდევრობას აწესრიგებს, რაც მკაცრად რეგლამენტირებულ სახეს ინარჩუნებს საუკუნეთა მანძილზე.

მკითხველს რომ წარმოდგენა მიეცეს, თუ რაზეა აქ საუბარი (მით უფრო, რომ მათზე არაერთ მითითებას შეხვდება იგი წინამდებარე წიგნში), მოკლედ გავეცნოთ ქართული ეკლესიის წიაღშივე მსოფლიო ქრისტიანული ლიტურგიკის ანალოგიურად ჩამოყალიბებულ გალობათა რაოდენობასა და რიგს, რადგან ფაქტიურად მათ ეფუძნებათ შემ-



დგომ განვითარებული მრავალფეროვანი ნიმუშები ჰიმნოგრაფიული პოეზიისა.

გალობა პირველი: მისი ქართული სახელწოდებაა „უგალობ-ღოთსა“. ამ სახელწოდებით მინიშნებული იყო ძველი აღთქმის სა-თანადო ეპიზოდი, რომელიც იწყება სიტყვებით: უგალობდეთ უფალსა. რამეთუ დიდებით დიდებულ არს, ცხენები და მკვდრები შთასთხია ზღუასა...“ (წიგნი მოსესი, გამოსვლათა XV, 1—19). საგა-ლობლის მთავარი თემაა დიდების აღვლენა ღვთისადმი, რომელმაც მო-სესს წინამძღოლობით იხსნა ებრაელები ეგვიპტელთა დევნიდან, გა-ნაპო მეწამული ზღვა, ხოლო მღევარი „დაანთქა ზღუასა მას მეწამულ-სა“.

გალობა მეორე: მისი ქართული სახელწოდებაა „მოიხილესა“, რომლითაც მინიშნებული იყო ძველი აღთქმის სათანადო ეპიზოდი. გა-ლობა იწყება სიტყვებით: მოიხილე ცაო, და ვიტყვოდი, და ისმენ-დინ ქუეყანა სიტყვათა პირისა ჩემისათა მოელოდნენ, ვითარცა წვიმა წმასა ჩემსა...“ (წიგნი მოსესი, მეორე მჯულისა XXXII, 1—43). საგა-ლობლის მთავარი თემა მოსესს წინასწარმეტყველება ლევიტელთა მიმართ, რომელთაც ამჩნევდა უკეთურებას და აფრთხილებდა მიცემუ-ლი მცნების დარღვევის გამო.

გალობა მესამე: მისი ქართული სახელწოდებაა „განძლიერდა-სა“. ამით მინიშნებული იყო ძველი აღთქმის სათანადო ეპიზოდი. და-საწყისი სიტყვები: „და ილოცვდა ანნა და თქუა: განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ და ამაღლდა რქაჲ ჩემი ღუთისა მიერ ჩემი-სა“... (მეფეთა, პირველი, II, 1—10). საგალობლის მთავარი თემაა აღი-არება უფლისა ძლიერებისა. უფალს არ შეეფერება ზედმეტი მრავალ-სიტყვაობით მიმართვა და ანა მადლობას უთვლის ღმერთს, რომელ-მაც მისცა მას ვაჟი სამოელ.

გალობა მეოთხე: მისი ქართული სახელწოდებაა „უფალო მეს-მასა“ (ან შემოკლებით „მესამასა“), რომლითაც მინიშნებული იყო ძველი აღთქმის შემდეგი ეპიზოდი. იგი იწყება სიტყვებით: „ლოცვა ამბაკომ წინასწარმეტყველისა გალობით: „უფალო მესამა სასამე-ნელი შენი და შემეშინა, უფალო განვიცადენ საქმენი შენნი...“ (წი-ნასწარმეტყველება ამბაკუმისი, III, 1—19). საგალობლის მთავარი თემაა წინათგრძნობა უფლის მოვლინებისა და წარმართთა დასჯისა.

გალობა მეხუთე: მისი ქართული სახელწოდებაა „ღამით განსა“. ამ სახელწოდებით მინიშნებულია ძველი აღთქმის შემდეგი ეპიზოდი, რომელიც იწყება ასე: ღამით გან აღიმსობს სული ჩემი შენდამი ღმერთო, მით რამეთუ ნათელ არს ბრძანებანი შენნი ქუეყანასა ზედა...“ (წინასწარმეტყველება ესაიასი, XXVI, 9—19). საგალობლის მთავარი თემაა მოლოდინი მკვდრებით აღდგომისა და სიხარული მის გამო.

გალობა მეექვსე: მისი ქართული სახელწოდებაა „ღალად ყავ-სა“. აქ მინიშნებულია ძველი აღთქმის შემდეგი ეპიზოდი. რომელიც იწყება ასეთი ფრაზებით: „და თქუა ღალად ყავ ქირსა შინა ჩემსა უფლისა მიმართ ღუთისა ჩემისა და შეისმინა ჩემი მუცლისაგან

ჯოჯოხეთისა ღალადებისა ჩემისა გესმა ვმისა ჩემისა...“ (წინასწარმეტყველება იონასისი, II, 3—10). საგალობლის მთავარი თემაა ვეშაპის მუცელში მყოფი იონას ლოცვა, რომლითაც აღდგინების უდიდესი ბიბლიური სასწაულია ნაგულისხმები.

გალობა მეშვიდე: მისი ქართული სახელწოდებაა „კ უ რ თ ხ ე უ ლ-ა რ ს ა“, რომლითაც მინიშნებულია ძველი აღთქმის შემდეგი ეპიზოდი. ეპიზოდი იწყება ასე: „კ უ რ თ ხ ე უ ლ ხ ა რ შენ უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო და ქებულ და დიდებულ არს სახელი შენი საუკუნეთამდი...“ (წინასწარმეტყველება დანიელისა III, 26—55). საგალობლის მთავარი თემაა უფლისადმი ლოცვა, რომელმაც სასწაულებრ დაიკავა ცეცხლში ნაბუქუდუნოსორის მიზეზით ჩაცვივნილი სამი ყრმა.

გალობა მერვე: მისი ქართული სახელწოდებაა „ა კ უ რ თ ხ ე ვ-დ ი თ ს ა“. რომელიც ფაქტიურად აგრძელებს წინა გალობის თემას და იწყება ასე: „ა კ უ რ თ ხ ე ვ დ ი თ ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა. უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა...“ (წინასწარმეტყველება დანიელისა, III, 57—88). და, როგორც ითქვა, აქაც იგივე თემაა, უკვე საში ყრმის გადარჩენის გამო წარმოთქმული.

გალობა მეცხრე: მისი ქართული სახელწოდებაა „ა დ ი დ ე ბ დ ი თ-ხ ა“. აქ მინიშნებულია ახალი აღთქმის ერთ-ერთი ეპიზოდი. რომელიც იწყება სიტყვებით: „და თქუა მარიამ: აღიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა...“ (სახარება ლუკასი, I, 46—55). საგალობლის მთავარი თემაა ღვთისმშობლის მიერ უფლის სამაღლობელი, ვინაიდან იგი აირჩია უფალმან დედათა შორის.

აღსანიშნავია დამატებით, რომ მომდევნო საუკუნეებში. ყოველ შემთხვევაში X საუკუნიდან. გამოტოვებდნენ ხოლმე მეორე საგალობელს: „მოიხილესას“, რაც როგორც ჩანს, საერთო მოვლენა იყო. ამის მიზეზის დადგენა ამჟამად ჭირს. იქნებ, ამ საგალობელში განვითარებული თემა, რომელიც თავისი შინაარსით (იხ. ზემოთ) უფრო იუდაიზმის სულისკვეთებას გამოხატავდა, ქრისტიანული დოგმატიკისათვის უცხოდ მოეჩვენათ. თუმცა ეს საგალობელი შემდეგში აქა-იქ მაინც იჩენდა თავს.

იმასაც დავსძენთ, რომ ზოგჯერ, ასევე მოგვიანებით, მათ რიცხვს მიემატება ახალი საგალობელი, რომლის სახელწოდებაა „ა ქ ე ბ დ ი თ-ს ა“ და სათავეს იღებს 148-ე ფსალმუნიდან: „ა ქ ე ბ დ ი თ უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა. აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი. აქებდით მას ყოველნი ძილნი მისნი...“ (საგალობლის თემა ღვთაების ყოვლისშემძლეობას ავითარებს).

ცნობისათვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გალობათა ეს სახელწოდებები უძველესია და, როგორც ჩანს, ისინი დაუკარგავს ბერძნულსა და ალბათ მისივე გავლენით სლავურსა და სხვა ენათა წრის ღვთისმსახურებას. მათ საღვთისწაულობებში ეს სახელწოდებები შეცვლილია რიცხვითი აღნიშვნებით, ე. ი. გალობა პირველი, მეორე და ა. შ.

ეს გალობები სრულდებოდა ჯერ ოთხ სხვადასხვა ხმაზე, ხოლო სა-

ხელგანთქმული ჰიმნოგრაფისა და მელოდოსის იონანე დამასკელის (VIII ს.) შემდეგ 8 ხმაზე (4 ძირითადი და 4 პლაგალური ანუ გვერდითი ხმით, ქართული ტერმინოლოგიით წმაი და გუერდი). თუმცა მათ წარმოშობას უფრო ძველ ტრადიციასაც უკავშირებენ.

გალობათა ან კანონთა ზემოთ აღნიშნული წესი, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს კორნელი კეკელიძე „იმის მაჩვენებელია, რომ ქართული ჰიმნოგრაფია მაშინ დაწყებულა. როდესაც საქრისტიანო ღვთის მსახურებაში სწარბობდა ფსალმუნური ელემენტი, ესე იგი, როდესაც ღვთისმსახურება ამოიწურებოდა, ლოცვებისა და საღმრთო წერილის გარდა, ფსალმუნებით. რომელთაც მერე. ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდეგ, დაუწყეს მიმატება ან მიღება (აქედან ამ ტიპის გალობათა სახელწოდებაა—ღ ა ს ჯ ე ბ ე ლ ი. რომელთა ნიმუშებს მკითხველი ნასაგს დასახელებულ წიგნშიც. — ს. ც.) სხვადასხვა საგალობლებისა“ (ქართ. ლიტ. ისტორია. ტ. I, 1960 წ., გვ. 590).

ჰიმნოგრაფია ამასთან გასცილდა ეიწრო ლიტურგიკულ ჩარჩოებს და ასალი ფორმების ძიება დაიწყო. ასე ჩამოყალიბდა სასულიერო პოეზიის ორი ძირითადი დარგი: ლიტურგიკული და სამოძღვრო-მოთხრობითი; პირველი შეიცავს ლიტურგიკულ საღვთისმსახურო მიზნებით შექმნილ ნაწარმოებთ. საეკლესიო ჰიმნოგრაფიას. ამ სიტყვის ეიწრო მნიშვნელობით. ხოლო მეორე — ისეთ ნაწარმოებთ, რომელნიც ღვთისმსახურებაში სასმარებლად არ არიან განკუთვნილნი და გამოხატავენ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აზრებს. ავტორის გრძნობებს და სულიერ განცდათ, ანდა აგვიწერენ რომელიმე ისტორიულ მოვლენასა და ფაქტს (იქვე. გვ. 587).

სასულიერო პოეზიაში გალობა-სიმღერა და ტექსტი განუყოფელი იყო და ჰიმნოგრაფიის განვითარებასთან ერთად იქმნებოდა ახალ-ახალი მელოდიები და მასთან მისადაგებული სასულიერო ტექსტები (დაწერ. იხ. გ. იმედაშვილი. ქართული საგალობლის პოეტიკის საკითხები. ლიტ. ძიებანი, ტ. XII, გვ. 186—187).

ტიპიური გალობანი ზემოაღნიშნულ კანონთა მიხედვით შეიცავდა რვა ან ცხრა ცალკეულ გალობას, რომელთაგან თითოეული გალობა შეიცავდა რამდენიმე სტროფს (ანუ მიღებული ტერმინოლოგიით „ტროპარს“). გალობის თემა იმთავითვე იყო განსაზღვრული ერთ-ერთი თემით, ხოლო კილო ანუ მელოდია სათანადო ტექსტითურთ ახალი იყო.

ასალი კილო ანუ მელოდია აღინიშნებოდა პირველი სტროფით. ე. ი. მიუთითებდა საგალობლის კილოსა ანუ მელოდიაზე. რომელიც სავალდებულო იყო მთელი საგალობლის (რამდენიმე ტროპარის) მანძილზე. ასეთ მანიშნებელ პირველ ტროპარს ძველქართულად „ძლისპირი“, ხოლო ბერძნულად „ირმოსი“ ეწოდებოდა. ი. ი. საგალობელი გამართული იყო იმ ძლისპირის ნიმუშზე, წესზე, რომელიც ამავე საგალობლის თავში აღინიშნებოდა (აქვე შევნიშნავთ, რომ კილო ძველი ქართულით აღინიშნებოდა ტერმინით „ავაჯი“, ხოლო თუ იგი ორიგინალური იყო, მაშინ მას „თვითავაჯი“ ეწოდებოდა).

სანიმუშოდ იკმარებდა ერთი მაგალითი დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანიდან“. აქ პირველი გალობა აღნიშნულია ზემოთ მოტანილი ერთ-ერთი ბიბლიური გალობის სათაურით „უგალობდითსა“, რაც გალობის თემაზე მიუთითებს და ავტორი, ამ შეთხვევაში დავით აღმაშენებელი, იმავე თემას (თემას ღვთის ძლიერებაზე), ანვითარებს. ხოლო საგალობლის ქვესათაური „წამისყოფითა“ ერთ-ერთი ძლისპირის დასაწყისს წარმოადგენს და მიგვითითებს, კილოსთან ერთად თუ როგორ პოეტურ საზომზე (მარცვალთა განაწილება სტრიქონთა შორის) უნდა გაიმართოს ტექსტი.

ტიპიურ საგალობელთა ძირითადი წესი, როგორც ითქვა, ის არის, რომ კილო და საზომი (მარცვალთა რაოდენობა სტრიქონებში) ისეთივეა მომდევნო სტროფებშიც, როგორც ეს დასტურდება პირველ სტროფში. თემატიკურად ბოლო სტროფი ტრადიციულად (იხ. ზემოთ მეცხრე გალობა „ადიდებდითსა“) თავდება ღვთისმშობლისადმი მიმართვით, როგორც ეს მაგალითად, დავით აღმაშენებლის ყოველი ცალკეული გალობის ბოლოშია წარმოდგენილი (იხ. აქვე ტექსტი). [ტერმინით „ღმრთისმშობლისანი“ ძველ ქართულში გარდა ამისა აღინიშნებოდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი დამოუკიდებელი საგალობელიც, რომელიც სათავეს იღებს ზემოთ აღნიშნულ მეცხრე გალობაში წარმოდგენილი თემიდან.]

ჰიმნოგრაფიულ ტექსტთა სხვა სახეობებში გამოირჩეოდა აგრეთვე მოკლე საგალობლები, ე. წ. სტიქარონები, რომლებიც ფაქტიურად ცალკეულ გალობათა პრინციპზე იყო აგებული და თითოეულ სტროფს მოსდევდა იმავე საზომით გამართული მომდევნო სტროფები (ან გავრცელებული ტერმინოლოგიით ტროპარები).

რასაკვირველია, პირველ ხანებში ჰიმნოგრაფიული ტექსტები ითარგმნებოდა სხვადასხვა ენიდან, მეტწილად კი ბერძნულიდან, რადგან სწორედ ბერძნულ ენაზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა უმდიდრესი ჰიმნოგრაფიული მწერლობა, აგრეთვე მისი პოეტიკის თეორიული საფუძვლები. ბუნებრივია, რომ ტექსტებთან ერთად პირველ ხანებში მაინც ჩვენში გაბატონებული უნდა ყოფილიყო ბერძნული სიმღერა-გალობის კილოებიც.

[ბერძნული ანუ ბიზანტიური ჰიმნური პოეზიის მიმოხილვა მკითხველს შეუძლია ნახოს სიმონ ყაუხჩიშვილის წიგნში „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“. ოღონდ აქ შევნიშნავთ, რომ ღღეს საკმაოდ აღარ ითვლება საკითხი, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს წიგნის ავტორი, შეიცავენ თუ არა პროზის სახით გამართული ჰიმნური ხასიათის ტექსტები პოეტურ საზომებს, განსაკუთრებით კარდინალ პიტრას (1812—1889 წწ.) და სხვათა მკვლევართა ნაშრომების შემდეგ. აღიარებული თვალსაზრისით ბიზანტიური სასულიერო ლექსი ემყარება მარცვალთა რაოდენობას (სილაბიზმს) და მახვილთა პრინციპს (ტონურობას), რაც, რასაკვირველია, გარკვეულ სიძნელეებს შექმნიდა ქართველი მთარგმნელებისათვის, რომელთაც კარგად იცოდნენ ქართული ენის განსხვავებული ბუნება.

რაც შეეხება თვით ბიზანტიურ რიტმულ პოეზიას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ძველბერძნული კვანტიტეტისანი ლექსისაგან, მისი წარმოშობის გზა დღესდღეობით უცნობია, თუმცა ზოგი მკვლევარი მას ებრაულ-სირიულ პოეზიას უკავშირებს).

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების პირველი საუკუნეებიდანვე, როგორც ითქვა, სასულიერო მწერლობის სხვა დარგებთან ერთად მძლავრად განვითარდა ჰიმნოგრაფიული პოეზიაც. როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში ჩამოყალიბდა ისეთი ქართული ჰიმნოგრაფიული კერები, როგორიცაა პალესტინური (საბაწმინდის ლავრა, აგრეთვე სინას მთა), ტაო-კლარჯეთისა, ხოლო მოგვიანებით საბერძნეთში (ათონის სკოლა) და ა. შ.

ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური ხასიათის კრებულები, რომლებშიც თავმოყრილი იყო ჰიმნოგრაფიული მასალები მთელი წლის საგალობლებისა. უკვე გიორგი მერჩულე გვაწვდის ცნობას ასეთი ტიპის კრებულის „საწელიწდო იადგარის“ არსებობის შესახებ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ „აწ არს ხანძთას ჳელითა მისითა (იგულისხმება გრიგოლ ხანძთელი. — ს. ც.) დაწერილი სულიისა მიერ წმიდისა საწელიწდო იადგარი“. აქ არც ის არის გამორიცხული, როგორც ამას ფიქრობს პავლე ინგოროყვა, რომ იგი შედგენილი ყოფილიყო თვით გრიგოლ ხანძთელის მიერ (ეს ხელნაწერი ამჟამად დაკარგულად ითვლება). ამავე ხანიდან მოგვეპოვება ჩვენ უნიკალური ტიპის კრებულები, ე. წ. კილ-ეტრატის იადგარი, რომლიდან ერთ-ერთი ტექსტი იბეჭდება წინამდებარე გამოცემაშიც.

უცხოეთში არსებულ ქართულ კერებში დამზადებული კრებულების გარდა ჩვენამდე მოაღწია ტაო-კლარჯეთში, კერძოდ, შატბერდში შექმნილმა თავისი აღნაგობით და მოცულობით, მართლაც, განსაცვიფრებელმა კრებულმა („საწელიწდო იადგარი“), რომელიც შეუდგენია X საუკუნის მწერალსა და ჰიმნოგრაფს მიქელ მოდრეკილს.

კრებულში უცხო ავტორებთან ერთად შეტანილია ათეულობით ქართველ ავტორთა ორიგინალური საგალობლები. უძვირფასეს ცნობებთან ერთად კრებული გამოირჩევა იმით, რომ საგალობლები აქ წარმოდგენილია არა მხოლოდ სათანადო ძლისპირებზე მითითებით, არამედ განკვეთილობის ნიშნებით, რაც პოეტურ საზომზე მიუთითებს და აღჭურვილია თავისებური სანოტო ნიშნებით (ნევმები). ფაქტიურად ეს კრებული აჯამებს მთელ იმ მიღწევებს, რაც X საუკუნისათვის მოუპოვებიათ ქართველ ჰიმნოგრაფებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს, ამ დარგში შემდგომი დიდი ნაბიჯი, რომელიც ათონის სალიტერატურო ცენტრთანაა დაკავშირებული ძველი ტიპის „საწელიწდო იადგარები“, რომლებმაც მიქელ მოდრეკილამდეც განვითარების გარკვეული საფეხურები გაიარეს (დაწერილებით იხ. პ. ინგოროყვა, თხზულებანი, ტ. III, გვ. 215—227), აქ უკვე შეცვლილია ახალი ტიპის კრებულის, რომელიც „თთუნის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მათი ჩამოყალიბება ექვთიმე და, განსაკუთრებით, გიორგი ათონელის, მართლაც, ტიტანური ღვაწლის შედეგია.

მათ შორის უნივერსალურია სწორედ გიორგი ათონელის „თთუენი“, რომელსაც მისი ბიოგრაფი „სრულად ღმრთივბრწყინვალეს“ უწოდებს, მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ეველი ტიპის, „საწელიწდო იადგარებისაგან“ ის იყო, რომ აქ უკვე საგალობლები მთელი წლის ყოველ დღეზე იყო მოცემული და ამასთან წარმოდგენილი იყო თითქმის ყველა მისი დროისათვის ცნობილი ჰიმნოგრაფიული მასალა. კორნელი კეკელიძის დასკვნით, ასეთი სრული „თთუენი“ იმ ხანებში თვით ბერძნებსაც კი არ მოეპოვებოდათ.

გიორგი ათონელის ღვაწლი იმითაც არის საყურადღებო, რომ მან თავის „თთუენში“ უფრო უხვად შეიტანა ქართველ წმინდანთა საგალობლები, რითაც განამტკიცა ეროვნულ წმინდანთა ასეთი ტიპის კრებულებში შეტანის ძველი ტრადიცია, რამაც მომდევნო ხანებში ახალი განვითარება ჰპოვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგალობელთა კრებულებთან („საწელიწდო იადგარი“) ერთად ამ ხანებში იქმნებოდა აგრეთვე ე. წ. „ძლისპირთა“ კრებულები. აქ სათანადო „ძლისპირთა“ მითითებასთან ერთად რიგ შემთხვევაში წარმოდგენილი იყო მათი ბერძნული შესატყვისობები, რაც უადვილებდა ავტორებს სათანადო კილოთა შერჩევას და შესაბამისი სალექსო საზომების დაცვას. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რა მაღალ მეცნიერულ დონეზე იდგა იმ ხანებში ჰიმნოგრაფიული მწერლობა (უნიკალურია ამ თვალსაზრისით „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ორი ძველი რედაქცია, რომელიც X—XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით 1972 წელს გამოაქვეყნა ელენე მეტრეველმა).

ფიქრობენ, რომ ჩვენშიც უნდა არსებულიყო ამ ხანებში სპეციალური ინსტიტუტი მელოდოსებისა, რომლებიც საგალობელთა კილოს შერჩევაში ან ახალ კილოთა შემუშავებაში იყვნენ დახელოვნებულნი. კორნელი კეკელიძის სამართლიანი მოსაზრებით მიქელ მოდრეკილთან და სხვა ქართველ ავტორებთან დადასტურებული ტერმინები „მეხურნი“ და „მეხელნი“ სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს. „მეხურნი“ ნიშნავს „მეხურნი“ უნდა ნიშნავდეს, ხოლო პროფესიონალ მელოდოსს „მეხელი“ ეწოდებოდა.

ვიდრე თვით ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის სალექსო საზომებსა და პოეტურ ენაზე შევჩერდებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ თვით გალობათა რიგი თავისებურება. რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე სახე იცვალეს, ჯერ კიდევ საიდუმლოებითაა მოცული. არც ისაა საბოლოოდ გარკვეული. როგორც ამას ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილი შენიშნავდა, როდის დაუთმო ადგილი ბერძნული სიმღერა-გალობიდან მომდინარე ერთხმიანობამ ქართულ ეკლესიაში მრავალხმიანობას ან რა ხასიათისა იყო ზოგიერთ კრებულში დადასტურებული სანოტო ნიშნები (ნევმები) და საერთოდ ის გზა, რომელიც გაიარა სასულიერო ჰიმნოგრაფიამ უძველესი დროიდან ჩვენს დრომდე.

წყოველივე ეს, რასაკვირველია, დაკავშირებულია საკითხთა ფართო წრესთან და კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს. ჰიმნოგრაფია

ფაქტიურად, შეიძლება აქ ეს ტერმინი ვიხმაროთ, სინკრეტული ხასიათისაა და ფილოლოგ-მუსიკათმცოდნეთა ერთობლივი შესწავლის საგანი უნდა გახდეს. მართებულად ფიქრობენ, რომ ამასთან საქირთა გათვალისწინებულ იქნეს ბერძნული ჰიმნოგრაფიის გამოცდილება. რადგან ქართული, და არა მარტო ქართული ჰიმნოგრაფია. მისგან დიდად არის დავალებული.

განსაკუთრებით ფასეულია ამ თვალსაზრისით კორნელი კეკელიძის გამოკვლევები, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „Иерусалимский кононаръ XII века“. 1912 წელი; აგრეთვე პავლე ინგოროყვას გამოკვლევები, რომლებიც შეჯამებულია ავტორის თხზულებათა გამოცემის III ტომში, 1965 წ.

საინტერესო ნაშრომები მიუძღვნეს ქართულ ჰიმნოგრაფიას ელ. მეტრეველმა, ა. გაწერელიამ, გ. იმედაშვილმა. ვ. გვახარია, მ. ქავთარიამ, ლ. ჯღამაიამ, ლ. გრიგოლაშვილმა, ლ. ხევსურიაშვილმა და სხვ.

თუმცა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ელენე მეტრეველი, ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული ამ მიმართულებით. სხვას რომ თავი დაევანებოთ, ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის, მართლაც, ზღვა მასალა ელის მეცნიერულ დონეზე შესრულებულ გამოცემებს!

ერთი შეხედვით ასევე დავის საგანია ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სალექსო საზომების საკითხიც, რაც წინამდებარე ტომთან დაკავშირებით ჩვენთვის უფრო მეტ ინტერესს იწვევს.

მკვლევართა ერთი ნაწილი (კ. კეკელიძე, ა. გაწერელია და სხვ.) მათში ვერავითარ პოეტურ საზომს ვერ ხედავს, გარდა. რასაკვირველია 12 მარცვლიანი იამბიკური ლექსისა, რომელიც ბერძნულიდან იღებს სათავეს და მოდიფიცირებული სახით გავრცელებულია როგორც ქართულ სასულიერო პოეზიაში, ისე საეროშიც.

პავლე ინგოროყვა და მასზე დაყრდნობით რიგი სხვა მკვლევარი ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ადასტურებს მრავალფეროვან საზომებს და განიხილავს მათ ქართული კლასიკური ლექსის პარალელურად.

მე ვფიქრობ, რომ ორივე შეხედულება უკიდურეს პოზიციას გამოხატავს და ცალმხრივ თვალსაზრისს ავლენს.

ქართული კლასიკური ლექსი, ანუ სილაბურ-მუხლედოვანი ლექსი (პ. ინგოროყვა), რომელიც ქართულ ენაში ბუნებრივად არსებულ შესაძლებლობებს ეყრდნობა, წარმოადგენს „რეგულირებულ სილაბურ ლექსს“ (გ. წერეთელი) და მუხლთა, რომელსაც ქმნის სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი (5, 4 და 3 მარცვლიანი მუხლები) რეგულირებულ განმეორებას ეყრდნობა, არც მეტი, არც ნაკლები.

ასეთ კანონზომიერებას, რასაკვირველია, ქართულ სასულიერო ლექსში ვერ აღმოვაჩენთ. ნიმუშისათვის ავიღოთ იგივე დავით აღმაშენებლის „გალობათა“ პირველი ორი სტროფი ანუ სტროფი და ანტი-სტროფი, რომლის მეტრული სტრუქტურა აღდგენილია თვით პავლე ინგოროყვას მიერ:

რომლისაცა წინაშე	(7)
ქედ-დადრეკილ არს ყოველი	(8)
შუქლი ყოველი მოდრეკების და ენაჲ ყოველი	(14)
შენსა ემობს აღსარებასა.	(8)
მეცა, (ზენაო) სიტყუაო,	(8)
აღმსარებელსა მომხედენ	(8)
ხატსა თვისა მამსგავსე	(7)
და საკრველად გრძობადისა	(8)
და გონიერისა მყოფისად დამაწესე	(14)
შენებრ არსთა სიტყუებისა	(8)
ჩემ შორისცა შეკრებითა	(3)
ხოლო მე უმადლო გექმენ.	(8)

აქ ჩვენ ქართული კლასიკური ლექსის თვალსაზრისით ვერავითარ საზომს ვერ ვიპოვით თუ, რასაკვირველია, სიტყუების მარცვლებად ხელოვნურ დაყოფას არ მივმართავთ (მაგალითად, ბოლო სტრიქონში რომ მაღალი შაირის ნახევარ-ქარედი მივიღოთ, იგი ასე უნდა წავიკითხოთ: „ხოლო მე უ მადლო გექმენ“ და ა. შ.).

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ აქ მაინც გარკვეული კანონზომიერებაა დაკული. პირველი სტროფის სტრიქონებში იმდენივე მარცვალია, რამდენიც ანტისტროფის შესაბამის სტრიქონებში (ან კი, პირველ სტროფში მთლიანად იმდენივე მარცვალია რამდენიც მეორეში).

საქმე ისაა, რომ ეს ტექსტი გარკვეულ სასიმღერო კილოზეა მისადაგებული, რომელიც მეორდება მომდევნო სტროფის მანძილზე და ამდენად შემდეგი სტროფის შესაბამის სტრიქონებში მარცვალთა იგივე რაოდენობას მოითხოვს, რაც მელოდიასთან შეთანხმებით განმეორებათა (სტროფი — ანტისტროფი) გარკვეულ ციკლს ქმნიდა. ხოლო ამ თვალსაზრისით ჩვენ, მართლაც, ერთგვარ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, აქ კილო, მელოდიაა დომინანტი, ხოლო ტექსტი დაქვემდებარებულ როლს ასრულებს (ამიტომაც მარცვალთა რაოდენობის დაცვისას ჰიმნოგრაფები პედანტურად არც იცავენდნენ მათ და ხშირად შეინიშნება ერთი თუ ორი მარცვლის „კლება-მატებაჲ“ სტრიქონთა შორის).

ამიტომაცაა, რომ თუ კლასიკურ ლექსში საზომთა რაოდენობა შეზღუდულია და ათეულებსაც კი არ აღემატება (შდრ. ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი. 1953 წ.), აქ კი იმდენი საზომის მიღება შესაძლებელი. რამდენაირი სასიმღერო კილო ანუ მელოდია აღმოჩნდებოდა გალობათა რეპერტუარში. „ძლისძირთა“ კრებულების მიხედვით, მართლაც, რამდენიმე ასეული საზომთა ვარიანტია მოცემული (რაც კიდევ არ ამოწურავს ალბათ მთელ მარაგს). ხოლო ეს კიდევ ერთხელ აყენებს ექვის ქვეშ აღნიშნულ საზომთა დამოუკიდებელ მნიშვნელობის აღიარებას.

უფრო მეტიც, ასეთი საზომებით გაწყობილი ჰიმნოგრაფიული ლექსი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული ლექსის ბუნებისათვის უცხო აღმოჩნდა, და მას ქართულ ლექსწყობაზე რაიმე სერიოზული გავლენა არც მოუტანია. თუ, რასაკვირველია, აკროსტიქსა ან ქართუ-



ლად მოდიფიცირებულ თორმეტმარცლოვან იამბიკოს არ მივიღებთ მხედველობაში.

მაგრამ თუ კლასიკურ ჰიმნოგრაფიაში გვხვდება გადახვევები, აქ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართული ხალხური საზომები საერო პოეზიის გზით ან უშუალოდ გზას იკაფავდა თვით ჰიმნოგრაფიის წიაღშიც და ეს არის მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფაქტი.

მაგალითად. 16 მარცლოვანი დაბალი შაირის გავლენა შეიმჩნევა მიქელ მოდრეკილის ერთ-ერთი ჰიმნის შემდეგ ფრაზებში:

„რომელმან სიბრძნით დაჰბაღნა ცანი მალაღნი ძალითურთ“...

ხოლო მაღალი შაირის ზუსტი ანალოგიაა დასახელებული თხუთმეტტომეულის პირველ ტომში მოთავსებული ფილიპეს ორიგინალური სკალაობელი:

„ფესუთა მათგან ოქროანთა || შემკული ხარ შენ ქალწულთ,  
იაკინთუ ძოწეული || სამოსლად გაქუს ღმრთის-მშობელი“.

საერო საზომების სასულიერო პოეზიაში შეჭრის მშვენიერი ნიმუში მოაქვს აგრეთვე კ. კეკელიძეს ათონზე დაცულ „სამოციქულოზე“ X საუკუნის ერთი ბიბლიოგრაფიული ხასიათის მინაწერის სახით:

„მე მიქელ მღვდელმან,  
ზევეჲ ბერმან,  
ქუაბისა შვილმან,  
ბერთას აღზრდილმან,  
ესე წმიდაჲ  
პავლე მოვიგა“.

ასეთი ფაქტები კი არცთუ ცოტაა და გარკვეულად მიუთითებენ ზემოთ ნახსენებ საპირისპირო პროცესზე.

აქ ანალოგიად შეიძლება გამოგვაღვეს ქართული სასულიერო სიმღერა-გალობა, რომლის წიაღშიც პოლიფონიზმთან ერთად თამამად იჭრებოდა საერო კილოები, როგორც ამას ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღნიშნავდნენ დ. მაჩაბელი და პ. კარბელაშვილი (შდრ. ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორია, 1938 წ. გვ. 7—18).

საერო მწერლობიდან (თუ ფოლკლორიდან) ჩანს შეჭრილი აგრეთვე ქართულ სასულიერო ლექსში ქართული კლასიკური ლექსის ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი, როგორცაა რითმა.

ქართული საერო ხასიათის ლექსი იმთავითვე წარმოუდგენელი იყო რითმის გარეშე. ქართული სილაბური ლექსი, ჩანს, ადრევე დაყრდნობია რითმას. მისი სათავეები, ბუნებრივია, ფოლკლორულ პოეზიაშია საძიებელი. მართლაც, ქართულ ხალხურ პოეზიაში ურითმო ლექსი მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით თუ გვხვდება. მის სიძველეზე მეტყველებს შემორჩენილი მითოლოგიური თუ მაგიური ხასიათის ლექ-

სები, რომლებშიც, როგორც წესი, აშკარად შეიმჩნევა მარტივი ხასიათის რითმები. წინააღმდეგ ზოგი მკვლევრის ერთგვარი სკეპტიკური დამოკიდებულებისა (გატაცება უცხო, კერძოდ, აღმოსავლური პოეზიის გავლენის აღიარებით) სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ქართული ლექსის რითმული ბუნების სათავეები და წარმოვაჩინოთ ქართული მრავალსაუკუნოვანი პოეზიის ეროვნული ძირები.

ქართულ სასულიერო ლექსში, რომელიც პირველ საფეხურზე მაინც თარგმნითი იყო და თანაც სიმღერა-მელოდიაზე დაქვემდებარებულ ტექსტს წარმოადგენდა, თითქოს არც ივარაუდებოდა რითმის გამოყენება.

მაგრამ ისევე, როგორც ლექსის საერო საზომებზე ითქვა, მოსალოდნელი იყო, რომ შემდგომში სასულიერო ლექსი გვერდს ვერ აუვლიდა ისეთ სამკაულს, როგორიცაა რითმა. ეს, მართლაც, ასე მოხდა და უკვე სასულიერო პოეზიის ადრეულ ნიმუშებში ჩერ აქა-იქ, ხოლო შემდეგ უფრო სისტემატურად გამოვლენილია რითმული შესაძლებლობანი. თარგმნილ სასულიერო თხზულებათაგან რითმის გამოყენებისკენ სწრაფვა აშკარად შეიმჩნევა IX საუკუნის სასულიერო პოემაში, რომელიც აბუკურას სახელითაა ცნობილი („მოთხრობაჲ აბუკურაჲსი წამებისათჳს მიქაელ საბაწმიდელისა“. ლექსითი ელემენტი ამ მოთხრობისა შეუშინევა ჩერ კიდევ 1903 წელს მისი პოპულარული გამოცემის ავტორს, ხოლო „აბუკურას“ რამდენიმე ნაწყვეტი აღდგენილი აქვს პ. ინგოროყვას თავის ნაშრომებში). მოვიტან ერთს, მართლაც, განსაცვიფრებელ ადგილს თხზულების მთავარი პერსონაჟის დიალოგიდან:

„ტყუე ვიყავ სოფლისაჲ,  
და აწ ვსნილ ვარ უფლისაჲ;  
მონა ვიყავ ცოდვისაჲ.

აწ მონა ვარ მალისაჲ;  
არა ვარ სნეულ გუამითა,  
არცა გლახაკ საფასითა  
არამედ სნეულ სულითა  
და ნაკულ სინანულითა  
წყულულ ქრისტეჲს სიყუარულითა

ქართულ სასულიერო მწერლობაში რითმის წარმოჩენის არაერთი საგულისხმო მაგალითი დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებში, მათ შორის პირველ თარიღიან ხელნაწერში, რომელიც „სინური მრავალთავის“ სახელითაა ცნობილი (დაწვრილებით იხ. ი. იმნაიშვილი. ქართული პოეტური ენის საკითხები, 1966 წ. გვ. 153—183).

ხოლო ორიგინალურ ქართულ ჰიმნოგრაფიაში კლასიკური საერო ლექსის ძირითადი კომპონენტების (მოწესრიგებული რიტმი, რითმა) აშკარად შეჭრის ნიმუშია ზემოდსაჩვენებული ფილიპეს საგალობელი (X ს.) და კიდევ რამდენიმე სხვა, რომელთაგან მოვიტანთ მხოლოდ ორ ნიმუშს. პირველის ავტორია ბაგრატ IV მეუღლე ბორენა დედოფალი, ხოლო მეორესი დავით აღმაშენებლის ვაჟი დემეტრე:

1. რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,  
პრქვ რაჲ გაბრიელს: „ვარ უფლისა მწვეალი“ —  
მაშინ ისტუმრე ქეეყნად მოუვეალი!  
დაემყო ძალი, პირველვე სისხლ-დამთვრალი!  
ქალწულო მივსენ ბორენა ჳირმარავეალი.

2. ღმრთისმშობლისა

ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი  
დედა, ქალწული, შეუნიერი შროძანი,  
მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი:  
შენგან იშუების მეფე გვრგვნოსანი,  
და მას ჰმონებდეს მეფე მრავალ-ყმოსანი.

სასულიეროდან საერო ლექსწყობაზე გადასაცვლების აშკარა ნიმუ-  
შია არსენ იყალთოელის მიერ შესრულებული „დავით აღმაშენებლის  
ეპიტაფია“, რომელიც აგრეთვე წარმოდგენილია დასაჯლებულ ტომში.

მაგრამ რაც ჩვენ სალექსო სანომებზე აღვნიშნეთ, ფაქტიურად ნაკ-  
ლებად ეხება ჰიმნოგრაფიის პოეტურ ენას, ამ უკანასკნელმა დიდად  
ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართულ საერო პოეზიაზე. განსაკუთ-  
რებით კი ქართულ ლირიკულ ლექსზე.

ჰიმნოგრაფიამ ამ შემთხვევაში ერთგვარი გარდამავალი როლი ითა-  
მაშა. მან აითვისა საერო მეტყველების (პირველ რიგში ფოლკლორუ-  
ლი წარმოშობის) გარკვეული პოეტური მარაგი და ახლად გადამუშა-  
ვებული გადასცა კლასიკურ და მომდევნო ხანის ქართულ საერო პო-  
ეზიას (ნ. მარი, კ. კეკელიძე).

მთავარი კი ის არის, რომ უკვე ჰიმნოგრაფიის წილში დამუშავდა  
ლექსის ისეთი ფორმა, რომელიც ღრმა სუბიექტურ გრძნობათა გამო-  
ხატვის საშუალებას იძლევა და მედიტაციის ნიშნებითაა აღბეჭდილი.  
რელიგიური გრძნობები მაშინდელი ადამიანის ემოციური სამყაროს  
შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო მათი პოეტური გამჟღავნება სწორედ  
ლირიკულ ფორმებს მოითხოვდა. პოეტური ენა მეტ მოქნილობასა და  
გამომხატველობას აღწევდა:

„ცხოვრებაი ესე წარვალს და განილევის,  
შუენიერებაი და დიდებაი დაქნების,  
ხოლო სიმიდრე დაღებების და წარწყმდების.  
რასა ცუდად ემალლოთ. ოდეს ყოველი  
მოკულაენი ვარუ და მიწად მივცევაზნი...“

მოვედით, ჰმანო, შთავიხედნეთ საფლავთა.  
სადა არს შური, საოცრებაი და ჳლოძაი;  
სადა არც ძვირის ხსენებაი და ჳუაობაი  
და ხორცთა გულის-თქუმანი. აჰა ესირა  
მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი“.

ეს ლექსი, რომლის სათაურია „გალობანი სულისანი“, როგორც  
ამას პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ეკუთვნის X საუკუნის უცნობ პოეტს  
ოპიზიდან (ხელნაწერი A—93). იგი ძალზე წააგავს იოანე დამასკელის  
ამავე ხასიათის ლექსებს. შესაძლოა თარგმანიც იყოს. ყურადღებას ეს  
ჰიმნი იპყრობს სადა, გამჟღავნებულ პოეტური ენით და ამჟვენიური  
ამაობის ძველი ბიბლიური თემის ზუსტი დამუშავებით.

ჰიმნოგრაფიულმა პოეზიამ განსაკუთრებულ სიმღლეზე აიყვანა ლირიკული ლექსის კომპოზიციური მხარე. ხოლო ეს განაპირობა ჰიმნოგრაფიის ძირითადმა თემამ, რაც ღვთაებისადმი ანუ უმაღლესი ნათლისაკენ სწრაფვაში გამოიხატება. ამიტომაც ჰიმნურ პოეზიაში ფერთა და სახეთა განაწილება მკაცრად მოწესრიგებული და მიმართული ერთის, უმაღლესის გამოხატვისაკენ.

მკითხველი წინამდებარე წიგნში ნახავს ჰიმნოგრაფთა პოეტური ენის არაერთ თავისებურებას, პირველ რიგში აღსანიშნავია უხვი სიმბოლიკა, რომელიც სათავეს იღებს საერთოდ სასულიერო მწერლობის საფუძველთა-საფუძველში — ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში (სიმბოლიკა მსკვლავს მთლიანად როგორც მეტაფორას ისე მხატვრულ ეპითეტსაც).

ამ შემთხვევაში თვისობრივად განსხვავდება იგი წარმართული პოეზიისაგან. სადაც მხატვრული აზროვნების საფუძვლად მითოლოგია გვევლინება.

სხვა ნაშრომშიც შევნიშნავდი, რომ მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა, უდიდესი შეცდომაა მითისა და სიმბოლოს გაიგივება, როგორც ამას ადრევე აღნიშნავდა ვილჰელმ ვუნდტი თავის წიგნში „მითი და რელიგია“. მითი სინამდვილის უშუალო აღქმაცაა, ხოლო სიმბოლო ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია. ისინი აზროვნების განსხვავებულ წესს გამოხატავენ და რელიგიის სხვადასხვა საფეხურზე დგანან. ერთი თავში, მეორე ბლოში.

ასე, მაგალითად, ძველი ქართული მითი, ვთქვათ, ტყის დედოფლის დაღის შესახებ ბუნებასთან პრაქტიკული დამოკიდებულების უშუალო უკუფენაა, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო დაცილებული ბუნებას. მითი მათთვის, ვინც ქმნიდა, სინამდვილისაგან აბსოლუტურად განუყოფელი იყო (შდრ. М. И. Стеблин Каменский, Миф, 1976 წ. გვ. 4—7).

სიმბოლო კი უკვე ბუნებასთან აზროვნებით ან, უკეთ შემოქმედებითი მისვლაა. ამასთან დაკავშირებით ანდრეი ბელი შენიშნავდა, რომ სიმბოლო ბუნებიდან აღებული და გარდაქმნილი სახეა. იგი შეიცავს, როგორც ავტორისეულ განცდას, ისე ბუნების იმ ნიშანს, რომელიც იმ შემთხვევაში მასშია გამოხატული, ხოლო ამ თვალსაზრისით, მართლაც, რელიგიური სიმბოლოები ზოგჯერ ემთხვევიან მხატვრულ სიმბოლოებს.

ყოველივე ეს აქ იმიტომ გავიხსენეთ, რომ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები ამ თვალსაზრისით ამოურწყველი არსენალია. ამ წიგნთა ავტორები ხშირ შემთხვევაში მხატვრული აზროვნების ჰუმარიტ სიმღლეებს აღწევენ.

ჰიმნოგრაფია, როგორც ითქვა, შემდგომ საფეხურად აღიქმება და მასში აღნიშნული წიგნებიდან დიდი რაოდენობით ყონავს მზამზარეული პოეტური სახეები თუ სიმბოლოები (აქ არც ტრაფარეტია გამოორიქებული, თუმცა ნიჭიერების კვალდაკვალ მათ არც ორიგინალური მხატვრული სახეები აკლიათ).

ქართული ჰიმნოგრაფიაც ამავე გზით ვითარდებოდა და მწყობრ კომპოზიციასთან ერთად ახალ საერო პოეზიას მან უანდერძა დახვეწილი პოეტური მეტყველება, რომელიც აღტურვილი იყო მრავალფეროვანი პოეტური ჟანრებით.

წიგნში მკითხველი ნახავს, მაგალითად, სინათლის, ნათელის მისტიური სიმბოლოების მრავალფეროვან ვარიაციებს, როცა ეს ჰიმნოგრაფებს ღვთაების ბრწყინვალეების გამოსახატავად სჭირდებათ. ან დაპირისპირებაზე აგებულ სიმბოლოებს, როგორცაა ერთი მხრით წყვდიადი, ღვარძლი, ღრუბელი, ღოღო მეროე მხრით, ნათელი, მზე სიმართლისა, სიკეთე და ა. შ.

„ვითარცა ლომმან მიყრდნობით მიიძინა“. ეს მხატვრული შედარება X საუკუნის ჰიმნოგრაფს იოანე მინჩხს ეკუთვნის და მასში გადმოცემულია ქრისტეს მიცვალების ზებუნებრივი სურათი.

შედარებას აქ მეტაფორები ერწყმის: ლომი ქრისტეს ძლიერების სიმბოლოა, ღოღო მაცხოვრის გარდაცვალება დიდი მიძინების მხატვრული სახითაა გადმოცემული. და რაც მთავარია, ასეთი ტიპის მხატვრულ სახეებს ჩვენ უხვად ვპოულობთ ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში.

თანამედროვე მკითხველს შესაძლოა ერთგვარი ენობრივი ბარიერის გამო გაუჭირდეს წარმოდგენილი პოეტური ნიმუშების სრულყოფილი აღქმა, მაგრამ, ჩემის აზრით, მას არ გამოეპარება ძირითადი: ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში გამოვლენილი სწრაფვა მაღალი იდეალებისკენ, უღრმესი წუხილი ადამიანის დაცემის გამო, აგრეთვე ზრუნვა მისი ზნეობრივი ამალღებისათვის, რითაც ისინი ზოგადკაცობრიულსა და მარადიულ თემებს ეხმარებიან.

ისტორიული თვალსაზრისით კი ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებამ, რომელშიაც ქართულმა პოეტურმა სიტყვამ ახალ სიმაღლეებს მიაღწია, სრულიად გარკვეული როლი შეასრულა შემდგომ საუკუნეთა ქართული პოეზიის დიდ გზაზე.

\* \* \*

ქართული კლასიკური საერო პოეზიიდან წიგნში წარმოდგენილია ორი ძეგლი — „თამარიანი“, ანუ „ქება მეფისა თამარისა“, და „აბდულუმესიანი“. მაგრამ ვიდრე ორიოდ სიტყვით მათ შევეხებოდეთ, ჭკა საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

წინამდებარე ტომში, გარდა წმინდა ჰიმნოგრაფიული პოეზიის ნიმუშებისა, მკითხველი ნახავს ორ ნაწყვეტს ბიბლიის ძველი ქართული თარგმანებიდან.

პირველი მათგანია „ფსალმუნთა“, ანუ „დავითნის“ ერთ-ერთი გალობა (41). თუ რატომ, ამაზე უკვე იყო ზემოთ საუბარი. ბიბლიური წიგნები, მათ შორის განსაკუთრებით „ფსალმუნთა“ იყო ჩვენი ეკლესიის პირველი საკითხავ-საგალობლები აღრეულ ხანაში. ამასთან ამ წიგნების დიდი გავლენითაა შესრულებული მომდევნო ხანის როგორც

ნათარგმნი, ისე ორიგინალური ჰიმნოგრაფიის პოეტური ნიმუშები.

საგანგებოდ შეეარჩიეთ 41-ე ფსალმუნი, რომელიც ერთ-ერთი სა-  
უკეთესოა მხატვრული თვალსაზრისით და ამასთან შესანიშნავად  
უღერს ქართულ თარგმანებშიც. ხოლო პოეტური სახე „ვითარცა სუ-  
რინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა  
შენდამი ღმერთო“, სამუდამოდ შევიდა ქართულ მხატვრულ აზროვ-  
ნებაში და არაერთგზის არის გამოყენებული სხვადასხვა ეპოქის ქარ-  
თველ პოეტთა მიერ (რუსთაველი „შენთვის ასრე მომსურდების, წყა-  
როსათვის ვით ირემსა“, გალაკტიონი: „ვით დაჰკრილ ირმების გუნდს  
წყარო ანკარა“ და სხვ). ამასთან, როგორც ამაზე შენიშვნებშიცაა სა-  
უბარი, აქ წარმოდგენილია ისეთი რედაქცია, რომელიც ერთ-ერთ უძ-  
ველეს თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. ამავე პრინციპითაა მოტანილი  
ზემოთნახსენებ ტომში მოსე წინასწარმეტყველის ერთ-ერთი გალობა  
(გამოსლვათა — თავი იე). რომელიც, როგორც ზემოთაც ითქვა, პირ-  
ველ გალობად დამკვიდრდა ქრისტიანულ ეკლესიაში („უგალობდით-  
სა“) და ამდენად ამავე თემაზე იტმნებოდა შემდეგში ახალ-ახალი ჰიმ-  
ნოგრაფიული ნიმუშები.

V—XII საუკუნეთა საერთო პოეზიის ნიმუშთაგან ჩვენამდე მხო-  
ლოდ რამდენიმემ, ისიც მცირე ექსცერპტების სახით მოაღწია. ზოგი  
მკვლევარი (ნ. მარი, პ. ინგოროყვა) მათში ქრისტიანობამდელ საერო  
პოეზიის ნაშთებსაც კი ხედავს. მაგალითად, ფიქრობენ, რომ ლეონტი  
მროველის მატინანეში შემორჩენილია ირანული ეპოსის „ხვატაჟ ნამა-  
კის“ წიგნიდან აღრეული ქართული თარგმანის ორსტრიქონიანი ნაწყვე-  
ტი, რომელიც ეხება ამ ეპოსის გმირს ფრიდონს და შესრულებულია  
შაირით:

„რომელმან შეკრა ჯავშანი ბეფრასფი გუელთა უფალი  
და დაბა მთასა (მას) ზედა, რომელ არს კაცთ შეუვალი“.

ასეთი ცალკეული ფრაგმენტები სხვაც დაიძებნება (მათი შედარე-  
ბით სრული ნუსხა იხ. პ. ინგოროყვა, „რუსთაველის ეპოქის სალიტე-  
რატურო მემკვიდრეობა“, კრებულში „შოთა რუსთაველი“, 1938 წე-  
ლი). ზემოთ აღნიშნულ ტომში კი შევიტანეთ ლეონტი მროველის მა-  
ტინიდან რამდენიმე აშკარად „წყობილი სიტყვით“ შესრულებული  
ცალკეული თავები (იხ. ტექსტი და შენიშვნები), რომლებიც გამოირ-  
ჩევიან თხრობის ღიდი ექსპრესიით, სიტყვის დაუფლების მაღალი  
გრძნობით. ფიქრობენ, რომ აღნიშნული პოეტური ფრაგმენტები არის  
ლეონტი მროველის მიერ გამოყენებული აღრეული წყაროების კუთ-  
ვნილება. შევეცადეთ ამასთან, რომ ეს ფრაგმენტები შედარებით სრუ-  
ლი სახით წარმოგვედგინა მკითხველისათვის.

აღნიშნული ტომი ქართული პოეზიისა სრულდება სახოტბო შინა-არსის მქონე ორი პოემით „თამარიანითა“ და „აბდულმესიანით“.

„თამარიანი“, როგორც ცნობილია, ტიპიური საკარო პოეზიის ნიმუშია. მასში შექმებულია მეფე თამარის როგორც პირადი ღირსებები, ისე საზოგადოებრივი საქმიანობა. თამართან ერთად შექმებულია აგრეთვე მისი მეუღლე დავით სოსლანი და მათი მემკვიდრე ლაშა-გიორგი. ამ უკანასკნელის მოვლინება ამქვეყნად, პოეტის სიტყვით, ნიშანი იყო „სპარსთა სიმაღლის“ საბოლოოდ დაცემისა.

ქართული თვალსაზრისით „თამარიანი“ მართლაც საკარო ხასიათის ხოტბითი პოემაა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. იგი ერთი წუთითაც არ არის გასართობი, თავშესაქცევი რამ, როგორც ეს წმირად ახასიათებს სამქებრო ნაწარმოებებს.

ძეგლის ავტორი ავლენს მისი ეპოქისათვის მოწინავე პოლიტიკურსა და სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს და, რაც მთავარია, ამ კუთხით აფასებს იგი თხზულების მთავარი პერსონაჟის ქების ობიექტის, თამარის პიროვნებას.

თხზულების იდეოლოგიური ქვაკუთხედია ჩვენი ქვეყნის იმჟამინდელი მოწინავე მოღვაწეთა შორის განმტკიცებული ისტორიული კონცეფცია საქართველოს განსაკუთრებული მისიის შესახებ (შდრ. თამარის დროინდელი მატთან „ისტორია და აზმანი შარავენდელთან“, ნიკოლოზ გულაბერისძე „სვეტიცხოვლის საკითხავი“ და ა. შ.).

საქართველო ძღვევამოსილი გამოვიდა საუკუნოვანი ბრძოლებიდან მაკმადიანურ სამყაროსთან. მან ახალი მისია უნდა იკისროს, გახდეს საიმედო დასაყრდენი ქრისტიანობისა, მით უფრო, რომ ასეთი მისიის ზიდვა უკვე აღარა ძალუძს ძლიერაბაშერყეულ ბიზანტიას (ეს აზრი მწიფდება არა მარტო ჩვენში, არამედ დასავლეთში. დასავლურ წყაროებში შემონახული ცნობებით XII—XIII საუკუნის საქართველო ქრისტიანობის ბურჯია წინა აზიაში).

ამ მისიის შეგნება იდეოლოგიურადაც უნდა დასაბუთდეს. მართლაც, სწორედ ამ ხანებში ჩვენში აღმოცენდა ე. წ. მესიანისტური კონცეფცია. საქართველო ღვთის მიერ ამორჩეული ქვეყანაა, ხოლო ბაგრატოვანნი პირველ ებრაელ მეფეთა შთამომავალნი არიან (ეს უკანასკნელი წინ უსწრებს ზემოაღნიშნულ კონცეფციას და ერთგვარად ამზადებდა მას), რომ თითქოს ჯერ კიდევ დავით წინასწარმეტყველს გამოეცხადა, რომ მისი შთამომავლობა იქნება ქრისტიანობის პირველი დამცველი.

ისევე როგორც ქრისტე იშვა კაცობრიობის ცოდვათა დასახსნელად, თამარიც ღვთაებრივ სიკეთეს განასახიერებს და მოვლენილია ამქვეყნად მუსლიმანთა ხელყოფისაგან ქრისტიანობის გადასარჩენად. ასე გაჩნდა ე. წ. მეოთხე ჰიპოსტასის იდეა, ანუ სამებას (მამა ღმერთს, ძესა და სულიწმიდას) ემატება მეოთხე წევრი და იგი ღვთივგვირგვინოსანი თამარ მეფეა.

მიუხედავად რელიგიური შეფერილობისა, სხვაგვარად კი იმდროისათვის შეუძლებელი იყო, ეს კონცეფცია, რომელსაც ასეთი დაჯინებით ამკვიდრებს „თამარიანის“ ავტორი, სწორ ისტორიულ პერსპექტივას შეიცავდა და ამდენად აშკარად გამოხატული პროგრესული იდეების გავრცელებას უწყობდა ღელს.

ამ იდეას ემორჩილება „თამარიანში“ გამოხატული სხვა შეხედულებები (ქრისტიანობის უპირატესობის აღიარება, ჭეყენის ცენტრალიზმის აუცილებლობა, თამარის მიერ ჩატარებული ბრძოლების სამართლიანობა, ქალის გამეფების კანონზომიერება და ა. შ.) და ამდენად მისი ავტორი თავის დროისათვის ღრმად მოაზროვნე პიროვნებად გვევლინება.

თამარის პიროვნება, მისი ჭველი საქმეები, როგორც ამას მოიხილვდა საკარო ჰოეზიის სპეციფიკა, შექმნილია ზეაწეული ტონით, გრავალფეროვანი ეპითეტებით, ჰიპერბოლათა ჭარბი გამოყენებით, მაგრამ რიგ შემთხვევაში პოეტი ახერხებს მოხდენილი მხატვრული სურათის შექმნას, დახვეწილ პოეტურ სტრიქონებში მთავარი პერსონაჟის სახის გადმოცემას. ჩვენს ცნობიერებაში თამარის დიდებულ ფრესკებთან ერთად მისი სახე აღბეჭდილია სწორედ „თამარიანის“ მშვენიერი სტრიქონებით:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,  
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი,  
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არსით მთქნარი, უჩინარი,  
ვარდ-შამხნარი, შამხ-მალნარი, ლაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი“.

ვირტუოზულია აგრეთვე „თამარიანის“ პოეტური ენა და სალენესო საზომებიც, რომელიც სწორედ მისი საგულევებელი ავტორის ჩახრუნხადის სახელს დაუკავშირდა ქართულ ლექსთმცოდნეობაში. იგულისხმება ოცმარცვლიანი ლექსი, რომელსაც ჰაეროვნებას მატებს მის პირველ ნახევარში წარმოდგენილი ცეზურული ანუ შინაგანი რითმები.

„გხმობ, თამარ, მზესა, უმზესად ზესა,  
მით რომელ უცხო ხარ სახილველი,  
უკლებად სათნი გცისკრობენ ლაწენი,  
გტურფობს მოხელე, ბროლ-ვარდობს ყელი.  
გაქვს არსა წყალი, — თვით მე გეწყალი, —  
მშვიდი და წრფელი მოსახვეჭელი  
განცვიფრდეს არსნი, ხმა-მალლად მზახნი,  
ამას იტყვიან: „ჰე, საკვირველი“.

„თამარიანში“ დასტურდება სხვა საზომებიც (თექვსმეტმარცვლიანი შაირისა და ოცმარცვლიანი ლექსის სახეობანი და ა. შ.). ამასთან „თამარიანში“ ჩართულია რამდენიმე სიუჟეტური ხასიათის მცირე ზომის ეპიზოდი, რომელთაც ნიკო მარი ელევგიებს უწოდებს და თავისი დროისათვის უნიკალურ მოვლენად მიაჩნია (მათში გადმოცემულია გამიჯნურებული მოგზაური პოეტის თავგადასავალი სათანადო პოეტური კომენტარებითურთ).



როგორც „თამარიანის“ ფსევდო-ავტორისეული ეპილოგი, ისე ტრადიცია, პოემის ავტორად მიიჩნევს XII საუკუნის პოეტს ჩახრუხაძეს („მონგვის ძესა ჩახრუხაძესა ექო თამარი...“). ხოლო ყველაფრიდან ჩანს, რომ პოემა, რომელსაც ზოგი მკვლევარი ერთ თემაზე აგებულ ლექსთა კრებულსაც უწოდებს, დაწერილი უნდა იყოს 1207 წლამდე. ე. ი. დავით სოსლანის გარდაცვალებამდე, რადგან პოემის მიხედვით იგი ჯერ კიდევ ცოცხალი ჩანს (დაწვრილებით ამის თაობაზე იხ. ძველი ქართული მეხოტბენი, ტ. 1, 1957 წ. ივ. ლოლაშვილის რედაქციით).

ამავე ეპოქის ძეგლად ითვლება მეორე სამქებრო ხასიათის პოემა, რომელიც „აბდულმესიანის“ სახელითაა ცნობილი. იდეური მიმართულებით იგი ახლოს დგას სწორედ „თამარიანთან“. აქაც შექმნილია მეფე-პატრონთა ჭველი საქმეები. გატარებულია ამ დროისათვის პროგრესული იდეა ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოსი, რომელსაც წარმართავს ღვთითდადგენილი თვითმპყრობელი მეფე. ღრმა ეროვნულ სულისკვეთებასთან ერთად თხზულების მსოფლმხედველობრივი საფუძველია აღიარება ძლიერი ქართული სახელმწიფოსი, რომელსაც იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებული როლი — ქრისტიანობის დაცვა-განმტკიცება ეკისრებოდა. დასასრულ, „აბდულმესიანიც“ თავისი მესიანისტური კონცეფციით ეხმაურება კლასიკური ხანის სხვა ძეგლებს და ა. შ.

მაგრამ ძეგლთან დაკავშირებული ზოგი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი მეცნიერების დღევანდელ ეტაპზე საკმარისად ბუნდოვანია და ელის გაღრმავებულ კვლევაძიებას.

ფაქტიურად გადაწყვეტილია ისეთი ძირითადი საკითხი, როგორცაა თვით პოემის ქების ობიექტის საკითხი. მით უფრო, რომ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასეთი ტიპის თხზულებაში.

საკარო ტიპის თხზულების ერთ-ერთი სპეციფიკა ის არის, რომ პოეტი მასში საკუთარ მეფე-პატრონებს ამკობს, რაც თავისთავად აპირობებს შექების გაზვიადებულ სტილს.

ტრადიციული შეხედულებით, მართლაც, აქ შექმნილი უნდა იყოს თამარ მეფე და მისი მეუღლე დავით სოსლანი (ეს თვალსაზრისი ძეგლს ისევ „თამარიანთან“ აახლოვებს).

ნიკო მარი (1902 წ.) ქართველ მეხოტბეებზე თავის ბრწყინვალე გამოკვლევაში დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ძეგლში, რომელიც თუმცა თამარის ეპოქაშია შექმნილი, შექმნილი უნდა იყოს დავით აღმაშენებელი და მოჰქონდა, მისი აზრით, ამის მიმანიშნებელი რეალებიც.

კორნელი კეკელიძის აზრით, აქ თამართან ერთად მისი სახელოვანი წინამორბედი დავით აღმაშენებელია შექმნილი. შალვა ნუცუბიძე კი ფიქრობდა, აქ ორი სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ავტორის თხზულებაა გაერთიანებული, ერთში ადრევე დავით აღმაშენებელი იყო ქების ობიექტი, ხოლო უფრო გვიანდელ თხზულებაში თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი.

ასევე სადისკუსიო საგნად არის ქცეული ნაწარმოების სათაურიც. „ბდ აღმესიკ“ არაბულად ნიშნავს „მესიის მონას“, ანუ, ქრისტიანული გაგებით, „ქრისტეს მონას“. ფიქრობენ, რომ ეს სახელწოდება უფრო ქების ობიექტს მიეწერება (გავიხსენოთ ქართველ მეფეთა ეპითეტი — მახვილი მესიისა), რასაც თითქოს უნდა ეთანხმებოდეს „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის ცნობა: „აბდულმესია (უქია) შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“. თუმცა კორნელი კეკელიძის აზრით, აქ ნახსენები შავთელის თხზულება „აბდულმესიანი“ სხვაა და იგი ამჟამად დაკარგული ჩანს.

საკითხების გადაწყვეტას ართულებს ისიც, რომ ტექსტმა გვიანდელი ხელნაწერებით მოაღწია ჩვენამდე (აღრეულობას ხელს უწყობს ისიც, რომ XVII საუკუნის პოეტმა იაკობ ღუმბაძემ ზოგ ხელნაწერში სცადა ტექსტის გადაკეთება მისი თანამედროვე მეფე-პატრონის არჩილის ქებად).

ძველზე დაკვირვება სხვა გაუგებრობასაც კბადებს, კერძოდ, ტექსტის ეკლექტიკური ხასიათის გამო, მაგრამ ასეა თუ ისე, იგი კლასიკური ეპოქის თხზულებად არის მიჩნეული და, როგორც ითქვა, მსარში უდგას კლასიკური ხანის საერო ძეგლებს.

საერთო აზრით ხოტბათა ავტორად მიჩნეულია თამარის თანამედროვე და ახლო მდგომი პირი იოანე შავთელი, რომელსაც მიეწერება აგრეთვე სასულიერო ხასიათის თხზულება „ვარძიის ღვთისმშობლის ქება“, რომელიც სხვათა შორის, წარმოდგენილია დასახელებულ ტომშიც ჰიმნოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებთან ერთად.

„აბდულმესიანი“ ნიმუშია ამაღლებული, მწიგნობრული მეტყველებით აღბეჭდილი პოეტური თხზულებისა. ამასთან ავტორს განსაკუთრებით ემჩნევა სასულიერო მწერლობაში დიდი განსწავლულობა, რაც დამატებით გვაფიქრებინებს, რომ იგი სასულიერო პირი უნდა იყოს.

1979 წ.

## ზოგადი რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი

(ლიტერატურულ-კრიტიკული ეტიუდი)

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ერთი დიდი მონაკვეთი შეაჯამა და თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა კლასიკურმა ეპოქამ, რომელიც ჩვენი ხალხის ცნობიერებაში „ოქროს ხანის“ სახელითაა ცნობილი. ამ აღმაველ პროცესს დიდი ისტორიულ-კულტურული მშენებლობა უძღოდა წინ. მართლაც, ჯერ კიდევ XII საუკუნის გარდაცვალებულ ქართული სახელმწიფოს გონიერმა მეთაურმა, ბრწყინვალე მხედართმთავარმა დავით აღმაშენებელმა შექმნა ჩვენი ქვეყნის ერთი ძლიერ სახელმწიფოდ შექცევირება. დავითის დაწყებული საქმე მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს, ხოლო თავისი ძლიერების აპოგეას საქართველომ თამარის ეპოქაში მიაღწია.

იმ დროს, როდესაც მეორე ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო — ბიზანტია გარკვეულ ისტორიულ-პოლიტიკურ მიზეზთა გამო აშკარა დაქვეითების გზაზე იდგა, ქართული სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთში და მის ფარგლებს გარეთაც. ქართული სახელმწიფოს ამ დიდ მისიას აშკარად აღიარებდა გარეული თუ შინაური, მტერი თუ მოყვარე. დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით XII საუკუნის ფრანგი მისიონერისა და მოღვაწის ანსელუსის სიტყვები ქართველთა მეფე დავითზე (როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელზე), რომელიც „თავის წინაპართა მსგავსად ფლობდა კასპიის კარებს, გოგისა და მაგოგის წინააღმდეგ აღმართულ ამ ზღუდეს. იმასვე აკეთებს დღემდე მისი შვილი, რომლის ქვეყანა და სახელმწიფო არის, ასე ვთქვათ ჩვენი წინაბურჯი მიდიელთა და სპარსელთა წინააღმდეგ“.

ვიწრო და შეზღუდული თვალსაზრისი უცხო იყო ამ ეპოქის მოღვაწეთათვის. ქართველი პოლიტიკოსები ძალზე შორს იყურებოდნენ და მხოლოდ ბრძოლასა და დაპყრობით ომებზე არ ეჭირათ თვალი. სამხედრო ძლიერების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მესვეურები, რომლებმაც ქართველურ ტომთა მეწინავეობით შექმნეს ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფო. არაჩვეულებრივ შემწყნარებლობას იჩენდნენ სხვა ეროვნებათა მიმართაც. შუა საუკუნეებში ეს იშვიათი შემთხვევა იყო, შით უფრო აღმოსავლური ფანატიზმის გარემოცვაში. მაგალითად, საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ქართველებთან ერთად თავისუფლად ცხოვრობდნენ მრავალი ეროვნების წარმომადგენელი. ქრისტიანული ეკლესიის გვერდით თბილისში იყო მაჰმადიანური სამლოცველოები და ა. შ. ხალხით მოდიოდნენ ჩვენს ქვეყანაში სტუმრები სხვადასხვა ქვეყნებიდან, გაცხოველებული იყო ვაჭრობა და კულტურული ურთიერთობები. გასაგებია, რამდენად ნაყოფიერი უნდა ყოფილიყო ასეთი ატმოსფერო, საქართველო ადვილად ითვისებდა ახალსა და მოწინავეს, რაც კი მაშინდელ მსოფლიოში არსებობდა.

ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ძლიერებამ დიდი კულტურული აღორძინება გამოიწვია. დაწინაურდა ხელოვნების თითქმის ყოველი დარგი. მაგალითად, არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლები. ციხე-სიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, რომლებითაც მოფენილია ჩვენი ქვეყანა, მეტწილად ამ ხანებშია აგებული. საკმარისია მათი უბრალო ჩამოთვლაც კი, რომ წარმოვიდგინოთ მაშინდელი მშენებლობის გრანდიოზული მასშტაბები. აღორძინდა ფრესკული მხატვრობა, შეიქმნა პედური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები. ყველგან და ყველადღერში იგრძნობა, რომ ოფიციალური რელიგიის ჩარჩოები ვეღარ აკავებს თავისუფალი აზრის მძლავრ შემოტევას.

მართლაც, სრულიად ახალ სიმაღლეებს დაეუფლა ქართული მწერლობა. ფილოსოფია და მეცნიერება. ქართული ფილოსოფიის, მწერლობის და პოეზიის წარმომადგენლები სეამდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც სამაგალითო იყო მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებისთვისაც კი.

სამწუხაროდ, ამ ეპოქის მონაპოვართაგან ბევრი რამ იავარპყო შემდეგი დროის უამთა სიავემ, მაგრამ გადარჩენილი ძეგლებიც საკმაოდ ნათელყოფენ ზემოთ აღნიშნულ დებულებათა ჭეშმარიტებას. ჩვენამდე მოაღწია გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ექვთიმე და გიორგი ათონელების, არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის თარგმანებმა რა ორიგინალურმა თხზულებებმა. ამ დროს დაიწერა შავთელისა და ჩახრუხაძის შესანიშნავი სახოტბო ოდები, რომლებშიც ხაზგასმულია ძლიერი ქართული სახელმწიფოს განსაკუთრებული მისია. ბრძოლაში შეუდრეკელი მოყმე-რაინდის ფანტასტიკური საგმირო საქმეები აღწერა „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორმა მოსე ხონელმა. ქართველი მკითხველი უფრო აწლო გაეცნო ბიზანტიურსა და მისივე მეშვეობით ანტიკურ მწერლობასა და ფილოსოფიას, აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებს. სარგის თმოგველს მიეწერება დიდებული ქართულით შესრულებული სპარსული „ვისრამიანის“ თარგმანი.

სწორედ ამ ხანებში დაიწერა შოთა რუსთაველის უკვდავი ვეფხისტყაოსანი, რომელმაც დაავიროგვინა ჩვენი მწერლობის ბრწყინვალე ეპოქა.

\* \* \*

ქართველი ხალხის პოეტური კულტურის დიდ მაგისტრალზე თვალშეუდგამ სიმაღლედაა აღმართული შოთა რუსთაველის გრანდიოზული ფიგურა.

მსოფლიოში იშვიათია წიგნი, რომელსაც თავისი ხალხის ისეთი სიყვარული რგებოდეს, როგორც ვეფხისტყაოსანს. ქართველმა ხალხმა შოთა რუსთაველი პოეზიის მამამთავრად აღიარა და უკვდავი შარავანდედით შემოსა მისი სახელი.

მიუხედავად ასეთი დიდი სიყვარულისა, ჩვენ შედარებით ცოტა რამ ვიცით ვეფხისტყაოსნის ავტორის ცხოვრებაზე. რუსთაველმა ამ შემთხვევაშიც გაიზიარა სხვა ხალხების გენიოსთა ბედი. ახლაც გრძელ-

დება საბერძნეთში საუკუნეთა წიაღიდან მომდინარე დავა „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორზე. ასევე ლეგენდებითა და გადმოცემებით მოაღწია ჩვენს დრომდე გენიალური ფირდოუსის, სპარსული ნაციონალური ეპოსის „შაჰ-ნამეს“ ავტორის სახელმა. ასეთი მაგალითები მრავალზე მრავალია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში და რუსთაველი ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის.

ამის მიზეზი პირველ რიგში თვით ჩვენი ისტორიული ცხოვრების უკულმართობაში უნდა ვეძიოთ. საუკუნეთა მანძილზე მტრებით გარშემორტყმული საქართველო უთანასწორო ბრძოლას ეწეოდა. ცეცხლმა და მახვილმა გაანადგურა, უჩინოდ აქცია ძველი დროიდან მომდინარე ძვირფასი ძეგლები. განსაკუთრებული სიყვარული რომ არა, ალბათ, ვეფხისტყაოსანსაც იგივე ბედი ელოდა, როგორც მისი დროის სხვა თხზულებებს.

ვეფხისტყაოსნის დაწერის დროიდან ჩვენამდე თუმცა მოაღწია რამდენიმე მატთანემ, მაგრამ მათში ვერ ვპოულობთ რუსთაველზე, როგორც პოეტზე, რაიმე ცნობას. მემატთანეები უფრო მეფეთა ცხოვრებით და სახელმწიფო ოფიციალური ამბებით იყვნენ დაინტერესებულნი.

რუსთაველის სახელის მიჩქმალვაში უეჭველად გარკვეული როლი ითამაშა ეკლესიის მოღვაწეთა რეაქციულმა ფრთამ. რეაქციონერები ვერ ეგუებოდნენ ვეფხისტყაოსანში გადმოცემულ თავისუფალ აზრებს და კერძოდ იმას, რომ პოემაში არც ერთხელ არ იყო ნახსენები რელიგიის მიერ დაკანონებული ზოგი ცნება. ეკლესია ხელს უშლიდა ვეფხისტყაოსნის პოპულარობას. კრძალავდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა გავრცელებას. მაგალითად, არის მინიშნება, რომ წყალში გადაყარეს პოემის პირველი გამოცემის თითქმის მთელი ტირაჟი.

მაგრამ ყველა ამ განსაცდელს გადაურჩა ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, რადგან უძლეველი იყო ძალა ხალხის სიყვარულისა, რომელსაც რუსთაველის პოემა მიაჩნდა ჭირისა და ღვინის უპირველეს მეგობრად, სიბრძნის დაუშრეტელ წყაროდ.

შოთა რუსთაველი სახელოვანი ქართველი მეფის თამარის დროის მოღვაწეა. პირველ რიგში ეს ჩანს თვით ვეფხისტყაოსანში. პოემის შესავალში რამდენიმე ადგილას ავტორი თამარზე, როგორც თანამედროვეზე ისე საუბრობს. ამასთან ავტორი გადაკვრით მიგვანიშნებს, რომ პოემაში, თუმცა აღწერილია შორეული ქვეყნების ამბები, მაინც საქართველო იგულისხმება. ვეფხისტყაოსნის პირველ თავშივე, მაგალითად, გადმოცემულია ისეთი ამბები, რომლებიც დამახასიათებელია XII საუკუნის საქართველოსათვის. შუა საუკუნეების მსოფლიოში უჩვეულო ფაქტი იყო ქალის გამეფება. განსაკუთრებით აღმოსავლეთში, სადაც მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ ქალს ყოველგვარი პრივილეგიები წაართვა. საქართველოში ამ საკითხს ძველთაგანვე სხვაგვარად უყურებდნენ და ქალის გამეფებაში არაფერს უჩვეულოს არ ხედავდნენ. თამარის გამეფებაც ამ შეხედულებების დადასტურება იყო.

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ — ამბობს რუსთაველი და ზუსტად ისევე აღწერს თინათინის გამეფების ამბებს, როგორც ეს ჩვენში თამარის მაგალითზე მოხდა. თამარის მამის გიორგი III მსგავსად, არაბთა მეფეს როსტევეანს არ ჰყავდა ვაჟი და თავისი ქალი თინათინი დასვა სამეფო ტახტზე.

ვეფხისტყაოსნიდანვე არის შესაძლებელი მისი დაწერის თარიღების დაზუსტებაც. თამართან ერთად აქ შექმბულია მისი მეუღლე დავით სოსლანი, რომელიც გარდაიცვალა 1207 წელს. რადგან ამ ეპოქის მეორე თხზულება „თამარიანი“ დაიწერა 1205 წლისათვის და იგი ჯერ კიდევ არ იცნობს ვეფხისტყაოსნის გმირებს, რუსთველოლოგები ფიქრობენ, რომ ვეფხისტყაოსანი მისმა ავტორმა დაამთავრა სწორედ 1205—1207 წლებში.

საიდან ვიცით, რომ ჰოემის ავტორია შოთა რუსთაველი? პირველ რიგში აქაც ვეფხისტყაოსანი უნდა მოვიშველიოთ. შესავალშივე რამდენჯერმე არის აღნიშნული, რომ მეფე თამარის სადიდებლად ვეფხისტყაოსანი გალექსა რუსთველმა (ძველი ფორმაა რუსთველი და არა რუსთაველი, როგორც ეს შემდეგში გავრცელდა ჩვენში). ჰოემის ავტორად რუსთაველია დასახელებული ჰოემის გარკვევებითა იმ ნაწილებში, რომლებიც შეიქმნა ვეფხისტყაოსნის დაწერიდან არცთუ ძალზე დაშორებულ ხანაში. გვარი (თუ ზედწოდება) რუსთველი წარმომდგარი უნდა იყოს რომელიმე ციხესიმაგრის ან დასახლებული პუნქტის რუსთავის სახელწოდებიდან. შუა საუკუნეებში ასე იქმნებოდა ახალი ფეოდალური გვარები, როგორც მაგალითად, თმოგველი — ციხე თმოგვის პატრონობიდან, ჯაყელი — ციხე ჯაყიდან, სურამელი, ფანასკერტელი, თორელი და ა. შ.

დღეს არ არის ზუსტად გარკვეული, თუ რომელი რუსთავის მკვიდრი იყო ვეფხისტყაოსნის ავტორი, რადგან იმ დროს საქართველოში რამდენიმე ასეთი პუნქტი არსებობდა (მაგალითად, თბილისთან ახლოს მდებარე ციხე-ქალაქი რუსთავი და მესხეთის რუსთავი, ასპინძის მახლობლად). ამ საკითხზე ჩვენს მეცნიერებაში არსებობს განსხვავებული ჰიპოთეზები, მაგრამ მათ ჩვენ შემდეგში შევეჩვენებით.

ვეფხისტყაოსნის შინაარსის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მისი ავტორი სამეფო კართან დაახლოებული, რომელიმე დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი უნდა იყოს. იგი არაჩვეულებრივი სიზუსტითა და ცოდნით აღწერს სამეფო კარის ცხოვრებას. აქ გაბატონებულ წესებს და ზნე-ჩვეულებებს. ეს მოსაზრება დაადასტურა შორეულ პალესტინაში არსებული იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოპოვებულმა მასალებმა. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ქართველები, ისევე როგორც სხვა ცივილიზებული ერები, თავის საგანმანათლებლო ცენტრებს — ეკლესია-მონასტრებს აშენებდნენ სამშობლოს ფარგლებს გარეთაც, რაც სხვადასხვა ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის შესანიშნავი საშუალება იყო. ერთ-ერთი ასეთი საგანმანათლებლო ცენტრი იყო ჯვარის მონასტერი, რომელიც ქართველებმა ააგეს ქრისტიანობის წმინდა ქალაქ იერუსალიმში. ჩვენი მეფეები, სახელოვანი

მოღვაწეები ყოველმსრივ ეხმარებოდნენ ასეთ საგანმანათლებლო ცენტრებს. მაგალითად, ცნობილია, რომ თამარ მეფე ყოველწლიურად დიდძალ შესაწირავს აგზავნიდა მათ შესანახავად.

ირაკვევა, რომ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის გამშენიერება-განახლების საქმეში მონაწილეობა მიუღია ვეფხისტყაოსნის ავტორსაც. მან თავისი საფასით მოახატვინა ეკლესიის გუმბათი. როგორც ჩანს, ამ ღვაწლის გამო იგი შეუტანიათ მონასტრის მატრიანეში და სხვა მოღვაწეებთან ერთად მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე დაუხატავთ მისი პორტრეტი. თუ ვეფხისტყაოსნიდან ჩვენ უკვე ვიცით პოეტის გვარი — რუსთაველი, აქ რუსთველობასთან ერთად დასახელებულია მისი სახელიც — შოთა. აქედანვე ვიგებთ, რომ შოთას საქართველოს სამეფო კარზე სჭერია ვეზირის მაღალი თანამდებობა — მეჭურჭლეთუხუცესობა, რაც დღევანდელი ვაგებით უდრის ფინანსთა მინისტრის თანამდებობას. ამ დროს თამარის კარზე ოთხი ვეზირის თანამდებობა არსებობდა (მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი) და გასაგებია, თუ რამდენად იყო დაწინაურებული შოთა საქართველოს სამეფო კარზე.

ვეფხისტყაოსნის ავტორის აღზრდაზე ჩვენ არ მოგვეპოვება კონკრეტული ცნობები. მაგრამ პოემაში გამოვლენილი ღრმა ცოდნა თავისთავად არკვევს მისი განათლების ხასიათს. როგორც ჩანს, იგი შესანიშნავად ფლობდა აღმოსავლურ ენებს (არაბული, სპარსული), იცნობდა ამ ენებზე არსებულ უმდიდრეს პოეზიას, იცოდა ბერძნული და ამ გზით ვაცნობილი იყო ანტიკურ მწერლობასა და ფილოსოფიას. შემდეგში ამ ცოდნის ვაფართოებას ხელს უწყობდა თამარის კარზე ყოფნაც, რადგან იმ ხანებში საქართველო მთელს ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო და კულტურულად დაწინაურებული ქვეყანა იყო.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში რამდენიმე რუსთაველი არსებობს. რომელი რუსთაველია იყო ვეფხისტყაოსნის ავტორი?

ერთ-ერთი პირველი რუსთველოლოგი თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც მოღვაწეობდა გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ფიქრობდა, რომ შოთამ რუსთაველობა მიიღო თბილისთან ახლოს მდებარე ციხე-ქალაქის პატრონობის გამო. მაგრამ ჭერჯერობით არ არის აღმოჩენილი ამის დამადასტურებელი საბუთები. თამარის დროს რუსთავს სხვა გვარის მფლობელები ჰყოლია. მაგალითად, 1190-იან წლებში რუსთავი მიუბოძებიათ საქართველოს ამირ-სპასალარ ზაქარია მხარგრძელისათვის. თეიმურაზზე ადრეული მწერლების ცნობით შოთა მესხეთიდან ყოფილა და მისი გვარი რუსთაველიც იქაური რუსთაველიდან მომდინარეობს. იმ გავრცელებებში, რომელიც დაურთავთ ვეფხისტყაოსნისთვის, შოთა მესხეთის მკვიდრად იგულისხმება. მე-17 საუკუნის პოეტი არჩილიც შოთაზე ამასვე აღნიშნავს. თვით სახელი შოთა ძალზე გავრცელებულია საქართველოს ამ კუთხეში. თუ გავიხსენებთ, რომ შოთას მეჭურჭლეთუხუცესობა მიუღია თამარის კარზე, ესეც მხარს უჭერს ასეთ შეხედულებას. თამარის დროს და შემდეგაც მეტწილად

მესხ დიდებულებს ნიშნავდნენ ამ თანამდებობაზე (დაწვრილებით იხ. ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი, მნათობი, 1966 წ. № 2). აღსანიშნავია ისიც, რომ მესხეთი ამ ხანებში ძალზე დაწინაურებული მხარე ჩანს და თამარის დროის ბევრი სახელოვანი მოღვაწე სწორედ მესხეთიდან არის გამოსული. დასასრულ, ამასვე უჭერს მხარს ხალხის დიდებული ტრადიცია — ყველა თქმულება ერთხმად აღიარებს, რომ შოთა მესხეთიდან ყოფილა და შემდეგ დაწინაურებულა თამარის კარზე.

ახლა ორიოდვე სიტყვით რომ შევაჯამოთ ზემოთქმული, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ვეფხისტყაოსნის ავტორი დაბადებულა დაახლოებით 1162—1166 წლებში, რადგან იგი თამარის უფროსი თანამედროვე ჩანს (თამარის დაბადებაც ასევე დაახლოებითაა ცნობილი 1168—1172 წწ.). იგი წარმოშობით მესხეთიდან ყოფილა, სწავლა-აღზრდა მას აქვე — საქართველოში მიუღია (ზოგი გადმოცემით, იგი ერთ დროს სწავლობდა კახეთში, იყალთოს აკადემიაში). ხოლო შემდეგ თითქოს იგი საბერძენეთში სრულყოფს თავის ცოდნას (მართლაც, დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს ბევრი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა საბერძენეთში). განათლებული და სარაინდო საქმეებში განსწავლული შოთა დაწინაურებულა თამარის კარზე. აქვე დაუწერია მას თამარის ქება და სხვა თხზულებები, ხოლო 1205—1207 წლისათვის დაუსრულებია ვეფხისტყაოსანი. თამარის კარზე იგი მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში და, როგორც ჩანს, მონაწილეობდა იმ ბრძოლებშიც, რომლებიც თამარმა გადაიხადა საქართველოს მტრების წინააღმდეგ (ასევე ახასიათებენ პოეტს შემდეგ საუკუნის მწერლებიც, მაგალითად, არჩილი და სხვ.). მოხუცებული პოეტი თამარის გარდაცვალების შემდეგ, დაახლოებით მე-13 საუკუნის 20-იან წლებში გამგზავრებულა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში. ზოგი გადმოცემით, იგი იქვე გარდაცვლილა.

რუსთაველსა და მის პოემაზე შეიქმნა მრავალზე მრავალი თქმულება. ხალხის ფანტაზიამ შეავსო ისტორიულ ცნობათა სიმცირე და შარავანდედით შემოსა მგოსანთა-მგოსნის პიროვნება.

ვეფხისტყაოსანი პირმშოა უძველესი ქართული კულტურისა, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული აღმოსავლეთისა და დასავლეთის (ბიზანტიის გზით) ცივილიზაციათა მონაპოვრები.

შოთა რუსთაველმა, რომელიც გამომხატავდა ქართველი ხალხის ყველაზე სახელოვანი ეპოქის მისწრაფებებს, უკვდავი ჰიმნი უმღერა ადამიანის უკეთილშობილეს გრძნობებს: მეგობრობასა და სიყვარულს და შუა საუკუნეთა პოეზიის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა განამტკიცა სრულყოფილი ადამიანის ახლებური იდეალი.

სიბრძნე და პოეზია გაუთიშველად ბატონობს რუსთაველის პოემაში, ხოლო მარადიული იდეალებისაკენ დაუოკებელი ლტოლვა მის ავტორს მსოფლიოს უპირველეს გენიოსთა რიგში აყენებს. ვეფხისტყაოსნის იდეალური გმირები რენესანსული სულით არიან აღზევებულნი. ბრძოლა და ოპტიმიზმი, ცხოვრების წინაშე არგადრეკა ვეფხისტყაოს-



ნის მსოფლშეგრძნების ქვაკუთხედია, რაც მარად უკვდავი შარავანდედით მოსაყვს რუსთაველსა და მის პოემას.

ჩვენ მოკლედ შევეხებით იმ ძირითად საკითხებს, რაც დაკავშირებულია „ვეფხისტყაოსანთან. როგორც შუა საუკუნეთა მსოფლიოს უდიდეს მხატვრულ მოვლენასთან.

ამბავი, რომელიც გადმოცემულია პოემაში, სიუჟეტური თვალსაზრისით ძალზე ოსტატურად არის გაშლილი.

პოემა ნესტანისა და ტარიელის განუმეორებელი სიყვარულისადმი მიძღვნილი, მაგრამ ავტორი თხრობას არაბეთის ამბებით იწყებს. ამის შემდეგ, რაღაც იდუმალებით მოსილ ვითარებაში შემოჰყავს უცხო მოყმე — ტარიელი და მისი კვალის ძიება თავიდანვე ქმნის დამატულ ატმოსფეროს. მკითხველი ინტერესით მიჰყვება ტარიელის საძებრად წასულ ავთანდილს და იგებს ნესტანისა და ტარიელის ტრაგიკული სიყვარულის ამბავს. სიუჟეტის მემადგენელ ყოველ ცალკეულ ეპიზოდს გარკვეული მხატვრული ფუნქცია აკისრია. გმირთა თავგადასავლის ახალი მოქმედებით გამდიდრებასთან ერთად ყოველი ეპიზოდი ამზადებს მომდევნოს და ასე, უწყვეტი ტალღისებური გადასვლებით თხრობა აღწევს თავის კულმინაციურ წერტილს. ავიღოთ ფუნდაც პირველივე ეპიზოდური ამბავი: როსტევეანისა და ავთანდილის ნადირობა.

ამ ეპიზოდით ჩვენ ვიგებთ ძალზე მნიშვნელოვან ამბავს. ავთანდილი სწორუპოვარი რაინდია (იგი ნადირობაში დაჯანს თავის მეფეს — როსტევეანს) და, ამდენად, არაბეთს მისი სახით ჰყავს ღირსეული მხედართმთავარი. ამასთანავე აქვე ინასკვება სიტუაცია ახალი ეპიზოდისათვის. ნადირობის დროს როსტევეანი და ავთანდილი წააწყდებიან ვეფხისტყავეთ შემოსილ უცხო რაინდს — იწყება ახალი ამბავი. თინათინი თავის მიჯნურს, ავთანდილს აძლევს მძიმე დავალებას, როგორმე შეიტყოს უცხო მოყმის ვინაობა. ასეთივე ხერხით მიმდინარეობს ხრობა შემდეგ თავებშიც, რაც ქმნის არაჩვეულებრივ დინამიზმს სიუჟეტის თანდათანობით განვითარების დროს. ვეფხისტყაოსანს თუ აღმოსავლურ პოემებს შევადარებთ, რომლებშიც მეტწილად სიუჟეტური ხაზი ძალზე დაშლილია, რუსთაველის პოემა სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვაძლევს. ამ თვალსაზრისით ნიზამის პოემებისა და „ვეფხისტყაოსნის“ შედარების დროს ა. ნ. ბოლდირიოვი მართებულად შენიშნავს:

В поэмах Низами фабула играет далеко не первостепенное значение... действие в поэмах Низами очень замедленно, что дает возможность несложному сюжету быть развитым на протяжении нескольких тысяч стихов. В поэме Руставели наблюдается противоположная картина; сложный, запутанный сюжет развивается в очень энергичном темпе на протяжении всей поэмы.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Памятник эпохи Руставели. Сборник, 1938 с. 117.

გარეშე ეპიზოდებისაგან თხრობის განტვირთვით „ვეფხისტყაოსანი“ ემიჯნება დასავლეთ-ევროპულ სარაინდო რომანებსაც (მაგალ. ეშენბახელის „პარციფალი“, კრეტიენ და ტრუას „ლანსელოტი“ და სხვ.), სადაც აშკარად შეიმჩნევა ავანტურული თავგადასავლებით გატაცება.

ამასთან პოეზიაში გზადაგზა ჩართულია ავტორისეული წიაღსვლები, ლირიკული გადახვევები, რაც სიუჟეტს იცავს ერთფეროვნებისაგან. გარკვეული ელფერი შემოაქვს პოემაში ეპისტოლეებსაც, რომელთა შორის არაჩვეულებრივი პოეტურობით ბრწყინავს ნესტანის წერილები (განსაკუთრებით, ნესტანის სიბრძნითა და პოეზიით აღსავსე წერილი ქაჯეთის ციხიდან).

ვეფხისტყაოსნის, როგორც ლიტერატურული ჟანრის განსაზღვრის დროს, ჩვენ ვნახავთ, იგი ვერ მოთავსდება საგმირო ეპოსის საზღვრებში, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ძველი ეპოსისათვის დამახასიათებელი ელემენტები აქ უეჭველად შეინიშნება. პოემაში, მაგალითად, თავისებურად არის გამოვლენილი კეთილისა და ბოროტის შეჯახების მარადიული ბრძოლა (თუმცა, ვეფხისტყაოსნის ავტორს ამ საკითხზე საკუთარი კონცეფცია მოეპოვება), ძველ მითოლოგიას განეკუთვნება მზეთუნახავის ბოროტების სამეფოში მოთავსება, რასაც პოეტი გველემშაპის მიერ მთვარის შთანთქმას აღარებს (ეს სახეც უძველესი ხალხური წარმოდგენებიდან მოდის). პოემაში არის მაგიურობის შემცველი რამდენიმე ეპიზოდი — გმირები დევთა გამოქვაბულში პოულობენ ჯადოსნურ საომარ იარაღს, რომელიც ქაჯთა სამეფოს დამარცხებაში უნდა გამოადგეთ და ა. შ. მაგრამ ყოველივე ეს მაინც მხოლოდ ცალკეული მომენტებია და არ ქმნის ერთიან სტილურ ნაკადს. ვეფხისტყაოსანი ამითაც მკვეთრად განსხვავდება მისი წინამორბედი ქართული სადევგმირო ხასიათის თხზულებებისაგან. გავიხსენოთ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, რომელშიც ძალზე მოჭარბებულია ზებუნებრივობის ელემენტი. საერთოდ, აღრეულ ხანას თავი რომ დავანებოთ, ზებუნებრივი მსჭვალავს შუა საუკუნეთა თითქმის ყოველ მნიშვნელოვან თხზულებას, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. გერმანულ ეპოსში „სიმღერა ნიბელუნგებზე“ ზიგფრიდი ზოგჯერ უჩინ-მაჩინის ქულს იშველიებს. ასევე ხშირად მიმართავენ ზებუნებრივ ძალას ზახრულდინ გურგანის „ვის ო რამინის“ და ამავე ტიპის თხზულებებს „ტრისიტან და იზოლდას“ გმირები. ჭარბადაა ეს ელემენტები სპარსულ როგორც საგმირო, ისე რომანტიულ პოემებშიც. მოვლენათა შედარებით რეალურ განზომილებებში გადმოცემა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთვისებაა. ამ შემთხვევაშიც იგი ახალი რომანის წინამორბედად გვევლინება.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი ეპოსისაგან განსხვავებით, სადაც ავტორი თითქოს „ჩრდილში დგას“ და ასე მოგვიტხრობს გმირთა თავგადასავალს, ვეფხისტყაოსანში ძალზე საგრძნობია ლირიკული ნაკადი. პოემაში ხშირად შეეხვდებით ადგილებს, სადაც ავტორი თვითონ ერევა თხრობის მდინარეებაში და თავის შეხედულებებს გამოხატავს ამა

თუ იმ საკითხზე. ავტორისეული კომენტარები აძლიერებს მხატვრულ სურათს. სწორედ ავტორისეული რეპარკა პოემის ბრწყინვალე სტროფი („ვა, სოფელო, რაიგან არ. რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა“), რომელიც წინასწარ ქმნის ლირიკულ განწყობას „ავთანდილის სიმღერისათვის“. რომელშიც გამოთქმულია შევედრება წუთისოდლის გაუტანლობაზე.

რუსთაველი ასეთ დროს კიდევ უფრო მძლავრად ავლენს ადამიანის სულის სიღრმეების ცოდას და არაჩვეულებრივი ნატიფი სელოვნებით გადმოგვცემს გრძნობათა მიმოხრას. ფაქტიურად ასეთივე შესაძლებლობას ქმნის ავტორი, როცა თვით ტარიელისავე პირით მოგვითხრობს გმირის თავგადასავალს. მკითხველი მოწმე ხდება ტარიელის სულიერი ტკივილებისა, როცა იგი თავის ხსოვნაში აღადგენს გამიჯნურებისა და შემდეგ ნესტან-დარეჯანის მოულოდნელად დაკარგვის ამბავს. ავტორისეულ ჩანართებთან ერთად იგივე ხერხი ლირიკულ ნაკადს უფრო წინა პლანზე სწევს.

ტარიელისათვის, რომელიც ფაქტიურად განშორებულია ადამიანურ ყოფას (ნესტანის დაკარგვის გამო) და მორჩილად ელოდება ამ ქვეყნიდან გასვლის უამს, ძალზე სამძიმოა თავისი წარსულის გახსენება. კვლავ უნდა გაიხსნას ძველი ჭრილობები, განახლდეს სულიერი ტკივილები, რაც თითქოს მიეუჩნებოდა კაცთაგან შორს მყოფი გმირისათვის. მაგრამ იგი ამ მსხვერპლზე მიდის ავთანდილის გამო და ამით ავლენს თავის თავდადებას ახლად ჩასახული ქმობა-მეგობრობისადმი. ამასთან, ტარიელი ავთანდილის სახით ხედავს მიჯნურ-რაინდს, რომელსაც დახმარება სჭირდება. ავთანდილი მიჯნურის დავალებით არის წამოსული უცხო მოყმის საძებრად. რაინდული კოდექსი კი ღალატებს თანაგრძნობას, მეგობრისათვის თავდადებას. ტარიელის სიტყვებია:

„... ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იღოს,  
ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჳირსა თავი არ დარიდოს,  
ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!  
შენ ისმენდი, მე გაიმბობ, რაცა გინდა წამეკიდოს“ (301).

მთელი ეს ეპიზოდი ერთიან ლირიკულ აღსარებად აღიქმება და ძალზე თავისებური ელფერი შემოაქვს პოემის მხატვრულ აღნაგობაში.

სიუჟეტის განვითარება ზოგჯერ მოულოდნელ აფეთქებასაც ემყარება. გავიხსენოთ ტარიელის და ნესტანის პირველი შეხვედრა. ტარიელისაგან გონების დაკარგვა.

თანამედროვე მკითხველისათვის შესაძლოა გაუგებრდაც კი ჩანდეს მოულოდნელი გამიჯნურების ამგვარი სცენა. ანუ, როგორც იტყვიან, პირველი შეხედვისთანავე გამიჯნურების ამბავი, მაგრამ ისეთი მხატვრული ქმნილებისათვის, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტის ასე განვითარება ისევე ბუნებრივია. როგორც ამაღლებული მეტაფორული სტილი. ძველ, აღმოსავლურ პოემათა მსგავსად „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ ვერსად შევხვდებით მაგალითად, იდეალურ გმირთა პირდაპირ დახასიათებას, ან გარეგნობის ჩვეულებრივი ფერებით ხატ-

ვას. მზე და მთვარე და, საერთოდ ასტრალური სამყაროდან მოხმობილი მეტაფორები ისევე აუცილებელია, როგორც პატიოსანი თვლებისა და ფერთა სიუხვის ბრწყინვალეების გადმოცემა (ეს ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ერთი თვისებაა). ნესტანისა და თინათინის სახე მზესავით ბრწყინვალეა ან მთვარის მოვანებასა ჰგავს, სახე ბროლი და ლალია, თვლები მელნის ტბაა და წარბ-წამწამნი გიშერი, ბაგე ვარდის კონა, კბილები მარგალიტი. სწორედ ეს იყო პოეტური ძალის მაჩვენებელი და რუსთაველი ამ პოეტურ ხერხს მიუწუდომელი სიძლიერით იყენებს. ასეთივე მხატვრული სტილის თავისებურებაა პოემაში გადმოცემული განცდების სიჭარბე, ტირილი და ცრემლი, რომელიც ზღვას ერთვის და აგრეთვე სიყვარულის მოულოდნელი აფეთქება, რომელიც მიჯნურის სულიერი წონასწორობის დარღვევას იწვევს. ასეთ კონტექსტშია წარმოდგენილი ნიზამის გმირები მის რომანტიულ პოემებში, ზღვასავით დაუშრობელია ყაისის — მაჯუნის ცრემლები. ლეილასთან არა მარტო პირველი, არამედ ყოველი შეხვედრა ყაისისათვის მომაკვდინებელი ლახვარივითაა. ასევეა გადმოცემული „ვისრამიანში“ რამინის მიერ ვისის პირველი ხილვა: „რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამცა გულსა უტევანი ისარი სცემოდა, ცხენისაგან ფურცლის ოდნად სუბუქად ჩამოიჭრა. მოედვა მიჯნურობისა ცეცხლი გულსა. დაუწვა ტვინი და გონება წაუღო. წამსა თვალისასა დაუმკვიდრა მიჯნურობა. წაუღო სიყვარულმან სული, გული. მისი მიჯნურობისაგან ხე ესეთი გამოვიდა, რომლისა ნაყოფი ველად გაჭრა და გახელება იყო. და რა ცხენისაგან ჩამოიჭრა, დაბნდა და დიდხანს უქკუოდ იღვა“.

ტარიელისა და ნესტანის შეხვედრა, ტარიელის ამის გამო დაბნედა ასეთივე ხერხითაა გადაწყვეტილი და, როგორც აღვნიშნეთ, ეს ამ ტიპის თხზულებათა მხატვრული თავისებურებაა, სახეებისა და განცდების ჰიპერბოლიზაციით შექმნილი.

თუმცა ძველი ეპოსის მსგავსად პოემაში კეთილს ბოროტი ძალები (ამ შემთხვევაში ქაჯები, დევები) ებრძვიან, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არაერთხელ აღნიშნავს, რომ ბოროტება მხოლოდ დროებითი მოვლენაა, მას არსება არ გააჩნია, რადგან „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ (113, 4), და „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“ (1492, 2). ოპტიმისტურ რწმენას ემყარება პოემის სიუჟეტიც. ბედნიერებას სწორედ ამ ქვეყნად უნდა მივალწიოთ. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც მრავალ დაბოლოებათა გადალახვის შემდეგ იმარჯვებენ ბოროტებაზე. ნესტანის გასანთავისუფლებლად გადახდილი ბრძოლები აღიქმება, როგორც მშვენიერების ძიება, ბოროტი ძალებისაგან სიკეთისა და სილამაზის განთავისუფლება.

სიუჟეტის განვითარებისათვის საგულისხმოა შემდეგი მომენტი: გავიხსენოთ შეტაკება ინდოეთის მეფე ფარსადანსა და, მეორე მხრივ, მაღალი, თავისუფალი სიყვარულის იდეების მატარებელ ნესტანსა და ტარიელს შორის. ფარსადანის არაგონივრული ნაბიჯი ეწინააღმდეგება ინდოეთის ეროვნულ ტენდენციებს, იწვევს დროებით კატასტროფას. მაგრამ ეს უფრო სიუჟეტის წარმართვის გარეგან მხარეს ეხება. რე-

ალური კონფლიქტი პოემაში თვით პერსონაჟების სულიერ ცხოვრებაში, მოქმედებისა და უმოქმედობის, გრძნობისა და გონების გარკვეულ დაპირისპირებაში უნდა ვეძიოთ. ეს შინაგანი ბრძოლა პოემის იდეალურ გმირთა გამარჯვებით მთავრდება. ამიტომ მკითხველის ინტერესი მიმართულია გმირების სულიერი ცხოვრებისაკენ, რაც ქმნის იმ მძაფრ დრამატიზმს, რომლის გარეშე რუსთაველის პოემა ვერ ამაღლდებოდა შუა საუკუნეთა ყოველგვარი ტიპის სათავგადასავლო თუ სამიჯნურო რომანებზე.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი ორიგინალურ ჩანაფიქრს შეიცავს. ავტორი პოემის შესავალში პირდაპირ აცხადებს, რომ იგი შთაგონებულია თამარ მეფით და პოემას სწორედ თავისი ამაღლებული (ამ შემთხვევაში „პლატონური“) სიყვარულის საგანს — თამარ მეფეს მიუძღვნის:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,  
ვექვენი ქებანი ღისნი მე არა-აჲდ გამორჩეული.  
მეონად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,  
ვინცა ისმინოს, დაესგას ლახვარი გულსა ხეული“ (4).

თავისი ეს მაღალი გრძნობა პოეტმა მხატვრულ სახეებში განახორციელა და შექმნა სიყვარულის დიდებული ჰიმნი. ნესტანის მეტაფორულ სახეს (ნესტანი — განრისხებული ვეფხი) ზუსტად ეხმაურება თამარზე ნათქვამი სიტყვები, რომელსაც მკითხველი ნაწარმოების პირველივე სტრიქონებში ეცნობა:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია,  
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია,  
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჭიქია,  
მისი სახელი შეფარვით ქვემოც მითქვამს, მიქია“ (19).

როგორც ხშირად აღნიშნავენ, რუსთაველი და დანტე, ამ შემთხვევაში, ორივენი თითქოს ერთნაირი საფუძვლიდან (იდეალური ქალისადმი მიმართული უწმინდესი გრძნობა) ამოდიან, მაგრამ სხვადასხვა პოეტური ფორმით გამოხატავენ თავიანთ სათქმელს. თუმცა ვეფხისტყაოსანი უშუალოდ არაფერს მოგვითხრობს თამარზე, იგი უკუფენს რუსთაველის განცდებს მისდამი და მათ მეორადი ანუ „ალეგორიული“ ფორმით წარმოადგენს. ფაქტიურად ეს, წერს მორის ბოურა. გმირულ გარემოში გრძნობათა დრამატიზაციაა. ამბის გაშლის მეშვეობით თავისი სიყვარულის გაცხადებაა. ჩიკნ გარდუვალად გვაგონდება დანტე და თუმცა რუსთაველი დანტესაგან მით განსხვავდება, რომ თავის სათაყვანებელ არსებას გამორიცხავს მოთხრობის მდინარებიდან, — მას შეეძლო დათანხმებოდა დანტეს იმაში, რომ იგიც

„ამურის მიერ  
შთაგონებული ყურს მიუგდებს და აქ მღერის  
და თავს გულისტქმას ამნაირად ამცნობს სამყაროს“.

ორივე პოემა ერთი ქალისადმი იდეალური სიყვარულიდან. ამბის

გაშლის ფართო სქემიდან გამოდის, ამასთან რუსთაველი უფრო თანმიმდევრულად ატარებს სიყვარულის მისეულ კონცეფციას<sup>1</sup>.

ყოველივე ეს მეტყველებს არა მარტო რუსთაველის პოეტური ჩანაფიქრის თავისებურებაზე, არამედ ამ ჩანაფიქრის სიუჟეტად გარდასახვის ორიგინალობაზეც, ამდენად, გასაგები ხდება პროლოგის მე-9 სტროფის მითითება, რომ თითქოს პოემა „სპარსული ამბის“ თარგმანს წარმოადგენს. რუსთაველმა ამით შეარბილა ადრე ნათქვამი (პოემა იგივე თამარის ქებაა) და ვითომცდა „საგულღებელ წყაროზე“ მითითებით თავისუფალი მოქმედების საშუალება მოიპოვა. თანაც ამით ხაზი გაუსვა პოემაში მოთხრობილი ამბის ნამდვილობას, რაც იმ დროინდელი მკითხველის თვალში მეტ ღირსებას ანიჭებდა ნაწარმოებს.

ამ სტროფმა თავის დროზე გარკვეული გაუგებრობანი წარმოშვა პოემის წყაროთა ძიების საკითხში. თავი რომ დავანებოთ იმ უცილობელ ფაქტს, რომ ამ ტიპის (სიუჟეტი) არ აღმოჩნდა სპარსულ მწერლობაში, პოემაში აშკარად შეინიშნება ანტისპარსული ტენდენცია (ხვარაზმელთა ეპიზოდი, სასიძოს მოკვლა), შოთა რუსთაველის პოემა იდეური მიზანდასახულობით მთლიანად ეროვნულ-ქართულ საფუძველზეა აღმოცენებული. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რომ ფაქტიურად პოემა მიძღვნილია თამარ მეფისადმი, ჩვენ ვნახეთ, რომ პოემაში წარმოდგენილი სოციალური გარემო ზუსტად ემთხვევა XII საუკუნის საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს. ამასვე მოწმობს პოემაში გაშუქება ისეთი საკითხებისა, როგორცაა საზოგადოებაში ქალთა ამაღლება, რაინდული თაყვანება მათდამი, რაც სრულიად უცბო იყო ისლამურ აღმოსავლეთში.

\* \* \*

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შოთა რუსთაველმა ბევრი არ შეითვისა, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან. XII საუკუნის მწერლობისა და კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობის კვლევის დროს არაფრით არ შეიძლება როგორც ბიზანტიური ნეოპლატონიზმისა თუ ქრისტიანული თეოლოგიის (ეს საკითხი შედარებით უკეთ არის დამუშავებული), ისევე, კერძოდ კი სპარსული ეპოსის ყურადღების გარეშე დატოვება.

კონკრეტულად რომ წარმოვიდგინოთ ეს დებულება, პირველ რიგში უნდა შევეჩოთ „ვეფხისტყაოსანს“, როგორც მხატვრულ კმნილებას. რადგან, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ასპექტში ვლინდება აღმოსავლეთისა და, კერძოდ, სპარსული ეპოსის მიმართება რუსთაველის პოემასთან.

როგორც აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ერთი შეხედვით სადევგმირო ეპოსისა და სარაინდო-სამიჯნურო რომანის კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ, არსებითად თანამედროვე რომანის წი-

<sup>1</sup> M. Bowra, *Inspiration and Poetry*, London, 1955, გვ. 50.

ნამორბედია, თუმცა პოეტური ფორმით იგი რომანტიული პოემის ქარგაზეა შექმნილი. მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსანი“ ზოგი ნიშნით ახლოს დგას თავის წინამორბედებთან: მაგალითად, თავისი მხატვრული კონსტრუქციით გარკვეულ მსგავსებას ამქვეყნებს აღმოსავლურ რომანტიკულ პოემასთან, რომლის უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენს ნიზამი განჯელის „ლეილმეჯნუნიანი“. ვეფხისტყაოსანში ჩვენ ცალკე შეგვეძლო გამოგვეყო ტარიელის მიჯნურობის ამბავი და ბოლოს მისი ველად გაქრა, რომელიც თავისი მხატვრული სურათით საოცრად ახლოს დგას აღმოსავლურ პოემებთან და კერძოდ, ზემოთ ნახსენებ ნიზამის „ლეილმეჯნუნიანთან“. ტარიელის სახეში ჩვენ ბევრ ნიშანთვისებას დავინახავთ აღმოსავლეთში შემუშავებული მიჯნურის ტიპისას, ხოლო რაც შეეხება მისი თავგადასავლის პირველ ნახევარს. აქაც ასეთივე ვითარებაა, ვიდრე ტარიელის უკვე არსებითად დასრულებულ ცხოვრებაში არ ჩაერევა თვით ცხოვრებიდან მოვლენილი აქტიური ძალა ავთანდილის სახით. ამ შემთხვევაში, ისე როგორც სხვა პრინციპულ საკითხებშიაც, ვეფხისტყაოსანი დიამეტრალურად სცილდება აღმოსავლურ პოემას და სულ სხვა იდეების ხორცშესხმას ცდილობს (როგორც ცნობილია, ყაიხსაც ჰქონდა საშუალება, რომ კვლავ დაბრუნებოდა ცხოვრებას, თუნდაც სხვათა აქტიური დახმარებით, მაგრამ თვით პოემის მიზანდასახულება უკვე თავისთავად უარყოფდა საკითხის ამგვარ გადაწყვეტას). ვეფხისტყაოსნის რენესანსულ მიდრეკილებათა ერთ-ერთ ნიშნად სწორედ იმას თვლიან, რომ აქ განსაკუთრებული ინტერესია გამოვლინებული ადამიანისა და მისი ცხოვრების მიმართ. ეს დებულება გარკვეულ ნაწილში უეჭველად მართებულია და მაშინ სრულიად ბუნებრივია, რომ ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის ავტორზე გარკვეული გავლენა მოეხდინა ფარხუდინ გორგანის „ვის ო რამინს“, ანუ უკეთ ვისრამიანის ქართულ თარგმანს, რომელიც მის დროს უკვე დიდიხნის გავრცელებული ჩანს საქართველოს კულტურულ წრეებში. ვისრამიანი, რომელსაც მთელი თავისი გულისყური მიქცეული აქვს ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ (ზედმეტად ნატურალისტური მიდრეკილებით), გარკვეულ მასალას მისცემდა ვეფხისტყაოსნის ავტორს (თუმცა შოთა რუსთაველი პრინციპულ საკითხებში სრულიად სხვაგვარ ეთიკურ ნორმებს ქადაგებს და ძალზე „ზორსაა „ვის ო რამინს“ ხორციელი სიყვარულის გაგებისაგან). მე აქ არ ვჩერდები აგრეთვე აღმოსავლური პოეტიკის გარკვეულ გავლენაზე რუსთაველის ლექსზე.

როგორც ფაქტი, უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური ხანის მწერლობას და, კერძოდ, აშკარად რენესანსული შთაგონებით შექმნილ ვეფხისტყაოსანს სოციალურ-პოლიტიკურად შესაფერ ნიადაგთან ერთად იდეურად კვებავდა მდიდარი ქართული ლიტერატურულ-ფოლკლორული ტრადიციები, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფილოსოფიური მიმართულება და აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული მწერლობა.

„ვეფხისტყაოსნის“ მკითხველმა, რომელიც თუნდაც ოდნავ არის გაცნობილი შუა საუკუნეების მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიას, არ

შეიძლება გაცემათ არ წაიკითხოს პოემის ის ადგილები, სადაც ჩანს არაჩვეულებრივად თავისუფალი აზროვნება. უარყოფა ყოველგვარი ოფიციალური დოგმებისა. პოემის ფურცლებიდან ჩვენს წინაშე წარმოსდგებიან ადამიანები, რომელთათვის უცხოა ყოველგვარი რელიგიური ფანატიზმი. გავიხსენოთ, რომ პოემის სიუჟეტი გაშლილია ისეთ დიდ სივრცეებზე, რომლებიც მოიცავენ ჩვენთვის ცნობილ ქვეყნებს: ინდოეთს, არაბეთს, სპარსეთსა (ხვარაზმს) და ჩრდილოეთ ჩინეთს (ხატაეთს) ან ავტორის ფანტაზიით შექმნილ გეოგრაფიულ დასახელებებს: მულაზანზარს (ფრიდონის სამეფო), გულანშაროს ანუ ვაჰარათა სამეფოს და ა. შ. ამიტომაც პოემის გმირები მაჰმადიანურ მრწამსს აღიარებენ, რამდენჯერმე არის ნახსენები პოემაში წმინდა წიგნი — ყურანი (იხ. სტრ. 351, 1 და სხვ.), ტარიელი ყურანზე ეფიციება თავის ერთგულებას ნესტანს, მეორე ადგილას კი ნაჩვენებია სცენა. სადაც ისლამის მსახურნი („მუყრნი და მულიმნი“; იხ. სტრ. 351, 5) ცდილობენ უეცარი სიყვარულით დასნეულებული ტარიელის განკურნებას (აქ ცოტა არ იყოს დაცივნის კილოთი არიან მოხსენებულნი მაჰმადის მსახურნი). მართალია, ამ შემთხვევაში, რადგან მოქმედება მიმდინარეობდა მაჰმადიანურ ქვეყნებში, ავტორი იცავს გარეგნულ სიზუსტეს. მაგრამ როგორც კი უფრო ღრმად ჩავუყვირდებით პოემას, ნათელი გახდება, რომ თვით პოემის ავტორი ქრისტიანული აღმსარებლობის ნიადაგზე დგას.

საკმარისია აღინიშნოს, რომ სრულიად მოულოდნელ სიტუაციებში. როცა გარეგნულად მართლაც მუსლიმანური სამყაროა დახატული. აქა-იქ თავს იჩენს ქრისტიანი ავტორის თვალსაზრისი (მაგალითად, ერთ ადგილას ნახსენებია ქრისტიანული რელიგიის დღესასწაული „აღდგომა“, რომელსაც ტარიელი ადარებს ინდოეთში სასიძოს შემოსვლის ზარ-ზეიმს, პოემაში რამდენჯერმე მოტანილია ციტატები ბიბლიიდან; დამოწმებულია პავლე მოციქული და ა. შ.).

მაინც მთავარი ის არის, რომ თუმცა რუსთაველი პოემაში არ ასახელებს ქრისტიანული ეკლესიის ზოგ აუცილებელ დებულებას (ქრისტიანული „სამება“ და სხვ.)<sup>1</sup>, ავტორი ღმერთს ისეთი ეპითეტებით ამკობს, რომლებიც სწორედ ქართული ქრისტიანული მწერლობის ენიდან იღებს სათავეს.

უფრო მეტიც, თვით პერსონაჟების მოქმედებაშიც არ არის დაცული რელიგიური სიზუსტე, ისინი ხშირად აზროვნებენ და მეტყველებენ სწორედ ქრისტიანულ ეკლესიის წიაღში შემუშავებული ცნებებით. ეს იმიტომ, რომ პოემაში ქრისტიანულ-ლიტერატურული ელემენტები მეტია, ვიდრე მუსულმანური. როცა პოემის გმირები ღმერთს ევედრებიან, ან ლოცულობენ, ადვილი დასანახავია, რომ ამ „მუსულმანებს“ ქრისტიანული ლოცვა და ევედრება აკერიათ პირზე (პროფ.

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, სწორედ ამის გამო კლერკალებმა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში ჩაუმატეს ერთი სტროფი, სადაც განკიცხულია რუსთაველი, რადგან იგი არც ერთხელ არ იხსენიებს ქრისტიანულ სამებას, რაც თითქოს ქრისტიანული ეკლესიიდან განდგომას ნიშნავდა.



მ. გოგობერიძე). გავიხსენოთ ერთი ადგილი ავთანდილის ლოცვიდან და ჩვენთვის ნათელი გახდება ეს შეხედულება:

„ილოცავს, იტყვის: მაღალო, ღმერთო ხმელთა და ცათაო!  
ზოგჯერ მომცემო პატივთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,  
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,  
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო“ (800).

რუსთველოლოგიაში აღნიშნულია არაერთი ფაქტი, როცა რუსთაველი ღვთაების გამოხატვის დროს აშკარად თანხვდება ქართულ ქრისტიანულ მწერლობას. რომლის წიაღში ადრევე იყო დამუშავებული „უზუნაესის“ გამოხატვის თავისებური პოეტური ენა.

მაგრამ სწორედ ის ფაქტი, რომ პოემაში მოქმედებენ მაჰმადიანი გმირები, მოწმობს პოეტის მიერ არა ქრისტიანობის უარყოფას საერთოდ, არამედ შემწყნარებლურ თვალსაზრისს. რაც, როგორც ზემოთაც ითქვა, მაშინდელი ქართული სახელმწიფოს გარკვეული პოლიტიკური მიმართულებიდან იღებს სათავეს. რელიგიური პარტიკულარიზმიდან თავისუფალი განწყობილება, რაც ძალზე თავისებურ ელფერს ანიჭებს „ვეფხისტყაოსანს“. ადრევე იყო შემჩნეული რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში (მაგ. ამასვე აღნიშნავდა 1912 წელს ინგლისური გამოცემის რედაქტორი ოლივერ უორდრობი)!

ვეფხისტყაოსანი ამჟღავნებს მისი ავტორის ღრმა ფილოსოფიურ განსწავლულობას, შოთა რუსთაველი შესანიშნავად იცნობს შუა საუკუნეების მსოფლიოში ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეს ბერძნულ ნეოპლატონიზმს, რომელსაც საქართველოშიც ჰყავდა ბრწყინვალე წარმომადგენლები. აკად. ნ. მარი თავის სპეციალურ ნაშრომში, რომელიც მან უძღვნა, მისი აზრით, ქართველ ნეოპლატონიკოსთა ერთ-ერთ მეთაურს იოანე პეტრიწს, აღნიშნავდა, რომ ქართველები X—XI საუკუნეებიდანვე ფილოსოფიის სფეროში იმავე კითხვების კვლევაში იყვნენ, რა კითხვებიც აინტერესებდათ იმ ხანის მოწინავე საქრისტიანო ქვეყნების მოაზროვნეებს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამ შემთხვევაში სხვებისაგან, სახელდობრ, ევროპელთაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ იმ ხანებში ქართველებმა სხვებზე უწინ გასცეს პასუხი ფილოსოფიური აზროვნების ახალ მიმართულებას და აღკუთრვილნი იყვნენ იმ დროისათვის სამაგალითო კრიტიციზმით, რომელსაც საგნად ჰქონდა ბერძენთა ნაწერების განხილვა თვით ორიგინალშივე.

ვეფხისტყაოსნის ავტორი კარგად იცნობს შემდეგში დასავლეთ ევროპაში ასე გახმაურებულ არეოპაგეტიკულ ქრისტოლოგიას (ნუცუბიძე — ჰონიგმანის ჰიპოთეზით, რომლის ავტორია მე-5 საუკუნის მოღვაწე პეტრე იბერიელი). შეხვედრის აშკარა ფაქტებს ვეფხისტყაოსნის ავტორისა და არეოპაგეტიკულ ნააზრევს შორის ვხვდებით არა მხოლოდ ცალკეული ტერმინების მსგავსების სახით, არამედ თვით ზე-

ციური იერარქიის წარმოსახვის დროსაც. (პოემაში დამოწმებულია არეოპაგიტული წიგნების ავტორიც. შოთა რუსთაველი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამკლავნებს, აგრეთვე, მის წინამორბედ ქართველ ნეოპლატონიკოსებთან, კერძოდ, გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოს იოანე პეტრიწთან (აკად. შ. ნუცუბიძე).

ღმერთს იმავე სიტყვებით იხსენიებს და ამკობს რუსთაველი, როგორც ეს ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში იყო მიღებული („მაღალი“, „დაუსაბამო“, „უჟამო ჟამი“, „ნათელი“ და სხვ.), მაგრამ იგი მაინც თავისი ძირითადი მიმართულებით უფრო ახლოს ქრისტიანულ ნეოპლატონიზმთან დგას და ასევე ფილოსოფიურ ასპექტში მსჯელობს ადამიანური ცხოვრების „ამქვეყნიურ“ თუ „იმქვეყნიურ“ საკითხებზე.

საკმარისია გავიხსენოთ ნესტანის ღრმა ფილოსოფიური შინაარსის წერილი, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ეს დებულება.

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა:  
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, პაერთა თანა ძრომასა;  
მომცნეს ფრთენი და აფფრინდე, მივხიდე მას ჩემსა ნდომასა,  
დღისით და ღამით ვხელვიდე მზისა ელვათა კრთომასა“ (1291).

აქ აშკარა გამოძახილია ჯერ კიდევ ანტიკური ფილოსოფიიდან მომდინარე მოძღვრებისა ოთხი ელემენტის შესახებ (ემპიდოკლე, V საუკ. ძვ. წელთაღრიცხვით), რომელიც თავისებური სახით შევიდა შუა საუკუნეთა სპირიტუალისტურ მოძღვრებებში. „მზის ელვათა კრთომის“ სამყარო არ არის ოდენ ბიბლიური ქრისტიანობის სამოთხე, არამედ იგი რელიგიის ფლოსოფიის მიერ შექმნილ მისტიურ სამყაროს წარმოადგენს. რუსთაველი ღრმად იცნობდა როგორც ნეოპლატონურ ისე ქრისტიანულ ფილოსოფიასა და თეოლოგიას და ყოველივე ეს მის მსოფლმხედველობაში გარკვეულ ნაკადებად იჭრება.

მაგრამ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსთაველი არსებითად სხვაგვარად უყურებს იმ პრობლემებს, რომელიც წამოაყენა ქრისტიანობამ (ისევე როგორც საერთოდ მონოთეისტურმა რელიგიებმა, რასაკვირველია, სხვადასხვა ვარიაციებით), რუსთაველისათვის უცხოა ის ძირითადი მოტივები, რომლებიც მსკვალავენ ქრისტიანობას. მაცხოვრობის, ადამიანის თანდაყოლილი ცოდვის და ამქვეყნიური არარაობის განცდა რუსთაველისათვის დაძლეული პრობლემაა. ასევე დაძლეულია რუსთაველის მიერ ნეოპლატონური ფილოსოფიის აშკარა ასკეტური განწყობილებანი (ნეოპლატონიზმს მართებულად უწოდებენ სიკვდილის ფილოსოფიას).

რუსთაველმა გაბედულად დასვა შუა საუკუნეებისათვის სრულიად ორიგინალური პრობლემა, ადამიანის ადგილისა, მისი ხვედრის შესახებ ამქვეყნიურ სამყაროში, და მას ჭეშმარიტად რენესანსული გადაწყვეტილება მისცა. მართლაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ პრობლემის დასმა უკვე თავისთავად იყო ინგორაცია, ოფიციალური სარწმუნოებისა. პროფ. შალვა ნუცუბიძე აღნიშნავს: «Конечно, в «Витязе...» воспевается и рыцарство и любовь, но это не есть все, что слу-

жит в поэме предметом художественного изображения... Человек, его судьба, его жизнь — вот основная тема этой гуманистической поэмы, раннего возрождения»<sup>1</sup>.

შოთა რუსთაველი სიცოცხლის, ადამიანის ამქვეყნიური ბედნიერების დიდი მომღერალია. ადამიანი ბრძოლისა და შემდეგ ამ ბრძოლაში მიღწეული გამარჯვებებისათვის არის დაბადებული. მას შემწედ ღმერთი ჰყავს, რადგან ღმერთი „ბოროტს არ დაბადებს“ და კეთილის განარჯვებას უწყობს ხელს. ქვეყანა „უთვალავი ფერით“ იმიტომ არის გაჩენილი, რათა ადამიანი დატკბეს მისი მშვენიერებით, მართალია, კაცს შეიძლება დაბრკოლებანი შეხვდეს: იქნებ მძიმე ტანჯვაც არგუნოს ბედმა, მაგრამ ყველაფერი ეს ღროებითია. წარმავალი (გამოწვეული „მუხთალი საწუთროს“ მიერ), რადგან ადამიანს შემწედ ღმერთი ჰყავს და იგი მას არ გასწირავს. ქმედობა და აქტუობა ამ გამარჯვებას ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა. ვასკირს კაცი არ უნდა გაუღრკეს. „ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ ვასძლოს, რაცა ჭირია“. გულის გატეხა არ არის ვაჟკაცის შესაფერისი რამ: „წესი არის მამაცისგან მოჭირვება. ჭირთა თმენა“. გონიერი და გმირული სულის მქონე ადამიანი ბოლომდე ცდის თავისთავს: „სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა“. ადამიანი დაბადებულია ამქვეყნად, რომ უყვარდეს და იცოდეს ამ სიყვარულის ფასი. სიყვარული არის ისეთი მადლი, რომელიც ადამიანს აკეთილშობილებს და კეთილი საქმეებისაკენ წარმართავს; „სიყვარული აგვამალღებს“ ამბობს პოეტი და ქებათა-ქებას უცდენის მეგობრობის, ძმადნათესაობის წმინდა კავშირს, რომლის გარეშე ათასჯერ უფრო ძნელია ცხოვრებაში წამოჭრილ დაბრკოლებათა გადალახვა. მებრძოლი, მეგობრისათვის თავდადებული გმირი აქაც მიაღწევს თავის საწაღელს და იმ ქვეყნადაც განიშხადებს საუკუნო სასუფეველს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;  
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;  
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსოცოვანი,  
სჯობს სიცოცხლესა ნაწარხსა სიკვდილი სახელოვანი!“

პოეტის აზრით, ადამიანი უმადლესი ქმნილებაა და მას სრული უფლება აქვს დატკბეს ამქვეყნიური სიკეთით. უსაზღვრო რწმენა ადამიანისადმი — აი, ვეფხისტყაოსნის უმთავრესი პათოსი და სწორედ. ამ ასპექტში უნდა დაისყოს საკითხი, შოთა რუსთაველი, როგორც შუა საუკუნეების უდიდესი ჰუმანისტი.

ამ სიმაღლეების მიღწევა შეუძლებელი იყო ქრისტიანული რელიგიის ან თუნდაც ქრისტიანული ფილოსოფიის საზღვრებში დარჩენით. რელიგიური შეზღუდულობიდან რუსთაველის საბოლოო განთავისუფლებაში უდიდესი როლი ითამაშა XII საუკუნის ქართულმა სინამდვილემ, რომელმაც ქრისტიანობის „შევიწროების“ შედეგად ახალი სა-

<sup>1</sup> Творчество Руставели, Тб., 1958, с. 16.

ერო იდეალები წამოაყენა. უდიდესი როლი ითამაშა თვით პოეტის მხატვრულმა ინტუიციამ. შოთა რუსთაველი მსოფლმხედველობის ახალ სიმაღლეებს მისწვდა არა მხოლოდ რეფლექსისა და ლოგიკური აზროვნების გზით, არამედ გენიალური პოეტური ინტუიციით<sup>1</sup>.

რუსთაველის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედი არის მაღალი ჰუმანიზმი. იგი თავით ბოლომდე გასდევს ვეფხისტყაოსანს, მის მხატვრულ სისტემას. პერსონაჟებს, რომლებიც მოქმედებენ პოემაში და თავის აშკარად რენესანსული სულით გასაოცარი ძალით არღვევენ შუა საუკუნეთა წყვედიადში გაბატონებულ ქრისტიანულ ასკეტურ ჩარჩოებს. ამ თვალსაზრისით, რუსთაველი არის დიდი წინამორბედი იმ დიდი მოძრაობისა, რომელიც მომდევნო საუკუნეებში აღორძინდა და ევროპული ჰუმანიზმის სახელითაა ცნობილი.

\* \* \*

ვეფხისტყაოსანში დომინანტობს ორი იდეურ-თემატიკური მოტივი — სიყვარული და მეგობრობა. ასევე სრულიად სხვაგვარი შარავანდედით ბრწყინავს პოემაში ორი წყვილი: ნესტან-დარეჯანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი. მოყმე რაინდი, როგორც მას პოემა იცნობს, წარმოუდგენელია ორი კომპონენტის გარეშე — იგი მიჯნური და სამაგალითო მეგობარი უნდა იყოს. შოთა რუსთაველის სამშობლოში სწორედ ვეფხისტყაოსანმა განამტკიცა ეს შეხედულება. როცა ახსენებენ სიტყვა „რაინდს“, პირველ რიგში გულისხმობენ სწორედ ვეფხისტყაოსანის გმირებს: ტარიელს. ავთანდილსა და ფრიდონს. ზოლოვინც ამ გმირებს გაიცნობს, მიხვდება, რომ რაინდი არ ნიშნავს უბრალოდ გმირს, ღონიერ ვაჟაკს, რომელსაც მხოლოდ თავის გამოჩენის სურვილი ამოძრავებს. რაინდობა გმირულ შემართებასთან ერთად თავმდაბლობას. ერთგულებას და მეგობრობისათვის თავდადებას ნიშნავს, რაინდის ხასიათის ფაქიზი თვისებები ქალიადად მოკრძალებულ დამოკიდებულებაში მქდავენდება. შოთა რუსთაველმა ვეფხისტყაოსანში გმირი ვაჟაკის ეს თვისებები წამოსწია წინ და დიდი პოეტური ძალით დავეიხატა რაინდობის მაღალი იდეალი.

არაბეთის მხედრობის მეთაური, რჩეული ჭაბუკი — ავთანდილი მალულად ეტრფის არაბთა მეფის ქალს — მშვენიერ თინათინს. მაგრამ სწორედ რაინდობის. ჰუმანიტი მიჯნურობის წესები უკარნახებს ავთანდილს, რომ ეს სიყვარული დაფარულად ატაროს და არავის არ აგრძნობინოს გულის საიდუმლო. გრძნობის გამქდავენებით კი არა საქმით უნდა დაუმტკიცოს სატრფოს მარადიული ერთგულება. ავთანდილი პირნათლად ასრულებს თინათინის ძნელ დავალებებს.

ანდა გავიხსენოთ ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის პირველი შეხვედრის ამბავიც. ტარიელი დასძლევს ამ ნახვით გამოწვეულ სულიერ ტკივილებს და ნესტანისავე დავალებით მიემგზავრება. რათა თავისი

<sup>1</sup> მ. გოგობერიძე, რუსთაველი..., 1961, თბილისი, გვ. 28-59.

ვალი მოიხადოს სატრფოს და სამშობლოს წინაშე — გმირულ ბრძოლაში ამარცხებს ურჩ ხატელთ.

ვეფხისტყაოსნის რაინდებისათვის ძალზე დამახასიათებელია ქვემარტივი მეგობრობის თაყვანისცემა. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი უანგარო, თავდადებული მეგობრები არიან. აკად. ნ. მარი ვეფხისტყაოსანში აღწერილ მეგობრობაში ხედავდა ძველი ქართული ხალხური ზნე-ჩვეულების — ძმადნაფიცობის თავისებურ გამოვლინებას. ან უკეთ ახალ საფეხურს, რომელიც პირად სიმპათიასთან ერთად დამშვენებულია მაღალი ინტელექტუალიზმით. მეგობრები არა მარტო გრძნობენ ერთმანეთისაკენ დაუოკებელ სწრაფვას, არამედ გონების თვალთ წვდებიან ერთმანეთის გასაჭირს და ღრმა ანალოზს უკეთებენ ერთურობის საქციელს. გავიხსენოთ იგივე სცენა, როცა ტარიელის სასოწარკვეთილებას უპირისპირდება ავთანდილის ფიზიკური გონება. სწორედ ავთანდილის გონიერმა რჩევამ და წინდახედულებამ გამოიყვანა ტარიელი ღრმა სულიერი აფექტიდან და დაუბრუნა იგი ბრძოლისა და მოქმედების ქვეყანას.

ამ სამი გმირის სახით ავტორმა მეგობრობისათვის თავგანწირვის შესანიშნავი მაგალითები დაგვიხატა. ავთანდილი დასტოვებს თავის ქვეყანას, თავის სატრფოს და ტარიელის დაკარგულ მიჯნურის საძებრად ფათერაკებით სავსე გზას გაუდგება.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჳირსა არ დაჰრიდად,  
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

ავთანდილმა ფრიდონთან ერთად ღირსეულად მოიხადა მეგობრობის ვალი, იპოვა ქაჯეთის ციხეში დამწყვდეული ნესტანი. შემდეგ კი გმირებმა დაიხსნეს მოტაცებული მზეთუნახავი.

ასეთივე თავდადებით უპასუხა ტარიელმა ავთანდილს, როცა ინდოეთში დაბრუნების ნაცვლად არაბეთში გაჰყვა მას. ვეფხისტყაოსნის რაინდობას თავისებურ ელფერს აძლევს ტარიელისა და ასმათის სპეტაკი მეგობრობაც. ასმათმა ტარიელთან ერთად გაუძლო ათასგვარ სიძნელეს და ჳირში არ მიატოვა იგი.

ქალისა და ვაჟის ასეთი უანგარო მეგობრობა, როგორც ვეფხისტყაოსანშია აღწერილი, მსოფლიო პოეზიაში უნიკალური მოვლენაა.

პოემის გმირ მამაკაცებს მხარს უმშვენებენ სულიერი და ფიზიკური მშვენებებით აღსავსე ქალები: ნესტანი, თინათინი, ასმათი... პოეტს არაჩვეულებრივი მხატვრული ძალით, გარკვეული თანმიმდევრობით შევყავართ მათ სულიერ სამყაროში. საკმარისია თვალი გავადევნოთ ტარიელისა და ნესტანის სამიჯნურო ურთიერთობის პერიპეტეებს, რომ ჩვენთვის ნათელი შეიქმნას, თუ რა მაღალი მორალური და ეთიკური სულიერი წყობის ადამიანებთან გვაქვს საქმე.

ვეფხისტყაოსნის ავტორის უპირველესი მხატვრული ამოცანა თავისუფალ, მისთვის იდეალად წარმოდგენილ ადამიანთა წარმოსახვაა, რომელთაც იგი ეძებს იმ ხანებში სოციალური აღმავლობის გზაზე

მდგარ ფეოდალური კლასის წიაღში. ამითაა გამოწვეული პოემის უპირველეს გმირთა არაჩვეულებრივი გამორჩეულობა, როგორც ფიზიკური ისე სულიერი მშვენიერების სფეროში, არისტოკრატიული ბრწყინვალეობა და ქცევათა დახვეწილობა. პოემაში წარმოდგენილ იდეალურ გმირებს — მეფე-ქალებს, ნესტანს და თინათინს, მოყმე-რაინდებს: ტარიელსა და ავთანდილს სიყვარულისა და მეგობრობის უფაქიზესი გრძნობები ამოძრავებთ, რაც პოეტს მათი მხატვრული სახის ყოველმხრივი გამოკვეთისათვის სჭირდება.

პრობლემა, რომელიც ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ეხება პოემაში მოქმედი სახე-ხასიათების ბუნების გახსნას. აქ უნდა გამოჩნდეს რუსთაველის, როგორც პოეტისა და მოაზროვნის ნამდვილი სახე, რადგან ხასიათის ასე თუ ისე გადაწყვეტა უკვე ავტორის მრწამსია, მისი პოეტური ენის ჭეშმარიტი ნიშან-თვისებაა. მართლაც, ვეფხისტყაოსანი ბრწყინვალედ ადასტურებს ამ დებულებას. რუსთაველმა უკვდავი სიმღერა მიუძღვნა უკეთილშობილეს ადამიანურ გრძნობებს, უმღერა ისეთ სამყაროს. როგორც მას იდეალში ესახებოდა და იგი სამყარო დაასახლა ისეთი საოცრად მშვენიერი ადამიანებით, როგორცაა ნესტანი და თინათინი, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ნესტანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი უკვდავი სახეებია მსოფლიოს ლიტერატურაში. თავისი ესთეტიკური თუ ეთიკური მონაცემებით ისინი ყველაზე მდიდარ მასალას გვაწვდიან, რათა რუსთაველი შუა საუკუნეთა უდიდეს ჰუმანისტად დავსახოთ.

ძალზე საგულისხმოა ამ თვალსაზრისით პოემაში წარმოდგენილი სახე ფატმან ხათუნისა, მსუბუქი სატრფიალო გრძნობათა ცვალებადობის ადვილად გადამტანი ქალისა. ფატმანის ეპიზოდს, რომელიც თითქოს ავტორის ძირითადი მხატვრული ამოცანის მიღმა დგას, თავისი რეალისტური ფერწერით გარკვეული კოლორიტი შემოაქვს პოემაში. რეალისტურ ფერწერასთან ერთად ეს ეპიზოდი სუნთქავს არაჩვეულებრივი მიწიერი სიცოცხლით, მსუბუქი ჰუმორით და ბრწყინვალედ ავლენს პოემის ავტორის მხატვრულ შესაძლებლობათა მრავალფეროვნებას. ვეფხისტყაოსანს, როგორც თანამედროვე რომანის წინამორბედს. ძალზე საგულისხმო შტრიხებით სწორედ ფატმანის ეპიზოდიც ამდიდრებს (ფატმანი — რეალისტური საღებავებით შესრულებული ხასიათია). ამის გამო ჯერ კიდევ 1884 წელს ცნობილი ავსტრიელი მწერალი ბარონ ზუტენერი აღნიშნავდა: „მიუდგომლობა გვაიძულებს ვენიოსი ვუწოდოთ რუსთაველს, რადგან მან შექმნა რომანი იმ დროს. როცა ეს ჟანრი ეპიკური პოეზიისა ჯერ არ არსებობდა ევროპაში“<sup>1</sup>.

ვეფხისტყაოსანი სიყვარულის წარმტაცი პოემაა და ძმობა-მეგობრობა აქ ამ დიადი გრძნობის სფეროში შემოდის. ისინი ისევე არ უპი-

<sup>1</sup> გაზ. «Кавказ», 1884, 265.

რისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ტარიელი ავთანდილსა და თინათინი ნესტანს. „იმაში დაექცება, — წერდა შუა საუკუნეთა ევროპული მწერლობის ცნობილი სპეციალისტი აკად. შიშმარიოვი — რომ ვეფხისტყაოსანი სიყვარულის პოემაა, შეუძლებელია, და დედაც იმაზე წარმოებს, რომელი წყვილი ჩაითვალოს მთავარ ფიგურად, თინათინ-ავთანდილი თუ ნესტან-ტარიელი“<sup>1</sup>. მართლაც, თუ იმაში დაექცება შეუძლებელია, რომ ვეფხისტყაოსანი უწინარეს სიყვარულის პოემაა, ასევე შეუძლებელია დავექვდეთ, რომ მთავარი პერსონაჟებიც სწორედ ისინი არიან, რომელთა ურყევ სიყვარულსაც უთმობს ყველაზე მეტ ადგილს შოთა რუსთაველი. ეს გამომჟღავნებულია შესავალშიცა და დასასრულშიც, სადაც პოეტი ტარიელის შეწვევას ითხოვს და მასვე ვგრძნობთ იმ სიმძიმის ცენტრის მიხედვითაც, რაზეც ტრიალებს მთელი პოემა. თინათინი და ავთანდილი გარკვეულად ავსებენ ნესტანისა და ტარიელის სახეებს და ერთ მთლიან წარმოდგენას გვიქმნის პოეტისათვის იდეალად მიჩნეულ გმირთა წარმოსახვისათვის.

სიყვარულის განდიდება პოემის ერთი უმთავრესი თემაა. მას უმღეროდნენ რუსთაველზეც ბევრად ადრე. იგი მსკვალავს სპარსულ რომანტიკულ პოეზიას, სიყვარულის ჰიმნებს თხზავენ სწორედ რუსთაველის თანამედროვე პროვანსელი პოეტები, სიყვარულის პლატონური თეორია მთელ მსოფლიოში ათასგვარ ნიუანსებს იძენდა, ხან ნეოპლატონური მისტიკური სარჩულით. ხან სუფისტური საგალობლის სახით გვევლინებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეზიაში. სიყვარულს თავისი მუღმივი ადგილი (თუმცა მეტ-ნაკლებად) ჰქონდა დასავლეთ-ევროპულ რაინდულ რომანებშიც, და აქ იწყება საკითხის არსებითი მსარე. ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ რუსთაველის მთავარი დაქსახურება ის არის, რომ შუა საუკუნეთა წყვილადში მან სწორედ ამ ქვეყანაზე იპოვა სივრცეები სიყვარულის გამარჯვებისათვის, მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ რუსთაველმა უმღერა ისეთ სიყვარულს. რომლის ბადალი ძნელია გამოიძებნოს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. მისი სახელია რუსთაველური სიყვარული, სპეტაკი, ამაღლებული (აქ იგი ახლოსაა დანტესთან) და ამავე დროს, სიცოცხლით სავსე ადამიანური გრძნობებით დატვირთული (აქ შორდებიან „ღვთაებრივი კომედია“ და ვეფხისტყაოსანი). იგი კეთილი და რაინდული საქმეებისაკენ მიმართავს. აკეთილშობილებს და ასპეტაკებს ადამიანის სულს და ალაგვებს ყველა იმ სინათლით, რაც შეიძლება ინატროს ადამიანმა „კაცთათვის მოცემულ უთვალავ ფერთა“ სამყაროში. საგულისხმოა ცნობილი ინგლისელი მკვლევარის, მსოფლიო პოეზიის შესანიშნავი მკოდნის, მორის ბოუერას შემდეგი სიტყვები: „რუსთაველის ორიგინალობა ის არის, რომ იგი სიყვარულს როდეს უყურებს, როგორც რაღაც არანორმალურს, იგი ისეთი ძალაა, რომელიც კეთილისკენ წარმართავს მას, ვისაც იგი დაუფლებია... რუსთაველსა და სხვა რომანტიკულ პოეტებს შორის ის

<sup>1</sup> Е. Шишмарев, Шота Руставели, ИАН, Москва — Ленинград, 1938 № 6.

განსხვავებაა, რომ მაშინ, როცა მათ უპირატესად გართობა და დროსტარება აინტერესებთ, რუსთაველს გარკვეული, თითქმის რელიგიური მისია და შეხედულებანი გააჩნია. ერთი მხრივ საგმირო საქმეებისა და მეორე მხრივ რეალობის ჯანსაღი გრძნობის — სიყვარულის პლატონურ მოძღვრებასთან შენივთებით, რუსთაველი გვიჩვენებს, თუ რა ადგილი უნდა დაეჭირა მას ცხოვრებაში. მისი აზრით, ასეთი სიყვარული რეალურ სამყაროში უნდა არსებობდეს და დაკავშირებული უნდა იყოს ვაჟკაცურ საქმეებთან. რუსთაველი თავის მოძღვრების აზრს უფრო გულდასმით და მეტი თანმიმდევრობით ამუშავებს. ვიდრე ამას ფრანგული და სპარსული რომანების მწერლები აკეთებდნენ და საჩინოს ხდის, რა მოხდებოდა, რომ ადამიანებს აქამდე მიეღწიათ“<sup>1</sup>.

ვეფხისტყაოსანი, სიბრძნისა და პოეზიის ამოუწურავი საგანძურია. თანდათან იკაეებს თავის კუთვნილ ადგილს მსოფლიოს პოეზიის უპირველეს შედევრთა შორის. სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურებოდა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი იუბილეც. რომელიც ქართველ ხალხთან ერთად ასეთი დიდი სიყვარულით აღნიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ.

1966 წ.

## შოთა რუსთაველი

(ბიოგრაფიული ესკიზი)

რვაასი წელიწადი აშორებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ჩვენგან. მაგრამ განვლილმა დრო-ყამმა დიდი პოეტის სახელს ვერაფერი დააკლო. პირიქით, დრო მის სასარგებლოდ იღვწოდა. ახალმა ეპოქამ მისი სახელი ახალი შარავანდედით შემოსა. მაგრამ დროის ამავე მანძილზე ბევრი რამ უჩინოდ აქცია, დაგვიკარგა ბევრი ძვირფასი ცნობა და დღეს ჩვენ ძალზე ცოტა რამ ვიცით შოთა რუსთაველისა და მის ეპოქაზე. გაურკვეველია ბევრი რამ თვით პოეტის ბიოგრაფიიდან. ალბათ კიდევ ბევრი კვლევა-ძიება იქნება საჭირო, რომ უფრო ახლოს შევიცნოთ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, აღვადგინოთ პოეტის ნამდვილი სახე.

წინამდებარე ნარკვევი, რომელიც რუსთაველის ბიოგრაფიის აღდგენის კიდევ ერთ ცდას წარმოადგენს, ამავე მიზნით დაიწერა. მანვე განსაზღვრა ნარკვევის ხასიათიც. მთლიანობის დაცვისათვის აქ ზოგი მასალის ახლებურად გააზრების ცდასთან ერთად მოხმობილია რუს-

<sup>1</sup> M. Bowra, inspiration and Poetry, London. 1955, გვ. 67.



თველოლოგიურ ლიტერატურაში ადრე ცნობილი ფაქტებიც.

ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ არის უდიდესი ქართველი პოეტი შოთა რუსთველი (აპალი ფორმით „რუსთაველი“), რომელიც ცხოვრობდა XII—XIII საუკუნის მიჯნაზე. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ცხოვრების დროზე ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტები რომ არ შემოგვრჩენოდა, ზოგ რამეზე მაინც თვით „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემული სინამდვილე მიგვანიშნებდა. „ვეფხისტყაოსნის“ იდეოლოგია მთლიანად დაფუძნებულია XII საუკუნის საქართველოს სინამდვილეზე. აღწერილი სოციალური გარემო ზუსტად თანხვდება XII საუკუნის ანუ, როგორც ისტორიოგრაფიაში მიღებული, თამარის ეპოქის საქართველოს ვითარებას, გამჭვირვალეა ისტორიული რემინისცენციები, პოემაში მოთხრობილი დინასტიური კონფლიქტები თამარის დროინდელი ქართული საშეფო კარის კონფლიქტების ანარეკლი და ა. შ.

მაგრამ შოთა რუსთაველის პიროვნებაზე და ცხოვრების ქრონოლოგიაზე ჩვენ მოგვეპოვება დოკუმენტური ხასიათის რამდენიმე ცნობაც, რომლებიც შედარებით ზოგად, მაგრამ ამასთან უტყუარ მონაცემებს შეიცავენ პოეტის მეცნიერული ბიოგრაფიის აღსადგენად.

ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა განვიხილოთ თვით რუსთაველის პოემა. როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ იხსნება პროლოგით, სადაც ავტორი ეხება არა მარტო ქების ობიექტს, არამედ აყალიბებს თავის ზოგად შეხედულებებს, რაც შემდეგ მხატვრულად ხორცშესხმულია თვითონ პოემაში. ავტორი არ დალატობს აღმოსავლურ მწერლობაში გავრცელებულ ტრადიციას და რამდენიმე რეალურ ცნობას გვაწვდის საკუთარ თავზეც.

პროლოგის მე-7 სტროფში პოეტი უმთავრეს გმირზე — ტარიელზე გვესაუბრება და პირველად გვიმჟღავნებს თავის სახელს:

„მო, დაესდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი;  
მისებრი მართ დაბადებით ვინმეც ყოფილა შობილი!  
დაეკე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,  
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“ (სტრ. 7).

მომდევნო სტროფშივე, სადაც ავტორი უკვე ზოგადად საუბრობს მიჯნურის განუკურნებელ სენზე, იგი კვლავ ასახელებს თავის თავს:

„მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი:  
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“.  
(სტრ. 8).

როგორც არ უნდა გავიგოთ ორჯერ ნახსენები სიტყვა „ხელობა“ (ძველი ქართულით: — ხელი — გიყი, შმაგი. კელი — სახელო, თანამდებობა), აქ მაინც უმთავრესია, რომ პოეტი იწოდება რუსთველად. აქვე საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც, პოემის შესავალში წარმოდგენილ ამ ცნობებს პოეტის სახელის თუ (ზედწოდების) გარშემო თავისებურად ეხმაურება „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოში დართული სტროფებიც. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია გვიჩვენებს, რომ საეპიკოა 5. ს. ცაიშვილი.

დასასრულის ამ სტროფთაგან ყველა რუსთაველს ეკუთვნოდეს. მაგრამ ფაქტია, რომ აქ დაცულია უძველესი წერილობითი ტრადიცია (ეს სტროფები მოიპოვება ყველა ძველ ხელნაწერში). თანაც ეს სტროფები პროლოგში დაცული ცნობების თავისებურ გადამუშავებას წარმოადგენენ. მაგალითად, ეპილოგის სტროფის სიტყვები „ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა“ აშკარა პარაფრაზია პროლოგის ზემომოყვანილი ადგილისა: მო, დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი“. მაგრამ ეპილოგის ეს სტროფი უფრო ფართო ხასიათის მსჯელობის საშუალებას იძლევა. აქ ერთად არის თავმოყრილი რამდენიმე ცნობა ქართული კლასიკური ხანის ძეგლებზე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზეც ამ კონტექსტშია საუბარი:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,  
 აბდულ-მესია — შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,  
 დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას ეხა-დაუშრომელსა,  
 ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.

განმარტებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ პირველ სტრიქონში საუბარია ქართული კლასიკური ხანის კარგად ცნობილ საგმირო-საფალავნო რომანზე, რომელიც, თავის მხრივ, უძველესი ქართული ეპოსის კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვული ამირანის თავისებური გადამუშავებაა. თხზულების ავტორობა მიეწერება ამავე ხანის მწერალს მოსე ხონელს, რომელსაც მითოლოგიური ეპოსი მის თანამედროვე აღმოსავლურ ავანტურული რომანების ყაიდაზე გარდაუქმნია. ასევე კლასიკური ხანის ძეგლია შავთელის „აბდულმესია“, საკარო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში, რომელშიც შექებულია თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავითის დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. კლასიკური ხანის ავტორია სარგის თმოგველიც (მას, გარდა ამისა, მიეწერება ფახრუდინ გორგანის „ვის ო რამინის“ მხატვრული თარგმანი), რომლის „დილარგეთიანს“ თუმცა ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ამავე ხანის მეორე სამქებრო პოემაში („თამარიანი“ — ავტორი ჩახრუხაძე) მასზე დაცულია დოკუმენტური ცნობა (ნ. მარის გამოცემით, ოდა 1). ამდენადვე ქეშმარიტებას უნდა შეიცავდეს ეპილოგის აღნიშნული სტროფის ჩვენება, როცა იგი ქრონოლოგიურად ამავე ავტორთა რიგში აყენებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსაც. „ვეფხისტყაოსნის“ დამწერის რუსთველობას აღიარებს პოემის ერთ-ერთი გამგრძელებელი „ვიწმე მესხი“. რომლის ცნობა დაცულია აგრეთვე ტრადიციით პოემის ეპილოგად მიჩნეულ პირველ სტროფში.

გვერდს ვერ ავუვლით პროლოგის სხვა ისტორიული ხასიათის რეალიებსაც. აქ შექებულია მეფე თამარი და მისი მეუღლე დავით სოსლანი (პოემის დასასრული ამ შემთხვევაშიც თანხედება პროლოგის მონაცემებს). პოეტი თამარს მიიჩნევს შთაგონების უპირველეს წყაროდ და მასვე უძღვნის რამდენიმე სამქებრო სტროფს. ავიღოთ პროლოგის საყოველთაოდ ცნობილი მე-4 სტროფი:

თამარს ვაჭებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული,  
ვთქვენი კებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული.  
მელნად ვხზარე გიურის ტბა და კალმად მე ნა რხეული,  
ვინცა ისმინოს, დაესგას ლახვარი გულსა ხეული.

წინა სტროფში კი თამართან ერთად შექმებულია „თამარის ლომი“, რომელიც აშკარად მისი მეუღლის დავით სოსლანის მეტაფორული სახეა. პროლოგში არის სხვა რეალებიც, რომლებშიც არ გაძნელდება თამარის პიროვნების ამოცნობა. მაგრამ მათზე უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, როცა კონკრეტულად „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღზე შევჩერდებით. აქ კი საყურადღებოა ორი უმთავრესი ცნობა, რომლებსაც გვაწვდის თვით „ვეფხისტყაოსანი“: პოეტის გვარი (თუ ზედწოდება) არის „რუსთველი“. იგი თავის პოემას უძღვნის მის სახელოვან თანამედროვეს, ძლიერი ქართული სახელმწიფოს მეთაურს, მეფეთა-მეფე თამარს.

„ვეფხისტყაოსანში“ არსებულ ორსავე ცნობას (პოემის ავტორია რუსთველი, იგი თამარ მეფის თანამედროვეა) ავსებს ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის დოკუმენტური მონაცემები. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, აღსანიშნავია იერუსალიმში არსებული ქართული საეპისკოპოსოსი, ჯვარის მონასტრის მასალები. ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან ჩვენში ცნობილი გახდა, რომ სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად აქ, მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის სვეტზე გამოხატულია შოთა რუსთაველი. მონასტრის პირველი აღმწერი ტიმოთე გაბაშვილი შენიშნავდა ამასთან, რომ მონასტერშივე არსებულ სააღაპე წიგნში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი არის იგივე შოთა რუსთაველი. უნდა აღინიშნოს, რომ ტიმოთეს ცნობათა სისწორე სრული ზედმიწევნით დადასტურდა. ქართველმა მეცნიერებმა, აკადემიკოსებმა ი. აბაშიძემ, ა. შანიძემ, გ. წერეთელმა აღადგინეს და საქართველოში ჩამოიტანეს აღნიშნული ფრესკის პირები. აღდგა ფრესკის წარწერაც, რომელიც მანამდე არ იყო სწორად ფიქსირებული, გაირკვა აგრეთვე, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო (ჯვარის მონასტერმა არაერთხელ განიცადა თავდასხმა. ამასთან მოქმედებდა დროის ფაქტორი) კედლის მხატვრობა რამდენჯერმე განუახლებდა, მაგრამ ყოველმხრივ უცდიათ ძველი მოხატულობისა და წარწერების შენარჩუნება. ამდენად, სარწმუნო ჩანს შოთა რუსთველის ფრესკის წარწერაც: „ამისა დამხატვსა შოთა(ს) შეუნდვნეს ღმერთმან ამინ“. ხოლო პორტრეტის ქვემოთ იმგვარადვე მიწერილია „რუსთველი“. ფრესკაზე გამოხატულია საერო ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი, რომელიც მუხლმოდრეკილი დგას (ვედრების კომპოზიცია) ორი წმინდანის — იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის წინაშე. ფრესკის სიძველე დასტურდება მონასტერშივე არსებული სააღაპე წიგნის მონაცემებით. აქ, როგორც ახლა გარკვეულია (იხ. ე. მეტრეველის მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის<sup>4</sup>) სწორედ XIII საუკუნის პირველი მეოთხედისათვის, შეუტანიათ მოსახსენიებელი შოთა მეჭურჭლეთუხუცესის [სრული ტექსტი: „ამ(ა)სვე ორშაბათსა. აღაპი შოთა(ა)სა მე-

ჭურჭლეთ უხუცესის(ა)ა ვინ შეცვ(ა)ლოს, შე-მცა-ცვ(ა)ლებულ(ა)რს სჯ(უ)ლისაგ(ა)ნ ქ(რისტ)იანეთ(ა)მსა“]. მაშასადამე, ტიმოთე გაბაშვილის ვარაუდი, რომელიც მონასტერშივე დამკვიდრებული ტრადიციიდან მოდის, სრული ზედმიწევნილობით დასტურდება. ფრესკაზე გამოსახული შოთა რუსთაველი და ალაპებში მოხსენიებული „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“ ერთი და იგივე პირია. იდენტიფიკაციას ხელს უწყობს დროის თანხვედრა და ამასთან ფრესკის წარწერის ცნობა, თუ რა დღეა წინ (შოთას, როგორც ჩანს, მისივე საფასით განუახლებია კედლის მხატვრობა) შეუტანიათ მისი მოსახსენიებელი მონასტერში არსებულ საალაპე წიგნში. ამასთანვე საალაპე წიგნში შეტანის წესის თავისებურებით დასტურდება (მოსახსენიებელი შეტანილია დიდ საუფლო დღესასწაულზე — იხ. ე. მეტრეველის დასახ. შრომა, გვ. 53), რომ შოთას მოსახსენიებელი, როგორც ჩანს, მის სიცოცხლეშივე შეუტანიათ. ამავე ხანებში არის იგი გამოხატული მონასტრის სამხრეთ-დასავლეთ სვეტზე.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალების სათანადოდ შეუფასებლობა მართლაც, შეუძლებელია. რუსთაველის ბიოგრაფია მდიდრდება ერთბაშად რამდენიმე ძვირფასი ცნობით. რუსთაველი (მისი გვარი თუ ზედწოდება უკვე „ვეფხისტყაოსნიდან“ შევიტყუეთ) სახელია შოთა, ხოლო ამასთან მას საქართველოს სამეფო კარზე სჭერია ერთ-ერთი დიდგვირის — მეჭურჭლეთუხუცესის სახელი (თამარის ეპოქაში სულ ოთხი ასეთი სახელი იყო: მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი). ჩვენს წინაშე შოთა რუსთაველი წარმოსდგება არა მარტო როგორც პოეტი. იგი თავისი დროის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი ჩანს, რომელსაც ამასთან გარკვეული წვლილი შეუტანია იერუსალიმის ქართულ საგანმანათლებლო ცენტრის მოვლა-პატრონობაში. აქვე საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც: ხშირ შემთხვევაში ქართველი საერო ხელისუფალნი თუ სასულიერო მოღვაწენი საქართველოდანვე უზავენიდნენ შეწირულებას საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო კერებს, მაგრამ რუსთაველთან დაკავშირებით, რადგან კონკრეტულ დღეწლებზეა საუბარი (მან, როგორც აღვნიშნეთ, მოახატვინა მონასტრის დამკვლევებელი გუმბათი), სრული შესაძლებლობაა ვიფიქროთ, რომ დიდმა მგოსანმა თვითონვე იმოგზაურა იერუსალიმში და მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მონასტრის აღსადგენი სამუშაოებიც.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარისა და სახელის (რუსთველი შოთა) ხსენებას ჩვენ ძალზე ხშირად ვხვდებით მომდევნო ხანის ქართულ მწერლობაშიც (იხ. XVI—XVII საუკუნეების ქართული მწერლობის: სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილის, თეიმურაზ I, „იოსებ-ზილიხანიანის“ უცნობი ვერსიის ავტორის, არჩილის ცნობები და ა. შ.). ეს ცნობები კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოაღნიშნულ მონაცემებს პოეტის ბიოგრაფიიდან.

თითქოს სრული ზედმიწევნილობით მართლდება ძველი ხალხური ადმოცემები, რომლებიც შოთას სახელს უკავშირებენ იერუსალიმის

ჯვრის მონასტერს: შოთა რუსთაველი მოხუცებულობის უამს იერუსალიმში წასულა და იქვე გარდაცვლილა. რაც შეეხება ამ უკანასკნელ ცნობას (შოთა თითქოს იერუსალიმში გარდაიცვალა), ამაზე ჩვენ მეცნიერებს არ მოეპოვებათ რაიმე დამადასტურებელი საბუთი. მაგრამ ვფიქრობთ, რომ არც ეს შესაძლებლობაა გამორიცხული (გავიხსენოთ, რომ ფრესკაზე შოთა გამოსახულია, როგორც მოხუცი). ამის შემდეგ იწყება ძიებათა და ვარაუდების სფერო, რითაც ასე უხვია რუსთაველოლოგიური მეცნიერება. ყველა ამ კვლევა-ძიებას ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — ჩვენ გვინდა უფრო მეტი ვიცოდეთ ვეფხისტყაოსანსა და მის გენიალურ ავტორზე. ავიღოთ თუნდაც, ერთი შეხედვით, ისეთი ნათელი საკითხი, როგორიცაა პოეტის გვარი რუსთაველი. აღიარებული თვალსაზრისით „რუსთველი“ ნიშნავს რომელიღაც ციხის. სამფლობელოს პატრონს (შუა საუკუნეების საქართველოში ასეა ნაწარმოები ფეოდალური გვარები: ჭაყელი, თმოგველი, სურამელი, ფანასკერტელი და ა. შ.), მაგრამ, როგორც ცნობილია, საქართველოში ამ სახელწოდების რამდენიმე პუნქტი არსებობს (რომელთა შორის აღსანიშნავია ძველი ციხე-ქალაქი რუსთავი, თბილისის მახლობლად, და სამხრეთ საქართველოში, მესხეთში არსებული სოფელი რუსთავი), ასევე XII—XIII საუკუნითა ისტორიული ამბების გადმომცემ ქართულ მატრიანეებში, უამთა სიავეს გადარჩენილ ძველ სიგელ-გუჯრებში, თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში სწორედ ამ ხანებში მოხსენებულია რამდენიმე „შოთა“. ბუნებრივად ისმის ასეთი კითხვა, ხომ არ არის რომელიმე მათგანი ჩვენი პოეტი შოთა რუსთაველი?

ტრადიციული შეხედულებით, შოთა რუსთაველი წარმოშობით იყო სამხრეთ საქართველოდან, XII საუკუნისათვის როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე კუთხიდან, მესხეთიდან, კერძოდ ახალციხე-ასპინძის გზაზე მდებარე რუსთავიდან (ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ ციხის ნანგრევები). ამ შეხედულებას იმთავითვე მხარს უჭერდნენ ე. წ. აღორძინების ხანის (XVII—XVIII სს.) მწერლები, კერძოდ, პოეტი-მეფე არჩილი რუსთაველს სამხრეთ საქართველოს მკვიდრად თვლიდა (იხ. არჩილის „თეიმურაზისა და რუსთაველის გაბასება“). ყველა ხალხური გადმოცემა, რომლებიც კი არსებობს დიდი პოეტის ცხოვრებაზე. დაბეჯითებით აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მესხეთიდან წარმომავლობას (იხ. ი. მეგრელიძის „გადმოცემები რუსთაველის შესახებ“, 1951 წ.). „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ინტერპოლატორთა და გამგრძელებელთა შორის ჩვენ ვხედავთ სწორედ მესხეთის მკვიდრთ. „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელების პროზაული ვარიანტი მიეწერება თმოგვის ციხის (მესხეთში) პატრონს სარგის თმოგველს, ხოლო ეს პროზაული ვარიანტი, როგორც ჩანს, გაულექსავს „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგიდან ჩვენთვის უკვე ცნობილ „ვინმე მესხს“. ამავე გაგრძელებებში, რომლის უძველესი პლასტი საკმაოდ არქაულად გამოიყურება, შეტანილია საინტერესო გლოსა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რომელსაც დართული ჰქონდა გაგრძელებათა პროზაული ვერსია, სწორედ თმოგვი

აღმოჩენილა, როცა ამ საგვარეულოს მიუტოვებია თავისი ძველი სამკვიდრო. მესხეთში „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებულ გავრცელებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამჟამადაც უძველესი ნაწყვეტი პოემიდან (მონასტრის კედელზე XV საუკუნის ხელით მიწერილი — იხ. ვ. ცისკარიშვილი „ჯავახეთის ეპიგრაფიკა“) აღმოჩნდა მესხეთის ტერიტორიაზე (ე. წ. ვანის ქვაბებში), აქვეა აღმოჩენილი პოემის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ხელნაწერის ფრაგმენტიც (პროფ. ი. აბულაძე). ინტერესს არ არის მოკლებული ის ფაქტიც, რომ სახელი შოთა გავრცელებული ყოფილა მესხეთის ფეოდალთა წრეებში, მაგალითად, ამაზე მეტყველებს აძიკვის წარწერა, სადაც მესხ დიდებულებთან, თორელებთან ერთად მოხსენიებულია, როგორც ჩანს, ამავე გვარის წარმომადგენელი შოთა. ამავე რიგისაა მესხეთში, ქვაბისხევის მონასტერში ახლახან აღმოჩენილი XII საუკუნის ფრესკა. აქ გამოხატულია ჭაბუკი ფეოდალი, რომლის სახელია შოთა (ნ. ბერძენიშვილი, ტ. I). დასასრულ, ამ საკითხისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალებსაც, საიდანაც დოკუმენტურად დასტურდება, რომ შოთა ფლობდა ვეზირის მაღალ თანამდებობას — მეჭურჭლეთუხუცესობას. თამარის ეპოქიდან მოყოლებული, სწორედ მესხი დიდგვაროვანი ფეოდალები (თორელები, ჯაყელები) ფლობდნენ მეტწილად აღნიშნულ თანამდებობას. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, ქმნის გარკვეულ შესაძლებლობას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მესხეთის ერთ-ერთ დიდებულთა საგვარეულოში ვეძიოთ.

საწინააღმდეგო მოსაზრება ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისს გამოთქვა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთმა პირველმა მკვლევარმა თეიმურაზ ბაგრატიონმა. მან პოეტის სამშობლოდ თბილისის ახლო მდებარე ციხე-ქალაქი რუსთავი მიიჩნია. ამგვარი ჰიპოთეზის დაშვება, ჩვენი აზრით, შესაძლებელია და, როგორც ვნახავთ, ამის გარკვეული საფუძველიც არსებობს. მაგრამ ჩვენს მეცნიერებაში არ გაიზიარეს აღნიშნული შეხედულების ისეთი სახით წარმოდგენა, როგორც ეს მოცემულია პ. ინგოროყვას შრომებში. „რუსთველიანას“ ავტორის მოსაზრებით, ჰერეთის ერისთავთერისთავი შოთა კუპარი (კუპრი) იყო ჩვენი პოეტი რუსთაველი. როგორც არაერთგზის აღინიშნა, მკვლევარის მიერ წამოყენებული დებულებები არაა სათანადოდ დასაბუთებული. ჰერეთის ერისთავები არ ფლობდნენ რუსთავს, ჰერეთის ერისთავთაგანს არცერთს, ამჟამად არსებული წყაროების მიხედვით, არ სჭერია მეჭურჭლეთუხუცესის სახელი, ხოლო შოთა კუპარი თამარის შემდეგდროინდელი მოღვაწე ჩანს (იხ. დ. მუსხელიშვილისა და ნ. შაშიაშვილის წერილები — ჟურნ. „ციცკარი“, 1965, № 2 და № 9).

ჩვენ საგანგებოდ ვერ შევხებებით სხვა ჰიპოთეზებსაც. მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულ შოთა ართავაჩოს ძისა და შოთა რუსთაველის იგივეობის საკითხს, რადგანაც ეს შესაძლებლობა მოხსნილია შემდეგ გარემოებათა გამო: შოთა ართავაჩოს ძეს მონაწილეობა მიუღია თამარის მამის გიორგი III-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში და, როგორც ჩანს, იგი ამ წელსვე სიკვდილით დაუსჯიათ (ყო-

ველ შემთხვევაში, იგი შემდეგ აღარ ჩანს წყაროებში). ასევე, დღეს უარყოფილია ზარზმის მონასტრის წარწერაში მოხსენებული შიო, შოთა ყოფილ ხურსიდის რუსთაველის სახელთან დაკავშირების ცდა, რადგან აღნიშნული ცნობა რამდენიმე საუკუნით გვიანდელ ამბებს შეეხება (პროფ. ვ. ბერიძე, „სამცხის ხუროთმოძღვრება“). თუმცა როგორც ზარზმის წარწერა, ისევე სადგერის წმინდა გიორგის ქება, სადაც მოხსენებული არიან შოთასძენი (ქება აღმოაჩინეს და გამოსცეს ი. აბულაძემ და ქრ. შარაშიძემ), ცხადყოფენ ამ სახელის გავრცელებულობას სამხრეთ საქართველოში.

ტრადიციულ შეხედულებას, რომ შოთა იყო მესხეთიდან, კერძოდ, ასპინძის ახლო მდებარე რუსთაველიდან, უკანასკნელ ხანებში შეემატა ზოგი ახალი მონაცემი. როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა ქვაბისხევის მონასტერში არსებული XII საუკუნის ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ჭაბუკი ფეოდალი „შოთა“ და, როგორც ჩანს, მისივე დედა „იაჲ“. ფრესკის აღმომჩენი აკად. ნ. ბერძენიშვილი ფრთხილად შენიშნავდა, არაფერი მოულოდნელი არ იქნება, რომ აქ გამონახულ ჭაბუკში შევიცნოთ ჩვენი პოეტი შოთა რუსთაველი (ტ. I, გვ. 228). ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს აკად. გ. ჩუბინაშვილიც, რომელიც ამავე საუკუნით ათარიღებს აღნიშნულ მხატვრობას. შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში, რასაკვირველია, შემდგომი შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს წინ არის XII საუკუნის პორტრეტული გამოსახულება, რომელსაც აწერია სახელი „შოთა“! თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პორტრეტი გამოსახულია ჩვენი ქვეყნის იმ კუთხეში, რომელსაც პოეტის სამშობლოდ თვლის ხალხის დიდებული ტრადიცია, ჩვენი ძველი ისტორიული წყაროები. პორტრეტი რაღაცნაირად თითქოს ეხმაურება იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოპოვებულ მასალებსაც (იდენტიფიკაცია შოთა რუსთაველისა და შოთა მექუტუკლეთუხუცესისა). იქნებ არც ის იყოს დასავიწყებელი, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ კუთხის ფეოდალთაგან (სამძივარნი — თორელნი, ჯაყელნი) იყვნენ გამოსული ის დიდებულები, რომლებსაც ეჭირათ მალაი თანამდებობა კარის ვეზირისა — მექუტუკლეთუხუცესობა. იქნებ აქ გამონახულმა ჭაბუკმა მთლიანად შემდეგში ვეზირის მალაი თანამდებობა? (იხ. ჩვენი წერილი „შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში“, ლიტ. გაზეთი, 1965, 14 მაისი). მაგრამ აქ მაინც უმთავრესი, ჩვენი აზრით, არის შემდეგი: ვინც არ უნდა იყოს ფრესკაზე გამონახული ჭაბუკი, ფაქტია, რომ სახელი შოთა უკვე დადასტურებულია XII საუკუნის მესხეთში.

აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველის დაკავშირება თორელთა საგვარეულო სახელთან 1927 წელს სცადა პროფ. ს. კაკაბაძემ, თუმცა შემდეგში მან ამ საკითხზე შეხედულება შეიცვალა (იხ. ურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 1). ახლახან საგულისხმო მოსაზრებანი წამოაყენა იმავე საკითხზე დოც. ნ. შოშიაშვილმა („ცისკარი“, 1965, № 9). მკვლევარი ისევე, როგორც აღრე ჩვენც (იხ. ლიტერატურული საქართველო,

1965, 14 მაისი) სწორედ თორელთა საგვარეულო სახელს უკავშირებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, რადგან „თამარ მეფის დროს მეჭურჭლეთუხუცესობა თორელებს უპყრიათ (შალვა თორელი), ხოლო თამარის შემდეგ XIII საუკუნეში ამ საგვარეულო სახელს ხან თორელები ფლობენ, ხან ჯაყელები — სამხრეთ საქართველოს ეს ორი დიდი საგვარეულო. ხოლო თუ შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი იყო, ეს მას აახლოებს სწორედ სამხრეთ საქართველოს ამ ორ დიდ საგვარეულოსთან და, კერძოდ, თუ წინა მონაცემებს გავიხსენებთ, თორელებთან და არა ჰერეთის ერისთავებთან. რომელთაც მეჭურჭლეთუხუცესობა მხოლოდ პ. ინგოროყვამ „მიანიჭა“ (გვ. 142). ამის შემდეგ საძიებელი რჩება საკითხი, იყო თუ არა ამ ეპოქაში თორელთა საგვარეულოდან ვინმე შოთა და შეეძლო თუ არა მას (თუკი არსებობდა ასეთი პირი) მიეღო მეჭურჭლეთუხუცესის მაღალი თანამდებობა? ორივე კითხვაზე პასუხი, ვფიქრობთ, გარკვეული მიმართულებით წარმართავდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ბიოგრაფიის ჯერ კიდევ საძიებელ საკითხებს. ამასთან დაკავშირებით გვინდა შევეცნოთ ერთ დოკუმენტს, რომელიც, ჩვენი აზრით, ძალზე საყურადღებოა ამ საკითხისათვის. ეს არის რუსთველოლოგიაში კარგად ცნობილი ჭიბერის სიგელი (დაწერილი). რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ (ქრონიკები, ტ. 1). როგორც ცნობილია, დაწერილი თამარის ეპოქას მიეკუთვნება და წარმოადგენს შეწირულების აქტს. ციხე-ქალაქ ყინვანის (მთიულეთში, საარაგვოზე) პატრონი ჭიბერი შიო მღვიმის ძველ-ქართულ მონასტერს სწირავს გლეხის ოჯახს (მიხითარაჲს ძეგბს). ჭიბერის დაწერილს ხელს ურთავს მეფე თამარი, ქართლის კათალიკოზი, თვით მანდატურთუხუცესი ჭიბერი. წარწერას ამოწმებს ვინმე შოთა, რომელსაც, როგორც ჩანს, მემკვიდრეობად მიუღია ეგვევ საპატრონო: „ქ, მე შოთაი, ჩემს ყინოვნის ქონებასაცა შიგა ამას ვამტკიცებ, ვითა ამასა შიგან სწერია“. დაწერილის მეორე მხარეს არის სხვათა ხელისმოწერაც (თ. ჟორდანიას აზრით, ესენი უფრო გვიანდელი მინაწერებია, ხოლო ს. კაკაბაძე მათ შოთას ძმებად მიიჩნევს).

ვიდრე შევეხებოდეთ აქ მოხსენებული შოთას ვინაობას, ორიოდ სიტყვა თვით ჭიბერის შესახებ. იგი „ქართლის ცხოვრებიდან“ ძალზე ცნობილი პიროვნებაა და, რაც მთავარია, დაწერილისა და მატრიანეთა ცნობები აქ ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. „ქართლის ცხოვრებით“ ჭიბერის თამარის მამის, გიორგი III-ის გაზრდილი და მისანდო პიროვნებაა. თანამდებობით მეჭინბეთუხუცესი, იგი ერთ-ერთი იმ ერთგულთაგანი იყო, რომლებიც მხარში ედგნენ თამარის მამას უალრესად კრიტიკულ მომენტში, როცა 1178 წელს მის წინააღმდეგ გამოვიდა ტახტის მაძიებელი, მისივე ძმისწული დიმიტრი (დემნა). თამარის დროს ჭიბერს ახალი აღზევება მიუღია. თამარმა მას უბოძა მანდატურთუხუცესობის მაღალი თანამდებობა (ისტორიანი და აზმანი: „და განაჩინა და უბოძა ჭიბერს მანდატურთუხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ხელთა მისთა“. ბასილი ეზოსმოძღვარი: „და შემდგომად ამისა მოიყვა-



ნეს ჰიაბერი, კაცი მართალი და ერთგული, და მისცეს მანდატურთუხუცესობა“). ამ დროის თითქმის ყველა სახელოვან ბრძოლაში ჩანს ჰიაბერი, ხან მეწინავეთა შორის, ხან როგორც მახარობელი, გამარჯვების მაცნე: 1190-იან წლებში, მეფის კარზე გამართულ დიდ დარბაზობაზე, მისთვის მიუბოძებიათ ახალი მამულიც: „ჰიაბერსა მანდატურთუხუცესსა მიუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე მრავლითა მთიულეთითა“ (შდრ. ჰიაბრის დაწერილის ზემოთმოტანილ ცნობას).

ამავე დაწერილიდან უნდა ვიფიქროთ, რომ ჰიაბერის შემდეგ ხელისმომწერი შოთა არის, მისი უფროსი ვაჟი, რომელსაც მემკვიდრეობით მიუღია ჟინვანის სამფლობელო, რასაც ადასტურებს მისივე სიტყვები: „ჩემს ჟინვანის ქონებასაცა შიგა“, ე. ი. როცა მე ჟინვანს ვფლობდიო, ამასთან ქართლის ცხოვრებიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰიაბერს ჰყავდა ვაჟები („ჰიაბერის ძენი“), რომლებიც სხვა ახალგაზრდა დიდებულებთან ერთად, დაულოცავთ თამარის კარზე<sup>1</sup>, მაგრამ ამაზე ქვემოთ. აქ კი გავყვეთ ჰიაბერისა და მისი უფროსი ვაჟის, შოთას ამბავს.

როგორც ირკვევა, შემდეგში ჰიაბერისათვის მანდატურთუხუცესობა სხვა თანამდებობით შეუცვლიათ, რადგან ბასიანის ომის დროს (1204 წლისათვის) მანდატურთუხუცესად ჩანს შალვა ახალციხელი (იგივე შალვა თორელი). მაგრამ აქვე დაცულია ისეთი ცნობაც, რომელიც გარკვეულ სინათლეს ჰფენს ჰიაბერისა და მისი ვაჟის ვინაობას. ირკვევა, რომ ჰიაბერი, რომელიც ამ ომში წინამებრძოლთა შორის იყო, ეკუთვნოდა თორელთა საგვარეულოს. ამ ადგილას ვკითხულობთ: „წინამებრძოლად (ბასიანის ომში — ს. ც.) იყო ზაქარია მხარგრძელი ამირსპასალარი, და ორნიცა იგი ძმანი ახალციხელნი შალვა და ივანე. დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო, ჰიაბერი და სხუანი თორელნი, და წარემართნეს ბასიანის კერძოსა“. მაშასადამე, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ შალვა და ივანეს მსგავსად (შალვა და ივანე ახალციხელები სხვა წყაროებითაც თორელებად ჩანან) ჰიაბერი თორელთა საგვარეულოს წევრია და ისევე როგორც მხარგრძელებს, სამეფო ლაშქარში მათაც ყოველთვის მეწინავეთა შორის დგომა ევალებოდათ. აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ასევე ესმოდათ პროფ. ს. კაკაბაძეს („ვეფხისტყაოსნის“ 1927 წლის გამოცემა) და აკად. კ. კეკელიძეს, როცა მან რუსულად თარგმნა „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტი. საინტერესო შენიშვნა მოეპოვება გლოსაზე — „დაღათუ შალვა მანდატურთუხუცესი იყო...“ — ლევან მუსხელიშვილს. როგორც მანდატურთუხუცესს, შალვა თორელს არ ევალებოდა მეწინავეთა შორის ყოფნა, მაგრამ როგორც თორელსა და ამავე დროს სახელგანთქმულ ვაჟაკს მაინც „ვერ მოუსვენია და ომში გარეულა, რაც უჩვეულო იყოო (თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა, გვ. 37) .

ჰიაბერის თორელობა მათიანის აღნიშნული ცნობის საფუძველზე ეკვიმიუტანელი ფაქტია. ამდენად თორელი ჩანს მისი ვაჟიც, აგრეთვე

<sup>1</sup> თუმცა შესაძლოა „ჰიაბრის ძენში“ სხვა გვარის პირებიც ვივულისხმოთ.

ქინვანის მფლობელი-მემკვიდრე შოთაც. ხოლო თუ ამას მივიღებთ, როგორც ვხედავთ, ჩვენ უკვე აშკარად ვუახლოვდებით საძიებელ საკითხს, მაგრამ მანამდე ორიოდ სიტყვა თორელებზე და მათ საპატრონო ადგილებზე.

თორი შუა საუკუნეების ერთ-ერთი ვრცელი საფეოდალო იყო. ვახუშტის ცნობით: „ვგონებ თორელთა სამთა ამათ ხეობათა — სადგერს, გუჯარეთს და მტკვრის ხეობას, ვინათგან სახელნი და ადგილნი მათნი ეგრეთ წარმოაჩენენ“ (ვახუშტისავე შენიშვნა, გვ. 83). ამჟამად თორის სახელით შემორჩენილია ერთი პატარა, უკაცრიელი სოფელი, რომელიც ნ. ბერძენიშვილის აზრით, ძველი საფეოდალო ტერიტორიის ნაშთია და თვით თორის ცენტრი სხვა ადგილას უნდა ყოფილიყო გაშენებული<sup>1</sup>. კოდიანის მთაზე ასულს თვალწინ წარმოუდგება აღნიშნული საფეოდალო ერთეულის საზღვრები (ერჯვენის მთა, ბაკურიანის მთები, მარცხნით მტკვრის ხეობა), რომელთა შორის მოქცეულია საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია, ხშირი ტყით დაფარული ტაფობი. ცნობილმა არქეოლოგმა ლევან მუსხელიშვილმა, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა გამოიკვლია თორელთა საგვარეულო ისტორია, შენიშნა, რომ თვით თორელები უძველესი ქართული საგვარეულოს სამძივართა შთამომავლები უნდა იყვნენო.

სამძივართა გვარი უკვე X საუკუნიდან მაინც იხსენიება ჩვენს წყაროებში. მაგალითად, ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ ანდრია მოციქულის მიმოსვლაში ნახსენებია „დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი“, რომელიც აწყურში მთავრობდა თურმე (მკვლევარის აზრით. ეს ცნობა ექვთიმეს დროს მაინც ასახავს, თუ უფრო ადრეულს არა). სამძივარნი თანდათან ძალზე ცნობილი გვარი ხდება ფეოდალურ საქართველოში. გავიხსენოთ თუნდაც თამარის ისტორიიდან კარგად ცნობილი კრავაი ჭაყელი, რომელმაც ყუთლურ-არსლანის გამოვლის დროს თავს იღვა მოციქულობა. იგი დიდი გამრეკელ-თორელის მეუღლეა და მისი შვილების „აწ მყოფთა სამძივართა“ დედა (როგორც ჩანს, სახელგანთქმული სარდლების შალვასა და ივანეს დედა, ხოლო მათი მამა დიდი გამრეკელ-თორელი ამ დროს უკვე გარდაცვლილი ყოფილა). სხვადასხვა ისტორიულ წყაროთა შეჯერებით ირკვევა, რომ ძველქართულ გვარეულობას, სამძივრებს, თორის დაუფლების შემდგომ მიუღიანთ თორელობა (თუმცა ხსოვნა. რომ ისინი მომდინარეობენ სამძივართა საგვარეულო სახლიდან, შემდგომშიც დარჩენილა), სხვათა შორის, ამავე შრომაში სავსებით დამაჯერებლად უარყოფილია ს. კაკაბაძის მოსაზრება, რომლითაც თორელები მხარგრძელთა საგვარეულოს მიეკუთვნებიან (იხ. ს. კაკაბაძე, წერილები... ტ. 1, ტფ., 1941 წ., გვ. 58—65).

<sup>1</sup> მართლაც. ძალზე საგულისხმო წარწერა შალვა ერისთავთ-ერისთავის მოხსენიებით 1947 წელს მოაკვლია აკად. ნ. ბერძენიშვილმა კიპოთეს უბანში, რაც საკმაოდ შორსაა სოფ. თორისაგან, საერთოდ კი თორის მიდამოები ხაკლებ შესწავლილია და, ეფიქრობთ, ეს ხარვეზი სასურველია მალე გამოსწორდეს.

თორელთა მიერ თორელობის მიღების გამო ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს: „თორელები, ცხადია, ამათ იმიტომ დაერქმეოდათ, რომ ისინი თორსა ფლობდნენ და გარკვეულ ხანაში, ალბათ, თორში ისხდნენ კიდევ, მართალია, თორის საზღვრები უძველეს ხანაში ცნობილი არაა (შესაძლებელია, მაგ., რომ X—XI საუკუნეებში თორი აწყვერსაც მოიცავდა), მაგრამ ცხადია, რომ ამ პროვინციაზე გადიოდა მაშინაც და დღესაც საეპრო და სტრატეგიულის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ორი გზა: ერთი მტკვრის ხეობით, სამცხიდან ქართლში, და მეორე ცხრაწყაროს უღელტეხილზე, ჭავჭავთიდან ქართლში. მაშასადამე, თორს, როგორც სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით საქართველოს გაერთიანების ხანამდე. შემდეგში თორელთა საგამგეო, როგორც ვნახეთ, ძალიან გაფართოვდა და მათი წოდება XII საუკუნიდან, არსებითად, უკვე ცარიელი ტრადიციალა ჩანს: თორელებს ყველგან ეხედავთ მმართველ-გამგეებად, გარდა თვითონ თორისა“ (იქვე, გვ. 33).

ეს უკანასკნელი დებულება განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენი შეხედულებისათვის. თამარის დროს თორელები განსაკუთრებით აღზევებული ჩანან. ამ სახლის ერთ-ერთი უფროსთაგანი შალვა თორელი მეჭურჭლეთუხუცესობასა და შემდეგ მანდატურთუხუცესობასთან ერთად, ვითარცა ერისთავთ-ერისთავი, ფლობს სხვადასხვა ტერიტორიებს. მაგალითად, შალვა თორელობასთან ერთად მოიხსენიება ახალციხელად, ასევე ახალციხელად იწოდებოდა მისი ძმა ივანეც. ასევე ცნობილია ერისთავთ-ერისთავი გამრეკელ-ლობიარი, რომელიც აგრეთვე თორელი იყო და ამ ზედწოდებას ფლობდა ლობიეთის სამფლობელოს (ასპინძის მახლობლად) პატრონობის გამო (ე. მეტრეველი, „მასალე-ბი“... გვ. 75).

ყოველივე აქ თქმული ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ჭიაბერ თორელსა და მის ვაჟზე. ჭიაბერი სხვა თორელთა მსგავსად მეფის კარზე იღვწის და იღებს მამულებს „ჟინვანს მრავლითა მთიულეთითა“. როგორც აღვნიშნეთ, ეს იყო ჩვეულებრივი წესი შუა საუკუნეთა ფეოდალურ საქართველოში. არამც თუ მესხეთიდან მთიულეთში, დასავლეთ საქართველოს დიდაზნაურნი სამფლობელოებს იღებდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, მესხეთში თუ სომხეთის მიდამოებში.

მეფის კარზე ასეთივე აღზევების გზა უნდა გაეკლო მის ვაჟს შოთა თორელსაც, რომელიც მამის მსგავსად ფლობდა ჟინვანის თემს. მაშასადამე, ჩვენთვის ამჯერად გარკვეულია შემდეგი: თამარის დროს თორელთა საგვარეულოში მოღვაწეობს დიდეზირის ჭიაბერის ვაჟი შოთა თორელი. ახლა საკითხი ეხება იმას, შეეძლო თუ არა ჭიაბერის ვაჟს შოთა თორელს მიეღო მეჭურჭლეთუხუცესობა და აგრეთვე რუსთველის ზედწოდება.

დავიწყეთ პირველი. ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ სახელო მეჭურჭლეთუხუცესისა თამარის დროიდან მოკიდებული ეპყრათ სამხრეთ საქართველოს ორ დიდ საგვარეულოს: თორელებსა და ჭაყულებს (როგორც ბექა ჭაყულისა და კახა თორელის კეთილმოყვარეობის წიგ-

ნიდან ჩანს, ეს ორი გვარი თავიდანვე ენათესავებოდა ურთიერთს. იხ. საქ. სიძვ. II, გვ. 7—8). მაგალითად, ქართლის ამირა აბულასანის შემდგომ (1191 წ.) მექურჭლეთუხუცესი არის შალვა თორელი (1205 წლამდე), ხოლო ჭაყვლებმა ეს სახელო უფრო გვიან, 1220-იანი წლებიდან, შეიძინეს მხოლოდ. როგორც ნ. შოშიაშვილმა გაარკვია ზემოხსენებულ წერილში, 1205—1220 წლებში მექურჭლეთუხუცესის თანამდებობა ვაკანტურია. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე სახელო ამ წლებიდან შეიძინეს მანამდე მანდატურთუხუცესად მყოფმა ჭიაბერმა ან მისმა ვაჟმა შოთა თორელმა? სხვა პრეტენდენტი ამ ხანებში, წყაროების მიხედვით, არ ჩანს.

ასევე ვარაუდის სახით შესაძლოა გავცეთ პასუხი მეორე კითხვა-საც. შოთა თორელს მექურჭლეთუხუცესობის გარდა ადრევე შეეძლო მიეღო ზედწოდებად რუსთველობა. აქ ანალოგიად გამოგვადგება კვლავ თორელთა საგვარეულო წევრთა ახალი გვარები, გამრეკელ-თორელი ატარებს ზედწოდებას „ღობიარი“, რადგან იგი თორელობასთან ერთად ფლობდა აღნიშნულ სამფლობელოს. ასევე ახალციხელობა მიიღო შალვა თორელმა და ა. შ. გავიხსენოთ, რომ შესხეთის რუსთავი ამ ხანებში ისწორედ თორელთა სამფლობელოებში შედიოდა. შოთა თორელს, რომელიც ყველაფრიდან ჩანს, ახლო ნათესავი იყო შალვა თორელ-ახალციხელისა, შესაძლოა სამამულედ ადრევე მისცემოდა შესხეთის ციხე-ქალაქი რუსთავი. აქედან კი ბუნებრივია წარმოსდგა მისი ახალი ზედწოდებაც — რუსთველი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში არც ის არის გამორიცხული, რომ თბილისში სამეფო კარზე სამსახურში მყოფ ჭიაბერს და მის ვაჟს შოთას თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავის მფლობელობაც მიეღოთ და აქედან მიეღო შოთა თორელს რუსთველობაც. პრეტენდენტი, რომ ეჩინვანის მფლობელს თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიც ჰქონოდა ხელთ, ამ ხანებში ნამდვილად იყო, მაგალითად, მექურჭლეთუხუცესს აბულასანს ხელთ ეპყრა ორივე ეს სამფლობელო (იხ. ლურჯი მონასტრის წარწერა). მაგრამ წყაროებით ამ ხანებში თბილისის რუსთავს სხვა პატრონი ჰყავს — ზაქარია მხარგრძელი, რომელმაც რუსთავი შეიმატა 1191 წლიდან (იხ. ქართ. ცხ. ტ. II, გვ. 55) და ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს ფლობდა იგი ამ ადგილს. ამდენად, ეს მეორე ვარაუდი ჭეჩქაროვით უფრო სათუოდ გვეჩვენება. მაშასადამე, უფრო რეალური ჩანს იმის დასაშვება, რომ შოთა თორელმა, შემდეგში მექურჭლეთუხუცესმა, რუსთველობა მიიღო თორშივე; შემავალი რუსთავისაგან, რომელიც მას ალბათ, როგორც თორელთა საგვარეულოს წევრს, სამამულედ ებოძა.

ახლა მოკლედ რომ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული, მივიღებთ შემდეგ სურათს: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი არის თამარის დროის დიდი პოლიტიკური მოღვაწე შოთა რუსთაველი. თამარის დროსვე მომხდარა მისი აღზევება და მას ეკავა ერთ-ერთი დიდვეზირის სახელო — მექურჭლეთუხუცესობა. იგი, საფიქრებელია, მხარში ედგა თამარს საქართველოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში (საინ-

ტერესოა, რომ თამარის ყველა ბრძოლის მონაწილედ გულისხმობს რუსთაველს არჩილ მეფე. იხ. მისი „თეიმურაზიანი“).

შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც ჩანს, თავისი წვლილი შეუტანია იერუსალიმის ქართული სავანის, ჯვარის მონასტრის გამწვენიერების საქმეში, რისთვისაც იგი ამავე მონასტერში გამოუხატავთ და თანამდებობის აღნიშვნით შეუტანიათ მოსახსენიებელთა წიგნში. ამასთან საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ შოთა წარმოშობით იყო მესხეთიდან, იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურად და კულტურულად ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე კუთხიდან (ამის საბუთებზე წარმოდგენილი იყო ზემოთ, ტრადიციული შეხედულების განხილვის დროს).

ჩვენი აზრით, მართებული ჩანს ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი ჰიპოთეზაც, რომელიც უფრო აზუსტებს ტრადიციულ შეხედულებას. შოთა იყო თორელი (მესხი) დიდებულის ჭიაბერის ვაჟი და მამამისის კვალობაზე მასაც დაუმსახურებია თამარის კარზე დიდი პატივი და მაღალი თანამდებობა. კერძოდ, იგი მეჭურჭლეთუხუცესად დაუნიშნავეთ 1205—1220 წლებში. სხვა სახელგანთქმულ თორელებთან ერთად, საფიქრებელია, მასაც არაერთხელ უბრძოლია ქართული ლაშქრის მეწინავეთა რიგებში. დასასრულ, რუსთაველობა მას მიუღია ვითარცა ზედწოდება თორელთა სამფლობელოში შემავალ იმდროისათვის, ალბათ, ციხესიმაგრედ ქცეული მესხეთის რუსთაველიდან.

ვარაუდის სახით შესაძლოა დადგინდეს. შოთას დაბადების თარიღიც. ამისთვის კვლავ ქართლის ცხოვრებასა და თვით პოემის რეალებს უნდა მივმართოთ, 1190-იან წლებში, თამარის კარზე საზეიმო ცერემონიალზე დაულოცავთ სხვა დიდგვაროვან ახალგაზრდებთან ერთად იქნებ, მართლაც, „ჭიაბერის ძენიც“. თუ ზემოთ მოტანილ ვარაუდს დავეუშვებთ, უნდა ვიგულისხმობთ, რომ მათ შორის იყო ჭიაბერის ვაჟი შოთაც, საფიქრებელია 25—30 წლის ჭაბუკი. მაშინ იგი დაბადებული ჩანს დაახლოებით 1160—1165 წლებში. პ. ინგოროყვას აზრით, შოთა თამარზე 6 წლით უფროსი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ტარიელი ნესტანზე — ამაში, ჩანს, არის ერთგვარი მინიშნება. თამარის დაბადებას ისტორიკოსები ვარაუდობენ 1168—1172 წლებზე. ამდენად, ეს თარიღიც თანხვედბა შოთას დაბადების წლებს, რომლებიც, რასაკვირველია. დაახლოებით შეიძლება მოიხაზოს. შოთას გარდაცვალების წლები ჩვენთვის ჭერჭერობით უცნობია. თუმცა თუ მის მეჭურჭლეთუხუცესობას 1220-იან წლებამდე ვივარაუდებთ (შემდეგ უკვე ყვარყვარე ჯაყელი ჩანს ამ ადგილზე), შესაძლოა დავეუშვათ, რომ პოეტი გარდაიცვალა არა უგვიანეს XIII საუკუნის 30-იანი წლებისა. საგულისხმოა, რომ ამ დროზე ვარაუდობენ შოთას იერუსალიმში ყოფნასაც.

ასეთი ჩანს ძირითად ხაზებში შოთა რუსთაველის ცხოვრების ქრონოლოგია. ჩვენ ხელთ არსებული ისტორიული წყაროები ჭერჭერობით ამაზე შორს წასვლის უფლებას არ გვაძლევენ, თანაც ეს არის მაინც

ფაქტები და მშრალი თარიღები, რომელთა იქით იმალება დიდებულო სახე ჩვენი პოეტისა. ამიტომ არის, რომ ჩვენი ხალხის ფანტაზიამ, თქმულებებისა და გადმოცემების სახით, ხორცი შეასხა, სულ სხვა ელფერი მისცა მგოსანთა-მგოსნის, დიდი რუსთველის შარავანდელით-მოსილ პიროვნებას.

ხალხური გადმოცემით, შოთა მესხეთიდან იყო, სოფელ რუსთავიდან, იგი სახელოვანი გვარის შვილია (თუმცა ზოგი თქმულება პოეტს დაბალ წრეს უკავშირებს და ამით ხაზს უსვამს რუსთაველის პოემის ხალხურობის სათავეს). პოეტს აღზრდა აქვე, საქართველოში მიუღია. თბილისიდან იგი იყალთოს აკადემიაში გამგზავრებულა, სადაც თითქოს იწვრთნებოდა სახელგანთქმული ქართველი ფილოსოფოსის ხელმძღვანელობით (ზოგი გადმოცემით, არსენ იყალთოელი, მაგრამ შოთას დროს არსენი უკვე გარდაცვლილი იყო). პოეტს სწავლა საბერძნეთში გაუგრძელებია (მართლაც, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული ქართველი ახალგაზრდები იგზავნებოდნენ საბერძნეთში არსებულ ქართულ სავანეებში — ათონში, ოლიმპოს მთაზე და ა. შ.). პოეტს შეუსწავლია ბერძნული, არაბული და სპარსული ენები, ამ ენებზე არსებული მწერლობა და ფილოსოფია. ამის უტყუარი მოწმეა თვით „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც პოეტის განათლების ხარისხზე ნათელ წარმოდგენას გვაწვდის.

განათლებული, მშვენიერი აღნაგობისა და რაინდულ თვისებათა მქონე პოეტი თამარის კარზე მაღალ თანამდებობაზე დაუნიშნავთ, ზოგი თქმულებით, იგი მეჭურჭლეთუხუცესია ან მოლარეთუხუცესი, ზოგით, მას ეპყრა მწიგნობართუხუცესის სახელო, როგორც ვნახეთ, ისტორიული წყაროები და მეტი წილი ლიტერატურული ხასიათის ცნობებისა ამ შემთხვევაში მხარს უჭერენ სწორედ პოეტის მეჭურჭლეთუხუცესობას. საინტერესოა, რომ ამ თანამდებობის პირი ჩვენში ყოველთვის ახლოს იყო არა მარტო ფეოდალურ არისტოკრატიათან, არამედ უკვე მომძლავრებულ ვაჭართა ფენასა და საერთოდ. ქალაქის სხვა ფენებთან. მაგალითად, ცნობილია ამ თანამდებობის პირები აბულასანი, ყურთლუ-არსლანი, კახა თორელი და სხვები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქალაქო ცხოვრებაში.

ამასვე მოწმობს გარკვეულად თვით „ვეფხისტყაოსნის“ მონაცემებიც, სადაც ჩანს თუ რა ახლოს იცნობს მისი ავტორი ვაჭართა ცხოვრებას, მათ ზნე-ჩვეულებებსა და აღებ-მიცემობის წესებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია პოემაში წარმოდგენილი ვაჭართა ქალაქი, რომლის მკვიდრნი არაჩვეულებრივი რეალიზმით არიან დახატულნი (თუმცა, როგორც ცნობილია, პოეტი საერთოდ ირონიით ეკიდება ამ ფენას).

თქმულებებისა და გადმოცემების უმეტესობა პოეტს რალაც განსაკუთრებული დაყინებით უკავშირებს თამარის სახელს. რუსთაველი თამარისადმი ამბობებული სიყვარულით ყოფილა შეპყრობილი. თამარი იყო მისი პოეზიის შთაგონება. ამის საბაბს გარკვეულად იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი, რომელშიც ზოგჯერ პირდაპირ, ხოლო ზოგჯერ მეტაფორულად არის გამოთქმული ეგვევ აზრი (პოემის წე-

რისას პოეტს თამარის თვალვით შავი მელანი უხმარია, ხოლო ხელთ თამარის ტანივით ნარნარი კალამი ჰქონია). თქმულებებს ამ საგანზე რამდენიმე რომანტიკული ვერსიაც მოეძებნება. რუსთაველი ამ სიყვარულის გამო ველად გაჭრილა (ველად გაჭრა, როგორც რაინდული წესის აღსრულება — იხ. „ვეფხისტყაოსანი“), ხოლო ზოგი ვერსიით, პოეტი სამშობლოდან გაუძევებიათ. ამჟამად არ ჩანს ამ ვერსიის რეალური წყარო და არც საერთოდ პოეტის გაძევების რაიმე მიზეზი, მაგრამ საფიქრებელია, რომ პოეტი შემდეგში უცხოეთში მართლაც გამგზავრებულიყოს (გავიხსენოთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მოხატვის ამბავი). მაგრამ ასეთი ვერსიის წარმოშობას გარკვეულად უწყობს ხელს თვით „ვეფხისტყაოსანიც“, რომელშიც ჩანს ავტორის მიერ მაშინდელი მსოფლიოს შესანიშნავი ცოდნა, ფართო გეოგრაფიული პორიზონტი. სამშობლოდან გადახვეწილი კაცის ხმა ისმის ავთანდილის უბრწყინვალეს კოსმიურ სიმღერაში, რომელიც მკითხველს უეჭველად მისი ავტორის ძალზე მწარე ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მიანიშნებს.

ძველთაგანვე შემუშავებული აზრით, მოგზაურობა, უცხო ქვეყნების ნახვა, ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების უპირველესი წყაროა. ამავე შეხედულებით, მით უფრო წარმოუდგენელია ბრძენი პოეტი და ფილოსოფოსი, რომელსაც თავის თვალთ არ უნახავს მსოფლიოს ყველაზე საკვირველი მხარეები. ასეთი მოგზაური პოეტის სახე აღრევე შემუშავებულა ჩვენს მწერლობაში. საგულისხმოა, მაგალითად, ჩახრუხადის ოდებში გადმოცემული მოგზაური პოეტის სახე, რომელსაც მოუვლია მთელი მსოფლიო, ათასგვარი თავგადასავალი გადახდენია (მათ შორის რომანტიკული ამბავიც), ლექსებით გასჭიბრებია სხვა მეფეთა კარზე მყოფ პოეტებს და ცოდნა-გამოცდილებით აღსავსეს სამშობლოსაკენ დაუპირებია გამომგზავრება. ჩვენს მეცნიერებაში აღნიშნულია, რომ პოეტი-მოგზაურის სახე გარკვეულად ენაშაურება შოთა რუსთაველზე წარმოშობილ ხალხურ ვერსიებს.

სახალხო მთქმელებმა შოთას ჰუმანიზმს თავისებური დემოკრატიული ელფერი მიანიჭეს. მართალია, შოთა მაღალი წრიდან იყო, მაგრამ იგი მაინც ყველაზე მაღლა პირად ღირსებას აყენებდა. ამ საფუძველზე შეიქმნა ბრწყინვალე თქმულება, რომელიც გადმოგვცემს შემდეგ ამბავს:

ერთ დიდ პოეტურ ტურნირზე თამარს დაუსვამს ასეთი შეკითხვა: რა უფრო ამშვენებს ადამიანს. წარმომავლობა თუ პირადი ღირსებაო. ზოგს რა უპასუხნია და ზოგს რა. მათი აზრით, გვარიშვილობა ადამიანის უპირველესი საუნჯეა, რადგან კაცი გვარიშვილობით ფასდება. მხოლოდ რუსთაველს გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი, რომელიც შემონახულია ბრწყინვალე სტრიქონებით:

ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზე ჰქონდათ ცილობა:  
პატრონი ყმასა ასაქმებს და ჰკუჟას — გამოცილობა,  
ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა,  
თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა!

ხალხის გადმოცემით, თამარს მოსწონებია და შესაფერისად დაუჯილდოებია კიდევ მგოსანთ-მგოსანი.

ქართველი ხალხის ცნობიერებაში შოთა რუსთაველის სახელი შესულია როგორც სიკეთისა და სილამაზის, სპეტაკი სიყვარულისა და ვაჟკაცობის უმაღლესი სიმბოლო.

\* \* \*

რუსთაველის ადრეულ თხზულებებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისევე როგორც ამავე ეპოქის ბევრ სხვა ლიტერატურულ ძეგლს, რომელთა არსებობაზე შემონახულია საკმაო რაოდენობის დოკუმენტური ცნობები. ყველაფრიდან ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რუსთაველის ერთადერთი ნაწარმოები არ არის. „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ვნახეთ, დაახლოებით 30—40 წლის ასაკში უნდა შეექმნა პოეტს, ვითარცა დიდი პოეტური წრთობის შედეგი. თამარის ეპოქის შემდეგ ჩვენ ქვეყანას საშინელმა ქარიშხლებმა გადაუარეს და, ალბათ, „ვეფხისტყაოსნისადმი“ უდიდესი სიყვარული რომ არა, იქნებ სრული სახით არც მას მოეღწია ახალ საუკუნეებამდე (როგორც ცნობილია, ზოგი თხზულება სრულიად შემთხვევით არის გადარჩენილი, მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი, როგორცაა გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიული თხზულება, მხოლოდ ერთი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული).

სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები თუ ხალხური გადმოცემები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს სხვა თხზულებებსაც მიაწერენ. მაგრამ ყველაზე სანდო მაინც თვით პოემის ავტორის ცნობაა. „ვეფხისტყაოსნამდე“ მას დაუწერია თამარისადმი მიძღვნილი სამქებრო პოემა (ან იქნებ ლირიკული ხასიათის ოდები), რაზეც პროლოგში პირდაპირ არის საუბარი. პოეტს ერთი რამ უნდა იტაცებდეს, ერთი უნდა იყოს მისი ქების საგანი. მეც მხოლოდ ერთს ვუძღვნი ჩემს ქებას (თამარს ვაქებ) და მასზე ადრეც მითქვამს ქების სიტყვებით („ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“).

ნ. მარი ერთ დროს ფიქრობდა, რომ პოეტის ეს ადრეული ნაწარმოები, ანუ თამარის ქება არის ჩვენამდე მოღწეული სახოტბო კრებული „თამარიანი“, მაგრამ ეს მოსაზრება შემდეგში არ იქნა გაზიარებული. „თამარიანი“ იმავე ეპოქის პოეტს ჩაბრუნაძეს ეკუთვნის, ხოლო რუსთაველის სამქებრო თხზულებას, როგორც ჩანს, ჩვენ დრომდე ვეღარ მოუღწევია.

ანტონ კათალიკოსი (1720—1788 წწ.) რუსთაველს მიაწერდა თამარის ცხოვრების ისტორიის დაწერას. დღეს არ არის ზუსტად გარკვეული თუ, კერძოდ, რომელი ისტორია ეკუთვნის შოთა რუსთაველს (თამარის ეპოქას აღწერს რამდენიმე მემატიაზე). რუსთაველს მიეწერება აგრეთვე რამდენიმე სასულიერო შინაარსის ჰიმნი. ფიქრობენ, აგრეთვე, რომ მასვე ჰქონია რომანტიკული ხასიათის პოემა მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულ სიუჟეტზე იოსებ მშვენიერის შესახებ



(3. ინგოროყვა). ხალხური გადმოცემით, შოთას ნათქვამია შესანიშნავი მუნასიბი (ეცსპრომტი). რომელშიც განდიდებულია კაცის პირადი ღირსება (ეს ლექსი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ).

აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის ავტორად (სტილზე დაკვირვებით და მასში გამოთქმული შეხედულების გამო) რუსთაველი მიაჩნდათ დიდ ქართველ პოეტს აკაკი წერეთელს, აკად. ნ. მარს და სხვა ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს.

„ვეფხისტყაოსნის“ დათარიღების საკითხი ფაქტიურად გადაწყვეტილია პოეტის ცხოვრების ქრონოლოგიის აღდგენის შემდგომ. იგი თამარის თანამედროვეა. მის მშვენიერ ღირსებათა თაყვანისმცემელი და დატანით (ანუ, როგორც პოეტი ამბობს, „შეფარვით“) პოემაც სწორედ თამარისადმია მიძღვნილი. ზოგადად ამასვე ადასტურებს პოემაში წარმოდგენილი სინამდვილე. გმირთა მოქმედების ასპარეზი ალზე ფართო გეოგრაფიულ არეებს მოიცავს. აქ ნახსენებია აზიისა და ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფო, მაგრამ ერთი სიტყვაც არ არის დამჩრდილი ისტორიის ახალ დიდ ტალღაზე, მონღოლთა უზარმაზარ სახელმწიფოზე, რომელთა სახელს ჩვენი მატრიანეები 1220-იანი წლებიდან უკვე კარგად იცნობენ. ამ სახის ისტორიული ანალოგიები სხვაც არის, მაგრამ უფრო დამაზუსტებელ ცნობებს ჩვენ თვით პოემის აროლოგი გვაწვდის. პოეტის ცოცხალ თანამედროვეთა შორის თამართან ერთად შექმბულია მისი მეუღლე დავით სოსლანი. თამარისა და დავითის ზეობის ხანა მოდის 1189—1207 წლებზე (დავითი და თამარი შეუღლდნენ 1189 წელს, დავითი გარდაიცვალა თამარზე ადრე, 1207 წელს). უფრო ზუსტად კი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა ამ თარიღის ბოლო წლებზე მოდის, რადგან უნდა გავიხსენოთ, რომ ზემომოხსენებულ საგმირო-საფალავნო რომანს „ამირან-დარეჯანიანს“ და სარგის თმოგველის „დილარგეთიანს“ იცნობს ჩახრუხაძის „თამარიანი“. ამავე თხზულებათა პერსონაჟებს ახსენებს თამარის ისტორიკოსი („ისტორიანი და აზმანის“ ავტორი), მაგრამ არცერთი ეს თხზულება არ ასახელებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს. უკანასკნელი გამოკვლევებით, „თამარიანი“ დაწერილი უნდა იყოს 1205 წლისათვის, რადგან აქ თამარის დროის უკანასკნელ ამბავთაგან ასახულია რუქნადინის დამარცხება ბასიანის ომში (იხ. ივ. ლოლაშვილის გამოკვლევა „მეზობლებები“, ტ. 1). მაშასადამე, „ვეფხისტყაოსანი“ დასრულებული უნდა ყოფილიყო 1205—1207 წლისათვის. ასე რომ, სრულ სიმართლეს შეიცავს პოემაზე დართული ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტროფი, სადაც „ვეფხისტყაოსანი“ ქრონოლოგიურად კლასიკური ხანის ერთ-ერთი უგვიანესი ნაწარმოებია. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იცნობს ნიზამი განჯელის პოემას „ლეილი და მაჯნუნი“, რომელიც დაიწერა 1188 წელს. ამასვე უჭერს მხარს ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელები უკვე XIII საუკუნის 30-იან წლებიდანვე პოპულარულნი ხდებიან. მაგალითად, ნ. მარმა აღნიშნა, რომ სახელი ტარიელი ერთ-ერთ ეპიგრაფიკულ წარწერა-

ში გვხვდება ამავე საუკუნის შუა წლებში. შემდეგში, „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობის ზრდასთან ერთად, არაჩვეულებრივად გავრცელდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელები და უპირველესი ადგილი დაიკავა ქართულ ონომასტიკონში.

1966 წ.

## „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შეხედულებით ჰეშმარიტი პოეტური ნაწარმოების შექმნა გმირულ შემართებას მოითხოვს. გონიერება და სიბრძნე, გული და გრძნობა ჰარმონიულად უნდა იყვნენ შერწყმულნი. პოემის პროლოგში, რომელიც არსებითად ავტორის პოეტურ კრედიტს წარმოადგენს, რუსთაველი ცალ-ცალკე ეხება აგრეთვე ისეთ ცნებებს, როგორცაა სიბრძნე, მიჯნურობა, გული, რომელთა რუსთაველისეულ გაგებაზე ამჟამად დიდძალი ლიტერატურა არსებობს. აღიარებულია, რომ ქართული პოეზიის ისტორიაში აქ გამოთქმულმა შეხედულებებმა ისეთივე როლი შეასრულეს, როგორც თავის დროზე არისტოტელეს „პოეტიკამ“ დასავლური მწერლობის განვითარებაში ან ბუალოს „პოეტურმა ხელოვნებამ“ ფრანგულ კლასიციზმში<sup>1</sup>. რუსთაველმა თავის პოემაში ბრწყინვალედ განასახიერა პროლოგში წამოყენებული მოთხოვნები და საბოლოოდ განიმტკიცა ქართული პოეზიის მამამთავრის სახელი. XVIII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ზუსტი შედარებით რუსთაველმა დარგო ქართული პოეზიის ფესვმაგარი ხე და ზედ უხვი ნაყოფი მოიწია.

პროლოგშივე გადმოგვცემს ავტორი თავის შეხედულებას პოეზიის სხვადასხვა სახეობაზე. როგორც ჩანს, რუსთაველისა და თამარის ეპოქაში ეს საკითხი პაექრობის საგანი ყოფილა. ამ ხანის პოეზიის ბევრმა ნიმუშმა (განსაკუთრებით მცირე ფორმის თხზულებებმა) ჩვენამდე თუმცა ვეღარ მოაღწია, მაგრამ მათზე დოკუმენტური ცნობები საკმაოდ არის შენახული. სხვა რომ არა, მათი არსებობის კვალი ჩანს თვით „ვეფხისტყაოსანში“.

შოთა რუსთაველი ასახელებს ლექსის რამდენიმე სახეობას და საკუთარი მსჯავრი გამოაქვს მათ შესახებ. პოეტის აზრით, ვრცელი ეპიური ტილოს შექმნა ყველაზე საპატიო და ამასთან ძნელად დასაძლევი საქმეა. მცირე ფორმის თხზულებებს და ე. წ. სალაღობო ლირიკას რუსთაველი მსუბუქი ყანარებად მიიჩნევს და ერთგვარი ირონიით სა-

<sup>1</sup> დაწვრ. იხ. გ. ნა დ ი რ ა ძ ე, რუსთაველის ესთეტიკა, 1958, გვ. 5—17; გ. ქ ი ბ ლ ა ძ ე, ხელოვნება და სინამდვილე, I, 1955, გვ. 80—91.

უბრობს მათზე. ასეთი ლექსების ავტორებს პოეტი ახალბედა მონადირეებს ადარებს, რომელნიც „დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს ხოცვა ნადირთა მცირეთა“. ეს პოლემიკური კილო უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მცირე ფორმის თხზულებები ჰოპულარული ყოფილა რუსთაველისდროინდელ ქართულ პოეზიაში და შესაძლოა, მასში გაბატონებული მდგომარეობაც ეკავა. პოეტის ძალა და ოსტატობა, რუსთაველის აზრით, გამოჩნდება დიდ სარბიელზე, როცა შემოქმედი შეეცდება მნიშვნელოვანი ამბების გადმოცემას. მეორეგან ამ შეხედულებას „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი პოეტური შედარებით განამტკიცებს: როგორც ცხენს გამოცდის გრძელი გზა და მობურთაღს მოედანი, ასევე ვრცელი ამბების თქმაა ქეშმარიტი მელექსის ოსტატობის საზომი:

მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,  
რა ველარ მიხვლეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმა ძვირობა.  
არ შემოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,  
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა (14).

რუსთაველი შესავალშივე ეხება ესთეტიკური ფორმის საკითხს. ამ შემთხვევაშიც მისი მსჯელობა პოლემიკურ იერს ატარებს. იგი აშკარად ემიჯნება მის დროს არსებული საკარო პოეზიისათვის შემუშავებულ პოეტურ სტილს და პირველ რიგში მოითხოვს სათქმელის ნათლად გამოხატვას. ეს მოთხოვნა ეხება არა მარტო ეპიურ ნაწარმოებებს, არამედ პოეტის მიერ მსუბუქე უანრებად მიჩნეულ მცირე ფორმის ლექსებსაც, რომელთა არსებობის გამართლება მხოლოდ ბუნდოვანი სტილისაგან თავის დაღწევას თუ შეუძლია („ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“. — 17). სინათლე და ლაკონიზმი, აზრის პლასტიკური გამოხატვა, რუსთაველის პოეტური სტილის ორგანული თვისებებია. პროლოგში წამოყენებულ ამ მოთხოვნებს პირველ რიგში ამართლებს თვით „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორია რუსთაველამდე რვა საუკუნეს მაინც ითვლიდა (უფრო ადრეულ ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია), მაგრამ თავის სრულყოფას ქართულმა ენამ კლასიკურ ხანაში მიაღწია. „ვეფხისტყაოსანი“ კი ამ ეპოქის სალიტერატურო ქართულის განვითარების მწვერვალს წარმოადგენს. უმთავრესს ქართულ ფოლკლორთან ერთად, რომლის ნაყოფიერი გავლენა ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ცალკეულ მოტივებში, ისე პოეტურ ენაშიც, რუსთაველს წინ უსწრებდა სასულიერო ხასიათის — ჰიმნური პოეზია. თუ ქართული სალექსო საზომები ადრევე შემუშავდა ფოლკლორის წიაღში და შემდეგ გზა გაიკაფა როგორც სასულიერო, ისე საერო პოეზიაში, ჰიმნოგრაფიამ (VIII—X საუკუნეებში საქართველოში უკვე არსებობდა ბრწყინვალე სასულიერო პოეზია) პოეტური ენის დახვეწა-განვითარების მხრივაც დიდად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართულ საერო პოეზიაზე. ქართული ჰიმნოგრაფია შეიძლება განვიხილოთ როგორც გარდამავალი საფეხური, ერთი მხრივ, ქრისტიანულ პოეტურ ტრადიციასა და რუსთაველს შორის (ქრისტიანულ ტროპიკაზე რუს-  
ფ

თაველთან იხ. ქვემოთ), მეორე მხრივ, (უპირატესად ვერსიფიკაციულად) ქართულ წარმართულ პოეზიასა და რუსთაველს შორის. ქართულმა ჰიმნოგრაფიამ კლასიკური ხანის საერო პოეზიას უანდერძა დახვეწილი პოეტური მეტყველება, დატვირთული ისეთი მდიდარი პოეტური სახეებით, როგორიცაა მეტაფორები, ეპითეტები, ჰიპერბოლები და ა. შ. მაგალითად, როგორც ცნობილია, ჰიმნოგრაფიაში ძალზე ხშირად გვხვდება ნათლის ტროპიკა, რომელსაც რუსთაველი თავისებური გადამუშავებით უმდიდრეს ესთეტიკურ ფუნქციებს აკისრებს.

ქართულმა კლასიკურმა პოეზიამ პოეტური მეტყველების თვალსაზრისით გარკვეულად შეითვისა ზოგი რამ აღმოსავლური მწერლობისა, კერძოდ არაბულ-სპარსული მწერლობის ტრადიციული პოეტიკიდან. რუსთაველი, გარკვეულ ფარგლებში, იყენებს უაღრესად ჰიპერბოლურ პოეტურ მეტაფორებს, რომელთაც თავისთავადი ესთეტიკური ფუნქცია აქვთ დაკისრებული. ძვირფასი ქვები და ვარდ-ყვავილები უხვად ბრწყინავენ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრობაში და ამ მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი ადგილი ეხმაურება აგრეთვე დასავლეთის კურთუაზიული ლიტერატურის იმ ვრცელ პასაჟებს, სადაც ძვირფასი სამოსისა და თვალ-მარგალიტის ბრწყინვალეობით ტკბობა არის გამოხატული, მაგრამ რუსთაველი მაინც მკაცრია სამკაულების არჩევანში და ძალზე გამიზნულად იყენებს მათ. პოეტს არც ერთ შემთხვევაში არ ღალატობს ზომიერების გრძნობა.

ბუნებრივია, რომ ქრისტიანულ სასულიერო მწერლობასთან ახლო ნაცნობობას, ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი ქრისტიანული თუ ნეოპლატონური ფილოსოფიის დაუფლებას, გარკვეული მიმართულება მიეცა რუსთაველის პოეტური მეტყველებისათვის. კერძოდ ეს სიახლოვე ყველაზე უფრო მოსალოდნელი იყო იმ პოეტურ საშუალებებზე, რომლებზე რუსთაველს გამოყენებული აქვს მეტად ძლიერი რელიგიური გრძნობის და ღვთის სიდიადის გამოსახატავად.

რუსთაველის პოეტური ენა ისეთივე მშვენივრით ბრწყინავს, როგორც მის მიერ დახატული იდეალური სამყარო. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი პოეტური სამკაულების მდიდარ საგანძურს ფლობს და კონკრეტული ესთეტიკური მიზნებით ანაწილებს მათ. სხვადასხვა პოეტური სამკაულები იმის მიხედვით, თუ, მაგალითად, პერსონაჟთა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება პოემის ესა თუ ის გმირი, სულ სხვა ფერწერა იჩენს თავს, როცა პოეტი ისეთ ადამიანებს გვიხატავს, რომელთაც იგი ჩვეულებრივთა რიგში აყენებს, ხოლო სხვაგვარია პოეტური საღებავები, როცა რუსთაველი თავის უპირველეს მიზანს ახორციელებს: წარმოგვისახოს მისთვის იდეალად მიჩნეულ ადამიანთა სახეები. ხოლო ფატმანის პორტრეტი, მაგალითად, პოემაში რეალისტური საღებავებით არის შესრულებული. ერთ სტროფში ძალზე ექსპრესიული სტილით დახასიათებულია მისი გარეგანი სახეც და სულიერი შიღრეკილებანიც (იხ. სტრ. 1077).

აქ დეტალი განუყოფლად ბატონობს ტროპზე („თვალად მარჯვე“, „არყმაწვილი, მაგრამ მზმელი“, „ნაკვთად კარგი“, „შავგვრემანი“,

„ღვინისმსმელი“, „სალუქი“ და სხვ.) იმ დროს, როცა მთავარი გმირების ხატვაში დეტალი და ტროპი სხვადასხვა პროპორციითაა შეზავებული. ფატმანის ჰიროვნების დამახასიათებელი დეტალებით უკვე შემზადებულია ეპიზოდი, რომლის გმირია მორალურ როგორიზმს მოკლებული, მაგრამ კეთილი ბუნების მქონე, ვაჰართა სამეფოს მკვიდრი ფატმან ხათუნი.

როგორც კი პოემაში სამოქმედოდ შემოდის იდეალური გმირი, ავტორი მყისვე მდიდარ ფერწერას, დიდი გაქანების ჰიპერბოლიზმს მიმართავს, ერთმანეთს ენაცვლება ამაღლებულობის გრძნობის მომგვრელი პოეტური სამკაულები. თინათინის ჰირველივე გამოჩენა მზიური ბრწყინვალეების განცდას ბადებს: „თინათინ მოჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა... ქალი მზეებერ სჰვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა“ (45). თინათინს მზეც ვერ უწევს მეტოქეობას: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“ (51). ასეთივე ხარისხშია დახატული ჰოემის იდეალური გმირები: ნესტანი, ტარიელი, აეთანდილი, ფრიდონი... ასტრალური შედარებები, ვარდ-ყვავილებისა და თვალმარგალიტთა მშვენიერებაზე აგებული მეტაფორები იდეალურ პერსონაჟთა დიდებულ გარეგნობას გვისურათებენ.

მაგრამ რაც უნდა მყარი და თვალსაჩინო იყოს რუსთაველის ტროპიკის კავშირი, ერთი მხრივ, დასავლურ-ფილოსოფიურ და ქრისტიანულ, მეორე მხრივ, აღმოსავლურ პოეტურ ტრადიციასთან, რუსთაველის პოეტური ინდივიდუალობა მკვეთრად მკლავნდება არა მარტო ამ ტროპების ხმარების მხატვრულ ფუნქციებში (გაზვიადებული ტროპიკით დახატულია განცდის ინდივიდუალური ნიუანსები), არამედ თვით ამ ტროპებში და მათს აღნაგობაში. ასე, რუსთაველის ტროპიკას, როგორც ეთქვით, ორი წყარო აქვს: აღმოსავლური („მზე“, მაგალითად იხმარება მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციით მშვენიერი ქალის აღსანიშნავად) და დასავლური. მაგრამ ნათლის წარმოდგენაზე დამყარებულ სახეებში რუსთაველი ერთსაც უხვევს და მეორესაც. ეს ტროპები მისთვის საესეა ინდივიდუალური ემოციური შინაარსით. მათსტანდარტულობის ნიშანწყალიც არ ეტყობა. ქართულ ჰიმნოგრაფიაში ჩვეულებრივ სახეს: „ნათელი დაუღამებელი“, „ნათელი მოუჩრდილებელი“, რომელიც ღვთის აღმნიშვნელია, რუსთაველი ქალის დასახსიათებლად იყენებს<sup>1</sup>. მაგალითად, თინათინზე ნათქვამია, „ნათელსა მას უღამოსა“ (682). „ნათელს“ მის ტროპიკაში თავისი გრადაციები აქვს: „მთვარე“ (ლამაზი ქალი) მისთვის ხან „მოვანებულია“, ხან „სავსე“, ხან „ნალევი“. „ვარდის“ ტრადიციულ მეტაფორასაც კი რუსთაველი თავისებურად ცვლის.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრობაში „ვარდი“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა. პოემაში ვარდი, ვითარცა ყვავილთა მეფე, სილამაზის, ტრფობისა და სისპეტაკის სიმბოლოა, ხოლო ეკლები მას-

<sup>1</sup> შდრ. შ. დლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, 1961, გვ. 112—114.

ძნელად მოსაპოვებელი სიყვარულის მშვენიერ სახედ ქმნის. პოემის პათოსი — ჭირში არგატება და სიყვარულისთვის ყოველგვარი ტანჯვის დაძლევა — ბრწყინვალედ გადმოცემულია ეკლიანი ვარდის იგავში:

ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?  
მიკვირს რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?“  
მან თქვა: „ტბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად:  
ოღეს ტურფა გაიფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად“ (868).

მაგრამ, როგორც ცნობილია, რუსთაველი არ ერიდება ამ ამადლე-ბული სახის იუმორისტული ფუნქციით გამოყენებასაც. გავიხსენოთ ფატმანისა და ავთანდილის სამიჯნურო ეპიზოდი. ავთანდილისადმი ფატმანის სატრფიალო ზრახვანი ყვავისა და ვარდის შეუფერებელი სამიჯნურო წყვილის ასოციაციას ბაღებს („თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია“. — 1254).

რუსთაველის შეხედულებები ციურ სხეულებზე ასტრალურ წარ-მოდგენებთან ერთად გარკვეულად გვიხასიათებენ პოეტის განსწავლუ-ლობის ხარისხს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის განათლებასთან უაზ-ლოეს კავშირს, მაგრამ ამჯერად იგი სხვა თვალსაზრისითაა ჩვენთვის საინტერესო. ასტრალურ წარმოდგენებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსთაველის პოეტურ ენაში. „ვეფხისტყაოსნის“ ფერწერა იმაში, რაც გმირთა განცდის ცვალებადობას შეეხება, ხშირად დამყარე-ბულია ასტრალურ წარმოდგენათა ვარიებაზე. ასტრალური სახე დი-ფერენცირებულადაა წარმოდგენილი პოემაში, იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა მხატვრულ ამოცანას ისახავს პოეტი.

თხრობაში პოეტი უფრო ხშირად მიმართავს ციურ სხეულთა წარ-მოდგენას, ვიდრე ამას ზოგჯერ მეტაფორული მეტყველებების ამოცანე-ბი უყარანხებს. პოეტი ერიდება პერსონაჟის სახელის ხსენებას: სახე-ლისა ან ნაცვალსახელის მაგიერ იგი სათანადო გაქვეავებულ სახეს იყე-ნებს: „მზე (თინათინი) უკადრი ტახტსა ზედა ჯდა მორკმული, არ ნა-ღევრი“. „გარდახდა და თაყვანი სცა ლომთა ლომმან (ავთანდილმა) მზეთა მზესა (თინათინს)“. მაგრამ ამ მეტაფორული შინაარსისაგან თითქოს დაცლილი მეტაფორებითაც. როგორც ითქვა, პოეტი გამოარ-ჩევს თავის იდეალურ გმირებს არაიდეალურისაგან: ეს გამოთქმები „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ და მხოლოდ იდეალურ გმირთა მიმართ არის გამოყენებული. იგი იდეალურ პერსონაჟთა არა მარტო სილამა-ზის, არამედ გამორჩეულობის პირდაპირი მანიშნებელია, რაც ზუსტად თანხვედება პოეტის იდეალურსა და მხატვრულ კონცეფციას.

ის, რაც აქ ითქვა ასტრალურ წარმოდგენათა გარშემო, მეტწილად მაინც ეხება იმ სახეებს, რომლებიც სტატიკური სილამაზის გადმოსა-ცემად იყო გამოყენებული. გამონაკლის შემთხვევებში განცდის დი-ნამიკის დასახატავად პოეტი კმაყოფილდება ისევ ციურ სხეულთა, ოღონდ, არა უცვლელ, არამედ მოძრავ ცვალებადობის პროცესში მყოფ ზეების მოშველიებით.

გმირის სულიერი ტანჯვის, მძიმე განწყობილების გადმოსაცემად, პოეტი მიმართავს გალეული, ჩასაქრობად გამზადებული მთვარის სა-  
86

ხეს, ხოლო საწინააღმდეგო ეფექტს ბადებს გავსებული მთვარე, როცა ეს პოეტს რაიმე დიდი სიხარულის გადმოსაცემად სჭირდება. აქ ერთმანეთში გადახლართულია არამარტო გარეგნული მიმსგავსება ადამიანურ განცდასა და ასტრალურ მოვლენას შორის, არამედ პოეტი თითქოს შინაგან კავშირს ეძებს და ფსიქოლოგიურ დასაბუთებაზე აყრდნობს მის მიერ წარმოდგენილ მხატვრულ სურათს. ამ შემთხვევაში პოეტი მაქსიმალურად იყენებს მისთვის ცნობილ ასტროლოგიურ წარმოდგენებს (მოდღვრებას ციურ მნათობთა გავლენაზე) და მხატვრული სიმბოლიზაციის გზით ქმნის თავისებურ პოეტურ სურათებს: ასეა გამოყენებული, მაგალითად, უძველესი მითოლოგიურ-ასტრალური რწმენა, რომელიც თითქმის ყველა ხალხის გადმოცემაში დასტურდება: მზეს, მთვარეს გველეშაპი (იგივე დრაკონი, ურჩხული) უპირებს შთანთქმას, რაც კაცობრიობის დაღუპვას მოასწავებს. „ვეფხისტყაოსანში“ ამგვარი სიმბოლური სახე უკავშირდება ნესტანს, რომლის გასაჭირისაგან დახსნა არის პოემის გმირთა ქმედების ფსიქოლოგიური საფუძველი.

პოეტურად გარდაქმნილი ასტრალური სახე (გველი მთვარეს უპირებს შთანთქმას) მთელ პოემას მიჰყვება და სრულდება ბრწყინვალე ეპიზოდში, რომელშიც გადმოცემულია ნესტანის ქაჯთა ტყვეობიდან დახსნა. ამ შემთხვევაში იგი გაგებულია როგორც სიკეთის ზეიმი და ბოროტების დათრგუნვა, გველი და მთვარის სახეც აქ უმთავრესი სიმბოლოს როლს ასრულებენ. ტარიელი პირველი შეანგრევს ქაჯეთის ციხე-სიმაგრეს და მისი ძმადნაფიცები ავთანდილი და ფრიდონი ერთად წააწყდებიან დიდებულ სანახაობას. განთავისუფლებული ნესტანი და ტარიელი იდგნენ „ყელიყელგადაკდობილნი“. სახე-სიმბოლო სრულყოფს ამ სურათს: „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1429). ეს არის პოემის ლოგიკური სრულქმნა, რაც სხვაგან გამოთქმულია რუსთაველისთვის დამახასიათებელი აფორისტული ფორმით:

მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,  
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია (1348).

ასტრალურ სიმბოლიკას ეყრდნობა მთლიანად „ვეფხისტყაოსნის“ საყოველთაოდ ცნობილი ეპიზოდი. უცხოეთში გადახვეწილი ავთანდილი მძიმე სულიერ განცდებს უზიარებს ციურ სხეულებს: მზეს, მთვარესა და ხუთივე ცთომილს. პოეტი იცნობს თითოეული მათგანის ასტროლოგიურ მნიშვნელობას და მათ უკავშირებს ავთანდილის სულიერ განწყობილებას. მზე ღვთის ხატია, მძლეუთა-მძლე მნათობი, უზენაესი უფლებებით აღჭურვილი, ზუალი (სატურნი) ასტროლოგიაში მწუხარებისა და სევდის მნათობია, მუშთარი (იუპიტერი) სამართლიანობას განაგებს, მარიხი (მარსი) მესისხლეა და კაცთა შორის შუღლის გამრიგე. ასპიროზ (ვენერა) მკურნალის თვისებებითაა აღჭურვილი, ოტარიიდი (მერკური) მწიგნობრობისა და ცოდნის მნათობია, ხოლო მთვა-

რე, როგორც ამას გვიხსნის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი კომენტარების ავტორი ვახტანგ VI, მოწყალეთა და სნეულთა გამგებელია ასტრალურ სიმბოლოთა ასეთი გააზრების დანიშნულებათა ამალღებულად წარმოგვიდგინოს ავთანდილის სულიერი განწყობილება. მნათობთა გ. სულიერება, რაც ქრისტიანობამ წარმართული რელიგიებიდან შეიძინა, აქ თავისთავად ქმნის ბუნების მშვენიერების განცდას და ამავე დროს მათ ადამიანის ბედის მონაწილედ წარმოადგენს, რითაც ირღვევა ადამიანური შემოზღუდულობის ვიწრო არეები. პოეტი ამ ხერხით აღწევს გრანდიოზულ მხატვრულ ეფექტს. ავთანდილის ლოცვა აღიჭმება, ვითარცა დროისა და სივრცის გარეშე არსებული კოსმოსური სიმღერა.

რუსთაველის პოეტურ მეტყველებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უზენაესის (ღვთაების) გამოხატვის თემას. ცნებები, რომლებითაც იგი მეტყველებს და რომლებშიც ღვთის სახელია მოხსენებული, უფრო ზოგადი და ყოვლისმომცველია, ვიდრე იგი გვხვდება ქრისტიანულ წიგნებში. ეს მომენტი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ქრისტიანი ავტორის დასავლური, კერძოდ, ქრისტიანულ ნეოპლატონური ფილოსოფიის ღრმა ცოდნაში. როგორც რუსთაველის რელიგიური აღმსარებლობის განხილვის დროს ჩანს, მისი ღმერთი „ერთია“, „უცნაური“ და „უთქმელი“, რაც სწორედ ნეოპლატონიზმიდან შევიდა შემდეგში განათლებული ქრისტიანული ავტორების შრომებში. პოეტი თავისუფლად იყენებს ამ ცნებებს და მისი მეტყველება დატვირთულია ქრისტიანული კატაფატიკით (ღმერთი წარმოდგენილია დადებით ცნებებში: ნათელი, ყოვლად ძლიერი და ა. შ.) და აპოფატიკით (მისი უარყოფითი ცნებებით გამოხატვა: უცნაური, უთქმელი და ა. შ.). პოემაში მრავალფეროვანი ვარიაციებით გვხვდება სინათლის, ნათლის სახება, რომელიც ღვთაების ბრწყინვალეობის გამოსახატავად სჭირდება ავტორს. ასტრალურ სახეთა მიმოხილვის დროს ვნახეთ. თუ რა დიფერენცირებულად არიან წარმოდგენილი ისინი პოემის მხატვრულ მეტყველებაში. მზე ღვთის ხატია, რომელთანაც მიახლოება ისევე არ იქნება, როგორც ღვთაებასთან. საინტერესოა პოეტური მეტყველების თვალსაზრისით, თუ როგორ კონტექსტშია წარმოდგენილი მზე, როგორც ღვთის ხატი. მას ისეთივე ლოცვით მიმართავენ, როგორც ღვთაებას:

აჰ, მზეო, გეაჩები, შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა,  
ვინ მდაბალთა გაამალღებ, მეფობასა მისცემ, სვესა,  
მე ნუ გამყარი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ ღღესა (946).

ნათლის ტროპიკასთან მიმართებაში ძალზე საინტერესოა „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული ერთი ოქსიმირონის ტიპის სახე. ერთ ადგილას, როცა კონტექსტში მოსალოდნელია ღვთაების ხსენება ან მისი შესაფერი ეპითეტის გამოყენება, პოეტს მოჰყავს შესიტყვება: „მზიანი ღამე“, რომლის რეალურ პლანში წარმოდგენა შეუძლებელია (აქ ღამე სიბნელის გამომხატველი ცნებაა, ხოლო მზე მისი საწინააღმდე-



გო საწყისი — წყარო სინათლისა). ერთი შეხედვით, მართლაც, ძალზე უცნაურმა სახემ („მზიანი ღამე“) რუსთველოლოგიაში სხვადასხვაგვარი ახსნა მიიღო. ზოგი მას რეალური ასტრონომიული მოვლენის ანარეკლად სთვლიდა. მათი აზრით, „მზიანი ღამე“ რეალურად არსებული მოვლენაა და იგი შეიძლება ნიშნავდეს ან პოლარულ „ოთხთვიან დღეს“ ან კი „ჩრდილოეთის ნათებას“. ასევე „მზიან ღამეს“ ჰორიზონტს ქვემოთ, დედამიწის უხილავ ნახევარზე მოძრავ მზეს უკავშირებენ. ზოგის აზრით კი, აქ დამახინჯებულია დედანი და თავიდან სხვა წაკითხვა უნდა ყოფილიყო. მაგრამ თვით კონტექსტი აშკარად მიგვანიშნებს, რომ „მზიანი ღამე“ არის ერთ-ერთი სახელი ღვათისა, ისევე როგორც სხვა ამ ტიპის სახელები. რუსთაველი წერს:

იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,  
ერთ-არსებისა ერთისა, მის უყამოსა ყამისად“ (826).

მაშასადამე, აქ ნათქვამია, რომ მზე „ერთ-არსება ერთისა“ და „უყამო ყამის“ ხატია. ასევე იგი „მზიანი ღამის“ ხატიცაა. „ერთ-არსება ერთი“ და „უყამო ყამი“ ღვთის სახელებია და ამდენად „მზიანი ღამე“ ღვთის სახელი გამოდის, რადგან პოემაში მრავალჯერ არის აღნიშნული, რომ მზე სწორედ ღვთის ხატს წარმოადგენს (იხ. „მზისმეტყველება“). ჯერჯერობით რუსთაველამდე არსებულ მწერლობაში, კერძოდ ქართულ ჰიმნოგრაფიაში არ დასტურდება გამოთქმა „მზიანი ღამე“ და შესაძლოა ჰირველად რუსთაველმა შემოიტანა ღვთის ასეთი სახელი ქართულ პოეზიაში, მაგრამ ასეთი სახე საერთოდ უნდა არსებუდიყო ქრისტიანულ მწერლობაში და, კერძოდ, ნეოპლატონიზმისგან დავალებულ ქრისტიან ავტორთა შრომებში. მაგალითად, ანალოგიური სახე სურათი გვხვდება ჩვენ დანტეს „სამოთხის“ 28-ე ქებაში, სადაც ლაპარაკია ღვთიურ წერტილზე (პირველი რკალი), რომელიც მზერას უზომბს ადამიანს ბრწყინვალეებისაგან. რუსთაველის ამ სახეშიც („მზიანი ღამე“) ღვთაებასთან მიახლოება შედარებულია მზესთან (რომელიც ღვთის ხატია) მიახლოებასთან. ბრწყინვალეობა თავის საწინააღმდეგო შედეგს იწვევს. ზედმეტი სინათლე აბრმავებს ადამიანს, მისთვის დგება ღამე მზის ნათებისაგან გამოწვეული (იხ. აგრეთვე სტრ. 1120, სადაც მეტაფორულად გამოთქმულია შეხედულება, რომ მზის სიახლოვე აბრმავებს ადამიანს). აქედან გადატანით, ღმერთი არის იგივე „მზიანი ღამე“. აღსანიშნავია, რომ იგივე სახე შემდეგში გამოიყენა XVIII საუკუნის ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა<sup>1</sup>.

რუსთაველის პოეტური მეტყველება, როგორც ვნახეთ, უმთავრესად მეტაფორას ეყრდნობა. ამ უკანასკნელის გაბატონებული მდგომარეობა სხვა ტროპებს შორის ტრადიციულად აღმოსავლურ პოეტიკაში და ქართული კლასიკური მწერლობა ამ შემთხვევაში გამოჩნდის არ არის. რუსთაველმა ქართული პოეტური აზროვნება გაამდიდრა უბ-

<sup>1</sup> იხ. სარგის ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966 წ., გვ. 30 — 37.

რწყინვალესი მეტაფორული სახეებით, რომელთაც იგი ასე უხვად, მაგრამ ზუსტად გამიზნული მისამართით იყენებს. მაგრამ რუსთველისთვის მეტაფორული აზროვნება მეტია, ვიდრე ტრადიცია. ეს მისი ინდივიდუალური პოეტური ბუნებაა, მიდრეკილებაა და სწორედ ეს უღვეს საფუძვლად „ვეფხისტყაოსნის“ პლასტიკურ მხატვრობას. ტრადიცია მისთვის, არსებითად, ისეთი საერთოდ მიღებული მეტაფორების ხმარებით ამოიწურება, როგორცაა „მელნის ტბა“ თვალების აღსანიშნავად, წამწამების ნაცვლად „გიშერი“, „ინდოთა ტომი“ (სიშავის ნიშნით). ლაწვის ნაცვლად „ბროლი“ და „ვარდი“, რომელსაც ლალისფერი გადაჰკრავს, ტუჩები „ძოწია“, კბილნი „მარგალიტნი“, თმა ხან „გიშერი“, ხან კი „ყორნის ბოლო“ და ა. შ. აღმოსავლურ პოეტიკას გაუცნობელ მკითხველს შესაძლოა თვალი მოსჭრას მეტაფორათა ამ სიუხვემ და გაუგებარიც კი მოეჩვენოს ზოგი სახე. მაგალითად, იმ ეპიზოდში, სადაც გამოყენებულია ნესტანის ვაჰართა ქვეყანაში (გულანშარო) ყოფნა, ფატმანი ასე აღწერს დამწუხრებული მიჯნურის (ნესტანის) უნუგეშო მდგომარეობას:

შინა შევიდა, მას წინა ედგის ცრემლისა გუბები,  
 შიგან მელნისა მორეჟსა ვეაროს გიშრის შუბები,  
 მელნისა ტბათა იღვრება საყსე სათისა რუბები,  
 შუა ძოწსა და აყისა სკვირს მარგალიტი ტყუბები

(1134).

ნესტანის სულიერი მდგომარეობა (იგი ტირილით გამოხატავს სატრფოსაგან შორს ყოფნით გამოწვეულ ტკივილს) აქ მეტაფორათა მთელი ზომლითაა გადმოცემული. განმარტებისათვის: „მელნის მორევი“ ცრემლიანი თვალებია, რომლებშიც ცურავენ წამწამები ანუ „გიშრის შუბები“, „მელნის ტბაც“ თვალებს ნიშნავს, საიდანაც ღვარად მოედინება ცრემლები (რუბი სათისა — სათის ანუ შავი ფერის სქელი სითხე.. რუბის მნიშვნელობას ასე ხსნის აკად. გ. წერეთელი), ხოლო წითელ ტუჩებს (ბაგეებს) შორის (მეტაფორულად — „ძოწი და აყიყი“) გამოსჭვირს ტყუბის ცალებივით ერთმანეთის მსგავსი კბილები (მარგალიტები).

მაგრამ ეს ტრადიციული მეტაფორები, რომლებიც ავტორისთვის თხრობის უბრალო მანერა უფროა, ვიდრე პოეტური სახეები, საკუთარივე, „ვეფხისტყაოსანში“ დაჩრდილულია სრულებით ორიგინალური, ძლიერი მეტაფორების გვერდით, რომელნიც ყოველგვარი ლიტერატურული ტრადიციების გარეთ დგანან და ავტორის საკუთარ პოეტურ ინტუიციას ემყარებიან: „სიხარულმან ამაჩქარა, ამათროლა, დაცამლევია“... და სხვა.

რაც შეეხება მეტაფორების ტრადიციულ ნაწილს, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იდეალური გმირების გარეგნული სილამაზის გადმოსაცემად დაახლოებით ერთნაირ მეტაფორულ სახეთა სისტემას მიმართავს: თინათინი ისევე ბრწყინვალეა, როგორც ნესტანი. ტარიელის თმები გიშერია, ხოლო წამწამები „ინდოთა რაზმი“. ასევეა დახატული ავთანდილი და ფრიდონი. მაგრამ, რაც შეეხება ორიგინალურ, მხო-

ლოდ ავტორის ინტუიციიდან მომდინარე მეტაფორებს, ესენი პოემაში არ მეორდება სხვადასხვა გმირთა მიმართ. ერთი მხრივ, ამ მეტაფორების სხვაობა, მეორე მხრივ, განცდათა სხვაობა ქმნის ინდივიდუალურ სხვაობებს „ვეფხისტყაოსნის“ იდეალურ პერსონაჟთა შორის, რასაც პოემის მხატვრული აღნაგობისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რუსთაველი ცალკეული პოეტური სამკაულების გამოყენებასთან ერთად მიმართავს ისეთ მეტაფორულ სახეებსაც, რომლებიც მთელ პოემას გასდევნენ და სიუჟეტის განვითარებაში გარკვეულ როლს ასრულებენ. ერთ-ერთი ასეთი სახეა ვეფხვის მეტაფორა, რომელიც ნესტანის სახე-სიმბოლოს წარმოადგენს. განრისხებული ნესტანი შედარებულია ვეფხვთან: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპარასა ვეფხი პირ-გამეხებული“. ტარიელისთვის ეს სახე შემდეგში განუყრელი შეიქმნა, ასე აღიბეჭდა მის ცნობიერებაში ნესტანის მშვენება. ველად გაჭრილი ტარიელი ვეფხვის ტყავით იმოსება, რაც ნესტანთან განუყრელობის გამონატულებაა. იგივე სახე უდევს საფუძვლად პოემის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ეპიზოდს, როცა ტარიელი გადაეყრება ჯერ მოტრფილს, ხოლო შემდეგ ერთმანეთთან მორკინალ წყვილს: ლომსა და ვეფხვს. აქ გადმოცემული ამბავი ვერ ეტევა რეალურის ჩარჩოებში — ტარიელი ვეფხვში თავის მიჯნურს შეიცნობს და მის კოცნას ლაპობს — ეს მხოლოდ გადატანით, მეტაფორულად უნდა გავიგოთ. მეტაფორის საფუძველია მიჯნურის განშორებით გამოწვეული ტკივილი და ტარიელის ცნობიერებაში აღბეჭდილი ნესტანის სახე ანუ განრისხებული ვეფხვი. პოემის სათაურიც ხომ ამგვარად გაგებული მეტაფორული სახის ხორცშესხმაა. პოემის სათაურშივე „ვეფხისტყაოსანი“ თავისთავად იგულისხმება არა მარტო ტარიელი, არამედ ისიც, ვის გამოც ველად გაჭრილი მოყვე ვეფხვის ტყავით არის შემოსილი.

„ვეფხისტყაოსანში“ ძალზე გამახვილებულია სილამაზის გრძნობა. ადამიანი, ისე როგორც პოეტს ჰყავს წარმოდგენილი, არის ბუნების უმაღლესი ქმნილება. ამიტომ იგი სიყვარულისა და ბედნიერების ღირსია. ასეთი განწყობილება მსჭვალავს პოემას და ამის შესაფერისია პოეტური სამკაულებიც. მეტაფორას პოემაში ერწყმის ერთმანეთზე უფრო მოხდენილი ეპითეტები, რომლებიც აგრეთვე არ იზღუდება რეალური განზომილებით და ბევრ შემთხვევაში მოვლენათა ჰიპერბოლიზაციას ეყრდნობა. მაგრამ მეტაფორა და ეპითეტი (რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლებიან) არ არის „ვეფხისტყაოსნის“ პოეტულ-ში ერთადერთი ხერხი. პოეტი ხშირად მიმართავს მხატვრულ შედარებას. ეს ხერხი ბევრად უფრო რეალური, მიწიერი, შინაარსით ავსებს პოემას, რადგან აქ შედარება შეუზღუდველია და ცხოვრების ყველა სფეროს ეხება, „გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნაჟისა“, — ამბობს ტარიელი მის სარეცელთან მოკრებილ ჭირისუფლებზე. კიდობანში მკიდროდ ჩაწყობილი აბჯარი „მწილთან“ არის შედარებული. შედარებისათვის მოხმობილია ქართული ხალხური ადათ-წესებიც: ხატაელ მოციქულთა მიღება მაყრების გამასპინძლებასთანაა შე-

დარებული: „ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა“, — ნათქვამია ავთანდილისაგან ასმათის პირველი შეხვედრის სცენაში და ა. შ.

ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის გარეგნობა როგორც აღვნიშნეთ, პოემაში ხშირად დაახლოებით ერთნაირი ხარისხის პოეტური სამკაულებით არის დახასიათებული (ტრადიციული შედარებები. იხ. ზემოთ) მათი გმირობაც თითქმის ერთგვაროვანი ჩანს, მაგრამ ქაჭეთის ციხის აღებამ მინც გამოავლინა მათ შორის უმამაცესი რაინდი — ტარიელი. პოეტი ასეთი შედარებით გამოხატავს ტარიელის პირველობას: წვიმებით მოდიდებული ხეები ზათქით და ზარით მოარღვევენ კალაპოტს, მაგრამ მათი ეს შმაგობა მყისვე წყნარდება, როგორც კი მათი წყალი ზღვას შეუერთდება. ტარიელი აქ ზღვასთანაა შედარებული, ხოლო ავთანდილი და ფრიდონი მოდიდებულ მდინარეებთან (ბუნებიდან აღებული დიდებული პოეტური სახეა).

მხატვრული შედარებები თავისი შინაარსით „ვეფხისტყაოსანს“ აახლოებს ხალხურ საწყისებთან. ასეთი ტიპის შედარებათა სიუხვე გარკვეულ სტილურ ნაკადს ქმნიან „ვეფხისტყაოსნის“ მთლიან მხატვრულ სისტემაში.

რუსთაველისთვის დიდად დამახასიათებელია გამოთქმის აფორიზმული ფორმა. უფრო ხშირად აფორიზმები სტროფის უკანასკნელ. მეოთხე ტაეპშია მოცემული და წინა სტრიქონებში მოცემული მსჯელობის ერთგვარ დასკვნას წარმოადგენენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების ბევრი ცალკე კრებული არსებობს და რომ პოპულარული წარმოდგენით პოემის სიბრძნე ხშირად ამ აფორიზმებთანაა გაიგივებული, რუსთაველისთვის აფორიზმები არა თუ თვითმიზანი არ არის, არამედ, შეიძლება ითქვას, ცალკეც კი არ არსებობს. აფორიზმული გამონათქვამები ჩართულია მოქმედების განვითარების საერთო კონტექსტში. ისინი, როგორც წესი, ემსახურებიან გმირის განწყობილებისა და შეხედულებების გამოხატვას მოცემული სიტუაციისა და მიხედვით უფრო, ვიდრე ზოგადი ქეშმარიტების გადმოცემას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი ავტორისეულ წიაღსვლებს წარმოადგენენ, მათი შინაარსი და განწყობილება პოემის სათანადო ეპიზოდის ზოგად ხასიათზეა დამოკიდებული, ასე რომ მათი ერთ სისტემად გაერთიანება, ან, მით უმეტეს პოეტის მსოფლმხედველობის ამ აფორიზმების მიხედვით განსაზღვრის ცდა, რასაც ხშირად ჰქონდა ხოლმე ადგილი ადრე, უნაყოფო საქმიანობად ჩანს.

რუსთაველს ახასიათებს პოეტური პარალელიზმის — როგორც დადებითის, ისე უარყოფითის ხშირი გამოყენება. დადებითი პარალელიზმი უფრო ხშირად გამოიხატება ორი ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვის — ერთი ქართულისა და ერთი უცხოურის ხმარებაში. მაგალითად, „მისით კითხვით წარმოსრულვარ, არ მთვრალურად, არ მახმურად“ (922), ზოგჯერ ასეთივე კონსტრუქცია გადმოცემულია მხოლოდ ქართული სიტყვებით. უარყოფითი პარალელიზმი დადებითზე უფრო ხშირია, მაგალითად, პოემაში არის ასეთი გამოთქმები: „ბრძენი გითხრობ, არა ხელი“, „ლმობიერი, არ გამწყრალი“ და ა. შ.

რუსთაველი არასისტემატურად. მაგრამ საკმაოდ იყენებს ალიტერაციას. ბგერითი განმეორებანი არ წარმოადგენს პოეტისათვის თვითმიზანს, მაგრამ ამასთან ერთად მისი ლექსის მუსიკალური მხარე საოცრად მდიდარი და მოწესრიგებულია. აღსანიშნავია, ერთსა და იმავე სტროფში ერთნაირ სიტყვათა სხვადასხვა ფორმაში დაყენება („დარი არ დარობს დარულად“). რაც პოეტისათვის ძალზე საყვარელი ხერხია. რუსთაველის მეტყველებაში დიდი ხვედრითი წონა აქვს ზმნების გამოყენებას. რითაც პოეტი აღწევს თხრობის არაჩვეულებრივ დინამიკას. ამის ნათელსაყოფად ერთი მაგალითიც კმარა: „დანა დაიცა, პოცაკედა, დაეცა, გასისხლმდინარდა“ (ზმნებთან ერთად თვით სახელებიც აქ ზმნურ ფორმებშია წარმოდგენილი: „გასისხლმდინარდა“).

რუსთაველამდე ქართული ლექსი, როგორც ეს ყველაფრიდან ჩანს, მრავალფეროვანი საზომებით იყო წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში ამ ეპოქისათვის ქართული ლექსის რამდენიმე სახეობა მაინც არსებობდა. მაგალითად, ოცმარცვლიანი საზომის მქონე ფისტიკაურის სახელით ცნობილი ლექსი, აგრეთვე ჩახრუხაული, რომელიც ოცმარცვლიანია, ოღონდ გართულებულია შინაგანი რითმით. რუსთაველი რომ იცნობდა ლექსის ამ სახეობებს, ეს უეჭველი ფაქტია. ერთ ადგილას პოემაში გამოყენებულიც არის ოცმარცვლიანი საზომი (სტრ. 762), რომელსაც პირველ ორ ტაეპში შინაგანი რითმაც ახლავს, მაგრამ პოეტს უპირატესობა თექვსმეტმარცვლიანი საზომისათვის მიუძღვია (ტაეპს შუაზე ჰყოფს ცეზურა) და პოემა ამგვარი ლექსით გაუმართავს. ლექსის ეს საზომი ჩვენში შაირის სახელითაა ცნობილი (შაირი — არაბულად ლექსი) და ქართულ მწერლობაში იგი X საუკუნიდან მაინც ლიტერატურული ფაქტია (ფილიპეს საგალობელი). ქართულ ხალხურ პოეზიაში მისი გაბატონებული მდგომარეობა იმაზე მიუთითებს, რომ ლექსის ეს სახეობა უძველეს ეპოქაში უნდა წარმოშობილიყო (სარიტუალო პოეტურ ტექსტებში ჩანს მისი არსებობის კვალი).

პოეტური თხრობის დროს ერთფეროვნებისაგან თავის დასაღწევად პოეტი იყენებს შაირის ორ ნაირსახეობას: დაბალსა და მაღალ შაირს, რომელთა გრაფიკული სქემა ასე შეიძლება წარმოვსახოთ:

დაბალი შაირი: იყო<sup>5</sup> არაბეთს<sup>3</sup> / როსტევან<sup>1</sup>მეფე<sup>5</sup> ღმრთისაგან<sup>3</sup> / სვიანი.

მაღალი შაირი: ნახეს<sup>4</sup>, უცხო / მოყმე<sup>4</sup> ვინმე <sup>||</sup> ჯდა<sup>4</sup> მტირალი / წყლისა<sup>4</sup> პირსა.

ორივე ამ ნაირსახეობას, ამ ზოგადი სახის გარდა, მოეპოვება რიტმული ვარიაციები იმის მიხედვით, თუ როგორ განლაგდება რიტმული ჯგუფები, რაც, თავის მხრივ, სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების პრინციპებს ემყარება. მაღალი და დაბალი შაირის სისტემურ მონაცვლეობას პოემაში რაიმე მყარი კანონზომიერება არ უნდა ედოს საფუძვლად, როგორც ამას ფიქრობს ზოგი მკვლევარი. ჩემის აზრით,

მათი მონაცვლეობა პოეტურ ინტუიციას ემყარება და თხრობის ერთ-ფეროვნების დასაძლევადაა შერჩეული. ამითაც მკვეთრად გამოირჩევა ვეფხისტყაოსანი შუასაუკუნეთა ეპიური თხზულებებისაგან.

კლასიკური შაირის სტროფი ოთხტაეპოვანია და გაწყობილია ერთ-ერთმაზე (კატრენი). რუსთაველი იყენებს ორ- და სამმარცვლიან რითმებს, არის ოთხ- და მეტმარცვლიანი რითმების გამოყენების შემთხვევებიც (იხ. „მაჯამები“). აღსანიშნავია შემდეგი კანონზომიერებაც: როგორც წესი, სამმარცვლიანი რითმა ასრულებს დაბალი შაირის სტრიქოსს, ხოლო ორმარცვლიანი — მაღალი შაირისას.

რუსთაველის პოეტური ენის დახასიათებისათვის საინტერესოა ზოგი სტატისტიკური მონაცემებიც. „ვეფხისტყაოსანი“, თუ ავიღებთ აღმოსავლური პოეტური ეპოსის მასშტაბებს, მოცულობით არც თუ ძალზე დიდი ნაწარმოებია. 1937 წლის საიუბილეო გამოცემაზე იგი შეიცავს 1669 სტროფს, ანუ 6676 ტაეპს (სტრიქონს). თუ ყველა სიტყვას (როგორც ძირითად, ისე დამხმარე) აღვნიშნავთ, მათი რაოდენობა 45 ათასამდე აღწევს, რაც შეეხება დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებს, და ეს არის უმთავრესი, მათი რაოდენობა 7066 აღწევს. ეს არის პოეტური მეტყველების უდიდესი მარაგი. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის არაჩვეულებრივ პოეტურ ძალაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული მარაგიდან 3700-ზე მეტი სიტყვა პოემაში მხოლოდ თითოჯერ არის გამოყენებული. რთული ამოცანის წინაშე იდგა რუსთაველი, როცა თავის პოემისათვის შეარჩია თექვსმეტმარცვლიანი საზომი კატრენული რითმით (აააა). სიტყვათშემოქმედების ბრწყინვალე ტალანტმა პოეტს საშუალება მისცა გადაეღობა ეს დიდი დაბრკოლება. აღსანიშნავია, რომ პოეტი თითქმის არსად არ იმეორებს თავის თავს. რუსთაველმა სრულიად ახალი ორიგინალური რითმებით გაამდიდრა ქართული პოეტური კულტურა.

1966 წ.

## მასხანავ მემჰჰსე რუსთაველური მიჯნურობის შესახებ

რუსთაველმა განუზომელი გავლენა მოახდინა ძველი ქართული მწერლობის იმ პერიოდზე, რომელიც ჩვენში აღორძინების სახელითაა ცნობილი (XVI—XVIII საუკუნეები). ეს გავლენა მეტწილად ეპიკური ხასიათისა იყო და ზღვასავით წამლევადი. მაგრამ ამ ეპოქის ყველაზე გამოჩენილმა წარმომადგენლებმა მაინც დააღწიეს თავი რუსთველისადმი მონურ მიმბაძველობას და შეეცადნენ ახალი გზები გაეკვლიათ. გარდატეხა პირველ რიგში ლირიკის სფეროში მოხდა. ახალი ქართული ლირიკა (ცნება პირობითია) ერთგვარად დაუპირისპირდა

რუსთაველის გავლენით შექმნილ ცრუ-კლასიკურ ეპოსს და პოეზიის ახალი თემები, ახალი ფორმები წამოაყენა. თუ უკვე თეიმურაზსა და არჩილთან გვაქვს სინამდვილის ლირიკული ათვისების ნიმუშები, სულხან-საბასთან, ვახტანგ მეექვსესა და გურამიშვილთან საბოლოოდ იმსხვრევა ძველი პოეტიკის გაყინული ნორმები და ქართული ლირიკული ლექსი თავისუფლად გამოდის განვითარების ახალ გზაზე. თავის თანამედროვე პოეტებთან ერთად, როგორც აღნიშნავს ა. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანმა „შეანგრია ქართული ლექსის ძველი ნორმების ციხე-სიმაგრე“<sup>1</sup>.

სხვა ახალ თემატიკურ მოტივებთან ერთად, აღორძინების ქართულ პოეზიას აქვს ერთი უმთავრესი თემა, რომელიც, ამ დროის სპეციფიკური ტერმინით რომ გამოვხატოთ, არის „მღურვა სოფლისადმი“. გარკვეულ ასპექტში ეს თემა გამოხატულებას პოულობს რუსთაველთან. მაგ., საკმარისია მოვიგონოთ ავთანდილის სიმღერა „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გქირსა...“, მაგრამ ამ განწყობილებას პოემაში კონკრეტული სიტუაციები განსაზღვრავენ, ხოლო მთელი პათოსი სწორედ ამქვეყნიური ბედნიერების მიღწევაა, რისთვისაც გმირებს დიდ წინააღმდეგობათა გადალახვა უხდებათ.

„სოფლისადმი მღურვის“ გამოხატვა აღორძინების ხანის მწერლობაში კი მთელი სისტემაა და ამას აქვს თავისი ღრმა სოციალური და პოლიტიკური საფუძვლები. ეს კარგად არის ცნობილი და მათი აქ გამოვლენა ძალზე შორს წაგვიყვანდა. ვახტანგ VI თვითონ იყო აღორძინების ხანის პოეზიის ერთი მიმართულების მეთაური და სიახლოვესთან ერთად მის შემოქმედებას რუსთაველთან მიმართებით ბევრი განმასხვავებელი ნიშანი მოეპოვება. კერძოდ, ვახტანგ VI ღრმად ჰქონდა შეგნებული „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. პირველი საერო წიგნი, რომელიც დაიბეჭდა მისივე მეთაურობით დაარსებულ ქართულ სტამბაში, „ვეფხისტყაოსანი“ გახლდათ. ვახტანგმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ რუსთაველოლოგიას — იგი მოგვევლინა როგორც ვეფხისტყაოსნის პირველი მკვლევარი და იდეური დამცველი. მანვე მოგვცა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სპეციალური ლექსიკოლოგიური შრომა.

ვახტანგის კომენტარების თეორიული ნაწილი ძირითადად ორი საკითხით იქცევს ჩვენს ყურადღებას. პირველი — ვახტანგი აქ ეხება „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ორიგინალობის საკითხს, ხოლო მეორე — მკვლევარი ცდილობს ახსნას პოემის იდეური შინაარსი და „აეად მჩხრეკელთაგან“ დაიცვას იგი.

იდეურ ბრძოლაში, რომელიც ამ ხანის მწერლობაში წარმოებდა რუსთაველის გარშემო, ერთი უმთავრესი საკითხი სწორედ პოემის სიუჟეტის ორიგინალობას ეხებოდა. არჩილთან ჩვენ გვაქვს ამის გამოძახილი: იგი რუსთაველსა და თეიმურაზს გულისხმობს შემდეგ სიტყვებში: „ბევრი რამ თქვეს მათ ამბავი, გადალექსეს თარგმანებით“. მაგრამ

ყველაზე მკვეთრი ნიშნები ამგვარი ბრძოლისა თვით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში მოგვეპოვება. „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქციები, თითქმის უკლებლივ, იწყება ცილისმწამებლური სტროფით:

პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,  
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორცს, არ სულად,  
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად,  
თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულად.

ფაქტია, რომ აქ ჩანს ეკლესიურ-კლერიკალური წრეების წარმომადგენელთა შეხედულება. „ვეფხისტყაოსნის“ მე-9 სტროფის („ესე ამბავი სპარსული...“) ვულგარული გაგებით მათ შეუთხზავთ პასკვილი<sup>1</sup>.

ვახტანგ მეექვსემ სცადა აღნიშნული მოსაზრების უარყოფა: მე-9 სტროფის კომენტარში იგი ასე მსჯელობს: „ეს ამბავი სპარსში არ არის: და სპარსთა კაი მელექსეობა იცოდნენ: და თამარ მეფე კარგი ლა ძალიანი ხელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდომა. ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო. რომე ქართლშიაც არ იყოსო? და უბრძანა მის მდივანს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო! აწ იმას ამბობს სპარსულის მიბაძვით, რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო, თ ვ არ ამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება. ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს, რომ, სპარსის ლექსის ბაძხედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ვთარგმნეო“ (გვ. სევ). ვახტანგის აზრი აქ სრულიად ნათელია. „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი სიუჟეტი სპარსეთში არ არის და რადგან ამ ტიპის ამბები გავრცელებული იყო სპარსულ მწერლობაში, ამიტომ რუსთაველმაც მას სპარსული ამბავი უწოდაო. ვახტანგ VI ეს სიტყვები სრულიად გაამართლა პოემის შემდგომმა კვლევეაძიებამ.

მეორე საკითხი, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა აღნიშნულ კომენტარებში, ეხება პოემის იდეური შინაარსის გაგებას. ვახტანგს ვარკვეული მიზანი დაუსახავს. ისევე, როგორც სიუჟეტის ორიგინალობის თაობაზე, აქაც იგი ცდილობს უხეში თავდასხმებისაგან დაიცვას „ვეფხისტყაოსანი“. ვახტანგის კომენტარები ამ იდეური ბრძოლის ნათელი გამოხატულებაა. თავის წერილში „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული განმარტება“ (ლიტ. გაზეთი, 1962. № 46) ა. ბარამიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ვახტანგი მიზნად ისახავდა გაგებათილებდნა ქართველი საზოგადოების კლერიკალურ-რეაქციული წრეების მიძიმე ბრალდებანი რუსთაველის პოემის იდეური მხარეების წი-

<sup>1</sup> საინტერესოა პირველი სტრიქონის სიტყვები „პირველი თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად“. აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ პოემა იწყებოდა იმ სტროფით, სადაც სპარსულიდან თარგმანზე საუბარი (მე-9 სტროფი: „ესე ამბავი სპარსული...“). მართლაც, ხელნაწერთა ერთი წგაუფი გვაძლევს თანაკლულ პროლოგს, რომელიც იწყება სწორედ მე-9 სტროფით (და სხვათა შორის, საკმაოდ ძველი ხელნაწერები: H—599 და სხვ.). ალბათ, ამის გავლენით შეიქმნა აღნიშნული პასკვილის ასეთი დასაწყისი და შემდეგ გავრცელდა სხვა ხელნაწერებშიც.



ნააღმდეგ. ვახტანგის კომენტარები წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ მდევნელთაღმი გამიზნულ პირდაპირ პასუხს, რის გამოც ამ კომენტარებს თავიდან ბოლომდე გასდევს ძლიერი პოლემიკური კილო და პუბლიცისტური მგზნებარება“. ვახტანგი აქვე შენიშნავს, რომ მისი თარგმანი ერთადერთი არ იყო და ამიტომ ხაზს უსვამდა თავისი შრომის მნიშვნელობას: „აწ ეს მისმინეთ: ვეფხისტყაოსანი მე ასე მითარგმნია, და თუცა უწესოდ იყო და ან უკეთ სცნოთ ვინმე. თქვენცა სთარგმნეთ, მ რ ა ვ ა ლ თ ა ო რ თ ა და ს ა მ თ ა უ თ ა რ გ მ ნ ი ა, ერთი მე ასე მივხვდი და მითქვამს; რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქვამს რა, და ვინც გინდა იმან სთარგმნეთ. სხვის ნათქვამს როგორ სთარგმნით, ყველა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს. აწ ასრე ვსთარგმნე, ვითა მას მოქმელსა ეთქვა“ (გვ. სპზ). ვახტანგის უმთავრესი მიზანი (პოემის დაცვა „ავად მჩხრეკელთაგან“) კარგად ჩანს გამოკვლევის დასაწყისშივე: „მე ვსწერ ძმისწული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას აშისთვის, (რომ) უტოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსკვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაოსა მსგავსად თვალთა, რომელთა ვერ სცნობენ მცნობელნი და ჭიქასა ქვად პატიოსნად სახელს სდებენ და მარგალიტთა მძივად პატივსცემენ, და ესეცა ვსთქვი მსგავსად ჭიისა, მის რომელი არს გვამთა მფრინველისათა, გემოვნებისა და განძლომისა თვისისათვის სკამს მფრინველსა მას; ჭამითა მით მასცა მოჰკლავს და თვითცა მოკვდების. ან მე ამისთვის დავშვერ, ეს ხომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს, რომ ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელადო (გვ. სპვ.).

ამ კეთილშობილურმა განზრახვამ და აგრეთვე ზოგმა სხვა მომენტმა ვახტანგი უკიდურესობამდე მიიყვანა. მან ჭანსალი, ჰუმანური იდეალებით გამსჭვალულ პოემას მისტიკურ ალეგორიული განმარტება მისცა. სწორედ არის შენიშნული, რომ ზოგჯერ ამ უკიდურესობას თვითონვე გრძნობს კომენტარების ავტორი. გრძნობს, რომ რუსთაველისათვის უცხო კონცეფციას ახვევს თავზე პოემას, მაგრამ კვალად და კვალად სწორედ პოემის „ავად მჩხრეკელთაგან“ დაცვა უქარანახებდა ამას. ვახტანგი თითქოს არც მალავს და პირდაპირ აცხადებს: „თუ უნდა ესეც არ იყოს, და ისე იყოს, თარგმანი ხომ ასრე სჯობს? ღმერთისა და კაცის წინ, მე ასე მიჯობნებია და ამას იქით მკითხველთ იცით, მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამაღ დავშვერ“ (გვ. სპვ).

ასეთი ტენდენციის გამო ვახტანგის კომენტარები ამა თუ იმ ფრაზის თუ სტროფის იდეური განმარტებისას, როგორც ცნობილია, ზოგჯერ აბსურდამდეც კი მიდის. სანიმუშოდ ორიოდ მაგალითიც კმარა: რუსთაველის ცნობილ სიტყვებს „არს პირველი მიჯნურობა, არ დაჩენა, ჭირთა მალვა...“, სადაც ლაპიდარული ენით ჩამოთვლილია მიჯნურობის ნიშანდობლივი თვისებები, ვახტანგი ასეთ თარგმანებს აძლევს: „უხმს მოღვაწეთა, იტყვის ქრისტე, იცხე თავი შენი და დაიბანე პი-  
7. ს. ცაიშვილი

რი შენი, რათა არა ეჩვენო კაცსა მმარხველად; ახლა ამას ამაზე უბნობს: თავი და პირველი მიჯნურობა ის არის, რომ კაცი დაფარვით მარხულობდეს და მოღვაწეობდეს და საჯაროდ არ ირჩებოდეს, თავის სენაკში იჯდეს სულ. თავის წინ თავის ცოდვას იგონებდეს და მუდამ ხალვა ჰქონდეს. ხალვა მარტოობას ჰქვიან და სასუფეველზედ რომ შორს არის, იმისთვის მუდამ იდაგებოდეს, სურვილის ცეცხლით იალებოდეს..." (გვ. სჟდ). ან განთქმულ სტროფზე „ჩემი აწ სცანიოთ ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია..." ვახტანგი ასეთივე განმარტებას გვაწვდის: „უბნობს: ჩემი ახლა სცანიოთ, ვინც მიქია მას ვაქებო, ვითომ ღმერთი უქია და იმასვე ვაქებო..." (გვ. სჟო).

მაგრამ ვახტანგი, ამგვარ ახსნასთან ერთად, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ აღმზრდელიობითი ხასიათის პოემაა და იგი სამაგალითოდ უნდა მივიჩნიოთ. „რუსთაველის წიგნი სულ სასწავლებელი არის“ და აქვე აყენებს ერთ საინტერესო კითხვასაც: რატომ აირჩია რუსთაველმა თავისი ნაწარმოებისათვის ზღაპრული თემატიკა? და პასუხსაც თვითონვე გვაძლევს: ხალხი უფრო ამ ფორმით მოთხრობილ საღვთო ამბავს დაუგდებდა ყურს და ზღაპრული ამბების გადმოცემით ღვთის სიყვარულს ქადაგებს ჰოეტიო: „რადგან საღმრთო ნახა, რომ არავინ კითხულობდა, სოფლის ზღაპარს უფრო წაიკითხავდნენ, მსოფლიო ზღაპარი მოიგონაო... მაგრამ ასეთი ზღაპარი არა უთქვამს, რომ საცოდავი იყოს“. ეს თვალსაზრისი ვახტანგს კიდევ უფრო გაღრმავებული აქვს, როცა რამდენჯერმე შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ცალკე არც საერო და ცალკე არც საღვთო ნაწარმოებია, არამედ იგი საღვთოცაა და საეროც. უკეთ, საერო ამბებით აქ გამოხატულია საღვთო მოძღვრებაო. მართლაც, ეს მოსაზრება კარგადაა გამოხატული ბოლოსიტყვაობის ერთ სტროფში:

დაესრულა ესე წიგნი ქორონიკონს უნსა სმელსა,  
ვეელაკასა უხაროდა რიტორსა და ხმა უსულსა.  
საღმრთოა და საეროცა ვისაცა აქეს სმენა გულსა,  
უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა.

როგორც ცნობილია, მომდევნო ხანაში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ვახტანგის აღნიშნულმა თეორიამ ვარკვეული რეაქცია გამოიწვია როგორც პოემის დამცველთა, ისე მოწინააღმდეგეთა შორის. საკმარისია გავიხსენოთ ტიმოთე გაბაშვილის შენიშვნა, სადაც რუსთაველთან ერთად მისი პირველი მკვლევარი და კომენტატორი ვახტანგ მეექვსეც არის გაკიცხული, „(რუსთველი) მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა...“, ხოლო აშკარად ვახტანგ მეექვსესე ეხება შემდეგი სიტყვებით: „...ხოლო უწინარეს, ჩვენსა უმეცართა საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“. მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ განადგურების შესახებ, უნდა ეხებოდეს სწორედ ვახტანგის გამოცემას. ვახტანგ მეექვსის კომენტარების განადგურების მიზნით დაუწვავთ 1712 წლის გამოცემა (შდრ-58

ს. ყუბანეიშვილი, 1712 წლის გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX საუკუნეებში. ლიტ. ძიებანი, 1943 წ.).

ხშირად ვახტანგის აღნიშნული თეორიის წარმოშობას მხოლოდ იმით ხსნიან, რომ კომენტარების ავტორს უნდოდა რუსთაველის დაცვა კლერიკალური წრეების თავდასხმისაგან. ამ პოლემიკურმა ტენდენციამ განსაზღვრა ვახტანგის უაღრესად მისტიკურ-ალეგორიული თეორიის წარმოშობა.

ამ საკითხს უფრო ღრმად უნდა შევეხოთ. ირკვევა, რომ ის, რაც ვახტანგმა რუსთაველს მიაწერა, იყო მისივე რწმენა, გამომდინარე მისივე შემოქმედებითი პრაქტიკიდან. ამ თვალსაზრისით ვახტანგ მეექვსე არ არის გამონაკლისი აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში. ამ ხანის მწერლობამ „სოფლისადმი მღურვის“ მოტივებთან ერთად შეიმუშავა სიყვარულის თავისებური თეორია, მოგვცა მიჯნურის თავისებური სახე. როგორც ყოველივე ამქვეყნიური არის წარმავალი, ასევე წარმავალია ყველაფერი, რაც არ სცილდება ადამიანურ მიმართებებს. ასევე მოჩვენებითია სიყვარული ადამიანებს შორის, რადგან ამის დასაძლევად არსებობს ერთი გზა — გზა ღვთაებრივისაკენ, რადგან იგი არის თავი და ბოლოც, პირველი და დაუსრულებელიც. ადამიანს მოეპოვება უდიდესი სწრაფვა სიყვარულისა და იგი მთლიანად უმაღლესისაკენ უნდა მიმართოს. თავდავიწყება და საკუთარი არსების დათრგუნვა ამავე დროს არის მიახლოება და გათქვეფა უმაღლესში, რაც ქრისტიანი ავტორების ენით წარმოადგენს ქრისტე ღმერთს. ამ თეორიამ კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა აღორძინების ხანის ქართულ პოეზიაში და თანდათან მძლავრად მოიკიდა ფეხი. სიყვარულზე ამგვარი შეხედულება გარკვეული ელემენტის სახით შეინიშნება უკვე არჩილთან. თავის „ანბანთქებაში“ იგი ამბობდა:

ა, სულ ასულა მკვრეტნი დასულა,  
ესე ვინაა ჩემი ასულა?  
ვიმკობ ქებასა შენ, სამებასა,  
ხელთა შეგვედრებ ხვეწნითა სულა.

სტროფის შინაარსია: მკვრეტელთ მთელი დასი (შეპყურებს), თუ რა სიმალლეზე იმყოფება (არის) ის, ვინც უნდა ვიგულისხმოთ ჩემ ასულად. ვცდილობ შეგაქო შენ, სამებაო, და მთლად შენ მოგენდობი (შენ ხელთა ვარ).

ასეთი ხასიათის რამდენიმე შენიშვნა მოიპოვება არჩილის მიერ გალექსილ „ვისრამიანის“ შესავალში.

ყველაზე მძლავრად ეს მოტივი მოიცავს ვახტანგ მეექვსის შემოქმედებას. როგორც ცნობილია, ვახტანგმა მთელი მიმართულება შექმნა აღორძინების ხანის პოეზიაში. ვახტანგ მეექვსეს მოეპოვება რამდენიმე ლირიკული ლექსი, რომელსაც თავიდან ბოლომდე მსკვალავს სიყვარულის აღნიშნული თეორია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვახტანგ მეექვსე ღრმად მორწმუნე პოეტია და თითქმის ყველა მის ლირიკულ ლექსს ახასიათებს ამგვარი განწყობილებები. ვახტანგს სპარსეთში

ყოფნის დროს დაუწერია მის შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ლირიკული პოემა „სალბუნად გულისა“. წმინდა ლირიკული ფორმით, განწყობილებიდან განწყობილებაზე გადასვლით, პოეტი აცოცხლებს მოგონებებს, რომლებიც დაკავშირებული არიან სამშობლოში ყოფნის დღეებთან, უზრუნველ ახალგაზრდობასთან. შიგადაშიგ სიცოცხლით სავსე დღეთა მოგონებები გამუქებულია მძიმე განწყობილებებით. რაც გამოწვეული იყო პოეტის უსამართლო ხვედრით. აქ არის სტრიქონები, რომლებიც თითქოს მიგვანიშნებენ ავტორის სამიჯნურო განწყობილებაზედ, მაგრამ მათი ბოლომდე წაიკითხვა აშკარად აჩენს ამ ტრფიალის ხასიათს. საინტერესოა ამ ლექსის პირველი სიტყვები, სადაც რუსთველური მეტაფორები უხვადაა გამოყენებული, ხოლო მიზანდასახულება კი სრულიად სხვაა:

გიშრისა მშვილდმა, მელნის ტბამ, გლაბ, გული წყლული მიწამა,  
ბროლმა და ლალმა გარევით ლამის დღეთ სიგრძე მიწამა,  
ერემლი მდის მიწვივ თვალთაგან, ვეპე, გულმან შენმაც მიწამა,  
რად არ გეწყალვის მიჯნური, შეშქამოს უღროდ მიწამა (8).

ვახტანგის პოეზიაში გამოყენებულია ერთი ხერხი, რომელიც შემდეგში განავითარა დაევით გურამიშვილმა. ეს არის სინამდვილის გამოსახვის რამდენიმე ასპექტი. კონკრეტულ ფაქტზე თუ შემთხვევაზე აგებული ლექსი საბოლოოდ გააზრებულია მისტიკურ ალეგორიად და ამქვეყნიურ მოვლენათა უკან იგულისხმება მარადიული სასუფეველი. თითქოს კონკრეტული ქალის სილამაზეა აქ შექმნილი:

ღაწვი ჰქონდა ვარდის ფურცლად, პირი შროშნად, ტუჩი ლალად,  
თვალნი მელნად, წარბი სათად, თმა სუნბულად, კბილი სრალად,  
ყელი ვერცხლად, ძუძუ-მკერდი ბროლსა გვანდა მანათალად,  
ტანი ალვად, ხელ-მკლავები მოგრძო მშვილდებ მოსაკრძალად.  
(„სატრფიალონი“, 97).

მაგრამ ლექსის ბოლომდე გააზრებას სულ სხვა დასკვნამდე მივყავართ. ასე საგნობრივად აღწერილი ქალის სილამაზე აქ მხოლოდ მოჩვენებითია. ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარების დროს, ვახტანგი ასაბუთებს თავის ამ თვალსაზრისს და პოეზიის ენით გადმოსცემს:

სძალსა უნდა ჩემი მისვლა, მაწვევს მეტად დანახშირად,  
ვერ მივსულვარ უხამსობით, თავის მიჩან მოდღუბვირად.  
მწიკვლითა ვარ შემოსილი, უღირსალი, ჩემად ჭირად.  
უნათლოა ლამპრის ზეთი, მისგანა ვარ განამწირად.

კაცსა მართებს, სატრფიალოს დაქებდეს ტურფად კარგსა,  
არ შეუღრკეს შეჭირვებას, არ მიხედოს სხვისა ნარგსა,  
ცეცხლიც მისთვის ბანბად უჩნდეს მეფობისა შენადარგსა,  
დასთმოს წუთი საშვებელი, მისით გვახდეს განაბარგსა.

(„სატრფიალონი“, 9 და 8 სტრ.).

ვახტანგის პოეზიაში „სოფლისადმი მღურვასთან“ ერთად სიყვარულ-

ლის ალეგორიულ-მისტიკური გააზრება სისტემადაა ქცეული და, როგორც აღვნიშნეთ, იგი მთელი მიმართულების შემქმნელია XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში. ემიგრანტული პოეზიის ბევრ სხვა წარმომადგენელთან ერთად მის გზას მიჰყვებიან მამუკა ბარათაშვილი და დავით გურამიშვილი. განსაკუთრებით საყურადღებოა მამუკას „ჰაშნიკი“, სადაც ეს თეორია ერთგვარ სახელმძღვანელო პრინციპადაა ქცეული. მამუკა აღნიშნავს: „... ეს სწავლა დავსწერე, რომ ლექსი ურიგოდ არავის მიუვიდეს, რადგან ამთენი კარგიცა და ავიც გამოვა, მაშ, მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს; თუ სააშიკო ლექსი უნდა, ღმრთის სააშიკო, ეკლესიისა წმიდათა (ამბავი გალექსოსო)“. აქვე, როგორც ცნობილია, იგი სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვახტანგის სიტყვებს და რუსთაველის ღირსებას იმაში ხედავს, რომ საერო ფორმით საღვთო მოძღვრება გადმოგვცაო. როგორც რუსთაველსო, — წერს მამუკა, — ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი საღმრთოდ საერო სწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი მეფეს რომ უბრძანებია, ის გამოაცხადებს, მაგრამ ზოგიერთ მელექსეს იმისი წიგნი ცუდს სააშიკოდ გაუსინჯავსო... მამუკა ბარათაშვილი ზოგ ლექსში უეჭველად მისდევს ამ თეორიას. თუმცა იგი ხშირ შემთხვევაში კონკრეტულ-გრძნობადი ხერხითაც გვიხატავს სატრფიალო ობიექტს.

დავით გურამიშვილმა არა ერთი ნიმუში მოგვცა მისტიკურ-ალეგორიული პოეზიიდან და აქ იგი ძალიან ახლოს დგას ვახტანგ მეექვსესთან. კონკრეტულ ფაქტში მისტიკური სიმბოლიკის ამოკითხვა მის შემოქმედებაში ნაცადი ხერხია. გურამიშვილის ამ სახის ლექსებში ვხედავთ ცისკენ სასოებით მზირალ ადამიანს, რომელიც უპირველეს სიკეთედ ღვთაებასთან მიახლოებას მიიჩნევს.

როგორც ცნობილია, სიყვარულის მისტიკურ-ალეგორიული პოეზია განიხილა კ. კეკელიძემ. მან გამოაქვეყნა სპეციალური ნარკვევი: «Отражение восточного суфизма в древнегрузинской поэзии» (ეტიუდები, II, გვ. 281—286), რომელშიც მიმოხილულია აღმოსავლეთში არსებული უდიდესი ფილოსოფიურ-რელიგიური მოძრაობა, რომელიც სუფიზმის სახელითაა ცნობილი. მასში ქართული მასალების მიხედვით გამოვლინებულია გარკვეული სიახლოვე აღნიშნულ მოძღვრებასთან. კ. კეკელიძის აზრით, ჩვენს მიერ ზემოთ მოკლედ აღწერილი სიყვარულის მისტიკურ-ალეგორიული პოეზია სათავეს იღებს სწორედ სუფიური ღირიკიდან. კერძოდ, ვახტანგ VI შემოქმედების განიხილვასთან დაკავშირებით მკვლევარი შენიშნავდა:

«Вахтанг VI до того был поглащен теории «аллегорической любви» суфизма, что в своих комментариях, приложенных к нервому (1712 года) изданию поэмы «Вепхис ткаосани», это знаменитое произведение провозгласил гимном «божественной любви». (გვ. 225).

კ. კეკელიძემ ჩვენში არსებულ სიყვარულის მისტიკურ თეორიას სუფიზმის ქრისტიანული ფრთა უწოდა და ვახტანგ VI-თან ერთად, ამ

მიმართულების პოეტებად აღიარა თეიმურაზ I, ნოდარ ციციშვილი, არჩილი, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი და სხვ.

თეიმურაზ I და ნოდარ ციციშვილის საკითხი ამ შემთხვევაში სხვა ასპექტში დაისმის, რადგან აქ სპარსული ნიმუშების უშუალო თარგმანთან გვაქვს საქმე, მაგრამ ზოგადად დავსძენთ: მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზ I და ნოდარ ციციშვილს ნათარგმნი აქვს სწორედ სუფიური ელემენტებით საკმაოდ გამსჭვალული ნაწარმოებები, მათ მხოლოდ ფორმალური გავლენა განიცადეს და გადმოქართულებულ თხზულებებში არსებითად აღარ იგრძნობა მისტიკურ-ალეგორიული აზრი სპარსული პოემებისა (ამ საკითხს სპეციალური შესწავლა სჭირდება).

რაც შეეხება ვახტანგ მეექვსესა და მისი სკოლის პოეტებს, აქ, მართლაც იგრძნობა ბევრი საერთო აღნიშნულ მოძღვრებასთან. მაგრამ ჩვენ ვნახავთ, რომ ამავე დროს ბევრი რამ განასხვავებს აღმოსავლურ სუფიურ პოეზიასა და ზემოთ აღწერილ თვალსაზრისს საღვთო მიჯნურობაზე. ეს არის უალრესად რთული საკითხი და ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

აღიარებული თვალსაზრისით (კრიმსკის, ბერტელსის, აბულკასიმ-ზადეს, დუნაევსკის, კ. კეკელიძის შრომები და სხვ.) სუფიზმი მძლავრად გამოხატული მისტიკური მოძღვრებაა. ამქვეყნიურ საგნებს არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ისინი სარკეს წარმოადგენენ და მათში აისახება ღვთაებრივი. ის, რაც ჩვენს გარშემოა, ღვთაებრივის ასახვაა, მაგრამ მასთან შედარებით უბრალო მოჩვენებაა. ეს საგნები მხოლოდ ერთადერთ რეალურ არსებას ასახავენ. ამიტომ, ადამიანის მიზანია ისწრაფვოდეს ერთადერთისაკენ, ღმერთისაკენ, ადამიანი უნდა ცდილობდეს შეუერთდეს ღვთაებას, გაითქვიფოს მასში. ეს არის რთული და წამებით აღსავსე გზა. თანაზიარობა ღმერთთან მისაღწევია მისტიკური ექსტაზით, თრობით, ღვთაებისადმი ეგზალტირებული სიყვარულით. სიყვარული — სუფიზმის მოძღვრებით — ნების დათრგუნვაა, ხორციელ თვისებათა და მისწრაფებათა გაქრობაა. სანამ ფხიზელი ხარ, ვერ იგრძნობ თრობის სიამოვნებას. საკუთარი თავის გაქრობის გარეშე ვერ იგრძნობ მეგობრის სიყვარულს<sup>1</sup>. ერთადერთი ხიდი ადამიანთა შორის ღვთაების მახლობლად გადის. ვიდრე არ დათრგუნავ საკუთარ თავს, მანამდე ნამდვილ არსებობას შენ ვერ მიაღწევ.

როგორც ცნობილია, აღნიშნული მოძღვრება მთელი სპარსული პოეზიის (განსაკუთრებით ლირიკის) იდეურ საფუძველს წარმოადგენს და სხვადასხვა ვარიაციით ვლინდება, როგორც ჭელალ-ედინ რუმის მისტიკურ ლირიაში, ისე სპარსულ ეპიკოსებთანაც, როგორებიც არიან ნიზამი, ჯამი და სხვა.

მაგრამ აქ არის აღსანიშნავი ერთი ფრიად საინტერესო მომენტი. თვით სუფიზმი, რომელიც პირველად ისლამურ ასკეტიზმზე აღმოცენ-

<sup>1</sup> მაგალითად, მექნუნი ლეილის ორეულად იქცევა, როცა იგი საბოლოოდ განშორდება კაცთა სამყოფელს.

და, საბოლოოდ ფორმდება ნეოპლატონური იდეების გავლენით. რასაკვირველია, ახალ გარემოში ამ იდეებმა სხვაგვარი შეფერილობა მიიღეს და, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მძლავრად გამოვლინდნენ სპარსულ პოეზიაში.

მაგრამ ბევრი რამ სუფიური მოძღვრებიდან, როგორც ამას შედარებითი შესწავლა არკვევს, სრულიად უგულვებელყოფილია ზემოაღნიშნულ ქართულ მისტიკურ-ალეგორიული სიყვარულის თეორიაში. მაგალითად, აქ სრულიად უარყოფილია თრობისა და ღვინის აბოლოგია, რომელიც ღვთაების წვდომის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად არის აღიარებული სუფიურ მისტიკაში. ქართული საღვთო სიყვარულის თეორია სრულიად არ იცნობს ამ მიმდინარეობას. სუფიური პოეზიის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ვნების დათრგუნვა და ამ გზით უმაღლესისაკენ სწრაფვა, მაგრამ ამავე დროს იმავე პოეზიის სხვა ნიმუშები ვნების თავისუფლებასაც ქადაგებენ, რაც ასევე პირდაპირი გზაა უმაღლესის წვდომისათვის (მაგალითად, ეროტიული გრძნობები, ვითარცა თავდავიწყების ერთ-ერთი საშუალება).

ზემოაღნიშნულთან ერთად არც ამ მხარეს იცნობს XVII—XVIII საუკუნის ქართული მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის პოეზია და ეს მომენტიც თიშავს მას აღმოსავლურ-სუფიური მიმდინარეობისაგან.

ამასთან ცხადია შემდეგი: XVI—XVIII საუკუნეების ქართულ პოეზიასთან უეჭველად აქვს ბევრი რამ საერთო სუფიურ მოძღვრებას და ეს განსაკუთრებით ვლინდება რეალური სამყაროს, რეალური სიყვარულის უარყოფის საკითხში, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ბევრი სპეციფიკური მომენტიც ეს ორი მიმდინარეობა უეჭველად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ცალკე კვლევის საკითხია აღნიშნული ქართული თეორიის მიმართება თვით იმ წყაროსთან, რომლითაც საბოლოო ჯამში სარგებლობდა აღმოსავლეთში ასე გავრცელებული სუფიური მიმდინარეობა. რუსთაველის მაგალითზე ჩვენთვის ცნობილია, რომ თუმცა იგი ბევრ რამეში ახლოს იდგა სიყვარულის ე. წ. არაბულ თეორიასთან (მაგალითად, ტარიელის ველად გაჭრა და ცხოვრებაზე ხელის აღება, ბევრ ანალოგიას ჰპოვებს აღნიშნულ თეორიასთან), იგი სიღრმეებში იცნობდა ქრისტიანულ თეოლოგიას და ნესტანის წერილში დაგვიხატა კიდევ სწორედ ისეთი მარადიული ხილვის სამყარო, რომელიც ახლოს დგას თეოლოგიურ ტრაქტატებში წარმოდგენილ სასუფეველთან. ეს კარგად ჩანს აგრეთვე „საზეო მიჯნურობის“ დახასიათებისას, რომელიც მოგვცა პოეტმა ცნობილ სტროფში: „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“... და ა. შ.

ყოველივე ამის გამო ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ XVII—XVIII საუკუნეების ქართული ლირიკა თავის შეხედულებებში მისტიკურ-ალეგორიულ მიჯნურობაზე უფრო ახლო იდგეს სწორედ ნეოპლატონურ მოძღვრებასთან (რასაკვირველია, ქრისტიანული გადამუშავებით), რომელიც თავის დროზე მძლავრი ნაკადის სახით არსებობდა ქართულ კულტურაში.

რასაკვირველია, XVII—XVIII საუკუნეების ქართულ აზროვნება-

ში ბევრი რამ ამ რთული მოძღვრებიდან ძნელად ასათვისებელი იყო, რადგან კლასიკურ ხანასთან შედარებით ბევრი სიმალლე უკვე დაკარგული ჩანდა. მართებულად აღნიშნავდა დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, რომ ამ დროისათვის (XV—XVII საუკ.) „ჩვენი ერის კულტურული დონე ძალზე დაწეული იყო... და შემოქმედების კერაში ცეცხლი უკვე ძალზე იყო დაფარფლილი“. მხოლოდ XVII საუკუნიდან დაეტყო ქვეყანას შედარებით ინტენსიური კულტურული გამოღვიძება. „თუმცა კლასიკურ სიმალლეებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა იყო“. ამიტომ არის, რომ, მაგალითად დ. გურამიშვილის შემოქმედებაში უფრო მძლავრადაა ბიბლიური ქრისტიანობის პირდაპირი გავლენა, ვიდრე რუსთაველთან, სადაც აშკარად ჩანს ე. წ. არეოპაგტიკული რთული იდეების გამოძახილი. იგივე უნდა ითქვას ვახტანგისა და მისი სკოლის სხვა პოეტების მიმართ. ბიბლიურ ქრისტიანობაზე დაყრდნობით და, ჩვენის აზრით, ნაწილობრივ ნეოპლატონისტურ ზოგ შეხედულებათა გავლენით, წარმოიშვა ის მიმართულება, რომელსაც ჩვენ ზემოთ მისტიკურ-ალეგორიული ვუწოდეთ და, რომლებმაც გარკვეული ისტორიული პირობების გამო, მძლავრად მოიკიდა ფეხი ახლად აღორძინებულ ქართულ მწერლობაში.

აქ მოცემულია მხოლოდ ზოგადი სურათი ქართული მისტიკურ-ალეგორიული მიმართულების ხასიათზე და წყაროებზე. რასაკვირველია, ეს საკითხი უფრო ღრმა და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს, მაგრამ ვფიქრობთ, ნათლად გამოჩნდა ერთი: ვახტანგ მეექვსე ამ მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელია აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში. აქედან გამომდინარე, კომენტარებში გამოთქმული მოსაზრებები სიყვარულის ქრისტიანულ გაგებაზე, რაც ასე მექანიკურად მიუყენა ვახტანგმა რუსთაველს, გამოწვეული იყო არა მარტო პოლემიკური მიზნებით, არამედ იმიტაც, რომ რუსთაველის მიჯნურობის თეორიის, და საერთოდ სიყვარულის თეორიის, ერთადერთი სწორი ახსნა ამგვარად წარმოედგინა მას.



სულხან-საბა ორბელის-ძე  
სიბრძნით აღხდა ორბების ზე-

სულხან-საბა უძვირფასესი სახელია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მართლაც, რუსთაველის შემდეგ ძველ საქართველოს არ ჰყოლია სულხან-საბა ორბელიანზე დიდი პიროვნება. იგი იყო სწორუპოვარი იგავთმწერალი, ქართულ ლექსთწყობაში ახალი გზების გამკაფავე პოეტი და დიდებული ლექსიკოგრაფი-მეცნიერი. ხოლო ყოველივე ზემოთქმულს აგვირგვინებდა მრავალმხრივი მოღვაწეობა და ბრძოლა ქართველი ხალხის მომავალი აღორძინებისათვის.

თანამედროვეთა შორის მის დიდ ავტორიტეტს მშვენიერად ესადაგება ერთი უცხოელი მოგზაურის სიტყვები: „იგი მთელს საქართველოს მამად მიაჩნიაო“.

სულხან-საბას ზრუნვა და გარჯა არ დაუკლია, რათა გამოუეალი ჩიხიდან ეხსნა თავისი სამშობლო. ამის გამო მან საკუთარ თავზე იწვნია ყველა ის მარცხი თუ უბედობა, რაც იმ ხანებში ჩვენს ქვეყანას გარდახდა. საოცარი ამბებით აღსავსე მისი ცხოვრება ბრძოლის, ტყვეობის, ძმათა სისხლისღვრის თუ განადგურების ერთიანი მატანეა.

ქვემოთ კი, ვიდრე დიდი მწერლისა და მეცნიერის ღვაწლს შევხებოდეთ, მინდა ორიოდ სიტყვით მკითხველს შევახსენო რამდენიმე ეპიზოდი მისი უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიიდან, აგრეთვე ის ატმოსფერო, რომელშიც უხდებოდათ მოღვაწეობა სულხან-საბასა და მის თანამებრძოლებს.

რამდენიმე ცნობა თვით სულხან-საბას წინაპართა შესახებ. სულხანი ქვემო ქართლის დიდი ფეოდალური სახლის ორბელიან-ორბელი-შვილების შთამომავალია. მაგრამ აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ გვარს არავითარი კავშირი არა აქვს XI—XII საუკუნის ცნობილ ფეოდალურ გვართან ბაღვაშ-ორბელიანებთან, რომელთა ყველაზე დიდი წარმომადგენელი ლიპარიტი ფაქტიურად აღმოსავლეთ საქართველოს უგვირგვინო მეფე იყო (XI ს.) და, როგორც იტყვიან, კრიკაში ედგა საქართველოს გაერთიანების მოწადინე ბაგრატიონთა გვარის მეფეებს. საბოლოოდ ბაღვაშთა უკუღმართ მცდელობას ბოლო მოუღო დავით აღმაშენებელმა, როცა დარწმუნდა მათ გამოუსწორებელ ქვეგამხედვარობაში (ცნობილია დავითის ისტორიკოსის ხატოვანი ფრაზა ლიპარიტ ბაღვაშზე: „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განიმართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“). სწორედ ამ ხანებში საბოლოოდ გადაშენდა ბაღვაშ-ორბელიანების საგვარეულოც.

შემდგომში კი (დაახლოებით XIV საუკუნის დამლევებიდან) ქვემო-ქართლის იმავე მიდამოებში აღზევებას იწყებს ახალი ფეოდალური სახლი, რომელიც ძირითადად ბარათაშვილების სახელითაა ცნობილი, ხოლო ეს სამფლობელოები ამავე ხანიდანვე საბარათიანოდ იწოდება.

საგულისხმოა, რომ ისევე როგორც ბაღვაშები, რომლებიც ადრევე გადმოსულან დასავლეთ საქართველოდან (არგვეთის საერისთაო, საგვარეულო სასაფლაო სოფელი კაცხი), ბარათაშვილებიც ისტორიულ წყაროთა მოწმობით ასევე დასავლეთ საქართველოს ოდინდელი მკვიდრნი ყოფილან. ისტორიკოსმა თედო ჟორდანიამ უჭრადლება მიაქცია ერთ ცნობას, რომელიც მე-15 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის (ქრონიკ. II, გვ. 353, 357), სადაც მოხსენებულია სამეფო სალაროს მოლარე ბარათა ქაჩიბაძე. ეს მოსაზრება უფრო დააზუსტა და განაგრცო აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ, რომლის ვარაუდით ქაჩიბაძე-ქაჩიბაისძე აშკარად დასავლური გვარია და სწორედ ამ საგვარეულოს განშტოებაა ბარათაშვილების დიდ-ფეოდალთა ოჯახი, რომელშიც შემდგომში ასევე სხვა განშტოებებსაც უყრის საფუძველს (იხ. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 464—482).

სწორედ ამ საგვარეულოს ერთ-ერთი შტოა ორბელიან-ორბელი-შვილები, ისევე როგორც ყაფლანიშვილები თუ აბაშიშვილები, რომლებიც საკმარისად არიან ცნობილნი ჩვენს ისტორიულ წყაროებში. ოღონდ აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თუ ბაღვაშებმა, როგორც ჩანს, მეორე გვარი — ორბელიანი მათივე მფლობელობაში მყოფ ორბეთიდან (იგივე სამშვილდე) შეიძინეს, ახალ ორბელიანებს იგი საკუთარ სახელ ორბელისაგან უნდა მიეღოთ. მართლაც, ბარათაშვილთა საგვარეულოში მოხსენებულია ვინმე ორბელ ბარათაშვილი, რომლის გაყრის წიგნი სწორედ იმავე მამულების ფლობას გვიჩვენებს, რომელსაც შემდგომში ფლობდნენ სწორედ სულხანის წინაპრები (მე-16 საუკ. ქრონიკ. II, 349). ყოველ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ამავე საგვარეულოს სხვა, განშტოებათა წარმოშობის თითქმის ჩვეულებრივ წესს (ყაფლანიშვილები, აბაშიშვილები და სხვ.), ეს ვარაუდი, ჩვენი აზრით, ყველაზე მართებული ჩანს.

რაც შეეხება უახლოეს წინაპრებს, აქ უნდა ვახსენოთ როსტომ მეფის (1634—1658 წწ.) სახლთუხუცესი და მდივანბეგი სულხანის პაპა ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილი და თვით სულხანის მამა ვახტანგ შაჰ-ნავაზის (1658—1675 წწ.) უახლოესი თანამებრძოლი, „ბარათაანთ დიდი ორბელის შვილი, ყაფლანის ძე, საქართველოს ბრჭედმათავარი და მოლარეთუხუცესი, პატრონი ორბელ ვახტანგი“. აღსანიშნავია, რომ სულხანის დედაც ასევე დიდი ფეოდალის ოჯახიშვილი იყო. თამარ ერისთავი ასულია სპარსეთის წინააღმდეგ წამოწყებული დიდი აჯანყების (1659 წ.) ერთ-ერთი მეთაურის ზაალ არაგვის ერისთავისა.

სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1658 წელს, 24 ოქტომბერს ანუ 3 ნოემბერს ახალი სტილით. ქვემო ქართლში, ბოლნისის მახლობლად, მაშავერას ხეობის აყოლებაზე მთის ფერდობს შეჰყვნია სულხან-საბას სამკვიდრებელი „ტურფა ტანძია“. ორბელიანების სასახლე იდგა სოფლის თავში გაშლილ ზეგანზე, საიდანაც ქვემო ქართლის თვალწარმტაცი სანახებია გადაშლილი. აქ გაატარა სულხანმა თავისი ბავშვობა და ყრმობის წლები. ხშირი სტუმარი იყო ფიტარეთისა და სამშვილდესი,

დავლილი ჰქონდა მაშავერასა თუ ქციის ხეობებში ჩაბუდებული ძველ-ქართული სოფლები.

ტანძიაში დღესაც შემორჩენილია ორბელიანთა ძველი სასახლის ნანგრევები, ხოლო ის პატარა, კოხტა ეკლესია, რომელიც სულხანის მამას ვახტანგ მდივანბეგს აუშენებია, ვაჟკაცურად იტანს წელთა სიმძიმეს.

ორბელიანთა წარჩინებული ოჯახი იმდროინდელი ქართლის მეფის ვახტანგ V (შაპ-ნავაზი) უახლოესი ნათესავი იყო. შაპ-ნავაზს ცოლად ესვა სულხანის მამიდა, დაა ვახტანგ მდივანბეგისა როდამი. ამიტომაც ჯერ კიდევ ყრმა სულხანი იმთავითვე მოხვდა ისეთ კულტურულ ატმოსფეროში, რომელიც შაპ-ნავაზისა და მისი სახელოვანი შვილების — არჩილის, გიორგისა და ლევანის გარშემო იქმნებოდა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თვით სულხანის მამა ვახტანგ მდივანბეგიც ცნობილი ყოფილა სიბრძნისმოყვარეობითა და მწიგნობრობით. ბიბლიური ტექსტების დიდ მცოდნესა და მეცენატს (შემონახულია მისი დაკვეთით გადაწერილი ბიბლიური ტექსტების ხელნაწერი კრებულები: იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—179, H—885, H—1207 ნუსხები) სულხანისთვის ძველ-ქართული პალეოგრაფიის არაერთი საიდუმლოება გაუცვნიდა, რაც საბამ შემდგომში ასე წარმატებით გამოიყენა ქართულ ბიბლიაზე მუშაობის ეამს.

სულხან-საბას დიდი სულიერი მეგობრობა აკავშირებდა თავის უფროს მამიდაშვილებთან. მან დიდი სამსახური გაუწია არჩილს, როცა იგი თავს უყრიდა და წესრიგში მოჰყავდა ბიბლიური ტექსტები, ასევე ლევანთან მას აახლოებდა პოეზიის დიდი სიყვარული, მაგრამ მის სულიერ ჩამოყალიბებაში, როგორც ჩანს, განსაკუთრებული როლი უთამაშნია სახელგანთქმულ მეომარსა და ფრიად განათლებულ პიროვნებას, იმავე შაპნავაზის ძეს გიორგის, რომელიც ამ ხანებში გიორგი XI-ის სახელით მეფობდა ქართლში, ხოლო შემდეგ, კერძოდ 1696 წლიდან იმყოფებოდა სპარსეთის კარზე და საარაყო გმირის სახელი დაიგდო ავღანელებთან ბრძოლაში (აქ იგი ავღანთა ბელადის მირ-ველის მიერ ვერაგულად მოიკლა 1709 წლის 21 აპრილს).

სულხანი არაერთხელ იხსენიებს მას თავის მოძღვრად, ხოლო ამასთან შენიშნავს, რომ ისეთ დიდ საქმეში, როგორც იყო ქართული ლექსიკონის შედგენა, მისი პირველი შთამაგონებელი და წამქეზებელი სწორედ გიორგი XI იყო (გაეიხსენოთ სულხანის სიტყვები: „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი სრულყოფა“).

სულხანმა დიდად დაუფასა ამაგი გამზრდელს და, როგორც ცნობილია, იგი წლების მანძილზე მხარში ედგა გიორგი XI, როცა იგი შეუპოვრად ებრძოდა სპარსელებსა და მათ მომხრე ქართველ ფეოდალებს ქართლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. სულხანი და მისი ოჯახი ამის გამო არაერთხელ ჩაკვივნულან დიდ გასაჭირში.

სულხანის აღზრდაში, მაღალი წრის ოჯახთა ჩვეულებისამებრ, მონაწილეობა მიუღიათ როგორც საერო, ისე სასულიერო პირებსაც. მაგალითად, მისივე მოწმობით „ყოველთა ზნეთა“ აღმზრდელ-მასწავ-

ლებლად მას ედგა მცხეთელი აზნაური ბერუკა ზედგინიძე, ხოლო სასულიერო მოძღვრებებში და სიმღერა-გალობაში ვინმე იაშვილი გიორგი. მართლაც, ფართო განათლება და დიდი ენციკლოპედიური ცოდნის წყურვილი სიჭაბუკიდანვე ეტყობოდა მომავალ მეცნიერსა და მწერალს (საკმარისია ითქვას, რომ მან თავისი ძირითადი ნაშრომების სრულყოფა სიჭაბუკიდანვე დაიწყო, „სიტყვის კონის“ პირველი რედაქცია — ოთხმოციანი წლების დასაწყისისათვის, როცა საბა 20—25 წლისა იყო — უკვე ფაქტია).

თავის მხრივ, მეფის ოჯახს ახალგაზრდა, დიდად განსწავლული, სულიერად და ფიზიკურად მშვენიერი სულხან-საბა შეურჩევია მომავალი ტახტის მემკვიდრის, ვახტანგ ლევანის ძის (შემდეგში მეფე ვახტანგ VI) აღმზრდელად. სხვათა შორის, ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ „სიბრძნე სიცრუისაში“ ბევრი ეპიზოდი აშკარად ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს (განსაკუთრებით აღმზრდელის სხესთან დაკავშირებით), რაც ძალზე დამაჯერებელსა და ცხოვრებისეულ ელფერს ანიჭებს სულხანის ამ უპირველეს მხატვრულ ქმნილებას.

სულხან-საბაც, როგორც იტყვიან, ამაოდ არ გარჯილა ვითარცა აღმზრდელი, შემდეგში ჩვენ ვხედავთ, ვახტანგ მეექვსე, თვითონაც სახელგანთქმული პოეტა და სწავლული, საქართველოს სულიერი აღორძინებისათვის დაწყებული დიდი მოძრაობის უპირველესი თავიკაცი შეიქნა.

აღმზრდელი და აღზრდილი სამაგალითო მეგობრები შეიქნენ და მათ ერთობლივად არაერთ საშვილიშვილო საქმეს ჩაუყარეს საფუძველი ქართული კულტურის სფეროში. ეგევე უნდა ითქვას მათ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზეც. აქაც ორივენი მხარდამხარ იბრძოდნენ, ერთად ზრუნავდნენ, რათა ქვეყანა ეხსნათ პოლიტიკური ძნელბედობისგან.

სულხან-საბას პერიპეტეებით აღსავსე ბიოგრაფიიდან მნიშვნელოვანია ერთი ეპიზოდი, რომელიც, ერთგვარად, წყალგამყოფად იქცამის ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, იგი ბრძოლისა და აქტიური ქმედებისათვის მიღრეილი პიროვნება იყო და სიჭაბუკიდანვე ეწერგიულად იღვწოდა ფართო საზოგადოებრივ სარბიელზე. სიჭაბუკიდანვე ჩაება იგი პოლიტიკურ ცხოვრებაში და „ქართლის ჳირი“ ხან სადამოაყოფინებდა თავს, ხან სად. იგი ერთხანს იმერეთშია, სადაც თანახლავს 1688 წელს აქ გადმოხვეწილ ქართლის მეფეს გიორგი მეთერთმეტეს, ხან სამცხიდან იბრძვის ქართლის გასათავისუფლებლად (ჩვენის ისტორიულ წყაროებში შემონახულია ამის დამადასტურებელი უამრავი დოკუმენტი).

და, აი, 1698 წელს ორმოცი წლის ასაკს მიღწეული სულხანი ბერად აღიკვეცა.

საგულისხმოა ისიც, რომ მან „სულის საოხად“ შეარჩია გარეჯის უდაბნოს უმკაცრესი შემოგარენი, კერძოდ კი იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი. წესისამებრ სახელიც შეიცვალა — საბა, თუმ-

ცა, როგორც ცნობილია, ქართულ მწერლობაში იგი მაინც ორივე სახელით სულხან-საბათი დარჩა.

რამ გამოიწვია მისი ესოდენ მოულოდნელი ნაბიჯი? მკვლევარნი სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ ამის მიზეზი იყო ოჯახური ტრაგედია, კერძოდ, მეუღლის გარდაცვალება, მაგრამ ამას არ ადასტურებენ ამჟამად უკვე ცნობილი ფაქტები. მას მეუღლე, ზაგრატიონთა ასული დარეჯანი, ბევრად ადრე გარდაეცვალა (1683 წელს, დაკრძალულია ორბელიანთა საძვალეში, ფიტარეთში), ხოლო მისი მეორე მეუღლე ათაბაგის ქალი თამარ, სულხანის ბერად აღკვეცის შემდეგაც ცოცხალი ჩანს (დაახლოებით 1712 წლამდე).

შესანიშნავი წიგნის, „კათოლიკობის ისტორია საქართველოში“, ავტორი მიქელ თამარაშვილი შენიშნავს ამის თაობაზე, რომ სულხანის ეს ნაბიჯი მისი კათოლიკობისაკენ მიდრეკით უნდა აიხსნასო. ასე უფრო უკეთ იზრუნებდა რომის საყდრისა და ქართული ეკლესიის შესაგრთებლადო. მაგრამ არც ეს მიზეზი ჩანს უტყუარი. აქ ჩვენ უნდა ვენდოთ ქართული სასულიერო მწერლობის უდიდეს ავტორიტეტს კორნელი კეკელიძეს, რომელმაც შენიშნა, რომ მიუხედავად კათოლიკობისადმი ერთგვარი სიმპათიისა, სულხან-საბას მიერ სწორედ ამ ხანებში დაწერილ სასულიერო თხზულებებში არ ჩანს მართლმადიდებლური მრწამსიდან რაიმე გადახვევა.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ასეთ გადაწყვეტილებას პოლიტიკური მიზეზები უდევს საფუძვლად. სპარსეთის შაჰმა ამ ხანებში ტახტი ჩამოართვა სულხან-საბას აღმზრდელსა და იდეურ თანამოაზრეს გიორგი მეთერთმეტეს (ქართლს დაეუფლა ნაზარალიხანის სახელით ცნობილი გამაჰმადიანებული ერეკლე პირველი; შვილისშვილი თეიმურაზ პირველისა), რის გამოც სულხანს სრულიად შეეკვეცა სამოქმედო ასპარეზი. მეტიც, იგი და მასთან მთელი მისი ოჯახი რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდა, ხოლო სულხანი ამ ხანებში იძულებული შეიქნა ხან იმერეთს, ხან კი სამცხეს შეფარებოდა. საბოლოოდ კი იმედგადაწყვეტილმა სულხანმა კუთვნილი მამული ძმებს გაუნაწილა და, როგორც ითქვა. განეშორა საერო ცხოვრებას (თუმცა როგორც ვნახეთ, მან აქაც გამოიჩინა სულიერი ძალები და ინტენსიურად იღვწოდა სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგში).

მაგრამ სულხანმა თითქოსდა ოდნავ იჩქარა. სულ მალე, რამდენიმე წელიწადში ვითარება ძირეულად შეიცვალა. გიორგი მეთერთმეტემ, ეს ფაქტი ჩვენ ზემოთაც ვახსენეთ, ირანის კარზე დიდი სახელი მოიხვეჭა (განსაკუთრებით აჯანყებულ ავღანთა დამორჩილების საქმეში) და მას კვლავ დაუბრუნეს ქართლის ტახტი. მაგრამ ეს აქცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნომინალური იყო, რადგან გიორგი კვლავ ირანში, სპარსეთის შაჰის სამსახურში უნდა დარჩენილიყო.

სამაგიეროდ მისი მოადგილეობა (ჯანიშინობა) უკვე 1703 წლიდან დააკისრეს გიორგისავე ძმისწულს, სულხან-საბას აღზრდილს ვახტანგ მეექვსეს. მართალია, სულხან-საბას უკვე აღარ გაუხდია ბერის ჩოხა,

მაგრამ იმ დღიდანვე მას კვლავ ქვეყნის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში ვხედავთ.

მართლაც, მონასტრის წყნარსა და დუნე ცხოვრებას განა შეეძლო სულხან-საბა ორბელიანის ბობოქარი სულის დაოკება? დავით გარეჯის უღაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მოწესეს ამის შემდეგ დიპლომატიური მისიებით ხან სპარსეთში ვხედავთ, ხან თურქეთში. ფათერაქი, ტყვეობა, შიმშილი თან სდევდა შეუდრეკელ მამულიშვილს.

მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ბიოგრაფიისათვის ევროპაში მოგზაურობა გამოდგა. 1713 წელს, როგორც ჩანს, სპარსეთში დატყვევებული ვახტანგ მეექვსის საიდუმლო დავალებით, იგი დიპლომატიური მისიით მიემგზავრება დასავლეთ ევროპაში. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ დროისათვის მან უკვე ფორმალურადაც აღიარა კათოლიკობა, კერძოდ კი, როგორც თვითონ აცხადებს, „წმინდა ბასილის მონაზონი“ შეიქნა.

სულხან-საბას მოგზაურობის თაობაზე ჩვენთვის ადრეც ბევრი რამ იყო ცნობილი, მით უფრო, რომ შემონახულია მის მიერვე შედგენილი მოგზაურობის აღწერა (კერძოდ, მეორე ნაწილი, რომელიც დაბრუნების მარშრუტს გადმოსცემს). ზოგი რამ უკანასკნელ ხანებში გაირკვა და დაზუსტდა (აღსანიშნავია ამ მხრივ ი. ტაბალუას ნაშრომი „საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა“, 1972 წ., სადაც რიგი საგულისხმო დოკუმენტია მოძიებული ევროპის არქივებიდან).

დიდი ვაი-ვაგლახით კონსტანტინოპოლში ჩასული სულხანი მცირე შეყოვნების შემდეგ (ისევ და ისევ პოლიტიკური მიზეზების გამო) 1713 წელს, 17 დეკემბერს, საფრანგეთის გემით, რომლის სახელი იყო „L' Assomption“ ანუ „მიძინება“, გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში. მოგზაურობის მარშრუტი კი ასეთი იყო: კონსტანტინოპოლი — მარსელი — პარიზი — რომი, აგრეთვე იტალიის სხვა ქალაქები — ბოლოს კონსტანტინოპოლი და თურქეთის გზით საქართველო.

როგორც ამჟამად გარკვეულია, აღნიშნულ მოგზაურობას ორი უმთავრესი მიზანი ჰქონდა დასახული. ერთი კონკრეტული — სულხანს სახსრები უნდა ეშოვნა, რათა სპარსეთის ტყვეობიდან გამოეხსნა მისივე აღზრდილი, ქართლის განმგებელი ვახტანგ მეექვსე. მეორე კი უფრო შორეული — ვახტანგის დავალებით მას ნიადაგი უნდა მოესინჯა, შეეძლო თუ არა დასავლეთ ევროპას, კერძოდ კი, საფრანგეთს, დახმარების ხელი გამოეწვდინა ქრისტიანული საქართველოსათვის, რომელიც აგრერიგად იტანჯებოდა მამამდიანური ფანატიზმის გარემოცვაში.

სულხან-საბა პარიზში ეახლა ლუდოვიკო მეთოთხმეტეს, ხოლო რომში პაპს კლიმენტი მეთერთმეტეს. ორივეგან იგი მიუღიათ, როგორც სპატიო სტუმარი. ისიც უნდა ითქვას, რომ სულხან-საბას ავტორიტეტზე, სამშობლოში მის დიდ სახელზე, მათ უკვე მოეპოვებოდათ ზუსტი ინფორმაცია „მთელს საქართველოს მამად მიაჩნიაო“ — ეს ხმა ადრევე დარხელა დასავლეთ ევროპაში.

სულხან-საბას 1714 წელს რამდენიმე აუდიენცია ჰქონია ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან. სიღარბისლით, სიტყვა-პასუხითა და საქმიანი წინადადებებით, რომლებიც მეტყველებდნენ მის მაღალ დიპლომატიურ ნიჭზე, მას სასიამოვნო შთაბეჭდილება დაუტოვებია არისტოკრატიული თავაზით განთქმულ საფრანგეთის კარზე.

სხვათა შორის, საფრანგეთში ლუდოვიკო მეთოთხმეტის კარზე და სხვაგანაც შემდეგში გავრცელებულა სულხან-საბას მოხდენილი ნათქვამი. იმხანებში ახლად ნაავადმყოფარ ლუი მეთოთხმეტეს საპატიო სტუმრისათვის შეუჩვილია, ავადმყოფობაზე უფრო კარს მომდგარი სიბერე მაწუხებსო: „განა ადვილი საქმეა სამოც წელს გადააბიჯო“. სულხანს ამაზე შემდეგნაირად უპასუხნია: „ხელმწიფეო, თქვენი უდიდებულესობა ამ წლოვანებას ისეთი მშვენებით ატარებს, რომ ყველა ისურვებდა თქვენს ასაკში ყოფნას“ (გადმოგვცემენ, რომ სულხანის ეს ნათქვამი ანალოგიურ ვითარებაში გამოუყენებია რუსთა ხელმწიფეს ალექსანდრე მეორესაც. იხ. Закавказская речь. 1913 г., № 6, 141).

გონიერებითა და მკვერმეტყველებით გამოირჩევა სულხან-საბას სახეიმო ხობტა მისი მეორე აუდიენციის დროს, ლუდოვიკო მეთოთხმეტისადმი, რომლის ზეპირ ჩანაწერს მოუღწევია ჩვენს დრომდე: „დიდო მეფეო, ჩვენ გვაქვს პატივი წარუდგინოთ თქვენს უდიდებულესობას ეპისტოლე, რომელიც წმინდა მამამ, პაპმა კეთილი ინება ჩვენთვის გამოგვზავნა და წყალობის თვალით გადმოეხედნა ვახტანგისათვის, საქართველოს მეფისათვის.

ეს უძვირფასესი შემთხვევაა, რომელსაც ჩვენ გვანიჭებს მისი უწმინდესობა, რათა მისი ნებართვით წარმოვდგეთ თქვენი უდიდებულესობის ფერხთა წინაშე.

ეს განმეორებული წყალობა საკმარისია, რომ ვიყვნეთ ვალდებულნი და განსაკუთრებული სიხარულით მარადყამ გვახსოვდეს ჩვენ მიერვე წამოწყებული მოგზაურობა. და ეს მაშინაც კი, თუ განგება ინებებს, რომ მას სრულიადაც არ მოჰყვეს სხვა რამ წარმატება.

ბედნიერებაა, რომ მოვიპოვეთ შესაძლებლობა, რათა საჯაროდ გამოვაცხადოთ: გვქონდა უპირატესობა და ჩვენის თვალებით ვიხილეთ ის, რასაც სხვები შორიდან აღტაცებით შესცქერიან, დაგვენახა ჩვენის თვალთ თქვენი უდიდებულესობის უავგუსტოეს პიროვნებაში სოლომონის სიბრძენისა და ბრწყინვალეობასთან ერთად დავითის რწმენა და ღვთისმოსაობა.

სწორედ ამგვარი ღვთისმოსაობაა მიზეზი, დიდო ხელმწიფეო, რომ თქვენი უდიდებულესობა იქნება ხელისამპყრობელი (მხარდამჭერი) იმდენად დაშორებული ქვეყნების მეფეებისა და მფარველი სარწმუნოებისა, როგორიც ჩვენი ქვეყანაა“.

ასეთივე აღტაცება გამოუწვევია სულხან-საბას რომში, პაპი კლიმენტი მეთერთმეტის კარზეც. ცნობილია პაპის სიტყვები სულხანისადმი მიმართული: „მიხარიან, რომში დიდი ხმა დაგივარდა, კარგად იქცევი და გონიერადო“. ასეთსავე სურათს გადმოგვცემს აგრეთვე ამ ხა-

ნებში შექმნილი დიდძალი ისტორიული თუ მემუარული ხასიათის ლიტერატურა...

მაგრამ კონკრეტულ-ისტორიული ვითარება გამორიცხავდა სულხან-საბას მაღალი მისიის წარმატებას, თუმცა საფრანგეთის კარზე პირველ ხანებში გარკვეული გამოცოცხლება უეჭველად შეიმჩნეოდა ამ მიმართულებით (დაწვრილებით ამაზე საუბარია ი. ტაბალუას ზემოდასახელებულ წიგნში), ხოლო პაპი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას საფრანგეთზე ამყარებდა. მაგრამ ამ ხანებში ლუდოვიკო მეოთხთმეტის გარდაცვალებამ, საფრანგეთში მმართველი წრეების შეცვლამ, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან (თურქეთი, ირანი) ურთიერთობის გამწვავების რიღმა, თუ თვით დასავლეთ ევროპაში ახალი პრობლემების წამოჭრამ, სავსებით უნიადაგო გახადა ყოველგვარი მცდელობა საქართველოსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა რეალური დაახლოებისათვის.

ასეა თუ ისე, დასავლეთ ევროპამ არ გამოუწოდა ხელი ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას. მრავალწლიანი მოგზაურობით ღონემიხდილი და იმედგაცრუებული სულხან-საბა, „მრავალი ჭირის გარდამხდელი“, დიდის ვაი-ვაგლახით 1716 წლისათვის ძლივს დაბრუნდა თავის სამშობლოში.

მაგრამ აქ მას ახალი განსაცდელი ელოდა. ვახტანგი ჯერ კიდევ ირანში იმყოფებოდა, ხოლო ქართლში დინასტიური შუღლი ახალი ძალით მძვინვარებდა (ვახტანგს მისივე ახლობლები ეცილებოდნენ ტახტს). სულხან-საბას, ვითარცა ვახტანგის უერთგულეს თანამებრძოლს, დაუწყეს სასტიკი შევიწროება, რაც თითქოსდა მის მიერ კათოლიკობის აღიარების გამო ხდებოდა. ვინ იცის რით გათავდებოდა ეს საქმე, რომ არა ვახტანგი, რომელიც 1719 წლისათვის კვლავ დაუბრუნდა თავის ქვეყანას.

მაგრამ არც ეს აკმარა ბედმა უკვე ჯანგატეხილ მოხუცს. ამ ხანებში ქვეყანას ზედიზედ ახალ-ახალი კატასტროფები დაატყდა თავს. ვახტანგმა, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა გეზი აეღო ერთმორწმუნე რუსეთზე, სასტიკად აიძვებდა მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოები. როგორც ცნობილია, იგი იძულებული შეიქნა დიდის ამალით დროებით (ასე ეგონა მას იმ ხანებში) შეჰფარებოდა რუსთა ხელმწიფეს. სულხან-საბა, რასაკვირველია, აქაც მის გვერდით იმყოფებოდა.

ეს იყო სულხან-საბა ორბელიანის უკანასკნელი მოგზაურობა. ვახტანგ მეექვსის მიერ სოლაღიდან (ჩრდილოეთ კავკასია) მეწინავედ გაშვებული სულხან-საბა 1724 წლის ნოემბრისათვის მიაღწევს მოსკოვს. ცდილობს, მოსკოვში ადრე, არჩილის დროს ჩასული ქართველების შემწეობით მოაგვაროს რუს ხელმწიფესთან შეხვედრის საქმე, ელის ვახტანგის მოსკოვში ჩამოსვლას. ალბათ, თავის ფიქრებში აწყობს მომავლის გეგმებს, რათა ამ გზით მაინც მოხერხდეს სამშობლოს ხსნა. მაგრამ სულხან-საბას აღარ ეწერა დიდი ხნის სიცოცხლე. 1725 წლის 26 იანვარს მოსკოვის მახლობლად სოფელ ვსესევიატსკოეში, მისივე მამიდაშვილის შვილის დარეჯან არჩილის ასულის სასახ-



ლესი, მიიძინა დიდმა მამულიშვილმა, საქართველოსათვის მრავალ-  
ჭირნახულმა სულხან-საბა ორბელიანმა.

\* \* \*

წარუშლელია სულხან-საბას წვლილი ქართული კულტურის ისტო-  
რიაში. სულხან-საბამ, ვახტანგ მეექვსემ და მისმა თანამებრძოლებმა,  
მართლაც. საარაკო გმირობა გამოიჩინეს, რათა როგორმე კვლავ გამო-  
ეცოცხლებინათ ჩვენი ხალხის ოდინდელი შემოქმედებითი უნარი.  
სწორედ ვახტანგ მეექვსის ეპოქის დახასიათების დროს ივანე ჯავახი-  
შვილი შენიშნავდა ერთ თავის ნაშრომში: „სწორედ გასაოცარი ხანა  
იყო ეს დროც. ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერ-  
თი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი  
ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლო-  
პედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა იმდროინდელი  
შოლვაწუების აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ  
ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნეების ნა-  
მუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და შთამომავ-  
ლობისათვის დამთავრებული ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გა-  
დაეცათ“ (ქართული სამართლის ისტორია, ტ. 1, გვ. 116).

ამ ხანას, მართლაც, ენციკლოპედიური უნდა ეწოდოს, ხოლო სულ-  
ხან-საბა აღნიშნული მოძრაობის ჭეშმარიტი თავკაცი იყო. მრავალ-  
ჭირნახული სულხან-საბა ერთ თავის ანდერძში სინანულით შენიშ-  
ნავს, რომ „სოფლის საქმისაგან უცალო ვიყავიო“ და ლიტერატურუ-  
ლი საქმიანობისათვის დრო აღარც კი მრჩებოდაო. მიუხედავად ამისა,  
მან ვებერთელა ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა და მა-  
რადღეკვდავი ძეგლი აიგო ქართული კულტურის ისტორიაში.

მისი დიდი სახელისათვის მარტო ქართული ლექსიკონი იკმარებდა,  
რომელსაც მისმავე აღზრდილმა ვახტანგ მეექვსემ სიყვარულით „სი-  
ტყვის კონა“ უწოდა. როგორც ცნობილია, ლექსიკონის უაღრესი  
მნიშვნელობა საკმარისად კარგად ესმოდათ ძველ-ქართველ მწიგნობ-  
რებსაც, როცა მე-5 საუკუნიდან მოკიდებული ასე ინტენსიურად შე-  
უდგნენ ქრისტიანული წიგნების თარგმნა-გავრცელების საქმეს. ექ-  
ვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი  
თუ იოანე პეტრიწი მთარგმნელობით მოღვაწეობასთან ერთად ქართულ  
მეცნიერულ ლექსიკოგრაფიასაც უყრიდნენ ბალავარს.

მაგრამ მაინც პირველი და ტიპიური ლექსიკოგრაფის სახელი დიდ-  
მა სულხან-საბა ორბელიანმა დაიმკვიდრა ჩვენში. ამის მიზეზი, უწი-  
ნარეს, შემდეგში უნდა დავინახოთ: ძველ-ქართულ მწიგნობართაგან  
დაწყებული საქმე ჟამთა ვითარების გამო მომდევნო საუკუნეებში  
ერთგვარად შენეულა. ამასთან მათი მუშაობა სპეციფიკურ მიზნებს  
ისახავდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო სასულიერო შინა-  
არსის ცნებათა თუ ტერმინთა განმარტებებისაკენ იყო მიმართული.

ახალ საუკუნეებში კი, როცა შედარებით გამოცოცხლება დაეტყო  
გ. ს. ცაიშვილი

ქართულ მწერლობას, ეს დიდი საქმე იტვირთა სწორედ ისეთი ტიტანური ძალისხმევით პიროვნებამ, როგორც იყო სულხან-საბა. ლექსიკონის ავტორს კარგად ესმოდა, თუ რა ძნელსა და ქართული კულტურისათვის სასიცოცხლო საქმეს მოჰქიდა მან ხელი: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამ წიგნსა ზედა. რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებით უჩინო ქმნილ იყო, რომელსა ვახტანგ მეფემან „სიტყვის კონა“ უწოდა, ვინაითგან პატიოსანი ესე წიგნი (იგულისხმება ძველი ლექსიკონები — ს. ც.) დაჰქარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ...“

სულხან-საბამ ღირსეულად გაასრულა საშვილიშვილო საქმე და თავის ხალხს უძვირფასესი საუნჯე უანდერძა. ალბათ, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ ამ ნაშრომით როგორ ხიფათს გადაურჩა ძველქართული მწიგნობრული და სასაუბრო, სახალხო ენა, რა ელოდა დამორგუნველი ზეგავლენით კატასტროფის პირად მისულ ქართულ ენას, ჩვენი ეროვნული თვითმყოფობის ყველაზე დიდ იარაღს. სულხანის ნაშრომი, ამასთან, გამოირჩევა არა მხოლოდ უნიკალური ლექსიკითა და ბრწყინვალე განმარტებებით (რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მისი ავტორის განუმეორებელ ტალანტს), არამედ „ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების გაგების მიხედვითაც საბას ლექსიკონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე იმდროინდელი ფრანგული აკადემიური სალექსიკონო შრომები“ (არნოლდ ჩიქობავა).

სულხან-საბამ დიდი ღვაწლი დასდო მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი ძეგლის გადმოქართულებას, როგორცაა „ანვარი სოჰაილი“ ანუ „ქილილა და დამანას“. იგავ-არაკთა ამ ცნობილი კრებულის ქართული ვერსიების შემუშავების უმთავრესი პატივი, რასაკვირველია, ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის. მან კარგად იგრძნო ამ ძეგლის (რომელიც თავისი ძირითადი მიმართულებით დიდაქტიკური ხასიათისაა) სარგებლიანობა მშობლიური კულტურისათვის, მოიძია კიდევ ამავე ძეგლის ადრეული ქართული თარგმანის ფრაგმენტი (იგი 1602 წლამდე შეუსრულებია თეიმურაზ პირველის მამას, კანთა მეფის დავითს, იხ. არაკები „კუ და მორიელამდე“). საბოლოოდ ვახტანგმა მთლიანად თარგმნა იგი და საბოლოო რედაქციისათვის გამოუგზავნია სულხან-საბას. გაულექსიავი იყო აგრეთვე დედნისეული ლექსად წარმოდგენილი სენტენციები, რაზეც მეტყველებს ვახტანგის მინაწერი სულხანისადმი: „ეს ჩემი ჭირნახული გაჩაღზე გემოიანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს. აგრეთვე ქართულად ლექსები ჩაურთეო (დაწვრ. იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 1945).

სულხან-საბამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ დროს უკვე ბერად იყო აღკვეცილი, დიდებულად გაართვა თავი ამ ურთულეს საქმეს და საბოლოო სახე მისცა „ქილილა და დამანას“ აწ გავრცელებულ ქართულ ვერსიას.

მისი დიდი შემოქმედებითი ტალანტი განსაკუთრებით გამოჩნდა იმ ლექსებში. რომლებიც ჩართულია „ქილილა და დამანასში“. სულხან-სა-

ბა ჩვენს წინაშე წარმოსდგა როგორც ბრწყინვალე პოეტი, რაც, სხვა-  
თა შორის, არც მის თანამედროვეთ დარჩენიათ შეუძენველი. პირვე-  
ლი ქართული ნორმატიული პოეტიკის ავტორი მამუკა ბარათაშვილი  
თავის „ქაშნიკში“ ასე გამოხატავს ამ შეხედულებას: „სულხან-საბა  
ორბელიანმა „ქილილა და დამანა“ გალექსა, თუმცა რუსთაველის ნა-  
თქვამი არ არი, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არიო“. ეს, მართლაც,  
მალაღზე-მალალი შეფასება იყო.

მხოლოდ რამდენიმე მაგალითი. რიგ შემთხვევაში სულხან-საბა  
თითქოს უცვლელად ტოვებს ვახტანგისეულ თარგმანს: „მზეს ამ სი-  
მალლით ერთი პატარა ღრუბელი ფარავს“. მაინც სულხანთან უკვე  
ახალი პოეტური ელერადობა ენიჭება ამავე ფრაზას:

დიდსა, მალაღსა, ნათელსა მზესა  
მცირე ღრუბელი შეუცვლის ზნესა.

მაგრამ აშკარად თვით საბასეულია შემდეგი მშვენიერი სტრიქო-  
ნები, რომელშიც შინაური და შემოჩვეული მტერია გაკილული:

მტერმან ლოდი მომახვედრა, მოყვარემან ვარდის კონა,  
ეგრე მტერმან ვერ მატყინა, მოყვარემან შემალონა.

სოფლის წარმავლობას ასეთი მოხდენილი პოეტური ფრაზებით გა-  
მოხატავდა სულხან-საბა:

სიჰაბუყისა ყვავილი დამიქნო ეამთა დენამა,  
ნდომა მომაკლო, წაღილი, მან განგებამა ზენამა...

როგორც ცნობილი შეიგნა, ეს ლექსი თავისებური ვარიაციით გა-  
მოუყენებია შემდეგში ახალგაზრდა ილია ქავეკავაძეს და ეპიგრაფად  
წარუმიძღვარებია საკუთარი ლექსისათვის, რომელშიც ანალოგიური  
განწყობილებები იყო გამოხატული (იხ. ლექსის „ალაზნის“ ეპიგრა-  
ფი: „სიჰაბუყისა ყვავილი, დამიქნო ეამთა დენამა. ნდომა მომაკლო,  
დამავდო სასაპყროდ გული რბენამა“, რომელიც მანამდე საბას „უც-  
ნობ ლექსად“ ითვლებოდა. იხ. ალ. ბარამიძე, „ლიტ. გაზეთი“, 1957 წ.  
11. X).

სულხან-საბას განსაკუთრებული დამსახურებაა აგრეთვე ქართული  
ლექსის სრულიად ახალი ვერსიფიკაციული საზომების აღმოჩენა. რაც  
მას აღორძინების ხანის ქართულ პოეზიაში ნოვატორის სახელს ანი-  
ჭებხ. მის გზას გაბედულად გაჰყვენენ შემდგომში დავით გურამიშვი-  
ლი, მამუკა ბარათაშვილი და ამავე ხანის სხვა პოეტებიც. ამიტომ იყო,  
ალბათ, რომ ვახტანგ მეექვსე მისი დროის მოლექსეთა ხომლში სულ-  
ხან-საბას უპირველეს ადგილს ანიჭებდა („საბა თავადი მკდომელი, მა-  
მუკა ბოლოს მდგომელიო“. იხ. „სიბრძნე მალაღობელი“).

სულხან-საბას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი აგრეთვე  
ქართული სასულიერო მწერლობის განვითარებაში (ამ დარგში მისი  
ინტელსიური მოღვაწეობა მოდის იმ პერიოდზე, როცა იგი იმყოფებო-

და დავით გარეჯის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში).

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ მისი ღვაწლი ქართული ბიბლიის შესწორება-მოწესრიგების საქმეში, მასვე უნდა ჰქონოდა შემზადებული ბიბლიის სიმფონიის ტიპის ნაშრომი, რაც ამჟამად დაკარგულად ითვლება.

სულხან-საბამ აქვე მოამზადა საქრისტიანო მოძღვრების თავისებური შესავალი „სამოთხის კარი“, რომელიც ყრმათათვის იყო დანიშნული და რომელმაც ჩვენამდე რამდენიმე რედაქციის სახით მოაღწია.

ძალზე მნიშვნელოვანია ამავე პერიოდის ნაშრომთაგან სულხან-საბამს ქადაგებები, რომელიც ცნობილია „სწავლანის“ სახელწოდებით (გამოსცა ივ. ლოლაშვილმა, იხ. სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., III, 1963 წ.). სულხან-საბამს ქადაგებები აშკარად სცილდება ოდენ დოგმატიკურ ჩარჩოებს და გამოირჩევა მისი დროის საქართველოსათვის საჭირო, მტკივნეული საკითხების დაყენებით. ქრისტიანული მორალისა და ზნეობის თავისებურ გაშუქებასთან ერთად აქ წამოწეულია ეროვნული პრობლემატიკა და კარგად ამხელს მისი ავტორის დაუოკებელ პატრიოტულ გრძნობებს (იხ. კარი „ქართველობის თათრობისათვის“). ამაშია სწორედ ამ თხზულების უმთავრესი ღირსება. „სწავლანი“ წარმატებით აგრძელებს ძველ ქართულში ადრევე დამკვიდრებულ შესანიშნავ ტრადიციებს (შდრ. იოანე ბოლნელის ქადაგებები და ა. შ.).

\* \* \*

მაგრამ მაინც სულხან-საბამს მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში დაუფიქსარ წიგნს „სიბრძნე სიცრუისას“, რომელმაც მის ავტორს დიდი ივავთ-მწერლის სახელი მოუხვეჭა.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად ამ ნაწარმოებში გამოვლინდა სულხან-საბამს მწერლური გენია. „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ეს არის ყველაზე პოპულარული ძეგლი ძველ საქართველოში.

როგორც ზემოთაც ითქვა, სულხანის სარბიელზე გამოსვლას სხვა მრავალ უკუღმართობასთან ერთად აშკარად წინ უძღოდა ე. წ. „ყიზილბაშური პერიოდი“. ნაწილობრივ შაჰ-ნავაზისა და ადრე როსტომის მეფობის წლებში (1634—1658 წწ.), მიუხედავად შედარებით შშვიდობიანი ცხოვრებისა, განსაკუთრებით იგრძნობოდა „თათრობის“ დიდი მომძლავრება. ეს აშკარად შეიმჩნეოდა როგორც სულიერი ცხოვრების, ისე თვით ყოველდღიური ყოფის დეტალებშიც. როსტომ მეფემ ყველა კარი გაუღო პროსპარსულ შემოტევას. დიდი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი პირდაპირ აღიარებდა, რომ „ამათითა შეერიათ ქართველთა განცხრომა, სმა-ჰამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუილი ზორც-განსვენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი... და დაუტევებდნენ ქართველთა ზნეთა“. პირველი უდიდესი ამოცანა სწორედ „თათრობის“ წინააღმდეგ ბრძოლა იყო, რაც ქართული ეროვნული სულის, ტრადიციებისა და ენის დაცვაში გამოიხატებოდა. ამასთან მორალისა და ზნეობის საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას მო-

ითხოვდნენ. სწორედ ამან განაპირობა, როგორც ჩანს, სულხან-საბას განსაკუთრებული დაინტერესება ზნეთსწავლულობის გამომხატველი თხზულებებით, რომელთა შორის უპირველესი ადგილი უქირავს მის ორიგინალურ ნაწარმოებს „სიბრძნე სიცრუისას“.

„სიბრძნე სიცრუისა“ იგავ-არაკული ჟანრის თხზულებაა. თანამედროვე მკითხველი კარგად იცნობს ამ ჟანრის სახელგანთქმულ წარმომადგენლებს. აქ საკმარისია თუნდაც მარტო ბერძენი იგავთმწერლის ეზოპეს დასახელება. ამ ტიპის თხზულებებით განსაკუთრებულად იყო გატაცებული ძველი აღმოსავლეთი. უნდა ითქვას, რომ ეს ტრადიცია იქ არც ახლა შერყეულა. ჰიტოპადეში თუ პანჩატატრა, ანვარი სოჰაილი თუ სინდბადის წიგნი, ბახთიარ-ნამე თუ თუთი-ნამე ან ხოჯა ნასრედინის ანეგდოტები საოცრად პოპულარული იყო და არის მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში.

ზემოთ ჩამოთვლილ წიგნთაგან ზოგი იგავ-არაკების კრებულს წარმოადგენს; ზოგს ერთი მთავარი, მეტწილ შემთხვევაში გონებამახვილი პერსონაჟი აერთიანებს (მაგ. ხოჯა ნასრედინი და მისი მსგავსნი). აღმოსავლეთში უფრო მეტად გავრცელებული იყო ე. წ. ჩარჩოიან თხრობაზე აგებული იგავ-არაკული ჟანრის თხზულებები, რომელთაც ერთი ან რამდენიმე ფაბულური საფუძველი აერთიანებდათ. სწორედ ამ უკანასკნელთა ტიპის თხზულებაა „სიბრძნე სიცრუისა“.

მხატვრული თვალსაზრისით, და ეს არის განსაკუთრებულად ფასეული, „სიბრძნე სიცრუისა“ ძალზე ოსტატურად შესრულებული ნაწარმოებია. საგულისხმოა, რომ ამ ტიპის კრებულებისაგან განსხვავებით აქ ფაბულა ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რის გამოც იგავ-არაკები მკაცრ ჩარჩოში არიან მოქცეულნი, თავიდან ბოლომდე ერთ ძირითად, იდეურად გამიზნულ ხაზს ემორჩილებიან. ეს თვისება მას კომპაქტურობას ანიჭებს და ერთი მთლიანის შთაბეჭდილებას ქმნის. ყოველი იგავი ფუნქციურად არის დაკავშირებული სიუჟეტურ ხაზთან და თხრობის ძაფი უწყვეტლად მოედინება. მკითხველს არა მარტო ცალკეული იგავ-არაკები, არამედ სიუჟეტური ბერიპეტივებიც იტაცებს და ბოლომდე ინტერესით მიჰყვება მასში მოთხრობილ ამბავს. „სიბრძნე სიცრუის“ პოპულარობის ერთ-ერთ მიზეზად უეჭველად ეს თავისებურებაც უნდა მივიჩნიოთ.

სულხან-საბას თავისი თხზულებისათვის დიდძალი მასალა აქვს გამოყენებული და სად არ იპოვით, რომელი ხალხის ფოლკლორში თუ იგავ-არაკების კრებულში მიმსგავსებულ პარალელებს. ამყამად ვარკვეულია, რომ მეტი წილი მოარული სიუჟეტებისა სულხან-საბას ზეპირი გზით უნდა ჰქონდეს შეთვისებული. უხვადაა წიგნში შესული ქართული ფოლკლორული მასალები, ღოღო რიგი იგავი აშკარად ავტორისეული გამოცდილების ნაყოფია. არ არის გამორიცხული მწიგნობრული სესხების გზაც, რაც ჩვეულებრივი იყო საერთოდ შუასაუკუნეთა მწერლობაში და მით უფრო ამ ტიპის თხზულებებში.

მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ სულხან-საბას ყველა ეს წყარო თავისი ძირითადი მიზნისთვის აქვს შერჩეული და გადამუშა-

ვებული, ეროვნული კოლორით შეზავებული და მხატვრულად ზუსტი დეტალებით გამდიდრებული. საოცრად ეროვნული იუმორი თავიდან ბოლომდე მსჭვალავს მთელ თხზულებას. კარგად შენიშნავს ამასთან დაკავშირებით ინგლისელი ქართველოლოგი დავით ლანგი: „ადამიანი შეუძლებელია არ განაცვიფროს იმ ხელოვნებამ, რომლითაც სულხან-საბა ორბელიანმა ერთმანეთში შეადღულა ეს ნაირ-ნაირი მასალა, რათა მკაფიო და ჭეშმარიტი ქართული ხალხური სურნელებით გაყენთილი ერთიანი თხზულება შეექმნათ“.

„სიბრძნე სიცრუის“ ორიგინალობა იმაშიც იჩენს თავს, რომ ზოგადსაკაცობრიო იდეალების ქადაგებასთან ერთად მასში ღრმად ეროვნული სულისკვეთებაა ჩაქსოვილი, კიდევ ერთხელ გამოჩნდა აქ სულხან-საბა, როგორც სამშობლოს ბედზე ღრმად დაფიქრებული მწერალი-მოაზროვნე.

აღბათ, არაფერი ისე არ სჭირდებოდა შინაური თუ გარეული მტრებისაგან შეწუხებულ ქვეყანას, როგორც ჭეშმარიტად პროგრესულ საწყისებზე აღზრდილი ადამიანები, რომლებიც ბრძოლითა და შრომით განახლებას მოუტანდნენ ქვეყანას.

„სიბრძნე სიცრუისას“ მთავარი თემა სწორედ სწავლა-აღზრდის საკითხებია და მის გარშემო იყრის თავს იგავ-არაკული ფორმით გაშლილი მთელი სიუჟეტი. სულხან-საბა ორბელიანი დემოკრატიული პრინციპების მომხრედ გვევლინება (ისევე როგორც მის სხვა თხზულებებში. იხ. მისი „სწავლანი“ და სხვა) და აღზრდის საფუძვლად შრომასა და ფიზიკურ წრთობას მიიჩნევს. მკითხველს, აღბათ, თვალში მოხვდება აღზრდის პრინციპების ერთგვარი ანტიკური თვალსაზრისი: ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. საგულისხმოა, რომ თხზულების მოქმედება გადატანილია მეფის კარზე (ამ შემთხვევაში საბა ძველი ებოსის ტრადიციას მისდევს) და უფლისწულის აღზრდას ეხება. მაგრამ ავტორი აქ უფრო სხვა ჩანაფიქრს გვთავაზობს. მისი აზრით, მეფის ოჯახისთვისაც უცხო არ უნდა იყოს დემოკრატიული აღზრდის საფუძვლები. ამასთან, იგივე ხერხი (მოქმედების მეფის კარზე გადატანა) ავტორს საშუალებას აძლევს პირდაპირ თუ იგავური ენით ამხილოს აქ დაბუღებული მანკიერებანიც.

ერთმა მეფემ თავისივე სამფლობელო ნასოფლარებად აქცია („უსამართლო შირვან-შაჰ“), ხოლო მეორე იგავში („მეფე და მხატვარი“) სასიკვდილოდ განწირული ხელოვანი გონებამახვილობის წყალობით გადაურჩება მეფის დაუმსახურებელ რისხვას. მეფის კარზე, წიგნში ეს ბევრგანაა ნაჩვენები, უსამართლობა, შური და პირმოთნეობაა გამეფებული.

სულხან-საბა საზოგადოების სხვა ფენებსაც არ ზოგავს, სასტიკად კიცხავს გაუტანელ და კარიერისტ მოხელეებს, მდივანბეგებსა თუ გზირებს. კლასიკურია ამ თვალსაზრისით ერთი იგავი („მაოხრებელი მკვდარი“), რომელშიც ბოროტი მოხელე სიკვდილის შემდეგაც „ახერხებს“ ზიანი მიაყენოს სოფლის უბრალო მკვიდრთ. ასევე მხილებულია სასულიერო პირთა მოჩვენებითი ღვთისმოსაობა და ზოგჯერ ამ-

კარად სამარცხვინო ზნეობა. სულხან-საბას მამხილებელი სიტყვა ზოგჯერ სატირიკოსის სიმძაფრეს აღწევს.

გზადაგზა სულხან-საბა თავის იდეალებსაც გვთავაზობს. თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი, „სიბრძნე სიცრუისა“—ს ავტორი თუმცა ერთგვარად შერიგებულია ამ აზრს, რომ ქვეყანას მეფე უნდა მართავდეს, მაგრამ მას მეფე ასევე ჩვეულებრივ მოკვდავად მიაჩნია და მისგან კიდევ უფრო მეტად მოითხოვს ჰუმანურობას. მისი აზრით, ქვეყნის მეთაური გონიერი, შემწყნარებელი უნდა იყოს და ხალხის კეთილდღეობისათვის უნდა ზრუნავდეს. იგი ქვეყნის მეთაურს კეთილ მწყემსს ადარებს და უბრალო ხალხის ქომაგობას მოითხოვს მისგან. ამასთან, ავტორი მომხრეა ძლიერი, ქვეყნის გაშაერთიანებელი ხელისუფლებისა.

ეს იყო პირდაპირი პასუხი მაშინდელი საქართველოს ფეოდალური დაქსაქსულობის წინააღმდეგ, რომელმაც უფსკრულის პირამდე მიიყვანა ქვეყანა. ღრმად და ლაკონურად გამოხატა ეს აზრი მწერალმა ცნობილ იგავში „ძალა ერთობისა“, რომელშიც ურთიერთმხარდაჭერაზე საუბარი ისევე როგორც სხვა მრავალ იგავში, აქაც კონკრეტული დასკვნა საყოველთაო ჰუმანიტეტების სახეს იძენს.

თავისი დროისათვის მეტად გაბედულია სულხან-საბას აზრი, რომ ადამიანი არა ჩამომავლობით, არამედ პირადი ღირსებითა და გაწეული ღვაწლით უნდა დაფასდეს. ხოლო მეორეგან პირდაპირ აცხადებს, რომ ზოგ უღირს მეფეზე მაღლა უბრალო მწყემსი დგას და, თუ საჭიროება მოიტანს, მეფემ ტახტი მასზე ღირსეულს, თუნდაც იგი დაბალი წრიდან იყოს წარმოშობით — უნდა დაუთმოსო.

„სიბრძნე სიცრუისა“ მაღალი ჰუმანიზმის მქადაგებელი ნაწარმოებია. ამიტომაც დაიმსახურა მან დიდი სიყვარული. მეგობრობისათვის რუსთველის შემდეგ არავის უმღერია ესოდენ წარმტაცი ჰიმნი.

კარგი ამხანაგი აღვილად არ იშოვების,  
გზაზე არ იშოვების, იაფად ვერაჲინ იყიდის,  
ამხანაგი ციხე წყლიანია,  
ზღუდე მაღალია,  
სიმაგრე დაურღვეველია,  
ამხანაგი გულთა ნათელია,  
თიკლთა ჩინია,  
მკლავთა ძალია,  
ზურგთა მომხელთა...

მართლაც, რომ დიდებული სიმღერაა. სულხან-საბამ მეგობრობის წმიდათაწმიდა გრძნობას უკვდავი ძეგლი აუგო.

სამშობლოს, თავისი ხალხის სიყვარულითაა გამთბარი დიდი ჰუმანისტის ყოველი სტრიქონი. მთელი მისი შემოქმედება. მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ სულხან-საბა არ იფარგლება მხოლოდ ამ გრძნობით და ყოველგვარი ძალმომრეობის, ერთი ხალხისაგან მეორის დამონების სასტიკი წინააღმდეგია. ასეთი პოზიცია სულხან-საბას შუასაუკუნეთა პროგრესულ მოღვაწეთა რიგში აყენებს.

„სიბრძნე სიცრუისა“ ცხოვრებაზე ღრმა დაკვირვების ნაყოფია. სულხან-საბა კარგად იცნობს ადამიანის ბუნებას, მისი ხასიათის ძლი-

ერსა და სუსტ მხარეებს და მკითხველი წიგნიდან ბევრ საგულისხმო აზრს, გონივრული განსჯის უნარსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც იძენს. ადამიანური მოქმედების არაერთი მხარეა აქ შეფასებული, არაერთ კითხვაზეა პასუხი გაცემული. ავილოთ თუნდაც ერთ-ერთი ბოლო იგავი („მეფე და უფლისწული“), სადაც მშვენიერი შედარებაა მოხმობილი იმის ნათელსაყოფად, რომ ადამიანმა სიცოცხლეშივე უნდა ჩაიდინოს სიკეთე, ქველი საქმე, თორემ ანდერძით სიკვდილის შემდეგ გაცემული საუნჯე უკან მიდევნებულ, უსარგებლო ლამპარს ჰგავსო. ასევე მოხდენილად არის გადამუშავებული უძველესი იგავი უგუნური მოცურავის შესახებ. შეგონება ნათელია: ადამიანმა თავის თავს თვითონვე უნდა უშველოს, სხვათა, თუნდაც ღმერთის, იმედზე არ უნდა იყოს: ქმედება და აქტივობა გასაჭირისაგან თავდახსნის ერთადერთი გზაა.

„სიბრძნე სიცრუისა“, ისევე როგორც ამ ტიპის მეტი წილი თხზულებანი, მორალისტური ხასიათის ნაწარმოებია. მაგრამ ძალზე ცოცხალი, მრავალფეროვანი მხატვრული თხრობის მეშვეობით ავტორი თავს აღწევს მშრალსა და გაყინულ მორალისტიკას. სულხან-საბა მსუყე, მიწიერი უტრიხებით ხელშესახებად გვიხატავს საინტერესო, მიმზიდველ ამბებს, ადამიანებსა თუ ცხოველთა სამყაროს და მათში ბუნებრივად აქსოვს ამა თუ იმ აზრს, შეგონებას, ცხოვრებისეული დაკვირვების შედეგებს.

„სიბრძნე სიცრუისა“ სხვა მხრივაც არის უნიკალური მოვლენა ძველ-ქართულ მწერლობაში. სულხან-საბამ აღადგინა ქართული პროზის დიდი ტრადიციები, რომლებიც აღორძინების ხანაში (XVI—XVII საუკ.) ჩვენში თითქმის დაწყვეტილი იყო. ამასთან, ძველ ქართველ მწერალთაგან მან ერთ-ერთმა პირველმა მიმართა ხალხურ, სასაუბრო ენას. ფრთიანი გამოთქმები, ილიომატიკის მიგნებული გამოყენება განუმეორებელ ელფერს ანიჭებს თხრობას, მაგრამ ყოველივე ეს თხზულებაში შესულია ორგანულად, ზომიერების დაცვით და ოდნავადაც არ ქმნის სტილის სიკრელეს. სხარტი, ლაპიდარული თხრობა, სათქმელის ზუსტი გამოხატვა (თითქმის ფორმულის დონეზე) „სიბრძნე სიცრუისას“ უმთავრესი სტილური ნიშანია. ისიც უნდა ითქვას, რომ სულხან-საბას შემოქმედებამ, თავის მხრივ, დიდი გავლენა მოახდინა ქართული პროზის შემდგომ განვითარებაზე.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ დღეისათვის თარგმნილია ცივილიზებული ხალხების თითქმის ყველა ენაზე, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს ამ თხზულების მაღალ იდეურსა თუ მხატვრულ ღირსებებს.

1979 წ.



## პოეტი და მამულიშვილი

(ვახტანგ მენჯველიძე)

ძველი საქართველოს დიდ მოღვაწეთა შორის ვახტანგ მენჯველიძეს ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფიგურაა.

ბუნებამ იგი ტალანტით, გონიერებითა და საქვეყნო საქმისათვის აგრერიგად საჭირო ენერგიით უხვად დააჯილდოვა. „ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამად დაეშვერ“, წერდა იგი თავის ერთ ნაშრომში და, მართლაც, ზემოჩამოთვლილ ღირსებებს ამშვენებდა სამაგალითო ზნეობრივი სისპეტაკე და თავის დროისათვის ამალღებულ იდეალებისაკენ სწრაფვა.

მაგრამ მკაცრი ისტორიული სინამდვილე (თუ გნებავთ, ბედის ირონია) ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამსხვრევდა პოეტის კეთილშობილურ ზრახვებს. ისინი კი პირველ რიგში ისევ და ისევ მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ იყო მიმართული. „ჩემი ჰირო ქვეს ჰქონებოდა და აღნობდა, ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“, — ნათქვამია მის ერთ ცნობილ ანდერძში. მან პირად ცხოვრებაში იწვნია ბედის დარტყმების უღმობელოება, თუმცა, როგორც ეს სულით ძლიერ პიროვნებათ ახასიათებთ, ბოლომდე შეინარჩუნა შეუღრეკელი ნება და ერთხელვე დასახული იდეალებისადმი ერთგულება.

მაგრამ ყველაზე დიდ უმადურობას ჩვენ მაშინ ვიჩენთ, როცა ამა თუ იმ მოღვაწის შეფასებისას ძალზე კონკრეტული შედეგებით ვიფარგლებით და არ ვითვალისწინებთ უფრო ფართო მასშტაბის ისტორიულ მოვლენებს. მთავარია არა ცალკეული ეპიზოდური მარცხი. არამედ მომავლისაკენ მიმართული ისტორიული ალღო, რომელიც შექირვებაში მყოფი ქვეყნისათვის სწორ ისტორიულ პერსპექტივას სახავს.

სწორედ ამ ტიპის მოღვაწეთა ვახტანგ მენჯველიძე და ასეთივე კრიტიკრიუმით უნდა მივუდგეთ მისი დიდი საქმიანობის შეფასებასაც.

პოლიტიკურ ასპარეზზე ვახტანგ მენჯველიძეს ურთულესი დილემის წინაშე აღმოჩნდა. ოდესღაც უძლიერესი და მაღალი ცივილიზაციის ქვეყანა ფიზიკური და სულიერი გადაგვარების მიჯნაზე იდგა. ეს პროცესი ყოვლისმომცველი ჩანდა. ფაქტი იყო ისიც, რომ ჩვენი ერის კულტურული დონე ამ ხანებში ძალზე დაქვეითდა, ხოლო შემოქმედების კერაში ცეცხლი ოდნავდა ღვიოდა. შინაგანი ტყვივლებით დასნეულებულ ქვეყანას, რომელიც დავით გურამიშვილმა უკუღმართად გადახნულ მინდორს შეადარა, გზას უხშობდა მძიმე პოლიტიკური გარემოცვა.

სხნის გზა საძიებელი და მოსაჩხრეკი იყო.

ასეთ რთულ ვითარებაში ვახტანგ მენჯველიძეს განსაკუთრებული მისიის შესრულება ხვდა წილად. გონიერ მეთაურს გარჯა არ დაუკლია, რომ ეროვნული კატასტროფისაგან ეხსნა თავისი ქვეყანა.

ფაქტია, რომ „სინათლის სხივის“ მაძიებელთა შორის ვახტანგმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცადა საშინელი უკუნის გარღვევა. ამის დავიწყება დიდი უსამართლობა იქნებოდა.

არჩევანი სწორი და პერსპექტიული იყო. მაჰმადიანური გარემოცვა, კერძოდ კი, სპარსეთისა და თურქეთის (რომლებიც თავის მხრივაც პოლიტიკურსა და კულტურულ ჩიხში იყვნენ მოქცეულნი) დამორგუნველი ზეგავლენა დაღუპვას უქადდა ქვეყანას. ვახტანგმა კურსი ახალი ცივილიზაციის ქვეყნებისაკენ აიღო, თუმცა ეს გზაც ძნელადსავალი და ეკლიანი აღმოჩნდა.

დასავლეთ ევროპასთან რეალური კავშირის ძიება იმ ხანად ნაადრევი გამოდგა (საკმარისია აქ გავიხსენოთ ვახტანგისავე თაოსნობით ევროპაში სულხან-საბას დიპლომატიური მოგზაურობის შედეგები), მაგრამ ეს ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო და ვახტანგმა გადადგა კიდევ. თუ პოლიტიკურად ეს ლტოლვა მაშინ მარცხით დამთავრდა, კულტურის თვალსაზრისით მან მაინც ნაყოფი გამოიღო, რამაც თავისი კვალი დააჩნია ვახტანგისა და მის თანამებრძოლთა შემდგომ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამის შემდგომ ვახტანგმა უშუალო წინამორბედთა მსგავსად (თეიმურაზი, არჩილი) ბოლოს და ბოლოს რეალურ მოკავშირე ძალად ისევ და ისევ ერთმორწმუნე რუსეთი მიიჩნია და, როგორც ცნობილია, ამის შემდეგ ქვეყნის მეთაურის პოლიტიკური ნაბიჯები ნიადაგ აქეთკენ იყო მიმართული.

ყოველი ახალი ნაბიჯი, ეს ისტორიული ჭეშმარიტებაა, ყოველთვის გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ვახტანგიც გაბედულად წავიდა ამ რისკზე, წმინდა გიორგივით იგი განრისხებულ ვეშაპთა (გურამიშვილის მეტაფორაა) პირისპირ აღმოჩნდა.

მსოფლიო პოლიტიკურ ძალთა გადაადგილებამ რუსეთსა და მის სახელოვან მეთაურს პეტრე პირველს იმჯერად ხელი ააღებინა აღმოსავლეთის პრობლემებზე, რომელთაც ვახტანგი საკუთარი ქვეყნის ინტერესებსაც უკავშირებდა.

მარცხი გარღვეული იყო, თუმცა ვახტანგი მაინც იმედინად შესცქეროდა მომავალს. ამით უნდა აიხსნას მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთში გადასვლა, რათა ერთობლივი ძალით კვლავ შემოებრუნებინა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ჩარხი.

ჩვენთვის ამჟამად კარგად ცნობილმა ფაქტორებმა ფრთები შეაკვეცა ვახტანგის ზრახვებს და მისი პირადი ცხოვრებაც ტრაგიკულად დასრულდა. პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოცილებულმა დიდმა მამულიშვილმა შორეულ ასტრახანში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

მაგრამ არც ამ შემთხვევაში უნდა დავივიწყოთ მთავარი. ვახტანგის პოლიტიკური ორიენტაცია უცთომელი გამოდგა, რაც საქართველოს ისტორიულმა ცხოვრებამ საბოლოოდ დაადასტურა.

მაგრამ რაც ითქვა, ვახტანგისა და მის თანამებრძოლთა მოღვაწეობის მაინც ერთი მხარეა. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული უმთავრე-

სი რამ: ოდენ გარეშე ძალებზე დაყრდნობით ეროვნული აღორძინება იმთავითვეა განწირული.

აღორძინება ცხოვრების ყველა სფეროს უნდა შეხებოდა და თანამედროვეთა თვალში ყველა ამ საქმიანობის მოთავედ ვახტანგი იყო მიჩნეული. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს ამავე ხანებში შექმნილი ერთი ლექსი (იგი გივი თუმანიშვილს მიეწერება), რომელიც ვახტანგის ეპიტაფიის სახელითაა ცნობილი. ლექსში, რომელიც ჩვენ დავით აღმაშენებლის ცნობილ ეპიტაფიას გვაგონებს, ამომწურავად არის დახასიათებული ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობის მრავალმხრივობა.

გასაგები მიზეზების გამო აღორძინებისაკენ მიმართული საქმიანობა. უწინარეს, სულიერი კულტურის სფეროს შეეხო. ვახტანგის გარშემო შემოკრებილი ერთი მუჰა სწავლულთა შემართება მართლაც რომ სამაგალითოა. მიუხედავად ვახტანგის ხანმოკლე მეფობისა, შედეგები განსაკვიფრებელი აღმოჩნდა. აი, რა ნაყოფი მოაქვს ერთსულეობებსა და დაუოკებელ მიზანსწრაფვას. ეს ისეთი გაკვეთილია, რომელიც ნიმუშად გამოადგებოდა ყველას, ვინც კი ხალხის სამსახურს გაიხდის საკუთარი მოღვაწეობის უმაღლეს მიზნად.

საკმარისია აქ დავასახელოთ სულხან-საბას დიდებული ლექსიკონი, რომელსაც ვახტანგმა ასე მოხდენილი სახელი „სიტყვის კონა“ უწოდა. სულხან-საბამ ღირსეულად გაასრულა საშვილიშვილო საქმე და თავის ხალხს უძვირფასესი საუნჯე უანდერძა. იგი სანიმუშოა არა მხოლოდ უნიკალური ლექსიკით, როგორც ამას მართებულად შენიშნავს არნოლდ ჩიქობავა, არამედ ლექსიკოგრაფიის ზოგადი საკითხების გაგების მიხედვითაც. [საბას ლექსიკონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე იმდროინდელი ფრანგული აკადემიური სალექსიკონო შრომები].

სულხან-საბა მართო არ ყოფილა ქართულ სიტყვასთან ამ შეუპოვარი ჭიდილის უამს. ამას საგანგებოდ აღვნიშნავ, რადგან ეს იყო მაშინდელი ეპოქის სწავლულთა მუშაობის სტილი, სხვებთან ერთად მას, პირველ რიგში, შველოდა და უმშვენებდა მხარს მისივე მოწაფე და უახლოესი თანამშრომელი ვახტანგ მეექვსე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ლექსიკონის სრულყოფის საქმეს (განსაკუთრებით ჩვენში შემოსული აღმოსავლური ლექსიკის განმარტებებში, რის უბადლო მცოდნეც ვახტანგი იყო).

მაშინდელ სწავლულთა ეროვნული თვალსაზრისის მაღალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ დროს სისტემაში იქნა მოყვანილი ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორიცაა „ქართლის ცხოვრება“. ვახტანგის თაოსნობით მომუშავე სწავლულთა კომისიის დამსახურებაა არა მხოლოდ ის, რომ „ახალ ქართლის ცხოვრებაში“, როგორც შემდეგში ეწოდა მათ ნამუშევარს, საქართველოს ისტორია მოტანილია უახლოეს ხანებამდე, არამედ ძველი ტექსტების დამუშავების დროს მკაცრი მეცნიერული მეთოდების მომარჯვება. მუშაობა წარმოებდა წყაროთა შესწავლა-შეჯერების საფუძველზე. მართლაც, ამჟამად გარკვეულია, რომ „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ შემატებული და აღდგენილი ყოველი ეპიზოდი დამყა-

რებულია ძველ ქართულ ისტორიოგრაფიულ წყაროებზე, რომლებიც მათ მიერვე იყო მოძიებული და გამოვლენილი.

რასაკვირველია, უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ვახტანგისავე შთაგონებით შესრულდა მისივე ვაჟის — ვახუშტის გრანდიოზული ისტორიოგრაფიული ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონის მსგავსად ქართული მეცნიერული აზრის უმაღლესი გამოხატულებაა.

ვახტანგის მოღვაწეობის დიდ ეროვნულ მასშტაბზე მიუთითებს მის მიერ საქართველოში პირველი სტამბის დაარსება (დღეს კარგად არის ცნობილი, თუ რა ბრძოლისა და სისხლის ფასი დაჯდა ამ საქმის ბოლომდე გასრულება). შეიძლება ყველამ არ იცოდეს ის ფაქტი, რომ მთელ ახლო აღმოსავლეთში (მათ შორის, ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორც სპარსეთია) იმ ხანად ეს იყო პირველი დაზგური სტამბა, რაც თავისთავად ადასტურებს ვახტანგის ზრუნვას ქართული კულტურის ამაღლებისათვის.

ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა ბევრი უნიკალური წიგნი, რომელთაგან დიდი ნაწილი სასწავლო-აღმზრდელი თხზულებებისა იყო. პირველი ქართული სტამბის მნიშვნელობას განუზომლად ზრდის ის ფაქტი, რომ აქ პირველად ბეჭდურად გამოქვეყნდა ქართული პოეტური კულტურის გვირგვინი, შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

ვახტანგს ღრმად ესმოდა ამ ნაბიჯის პასუხისმგებლობა (მანამდე, როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა) და ყველაფერი იღონა, რათა, როგორც მხატვრულად, ისე მეცნიერული თვალსაზრისით, წიგნი შესაფერ დონეზე გამოსულიყო.

მეცნიერების დღევანდელ ეტაპზე გარკვეულია ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი თავისებურებანი. ეს არის პოემის პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა (Tditio princeps), ხოლო მისმა რედაქტორმა სამართლიანად დაიმსახურა პირველი რუსთველოლოგის საპატიო სახელი.

მართალია, ვახტანგს არ მოუცია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის რამდენადმე სრული სურათი და შემოიფარგლა ოდენ ტექსტის გამოცემის ამოცანებით, მაგრამ, ვიმეორებ, მისი ეს ცდა თავისი დროისათვის არაჩვეულებრივად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, და, როგორც ცნობილია, ვახტანგის გამოცემამ შემდეგშიც ღრმა კვალი გაავლო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლის საქმეს. უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში მომდევნო გამოცემათა ტექსტი (განსაკუთრებით ეს ითქმის XIX საუკუნის გამოცემებზე) თავისი ღირსებებით ვერც კი შეედრებიან პირველი რუსთველოლოგის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს (1712 წლის გამოცემის აღდგენას დიდი ამაგი დასდო ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ).

უნიკალურია ვახტანგის ნაშრომიც („თარგმანი პირველი წიგნისა ამის „ვეფხისტყაოსნისა“), რომელიც მან 1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ გამოცემას დაურთო. იგი აქ პოემის შესწავლის რიგ

მტიკვენულ საკითხს ეხება. განსაკუთრებით კი საყურადღებოა მკვლევარის იდეოლოგიური პოზიცია, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი“ წარმოდგენილია ქრისტიანულ კულტურაზე დაფუძნებულ ჰუმანისტური და აღმშრდებლობითი მიმართულების დიდებულ პოეტურ ქმნილებად.

ვახტანგმა აგრეთვე მარჯვედ გამოიყენა სულხან-საბასთან ერთობლივი სალექსიკონო მუშაობის დიდი გამოცდილება და ახსნა პოემის არაერთი საცილობელი სიტყვა. ვახტანგ მეექვსემ ამით სათავე დაუდო „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის შესწავლას და მთელი მიმდინარეობანიც კი შექმნა ამ მიმართულებით.

დღეს, როცა კიდევ ერთხელ ვიხსენებთ დიდი მამულიშვილის უკუდავ საქმეებს, შეუძლებელია არ აღინიშნოს მისი დიდი ღვაწლი ქართული იურიდიული მეცნიერების აღორძინებაში, რის გამოც მას, ასევე სამართლიანად, ვახტანგ სჯულმდებლის სახელი ეწოდა. ცნობილია აგრეთვე მისი გატაცება საბუნებისმეტყველო დარგებით. აქაც იგი ხშირ შემთხვევაში გაუქვალავე გზით მიდიოდა.

მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ საქმიანობის უმთავრესი ნიშანი განმანათლებლური ხასიათისაა. გასაგებია ისიც, თუ რა მიზნებს ისახავდა იგი. პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად ვახტანგი, სულხან-საბა და მათი თანამებრძოლები ამ გზით ცდილობდნენ ისტორიული უკუღმართობის გამო ჩვენი ხალხის მთვლემარე სულიერი ძალების აღორძინებას. დამახასიათებელია ისიც, რომ ამ დიდ მოღვაწეობაში ისინი ფართო თვალსაზრისზე იდგნენ. ძველი ქართული კლასიკური კულტურის ათვისებასთან ერთად შეძლებისამებრ ითვალისწინებდნენ ახალი ცივილიზაციის ქვეყნების მდიდარ სულიერ გამოცდილებას. ამაზე ნათლად მეტყველებს შინაარსი და მეთოდები იმ მუშაობისა, რომელთა შესახებაც საუბარი იყო ვახტანგის საგანმანათლებლო მოღვაწეობის დახასიათების დროს.

ვახტანგი ჩინებული პოეტი და მთარგმნელი იყო. ილია ჭავჭავაძე წერდა დავით გურამიშვილზე, რომ „მისი დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს, თუნდ ლუკრეციუსს, ვერგილიუსსა და ჰორაციუსის დიდაქტიკურ პოეზიას დაუყენეთ პირისპირ“. ეს სრული ჭეშმარიტებაა და თუ ასეა, უნდა გავიხსენოთ, რომ გურამიშვილს ამ დარგში ჰყავდა უახლოესი წინამორბედი და მოძღვარი ვახტანგ მეექვსის სახით. რასაკვირველია, დავით გურამიშვილი პოეტური ძალით ბევრად წინ გაიჭრა, მაგრამ უბრალო შედარებაც ცხადყოფს, თუ რაოდენ არის იგი დავალებული ვახტანგ მეექვსის ამავე ხასიათის პოეტურ თხზულებათაგან. მაინც ამ ტიპის ლექსთა შორის შედევრად უნდა ჩაითვალოს ვახტანგის ერთი შეგონება, რომელიც კაცთა მორღმის დანიშნულებაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის „სოფლისთვის ზრუნვის“ თვალსაზრისის უშუალო წინამორბედად გვევლინება:

კაცმა უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,  
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს,  
მოყვარეთა, ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,  
სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სამე დარგოს.

ვახტანგი საგანმანათლებლო-აღმზრდელით მიზნებს უმორჩილებდა არა მარტო ორიგინალური დიდაქტიკური ხასიათის პოეზიას, არამედ მთელ თავის საოცრად ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. დაუფასებელია მისი წვლილი იგავ-არაკების დიდებული კრებულის „ქილილა და დამანას“ თარგმნაში. ვახტანგმა უმეთაურა. ამ საქმეს და თავის ერთ ანდერძში ამ ძეგლით დაინტერესება სწორედ საგანმანათლებლო მიზნებით ახსნა: „რაოდენცა საქართველოში ანუ არაქსა და ანუ იგავსა, ანუ ზეპირსა მუნსაიბსა ლექსსა იტყვიან, უფროსი ერთი ამაში სწერია... მე ეს წიგნი ხელად შემომივარდა, ვნახე, რომ იყო სიტყბოთი და სარგოთი სრული, რაოდენი ზღაპრის წიგნია, და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდ საკითხავი არ იპოებოდა“.

ამავე მიზნებით თარგმნა მან სპარსულიდან დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის თხზულება „ყაბუხ-ნამე“ (ქართულ თარგმანში „ამირნასარიანი“), ხოლო ლექსად გააწყო რუსულიდან გადმოღებული ასევე დამრიგებლური ხასიათის „აპოეთეგმატა“, რომელიც ვახტანგის „სიბრძნე მალაღობელის“ სახელითაა ცნობილი.

ვახტანგ მეექვსის მალალი პოეტური ტალანტი განსაკუთრებით გამოსკვივის ლირიკულ პოემებში, რომელთაც „სალბუნად გულისა“ და „სატრფიალონი“ ეწოდება. ხალასი პოეტური გრძნობები მათში ზომიერად არის შეზავებული ცხოვრებაზე ბრძნულ დაკვირვებებთან. ფაქტიურად აქ ავტორის სულიერი ბიოგრაფიაა გადმოცემული და დატვირთულია მძაფრი განცდებით — „დავემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად, მელნად ნალველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად“ (არ შეიძლება აქ არ მოგვაგონდეს აკაკის დიდებული პოეტური სახე: „ცრემლში მილესავს ნალველი და მელნად ის მიხმარია“).

პოეტური ფორმის დაუფლებით, გრძნობათა საოცარი დრამატიზმით უნიკალურია მისი ერთი ელეგიური ხასიათის ლექსი, რომელიც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ქართული პოეზიის კემშარიტ შედეგებს უტოლდება.

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,  
გათვდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და, ვანი, და,  
ვთავე ყოვლი ქვეყანა სიგარე და სივრცე, ვანი, და,  
ვერა ეპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და...  
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და  
ვაა-ვაა, მსაყეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და!

ვახტანგმა ცხოვრების დიდი ნაწილი უცხოობაში გაატარა და ქართულ პოეზიაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა გამოხატა სამშობლოსთან განშორების დიდი სიმძიმელი. იქნებ ეგვე იყოს მიზეზი მის პოეზიაში ასე მძლავრი ნაკადის სახით გამოვლენილი ბუნების გრძნობისა. ზემოთ ნახსენებ თხზულებაში „სალბუნად გულისა“ მშობლიური ბუნების მშვენიერი პლასტიკური სურათებია გადმოცემული. სხვათა შორის ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ვახტანგს ეკუთვნის ლექსი, რომელშიც ასევე, რამდენადაც ვიცი ქართულ პოეზიაში პირველად,

დახატულია თბილისური პეიზაჟი: „რა სჯობს მასში ტფილისსა, ვარ-  
დი ვარსკვლავებზე ესხასა, მწვანედ ღელავდეს გარემო, ცის ცვარი მას-  
ზე ესხასა“.

ვახტანგ მეექვსემ ვერსიფიკაციულ თუ სხვა პოეტურ ფორმათა (იგი, მაგალითად, ქართული ელეგიური ლექსის ერთ-ერთი ფუძემდებელია აღორძინების ხანის ლირიკაში) სიახლეებთან ერთად სათავე დაუდო მთელ მიმართულებას ამ ხანის პოეზიაში. მას საფუძვლად უდევს თვალსაზრისი ამაღლებულ, საზეო სიყვარულზე. ეს არის სწრაფვა უშუალოდ სიყვარულს, წარმავალში მარადიულის ჰერეტიკა, ემპირიულის უკან მისტიური პლანის გადმოცემისაკენ. ვახტანგ მეექვსე ღრმად მორწმუნე პოეტია და თითქმის ყველა მის ლექსს მსკვალავს ამგვარი განწყობილებები. ეს იყო სულიერ ძიებათა ერთ-ერთი საინტერესო ცდა და, როგორც ცნობილია, ამ თვალსაზრისის იზიარებდა, აღორძინების ხანის სხვა პოეტებს თავი რომ დაეანებოთ, ძველი საქართველოს ისეთი დიდი შემოქმედი, როგორც იყო დავით გურამიშვილი.

ვახტანგის დიდი სახელი, ავტორიტეტი შეურყეველი დარჩა შემდგომ თაობებშიც. თაყვანისცემის ეს დიდი გრძნობა მშვენივრად არის გადმოცემული იმ პორტრეტში, რომელიც ვახტანგ მეექვსეს მიუძღვნა გრიგოლ ორბელიანმა:

აჰა, სკულისა წიგნითა ვახტანგ სვე-დამწარებული,  
სწავლის მოყვარე, მფარველი, გონება ამაღლებული!  
უცხოთა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,  
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული.

ქართველი ხალხის ცნობიერებაში სამუდამოდ არის აღბეჭდილი მრავალჭირანახული მამულიშვილის დიდებული სახე.

1975 წ.

## დავით გურამიშვილი

(ცხოვრება და შემოქმედება)

### 1. სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული...

ძველ საქართველოს არ ჰყოლია რუსთაველის შემდეგ ისეთი დიდი პოეტი, როგორც დავით გურამიშვილია. გურამიშვილის პოეტურ-მა სიტყვამ საუკუნეებს გაუძლო და კვლავაც პირვანდელი მშვენიებით ბრწყინავს.

მაგრამ შოთა რუსთაველის ცხოვრება-მოღვაწეობა თუ ქართველი

ხალხის ეროვნული აღზევების ეპოქას ემთხვევა (XII—XIII სს.), დავით გურამიშვილი გვიანი შუა საუკუნეების პოეტია, როცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა. აღმოსავლური ექსპანსიით შექირვებული ქვეყანა როგორც პოლიტიკურად, ისე სოციალურად აშკარად დაკნინების გზაზე იყო დამდგარი. XVII—XVIII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა მოწინავე დასი გადაარჩენის გზას ეძიებდა, ხოლო საბოლოოდ ამ ძიებამ ისინი ერთმორწმუნე რუსეთთან მიიყვანა. ეს პროცესი მტკივნეული აღმოჩნდა, რადგან, რაც უფრო მეტ მიდრეკილებას ამქლავებდა ქართველი ხალხი, რათა დაეკავშირებოდა ჩრდილოეთის მეზობელს, მით უფრო მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა მაჰმადიანური რწმენის მქონე ქვეყნებისაგან, რომელთა შორის ძალითა და სისასტიკით გამოირჩეოდნენ შაჰის ირანი და თურქ-ოსმალეთის იმპერია. ამ ხანებში ქვეყანა ისტორიულ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. ოდნავი მოღუენებაც კი ეროვნულ გადაგვარებასა და კატასტროფას უდრიდა. ქართველმა ხალხმა თავის თავში აღმოაჩინა ძალა, რათა რუსეთის გზით დაეკავშირებოდა მოწინავე ქვეყნებს და საბოლოო განადგურებისაგან გადაერჩინა საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული ცელი და თვითმყოფი კულტურა.

დავით გურამიშვილი სწორედ ამ მღელვარე ეპოქის ღვიძლი შვილია, ღოლო მის პოეზიაში, როგორც პრიზმაში, წარმოსახულია გზაჯვარედინზე მდგომი ქვეყნის გაუტეხელი სული. ტრაგიკულ ნაკადთან ერთად, რომელიც ასეთ სიმძაფრეს ანიჭებს მის პოეზიას, იგი იმედინაღ უმზერდა მომავალს. ეძიებდა მშობლიური ქვეყნის გადაარჩენის „სიანთლის სხივს“ (ეს ერთი ყველაზე საყვარელი მეტაფორაა მის პოეზიაში).

ვერც სამკვიდროდან მოწყვეტამ, ვერც პირადმა ტრაგედიამ, რომელიც აგრერივად იყო გადაჯაჭვული ქართველი ხალხის ბედთან, ვერ შეაჩუცა და გატეხა პოეტის სულიერი მხნეობა.

მან საკუთარ თავში აღმოაჩინა გაუტეხელი რწმენა ადამიანთა მოდგმის უკვდავებისა და გაგვიმქლავნა კიდევ იგი „დავითიანის“ უქცნობ სტრიქონებში.

ქვიმთ, რასაკვირიელია. ძირითად შტრიხებში, საუბარია პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გურამიშვილის პოეზიის ზოგიერთ თავისებურებაზე, მის ადგილზე ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

\* \* \*

დავით გურამიშვილი დაიბადა 1705 წელს საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის მცხეთის მახლობლად, მდინარე არაგვის სანაპიროზე. აქ მღებარეობს საკმარისად მოზრდილი სოფელი საგურამო, რომელიც, XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ცნობით, განთქმული ყოფილა: „ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით... პირუტყვითა, ნადი-



რითა, ფრინველითა, ტყითა, ველითა და მითთა შემკობილითა“ (ვახუშტი).

საგურამოს უფრო ამაღლებულ ადგილს, რომელსაც გორისუბანს ეძახიან, დღესაც ემჩნევა ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევები. გადმოცემით, ეს ადგილი გურამიშვილების სამყოფელია, რაზეც პირდაპირ მითითებას ჩვენ „დავითიანშიც“ ვპოულობთ: „მე ვიყავი ერთი თავადი მოსახლე გორისუბანსაო“.

საგურამოს მიდამოებში გურამიშვილები შედარებით გვიან დამკვიდრებულან. ისტორიული ქრონიკების მოწმობით მათი წინაპრები, რომლებიც დიდგვაროვან ზევდგინიძეთა ოჯახს ეკუთვნოდნენ, დაახლოებით XV—XVI საუკუნეთა მიჯნაზე გადმოსახლებულან სამხრეთ საქართველოდან, როცა საქართველოს ამ პროვინციებში (მესხეთ-ჯავახეთი) ძალზე გაძლიერდა თურქეთის ექსპანსია.

ზევდგინიძეთა გვარი ქართლსა და კახეთში გადმოსახლების შემდგომ რამდენიმე შტოდ დაიყო. XV საუკუნის ერთ-ერთ ქრონიკაში („მცხეთის გუჯარი“) მოხსენიებულია თავადი გურამ ზევდგინიძე, რომელიც, როგორც ჩანს, სათავეს უდებს ახალ გვარეულობას, რომელთა შთამომავლები — გურამიშვილები — დამკვიდრებულან ქართლ-კახეთის საზღვარზე, სწორედ საგურამოს მიდამოებში (სოფლის სახელიც „საგურამოც“, როგორც ჩანს, მათივე გვარიდან მომდინარეობს).

დავითს ბავშვობა გურამიანთ-კარში (როგორც საგურამოს ეძახდნენ ზოგჯერ) ან უფრო ზუსტად, მის განაპირა მხარეს მდებარე სოფელში, გორისუბანში გაუტარებია. ძველ საქართველოში დამკვიდრებული წესისამებრ მაღალი წოდების ბავშვები პირველ წლებში აღსაზრდელად მიჰყავდათ გლეხების ოჯახში. ეს მტკიცე ტრადიცია აყო და მისი დადებითი მნიშვნელობა იმთავითვე სწორად ესმოდათ. დავითიც, როგორც ამას თვით პოეტივე გვიმოწმებს თავის ლექსებში, აღსაზრდელად ძიძას მიაბარეს, ეტყობა იმდენად ღარიბ ოჯახში, რომ მასაც არაერთხელ საკუთარ თავზე უგრძენია მშრომელი ხალხის გასაჭირი. უთუოდ ძიძასთან ყოფნის დროს შეითვისა დავითმა მდიდარი ხალხური სიტყვიერება, მსუყვე, მაღლიანი ქართულა, რომელიც მას ღრმად მოხუცებულობამდე, სამშობლოდან მოწყვეტილს ასე ცოცხლად შემორჩა და მის შემოქმედებაზე ეგზომ ნაყოფიერი გავლენა მოახდინა (ეს ემჩნევა არა მხოლოდ ენას, არამედ მისი მრავალფეროვანი ლექსების თემებსაც). აქვე გაეცნო, ალბათ, პოეტი ქართველი გლეხკაცის ცხოვრებას და შემდეგ მას „დავითიანში“ არაერთი სიყვარულით გაბთბარი სტრიქონი მიუძღვნა.

დიდებული ადგილია საგურამო. ჩრდილოეთით მოჩანს კავკასიონის მთები, საიდანაც მოედინება მქუხარე არაგვი. სამხრეთიდან მას ზღუდავს ხშირი ტყით დაფარული იალნოს ქედი, რომლის დასაუღოთ კონცხზე აღმართულია ზედაზენის ძველი მონასტერი. აქვეა მცხეთა, ჯვარის მონასტერი და სვეტიცხოველი — ქართველი ხალხის ძველი კულტურის უტყუარი მოწმენი. დავითის მამა-პაპანი ქართლ-კახეთის მეფეთა კარზე ერთ-ერთი დაწინაურებულნი დიდგვაროვანნი იყვნენ ლაშქარის მეთაურნი.

ყველა პირობა არსებობდა, რომ დავითს აქ ნებიერი ბავშვობა გაეტარებინა, შესაფერი სწავლა-აღზრდა მიეღო და ყოველმხრივ განსწავლული, გაწვრთნილი ჩამდგარიყო ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

მაგრამ ბედი მას მწარე ხვედრს უმზადებდა... სწორედ დავითის თვალწინ დატრიალდა დიდი ეროვნული ტრაგედია, რომლის ერთ-ერთი უშუალო მსხვერპლი თვით დავით გურამიშვილი შეიქნა.



XII—XIII საუკუნის შემდგომ, როცა მთელს ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი უძლიერესი ქართული სახელმწიფო დაანგრია მონგოლთა ურდოების უწყვეტმა ტალღამ, ქვეყანას ცოტათი მაინც ხანგრძლივი მშვიდობა აღარ პღირსებია. ძველი ქართველი მემკვიდრეების ფიგურალური თქმით, საქართველო სისხლის კალოს დაემსგავსა, რომელზედაც ხორბლის ნაცვლად ადამიანის ხორცსა და ძვალს ლეწავდნენ. ირანი და თურქეთი, აგრეთვე მათგანვე წაქეზებული აღმოსავლური სახანოები ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ ქვეყანას. მიზანი კი ერთადერთი იყო: კავკასიის ქრისტიანი ხალხების საბოლოო დამორჩილება ან კი მთლიანი ამოწყვეტა, რათა გამქრალიყო ყოველგვარი შანსი კავკასიის გზით აღმოსავლეთში ფეხი მოეკიდა დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანას. ახლო აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებს განსაკუთრებულ შიშს ჰგვრიდა აღმავლობის გზაზე შემდგარი რუსთა სახელმწიფო, რომელიც პირველ მოკავშირედ სწორედ ქართულ სამეფოებს იგულვებდა (საქართველო კი ამ დროისთვის, როგორც ცნობილია, რამდენიმე სამეფოდა და სამთავროებად იყო დაშლილი).

ასეთი პოლიტიკური სიტუაცია კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა XVII—XVIII საუკუნეებში. ამის ნათელსაყოფად მარტო შაჰ-აბასის სისხლიანი ეპოქა იკმარებდა, ნაცვლად ლოიალური პოლიტიკისა, რათა შეეჩერებინათ ქართველთა იძულებითი ლტოლვა ჩრდილოეთისაკენ. ირანის შაჰმა არა მარტო დაარბია და ნანგრევებად აქცია ქართლ-კახეთის სამეფოები, არამედ ასიათასობით ქართველი მოწყვცია მშობლიურ მიწას და შორეულ ირანში გადაასახლა (მათი ნაშთები კი, რომლებიც ფერეიდნელი ქართველების სახელთაა ცნობილი, დღესაც ხელს იწვდიან მშობლიურ საქართველოში დასაბრუნებლად). მეტწილ შემთხვევაში მთლიანი განადგურებისაგან ქართველები მთებში გახიზვნით შველოდნენ თავს. ირანმა და თურქეთმა ამის წინააღმდეგაც გამონახეს საშუალება. მათი წაქეზებით საქართველოს დარბევა დაიწყეს ჩრდილო კავკასიის ტომებმა, რომლებიც გუნდ-გუნდად და განუწყვეტილად ესხმოდნენ თავს მთებსა და ხეობებში შეხიზნულ მოსახლეობას. უფრო მეტიც, აღმოსავლეთის პოლიტიკოსები ერთმანეთზე მტრულად განაწყობდნენ თვით ქართულ სამთავროებს, რასაც ხელს უწყობდა სოციალური და პოლიტიკური დაკნინების გზაზე დამდგარი ფეოდალური ქვეყნის შინაგანი მანკიერებანი. ძმათა სისხლისღვრა შემოდგომის წვიმებივით გახშირდა საქართველოში... ნორმალური, ადამიანური

ცხოვრებისათვის ელემენტარული პირობებიც კი საოცნებო შეიქნა.

ტიპიურია ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი უცხოელი მოგზაურის სიტყვები, რომელიც სწორედ XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს აგვიწერს: „თანამედროვე ქართლი იბერიის იმ დაბლობს აღარ წარმოადგენს, სადაც სტრაბონმა დათვალა მრავალრიცხოვანი ქალაქები, იხილა ქვისგან აგებული საუცხოო შენობები და ფორუმები. სადაც ყველაფერი მოიპოვებოდა, რაც კი ადამიანს სჭირდება. რათა ცხოვრება სასიამოვნო იყოს. თათრებმა და ღალესტნელებმა ისე განადგურეს ეს კურთხეული ქვეყანა, რომ რგი მიტოვებულ უდაბნოდ აქციეს და ახლა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც კი არა აქვს, რას ნიშნავს კეთილი ცხოვრება. ხალხი მიწურებში შეხიზნულა და მხოლოდ გადარჩენის საშუალებას ეძებს, მაგრამ მეტწილად უშედეგოდ. მოთარეშე ლეკი მათ აქაც პოულობსო“ (ჩეინეგსი).

მაგრამ ქართველ ხალხს უმძიმეს წუთებშიც არასოდეს დაუყრია ფარ-ხმალი. ქვეყნის მოწინავე ძალები ნიადაგ ეძიებდნენ ხსნის გზას. საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი პიროვნებაა პოეტი და სწავლული მეფე ვახტანგ VI, რომელმაც კიდევ ერთხელ სცადა ქვეყნის პოლიტიკური თუ კულტურული აღორძინება.

მისი მეფობის პირველი წლები ემთხვევა სწორედ დავით გურამიშვილის ბავშვობისა და ყრმობის წლებს.

ვახტანგ VI მეფობა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედზე მოდის. მართალია, იგი მხოლოდ ქართლს განაგებდა, მაგრამ მისი მზრუნველი ხელი საქართველოს სხვა სამეფოებსაც სწვდებოდა.

მან იმთავითვე გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა სცადა როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში. ცნობილია მისი ღვაწლი სამეურნეო-ეკონომიკურ საკითხებში, რომელთა შორის აღსანიშნავია გზებისა და საირიგაციო სისტემათა მოწესრიგება, რომლებიც დანგრევის პირას იყო მისული გაუთავებელი ომების გამო. ვახტანგმა აღადგინა ან ახლად ააშენა არაერთი მნიშვნელოვანი ნაგებობა, ციხე-სიმაგრეები თუ ეკლესიები. მან დიდი შრომა გასწია ქვეყნის სოციალურ ძალთა ნორმალიზაციის საქმეში, შეადგინა უნიკალური კრებული სამართლის საქმეებისა, რომელიც „ვახტანგის სამართლის“ სახელითაა ცნობილი და დიდხანს ვახტანგის შემდეგაც საქართველოს ფეოდალური ორგანიზაციის საფუძვლად იყო მიჩნეული.

განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩნდა ვახტანგის მოღვაწეობა კულტურის სფეროში. მაგალითად. მისი მოღვაწეობის დიდ ეროვნულ მასშტაბზე მიუთითებს საქართველოში პირველი სტამბის დაარსება (1709 წ.). შეიძლება ყველამ არც იცოდეს ის ფაქტი, რომ მთელს ახლო აღმოსავლეთში (მათ შორის ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორც ირანი იყო) იმ ხანად ეს იყო პირველი დაზგური სტამბა, რაც თავისთავად ადასტურებს ქართული კულტურის დაწინაურებისათვის ვახტანგის ზრუნვის ხასიათს.

ვახტანგის სტამბაში დაიბეჭდა ბევრი უნიკალური წიგნი, რომელთაგან დიდი ნაწილი სასწავლო-აღმზრდელიობითი დანიშნულებისა იყო.

პირველი ქართული სტამბის მნიშვნელობას განუზომლად ზრდის ის ფაქტი, რომ აქ პირველად ბექდურად გამოქვეყნდა (1712 წ.) ქართული პოეტური კულტურის გვირგვინი, შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

ვახტანგს ღრმად ესმოდა ამ ნაბიჯის პასუხისმგებლობა (მანამდე, როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა) და ყველაფერი იღონა, რათა როგორც მხატვრულად, ისე მეცნიერული თვალსაზრისით წიგნი შესაფერ დონეზე გამოსულიყო. მანვე ამავე გამოცემას დაურთო ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის გამოკვლევა, რითაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ რუსთაველოლოგიას.

ვახტანგის გარშემო შემოკრებილი ერთი მუქა სწავლულთა შემართება, მართლაც, რომ სამაგალითოა. მიუხედავად ხანმოკლე მეფობისა, შედეგები განსაკვიფრებელი აღმოჩნდა. ზემოთმოტანილი ფაქტების გარდა, მაშინდელ სწავლულთა ეროვნული თვალსაზრისის მალალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ დროს სისტემაში იქნა მოყვანილი ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი უნიკალური ძეგლი, როგორცაა „ქართლის ცხოვრება“. შედგა ახალი მატრიანები, ისტორიოგრაფიას საფუძვლად ეროვნული კონცეფცია დაედო.

ვახტანგისავე მზრუნველობითა და ხელისშეწყობით სწორედ ამ დროს დამუშავდა პირველი ქართული ლექსიკონი, რომლის ავტორია თვით ვახტანგის აღმზრდელი, დიდებული მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი (1658—1725).

ვახტანგის ვაჟმა ვახუშტი ბაგრატიონმა ხელი მოჰკიდა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლას. ვახუშტის ვეებერთელა ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მსგავსად ქართული მეცნიერული აზრის უმაღლესი გამოხატულება იყო.

ვახტანგი ხელს უწყობდა (რასაკვირველია, ამასთან თვითონაც მონაწილეობდა) ქართული მწერლობის წარმატებას, განსაკუთრებით კი მთარგმნელობითი მუშაობის გაფართოებას. ამ დროს არაერთი ძეგლი ითარგმნა აღმოსავლური მწერლობიდან. გაღრმავდა და ახალი შინაარსი შეიძინა რუსულ-ქართულმა ლიტერატურულმა ურთიერთობამ. ზედინედ ითარგმნა რუსული ლიტერატურის რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი. ეს მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი შეიქნა, როცა მოგვიანებით ვახტანგ მეექვსე რუსეთში მეთაურობდა აქ შეფარებულ ქართულ კოლონიას.

მთელი ეს მუშაობა თავისი შინაარსით აშკარად განმანათლებლური ხასიათისა იყო და მიზნად ისახავდა ქვეყნის კულტურულ აღორძინებას, რომლის გარეშეც შემდგომი წინსვლა წარმოუდგენელი იყო (ივ. ჯავახიშვილი). განმანათლებლური მიმართულება ემჩნევა ამ დროს შესრულებულ ნაშრომთა უმრავლესობას, აშკარად განმანათლებლური ძეგლების ნაყოფიერ გავლენას განიცდის დაეით გურამიშვილიც;

რომელიც შემდგომში ვახტანგის ლიტერატურული სკოლის ერთი ყველაზე აქტიური წევრი შეიქნა.

პრინციპული პოზიცია ეკავა ვახტანგს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხშიც. მას კარგად ესმოდა, რომ მაკმადიანური გარემოცვა, კერძოდ კი, ირანისა და თურქეთის (რომლებიც თავის მხრივაც პოლიტიკურსა და კულტურულ ჩიხში იყვნენ მოქცეულნი) დამთრგუნველი ზეგავლენა დაღუპვას უქადდა ქვეყანას. ვახტანგმა კურსი ახალი ცივილიზაციის ქვეყნებზე აიღო, თუმცა ეს გზა ძნელადსავალი და ეკლიანი აღმოჩნდა.

დასავლეთ ევროპასთან რეალური კავშირის ძიება იმხანად ნაადრევი გამოდგა (ცნობილია, რომ ასეთი დიპლომატიური მისიით ვახტანგისავე თაოსნობით ევროპაში იმოგზაურა სულხან-საბა ორბელიანმა, თუმცა ეს მორიგი ცდაც უნაყოფო აღმოჩნდა), მაგრამ ეს ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო და ვახტანგმა გადადგა კიდეც. თუ პოლიტიკურად ეს ლტოლვა მაშინ მარცხით დამთავრდა, კულტურის თვალსაზრისით მან მაინც შედეგი გამოიღო, რამაც თავისი კვალი დაამჩნია ვახტანგისა და მის თანამებრძოლთა შემდგომ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამის შემდგომ ვახტანგმა უშუალო წინამორბედთა მსგავსად (კერძოდ, XVII საუკ. მოღვაწეების თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის და სხვ.) ბოლოს და ბოლოს რეალურ მოკავშირე ძალად ისევ და ისევ ერთმორწმუნე რუსეთი მიიჩნია და, როგორც ცნობილია, ამის შემდეგ ქვეყნის მეთაურის პოლიტიკური ნაბიჯები ნიადაგ აქეთკენ იყო მიმართული.

ყოველი ახალი ნაბიჯი, ეს ისტორიული ქეშმარიტებაა, ყოველთვის გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ვახტანგიც გაბედულად წავიდა ამ რისკზე. წმინდა გიორგივით იგი, გურამიშვილისავე მეტაფორული თქმით, განრისხებულ ვეშაბთა (იგულისხმება ირანი და თურქეთი) პირისპირ აღმოჩნდა.

კონფლიქტის უშუალო საბაზი პეტრე პირველთან ახალი საბრძოლო კავშირი შეიქნა. XVIII საუკუნის ათიანი წლებიდან რუსეთის პოლიტიკაში კვლავ აქტიურად დაისვა ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხი. რუსეთი ცდილობდა, იმხანად დასუსტებული ირანის სახელმწიფოს ჩრდილო პროვინციების (კერძოდ კასპიისპირეთის) დაპყრობა დაესწრო ოსმალეთისათვის. პირველ მოკავშირედ მას ამ საქმეში ქართული სამეფოები და, კერძოდ, ქართლის მეფე ვახტანგ VI მიაჩნდა.

თავის მხრით ვახტანგ მეექვსეც ამ კავშირზე დიდ იმედებს ამყარებდა. რუსთა დახმარებით მას სურდა, საბოლოოდ განთავისუფლებულიყო ირანის „მფარველობისაგან“ და ამასთან შემოეერთებინა ოსმალთა მიერ მიტაცებული საქართველოს სამხრეთი პროვინციები.

ეს ძალზე სახიფათო აქცია იყო. ვახტანგი ამ ნაბიჯით აშკარად ემიჯნებოდა ირანსა და ოსმალეთს, რომლებიც, რასაკვირველია, ყოველ ღონეს იხმარდნენ, მარცხის შემთხვევაში სამაგალითოდ დაესა-

ჯათ ქართლის მეფე. აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ასეთ ნაბიჯს კრიტიკულად აფასებდა ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა ერთი ნაწილიც (მათ შორის ვახტანგის მემკვიდრე ბაქარ ბატონიშვილი).

რუსი დიპლომატი ვოლკონსკი 1721 წელს პეტრე პირველისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ზუსტად ასევე წარმოგვიდგენდა საქმის ვითარებას. იგი წერდა, რომ ვახტანგი «Видит в Грузии не согласие между шляхетством, а ежели де войска ваши введены будут в Грузию, то уже и поневоле принуждены будут многие его партию взять и с ним согласны быть» (საქ. ისტ. ნარკვ. ტ. IV, გვ. 422).

როგორც ითქვა, დავით გურამიშვილიც თავის „დავითიანში“ ასეთივე ობიექტურობით აღწერდა ვახტანგის ამ საბედისწერო ნაბიჯს.

1722 წლის 3 აგვისტოს პეტრე პირველმა დაიწყო კასპიის ნაპირების ოკუპაცია. ვახტანგ მეექვსე თავისი ჯარით გაემართა მისკენ და განჯის მიდამოებში დაბანაკებული ელოდა რუსთა ჯარს, რათა ერთობლივი ძალებით დაეწყო გადამწყვეტი იერიში.

მაგრამ ეს ექსპედიცია, რომელზედაც ასეთ დიდ იმედებს ამყარებდა ვახტანგ მეექვსე, მარცხიანი აღმოჩნდა.

რუსთა ჯარი, რომელმაც ამ დროისათვის უკვე დერბენდს მიაღწია, პეტრე პირველმა უკანვე ასტრახანში გაიწვია. კონკრეტული მიზეზი პროვიანტისა და ცხენოსანი ჯარის არადაამკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო. უფრო ღრმა და ფარული მიზეზი კი ოსმალეთთან, რომელიც თვითონვე აცხადებდა პრეტენზიას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე, აშკარა კონფლიქტი იყო, რაც, პეტრე პირველის აზრით, რუსეთის საერთაშორისო პოლიტიკისათვის იმ ეტაპზე აშკარად საზიანო ჩანდა.

ვახტანგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას უკვე მთლიანად გამჟღავნებული ჰქონდა თავისი პოზიცია, როცა რუსთა დასახმარებლად განჯას დაბანაკდა. შაჰმა გადაწყვიტა, სასტიკად დაესაჯა ვახტანგი და ქართლი კახთა მეფეს, გამაჰმადიანებულ კონსტანტინეს გადასცა. აღმოსავლეთი საქართველო მოიცვა ძმათა სისხლისმღვრელმა ომებმა. ამით ისარგებლა ოსმალეთმა და ქართლს ოსმალთა სარასკირები დაეპატრონენ. ვახტანგისავე მეცადინეობით ეკონომიკურად და კულტურულად აღორძინებული თბილისი ოსმალთაგან მიწასთან იქნა გასწორებული. ჩრდილოეთიდან ნიაღვარივით მოასკდა ისედაც დაუძღურებულ ქვეყანას დაღესტნელ აბრავთა მოთარეშე გუნდები.

1724 წელს ვახტანგი იძულებული შეიქნა, ქართლი მიეტოვებინა. 1200 კაცისაგან შემდგარი ამალით ვახტანგ მეექვსე რუსეთში გადადის იმ იმედით, რომ მალე შეერთებული ძალებით კვლავ დაუბრუნდეს სამშობლოს.

მაგრამ შემდეგ დატრიალებულმა ისტორიულმა ამბებმა ფრთები შეაკვეცა ვახტანგის ზრახვებს. ეს იყო სამშობლოსთან მისი უკანასკნელი გამოთხოვება, რაც მან შემდეგში ნაღვლიანი პოეტური სტრიქონებით გამოხატა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ, მიუხედავად პი-

რადი ტრაგედიისა, მისი პოლიტიკური ორიენტაცია უცთომელი გამოდგა, რაც საქართველოს ისტორიულმა ცხოვრებამ საბოლოოდ დაადასტურა.

\* \* \*

დავით გურამიშვილი ამ ტრაგიკული ამბების მომსწრე და მონაწილე იყო. გაივლის წლები და იგი საოცარი სიზუსტითა და ობიექტურობით (სიმართლე, „მართლის თქმა“ — ეს მთელი მისი პოეზიის უპირველესი პრინციპი იყო) აღწერს შემდგომ თავის „დავითიანში“ „ქართლის ჳირის“ შემზარავ ეპიზოდებს. მაგრამ ახლა გავაღვენთ თვალი პოეტის მოულოდნელი პერიპეტეიებით აღსავსე ცხოვრებას.

„დავითიანის“ პოეტურ სტრიქონებში გურამიშვილი მოგვითხრობს თავის სოფელზე. საგურამოზე. სადაც ცხოვრობდნენ მისი მშობლები. მრავალრიცხოვანი ნათესაეები და სადაც მან გაატარა თავისი ყმაწვილკაცობა. გაქირვებასთან ერთად გვიამბობს. თუ როგორ იხდიდნენ მისი თანასოფლელები ტრადიციულ დღეობებს. რა სიმღერებს მღეროდნენ, ან როგორ საზეიმო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი ამ დროს მისი მშობლიური სოფლის „ქალ-ჩაღანი“.

ჳაბუე პოეტს, როგორც ჩანს, ადრევე მიუღია მონაწილეობა ბრძოლებში, რომლებსაც მამლის ყვილივით ყოველ გათენებაზე ელოდნენ მისი თანამემამულეები. იგი, როგორც უშუალო მონაწილე, ისე გვიამბობს ერთ-ერთ დიდ ბრძოლაზე გორის მახლობლად გაშლილ ტაფობზე. რომელსაც ზედაველა ეწოდებოდა. ეს იყო კიდევ ერთი ძმათა სისხლისმღვრელი შეტაკება, რომელშიც გარეშე ძალები: თურქები და ლეკებიც მონაწილეობდნენ, გამარჯვება ამ ბრძოლაში დამარცხების ტოლფასი იყო, რადგან ფაქტიურად საქართველოს მოძმე ტომები ებრძოდნენ ერთმანეთს. ტკივილით აღსავსე მოგონებად შემორჩა პოეტს ზედაველაზე დატრიალებული ტრაგედია, რომელშიც კიდევ ერთი მარცხი დაატყდა თავს ქართულ ლაშქარს, რომლის რიგებშიც, როგორც ჩანს, იბრძოდა ჳაბუეი პოეტი:

ვაიმე, ამის სათქმელად პირი გამიხდა მწკალტევით,  
არ იმართოდა ლაშქარი ზედაველაზე დატევით:  
მათ ჩვენმან ჳარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით,  
მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნალატევით.

ვაი, იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდნენ,  
საცა შეხედისთ მუშა-კაცი, გლახა მწირსა თავსა სჭრიდნენ;  
გოდორს თავი აკლიაო, ცხრის ურმისა ჳარში ჳყრიდნენ,  
ტანთ მარხველი არა ყვანდა, მელა-ტურა გამოხვრიდენ!

ეს მოხდა 1723 წლის 14 ოქტომბერს. ასეთ ამბებს კი, როგორც ვნახეთ, მოჳყვა ვახტანგისა და მისი თანამებრძოლების მიერ სამშობ-

ლოდან გადახვეწა. აღმოსავლეთ საქართველო საშინელმა ანარქიამ მოიცვა<sup>1</sup>.

ოსმალოებმა თითქმის ყველა მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეში თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს. დაბეგრეს და ძარცვავდნენ ქართლ-კახეთის მოსახლეობას. კიდევ უფრო გათამამდნენ ლეკი აბრაგები, რომლებიც დღისით-მზისით უსაფრდებოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. ერთ ძველ ისტორიულ საბუთში პირდაპირ არის ნათქვამი: „ქართლი სულ აირია. ქვეყანა სულ დაიფანტა, ზოგი იმერეთს გარდაცვივდა, ზოგი ჭავჭავთს, ზოგი კახეთში, მტერმა რომ შეაწუხა“. აივსო ოსმალეთისა და ყირიმის ბაზრები ქართველი ტყვეებით, რომელთაც ჩალის ფასად ჰყიდდნენ ლეკი აბრაგები. გურამიშვილმა საოცარი მხატვრული ძალით დაგვიხატა შინაური და გარეული მტრისაგან შეწუხებული ქვეყნის სურათი:

ქართლის ჰირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენა მკვერი!  
იფქლი ლვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.  
ერთმან მტერმან ათხ მათსა სცის, ორმან წარიქცივის ბევრი.  
მცირედ დარჩა ცოდვისაგან კაცი ღვთისგან შენაწვერი.

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი, დიღო, ქისტბი,  
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ. ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!  
მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუღღვა ძმასა ყისტი;  
თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

სულ მალე კი თვით გურამიშვილი და მისი ოჯახი შეიქნა ზემოთ წარმოდგენილი საშინელი არეულობის მსხვერპლი. ეს მოხდა 1727 წელს. დავითი ამ დროს ოცდაორი წლის ჰაბუკი იყო, როგორც ჩანს, ახლად დაქორწინებული. მისი მეუღლე, აზნაურ გარაყანიძეთა ოჯახიდან, საგურამოს რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ სოფელ ლამისყანის მკვიდრი ყოფილა.

ქართველ მკითხველს, ალბათ, კარგად ახსოვს ამ სოფლის სახელი, რადგან სწორედ აქ დატრიალდა ის ტრაგედია, რომელმაც საბოლოოდ მოწყვიტა პოეტი თავის მშობლიურ ქვეყანას (ამ სოფლის მკვიდრნი დღესაც დიდი სასოებით ინახავენ პოეტის ხსოვნას და ყოველწლიურად მრავალრიცხოვან სტუმრებთან ერთად მართავენ მისდამი მიძღვნილ დღეობას, რომელსაც გურამიშვილობას ეძახიან).

ამ დროისათვის, ისევ და ისევ ლეკიანობის შიშით, გურამიშვილების ოჯახიც თავის მოყვრებს შეფარებია ლამისყანაში. მაგრამ ჩანს, რომ დაღესტნელი მოთარეშენი აქაც თავისუფლად აღწევდნენ. მკათათვის ერთ დღეს აქ დავითს ლეკები დასახმიან თავს. თითქმის კინემატოგრაფიული სიცხადით აგვიწერს პოეტი თავის დატყვევების ამბავს.

საქართველოში ძველთაგანვე მოსავლის აღებასა და დაბინავებას, ისევე როგორც სხვა ძველი კულტურის მქონე ქვეყნებში, თავისებუ-

<sup>1</sup> ვახუშტის ქრონოლოგიით კი ზედაველას სახით ცნობილი შეტაკება მოხდა ერთი წლით გვიან, მაშასადამე, ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდგომ.



რი რიტუალები ახლდა. აქ განვითარებული მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესაბამისად ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა ის დღეები, როცა იწყებდნენ თიბვას, მკას და რთვლობას. დანიშნულ დღეს ყოველი ოჯახი იწვევდა მეზობლებს, თუ გარეშე მუშახელს, რასაც მამითადი ეწოდებოდა, ხოლო ყოველი მამითადი, როგორც წესი, რიტუალური ხასიათის პურობით მთავრდებოდა.

იმ დროისათვის გურამიშვილის მოყვრები გარაყანიძეებიც მკისათვის ემზადებოდნენ. მამითადისათვის თადარიგის დაჭერა დავითს დავალებია, რომელიც ორი კაციტურთ დილიდანვე შედგომია სამზადისს. მდინარე ქსნის ქალაზე, სადაც მდებარეობდა გარაყანიძეების ყანა-მამული, ახლაც მოჩქეფს ანკარა წყარო. მუშახელის მოლოდინში დავითს იარაღი აუხსნია, იქვე მუხის ძირზე მიუყუდებია და პირის საბანად გასულა წყაროზე.

თურმე სწორედ ამას ელოდა იქვე ბუჩქნარებში ჩასაფრებულ კბილებამდე შეიარაღებული ლეკების რაზმი (პოეტის გადმოცემით ისინი თხუთმეტნი ყოფილან). თავდასხმა იმდენად სწრაფი და მოულოდნელი იყო, რომ წინააღმდეგობის გაწევა ვეღარც კი მოუსწრაფათ. ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწიათ პოეტის მხლებლებს. ისინი იქვე დახოცეს, თუ მასთან ერთად გაუყენეს ძნელსა და სახიფათო გზას. პოეტი თავის ბიოგრაფიაში მათ შესახებ არას ამბობს. მხარშეკრული პოეტი მყისვე გაუტაცნიათ ლამისყანიდან დაღესტნის მიმართულე-ბით. დავით გურამიშვილის ბიოგრაფიაში დაიწყო სრულიად ახალი ხანა, რომელმაც აუწერელი ტანჯვით აღსავსე ცხოვრება არგუნა მომეალში პოეტს.

\* \* \*

ვისაც საქართველოს მთიანეთში უვლია, ან ფეხით გადასულა თუშ-ფშავ-ხევსურეთის გავლით დაღესტანში, იგი კარგად წარმოიდგენს, რა ტანჯვა-წვალებას გადაიტანდა მხარშეკრული ტყვე ამ გზაზე. მით უფრო, რომ მღვერის შიშით ლეკები „უგზოს ვლიდეს“ და არა გზეთსა. ჯოჯოხეთის ცეცხლში წვას ანუ გეენიას შეადარა შემდეგ აქ გამოვლილი საშინელებანი პოეტმა:

შემიპყრეს, წამომიყვანეს, ხელ-ფეხს მომიღვეს გენია,  
გარდმომატარეს ასი შთა, მინდორი ცხრა იმდენია,  
მუღამად თვალთა ნაკადი მღულარე ცრემლი მდენია,  
მაკამეს ღუმა და ხალი, მახვრიპეს ხინჯლის წვენია.

იგი ჩაუყვანიათ კავკასიის მთავარ ქედზე მდებარე ერთ-ერთ აულში, რომლის სახელია ოსოქოლო (სხვათა შორის, ეს სოფელი შემდეგში, როგორც ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი, უფრო ცნობილი შეიქნა შამილის ეპოპეასთან დაკავშირებით).

პოეტის დატყვევებისას ლეკებს ერთი მიზანი ამოძრავებდათ. ისე როგორც სხვა ტყვე ქართველები, დავითიც ან საქონელში უნდა გადა-

ეცვალათ, ან მიეყიდათ ყირიმელი ვაჭრებისათვის, რომლებიც ხშირ-ხშირად ჩამოდოდნენ ტყვეთა ბაზრობაზე დაღესტანში.

მრავალ დოკუმენტთა შორის ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ერთი მოხსენებითი ბარათი, რომელიც სწორედ იმავე ეპოქას ეხება (ინახება რუსეთის საგარეო საქმეთა კომისიის ძველ ფონდებში). მოხსენების ავტორი კოლეგიას აცნობს, მარულაც, ბარბაროსულ ვითარებას: „ლეკები უამრავ ქართველებს ატყვევებენ, მაგრამ სიღარიბის გამო მათი შენახვა არ ძალუძთ. არც მათი დასახლება მიწის სიმწირის გამო. ცხვრებივით შეკრულები ქვეითად მიჰყავთ თავის მებატონეებთან და ჰყიდიან ყირიმელ თათრებზე. ხოლო მათ ბატონებთან და მათ სამფლობელოში ყირიმიდან და ყუბანიდან მოდიან თათრები და შემოაქვთ ტილო, ყუმაში, ჩითეული, ქალაღი, მატერიები, აგრეთვე ხმლები, ტყვია, თოფის წაშალი, კაყი და სხვ. აგრეთვე ცხენები, რაც მათ ძალზე სჭირდებათ, ამიტომ ტყვეებს სცვლიან ზემოხსენებულ საქონელზე სულ მცირე ფასად, ხოლო თათრებს ის ტყვეები სელშეკრულები. დაჭედლები მიჰყავთ ყირიმში, ყუბანში და იქ მათ ტირანულ წამებას აყენებენ“.

ვისაც წაუკითხავს ილია ორბელიანის მოგონებანი, აგრეთვე ე. ვერდერევესკის პოპულარული წიგნი „შამილთან ტყვეობა“, ან ფრანგი ანა დრანსეს ავტობიოგრაფიული მოთხრობა „შამილის ტყვე ქალები“, მას ნათლად წარმოუდგება, რა მძიმე იქნებოდა ტყვეობის პირობები, რომელშიც თითქმის ასი წლით ადრე დავით გურამიშვილს უხდებოდა ცხოვრება დაღესტანში. მისივე სიტყვებით, ლეკებს რამდენჯერმე უცდიათ კიდევ მისი გაყიდვა. და რომ არა პოეტის ჭიუტი მისწრაფება თავისუფლებისაკენ, ვინ იცის, აღმოსავლეთის ტყვეთა რომელ ბაზარზე მოხვდებოდა, სად, რომელ ქვეყანაში აღმოჩნდებოდა იგი სხვა გადახვეწილ ქართველთა მსგავსად ან სად ჩაქრებოდა მისი მაღალი ნიჭი.

როგორც ცნობილია, დაღესტანში ტყვეობას რამდენიმე ლირიკული შედეგური უძღვნა პოეტმა. ისინი გამოირჩევიან საოცარი კონკრეტული ხილვებით და მაღალი პოეტური განზოგადოებით. მკითხველის თვალწინ ფიზიკური და მორალური ტანჯვის შემზარავი სურათები გადაიშლება. ეს იყო პოეტის სულიერი ძალების დიდი გამოცდა. იგი ამაყად იტანდა ყოველგვარ დამპირებას და კვლავ და კვლავ სამშობლოზე. ახლობლებზე ფიქრობდა:

მუნთ გამტყორცნა საწუთრომ, გარდამაცილვა ყუბანსა.  
ვაი, რა კარგა მოვსთქვამდი, მეტყოდეს ვინმე თუ ბანსა!

ამ დღეებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში განაწამები პოეტი ამაღლებული ჰიმნებით გამოთქვამდა რწმენას და იმედით მიმართავდა ზეციურ ძალებს, რომლებიც მას შემწედ ეგულვებოდა ტყვეობის საშინელ გარემოცვაში:

სახით სიტყვა შეენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო,  
ვეძებ და შენი მზგაჲსი მე აჲ ვერცადა ენახეო,  
გვაჲებო, ნუ გამწირავ, მოეკედეო, შენ კერძ დამპარხეო.

გურამიშვილი დიდხანს როდი შერიგებია ამგვარ ყოფას და არც  
ლოცვა-ვედრებას დანდობია მხოლოდ. მან ურყევი გადაწყვეტილება  
მიიღო და სცადა კიდევ, გაპარულიყო. იგი შეუპყრიათ და კიდევ უფ-  
რო სასტიკად უწამებიათ. მაგრამ მარცხმა ვერ გატეხა მისი უღრეკი  
ნება.

გურამიშვილი კვლავ გაუხსლტება მოძალადეებს. საოცარი სული-  
ერი დაძაბვით იგი გადალახავს ათასგვარ დაბრკოლებას და ამჭერად  
თავს დააღწევს კიდევ ტყვეობას.

თერთმეტი დღე მიიკვლევდა გზას და, როგორც თვითონვე ვად-  
მოგეცემს, მშიერმა და ფიზიკურად განადგურების ზღვრამდე მისულ-  
მა მხოლოდ მეთერთმეტე დღეს გააღწია „სარუსეთოს“. რაც მისთვის  
უკვე „სამშვიდობოს“ ნიშნავდა. გურამიშვილი „დავითიანში“ ამ ამ-  
ბების გადმოცემისას ძალზე ხელშესახებდალ გვიხატავს მოვლენათა სა-  
ოცარ ცვალებადობას. სულიერ დაძაბულობას — ეს მისი პოეტური  
ნიჲის მაღალი თვისებაა. შესანიშნავად ამეტყველებული, პლასტიკუ-  
რად ნაწერი სურათები ერთმანეთს ენაცვლება და ყოველივე ამას  
ბრწყინვალედ აგვირგვინებს რუს კაზაკებთან შეხვედრის სცენა, როცა  
დახმარების ხელი გაუწოდეს და პირველად პური შესთავაზეს განაწა-  
მებ პოეტს:

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო:  
სანამდის ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო,  
რა რომ თქვეს პურის სახელი, მე იმან მომიფონაო:  
ამ სიხარულმა დამშალა ჯავრით შეკრული კონაო.

როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მაშიარაო.  
როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო:  
შეებრალდი, გულზედ მიმიქვა, მკონა და ცრემლი ღვარაო...

ასე შემოდის პირველად ქართულ პოეზიაში რუსი მშრომელი ადა-  
მიანის სახე, მაგრამ ამ კონკრეტულ ფაქტში უფრო მეტის დანახვაც  
შეიძლება. იგი ერთგვარ სიმბოლურ შინაარსს იძენს რუსეთ-საქართვე-  
ლოს მომავალი დაახლოების გზაზე, რომლის ერთი პირველი წინამორ-  
ბედი ვახტანგ VI. დავით გურამიშვილი და ქართველ მოღვაწეთა მო-  
წინავე დასი იყო.

\* \* \*

გაქცევის მარშრუტი პოეტს, როგორც ჩანს, ტყვეობაშივე ჰქონდა  
მოფიქრებული. ამაზე მეტყველებს მისი ცნობილი ლექსის „ტყვე-  
ობითგან გაპარვა დავითისა“ შემდეგი სტრიქონები:

დღისით წინამძღვრად მზე მყვანდის, ღამით ვუპკრეტდი მთვარესა,  
მივენდევ შეიღთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა.

კავკასიონის გადმოლახვა და საქართველოში დაბრუნება ფაქტიურად განუხორციელებელი ოცნება იყო, თანაც მას კარგად ახსოვდა, რა საშინელი ანარქია სუფევდა იმ ხანებში აღმოსავლეთ საქართველოში.

ხსნის ერთადერთი გზა „ჩრდილოეთის მხარეზე“ იდო. რუსული დასახლებები უკვე მჭიდროდ ეკვროდა დაღესტანს, ხოლო მოსკოვში მას თავისი დიდი მოძღვარი ვახტანგ მეექვსე და ქართველ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი დასი ეგულებოდა.

მფარველი რუსი მეგობრების ზელშეწყობით თერგ-ასტრახანის გზით 1729 წლისათვის პოეტი უკვე მოსკოვშია ვახტანგ მეექვსის კარზე.

მოსკოვში, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტს „პატარა საქართველო“ დახვდა. აქ იყო ვახტანგი, მისი განათლებული ვაჟები ვახუშტი და ბაქარი, ვახტანგის მრავალრიცხოვანი ამაღლა — საქართველოს რჩეული ოჯახის შვილები, და, რაც მთავარია, პოეტი შემდეგში აქვე შეხვდა საკუთარ ძმას ქრისტეფორეს (ასევე ფრიად განსწავლულ პიროვნებას), ბიძას მერაბ გურამიშვილსა და სხვა ახლობლებს.

მოსკოვში, ვახტანგ მეექვსის კარზე, დავითი დიდი პატივით მიუღო. მას ჯაბადარბაშის საკმაოდ მაღალი სახელო (თანამდებობა) უბოძეს და საქართველოს გამოხსნისათვის, რის იმედს ჯერ კიდევ არ კარგავდა ვახტანგ მეექვსე, მომავალ ბრძოლებში საჭირო იარაღის საწყობები ჩააბარეს.

მართალია, ამ დროისათვის ვახტანგის დიდი მფარველი და მეგობარი პეტრე პირველი ცოცხალი აღარ იყო (იგი, როგორც ცნობილია, გარდაიცვალა 1725 წელს, როცა რუსეთისაკენ მიმავალი ვახტანგი ჯერ კიდევ გზაში იყო), მაგრამ აღმოსავლეთის საქმეებში ვახტანგ მეექვსის წონა ჯერ კიდევ დიდი იყო. პეტრე პირველის მემკვიდრეები დიდ პატივს სცემდნენ ვახტანგსა და მრავალრიცხოვან ამაღლას, რუსეთის მთავრობა დიდ თანხებს ხარჯავდა, რათა ვახტანგის კარს კვლავ შეენარჩუნებინა აღრინდელი ბრწყინვალება.

დავით გურამიშვილისათვის მეტად სასარგებლო აღმოჩნდა მოსკოვში, ვახტანგის კარზე გატარებული წლები, ვახტანგის კარი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის აქტიური კერად გადაიქცა.

რუსულ-ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას კი, როგორც ცნობილია, ადრევე ჩაეყარა საფუძველი. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო XVII საუკუნის მიწურული. როცა მოსკოვში სამუდამოდ დასახლდა არჩილ მეფე და მეთაურობდა აქ გაჩაღებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

თვით პეტრე პირველი ძალზე დაახლოებული იყო არჩილთან და მის ოჯახთან. მანვე მოსკოვის გარეუბანში მამულები უბოძა ქართველ მოახალშენეებს, რითაც მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა მოსკოვის ქართველთა კოლონიას. ჯერ კიდევ არჩილმა თავის საცხოვრებელ რეზიდენციად აირჩია სოფელი ვსესვიატსკოე (ეს სოფელი ამჟამად აღარ

არსებობს, იგი შემოვიდა მოსკოვის ფარგლებში. მდებარეობდა დაახლოებით მეტრო სოკოლის მიდამოებში).

ცნობილია არჩილის, მისი ვაჟის ალექსანდრეს (იგი პეტრე პირველის უახლოესი თანამებრძოლი, პეტრეს მიერვე დაარსებული არტილერიის პირველი ფელდცეხმეისტერი იყო) დიდი კულტურული საქმიანობა. აქ მოსკოვში მათ დააარსეს ქართული ტიპოგრაფია, ბეჭდავდნენ ქართულ წიგნებს, თარგმნიდნენ საჭირო ლიტერატურას მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. მაგალითად, არჩილმა რუსულიდან თარგმნა პეტრე მოვილას „მართლმადიდებელი აღსარება საარწმუნოებისა“, მისმა ვაჟმა თარგმნა ცნობილი რუსი განმანათლებლის სიმეონ პოლოცკის თხზულება და ა. შ. რუსული თარგმანების საშუალებით ეცნობოდნენ აგრეთვე იმდროინდელ დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურასაც.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მუშაობამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო 1725 წლიდან, როცა მოსკოვში მრავალრიცხოვანი ამალით ჩამოვიდა ვახტანგ მეექვსე. მართებულად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ მომავლის იმედით ჩრდილოეთისკენ გამგზავრებულ ქართველობას უთუოდ ჰქონდა დასახული სამხედრო-პოლიტიკურს გარდა, აგრეთვე სასწავლო-კულტურული ამოცანები; რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება, უამისოდ გაუგებარი იქნებოდა იმდენი განათლებული კაცის ისე შორს გამგზავრება (ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II, 1966 წ., გვ. 523).

ეს იყო რუსულ-ქართული კულტურის დაახლოების საუკეთესო წლები. ვახტანგის კარზე გაშლილი მუშაობის შესახებ დღეს დიდძალი ლიტერატურა არსებობს; როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. თვით სწავლული მეფე იძლეოდა ამის პირველ მაგალითს და მანვე პროზით თუ ლექსით არაერთი თხზულება გადმოიღო როგორც ლიტერატურის, ისე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან.

ვახტანგის კარზე განსაკუთრებულ პატივში იყო პოეზია, მხატვრული მწერლობა. იმართებოდა პოეტური ტურნირები. ერთ მათგანს იგონებს დავით გურამიშვილიც. ასეთ შეჯიბრში მას სასტიკად დაუმარცხებია მისი მეტოქე პოეტი ჭავჭავიშვილი. აქ, მოსკოვის ქართველთა კოლონიის გარემოში, მოიხვეჭა მან პოეტის მაღალი სახელი. (თუმცა პოეტის ადრეულმა ლექსებმა თითო-ოროლამ თუ მოაღწია ჩვენამდე). დავით გურამიშვილის პოეზიის აშკარად განმანათლებლური ნაკადი სწორედ აქ გატარებული წლებიდან იღებს სათავეს (იხ. „დავითიანის“ დიდაქტიკური ხასიათის ლექსები და სხვ.), აქვე გაეცნო უფრო ახლოს იმდროინდელი რუსული მწერლობისა და მეცნიერების მიღწევებს, შეიყვარა და შეითვისა მდიდარი რუსული ფოლკლორი, რომლის ნაყოფიერი კვალი აშკარად ეტყობა მის ზოგიერთ ლირიკულ თხზულებას (ზოგან მითითებულიც აქვს სათანადო წყაროები) ქართულ ფოლკლორთან ერთად, რომლის უბადლო მცოდნეც იყო; ყოველივე ამან კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მისი პოეზიის აშკარად გამოხატულ დემოკრატიულ ხასიათზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ვახტანგის კოლონიის ასეთი აღზევება დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე 1734 წლიდან რუსეთის ჯარმა ჩრდილოეთ კასპიისპირეთიდან ისევ დაიწყო უკან დახევა, რაც მსოფლიო პოლიტიკურ ძალთა აქცენტების ახალმა გადანაცვლებამ გამოიწვია (რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავება, კონფლიქტი შვეციასა და პრუსიასთან და ა. შ.).

ამდენად რუსეთისათვის ახლო აღმოსავლეთის (შესაბამისად ამიერკავკასიის) საკითხი თანდათან ჩრდილში მოექცა და ვახტანგ მეექვსის იმედებსაც, რომ რუსეთის დახმარებით შეძლებდა საქართველოს განთავისუფლებას, ფრთები ეკვეცებოდა. იგი განზე გადგა პოლიტიკური მოღვაწეობიდან და, როგორც უბრალო, კერძო პიროვნებამ, საცხოვრებლად აირჩია ქალაქი ასტრახანი, სადაც 1737 წელს დაასრულა თავისი სიცოცხლე (დავით გურამიშვილმა ძალზე შთამბეჭდავი სამგლოვიარო ოდით გამოიტერა დიდი მამულიშვილი ვახტანგ მეექვსე. იხ. ლექსი „მეფის ვახტანგის ამიერ სოფლით მიცვლა“).

უმეტაურად დარჩენილი ქართული ემიგრაცია დილემის წინაშე აღმოჩნდა. ისინი ან უნდა დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში, ან უნდა დათანხმებულიყვნენ რუსეთის მთავრობის წინადადებას: დარჩენილიყვნენ რუსეთში, მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა და ჩამდგარიყვნენ მეფის მთავრობის მიერ შემოთავაზებულ სამსახურში. ნაცვლად ამისა, მეფის მთავრობა მათ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში ყმასა და მამულს ჰპირდებოდა (თავადებს ორმოცს, ხოლო აზნაურებს ოც-ოც კომლ ყმას).

დავით გურამიშვილისათვის სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრი უნიადაგო ოცნება იყო. მას ჰქონდა ზუსტი ცნობები, რომ ქართლ-კახეთში ამ დროისათვის ისეთივე არეულობა სუფევდა, როგორც ადრე. მისი მამულები გავერანებული იყო, ხოლო ქართლ-კახეთს განაგებდნენ ბაგრატიონთა სხვა სამეფო შტოს წარმომადგენლები, რომლებიც ადვილად არ შეიწყყნარებდნენ ვახტანგ მეექვსის ერთგულ მიმდევრებსა და თანამებრძოლებს.

დავითმა. „ქართველთა კოლონიის“ უმრავლესობის მსგავსად, აღიარა რუსეთის ქვეშევრდომობა. ფიცის მიღების შემდეგ მას დაენიშნა ჯამაგირი, ხოლო მამულები ქართველების ერთ ნაწილთან ერთად ერგო უკრაინაში, კერძოდ, მირგოროდსა და ზუბოვკაში (საარქივო ცნობებით დაახლოებით 30 კომლ ყმა გლეხთან ერთად).

ამ დღიდან მისი ცხოვრება სამუდამოდ დაუეკავშირდა რუსეთსა და მის მეორე სამშობლოს, უკრაინას.

ამავე ხანებშივე რუსეთში საცხოვრებლად დარჩენილ ქართველთაგან ჩამოყალიბდა „ქართველ ჰუსართა ასეული“, რომელიც სულ მალე უფრო მრავალრიცხოვანი შეიქნა და ჰუსართა პოლკად გადაკეთდა. დავით გურამიშვილი იმთავითვე ქართველ ჰუსართა პოლკის აქტიური წევრი გახდა და რიგითი ჯარისკაციდან პორუჩიკის ჩინს მიაღწია (აღსანიშნავია, რომ მასთან ერთად ჰუსართა პოლკში მოხალისედ იმყოფებოდა მისივე მოხუცი ბიძა მერაბ გურამიშვილიც).

ქართველების ჩასახლება უკრაინაში არც ისე ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა (ამას ხელს უშლიდა ადგილობრივი მემამულეების მტრული დამოკიდებულება, აგრეთვე ზოგიერთი რუსი მოხელის უკანონო მოქმედება). ასეა თუ ისე 1741 წლისათვის მამულების განაწილება დამთავრდა. ზუსტი ცნობებით დავითს მამულები რვაგზა მიგრგოროდსა და იქვე, 8 კილომეტრზე მდებარე სოფელ ზუბოვკაში, სულ. როგორც ითქვა, 30-მდე ყმა-გლეხის ოჯახითურთ.

მაგრამ პირველ ხანებში დავითს მაინც არ ელირსა მშვიდობიანი ცხოვრების პირობები და, რასაკვირველია, არც ლიტერატურული საქმიანობისათვის ეცალა. ცხოვრებაში მას ჯერ კიდევ მწარე გამოცდა ელოდა.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან აღზევების გზაზე მდგარ რუსეთის სახელმწიფოს მწვავე პოლიტიკური კონფლიქტები ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან, რომლებიც აქტიური მოქმედებით ცდილობდნენ, აელაგმათ რუსეთის გაძლიერება. ერთ ომს მეორე მოჰყვა და ქართველი ჰუსარები, რომელთა რიგებშიც იმყოფებოდა დავით გურამიშვილიც, თავდადებით იბრძოდნენ რუსეთის სახელმწიფო დროშის ქვეშ. საფუძველს უყრიდნენ რუსეთ-საქართველოს მხედრული თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს. მამაცი მხედარი დავით გურამიშვილი, რომელსაც საომარი ნათლობა სამშობლოშივე ჰქონდა მიღებული, წლების მანძილზე ღირსეულად ატარებდა ბრძოლებში უშიშარი ჰუსარის სახელს.

ქართველ ჰუსართა პოლკი 1739 წლიდან მონაწილეობდა ე. წ. ყირიმის ომში, რომლის მიზანი იყო თურქთა შემოტევების შეკავება შავი ზღვისა და ბალკანეთის მიდამოებიდან.

ეს იყო მძიმე, დამქანცველი და ხანგრძლივი ომი თურქეთის არმიის მრავალრიცხოვან ძალებთან (საკმარისია ითქვას, რომ რუსთა ჯარმა შეუსვენებლივ ე. წ. მარშბრასოკით, განვლო თითქმის ათასამდე კილომეტრი). იგი დასრულდა რუსული იარაღის ბრწყინვალე გამარჯვებით. ციხესიმაგრეებთან სტაუჟინასა და ხოთინთან (დასავლეთ უკრაინა) რუსეთის ჯარმა სასტიკად გაანადგურა ოტომანთა იმპერიის მრავალრიცხოვანი არმია, რომელთაც თურქთა რჩეული სარდლები მეთაურობდნენ.

ქართველთა მამაცობით აღფრთოვანებული რუსეთის ჯარების მთავარსარდალი ფელდმარშალი ქრისტეფორე მინიხი ამასთან დაკავშირებით შემდეგს მოახსენებდა უმაღლეს სამხედრო კოლეგიას: „ქართველ ჰუსართა ასეული მთელი კამპანიის პერიოდში იმყოფებოდა ბრძოლაში. ამ ასეულის ოფიცრები და რიგითი ჰუსარები მტრის წინააღმდეგ ისე მოქმედებდნენ, როგორც შეშვენის ძლიერ, მამაც და სანდო ხალხს, რომელთა საჭიროება არმიაში დიდია“.

ისიც ცნობილია, რომ ამ ომში, რომელიც რუსეთის მხედრობის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, სხვა ქართველ თანამოძმებთან ერთად, გურამიშვილსაც უსახელებია თავი. რიგითი ჰუსარიდან იგი ჯერ კაპრალად, ხოლო შემდეგ ასეულის კვარტირმეისტრად და-

უწინაურებით (სხვა ჯილდოებთან ერთად), ხოლო 1740 წლიდან იგი უკვე ასეულის ვახტანგის მამხდარა.

ქართველი მეომრები მალე ჩრდილოეთში გადაისროლეს. 1741—1742 წლებში ისინი ფინეთის მარცხენა მხარეს შვედების წინააღმდეგ იბრძვიან (როგორც ცნობილია, შვეციას სურდა, რუსეთს დაეთმო ის ადგილები, რომლებიც ბრძოლით მოიპოვა პეტრე პირველმა). ამ ომშიც თავი გამოუჩინიათ ქართველ ჰუსარებს.

მხოლოდ ამ კამპანიის შემდეგ დაბრუნეს ქართველები უკრაინაში. გურამიშვილი შეუდგა თავისი ადგილ-მამულის მოვლა-პატრონობას. როგორც მისივე პოემიდან ვიცით, მას მამული გაპარტახებული დახვედრია, მეურნეობა კი მთლიანად მოშლილი, მაგრამ პოეტს თავისი ადგილ-მამულის მოწესრიგება ალბათ მთლიანად არც კი ჰქონდა დამთავრებული, როცა ქართველ ჰუსართა პოლკი კვლავ ომში გაიწვიეს. იქნებ თავისი ორგემაგე (ცვალებადი) ცხოვრების მოულოდნელობაზეა ნათქვამი პოეტის შემდეგი სიტყვები:

ფეტვი ბევრი მოვიყვანე, მაგრამ ვერა ვშკამე მჭადი.  
მე მომიხარეს: მანდელაჟე ახლა ადექ, სხვაგან წადი!

ფრიდრიხ II ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან ერთად აქტიურად გამოდის რუსეთიც. 1757 წელს დაიწყო რუსეთ-პრუსიის შეიღწლიანი ომი.

ამ სასტიკ და სისხლისმღვრელ ომში პოეტს ახალი ხიფათი ვლდოდა. კისტრინის სახელგანთქმულ ბრძოლაში, როცა გამარჯვების სასწორი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხრებოდა, პირველი იძულებითი უკან დახვევის შემდეგ რუსთა და ქართველთა კავალერიამ საშინელი სისწრაფით შეუტია მტერს. პრუსიელთა რაზმები შედრკნენ და უწესრიგოდ იხევდნენ უკან. გაქცეულ მტერს მისდევდა დავითიც. როდესაც ანაზღეულად მისი ცხენი ჭაობში ჩაეფლო, ხოლო მხედარს ჩამოვარდნისას მხარი დაუშავდა. მძიმედ დაშავებულ პოეტს მოულოდნელად თავზე წამოსდგომია პრუსიელთა ღირითად ძალებს მოწყვეტილი რაზმი. თითქმის უგონო პოეტი ტყვედ შეუპყრიათ. ეს მოხდა 1758 წელს, 15 აგვისტოს. სხვა ტყვეებთან ერთად იგი გადაიყვანეს შორს და ბოლოს მაგდებურგის ციხე-ბასტიონში მოუთავსებიათ.

რამდენ ხანს გაგრძელდა დავითის ტყვეობა? როდის დაბრუნდა იგი უკრაინაში? ფიქრობდნენ, რომ მან მთელი ომის შემდგომი პერიოდი ტყვეობაში გაატარა და დაბრუნდა შეიღწლიანი ომის დასრულების შემდეგ, ე. ი. 1763 წელს.

უკანასკნელ ხანებში რუსეთის სამხედრო არქივში აღმოჩენილი მასალებით დოკუმენტურად გაირკვა, რომ გურამიშვილი უკრაინაში ადრე დაბრუნებულია (იხ. ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, 1956 წ.). ომის დამთავრებამდე, 1759 წლის 4 ოქტომბერს რუსეთსა და პრუსიას შორის დაიდო ხელშეკრულება ტყვეების გაცვლის შესახებ. ჩანს, სწორედ ამ ხელშეკრულების ძალით,



1759 წლის 7 დეკემბერს გურამიშვილიც გაუთავისუფლებიათ.

ტყვეობიდან პოეტი დასხულებული ჩამოვიდა, ლარც დაზიანებული მხარი აღუდგა და იგი როგორც მძიმე ავადმყოფი გაუთავისუფლებიათ მშობლიური პოლიციდან, რომელიც ამ დროს კვლავ ბრძოლის ველზე იმყოფებოდა.

ამავე დოკუმენტებიდან ირკვევა ისიც, რომ მისი მხედრული დამსახურება შესაფერად შეუფასებია უმაღლეს ხელისუფლებას. მატერიკალურად დახმარებთან და იგი 1760 წელს პორუჩიკის ჩინით გასულა სამხედრო სამსახურიდან (ძვირფას მასალას პოეტის სამხედრო ბიოგრაფიისათვის ამ მხრივ წარმოდგენს მისი თხოვნა, წარმოდგენილი ე. წ. ჩელობიტეის სახით რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედის სახელზე და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ინახება მოსკოვში, ცენტრალურ სამხედრო არქივში).

უკრაინაში მობრუნებულ პოეტს მამული სრულიად გაპარტახებული დახვედრია, რასაც მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ისედაც ჯანგატეხილ პოეტზე. ერთ თავის ლექსში, რომელსაც ეწოდება: „ოდეს დავით გურამიშვილი პრუსიაში დატყოვდა და, თუ რამ აქვდა თავისი საცხოვრებელი ისიც დაეკარგა, იმისთვის ტირილი“. პოეტი გადმოგრძნობს თავის მაშინდელ უიმედო განწყობილებას და სულიერ მიუხაფრობას.

მაგრამ, როგორც ჩანს, დავითს კვლავ მოუტკრებია ძალა და თავის ახალგაზრდა მეუღლე ტატიანა ვასილის ასულთან ერთად მოუწესრიგებია გარეშე თუ შინაური მტრის მიერ გაჩანაგებული სახლ-კარი, მოშლილი მეურნეობა.

გადის ათეული წლები, პოეტი თავის ცხოვრების მიმწუხრს ატარებს თავის მეორე სამშობლოში, უკრაინაში, მაგრამ როგორც მისივე შემოქმედებიდან ჩანს, მას არა ერთი და ორი ღამე გაუთენებია ფიქრში დედა-სამშობლოზე, საგურამოსა და ზედაზენზე, სადაც განისვენებდნენ მისი წინაპრები (სადაც იყო მათი წმიდათაწმიდა „სასაფლაო და ძველ შესალაგი“).

ჩვენ ზუსტად არ ვიცით მისი მთელი საქმიანობა ამ ხანებში. როგორც ჩანს, დავითი აქტიური წევრი უნდა ყოფილიყო იქაური ქართული ახალშენისა და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა (ქართული ახალშენის ნაშეიკნი დღესაც სახლობენ ამ მიდამოებში).

მაგრამ გურამიშვილის საქმიანობაზე ყველაზე ნათლად მეტყველებს ლექსების კრებული — „დავითიანი“ — ყველაზე ძვირფასი რამ, რაც შეეძლო მიეძღვნა დავითს მშობლიური ხალხისათვის. პოეტი ამ წლებში საბოლოო ყალიბში ასხამდა ყოველივე იმას, რაც მისმა მრავალტანჯულმა სულმა განიცადა. „დავითიანის“ ყოველი სტრიქონი გამთბარია დიდი პოეტის გულწრფელი აღსარებით, განათებულია ცხოვრების დიდი გამოცდილებით. და აი, ხელსაყრელი ვითარებაც დაუდგა პოეტს. 1787 წელს, როცა უკრაინაში (კერძოდ, კრემენჩუგში) პოტიომკინის კარზე იმყოფებოდა საქართველოს ელჩიონი ერეკლე II-ის ვაჟის მირიან ბატონიშვილს მეთაურობით, გურამიშვილი სასოებით

გადასცემს მას ერთადერთ პირმშოს, როგორც მან უწოდა თავის ლექსების კრებულს. სწორედ ამ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გურამიშვილის „დავითიანმა“ გაიკვლია გზა მშობლიური ქვეყნისაკენ.

ძალზე მომხიბლავია პოეტის დამოკიდებულება იმ ხალხისადმი, რომელთა შორის მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა. იგი დაუახლოვდა უკრაინელ მშრომელ ხალხს, შეისწავლა მათი ყოფა და სულიერი კულტურა. მის ლირიკულ ლექსებში აშკარად მოისმის რუსულ-უკრაინული ფოლკლორული მოტივები, ხოლო პოემაში „მხიარული ზაფხული“ („ქაცვია მწყემსი“), საოცრად არის შერწყმული უკრაინულ-ქართული ზნე-ჩვეულებანი, ფოლკლორული თუ საყოფაცხოვრებო ელემენტები. სამართლიანად არის აღნიშნული ქართველი და უკრაინული ლიტერატურის მკვლევართა მიერ, რომ გურამიშვილმა თავის ლირიკულ შედევრში „ზუბოვკა“ ერთმა პირველთაგანმა უმღერა უკრაინელი ქალის სილამაზეს (რასაკვირველია, ეს არ გამოორიცხავს ლექსში ჩაქსოვილ ალეგორიულ ასპექტებსაც. დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

მას სურდა, შეემსუბუქებინა უკრაინელი გლეხის მატერიალური პირობები, ამიტომაც ასე დაჟინებით ფიქრობდა იგი საირიგაციო სისტემაზე, რათა ხშირი გვალვისაგან დაეცვა პოლტავშინის პურის ყანები. მან დაამუშავა საირიგაციო სისტემის თავისებური ვარიანტი. ასევე ცდილობდა, უკრაინაში გადაენერგა ქართული ტიპის წყლის წისკვილები. ამ მიზნით შეადგინა კიდევ კონკრეტული გეგმა და ცდილობდა მის პრაქტიკულ განხორციელებას.

ბოლო წლებამდე ჩვენ ზუსტად არ ვიცოდით, კიდევ რამდენ ხანს იტოცხლა დავით გურამიშვილმა ან სად განისვენებდა სამკვიდროდან სამუდამოდ მოწყვეტილი პოეტი, თუმცა XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეებს, რომელთა შორის ერთი პირველთაგანი აკაკი წერეთელი იყო, ცდა და მონღომება არ დაუკლიათ ამ მიმართულებით.

დღეს ორივე საკითხი საბოლოოდ გაირკვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ უკრაინელი მკვლევარის დმიტრო კოსარიკის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება. დავით გურამიშვილი გარდაიცვალა 1792 წლის 25 ივნისს (ძველი სტილით) 87 წლის ასაკში. აღმოჩნდა მისი სამარე და საფლავის წარწერაც. პოეტის ნეშტი დაუკრძალავთ ქალაქ მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

1948 წელს გურამიშვილის საფლავს ერთი პირველთაგანი საგანგებოდ ესტუმრა ქართველ მწერალთა და ლიტერატორთა დელეგაცია. ამდღევებლად მოგვითხრობს გურამიშვილის საფლავზე გამართული შეკრების შესახებ მწერალი ლევან ასათიანი: „მიტინგის მონაწილეებზე უღრმეს შთაბეჭდილებას ტოვებს შალვა დადიანის გამოსვლა. თავის სიტყვას ის იწყებს ქართულ ენაზე. იგი მიმართავს დავით გურამიშვილის აჩრდილს მუხლმოდრეკილი. დიდო მგოსანო, — ამბობს ის, — სამშობლომ დაგვაბარა გადმოგცეთ შენ მშობლიური ქვეყნის უზომო სიყვარული. ამიერიდან შენ აღარ ხარ უპატრონო და მიტოვებული.

შენს წმინდა საფლავს აფარია მოძმე ხალხის სიყვარულის სათუთი კალთა.

შალვა დადიანი მთრთოლვარე ხელით ხსნის პატარა პარკს, რომლითაც დელეგაციას მოტანილი აქვს თითო მუჟა მიწა მთაწმინდიდან — ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან.

მშობლიური ქვეყნის მიწა, რომელზედაც მთელი სიცოცხლე ნატრობდა პოეტი, ჩუმი შრიალით ეყრება მის საფლავს“.

„დავითიანის“ ერთ-ერთ პირველ სტრიქონებში ასე გოდებდა გაურკვეველი მომავლის შიშით შეძრწუნებული პოეტი: „ცოცხალიც არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინლა მამიგონებსა?!“

ეს იყო მწარე დაქვეება, რომელსაც საბედნიეროდ განხორციელება არ ეწერა.

მის ნათელ ხსოვნას ახალი ფურცლები ემატება. გურამიშვილის პოეტური სიტყვა გასცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს და მარადისობისკენ მიიკვლევს გზას.

## 2. დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროში

„გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს ღარი“.

დავით გურამიშვილი, როგორც პოეტი და მოაზროვნე, ერთ-ერთი ურთულესი მოვლენაა ქართული მწერლობის ისტორიაში. გურამიშვილის მრავალფეროვანი პოეზია სულიერი ძიებებით არის აღსავსე და ღრმა ეპოქალურ ტივილებს გამოხატავს. მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობები ისევეა დამახასიათებელი მისთვის, როგორც მშობლიური ქვეყნის იმ ხანად ჭერ კიდევ გაურკვეველი ისტორიული პერსპექტივის ნიშნები.

გურამიშვილის პოეზიის ლირიკული პერსონაჟი ხან მარტლდშოენილი, ღრმა რელიგიური განწყობილებებით დატვირთული ადამიანია, ხან კი „ქართლის ჭირზე“ მწარედ დაფიქრებული პიროვნება. რომელიც მთელი არსებითაა შეძრწული თავისი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედიის გამო. მაგრამ „დავითიანში“ პიროვნული და საზოგადო ისე გაუთიშველად ერწყმის ერთმანეთს, რომ იგი აღიქმება როგორც ერთიანი, მონუმენტური მხატვრული ტილო, თუმცა რეალურად ის სხვადასხვა ღროს შექმნილ რამდენიმე პოემისა და ლექსთა კრებულსაგან შედგება.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ დავით გურამიშვილი XVII—XVIII საუკუნის პირველ ქართველ განმანათლებელთა (სულხან-საბა, ვახტანგ VI და სხვ.) ტრადიციებზე აღზრდილი პიროვნებაა და მის „დავითიანში“ აშკარადაა აღბეჭდილი ეს სულისკვება. ამას მოწმობს

გურამიშვილის შემოქმედებაში დიდი როლით გამოვლენილი დიდაქტიკური ნაკადი, ფოლკლორისადმი განსაკუთრებული ინტერესი და საერთოდ მიდრეკილება ქართული მხატვრული სიტყვის დემოკრატიზაციისაკენ. ქართული შუა საუკუნეების უდიდესი პოეტი ამ თვალსაზრისით ახალი ქართული პოეზიის ერთი პირველი წინამორბედთაგანია. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ასეთი თვალთახედვით აფასებდნენ თავიანთი „უძვირფასესი პაპის“, გურამიშვილის შემოქმედებას ილია, აკაკი და ვაჟა-ფშაველა.

ქვემოთ, რასაკვირველია, ძირითად ხაზებში იმ კონკრეტულ თავისებურებაზეა საუბარი, რამაც დავით გურამიშვილს განსაკუთრებული ადგილი არგუნა ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

### 3. გურამიშვილი და ქართული ქრისტიანული კულტურა

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების გრძელ გზაზე ქრისტიანულმა კულტურამ განუზომლად დიდი როლი შეასრულა. ჩვენი ხალხის ეროვნული იდეოლოგია, რომელსაც სხვა სულიერი ფაქტორებიც კვებავდა, წარმოუდგენელია ქრისტიანობის მიერ დამკვიდრებული ზნეობრივი თუ ეთიკური იდეალების ცხოველმყოფელი ნაკადის გარეშე. ისევე როგორც სხვაგან (აქ მეტწილად იგულისხმება დასავლური სამყარო) ქართული შუა საუკუნეებიც ქრისტიანული აღმსრულებლობის ნიშნით ვითარდებოდა. მაგრამ აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ მიუხედავად ჩვენი ქვეყნის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აღმოსავლური“ წარმოშობისა, ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრების პირველივე დღეებიდან არასოდეს გამრუდებულა ქართული კულტურის ე. წ. „დასავლური“ ხაზი. ეს ცხადად ემჩნევა ქართულ შუა საუკუნეებში შექმნილ როგორც მატერიალურ, ისე სულიერი კულტურის ძეგლებს. ასეთი ფართო მასშტაბურობის გარეშე წარმოუდგენელია ისეთ ქმნილებათა აღმოცენება, როგორცაა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“, ან მცხეთის ჭვარი, სვეტიცხოველი, ქართული კედლის მხატვრობა და მრავალი სხვა. „ქართული მზერა“, როგორც დიდი ვალაკტიონი იტყოდა, უკვე ამ ხანებიდანვე თავისთავში ითავსებდა ძველ, ანტიკურ ტრადიციებთან ერთად მშვენიერების იმ ახალ ეთიკურ საწყისებს, რომელიც ქრისტიანულ კულტურასთანაა დაკავშირებული, ეს უკანასკნელი მომენტი კი ჩვენი კულტურის ფართო სარბიელზე გასვლას გულისხმობდა.

დავით გურამიშვილი ქართული გვიანი შუა საუკუნეების ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია და, ბუნებრივია, გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე მისი, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, მიმართება ქრისტიანულ კულტურასთან. მაგრამ, ვიდრე ამ საკითხებს უფრო არსებითად შევეხებოდეთ, აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

შუა საუკუნეები, როგორც კაცობრიობის განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი, ერთ დროს ფაქტიურად მიჩქმალული იყო.

თითქოს ანტიკურობიდან რენესანსულ კულტურამდე რაღაც ამოუვსებელი უფსკრული იყო აღმართული. ეს თვალსაზრისი, სამწუხაროდ, თითქმის ბოლო ხანებამდე განსაკუთრებულად იყო გავრცელებული ჩვენში, რაც ადრე აღმოცენებულ ვულგარიზატორულ შეხედულებათა ინერციის აშკარა შედეგი ჩანს. ქრისტიანული რელიგიის ტოტალურ კრიტიკასთან ერთად ფაქტიურად უარყოფილი იყო შუა საუკუნეთა ყოველგვარი სულიერი ფასეულობანი. და ეს მაშინ, როცა თვით მარქსიზმის კლასიკოსებიც უარყოფდნენ ასეთ ცალმხრივ თვალსაზრისს. თავის ცნობილ ნაშრომში „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“ „ფრიდრიხ ენგელსი, ამასთან დაკავშირებით, პირდაპირ აღნიშნავდა, რომ „შუა საუკუნეებს ისტორიის მსვლელობაში თვლიდნენ როგორც უბრალო შესვენებას, რომელიც თითქოს გამოწვეული იყო ათასწლოვანი საყოველთაო ბარბაროსობით. არავინ აქცევდა ყურადღებას უდიდეს წარმატებებს, რომლებიც განხორციელდა სწორედ შუა საუკუნეთა მანძილზე“.

შუა საუკუნეებზე ანალოგიურმა შეხედულებამ კარგა ხანია მოიკიდა ფეხი მსოფლიო მედიევისტურ მეცნიერებაში. შუა საუკუნეთა მაღალ სულიერ ფასეულობათა გამო მოხდენილად შენიშნავდა ცნობილი ფრანგი ლიტერატურის ისტორიკოსი გუსტავ ლანსონი, რომ „კაცობრიობის ისტორიის ეს მონაკვეთი არა მარტო თავისთავად იყო ნაყოფიერი, არამედ იგი ამზადებდა მომავალს, ქმნიდა ტრადიციას“ (იხილე მისი „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“, რუს. თარგმ., 1896 წ.).

მართლაც, შუა საუკუნეები, რომელიც ძირითადად ქრისტიანული კულტურის ნიშნით ვითარდებოდა, მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა სფეროში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

სანიმუშოდ იკმარებდა მრავალფეროვანი დარგებითა წარმოდგენილი ქრისტიანული სასულიერო მწერლობა, რომელიც თავისთავადი მოვლენაა და კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპს ქმნის (როგორც სიძველით, ისე სიმდიდრით უნიკალურია ამ თვალსაზრისით ქართული სასულიერო მწერლობაც).

ანტიკურობასთან შედარებით, დღეს ეს ურყევი დებულებაა, ქრისტიანულმა კულტურამ იმთავითვე ადამიანთა პიროვნული სრულყოფის პრობლემები წამოსწია წინ და ზნეობის ახალი კატეგორიები აღმოაჩინა. სასულიერო მწერლობაც სწორედ ამ გზით ვითარდებოდა და ადამიანის თავისებურ ესთეტიკურ იდეალს უყრიდა საფუძველს, მხატვრული აზროვნების ახალ სიმაღლეებს ეუფლებოდა.

ეს დებულება თანაბრად ეხება არა მხოლოდ ზნეობრივს თუ ეთიკურ კატეგორიებს, არამედ მიღწევებს მხატვრული აზროვნების სფეროშიც. ისევე როგორც ახალი იყო ქრისტიანული მწერლობის მიერ შემუშავებული იდეალურ გმირთა სახეები, რომელთა წარმოსახვაში სიმძიმის ცენტრი სულიერ საწყისებზე იყო გადატანილი, ასევე თვისობრივად განსხვავებული იყო ქრისტიანული მწერლობის პოეტიკაც (დიდძალი დაკვირვებებია ამ თვალსაზრისით წარმოდგენილი ს. ავე-

რინცევის წიგნში „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა“. რუს. ენაზე, 1977 წ.).

მე აქ მხოლოდ ქრისტიანული მწერლობის ერთ ძირითად მხატვრულ ხერხზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას, რადგან შემდეგ ვნახავთ, რომ იგივე ხერხი უხვადაა წარმოდგენილი დავით გურამიშვილის პოეზიაშიც.

სხვა სპეციფიკურ მხატვრულ ხერხთაგან სასულიერო მწერლობა განსაკუთრებით ხშირად მიმართავს აზროვნების ისეთ წესს, რომელიც მოვლენათა სიმბოლიზაციას ეყრდნობა. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ მონოთეისტურ, ამ შემთხვევაში ქრისტიანობის საფუძველზე აღმოცენებული მწერლობის ძირითად მხატვრულ ამოცანას: მატერი-ალურში განკვირბითოს სულიერი, წარმავალში ამოიცნოს მარადიული. ყოველ მოვლენაში ორმაგი აზრის ძიება თავისთავად ბადებდა მიდრე-კილებას სიმბოლოებით აზროვნებისაკენ. ანტიკურისაგან განსხვავე-ბით, ამ შემთხვევაში შედარებით უკანა პლანზე გადადის, მაგალითად, მითის გამოყენება (ისევე როგორც ნაკლებად გვხვდება ანტიკური მწერლობის ზოგი სხვა მხატვრული ელემენტი).

სახელგანთქმული გერმანელი ფსიქოლოგი ვილჰელმ ეუნდტი თავის ცნობილ ნაშრომში „მითი და რელიგია“ ზუსტად განსაზღვრავს ამ გარემობას: მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა: უდიდესი შეც-დომა იქნება მითისა და სიმბოლოს გაიგივება (რის არაერთ ფაქტს, სამ-წუხაროდ, ახლაც ხშირად ვაწყვდებით). მითი სინამდვილის უშუალო აღქმის, ხოლო სიმბოლო ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია და ისინი რელიგიის სხვადასხვა საფეხურზე დგანან — ერთი თავში, მეორე — ბოლოში.

მართლაც, თუ, მაგალითად, ძველი ქართული მითი, ვთქვათ, ტყის დედოფლის დალის შესახებ, ბუნებასთან პრაქტიკული დამოკიდებუ-ლების უშუალო უკუფენაა, როცა ადამიანი ბუნების მოვლენათა გა-მოცნობისას თავს ახვევდა მას თავის ანთროპომორფისტულ შეხედუ-ლებებს, ხოლო ეს უკანასკნელი კი მისთვის არც მეტი, არც ნაკლები, რეალური სინამდვილის დონეზე აღიქმებოდა, სიმბოლო უკვე ბუნე-ბასთან აზროვნებით ან უკეთ შემოქმედებითი მიმართების გამოხატუ-ლებაა (შდრ. მ. ი. სტებლინ-კამენსკი, მითი, 1976 წ. ლენინგრ. რუსულ ენაზე. ავტორი მართებულად შენიშნავს, როცა ეხება მითის ბუნებაზე არსებულ სხვადასხვა და ხშირად უცნაურ თეორიებს: „მითთან დაკავ-შირებით მხოლოდ ერთი რამ ჩანს უდავო. მითი არის ისეთი ამბავი, მონათხრობი, რომელიც სინამდვილედ მიაჩნდათ იმ გარემოში, სადაც იგი აღმოცენდა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ფასტასტიკურ ხილ-ვებს ეყრდნობოდა ეს მონათხრობი“. გვ. 4; მაგრამ ჩვენი საკითხისათვის უფრო მნიშვნელოვანია ავტორის შემდეგი დებულება, რომელიც ეხე-ბა მითების ადგილს შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში, კერ-ძოდ კი მითისა და სიმბოლოს ურთიერთმიმართებას. მითის დეგრადი-რების პროცესთან დაკავშირებით ახალ საუკუნეებში წიგნის ავტორი წერს: „მითის თანდათანობით კვდომის ეს პროცესი ცხადად გამოიკვე-

თება შუა საუკუნეთა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში. მასში არა მხოლოდ რელიგიური მითები, არამედ მთელი ობიექტური სამყარო სიმბოლოურადაა ახსნილ-განმარტებული. ეს კი დიამეტრულად ცვლის ვითარებას. სიმბოლოურად გააზრებული მითი კარგავს სწორედ იმ თვისებას, რის გამოც არის იგი მითი და არა სხვა რამ..“ გვ. 9)

სიმბოლოური აზროვნება, მართლაც, კაცობრიობის შემდგომი განვითარების ახალ საფეხურს მოასწავებს და ამასთან ადამიანის გარესამყაროსთან დამოკიდებულების თავისებური შემოქმედებითი აქტის ნაყოფია (ჰეგელი). სწორედ ამ ნიშნით რელიგიური სიმბოლოები ზოგჯერ ემთხვევიან მხატვრულ სიმბოლოებს. ანდრეი ბელი თავის წიგნში „სიმბოლიზმი“ მართებულად შენიშნავდა ამის გამო, რომ სიმბოლო ბუნებიდან აღებული და გარდაქმნილი სახეა. იგი თავის თავში შეიცავს ავტორისეულ განცდასა და ბუნების იმ ნიშანს, რომელიც ამ შემთხვევაში მასშია გამოხატული.

ძველი და ახალი აღთქმის წიგნები ამ თვალსაზრისით ამოურწყველი არსენალია, სადაც უხვად ვპოულობთ სიმბოლოური აზროვნების დიდებულ ნიმუშებს და მათი, ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობი, ავტორები მხატვრული მეტყველების ჭეშმარიტ სიმაღლეებს აღწევენ.

მხოლოდ ერთი მაგალითი ქრისტიანული მწერლობიდან: „... და ვითარ შემოიყვანა მცველმან მან, და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტეასი შეენიერად, ვითარცა სძალი, შემეული საკრველთაგან მათგან, და მე ვითარ დამითმო გულმან ვტიროდე ფრიად“. ეს მცირე ნაწყვეტი მოტანილია ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლიდან. V საუკუნის გამოჩენილი ქართველი ავტორი იაკობ ხუცესი ქრისტიანული მწერლობისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხებით აღწერს ეპიზოდს, რომელშიც ფიზიკურად დაუძლეურებული, მაგრამ სულიერად მხნე დედოფლის მდგომარეობაა გადმოცემული. როგორც „ტარიგი“, ისე „სძალი“ აქ ბიბლიური სიმბოლიკიდან არის ნასესხები და გამოყენებულია დედოფლის მოწამებრივი აღმადგინის წარმოსაჩენად (შდრ. „აჰა, ქრისტე ტარიგი ღმრთისაი“. ი. 1, 36; „რომელსა აქუს სძალი. სიძეი არს“, ი. 3, 29 და სხვ.). ქრისტიანული მწერლობის სახისმეტყველება უხვ მასალას გვაწვდის ამ მიმართულებით და V საუკუნიდან მოკიდებული ყალიბდება უწყვეტი ტრადიცია. ნიკო მარი, რომელიც ერთი პირველთაგანი ჩაულტრმავდა აღნიშნული ტრადიციის მნიშვნელობას, დაბეჯითებით ადასტურებდა ქართული სასულიერო მწერლობის დიდ მნიშვნელობას საზოგადოდ, კონკრეტულად კი მხატვრული ენის შემუშავების საქმეში. იგი წერდა: „ქართულმა სასულიერო მწერლობამ აამალა მეტყველების კულტურა... შემომუშავა ლიტერატურული ენა, რომელმაც თავის სრულყოფას მიაღწია ბევრად ადრე, ვიდრე დადგებოდა ჩვენში XII საუკუნე. ეს იყო შესაშური მემკვიდრეობა, ძვირფასი განძი, რომელიც მემკვიდრეობად გადმოეცა მომდევნო ხანის სასულიერო თუ საერო მწერლობას“ (ЖМНП, 1899 წ., რუსულ ენაზე).

როგორც ცნობილია, ეს შეხედულება კიდევ უფრო გააღრმავა და

მას მწყობრი კონცეფციის სახე მიანიჭა ძველი ქართული და, კერძოდ, სასულიერო მწერლობის აღიარებულმა მკვლევარმა აკად. კ. კეკელიძემ. ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ურთიერთობის პრობლემა მის ნაშრომებში არ იფარგლება მარტო ლიტერატურული ფორმისა თუ ენის საკითხებით. იგი ამ ორ მიმართულებას შორის სტრუქტურულ კავშირებს ჰკვრეტდა. მანვე დასვა საკითხი ევოლუციონისა სასულიერო მწერლობიდან საერო მწერლობისაკენ (ეტიუდები, ტ. II, 1945, გვ. 3—63).

თუმცა აქ საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ მოტანილი თვალსაზრისი შეუძლებელია ვაღიაროთ უნივერსალურად. ქართულ კლასიკურ საერო მწერლობას, რომლის გვირგვინსაც შოთა რუსთაველის პოემა წარმოადგენს, გენეტიკურად სხვა სოციალური თუ იდეოლოგიური ნაკადებიც კვებავდა (საკითხის მიმოხილვა იხ. ალ. ბარამიძე, საერო მწერლობის აღმოცენება და განვითარება. წიგნში „ქართ. ლიტ. ისტორია“. ავტორთა კოლექტივი, ტ. II, 1966, გვ. 5—25).

ასე თუ ისე, სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი წვლილი თვისობრივად ახალი საერო მწერლობის შემუშავებაში (როგორც სალიტერატურო სტილის, მხატვრული გემოვნების, გარკვეული ქანრების და ა. შ.) დღეს დადასტურებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ლ. ფრო მეტიც, მიუხედავად მოსალოდნელი შინაგანი წინააღმდეგობისა, სასულიერო მწერლობა ნაყოფიერ გაგლენას ახდენდა საერო მიმართულებაზე არა მხოლოდ კლასიკურ ხანაში (XII ს.), არამედ შემდეგაც. მთელ შუა საუკუნეთა ვრცელ მონაკვეთზე, რის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ძველი ქართული მწერლობის თითქმის უკანასკნელი პერიოდის წარმომადგენელი დავით გურამიშვილის შემოქმედებაც (აქ საჭიროა გაიხსენოთ ისიც, რომ სასულიერო მწერლობის ნაყოფიერი გავლენა აშკარად შეიმჩნევა, შემდეგაც, რის საგულისხმო ნიმუშებს გვაწვდის ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაც).

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ძველქართული სასულიერო მწერლობის ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი. სასულიერო პოეზია, რომელიც ჰიმნოგრაფიის სახელითაა ცნობილი.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ პირველი საფეხურის ფსალმუნური ელემენტიდან მოკიდებული, ქართული ჰიმნოგრაფია მჭიდრო კავშირშია ბიზანტიურ სასულიერო ლექსთან და მის ნაყოფიერ გავლენას განიცდის. სხვა საკითხია თვით ბიზანტიური ჰიმნების ძირების კვლევა-ძიება, რაც არის კიდევ ჩატარებული სათანადო სპეციალისტების მიერ (ბიზანტიურ ჰიმნებს, როგორც ცნობილია, სირიელ ეკლესიის მამათა ჰიმნოგრაფიას უკავშირებს ზოგი მკვლევარი), მაგრამ ჩვენი საკითხისათვის ერთი მომენტი უეჭველად ცხადი ჩანს. ქართული ჰიმნოგრაფია თანდათან თვითონვე აღწევს თავს უცხოური ელემენტების გავლენას. როგორც სასულიერო სიმღერა-გალობამ თავისივე წიაღში იპოვა საკუთარი განვითარების გზები, ისევე სასულიერო ჰიმნებიც, რომელიც არსებითად ამ სიმღერა-გალობათა დაქვემდებარებულ (დ. ი.



სიმღერისათვის შეწყობილ) ტექსტებს წარმოადგენდნენ, თანდათან თვითმყოფ კილოებს პოულობენ.

ისევე, როგორც სხვა ენებზე არსებული ჰიმნოგრაფიული პოეზია, ქართული ჰიმნოგრაფიაც რიტმული პროზიდან (რომელიც ფაქტიურად სალექსო საზომთა გარეშე იყო წარმოდგენილი) სწორედ სასულიერო სიმღერა-გალობის ზეგავლენით საკუთარი ენის წიაღში ეძიებს პოეტური მეტყველების საშუალებებს, კერძოდ, მოწესრიგებული ხასიათის სალექსო საზომებს. ეს იყო სრულიად ბუნებრივი პროცესი საერთოდ და, ამ მხრივ, ქართული ჰიმნოგრაფიაც გამონაკლისი არ ყოფილა. სასულიერო პოეზიის ცნობილი სპეციალისტების (მაგალითად, კრისტი. მეიერი, ბიკელი, კარდინალი პიტრა, ვასილიევი) მიერ ერთხმადაა აღიარებული, რომ ისევე როგორც ანტიკურ ხანაში ხალხურმა სიმღერებმა შეუწყო ხელი პოეტური საზომების წარმოშობას, რომლებიც შემდეგ წიგნურ პოეზიაში რაფინირებულ საზომებად გადაიქცა, ასევე სასულიერო გალობა შეიქმნა ბიძგის მიმცემი ჰიმნოგრაფიის ვერსიფიკაციისათვის.

გ. იმედაშვილი ასე გადმოგვცემს დასკვნებს, რომელიც ჰიმნოგრაფიის ცნობილი სპეციალისტების მიერ ერთხმადაა აღიარებული: „მელოდიამ ბუნებრივად გადაწყვიტა საგალობლის პოეტურ საფუძველზე აგების აუცილებლობა, რითაც განსხვავდება ის პროზული მეტყველებისაგან. ამით განმეორდა ის პროცესი, რომელიც ანტიკურ პერიოდში გაიარა პოეტური მეტყველებისა და პოეტური საზომების წარმოშობის ისტორიამ... ხალხურ სიმღერამ წარმოშვა საზომები, რომელთაგან შემდგომ განვითარდა წიგნური პოეზიის ფორმები თითქმის ყველა ხალხისა. ერთი სიტყვით, ვერსიფიკაციული ფორმების შემუშავების იმპულსი იყო მუსიკალური ფრაზეოლოგია. ჰიმნური პოეზიაც მთლიანად გალობის სპეციფიკას დაეყრდნო. რიტმის თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიმნის ტექსტის გარკვეულ საზომის გარეშე დალაგება კომპენსირებული ხდებოდა მელოდიის ფორმით, რომელიც ტექსტს ანიჭებდა საზომს“ (დაწვრ. იხ. „ქართული კლასიკური საგალობლის პოეტიკის საკითხები“, ლიტ. ძიებანი, XII, გვ. 184).

მაგრამ ამ დებულების ქართულ ნიადაგზე მექანიკური გადმოტანა ფაქტებზე ძალდატანება იქნებოდა, რადგან უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით ქართულ საერო ლირიკაზე ჰიმნოგრაფიას არ მოუხდენია სერიოზული გავლენა. ჰიმნოგრაფიამ ჩვენში ვერ მოგვცა ლექსწყობის მრავალფეროვანი საზომები და მხოლოდ აკროსტიხითა და ქართული პარადოქსული ბუნებისათვის უცხო იამბიკოთი (7+5) ამოიწურა. და თუ კლასიკურ ჰიმნოგრაფიაში გვხვდება გადახვევები, აქ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართული ხალხური საზომები პოეზიის გზით, ან უშუალოდ, გზას იკაფავდა თვით ჰიმნოგრაფიის წიაღშიც და ეს არის მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმო ფაქტი.

მართლაც, საერო ლექსწყობის ნიმუშები უკვე დასტურდება X საუკუნე. ჰიმნოგრაფებთან. მაგალითად, 16 მარცვლოვანი დაბალი შაირის ნიმუში მიქელ მოდრეკილთან: „რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი

მაღალნი ძალითურთ“. მაღალი შაირითაა დაწერილი ფილიპეს ცნობილი საგალობელი: „ფესვთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო...“ და ა. შ. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ასეთივე გზა აირჩია შემდგომში დავით გურამიშვილმა და საერო საზომებით ქმნიდა სასულიერო ხასიათის ჰიმნებს.

მაგრამ რაც ჩვენ სალექსო საზომებზე აღვნიშნეთ, უფრო მეტად ეხება ჰიმნოგრაფიის პოეტურ ენას. ამ უკანასკნელმა დიდად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართულ საერო პოეზიაზე. განსაკუთრებით კი ქართულ ლირიკულ ლექსებზე. აღიარებულ ფაქტად უნდა ვცნოთ, რომ ჰიმნოგრაფიამ ამ შემთხვევაში ერთგვარი გარდამავალი როლი ითამაშა. მან აითვისა საერო მეტყველების (პირველ რიგში ფოლკლორული წარმოშობის) გარკვეული პოეტური მარაგი და ახლად გადაამუშავებული გადასცა კლასიკურ და მომდევნო ხანის ქართულ საერო პოეზიას. მაგალითად, უნდა ვიფიქროთ, რომ სასულიერო მწერლობამ წარმართობისაგან (საერთოდ აღრეული რელიგიური პოეზიიდან) აითვისა ასტრალური სამყაროს მხატვრული წარმოსახვის ფორმები, რამაც შექმნა სპეციფიკური პოეტური ხერხები. სულ მალე კი თვით ჰიმნოგრაფიამ წარმოშვა პოეტური აზროვნების ბრწყინვალე შედეგები. უკვე აქ, მის წიაღში დამუშავდა ლექსის ისეთი ფორმა, რომელიც ღრმად სუბიექტურ გრძნობათა გამოთქმის საშუალებას იძლევა და მედიტაციის ნიშნებითაა აღბეჭდილი. რელიგიური გრძნობები მაშინდელი ადამიანის ემოციური სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო მათი პოეტური გამჟღავნება სწორედ ლირიკულ ფორმებს მოითხოვდა. პოეტური ენა მეტ მოქნილობასა და გამომხატველობას აღწევდა:

ცხოვრებაი ესა წარვალს და განილევის,  
შუენიერებაი და დიდებაი დაქნების,  
ხოლო სიმდიდრე დაღუბების და წარწყმდების.  
რასა ცუდად ვმალლოით, ოდეს ყოველნი  
მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი!  
მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა,  
სადა არს შური, საოცრებაი და ხდომაი,  
სადა არს ძვირის ხსენებაი და ზუაობაი  
და ხორცთა გულის-თქმანი, აჰა, ესერა! —  
მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი.

ეს ლექსი, რომლის სათაურია „გალობანი სულისანი“, როგორც ამას პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ეკუთვნის X საუკუნის უცნობ პოეტს ოპიზიდან (ხელნაწერი A-93). იგი ძალზე წააგავს იოანე დამასკელის (VIII საუკ.) ამავე ხასიათის ლექსებს. შესაძლოა თარგმანიც იყოს. ყურადღებას ეს ჰიმნი იპყრობს სადა, გამჟღავნებულ პოეტური ენით და ამჟვეყნიური ამბობის ძველი ბიბლიური თემის ზუსტი დამუშავებით. ჰიმნოგრაფიულმა პოეზიამ, და ესეც ხაზგასმით არის აღსანიშნავი, განსაკუთრებულად დახვეწა ლირიკული ლექსის კომპოზიციური მხარე. ეს მომენტი განაპირობა თვით ჰიმნოგრაფიის ძირითადმა თემამ, რომელიც ღვთაებასთან მიმართებით გამოიხატება. ყველა ქვეყნის ჰიმნოგრაფთა უნივერსალური თემა უმადლეს ნათელთან ანუ ღვთაებას-

თან ეგზალტირებული წვდომის პოეტური ცდაა. რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება გამოიხატოს სასულიერო პოეზიის აღნიშნული თემა: ღმერთი არის უმაღლესი ცნება, რომელიც შეიცავს ყველა დადების (დამტკიცების) ნიშნებს, რომელთა გაფიქრებაც კი კაცს შეუძლია. ღმერთსადმი მიმართული ლოცვითი აღმადგენით კაცის სული მიისწრაფვის სიცოცხლის წყაროსაკენ (და სიცოცხლე — ესაა ნათელი! გავიხსენოთ იოანეს სახარების პირველი მუხლნი და მისი სიმბოლიკა ნათელისა და წყვილადის შესახებ), მაგრამ ადამიანურ სულს არ შეუძლია შეიქნოს, გაიგოს თვითონ არსება ღმერთისა, არამედ მხოლოდ ის. რაც „მასთან არის ახლო“, ხოლო „მის ახლოს“ არიან ღვთიურნი ენერგიანი („ანგელოზნი“), რომელნიც გამოუქედებიან, ძენი ნათელისა, მაგრამ ამ დამაბრმავებელი ნათლის უკან არის თვითონ ღმერთი, რომელიც ცხოვრობს „მიუწევნელ ნათელში“. ოღონდ როგორ გამოვთქვათ ჩვენი უსუსური ადამიანური ენით „მიუწევნელობა ნათლისა“? რა მხარეა ეს? — ესაა რაღაც, რომელსაც ჩვენი მზერა ვერ უძლებს, რომელს თვალი ვერ უსწორდება, ესაა რაღაც უქმნელი, რომელიც ჩანს წარმოდგენითს ძალებს არ შეუძლია შეიგნოს (მდრ. „მზისმეტყველება“, გვ. 194—195).

ამ ერთი მთლიანის თემამ, როგორც ითქვა, საოცრად შეკრა ჰიმნოგრაფიული ლექსის კომპოზიცია და ყველა სხვა მხატვრული ელემენტი დაუქვემდებარა მას. ამიტომაც ჰიმნურ პოეზიაში ფერთა და სახეთა განაწილება ასეთი მკაცრი ზომიერებით მოცემული და მიმართულია ერთის, უმაღლესის გამოხატვისაკენ.

ქართული ჰიმნოგრაფიაც ამ გზით ვითარდებოდა, მაგრამ მწყობრ კომპოზიციასთან ერთად ახალ საერო პოეზიას მან (ისევე როგორც საერთოდ სასულიერო მწერლობამ) უანდერძა დახვეწილი პოეტური მეტყველება, რომელიც გამოირჩეოდა ისეთი საინტერესო პოეტური ხერხებით, როგორიცაა სიმბოლო, მეტაფორა და მხატვრული ეპითეტი, ჰიპერბოლა და ა. შ. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა მრავალფეროვანი ვარიაციებით გვხვდება „სინათლის“, „ნათელის“ მისტიკური სიმბოლოები, რომელიც ღვთაების ბრწყინვალეების გამოსახატავად სჭირდებოდათ ჰიმნოგრაფებს. შედარებისა და მეტაფორის თუ რაოდენ ოსტატურ შერწყმას ახერხებენ ქართველი ჰიმნოგრაფები, მოვიტან მხოლოდ ერთ ცნობილ მაგალითს.

„ვითარცა ლომმან მიყრდნობით მიიძინა“. ეს მხატვრული შედარება X საუკუნის ჰიმნოგრაფს იოანე მინჩხს ეკუთვნის. მასში წარმოსახულია ქრისტეს მიცვალების ზებუნებრივი სურათი.

შედარებას აქ მეტაფორა-სიმბოლოები ერწყმის: ლომი — ქრისტეს ძლიერების სიმბოლოა, ხოლო მაცხოვრის გარდაცვალება დიადი მიძინების მხატვრული სახითაა გადმოცემული. მართლაც, ქრისტიანული სახისმეტყველების მშვენიერი ნიმუშია და, რაც მთავარია ასეთი ტიპის მხატვრულ სახეებს ჩვენ უხვად ვიპოვით ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში.

მე აქ არ შევჩერდები იმ რთულ ლექსიკურ სიმბოლიკაზე, რომე-

ლიც შექმნა საერთოდ ქრისტიანულმა მწყერლობამ. მაგალითად, სხვადასხვა მეტაფორებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე შევხვდებით დაპირისპირებული ხასიათის სიმბოლოებს, როგორცაა, ერთი მხრით, წყვილიადი, ღვარძლი, ღრუბელი, ხოლო მეორე მხრით, ნათელი, მზე სიმართლისა, სიკეთე და ა. შ.

ასევე ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება ჰიმნოგრაფიული პოეზიის გავლენა ქართულ კლასიკურ საერო მწერლობაზე, კერძოდ კი ამ მწერლობის გვირგვინზე — შოთა რუსთაველზე, რომელმაც მთელ რიგ შემთხვევებში სრულიად ახლებური გააზრება მისცა ადრე შემუშავებულ მზამზარეულ პოეტურ ფორმულებს (მაგ. ნათლის ტროპიკა და ა. შ.).

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჰიმნოგრაფიული პოეზიის ზემოქმედებამ ახალი ძალით იფეთქა ე. წ. აღორძინების ეპოქაში (XVII—XVIII სს.). უფრო მეტიც, თუ სასულიერო პოეზიის გავლენა კლასიკური ხანის მწერლობაზე უფრო მხატვრული ფორმის ასპექტში გამოვლინდა, აღორძინების ეპოქის მწერლობაში იგი იდეურ-თემატიკურ სფეროებს შეეხო. ღრმად რელიგიური განწყობილებები მძლავრი იდეოლოგიური ნაკადის სახით იჩენს თავს ქართველ მწერალთა შემოქმედებაში (ე. წ. „სოფლის მღურვის“ მოტივები და ა. შ.), როგორც ზემოთ ითქვა, როცა საუბარი იყო გურამიშვილის ეპოქაზე, გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ კრიზისთან ერთად ასეთ განწყობილებათა გაბატონებას ეროვნული კატასტროფის მუდმივ მიჯნაზე ყოფნაც აძლევდა ბიძგს.

მართლაც, სხვა სასულიერო პრობლემატიკასთან ერთად, როგორც ეს უკვე შენიშნულია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, სწორედ ამ ხანებში საფუძვლიანად აღორძინდა ე. წ. მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის პოეზია, რომლის ყველაზე უფრო ტიპიური წარმომადგენლები არიან ვახტანგ მეექვსე და დავით გურამიშვილი.

ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით ვახტანგ მეექვსის პოეზიის ამგვარ ხასიათზე, მხოლოდ გავიხსენებთ იმ ცნობილ გარემობას, რომ ვახტანგმა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური კონცეფციაც სიყვარულის მისტიკურ-ალეგორიულ თეორიას დაუკავშირა (დაწვრ. იხ. სარგის ცაიშვილი, „ვახტანგ მეექვსე რუსთველური მიჯნურობის შესახებ“, წიგნში ლიტერატურული წერილები“, 1966, გვ. 59—73). ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ შოთა რუსთაველის პოემაზე ასეთივე შეხედულებას იზიარებდა დავით გურამიშვილიც, როცა თავისი დიდი წინამორბედის შემოქმედებას სასულიერო და საერთო სიბრძნის სალაროდ თვლიდა. („ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოიჩხეოდა“ — გვ. 22, სტრ. 4).

სამწუხაროდ, ზოგი ეს დებულება (ვგულისხმობთ გურამიშვილის მიმართებას ქრისტიანულ იდეოლოგიასთან) უგულვებელყოფილი იყო ერთდროს; დავით გურამიშვილის შემოქმედების შეფასებისას, მეტი რომ არ ვთქვათ, ნაკლები ყურადღება ექცეოდა პოეტის ღრმა კავშირებს ქრისტიანულ კულტურასთან, კერძოდ კი ქართულ სასულიერო მწერ-

ლობასთან, რის გარეშე კი, მართლაც გამოირიცხულია გურამიშვილის პოეზიის სიღრმისეულ პლასტებში გარკვევა (უფრო მეტიც, პოეტის ზოგი აშკარად მისტიკურ ხილებზე დაფუძნებული ლექსი პატრიოტული ლირიკის ნიმუშებად იყო მიჩნეული; სამწუხაროდ, ასეთმა მცდარმა თვალსაზრისმა გურამიშვილის სხვა ენებზე თარგმანების საქმეშიც იჩინა თავი, რაც მომავალში აუცილებლად უნდა გასწორდეს).

დავით გურამიშვილი საგულდაგულოდ ამუშავებდა ბიბლიურ მოტივებს (ზოგჯერ ლექსით სახეს აძლევდა ამა თუ იმ ბიბლიურ ეპიზოდს. იხ. სარგის ცაიშვილი, „შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი“, 1974, გვ. 221—222). როგორც ჩანს, დავითი იცნობდა ქართულ ენაზე არსებულ მდიდარ თეოლოგიურ ლიტერატურას, მაგრამ მაინც ყველაზე დიდ სიახლოვეს, როგორც ითქვა, მისი ლექსების ერთი ნაწილი კლასიკურ ჰიმნოგრაფიასთან ამკლავნებს.

გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ლექსთაგან ზოგი ჩართულია „ქართლის ჭირის“ სხვადასხვა მონაკვეთებს შორის, რომელთაც პოეტი ხან მოთქვამს, ხან კი გოდებას უწოდებს. ასეთი წიაღსვლებით პოეტი გარკვეულ აქცენტებს ანიჭებს პოემაში გადმოცემულ ისტორიულ მოვლენებს: ქართლისა თუ კახეთის აქ აღწერილი ძნელბედობა არ არის შემთხვევითი, სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად ამის მიზეზია სულიერი თუ ზნეობრივი დაცემა. ავტორის აზრით, ადამიანმა დაივიწყა თავისი უწმინდესი მოვალეობა ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

ამიტომ ჩერდება პოეტი ასე დაწვრილებით ქრისტეს ჯვარცმის მისტერიაზე. გოლგოთის მისტერიის მარადიული თემით ავტორის განზრახვაა, რომ ადამიანებს კიდევ ერთხელ შეახსენოს ზნეობრივი დაცემის სავალალო შედეგი, როცა მათ „ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიეს“. ხოლო სხვა ჰიმნებში სასოებით მიმართავს ხან სამების რომელიმე წევრს, ხან კი ღვთისმშობელს.

როგორც თვით „ქართლის ჭირში“, რომელშიც ამავე ეპოქის საქართველოს ისტორიულ ქრონიკებთან ერთად გადმოცემულია პოეტისავე ბიოგრაფიის სხვადასხვა ეპიზოდები, ისევე მთელ „დავითიანში“ აქა-იქ მოთავსებულია ისეთი ხასიათის სასულიერო ჰიმნებიც, რომლებიც თვით ავტორის პირად განცდებს გამოხატავს (დაწვრ. იხ. ქვემოთ).

პოეტის მაღალ სასულიერო განათლებას ამხელს ისიც, რომ მას ღრმად აქვს ნაგრძნობი ძველი და ახალი აღთქმის შინაგანი კავშირი, როგორც ეს პირველთაგან გაშიფრული ჰქონდათ ჯერ კიდევ ეკლესიის წმინდა მამებს (გავიხსენოთ ნეტარი ავგუსტინე: „რა არს ძველი აღთქმა, თუ არა ახლის — დაფარვა, ხოლო რაა არს ახალი — თუ არა გამოცხადება ძველის“). გურამიშვილიც ხშირად გადმოგვცემს ასეთ გარდასახვას ბიბლიიდანვე აღებული სიმბოლოებით ანუ ვით გარდამოვიდა ძველი დღე (მამა ღმერთი) ახალ დღეში (ახალი დღე ძე ღვთისაა, ქრისტეა), ხოლო სხვა ჰიმნებში დავით წინასწარმეტყველისა და ქრისტეს მიმართება წარმოსახულია ერთი ცხოვრების ხისაგან აღმოცე-

ნებულ შტოთა (მორჩთა) სიმბოლიკით, რითაც ასევე ძველი და ახალი აღთქმის ძირითად იდეათა უწყვეტობაა გადმოცემული.

პირველყოფილი ცოდვის, ადამიანური მიუსაფრობის და „ორგემაგე“ (ცვალებადი) სოფლისადმი მღურვის ქრისტიანული მოტივები მძლავრი ნაკადის სახითაა შეჭრილი გურამიშვილის პოეზიაში. ფანტასტიკურია პოეტის მისტიკური ხილვები, ამასთან, ყველა მათგანი ღრმად ორიგინალური მხატვრული აზროვნების ნაყოფია. პოეტი თითქმის ყველა შემთხვევაში ახერხებს ჰიმნოგრაფიული ჰოეზიისათვის საუკუნეთა მანძილზე ტრადიციულად ქცეული სახეებისაგან თავის დაღწევას, ან ამავე სახეებს განსხვავებული მიზანდასახულობით იყენებს. იგი, როგორც ამას ქვევითაც ვნახავთ, საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე აგებს სასულიერო შინაარსის პოეტურ სათქმელს, რაც ამკარად უნიკალური მოვლენაა აღნიშნული ტიპის პოეზიის ისტორიაში.

მართლაც, გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ლექსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კლასიკური ქართული ჰიმნოგრაფიის სრულიად ახალი სახესხვაობაა. პირველ რიგში, ამას განსაკუთრებით გვაგრძობინებს ენობრივი ფაქტურა, რომელშიც ასე მძლავრადაა შეჭრილი უბრალო ხალხური ყოფის გამომხატველი ელემენტები და ფოლკლორული ნაკადი. მაგრამ შინაარსობრივად მისი ლექსები, როგორც ითქვა, მეტად უახლოვდებიან ძველ ჰიმნოგრაფიას. გურამიშვილის ამ ლექსების პერსონაჟი ცისკენ სასოებით მზირალი ადამიანია, რომელსაც უპირველეს სიკეთედ ღვთაებასთან მიახლოება მიუჩნევია. ჩვენ ზევით შეგნებულად არ ჩამოვთვალეთ ის ეპითეტები, რომლებიც გამოიყენა ძველმა ჰიმნოგრაფიამ ღვთაების სრულყოფილი გამოსახვისათვის. რადგან გურამიშვილთან კიდევ ერთხელ მოგვიხდებოდა მათი გაშეორება. ვინ არის გურამიშვილის ერთ-ერთ სახელგანთქმულ ჰიმნში (კა, ოდეს დატყობებულმან ურჯულს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ველარა ნახა, იმისი მოთქმა დავითისაგან) მოხსენიებული: „ჩემო საესავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო“? ახალი აღთქმისა და ჰიმნოგრაფიის უბრალო გაცნობა ამ გამოთქმის მრავალ პარალელს აღმოგვიჩენდა: ტკბილი ცხოვრების წყარო ქრისტე-ღმერთია, რომელიც მარადი და ტკბილი ცხოვრების განსახიერებაა. იმავე ლექსში მრავალფეროვან სიმბოლო-მეტაფორებს მიმართავს პოეტი ქრისტეს შესაფერი გამოსახვისათვის: ქრისტე — უმანკო მტრედი, გვრიტი, რომელმაც ვერაგობას უსაზღვრო სათნობა დაუპირისპირა, ქრისტე — უცნაური მზე, ე. ი. რომლის შეცნობა ადამიანის გონებას არ ძალუძს და იგი მზე, თვით პოეტისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, უპირისპირდება მატერიალურს — „საცნაურ მზეს“ თინათინს, რომელიც ამავე დროს „უცნაური მზის“ გამოსხივებაა. ქრისტე — „ნათელია“, „მზეა“ (უცნაური მზე), მარადი ღღე, და გამოუთქმელი ნათელია. ქრისტეს მრავალი სხვა სახელიც მოეპოვება: იგი „მეხია“, „ქუხილის ისარი“ და ა. შ. ქრისტიანული სიმბოლიკა აძლევს პოეტს მასალას, რომ ასეთი მშვენიერი სიმბოლო-მეტაფორით განგვაცდევინოს ქრისტეს ძლიერ-

ბის და ღვთაებრივი ბუნების სიდიადე: „გამოუთქმელად ნათქვამო, მთით ლოდო გამოკვეთილო“ (სტრ. 417. შდრ. „ვიდრე არა გამოკვეთა ლოდი მთისაგან“, დანიელის წინასწარმ. II, 34, სადაც ქრისტეს მოვლინებაა განჩინებული). გურამიშვილის ჰიმნი დატვირთულია ქრისტიანული კატაფატიკით (ღმერთი დადებითს ცნებებში: ნათელი, ყოვლად ძლიერი და ა. შ.) და აპოფატიკით (უარყოფითი ცნებებით გამოხატვა: უცნაური, გამოუთქმელი და ა. შ.).

უფრო მეტიც, გურამიშვილი თავის მხრივ ამდიდრებს და ახალი ცნებები შეაქვს აღნიშნულ სიმბოლურ სახეთა სალაროში. მაგალითად, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის საფუძველზე ცხადი შეიქმნა, რომ „დავითიანში“ ხშირად გამოყენებული მ ზ ე თ ა მ ზ ი ს სახე, როგორც მამა ღმერთის, უფალთა-უფლის საბოთის გამოხატველი, გურამიშვილმა პირველმა შემოიტანა სასულიერო ხასიათის ჰიმნებში. ჩვენი აზრით, იგი უეჭველად ხალხური პოეზიის საუნჯიდან უნდა იყოს ამოზიდული. აკი თვითონ გურამიშვილიც აცხადებს, რომ ამ სახეს გარეგნული მსგავსება აქვს ხალხურ მეტყველებაში, ფოლკლორში გავრცელებულ სახეგამოთქმასთან „ქალთა მზე“.

მზეთა-მზეს, სხვათა შორის, რუსთაველიც ახსენებს რამდენიმე ადგილას, მაგრამ მასში არსად არ არის ჩადებული აღნიშნული მისტიკური შინაარსი („თაყვანისცა ლომთა-ლომმან მზეთა-მზესა“ — სტრ. 685. მზეთა-მზე აქ თინათინია) და ა. შ. ასევე მეტაფორულად, ყოველგვარი მისტიკური შინაარსის გარეშე, გვხვდება ეს სახე „ისტორია და აზმანში“ (თამარს მიემართება), თეიმურაზ I-ის „ლეილ-მაჯნუნიანში“ და სხვ.

მზეთა-მზე გურამიშვილის უსაყვარლესი მისტიკური სახეა და პოეტი არაერთგზის მიმართავს მის ვარირებას. მზისადმი აღვლენილ წარმართული ჰიმნებივით ქლერს გურამიშვილის სიტყვები:

სჯობს ვეტრფილო მ ზ ე თ ა მ ზ ე ს,  
მ ზ ი ს ა თ ე ი ნ თ ა ვ ე ვ ა ხ ე ლო,  
ნათლისა ვაგზზე მიჯნური,  
რადგან თვალებსა ვახელო.  
მის უკეთესი მოყვარე,  
სად ვპოვო, სადა ვახელო?  
მზე მიწყენს, თუ მზის სანაცვლოდ  
თ ი ნ ა თ ი ნ ს ხ ე ლ ი ვ ა ხ ე ლო (სტრ. 340).  
განთიადისა ვარსკვლავო,  
მის მ ზ ე თ ა მ ზ ი ს ა მ თ ი ე ბო,  
ვიკარგვი ბნელის ლამითა,  
ღლევი, რად არ მომიძიებო! (სტრ. 346).

მზეთა-მზე აქ უფალთა-უფალი, მამა ღმერთია, რომლის ტრფილაება აქვს ჰიმნოგრაფს გულში დასახული: სჯობს მას ვეტრფოდე და მზისთვის, ე. ი. ქრისტე-ღმერთისათვის ხელად ვიქცე, ვიყო გაგიყებული; სანამდი სული მიდგას (თვალებს ვიდრე ვახელო), ნათლის ქრისტეს) მიჯნური მინდა შევიქმნე; მასზე უკეთესი მოყვარე, სად უნდა

ვპოვო, სად მოვნახო (ვახელო), (თანაც) იგი მზე (ქრისტე) მიწყენს მის სანაცვლოდ თინათინს (სხივს ანუ ამქვეყნიურ მზეს) მიეუახლოვდე, შევეხო (ხელი ვახლო)... განთიადის ვარსკვლავო, ცისკარო, მზე-თა-მზის მნათობო, ამქვეყნიურ წყვილიადში (ბნელ ღამეში) ვიკარგები და მიხსენი (მომძებნე), შენ, რომელიც მარადიული ღღე (უფალი) ხარ.

ერთმანეთზე მშვენიერ სახე-სიმბოლოებს, მეტაფორებს იპოვის კაცი გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ჰიმნებში, მაგრამ მათი მხატვრული ღირსებანი ჩვენ სხვა თვალთ უნდა განვსაჯოთ.

გურამიშვილის სპირიტუალური ხილვები და ზეცისაკენ მიმართული ღაღადისი არაა მხოლოდ მისტიკური ქვეყნის ეგზალტირებული ქვრეტის შედეგი. ან ცდა მასთან (ღვთაებასთან) მიახლოებით (მისკენ სწრაფვით) თავის გაქრობისა. გურამიშვილის ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინება და მისი შემოქმედების მთლიანობაში განქვრეტა. ჩემი აზრით, უფლებას გვანიჭებს ასეთი დასკვნისათვის.

მიუხედავად ღრმად სასულიერო შინაარსისა, გურამიშვილის ჰიმნებიც გამონაკლისი არ ჩანს მთელი მისი შემოქმედების ფონზე. მათში თვალნათლივ გამოსჭვივის პირადი უბედურებითა და საკუთარი ქვეყნის უკულმართი ხვედრით შეძრწუნებული კაცის ჩივილი, რომელსაც სამყაროს შემოქმედისაკენ აქვს მიმართული მსასოებელი მზერა.

თითქოს მხოლოდ რელიგიური გრძნობებია გამოთქმული ლექსში, რომელსაც მე აქ მოვიტან. პოეტური სახეების ერთი რიგი აშკარად სასულიერო მწერლობიდან არის ნასესხები (მეტწილად კი „ახალი აღთქმიდან“), მაგრამ მისი ქვეტექსტი აშკარად გამოსჭვივის სტრიქონთა შორის. სამოთხიდან გამოძევებული, ცოდვისმოქმედი ადამიანის ზოგად ბიბლიურ მოტივს აქ ბუნებრივად ერწყმის კონკრეტული პიროვნების, ამ შემთხვევაში ავტორისეული, ღრმა სულიერი ტკივილები. მკვეთრად მოისმის „სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძე-ბული...“ ადამიანის გოდება.

გურამიშვილის მედიტაციურ ლექსს, რომელიც პირველ რიგში საკუთარი სულიერი გამოცდილებიდან იღებს სათავეს, სწორედ ეს თვისება ანიჭებს არაჩვეულებრივ ემოციურ ჟღერადობას:

ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი,  
მგელთ წარსატყაღ ფარებთა გარე,  
ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახლომილი,  
ასეთი საქმე მე მოგიგვარე!

გავხდი გლახაკი და დავრღომილი,  
თუმცა საწუთროს მოვიანგარე,  
ვარ ცარიალზე მე დაჯდომილი,  
საუნჯისაგან კარს გარეთ მღვარე.

როგორ თანამედროვედ ჟღერს ეს ლექსი, თუმცა, როგორც ითქვა, მისი თემაც და სახეთა სისტემაც აშკარად აახლოებს მას სასულიერო პოეზიასთან.

ასევე შემზარავადაა წარმოსახული გურამიშვილის კიდევ ერთ შე-



დევრში წუთისოფლის სიმუხთლე და ამაოება. ლექსი საგულისხმოა იმიტომაც, რომ აქ აშკარად ქრისტიანულ წარმოდგენებს ერწყმის ხალხური, ეთნოფოლკლორული სალაროდან ამოღებული სახეები, რაც საერთოდ დამახასიათებელია გურამიშვილისათვის (მაგ., სიკვდილის პერსონიფიცირება მკლე კაცის სახით და ა. შ.):

მიდის-მიდის ეს სოფელი,  
ქარტახილა ზღვისებრ ღელავს,  
უკან დასდევს დრო და ეპი,  
მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს;  
ის მკლე კაცი ცელს რას აქნევს,  
რასა სთიავს. რასა სცელავს?!  
ამად ესწუაბო საწუთროსა,  
სულ ბნელია, რასაც ელავს.

აქაც ზემოთმოტანილი ჰიმნის მსგავსად წარმოსახულია სიკვდილის ზოგადადამიანური თემა, რომელსაც სიმძაფრეს მატებს კონკრეტული განცდის, ამ შემთხვევაში პიროვნული პროტესტის აშკარა კვალი („ამად ესწუნობ საწუთროსა“...).

უფრო მეტიც, გურამიშვილის ზოგ ჰიმნში იქვეის ძირმწარე შხამი ეონავს, საცა იგი ორთოდოქსალური სასულიერო ჰიმნოგრაფიის ფარგლებს აშკარად სცილდება. იგი ჩაძიებით იკვლევს საწუთროს ორქოფულ თვისებებს, რომელსაც საბოლოოდ „მიზეზთა—მიზეზისაკენ“ მიეყავართ. ამ თვალსაზრისით თავისი მძიმე განწყობილებათა ტონით დამახასიათებელია „გოდება დავითისა. საწუთროს სოფლის გამო ტირილი“. პოეტი სახეთა კონტრასტებზე აგებს თავის სათქმელს მხატვრულად უძლიერეს სტრიქონებში, რომლებშიც დაფარული, მაგრამ თავისი არსებით მემამბოხე სული ბობოქრობს:

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!  
თუ ხარ სიმძღრე, რა არს შიმშილი?!  
თუ ხარ სიციოხლე, რა არს სიკვდილი?!  
იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი!

მაგრამ იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ ზემონათქვამში, აქ საჭიროა აღინიშნოს ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება, რომელიც მკვეთრად განასხვავებს გურამიშვილის ჰიმნებს საერთოდ სასულიერო და, კერძოდ ძველი ქართული სასულიერო პოეზიისაგან. აქ მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო გურამიშვილის პოეტიკის ერთ თავისებურებაზე. რომელსაც ზოგჯერ განსხვავებულად ხსნიან.

გურამიშვილს, როგორც ჰუმანიტ პოეტს, განსაკუთრებით ამშვენებს სინამდვილის ცოცხალი, კონკრეტული წარმოსახვის მძლავრი ტალანტი, რომლის ნაყოფია, სხვას რომ თავი დაეანებოთ, „ქართლის ჰირის“ საოცრად რეალისტური ხედვით ნაწერი ეპიზოდები.

ეს მისი პოეტური ბუნებაა და მხატვრისათვის ამ, მართლაც იშვიათ თვისებას იგი არაჩვეულებრივი წარმატებით იყენებს სასულიერო ჰიმნებშიც და ძალზე თავისებურ იერს ანიჭებს მათ.

იგი ამ თვალსაზრისით ჰიმნოგრაფიის, თუ შეიძლება ასე ითქვას, 11. ს. ცაიშვილი

მოდერნიზაციის გზაზე დგას და სასულიერო ლექსის სრულიად ახალ სახეობას ქმნის არა მარტო ფორმით (გურამიშვილმა ხალხური ინტონაციები შეიტანა თავის ჰიმნებში), არამედ არსებითი ნიშნებითაც. ნაცვლად პოეტური აბსტრაქციებისა, რაც სასულიერო ჰიმნთა ძირითადი თავისებურებაა, გურამიშვილი ცოცხალი, სინამდვილიდან აღებული კონკრეტული შთაბეჭდილებებით ამდიდრებს თავის ჰიმნებს.

როგორ არის აგებული გურამიშვილის ჰიმნთა უმრავლესობა? თითქმის ყოველ მათგანს საფუძვლად უდევს კონკრეტული ფაქტი, პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება თუ ესა თუ ის მნიშვნელოვანი შემთხვევა მისივე პერიპეტიებით აღსავსე ბიოგრაფიიდან, მაგრამ ლექსში გადმოცემული პოეტური სურათი სრულდება განზოგადებით. წარმავალში დანახულია მარადიული, რაც, როგორც წესი, მისტიკურ-ალეგორიული ხერხითაა გადმოცემული.

საკმარისია აქ გავიხსენოთ დავით გურამიშვილის ცნობილი ლექსი, რომლის სათაურშივე ავტორი აღნიშნავს: „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა. იმის მონასიბად ღვთისმშობლის შესხმა“. თითქოს ყველაფერი ნათელია. ავტორი გვიყვება მეორედ დატყვევების ამბავს პრუსიელებთან ომში. რომელიც, სხვათა შორის, მან ასევე გადმოგვცა რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულისადმი წარდგენილ სათხოვრის წერილში („ჩელობიტნიე“), როცა იგი ჯარიდან განთავისუფლებას ითხოვდა: „იმ ბატალიის დასასრულს, — წერს დავით გურამიშვილი, — კისტრინის მახლობლად მტერს მივდეგდი და მოულოდნელად ცხენითურთ ჭაობში ჩავეფალ“. ამ დროს მოწინააღმდეგემ დამატყვევაო.

აი, პოეტის ცხოვრებაში ასეთ მნიშვნელოვან ფაქტზეა აგებული ეს ლექსი, რომელიც ამასთან ღვთისმშობლისადმი აღვლენილ შესხმას წარმოადგენს. ლია ანუ ჭაობი გააზრებულია როგორც ამქვეყნიური ცოდვილი არსებობა, საიდანაც დახსნას ითხოვს პოეტი. „ცხოვრების წყლის ღარი“ ანუ მარიამ ღვთისმშობელი ეგულება მას შემწედ ღვთაებისაყენ მარადიულ სწრაფვაში. მატერიალურიდან სულიერამდე ამაღლების, სუბლიმირების ასეთი გზა დამახასიათებელია გურამიშვილის ჰიმნების დიდი უმრავლესობისათვის.

ტიპიურია ამ თვალსაზრისით აგრეთვე დავით გურამიშვილის ერთ-ერთი ლირიკული შედევრი „ზუბოვკა“. შეუძლებელია ეპვი შევიტანოთ, რომ აქ ლექსის მამოძრავებელია ცოცხალი შთაბეჭდილება. რეალური ქალის ტრფიალით გამოწვეული განცდა:

ზუბოვიდან მომავალმან ენახე ერთი ქალი,  
მეტად ტურფა, მშვენიერი, მასზე დამრჩა თვალი.  
შაე თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,  
მისმა ეშხმან და-ცა-მლენა. შემიმუსრა ძვალი.

კონკრეტული და პოეტურად სრულყოფილი სურათია. ქალის სილამაზით გამოწვეული მძლავრი განცდა გადმოცემულია დიდი დინამიზმით, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი მოხდენილი ეპითეტები გას-

რულებულია მშვენიერი მეტაფორული სახეებით: „მისმან ეშმან და-ცა-მლეწა, შემიმუსრა ძვალი“ (პოეტურ ეფექტს აძლიერებს. არქაულად გაწყობილი ტემისი: „და-ცა-მლეწა“. შდრ. რუსთველთან: „სინარულმან ამანჭარა, ამათრთოლა, და-ცა-მლეწა“). ლექსის მანძილზე გურამიშვილი თანდათან დრამატული ელემენტებით აძლიერებს შეხვედრის ეპიზოდს და, უცებ, ერთი შეხედვით, მართლაც, მოულოდნელი გრადაცია... რეალური ქალი ღვთიურ ხალად (ამ შემთხვევაში ქრისტედ) წარმოგვიდგება, მიწიერი სიყვარული მისტიკურ-ალეგორიულ ტრფიალებში გადადის, ცეცხლოვანი ვნების ნაცვლად ისმის მსასობელი ღალადი:

აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?  
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არაინ მყვანდა  
ქვესკნეთსა ვარ, ვერა ვხედავ, მღვდლები ცადა.  
გააჩები, ნუ გამწიოავ, წაპიყვანე ასდა.

„ლამაზი ქალი“ აქ საწუთროს, ამქვეყნიურ ცთუნებათა პერსონიფიცირებული სახეა, ხოლო ლექსის შინაარსი ცთუნებათაგან თავის დაღწევისა და მკაცრი გამოცდის გზით ღვთაებისაკენ სწრაფვას გამოხატავს (შდრ. აგრეთვე ლექსი „სიმღერა“, „საყვარელმან სიტყვა ავი...“ და სხვ.).

ჰიმნების დიდი უმრავლესობა ასეთი პოეტური ხერხითაა დამუშავებული (ტექსტი და ქვეტექსტი, რეალური და მისტიკური პლანის მონაცვლეობა), ხოლო ყოველივე ეს მისი შემოქმედების ერთი ისეთი სპეციფიკური ნიშანია, რომელიც დავით გურამიშვილს გამორჩეულად გიოს ანიჭებს შუა საუკუნეთა ქრისტიანული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის.

გურამიშვილის შემოქმედებითი მიმართება ქრისტიანულ კულტურასთან, რასაკვირველია, სხვა ასპექტებსაც მოიცავს და მომავალში ამ მიმართულებით ჩაღრმავებული კვლევა ახალ-ახალი პლასტების აღმოჩენას გვპირდება.

მაგრამ ამ ეტაპზე, ვფიქრობ, ერთი რამ ცხადად გამოიკვეთა, ისევე, როგორც ყოველ დიდ შემოქმედს შეჰფერის, გურამიშვილისთვის ეს მიმართება არ იყო ცალმხრივი. ტიპიური ჰიმნოგრაფების კვლობაზე პოეტს მიზნად არ დაუსახავს წმინდა ქრისტიანული თემების თუნდაც ასლებური გადამუშავება.

გურამიშვილმა ქრისტიანული პოეზიის ეს დიდი სულიერი გამოცდილება შემოქმედებითად აითვისა და საკუთარ მიზნებს დაუმორჩილა. მან, როგორც ითქვა, სასულიერო ჰიმნებშიც ცოცხალი ამქვეყნიური ნაკადი შეიტანა, ჰიმნოგრაფიული ლექსის სრულიად განსხვავებულ სახეობას მისცა დასაბამი.

ნაცვლად ქრისტიანულ-მისტიკური ჰერეტიკისა და მარადიული სასუფევლის ოდენ უშფოთველი მოლოდინისა, იგი მართლაც, ცხოვრებისეული ცეცხლით იწვოდა. გურამიშვილმა ეს დიდი გულისტივილით გაგვიმქლავნა კიდევ საკუთარი შვილივით საყვარელ სიმღერებ-

ში, რომლებსაც მომავალში ქართველი კაცის ჭირისა და ლხინის მეგობრებად იგულებდა:

ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა,  
ვამე, ვინ მომიფონებსა?  
თუ არ შევეკრებ და არ უძღვნი  
ყრმათ ია-ვარდის კონებსა.

#### 4. დავით გურამიშვილის შემოქმედების ფოლკლორული წყაროები

ერთი აშკარა მაჩვენებელი იმისა, რომ დავით გურამიშვილი არ არის ტიპიური შუა საუკუნეების პოეტი (მიუხედავად რელიგიური აზროვნების დიდი ნაკადისა), არის არა მხოლოდ მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურამიშვილის პოეზიის დიდი სიახლოვე ხალხურ პოეზიასთან და საერთოდ ხალხურ მეტყველებასთან. მანვე უშურველად გაულო კარი თავის პოეზიაში ხალხურ თემატიკასა თუ ხალხური ყოფის ამსახველ ძალზე ნიშანდობლივ ეპიზოდებს. მაგრამ აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ გურამიშვილი ამ შემთხვევაში განცალკევებით არ დგას ქართული აღორძინების ხანის მწერლობაში (XVII—XVIII სს.). ამ ხანის ქართველმა განმანათლებლებმა ასეთი მიმართება პრინციპულ დონემდე აიყვანეს (ამ შემთხვევაში სამაგალითოდ მართო სულხან-საბას ლექსიკონი იკმარებდა, სადაც მწიგნობრულის გვერდით დიდი ხვედრითი წონა ჰპოვა ცოცხალი, სასაუბრო მეტყველების სალაროდან აღებული ლექსიკამ).

მართლაც, დავით გურამიშვილის შემოქმედება მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორისა და მწერლობის პირმშოა და ამასთან, რასაკვირველია, სრულიად ახალ თავისებურ საფეხურს წარმოადგენს.

გურამიშვილის პოეზიაში ძლიერ ნაკადადაა შეჭრილი ქართული ხალხური ლექსი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გურამიშვილის პოეტური სიტყვის ძირითად სტილურ ნიშანს სწორედ ეს ნაკადი ქმნის. გავიხსენოთ თუნდაც ის ლექსები, რომელთა შესახებ თვითონ პოეტი გვაცნობს მინაწერებში, რომლებიც ერთვიან ლექსთა სათაურებს:

1. „ხარებობის დღის შესხმა: „ახა წმინდა კოპალეს“ სანაცვლოდ სამღერალი“.

2. „სიტყვა ესე ღვთისა სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი და სწავლა საყვარლისა. ღვთისა და კაცისა ძისა, ყრმათათვის სამღერლად — „ეეო, მეო, ქალო, ქალთა მზეო“-ს სანაცვლოდ სათქმელი“.

3. „სიმღერა ფერხისული“, „აგერ მიღმარ ახოს“ სანაცვლოდ სათქმელი“.

4. „სიმღერა ქალ-კახეთის ჯვარობას სანაცვლოდ სათქმელი“.

5. „ღინარი“, „პატარა ქალო თინაო“-ს სანაცვლოდ სამღერალი“.

6. „სიმღერა დავით გურამიშვილისა, ტყვეობიდან გამოსვლის

დროს, დავითის შესხმა“, „ჩემო ყურშაო“-ს სანაცვლოდ სათქმელი“.

თითქოს ნათელია ყველაფერი, მაგრამ აქ საქირია დამატებით აღინიშნოს შემდეგი: რა მიზანს ისახავდა პოეტი, როცა ლექსებთან თვითონვე მიუთითებდა პროტოტიპებად შერჩეული ხალხური სიმღერების სათაურებს, ხოლო ზოგჯერ დასაწყის სტრიქონს?

ამ შემთხვევაში ოდნავ უკან უნდა დავიხიოთ და გავიხსენოთ სასულიერო პოეზიის ერთი უნივერსალური წესი.

სასულიერო ჰიმნი, რომელთა ზოგიერთ მხატვრულ თავისებურებებზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, პირველ რიგში, სიმღერა-გალობლისათვის იყო განკუთვნილი და მას შესაფერისი ტექსტიც ჰქონდა შეწყობილი. აქ მთავარი წესი ის იყო, რომ უკვე პირველი სტროფისათვის (საეკლესიო ტერმინოლოგიით „ტროპარისათვის“) იყო შერჩეული რიტმულ-მელოდიური მოდელი, რომელიც მეორდებოდა მომდევნო სტროფებშიც. სხვანაირად, ახალი კილო ანუ მელოდია აღინიშნებოდა პირველი სტროფით, ე. ი. მიუთითებდა საგალობლის კილოსა ანუ მელოდიაზე, რაც სავალდებულო იყო მთელი საგალობლის მანძილზე. ასეთ მანიშნებელ პირველ ტროპარს ძველ-ქართულად „ძლისპირი“, ხოლო ბერძნულად „ირმოსი“ ეწოდებოდა. ე. ი. საგალობელი ვამართული იყო იმ ძლისპირის ნიმუშზე, წესზე, რომელიც ამავე საგალობლის თავში აღინიშნებოდა (აქვე შევნიშნავთ, რომ კილო ძველი ქართულით აღინიშნებოდა ტერმინით „ავაჯი“, ხოლო თუ იგი ორიგინალური იყო მაშინ მას „თვითავაჯი“ ეწოდებოდა).

მაგრამ იყო შემთხვევები და ძალზე ხშირად, როცა ჰიმნოგრაფები თხზავდნენ ახალი შინაარსის სასულიერო ტექსტებს და მათ შეუწყობდნენ, მიუსადაგებდნენ მანამდე უკვე ცნობილ მელოდიას. ამისათვის ისინი იყენებდნენ სწორედ უკვე ცნობილი ჰიმნის პირველი სტროფის (ტროპარის), ანუ „ძლისპირის“ დასაწყის სიტყვებს, რითაც ნათელი იყო, თუ როგორი კილოთი და საზომით (მარცვალთა რაოდენობა სტრიქონებში) უნდა შეესრულებინათ ეს ახალი ჰიმნიც.

როგორც ჩანს, დაახლოებით ამავე მეთოდს მიმართა დავით გურამიშვილმაც. ყველამ იცოდა პოეტის თანამედროვეთა შორის, თუ რა კილოზე იმღერებოდა ზემოთ ჩამოთვლილი ხალხური სიმღერები. პოეტი მიუთითებდა, როგორც ითქვა. მათ სათაურებს ან დასაწყისის სიტყვებს, რითაც ნათელი იყო, თუ როგორი წესით უნდა ემღერათ მათ უკვე თვით გურამიშვილისეული ტექსტები, რომელთა შინაარსი. როგორც ვნახეთ, მეტწილად ჰიმნოგრაფიული თემების ფარგლებშია წარმოდგენილი (აქვე შევნიშნავთ, რომ როგორც ცნობილია. ალრე არსებულ „ხმებზე“ მითითებას როგორც ჩანს. ამავე მიზნებით მიმართავდნენ აგრეთვე მამუკა ბარათაშვილი და ამავე ეპოქის სხვა პოეტებიც).

მართლაც, უბრალო შედარებაც ცხადყოფს, რომ გურამიშვილი პოეტურად ამუშავებს ხალხურ ლექს-სიმღერებს, რიგ შემთხვევაში ძველ სასიმღერო მელოდიებს უწყობს ახალ სასულიერო შინაარსის ტექსტებს. ამ თვალსაზრისით სანიმუშოა ზემოთ მე-5 ნომრით დასახელებული ლექსი „დინარი“, „პატარა ქალო თინაო“-ს სანაცვლოდ სამღე-

რალი“, რომელიც პოეტური წყობითაც კი აშკარად ახლოს დგას ხალხურ პროტოტიპთან:

ხალხური:

მოხევის (ან პატარა) ქალო თინაო;  
რამ დაგაბერა შინაო;  
შენი ტოლები გათხოვდნენ,  
შენ რალას უცლი შინაო.

გურამიშვილი:

ვაქოთ, ვადილოთ ვინაო?  
ღმერთი მაალთა შინაო,  
ვინცა შეამკო ქვეყანა,  
ღამე ღღედ განაბრწყინაო!

მაგრამ უფრო ძნელი შეიქნა ზემოთ მოტანილ ხალხურ ლექსთა პროტოტიპების ძიება (შდრ. მ. ჩიქოვანი, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, 1955). ერთი შეხედვით დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ, კერძოდ, ზემოთ დასახელებული პირველი ოთხი ლექსი შესრულებულია თოთხმეტმარცვლოვანი საზომით, რაც შედარებით იშვიათი მოვლენაა ქართულ ხალხურ პოეზიაში. მაგრამ, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ყველა ეს ლექსი საწესჩვეულებო უნდა იყოს. ამასთან, ეს ლექსები სრულდებოდა, როგორც გუნდური, ფერხისული საცეკვაო სიმღერები. ცნობილია, რომ სწორედ ასეთი ხასიათის სიმღერები თხოულობდნენ თოთხმეტმარცვლიან საზომს. კარგად ეგუებოდნენ საცეკვაო რიტმს. საკმარისია დავასახელოთ გავრცელებული ფერხისული — საცეკვაო „ცანგალა და გოგონა“, რომელიც თავისი საზომითა და რიტმული წყობით ასე ახლოს დგას გურამიშვილის ლექსთან: „სიმღერა ფერხისული“ „აგერ მიღმარ ახოს“ სანაცვლოდ სამღერალი“. როგორც ვხედავთ, დავით გურამიშვილიც გვამცნობს აღნიშნული რიტმის საცეკვაო-ფერხისულ ხასიათს. მკვლევართა ყურადღებას იპყრობს მეორე გარემოებაც. თითქმის ყველა ამ ლექსის პროტოტიპი, რომელთა სათაურებზეც ასეთი მინაწერები გააკეთა პოეტმა, საწესჩვეულებო ხასიათს ატარებს. კ. კეკელიძე ამ მოვლენას ხსენის იმ ვარაუდებით. თითქოს აქაც ისეთივე ვითარებაა, როგორც ეს ახალფეხადგმული ქრისტიანობის დროს: „მან (გურამიშვილმა) მოინდომა პოპულარიზაცია გაეკეთებინა ამ იდეოლოგიისათვის, ხალხში გაეცრცელებინა რელიგიური შეგნება და ცოდნა. ამისთვის მან ობიექტურად მიმართა იმ მეორეს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ პირველი ქრისტიანები: საღისის მოსაზიდავად და ახალ რელიგიაში გადასვლის გასაადვილებლად ისინი ეპატრონებოდნენ იმ ადგილებს, სადაც ლოცულობდნენ წარმართები: ეკლესიებს აშენებდნენ იმ ადგილებზე. სადაც იყო წარმართთა სამლოცველოები, ანდა მათ სამლოცველო შენობებს გადააკეთებდნენ ხოლმე ქრისტიანულ ეკლესიად. წარმართთა დღეს აწესებდნენ თავიანთ ქრისტიანულ დღესასწაულებს (ქრისტეს შობა, წმინდა გიორგობა, წმინდანების სახელობითი დღესასწაულები). წარ-

მართები თავიანთი ღმერთებისა და რელიგიური დღესასწაულების შესამკობად თხზავდნენ ხოლმე ლექსად საგანგებო ჰიმნებს. მათი გავლენის შესანელებლად და მათი მიბაძვით ქრისტიანებიც თხზავდნენ ხოლმე თავიანთ ქრისტიანულ ჰიმნებს. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მხრით ცნობილმა ეფრემ ასურმა (V ს.), რომელიც იმავე კილოზე წერდა თავის პოეტურ ჰიმნებს, რომელსაც ხმარობდნენ წარმართები და მწვალებლები. ეს უკანასკნელი მეთოდი, — დასძენს კ. კეკელიძე, — გამოუყენებია დავით გურამიშვილსაც“.

სხვათა შორის, ამ მოსაზრებას ერთგვარად ადასტურებს პოეტიც, როცა ერთ თავის ლექსში აცხადებს: „არანანინას, თარანანინას ესე სჯობია, ღვთის სამკობია: „ალილუია“. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ასეთი განსაკუთრებული კავშირი ძველ საწესჩვეულებო პოეზიასთან თვით გურამიშვილის პოეზიის ბუნებაშიც უნდა დავინახოთ. გურამიშვილის ღრმად რელიგიური განწყობილებისათვის სწორედ ამ ტიპის ხალხური სასულიერო პოეზია იქნებოდა მახლობელი. გურამიშვილი, რომელიც თავისი განწყობილებითა და ზოგი მხატვრული ხერხით ასე ახლოს დგას სასულიერო ჰიმნოგრაფიასთან, იღებს მზამზარეულ ხალხურ ფორმებს ასეთივე ლექსებიდან და ქმნის სრულიად ახალი ტიპის რელიგიურ ჰიმნებს. სადა, ხალხური ფორმებით უფრო ადვილი იყო მკითხველის გულთან მისვლა და სწორედ ეს აზრია გამოხატული დავით გურამიშვილის სიტყვებში:

ქრთილის პურის ქერქშია  
შიგ თათუხი ჩაქდღო;  
ქერქი გაფრცვენ. განაგდე,  
შიგნით გულს კი სჯამდღო.

მძლავრი ლტოლვა დიდი პოეტისა ხალხური ფორმებისა და საერთოდ ხალხური პოეზიისადმი კარგად ჩანს სხვა მხრივაც. მსგავსად მამუკა ბარათაშვილისა და „აღორძინების ხანის“ ზოგი სხვა პოეტისა, გურამიშვილი უხვად დასესხებია რუსულ და უკრაინულ ფოლკლორს. სწორად შენიშნავენ, რომ გურამიშვილი თვითონ გვეხმარება საკუთარ ნაწარმოებთა რუსული და უკრაინული წყაროების მონახვაში. პოეტი ქართული ტრანსკრიპციით ხშირად ასახელებს იმ ხალხურ ხმას, სასიმღერო მოტივს, რომელიც გამოიყენა მაღალი ხელოვნებით შესრულებულ ნაწარმოებთა შექმნის დროს (იხ. მინაწერები ზოგი ლექსის სათაურის ქვემოთ).

ამასთან, როგორც ცნობილია, რუსულ და უკრაინულ ხალხურ პოეზიას გურამიშვილი სხვაგვარად იყენებდა. თუ ქართული ხალხური ლექსის ფორმა, რიტმი, საზომი (ზოგჯერ რითმაც) უცვლელად გადმოიღოდა გურამიშვილის ჰიმნებში, ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, იგი მარტო ხმას. მელოდიას უგდებდა ყურს, რაც ერთგვარი ბიძგის მიმცემი იყო და ქმნიდა როგორც ფორმით, ისე, მით უფრო შინაარსით განსხვავებულ ნაწარმოებებს (მეტწილად რელიგიური ხასიათის ჰიმნებს). მ. ჩიქოვანმა ცნობილი რუსი ფოლკლორისტის — ჩუღოკოვის ჩანაწე-

რებში (1770 წლის გამოცემა) შენიშნა ზოგი ლექსის პროტოტიპი, მაგ-  
რამ, როგორც აღინიშნა, მათი მხოლოდ შორეული გამოძახილი ისმის  
გურამიშვილის ლექსებში, ისიც დასაწყისი სტრიქონების სახით (იხ.  
დასახ. ნაშრ., გვ. 24—27).

ასეთი დასკვნების შემდეგ, რასაკვირველია, სრულიად ზედმეტი  
ჩანს იმის მტკიცება, რომ გურამიშვილი მწიგნობრული გზით ითვის-  
ებდა რუსულ-უკრაინულ ფოლკლორულ მასალებს.

ასეთი მოსაზრებაა გატარებული მიხეილ ჩიქოვანის ზემოთ დასა-  
ხელებულ წიგნში. იგი ამასთან ეკამათება ალექსანდრე ბარამიძეს და  
სხვებს, რომლებიც ზეპირსიტყვიერებას უკავშირებენ პოეტის აღნიშ-  
ნულ ლექსებს. აქ დამატებით შევნიშნავ, რომ სხვაგვარად წარმოუდ-  
გენელიცაა, ნუ დავივიწყებთ, რომ გურამიშვილი თავის ლექსთა პრო-  
ტოტიპებად ასახელებდა არა მარტო რუსულ-უკრაინულ სიმღერებს,  
არამედ პოლონურსა და სომხურ ლექსთა ხმებსაც, რაზეც უფრო და-  
წვრილებით ცნობებს მკითხველი იპოვის თვით პოეტის მიერ „დავითი-  
ანზე“ დართულ „ზანდუკში“. სხვათა შორის, ჩვენს ამ მოსაზრებას  
უჭერს მხარს მამუკა ბარათაშვილის შემოქმედებითი პრაქტიკაც. იგი  
ბევრად ადრე, ვიდრე გამოქვეყნდებოდა რუსულად ფოლკლორულ ჩა-  
ნაწერთა ანალოგიური კრებულები, ასევე ზეპირი გზით ითვისებდა და  
იყენებდა რუსულ-უკრაინულ ფოლკლორულ ნიმუშებს.

დიახ, სწორედ რუსულ-უკრაინულმა სიმღერებმა, გუნდურმა თუ  
კობზარების მიერ შესრულებულმა მელოდიებმა მიიპყრო პოეტის ყუ-  
რადღება და არა მწიგნობრულმა მშრალმა მასალამ, რომლებშიც ხალ-  
ხურ სასიმღერო ლექსებს დაკარგული აქვთ უმთავრესი ატრიბუტი —  
სიმღერა, მელოდია. უეჭველია, დავით გურამიშვილის ლექსზე სერი-  
ოზული კვალი დაამჩნია რუსულ-უკრაინულ ფოლკლორთან სიახლო-  
ვემ და ეს, რასაკვირველია, მარტო მელოდიის ან ზოგჯერ განწყობი-  
ლების გადმოტანით არ ამოიწურება. რუსულ-უკრაინული ლექსის გავ-  
ლენითაა შემოსული გურამიშვილთან ზოგი ისეთი ელემენტი, რომე-  
ლიც ტონური ლექსის კუთვნილებაა: მაგალითად, სწორედ გურა-  
მიშვილმა იხმარა ერთ-ერთმა პირველთაგანმა ვაჟური ანუ ერთმარ-  
ცვლიანი რითმები, რომელიც აშკარად სცილდება კლასიკური ქართუ-  
ლი ლექსის ჩარჩოებს. როგორც ცნობილია, ქართულ ლექსში დომი-  
ნანტობს სამმარცვლიანი და ორმარცვლიანი რითმები. თავის მონოგრა-  
ფიაში „ქართული კლასიკური ლექსი“ აკ. გაწერელია მართებულად  
შენიშნავს, რომ XVIII საუკუნის ქართულ პოეზიაში რუსულ-უკრა-  
ინული ხალხური სიმღერების ზეგავლენით გურამიშვილი მარჯვედ  
იყენებს ხოლმე ვაჟურ ანუ ერთმარცვლიან რითმებს. მაგალითად:

მე გასმევდი, მე გაჰმევდი,  
მე გაცმევდი ტანთ,  
შენ დახარბდი მცირის ძღვენით,  
სხვისგან მონატანთ.



ლექსში ამ ტიპის რითმების გაძლიერება, თანდათან უფრო ხელშესახები ხდება XIX საუკუნის (რომანტიკოსებთან) და XX საუკუნის ქართულ ლექსში.

ქართული ფოლკლორის ცხოველყოფელი ნაკადი იგრძნობა არა მარტო იმ მიმართულებით, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მიუხედავად სამკვიდროდან მოწყვეტისა გურამიშვილის ლექსთა კრებულის თითქმის ყოველ სტრიქონში ბრწყინავს ხალხური ლექსის ფრთიანი ფრაზა, სახე — აფორიზმი და სხვა მხატვრული საშუალებები. აქ მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. ერთ თავის დიდაქტიურ ლექსში „საქონლის შეკრებისათვის“ პოეტი გვიჩვენებს, რომ ძნელია ბედზე დანდობა, ბედი ბრმაა და უკუღმართად იხედებაო. ხალხური აფორისტიკის აშკარა გამოძახილია პოეტის სიტყვები:

ბედს საქოჩრიტგან თვალთ უჩანს,  
ქალის სახე აქვს ბრმისაო.

ნდომა, სიხარბე და თავშეუკავებლობა სიკეთის მტერია და ბნელი გზებით მიაქცევს აღამიანს, ხოლო ნდობამორეული კაცი ვერც სწავლადარიგებას შეიცნობს და პოეტი კვლავ სხარტი, ხალხურ თქმაზე დამყარებული სიტყვით მოგმართავთ: „ნდომა სხვის სწავლას მიიკრავს ეგრეთ, ვით ცერცვი კედელსა“. გურამიშვილის პოეტურ ენაში ფოლკლორთან ერთად ბუნებრივად შემოდის ხალხური ყოფის ელემენტებიც და სათანადო ადგილს იკავენს ამა თუ იმ პოეტურ სახე-თქმაში.

საგულისხმოა აგრეთვე ამ თვალსაზრისით რუსთაველისა და გურამიშვილის ერთი შეხვედრა. „ვეფხისტყაოსნიდან“ გავიხსენოთ ის ეპიზოდი, როცა ტარიელისაგან გაწბილებული სამი ყმა შეხვდა ავთანდილს და უამბობენ უცხო მოყმესთან შეტაკების ამბავს:

ბროლმან, ლალსა ვარეულმან,  
ვარდნი თხელნი ანატიფნა,  
იგი ტკბილნი გონებანი  
ჩვენთვის მეტად გაამყიფნა:

არ აგვიხსნა, არცა დავკსნა,  
ყოლა არად ამოგვიკრიფნა,  
მისნი მკვახედ მოუბარნი  
მათრახითა შეგვეაწიფნა!

მეოთხე სტრიქონში ჩვენ აშკარად ხალხურ თქმაზე დაყრდნობილი ფრაზა გვაქვს კონტრასტული პარალელიზმის ფორმით გაშლილი. როგორც მკვახე ხილს არბილებს და ამწიფებს დარტყმა, დაბეჭევა, ჩვენც ასევე შეგვარბილა უცხო მოყმის მათრახმაო. როგორც აღვნიშნეთ, ასეთივე ფრაზა, მსგავს ხალხურსავე თქმაზე დაყრდნობით, რამდენიმეჯერ გამოუყენებია გურამიშვილსაც. „ქართლის ჭირის“ ამ თავში, სადაც ვახტანგი მსჯელობს კახთა მეფე კონსტანტინესთან მორიგებაზე. არის ასეთი ადგილი (იე): ვახტანგი ამბობს, მოვიპატიოთ კონსტანტი-

ნე და ვნახოთ, თავს როგორ დაიჭერსო. პოეტმა ზემოთ ნახსენები ხა-  
სიათის ხალხური სახე-თქმა მოიშველია:

ხილთა ტკბილთა და მწარეთა  
შაეტუობის გემოს ნახვით.  
თუ ვერა ვსქამ ხილს სიმკვახით,  
დავარბილებ, დავბეჭე ქვა-ხით.

თავის მხატვრული საშუალებებით და საერთო აგებულებით თუ რა  
ახლოს დგას ხალხურთან გურამიშვილის ლექსი, ნათელია რამდენიმე  
ნიმუშითაც. რუსეთში გადასულ ვახტანგ მეექვსეს უიღბლობა გადააპყვა  
თან და პოლიტიკურ არეულობას რუს ხელმწიფეთა სიკვდილიც და-  
ერთო. გულში ჩამწვდომი სიტყვებით გადმოგვცემს გურამიშვილი ვახ-  
ტანგის უბედურებას:

ამაზიდ იყო მგლოვარე,  
ცრემლი ამისთვის ზდიოდა:  
სამი ხელმწიფე ზედიზედ  
მოკლენო, გული სტკიოდა;  
თავისას, თავის ქვეყნისას  
უბედურებას ჩიოდა.

ძნელი არ არის აქ დავინახოთ ფორმალური გავლენა ერთი ბრწყინ-  
ვალე ხალხური ლექსისა, რომელიც რამდენიმე ვარიანტითაა ჩვენამდე  
მოდღწეული:

ჩვენ მონადირე გვეგონა,  
თურმე მას გული სტკიოდა,  
თავს ჰქონდა ხმალი ნაკრავი,  
გულს სისხლი ჩამოსდიოდა,  
ათი მოეკლა გზადაგზა,  
უომრობასა ჩიოდა.

უფრო დახვეწილია ამავე ლექსის სხვა ვარიანტი. რომელიც მო-  
თავსებულია ექვთ. თაყაიშვილის კრებულში:

მთიდან მოსული ვაჟაკი  
გეზელ ქორივით კიოდა.  
თავი ხმლით ჰქონდა დაჭრილი,  
გულს სისხლი გადმოსდიოდა.  
სამოცი ლეკი მოეკლა,  
უვაჟაკობას ჩიოდა.

საინტერესოა, რომ ეს ლექსი, ისევე როგორც გურამიშვილის პო-  
ემის ზემოთ მოტანილი ადგილი, თავისი აღნაგობით მკითხველს მო-  
აგონებს ცნობილ ეპიზოდს რუსთაველის პოემიდან, როცა ტარიელი  
შემოეგებება დაჭრილ ფრიდონს:

ზახილი მესმა, შევხედენ,  
მოყმე ამაყად ყიოდა,  
შემოირბევედა ზღვის პირ-პირ,  
მას თურმე წყლული სტკიოდა;

ბრმლისა ნატეხი დასკრილი  
აქეს, სისხლი ჩამოადიოდა,  
მტერთა ექაღდა, წყრებოდა,  
იგინებოდა, ჩიოდა.

დასასრულ მოვიტან ორიოდე მაგალითსაც, თუ ხალხური ლექსის  
კილო რა ორგანულადაა შესული გურამიშვილის ლექსში: დოდრქელ  
ბერს ასე მიმართავს იესე, ვახტანგის ძმა:

რადგან მადლის მოღვაწე ხარ,  
სთმობ ამ სოფლის ცხოვრებასა,  
შენ ის სიყვდილს მოარჩინე,  
ღმერთი მოგცემს ცხოვნებასა.

ან სასულიერო ჰიმნი (რომელ არს გოდება), რომელიც ასე გვაგო-  
ნებს ხალხური დატირების ჟანრის ლექსებს:

ვაი, ჩემს თვალთა ჩენასო.  
შენს უკან ჩემს დარჩენასო!  
ვაი, მე ამ დღის დამსწრესა.  
შენს გულზე სელის დამკრებსა.

ხალხურ პოეზიასთან გურამიშვილის არაჩვეულებრივ სიახლოვეზე  
მეტყველებს აგრეთვე მისი სიცოცხლითა და სიჯანსაღით აღსაყვებელი მხი-  
არული პოემა „ქაცვია მწყემსი“. ავტორი ამ უკანასკნელს თვითონ უს-  
ვამს ხაზს სათაურშივე: „წიგნი ესე მხიარული ზაფხული“. გურამიშვი-  
ლი (ბესიკთან ერთად) ერთ-ერთი პირველია, ვინც თავისი პოეზიის  
საგნად უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრება გაიხადა. თუ გავიხსენებთ  
შუა საუკუნეთა მსოფლიო მწერლობის პოეტიკის ძირითად კანონებს,  
როცა აღმაცერად უყურებენ ხალხის შემოყვანას პოეზიის სამეფოში.  
ნათელი გახდება გურამიშვილის აშკარად დემოკრატიული პოზიცია  
ამაჟე საკითხებშიც.

„ქაცვია მწყემსი“ ჰუმარითი უბრალოებისა და სისადავის ბრწყინ-  
ვალე პოეტური ნიმუშია. მიუხედავად იმისა, რომ პოემაში საკმაოდ  
განჭდება ქრისტიანულ მორალისტიკაზე აგებული დარიგება-სენტენ-  
ციები და ზოგჯერ რიგორისტური ხასიათის მკაცრი შეხედულებები,  
პოემაში მაინც დომინანტობს მძლავრი ნაკადი ხალხური წარმოდგენე-  
ბისა. ამასთან, „ქაცვია მწყემსი“ როგორც ცალკეული მოტივებით. ისე  
ძირითადი სიუჟეტური ხაზითაც აშკარად ხალხური. ყოფაცხოვრებითი  
ჟანრის პოემაა. სიუჟეტურ საყრდენს ქმნის ხალხური წარმოდგენები  
ბუნების გამოღვიძებაზე, როცა ჯანმრთელი სიცოცხლე მთელი ძალით  
იფეთქებს. ყველაფერი პაწაწკინტელა ბალახიდან აღამიანებამდე. სი-  
ცოცხლის სიხარულს მოუცავს: ბუნების განახლებას ახალი ღზენა და  
სიყვარული მოაქვს: „მზგავსად — მზგავსადმან იპოვა ტოლი“.

თბილი იუმორით, მხიარული ფერებით ავტორი მოგვითხრობს ბუ-  
ნებრივი სიყვარულით შეკავშირებული ახალი ოჯახის შექმნის თავგა-  
დასავალს. ლაღი, პირველყოფილი გულუბრყვილობის შეურყვნელად  
მატარებელი უბრალო მწყემსები მთელი არსებით უერთდებიან ბუნე-

ბის მორიგ გამოღვიძებას, ამასთან თავისი იდილიური სულისკვეთებით პოემა აშკარად მოგვაგონებს ბუკოლიკური ტიპის თხზულებებს.

შუა საუკუნეთა მწერლობისათვის, როგორც ზემოთ ითქვა, დამახასიათებელი „პირველყოფილი ცოდვით“ დატვირთული ადამიანის სულიერ ძიებათა ნაცვლად, პოემაში უფრო ფიზიკური სიჯანსაღის ანტიკური საწყისები ფეთქავს: ადამიანი ბუნების შვილია და იგი წუთითაც არ უნდა მოსწყდეს მას. ბუნებასთან ერთიანობა, ბუნებრივი კანონებით ცხოვრება ისევე უკვდავად აქცევს ადამიანთა მოდგმას, როგორც მუდმივ განახლებათა გამო მარადიულია თვით ბუნება, მთელი გარე სამყარო. აი, პოემის ძირითადი პათოსი. ასეთ დროს გურამიშვილი თითქოს წამიერად ივიწყებს მისსავე ლირიკაში გამოვლენილ ღრმა სევდას მარტოდ შთენილ ადამიანთა მიუსაფრობაზე.

პოეტი ხალხური მოტივების დამუშავებასთან ერთად ტექსტში ურთავს მორალურ-დიდაქტიკურ შეგონებებს და ხშირად იშველებს ბიბლიურ თემებს, აქაც კარგად ჩანს პოეტის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც საერთოდ მისი ჰოეზიის ერთ-ერთი ნიშან-თვისებია: „ქაცვია მწყემსთან“ დაკავშირებით სწორია გიორგი ნატროშვილის შენიშვნა, რომ პოემაში ფრიად მძაფრი წინააღმდეგობანი გვხვდება: მასში არის ისეთი ვნებიანი სურათები. რომელსაც აპულეიოსი და ლონგისიცი მოაწერდნენ ხელს და, ამასთან, აქვეა ისეთი მკაცრი სულისგამყინავი ასკეტიზმი, რომელიც ისო ზირაქის წიგნის ბნელ აზრებს შეედრება. სხვას რომ თავი დავანებოთ. პოემის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ბიბლიური სიუჟეტების ლექსად გადაღებას. ჩვენ შეგუდარეთ სათანადო ადგილები შესაქმნეთა წიგნიდან, ფსალმუნიდან და სხვ., და ირკვევა, რომ პოეტი თითქმის პარაფრაზის სიზუსტით ამუშავებს ბიბლიის ცალკეულ ადგილებს: მაგრამ გურამიშვილი აქაც ერთგულია თავისი მეთოდისა და ცალი თვალი მაინც ხალხური წარმოდგენებისაკენ უპირავს. მ. ჩიქოვანმა შენიშნა თავის დროზე, რომ ნოეს კიდობანის ამბის თხრობის დროს პოეტს ხალხური თქმულებაც ჩაურთავს შიგ. მაგრამ შემდეგში ზედმეტად უცვნია კანონიკურ კონტექსტში მისი მოთაქვება და ასეთი შენიშვნა დაურთავს: „ეს კამბეჩის ამბავი წიგნში წერილში ვერსადა ვნახე და ისევე მოვშალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნულარ დასწერს ამისათვის რომე სჯულად არ დაიდვას ტყუილი“. ამის გამო მკვლევარი შენიშნავს. რომ გურამიშვილს ეს ლეგენდა ქართლში უნდა ჰქონდეს გაგონილი. ჩვენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გაგვიგონია გადმოცემა „რატომ იძახის კამეჩი ნოეს“. ეს ეტიმოლოგიური ლეგენდა პოეტს ბიბლიისად მიუჩნევია და გაუღიქვავს, მაგრამ როცა შეუშოვნებია, საამისო რამ ბიბლიაში ვერ უნახავს და ხელნაწერში ეს ადგილი წაუშლია. გურამიშვილის მიერ გაღიქვილი „კამეჩის ამბავი“. სამწუხაროდ, დღემდე ჩაწერილი არ არის. ამის გამო შეუძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რით განსხვავდება სტილიზებული ტექსტი ფოლკლორულისაგანო (იხ. დასახ. ნაშრ.. გვ 40—41).

მაგრამ საპიროა აღინიშნოს, რომ მართლაც არსებულია ასეთი ხასი-

ათის ხალხური ლექსები, რომელიც არსებითად ბიბლიის აპოკრიფულ ციკლს განეკუთვნებიან. პეტრე უმიკაშვილის კრებულში ჩვენ დავადასტურეთ ერთი ფრაგმენტი, რომელიც ასეთი ხასიათის ხალხურ აპოკრიფს წარმოადგენს:

წმინდა ნოემ რა იცოდა, დაჯდა თალა კიღობანი,  
შიგნით, გარეთ გამოთალა, საგანგებოდ ააყვავა,  
შიგ ჩასხა დელალ-მამალი, კარი მაგრა გაუყარა,  
კამეჩი მოღის, მოყვირის: მეცა შიგა შემიყვანე!

ამ შემთხვევაში ნათელია, რომ ამ ტიპის ხალხური ლეგენდით უსარგებელია დავით გურამიშვილს, ამასთან ისიც შეუნიშნავს, რომ იგი არ ეკუთვნის ბიბლიის კანონიკურ ტექსტს.

სწორედ ხალხური პოეზიის წყაროსთვალთან სიახლოვემ შეუწყობ ხელი გურამიშვილის ფორმის უბრალოებას. გურამიშვილმა საბოლოოდ უკუაგდო პოეტური მეტყველების მეტაფორულ-ამაღლებული სტილი, რომელიც ე. წ. აღორძინების ხანაში მხამზარეული და გაყინული პოეტური ფორმულების გროვად გადაიქცა. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტაფორას საერთოდ არ იყენებდეს გურამიშვილი. ზოგი მისი მეტაფორა ნამდვილი აღმოჩენაა და პირველთქმულის მშვენიერებით ბრწყინავს. მაგრამ მისი პოეზიის უმთავრესი ხალხური ხერხი მაინც შედარებაა (სახეთა პარალელიზმთან ერთად) და ეს მომენტი მას განსაკუთრებით აახლოებს ხალხურ პოეტურ მეტყველებასთან. თუ რა ბუნებრივად ერწყმის გურამიშვილის მეტაფორა და შედარება ერთმანეთს, ამის ნიმუშად საკმარისია ერთი საინტერესო მხატვრული სახე. თავისი დიდი სიხარული ტყვეობიდან სამშვიდობოზე გამოსვლის დროს გურამიშვილმა შეუდარებელი მხატვრული სიძლიერით გამოხატა:

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამგონაო;  
სანამღის ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო,  
რა რომ თქვეს პურის სახელი, მე იმან მომიფონაო;  
ამ სიხარულმან დამშალა ჭავრით შეკრული კონაო.

„ჭავრით შეკრული კონა“ ტყვეობაში განაწამები პოეტის სახე — მეტაფორაა, ხოლო აზრი შედარების გზითაა გამოხატული. სიხარული-საგან ისე დავიშალე, როგორც კონა, რომელიც საკვრელის (ე. ი. აქ — ჭავრის) ვარეშე დარჩაო.

დავით გურამიშვილი თავის ლექსებში ზოგჯერ ჩივის და ერთგვარ შიშსაც გამოთქვამს. ვაი, თუ მის ლექსებს „მირონი“ აკლია და „ქართულიც“ — ამღვრეულია „სამკვიდროდან მოწყვეტის“ გამო. ალბათ, მხოლოდ შემოქმედის დიდი პასუხისმგებლობა იწვევდა ასეთ შიშს. დავით გურამიშვილმა გააღრმავა და ახალი შესაძლებლობები აღმოაჩინა ქართული სიტყვის უმდიდრეს საგანძურში და აქაც მისი ერთი უპირველესი შემწე ქართული ფოლკლორი იყო.

## 5. დავით გურამიშვილი და ქართული ლიტერატურის ტრადიციები

„დავითიანის“ ავტორის ენციკლოპედიურ განათლებას ამხელს არაერთი ფაქტი მისივე შემოქმედებიდან. პირველ რიგში, რასაკვირველია, ისიც, რომ იგი ღრმად და საფუძვლიანად იცნობდა როგორც კლასიკურ, ისე მისივე თანამედროვე მწერლობის შემოქმედებით მიღწევებს. სხვათა შორის ეს კარგად ჩანს თუნდაც „დავითიანის“ შესავალი სტროფებით (იხ. სტრ. 4, აგრეთვე, მომდევნო თავის მე-16—19 სტრ. და სხვ.), სადაც პოეტური სიტყვით, ქართული მწერლობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „მცირე მიმოხილვაა“ წარმოდგენილი. ქართული მწერლობით დაინტერესებას, როგორც მოსალოდნელია, კიდევ უფრო შეუწყობდა ხელს ის წლები, რომელიც მან განათლებული და დიდად განსწავლული მეფე-პოეტის ვახტანგ მეექვსის კარზე გაატარა.

საინტერესო დაკვირვებებია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დავით გურამიშვილის შემოქმედებით ურთიერთობებზე მის თანამედროვე და წინამორბედ ქართულ საერო მწერლობასთან. სამართლიანად შენიშნავს ალ. ბარამიძე, რომ მიუხედავად თეიმურაზ პირველისა და გურამიშვილის პოეტურ თვალსაზრისთა პრინციპული სხვაობისა, ამ უკანასკნელს მაინც გარკვეული ინტერესი გამოუჩენია თეიმურაზ პირველისადმი. კერძოდ კი მის შემოქმედებაში აშკარად ჩანს კვალი თეიმურაზისეული ტიპის „მაჯამებისა“. მკვლევარი გვაწვდის ერთ, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ მაგალითს:

თ ე ი მ უ რ ა შ ი :

გღალთ მატირა საწუთრომან, ცრემლთა ღვარი დამელია,  
მიჯობდა თუ სიკვდილისა — გლახ სასმელი დამელია.  
მომაძულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და მელია.  
აჲ. სოფელო, ვარდთა ზრობად მოვალ, რადგან დამე ლია.

გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი :

ნაღვლით დღენი შემომოკლდა, აღარა მაქვს, დამელია,  
ყველა მწარედ გარდაჰქცა, რაც რამ ტკბილად დამელია.  
მძორთა ჩემთა შესაქმელად მზა არს ტურა და მელია,  
აჲ. წამოვალ მეც თქვენთანა, სად ძმა მიცდის და მელია.

კ. კეკელიძეს რამდენიმე საგულისხმო მაგალითი მოაქვს, როცა აღარებს ერთმანეთს არჩილსა და გურამიშვილს. აქ სიტყვიერ ფაქტურასთან ერთად. ზოგჯერ განწყობილებათა სიანსლოვეც შეინიშნება. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე დიდაქტიკური მოტივები, რომლებშიც დავითი აშკარად თანხმდება არჩილს. მაგალითისათვის საკმარისი იქნებოდა „ქართლის ჭირის“ 32-ე სტროფი:

სწავლა სიკვდიმღე შენია. მუდამ შენთანა მყოფელი,  
მას გეცილებს ვერაჲინ. არ არის გასაყოფელი,  
სხვას ყველას მახე უგია, თავისა გასაყოფელი,  
თუ კაცსა ცოდნა არა აქვს. გასტანჯავს წუთისოფელი.

ამავე მოტივს ავითარებს არჩილიც:

სიბრძნეს ვერ სწონავს ვერარა, არც ისე მოსახმარია,  
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია,  
სად წახვალ, თან გამოგყვებათ, საგრძლადაც, მგონ, სახმარია,  
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს ცათა კმარია.  
(„საქართველოს ზნეობანი“, სტრ. 73).

კიდევ უფრო მეტი მასალა მოგვეპოვება გურამიშვილსა და ვახტანგ VI, გურამიშვილისა და საბას, გურამიშვილისა და მამუკა ბარათაშვილის და სხვა მის თანამედროვეთა ლიტერატურული ურთიერთობიდან. ამაზე საუბარს ჩვენ დავამთავრებთ რამდენიმე ნიმუშით, სადაც ნათლად ჩანს ვახტანგ VI გავლენა დავით გურამიშვილის დიდაქტიკურ მოწოდებაზე.

ვახტანგი:

სწავლის ძირი მწარე არის,  
ნაყოფს მოგცემს ბოლოდ ტკბილსა.  
(„სიბრძნე მალალობელი“)

დავითი:

სწავლის ძირი მწარე არის,  
კენწეროში გატკბილდების.

ვახტანგი:

სჯობს ყოვლს სიმდიდრეს, ქონებას,  
სწავლითა გამდიდრებანი,  
არც ქურდი რასმე მოჰპარავს,  
არც გზირისაგან ვნებანი,  
ვერც მძლავრსა ძალუც ძალითა  
მისი მოღება, კლებანი...  
(„სიბრძნე მალალობელი“)

დავითი:

ცოდნა თან დასდევს მცოდნეთა.  
რაზომცა დაეტარების,  
აქვს უზილავი საუწყე  
ნელი არ შეეკარების,  
არც ცხადის ძალით წაერთმის,  
არც მალვით მოიპარების...

თავის მხრივ, როგორც ცნობილია, „სიბრძნე მალალობელი“ მსოფლიოში გავრცელებული გონივრულ შეგონებათა კრებულთაა. განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა მან განმანათლებლურ წრეებში. არსებობს ქართულად ამ ტიპის კრებულთა ე. წ. „აპოფთეგმატების“ თარგმანები. მათ შორის ერთ-ერთი ვახტანგისავე მითითებით რუსული კრებულებიდან თარგმნა XVIII საუკუნის მოღვაწემ ერასტი თურქესტანიშვილმა, რომელიც შემდეგ გადაუმუშავებია და გაუღექსავს თვით ვახტანგ მეექვსეს, სწორედ იმ ხანებში, როცა გურამიშვილი იმყოფებოდა მასთან მოსკოვში.

რაც შეეხება მისტიკურ-ალეგორიულ თეორიას, რომელიც ყველაზე მკვეთრად ვახტანგ VI წამოაყენა და კანონის სახე მიიღო მამუკას „ჭაშნიკში“, როგორც ითქვა, ჩვენში ამაზე სპეციალური ლიტერატურა შეიქმნა. გურამიშვილი თუმცა ძირითადად იღებს ამ თეორიას, მაგრამ ამასთან ბევრ კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურ გადაწყვეტას ვითავაზობს (ზოგი ამის მაგალითი გაკვირვებით ზევეთაც ვნახეთ).

მაგრამ, პირველ რიგში, როგორც ეს უკვე ითქვა, გურამიშვილი შოთა რუსთაველის ყველაზე ღირსეული შემკვიდრება ძველ საქართველოში. ეს არის ჭეშმარიტად დიდი შემოქმედებითი მიმართება, რადგან სწორედ დავით გურამიშვილია ის პოეტი, რომელიც ე. წ. ალორძინების ხანის მწერლობაში ახალ გზებს კაფავს და ქმნის სრულიად ორიგინალურ პოეტურ სამყაროს. თუ რითაა ახლოს გურამიშვილი თავის დიდ წინამორბედთან და რით დაშორდა მას, როგორც ზევეთაც აღვნიშნე, ეს პრობლემათა ფართო წრეს მოიცავს და აქ მხოლოდ რამდენიმე საკითხით შემოვიფარგლებით.

დამოკიდებულება ქრისტიანულ რელიგიასთან რუსთაველისა და გურამიშვილის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი კარდინალური საკითხია და იმავე დროს, აქ ნათლად ჩანს მათი მსოფლშეგარჩნების მსგავსება-განსხვავებანი. ახლა უკვე განვლილი ეტაპია, როცა რუსთაველის რელიგიური მრწამსის საფუძვლებს ხან ისლამში და ხან კი მანიქეველთა ტიპის ერეტიკულ მოძღვრებაში ეძებდნენ. ერთადერთი რელიგია, რომელთანაც რუსთაველი აშკარად სიახლოვეს ამჟღავნებს, ეს არის ქრისტიანობა. ამისათვის, რასაკვირველია, არ იქნებოდა საკმარისი ის ფაქტი, რომ ერთ ადგილას „ვეფხისტყაოსანში“ ნაჩვენებია ქრისტიანული რელიგიის უმთავრესი დღესასწაული — აღსება. პირველი და გადამწყვეტი ის არის, რომ რუსთაველისეული ღვთაების ცნება, გარკვეული სიტყვიერი კონტექსტები ზუსტად ემთხვევა ქრისტიანული მწერლობის მეტყველებას. საკმარისია ამისთვის რამდენიმე ადგილის მოტანა:

ილოცავს, იტყვის: მაღალო,  
ღმერთო. ხმელთა და ცათაო,  
ზოგჯერ მომცემო პატივთა,  
ზოგჯერ კეთილთა მზათაო,  
უცხაურო და უთქმელო,  
უფალო უფლებათაო,  
მომეც დათმობა სურვილთა,  
მფლობელო გულის-თქმათაო!

. ან კიდევ:

ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი  
არ ითქმი კაცთა ვნითა,  
შენ ხარ საესება ყოველთა,  
აღგვაესებ მზეებრ ფენითა,  
: გაქო, ვით გაქო, რა გაქო,  
არ-საქებელო სმენითა,  
: დიდება შენდა, არ მომკალო,  
: ამისთვის ცრემლთა დენითა!



იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად  
 გთქვენს მზიანისა ღამისად,  
 ერთ-არსებისა ერთისა,  
 მის უყამოსა ჟამისად,  
 ვის გმორჩილებენ ციერნი  
 ერთის იოტის წამისად,  
 ბედსა ნუ მიქცევე, მიაჩე,  
 შეყრამდის ჩემად და მისად.  
 ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან  
 ფილოსოფოსნი წინანი,  
 შენ მიშველე რა ტყვე-ქმნილსა,  
 ჭაჭენი მაბიან, რკინანი!  
 ბროლ-ბალახმისა მძებნელმან  
 სათნი დაეკარგე, მინანი,  
 მანინ ვერ გაეძღელ სიახლე,  
 აწ სიშორესა ვინანი.

ახლა კი ამ ლოცვებიდან ამოგკრიფოთ ღვთაების ის ატრიბუტები ან ეპითეტები ან, როგორც თეოლოგები იტყვიან, კატაფიკური და აპოფატიკური სიმბოლოები და ჩვენ დაეინახავთ, თუ რომელი რელიგიის ღმერთთან გვაქვს საქმე: მაღალი ღმერთი, უცნაური, უთქმელი, უფლება უფლებათა, გულის-თქმის მფლობელი, კაცთა ენით უთქმელი, ყოველთა სავსება, არსაქმბელი სმენითა, ერთარსება ერთისა, რაც თავის თავში იგივეა, რაც სამება, მზიანი ღამე, უყამო ჟამი და ა. შ. მართებულად შენიშნავდა მ. გოგიბერიძე, რომ ლოცვების ენა და ცნება ქრისტიანულ საეკლესიო მწერლობას ეკუთვნის. ღმერთი დახასიათებულია, როგორც უცნაური, უთქმელი, უფლებათა უფალი (მ. გოგიბერიძე — რუსთაველი, პეტრიწი... 1961, გვ. 37), ჩვენ ვნახეთ, რომ საეკლესიო მწერლობის ტიპიურ დარგში, ჰიმნოგრაფიაში ღმერთი შემოსულია ანალოგიური ეპითეტებით და, რაც აღსანიშნავია, იგივე მხატვრული სახეებით მეტყველებს თავის ჰიმნებში დავით გურამიშვილი. აქ აშკარად ხვდებითან ერთმანეთს რუსთაველი და გურამიშვილი. მე აქ ყურადღება მინდა შევაჩერო კიდევ ერთი თითქოსდა ოქსიმორონის ტიპის ფიგურაზე, რომლის გარშემო რუსთველოლოგიაში საკმაო ლიტერატურა შეიქმნა. მსჯელობა ეხება ცნობილ შესიტყვებას „მზიანი ღამე“. ერთ-ერთმა პირველთაგანმა და შეიძლება ითქვას. საკმაო სისრულითაც აღნიშნული ადგილი განმარტა თეიმურაზ ბაგრატიონმა: გარკვეული ინტერესის გამო მოვიტან მთლიან განმარტებას: „იტყვის, ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვენს მზიანისა ღამისა — ღმერთი არის მზე დაუბადებელი და უნივთო, ნათელი, ხატი და სახე არს მზიანისა ღამისად, ესე იგი, განმანათლებელი არს ღამისა ე. ი. ღამე უმეტესობას ნიშნავს და მზე ნათელსა ცნობისა ღმრთისასა. ღამე მიუწოთმელობა არის ღმრთისა და მზიანი ღამე ის არის, რაოდენ შესაძლებელი არის კაცისა გონებისაგან ვიცნობდეთ და აღვიარებდეთ ღმერთსა, როგორათაც იოანე მოციქული ღმრთისმეტყველი და მახარებელი იტყვის სახარების პირველს თავში — ნათელი ბნელსა შინა

სჩანს, ე. ი. გონება კაცისა თუმცა ღმერთს ვერ მისწვთება ბუნებითა და არსებით, რომ ესრეთ იცნას, როგორათაც სხვა ადვილად საცნობი ნივთები..." (განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, 1960, გვ. 123—124).

აქ ძირითადად სწორადაა მიგნებული თვით საკითხის არსი, რომ „მზიანი ღამე“ აშკარად ღვთაების სახელია, მაგრამ არ ჩანს თვით ამ სიმბოლოს საყრდენი, თუ რამ დააკავშირა ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნება, ამ საკითხს შემდეგში რამდენიმე მკვლევარი შეეხო და წინასწარ აღებული კონცეფციების საფუძველზე ახალი გაგების დასაბუთებას შეეცადა. პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, შენიშნავედა ამის გამო „რუსთაველის ესთეტიკის“ ავტორი გ. ნადირაძე, რომ ყველა ეს ცდა სრული მარცხით დამთავრდა (იგულისხმება იუსტ. აბულაძის, მ. წერეთლისა და სხვათა მოსაზრებები). საინტერესო მოსაზრება აქვს ამ საკითხზე გ. იმედაშვილს, როცა იგი ეძებს ამ სიმბოლური გამოთქმის საყრდენს, კერძოდ, იგი ვარაუდობს, რომ „მზიანი ღამე“ რეალურად არსებული მოვლენაა და იგი შეიძლება ნიშნავდეს ან პოლარულ „ოთხთვიან ღამეს“, ან კი „ჩრდილოეთის ნათებას“. მაგრამ შემდგომი დაკვირვება ამხელს, რომ „მზიანი ღამე“ ირეალური, მისტიკური სახეა, რომელიც დამყარებულია არა რეალურ, არამედ რელიგიურ ხილვებზე. სპეციალური თავი ეძღვნება ამ საკითხს აგრეთვე წიგნში „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“. „მზიანი ღამის“ აქ წარმოდგენილი გაგება, ჩემი აზრით, ძალზე საგულისხმოა და ახალი დაკვირვებებით ამდიდრებს თეიმურაზ ბაგრატიონის ზემოთ მოტანილ დებულებას. მართლაც, აქ ვკითხულობთ: „ვეფხისტყაოსნის“ დებულება „მზიანი ღამის“ შესახებ ქრისტიანულ დებულებად მიმაჩნია. რატომ? იმიტომ, რომ მზე არის ხატი ერთისა, მზე არის ხატი „მზიანი ღამისა“, და მზე არის ხატი ერთ-არსებისა ერთისა. ეს „ერთარსება ერთი“ არის ქრისტიანული სამება, და ამგვარად, „მზიანი ღამე“, — ღმერთიც არის ქრისტიანული“ (გვ. 193). მაგრამ როცა მკვლევარი ამ სიმბოლოს ახსნას ცდილობს, იგი მაშინდელი ასტროლოგიური წარმოდგენებიდან გამოჰყავს. კერძოდ, „ღამის მზე არის ის მზე, რომელიც პორიზონტის ქვემოთ, ცის მეორე, უხილავ ნახევარზე მოძრაობს. ცხადია, ღამის მზე კაცის თვალისათვის დასანახი არაა. რადგან ამ დროს მზე მხოლოდ ჩვენს ქვეშაა. და ჩვენ ქვეშ კი ჩვენთვის ღამეა, თუმცა იქ მზე ანათებს! ის არის აგრეთვე მზიანი ღამე. მზიან ღამეზე წარმოდგენამ შორეულ წარსულში ბევრი საიდუმლო მოძღვრება წარმოშვა“ (გვ. 190).

ამის დაშვება უეჭველად შეიძლება, მაგრამ ირკვევა, რომ თვით ქრისტიანული წიგნები იძლევიან გასაღებს ამ მისტიკური ხილვის ამოსახსნელად. „მზიანი ღამე“ არ არის ღვთის ატრიბუტი ან რაიმე შემთხვევითი ეპითეტი. იგი, როგორც ვთქვით, თვითონ ღვთაებაა და მას საფუძველად უდევს თითქოს პირველი ადამიანების მიერ წარმოდგენილი კოსმიური სურათი. გ. ნადირაძე ამ პოეტური სურათის განხორციელებას ხედავს ბიბლიის პირველივე სტრიქონებში. იგი აღნიშნავს: ქრისტიანული მითოლოგიის კოსმოგონიურ სიმბოლოდ უნდა ჩა-

ითვალის „მზიანი ღამე“. იგი გრანდიოზული პოეტური სურათის სახით წარმოგვიდგენს ბიბლიის იმ პირველ აბზაცებს, სადაც მოთხრობილია ღვთაების მიერ სამყაროს შექმნის მითიური ამბავი... ეს ადგილი ბიბლიაში: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა. ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ. ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა. და თქვა ღმერთმან: იქმნენინ ნათელი და იქმნა ნათელი“ (შესაქმეთა, 1—2); რუსთაველის „მზიანი ღამეში“ ისევე, როგორც მიქელანჯელოს ფრესკაში, დაქვრილია კოსმიური შემოქმედების პირველი აქტი, სახელდობრ — მნათობის წყველიადში ანთება. აქ ნათელი და წყველიადი ჯერ კიდევ არ არიან ერთმანეთისაგან გათიშულნი. მათი „განწვალება“ ანუ გაყოფა კოსმიური შემოქმედების მეორე აქტს წარმოადგენს...“ („ვეფხისტყაოსნის ესთეტიკა“, გვ. 390—391).

გ. ნადირაძე ეთანხმება იმ მკვლევართ (კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე), რომლებიც ფიქრობენ, რომ „მზიანი ღამე“... რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელ ფიგურალურ თქმად უნდა ჩაითვალოს“ და დასძენს: „როგორც ირკვევა, „მზიანი ღამე“ თვითონ რუსთაველის მიერ შექმნილი პოეტური სიმბოლოა. ჯერ არავის არ უნახავს ეს სახე სხვა პოეტურ ნაწარმოებებში და, ვფიქრობ, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა იგი არც არსად მოიპოვება. „მზიანი ღამის“ რუსთაველისეული ორიგინალობა დღესდღეობით სავსებით უეჭველია“ (იქვე).

მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, ამ უკანასკნელ დებულებას ჯერ შემოწმება სჭირდება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად შესაძლებელია, რუსთაველს ეს სახე-სიმბოლო არა უშუალოდ დაბადების აღნიშნული გააზრებით, არამედ მზამზარეული ფორმულის სახით მიეღო ნეოპლატონური ან, უფრო ზუსტად, ქრისტიანულ-ფილოსოფიური მწერლობიდან. დანტეს „სამოთხის“ 28-ე ქება, სადაც ლაპარაკია ღვთიურ წერტილზე (პირველი რკალი), რომელიც მზერას უხშობს ადამიანს ბრწყინვალეებისაგან, აშკარად ამ ტიპის თეოსოფიურ წარმოდგენათა გამოძახილია. სრულიად შესაძლებელია, რომ ამ სახის გამოთქმა, ქართულ საეკლესიო მწერლობაში და, კერძოდ ჰიმნოგრაფიაშიც არსებულიყო. ამას მაფიქრებინებს შემდეგი მომენტი. ირკვევა, რომ სახე-სიმბოლო „მზიანი ღამე“, როგორც ღვთის სახელი, გამოუყენებია დავით გურამიშვილსაც, რაც ჩვენ ჯერ კიდევ 1961 წელს აღვნიშნეთ სპეციალურ წერილში.

მართლაც, ერთ ლექსში, რომელიც ტიპიურ მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის ჰიმნს წარმოადგენს (აზ—ამოცანად იგავი, ასახსნელად ადვილი) გურამიშვილი პირდაპირ ასახელებს ღვთაების აღნიშნულ სახელს. გარკვეული ინტერესის გამო მთლიანად მოვიტან ამ იგავს:

ვიდრემდის განახლდებოდა  
განურჩეველი, ბზიანი;  
იფქლი კალოზედ ეყარა  
განურჩეველი, ბზიანი;

ახალმა დღემან განწმინდა  
 ღვარძლიან ნაკმაზიანი,  
 მის ღლითგან მოჩანს გარჩევით  
 განურჩეველი, ბზიანი;  
 სანამ დღე ძველი დღეს ახალს  
 ჩვენ დღედ არ გაგვითენებდა,  
 მანამდის ჩვენსა დაშლილსა  
 ეერაჲინ აღაშენებდა;  
 რა დღე გათენდა ახალი,  
 ქვეყანას დანაშევნებდა,  
 უურიოთაჲ კარგსა გვასშენდა,  
 თვრლითაჲ კარგს გვაჩვენებდა.

ალეგორია ადვილი გასახსნელია, ძველი დამე მამა ღმერთია, რომელმაც მოგვივლინა ახალი დღე. ძე უფლისა, ქრისტე ღმერთი. ძველი დღე გარდამოვიდა ახალ დღეში: რათა იფქლი ღვარძლისაგან განერჩია და ახალი ცხოვრება მოენიჭებინა ადამიანთათვის, რომელთაც ვერ განერჩიათ კეთილი და ბოროტი. თუ დავაკვირდებით, ეს არის ტიპიური ჰიმნოგრაფიული თემა და გურამიშვილი ანალოგიური პოეტური ხერხებით ამუშავებს მას. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ იოანე მტბევარის ჰიმნი ბასილისადმი: „ვითარცა ღრუბელმან, აღმოივსე სრფელსა იგი ბრძენთა მეცნიერება და განარჩიე ი ფ ქ ლ ი დ ვ ა რ ძ ლ ი ს ა გ ა ნ და შ ე ჰ კ რ ი ბ ე ს ა უ ნ ჯ ე თ ა“. მაგრამ ჩვენთვის აქ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გურამიშვილი, რომელიც სხვაგან ღმერთს ძველ დღეს უწოდებს (გავიხსენოთ აგრეთვე ლექსი კდ„მზე-თა-მზის შესხმა...“ მიუწვდომელო ნათელო, გ რ ძ ე ლ ო ძ ვ ე ლ ო დ დ ე ო“) ახალი კონტექსტი ახსენებს ღვთაების ჩვენთვის ნაცნობ სახელებს (კატაფატიკა და აპოფატიკა), რომელშიაც ორივე მომენტია ჩაქსოვილი. ღმერთი არის ძველი დღე-დამე მზიანი. ე. ი. ცალცალკე რომ დავშალოთ, იგი არის ძველი დღე მზიანი და დამე მზიანი. როგორც ვხედავთ, „მზიანი ღამის“ სიმბოლიკა გურამიშვილისათვის კარგად არის ცნობილი, და იგი მას სრულიად შესაფერ კონტექსტში იყენებს. ჩემის აზრით, გურამიშვილი, ისევე როგორც რუსთაველი, დავალებულია ძველი საეკლესიო მწერლობისაგან და ამ შემთხვევაში ისინი (რუსთაველი და გურამიშვილი) კიდევ ერთხელ შეხედებიან ერთმანეთს (შდრ. გ. ნატროშვილის „ვითა დავღამდი...“, გვ. 86).

აქვე შევნიშნავთ, რომ „მზიანი ღამის“ ანალოგიური აზრით გამოყენება შემდგომში დადასტურდა აგრეთვე სხვა ძეგლებშიც, მაგალითად, გარდამავალი ხანის პოეტის პეტრე ლარაძის ლექსის ერთ სტროფში, რომელიც დავით აღმაშენებელს მიემართება, ნათქვამია: „უჟამო ჟამის მეტრფე და მზიანი ღამით სვიანი“ (იხ. მ. გიგინეიშვილი, „მზიანი დამე“ ვეფხისტყაოსანში და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, კრებული „ძველი ქართ. მწერლ. საკითხები, III, გვ. 44). ასევე დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ გარდა, რომელიც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, მ. გიგინეიშვილის აღნიშნულ ნაშრომში მოტანილია „მზიანი ღამისა“ თუ „შუღამის მზის“ ხსენების არაერთი მაგალითი რო-

გორც წინარე ქრისტიანობის, ისე ქრისტიანი ავტორების შრომებში.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მცდარია გ. ნადირაძის დაკვირვება, თითქოს მსგავსი სახე-სიმბოლო არ დასტურდებოდეს როგორც ქართულ, ისე უცხოურ თეოლოგიურ ლიტერატურაში.

მცდარია აგრეთვე მკვლევარის ერთი ძირითადი დებულებაც, რომ თითქოს „მზიან ღამეში“ წარმოდგენილია ე. წ. „პირველი კოსმიური აქტი“ ანუ წყვდიადში მზის ამობრწყინების ბიბლიური სურათი.

„მზიანი ღამე“ აშკარად მისტიკურ ქვერეტაზე დამყარებული სახე-სიმბოლოა და ღვთის სიდიადის, როგორც ძველი ქართველი ავტორები იტყოდნენ „გამოუთქმელობის“ მაჩვენებელი სახელია, ხოლო აღნაგობით იგი ისეთივე დაპირისპირებულ ცნებებზე აგებული სახეა, როგორც „უჟამო ჟამი“ (ე. ი. უდროო დრო ანუ დრო, რომელიც მარადია, არ ვითარდება და არა აქვს არც საწყისი და არც სასრული), რაც ასევე ქრისტიანული ღმერთის ერთ-ერთი სახელია (მდრ. რუსთაველთან: ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად, ერთ არსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად...“).

მანანა გიგინეიშვილი ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში ვრცლად მიმოიხილავს „მზიან ღამესთან“ დაკავშირებულ ლიტერატურას და აღნიშნული შესიტყვების გაგებას უკავშირებს საიდუმლო მოძღვრებებს, ამ შემთხვევაში კი ეზოტერიულ ქრისტიანობას (მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორის აქ გამოთქმულ ზოგიერთ დებულებას, კერძოდ კი „მზიანი ღამის“ ოდენ ქრისტესთან დაკავშირების საკითხში. სწორედ დავით გურამიშვილის მაგალითზე ჩანს, რომ ამ სახე-სიმბოლოში შესაძლოა იგულისხმებოდეს მამა-ღმერთი, რადგან იგია „ძველი ღლეღამე მზიანი“, რომელიც გარდამოვიდა ახალ ღლეში. ანუ ძე ღვთისაში, ქრისტეში, რათა ადამიანებს განერჩიათ კეთილი ბოროტისაგან. დაწვრ. იხ. სარგის ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, 1974, გვ. 314—315).

ასეთი შეხვედრები ბევრის მთქმელია და კარგად გვიმხელს, თუ რა ახლო დგანან რუსთაველი და გურამიშვილი ზოგიერთი ქრისტიანულ-თეოლოგიური ცნების გაგებაში. მაგრამ, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ეს არ ითქმის საერთოდ ქრისტიანულ რელიგიასთან დამოკიდებულებაზე. რუსთაველისათვის უცხოა ის ძირითადი მოტივები, რომელიც მსჭვალავს ქრისტიანობას: მაცხოვრობის, ადამიანის თანდაყოლილი ცოდვისა და ამქვეყნიური არარაობის მძიმე ვანცდა რუსთაველისათვის გადალახული პრობლემაა. თუმცა რუსთაველისათვის მაინც ამოსავალი ქრისტიანული რელიგიაა ან უკეთ, პოეტის რელიგია ქრისტიანობის მაღალი საფეხურია და იგი ამ შემთხვევაში გარკვეულად ამჟღავნებს დამოკიდებულებას ეკლესიის „წმინდა მამათა“ წიგნებში დამუშავებულ ქრისტოლოგიურ წარმოდგენებთან. საკმარისია გავიხსენოთ ნესტანის მიერ წარმოდგენილი მარადიული ქვეყანა, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ეს შეხედულება:

ღმერთსა შეშვედრე, ნუთუ კვლა  
დამხსნას სოფლისა შრომასა,  
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა  
პაერთა თანა ძრომასა;  
მომცნეს ფრთენი და აფერინდე,  
მიეხვედე მას ჩემსა ნდომასა.  
ღღისით და ლამით ეხხედვიდე  
მზისა ელვითა კრომასა.

ეს არ არის მხოლოდ ბიბლიური ქრისტიანობის სამოთხე, არამედ იგი წარმოადგენს მაღალი რანგის ფილოსოფიის მიერ შექმნილ მისტიკურ სამყაროს. როგორც დღეს გარკვეულია, „ვეფხისტყაოსანში“ აშკარად დასტურდება მისი ავტორის ღრმა განსწავლულობა შუა საუკუნეებში შემუშავებულ მისტიკურ მოძღვრებებში, რუსთაველი ბრწყინვალედ იცნობს როგორც ნეოპლატონურ, ისე ქრისტიანულ თეოლოგიურ მოძღვრებებს და ყოველივე ეს მისი მსოფლმხედველობის შემადგენელი ელემენტებია (დაწვრ. იხ. ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 76, აგრეთვე მ. გიგინეიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 48).

მაგრამ იმ პრობლემის დასაძლევად, რომელიც წამოაყენა ქრისტიანობამ და რომლის გადალახვასაც არსებითად წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“. რასაკვირველია, ბევრს არაფერს მისცემდა თუნდაც ნეოპლატონიზმის მოძღვრება, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ სიკვდილის ფილოსოფიას (მ. გოგიბერიძე). რუსთაველმა გაბედულად დასვა შუა საუკუნეებისათვის სრულიად მოულოდნელი პრობლემა, ადამიანის ადგილისა, მისი ხვედრის გამო ამქვეყნიურ სამყაროში და შეძლო ამ პრობლემის კეშმარტივად რენესანსული გადაწყვეტა. ამაში რუსთაველს უწინარეს გზას უნათებდა საკუთარი მსოფლშეგარდნება, რომელიც დაფუძნებული იყო გენიალური პოეტის მიმართებაზე XII საუკუნის ქართულ სინამდვილესთან. ეს საკითხები ჩვენ შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ამ მოკლე მიმოხილვიდან უკვე კარგად ჩანს, რომ გურამიშვილი გარკვეულად შორდება რუსთაველს და თუ მკაცრი ანალოგია არ იქნება, განსხვავდება ისევე, როგორც რუსთაველის ეპოქა ე. წ. აღორძინების ეპოქისაგან (XVI—XVIII საუკ.).

გურამიშვილის მსოფლშეგარდნება ჰარბადაა გაყენებული ქრისტიანული სულით და. რაც აღსანიშნავია, იგი კვლავ იყურება ბიბლიური სამყაროსაკენ, თითქოს ჩვენს კლასიკურ ხანაში ქრისტიანობას არ მიეღწიოს იმ მაღალი საფეხურისათვის, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობდით რუსთაველთან დაკავშირებით. ეს არც არის გასაკვირი, მძიმე ქართველების შემდგომ ქართულმა აზროვნებამ უეჭველად დაკარგა ის ძაფები, რომელიც მას მსოფლიო კულტურის უმაღლეს მწვერვალებთან აკავშირებდა. შ. ნუცუბიძე თავის ქართული ფილოსოფიის II ტომში მართებულად შენიშნავს, რომ ამ საუკუნეთა გამოღვიძება თითქოს უკაცრიელ მინდორზე დაწყებულა და სულხან-საბა ორბელიანივით ფხიზელი აზროვნების მოღვაწეები თუ ამჩნეიდნენ აქა-იქ ნაცარწყარს ნალვერდალს. ერთ-ერთი მათგანი გურამიშვილიც იყო და იგი

ფაქტიურად მივიდა კიდევ ამ ნალევრდალთან, როცა ასე დაეწაფა ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიას. თუმცა კლასიკურ სიმალლემდე მისაღწევად ჯერ კიდევ დიდი გზა იყო გასავლელი. ბიბლიური ქრისტიანობა ორგანულად შეერწყა გურამიშვილის მსოფლმხედველობას და ამიტომ გვაგონებს პოეტის მუხთალი „საწუთრო“ და მარადიული „სამოთხე“ პირველ ქრისტიანულ წიგნებში გადმოცემულ სამყაროს. ამ შემთხვევაში დ. გურამიშვილი ერთგვარად შორდება რუსთაველს და ქრისტიანული რელიგიის ყოვლისმომცველ გავლენას განიცდის.

მაგრამ, როგორც ითქვა, გურამიშვილი არასდროს შემოფარგლულა ერთი განზომილებით. მისი პოეზიის მაცოცხლებელი ფესვები ღრმად იყო გადგმული ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რაც მდიდარ საფანელს უქმნიდა მის ბრწყინვალე პოეტურ ტალანტს. ვერც სამკვიდროდან მოწყვეტამ, ვერც პირადმა ტრაგედიამ, რომელიც აგრე რიგად იყო გადაჯაჭვული ქართველი ხალხის ბედთან, ვერ შეარყია და გატეხა პოეტის სულიერი მხნეობა.

მან საკუთარ თავში აღმოაჩინა გაუტეხელი რწმენა და სულიერ ფასეულობათა ძიების გზაზე მხატვრულად დაასაბუთა კიდევ „ადამიანური არსობის“ ძლევამოსილება.

## 6. მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს მხატვრული მატრიანე

ყოველ ჭეშმარიტ პოეტში ეროვნულ სულისკვეთებას ერწყმის მისი პირადი ბედი. მხატვრულად ტრანსფორმირებული ეროვნული სატკივარი მხოლოდ მაშინ იძენს დიდ მხატვრულ ძალას, როცა იგი გაშინაგნებულა პოეტის სულიერ სამყაროში და კონკრეტული ხილვებითაა განათებული. ეს კი ისეთი იდეალია, რომლის განხორციელება დიდი მასშტაბის პოეტურ გმირობას მოითხოვს. მხოლოდ „შინაგანი სიმართლის ხმის“ ერთგული პოეზია (ეს გამოთქმა ტომას ელიოტს მიეკუთვნება) ინარჩუნებს იმ მარადიულ მომხიბვლელობას, რომელსაც ვერ აქარწყლებს საუკუნეების წელთა სიმძიმე.

მე კი ვჭარავ, მაგრამ ჩემი  
სატკივარი არა ჰფარავს;  
მეტად მწარედ გული მტკივა,  
მაყრუოლებს და ტანში მზარავს!  
ვერ მოვიტყენ, რომ არ დაეგმო,  
ალმა მხენელსა, დაღმა მზარავს,  
ჩემი ცოდვამც მისცემია  
ჩემს ამამხრელს, ამამზარავს!

დავით გურამიშვილის ამ, მართლაც, გულისშემძვრელ სტრიქონებში თითქოსდა მხოლოდ პირადი, ღრმა სულიერი ტკივილებია გამოხატული, მაგრამ მთლიანობაში იგი აღიქმება, როგორც სამშობლოს ბედზე თუ უბედობაზე დაფიქრებული პოეტის მწარე აღსარება. „თავისას, თავის ქვეყნისას უბედურებას ჩიოდა“ — ეს სიტყვები პოემაში ვახ-

ტანგ მეექვსეზეა ნათქვამი, მაგრამ უწინარეს იგი დავით გურამიშვილს: ლის სულიერ კრედოს გამოხატავს. მაღალი რწმენა, რომ ჭეშმარიტმა პატრიოტმა და მოქალაქემ უანგაროდ უნდა იტვირთოს თავისივე ქვეყნის მძიმე ხვედრი, თავით ბოლომდე მსჭვალავს ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე „დავითიანის“ სტრიქონებს.

ასეთი სულისკვეთება „ერთის იოტის წამისად“ არ აკლია მის სპირიტუალისტური ძიებებით აღსავსე სასულიერო შინაარსის ჰიმნებსაც, მაგრამ იგი უფრო ხელშესახებად იგრძნობა „დავითიანის“ ეპიკურ ნაწილში, რომელშიც პოეტისავე ბიოგრაფიასთან ერთად წარმოსახულია XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიული ცხოვრება.

როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სხვა მარადუკნობ ღირსებებთან ერთად ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში აღიქმება, როგორც ყოვლისმომცველი ნაციონალური ეპოსი.

მაგრამ იგი მაინც განსხვავდება ისეთი ტიპის ნაციონალურ ეპოსთაგან, სადაც მხატვრული ასახვის საგნად არჩეულია ამა თუ იმ ხალხის კონკრეტული ისტორია (რის კლასიკური ნიმუშია „შაჰ-ნამეს“ ისტორიული ნაწილი და სხვ.).

XVI—XVIII საუკუნეებში ამ მიმართულებით საინტერესო ცდები წამოიწყეს თეიმურაზ პირველმა, განსაკუთრებით არჩილმა და მის გარშემო შემოკრებილმა პოეტების მთელმა ხომლმა („ქეთევანის წამება“, „თეიმურაზიანი“, „დიდმოურავიანი“ და მრავალი სხვა).

გურამიშვილის „დავითიანი“ განსაკუთრებული ღირსებებით ბრწყინავს მათ შორის და, როგორც ითქვა, საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვეთის ჭეშმარიტად მხატვრულ მატთანეს წარმოადგენს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრით „დავითიანის“ პირველი ნაწილი, რომელიც „ქართლის ღირსის“ სახელითაა ცნობილი (ეს სათაური, როგორც ცნობილია, პირობითია და ეყრდნობა თვით პოეტისავე ფიგურალურ თქმას „ქართლის ღირსა ვერვინ მოსთვლის“, რითაც ჩვენი ქვეყნის უკიდურესი ძნელბედობა იყო გამოხატული).

მხატვრული თვალსაზრისით კი „ქართლის ღირსის“ უპირველესი თავისებურება სწორედ ის არის, რომ გურამიშვილი საქართველოს ისტორიული სურათის გადმოცემისას საკუთარ თავგადასავალსაც მოგვითხრობს.

საქართველოს განსაცდელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მან საკუთარი ღირსი დაურთო და ამით საოცარი უშუალობა მიანიჭა „ქართლის ღირსის“ მდელვარე სტრიქონებს. აქ ეპოსი და ლირიკა თითქოს ერთმანეთს ენაცვლება და მხატვრული თვალსაზრისით ძალზე მომხიბლავ მხატვრულ გარემოს ქმნის (მართებულად შენიშნავდა ამასთან დაკავშირებით სიმონ ჩიქოვანი, რომ „ქართლის ღირსი“ წინამორბედი ჩანს იმ პოემებისა, რომლებიც შეიქმნა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში. პირველ რიგში, რასაკვირველია, იგულისხმება ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკისა და ილიას პოემები).

მართლაც, „დავითიანი“ თავისი პოეტური ფორმით ეპოსისა და



ლირიკის მიჯნაზე დგას. საქართველოს ისტორიული პანორამის გადმოცემისას ცალკეულ ეპიზოდებს გზადაგზა ლირიკული წილსკვლები ენაცვლება, რაც ინტიმური ელფერიით მოსაგვს პოემაში წარმოსახულ მხატვრულ სინამდვილეს.

გულზედ მქონდა მოხაზული  
ცხოვრებისა წყაროს ღარი,  
ვიტირე და გარდვადინე  
მე იმაზე ცრემლთა ღვარი.

პოემაში ჩართული ასეთი სტრიქონები, მიუხედავად სასულიერო პოეზიისათვის დამახასიათებელი სიმბოლიკისა, აშკარად გეაგრძნობინებენ, თუ როგორ გაუთიშველად თანაარსებობენ მის სულში პირადული თუ საქვეყნო ტკივილები, პოემის მთავარი გმირიც, ფაქტიურად ავტორი, თავისი მშობლიური ქვეყნის მძიმე ხვედრზე დაფიქრებულ პიროვნებას განასახიერებს. „ქართლის ჳირის“ ყოველ სტრიქონში იგრძნობა პოეტი-მოქალაქის დიდი პასუხისმგებლობა. იგი პირუთენელი მსაჯულიც არის და ამასთან მისივე ხალხის „წყლულების მოზარე“. მოვლენათა შეფასების მკაცრი კრიტერიუმის ფონზე ჩვენ თვალწინ წარმოდგება საქვეყნო საქმეებში მკაცრი და შეუვალი პოეტი-მამულიშვილის სახე.

სიმართლეს, რა გინდ მწარეც არ უნდა გვეჩვენოს იგი, თვლებში უნდა შევხედოთ. სიმართლის ღალატი ქვეყნისა და ხალხის ღალატია. გურამიშვილთან სიმართლის კულტი, მართლაც, რწმენის სიმალემდეა აზიდული.

ძველი შეგონებისა არ იყოს, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, მართლის აღიარება ძნელიცაა და საშიშიც. ამისათვის დიდი მოქალაქეობრივი გაბედულებაა საჭირო, რის გარეშეც ზედმეტია საუბარი საქვეყნო წყლულთა განკურნებაზე:

მართალს ვიტყვი, შევიქნები  
ტყუილისა მოამბე რად?  
ვერას უქებ საძაგელთა,  
უფერულთა პირ-საფერად,  
მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან,  
ტანი გახლეს გასაბერად,  
ვინც არა ჰკავს კახაბერსა,  
მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

პოეტი ამხილებს დაუნდობლად ყველას, შინაურსა თუ გარეულს, ერსა თუ ბერს, დიდსა თუ პატარას, იმის მიხედვით, თუ ვის რა წილი მიუძღვის საქვეყნო საქმის წახდენაში. თქმულის ნიმუშად იკმარებდა „ქართლის ჳირის“ ის ეპიზოდები, რომლებშიც წარმოსახულია თვით პოეტისავე მოძღვრისა და სათაყვანებელი პიროვნების ვახტანგ მეექვსის ტრაგიკული ფიგურა. ვახტანგის მოღვაწეობის ნათელი მხარეების ჩვენებასთან ერთად, იგი მკაცრი ლოგიკით აფასებს მეფის პოლიტიკის

აშკარად ორკოფულ ნაბიჯებს, რაც იმთავითვე კარგს არას უქადდა ჩვენს ქვეყანას.

„ქართლის ჭირის“ ფურცლებზე ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს დიდი მხატვარი და პირუთვნელი მემატიანე. „დავითიანის“ აღრეული გამოცემის ერთ-ერთი მესვეური პეტრე უმიკაშვილი მართებულად აღნიშნავდა, რომ „მასავეთ ნათლად და სიმართლით არც ერთს მწერალს არ გადმოუცია ჩვენთვის საქართველოს ხალხის მწუხარება და წადილი“ („დავითიანის“ 1881 წ. გამოც. გვ. V). მართლაც, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ძველ ქართულ პოეზიაში ჩვენი ხალხის ეროვნული ბედ-იღბალი ისე არავის წარმოუხსახავს, როგორც დავით გურამიშვილს. მთელი „დავითიანი“ ამ უწმინდესი თემის დრამატული განცდის ნაყოფია. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ „ქართლის ჭირის“ ასე ძლიერად გამოსახატავად გურამიშვილმა მიაგნო შესაფერ პოეტურ კილოს. მის სადა და ამასთან ჭარბი კოლორიტით აღსავსე თხრობაში მახვილი მემატიანის თვალთ აღდგენილია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმძაფრესი ეპოქა, როცა პოეტისავე სიტყვით: „იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი“.

დავით გურამიშვილის დიდ პოეტურ შთაგონებას კვებავდა მართლაც არაჩვეულებრივი მეხსიერება. ეს მხოლოდ დიდი ტალანტის შემოქმედთა უძვირფასესი თვისებაა. პოეტმა ათეული წლების მანძილზე ხელუხლებლად შემოინახა მისი ყრმობისა და სიჭაბუკის დღეთა მოგონებები. ისევე არ მოსდებია მათ დროის მსახვრალი ჟანგი, როგორც პოეტის თავანკარა ქართულს სხივი და მადლი მშობლიური მხარისა.

„ქართლის ჭირის“ აღწერისას აქ ისეთი დეტალებია გადმოცემული, რომ ცოცხლად წარმოგვიდგენს მთელი ეპოქის ხასიათს, გვიხატავს დალუპვის პირამდე მისული ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ სურათს:

ადარკინ იყვის ღვინითა  
აღმაქსებელი ჭურისა,  
შემციოდის ხართა ნახნავი,  
მოსწყდის ნაწველი ფურისა.

ტოტალური სიგლახაკის, „სიყმილის“ გადმოსაცემად პოეტი დასძენს, რომ „შეიმუსრაო ძალი პურისა“. ეს მხატვრული ფრაზა ალბათ თავისი შთაბეჭდილებით ტოლს არ დაუდებდა ცნობილ ბიბლიურ გამოთქმას „არსებობის პურის“ შესახებ.

საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი კი, მართლაც, ბეწვზე ეკიდა. ფეოდალური წინააღმდეგობანი შიგნიდანვე ღრღინდნენ ქვეყანას. ქართველმა კაცმა აღარ იცოდა სად შეეფარებინა თავი. უკულმართი მებატონეებისაგან შეწუხებული მშრომელი მოსახლეობა ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გაქცევით შველოდა თავს, თუმცა ამაოდ. ერთ მებატონეს უბრალოდ მეორე ცვლდა ან კი ძველი მოაგნებდა და იძულებით აბრუნებდა უკან (ე. წ. მასიური „მყრელობა“ სწორედ ამ ეპო-

ქის დამახასიათებელი ტერმინია“ რაც ასახულია კიდევ ვახტანგ მე-  
ექვსის სამართალში).

სწორედ ამ ხანებში ჭირივით მოედო ქვეყანას სხვა სოციალური  
სენიც. შემზარავი ხასიათი მიიღო „ტყვეებით ვაჭრობამ“. მეურნეობის  
მოშლის გამო მატერიალურ დანაკლისს ფეოდალები „ცოცხალი საქონ-  
ლის“ ყიდვა-გაყიდვით ინაზღაურებდნენ და გარეშე მომხდურთ „ეცი-  
ლებოდნენ“ ამ სამარცხვინო საქმეში.

კიდევ უფრო გახშირდა ფეოდალური ხასიათის ძმათა სისხლის-  
მღვრელი ომები. დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება უძლუ-  
რი იყო აელაგმა განუწყვეტელი კინკლაობა დიდგვაროვანთა შორის.  
აღზევების მოსურნე ფეოდალები ცალ-ცალკე უკავშირდებოდნენ უცხო  
ძალებს და ურცხვად თავაზობდნენ სამსახურს საკუთარი ქვეყნის და-  
საოტრგუნავად.

ამასთან კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ამ ხანებში რამდენ-  
ნად იყო გამძაფრებული პოლიტიკურად საერთაშორისო ვითარება.  
რამდენიმე დიდი ქვეყანა ეცილებოდა ერთმანეთს დასუსტებული ქარ-  
თული სამთავროების ხელყოფაში (გურამიშვილის მხატვრული შედა-  
რებით „სამი ვეშაპი“ იბრძოდა ერთი მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად).  
საბოლოოდ აიშვეს თავი დაღესტნელმა აბრაგებმა, რომლებიც „მკა-  
ლივით“ მოედნენ ქართლ-კახეთის სანახებს. მემატიანის სიზუსტით  
და ამასთან მხატვრული ექსპრესიითაა გადმოცემული „ქართლის ჳი-  
რის“ შემზარავი ამბავი:

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,  
ჩერქეზ, ლილივი, დიღო, ქისტი,  
სრულად ქართლის მტერი იყვნენ,  
ყველამ წაკრა თვითო ჳიშტი!  
მერმე შინათ აიშალნენ,  
ძმამ მოუღღა ძმასა ყისტი:  
თავის თავსა ხმალი იცეს,  
გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

მახვილად შერჩეული ფაქტების სიუხვე და მათი ანალიზის შესა-  
შური უნარი საშუალებას აძლევს პოეტს წარმოაჩინოს ღრმა სოცი-  
ალური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებმაც ქვეყანა დაღუპვის  
პირას მიიყვანა.

დავით გურამიშვილი ამ შემთხვევაშიც ერთგვარად იზიარებს შუა  
სატყუენტა იდეოლოგიის ძირითად თემას „მიზეზთა მიზეზის“ შესახებ,  
რასაც საბოლოოდ „უზენაესი მსაჯულისაკენ“ მივყავართ: „ღვთის  
რისხვა“ ისევ და ისევ კაცობრიობის მიერ არჩეული „მრუდი გზის“  
შედეგია. ავტორის აზრით, საქართველოში დატრიალებული ცოდვის  
კითხვაც „საღმრთო საქმეთა“ ღალატმა გამოიწვია.

მაგრამ როცა კონკრეტულ მოვლენათა ანალიზზე მიდგება საქმე,  
აქ ავტორი ფაქტებიდან ამოდის. დასკვნებიც ზუსტი და დამაჯერებე-  
ლია. სხვათა შორის, ამავე ეპოქას რამდენიმე ისტორიული თხზულება  
ეძღვნება, რომლებიც ასევე თანამედროვეთა მიერაა დაწერილი. აქ

პირველ რიგში ვგულისხმობ სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის მატრიანეებს, ეგვევ ეპოქა განხილულია ვახუშტის ვრცელ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ისტორიულ მოვლენათა სწორი კვალიფიკაციებით და განზოგადების ძალით „დავითიანი“ ყველა მათგანს აღემატება.

იგი ყურადღებას იპყრობს სხვა მხრითაც. ისტორიკოსმა ვარლამ დონდუამ ამასთან არაერთი მაგალითი წარმოადგინა, როცა თვით ფაქტების გადმოცემის სიზუსტეშიც გურამიშვილი მეტწილ შემთხვევაში უფრო სანდო და ობიექტურ ინფორმაციას გვაწვდის (იხ. მისი „დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია“, 1956).

მაგრამ მაინც სხვა რიგის ღირსებები განაპირობებენ „ქართლის ჭირის“ დიდ ზემოქმედების ძალას. მემატრიანის „ცივ განსჯას“ პოემაში ცვლის ემოციური დაძაბულობა, აქ დომინანტობს მხატვრის „თვალის“, რომელიც ყოველთვის ხედავს უმთავრესს, ხოლო ცალკეულ ფაქტში აღმოაჩენს დაფარულ აზრს. პლასტიკურად დახატულ სურათებს, რომლებშიც ყოველი დეტალი ცხოვრებისეული სიმართლითაა ნაწერი, ენაცვლება ფართო განზოგადების მხატვრული სახეები, მოულოდნელი და გაბედული მეტაფორები.

სწორედ გურამიშვილს ეკუთვნის აწ, ალბათ, უკვე დაუვიწყარი ფიგურალური თქმა, რომ მისი დროის საქართველო ჰგავდა უკულმართად გადახნულ მიწებს. ხოლო შემდეგ პოეტი გვიხატავს გუთნისდენდასა და მფარცხველს, რომლებიც ასევე უკულმართად ირჩებიან: პირველი ხნულს აღმართში ავლებს, ხოლო მეორე ნახნავს ზემოდან ქვემოთ ფარცხავს. მხატვრულ შედარებას შესაფერი მკაცრი დასკვნები ახლავს:

ვინც რომ ისრე უკულმართად,  
მრუდათ ხნას და თესოს, ფარცხოს,  
ის მე პურსა ნულარ მაქმევეს,  
რაც იმ ფქვილით გამოაცხოს...  
უკულმართად ხვნა და ფარცხვამ  
ეს ნაყოფი გამოილო:  
მოგვითხარა ქართლ-კახეთი,  
ძირ-ფესვიან ამოილო...

ასეთივე, მართლაც, გურამიშვილისეული პოეტური სახეა, როცა იგი ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის დაუსრულებელ შეტაკებებს მამლების ძიძგილაობას ადარებს, რითაც ასე მარჯვედ სარგებლობდაკარს მომდგარი ათასი ჯურის მტერი და გადამთიელი.

და მაინც „ქართლის ჭირის“ მხატვრული შთამბეჭდაობის ძილას უზომოდ აღვივებს ის, რომ ყველაფერი ეს პიროვნულადაა განცდილი და დაკავშირებული პოეტისავე სულიერ ბიოგრაფიასთან. როგორც ითქვა, „ქართლის ჭირი“ ავტორის საკუთარ „ჭირადაა“ წარმოდგენილი, ხოლო მისი პირადი ტრაგიკული ხვედრი ცხოვრების იმავე „ძირ-მწარე“ ბალახითაა ნასაზრდოები, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ

ვთქვით, „ორგემავე წუთისოფლის“ მუდმივი თანამგზავრია.

... ამიტომაც, „ქართლის კირის“ ღრმა ფილოსოფიური დასკვნები არ იფარგლება მარტო XVIII საუკუნის გარკვეული მონაკვეთით და „საქართველოს ცხოვრების“ ბევრად უფრო ფართო სივრცეებს სწვდება. ჩვენი ხალხის სულიერი ავ-კარგის წარმოჩენის გზაზე დავით გურამი-შვილმა ქართულ მწერლობაში მანამდე უცნობ მწვერვალებს მიაღწია და შეუპოვარ ძიებათა შედეგი სამარადისოდ აღბეჭდა კიდევ „დავითიანის“ ფურცლებზე.



... დავით გურამიშვილის ეპოქის კულტურული მოძრაობა, როგორც ზემოთაც ითქვა, განმანათლებლურ მიზნებს ისახავდა. ქართველი მწერლები, სწავლული მწიგნობარნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ისტორიული უკუღმართობის გამო კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა იმდროინდელ ცივილიზაციას ზიარებოდა.

... XVI—XVIII საუკუნეებში კვლავ აღორძინდა ჩვენში უცხოურ თხზულებათა გადმოქართულებისა თუ თარგმნის ხელოვნება, რაც, ბუნებრივია, უწყობდა ხელს ჩვენი ხალხის კულტურული ჰორიზონტის გაფართოებას, მხატვრული გემოვნების ზრდა-განვითარებას (რასაკვირველია, აქ მათი ჩამოთვლა ზედმეტი იქნებოდა).

... განსაკუთრებული ყურადღების საგანი აღმოჩნდა, ასევე სრულიად გასაგები მიზეზების გამო, დიდაქტიკური მიმართულების მწერლობა. ითარგმნა არაერთი დიდაქტიკური შინაარსის თხზულება, როგორც აღმოსავლური ლიტერატურიდან, ისე დასავლური. კერძოდ, ანტიკური მწერლობიდან. როგორც უკვე მოვისხენიე, თვით ვახტანგ მეექვსის ხელშეწყობითა და მონაწილეობით ითარგმნებოდა რუსული ენიდან მსოფლიოში გავრცელებული დიდაქტიკურ მოძღვრებათა კრებულები (ე. წ. „აპოვფთევმატა“). ჩვენშიც შეიქმნა რამდენიმე ორიგინალური დიდაქტიკური ხასიათის თხზულებაც. ნიმუშად მარტო სულხან-საბას დიდებულის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ იკმარებდა, რომლის მთავარი თემა სწორედ სწავლა-აღზრდის საკითხებია.

ქართველ განმანათლებელთა მიზანი ნათელი და სავსებით კონკრეტული იყო. ალბათ არაფერი ისე არ სჭირდებოდა შინაური თუ გარეული მტრებისაგან გულმეწუხებულ ქვეყანას, როგორც ჰუმანიტ საწყისებზე აღზრდილი ადამიანები, რომლებიც გონივრულად იბრძობდნენ ქვეყნის განახლებისათვის.

დავით გურამიშვილმაც ასევე დიდი ადგილი დაუთმო აღნიშნულ დარგს. ისევე როგორც სულხან-საბამ, დავითმაც გადაამუშავა და საკუთარ მიზნებს დაუმორჩილა მორალური შეგონებანი, სხვადასხვა ტიპის მოძღვრებანი, მართლაც „დავითიანის“ პირველი თავები ფაქტიურად სწავლა-აღზრდის საკითხებს ეხება („სწავლა მოსწავლეთა“) და კარგად წარმოაჩენს მისი ავტორის ჰუმანიზმსა და დემოკრატიულ სულისკვეთებას. აქ ცნებათა მთელი კოდექსია გადმოცემული და სი-

ბრძნის დაუფლებისაკენ მიმართავს ახალგაზრდა მკითხველს (აქაც იგი, ისევე როგორც მისი მოძღვარი ვახტანგ მეექვსე, ორმაგი სიბრძნის, ე. ი. საერო და სასულიეროს შეთვისებისაკენ მოუწოდებს მათ).

გასაგებია პოეტის მეტაფორაც, რომ სწავლა სინათლეა და როგორც მზეს ეტანება ბუნების ყოველი ქმნილება, ადამიანიც მთელი თავისი არსებით სწავლა-განათლებისაკენ უნდა ისწრაფვოდეს. იგი უსწავლელ ადამიანს ხან უხორთუმო სპილოს, ხან უკლანჭებო ვეფხვს ადარებს და სრულყოფილი ადამიანობის უპირველეს კრიტერიუმად მისი განათლების დონეს მიიჩნევს. შუა საუკუნეებისათვის აქსიომად ქცეული ბიბლიური მოტივი „ადამიანი ტანჯვისათვის არის მოვლინებული ამ ქვეყნად“, აქ მოდიფიცირებულია დებულებით, რომ სწავლა-განათლებისათვის გაწეული გარჯა დიდი, მარადიული სიკეთისაკენ მიმართავს ადამიანს...

„სწავლა მოსწავლეთას“ ავტორმა კარგად იცის, რომ შიშველი სახით მოწოდებული მორალისტიკა კედელზე შეყრილი ცერცვივით დაეფანტება მკითხველს. პოეტმა იზრუნა კიდევ შესაფერი მხატვრული ფორმისათვის. ღრმა, ცხოვრებისეული დაკვირვებები აქ წარმოდგენილია მოულოდნელი მეტაფორებით, სხარტი, ფრთიანი ფრაზებით. ამიტომაც, რომ პოეტის სამშობლოში ძნელად იპოვნით კაცს, რომელმაც არ იცოდეს გურამიშვილის ბრძნული შეგონებები, ზეპირად არ ახსოვდეს ლაპიდარული სტილით გადმოცემული გონიერული აზრები. კანონიერი სიამაყით წერდა ამის გამო ილია ჭავჭავაძე, რომ „დავით გურამიშვილის დიდაქტიური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდაც ლუკრეციუსის, ვერგილიუსისა და ჰორაციუსის დიდაქტიურ პოეზიას დაუყენოთ პირისპირ“.



ქართულმა მწერლობამ XVIII საუკუნემდე, ვიდრე გურამიშვილი და მისი თანამედროვენი გამოვიდოდნენ პოეტურ ასპარეზზე, განვითარების დიდი და მრავალსაფეხურიანი გზა განვლო. ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების შესაბამისად მას ჰქონდა როგორც აღზევების, ისე დაქვეითების აშკარა მაჩვენებელი სიმპტომები. იყო ისეთი უამიცი, როცა დადუმდა ქართული პოეზიის დიდებული ქნარი. დიდი ივანე ჯავახიშვილი წერდა ზუსტად აღნიშნულ ეპოქასთან დაკავშირებით: რომ არ ვიცოდეთ რა მოხდა შემდგომში, იქმნებოდა სრული შთაბეჭდილება, რომ ამ ხანებში ქართული პოეზიის დიდ ქურაში სამუდამოდ დაიფარვლა ქართველი ხალხის შემოქმედებითი ცეცხლი (ისტორიკოსი პირველ რიგში გულისხმობდა მონგოლთა შემოსევების მომდევნო ხანას, კერძოდ, XV—XVI საუკუნეებს).

მაგრამ, მიუხედავად არც თუ ხელსაყრელი ვითარებისა (მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ არც XVII—XVIII საუკუნეებში იდგა საქართველოსათვის ნებიერი დღეები), ბრძოლა აღორძინებისათვის მაინც დაიწყო, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ქართველი მწერლები და

საერთოდ „წიგნის კაცნი“ (თეიმურაზ პირველი, არჩილი, იოსებ თბილელი და სხვ.), განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართველ განმანათლებელთა მოღვაწეობა (სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე, ვახუშტი და სხვ.), რომელთა რიგებს ამშვენებდა დიდი პოეტი და მამულიშვილი დავით გურამიშვილიც.

ბუნებრივია, რომ აღორძინებისათვის ბრძოლა ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებს უნდა დაყრდნობოდა, უწინარეს კი რუსთველის დიდ მემკვიდრეობას.

კვლავ დაიწყო პოლიტიკური შეუთავსებლობის გამო აღმოსავლეთთან დარღვეული კულტურული კონტაქტების აღდგენა. სწორედ ამ ხანებში ითარგმნა სპარსული პოეზიის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში, ხოლო პირველ რიგში სპარსული ნაციონალური ეპოსი „შაჰ-ნამე“, მოსინჯულ იქნა ნიადაგი დასავლეთ-ევროპულ და რუსულ მწერლობასთან ლიტერატურული ურთიერთობის განსამტკიცებლად. როგორც ცნობილია, ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა მოსკოვის ქართულმა კოლონიამ, რომლის ერთი წევრიც დავით გურამიშვილი იყო. ამ საკითხების შესანიშნავი მცოდნე ვ. დონდუა მართებულად შენიშნავდა ამის გამო, რომ რუსეთში დიდი რაოდენობით ლტოლვილ ქართველობას „უთუოდ ჰქონდა დასახული სამხედრო-პოლიტიკურის გარდა, აგრეთვე სასწავლო-კულტურული ამოცანები, რუსული კულტურის მიღწევათა ადგილზე გაცნობა და შეთვისება. უამისოდ გაუგებარი იქნებოდა იმდენი განათლებული კაცის ისე შორს გამგზავრება“ (იხ. ვ. დონდუა, ვახტანგ მეექვსის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. მიმომხილველი, III, 1953, გვ. 45—46). თითქოს ამ შეუქცევად პროცესზეა ნათქვამი შემდგომ ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვების „უამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო, მოაქვთ მამულში განთლება და ხმა საამო“.

ქართული მწერლობის ამ ერთ-ერთ ურთულეს ხანაში დავით გურამიშვილი ძალზე განსხვავებულ გზას ირჩევს. პირველ რიგში აქ იგულისხმება შემდეგი: XVI—XVIII საუკუნეთა ქართულ მწერლობაში ლიტერატურული ატმოსფეროს გამოცოცხლებასთან ერთად აშკარად შეიმჩნევა ეპიგონიზმის დიდი ნაკადი, ხშირ შემთხვევაში კლასიკური ტრადიციების შემოქმედებითად ათვისების ნაცვლად აქ მიბაძვა-გავლენებს უფრო ვხედავთ. ბუნებრივია, მიბაძვის ობიექტი პირველ რიგში იყო შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. როგორც ეპიგონურ მწერლობას სჩვევია, ბაძავდნენ ფორმას, ხოლო თვით „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრულად განხორციელებული ესთეტიკური ფასეულობანი მათთვის ფაქტიურად შეუმჩნეველი რჩებოდა.

გურამიშვილი პირველთაგანი მოწყდა აგრე რიგად მომძლავრებულ ეპიგონურ ბირთვის (ეს აზრი შესანიშნავად გამოხატა შემდეგში აკაკი წერეთელმა). სწორედ რუსთველთან გურამიშვილის მიმართება არის ნიმუში შემოქმედებითი მემკვიდრეობისა. ეს არის ტრადიციისა და ნოვატორულ ძიებათა იმ უნივერსალური პროცესის კიდევ ერთი მეტყვე-

ლი მაგალითი, რის გარეშეც მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ერთ ადგილზე ტყეპნას დაემსგავსებოდა.

დავით გურამიშვილი ახალი ისტორიული ამოცანების წინაშე იდგა და შესაბამისად მის პოეზიაში თავი იჩინა ბევრმა მანამდე უცნობმა თემებმა და მოტივებმა, რომელთა გადმოსაცემად პოეტმა გამოიხატა პოეტური მეტყველების სრულიად ახალ-ახალი ფორმები.

მართლაც, მის პოეზიაში მინიმუმამდეა დაყვანილი კლასიკური პოეზიისათვის დამახასიათებელი ზოგი პირობითობა, ხოლო სიმძიმის ცენტრი გადახრილია პოეტური სათქმელის უშუალოდ გამოხატვისაკენ. გურამიშვილმა, პირველ რიგში, საკუთარი სულიერი ბიოგრაფიის გადმოცემასთან ერთად მასსავით მრავალტანჯული საკუთარი ქვეყნის მხატვრული მატრიანის შექმნა დაიხატა მიზნად და ჭარბ მხატვრულ სამკაულთაგან თავისუფალი, ძალზე კონკრეტული დეტალებით დატვირთული პოეტური თხრობის იშვიათ ოსტატად მოგვევლინა. სწორედ ამის გამოც, უნდა ვიფიქროთ, მანვე ერთმა პირველთაგანმა ქართულ პოეზიაში ფართოდ გაუღო კარი ქართულ ფოლკლორს, სადა, ხალხურ ფრაზეოლოგიზმებზე დამყარებულ მეტყველებას (როგორც ვნახეთ, ამავე მეთოდს იყენებდა იგი სპეციფიკურ სასულიერო ჰიმნებშიც). პოეტის მიერ არჩეული ეს გზა, როგორც ცნობილია, კეთილისმყოფელი აღმოჩნდა ქართული მწერლობის განვითარების შემდგომ ეპოქებშიც.

ბუნებრივია, რომ ასეთი არჩევანის შემდეგ გურამიშვილისეული მხატვრული მიჯნების მიღმა რჩებოდა აღმოსავლური პოეზიის ზედმეტად „ყვავილოვანი“ სტილი, რომელიც განსაკუთრებულად იყო მოძალეებული XVI—XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში. ასეთი ორიენტაციის გამო დავით გურამიშვილი უნდა ვაღიაროთ ახალი ქართული პოეზიის, პირველ რიგში XIX საუკუნის პოეზიის, ერთ უშუალო წინამორბედად.

ილია ჭავჭავაძე ასეთი ტიპის კულტურულ მოძრაობას უკავშირებდა სწრაფვას ახალი ცივილიზაციის ქვეყნებისაკენ და როგორც ცნობილია, მის სათავეებთან სწორედ დავით გურამიშვილს იგულისხმებდა.

გურამიშვილის შემოქმედება კიდევ მრავალ ასპექტს შეიცავს, რომელთა შესახებ საუბარი ამჯერად სცილდება ჩვენს წერილის ფარგლებს (აქ ვგულისხმობ გურამიშვილის სახელთან დაკავშირებულ ზოგიერთ მხატვრულ აღმოჩენასა თუ ვერსიფიკაციულ ძიებებს, რაზედაც დაკვირვებები წარმოდგენილია ნაშრომის სხვა თავებშიც). მაგრამ, ვფიქრობ, რომ ზემოთ წარმოდგენილი ზოგიერთი დაკვირვება მაინც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის მის პოეტურ პროფილზე, გურამიშვილის ადგილზე ქართული მწერლობის ისტორიაში.

დასასრულ კი, ცხადია ისიც, რომ დავით გურამიშვილმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაასრულა ქართული მწერლობის ერთი დიდი მონაკვეთი (იგულისხმება ძველი, ანუ შუა საუკუნეების ქართული მწერლობა), რომლის არაერთი ნიშანთვისება აშკარად ატყვია სპირიტუალისტური მიდრეკილებების მქონე მის მრავალფეროვან პოეზიას. მაგრამ ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ დავით



გურამიშვილმა თავისი ღრმა ნოვატორული ძიებებით ერთმა პირველ-თაგანმა წარმოაჩინა ქართული პოეზიის ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც სრულიად ახალი პორიზონტების დაუფლებისაკენ მიმართავენ მამაკალში ქართულ მწერლობას.

1962—1980 წწ.

### ცნობრება ბესიკ გაბაშვილისა

XVI—XVIII საუკუნეებში შეიქმნა პირობები, რომ ოდნავ მაინც გამოცოცხლებულიყო ქართული მწერლობის დიდი ტრადიციები, გაღვივებულიყო ისტორიული ქარტეხილების გამო ნაცარწყაყრილი განათლების კერა. თუმცა, უნდა ითქვას, მშვიდი და მყარი ცხოვრებით არც ამ ხანებში იყო განებივრებული ქართველი ხალხი. იგი ბევრჯერ მდგარა ეროვნული კატასტროფის წინაშე (შაჰ-აბასის შემოსევები, ლეკიანობის მომძლავრება და ა. შ.); მაგრამ ჩვენმა დიდებულმა მოღვაწეებმა მაინც გამონახეს სულიერი ძალები, რომ კვლავ განახლებულიყო შეწყვეტილი ინტელექტუალური ცხოვრება. სწორედ ამ ეპოქას ამშვენებს სახელები ისეთი გამოჩენილი მწერლებისა, როგორცაა თეიმურაზი და არჩილი, სულხან-საბა და ვახტანგი, გურამიშვილი და ბესიკი.

თუ არჩილმა, სულხან-საბამ სოციალურსა და ეთიკურ საკითხებზე დააფიქრა ქართველი მკითხველი, დავით გურამიშვილის პოეზიის უპირველესი თემა ეროვნული ტკივილების გამოხატვაა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ძველ ქართულ პოეზიაში, ჩვენი ხალხის ეროვნული ბედობალი ისე არავის წარმოუხსახავს, როგორც ეს დავით გურამიშვილმა შეძლო. უნდა შევნიშნო, რომ ბესიკის შემოქმედება თუმცა იცნობს ამ საკითხებს, მაგრამ მისი პოეზია მაინც სხვა მხრივ არის მიმართული. იგი სილამაზისა და ადამიანის მშვენიერ გრძნობათა დიდი მომღერალია. ბესიკს არაჩვეულებრივად აქვს გამახვილებული სილამაზის. მხატვრული ფორმის გრძნობა და მისი ლირიკული შედეგები სიყვარულის რომანტიკული განცდის შედეგია. ამასთან, ბესიკს ჰქონდა ერთი ისეთი ღირსებაც, რომელიც მის პოეზიას ახალ შნოსა და ლაზათს მატებდა: თავის ლექსებს მან თითქოს დაუბრუნა ძველი ლირიკის თვისებები და იგი კვლავ სიმღერა-მელოდიას დაუკავშირა. ამ მომენტმაც განსაკუთრებით განაპირობა ბესიკის დიდი პოპულარობა მის თანამედროვეთა შორის. საკმარისია აქ გავიხსენოთ იოანე ბატონიშვილის სიტყვები: „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიტიკოსი; მოშიარე მჰსგავსი რუსთელისა, რომელმანც მრავალი საამო შაირნი დასწერაო“. გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ „მან 13. ს. ცაიშვილი

მრავალი შიირი დასწერა სპარსთა ხმათა ზედა სამღერალი ქართულისა ენითა... გააკეთა სხვათა და სხვათა ხმათა ზედან სიმღერისა ლექსები“, მაგრამ არსებითად ბესიკმა სრულიად გააქართულა სპარსულ-არაბული „მუხამბაზები“ თუ „მუსტაზადები“ და ახალი ფორმები შესძინა მშობლიურ პოეზიას. ბესიკის სახელი ერთგვარ მეტრად გადაიქცა მის თანამედროვეთა შორის და მას მიმბაძველების მთელი ზღვა გამოუჩნდა. სამწუხაროდ, მიმბაძველთა ხელში დაკნინდა ბესიკის მძაფრი დრამატიზმით დატვირთული ლექსი და უხვირო, დარდიმანდულ მონოლოგებად გადაიქცა. ამ მოვლენას პქონდა თავისი ღრმა მიზეზები. ბესიკთან ერთად ამოიწურა ძველი ქართული პოეზიის როგორც შინაარსი, ისე ფორმალური შესაძლებლობანი. ძველი ქართული მწერლობის მასაზრდოებელი საფუძვლები ამ დროისთვის უკვე შერყეული იყო და ქვეყანა მნიშვნელოვანი ძვრების მოლოდინში იმყოფებოდა. ბესიკი იყო ამ გარდამავალი დროით გამოწვეული ტკივილების უკანასკნელი დიდი მომღერალი.

ბესიკმა პირადად იწვნია თავისი დროის მთელი უკულმართობა და სამშობლოდან შორს ყოფნის სიმწარეც ბევრჯერ გამოსცადა. მანაც გაიზიარა ბევრი ქართველი მოღვაწის ბედი და სამუდამოდ მიიძინა შორეულ ქვეყანაში.

ქვემოთ მოთხრობილია ბესიკ გაბაშვილის მოკლე თავგადასავალი. პოეტი და ესთეტი, ამავე დროს იყო მოგზაური და ნაცადი დიპლომატი. იგი არ მდგარა მაშინდელი პოლიტიკური მოვლენების ჩრდილში და მისი ბიოგრაფიის გადმოცემასთან ერთად მოგვიხსენებთ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ საქართველოს ისტორიული ცხოვრების მღელვარე პერიოდი.

### პოეტის მამა — ზაქარია გაბაშვილი

1744 წელი აღმოსავლეთ საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი თარიღია. ნადირ-შაჰმა თეიმურაზი ქართლის მეფედ, ხოლო მისი ვაჟი ერეკლე მეორე კახეთის მეფედ დაამტკიცა. მემბტიანე სიხარულით გადმოგვცემს ამ ამბავს: „ქორონიკონს ულბ (1744 წ.), თვესა ივლისსა, მოუვიდა ქართლის ბატონობის ამბავი მეფე თეიმურაზს, კახეთის ბატონობა ძესა მეფისასა ერეკლეს, იყო ქართლსა და კახეთს სიხარული უზომო“, ყველაფერი ეს სრულიად გასაგებია. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედიდან მოკიდებული როცა ვახტანგ VI თავისი მრავალრიცხოვანი ამალით იძულებული შეიქმნა რუსეთს გადახვეწილიყო. ქართლი საშინელმა ანარქიამ მოიცვა. გარეული და შინაური მტერი ერთმანეთს ეცილებოდა ქვეყნის იავარყოფაში. ქართლის ტახტი ნელიდან ხელში გადადიოდა. სრულიად მოიშალა სახელმწიფოებრივი ცხოვრება. სპარს-ყიზილბაშობასა და თურქ-ოსმალობას ერთიორად გადააქარბა დაღესტნელი აბრავების გამუდმებულმა თარეშმა. საბედისწერო კახეთს კაცისიანს ვადმოღმა. დღევანდელი სანჯაღის გარდაღ-

რიანზე ლეკთა ტომების ჩამოსახლება, რაც ჯერ კიდევ XVI საუკუნი-  
დან დაიწყო. ამით მოიშალა ბუნებრივი ზღუდე აღმოსავლეთ საქარ-  
თველოდან, ხოლო აქ ჩამოსახლებულ დაღესტნელთა კოლონიები ყა-  
ჩაღების ბუდედ გადაიქცა. შეიქმნა პირდაპირი გამჭოლი სათარეშო  
გზები საინგილოდან ახალციხის საფაშომდე და უკან. არანახული სახე  
მიიღო ტყვეთა მოტაცებამ და ყიდვა-გაყიდვამ. გულისტკივილით წერ-  
და ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი: „დაიცალა საბარათაშვილო, სომ-  
ხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზე-  
მო ქართლში და საერისთაოებში, აღარსად დარჩა შენობა იმ მხარეს,  
მცირედნი კაცნი (ქვეშის) ციხეში იდგა... იყო ცემა ლეკთაგან მარადის  
და ოხრება საქართველოსა შინა“. ლეკთა თავდასხობამ კიდევ უფრო  
იმბატა 1723 წლიდან, როცა ისინი ოსმალთა წაქეზებით კალიასავით  
მოედნენ აღმოსავლეთ საქართველოს. ეს იყო ნამდვილი ეროვნული  
უბედურება. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს ერთ ასეთ თავდას-  
ხმას: „ამ ეამთავე მოადგნენ ლეკნი ჰალას. მოკლეს ამილახორი რევა-  
ზის — შვილი ერასტი და შემუსრეს ჰალა, გამოიყვანეს ჩ (1000) სულ-  
ნი ტყვედ და წარვიდნენ. განა თვინიერ ამისა და ამათ ჰირთა შინა,  
რომელი იყო ოსმალთაგან გაზაფხულ-შემოდგომას მარადის ატყვე-  
ვებდნენ ლეკნი, რამეთუ ჯარად და ჯარად გამოვიდიან ჩ (1000) უმე-  
ტესი და უმცირესნი“. სპარსეთის, ოსმალეთისა და ყირიმის ბაზრები  
სავსე იყო მოტაცებული ქართველებით. ყველა შემატანეზე უფრო  
ცხოვლად გვიხატაეს ამ ძნელბედობის დროებს დიდი ქართველი პო-  
ეტი დავით გურამიშვილი:

ქართლის ჰირსა ვერეინ მოსთელის, თუ არ ბრძენი, ენა-მჟევრი  
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერთხი...  
თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი, დიდო, ქისტნი,  
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი!

ეს საშინელი უბედურება გურამიშვილმა თავის თავზეც იწვნია და  
არანახული ტანჯვა-წვალებით ძლივს დააღწია თავი ავაზაკთა ბუნავს.  
თითქოს გურამიშვილის ტყვედ გატაცების ამბავს მოგვითხრო-  
ბდეს თავადი ამილახვარი: პატარა ჩგუფებისაგან შემდგარი ლეკი  
აბრაგები ქართლსა და კახეთში დაძრწიან და გამვლელ და ველზე სა-  
მუშაოდ გამოსულ ქართველებს ატყვევებენ, რის გამოც ბევრი საცხოვ-  
რებელი ადგილი დაცარიელდა. კაპიტანი იაზიკოვი თავის ცნობილ  
წიგნში — „წერილები საქართველოზე“ ამ უბედურების საერთო სუ-  
რათს ხატავს: ლეკები უკვე ას წელზე მეტია, რაც ქართლსა და კახეთს  
აოხრებენ და მოგზაურს ფეხის ყოველ ნაბიჯზე დანგრეული და გაღა-  
ტაკებული ქალაქები და სოფლები ხვდებოა. დავით ბატონიშვილი  
„ახალ ისტორიაში გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „არასოდეს მო-  
იხსენების და ვერც დაიტევს ისტორია ესე თუ ვითარი ოხრება იყო  
ლეკთაგან საქართველოსა შინა“.

თეიმურაზ II-ის ქართლში გამეფება ფაქტიურად იყო მთელი აღ-  
მოსავლეთ საქართველოს გაერთიანება. თეიმურაზ მეორესა და ეანსა-

კუთრებით მის მამაც ვაჟს ერეკლეს ამ დროისათვის დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. ხალხი იმედის თვალთ უცქერდა თეიმურაზ-ერეკლეს აღზევებას. გამეფებას ამ მხრივაც სხვა რიგის მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქართლ-კახეთმა განსაკუთრებულად იზიჱმა ეს ამბავი, ხოლო ეკლესიამ ძველებური გვირგვინის კურთხევა მოაწყო სვეტიცხოველში. პაპუნა ორბელიანი, თეიმურაზისა და ერეკლეს მოღვაწეობის შესანიშნავი აღმწერი, დიდი აღფრთოვანებით გადმოგვცემს მეფის კურთხევის ძველი ტრადიციული წესების აღდგენას და ამასთან დასძენს: „ვითა მართებდათ ქართველთა, ეგრე გულ-სრულობით სიხარულს არ დააცადებდნენ, ამით რომე დიდი ხანი გარდაცვლილი იყო (ე. ი. დიდი ხანი ვავიდაო) ქრისტიანე მეფე არა სჯდომოდათ, მერე კურთხევით გვირგვინოსანი მეფე არ ეხილათ: ეხლა ეს ღვთის წყალობა მოევლინათ, ქრისტეს მორწმუნე და სარწმუნოება შეურყეველი მეფე დაუჯდათო“.

თეიმურაზმა და ერეკლემ არაჩვეულებრივი მსნეობა გამოიჩინეს და ბევრად უკეთ წაიყვანეს ქართლ-კახეთის აფორიაქებული საქმეები. თეიმურაზისა და განსაკუთრებით ერეკლეს ენერგიული მოქმედების შედეგად უკან იხევდა ლეკთა თავგასული თარეში. ზედიზედ აღიარებდნენ ქართლ-კახეთის პირველობას მანამდე მტრულად განწყობილი მეზობელი სახანოები. ერეკლე მძლავრ მარწუხებს უჭერდა თავკერძა თავადების მისწრაფებებს და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მეურნეობის გამოცოცხლებას. ქვეყანამ კრილობების მოშუშება დაიწყო და აღორძინების გზას დაადგა. სამეფო კარზე კვლავ გაჩაღდა დიდი ხნით შეწყვეტილი აღმშენებლობა. ეს იყო, ერთგვარად, ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის საქმიანობის განაზღვება.

სწორედ ამ ხანებში ქართლში მეფეთა კარზე მოღვაწეობდა ბესარიონ გაბაშვილის მამა ზაქარია, რომელსაც კარის მოძღვრის საპატიო თანამდებობა ეკავა. გაბაშვილები ძველი ფეოდალური გვარი ჩანს. როგორც ცნობილია, ძველს საქართველოში გვართან ერთად ზოგჯერ ამ გვარის რომელიმე გამოჩენილი კაცის სახელიც იხსენიებოდა და, მართლაც, რამდენიმე საბუთში გაბაშვილები „იობიანადაც“ იწოდებიან. გაბაშვილებს ოდითგანვე დიდი მამულები ეჭირათ თბილისის ახლანდელ ვერისა და ფიქრის გორის მიდამოებში, იქვე იყო მათი საგვარეულო სამარხიც. პოეტმა გიორგი ლეონიძემ ყურადღება მიაქცია ერთ გარემოებას. „ლურჯი მონასტრის“ კარიბჭის წარწერაში მოხსენებულია ვინმე „კეთილ ნაშრომი იობი“, რომელიც ყოფილა „მამა ერისთავთ ერისთავის ქართლის ამირასი და რუსთავისა და შვიდთა მთიულეთის პატრონისა, აბულასანისა და ზასილ ქართლისა მთავარ ეპისკოპოსს ყოფილისა“. აბულასანი თამარის დროის ცნობილი პიროვნებაა. „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემულია საინტერესო ამბავი, რომ თურმე ამ აბულასანის რჩევით გადაწყვეტილა თამარის საქმროს, გიორგი რუსის ჩამოყვანა: „გამო-ვინმე-ჩნდა მეტყველი მკვიდრთა ტფილისისათა შინა, თავადი და მეფეთ-მეფისაგან წყალობა-ხელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან, და მეტყველ-

მან თქვა: „მე ვიცი ზეილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარი რუსთანი. და იგი მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით დევნული გარდამოიხვეწა ბიძისა, სავალათად სახელწოდებულისაგან. და არს იგი ყიფჩაყთა მეფისა სევინჯისა ქალაქსო“ და ა. შ. თუ ჩვენ, მართლაც „ლურჯი მონასტრის“ წარწერაში ნახსენებ იობსა და მის ვაჟს აბულასანს გაბაშვილთა წინაპრებად მივიჩნევთ, მაშინ მომდევნო საუკუნეებში ეს გვარი ბევრად უფრო დაქვეითებული მოჩანს, XVII—XVIII საუკუნეებში ისინი უბრალო სახასო აზნაურებად იხსენებიან.

სხვათა შორის, ზაქარიასა და მის ვაჟებსაც თანამედროვენი ზოგჯერ „გაბაონელებად“ იხსენიებენ. არსებობდა კიდევ გადმოცემა, რომ თურმე გაბაშვილები წამოსულან პალესტინის იმ ცნობილი კუთხიდან, რომელსაც გაბაონი ეწოდება და დასახლებულან ჯერ მცხეთაში, ხოლო შემდეგ კი თბილისში.

ასეა თუ ისე, ისტორიული წყაროები, ძველი სიგელ-გუჯრები საკმაოდ მრავალრიცხოვან ცნობებს გვაწვდიან გაბაშვილებზე. მათი მამულები, როგორც აღვნიშნეთ, გადაჭიმული ყოფილა ძველი თბილისის გარეუბანში, ახლანდელ ვერის უბანში მტკვრის აუოლებზე. უნდა აღინიშნოს, — შენიშნავს გიორგი ლეონიძე, — რომ, სხვა სახასო აზნაურებთან. შედარებით, გაბაშვილები მაინც მალლა მდგარან ქონებრივად. ამ ფაქტს გვიდასტურებს მათი მიწათმფლობელობა. XVIII საუკუნეში მათ ისევ ვრცელი მამულები ეჭირათ. გარდა თბილისთან ახლოს მდებარე მამულებისა (ლისი, თხილოვანი, გდელისი, წოდორეთი, ოქროყანა), თვით თბილისში მათს საკუთრებას შეადგენდა დღევანდელი ვერის, ვაკის და მთაწმინდის ტერიტორიის შესამჩნევი ნაწილი, „ვერესგან შემდგარი დილმამდის“ მარტო ვაკეში, ვარაზის ხევ გაღმა საგაბაშვილოს ერთ წარმომადგენელს 143 დღიური მიწა ეჭირა, „სააგუროს მიწას გარდა“. გაბაშვილების მამული განთქმული ყოფილა ადგილმდებარეობით. ცნობილი მემუარისტი იესე ოსეს ძე ბარათაშვილი ასე აგვიწერს მის სიკეთეს: „კარგი მამულიც არის. გავიდოდი, შევექაფოდი, ოჩხსა, საფიჩხულესა, ზენასა, მკასა და სოფლობას ეგვანებოდა და მიხაროდის“. მაგრამ ამავე წყაროებით ისიც კარგად ჩანს, რომ ამ ხანებში გაბაშვილები საკმაოდ გაღარიბებულან და ფიზიკურ შრომასაც აღარ თაკილობენ. იგივე იესე ოსეს ძე იუწყება, რომ გაბაშვილებს „წყლის პირის მალლა ვერესაგან შემდგარი დილმამდის და გდელისი და თხილოვანი გირაოდ ქჷონდათ“.

ამასთან, როგორც „ტფილისის მკვიდრნი“, გაბაშვილები სასახლესთანაც ახლოს ყოფილან და ოდითგანვე სხვადასხვა თანამდებობა-სახელოებიც სჭერიათ. ასევე საპატიო თანამდებობისათვის მიულწევი ბესიკის მამასაც. თანამედროვეთა გადმოცემით იგი ფრიად განათლებული მწიგნობარი ყოფილა. იოანე ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ვაჟი, ასე ახასიათებს ზაქარია გაბაშვილს: „ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებისაცა მიწეწილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქალაგე. ეს იყო მშვენიერი მწერალი

და მთხზველი მაღალსა ფრასსა ზედა, უცხო პიტიკოსი და მღვდელობითა სრული, რომელიცა იქმნა მეფეთაცა მოძღვარიცა („კალმასობა“). მის მაღალ ფილოსოფიურ განსწავლულობას აღიარებდა აგრეთვე ჭერ მისივე მოწაფე, ხოლო შემდეგ იდეური მოწინააღმდეგე ანტონ კათალიკოსიც. ზაქარიას მიაწერს ზოგი მკვლევარი ცნობილ სატირულ პოემას „კატისა და თავის ომს“. პოეტის მამა დახელოვნებული მჭევრმეტყველიც ყოფილა (ცნობილია მისი სიტყვა სოლომონ პირველისადმი).

ზაქარიას მამა და თვით ზაქარიაც მანამდე ქვემო ქართლში, საორბელოში, მოღვაწეობდნენ. ჩვენამდე მოღწეულია ზაქარიას მიერ ამ ხანებში გადაწერილი სიგელები: „მე გაბაშვილს, დმანისის დეკანოზის შვილს, მღვდელს ზაქარიას დამიწერია“ და ა. შ. (საქართველოს სიძველენი, II). ამ ხანებში ლეკიანობა ძალზე მომძლავრებულა კახეთის სხვადასხვა კუთხეებში, კერძოდ, ქიზიყში მოლები ძალით ამაჰმადიანებდნენ თურმე ხალხს და საჭირო გახდა ენერგიული ზომების მიღება. როგორც ჩანს. მხნე ზაქარია ამ მიზნით ქიზიყში გადასულა და ბევრი მათგანი კვლავ მოუქცევია ქრისტიანობაზე. იოანე ბატონიშვილი გვიამბობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაჰმადიანობისაგან გამიჯვნას და დასძენს: „ამან (ზაქარიამ) იღვაწა ქიზიყსა შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა, და მალე მოაქცინა ივინო“.

ამის შემდგომ, როგორც ჩანს ერთი საბუთიდან, ზაქარია თეიმურაზ II-ის კარის მოძღვრად ინიშნება და იგი მყისვე ექცევა მაშინდელი კულტურული ცხოვრებისა და პოლიტიკური საქმიანობის შუაგულში. ზაქარია მოძღვარმა სულ მოკლე დროში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. თეიმურაზ II მას განსაკუთრებულ ნდობას უცხადებს. სასულიერო პირი ზაქარია მოძღვარი არც საერო საქმეებს ერიდება. მან მონაწილეობა მიიღო თეიმურაზის მეორედ დაქორწინებაში. თეიმურაზის პირველი მეუღლე იყო კეთილშობილებითა და სათნოებით ცნობილი თამარ ბატონიშვილი, ასული ვახტანგ მეექვსისა. 1746 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა დედოფალი თამარ და თეიმურაზმა სულ მალე, როგორც ჩანს. ზაქარიას „მრავლითა შრომითა და ღუაწით“ (იესო ოსეს ძე) შეირთო მეორე ცოლი: ანა, რომელსაც მეტ წილ წყაროებში ანახანუმი ეწოდება. სწორედ ამ დროზე მოდის ზაქარიას თბილისში დაფუძნებაც.

ზაქარიას შემდგომი ცხოვრება მრავალ პერიპეტიებს შეიცავს და გარკვეულ გავლენას ახდენს მისი ვაჟის ბესიკის მომავალზეც. ზაქარია მოძღვარს, რომელსაც ასეთი გავლენა აქვს მოპოვებული, სამეფო კარზე შეჯახება მოუხდება მასზე ახალგაზრდა, მაგრამ ასევე დიდ პიროვნებასთან, ანტონ კათალიკოსთან. ეს არ იყო უბრალო კონფლიქტი და მათ შეტაკებას პრინციპული ხასიათი უნდა ჰქონოდა. ანტონის პოზიცია ბევრად უფრო პროგრესული ჩანს და იგი ერეკლესთან ერთად დიდ განმანათლებლურ მიზნებს ისახავდა. საგულისხმოა, რომ ზაქარიას მხარს უჭერდა თეიმურაზ მეორე, ხოლო ახალგაზრდა ანტონს, ასა-

კით მისივე ტოლი, ერეკლე, თუმცა ეს უკანასკნელი აშკარად ვერ ბე-  
დავდა მამის ურჩობას და ანტონს პირველ ხანებში მალულად თანა-  
უგრძნობდა. ზაქარია ეკვის თვალით უცქეროდა ანტონის განმანათლებ-  
ლურ მოღვაწეობას და კონფლიქტისათვის ხელსაყრელ ამინდს ელოდა.  
ასეთი საბაბიც მალე გამოჩნდა. ანტონ კათალიკოსი ისევე როგორც  
ერთ ღროს სულხან-საბა, დიდ სიმპათიებს ამჟღავნებდა საქართველო-  
ში მოღვაწე კათოლიკურ მისიონთან. ახლა ცნობილია, რომ ანტონ კა-  
თალიკოსი ამ დებულებას პრაქტიკულ მიზნებს უკავშირებდა; მისი აზ-  
რით, ეს ხელს შეუწყობდა ჩვენში ევროპული ცივილიზაციის გავრცე-  
ლებას. თავისი წინამორბედის სულხან-საბას მსგავსად, ანტონმაც ბეე-  
რი სიმწარე იწვნია ამის გამო. ზაქარია სათავეში ჩაუდგა ანტონის წი-  
ნაღმდეგ მებრძოლ ბანაკს და ანტონის სწრაფვა კათოლიკობისაკენ  
გამოიყენა მის დასამხობად. ცნობილი ისტორიკოსი და მკვლევარი მი-  
ქელ თამარაშვილი თავის შესანიშნავ ნაშრომში „ისტორია კათოლი-  
კობისა ქართველთა შორის“ აქვეყნებს საინტერესო ცნობას, თუ რო-  
გორ მოხდა კათოლიკურ მისიონთან ანტონის ურთიერთობის გამომ-  
ყვანება. არსებობს პატრ ჯულიო ბონავენტურას რელაციონი ანუ  
მოხსენება რომის პაპისადმი, რომელშიაც გადმოცემულია 1755 წლის  
12 დეკემბრის ამბები, კერძოდ ის დევნა, რომელიც მოუწყვიათ თბი-  
ლისში მყოფ კათოლიკე მღვდლებისათვის. ამ დევნილობის დრომდეო,—  
აღნიშნულია ამ რელაციონში, — ჩვენ გვიცავდა კათალიკოსი ანუ  
ქართველთა პატრიარქი, რომელიც თავის თავს ყველასაგან დამოუკი-  
დებლად რაცხდა... ამ კათალიკოსმა, ღვთის მადლით აღძრულმა, ბო-  
ლოს მიიღო რომის წმინდა სარწმუნოება და ჩვენის მისიონერის გორას  
უფროსი პატრი იერონიმე ნორჩელის წინაშე აღიარა კათოლიკე სარ-  
წმუნოება. რადგან თვითონ სცნო კემშარიტება, ძალიან ცდილობდა,  
სხვებისთვისაც ეცნობებინა. ამნაირად ერთ თავადის ქალს, რომელიც  
ერთხელ მისი სულიერი შვილი იყო, ჩააგონა და შეუერთა კიდევ იგი  
წმინდა ეკლესიასა. რა დასწრებულა ის დედაკაცი, მოვიდნენ მის სანახა-  
ვად ნათესავები, მეგობრები და სხვ. მათ შორის იყო აგრეთვე ასული  
თეიმურაზ მეფისა, რომელსაც უპყრია საქართველოს უდიდესი ნაწილი.  
არ ვიცი, რა აზრით აღძრულმა ავადმყოფმა წამოიძახა ამის მსგავსი  
სიტყვები: „ჰოი! რომის წმინდა პაპავ, ილოცეთ ჩემთვის, რომ ეგო-  
დენ ხანს ცრუ მორწმუნეების სიბნელეში ვიყავი“. მეტიც არ უნდოდა  
მეფის ასულს, შეეტყო, რომ ეს ქალბატონი კათოლიკე იყო. მაშინვე  
მიუბრუნდა და უთხრა იქ დამსწრეთ: ოჰ! ნახეთ, ესეც ფრანგი (ანუ  
კათოლიკე) ყოფილა, მაშ კარგი, მობრუნდება მამა ჩემი ომიდგან ლე-  
კების წინაღმდეგ და მაშინ ვნახავთო. მართლაც, მობრუნდა თუ არა  
ტფილისს მეფე, მამა მისი, შეატყობინა რაც მომხდარიყო. იფიქრა. თუ  
ვისი წყალობით უნდა წარმომდგარიყო ეს და ექვი შეიტანა პატრი-  
არქზედ, რადგან იცოდა. რომ ის ქალი იმისი სულიერი შვილი იყო,  
ვერც კაფუცინები მივიდოდნენ მის სახლში, საქართველოს განაპირზე  
იყო, ექვი უფრო იმიტომ შეიტანა, რომ წინათვე შეეტყო პატრიარქის  
ნამდვილი გაკათოლიკებაო. იქვე თამარაშვილი გადმოგვცემს, რომ თე-

იმურაზ მეფეს ანტონის გაკათოლიკება დაუდასტურებია აგრეთვე ვილაც მიგზავნილი მონაზვნის მეშვეობით.

თეიმურაზი საერთოდ აღმაცერად უყურებდა კათოლიკეთა მოღვაწეობას და ამჯერადაც სასტიკი ზომები მიუღია. ზაქარია ამხილა ანტონის მიდრეკილება და თეიმურაზის მხარდაჭერით იგი გადააყენეს მღვდელმთავრის მაღალი თანამდებობიდან. უფლებაყრილი პატრიარქი სოფ. კავთისხევში გამოუმწყვდევიათ. ცნობილია 1756 წლის საეკლესიო კრება, რომელმაც გააჩნია მათი უთანხმოებანი და მოსთხოვა ანტონს საჯარო მონანიება. ანტონ კათალიკოსმა შეასრულა კრების დადგენილება, მაგრამ ზაქარიას დაყენებით მაინც ვერ ასცდა სასტიკ განაჩენს. მალე ანტონი გაძევებულ იქნა რუსეთში. ზაქარია ზეიმობდა გამარჯვებას და „შეუდგა ეკლესიის გამოჯანსაღებას“. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად შეხედულებათა ერთგვარი კონსერვატიზმისა, ზაქარია უეჭველად ენერგიული და საქმის კაცი იყო. სწორედ ამ ხანებში საქართველოში გაიხსნა რამდენიმე სკოლა და სემინარია. გარდა სკოლების გახსნისა, რომელთა დაარსებაშიც უშუალო მონაწილეობას იღებდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დიდად თანაუგრძნობდა თბილისში სემინარიის ჩამოყალიბებას (1756 წ.). ამ ხანებში მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა და სასულიერო უწყების (სინოდი) გარდა, სადაც კათალიკოსად ზაქარიას მიერ შერჩეული კაცი იჯდა. „ქარის მოძღვარს“ დიდ ანგარიშს უწევდნენ საერო ხელისუფალნიც. არა მარტო თეიმურაზ მეორე, არამედ თვითონ ერეკლესი, რომელიც, როგორც ზევითაც ითქვა, იღუმალ თანაუგრძნობდა ანტონ კათალიკოსს. საგულისხმოა ამ ფაქტის გამოხატულება კათოლიკური მისიონის კიდევ ერთ რელაციონში. მიქელ თამარაშვილი ეხება სწორედ თეიმურაზისა და ერეკლეს მცფობის 50-იან წლებს: „ანტონ კათალიკოსის გაკათოლიკებას ბევრი დაუფიქრებია და ბევრიც მოუშზადებია კათოლიკობის მისაღებად, მაგრამ დროთა ვითარების გამო ცხადად გადასვლა კათოლიკობაზე ვერ გაუბედიათ. რადგან ერიდებოდნენ მღვდლისა გაბანთ (Gabanti) ზაქარიასი, რომლის ხელში ყოფილა მთელი სინოდი და ყველას მისი რიდი ჰქონია. ძლიერი მტერი ყოფილა კათოლიკეებისა და მათ წინააღმდეგ ხალხისათვის ბევრი სიბოროტე ჩაუგონებიათ. უთქვამს კიდევაც, რომ ფრანგების (კათოლიკების) დახოცვა და მათი ლუქმა-ლუქმა დაკეპა ცოდვა არ არისო. იგივე მღვდელი წინააღმდეგი ყოფილა კაფუცინებისთვის ეკლესიის დაბრუნებისა. ამიტომ თვით ერეკლეს უთხოვია კაფუცინებისათვის რუსის ან საფრანგეთის მთავრობისაგან სარეკომენდაციო წერილი ეშოვნათ, რათა ამით მას შესძლებოდა ზაქარია მღვდლის და კათოლიკეების სხვა მოწინააღმდეგეთათვის პირი დაეხშო. ერიდებოდა, შეიძლებოდა ამ მღვდელმა რაიმე უწყობა მოახდინოსო“. რასაკვირველია, აქ ზოგი რამ გაზვიადებულია და მხოლოდ კაფუცინთა პოზიციიდანაა დანახული. თუმც ერთი რამ, ზაქარია მოძღვრის დიდი ძალაუფლება, აქ შესანიშნავად მოჩანს.

მაგრამ ზაქარიას ბატონობა არც ისე ხანგრძლივი გამოდგა. რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად 1760 წელს საეპარქო



ხანში შესული თეიმურაზ მეორე პეტერბურგს გაემგზავრა. იგი დიდს ამბით გამოემშვიდობა თავის ოჯახსა და ახლობელთ, თითქოს გრძნობდა, რომ ეს მისი უკანასკნელი მოგზაურობა იყო. როგორც მოსალოდნელია, კათოლიკე მისიონერებს უხაროდ მათი მოძულე მეფის ასე შორეული მგზავრობა. პატრი ლეონარდო 1759 წელს რომში იწერებოდა: თეიმურაზი მიდის რუსეთს და ვგონებ იქიდან აღარ დაბრუნდესო, რადგან საკმაოდ დროულიაო. მართლაც, მეფე-პოეტი რუსეთიდან აღარ დაბრუნებულა და პეტერბურგში მიიცვალა 1762 წელს. მისი ცხედარი მხოლოდ ასტრახანამდე მოუსვენებიათ, სადაც დასაფლავდა მისი სიმამრის, ვახტანგ VI-ის მახლობლად. გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ ერეკლე მეორე დაჯდა.

ერეკლე კარგად გრძნობდა ახალი ქარის ქროლვას და განათლების დიდ ბურჯად სწორედ ანტონ კათალიკოსი მიაჩნდა. გამეფებისთანავე მან ერთ-ერთ პირველ ღონისძიებად ანტონის საქართველოში დაბრუნება დაისახა. იგი, ბევრ სხვა საკითხთან ერთად, ანტონის გაძევებაში არ თანაუგრძნობდა მამამისს, თეიმურაზ მეორეს და ახლა დადგა დრო ამ შეცდომის გამოსწორებისათვის. ერეკლე შორს იხედებოდა და ანტონის სახით ერთგულ თანამებრძოლს ჰკრეტდა: შენი ამ ქვეყნიდამ დაკარგვა, — წერდა ერეკლე, — ჩვენ უნდა დაგვემძიმოს, ვისაც ჰკუთაქვს. მე უშენოდ ვერ ვიქნებო.

ზაქარია მოძღვრის მძლავრობის დღეები დათვლილი იყო. 1763 წელს ანტონი დაბრუნდა საქართველოში და 1764 წლის 5 მარტს მან კვლავ ხელთიპყრო საქართველოს ეკლესიის მეთაურობა. ახალი ძალით იფეთქა ქიშპობამ მათ შორის. განსაკუთრებით ზაქარიამ გადააჯარბა. იგი აშკარად გმობდა ანტონსა და მის მომხრეებს და თვით მეფესაც არ ინდობდა. არის ცნობა, რომ ზაქარიამ მარტო ეს არ იკმარა. იგი იმერეთში გადასულა კარგა ხნით, რათა იქაც ექადაგნა ანტონის „მწვალებლობის“ შესახებ. პირველ ხანებში მეფეცა და კათალიკოსიც შედარებით ლმობიერებას იჩენდნენ და ცდილობდნენ კიდევ ამ ახირებული მოძღვრის შემორიგებას, მაგრამ ზაქარიასათვის კომპრომისი არ არსებობდა. ცნობილი მოგზაური ა. მურავიოვი გადმოგვცემს ამ ამბების კარგად მცოდნეთა ნაშრომს. საქართველოში ჩამოსულ ანტონს სახალხოდ დაუფიცია ნიმართლეზე და წირვის დროს სათნოებით მიუმართავს ზაქარიასთვის, სამუდამოდ უკუუვადლოთ ღვარძლი და ქიშპო. გადმოგვცემენ, რომ ზაქარიას არ დაუჯერებია კათოლიკობისადმი არა მირეკვა და ზურგიც შეუქცევია საქართველოს ეკლესიის მეთაურისათვის.

ურჩი მოძღვრის საქმე განწირული იყო. საეკლესიო კრებამ მრისხანე განჩინება გამოიტანა: „ეკლესიის აღშფოთებისა და განხეთქილებისათვის საქართველოსა ეკლესიისა ზედა აღდგომისათვის და მწვალებლად წოდებისათვის მისისა და მრავალთა მათ უკეთურებისათა მისთა“, ხუცესი ზაქარია საბოლოოდ მოკვეთილ იქნა. არნახული ტანჯვა-წვალება. ტყვეობა და დამცირება გადაიტანა აწ უკვე ნამოძღვრალმა ზაქარიამ და 1768 წლისათვის ჩააღწია მოსკოვსა და პეტერბურგს. ერეკ-

ლემ და ანტონმა წინათვე მოუქრეს გზა გაძევებულ ნამოძღვრალს.

ალექსანდრე ბარამიძემ ყურადღება მიაქცია საინტერესო ცნობას. ერეკლეს ოფიციალურად მოუწერია ყიზლარის კომენდანტ გენერალ-მაიორ პოტაპოვისათვის: „უწყება ესე ჩვენგან — ვითხოვთ, რათა მის-მინოთ! ხუცესი ვინმე სახელითა ზაქარია, ნათესავით გაბაშვილი, ჩვენის სამეფოსაგან, ბოროტ განმსჯელი და უუკეთურესსა ზედა გზასა დადგომილი, მისმან უწმინდესობამან მამამთავარმან ჩვენმან და ეპისკოპოსთა სამეფოსა ჩვენთასა შეკრებით შეაჩვენეს და ყოვლისაგან მადლისა განაშიშველეს წელიწადსა ჩლად (1764), თვესა ოქტომბერსა იმ (18 ქალაქსა ტფილისს. და ოდეს იგი შეიჩვენა, მიერითგან უკეთურესთა საქმეთა მოქმედი წელიწადსა ამას ჩლავ (1767 წ.) განვაგდეთ სამეფოთ ჩვენით და გვესმის, რომელ ყიზლარ ქალაქად მოსრულ არს, რომლისა კეშმარიტი უწყება მოგართვით თქვენსა ზეაღმავლობასა. ნუ შეიწყნარებთ მას ვითარცა ქრისტიანესა, ამაღ რომელ ყოვლისაგან ქრისტიანეთა მადლისა შიშველ არს“. — მიმართვას ხელს აწერს მეფე ირაკლი. ანალოგიური შინაარსის წერილი ანტონ კათალიკოსსაც გაუგზავნია. ერეკლე და ანტონი კარგად გრძნობდნენ, რომ მათზე გაბოროტებულ ზაქარიას შეეძლო ზოგ რამეში ხელი შეეშალა რუსეთთან კეთილგანწყობილების დამყარებაში. ეს წერილები კი აშკარად დასცემდნენ ნამოძღვრალის ავტორიტეტს.

თვითონ ზაქარიაც დეტალურად გადმოგვცემს მის დამხობასა და მრავალრიცხოვანი ოჯახის აწიოკებას. განსაკუთრებით საყურადღებოა წერილი ლექსად „ნამოძღვრალის ზახარია გაბაევის მიერ მიწერილი ასტრახანით მოსკოვს მათისა უგანათლებულესობისა მეფის ვახტანგის ძისა გიორგისადმი“, აქ გადმოცემულია ზაქარიასა და მისი ოჯახის დიდი უბედურება:

წიგნი დადევს ქუფრი-ბინდი, მითხრეს: „ალიარე ინდი,  
ფრანციულად გალიინდი, თორემ გაგრცვით, ვით სიმინდი“.  
პაპის სჯულზე მე შევწყინდი, იყო სულის წარმაწყმინდი.  
მითხრეს: „რადგან დავეიენდი, ოვსეთის მთას გარდაფრინდი“.

მოიპარსა რა ნიკაპი, მით უარეკუაე დიდი პაპი!  
აღმაფრინეს ვით რომ ლაპი, აღმათრინეს მწიორი ტლაპი;  
რაც მეზადა, უყვეს ზლაპი, გამომამქეს შიშველ დლაპი,  
ზეყას გადგან გვირგინ-შლაპი, თუ წყალობა აღმასლაპი.

და შემდეგ:

მე მტირალს ქართლი გამომარეს, ყვედრება-გმობა ზედ დამყარეს.  
მეუღლის წართმას არა მაქმარეს, შვილნი რვანიცა ერთ-თამ წამგვარეს.

კიდევ უფრო დაწერილებით ზაქარიას ოჯახის განადგურების ამბავს გვიხატავს მეორე წერილი, რომელიც ზაქარიას მიუერთმეფია ასტრახანის ეპისკოპოსისათვის. გარკვეული ინტერესის გამო მოვიტან ვრცელ ამონაწერს ზაქარიას ამ მოხსენებიდან: „... რაც რაიმე მქონდა ან დე-

დულ-შამული ან პირადად შენაძენი აგრეთვე საეკლესიო ქურქელი, სულ წამართვეს, ცოლი, შვილები და მთელი ჯალაბი სიღარიბეში ჩააგდეს, ასე რომ კარდაკარ დადიოდნენ და მოწყალეობას თხოულობდნენ. — გვიამბობს ზაქარია, — თექვსმეტი თვე ვიჯექი საპყრობილეში; ბოლოს კათალიკოსმა უბრძანა ყარაულს. საპყრობილეს მოშორდით, სადაც უნდა იქ წავიდესო. მათ შორის ჩემი ძმებისა და შვილების ცხრა ბავშვი იყო. კათალიკოსი ქადაგობდა; ვინც მათ მოწყალეობას მისცემსო — ეკლესიაში არ შევეუშვებთო. გავიდა ერთი წელიწადი და ჩვენ უარესი დაგვემართა: მოაყვანიდა ჩემი უფროსი შვილი (ოსე) და ისე სასტიკად სცემა, რომ ერთი კვირა ავადმყოფი იწვა. გამოგზავნა იასაულები, რომლებმაც რაც დარჩენილიყო წმინდა ხატები, წიგნები და წმ. ნაწილები, ისიც წაიღეს.

კიდევ გამომიგზავნეს კაცები, შევერთდეთ, თორემ რუსეთში გაგყრით ყველასო. მე არ დავთანხმდი. ივნისში, როცა მეტად ცხელოდა, უფროსი შვილები ცალ-ცალკე საპყრობილეში ჩასვეს, მე, ჩემი ცოლი და ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დაგვსვეს ურემზე და მთებში გაგვგზავნეს, საშინელ ადგილებში გაგვატარეს. მზრუნავი არავინ მოგვეცეს, ფიქრობენ — ამით დავიმორჩილებთო, მერე იქიდან ცოლი და ბავშვები წაშართვეს, მე კი ექვს მთიელ კაცს მიმცეს, რომლებმაც ორმოცი დღე საპყრობილეში მამყოფეს, რვა შვილი წამართვეს, ორი დიაკვანი და დანარჩენი საერო პირები. ბევრი ვთხოვე, ერთი შვილი მაინც მომეცოთ, კაცს ამდენს ცხვარსაც არ წაართმევენ მეთქი, მით უმეტეს. რომ ისინი თქვენი ნაჩუქარი კი არა, ღვთისაგან მოცემულია-მეთქი. მარა არ მისმინეს.

... მოვიდა მეფე ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის ბრძანებანი (ალბათ, იგულისხმება ერეკლესაგან ყიზლარის კომენდანტისადმი მიწერილი წერილი): გახადეთ, გაჩხრიკეთ, რასაც ნახავთ წაართვით — რომ არაერთი ნაწერი არ გაატანოთო, მეორეჯერ საზღვარზე გაჩხრიკეთო. იმავე წაშს ტანისამოსი გავგზავნა. გაგვიჩხრიკეს, მაგრამ ჩვენ არაფერი აღმოგვაჩნდა. მოგვეცეს ერთი გზის მაჩვენებელი ოსეთამდე, იქიდან მივედი ყიზლარში, აქაც არ დამაყენეს.

... ჩემს შვილს და ისააკს (ისაკ მცირე, ზაქარიას მოწაფე) — დასძენს ბოლოს იგი, — არც კი ათქმევიანს რაიმე, მიგვეცეს საერო კაცებს, რომელთაც შეუბრალებლად გვეცემეს, შეგვაჭრეს თმა და წვერი. დავადეს ბორკილები და ჩაგვყარეს საპყრობილეში. მრავალჯერ კაცები გამოგვიგზავნეს, რომ დავთანხმებულყავით, მაგრამ ჩვენ უარზე ვიდევითო“...

რასაკვირველია, ჩანს რომ ზაქარია ზედმეტად ამუქებს თავისი გაძევების ამბებს და წმინდა მოწამედაც კი გამოყავს თავი. თუმცა ირკვევა, რომ მისი შვილები და კერძოდ კი ბესიკი არც ისე მძიმე პირობებში ჩავარდნილან მამის გასახლების შემდგომაც, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ზაქარიამ დიდი ტანჯვა-წამებით ჩააღწია რუსეთს და, პირველ რიგში, თავშესაფარი კპოვა ვახტანგ მეექვსის შთამომავლებში. ეს გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ ვახტანგის მემკვიდრეები თავს

ქართლის კანონიერ მფლობელებად თვლიდნენ და აშკარად თუ დაფარვით მტრობდნენ ერეკლე მეორეს. ზაქარიას სახით მათ მოკავშირე შეეძინათ, რომელიც სასულიერო საქმეებში აკრიტიკებდა მეფესა და კათალიკოსის პოლიტიკას. თითქმის სამი წელი დაჰყო რუსეთში ზაქარიამ, იბრძოლა, იომა, რამდენიმე მოხსენებითი ბარათი წარუდგინა უმაღლეს სინოდს ანტონის კათოლიკობისადმი მიდრეკილების გამო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაოდ. რუსეთის მთავრობა და მისი მორჩილ უმაღლესი სინოდი, რასაკვირველია, არ მოიმდურებდნენ საეკლესიო დოგმატური საკითხის გამო ქართლ-კახეთის მესვეურებს, მით უფრო, რომ ამ ხანებში (1768—1772) ოსმალეთთან წამოწყებულ ომში საქართველოზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. სინოდმა საპირისპირო გადაწყვეტილება გამოიტანა. ზაქარია დამნაშავედ ცნო და ამ უკანასკნელს თავისი დანაშაული უნდა მოენანიებინა ანტონის წინაშე.

იმედგაცრუებული ზაქარია საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ არა ქართლში, თბილისში, მის საკუთარ სამეკიდრებელ მამულში, არამედ იმერეთს სოლომონ პირველის კარზე მას ერეკლესა და ანტონის მოწინააღმდეგე ბანაკი ეგულებოდა და იგი არც შემცდარა. ზაქარია იმერეთში ჩანს უკვე 1771 წლიდან და საკმარისი აქტიურობითაც მონაწილეობს იმერეთის სამთავროს ცხოვრებაში. იგი ლიტერატურულ მუშაობასაც განაგრძობს, სწორედ აქ წარმოთქვა მჭევრმეტყველური სიტყვა, როცა ჩხერის ომში სოლომონ პირველმა სძლია ოსმალებს.

პლ. იოსელიანი გადმოგვცემს, რომ ვითომც შემდეგში ანტონს შეუწყწარებია ზაქარია და იგი თბილისში დაუბრუნებია. ზაქარია საგვარეულო „ლურჯ მონასტერში“ განისვენებსო. ეს ცნობა სიმართლეს არ შეეფერება, როგორც ვნახავთ, ვითარებანი ისე წარიმართა, რომ შეუძლებელი იყო ამ ორი მოწინააღმდეგის მორიგება. ამასთან, როგორც ეს მართებულად შენიშნა გიორგი ლეონიძემ, ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობები იოანე ბატონიშვილისა და ზაქარიას ვაჟის ოსე გაბაშვილისა, რომ იგი იმერეთს გარდაცვლილა დაახლოებით 1780 წელს და დაუქრძალავთ გელათის მონასტერში. ასე დაასრულა თავისი ბობოქარი სიცოცხლე ბესიკის მამამ ზაქარია მოძღვარმა. ზაქარიას ოპოზიციურმა მიმართულებამ უეჭველად ბევრ რამეში განსაზღვრა მისი ვაჟის, ბესიკის ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის თავისებურებანი.

### „სევდის ბაღი“

ბესიკი დაბადებულა 1750 წელს<sup>1</sup> ე. ი. იმ დროს, როცა ზაქარიას ავტორიტეტი ზენიტზე იდგა და მისი ოჯახი სრულ აღმავლობაში იმყოფებოდა. უეჭველია, რომ მამა, რომელიც თვით იყო სწავლა-განათლების ენერგიული მოღვაწე, თავის შვილს იმ დროისათვის შესაფერის განათლებას მისცემდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბესიკი, შვილი სასახ-

<sup>1</sup>გ. ლეონიძე, „ბესიკი, მარმონტელი ლესაჟი“, „ლიტ. საქართველო“, 30.1 X.38.  
204

ლის კარის მოძღვრისა, იმათივე მალალ წრეებში ტრიალებდა და კარგად აითვისა რაიხდულ-არისტოკრატიული ზნეობანი. ამასთან კარგად ჩანს მისი ნაკითხობა. იგი იცნობდა ძველ ბერძნულსა და ევროპულ ლიტერატურას და მის ლექსებში ხშირად ვხვდებით უცხოელ მწერალთა სახელებს. განსაკუთრებით სკოდნია ბესიკს მდიდარი ქართული ლექსიკა. მისი საყვარელი წიგნი სულხან-საბას „სიტყვის კონა“ ყოფილა. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ ამის გამო შენიშნავს, რომ „მოუთხრობენ ამისთვის, რომელ სკოდნოდეს (ბესიკს) ზეპირად მთლად ლექსიკონი ქართულიო“.

ბესარიონ გაბაშვილი, წერს ბესიკის ერთ-ერთი პირველი ბიოგრაფი ზ. მთაწმინდელი (ზ. ჭიჭინაძე), აღიზარდა თავის მამასთან, მის შემდეგ თბილისში საკათალიკოსო სკოლაში სწავლობდა. სკოლაში კარგა ხანს დარჩენილა, აქ შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა, სპარსული ენა, მწერლობა და სხვადასხვა საგნები. თავის მამისაგან შეუსწავლია მეფეთა შესხმების და ლექსების წერა და ჯერ სრულიად ახალგაზრდას სიმღერების წერაც დაუწყიაო... ბიოგრაფი წყაროებს არ ასახელებს, მაგრამ აქ მოულოდნელი არაფერია. მით უფრო, რომ ზაქარიას ოჯახში შემოქმედებითი შრომისა და საერთოდ მწიგნობრობის სიყვარული დიდი ყოფილა. როგორც ცნობილია, ბესიკის უფროსი ძმა მწიგნობარი იყო და ლექსებაც ეწყობოდა. სხვა თხზულებებთან ერთად მას დაუწერია შესხმა თეიმურაზის პატარა ქალისადმი: „გაბაშვილის იოსების ნათქვამი ანბანთქება ელისაბედ ბატონიშვილზედ, რომელი იყო თეიმურაზ მეორის ასული, და მთქმელი ესე იოსებ — მოძღვრის ზაქარიას ძე გაბაშვილი: აღკახმე ასე ასპიროზ, ამარტა ასად აგეა“... ასევე მწიგნობრად ასახელებენ ბესიკის ძმას, ნიკოლოზსაც.

გიორგი ლეონიძე თავის ნარკვევში „ბესიკი“ შენიშნავს, რომ ამ ხანებში გაბაშვილები მეტად დაწინაურებულან მეფეთა კარზე. მაგალითად, ზაქარიას ძმა დავითი სასახლის სუფრაჯი ყოფილა, ხოლო ბიძას, პაპუნას ბაზიერთ-უხუცესობა ჰქონია მინიჭებული.

როგორც აღენიშნე, ბესიკის განათლებაზე მეტყველებს მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა წარმომადგენელთა ხშირი ხსენება თავის თხზულებებში: არისტოტელე და პლატონი აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. ან პროკლე და დიონოსი. ჰომეროსის გმირები: აქილევსი და ჰექტორი, აგრეთვე ტროილე, პრიამე, ორესტი და სხვ. იგი იცნობდა აგრეთვე ცნობილი ერციკლოპედისტის, მარმონტელის თხზულების „ველიზარიანის“ ქართულ თარგმანს, ლესაჟის „ჟილ-ბლაზსა“ და ა. შ.

ბესიკს პირველ ხანებში უზარუნველი და ნებიერი ცხოვრება უნდა ჰქონოდა. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ მის მეგობართა შორის ჩვენ ვნახავთ ბატონიშვილებსა და სასახლის მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლებს, მაგრამ მამის კონფლიქტმა ანტონ კათალიკოსთან მთლიანად დასცა გაბაშვილების გავლენა მეფის კარზე. 1764 წლიდან, როცა ზაქარიას ღირსებანი აპხადეს, მისი შვილების და მათ შორის ბესიკის მდგომარეობა უიმედო უნდა ყოფილიყო. ეს კარგად ჩანს თუნდაც იმ ამონაწერიდან, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ

(ზაქარიას მოხსენება ასტრახანის ეპისკოპოსისადმი).

მაგრამ ირკვევა, რომ თვით ბესიკის ცხოვრება შემდგომში არც ისე ცუდად წასულა. იგი თანდათან დაახლოებია სამეფო კარს და მალე სასახლის შინაური კაციც გამხდარა. ამის თაობაზე ზ. მთაწმინდელი გვიამბობს, რომ ბესიკს ახალგაზრდობაშივე დიდი სახელი მოუხვეჭია, სამეფო სამსახურშიაც საკმარისად დახლოვებულია და ერთხელ მეფის თხოვნით თითქოს სპარსეთშიაც წასულა. სპარსეთში ყოფნის დროს დიდი საჩუქრები შეუძენია მას, უფრო კარგად შეუსწავლია სპარსული ენა, მწერლობა და განსაკუთრებით სიმღერები. ზოგიერთნი უწყვიან — დასძენს იგივე ბიოგრაფი, — რომ ბესარიონისთვის ბესიკი სპარსეთში დაურქმევიათო, რადგანაც სპარსნი ბესიკს უფრო ადვილად გამოთქვამდნენ, ვიდრე ბესარიონსო. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგი ეს ცნობა ზეპირი გადმოცემის ნაყოფია და სიმართლეს არ შეეფერება. არც ერთი წყარო არ გვიდასტურებს, რომ ჭაბუკ ბესიკს დიპლომატიური დავალებით სპარსეთში ემოგზაუროს, ისიც მეფე ერეკლეს თხოვნით, და ეს მაშინ, როცა პოეტის მამა სულ ახალი განდევნილი იყო მეფისა და კათალიკოსის ურჩობისათვის. ლეგენდარულია მისი სახელის, ბესიკის სპარსულ ენასთან დაკავშირებაც, მაგრამ ექვს არ ტოვებს შემდეგი: ბესიკი ამ ხანებში, მართლაც, ძალზე დაახლოებული ჩანს სასახლის წრეებთან.

როგორც ირკვევა, ზაქარიას ასე უპატიურად გაძევების შემდეგ ბესიკსა და, შესაძლოა, მის ახლობლებსაც სასახლის კარზე ვიღაც გავლენიანი მფარველი აღმოუჩნდა. ვინ უნდა ყოფილიყო იგი? სწორი უნდა იყოს გიორგი ლეონიძის ვარაუდი, რომ გაბაშვილთა და კერძოდ ბესიკის მფარველი უნდა ყოფილიყო თეიმურაზ მეორის ქვრივი ანახანუმ დედოფალი. თეიმურაზი ხომ მხარს უჭერდა ზაქარია გაბაშვილს ანტონთან და საერთოდ კათოლიკურ მისიონთან ბრძოლაში. საფიქრებელია, რომ ანახანუმ დედოფალიც ამ საკითხში მეუღლის პოზიციასზე იდგა და ამითაც გამოხატავდა პროტესტს ერეკლესა და ანტონის პოლიტიკის გამო. ამასთან არც ისაა დასაიწყი, რომ სწორედ ზაქარია მოძღვარმა დააჩქარა თეიმურაზისა და ანახანუმის შეუღლება. ანახანუმს საკუთარი კუთხე ეჭირა სამეფო რეზიდენციაში და მომსახურეთა დიდი პერსონალიც ჰყავდა. ანახანუმის კარზე მყოფთა სიებში გაბაშვილის გვარის რამდენიმე კაცს ვხედავთ. აქვე ჩანს ჩვენი პოეტიც, რომელიც ალბათ განათლებისა და ნიჭიერების გამო ანახანუმის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. აქ საჭიროა აღინიშნოს კიდევ ერთი ბედნიერი დამთხვევაც. სწორედ ამ ხანებში ანახანუმ დედოფალი აღსაზრდელად აიყვანს ერეკლეს უსაყვარლეს შვილს ლეონ ბატონიშვილს („აღსაზრდელად სახლსა თვისსაო“). ბესიკი უეჭველია ჯერ კიდევ ბავშვობიდან იცნობდა მეფის ძე ლეონს. რომელიც რამდენიმე წლით იყო მასზე უმცროსი. ახლა კი მათ დამეგობრებას აღარაფერი უშლიდა ხელს. მართლაც, ბესიკი უკვე ლეონის ამალის წევრად მონაწილე და ულუფასაც სწორედ ლეონის ხაზინიდან იღებს. ჭაბუ-

კი ბესიკი თავისი სიმღერებით მალე დიდ სახელს იხვეჭს სასახლის კარზე.

ერეკლეს კარზე კვლავ განახლდა ძველი ტრადიციები. გამოცოცხლება იწყო ფილოსოფიამ, ლიტერატურამ და საერთოდ მწიგნობრულმა საქმიანობამ. ერეკლე მეორის საიმედო თანაშემწემ, ქვეყნის სულიერი აღორძინების სფეროში, ანტონ კათალიკოსმა ბევრი სასარგებლო საქმე წამოიწყო. გაიხსნა რამდენიმე სკოლა-სემინარია (ჯერ თბილისში, შემდეგ თელავში) და ნაყოფიერად მუშაობდა პირველდაწყებითი ტიპის კერძო სასწავლებლები. ანტონმა თვითონვე შექმნა სასწავლო წიგნების მეტი წილი და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, რუსულიდან თარგმნა ფიზიკისა და სხვა საგნების ევროპული ტიპის სახელმძღვანელოები. ამ დროს მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მწიგნობრები, როგორიცაა გაიოზ რექტორი, დავით რექტორი და სხვები. მოგვარდა ბეკდვის საქმე და ამუშავდა ქართული სტამბა. ერეკლეს კარზე თავი მოიყარეს მწერლებმა, ფილოსოფოსებმა და პოეტებმა. უფრო გვიან საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრსაც. საინტერესოა, რომ ერეკლეს კარზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტურ მეჭლისებში მონაწილეობდნენ მეზობელი მაკმადიანი სახანოებიდან სახელმწიფოებრივი პოეტები. მაგალითად, ვაგიფმა ლექსების მთელი ციკლი უძღვნა საქართველოს, თბილისს, ერეკლესა და სხვა გამოჩენილ გმირებს:

აი, ამგვარი კერაა იგი,  
მზისგან შუქი რომ უსესებია!  
დიდი ბატონის დიდებულ კერას  
ბინდი ღამისა ნუმც შეხებია!

(თარგმანი კ. ჭიჭინაძისა)

მშვენიერი ოდა მიუძღვნა აგრეთვე მეორე აზერბაიჯანელმა პოეტმა ვილადიმ ლეონ ბატონიშვილს, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ მოგვიხდება საუბარი. აქ კი უნდა დავძინო, რომ ერეკლეს დროს დიდი გაქანება ჰპოვა აგრეთვე ქალაქურმა აშულურმა პოეზიამ, რომლის სახელს ამშვენებს ბრწყინვალე ნიჭის აშული საიათნოვა.

სასახლის კარზე შემოკრებილ პოეტ-მგოსანთა შორის ბესიკი უძვირფასესი თვალი იყო. ბესიკის სახელი თავისებურ პოეტურ მეტრად გადაიქცა მისივე სიცოცხლეში და მას მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა. ეს იყო სრულიად კანონზომიერი, რადგან ბესიკის სახით ძველ-ქართულ მწერლობას დიდი ლირიკოსი მოევლინა. საკირთა აღინიშნოს, რომ თუმცა ბესიკს მრავალ ენარში უსინჯავს პოეტური ძალა, უწერია პოემები, სახოტბო ოდები, სხვადასხვა ტიპის გასართობი ლექსები (ანბანთქება, აკროსტიხი და სხვ.), მაგრამ მისი სტიქია ყველაზე უწინარეს წმინდა ლირიკის სამყაროა. თუ რა ადგილი დააქავა ბესიკმა ძველ-ქართული ლირიკული ლექსის სრულყოფაში. ეს კარგად გამოჩნდა თვალის ერთი გადავლებითაც. როგორც ცნობილია, ძველ ქართულ

პოეზიაში ეპოსს მბრძანებელი ადგილი ეჭირა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე მოღწეული ძეგლები ამ შეხედულებას განამტკიცებენ. დიდი რუსთაველი მცირე ზომის ლექსს ერთგვარი ირონიითაც ახსენებს. ასეთი პოეტები: „დიდსა ვერ მოკვლენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთაო“. ეს მოსაზრება ინერციით XVI—XVIII საუკუნეებშიც კი გადმოვიდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ეპოქის, ან როგორც უწოდებენ „აღორძინების ხანის“ ეპოსს დაკარგული აქვს კლასიკური პოეზიის უმთავრესი ნიშნები. ცნობილი „ჰაშნიკის“ ავტორი მამუკა ბარათაშვილი მაინც დაჟინებით განამტკიცებს ძველ ფორმულას: „ვინც კაი მელექსე ყოფილან, ამბები გაულექსავთო“.

მიუხედავად ამისა, სწორედ მამუკას დრო ქართული ლირიკული პოეზიის ახალი გამოღვიძების ხანაა. ე. წ. აღორძინების ეპოქა, თავისი მძლავრი ქარტეხილებით, ახალ ჟანრებს უკაფავდა გზას. მძიმე სულიერი განცდები ლირიკულ ფორმებს ითხოვდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხანის პოეტებმა ბევრი რამ ისწავლეს ძველ-ქართული სასულიერო მწერლობიდან. როგორც ცნობილია, ქრისტიანულმა ჰიმნოგრაფიამ მოგვცა ლირიკის არაერთი ბრწყინვალე ნიმუში. უკვე აქ დაიხვეწა ლექსის ისეთი ფორმა, რომელიც ლირიკული გრძნობის გამოთქმის საშუალებას იძლევა და ადამიანის შინაგან სამყაროში გვახედებს. რელიგიური გრძნობები მაშინდელი ადამიანის ემოციური სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო და მათი პოეტური გამჟღავნება სწორედ ლირიკულ ფორმებს მოითხოვდა. ახალ ლირიკულ ჟანრებს განსაკუთრებულად პოზიური ნიადაგი ჰქონდა აგრეთვე ხალხური ლირიკის სახით და, როგორც ვიცით, ამ ეპოქის პოეტები ხარბად დაეწაფნენ ჩვენი ხალხის ამ ძვირფას საუხჯეს (განსაკუთრებით დაჟით გორამიშვილი).

ქართული ლირიკული ლექსი თანდათან მძლავრად იკიდებდა ფეხს. თვით თეიმურაზ I, რომელიც მეტწილად ეპოსის ჟანრს ეტანებოდა, სწორედ ამ ხანებში ქმნის ბრწყინვალე ლირიკულ ლექსს:

რად, სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგი?!

გლახ, ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ, დასად აგი!

დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად ავე?

სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად ავე?

თეიმურაზმა დაგვიტოვა რამდენიმე ლირიკული შედეგრი და ამით ერთ-ერთმა პირველთაგანმა დასაბამი მისცა „აღორძინების ხანის“ ლირიკულ პოეზიას. არჩილი, სულხან-საბა, ვახტანგი და განსაკუთრებით დავით გურამიშვილი გაბედულად არღვევენ ძველ-ქართული ეპოსის პოეტურ ფორმებს და ქმნიან მცირე ფორმის ლექსთა ახალ-ახალ სახეებს. ბესარიონ გაბაშვილს ქართული ლირიკის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მას თითქოს ბედმა არგუნა ეტვირთა ღირსება-ნაკლოვანებები ძველი ქართული მწერლობისა და ყოფილიყო მისი უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი. მისი შედეგრები ხალასი ემოციით გვცნობლავენ, ხოლო რაც შეეხება სიტყვის არტისტულ ფლობას, მას ბადალი არა ჰყავს „აღორძინების ხანის“ მწერლობაში. ბესიკის შე-



მოქმედების საუკეთესო წლები სწორედ მის სიკაბუქეზე მოდის, როცა იგი თბილისში, ერეკლეს სასახლის კარზე იმყოფებოდა. მისი პოეტური სახელის ფუძე ლირიკული ლექსების ციკლია. რომელსაც შეიძლება პირობითად ცნობილი ლექსის, „სევდის ბალის“ სახელი ვუწოდოთ. ამ ციკლის ლექსებია: „სევდის ბალს შეველ“, „მე მიგხვდი მაგას შენსა ბრალესა“, „ტანო-ტატანო“, „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“ და სხვ. მათ აერთიანებთ ერთიანი იდეურ-თემატიკური რკალი. ამ ლექსების ლირიკული გმირი უიმედო, მაგრამ დაუოკებელი სიყვარულით გატაცებული ჭაბუკია. პოეტმა ლირიკულ გმირს შეუქმნა უცხო და მშვენიერი ქვეყანა, რომელსაც მეტაფორულად „სევდის ბალი“ ეწოდება. გმირი, რომელიც ავტორის ჰერსონიფიცირებული სახეა, რაღაც საოცარი რომანტიკითაა გარემოსილი. ლექსებით იგი ესაუბრება თავის მიჯნურსა თუ მიჯნურის უახლოეს მეგობრებს, რომლებიც აგრეთვე მეტაფორული სიმბოლოებია და ვარდ-ყვავილების სურნელებით სუნთქავენ. პირველივე სტრიქონიდან გვაღელვებს ბედი მიჯნურისა:

სევდის ბალს შეველ შენაღონები,  
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები,  
ვარდის შექრი: ხა თავმოშრონები,  
ისარი მკაცორცნა დასაშრონები.

ვარდისაგან შერისხული მიჯნური ვედრებით მიმართავს ვარდისავე დობილს „ისა“, მაგრამ პასუხი აქაც უიმედოა: „ამაყად მწყურალი ვნახე ლამაზი! მანცა განმაგლო: „გარეგან გაზი“. გახელებულ მიჯნურს მხოლოდ ნარგიზი შეიბრალებს:

ნარგიზი ვნახე შებრალებითა,  
ცრემლსა სცვარვიდა მორიდებითა,  
მითხრა „ყარბო!“ — მონაზებითა —  
„ვარდი მით არის გულდაკლებითა,  
რომ შენი იყო თავდადებითა —  
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა —  
შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?  
რად გიკვირს, გასწყურეს ცეცხლმოღებითა?  
ნაცვალი მოგხვდა დანახსოვნები!

აქ უკვე გახსნილია ყველა მეტაფორა, მიჯნური უიმედო სიყვარულის მსხვერპლია; მასვე მიუძღვის ამაში დანაშაული: „მეც მომხვდა სოფლის მკელელი ბრკყალები“. ბოლო სტრიქონები გვიმხელენ მიჯნურის ვინაობას: „ბესიკი სიკვდილს არ ვემალები, თავი მაქვს მისთვის შენაწონები“. ამ ლექსებში პოეტი, ან უკეთ რომანტიკული გმირი ერთგვარად ამაღლებული განცდითაა შეპყრობილი და მოულოდნელ მეტაფორათა გრადაციით მიღწეულია არაჩვეულებრივი ესთეტიკური ეფექტი. მკითხველი დიდი მღელვარებით მიჰყვება ლირიკულ გმირს მშვენიერ, პოეტიზირებულ სამყაროში. ამ განცდას განსაკუთრებით აძლიერებს ერთი მომენტი, რაც ბესიკის პოეზიის ერთ-ერთი ნიშანთვისებაა. ქართული „ალორძინების ხანის“ ლირიკაში, როგორც წესი,

სიყვარულის გრძობა მისტიკური ჰერეტიკის სფეროა. სიყვარულს გამოცლილი აქვს კონკრეტულ-გრძობადი მხარე. სატრფიალო საგანი მეტწილად რაღაც უხილავი, ხელშეუხებელი არსებაა, რომელიც ღვთაების ემანაციად (გამოსხივებად) ან კი თვით ღვთაებადაა წარმოდგენილი (ვანტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი ნაწილობრივ, დ. გურამშვილი და ა. შ.). მამუკას „ქაშნიკში“ ასეთი შეხედულებაც არის: „მართებს, კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს; თუ სააშიყო ლექსები უნდა, ღმრთის სააშიყო, ეკლესიის წმინდათა (ამბავი გალექსოს)“. სიყვარულზე ასეთ შეხედულებას ჩვენს პოეზიაში ბევრი საერთო მოეპოვება აღმოსავლურ, სუფიურ ლირიკასთან. სპარსული ლირიკა მეტწილად ამ გრძობითაა გამსჭვალული. პიროვნებათა შორის ყოველთვის ღმერთი დგას და სიყვარული მასთან ამალღების, მასში გათქვეფის ერთადერთი გზაა. სპარსული ლირიკა, რომელიც თითქოს გვიხატავს წრეგადასული სიყვარულის ვნებიან სურათებს, ქვეტექსტში ყოველთვის ეძებს ღმერთთან მისვლის, ღვთაებრივი თავდავიწყების გზებს. უდიდესი სპარსელი პოეტი ჯალალედინ რუმი (1207—1273) ერთ თავის ოთხსტრიქონიან ლექსში, რომელიც ქართულად არის თარგმნილი, გვესაუბრება სიყვარულზე. ღვინოზე, თავდავიწყებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ მისტიკური ალუგორიაა. სტრიქონებს შორის გამოსჭვივის უმალღესისკენ (ღვთაებისაკენ) დაუოკებელი სწრაფვა:

როდესაც ცეცხლი სიყვარულისა ძალ-ღონეს ჩემსას აღმატება,  
როდესაც შენი წმინდა სახელი, თუნდ ერთი წუთით დამავიწყდება,  
მე ვიღებ ჰიქას, რაშიც უკვლოდ ადამიანის ჰქრება ფიქრები,  
შენ ჰიქაში ხარ ღვინოსთან ერთად, თავდავიწყებით მე ვსვამ და ვთვრები.  
(თარგმანი ა. კელძისა)

ერთ ღაზელში (ლირიკული ლექსი) სუფიური ტრფიალის ფორმულასავით უღერს პოეტის სიტყვები: „სიყვარული — ზეცისკენ ლტოლვაა მძაფრი, მრავალზე-მრავალი საბურველი გადაიხსნება. გზის სათავეში—სიცოცხლის გმობაა, ხოლო გზის ბოლოს დაკარგული კვალი“. პიროვნებაზე ხელის აღება, უმალღესის ინტელექტუალური ჰერეტიკა — აი, ამ პოეზიის უმთავრესი ფონი. ჩვენშიც, კერძოდ „აღორძინების ხანის“ ლირიკაში, როგორც ზემოთაც შევნიშნე, გვაქვს მსგავსი მისტიკური ჰერეტიკით გამსჭვალული პოეტური ქმნილებები. აკად. კორნელი კეკელიძემ სიყვარულის ასეთი თეორია დაუკავშირა კიდევ სუფიზმს, თუმცა აქ უფრო გარეგნულ ანალოგიებზე თუ შეიძლება საუბარი, რადგან ამ მიმდინარეობას ქართულ მწერლობაში სხვა, კერძოდ, ქრისტიანული მისტიკის საფუძვლები კვებავს (დაწვრ. იხ. სარგის ცაიშვილი, ლიტერ. წერილები, 1966 წ., გვ. 59—73).

ბესიკი თავისი შემოქმედებით დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას. „სევდის ბაღის“ ციკლის ლექსებში სიყვარული ყოველთვის გრძობად-კონკრეტულ სახეებშია წარმოდგენილი. მკითხველი უშუალოდ გრძობს მიწიერ, ამქვეყნიურ ვნებათაღელვას. უფრო მეტიც, აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძობა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს თვით ავ-

ტორის პოეტიზირებულ ბიოგრაფიასთან და მიუხედავად ამალღებუ-  
ლი, მეტაფორული პოეტური ენისა, ეს მომენტი განსაკუთრებულ სი-  
ცხველეს ანიჭებს ბესიკის ლექსებს.

ამავე ციკლში ბესიკს აქვს სხვა ინტონაციით შესრულებული ლექ-  
სებიც, რომლებიც მეტაფორული სიმბოლოების ნაცვლად სუფთა ლი-  
რიკული ხმით გამოხატავენ პოეტის განცდებს. ამ ლექსებში უშუალო  
მიმართვის ინტონაცია ქარბობს. ლირიკული გმირა ესაუბრება მშვე-  
ნიერს, მაგრამ შეუბრალებელ სატრფოს:

მე შენა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა:

ანღაძაბისებრ მიმიზიდავ, ეგაჲ ნაჰქიოვებსა...

როდის იქნება შეპოზხედო გელსა მწიოესა?

(„მე შენა ფიქრმა“)

განსაკუთრებით საყურადღებოა ძველი ქართული სატრფიალო ლი-  
რიკის შედეგრი „ტანო-ტატანო“. პოეტი არღვევს ყოველგვარ პირო-  
ბითობას და პირდაპირ აგვიწერს სატრფოს სილამაზეს:

ტანო-ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!

ზიღფო-კავებო, მომკლავებო, ეერ საკარებო!

წარბ-წამწამ-თეაღნო, მისათეაღნო, შეძახაოებო.

ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ-წამარებო.

პირო მთეარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

ამ ლექსში უშუალო, გრძნობად-კონკრეტული განცდა დიდ სიძლი-  
ერეს აღწევს. თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა იგი შექმნილი, მოულოდ-  
ნელი სახეები ძვირფასი ქვებით ელაგვენ და მიუხედავად ფერთა სი-  
ქარბისა, არსად არ ილახება ნატიფი პოეტური ქსოვილი. სამწუხაროდ,  
ზოგი მკვლევარი ბესიკის პოეზიის ასეთ საგნობრივობას მცდარ გან-  
მარტებას აძლევდა და მის ლექსებში ამოდ ეძებდა ეროტიზმის კვალს.  
აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ბესიკის პოეზია ვერ ასცდა მეორე ხელოვნ-  
ურ „იარაღისა“. ხშირად პარალელს ავლებენ ე. წ. ანაკრეონტულ  
პოეზიასთან: ამ მხრივ განსაკუთრებულად შორს წაივია ზოგი მკვლე-  
ვარი და ბესიკს მე-18 საუკუნის ქართველ ანაკრეონტს უწოდებს. ამა-  
ზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ. მაგრამ სხვა მომენტებს თავი რომ  
დავანებოთ. ბესიკის პოეზიისათვის უცხოა მსუბუქი, ფრივოლური  
გრძნობები, მისთვის უცხოა ღვინის კულტის აპოლოგია, რაც ძველი  
ანაკრეონტული პოეზიის უპირველესი ნიშანია.

როგორც ვნახეთ. ბესიკის ზემოთ აღნიშნული ერთი ციკლის ლექ-  
სები სხვადასხვა პოეტური ხერხითაა შესრულებული (მაგალითად,  
ერთი მხრით „სევედის ბაღი“ და მეორე მხრით „ტანო-ტატანო“), მაგ-  
რამ მათ განსაკუთრებულად აკავშირებთ ერთი ნიშანი, ეს არის ამ  
ლექსების მძაფრი დრამატიზმი. ბესიკის ლირიკული გმირი რეალური  
სიყვარულითაა გატაცებული, იგი არ არის აღმოსავლური ტიპის მჭვრე-  
ტელი, პასიური აღქმის მიჯნური, იგი დრამატიზირებული სახეა, რაც  
ფორმის მხრივ გამოვლენილია გმირის დაუცხრომელ, ენერგიულ პა-

თოსში. მონოლოგი ამალღებული და მედგარი ტონისაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი შესაძლოა უიმედო მიჯნური იყოს. დრამატული სიმ-  
დაფრე ბესიკის სატრფიალო ლირიკის ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა, რაც მის პოეზიას განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს „აღორძინების ხანის“ ქართულ მწერლობაში.

ჩვენ არ ვიქნებოდით სწორი, რომ ეს დრამატიზმი მარტო მისი პოეტური ენის თვისებად მიგვეჩინა. პოეტის დრამატიზმს, მოვლენებთან გამძაფრებულ დამოკიდებულებას უეჭველად აქვს თავისი ღრმა საფუძვლები. იგი სოფელს უსამართლობასა და გაუტანლობას უსაყვედურებს. ეს უკმაყოფილება თავს იჩენს მის პოეზიაში და სწორედ ამ მომენტს გამოყავს მისი სატრფიალო ლირიკა კამერული პოეზიის შეზღუდული ჩარჩოებიდან: „რაც მოირეწა სოფელმან, ველარ დაეთვალე ამრითა, მისი სიმწარე ყოველი გულს გარდამრთხმთან კამრითა“. სხვა ლექსში პოეტი პირდაპირ ამბობს: „ვარ უცხო ვინმე ყარიბი, ამა სიტყვისა მხმობელი, ამა მუხთლისა სოფლისა მაგინებელი, მგმობელი“. აქ სიტყვა უნდა მივცეთ ჩვენი ძველი მწერლობის უბადლო მცოდნეს, აკად. კორნელი კეკელიძეს: „ეს ყველაფერი არაა უბრალო, უშინაარსო დეკლარაცია, ამონაკენესი გრძნობადაუკმაყოფილებელი შეყვარებული პოეტისა. კაცი, რომელიც ხედავდა თავისი ქვეყნის სოციალურსა და პოლიტიკურ რღვევას, რომელიც იძულებული იყო მისთვის საიმედო მზრუნველი ეძებნა ხან სპარსეთში, ხან რუსეთში, სხვას ვერას იტყოდა თუ არა:

ოი, სოფელო, პირდამყოფელო!  
ოი, დრკუო, ცრუო, ოი, მრუდო, ცუდო!  
ოი, შენსა პირსა, ვინ ეტრფის, ტირსა!  
ჰაი, ჰაი, გიცან, ოი, ემმაყო ზღუდო!

სინამდვილესთან ამგვარი დამოკიდებულებით ბესიკი ძალიან ჰგავს „აღორძინების“ სხვა პოეტებს, რომელთა შემოქმედება ერთიანი მწუხარე ხმაა. ეროვნული ტკივილები მეტწილად მათ პირად უბედობას ემატებოდა. არ ჩანდა გზები ისტორიის ბედ-უკუღმართობის დასაძლევად, ხოლო ცალკეულ თავდადებულ მოღვაწეთა ცდები ამაო იყო. ასე იყო ერეკლეს დროსაც. მისი მხნეობა და გამირული შემართება ანციფრებდა ყველას შინაურსა და გარეულს. ხალხი იმედის თვალით შესცქეროდა „პატარა კახს“ და ერეკლემაც, განსაკუთრებით პირველ ხანებში (80-იან წლებამდე), დაატყო კიდევ თავისი ხელი განადგურებულ ქვეყანას. მაგრამ ფაქტია, რომ ეს მაინც დროებითი გამოცოცხლება იყო. ქვეყანას ღრღნიდა გვიან-ფეოდალური მანიკიერებანი, ხოლო გარედან მოძალბებული იყო ათასი მომხდური. ერეკლემ ფეოდალური „თავკერძობის“ განადგურებით დაიწყო, მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქნა თვითონვე შეექმნა ახალი საფეოდალოები (საუფლისწულოთა სახით). უკან დაიხია ცენტრალიზებული ხელისუფლების პროგრესულმა ძალებმაც.

ხოლო რაც შეხება ერეკლეს მეფობის ბოლო წლებს, იგი ტრაგიკულად წარიმართა. ისედაც დაუძლურებულ ქვეყანას თავზარი დასცა მრისხანე ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამ.

### სამგლოვიარო ოლა „სამძიმარი“

ერეკლე მეორის ეპოქას ამშვენებს სახელი უდროოდ დაღუპული რაინდისა. ძე მეფისა, ლეონ ბატონიშვილი, ადრეულ სიკვამლეიდანვე მხარში ამოუდგა თავის სახელოვან მამას. ჯერ კიდევ 16 წლის ლეონმა ანტონ კათალიკოსთან ერთად რუსეთში იმოგზაურა. ეს იყო ფრიად საპასუხისმგებლო მისია. ლეონს და ანტონს დავალებული ჰქონდათ რუსეთთან მფარველობის ტრაქტატის შემზადება. ბატონიშვილმა ერთი წლის შემდეგ ძლივს ჩააღწია მოსკოვსა და პეტერბურგს (1773 წ.) და ეკატერინე II ერეკლეს მიერ შედგენილი პროექტი მიაჩრთვა. როგორც ცნობილია, აქ უკვე ჩამოყალიბებული იყო ის ძირითადი დებულებები, რომელიც საფუძვლად დაედო შემდეგ 1783 წლის ცნობილ გეორგიევსკის ტრაქტატს. საინტერესოა, რომ, ამ შემთხვევაშიც, ქართლ-კახეთის დიპლომატიური მისიონი ჩანს ინიციატორად, რათა მთელი საქართველო შევიდეს რუსთა მფარველობაში და ამით ერთხელ და საბოლოოდ მოეღოს ბოლო ნგრევა-განადგურებას, მაგალითად, სამეგრელოს მთავარი, კაცია დადიანი ლეონის პირით ითხოვდა, რომ მისი სამთავროც მიეღოთ რუსთა მფარველობაში. ლეონს ამ შემთხვევაში რწმუნება ემატებოდა იმის გამოც, რომ კაცია დადიანი მისი ახლო ნათესავი იყო (ლეონის დედა დარეჯან დედოფალი და კაცია ბიძაშვილები იყვნენ). როგორც ცნობილია, მაშინ შექმნილი ვითარების გამო რუსეთის დედოფალმა ეკატერინემ გადაჭრილი პასუხი ვერ შემოუთვალა ერეკლე მეორეს. დასასრულს უახლოვდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი (1768—1774) და მთელი გულისყური საზავო მოლაპარაკებისაკენ იყო მიქცეული. ამჭერად რუსეთი აშკარად ერიდებოდა ოსმალეთთან ახალ კონფლიქტს და ამავე დროს არც სპარსეთთან უნდოდა ურთიერთობის გამწვავება.

მაგრამ ეკატერინე დედოფლის პასუხში მაინც კარგად ჩანდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივა. რუსეთის მთავრობა მხოლოდ დიპლომატიური საფრთხის გამო იღებდა ხელს ენერგიულ მოქმედებაზე და ახლო მომავალში ჰპირდებოდა მფარველობის ოფიციალურ გაფორმებას.

ლეონისა და ანტონის ამ დიპლომატიური მოგზაურობიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი მომენტი.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ყირიმში ქართველი ტყვეები გაუნთავისუფლებიათ და ლეონი ითხოვს, რომ ხელი შეუწყონ მათ საქართველოში ჩამობრუნებას. 1774 წელს ლეონი სწერდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ნიკიტა ივანეს ძე პანინს, რომ ბევრი ტყვე

ქართველი განათავისუფლა ყირიმში თქვენმა მხედრობამ და რუსეთის გამოვლით ისინი სამშობლოში მოისწრაფიან, მაგრამო — დასძენს ბატონიშვილი, — ზოგიერთი ქალაქის კომენდანტი აკაეებს თურმე ლტოლვილთ და რუსეთშივე დასახლებას უბრძანებსო. ახლა იგი მამამისის — ერეკლეს, და თავისი სახელით ითხოვს, რომ განათავისუფლებულ ტყვეებს მისცენ საშუალება, დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ საქართველოში. ლეონის მოთხოვნა, როგორც ეს გრაფ პანინის ერთი წერილიდან ჩანს მყისვე დაუკმაყოფილებიათ. ლეონის მეცადინეობით ტყვეობაში გადახვეწილი ქართველები კვლავ უბრუნდებოდნენ მშობლიურ ადგილებს.

ლეონ ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსის უსაყვარლესი მოწაფე, ნიჭიერი და ფრიად განსწავლული პიროვნება იყო. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ერეკლე და ანტონი. ცნობილი მწერალი ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც ერეკლეს ქალის, თეკლას ვაჟი იყო და კარგად იცნობდა ამ ეპოქას, სამ საკვირველ კაცს უწოდებდა ერეკლეს, ანტონსა და ლეონ ბატონიშვილს. საქართველოში რომ მოვიდნენო (ლაპარაკია ლეონის ელჩობის დამთავრებაზე), მაშინვე სამი ესე სახელოვანი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონ კათალიკოსი და ბატონიშვილი ლევან შეუდგნენ საქართველოს დაწყობილობასა წესიერად. მოიგონეს მორიგი წესიერი ჯარი და გაამაგრეს საქართველოს საზღვრები ამით, რომლისაგანცა საქართველომ ხელმეორედ შენება დაიწყო. მოიგონეს ჩამოსასხმელი ზარბაზანი და სადაც წაიღებდნენ ხოლმე, უეჭველად კიდევ იმარჯვებდნენ; ამისა შემდგომ მეფე ირაკლი ქვეყნის გამართვას მოჰყვა, ანტონ კათალიკოსი ეკლესიების გამშვენიერებას და ლევან ბატონიშვილმა მტერს დაუწყო დევნა, რომელიცა (ლევანი) ყოველს ადგილს სწყლავდა და მარადის იმარჯვებდა იმათზედ. ეს სამი საკვირველი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონ კათალიკოსი და ბატონიშვილი ლევან სამნივე ხშირად იყვნენ ერთად და საქართველოს საქმეს აწყობდნენო (ალ. ორბელიანი).

მართლაც. აქ ხაზგასმულია ლეონის ყველაზე დიდი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე. მისი ენერგიული წინამძღოლობით საგრძნობლად შემცირდა ლეკთა გამანადგურებელი თავდასხმები ქართლ-კახეთის სამეფოებზე. ჯერ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1768—1774) და განსაკუთრებით შემდგომ ახალი ძალით წამოვიდა საქართველოში მოთარეშე ლეკთა გამანადგურებელი ტალღა. 1774 წელს დაწერილ ერთ თავის წერილში ერეკლე გრაფ პანინს საქართველოს უკიდურესობამდე მძიმე მდგომარეობას უხატავს. იმის გამო, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომში ქართლ-კახეთმა აშკარად დაუჭირა მხარი რუსეთს, ახლა ერთიანად სპარსნი, ოსმალონი და მათ მიერ წაქეზებული ლეკები საშინელებას უქადიან საქართველოს. „ლეკთა განალაგეს საქართველო“, — წერდა ამ ვითარების გამო შეწუხებული მეფე ერეკლე მეორე. უცხოელი მოგზაურები ერთხმად აღიარებენ საქართველოს წახედენას. ქართლიო — ამბობს გერმანელი მოგზაური რეინეგსი. — იბერიის იმ დაბლობს აღარ წარმოადგენს, სადაც სტრაბონმა მნიშვნელო-

ვანი ქალაქები დასთვალა, ქვისგან აგებული საუცხოო საზოგადოებრივი შენობები და თვით ფორუმები ნახა და სადაც ყველაფერი მოიპოვებოდა, რაც კი აღამიანს სჭირდება, რათა ცხოვრება სასიამოვნო იყოსო. თათრებმა და დაღესტნელებმა ისე გაანადგურეს ეს კურთხეული ქვეყანა, რომ მრისხანე უღაბნოდ აქციეს და ახლა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოდგენაც კი არა აქვს, რას ნიშნავს კეთილი ცხოვრება. ხალხი მიწურებში ჩამალულა და მხოლოდ მშვიდობიანობას ეძებს, მაგრამ მაინც ვერ პოულობს, ვინაიდან საშინელი ლეკი თვით ამ საფლავშიც ესხმის თავსო.

ერეკლე ისევ და ისევ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით შეეცადა შებრძოლებოდა ამ ეროვნულ უბედურებას, საჭირო იყო მუდამკამს მზადმყოფი რეგულარული ჯარის შექმნა. ეს იყო არცთუ ისე ადვილი საქმე გვიან-ფეოდალური წყობის ქვეყანაში. მაგრამ ერეკლეს რამდენიმე ცდა ბოლოს გამარჯვებით დაგვირგვინდა. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ე. წ. მორიგე ლაშქარი. იგი თავისებური ტიპის, ქართლ-კახეთის მაშინდელი ვითარების შესაბამის რეგულარულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა. დავით ბატონიშვილი ამის გამო წერდა: „მორიგე ჯარი“ იყო სახელმწიფოს „შინაური დაცვა“ და მას იყენებდნენ სამეფოს საზღვართა დაცვისა და შინაური გუშაგობისათვის...“<sup>3</sup>.

საინტერესო და თავისებური იყო ამ ჯარის ორგანიზაციაც. ქუღზე კაცი გამოდიოდა წელიწადში ერთი თვე და თავისი იარაღით და სანოვავეით დგებოდა „მორიგე ჯარში“. ჯარს ჰყავდა მუდმივი უფროსი შემადგენლობა: უზბაში (ათისთავი), მინბაში (ასისთავი), სარდარი და ბოლოს „მორიგე ჯარის“ წინამძღოლი სარქარდრა (ჯარის მეთაური). ესენი მეფის ხაზინიდან ლებულობდნენ მუდმივ ხელფასს და მეფის მოხელეებად ითვლებოდნენ. იყო გამონაკლისები; ზოგი ხელობის კაცი ან სულ თავისუფლებოდა გაწვევისაგან, ან კი შემცვლელი, ბადალი უნდა ეპოვნა. შეღავათები ვრცელდებოდა „აღებ-მიცემის კაცებზე“, მწყემსებზე, გუთნის დედეებზე, შემძლე მეწისქვილეზე და ა. შ. განსაკუთრებულად ექცეოდნენ, როგორც ჩანს, კულტურის დარგში მოღვაწეებსაც. მაგალითად, „მორიგე ჯარიდან“ გაუნთავისუფლებიათ სტამბის მუშაკი, რადგან იგი სტამბაში ასრულებდა თურმე მეტად საპატიო „საქვეყნიერო სამსახურს“. ასევე თავისუფალნი ყოფილან სემინარიის მასწავლებლები, რექტორები და სხვა ასეთი ტიპის მუშაკებიც.

„მორიგე ჯარის“ განაჩენი ზუსტად უნდა ასრულებულიყო და მისი ყოველი დამრღვევი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, მეფის მიერ მკაცრ სასჯელს დაიმსახურებდა (საქართველოს სიძველენი, I, № 191).

„მორიგე ჯარმა“ ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დანიშნულება. დავით ბატონიშვილი თავის „ახალ ისტორიაში“ ამის გამო შენიშნავს: „ვინაიდგან ლეკნი მარადის აოხრებდნენ ქართლსა, იღონისძია მეფემან და ყოველთა სახლთაგან კაცისთვის ერთი რაოდენიცა იყვნენ სახ-

<sup>3</sup> ა. როგავა, დ. ბატონიშვილის «Обозрение Грузии».

ლსა მას შინა, რათა მსახურონ თვითოსა თვესა მამულსა მორიგედ წოდებულნი... ხოლო ესე ექმნა ქართლსა სარგებელ ფრიად. ესრეთ იქმნენ შიშენეულ ლეკნი, რომელ ვერლარა სადა იკადრეს გამოსვლა, და ესრეთ დამშვიდდა ქვეყანა, რომელ ღართის-კარსა შინა დიაცნი თვინიერ მამაკაცისასა ვიდოდნენო“.

მორიგე ჯარმა ლახვარი ჩასცა ლეკთა ყაჩაღურ თარეშს და ამავე დროს ბურჯად შეუდგა მეფის ხელისუფლების გაძლიერებას. მორიგე ლაშქრის მიზანშეწონილობა, — წერს ამის თაობაზე ნიკო ბერძენიშვილი, — აშკარა შეიქნა. ლეკების თარეში სავსებით შეწყდა, ქვეყანა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდა, მიტოვებული სოფლები ისევ მოშენდა, გლეხებმა ციხე-გალავნები დასტოვეს, მინდვრად გავიდნენ და მშვიდობიან სოფლის მეურნეობას შეუდგნენ.

თანდათან გამოსწორება იწყო საქართველოს პოლიტიკურმა მდგომარეობამ და მალე ქერიმ-ხანი (სპარსეთის მფლობელი) და ოსმალთა ხონთქარიც ახალ დიპლომატიურ დონეზე იწყებენ მორიგებას ქართლ-კახეთის სამეფოსთან. ქართლ-კახეთი შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების კალაპოტში ჩადგა და მძიმე ჭრილობების მოშუშება დაიწყო. შეიძლება კარისკაცის — იესე ოსეშვილის გადაჭარბებული სიტყვებია, რომელიც ქვემოთ მომყავს, მაგრამ იგი რამდენადმე მაინც ასახავს ფაქტიურ ვითარებას. ერეკლესა და ქართლ-კახეთის ასე აღწევებამო განაცვიფრა ყოველი სული და აღიდებდნენ ღმერთსა ამის ესეთს ბედნიერებას. ხონთქარი ესრეთ, ყენი ესრეთ, რუსეთის იმპერატორი ესრეთ, შვილნი მორჩილი ესრეთ, ყმა დამონებული ესრეთ, მეზობელნი მორჩილნი ესრეთ და სხვა მრავალი ბედნიერება აურაცხელიო.

მორიგე ლაშქრის სულსჩამდგმელი და მეთაური კი იყო ერეკლეს ვაჟი, ლევან (ლეონ) ბატონიშვილი. ამ დიდ საქმეში ლეონმა არაჩვეულებრივი მხნეობა და სახელმწიფო მოღვაწეობის ბრწყინვალე თვისებები გამოამჟღავნა. ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე წერს, რომ ლეონი მეფე ერეკლეს საიმედო ფარდა იყო და საქართველოს ისე იფარავდაო. ანტონ კათალიკოსი, ლეონის ნიჭის თაყვანისმცემელი, სწერდა ერთ თავის ახლობელს: „დადესტანსა შინა ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ერეკლე აღარ დაბერდებო, ასეთი სხვა ერეკლე გამოჩნდა, რომ ერეკლეს წინააღმდეგობა აღარავის შეუძლიაო, აქამდის ერთი იყო და ახლა ორი ერეკლე არისო“.

ლეონმა მუსრი გაავლო ლეკებს და საერთოდ ყოველ მარბიელს, ვისაც კი უცდია თარეშის განახლება. იგი თუ დღეს არავის ხეობაში იყო მორიგე ლაშქრით, ზეალ კახეთისკენ იზამდა პირს და ზეგ საორბელოში ჩამოივლიდა. ძველი საქართველოს მონაპირე სარდალივით ფხიზლად დარაჯობდა ქართლ-კახეთის საზღვრებს. ალექსანდრე ორბელიანი რამდენიმე ეპიზოდს გადმოგვცემს ლეონ ბატონიშვილზე, რომლებშიც კარგად ჩანს მტერთან შეუპოვარი, მაგრამ ამასთან მოკრძალებული რაინდის კეთილშობილური სახე.

„ერთხელ გორიდან წამოსული მეფე ირაკლი მოეშურებოდა ოცის ცხენიანის კაცით, საჩქაროდ ქალაქში ჩამოსულიყო. ამ დროს, როდეს-



საც ჭალას (სოფელია კასპთან, სამთავისის ეკლესიის მახლობლად — ს. ფ.). დაუახლოვდნენ, ორი ბაირახის ლეკი გამოვიდა ტყიდან და ამათზე წამოვიდნენ მინდვრად. ლევან ბატონიშვილიც იმ დროს იქ ხლებია მამა მეფეს და ოთხი ზაალიც თანა: თავადი ზაალ ენდრონიკაშვილი (კუზიანი), თავადი ზაალ ბარათაშვილი (დიანბეგი), თავადი ზაალ მაჩაბელი (ბორბოტი) და თავადი ზაალ ორბელიანი (ყაფლანიშვილი). თურმე მეფე ირაკლი იტყოდა, ამ ოთხი ზაალისას: ოთხი ზაალი ჩემთან რომ იყოს. ოთხი ათას მტერსა არ დავერიდებოდით. ასეთი გულოვანი ვაჟკაცი ყოფილან ეს ოთხნი... ესენი დამდგარან და რჩევა უკითხავს მეფესა, რა გქნათო? ზოგს რა უთქვამს და ზოგს რა. მას უკან ლევანისთვის უკითხამს: შენ რალას იტყვიო. იმას მოუხსენებია: თუ თქვენ აქ არა ბრძანდებოდეთ. მე ვიცი რასაც გიქმოდით. მაგრამ თქვენ რომ აქა ბრძანდებით, მე აღარა მეთქმის რაო. მეფემ მეტის სიამოვნებით გაიცინა და მას უკან მიუბრუნდა იმათ: ამ წუთკლებზედ თოფი რომ გავცალოთ, სირცხვილი არ არის ჩვენთვის? ეხლავე ჩახმანხიდან წამალი გადაუყარეთ თოფებს! მაშინვე გადაუყარეს, ამასთანავე დაისვეს ხმლებს ხელი და შუა ლეკებში დაეძგერნენ, რომელთაცა იმ წამსვე მოშალეს იმათი დასი და წინ წაიყარეს“.

ლეონს ბევრჯერ უხსნია თბილისი და მისი ახლო სოფლები აოხრებისაგან. „ბატონიშვილი ლევან სამშაბათს აბანოში იყო რამდენსამე რჩეულის ამალითა. — წერს ალ. ორბელიანი სხვა ადგილას. — ამ დროს მეფეს ირაკლის კაცი მოუვიდა: საგურამოს ტყიდგან ლეკის ჯარი წამოვიდა. ავჭალაზედ მოდიან, უნდა წაახდინონო. ლევანი მაშინათვე გამოვარდა, იმის ამაღაც თან გამოჰყვა და სირბილით კუკიაში გავიდნენ გზაზე ტანისამოსის ჩაცმით, სადაც შეკაზმული ცხენები და იარაღი მოართვეს, და საჩქაროდ გასწიეს. რა გრდანისა მხარეს გავიდნენ, იქ ექვსასი ლეკი დაინახეს ავჭალაზე მომავალი ექვსის ბაირახით. ბატონიშვილმა ლევან ბრძანა: მამიჩემის მეფის ბაირახი გაშალეთო. იქიდან ბელადმა დურბინდში გამოიხედა და მეფის ირაკლის ბაირახი რომ დაინახა, დაიძახა ის ძალღიერ ერეკლე აქ არისო. ამოობაში ქართველები კიდეც დაერივნენ და გამარჯვებულნი ბევრის ტყვეებითა ქალაქი შემოიარეს. დიდი და პატარა ბატონიშვილის ლევანის დღეგრძელობას ღმერთსა სთხოვდნენ გულმხურვალედ“.

დავით ბატონიშვილი, როცა „მორიგე ლაშქრის“ სარგებლიანობას ეხება, ასახელებს. სხვათა შორის, ლევანის მიერ მისაქციელთან (სოფელი ნატახტრის ზემოთ, არაგვის ხეობაში) ლეკების განადგურებას. საინტერესოა, რომ რამდენიმე ხალხური ლექსი აშკარად ეხმაურება მი-საქციელთან ბრძოლის ეპიზოდს და აღიღებს ლევანის გმირობას:

„აჲთ, თქვე ლეკის შვილებო, რად შემოგვართოთ თვალა?  
იქვე მთელია ლევანი, იქაჲ ბევრი ჰყავს ჭარია  
„ხო, გახსონს, მისაქციელსა ავი დავიღვათ დარია?  
გამაგერიათ ლევანი, გაგინახვერათ ჭარია“.

ლეონის შემართება დიდი სახელმწიფო მოღვაწის უნარი, როგორც

მოსალოდნელი იყო, არ გამოპარვია ხალხურ საგმირო პოეზიას და ერეკლესთან ერთად ლეონიც გადაიქცა ამ პოეზიის საყვარელ გმირად. ლეონ ბატონიშვილის დაუფიწყარი სახეა მოცემული ერთ ბრწყინვალე ხალხურ ლექსში:

ხალი სკრის ბაგრატიენისა, ნეფისა ერეკლისაო;  
ნეტაიე გამაცნობინა! ლევანს უქებენ შვილსაო.  
საღეკო შემომტერია, ზევაჲ რო წვერი ტყისაო;  
წაიდა სარუსეთოდა, საქართველოი ჰკვირსაო,  
გამაყოლა ჭარები, ხერხები ათას ფრთისაო.  
ლევან ქალაქი შამახედა, ქება მილა ცისაო,  
ლეთ უფროსები შაშინდა: „ჩვენკე რაით იქს პირსაო.  
მაგან თუ პირი ჩვენკე ქნა, საქმე სჭირს დაღისტინისაო“.

შესანიშნავია ოთხსტრიქონიანი ხალხური ლექსი, სადაც გატაცებული ტყვე ქალი ლევანს ვევედრება:

„ბატონიშვილო ლევანო, მარგალიტისა მტევანო,  
დაღისტანს ლეკებს მივკუეეარ, დამიხსენ, თქვენი ტყვე ვარო“.

ლეონი ასევე ხშირადაა წარმოდგენილი ჩვენს მწერლობაში და, რაც აღსანიშნავია, ყველგან გატარებულია ერთი თვალსაზრისი. ლეონი სამედრო გამგრძელებელია სახელოვანი მამის, ერეკლე მეორისა და ანტონ კათალიკოსის მიერ წამოწყებული ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეებისა. 1778 წელს, როცა ლეონი თავისი მოღვაწეობის ზენიტზე იყო, ამბროსი ნეკრესელს დაუწერია ჩახრუხებული წყობის მთელი ხოტბა:

ლეონ ღვთის საცნო, ვით სიბრძნე ამცნო, ზე სამყარ გვექმნა მანათობელი,  
ზეგარდმო შუქი, ცისკრებს მაშუქი, სხივ-შარავანდთა ჩვენთა მკრთომელი...

რაც შეეხება დავით ალექსიშვილს (რექტორს), მას მთელი ციკლი აქვს მიძღვნილი ლეონისა და მისი მეგობრებისადმი (მათ შორის ბესიკისათვის), მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ვრცელი იამბიკო, რომელიც ასეთი სახელითაა ცნობილი: „მისის სიმალღის სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის მეორის ძის ლეონისათვის თქმულნი, „ათნი სიტყვანი იამბიკოდ“. თუ რამ გამოიწვია სახელდობრ ეს ლექსი, ამას ქვევითაც შევეხებით, აქ კი მოვიყვან ერთ ადგილს, საიდანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდ იმედებს ამყარებდნენ ჭაბუკ რაინდზე მაშინდელი ქართველი მოღვაწეები:

შემკრებდნენ ჰაზრთა მოხუცი ზოგადობით  
ვით ბრძენნი ძველნი შესხმასა ქებათასა,  
და იტყოდნიან ესე ძე მამისებრი,  
ესთა იცნობის, ვითარ ლომი ტოტთაგან.  
„მსკავესმან მსკავესივე წარმოქმნას მსკავესებთა“.

ლევანის დიდი სახელი გასცილდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებსაც და მეზობელი სახანოების მგოსნებიც უმღეროდნენ მის ქველ საქმეებს. იგივე აზერბაიჯანელი მგოსანი ვაგიფი, რომელიც ზევითაც ვახსენეთ, ლეონს უძღვნის სამქებრო ოდას. ეს არის საინტერესო ფაქტი ერეკ-

ლეს დროის საქართველოს და აზერბაიჯანის კეთილმეზობლობის და ახალი კულტურული ურთიერთობისა, მაგრამ აქ საინტერესოა შემდეგი: ვაგიფის აზრი ლეონზე, როგორც ერეკლეს საქმეთა ღირსეულ გამგრძელებელზე, ბევრ რამეში ემთხვევა ჩვენი ქართველი მოღვაწეების შეხედულებას. ლეონი ამ ლექსში ისეთი გმირია, რომელიც ერეკლეს შემდეგ სათავეში ჩაუდგება საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ბრძოლას უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ:

ღიღი ბატონის თვალთა სინათლე, რა მშვენიერი ჰაბუკი არი!  
ადგას კეთილი ჩრდილი იმისა, მთელ საქართველოს ვითარცა ფარი!  
(თარგმნ. კ. ჭიჭინაძისა).

საჭიროა აღინიშნოს, რომ ვაგიფი ამასთან იყო პირველი ვეზირი ყარაბაღის მფლობელის იბრაჰიმ-ხანისა და სათავეში ედგა მისიას. რომელსაც მეგობრობა-მფარველობის პირობა უნდა შეეკრა ქართლ-კახეთის სამეფოსთან. ყარაბაღისათვის ეს იყო ერთადერთი ხანა ირანელთა ხელყოფისაგან და ვაგიფი ჰოეტური სიტყვით თუ სახელმწიფოებრივი საქმიანობით თავდადებულად იბრძოდა ასეთი კავშირისათვის. როგორც ცნობილია, ვაგიფმა მიაღწია კიდევ ერეკლესა და იბრაჰიმ-ხანის დამეგობრებას, რამაც შემდგომში კეთილი ნაყოფი გამოიღო ორივე ქვეყნისათვის.

მაგრამ თურმე ლეონს არ ეწერა ბოლომდე მხრების გაშლა. 1781 წლის თებერვალში კახეთიდან მოვიდა შემზარავი ამბავი. მოულოდნელად გარდაიცვალა 25 წლის ჰაბუკი, მეფე ერეკლეს „ფარი და იმედი“ ლეონ ბატონიშვილი. ლეონის სიკვდილი ახლაც საიდუმლოებათა მოსილი. დავით ბატონიშვილი თავის „ახალ ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ „შეედვა მწუხარება სახლსა მეფისასა სიკვდილის გამო მეფის ძის ლეონისა“. ხოლო სხვა ადგილას დასძენს. რომ ეს მომხდარა სოფ. ვეჯინში, ივანე აბაშიძის სახლში. ერთი ცნობით, რომელიც უფრო რომანტიულ თქმულებასა ჰგავს, ლეონს სუფრაზე მოსწონებია კახელი თავადის ასათ ვაჩნაძის ახალგაზრდა ქალი და შეუფერებელი სიტამამე გამოუჩენია. ქალი აღრევე გაუპარებიათ. მაგრამ მთერალი და უინით აღტყინებული ლეონი თითქოს უკან დასდევნებია. ქალმა შური იძია ჰაბუკზე და მახვილით განგმირაო. სხვათა შორის. ამ შეუთმონებელ ცნობას იმეორებს რუსი ისტორიკოსი ბუტკოვიც. არის ვერსია. რომელიც შერმაზან აფხაზს ასახელებს ლეონის მკვლელად. შემდეგში ერეკლეს სასამართლომ გაარკვია შერმაზან აფხაზის უდანაშაულობა და მთელ გვარს ჩამოხსნა სისხლის ძიების საშინოროება. თურმე გლუხებს სიმკაცრისათვის მოუკლავთ მათივე მეზობრე შერმაზანი, ვითომც იმის გამო. რომ მან ლეონი მოწამლაო. ამით სასჯელის აცილებას ფიქრობდნენ და ასათ ვაჩნაძის გამართლებასაცო (იხ. გ. ჭიჭინაძის წიგნი, „ერეკლე მეორე“)<sup>4</sup>.

<sup>4</sup> არის ისეთი გადმოცემა, რომლითაც ლეონი თითქოს ალაზნის თევზით მოწამლულა.

სხვა შეხედულება იჩენს თავს ისეთ კომპეტენტურ პირთა ცნობებში, როგორიცაა ანტონ კათალიკოსი და დავით რექტორი. ანტონი უდროოდ მსხვერპლს უწოდებს ლეონ ბატონიშვილს, ხოლო დავით რექტორი ზემოთ ნახსენებ იამბიკოში („ათნი სიტყვანი იამბიკოდ“) პირდაპირ ამბობს, რომ ლეონი მოუკლავთ მოშურნეებს და სამუდამოდ ჩააქრეს ამომავალი მზეო:

უწყალოდ მკვლელმან, ცთუნებისა ლახვარმან,  
გამუკერძოე არსებანი შენადგნი...  
და მოჰკაფნა უწყალოსა ცულითა,  
ჰაეროვნება მხნისა ქველის ქაბუჯისა  
და ტახტთა ნაცვლად სველალო სიჟანსა.

ლეონის გარდაცვალებაზე ძალიან საინტერესო მასალები მოეპოვება იმავე ალექსანდრე ორბელიანს, რომელსაც მრავალი ცნობა შეუგროვებია ერეკლეს მემკვიდრეთა ოჯახებში. მიუხედავად გავრცელებული ცილისწამებისა, ერეკლე მეფეს ღრმად სწამდა მისი ვაჟის სპეციაკი ზნეობისა და მოულოდნელ უბედურებაში ქვეყნის „მოშურნეთა“ საქმეს ჰკრეტდა. „ბატონიშვილმა ლევანმა, — გვიამბობს ალ. ორბელიანი, — ალაზნის პირზედ ლეკის ჯარი დაამარცხა. იქიდან გამობრუნებული მოვიდა და სოფელს ველისციხეში გადახდა, — იქ კიდევ ლეკის ჯარსა მოელოდა, ალაზანში უნდა გამოსულიყვნენ და ქართლის სოფლებისათვის უნდა დაეკრათ. ამ დროს სადილზედ ლევან ბატონიშვილი მძიმეთ ავად გახდა და საღამო ჟამს კი გარდაიცვალა. ყველას გაუკვირდა იმისი ასე უეცრად სიკვდილი და, რასაკვირველია, ამაზედ დიდი გლოვა იქნებოდა, მაგრამ ამით რისთვის შეგაწუხოთ, ისევ საქმეს მიეყვით.

მაშინდელმა მეფის ირაკლის ოჯახის მტრებმა მითამ ამით ისარგებლეს. რომ იმ უსვინდისოებმა ხმები დაყარეს: ლევან ბატონიშვილზე მისწრობია ერთი კაცი და იმ კაცს თავის ცოლზე ხანჭლით გაუგმირაესო ლევანი“. ეს ამბავი მაშინვე მეფეს ირაკლის მოხსენდა, რომელმაც აღარც თვითონ, აღარც სხვები აგლოვა, უბრძანა: აქ, ტფილისში ჩამოიტანეთ იმისი გვამიო, რომელთაცა მოასვიგინეს და დარიის (დარეჯან დედნეთლის) ეკლესიაში დაასვენეს ავლაბარს. ამის მეორე დილაზე სასულიერო წოდება, ბატონიშვილები, დიდრონი კაცები და თიოთ მეფე ირაკლი ავლაბარში წასასვლელად რომ ემზადებოდნენ, იმათში ბრძანა მრისხანედ მეფემ:

— თუ მართლა ჩემი შვილი ლევან ხანჭლით განგმირულია დეო—  
კაცზე ჰმრისავან, ჰეშმარიტებას ვფიცავ, სახალხოდ ვათრევიგებ.

ამასთანავე გამოვიდნენ და ცხენებით გაეშურნენ ავლაბრისკენ, მაგრამ დიდად დაღონებულები. იმ ლევანის სიკვდილს რომ აღარ სწუხდნენ, იმას სწუხდნენ, უთუოდ ათრევიანებს და საგანგაშო შეიქმნება ყოველს ქვეყანაშიო.

როდესაც მივიდნენ და ეკლესიაში შევიდნენ, უბრძანა: ეგ ცხედარი კარზე გაიტანეთო. გაიტანეს და იქ სრულიად ცხედრის გატიტ—  
220

ვლება უბრძანა. როდესაც რომ გაატიტვლეს, კიდევ უბრძანა: კარვად გაჩხრიკეთ, რომლის ადგილს არის განგმირულით და თვითონ თავზე დაადგა. კარვა ხანი ჩხრიკეს, მაგრამ არსად არა იყო რა, მხოლოდ ამის მეტი, რომ მთელი სხეული ძალიან გალურჯებული ჰქონდა და სიშავე დასცემოდა. მაშინ მეფე ერეკლემ დაუჩოქა და, როგორც რიგია, მოთქმით ტირილს მოჰყვა. ეს ამბავი მაშინვე დედოფალს აცნობეს, სადაც მთელს სასახლეში და ქალაქში შეიქმნა გლოვა<sup>5</sup>.

ერეკლეს ასეთი მკაცრი, გულქვაობამდე ასული საქციელი გამოწვეული იყო ზნეობრივი მომენტებით. მხოლოდ სახალხო სიმაართლეს შეეძლო კვლავ განემტკიცებინა მისი უდროოდ დაღუპული შვილის შელახული შარავანდედი.

შემდეგში მეტი სიცხადე მოეფინა ლეონ ბატონიშვილის ტრაგიკულ ამბავს. ლეონი უეჭველად მსხვერპლია ერეკლეს წინააღმდეგ ამხედრებული რეაქციისა. ენერგიული და მხნე ბატონიშვილი, „მორიგე ლაშქრის“ დაუღალავი მეთაური, ძლიერი სახელმწიფოს საიმედო ბურჯთაგანი, თავკერძა თავადების მოსისსლე მტერი იყო. ლეონის სიკვდილით მათ თავიანთ უმთავრეს საწადელს მიაღწიეს. ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ მორიგე ლაშქრის საქმე სულ უკან-უკან წავიდა და ბოლოს იგი სრულიადაც გაქრა, ხოლო მორიგე ჯარის გაუქმება იყო თავადების გამარჯვება და ერეკლე მეფის პოლიტიკის უდიდესი მარცხი.

ლეონ ბატონიშვილის მკვლელობის კვალი სწორედ ასეთ „ქვეებუდანა“ თავადიშვილის, რევაზ ანდრონიკაშვილისაკენ მიდის. საქართველოს ტახტის მემკვიდრის გიორგი XII ცოლის ძმა არაერთხელ გამოსულა ერეკლეს წინააღმდეგ და ბოლოს, როგორც ჩანს ლეონის სიკვდილით მძლავრი მახვილი ჩასცა ერეკლე მეფის წამოწყებულ საქმეებს. ამასთან, ლეონის სახით იგი თავის პირად მტერს ჰკრებდა. ლეონის გამეფებით (რაც არც ისე მოულოდნელი იყო) ბოლო მოეღებოდა მის შემდგომ განდიდებას. სხვათა შორის, ეს ის რევაზ ანდრონიკაშვილია, რომელმაც კიდევ ერთხელ სასტიკად უმტრო ერეკლე მეორეს და ვითომდა სიძის, გიორგი XII სახელით, სახლში დაითხოვა 2000 ქიზიყელი მეომარი და ისედაც მცირერიცხოვანი ქართველი ჯარი აღამაჰმად ხანის ლაშქარს შეატოვა<sup>6</sup>.

ლეონის სიკვდილმა დიდი გლოვა-მწუხარება გამოიწვია. იგი გამოიტირეს როგორც ერეკლეს ჰემშარტი მემკვიდრე და მისთა საქმეთა საიმედო დასაყრდენი. ანტონ კათალიკოსის ერთ წერილში კარვად ჩანს ამ დიდი მწუხარების უმთავრესი მიზეზები — ლეონი ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწე დგებოდა: „მოსცილდა მეფობას ყოვლად განუყვეთელი იგი სიმტკიცე, დაიღწა ყოვლად უბრძოლველი იგი საჭურველი ქართველთა და შემუსრვად მტერთა ჯარისათა არღარად სახმარ იქმნ! განქარდა ყოვლად განსაკვირველი იგი სიმხნე“. ხოლო სხვა წერილში

<sup>5</sup> ლეონის საიდუმლო მკვლელობაზე საინტერესო მასალები მოეპოვება ისტორიკოს ა. როგავას წიგნში „ლეონ ბატონიშვილი“ (ხელნაწერი).

ასევე დასძენს: „ასეთი სასიკვდილო მოკვდა ამ ქვეყანაში, რომ ასე ჩემი გული არც დედისა, არც დებისა და არც სხვების სიკვდილის ლახვრით განგმირულა. ლეონ, როგორც რომ გინახავთ, იმისთანა დღითი-დღე ველარა ნახევდით. არა თუ განსაკვირვებელს ოდენ განსაცვიფრებელ სიკეთეებში აღვიდოდა, ყოველს დროს იმის მამაცობისა და სიმბხნის და მალღის გონიერებისა და დღითი-დღე იზრდებოდა“. ანტონის უნდა ეკუთვნოდეს ერთი სამგლოვიარო ლექსი:

განციფრდი, ცაო, შეძრწუნდი ქვეყანაო,  
დაეცი მთაო, აჰა საყვდაჲდ მზაო,  
ვიტრემლოთ მწარედ, ეჲ, მშვენიერო ყმაო,  
სად მიმეფარე, პოი მოყმეთა თაო.  
ირაკლის შვილო. წიაღით ნახარდო ჩვილო  
და ანტონის ზრდილო და საკუთარ ნაწილო,  
ლეონ ყვაჲილო ედემს შინა აღზრდილო,  
სიბრძნითა განფრდილო, მანგლით უწყალო მცილო.

ლეონის გლოვას მიეძღვნა სხვა პოეტური ნაწარმოებიც. განსაკუთრებით საინტერესოა მისი სიყრმის მეგობრების ბესიკისა და დავით რექტორის სამგლოვიარო ოდები. მაგრამ ვიდრე მათ შეეცხებოდე, აღვნიშნავთ. რომ ლეონის ტრაგიკულ სიკვდილს სამგლოვიარო ლექსი მიუძღვნა ვაგიფის თანამედროვე მეორე აზერბაიჯანელმა პოეტმა ვიდადიმ. ეს ლექსი ჯერ არ არის ქართულად თარგმნილი, მაგრამ როგორც აზერბაიჯანელი მკვლევარი დილარა ალიევა გვაუწყებს, აქ გადმოცემულია დიდი მწუხარება ქართველი რაინდის უდროოდ დაღუპვის გამო და ჩამოთვლილია ლეონის საგმირო საქმეები.

დავით რექტორის სამგლოვიარო ოდა გზადაგზა რამდენიმეჯერ ვახსენეთ, რადგან ლეონზე აქ ბევრი საინტერესო ცნობაა შემონახული. არსებითად „ოდაში“ ლეონის ცხოვრებაა გალექსილი და ავტორის ნიჰის შესაფერად შეზავებულია მხატვრული გამოთქმებით. თუმცა დავითი შენიშნავს, რომ ეს იამბიკო მდაბიო და მარტივი ლექსით ვთქვიო, რადგან „ყოველთა მიმართ ადვილ საცნობად და გასაგონად“ იყოსო, მაგრამ „ხოტბას“ მაინც მძლავრად ატყვია მაღალფარდოვანი პათეტიკური სტილი, რაც საერთოდ ანასიათებს ამ სკოლის პოეტებს. დავითმა „ათნი სიტყვანი“ უწოდა ამ თხზულებას და. მართლაც, მას ათ თავში მოთხრობილი აქვს სხვადასხვა ეპიზოდი და ქველი საქმენი ლეონის ცხოვრებიდან. დიდ მწუხარებასთან ერთად, აქ იგრძნობა მრისხანება ავტორისა, რომელსაც ქვეყნის წინაშე დიდ დანაშაულად ესახება ლეონის დაღუპვა:

ესე კეიპაროზი გაბაონს განაზარდი,  
ესე აფრიკის ლომი ყოველად ძლიერი...  
ანაზ სიკვდილმა უჩინო დაფარკით...  
უწყალოდ მკვლელმან, ცოთუნებისა ლახვარმან,  
განუკერძიჲა არსებანი შენადგნი...

ლეონი, ბესიკი და დავით სიყრმის მეგობრები იყვნენ და მათი მეგობრობის ნიშნად დავითს ეკუთვნის ერთი აკროსტიხი, რომელთა კი-

დურწარწერილობა გვაძლევს სახელებს: ლეონი, ბესიკი, დავით, ხოლო მეორეში ვკითხულობთ: ლეონ, დავით.

ბუნებრივია, რომ ბესიკი, რომელიც სიყრმიდანვე ასე ახლოს იდგა ლეონის წრესთან და როგორც ჩანს, მას ხშირადაც ახლდა ქირსა და ლხინში, შესაფერისად გამოიტირებდა სიყრმის მეგობარს. ჩვენამდე მოაღწია ბესიკის სამგლოვიარო ოდამ „სამძიმარი“, რომელიც შთაგონებულია ლეონის ტრაგიკული გარდაცვალებით. უნდა აღინიშნოს, რომ „სამძიმარისთვის“ ბესიკს ლექსის ისეთივე ფორმა შეუერთებია, როგორც მათ საერთო მეგობარსა და პოეტს დავით რექტორს (თუმცა ბესიკის „იამბიკო“ რითმოვანია). სხვათა შორის, არის შემხვედრი ადგილებიც, მაგალითად, დავით რექტორთან გვაქვს: „დაუტევებდნენ მგლოვარენი გლოვასა, ვით ატადის კალოითა დანარცხებულნი“, ბესიკი ზუსტად ასეთივე კონტექსტში იყენებს ამ ბიბლიურ სახეს (ატადის კალო — ბიბლიური იაკობის გლოვის ადგილი): „გამოინდა კალო ატადის სავეალალო, ოდეს გცანთ, ძალო, ხელდაკრეფით საბრალო“ და ა. შ. მაგრამ ბესიკის ოდა შორსაა დავით რექტორისებური მშრალი პათეტიკისაგან და ღრმა განცდითაა აღბეჭდილი. ბესიკის „სამძიმარი“ იშვიათი ნიმუშია ჩვენში საკმაოდ გავრცელებული ე. წ. გოდების ქანრისა, რომლის არაერთ დიდებულ ნიმუშს მოუღწევია ჩვენამდე. ჭერ კიდევ ლეონტი მროველის ისტორიაშია ნახსენები „მგოსანნი გლოვისანი“, ხოლო იქვე აღწერილია ფარსმან ქველის მოკვლის ამბავი. „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყემა ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთაგან ვიდრე გლახადმდე-ო“. ბესიკს თავისი ოდისათვის გამოყენებული აქვს ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ამაღლებული ტონი, ხოლო ბიბლიური სახეები სასულიერო ლექსის განწყობილებას აძლიერებენ მკითხველში:

გტირ, სიცოცხლე,  
აბ დროით მონასტელე,  
დაჯივის ძეო,  
იღუმალ განაძეო...

მაგრამ ბესიკის ამ ოდას სიცოცხლეს ანიჭებს სხვა პოეტური ხერხი, რომელიც ხალხის წიაღიდან აქვს შეთვისებული. „გლოვის ქანრი“ ფოლკლორში ფრიად გავრცელებულია და ამის დიდებულ ნიმუშებს ვიპოვიოთ ქართულ ხალხურ პოეზიაშიც. ამ ლექსებს ძალიან ხშირად ამშვენებს ე. წ. პოეტური განმეორებანი, რაც მათ ზემოქმედების დიდ სიძლიერეს ანიჭებს:

ებლა მიბრძანდი ყანობსა, კურდღელს აქებენ ქილაშვილსაო,  
შენცა სადარო იმისაო!  
ებლა მიბრძანდი გორისციხესა, ბასა და ლილოს აქებენ იმ ჩვენი  
ხევის მკურნალსაო,  
შენცა სადარო იმისაო!

ბესიკი მარჯვედ იყენებს ასეთ ხერხს და თავის „სამძიმარში“ ლეონის დატირების ქეშმარიტად პოეტურ სურათს გვიხატავს:

ლეონის თოფი,  
ნეტარ თულა არს მყოფი?  
ლეონის ხრმალი,  
ვაი, თუმცა არს მშრალი?  
ლეონის შუბი  
ან თუ სხვათა შენატუები?  
ლეონს დამბაჩა  
ყოცხალიდა თუ დარჩა?  
ვაი, სატევარი  
უმისოდ საწყევარი!

ბესიკის სამგლოვიარო ოდა „სამძიმარი“, მიუხედავად მძიმე, სასულიერო მწერლობის ენის ზედმეტი გავლენისა, ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა არა მარტო მის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ „აღორძინების ხანის“ ქართულ ლირიკაში.<sup>6</sup>

ამასთან „სამძიმარი“ ძვირფას საისტორიო ცნობებს შეიცავს. ლეონის დახასიათებასთან ერთად აქ აღდგენილია ისტორიული გარემო, ლეონის გარშემო დარაზმული ახალგაზრდობა და მათი მისწრაფებანი. ბესიკი დავით რექტორის მსგავსად ლეონს დალატით მოკლულად თვლის და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ამ ბოროტმოქმედებს.

ქქუხს ღრუბლებერ გული, დულს შინაგანთა წულული...  
სკრის ღვიძლთა მტრული, მახვილი ორპირული.

ლეონ ბატონიშვილი ერეკლეს დროის ძლიერი საქართველოს სახელს უკავშირდება და ასე შევიდა იგი ქართულ პოეზიაშიც. ბესიკის „სამძიმარს“ ეხმაურება გრიგოლ ორბელიანის პოემა „საღლეგრძელო“, სადაც შესანიშნავადაა გამოკვეთილი უდროოდ მზედაბნელებული რაინდის, ლეონ ბატონიშვილის სახე:

მეფისა დროშით სით მიხვალ,  
ჰე ლევან, სულით ნათელო!  
შენ მხოლოდ შამის იმედო,  
უდროდ მზედაბნელებულო.  
შეირუა ტახტი მეფისა,  
რა საფლავს შთახვედ, ლომგულო.

#### „ახანიძისათვის“

ბესიკის სიკვამლის მეგობართა შორის ჩვენ ვხედავთ ერეკლეს დროის გამოჩენილ პიროვნებას, დავით ორბელიანს ან როგორც მას უფრო ხშირად ეძახდნენ, დავით სარდალს. მხნე და ბრძოლებში სახელმოხვეჭილ ვაჟაკს ბესიკთან მწერლობის დიდი სიყვარულიც აახლოვებდა. ერეკლეს კარზე შემოკრებილ პოეტთა შორის დავით სარდალსაც ჰქონდა თავისი ადგილი. ჩვენამდე მოაღწია დავითის რამდენიმე ლექსმა, საიდანაც ჩანს, რომ იგი საკმაოდ ახლოს იდგა ბესიკის პოეტურ სამ-

<sup>6</sup> აღსანიშნავია, რომ ამ ლექსში ბესიკი გვერდს უვლის ერეკლეს ხსენებას, რაც ნათელი გახდება მისი ბიოგრაფიის გაცნობის შემდგომ.



ყაროსთან. ჩვენ არ ვიცით, როდის დაიწერა დავითის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი — „პირზე გაქვს ხალი“, მაგრამ ფაქტია, რომ იგი ძალიან მოგვგავონებს ე. წ. „ბესიკის სკოლის“ პოეტურ ქმნილებებს. ამ ლექსმა შემდეგში დიდი გავრცელება ჰპოვა და თვით მე-19 საუკუნის შუა წლებამდე პოპულარულ სიმღერად ითვლებოდა:

პირზე გაქვს ხალი, შავი თვალი, ნახვა მსურს შენი...  
კოკობო ვარდო, არ დამავდო მე მონა შენი!..!

დავით სარდალი, სახლთუხუცესი, განათლებული სახელმწიფო მოღვაწე იყო და კარგად სცოდნია აღმოსავლური ენები (სპარსული, სომხური). მეფე ერეკლეს ამ უპირველეს მოხელეს ხშირად უხდებოდა სპარსეთში მოგზაურობა და, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს სპარსეთიდან ჩამოუტანია თხზულება, რომელიც ფიროდუსის მიმბაძველს, აბუ-თაპირ-ატ-ტარსუსის ეკუთვნის. დავითმა ქართულად თარგმნა ეს თხზულება, რომელსაც „ყარამანიანი“ ეწოდება. ეს არის ტიპური ფანტასტიური ხასიათის საგმირო-საფალავნო ნაწარმოები. როგორც ცნობილია, ქართულმა „ყარამანიანმა“ არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა.<sup>2</sup> თვით მისი მთავარი ფალავნების სახელებიც, როგორცაა ყარამანი. გარდანქეშანი და სხვები ზოგად სახელებად იქცნენ ჩვენში. მის ასეთ გავრცელებას უეჭველად ხელი შეუწყო მსუბუქმა და სასმენად საამო ენამ, რომლითაც „ყარამანიანი“ ქართულად გადმოიღო დავით სარდალმა (სხვათა შორის, ბესიკი „ყარამანს“ უწოდებს ერთ ლექსში დავითს).

ბესიკს მხურვალე მეგობრობა ჰქონია დავით სარდალთან და ეს სიყვარული გამოხატა რამდენიმე შესანიშნავი ლექსით. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ბესიკის ცნობილი ოდა-პოემა „ასპინძისათვის“, რომელშიც შექებულია დავით სარდალის ქველი საქმეები ასპინძის ბრძოლაში. ასპინძის ბრძოლა ჩვენი ხალხის ისტორიაში კეთილშობილი შარავანდედითაა მოსილი, ხოლო მისი გმირია უბაღლო სარდალი ერეკლე მეორე.

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის პირველი ომი. რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ თურქთა წინააღმდეგ კავკასიიდანაც ემოქმედნა. ჩაეტარებინა ერთგვარი დივერსირება და კავკასიის ფრონტიდანაც მუდმივ შიშში ჰყოლოდა ოტომანთა იმპერია. შეთანხმებაც მალე დაიდო და საქართველოში დარიალის გზით გადმოვიდა რუსეთის ერთი ქვეითი პოლკი, 2 ასეული ცხენოსანი კარაბინერი, 2 ჰუსართა ასეული, 200 დონის კაზაკი და 300 ყალმუხი. რუსულ ლაშქარს მეთაურობდა გრაფი ტოტლებენი. ქართველი მეფეები ერეკლე და სოლომონი მოუთმენლად ელოდნენ ამ მომენტს. რასაკვირველია, მათ საკუთარი მიზნებიც ჰქონდათ. ერეკლეს სამხრეთ საქართველოს მიტაცე-

<sup>1</sup> სხვათა შორის, ეს ლექსი დ. ჩუბინაშვილს ბესიკის ლექსი ეგონა („ქრესტომათია“, 11).

<sup>2</sup> უკანასკნელი მეცნიერული გამოცემა განხორციელდა 1965 წ. ალექსანდრე გვახარიას და სარგის ცაიშვილის რედაქციით.  
15. ს. ცაიშვილი

ბული ადგილების დაბრუნება სურდა, ხოლო სოლომონ პირველს იმერეთის ციხეებიდან თურქ მეციხოვნეთა განდევნა. ერეკლემ დიდი ამბით მიიღო გრაფი ტოტლებენი და მალე რუს-ქართველთა შეერთებულ ლაშქარი გაეშურა ახალციხის საფაშოს, ლეკ-ოსმალთა ამ მტაცებლური ბუდის დასაბრუნებლად. სადგერთან ორად გაყოფილი ჯარი მტკვარის ხეობითა და საკირე-ტაძრისის ძნელად სავალი გზით აწყურთან შეერთდა და მრისხანე ციხის პირისპირ დადგა. არც თურქი მეციხოვნენი იყვნენ გულხელდაკრეფით. ახალციხე-ახალქალაქის მხრიდან მათ ახალ-ახალი ლეკ-ოსმალთა რაზმები ემატებოდა. მოსალოდნელი იყო ცხარე და სისხლიანი შეტაკება და უცებ ქართულ ლაშქარში გავარდა საზარელი ხმა. გრაფ ტოტლებენს გადაუწყვეტია უბრძოლველად უკან დაბრუნება. ვინც აწყურისა და ბორჯომის ხეობის მიდამოებს იცნობს, მისთვის ნათელი იქნება, თუ რას მოასწავებდა ეს. ვიწროებში უკანდახეულ ქვეით ლაშქარს სულ ერთიანად გაუუყავდა ხეობის ზემოდან წამოსული ლეკთა და ოსმალთა ცხენოსანი ჯარი, ხოლო მარტოდ დარჩენილ ქართველთა მცირერიცხოვან ლაშქარს სრული განადგურება ელოდა. გრაფი ტოტლებენის ასეთი საქციელი აშკარა ღალატს უდრიდა. პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს, რომ შემეკვიდრეს, გიორგი XII-ს მკვახე სიტყვებითაც კი მიუმართავს ტოტლებენისათვის: „მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთის ჯარსა და უტეხ სახელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენსკენ იქნება. ჩვენ შევებმებით. გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატრიცასა შენსა სიმხდალესა-ო“<sup>1</sup> სხვა ისტორიკოსები (ომან ხერხეულიძე, დავით ბატონიშვილი) სხვადასხვაგვარად ხსნიან გრაფ ტოტლებენის ასეთ საქციელს. ერთ თავის წერილში თვით ერეკლე მეორე ასე აგვიწერს აწყურთან შექმნილ გაუგებრობას: მე ვფიქრობდი, რომ აწყურს გამაგრებული ციხე ჩამოგვეტოვებინა და პირდაპირ ახალციხეზე მიგვეტანა იერიში. მობრუნებულებს კი აწყური სად წაგვივიდოდაო. ასეა თუ ისე ტოტლებენმა უკან დაიხია და მარტოდ მიატოვა ერეკლეს მცირერიცხოვანი ლაშქარი.

აწყურის ციხის კედლებთან დაიწყო სისხლიანი შეტაკებები. რომლებიც დასრულდა ზემო მტკვარის ხეობაში ოსმალთა და ლეკთა რაზმების სრული განადგურებით. ამ ბრძოლებში მთელი ძალით გაიშალა ერეკლეს დიდებული მხედართმთავრული ნიჭი და ქართული ლაშქრის თავგანწირული შემართება. ერეკლემ თავი მოუყარა ტოტლებენის მოულოდნელი საქციელით ნირწამხდარ ლაშქარს და საოცრად გაბედული ტაქტიკური ჩანაფიქრი განახორციელა. ხეობაში ჩამოსვლის ნაცვლად მან უკუაქცია აწყურის გათამამებული მეციხოვნენი და ახალციხისკენ გაივარა. ამით მან დაიცვა ხეობის ვიწროებისკენ დაშვებული რუსთა ჯარი, ხოლო თვით თავისუფალი მანევრირების საშუალება მიიღო. ამასთან იგი ხელს უშლიდა ერთ დამეკრეულ ძალად შეერთებულ-

<sup>1</sup> სხვათა შორის, ტოტლებენის ასეთი მოქმედების შედეგად რუსეთის სამეფო კარზე შეიქმნა აზრი, რომ იგი „რუსეთს უფრო სირცხვილს უხვევდა, ვიდრე სახელს“ (საქართველთა ისტორიკოსები, ტ. IV, გვ. 656).

ლიყო აწყურის, ახალციხისა და ახალქალაქის მიდამოებიდან წამოსული ლეკ-ოსმალთა რაზმები. ქართული ლაშქარი მტკვრის მარჯვენა ნაპირს აპყვა და მოულოდნელად ასპინძისაკენ გადასჭრა გზა. მტკვრის მახლობლად სოფ. ასპინძაში ერეკლემ ზედიზედ დაამარცხა მტრის რამდენიმე რაზმი. სწორედ აქ ჩაატარა ერეკლემ ერთ-ერთი ყველაზე გონებაბაზვილური სამხედრო ოპერაცია. როდესაც ასპინძის ვიწროებში ერეკლემ დაამარცხა ლეკ-ოსმალთა ერთი გუნდი, ნაპირს მოადგა მტრის მრავალრიცხოვანი ლაშქარი და გადმოსვლა დაიწყო ვიწრო, ბოგირისებურ ხიდზე. ერეკლემ კიდევ უფრო უკან დაიხია და ივარაუდა, რომ ვიწრო ხიდზე დაღამებამდე ნახევარი, ან ნახევარზე ცოტა მეტი ლაშქარი თუ გადმოვიდოდა. ხოლო ღამით კი რამდენიმე რჩეული ვაჟაკი გაგზავნა ხიდის ისრების გადასახერხად. დავით ბატონიშვილი წერს: „ღამესა მას გამოვიდნენ უკვე ნახევარი ხიდსა ასპინძისასა და ნახევარი ლამობდნენ მეორესა დღესა გამოსვლად. ხოლო ღამესა მას წარგზავნა მეფემან აღაბაბა, სვიმონ მუხრანის ბატონიშვილი სასახიზაში და ხუდია ბორჩალოელი და მამაი ყოველსა საქართველოსა შინა, და ამცნო მათ. რათა აპყარონ ხიდი ასპინძისა და მათ სრულ ჰყვეს ყოველივე ბრძანებულნი ჰეფისა“.

ერეკლეს ხერხმა გასჭრა და მეორე დღეს ოსმალთა და ლეკთა ლაშქარს შავი დღე გაუთენდა. ერეკლე საშინელი სისწრაფით ეკვებოდა მტერს და უკუაქცია. ოსმალთა და ლეკთა ლაშქარმა გაღმა მხარეს მიამშურეს, სადაც, მათი აზრით, კვლავ შეერთდებოდნენ და ახალ იერიშს დააწყობდნენ, მაგრამ აღრევე აყრილმა ხიდმა კიდევ უფრო დიდი არეულობა შეიტანა მტრის რიგებში. აპრილის თვე იყო და აღიდებულ მტკვარში გადაცვივდა მტრის ლაშქრის უმრავლესობა. ხოლო მეორე მხარეს დარჩენილი ნაწილები ველარას შველოდნენ თავიანთ თანამოძმეებს. როგორც გადმოგვცემენ, ასპინძის ბრძოლაში ერეკლემ თავისი ხელით მოჰკლა ლეკთა გამოჩენილი მეთაური კოსტა ბელადი. მეფე ერეკლეს მხარს უმშვენივრდნენ სხვა ქართველი ვაჟაკებიც. ხოლო მათ შორის გამოირჩეოდა ერეკლეს სიძე, სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი.

ბესიკმა თავისი პოემის მთავარ პერსონაჟად სწორედ დავით სარდალი აირჩია. აქ საკმაოდ რეალისტურადაა აღწერილი ასპინძის სახელოვანი ბრძოლის ამბები, რაც საფუძვლად უდევს ბესიკის ამ ნაწარმოებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ „ასპინძა“ არაა ჩვეულებრივი ტიპის ეპიური პოემა და არც კომპოზიციურად შეკრული სიუჟეტი გააჩნია. იგი შესწმითი ხასიათის ოდა-პოემაა და მიზნად ისახავს ამ ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი გმირის ვაჟაკური შემართება შეაქოს. ამაზე ავტორი პირველივე სიტყვიდან მიგვანიშნებს შესანიშნავი მხატვრული თქმით: „ასპინძის მიწა გიწამებსო“, — მიმართავს იგი დავითს. მასთან გადმოცემულია რამდენიმე ისტორიული რეალია: ქართული ლაშქრისა და ერეკლე მეორის ხალისით სწრაფვა გამარჯვებისაკენ: „თვით მეფე, ქართველ და კახნი ომის ხალისით ხლდებოდნენო“. ერთ

სტროფში, მაგრამ სხარტადაა მოცემული გამოქცეული გრაფი ტოტ-  
ლებენის სახე:

ვაჲ, მას დღისა მომხსენებან ვითარ ვინ რით განვაქიქო?  
ცილი დასდევს მეფეს რუსთა „ჩვენთვის კეთილს არა იქო“!  
ღრაფი ჭარით გამობრუნდა — მით სახელი ვერა იქო —  
სხვა პასუხი არვის მისცა: „სითაც მოველ, წავალ იქო“.

პოეტი აქედან პირდაპირ გადადის საომარ ყოყინაზე და აღწერს  
მარტოდ დარჩენილ ქართველთა საარაკო გმირობას დავით სარდლის  
მეთაურობით. ხოტბა-ქების ელემენტი ზოგჯერ ზედმეტად ტვირთავს  
ლექსის მდინარებას, მაგრამ რამდენიმე ადგილას კარგადაა დახატული  
ბატალური სცენები. იგრძნობა ოსტატის ხელით დახატული „ცხენთა  
დგრიალი“ და „მედგარი შერკინება“. ბესიკი აქ მარჯვედ იყენებს სა-  
გმირო პოეზიის მხატვრულ ხერხებს და ზვიადი სახეებით გვიხატავს  
მისთვის საყვარელ ფალავანს, დავით სარდალს:

მაშინ გულს გაკარ მჭილითა, მიწანი შესძრენ რყევითა,  
ცხენმან შეგატყო შექმენა, შემზადა ტანი ნძრევეითა;  
თვალნი ნაკვერცხლად შეგექმნეს, აშეთლი სისსლმორევეითა,  
ცხვირის: ნესტვთა მოქპროდნენ ქარნი ქვეყნისა ნკრევეითა.

გადაჭარბება აქ მარტო პოეტურ სახეებს როდი ეტყობა. ბესიკი  
აჭარბებს ასპინძის ომში დავით სარდლის როლის შეფასებაშიც. საკმა-  
რისია აღინიშნოს, რომ პოემაში სრულიად მიჩქმალულია ერეკლე მე-  
ორის ღვაწლი და მისი მხედართმთავრული ღირსებები. ამ შემთხვევა-  
ში ბესიკი აშკარად ტენდენციურია. თუ რატომ, ამას პოეტის ბიოგრა-  
ფია დაგვანახებებს. რაც შეეხება ძირითად თვალსაზრისს, ბესიკმა სწო-  
რად გადმოგვცა და პოეტურად დაგვიხასიათა ასპინძის ბრძოლის დი-  
დი მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიაში.

დავით ორბელიანს ანუ დავით სარდალს ერეკლესთან ახლო ნათე-  
საობაც აკავშირებდა. მას ცოლად ჰყავდა ერეკლეს უფროსი ქალი თა-  
მარ ბატონიშვილი. თითქმის არაფერი უშლიდა ხელს, რომ ისედაც აღ-  
ზევებულ სარდალს მძლავრად გაეშალა ფრთები ერეკლეს კარზე, მაგ-  
რამ მოულოდნელად ყოველი შეიცვალა. ასპინძის გმირსა და უპირვე-  
ლეს მოხელეს სასახლიდან დაითხოვეს, მაგრამ რა იყო ამის მიზეზები,  
ჩვენთვის უცნობია. იქნებ ამაში როლი ითამაშა ამ დროს უკვე გაძლი-  
ერებულმა დარეჯან დედოფლის პარტიამ, რომელიც უკვე აშკარად გა-  
მოდირდა ტახტის მემკვიდრის გიორგი XII-სა და მისი მომხრეების  
წინააღმდეგ? გიორგი და დავით სარდლის მეუღლე თამარი დარეჯანის  
გერები იყვნენ და, როგორც ცნობილია, 80-იანი წლებიდან დარეჯან  
დედოფალი თავისი ღვიძლი შვილების აღზევებას ცდილობდა. ასეა თუ  
ისე, სწორედ ამ წლებიდან დავით სარდალი აღარ ჩანს აქტიური მოღვა-  
წეობის სარბიელზე.

ამის გამო დაიწერა ბესიკის რამდენიმე ლექსი, რომლებშიც გა-

მოთქმულია ღრმა თანაგრძობა. პოეტის აზრით, დავით სარდალი არის უსამართლობის კიდევ ერთი მსხვერპლი (როგორც თვითონ) და იგი ნუგეშინს უთვლის თავის მეგობარს. ცნობილია ბესიკის ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი „ცრემლთა მდინარე“. ბესიკი ამ დროს თვითონაც შერისხულია და ასე მიმართავს დაჩაგრულ მეგობარს:

ცრემლთა მდინარე, სისხლმჩინარე,  
მიპყრობს ხედვას: ვითლა გიხილო?  
სოფლისა ბრჭალმან, ვით გრივალმან,  
ჩემსა ბედსა უსწორა კილო!  
დრო მზის ფერები, ბნელ მთენები  
სად დაეღასა, ედემად ზრდილო!  
ნუთუმცა გველმან ენით მკვლელმან  
გმირსა ჭედასა დაგდვა საცილო.  
ვაჲ, თუ ხმითა შენცა მითა  
შეგრთო სევდასა, სცნა საწადილო!..!

ცრემლები სისხლის მდინარესავით მდის და ხედვას მიხშობსო. ჩემს ბედს სოფელმა თავისი ბრჭყალები შეტყუორცნა (ისრის კილო უსწორა). სადღა გაქრა ბნელის მათენებელი მზიანი დღეები. სად ჩაესვენა? და ნუთუ შენც, მშვენიერო, ედემს გაზრდილო — მიმართავს ბესიკი დავითს — გველის ენამ ცილი დაგწამა და ვაი თუ შენც სევდა მოგაგო.

ბესიკის ეს სიტყვები ნათელს ჰფენენ დავით სარდლის მძიმე განწყობილებას, ბოროტ ენებს ისიც დაუჩაგრავთ. მაგრამ იგივე სიტყვები გვიმხელენ ბესიკის პირად სულიერ განცდებსაც, მისი ბედის უკუღმართობას. ეს იგრძნობოდა ლეონ ბატონიშვილისადმი მიძღვნილ „სამძიმარში“, ეს იგრძნობა დავით სარდლისადმი მიძღვნილ ლექსებში<sup>1</sup>. როგორც ჩანს, ბესიკმა გაიზიარა სასახლის კარის უეჭველი კანონი, იგიც რომელიღაც ინტრიგის, ან იქნებ პირადი მტრობის მსხვერპლი შეიქნა. დასრულდა მისი მზიანი სიჭაბუკე ბესიკი გაუძევებით სასახლის კარიდან.

<sup>1</sup> ამ ლექსის საინტერესო მინაწერიც ჰქონია: „რუსეთით ორბელიანის მიმართ სპასპეტის დავით რევაზ სპასპეტის-ძისა, რომელი მიუწერა კნიაზ მლივანთ უხუცესმან ბესარიონ ზაქარია მოძღვრისა ძემან, გაბაანელ იოვიანმა, ოდეს მიუღეს დავით ორბელიანს სახლთუხუცესობა და მწუხარედ განილეოდა გული მისი“-ო.

<sup>2</sup> ასეთი ლექსებია „დავით სარდლისადმი“, „რაც მიირეწა სოფელმან“, რომელიც ჩვენ ზემოთაც ვახსენეთ. გ. ლეონიძე გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას. ეს ლექსი ბევრ დეტალში ეხმაურება ბესიკის პოემას „ასპინძას“ და შეიძლება ამ პოემის შესავლად მივიჩნიოთო.

სასახლის კარზე ასე მიღებული ბესიკი, როგორც ვხედავთ, მაინც ვერ ასცდა მამის ხედვებს. იგი ქართლში აღარა ჩანს დაახლოებით 1775—1776 წლიდან. მამამისის მსგავსად, ისიც იმერთა მეფის, სოლომონ I კარს შეჰფარებია.

რამ აიძულა პოეტი, რომ დაეგდო თავისი სამკვიდრო, მამული? რა იყო ამის მიზეზი? ბესიკის ბიოგრაფიის ეს მომენტი დღესაც არაა საბოლოოდ ამოშიფრული.

ჯერ კიდევ ბესიკის ერთ-ერთმა პირველმა ბიოგრაფმა ზ. მთაწმინდელმა პოეტის ქართლიდან გაქცევის მიზეზად რომანტიული ამბავი მიიჩნია. ეს შეხედულება მეტწილად ლეგენდარულ ცნობებს ეყრდნობა და ასე გვიხატავს ბესიკის მიჯნურობისა და შემდეგ გაქცევის ამბავს: მშვენივით სავსე ბესიკი მრავალ მდიდარ ქალთათვის ყოფილა სანატრელი ქმრობისა. მოგვითხრობენ, რომ ბატონიშვილების ქალებსაც ერთობ უყვარდათ იგი. განსაკუთრებით ანა დედოფალს. ერთ დღეს ბესიკი სამეფო სასლში მისულა და მზებათუნს სიყვარული გამოუცხადებია მისთვის. ამ არშეყოებისა და მიჯნურობის დროს ბესიკს რამდენიმე ლექსიც დაუწერია, რომელნიც მზებათუნისათვის მიუძღვნია და ის მალე გავრცელებულა ხალხში. ბესიკისა და მზებათუნის სიყვარულმა კარგა ხანს გასტანა, მაგრამ ბოლოს ესეც გამოჩნდაო. მეფე ერეკლემ და დედოფალმა შეიტყვეს და ამაზე ერთ დღეს დილა განრისხდნენ. ბესიკი დაუბარებიათ სამეფო დარბაზში და დიდი საყვედურიც უთქვამთ. ბესიკს აღთქმა დაუდგია მეფის წინაშეო, — დასძინს ბიოგრაფი — და იმ დღიდან სამეფო სახლსაც განშორებია. მზებათუნისათვის კი მეფესა და დედოფალს გამოუცხადებია, რომ შენ მოლოზნად უნდა წახვიდეთ, რომ ცოდვები განირეცხო. ქალი ჯერ კი უარზე მდგარა, მაგრამ ბოლოს დასთანხმებია. სამეფო სასლში შეუმოსავთ შავს მახარაში და სამოლოზვნოდ დაუწყიათ მზადება. საქმე ისე დატრიალებულა. რომ ბოლოს ქალი სხვაზე გაუთხოვებიათ. ეს ამბავი რომ ბესიკს შეუტყვია. იმას აღთქმა დაუდევს, რომ ჩემს სიცოცხლეში ცოლს არ შევირთავო და ბესიკი უცოლშვილო გარდაიცვალა...

რამდენიმე ხნის შემდეგ (ე. ი. მზებათუნის სამონაზვნოდ სამზადისის დროს) ერთხელ ბესიკს მეფის სასახლის წინ ჩაუვლია და აივანზე დაუნახავს რამდენიმე შავით მოსილი მოლოზანი, იქვე ყოფილა მისი მზებათუნიც. მონაზვნის სამოსით. ბესიკს შეუხედნია თუ არა, მაშინვე მათზე ლექსი „შავნი შაშვნი“ გამოუთქვამს.

ამ ლექსის გავრცელების გამო მოქალაქენი მისულან მეფესთან და გამოუცხადებიათ: აიო, ახლა თქვენს ქალზე დასწერა ლექსიო. მეფე დიდად გამწყარალა: როგორ თუ ეგ მაგებს ჩადისო, მე ვიცი მაგისიო, ენლაგ მეტეხის კედლიდან გადააგდონო...

ბესიკი გაოცებულა, მაგრამ გასაქცევად მომზადებულა და იმ ღამესვე წასულა. ამით გადაურჩენია თავი, თორემ მეორე დღეს უპირებდნენ გადაგდებასო.

ეს არის ტიპიური რომანტიული ამბავი, რომელიც ფაქტების ნაცვლად ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა. მაგალითად, მზეხათუნი ამ დროს ვერ იქნებოდა ბესიკის ტრფიალების საგანი, ეს აშკარა ანაქრონიზმია (მზეხათუნი დაიბადა გაცილებით გვიან, იგი იმერთა დედოფლის ანას ქალიშვილია). მაგრამ, როგორც ცნობილია, ბესიკის ქართლიდან გაძევების ასეთმა ვერსიამ ფეხი მოიკიდა ჩვენში. ამასთან, ისმოდა საკიოხი თუ ვინ უნდა ვიგულისხმობთ პოეტის სატრფიალო გრძობათა ობიექტად. ამ უკანასკნელს, რასაკვირველია, მართო ისტორიულ-ბიოგრაფიული საკითხებისათვის არა აქვს მნიშვნელობა. ბესიკის პოეზიაში მიჯნური, ან უკეთ ტრფიალების საგანი რეალური არსებაა და მისი ვინაობის ამოშიფვრა გარკვეულ შუქს ჰყენს პოეტის შემოქმედებასაც.

1912 წელს სერგო გორგაძემ გამოსცა ბესიკის თხზულებები და წინასიტყვაობაში ძირითადად გაიმეორა ზ. მთაწმინდელის ცნობები. მაგრამ ბესიკის სატრფოდ მან ერეკლე მეფის და ანა დედოფალი მიიჩნია. ამ წერილში მკვლევარმა თითქოსდა ზუსტი თარიღებიც გამოახა: ეს რომანი, ალბათ, დაიწყო 1772 წელს (როცა დაქვრივდა ანა. მეუღლე დიმიტრი ორბელიანისა) და დასრულდა 1773 წელს, როცა ბესიკი უკვე, ალბათ, ამ მიჯნურობის გამო, ქართლიდან გაუძევებიათ. — ამ რომანს — დასძენს მკვლევარი — შინაგანი ისტორიაც კქონია, სახელდობრ. ბატონიშვილებამდე მიუღწევია ხმას, ვითომც ბესიკს სხვა ქალი შეპყვარებოდეს. ეს რომ ანა ბატონიშვილს შეუტყვია, ბესიკი სასახლეში აღარ მიუღია. ამ დროს ეკუთვნის პოეტის საუკეთესო ლექსები: „სევდის ბაღს შეველ“. „ტანო-ტატანო“ და სხვ. ამის შემდეგ იგივე „შავნი შაშენის“ ეპიზოდია გადმოცემული და განმეორებულია ზ. მთაწმინდელის ცნობები ბესიკის განდევნის გამო.

მაგრამ შემდეგში ეს შეხედულებები ეკვის ქვეშ დადგა. კორნელი კეკელიძემ პირველთაგანმა აღნიშნა, რომ ანა ბატონიშვილი, და ერეკლესი, ვერ იქნებოდა ბესიკის ტრფიალის საგანი: ჯერ ერთი, ის ანა, რომელსაც პოეტი ეტრფის, არის არა ბატონიშვილი, არამედ „დედოფალი“, „ხელმწიფე“ (იხ. ბესიკის ლექსი „დედოფალს ანაზედ“). ამასთან, ანა ბატონიშვილი დაბადებულია არა უგვიანეს 1722 წელს და დაქვრივდა 1772 წელს, როდესაც იგი ამ ანგარიშით 50 წლისა ყოფილა. ბესიკი კი ამ დროს 21—22 წლის ჰაბუკია. გარდა ამისა, ანა დედოფალი ლექსებიდან სრულიად ახალგაზრდა ქალი მოჩანს: „კეკელა—მარდი“, „ვარდი, ჯერეთ არ შლილი“ და ა. შ. სერგო გორგაძემ ამყამად შესცვალა თავისი შეხედულება. ბესიკის ლექსებში ნახსენები ანა იმერთა დედოფალი უნდა იყოსო. (იგი ერეკლეს დის ანა ბატონიშვილის შვილიშვილია)<sup>2</sup>. იმერთა დედოფალი ანა 1784 წლიდან იმერეთშია და ძალზე იახლოვებს ბესიკ გაბაშვილსო (კ. კეკელიძე).

<sup>1</sup> „შავნი შაშენი“ აქაც არასწორად, შავად მოსილ ქალებად არის გაგებული, მაშინ როცა იგი თვალების მეტაფორაა მხოლოდ.

<sup>2</sup> ანა ბატონიშვილისა და დიმიტრი ორბელიანის ვაჟის, მამუკას ქალი.

ასეთი შეხედულება თითქოს მართლდებოდა, მაგრამ ა. ბარამიძემ ყურადღება მიაქცია ბესიკის მეგობრის დავით ალექსიშვილის (რექტორის) სიტყვებს, რომლებიც მას დაურთავს ბესიკისავე ლექსებზე. დავით რექტორის ეს კომენტარები იმდენად საინტერესოა, რომ ზოგ მათგანს აქაც მოვიტანთ: 1. „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან არის თქმული. მუხამბაზი ბესარიონს ვარდად და იად თქმული უყვარდა და იმასაც ბესარიონი უყვარდა, როდესაც ბესარიონი მოტყუვდა სხვის შეყვარებით, იამ შეუტყო და თავისთან აღარ გაატარა, მაშინ სთქვა: „სევდის ბაღს შეველ“. შემდგომად ბესარიონი თავის დანაშაულს და იას ხალუმთაგან საყვედურს ახლა კიდევ ამ ხუთ მუხამბაზში ამბობს. მსმენელნო თქვენ იგულისხმეთ, ია ვინ არის და ან მეორე — ბესარიონისგან შეყვარებული. მე სახელები არ დავსწერე, არა ჰჯობდა-ო“. 2. „მსმენელნო, თქვენ იგულისხმეთ: ვარდი ვინ არის, თორემ ბესარიონი რომ ვარდს ეძახის, ის ვარდი თავისთავს იას უწოდდა“. და ან მეორე „ბესარიონისგან შეყვარებული ვინ არის. მე სახელები არ დავსწერე, არა ჰჯობდა, თქვენ გამოიცანითო“. 3. „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან არის ნათქვამი... აზედ სიკვდილის შემდგომად. საწყალობელი... თავის თავს. ეძახდა და ბესარიონი მისი მეგობარი იყო და ეს შაირი კრემენჩუგს ეთქვა. 4. ლექსი „ჰაერი ცივ-ნამიანი“ ქვეშ იგივე დავით რექტორი უკვე გვიხსნის საიდუმლოებას: „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან მგონია ნათქვამად ყულარაღასის ქალს მაიაზე, სიკვდილის შემდგომად. ჰაზრი იმას ჰგავს და საბრალობელი თავის თავს მაია იას ეძახდა და ბესარიონ მისი მეგობარი იყო. და ეს ერთი შაირი კრემენჩუგს ეთქვა“.

ვინ იყო ეს მაია ყულარაღასის ქალი? გიორგი ლეონიძემ გაარკვია. რომ აქ ნახსენები მაია დიდი ფეოდალის, ქსნის ერისთავის გიორგი ყულარაღასის ქალია. ხოლო მაიას ძმას ელიზბარს ჩვენ შემდეგ ბესიკის გვერდით იმერეთის კარზე ვხედავთ. მაია მიუთხოვებიათ დიმიტრი ორბელიანისა და ანა ბატონიშვილის ვაჟისათვის, რომელსაც მამუკა ერქვა, მამუკა თურმე ადრე გარდაცვლილა (1770 წლის შემდგომ) და დაქვრივებულ მაიას დარჩენია ორი მცირეწლოვანი ბავშვი: ვაჟი და ერთი ქალი ანა, რომელიც სწორედ ზემოთ დასახელებული ანა იმერაზა დედოფალი ხდება 1784 წლიდან.

საკითხი ამის გამო უფრო მარტივდება. ბესიკის ტრფიალების საგანი არც ბატონიშვილია და არც მისი შვილიშვილი ანა იმერთა დედოფალი, რადგან მაია ამ უკანასკნელის დედა იყო და, როგორც ჩანს. ბესიკის ტრფობის საგანიც. ამდენად, ჭრჭერობით ბესიკის სატრფოდ უნდა ვაღიაროთ ანა დედოფლის დედა ყულარაღასის ქალი მაია, რომლის სიყვარული ბესიკს ბოლომდე შეუნახავს. ამას მოწმობს ბესიკის ერთი შედეგრი „ჰაერი ცივნამიანი, ჩვენთვის აღარა მზიანი“, რომლითაც გამოიტირა პოეტმა ადრე გარდაცვლილი თავისი სიჰაბუკის ტრფიალი.

იქნებ მართალი იყვნენ ბესიკის ბიოგრაფები და სწორედ რომანტიკული ამბავი დაედო საფუძვლად ბესიკის ქართლიდან გადახვეწას?



მხოლოდ ამ შემთხვევაში ანას ნაცვლად ამის მიზეზად მაია ყულარადა-სის ქალო უნდა დაესახოთ. სხვათა შორის, ასეთი ვარაუდებიც არსებობს.

იმ მასალებით, რომლებიც ახლა მოგვეპოვება, უნდა ვიფიქროთ, რომ ბესიკის განდევნის რომანტიული ვერსია არ უნდა იყოს სწორი. ყოველ შემთხვევაში, ამის სასარგებლოდ არც ერთი სერიოზული საბუთი არა გვაქვს. თუ არა ზ. მთაწმინდელის ზემოთ მოტანილი ლეგენდური ხასიათის ცნობები, შეიძლება ეს საკითხი არც კი წამოჭრილიყო.

ნუთუ მაიასთან გამკლავებული მიჯნურობის გამო ერეკლე II-მ ბესიკი თბილისიდან გააძევა და ეს ამბავი არც ერთ დოკუმენტურ ცნობაში არაა ასახული? იგივე დავით რექტორი, რომელმაც ასეთი ძვირფასი ცნობები შემოგვინახა მაიასა და ბესიკის მეგობრობაზე, ერთხელ მაინც არ აღნიშნავდა ამ ფაქტს, ანდა რაღა იყო დასამალავი, თუკი ერეკლეს კარზე მოხდა ამ ტრფიალების გამომკლავება, ბესიკის გაკიცხვა და ამის გამო ქართლიდან გაძევება.

ფიქრობენ, რომ ბესიკის გაძევებას პოლიტიკური შეჯახება ჰქონდა საფუძვლად. ბესიკს ერეკლეს წინააღმდეგ რომელიღაც შეთქმულებაში მიუღია მონაწილეობა. შეთქმულება გაიხსნა და ბესიკი იძულებული შეიქნა იმერეთში გადახვეწილიყო. მაგრამ არც ამ მოსაზრებას უჭერს მხარს რაიმე ისტორიული წყარო. ჩვენთვის ცნობილია რამდენიმე დიდი შეთქმულება ერეკლეს დროს. მაგალითად, პაატა ბატონიშვილის შეთქმულება (1767 წ.) და სხვ. მაგრამ მათ ახლო-მახლო არა ჩანს ბესიკის კვალი. ერეკლესა და ბესიკის ურთიერთობას კარგად გვიხატავს მისივე ლექსები. ერეკლეს რამდენიმე ლექსი მიუძღვნა ბესიკს და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ზოგი მათგანი გაძევების შემდგომ. ასეთია, მაგალითად, „ცრემლთა ისხარნი“. საინტერესო კომენტარს უკეთებს ამ ლექსს დავით რექტორი: „ბესარიონისაგან თქმული... ოდეს მეფის ირაკლისაგან ტფილისით განდევნილ იქნა იმერეთადო“. ეს, მართლაც, ასეა. ამ ნაწარმოებში ბესიკი თავის დიდ მწუხარებაზე ჩივის, იგი სამუდამოდ უნდა მოშორდეს თანზრდილ მეგობრებს, ახლობლებს, აქ უნდა დარჩნენ მისი მეგობრები, რომელთა შორის იგი, ალბათ, გულისხმობდა ხანდაზმულ დავით სარდალს, ჭაბუკ ლეონს, დავით ალექსიშვილს (რექტორს) და სხვათა:

როს გვაგონდებით, მევლონდებით, ლომო ყმა-ძმანო.  
თანზრდილო, სწორო, ვანაშორო, საყვარლად კმანო!  
ვაჟ კიდევანთა, ესდენ თქმათა გლოვისა ხმანო...

ბესიკი არ მალავს, რომ მას რაღაც კონფლიქტი, უსიამოვნება შემთხვა ერეკლესთან, თუმცა კვლავ ძველებურად ერთგულებას ეფიცება მეფე-პატრონს:

ხელმწიფე, გული ცეცხლადგული, სულით გამყოფლით,  
კირსამცა თქვენსა თუ გალხენსა, მოიხმარენით.

საინტერესოა ისიც, რომ ამ დროს პოეტს ვერც კი წარმოუდგენია სხვა პატრონი, ერეკლეს ნაცვალი: „სხვამცა პატრონი ანუ დრონი, ვერ-ლა დავსახეთ“. ძნელია ამ სიტყვების შემდეგ დაევიჯიროთ, რომ ბესიკი მეფის ღალატში, ან საერთოდ სახელმწიფოს შეთქმულებაში იყო გარეული. იგი დიდი სულიერი განცდებით, მაგრამ კეთილშობილური სულგრძელობით შორდება ერეკლეს სასახლის კარს. ეს განწყობილება შემდგომში მკვეთრად შეიცვლება. ჩვენ ვნახავთ, რომ ბესიკი იძულებულია გაეხვიოს იმ კოალიციაში, რომელსაც ერეკლეს გარშემო ქმნიდნენ ვახტანგ VI შთამომავალნი და მეფე იმერთა სოლომონ I. ერეკლესთან დამოკიდებულების შეცვლა მკვეთრად დაეტყო ბესიკის შეხედულებებსაც. ერეკლეს პიროვნება როგორც ვნახეთ, სრულიად მიჩქმალულია ბესიკის ოდა-პოემებში: „სამძიმარი“ და „ასპინძისათვის“.

ასე რომ, არც ერთი საბუთი არ გვაძლევს უფლებას, რომ ბესიკი ერეკლეს კარზე რომელიმე პარტიაში ან შეთქმულებაში გარეულად მივიჩნიოთ. არსებობს სხვა შეხედულებაც, რომელიც. ჩვენი აზრით, ყველაზე ახლოა სინამდვილესთან. როგორც ჩანს, საბოლოოდ ბესიკმაც გაიზიარა მამამისის მწარე ხვედრი. ანტონ კათალიკოსი, ალბათ, ალმაცერად უყურებდა ზაქარიას მემკვიდრეს, რომელიც ასე გაშინა-ურებული იყო სასახლეში. ბუნებრივია, რომ პირველივე ხელსაყრელ მომენტში იგი დაიყოლიებდა ერეკლე მეორეს, რომ თავიდან მოეშორებინა ახალგაზრდა პოეტი-კარისკაცი. მით უფრო, რომ ზაქარია კვლავ არ ცხრებოდა და ჯერ რუსეთიდან, ხოლო შემდეგ კი იმერთში განაგრძობდა ბრძოლას ერეკლესა და ანტონის წინააღმდეგ. ერეკლე ასეთ დროს მკაცრი იყო და არავის აპატიებდა უბრალო დაექვემდებარებას. იქნებ რაიმე წინდაუხედავი ნაბიჯი, ან უბრალო მიმოწერა ექსორიაქმნილ მამასთანაც (ამ უკანასკნელის ცნობებიც არსებობს) საკმარისი იყო. მრავალი შეთქმულებისა და ღალატის შემდგომ მეფეს მზად ჰქონდა „რადიკალური ზომები“ (ა. ბარამიძე). ამ შემთხვევაში საკმარისი იყო ზაქარიას სასტიკი მოწინააღმდეგის ანტონ კათალიკოსის ერთი სიტყვაც და ბესიკს ვინღა დააყენებდა ქართლში... დავით ბატონი-შვილი თითქოს ფარდას ზღის ამ საიდუმლოებას, როცა სხვა შემთხვევის გამო ეხება ბესიკის სპარსეთში გამგზავრებას: „ამან სოლომონ (სოლომონ პირველმა) წარაგზავნა სპარსეთს გაბაშვილი ბესარიონ, ძე ზაქარია მოძღვრისა, რომელი ესე (ბესიკი) იმყოფებოდა ექსორია ქმნილი მამითურთ თვისით იმერთს ანტონის გამო კათალიკოზისა“.

ველარ უშველეს პოეტ-კარისკაცს მისმა მეგობრებმა, სასახლის კარზე გაბმულმა ფართო ნაცნობობამ. ვერ უშველა მას მისმა ლექსებმაც, რომლებშიც ბესიკი ქება-დიდებას ასხამდა მეფე-პატრონებს.

ბესიკმა გაიზიარა მამის მწარე ხვედრი და სამუდამოდ დასტოვა საყვარელი ქალაქი, მისი მკვიდრი მამული. ჭაბუკი პოეტი იმერთში გადაიხვეწა.

ბესიკის პოეზიაში ასეთი სახელითაა ცნობილი ერთი ლექსი. რომელიც პოეტური ტექნიკის საოცარი ნიმუშია. ყოველი სტროფი და ამ სტროფის ყოველი სტრიქონი (მთავარ ცეზურასთან ერთად) ერთი ასოთი იწყება და ასე გრძელდება მთელი „ანბანის“ მანძილზე. ასე, მაგალითად. „ან“-ზე გაწყობილია პირველი სტროფი:

ათინად ბრძენთა განზრდილი აზიად ვმგზავრობ არესა,  
ამირბარს ვეუფე აუთანდილ ამოდ რა ლომობიარესა,  
აღვისა მშვილდი შემშვეინდა ისრად არყისა მხმარესა:  
არწივს აფსკასა შეუავე ჰაირ მოფრინეამქმარესა.

ანბანთქებები ამ ხანის პოეზიაში ხშირი მოვლენაა. მაგრამ აქ არის ერთი თავისებურება. პირველ სტროფში გადმოცემულია მოგზაური რაინდის ამბავი, რომელმაც არწივი მოინადირა. ყოველ მომდევნო სტროფში იგივე შინაარსია გალექსილი: მშვილდისრის მოპოვება და ნაღირის ხოცვა, მაგრამ ახალი სტროფი „ანბანის“ მომდევნო ასოზეა გაწყობილი. მაგალითად, რიგით მეექვსე სტროფი, როგორც მოსალოდნელია. გაწყობილია „ვინ“-ზე და სხვა ვარიაციაში გადმოცემული პირველ სტროფში გალექსილი ამბავი:

ვ-ახეთი მოვლე ყარბმან, ვარციხეს მოველ გვიანად,—  
ვარამს ვესურვე, მიწოდდა, ველისარიონს ჰქვიანად.  
ვარჯოვნის მშვილდსა მიტებდენ, ვაზის ისარსა ფროიანად,  
ვარას ვაწვონი ვეგ ზედან, მწეადი ცეცხლს მაქენდის ცკრიანად.

ვასაგებია, თუ რა მაღალ პოეტურ ტექნიკას მოითხოვს ამგვარი თანხატეხი ამოცანა. ბესიკი ასეთ ე. წ. თავშესაქცევარ პოეზიაში საოცრად გაწაფული ყოფილა. ეს იყო მაშინდელი ლიტერატურული მოდა. სასახლის კარის აუცილებელი ელემენტი. მგოსანი და პოეტი. მით უფრო სამეფო კარზე მყოფი. ვალდებული იყო გაეწია მისთვის ანგარიში. სასახლის კარზე ყოველ ხელსაყრელ მომენტში იმართებოდა პოეტური შეპაექრებანი და „შემღერება-მუნასიბები“. ასეთი ტრადიცია ძველთაგან მოდიოდა. დაკით გურამიშვილი გადმოგვცემს, რომ ვანტანგ VI კარზე ხშირი იყო ასეთი პოეტური პაექრობანი და ერთხელ მეც დავამარცხე ჩემი მეტოქეო. მამა ერეკლესი, თეიმურაზ II პოეზიის დიდი მოყვარული და თვითონაც კარგი მელექსე, აღწერს თავის პოემაში („სარკე თქმულთა“). რომ მაშინდელ საქართველოში ლხინსა და ზეიმს თან ახლდა პოეტური სიტყვა:

შეიქნა სპა და პურობა, ლხინი და უუყარანიო,  
ქოყენენ ლხინს წყნარად. რიგზედა, პირველად ითქვას ზმანიო,  
მეორეს დაღვივის დროსა იწყონ შაირის თქმანიო,  
მესამე რიგსა თასზედა იქნების გალობანიო.

ასეთი პოეტური შეპაექრებანი ითხოვდა თავისებურ ქანრებს. რომელთა მიზანი ძირითადადში გართობა-თავისშექცევით ისაზღვრებოდა.

ბესიკმა ხარკი გაიღო ამ ე. წ. გასართობი პოეზიისადმი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი აკროსტიხი („კიდურ-წერილობა“), ანბანთქება, ზმურად გაწყობილი ლექსი, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იგი ასეთ ფორმალურ პრინციპებზე აგებულ ლექსებშიც ასერხებდა გადმოეცა თავისი პოეტური ზრახვები და ნამდვილ პოეზიამდე აემალ-ლებინა ე. წ. ანბანთქებები თუ ზმიანი შაირები. ზევით ჩვენ ვნახეთ ბესიკის ერთი ლექსიდან ნაწყვეტი: ოი, სოფელო, პირდამყოფელო...“, სადაც „მუხთალი“ და „გაუტანელი“ სოფლის შემზარავი სურათია დახატული. ეს ლექსი არსებითად ანბანთქებას წარმოადგენს. ზმიანი შაირია, მაგალითად, ლექსი „რა გული დავაგე შენად სარებლად“. პოეტი ვირტუოზულად ათამაშებს ბგერებს და სარიტმო სიტყვებში ვიღებთ სახელს: „თამარ“. პოეტური სიტყვა მაინც თავის სიმალლეზეა:

რა გული დავაგე შენად სარებლად  
მუნიოგან ვარდს გიფენ მით ამ არებით,  
ვიცი, დღეი მისხან შენდა მარებლად  
მისთვის თავს შეგწირავ მით ამ არებით.

ასევე ზმურ სიტყვებზეა აგებული ცნობილი ლექსი „დედოფალს ანაზედ“ (ზმები გვაძლევენ სახელს „ანას“), მაგრამ იგი ერთ-ერთი ბრწყინვალე ლირიკული ოდაა. სხვათა შორის, აქ არის სიტყვები, რომლებიც შეიძლება კაცმა ეპიგრაფად წარუმძღვაროს ბესიკის მთელ ცხოვრებასა და შემოქმედებას:

ვარ უცხო ვინმე ყარიბი  
ამა სიტყვისა მხმობელი,  
ამა მუხთლისა სოფლისა  
მაგინებელი, მგმობელი.

ბესიკის კალამს ეკუთვნის მეორე ლირიკული შედეგრი: „ჰაერი, ცივ-ნამიანი“. რომელშიც აგრეთვე გამოყენებულია ზმიანი შაირის ხერხი: სარიტმო სიტყვებში ამოიცნობა სახელი „ია“, რომელშიც შეფარვით თითქოს მისი მიჯნური მაია ყულარალასის ქალი იგულისხმება. ნაწილობრივ ამგვარ, „თავშესაქცევარ“ პოეზიაში შედის აგრეთვე ე. წ. „მაჯამური“ ლექსები. რომლის მამამთავარი ქართულ „ალორძინების“ პოეზიაში არის თეიმურაზ პირველი. მაჯამები მოეპოვება არჩილს, ვახტანგ VI. დავით გურამიშვილს, მამუკას და ამ ხანის თითქმის ყველა პოეტს. ცნობილია მაჯამური დაბოლოების ლექსი ბესიკისა: „მე შენი მგონე...“, რომლის გამოც ზ. კიკინაძეს შემოუწინაზავს ზეპირი გადმოცემა: ერთ დღეს მეიდნისაკენ ვილაც ალაფის ქალი მიდენილა. მას დაჰხვედრია ქართველი ბატონიშვილი და ძალიან მოსწონებია. ბატონიშვილი შორიახლოდან ქალს თან გაჰყოლია და მისი სახლი უნახავს. მესამე დღეს ბატონიშვილს ქალიანთ სახლის მახლობლად ვახშამი გაუმართავს და მთელი ღამე უქეიფნიათ ზუზუნით, თარით და სიმღერებით. ბესიკიც იქა ყოფილა. ბესიკისათვის უთხოვნიათ იმ ქალზე სიმღერა გამოსთქვიო. ქალს მაღალ რქმეგია და ლექსი „მე შენი

მგონე, კირთ შემკონე, მარჯვი მალალო“ ბესიკს მასზე დაუწერია და ეს ლექსი მთელს ქალაქში მოეფინაო“. ბესიკის ბევრ ლექსს შესაძლოა ასეთი ბიოგრაფია ჰქონდეს, მაგრამ შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ეს ლეგენდაც თვით ამ ლექსის არასწორად გაგებამ შექმნა. ლექსის პირველი სტრიქონი ასე იკითხება: „მე შენი მგონე, კირთ შემკონე, დამწვი მალ-ალო“. სარიტმო სიტყვა „მალ-ალო“. ე. ი. ცეცხლო, მალე დამწვიო, ერთ სიტყვად „მალალოდ“ გაუგიათ და იგი ქალის სახელად მიუჩნევიან. შემდეგ ამაზე შექმნილა ჩვეულებრივი ტიპის რომანტიკული ისტორია. (სხვათა შორის ზემოთ მოტანილი გადმოცემის ასეთმა გაგებამ წარმოშვა ჩვენში ახალი საკუთარი სახელი „მალალო“).

რთული მაჯამური დაბოლოებები მოეპოვება აგრეთვე ბესიკის ცნობილ ლექსებს: „იადონს ის ევარდა“, „პირ ზამბახნი“ და სხვ. ბესიკმა ქართულ პოეზიას რამდენიმე საინტერესო მაჯამა შესძინა და ამ ქანის განვითარებაშიც შეიტანა თავისი წვლილი.

### მწარე, გესლიანი სიტყვა

„ტანო ტატანოსა“ და „სევდის ბალის“ ავტორს გამკილავი სიტყვაც ეხერხებოდა. თითქოს მოულოდნელია, მაგრამ ლიტერატურის ისტორია მრავალ ასეთ ანალოგიას იცნობს. ეს ეხებათ მეტწილად იმ მწერლებს, რომელთაც რომელიმე სასახლის კართან ჰქონდათ კავშირი. საკმარისია აქ გავიხსენოთ ლეგენდა ფირდოუსზე, რომელშიც გადმოცემულია „შაჰ-ნამეს“ ავტორის მწარე გაკვეთილი. ფირდოუსიმ „მეფეთა წიგნი“ ანუ „შაჰ-ნამე“ მიუძღვნა ირანის დიდ მზრძანებელს მაჰმუდ ლაზნეველს და შესაფერ დაფასებას ელოდა მისგან. სასახლის კარზე დაგუბებულმა შურმა, ბოროტმა ენამ სამუდამოდ წაჰკიდეს ისინი. თურმე სულთანს წყალობის ნაცვლად მასხარად აუგდია დიდი მგოსანი და ხურდა ფულით დაუსაჩუქრებია იგი. არც ფირდოუსი დარჩენილა ვალში და სამუდამოდ „უკვდავყო“ უმადური სულთანის სახელი პოემაზე დართულ ვრცელ სატირულ შესავალში. სასახლის კარზე ყოველთვის იდგა ღვარძლისა და შურის უხვი მოსავალი. ამ მხრივ, ერეკლეს სასახლეც არ ყოფილა გამონაკლისი. მწარე, გესლიანი სიტყვა აქ თოფ-იარაღს უდრიდა და ბესიკიც მარჯვედ იყენებდა მას. ჯერ კიდევ სრულიად ჰაბუქმა პოეტმა ცხარე ბრძოლა გადაიხადა სასახლის დიდ კარისკაცთან მზეჭაბუკ (იგივე ჰაბუა) ორბელიანთან. ჰაბუა მეფის მდივანბეგი იყო და სასახლეში დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა. ნაკმარისია აქ დავასახელოთ იოანე ბაგრატიონი, რომელიც „კალმასობაში“ ასე ახასიათებს ფილოსოფოსს და მკვერმეტყველს ჰაბუა ორბელიანს: „მზეჭაბუკ ორბელიანი, კაცი შესახედავათ მსგავსი ესოპესი, და ძველთა ფილოსოფოსთა ზედმიწევნილი, ღვთისმეტყველებასა შინა გამოცდილი, და პაექრობასა შინა მარჯვე, აგრეთვე ხუმარსიტყვაობასა შინა მარჯვე და პასუხისა უცხოდ მიმგები. მესტიხეობასა შინა-ცა ქებული და მსჯელობისა საქმეთაცა შინა გამოცდილი. ამან აღზარ-

და რაოდენიმე მოწაფენი... ესე იყო მეფეთაგან მიჩნეულ“. და აი, ასეთ პიროვნებასთან მოსვლია ჰაბუკ ბესიკს შეპაექრება. ბესიკის ლექსების ერთ ხელნაწერზე გაკეთებულია შემდეგი შენიშვნა: „ოდეს ბესარიონ გაბაშვილსა და ჰაბუხა მდივანბეგსა ლაპარაკი და სამღერავი მოუხდათ ერთმანეთთანა. მაშინ რადგან ჰაბუხა კუზიანი იყო და ურიგოდ აგებულა, ბესარიონმა ეს ანბანთქება დაუწერა და მეფე გიორგის (გიორგი XII) მიართო“. საკმაოდ გამკილავე ანბანთქებაზე მზეკაბუკ ორბელიანს უპასუხნია საზიზღარი პასქვილით, რომელშიც უცდია ტალახში მოესვარა ჰაბუკი პოეტის სახელი. სწორედ ამის პასუხია ბესიკის პამფლეტური ხასიათის ლექსი „მზეკაბუკ ორბელიანზე“. მეფის მდივანბეგი, ავისტყვა ჰაბუხა სასტიკად არის გამასხრებელი. ლექსში ყველა კუთხითაა „განათებული“ ჰაბუხას სატირული სახე, გარეგნობიდან დაწყებული მისი ვერაგობის დახასიათებამდე:

დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულდადარაო,  
ემშაკთ ბუდეო, ბეკმრუდეო, კერპ სადარაო,  
არუზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო,  
ხილუად საშიშო, გულმაეიშო, გარსაგარაო —  
მე შენი ქება მომენება, არ დაეფარაო.

ბესიკი არც მალავს მის „ქებას“, თურმე ჰაბუხა „რაინდი-მიჩნურცი“ ყოფილა და თავისი გარეგნობით ქალთა „დამატყვევებელიც“. ხალხური იუმორიდან აღებული ფრაზით ამთავრებს იგი ჰაბუხა-მიჩნურის პორტრეტს:

შენნი მიჩნურნი ველად რბიან ბროლის ყელისა!  
შენმა გახეთქამ, ეშხი მოკლავსთ შენის წელისა.

ფიქრობენ, რომ ბესიკისა და ჰაბუხას შეჯახებას წოდებრივი ხასიათიც ჰქონდა, რომელიც სასახლის „მოშურნეთა“ წყალობით უფრო გაღვივებულია. გაბაშვილი ზაქარია, მამა ბესიკისა, ერთ დროს ხომ ორბელიანებს ემსახურებოდა კარის მოძღვრად და იქნებ აქ იჩინა თავი სიძულვილმამო (კ. კეკელიძე). ჰაბუხას პასქვილში, სხვათა შორის, ჩანს, რომ იგი ბესიკს მდაბიო წარმოშობისად თვლიდა, მაგრამ კიდევ უფრო ნათლად ეს ამბავი ერთი ძველი ჩანაწერიდან ჩანს. გრიგოლ ბატონიშვილს მის მიერ შედგენილ ხელნაწერ კრებულში შეუტანია ბესიკის ერთი სატირული ლექსი ჰაბუხა ორბელიანზე და ასეთი შენიშვნაც დაურთავს: „ჰაბუხა მდივანბეგი დიდი საპატიო და მეცნიერი და შემაჯკვევარი კაცი იყო, და მეფე ირაკლის დიდად უყვარდა; ხუმრობებიც იცოდა. და მოთხრობა სიტყვის მსწრაფლად და მარდად იცოდა. და ამის გამო. კურთხეულმა მეფემ ირაკლიმ უბრძანა: „ჰაბუხავ, რატომ ბესარიონს მაგიერ ლექსს არ დაუწერო“. და მაშინვე იმავე წამს მოახსენა: „შენი ჰირიმე. ბლიაძეს რა ლექსი გაეწყობაო“. იქ მყოფთა, დიახ, ბეგრი იციენს“. ბლიაძენი ხალხის წრიდან გამოსული მესტიერი-მელექსეები იყვნენ. ჰაბუხამ ამ შედარებით დაბალი წრიდან გამოსული ბესიკიც მათ გაუთანაბრა, მაგრამ ამ დიალოგში სხვა მომენტიც ჩანს. ბესი-

კის ჰოეზია ჭაბუამ არ ჩათვალა მაღალი, არისტოკრატიული ლიტერატურის გემოვნების შესაფერისად და ვითომდა „მდაბიურ“ ბანაკში გადასროლა. სხვათა შორის. არის სხვა ცნობებიც, რომლითაც ჭაბუა ხშირად იწუნებდა თურმე ბესიკის ლექსებს და ტრადიციული პოეზიიდან გადახვევას უკიფინებდა. ასე რომ, — შენიშნავს ამის გამო გიორგი ლეონიძე, — პირადად შეხლამ ლიტერატურული ბრძოლის ხასიათი მიიღო და ბესიკ-ჭაბუას სიტყვა-პასუხი იმდროინდელ ლიტერატურულ-პოლიტიკურ მასალად უნდა მივიჩნიოთ. ჭაბუასა და ბესიკის სახით სხვადასხვა ლიტერატურული გემოვნება და სკოლა ებრძოდა ერთმანეთს.

ბესიკს უფრო მსუბუქი, სახუმარო ლექსებიც ეკუთვნის, რომელთა უმრავლესობა მან სიცოცხლის ბოლო წლებში, რუსეთში ყოფნის დროს შექმნა. მაგრამ ყველაზე საყურადღებოა მისი სატირულ-იუმორისტული ხასიათის პოემა „რძალ-დედამთილიანი“. ეს თემა ხალხური პოეზიის კუთვნილებაა და ჩვენს მწერლობაში პირველად ბესიკმა დაამუშავა, პირველი სტრიქონიდან ჩანს, ბესიკმა პოეტური ფორმაც შესაფერი შეარჩია:

გახარებთ ღია შეგაქცევთ ამა საქმისა მსვენელსა.

ხაზგასმული სიტყვები თავიდანვე მიგვანიშნებენ პოემის ხალხურ, სახუმარო კილოზე. სასაცილო-თავშესაქცევ ეპიზოდებთან ერთად, სასტიკად გაკიცხულია მანკიერი ჩვეულებები და პოეტის თანამედროვე ოჯახის მახინჯი მხარეები. იგი დასცინის, რძალ-დედამთილობის ტრადიციულ შულსს. პოემის პათოსი დიდაქტიკურ-ალმზრდელიობითაა, პოეტის მიზანია ოჯახის განკურნება ამ საშინელი სენისაგან. ბესიკი ამ პოემაში არც სასულიერო პირებს ინდობს, რომლებიც დახმარების ნაცვლად სხვათა უბედურებაზე ათბობენ ხელს. იქნებ ამის გამოც, ბესიკმა პოემაში აღწერილი ამბები შორეულ სამარყანდში გადაიტანა, ხოლო სასულიერო პირად მღვდლის ნაცვლად ტერტერა გამოიყვანა. რასაკვირველია, ეს მეტად გამჭვირვალე ხერხია და მკითხველი მაინც ადვილად აღიქვამდა მისთვის ნაცნობ გარემოს. თვითონ პოეტიც არ იცავეს სიმკაცრეს ამ შემთხვევაში და წამოცდება ქართული რეალიები: „არვის უქნია ეს საქმე, ქართლი კვირობენ, იმერიო“.

აღსანიშნავია, რომ ენობრივი თვალსაზრისითაც ბესიკი ამ პოემაში განსაკუთრებულად ახლოს მივიდა ხალხურ, სასაუბრო მეტყველებასთან. როგორც სასაუბრო ენით, უანრობრივადაც ბესიკის პოემა ეხმაურება დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსს“, რომელიც დაახლოებით იმავე წლებში იწერებოდა შორეულ უკრაინაში. ბესიკმა და გურამიშვილმა პირველებმა გაუკაფეს გზა საყოფაცხოვრებო ხასიათის უანრებს ქართულ მწერლობაში.

„აღორძინების ხანის“ მწერლობაში ბესიკი ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური ხმის პოეტია. გზადაგზა ჩვენ ვახსენებთ ბესიკის პოეზიის ზოგი თავისებურება. რაც შეეხება პოეტურ ენას, იგი მსჯელობისათვის დიდ მასალას იძლევა. უპირველესი ნიშანი ბესიკის ლირიკული ლექსისა კომპოზიციური დახვეწილობაა. კომპოზიციის გრძნობა ბესიკს ძალზე გამახვილებული აქვს. როგორც ცნობილია, კომპოზიციას არ განსაზღვრავს პოეტის მიერ შერჩეული ესა თუ ის საზომი ან ლექსთწყობის რომელიმე სახე. ლექსის კომპოზიცია პოეტის წინაგან სამყაროში იღებს სათავეს და ერთიან სახეში თუ ლირიკულ ამღერებაში ელინდება. ყოველი პოეტური ნაწარმოების კომპოზიცია სახეთა მთლიანობას და მხატვრული განცდის ერთიან გადაწყვეტას გულისხმობს. ამ მხრივ, ბესიკის ლექსები სამაგალითო ოსტატობით არიან შესრულებულნი. ლირიკული შედევრის „სევდის ბალის“ კომპოზიციური მთლიანობა მთავარ სახეს უკავშირდება. ლექსის მთავარი სახეა უზომოდ შეყვარებული მიჯნური, რომელიც უცხო წალკოტში შებრალებას ითხოვს განარისხებული სატრფოსაგან. და მთელი ამ პოეტური სურათის სახეთა სისტემა, მეტაფორათა უჩვეულო გრადაცია მთავარი სახის რომანტიული გმირის ბუნების გახსნას ემსახურება. ასეთივე კომპოზიციური მთლიანობა ახასიათებს „სევდის ბალის“ ციკლის სხვა შედევრებსაც, განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსები „ტანო-ტატანო“ და „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა“, „შავნი შაშვნი“ და სხვ.

ბესიკი არაჩვეულებრივად ფლობს პოეტურ სემანტიკას. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ძველ ქართულ პოეზიაში იგი რუსთაველის ერთი ღირსეული მემკვიდრეა. შოთა რუსთაველის<sup>3</sup> მსგავსად, ბესიკიც ძირითადად მეტაფორული სტილის პოეტია და საკმარისად არის დავალებული დიდი წინამორბედისაგან. ბესიკთან არცთუ იშვიათად გვხვდება რუსთაველური „მელნის ტბა“ და „გიშრის სათები“, ნაცნობი ასტრალური სახეები თუ ძვირფასი ქვების მეტაფორები. მაგრამ ამასთან ბესიკი ახალ აღმოჩენებსაც აკეთებს. დღეს ბესიკის სახელითაა ცნობილი ისეთი მეტაფორები, როგორცაა „სევდის ბალი“, „ცრემლთა ისხარნი“, „შავნი შაშვნი“ და ა. შ. ბესიკი მეტაფორასთან ერთად ხშირად იყენებს რუსთაველთან შედარებით ნაკლებად გამოყენებულ პოეტურ ხერხს — პირდაპირი სახის შედარებებს: „შენმა გონებამ მიმამსგავსა მიღეულ მთვარეს“, განსაკუთრებით დამახასიათებელია უარყოფაზე აგებული გაწლილი შედარება: „შვიდნი ციურნი მოციმციმედ, არ შეგადარე“. იმ შემთხვევაში პოეტი ახლოს დგას უბრალო, ქალაქურ პოეზიასთან, რომელიც იმ ხანებში საკმარისად იყო ფრთავაშლილი. ასევე ლაღად, უბრალოდ ქმნის სახეებს თბილისის აშუღური პოეზიის ფალავანი საიათნოვა. „ნეტავი არ დაღამდე, რა კარგი დღე ხარ“, — მიმართავდა იგი ერეკლე მეორეს.

ბესიკმა კარგად იცის პოეტურად მიგნებული სიტყვის ძალა. თავის ადგილზე ჩასმული, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სიტყვა, სრულიად



მოულოდნელ მხატვრულ ეფექტს ქმნის. ბესიკი სიტყვის. მხატვრული ფრაზის ჭეშმარიტი ოსტატია და მისი ლექსებიდან ზოგი ადგილი პოეტურ ფორმულას ჰკავს: „ჰაერი ცივ-ნამიანი, ჩემთვის აღარა მზიანი...“ ბესიკის ვირტუოზობა ალიტერაციითა გამოყენებაშიც კარგად ჩანს. თავი რომ დავანებოთ მის „ანბანთქებებს“. სადაც ალიტერაცია თვითმზიანია, ბესიკის სხვა ლექსებიც დატვირთულია მოხდენილი ალიტერაციებით. ცნობილი ლექსი „ტანო-ტატანო“ ალიტერაციული ბგერწერის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. მეტაფორათა საოცარ წყობასთან ერთად მხატვრულ სურათს ბგერათა არაჩვეულებრივი შეხამება ქმნის: „ტანო-ტატანო, გულწამტანო უცხოდ მარებო. ზილფო-კავებო. მომკლავებო. ვერ საკარებო“. ან „ვა, სიცოცხლეო, უკუღმართო, დანაცარებო“. ბესიკი ბგერწერის უბადლო ოსტატია.

ბესიკმა შემოიღო და დაამკვიდრა რამდენიმე ახალი პოეტური საზომიც. როგორც ცნობილია, „აღორძინების“ მწერლობამ საბოლოოდ დაძლია ეპიური ჰომეროსისთვის შესაფერი საზომების ბატონობა (ძირითადად რუსთაველური შირი) და გზა გაუკაფა პოეტურ საზომთა მრავალფეროვნებას. ბესიკმა თავისი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ლექსის აღორძინებაშიც. მის სახელს უკავშირდება, მაგალითად, თოთხმეტმარცვლიანი ლექსის ერთი მეტად საყურადღებო სახეობა, რომელიც ბესიკურის სახელითაა ცნობილი. ლექსის მეტრული სქემა ასეთია: (ტანო, ტატანო (გულწამტანო) უცხოდ მარებო) ე. ი. 5(4)5. ამ საზომმა შემდგომში დიდი გავრცელება ჰპოვა: თოთხმეტმარცვლიანი, ბესიკური საზომითაა დაწერილი შემდეგში ისეთი ბრწყინვალე ლირიკული ლექსები, როგორიცაა ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბა“, გრ. ორბელიანის „ჩემს დას ეფემიას“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური „მერანი“. ბესიკმა პირველმა გამოიყენა აგრეთვე 19-მარცვლიანი ახალი საზომი ცნობილ ლექსში „ცრემლთა მდინარე“.

ასეთივე კანონზატორად გვევლინება ბესიკი ქართული ლექსის სტროფიკის დარგშიც. XVIII საუკუნეში ჩვენში დიდი გავრცელება ჰპოვა ე. წ. მუხამბაზურ-მუსტაზადურმა საზომებმა. ირკვევა, რომ ზოგი ამგვარი სპარსულ-არაბული საზომი ჩვენში აზერბაიჯანული გზით შემოსულა და საქართველოში მათ გარკვეული სახეცვლილებები განუცდიათ. ბესიკის ავტორიტეტმა განსაკუთრებით განამტკიცა მომდევნო ხანის პოეზიაში მუხამბაზური საზომების გავრცელება. ბესიკური მუხამბაზის ტიპია. მაგალითად, ლექსები „ცრემლთა ისხარნი“, „მე შენი მგონე“ და ა. შ. თოთხმეტმარცვლიან ამ ლექსებს (5+4+5) აქვთ აღმოსავლური ჰომეროსისთვის დამახასიათებელი გარიტმის წესი. პირველი სტროფი (ხუთ ტაეპოვანი) ერთ რითმაზეა გაწყობილი, რაც მეორდება სხვა სტროფების ყოველ მეხუთე ტაეპში. ამასთან, როგორც ზევითაც ითქვა, ბესიკის ლექსები, აღმოსავლური ლირიკის ზოგი სახეობის კვალობაზე, უჭკველად იმღერებოდა. ბესიკის ლექსებს ამღერებდნენ სახალხო მთქმელები და აშულები. საიათნოვასთან ერთად ბესიკმაც შეუწყო ხელი ე. წ. თერთმეტმარცვლიანი „თეჯლისების“ გავრცელებას. ეს საზომი განსაკუთრებულად ემარჯვებოდათ პოეტ-აშულებს, 16. ს. ცაიშვილი

რადგან თავისებური ბოლო მარცვალი კარგად ეგუებოდა მუსიკალურ საკრავებს.

ბესიკის პოეზიამ განუზომელი გავლენა მოახდინა მის თანამედროვე მწერლობაზე. შეიძლება ითქვას, რომ მას პირდაპირ ზღვა მიმბაძველ ეპიგონთა ლაშქარი გაუჩნდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ეპიგონთა შემოქმედებაში დაიჩრდილა ბესიკის ლირიკის შინაგანი თავისებურებანი. ბესიკური პოეზია გადაიქცა ერთგვარ ფორმალისტურ ვარჯიშობად, რადგან ეპიგონები მხოლოდ გარეგან მიმბაძვაზე აგებდნენ თავიანთ ნიმუშებს.

### ზორიულ გზაზე

გამტყორცნა სოფელმან, მოეშორლი მხესა.  
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად..

თბილისიდან გადახვეწილ პოეტს ერთადერთ საიმედო თავშესაფარად იმერთა სამეფო ეგულებოდა. კარგა ხანია უკვე აქ იყო მამამისი ზაქარია მორღვარი და, როგორც ჩანს, იგი საკმაოდ ახლოს მდგარა სოლომონ პირველის სამეფო კართან. ამას მოწმობს ზაქარიას მკვევრმეტყველური სიტყვა, რომელიც წარმოუთქვამს 1774 წელს<sup>14</sup>. სიტყვა მიძღვნილია სოლომონ პირველისადმი, რომელმაც — ჩხერის ომში სასტიკად დაამარცხა თურქ-ოსმალები (1774). საბუთებიდან ჩანს, რომ ქუთაისში შემოკრებილან ზაქარიას სხვა შვილებიც. გაბაშვილები განათლებული და მწიგნობრობის მოყვარულნი იყვნენ და ასეთი ხალხით არცთუ მაინცდამაინც განებივრებული იყო მაშინდელი ქუთაისი. ბუნებრივია, რომ ზაქარიას ვაჟები მალე მალა თანამდებობებს აღწევენ სამეფო კარზე. სარგის კაკაბაძის მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, რომ მაგალითად, ზაქარიას უფროს შვილს ოსეს დაახლოებით 1776 წლისათვის მიუღია სახლთუხუცესის საპატიო თანამდებობა, ხოლო მეორე შვილი ანტონი მდივან-მწიგნობრობას ეწეოდა.

გარკვეული პოლიტიკური დაძაბულობის გამო, იმერთა მეფის, სოლომონ პირველის კარი ერეკლეს მოწინააღმდეგეთა თავშესაფარად გადაიქცა. ენერგიული და ძლიერი ნებისყოფის სოლომონ პირველი ძალას არ ზოგავდა, რომ მისი სამეფო გამოეხსნა თურქეთის ბატონობისაგან, რომ როგორმე აელავმა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის ველური ჩვეულება და ქვეყანა გამოეყვანა განვითარების ნორმალურ გზაზე. ამ საქმეში მან მიაღწია კიდევ გარკვეულ წარმატებებს და მისი მეფობის დროს იმერეთში შედარებით დაწყნარებული ცხოვრება დამყარდა. მაგრამ ფეოდალური უკუღმართობის გამო სოლომონ პირველი აღმაცერად უყურებდა ერეკლე მეორეს და იმერეთის სამეფო ტახტის მოცილედ მიაჩნდა იგი. იყო წლები, როცა ერეკლეს მეცადინეობით ორივე

<sup>14</sup> სიტყვა გაჟოკვეუნა ლ. ქუთათელიძემ.

მეფე ერთად იბრძოდა საქართველოს საქმისათვის და არაერთხელ დაუშვარცხებიან მათ მომხდური ლეკ-ოსმალები, მაგრამ ეს იყო დროებითი შეკავშირება. ბოროტი ენები ადვილად ახერხებდნენ იქვენული სოლომონ მეფის გაღიზიანებას. ერეკლემ ქართლ-კახეთი გააერთიანა და ახლა, ალბათ, იმერეთის შემოერთებას აპირებსო. სწორედ იმ ხანებში, როცა ბესიკმა მიაშურა იმერეთის სამეფოს, ერეკლესა და სოლომონს შორის დიდი განხეთქილება იყო ჩამოვარდნილი. ერეკლეს მტრები იმერეთში იყრიდნენ თავს. შესაბამისად, არც ერეკლე უშლიდა ხელს სოლომონ პირველთან წაიდებული ხალხის ქართლში გადმოსვლას. იმერეთში გადავიდა, მაგალითად, ერეკლეს მიერ დევნილი ქსნის ერისთავი, გიორგი ყულარადასის ვაჟი ელიზბარი, რომელმაც მალე სოლომონ პირველის კარზე დიდი გავლენა მოიპოვა<sup>15</sup>. სოლომონის კარზე შეაფარა თავი ქართლიდან განდევნილმა ბესარიონ გაბაშვილმაც.

იმერეთის მეფის კარზე ბესიკს ბრწყინვალე კარიერა ელოდა. სოლომონ პირველმა იგი მყისვე დააწინაურა და ჭერ დაეთარხანა ჩააბარა, ხოლო შემდეგ კი მდივანთუხუცესის საპატიო სახელი მიუბოძა.

მალე ბესიკს სოლომონის დავალებით სერიოზული დიპლომატიური მისიის შესრულება დაეკისრა. მას სპარსეთიდან საიდუმლოდ უნდა ჩამოეყვანა ვახტანგ მეექვსის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე. სოლომონს იგი ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულებისათვის სჭირდებოდა. ეს იყო ძველისძველი დავის გაგრძელება. ვახტანგ მეექვსის მემკვიდრეები თავის ლეგიტიმისტურ უფლებებს აცხადებდნენ ქართლის ტახტზე. კახეთის ბაგრატიონთა შთამომავალი თეიმურაზი და შემდეგ ერეკლე მათ მხოლოდ კახეთის მეფედ მიაჩნდათ. პირადი ინტერესები მათთვის (ვახტანგის მემკვიდრეებისათვის) ყველაფერზე მალა იდგა და ვერ ხედავდნენ ქართლ-კახეთის გაერთიანების უდიდეს მნიშვნელობას. ერთ-ერთი ასეთი მაძიებელი ქართლის ტახტისა იყო აგრეთვე ალექსანდრე ბაქარის ძე, რომელიც ხან რუსეთიდან, ხან სპარსეთიდან და ახლა იმერეთიდან ცდილობდა თავისი უნიადაგო ოცნების განხორციელებას. სოლომონ პირველს სწორედ ასეთი მაძიებელი უნდოდა, რომ ერეკლეს გაღმა შედაეებოდა. ბესიკმა მიიღო ეს ძნელი დავალება. ასე ჩაება ჰოტი-კარისკაცი, ყოფილი პატრონისა და ძვირფასი მეგობრის მამის, ერეკლეს საწინააღმდეგო საქმიანობაში<sup>16</sup>.

ეს მოგზაურობა ბესიკს დაუწყია 1778 წელს, აგვისტოს თვეში. ჩვენამდე მოაღწია ნაწყვეტმა იმ დღიურიდან, რომელიც ბესიკს გზაში უწერია „ქ. მე იობის ნათესავი გაბაონელიძე, ძე მოძღვრისა ზაქარია ყოვლად ღირსისა, ოდეს ვიყავ წლისა კც (28), მაშინ ვცხოვრობდი იმერეთის მახლობელ მყოფი სოლომონ ძლიერისა და განმაახლებლისა მეფისა დავითიანისა, რამეთუ ამას შინა ეამთა წარვივლინე ხსენებული-

<sup>15</sup> სხვათა შორის ელიზბარ ერისთავიც თავის დროზე სახელმწიფოპოლიტიკო მოღვაწეობდა. შემორჩენილია მისი რამდენიმე ლექსი.

<sup>16</sup> ბესიკის სპარსეთში გამგზავრების მიზნებზე არსებობს სხვა მოსაზრებაც (დაწვრ. იხ. ჩვენი წიგნი „რუსთაველი — გურამიშვილი“, 1974, გვ. 171).

სა ამის მეფისაგან ერანად — შირაზს ქალაქად — ქარიმ ხან ზანდის-თანა...“

დღიურიდან ჩანს გამგზავრების მარშრუტიც. რაჰის გზით კავკასიონი გადაულახავს, ოსეთში ჩასულა, ხოლო შემდეგ მოზდოკ-ყიზლარის გავლით იგი უკვე ასტრახანშია და ელოდება საზღვაო ამინდს. „ასტრახანითო. — განაგრძობს ბესიკი დღიურს, — შთავჯედ ხვამალდსა. ზღვის ჰირით და ღელვა-გვემულებით ოცდამეათცხრამეტესა დღესა შინა წყლის მოჩივარი განვედით მამულსა გილანისასა და მივედით ქალაქსა, რომელსა ეწოდების რაშტი...“ დაახლოებით ნოემბერში ან დეკემბრის პირველი რიცხვებიდან იგი შირაზში ჩადის და მოლაპარაკებას აწარმოებს ალექსანდრე ბაქარის ძესთან. საფიქრებელია, რომ ბესიკი იმერეთში სხვა გზით დაბრუნდა. რადგან ძალიან სწრაფად ჩამოვიდა სპარსეთიდან. ეს უნდა იყოს უმოკლესი გზა ახალციხეზე გაკლით. (ამასვე ემთხვევა ალექსანდრეს იმერეთში დაბრუნების მარშრუტიც. იხ. მფ. საქ. 2772, 19r). მართლაც, 1779 წლის ზაფხულისათვის იგი ალექსანდრესთან ერთად უკვე იმერეთში იმყოფება. ალექსანდრე ბაქარის ძის წამოწყებული შეთქმულება, როგორც ცნობილია, შემდგომში მარცხით დასრულდა.

იმერეთის კარზე ბესიკს კალამი არ გაუგდია ხელიდან. მშობლიურ თბილისს. ნაცნობ პოეტურ ატმოსფეროს განშორებული პოეტი, რასაკვირველია, უწინდებურად ისე ხშირად ვეღარ აქლერებს თავის ჩანგს, მაგრამ დროდადრო იგი მაინც მოუხმობს პოეტურ სიტყვას. 1780 წელს, აქ, იმერეთის კარზე იწერება ბესიკის ცნობილი პოემა „რუხის ომი“. იგი ეხება აფხაზთა (ჩრდილოეთ კავკასიონის სხვა ტომებთან ერთად) თავდასხმას სამეგრელოს სამთავროზე. ეს იყო კიდევ ერთი, ძმათა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელსაც ალბათ თურქეთიდან აქეზებდნენ. სამეგრელოს მთავარს სოლომონ პირველი მიეშველა. ენგურის პირას ახლაც დგას ვეებერთელა, ირგვლივ ხავსმოკიდებული რუხის ციხე. სწორედ აქ, ამ ადგილას მომხდარა სისხლისმღვრელი შეტაკება. მეგრულ-იმერთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მომხდური მტერი. როგორც ჩანს, ომში მონაწილეობა მიუღია სოლომონის მდივანთუხუცესს ბესიკ გაბაშვილსაც და პოეტური სიტყვით აღუწერია ეს ამბავი. საინტერესოა, რომ ბესიკს აურჩევია „აღორძინების ხანაში“ გავრცელებული ფორმა. „რუხის ომი“ შიგნით თვით ანუ პროზაში აქა-იქ გარეული ლექსითაა ნათქვამი. უნდა ითქვას, რომ „რუხის ომი“ პოეტური ღირსებით საკმაოდ ჩამორჩება პოემას „ასპინძისათვის“. პოემა ბოლომდე არც არის მიყვანილი, ან იქნებ პოეტს იგი საბოლოოდ ვეღარ დაუმუშავებია. პოემას ამასთან ეტყობა ფსევდო-საგმირო ეპოსის ძლიერი გავლენა და ფალაგების ქება-დიდებათაა გადატვირთული. შექმბულია საკმაოდ ბევრი პიროვნება, მაგრამ პოეტს ერთნაირი საღებავები გამოუყენებია და ისინი ორი წვეთი წყალივით ჰვანან ერთმანეთს. თავისი ხასიათით „რუხის ომი“ პანეგირიკული თხზულებია. პოეტმა-კარისკაცმა ამით ერთგვარად ხარკი მოიხადა თავისი ახალი პატრონის წინაშე. მაგრამ პოემაში მაინც არის

რამდენიმე ძლიერად შესრულებული პასაჟი, ბატალური სცენები. რის გადმოცემაც საერთოდ კარგად ემარჯვება პოეტს. თუმცა ბესიკი პოემაში არას ამბობს. რომ ეს ბრძოლა არსებითად ძმათა შეტაკებაა, მაგრამ მეგრულ-იმერულთა ერთიანობას ალტაცებულ სიტყვებს მიუძღვნის. ერთიანობა გამარჯვების საწინდარია:

ერთპირობისა გზათა მრებელი  
არს სახალისო სასტუმრებელი.  
სადა საქმეა შეუძლებელი,  
იგი მუნ არის გამარჯვებელი!

საინტერესოა, რომ ბესიკის მიერ აღწერილი რუხის ომი შემდგომში სხვა ქართველ პოეტებსაც გაულექსათ. ცნობილია გრიგოლ კოლხიდელისა და ნოდელის ამავე სახელწოდების პოემები. როგორც ახლა გარკვეულია, გრიგოლ კოლხიდელის პოემა ბესიკის „რუხის ომითა“ შთაგონებული.

„რუხის ომის“ პანეგირიკულ ტონს გასაგებს გახდის ბესიკის ოდა „ქება სოლომონ მეფისა“. როგორც ჩანს, ეს ზვიადი სამქებრო ოდა ბესიკს დაუწერია 1782 წლისათვის, როცა სოლომონ პირველი ორდენით დააჯილდოვა რუსეთის მთავრობამ. ჩახრუხაული ლექსით ბესიკს შეუქია სოლომონ პირველის საქმეები და მიულოცინია ანდრია პირველწოდებულის კავალერობა: „დიდმა ხელმწიფემ, მტერთა განმკვეთემ. კავალერია იღვაწა შენთვისო“. პოეტი მარადიულ ამაღლებასა და გამარჯვებას უსურვებს მეფე-პატრონს:

ხელმწიფეე დიდო, ყოველთ სადიდო. მომლოცველი ვარ ამა ნიშისა,  
გადიდოს ღმერთმან, სამებით ერთმან, მეედრებელი ვარ სულისწმინდისა!  
სიტოცხლე მოცეს, მტერი დაგიცეს, მხიარულ იქნენ დღეს ამ ნიჭისა!  
ამაღლდეს ტახტი, ვით არარატი, ვერვინ შეიქმნეს მზრასე იშისა!

მაგრამ 1784 წლიდან იმერეთში ვითარება საკმაოდ შეიცვალა. გარდაიცვალა იმერთა სახელოვანი მეფე სოლომონ პირველი. ბესიკმა არც ახლა დააყოვნა და საკმაოდ მგრძნობიარე ეპიტაფია დაუწერა აწ გარდაცვალებულ მფარველსა და პატრონს. სხვათა შორის, აქ აღნიშნულია სოლომონის დიდი დამსახურება: ოსმალ დამპყრობლებთან ხანგრძლივ ბრძოლაში: „აღვსთქვენ და აღფხვზრნენ აგარიან-ოსმანნი, ჩემზე ზე მყოფნი შენ ძლით, ღვთისა დედაო! ვინამ ვარ მე მიწა, მოქენე ბრალთა“.

სოლომონ პირველს არ დარჩენია პირდაპირი მემკვიდრე და იმერეთი ახალმა არეულობამ მოიცვა. დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა ორ მოკეიშპეს შორის. პირველი იყო დავით გიორგის ძე. ხოლო მეორე დავით არჩილის ძე. საინტერესოა, რომ ორივენი ერეკლეს ახლო ნათესავეები იყვნენ. განსაკუთრებით კი დავით არჩილის ძე. დავით გიორგის ძეს ცოლად ჰყავდა ირაკლის დის ანას შვილიშვილი, ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ანა. ხოლო დავით არჩილის ძე ერეკლეს ქალის ელენეს ვაჟი იყო. პირველ ხანებში გაიმარჯვა ანას მეუღლემ დავით გიორგის

ქემ და იმავე წელს ავიდა იმერეთის ტახტზე. დავითს თანამედროვენი ახასიათებენ გულკეთილ, მაგრამ მარტივ და გაუნათლებელ ადამიანად. ამასვე ამბობს ცნობილი რუსი დიპლომატი ბურნაშოვი და ისტორიკოსი ბუტკოვიც. როგორც ირკვევა, დავით გიორგის ძის კარზე კვლავ დიდი გავლენა მოუპოვებიათ ქართლიდან გადმოხვეწილ პირებს. მაგალითად, ძალიან აღზევებულა დავითის მეუღლის ანას ბიძა ელიზბარ ერისთავი (ჩვენთვის ნაცნობი მაიას ძმა). ასევე მაღალი თანამდებობა მოუპოვებია ბესიკ გაბაშვილსაც. იგივე ბურნაშოვი ამის თაობაზე გვაწვდის საგულისხმო ცნობებს. ერეკლესაგან ლტოლვილმა თავადმა ერისთავმა, რომელიც აწ გარდაცვლილი სოლომონ პირველის სიძე და ახალი დედოფლის ანას ბიძაა, მოძღვრის ძე ბესარიონთან ერთად ხელთ იგდო დავით იმერთა მეფის ნებაო.

იმერეთის კარზე დაწინაურებულ ბესიკს, სხვათა შორის, თავადობის მაღალი წოდებაც მიუღია და ამის შემდეგ იგი ყველგან თავადად (რუსულ საბუთებში კნიაზად) იხსენიება. ბესიკი, როგორც ვნახეთ, განსაკუთრებულად ახლოს მდებარე მისი მეგობრის (თუ მიჯნურის) მაიას ქალთან, ანა დედოფალთან, რომელიც იმერეთის ფაქტიური მმართველიც იყო. ამ ახალი ურთიერთობის ნაყოფია ბესიკის ბრწყინვალე ოდა, რომელიც მან თავის მფარველ დედოფალს მიუძღვნა. ბესიკმა მთელი თავისი პოეტური ხელოვნება ჩააქსოვა ამ ლექსში და სიტყვათა ვირტუოზულ თამაშთან ერთად დაგვიხატა ბრწყინვალე გარეგნობის მქონე ახალგაზრდა ქალის რომანტიული სახე:

ეფუცაჲ მე არვინ მიხილავს, რომ არს შეენებით ანაო!  
მთარესა ეზრახებოდა: „შენ ვერ ხარ ჩემისთანაო!“  
ერსკვლავნი მისდა სამონოდ გარს უდგენ თანისთანაო!  
მხილველნო, დამემოწმებით: კარგი ყოფილა განაო!

ცნობა მიმიღო და გული, ხედვით შემზღულა ანამან;  
კვლავ მომკლა მისმან ციალმან და წელთა მიმოტანამან;  
კოკობსა ვარდსა ნარგიზმან აპკურა ცრემლი, ანამა.  
ქობს, რომ არ ჰყავდეს მიჯნური, ან მოკლას ამისთანამან!

მაგრამ სასახლის კარზე ასე აღზევებულ ბესიკს უკვე აღარ ეცალა პოეზიისათვის. ბესიკს წინ ახალი მძიმე მოვალეობის აღსრულება უწევდა. 1787 წელს დავით მეფე მას საგანგებო მისიის მეთაურად ნიშნავს. ბესიკს დაავალებული ჰქონდა შეემზადებინა ნიადაგი, რომ მსგავსად ქართლ-კახეთისა, იმერეთსაც მიეღო რუსეთის მფარველობა და შემოეყვანა რუსეთის ჯარის ნაწილები. ქართლ-კახეთის მაგალითზე ჩანდა, რომ ეს იყო ერთადერთი საიმედო გზა მოძალადე მეზობელთაგან თავის დასაცავად.

ფიქრობდნენ, რომ ბესიკი ჯერ ჩავიდა მოსკოვსა და პეტერბურგს, ხოლო შემდეგ გამოემართა კრემენჩუგში, სადაც ამ დროს იდგა სამხრეთის ჯარების მთავარსარდალი, ფელდმარშალი გრიგოლ პოტიომკინი. ეს იყო დრო, როცა რუსეთი იწყებდა ახალ დიდ ომს თურქეთის

წინააღმდეგ. საასპარეზოდ არჩეული იყო ბალკანეთის ნახევარკუნძუ-  
ლი, რათა აქედან საბოლოოდ გაეძევებინათ თურქეთის ურდოები. რო-  
გორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ეს დიდი ომი წარმოებდა 1787—  
1791 წლებში. სხვათა შორის, ამ ომში მონაწილეობდა და დიდი სახელი  
მოიხვეჭა რუსეთის დიდმა მხედართმთავარმა ალექსანდრე სუვოროვ-  
მა. იზმაილის ციხის აღებით მან დიდი ზიანი მიაყენა ოტომანთა იმპე-  
რიას. დერკავინმა სწორედ იზმაილის იერიშს მიუძღვნა თავისი ცნო-  
ბილი ოდა. ირკვევა, რომ ბესიკი, რომელმაც უთუოდ კარგად იცოდა  
პოტიომკინის ბანაკის ადგილსამყოფელი, იმერეთიდან პირდაპირ კრე-  
მენჩუგში ჩასულა. ერთ წერილში ბესიკი წერს, ცხრა თვეზე მეტია.  
რაც კრემენჩუგში ვარო. წერილი დათარიღებულია 1788 წლის 2 ივ-  
ნისით. ხოლო ბესიკი იმერეთიდან 1787 წლის მაისში გამგზავრებულია.  
ე. ი. ბესიკი რამდენიმე თვის მგზავრობის შემდეგ უკვე კრემენჩუგში  
ჩასულა<sup>17</sup>.

ბესიკი კრემენჩუგში შეუდგა თავისი დიდი დავალების შესრულე-  
ბას. მას იმერთა მეფისგან უმაღლესი რწმუნებანი ჰქონია და შეეძლო  
თავისუფლად ემოქმედნა. საინტერესოა ამ ხანის ოფიციალური მიმო-  
წერა. დავით მეფის დავალებით, 1787 წლის 27 მაისის თარიღით პო-  
ტიომკინისათვის გაუგზავნიათ წერილი, სადაც ლაპარაკია ბესიკის მა-  
ღალ რწმუნებებზე. ხოლო მეორე წერილში თვით დავით მეფე აცნო-  
ბებს პოტიომკინს: „ეგ ჩვენის გონების უეჭველად მისანდობელი ყმა.  
ჩვენი უპირველესი მდივანი და მწიგნობართუხუცესი კნიაზი ბესარიონ  
ზაქარაის ძე გაბაონელიძე გვიახლებია თქვენის უმაღლესობის წინაშე.  
ყოვლის ჩვენის სიტყვით და საქმის სისრულით და რომელიც ჩვენი  
საქმე და სიტყვა და აზრები გამოგეცხადოსთ. ეგ დაირწმუნეთ, ვითარ-  
ცა პირით ჩემით და გულით თქვენს აღმატებულებას მე მოვასხენებდე“.

პოეტმა და მდივანთუხუცესმა მახვილი დიპლომატიური ალღოც გა-  
მოიჩინა. ბესიკი არ იფარგლებოდა მხოლოდ მფარველობის ხელშეკ-  
რულების შემზადებით. იგი დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთ-ოსმალე-  
თის მეორე ომზე. მართალია, პირველ ომში (1768—1772 წწ.) ქართვე-  
ლები მეტს მოელოდნენ; ქუჩუკ-კაინარჯის ზავით იმერეთი კვლავ ოს-  
მალთა ორბიტაში მოექცა, მაგრამ აქვე აღნიშნული იყო, რომ ოსმა-  
ლებს ეკრძალებოდათ იმერეთიდან ხარკის აღება. ამჯერად ბესიკის  
გეგმები უფრო შორს მიდიოდა. მისი აზრით, კავკასიიდან უფრო  
მძლავრად უნდა დაეკრათ თურქებისათვის. 1788 წლის 2 ივნისს, მა-  
გალითად, კრემენჩუგში მყოფი ბესიკი პოტიომკინის კანცელარის  
უფროსს მოახსენებდა: „... ვხედავთ, რომ თათრების სამტროს დრო-  
ებს ჩვენ ვეღარ ვნახავთ ამისთანას და, რომ არ მოგახსენოთ, არ შე-  
მიძლია და თუ ახლა, ამისთანა დროს, ჩვენი მეფე და მისი მხედრობა  
აქედამ ახლაც უპასუხოდ დარჩნენ, ვიცი, რომ მტერნი სიმავრეს შე-

17 ა. იოსელიანის მასალების მიხედვით (იხ. მასალები საქ. და კავკასიის ისტო-  
რიისათვის, ნაკვ. 34).

იმატებენ და ჩვენც უიმედოს ფიქრით სიმარჯვეს ველარ მივიღებთ და ახლანდელი საქმის სიადვილე მერმე სიძნელეში შევა<sup>18</sup>.

1789 წლის 5 დეკემბრის წერილში ბესიკი ასე ჩამოაყალიბებს თავის მოთხოვნებს: ა) ახალციხესა, ბათუმსა და ფოთში უნდა გაიხსნას რუსეთის საკონსულოები, რათა ყველასათვის ცხადი გახდეს რუსეთის მფარველობა; ბ) სასტიკად აიკრძალოს ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა; გ) აფხაზეთიდანაც განიდევნოს თურქები; დ) იმერეთი შევიდეს რუსთა მფარველობაში, ამის გამო ბესიკი დასძენდა, თუ ახლა არ არის საჭირო ამის განცხადება, ეს ჯერ საიღუმლოდ მოხდესო (იხ. იქვე, გვ. 198).

ირაკვევა, რომ ბესიკი ენერგიულად ითხოვდა ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო სამხედრო კამპანიას, მაგრამ რუსეთის მთავარსარდლობამ დროებით გადადო მისი შესრულება. 1790 წელს, როცა იზმაილის ციხის დაცემით საბოლოოდ გატყდა თურქთა წინააღმდეგობა, ქალაქ იასში ალბათ მალე უნდა დაწყებულიყო საზავო მოლაპარაკება რუსეთ-თურქეთს შორის. ამ მოლაპარაკების გამო საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ა. იოსელიანმა. იგი ეკუთვნის აფხაზ-იმერთა კათალიკოს მაქსიმეს, აღრესატი არის ბესიკი და თარიღი უზის 1789 წლის 14 ივნისი. ალბათ, მეფის დავალებით აფრთხილებს ბესიკს, რომ რუსეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დროს „შერიგებაში, რომ ჩვენი კაცი არ დაესწროს, ჩვენთვის ავია... უშენობა კი არ იქნებაო“. ეს საზავო მოლაპარაკება შემდეგ წელსაც მზადდებოდა. იქნებ ბესიკის იასში (კრემენჩუგისა და კიშინიოვის შემდეგ) გადასვლა ამით იყო გამოწვეული? ბესიკი თვითონ ვერ მოესწრო ამ მოლაპარაკების დამთავრებას, მაგრამ, როგორც ცნობილია, ზავში ერთგვარად აისახა იმერთა სამეფოს ინტერესებიც. რუსეთი ითხოვდა, რომ ოსმალეთს ხელი აეღო იმერეთის საქმეებში ჩარევაზე და აუკრძალა მას (ოსმალეთს), ყაჩაღური თავდასხმები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დიდ საქმეში ქართველი პოეტისა და დიპლომატის ღვაწლიც ერია.

ბესიკის ძმის ოსე გაბაშვილის წერილიდან ისიც ირაკვევა. რომ დიპლომატ ბესიკს სხვა საქმეებიც მოუგვარებია. ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე პოტიომკინი იმერეთში აგზავნიდა 12 ათას მხედარს, მაგრამ ჯერ ბესიკის, ხოლო შემდეგ პოტიომკინის გარდაცვალებამ საბოლოოდ ჩაშალა ეს ლაშქრობა.

ბესიკმა რუსეთში სამი წელი დაჰყო (1788—1791 წწ.). საინტერესოა, რომ იმერეთში ამ დროს მოხდა ახალი ცვლილებები. გარდაიცვალა დავით გიორგის ძე და მის ნაცვლად გაიმარჯვა ერეკლეს კანდიდატურამ. მისმა შვილიშვილმა დავით არჩილის ძემ, რომელმაც სახელად სოლომონ მეორე შეირქვა. გასაგებია, თუ რა მოელოდა დავით გიორგის ძის ფავორიტებს, და მართლაც, სულ მალე ელიზბარ ერისთავი, ანა დედოფლის ბიძა, სტოვებს იმერეთს. მაგრამ სოლომონ მეორემ

<sup>18</sup> ბესიკის თხზ. სრ. კრებული (ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურაის რედ.), 1962 წ., გვ. 195.



ბესიკი ერთგულ კაცად მიიჩნია და იმერეთის დესპანობის რწმუნება კვლავ განუახლა<sup>19</sup>.

სამი წლის მანძილზე ბესიკი ყოველდღე ელოდა სამშობლოსკენ გამობრუნებას, მაგრამ მისი სურვილები სურვილებად რჩებოდა. პოლიტიკური ვითარება მოითხოვდა მის რუსეთში დარჩენას და ბესიკი იძულებული იყო დამორჩილებოდა თავის ხვედრს. ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ მასთან ერთად იყვნენ საქართველოს სხვა წარგზავნილებიც. აქ იყო, მაგალითად, ქართლ-კახეთის ელჩი ერეკლეს ვაჟი მირიან ბატონიშვილი. ეს ის მირიანია, რომელმაც საქართველოში ჩამოიტანა დავით გურამიშვილის ავტოგრაფული კრებული და ამით დიდი ღვაწლი დასდო ქართულ კულტურას. აქ იყო ცნობილი სწავლული გაიოზ არქიმანდრიტი, სულხან თუმანიშვილი და სხვები.

ბესიკი, როგორც დიპლომატი და იმერეთის სამეფოს წარმომადგენელი, ბევრ რამეში ემიჯნებოდა და, სხვათა შორის, მათ საწინააღმდეგო რელაციონებსაც აღგენდა პოტიომკინის სახელზე. ბესიკმა თითქოს აქ, დიპლომატიურ სარბიელზე, სამაგიერო გადაუხადა ერეკლე მეორეს, რომელმაც სამუდამოდ გააძევა იგი თავის სამკვიდროდან. დიპლომატიურმა ტვირთმა თუ პირადმა მტრობამ არ მისცა საშუალება პოეტს, რომ ობიექტურად შეეფასებინა ერეკლე მეორის ჰუმანიტატი მიზნები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბესიკიც თავისი დიპლომატიური მისიით არსებითად იმავე მიზანს ისახავდა: იბრძოდა, რათა დასავლეთ საქართველოც შესულიყო რუსთა მფარველობის ქვეშ.

მაგრამ, ამავე დროს, კრემენჩუგსა და იასში მყოფ იმავე პირებთან ბესიკს პირადი მეგობრობა აკავშირებდა — აქ შეიქმნა პატარა ლიტერატურული წრეც, რომელშიც ბესიკთან ერთად მონაწილეობდა მელექსეობაში საკმაოდ გაწაფული მირიან ბატონიშვილი, გაიოზ რექტორი, სულხან თუმანიშვილი და სხვ. მაგალითად, ბესიკს დაუწერია რამდენიმე ლექსი მირიან ბატონიშვილზე. განსაკუთრებით საინტერესოა პოეტური ტექნიკის თვალსაზრისით ერთი ზმიანი შაირი, სადაც ყოველი სტრიქონის შუაში ვლებულობთ სახელს „მირიან“: „გულთ გამგ მირიან უთქვენოდ მყოობანი“ (უშენოდ ყოფნა გულს გამიმირავსო). სამაგიეროდ მირიანსაც არ დაუყოვნებია საპასუხო ლექსით. ჩვენი აქ ყოფნა მძიმე არისო, ამბობს ამ ლექსში მირიან ბატონიშვილი („გებრძანა: ჩვენი აქ ყოფნა საწუხარ არს, არ მშვებია“). ამ დროს დაიწერა ბესიკის რამდენიმე სახუმარო ლექსიც, რომელიც მისსავე ავტოგრაფულ ნუსხაშია მოთავსებული. აქ შეიქმნა აგრეთვე ლირიკული შედეგრი — „ჰაერი — ციენამიანი“. იგი პოეტმა თითქოს უდროოდ გარდაცვალებულ სიკვამლეის ტრფიალს მიაა ყულარადასის ქალს მიუძღვნა. ბესიკს დღიურებიც უწარმოებია, მაგრამ ჩვენამდე მხოლოდ მცირე ნაწყვეტ-

<sup>19</sup> ბესიკის რუსეთში ყოფნის გარშემო საინტერესო მასალებია თავმოყრილი ე. მაქარაძის წიგნში „ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე“, 1968 წ. ოლონდ წიგნის ანტორი მეტისმეტი „გაბატაეობით“ ცდილობს დაამტკიცოს ბესიკის ელჩობის სრული წარუმატებლობა, რაჟ ძალზე სადაოა.

მა მოაღწია. პოეტი დიდის მღელვარებით ადევნებდა თვალს რუსეთ-თურქეთის ომს და საყურადღებო მოვლენები თავის დღიურში შექპონდა. თუ როგორი იმედით უტკებრდა პოეტი რუსეთის ლაშქრობას, კარგად ჩანს დღიურის ერთი ნაწყვეტიდან: მაისს ე (5) წაბძანდა უგანათლებულესი კნიაზ პოტემკინი... რომელსა გაპყვა დიდის რუსეთის ჯარები მრავალგვარითა შემზადებითა და ამას აქვს ბრძანება, რათა შეეებას კაპიტან ფაშას სახელითა ყოვლად ძლიერისა ღვთისათა. მის შემდგომად განმზადებულ არს... ანატოლისა და პონტოს ზღვის პირების ქვეყნები დაიპყრას და რათა მათ ზედა ილაშქროს ზღვით და ხმელით. წმინდა გიორგი შემწე ექმენ!“

სამშობლოდან შორსყოფნით გამოწვეული მწუხარება ღრღნიდა აქ გადმოხვეწილ ქართველებს. მოგზაური იოანე გედევანიშვილი ასე გადმოგვცემს გაიოზ რექტორთან შეხვედრის გულისამაჩუყებელ სცენას: „დიდად მიამა რა მოვიდა გაიოზ და ვნახეთ ერთმანეთი. გადავეხვივნეთ, იტირა გაიოზმა და ვკითხე — რაისთვის სტირი მამაო და ძმაო? მიპასუხა: საიდან ვართო და სად შევიყარენითო! სადაობა და ვინაობა სულთითქვნა და მეცა მასულთქვნა“.

შორეულ გზებზე ხეტიალმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ მრავალი ჭირის მნახველი პოეტი ქალაქ იასში მიიყვანა. უკვე მანამდეც ბესიკი ხშირად უჩიოდა ავადმყოფობას: „ჩვენს ექიმს პრკვიან მიხაილუ გრიგორიე სინ ბორისევიჩ, რომელიც არის [შტა]ფ ლეკარი. და ესე არს მღვთივ მოცემული იმედი და მრავლად იღვაწა ჩვენთვის“, — წერს იგი თავის დღიურში (იხ. თხ. სრ. კრებული, 1962, გვ. 187).

ქ. იასას ნესტიანმა ჰავამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ შეარყია მისი ჯანმრთელობა. იოანე გედევანიშვილი გადმოგვცემს, რომ „იასი ჰავით არ არის კარგი. ციებ-ციხლება იცის. ვიტყვი, სახლსა შინა არ დაადებებს ერთსაცა — გარდა ამისა, არს მდინარე ქალაქისა ამის წინამდებარე მცირე, დამპალი, რომელსაც უწოდებდნენ პახლო, წურბელითა სახსე... და ამის გამო არაკეთილსა ჰავასა და არა შემგროსა იტყვიან“. გიორგი ლეონიძემ, რომელმაც იმოგზაურა ბესიკის ნაკვალევზე, აღნიშნა, რომ გრიგოლ პოტიომკინის მსგავსად იქნებ ჩვენი პოეტიც საშინელმა მალარიამ იმსხვერპლა? საფლავის ქვაზე წარწერილი ეპიტაფია გვაუწყებს, რომ ქალაქ იასში 1791 წლის 24 იანვარს 40 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი და დიპლომატი ბესარიონ გაბაშვილი.

#### კომბის ნაკვალევზე

ზ. მთაწმინდელის მონათხრობით ბესიკს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თბილისის დაბალ ფენებშიც. „ბესიკი განთქმული იყო მთელს საქართველოში. მეტისმეტი საყვარელი ყოფილა დაბალი ხალხისა, ბაზაზების, ვაჟრების, სერთოდ ყველასი. გამიგია, ბესიკის ხმა და ჩონგურის დაკვრა სულთმობრძავსაც კი მოასულიერებდაო... მისი სახელი თითოეულმა მოქალაქემ იცოდა. ყოველი კაცის სახლში ლხინი ისე არ

გათავებოდა, რომ ბესიკის სახელი არ ეხსენებინათ და მისი სადღე-გრძელოც არ დაეღიათ“... გადმოგვცემს ამასთან, რომ პოეტი და რაინდი, მოგზაური და დიპლომატი ლამაზი გარეგნობის ეაქცაი ყოფი-ლა. მაგრამ ამაშიც გაიზიარა ბესიკმა ძველი ქართველი პოეტების ბე-დი. შთამომავლობას არ დარჩენია მისი სახე, პორტრეტი, უბრალო ჩა-ნახატიც კი. უფრო მეტიც, ჩვენ არც კი ვიცოდით ბესიკის გარდაცვა-ლების ზუსტი თარიღი და მისი დაკრძალვის ადგილი. აკადემიკოსი მა-რი ბროსე, მაგალითად, ბესიკს კრემენჩუგში თვლიდა გარდაცვლილად. ხოლო პლატონ იოსელიანის აზრით. ეს მოხდა 1793 წელს. მაშინ როცა ბესიკს იონა გედევანიშვილი სწორედ ქალაქ იასაში შეხვედრია სხვა ქარ-თველ მოღვაწეებთან ერთად: „მოველ ქალაქსა იასასა, დავსდგე მო-ნასტერსა ტრის-იარხის სახსა... ამის მერმე მოვიდა იმერეთის მეფისა-გან გამოგზავნილი დესპანი, ანუ ელჩი ბესარიონ გაბაონი და სვიმონ ბიძისა მისისა ძე (ე. ი. მისი ბიძაშვილი). და ვჰკითხე ამბავი მოსვლისა მისისა ქვეყანასა ამას. და მომითხრა ყოველივე: უგანათლებულესის პოტიომკინის აქა ყოფნა და არხიმანდრიტის გაიოზის“ და სხვ.

უფრო დაწვრილებით ბესიკის ცხოვრების უკანასკნელი ამბები გადმოცემული აქვს ზ. ჰიჭინაძეს და იგი, სხვათა შორის, აქვეყნებს კიდევ საფლავის ქვის წარწერას. საიდან აიღო ზ. ჰიჭინაძემ ეს ცნობა, ან საფლავის ქვის წარწერა?! ამაზე იგი არას ამბობდა. ამიტომაც ზ. ჰიჭინაძის ეს ცნობები ერთ დროს ექვის ქვეშ იდგა.

ქალაქი იასი რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი მოზრდილი ქალაქია, ხოლო ტერიტორიულად ძალიან ახ-ლოს არის მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვთან. 1949 წელს ქარ-თველმა მეცნიერებმა (ა. შანიძემ, ნ. ბერძენიშვილმა, თ. გიგინეიშვილ-მა), ბულგარეთში მონახულეს ქართველი მოღვაწეების მიერ დაარსე-ბული პეტრიწონის მონასტერი. სწორედ აქედან ნ. ბერძენიშვილი და თ. გიგინეიშვილი გამოჰყვენენ ბესიკის ნაკვალევს. „ჩვენ ვალი ბოლომ-დე უნდა მოვიხადოთ, — წერდნენ ისინი, — და ბალკანეთიდან გრი-გოლ ბაკურიანისა და ანთიმოზ ქართველის გარდა იქნება ბესიკის ამ-ბავიც წავილოთ“. მართლაც, სულ მალე, ქ. იასში გოლიას ტაძრის ეზოში ისინი წააწყდნენ ბესიკის მივიწყებულ საფლავის ქვას, რომე-ლიც აქ გაუქმებული სასაფლაოდან გადმოუტანიათ. ეპიტაფიამ და-ადასტურა ზ. ჰიჭინაძის ცნობები: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ ზახარიას ძე იობიან გაბაშვილი, რომელიცა წამო-გზავნილი იყო იმერთა მეფისა დავითისაგან დესპანად რუსეთისა დი-დებულისა საიმპერატოროს კარისადმი და მიიცვალა აქა იასს, წლისა მ (40), წელსა ჩელა (1791), იანვარს კდ (24): მხილველთაგან შენდობი-სა მთხოველი“. ქვაზე არის ანალოგიური ბერძნული წარწერაც.

ბესიკის ნაკვალევზე იმოგზაურა პოეტმა გიორგი ლეონიძემ და ეპი-ტაფიასთან ერთად მონახულა ის ადგილები, სადაც, მისი აზრით, უნ-და ყოფილიყო დასაფლავებული ძველი საქართველოს უკანასკნელი დიდი მომღერალი. გიორგი ლეონიძემ ამ მოგზაურობას უძღვნა წერი-ლი: „ბესიკ გაბაშვილი იასში“, სადაც დიდი პოეტური გზნებითაა გად-

მოცემული ბესიკის უკანასკნელი დღეების მატთან: „აქ მარხია ბესიკი!“ „ესე არს განსასვენებელი ჩემი, რამეთუ მთნავს, მე“. აქ ჩააწვინეს იანვრის გაყინულ მიწაში ჭაბუკი ბესიკი, რომელმაც უკვე დაავიროვინა თავისი პოლიტიკური საქმიანობა და ეჩქარებოდა სამშობლოსაკენ... ალბათ, ასეთი ყინვა იყო მაშინაც იასში, იქნება ასევე ბობქრობდა ნამჭერი, როგორც დღეს, როგორც გუშინ — ბუქარესტ-იასის გზებზე:

მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრძალები,  
ბესიკი სიკვდილს არ ეშვებოდა,  
თავი მაქვს მისთვის შენაწონები.

ბესიკი შორეულ იასში განშორდა სამზევოს, ველარ იხილა სამკვიდრო მამული. ბესიკის პოეტურმა სიტყვამ მაინც გაიკაფა გზა სამშობლოსაკენ და თავისი ადგილი დაიმკვიდრა ქართული პოეზიის მშვენიერ წალკოტში.

1962 წ.

## ახალი საქართველოს კარიბჭის შესახებ

(ალექსანდრე ჰაპხავაძის დაბადების 200 წლისთავის ბაიო)

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ალექსანდრე ჰაპხავაძე ყველაზე კოლორიტული ფიგურა იყო. მისი ლექსები მთელმა საქართველომ იცოდა ზეპირად და ბესიკის ლექსების მსგავსად სიმღერებად იყო ქცეული. მას და მთელს მის ოჯახს თითქოს ბედმა არგუნა ყოფილიყო უშუალო ასპარეზი მთელი იმ დრამისა, რომელიც გათამაშდა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის პირველ ათეულ წლებში. ახალ ვითარებასთან შეგუების ეს პროცესი ძალზე მტიკინეული აღმოჩნდა და მან გარკვეულად განსაზღვრა კიდევ დიდი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება.

ბავშვობა პოეტმა სასახლეში, ერეკლე II-ისა და მამაცი ბატონიშვილების გარემოში გაატარა, ხოლო სიჭაბუკისას იმ ლაშქარში იბრძოდა, რომელიც საფრანგეთში ნაპოლეონ ბონაპარტეს პირისპირ იდგა. გასაგებია, თუ რა საფანელს მიაწვდიდა ასეთი სინამდვილე მის რაინდულ სულს. იგი მამაცი მხედარი და ჩინებული სტრატეგი იყო.

თავადაც სახელმწიფოებრივი მხედართმთავარი, კავკასიის ჯარების

მთავარსარდალი გრაფი პასკევიჩი აღტაცებული იყო მის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციებით ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ, ხოლო ეპითეტი „ბაიაზეთის გმირი“ ალექსანდრე ჰევქავაძის სახელს სამუდამოდ შეესისხლებოდა.

როცა ჩვენში ევროპული ტიპის გარდაქმნები დაიწყო, მან სამოქალაქო დარგშიც შეიტანა თავის წვლილი. ცნობილია, რომ იგი წლების მანძილზე იყო მთავარმართველობის საბჭოს წევრი და ერთ დროს პრაქტიკულად უძღვებოდა კავკასიის საფოსტო ნაწილს.

გაბედული აზრებით, სრულიად ასლებური საკითხების დაყენებით გამოირჩევა და დღესაც დიდ ინტერესს იწვევს ალექსანდრე ჰევქავაძის მოხსენებითი ბარათი იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი: „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“. გარდა იმისა, რომ ამ ნარკვევში კარგად ჩანს მისი ავტორის სანაქებო ერუდიცია და მოვლენათა ანალიზის მაღალი უნარი, მასში მთავარი მაინც ქვეტექსტია, სადაც მრავალი მინიშნებაა ცარიზმის ბიუროკრატიული მმართველობის აშკარა უკულმართობაზე. ჩვენი ქვეყნის სპეციფიკურ კულტურულ და ეკონომიკურ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობაზე. ეს იყო ფაქტიურად მძაფრი კრიტიკის ერთგვარად შენიღბული ფორმა.

\*\*\*

გარეგნულად კი მას ყველაფერი უწყობდა ხელს, რომ ნებიერი და უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდა. იგი იყო ერთადერთი ვაჟი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩისა რუსეთის კარზე. მისი მამა გარსევან ჰევქავაძე პეტერბურგში მეთაურობდა საქართველოს დიპლომატიურ მისიონს. ასევე დაწინაურებული ოჯახის შვილი იყო დედა პოეტისა მარიამ (მაია) ავალიშვილი, დაჰ საქართველოს ამ ხანების ისტორიიდან კარგად ცნობილი პიროვნებისა, მწერლისა და დიპლომატის გიორგი ავალიშვილისა.

მომავალი პოეტი დაიბადა 1786 წელს. პეტერბურგში, მაგრამ ბავშვობის პირველი წლები მან საქართველოში გაატარა, სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა, რადგან მშობლიური ენის ისეთი შეგრძნება, როგორც მის ლექსებს ახლავს. მას უცხო გარემოში შეეძინა.

შემდეგი წლები კი მან პეტერბურგში გაატარა. ჯერ სწავლობდა ბაზანის კერძო პანსიონში (1795—1799), ხოლო შემდეგ რჩეულ ოჯახთა შვილებისათვის განკუთვნილ პაუთა კორპუსში. პეტერბურგში გატარებული ბავშვობის წლებიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა მის ბიოგრაფიაში. საქმე ეხება მისი ოჯახის „დანათესავებას“ სამეფო კართან, მაგრამ აქ უმჯობესია სიტყვა მივკეთ თვით პოეტის ერთ-ერთ პირველ ბიოგრაფს: „რუსეთის კარი ამ დროს ეძიებდა კარგს განწყობილებას საქართველოსთან. დიდმა იმპერატრიცამ, ეკატერინე მეორემ ის

ურვა საქართველოს ელჩის შვილის მონათვლა. გარსევანა ვერც კი ინატრებდა უკეთესს პატივს და ჩვენი პოეტი მონათლეს ეკატერინე მეორემ და დიდმა მთავარმა ალექსანდრემ, შემდეგში იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა.“

მრავალთა შორის ეს ეპიზოდიც კარგად მეტყველებს იმ ხანად ქართული მისიონის მაღალ რეპუტაციაზე რუსეთის სამეფო კარზე, მაგრამ, ისიც ცნობილია, რომ მსგავსი ბრწყინვალეების მიღმა ხშირ შემთხვევაში რა მკაცრი და დაუნდობელი ურთიერთობები ინიღბებოდა.

აქ თუნდაც თვით პოეტის მამის გარსევანის ხვედრის გახსენებაც იკმარებდა. როგორც ცნობილია, გარსევან ჭავჭავაძე იყო ერთი იმთავანი, ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის შემუშავებაში, რომელიც ისტორიული ვითარების გათვალისწინებით იყო „მეგობრული ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ“.

მაგრამ ეგვევ გარსევანი შეიქნა შემდეგ „ულონო მოწმე“ აღნიშნული ტრაქტატის თანდათანობითი რღვევისა. მისი ყოველი მცდელობა პოლიტიკური სიტუაციის შემობრუნებისა ამაო გამოდგა, რამაც განაპირობა მისი შემდგომი ცხოვრების ტრაგიზმიც. ცნობილია, რომ იგი ბოლო წლებში აპალაში მოექცა რუსეთის სამეფო კარზე, ხოლო მეორეს მხრით, ქართული საზოგადოებრიობის გარკვეული ფრთა, სრულიად უსამართლოდ, მოღალატედ მიიჩნეოდა.

ჭაბუკი ალექსანდრე, რომელიც ამ ხანებში პეტერბურგში იმყოფებოდა, გასაგებია, თუ რა მწვავედ განიცდიდა მამამისის პოლიტიკურ კრახს. ასევე პეტერბურგში განსახლებული ქართველი ბატონიშვილებისა და სხვა პოლიტიკური ემიგრანტებისაგან მან კარგად იცოდა, რა მძაფრად ვითარდებოდა მოვლენები იმდროინდელ საქართველოში.

საბოლოო არჩევანის გაკეთება არც ისე იოლი აღმოჩნდა და გზაჯვარედინზე მდგომი პიროვნების მერყეობის კვალი მძლავრად აღიბეჭდა როგორც მის ცხოვრებისეულ ნაბიჯებზე. ისე მთელ მის შემოქმედებაზეც. გაივლის წლები და პოეტი ასეთი სიტყვებით მიმართავს თავის სიყრმის მეგობარსა და თანამებრძოლს: „განცხრომა გულის, შეშლა ჟამის, ლალატი ბედის, ერთხელ ჩვენც ერთად განვიცადეთ და განვატარეთ“.

მართლაც, უცნაური ზიგზაგებით წარიმართა პოეტის ცხოვრების მომდევნო წლები. იგი, როგორც იტყვიან, ბარიკადების ხან ერთ მხარეზე, ხან კი მეორეზე იმყოფებოდა.

პოეტის მდიდარი, მოვლენებით აღსავსე ბიოგრაფიებიდან აღსანიშნავია, რომ მან მონაწილეობა მიიღო რამდენიმე აჯანყებასა და შეთქმულებაში. მე აქ ვგულისხმობ მთიულეთის აჯანყებას (1804 წ.), კახეთის აჯანყებას (1812 წ.) და 1832 წლის შეთქმულებას.

1804 წლის მთიულეთის აჯანყება, რომელსაც მშვენიერი გამოკვლევა უძღვნა ალ. ფრონელმა (ყიფშიძემ), შემთხვევითი ინციდენტებ-

იდან ამოიზარდა და შემდეგ სასტიკი ხასიათი მიიღო. მასში მონაწილეობას იღებდნენ ტახტისათვის მებრძოლი ბატონიშვილები. როგორც ჩანს, სრულიად ახალგაზრდა ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც მონაწილეობდა ამბოხებაში, ინსპირირებული იყო ფარნაოზ ბატონიშვილის მიერ. აჯანყება მოკლე ხანში ჩახშობილ იქნა, ხოლო მონაწილენი შეპყრობილი და დასჯილი. ალექსანდრე შუა რუსეთში, ტამბოვში გადაასახლეს. სხვათაშორის, ლეჟსების ერთი ნაწილი, რომელიც მძაფრი პროტესტანტული სულისკვეთებითაა გაყენებული, სწორედ ამ ხანებში უნდა იყოს შექმნილი.

მაგრამ აქ გაიხსენეს ალბათ, თუ ვისი ნათლული იყო ალექსანდრე. იქნებ გაქრა თვით მამამისის გარსევანის თხოვნამაც და ჭაბუკი პოეტი სულ მალე ისევ დააბრუნეს პაეტა კორპუსში სწავლის გასაგრძელებლად.

სულ სხვა სურათის მოწმე ვხდებით კახეთის 1812 წლის აჯანყების დროს. როგორც ცნობილია, აჯანყების საბაზი შეიქმნა კახეთში დაბანაკებული ჯარების უფროსის ვინმე გენერალ პარტრიაგინის სიბეცე და გაუთავებელი ეგზეკუციები (ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1940 წ., გვ. 35). ამ დროისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძე უკვე საქართველოშია და ეჭირა მთავარმართებელ მარკიზ პაულიჩის ადიუტანტის მაღალი თანამდებობა.

ახლა კი ალექსანდრე ჭავჭავაძეს, თვით მთავარმართებლის მისანდო პირს უკვე სხვა პოზიციიდან უნდა ემოქმედნა. ამასთან მან გამოცდილებითაც იცოდა, რა ელოდა ასე სტიქიურად წამოწყებულ ახალ ამბოხს და როგორც პოეტის ბიოგრაფიები გადმოგვცემენ, იგი ყოველმხრივ ეცადა, დაეშოშმინებინა მოთმინებიდან გამოსული მოსახლეობა.

სხვათაშორის, ერთ-ერთი ასეთი მოლაპარაკება შეტაკებაში გადაიზარდა და ალექსანდრე მძიმედ დაიჭრა. იონა მეუნარგიას სიტყვით „ამ კრილობას ძლიერ ცუდი შედეგი მოჰყვებოდა პოეტისათვის, რომ დროზე არ მიშველებოდნენ ქუთათური თურმანიძეები, რომლებიც იმ დროშიაც თურმე შესანიშნავი ექიმები იყვნენ“. აქვე გადმოცემულია ის ამბავიც, რომ ამავე შეტაკებაში ამბოხებულებმა სასიკვდილოდ დაჭრეს მეფე ერეკლეს ქალის თეკლა ბატონიშვილის მეუღლე ვახტანგ ორბელიანი (მამა პოეტების ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანისა).



ბევრად უფრო რთული და ზოგი რამ დღესაც გაურკვეველია მისი ცხოვრების იმ ეპიზოდებიდან, რომელიც დაკავშირებულია 1832 წლის შეთქმულებასთან. გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს ძველ მემატინეთა ცდა, რომ თითქოს ალექსანდრე ჭავჭავაძემ არ იცოდა შეთქმულთა საიდუმლო და იგი ცილისწამების მსხვერპლი შეიქმნა.

ამ შეთქმულების როგორც დადებითი როლი. ისე ჩრდილოვანი მხარეები დღეს კარგადაა ცნობილი, მაგრამ ძნელად დასაჯერებელია, რომ

შეტქმულთ გადაედგათ გამამწყვეტი ნაბიჯი ისეთი დიდი ავტორიტეტის თანხმობის გარეშე, როგორც იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე. როცა შეთქმულება გამქლავდა და ძიება დაიწყო, თვით ალექსანდრე, როგორც მოსალოდნელია, უარყოფდა (და შესაფერი გონებამახვილობითაც) ამ ბრალდებას. მაგრამ ერთ-ერთი მონაწილის ელიზბარ ერისთავის სიტყვებს: „არცერთ შეთქმულს არ უნდოდა მონაწილეობის მიღება ღენერალ ჭავჭავაძის გარეშე“ ფაქტიურად ეთანხმებოდა შეთქმულთა დიდი უმრავლესობა.

საქართველოს უკეთესნი შვილნი მონაწილეობდნენ ამ „ზოგოვორში“: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, ძმები ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, სოლომონ რაზმაძე, სხვანი და სხვანი.

ერთბაშად თითქმის დაიცალა ქართველი ინტელგენციის ისედაც შეთხლებული რიგები: „ეამის ბორბალი დაუდგრომი. ცვლილების მყვარე. მიგვეყრის და მოგვეყრის, სად ვით ნებავეს დამქროლი ქართო, კავკასს შენ მანდით შესცქერი და მე ვმზერ ამ მხარით...“ აწ უკვე ხანდაზმული პოეტი კიდევ ერთხელ დააშორეს სამკედროს, ახლობლებსა და მეგობრებს. იგი ამჯერადაც ტამბოვის მიდამოებში გადაასახლეს.

პოლიტიკური რომანტიზმის ეპოქა უკვე ისტორიას ჩაბარდა. საჭირო შეიქნა ახალი გზების ძიება, რომელიც, პირველ რიგში, ეროვნული კულტურის აღორძინებას უნდა დაყრდნობოდა. ეს დიდი მისია იმ თაობას უნდა ეკისრა, რომელიც ჯერ კიდევ გზაში იყო. პირველი ზარი ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ ჩამოკრა.

მაგრამ დიდი უმადურობა იქნებოდა, არ დაგვენასა ის ღვაწლი, რომელიც გაიღეს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველმა მამულიშვილებმა. რომელთა შორის ერთი უპირველესი ადგილი სწორედ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ეჭირა.

ალექსანდრე შედარებით ადრე ბრუნდება გადასახლებიდან. როგორც ჩანს, გაიქსენეს რუსეთის სამეფო კართან მისი ოჯახის ოდინდელი სიახლოვე. იქნებ გაითვალისწინეს თვით ალექსანდრეს დამსახურებაც კავკასიის ფრონტებზე. ასეა თუ ისე პოეტი, წარჩინების იმავე ხარისხებში აყვანილი. რამდენიმე წლის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს.

კვლავ აღიდგინა მისმა სახლმა ძველი ბრწყინვალება. განსაკუთრებით მას შემდეგ. როცა თბილისის მაშინდელ გარეუბანში (ამჟამად გრიბოედოვისა და ალ. ჭავჭავაძის კუთხეში) მან გააშენა ევროპული ტიპის სახლი და სასტუმრო: „ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე განთქმული იყო იშვიათი სტუმართმოყვარეობით და ევროპიული სალონით. ალ. ჭავჭავაძესთან იკრიბებოდა ყველა მაშინდელი გამოჩენილი მწერალი, მოღვაწე... თბილისში ჩამოსული ყველა უცხოელი თითქოს თავისთავს ავალდებულებდა გაეცნო ალექსანდრე ჭავჭავაძე და მისი სტუმართმოყვარეობით დამტკბარიყო...“ (ჭავჭავაძიანთ სახლებზე თბილისსა და წინანდალში უხვი მასალები 256



მოტანილი აქვს ჩვენს სასიკადადულო პოეტს, ძველი თბილისის უბადლო მკოდნეს ი. გრიშაშვილს წიგნში „ალექსანდრე ჭავჭავაძე“).

ალექსანდრე ჭავჭავაძემ. მთელმა მისმა ოჯახმა, ეს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, სრულიად განსაკუთრებული როლი ითამაშა იმ ზანად რუსული და ქართული კულტურის დაახლოების საქმეში, რაც უეჭველად ხალხთა ახლებური ურთიერთობის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

და ყოველივე ეს ხდებოდა მაშინ, როცა მთელს საქართველოში ფაქტიურად არ იყო არცერთი საზოგადოებრივად საინტერესო შესაკრებელი ადგილი. არ იყო თეატრი. არ იყო სალიტერატურო გაზეთი.. შორს რომ არ წავიდეთ. თვით ალექსანდრე ჭავჭავაძეს მისი არცერთი ლექსი დაბეჭდილიც არ უნახავს.

სურათი არ იქნება სრული. თუ არ გავისხენებთ თვით ალექსანდრეს შვილებს: ნინო ჭავჭავაძეს. პოეტის უფროს ქალიშვილს, ალექსანდრე გრიბოედოვის ქვრივს. ეკატერინე ჭავჭავაძეს, შემდეგში სამეგრელოს დედოფალს. სოფიოს. ყველაზე უმცროსს, რუსეთის განათლების ყოფილი მინისტრის ბარონ ნიკოლაის მეუღლეს. ალექსანდრეს ჰყავდა აგრეთვე ვაჟი. დავით ჭავჭავაძე. ასევე სამხედრო პირი, რომლის ოჯახი მომდევნო ხანებში იმითაც შეიქნა ცნობილი, რომ ლეკთაგან წინანდლის დარბევის შემდეგ შამილის კარზე იყო დატყვევებული.

გადმოგვცემენ. რომ არაფერი იყო ჭავჭავაძიანთ ოჯახში შეკრებებზე უკეთესი სანახავი, მით უფრო როცა „ლხინის უფალი“ თვით ოჯახის მეთაური იყო და თავის მშვენიერ ქალიშვილებთან ერთად საკრავზე ამღერებდა ძველ ქართულ. ქალაქურ რომანსებს.

სამწუხაროდ. ალექსანდრე. სრულიად ჭარმაგი და მხნეობით აღსავსე. უბედური შემთხვევის მსხვირპლი შეიქნა: მეფისნაცვალ ვორონცოვთან ვიზიტად მიმავალი პოეტი გადმოვარდა უეცრად გაქანებული ეტლიდან. ეს მოხდა 1846 წელს. 6 ნოემბერს (ძვ. სტილით).

საყოველთაო მწუხარებას ზუსტად გამოხატავდა პლატონ იოსელიანის სიტყვები: „უნუგეშოდ მკვუნვარებს სრულიად საქართველო“. ანდერძისამებრ იგი დაიკრძალა შუაქუჩის მონასტრის საგვარეულო საძვალეში.

\*\*\*

ალექსანდრე ჭავჭავაძე ძველი ქართული პოეტური კულტურის ერთი ყველაზე ღირსეული მემკვიდრეა. იგი. თუ შეიძლება ასე ითქვას, კიდევ ამთავრებს და კიდევ იწყებს ახალს. მის სახელთან არაერთი სიახლეა დაკავშირებული. თუმცა ტრადიციული პოეტური სახეები და თემები მის პოეზიაში ზერ კიდევ უხვად დასტურდება. პოეტმა ერთგვარად ხარკი გაიღო მე-18 საუკუნის დასასრულის ეპიგონური ლიტერატურის „ყვევილოვანი“ სტილის წინაშეც. მაგრამ ეს მაინც მხოლოდ ეპიზოდია და არა მთავარი მთელი მისი შემოქმედების ძირითადი შინაარსის ფონზე.

ძირითადი შინაარსი კი ეროვნულ და სოციალურ საკითხებს დასტურიალებს თავს. ეროვნული გათავისუფლების დაკარგვით გამოწვეული ტყვილი დაედო საფუძვლად მის არაერთ საუკეთესო ლექსს: „წყველ არს ის ღრ. როს სამკვიდრო, დავკარგეთ კრულნი! გვძლივა სოფელ-მან, ხელმყოფელმან. აწ გვაგო შურნი...“ საგულისხმოა, რომ პოეტი თავის შემოქმედებაში კიდევ უფრო უკომპრომისო დარჩა, მაგრამ იგი ანალიტიკური ბუნების პიროვნება იყო და არ იზღუდებოდა ვიწრო თვალსაზრისით. აშკარად ხედავდა მისი ქვეყნისათვის ახალი პოლიტიკური ვითარების სასიკეთო მხარეებსაც. ეს აზრი პირდაპირაა გატარებული მის ცნობილ ლექსში „კავკასია“. აქ მეტაფორულად წარმოსახულია კავკასიონზე დატრიალებული მენტა ტენა, საზღვართა რღვევა და რომ ამით „განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება, რომ მუნით შევიდეს მათ შორის განათლება...“. ეს იგივე თემაა, რომელიც ასეთი ღრმა განსჯის შედეგად განავითარა მისმა უმცროსმა თანამედროვემ გენიალურმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა („საფლავი მეფის ირაკლისა“).

ამავე ეპოქის პოეტთაგან, და ესეც ნიშანდობლივია, ალექსანდრე ჭავჭავაძემ ერთმა პირველთაგანმა პროტესტის თემად აქცია სოციალური უსამართლობის უკულმართობა. ამ თვალსაზრისით იგი ქართველ სამოციანელთა ერთი ყველაზე საცხოვრავი წინამორბედი.

ალექსანდრე ჭავჭავაძის მხატვრული პალიტრის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს სრულიად გამორჩეული ხელწერით შესრულებული მისი ღირსეული შედევრი „გოგჩა“. იგი ერთ-ერთი ყველაზე გვიანდელი ქმნილებაა და თითქოს ერთგვარად აჯამებს კიდევ ცხოვრების ავკარგზე პოეტის თვალსაზრისს. აქ ძალზე სადა, მეტყველი ფრაზებითაა გადმოცემული ამოების, ძველთაძეგლი, ეკლესიასტეს თემა. ამ ნიშნით „გოგჩა“ ქართული ფილოსოფიური ლირიკის ერთი საუკეთესო ქმნილებაა და კარგად ამხელს მისი ავტორის ზოგადადამიანურ საკითხთა განსჯისა და პოეტურ ენაზე მათი ვარდასაქვის იშვიათ უნარს.

„გოგჩის“ ტბის ავტორი ძნელია ჩამოვაშოროთ ქართული რომანტიკული სკოლის მესვეურთ. თუმცა სამართლიანი აღიარებით. ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტურ ძიებათა შორის აშკარად გამოსჩანს განსხვავებული ლიტერატურულ მიმართულებათა კვალიც.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არავის იმდენი უცხო ავტორი არ უთარგმნია (გულისხმობთ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარს), რამდენიც ალექსანდრე ჭავჭავაძეს. აქაც იგი გვევლინება. როგორც წამომწყები ქართული კულტურის ფართო კონტაქტებისათვის ბრძოლისა, რამაც ესოდენ დადებითი როლი ითამაშა ქართული კულტურის შემდგომი განახლების გზაზე.



გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ცნობილი კრიტიკული ნარკვევების სერია „წერილები ქართულ ლიტე-  
258

რატურაზე“, მაშინ, სამწუხაროდ. იგი ხარვეზებით დაიბეჭდა. საფიქრებელია. რომ მეფის ცენზურა დააფრთხო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ილიასეულმა შეფასებამ (განსაკუთრებით კი 1832 წლის შეთქმულების მიზეზთა ანალიზმა).

ამაზე დაწვრილებით მსჯელობა აქ შორს წაგვიყვანდა. ამჯერად კი მთავარია სხვა რამ. ეს წერილები ყურადღებას იპყრობს კონცეფციის სიცხადით და გარდასული ეპოქის შეფასების ზუსტი კრიტერიუმით. ილიას აზრით. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. როცა სხვადასხვა მიზეზთა გამო სხვა აქტიური ძალა არ ჩანდა, ქართულმა მწერლობამ ითავა ქართული ენისა და საერთოდ ქართული კულტურის დაცვისა და აღორძინების საქმე. ეროვნული მწერლობა იბრძოდა უწინარეს, რათა ქართველი ერი გარკვეულიყო უმთავრეს საკითხში „ვინა ვართ და რანი ვართ“.

ილიას მართებული დასკვნით, ალექსანდრე ჭავჭავაძემ და მისმა უმცროსმა თანამებრძოლებმა იკისრეს. როგორც ზემოთ ითქვა“, ისტორიის აღნიშნულ მონაკვეთში ეს ძნელი მისია და მოამზადეს კიდევ საფუძველი დიადი მოძრაობისათვის, რომელსაც შემდეგ ქართველი საზოგადოებრივი მოციანელები ჩაუდგნენ სათავეში.

ილიას ასეთი თვალსაზრისი ზუსტია და ობიექტურადაც გამოხატავს ისტორიულ ვითარებას. სწორედ ასეთი მაღალი გადასახედიდან აფასებს დღეს ჩვენი თანამედროვეობაც დიდ პოეტსა და სახელოვან მამულიშვილს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

## „მერანი“ და მისი ავტორი

ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი პოეტური შთაგონება მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ მისსავე თანამედროვეებს. 1846 წელს ლევან მელიქიშვილი ასეთი სიტყვებით ეთხოვებოდა უდროოდ დაკარგულ მეგობარს: „რამდენად მძიმეა სულიერი დაობლება! მაგრამ განა მართო მე დამატყდა თავს ეს საშინელი უბედურება. საქართველომ მისი სახით დაკარგა მთელი თავისი პოეტური არსებით მასზე შეყვარებული ადამიანი, რომელიც ამ სიყვარულს ჰრაცხდა ყველა სხვა მოვალეობაზე მაღლა, უცხო და ბრწყინვალე ტალანტის მქონე ახალგაზრდა, რომლისაგან სამშობლო მოელოდა ბევრად მეტს, ვიდრე რომელიმე მისივე თანამედროვისაგან“.

ლევან მელიქიშვილის ეს სიტყვები ფაქტიურად გამოხატავს იმ ხანების მოწინავე ქართული საზოგადოების აზრს და ერთგვარად აბათილებს იმ მცდარ შეხედულებას. თითქოს ბარათაშვილის ეპოქა ყრუ და უსულგულო აღმოჩნდა და ვერაფერს შეამჩნია, თუ რა ვეებერთელა ტალანტმა ჩაიქროლა დროის მცირე მონაკვეთში.

მაგრამ მაინც პირველი სერიოზული და, აქვე დავსძენთ, პროფესიული განსჯა ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაზე, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის თაობამ დაიწყო. ფაქტიურად ილია ჭავჭავაძემ ასლად „აღმოაჩინა“ დიდი წინამორბედი და იგი ახალი ქართული პოეტური სიტყვის მამამთავრად აღიარა.

დრომ, შემდგომმა კვლევა-ძიებამ თვალნათლივ დაადსტურა ილია ჭავჭავაძის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დებულების მართებულება და კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ნიკოლოზ ბარათაშვილის როლი ქართული პოეტური სიტყვის აღორძინებაში.

როგორც ცნობილია, დღეს ამ საკითხებზე დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს კიდევ აადვილებს და, არა მგონია პარადოქსად ჩაითვალოს ასეთი მოსაზრება, რამდენადმე კიდევაც ართულებს მკვლევარის ამოცანას. რომელიც ჩვენ წინაშე წარჩოდგება ახალი გამოკვლევითა თუ მონოგრაფიით ქართული მკითხველისათვის ისეთ აქტობელ და ნაცნობ თემაზე, როგორიცაა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება.

ამ სიძნელეთა წინაშე უდავოდ იდგა გურამ ასათიანი. როდესაც ფართო სამსჯავროზე გამოიტანა თავისი ნაფიქრი და ნააზრები იმ წიგნის სახით, რომლის სახელწოდებაა „მერანი“ და მისი ავტორი“.

გურამ ასათიანის წიგნში ეს დაბრკოლება წარმატებითაა დაძლეული და აქვე შეენიშნაეთ, რომ. ჩემის აზრით, ეს წარმატება პირველ რიგში განაპირობა საკვლევე საკითხებისადმი მეტწილ შემთხვევაში ახლებურად მიდგომამ. ფართო მასშტაბურობამ. „მერანი“ და მისი ავტორი“ დაწერილია იშვიათი შემოქმედებითი გატაცებით. ლიტერატურულ მსჯელობათა მაღალი სარის'ი თავისთავად გამორიცხავს ყოველგვარ ტრაფარეტს. სოლო გონებამაჯილური დაკვირვებები ახლებურ შუქს ქვეყნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთულეს და ღრმა რეფლექსიებზე დამყარებულ პოეტურ მემკვიდრეობას.

ქვემოთ მე მინდა შევეხო მხოლოდ რამდენიმე საკითხს, რომლებიც უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენა გურამ ასათიანის წიგნში „მერანი“ და მისი ავტორი“.

გურამ ასათიანის წიგნი მოცულობით არაა დიდი. მაგრამ აქ აღძრულია საკითხების საკმარისად დიდი რაოდენობა და ფართო პანორამა მოხაზული. წიგნი კომპოზიციურად საინტერესოდ არის აგებული. რასაკვირველია. წიგნის განსაზღვრული მოცულობა ავტორს არ მისცემდა საშუალებას ერთნაირი სისრულით მიმოეხილა საკითხები. ამიტომ მას შემოქმედებითად სწორი გზა შეურჩევია. კვლევა-ძიების სიმძიმე უმთავრესად გადატანილია ისეთ საკითხებზე, რომელთაგან რიგი ან საერთოდ არ იყო დამუშავებული, ან. ავტორის აზრით, ახლებურ გადაწყვეტას მოითხოვს. თუ მონოგრაფიული სისრულის თვალსაზრისით ნაშრომის ასეთი აგებულება შეიძლება სადავო იყოს, კვლევა-ძიების ასეთი აქცენტირება არამც თუ გამართლებულია. არამედ. ვფიქრობ. აუცილებელიც. იგი საშუალებას აძლევს ავტორს ჩაწვდეს საკვლევე 260

ობიექტის უფრო ღრმა შრეებს და რიგი ასალი პერსპექტივა დასახოს ბარათაშვილის პოეზიასთან დაკავშირებულ რთულ პრობლემატიკაში.

ერთ-ერთ ასეთ ცდად და წიგნის უაღრესად საგულისხმო მონაკვეთად უნდა მივიჩნიოთ ნაშრომის პირველივე თავი, რომელიც ეძღვნება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ეროვნული ძირების კვლევა.

ბარათაშვილზე არსებულ პირველ ნაშრომებში, და, შეიძლება ითქვას. ამას გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტებიც განაპირობებდა. უფრო მეტად იყო ხაზგასმული „შერანის“ ავტორის ასალი პოეტური კრედი. სწორედ ქართველი რომანტიკოსების და, პირველ რიგში, ბარათაშვილის მისამართით წარმოიშვა შემდეგ მსატერულ-ტექნიკურ ტერმინად ქცეული ცნება „ეეროპეიზმი“. ხოლო ბარათაშვილოლოგიურ კვლევას საფუძვლად დაედო, როგორც უკვე ითქვა, ილიას ცნობილი შეხედულება ბარათაშვილის პოეზიის ზოგადდაცობრიულ ხასიათზე.

მაგრამ თუმცა ასე დასმული კითხვა ერთი უმთავრესთაგანია ნიკოლოზ ბარათაშვილის ადგილის განსაზღვრის დროს ქართული პოეტური სიტყვის დიდ მაგისტრალზე, მაგრამ მაინც არ ამოწურავდა თვით პოეტისავე შემოქმედების ერთ მთლიანობაში გააზრების პრობლემას.

ისევე, როგორც ყველა დიდი შემოქმედის მიმართ, აქაც უფრო მწვავედ უნდა დასმულიყო ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხი, რადგან საყოველთაო აღიარებით ნოვატორობა გულისხმობს და სრულიადაც არ გამორიცხავს ტრადიციის სრულყოფილ დაუფლებას, რის ვათვალისწინების გარეშე უეჭველად ცალმხრივ სურათს თუ მივიღებდით.

მე არ ვიტყვი, რომ კვლევა ამ მიმართულებით არ წარმოებულა-ყოს (სხვათა შორის, ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოა „ივერიაში“ ჭერ კიდევ 1881 წელს გამოქვეყნებული წერილი, სადაც მითითებულია, რომ ბარათაშვილის პოეზია „საქართველოს ნიადაგზედ არის აღმოცენებული“), ამას არც წიგნის ავტორი ამტკიცებს და ასახელებს კიდევ ცალკეულ მკვლევართ. რომელთაც არა ერთი საგულისხმო პარალელი და შეხვედრა დაუძებნიათ ძველი ქართული მწერლობიდან (მაგ. იონა მეუნარგია, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ს. ჩიქოვანი, ა. ბარამიძე, ა. გაწერელია და სხვ.), მაგრამ დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ასე ფართო მასშტაბით მსგავსი კვლევა-ძიება მანამდე არ ყოფილა ჩატარებული.

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი. შედარებითი კვლევა აქ არ იფარგლება პოეტური გამომსახველობების ოდენ დამთხვევათა მინიშნებით და ითვალისწინებს სხვადასხვა ასპექტებს. გურამ ასათიანი იკვლევს არა მარტო ბარათაშვილის პოეტური ენის შესაძლებელ კავშირებს ძველ-ქართულ მწერლობასთან, არამედ ცდილობს გამოიხატოს გარკვეული იდეოლოგიური კორელატები. საერთოდ ქრისტიანულ მწერლობასთან ბარათაშვილის მიმართების თვალსაზრისით.

და ამდენად. ერთ მთლიანობაში გამოკვეთოს დიდი შემოქმედის პოეტური პროფილი.

პირველ ასპექტთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მკვლევარი არა მარტო ითვალისწინებს მანამდე არსებული კვლევის შედეგებს, არამედ სრულიად ახალი და საკმაოდ უსვი მასალით ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ენის, გამომსახველობით საშუალებათა აშკარა კავშირზე ძველქართულ, როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობასთან.

მაგალითად, ზუსტი ლექსიკური, თუ ფრაზეოლოგიური შეხვედრის არა ერთი საგულისხმო მაგალითია მოტანილი ქართული ჰიმნოგრაფიული მწერლობის ნიმუშებიდან, რაც მანამდე ჩვენთვის საერთოდ უცნობი იყო. პირდაპირ განსაცვიფრებელია აქ წარმოდგენილი ზოგიერთი მასალა. ერთ ჰიმნოგრაფთან ვკითხულობთ: „შენ რომელი წყაროჲსა მისგან ცხოვრებისა ასუამ...“ ეგევე თემა გაშლილია ზეორე დიდ ქართველ ჰიმნოგრაფთან... „ლელვანი ამოანი. გულის სიტყვანი ჩემნი მწდომ მექმნეს მე. უწყალოდ აღძრულნი მტერისა მიერ ზაკუვით. არამედ შენ ქალწულო, მიმიძღუ მე მყუდროსა ნავთსა-ყუდელსა...“ ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ შინაგანად აშკარად ეხმაურება ასეთივე სულიერ განწყობილებას: „ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა, დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა! არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა, რამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!“

მსგავსი საგულისხმო მაგალითები წიგნში, როგორც ითქვა, საკმარისად არის მოტანილი და ცთუნებაც, ამასთან, შესაბამისად იზრდება, მაგრამ მკვლევარი უშუალო წყაროების ძიებათაგან შეგნებულად იკავებს თავს და მართებულად შენიშნავს, რომ ასეთი შეხვედრების არსებობა განპირობებული უნდა იყოს, უწინარეს ყოვლისა, საერთო პირველწყაროს — ძველი და ახალი აღთქმის საერთო და განუზომელი გავლენით მთელს ძველ სულიერ კულტურაზე.

წიგნში წარმოდგენილი მდიდარი ფაქტიური მასალა (მე საგანგებოდ მოვერიდე სხვა აგრეთვე საგულისხმო მაგალითების მოტანას როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობიდან) აშკარად ხდის დებულებას, თუ როგორ ღრმად იცნობდა, შეთვისებული ჰქონდა პოეტს უმდიდრესი ძველი ქართული მწერლობის ადრიდანვე დახვეწილი პოეტური ენა, რაფინირებული გამომსახველობითი საშუალებანი, ფრაზათა ნატიფი მიმოხრა, იქნებ ეს, უეჭველად არქაული იერი, ქმნიდა აგრეთვე შთაბეჭდილებას, რომ „მერანის“ ავტორი ენის საკითხში წინა ეპოქებთან დაეკავშირებინათ. გურამ ასათიანი ვრცლად ჩერდება ამ საკითხზეც და, ჩემის აზრით, დამარწმუნებელია შემდეგი დებულება. მართალია, „მერანის“ ავტორის ენა სპეციალისტების მტკიცებით უხვად შეიცავს არქაულ ელემენტებს, მაგრამ პოეტური მეტყველების ფორმა ბარათაშვილის შემოქმედებაში მაინც აშკარად ნოვატორულია, რადგან იგი, როგორც მთლიან-

ნი პოეტური სტილი, მატერული აზროვნების თვისობრივად ახალი პრინციპების რეალიზაციას მოასწავებს, როგორც მხატვრული ხერხი, ეს იყო ერთადერთი შესაფერისი საშუალება ეროვნული თვითშეგნების ისტორიული შინაარსის გამოსასატავად (გვ. 12).

მე ვფიქრობ, რომ ეს არის მნიშვნელოვანი დასკვნა და მას ალბათ სათანადო ანგარიში გაეწევა ამავე საკითხის შემდგომ კვლევაში, მაგრამ ამჟამად აქ უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი. გურამ ასათიანს აქედანვე ამაჯილებს ყურადღებას მეორე ასპექტზე, რომელიც ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივ შრეებში იჭრება და ამასთან ცდილობს წარმოადგინოს თვით რომანტიკულ პოეზიაზე გარკვეული თვალსაზრისი.

ამ შემთხვევაში მკვლევარი იმარჯვებს ე. წ. ტიპოლოგიური კვლევის მეთოდს და ამოსავალ დებულებად იყენებს რომანტიკული მიმართულებისათვის ამჟამად აღიარებულ რამდენიმე უნივერსალს. კიდევ ერთხელ ამოწმებს მათ ქართულ მასალაზე და საგულისხმო დასკვნები გამოაქვს: „რომანტიკულმა მიმდინარეობამ ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ნაციონალური ელფერი მიიღო — ყველგან, სადაც კი მას შესაფერისად მყარი კულტურული ფუძე დახვდა“ (გვ. 12).

ხოლო მეორე უნივერსალია კიდევ უფრო ზოგადი და ყოვლისმომცველია: „XIX საუკუნის ევროპული რომანტიზმისთვის ბიბლია... საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურა იქცა თითქმის ისეთივე მნიშვნელობის წინამძღვრად და საყრდენად, როგორსაც კლასიკური მწერლობისათვის ბერძნული მითოლოგია და მის ნიადაგზე აღმოცენებული ანტიკური ხელოვნება წარმოადგენდა... ქრისტიანული მწერლობა იყო ძირითადი არსენალი რომანტიკოსთა მრავალრიცხოვანი ლიტერატურული რემინისცენციებისა...“ (გვ. 14).

ორივე ეს დებულება, მიუხედავად თავისი ზოგადი ხასიათისა, უეჭველად იძლევა სტიმულს კონკრეტული კვლევა-ძიებისათვის და, მართლაც, წიგნში უხვი მასალის მოშველიებით, ხაზგასმულია შეხედულება, რომ ეროვნული თვითმყოფლობის ეს უაღრესი განცდა ახალი დროის ქართულ მწერლობაში სწორედ ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაამკვიდრა. „მერანი“, ისევე როგორც „ვპოვე ტაძარი“ — დასკვნის ამასთან დაკავშირებით ავტორი — უწინარეს ყოვლისა პოეტის პირადი განცდის, პირადი სულიერი გამოცდილების ნაყოფია, მაგრამ როგორც ეპოქალური ნაწარმოებები, როგორც გენიალური მხატვრული ქმნილებები, თავისი შინაარსით ამავე დროს ეროვნული ცხოვრების გამოცდილებასაც ემყარებიან (გვ. 33).

რაც შეეხება მეორე დებულებას, აქაც თვალსაჩინოდ არის გადმოცემული (კერძოდ, წიგნის ზემოაღნიშნულ პირველ თავებში) ბარათაშვილის, როგორც რომანტიკული მიმდინარეობის აშკარა წარმომადგენლის, უცილობელი კავშირი ქრისტიანულ კულტურასთან. ბა-

რათაშვილის მსოფლმხედველობრივი შენობა წარმოუდგენელია ამ იდეოლოგიური ნაკადის გარეშე, მაგრამ სწორედ აქედანვე იწყება ის უმთავრესი იდეოლოგიური ქიდილი, რომელიც ერთნაირად მსჭვალავს პოეტის შემოქმედებას და თვისობრივად ახალი მსოფლშეგარდნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. თანდაყოლილი ცოდვისა თუ ხსნის ქრისტიანულ მოტივებს თუმც იცნობს ბარათაშვილი, მაგრამ განსახილველი წიგნის ავტორის მართებული დასკვნით „ეს ძველისძველი გზა ხსნისა — ქრისტიანული მართლმორწმუნეობის გზა უიმედოდ დაბშულია „შემოღამების“ იქვით აღმოთებული ავტორისათვის. ამის გამოა, რომ იგი ასეთი გამძაფრებით დაეძებს ახალ რწმენას, ახალ გზებს და ახალ იმედებს“ (გვ. 31). ჩემის აზრით, წიგნის ის თავები, რომლებიც ამ თემის დასაბუთებას ეძღვნება, ყველაზე ფასეულია და მახვილგონივრულ დაკვირვებებს ემყარება. აქ არა მარტო პოეტის ინდივიდუალური მიდრეკილებანი თამაშობენ გარკვეულ როლს, და ეს ხაზგასმულია კიდევ, არამედ ის ფაქტორები, რამაც ძირითადად განაპირობა საერთოდ ქართული რომანტიზმის იდეოლოგიური მიმართულება. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი თვალსაზრისი კიდევ უფრო საცნაური ხდება, როცა წიგნის ავტორი პოეტის უმთავრეს შედეგრთა ყოველმხრივ ანალიზს გვთავაზობს, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა ლიტერატურათმცოდნეობაში საერთოდ ჭერ კიდევ გადაუწყვეტელ პრობლემას, როგორცაა თვით რომანტიკული მიმდინარეობის ძირითადი ნიშნების დადგენა. წიგნის ავტორი გრძნობს ამ სიძნელეებს, მიმოიხილავს ძირითად ლიტერატურას და ერთგვარი კამათის წესით გვთავაზობს მისთვის უფრო მისაღებ თვალსაზრისებს.

მე ზემოთ აღვნიშნე ორი უმთავრესი ნიშანი, რომელიც თითქმის უზოგადეს პრინციპად არის აღიარებული (ვგულისხმობ ეროვნული თვითშეგნების პრიმატსა და ქრისტიანულ კულტურასთან კავშირს), მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ნიშნები იმდენად არის უნივერსალური, რამდენადაც სხვა ნიშნებთან ერთობლიობაში ვლინდება. ამ მიმართულებით წიგნში მოტანილია კიდევ სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც, როგორცაა, მაგალითად. „გრძნობის“ კულტი. როგორც „რაციონალიზმის“ ანტითეზა, წარსულის იდეალიზაცია აწმყოს უარყოფის პათოსით და ა. შ. მაგრამ ცალკე აღებული ეს ნიშნები ფაქტურად ნაკლებ მეტყველია და მხოლოდ რაღაც მთლიანობაში თუ იძენს გარკვეულ მნიშვნელობას. არანაკლებ რთული ჩანს ვითარება, როცა ჩვენ კონკრეტულად ქართული რომანტიზმის თავისებურებათა დახასიათებას ვცდილობთ. აქ მართლაც ბევრი რამაა ბუნდოვანი და დასაზუსტებელი. ამასთან დაკავშირებით დამაფიქრებელია ავტორის შემდეგი სიტყვები: „ბოლო დროს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ მკვლავდება ერთი, ჩვენი ფიქრით, მეთოდოლოგიურად გაუმართლებელი ტენდენცია: ყველაფერი, რაც კი თავისი მსატრგულ-იდეური სპეციფიკით განზე რჩება XIX



საუკუნის ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარების მთავარი გზიდან, გადატასილ იქნას რომანტიული მიმდინარეობის რაკლში“. ეს დაკვირვება. მართლაც, ანგარიშგასაწევეია და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ლიტერატურული პროცესების კვლევის დროს თავიდან უნდა ავიცილოთ ობიექტურად არსებულ მრავალფეროვნებათა ნიველირების იოლი სერება.

გურამ ასათიანის წიგნი „მერანი“ და მისი ავტორი“, როგორც უკვე ითქვა, ყურადღებას იპყრობს კვლევის ფართო დიაპაზონით, სამაგალითო ერთეულია. ლიტერატურის საკვანძო საკითხებში ორიენტირება, მრავალფეროვანი მასალის მოძიება შემეცნებითი თვალსაზრისით საინტერესო საკითხავს წდის წიგნს. არა მარტო სახელების ჩამოთვლა, რის მოწმენიც ჩვენ სშირადა ვართ, არამედ კალდერონიდან მოკიდებული XIX საუკუნის რომანტიკოსებამდე და ნაწილობრივ სიმბოლიზმის ზოგიერთ წარმომადგენლამდე, არცერთი სასელი ან ლიტერატურული ფაქტი, რომელიც კი გამოყენებულია რაიმე თვალსაზრისის წარმოსაჩენად აქ შემთხვევით ხასიათს არ ატარებს. მაგალითად, საგულისსმოა დაკვირვება ადამ მიცკევიჩის ფარისის იდეურ შინაარსზე, ჯაკომო ლეოპარდის უაღრესად სევდიან მოტივებზე, რომლებიც კიდევ ენათესავენ ბარათაშვილის კაეშანს. მაგრამ ამავე დროს, გარკვეულად ეთიშებიან კიდევ მას ყოვლის მომცველი ბოროტი საწყისის აღიარებით და ა. შ.

საგულისსმოა აგრეთვე პრობლემატური საკითხებისადმი ლტოლვა, რაც შემოქმედებით ელფერს ანიჭებს განსახილველ ნაშრომს. მაგრამ მე აქ განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო წიგნის ის თავები, რომლებიც ეძღვნება ბარათაშვილის შედევრთა კონკრეტულ მხატვრულ-ლიტერატურულ ანალიზს.

მე ზემოთ ვახსენე, წიგნის ავტორის მოსაზრებები ბარათაშვილის ცნობულ ლექსებზე „ვპოვე ტაძარი“, „ჩემი ლოცვა“. ასევე სანიმუშოდ არის გარჩეული აგრეთვე ერთი უპირველესი შედევრთაგანი „ფიქრნი მტკვრის პირას“. გურამ ასათიანი შენიშნავს ერთგან, რომ გენიალობა სრულიადაც არ გამოიციხავს რაიმე კომპრომისებს, არამარტო ცხოვრებაში, არამედ შემოქმედებაშიც. ასეთ ნიშნებს, მისი აზრით. ერთგვარად ატარებენ ბარათაშვილის ცნობილი ლექსები: „ომი საქართველოს თავად-აზნაურთა-გლეხთა პირისპირ დაღესტნისა და ჩეჩნელთა...“; „საფლავი მეფის ირაკლისა“; და ა.შ. „ფიქრნი მტკვრის პირას“ — ეს წმინდა მედიტაციური ხასიათის ლექსი, რომლითაც ბარათაშვილი „უაღლოესი დროის ქართული ლირიკის წინამორბედად“ წარმოგვიდგება — თავისთავში გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს. ფილოსოფიურ ასპექტში გაშლილი განსჯა, რომელიც ღრმად ადამიანურ ნაკლოვანებაზე მიგვანიშნებს (შდრ. „აღუესებელი საწყაულის“ თემა), ერთგვარ ანტითეზაში გადადის, როცა პოეტი თითქოსდა იძულებით შემარბივებელი კილოთი გვთავაზობს ასეთი ხასიათის დასკვნას: „მაგრამ რადგანაც კაცნი გექვიან — შეილნი სოფ-

ლისა, უნდა კიდევაც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა, არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“ ძალზე ფასეულია წიგნის ავტორის დაკვირვება, რომელიც, რამდენადაც ვიცი, მანამდე არავის გამოუთქვამს, რომ „ეს შერიგების ინტონაცია, რომელიც მთელ სტროფს მსჭვალავს, აშკარად აცდენილია ბარათაშვილის მსოფლმხედველობრივ ძიებათა მთავარ წარმმართველ ნაკადს“ (გვ. 24).

ყოველმხრივ მხატვრულ ანალიზზე დაყრდნობით გურამ ასათიანი სრულიად მართებულად ბარათაშვილის ერთ-ერთ შედეგად მიიჩნევს მის ჰირველ ფილოსოფიურ ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე“, რომელშიც უკვე ასე ჭარბადაა გამჟღავნებული პოეტის მისწრაფება ფიქრისა და ძიებისაკენ. ასევე საგულისხმოა დებულება, რომ თუმცა ლექსები „სული თბოლი“ და „სულო ბოროტო“ „მერანის“ შემდეგ დაიწერა, მაგრამ მაინც აღიქმება როგორც პრელუდია და აქ დასმულ კითხვებზე პასუხს სწორედ „მერანში“ ვპოულობთ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური შემოქმედების ერთ მთლიანობაში გააზრებით ნაშრომში ხაზგასმულია ღრმა სულიერი შრეებიდან დაძრული ტრაგიზმი და ავი წინათგარძნობის მანიშნებელი ქვეცნობიერი იმპულსები, რომლებიც მეტნაკლებად ყონავს პოეტის თითქმის ყველა სრულყოფილ ქმნილებაში, რაც ასე აშკარად გამოხატულ ინდივიდუალურ დაღს ასვამს პოეტის მთელ შემოქმედებას.

მაინც თავისი მასშტაბით და უდიდესი მნიშვნელობით უპირველესი ადგილი უჭირავს ორ თსზულებას, რომლებშიც მთელი ძალით არის გამჟღავნებული ასე ღრმად ინდივიდუალური შემოქმედისათვის თითქოსდა მოულოდნელი განზოგადოების არაჩვეულებრივი ტალანტი.

წიგნში, ბუნებრივია, ვრცელი მსჯელობაა ორივე ამ შედეგზე და ავტორი, ჩემის აზრით, მართებული პოზიციებიდან გვიხსნის ორივე ნაწარმოების შინაგან პათოსს. ეს საცნაური ხდება თუნდაც იმ გარემოებით, რომ გურამ ასათიანი ამჩნევს ურღვევ შინაგან კავშირს თავისი გარეგნული ფორმით, თუ მხატვრული გადაწყვეტით თითქოსდა დიამეტრალურად განსხვავებულ ქმნილებათა შორის. მისი აზრით, „მერანის“ „ბედი ქართლისას“ ბუნებრივი გაგრძელებაა და თავის მხრივ ახალი ეროვნული დრამის პროლოგს წარმოადგენს. მართლაც, „მერანის“ უმთავრესი იდეა ადამიანის შემოქმედი სულისა და თავისუფალი ნების სამკვდრო-სასიცოცხლო, უკომპრომისო ბრძოლაა ბრმა აუცილებლობის მტრულ ძალებთან, როგორც კაცობრიობის ისტორიის ჭეშმარიტი აზრი და გამართლება — თავისი ზოგადი შინაარსით ამომწურავ პასუხს იძლევა იმ კითხვაზე, რომელიც 22 წლის ბარათაშვილმა „ბედი ქართლისაში“ დასვა. ამ გაგებით ეროვნული საკითხი, რომელიც გარეგნული ნიშნებით თითქოს არც კი ჩანს „მერანში“, გადაჭრილია სრულიად ახალ სიბრტყეზე და უნივერსალურ პრობლემათა რანგშია ამადლებული.

„ბედი ქართლისა“ ეროვნული საკითხების ესოდენ მძაფრად წარმოჩინებასთან ერთად, იმითაც იქცეეს ჩვენს ყურადღებას. რომ აქ თვით მოქმედებაში, რის საშუალებასაც მოვლენათა ეპიურ სტილში გაშლა უწყობს სელს. კონკრეტულად და ძალზე ხელშესახებად არის გამოკვეთილი ბრმა აუცილებლობისა და ადამიანის თავისუფლებისაკენ მიდრეკილების მარადიული წინააღმდეგობრიობა, გურამ ასათიანი სწორედ ასეთი კუთხით აშუქებს „ბედი ქართლისას“ ძირითად იდეურ შინაარსს და არა ერთ ორიგინალურ დაკვირვებას გვთავაზობს. რომელთა ჩამოთვლა ჩვენ აქ შორს წაგვიყვანდა. მაგრამ მოვიტან მხოლოდ ერთ ამონაწერს, რომელიც ეფუძნება ერეკლესა და სოლომონ მსაჯულის, ხოლო შემდეგ სოლომონისა და მისი მომხიბლავი სულიერი წყობის მქონე მეუღლის, სოფიოს, დიალოგის ღრმა ანალიზს, რომელშიც მოჩანს მკვლევარის ფსიხელი თვალთახედვა: „მიუხედავად თანდაყოლილი რომანტიკული სულიერი წყობისა „ბედი ქართლისას“ ავტორს აღმოაჩნდა რეალობის უადრესი გრძნობა.

ბარათაშვილის პოემაში საბოლოოდ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ მა ი ი ც ერეკლეს აზრი იმარჯვებს...

ისტორიული ბედისწერის დიქტატი აუქმებს ყველა ალტყინებულ სწრაფვას, სიმართლისა და სამართლიანობის სასარგებლოდ მოტანილ ყველა მკვერმეტყველურ საბუთს, ყველა ოპტიმისტურ ილუზიას, რომლებიც ჰომის დასასრულს თითქოს მხოლოდ იმისთვის აღმოცენდებიან, რათა ერთი საბედისწერო დასკვნით გაცამტვერდნენ (გვ. 138). ზუსტი და მართებული დასკვნაა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ფსიხელი პოზიციებიდან გვიხსნის რეალურად გათამაშებულ დრამას და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს დიდი პოეტის მიერ ერთ პირად საუბარში წამოძახილ სიტყვებს: „ვაი! ჩვენო ქართლის ბედო!“

გურამ ასათიანმა თავის მონოგრაფიას ნიკოლოზ ბარათაშვილზე სახელწოდებად შეუერთია სათაური „მერანი“ და მისი ავტორი“. წიგნის გაცნობა სავსებით გვარწმუნებს არჩევანის სისწორეში, რადგან მისივე საგულისხმო დაკვირვებით „მერანის“ თითქოსდა ერთგვარად აბსტრაქტული თემა მეტ-ნაკლებად მონაწილეობს პოეტის თითქმის ყველა ქმნილებაში და მათში აღძრული ცალკეული თემატიკური მოტივები თუ პირადი განცდებიდან აღმომხდარი ქვეცნობიერი იმპულსები თავის დამთავრებულ სახეს სწორედ ამ უდიდეს ქმნილებაში იღებენ. „მერანი“ ფაქტიურად ბარათაშვილის მთელი შემოქმედების აპოთეოზად აღიქმება, რადგან ყველაზე სრულყოფილად აქ არის წარმოჩენილი გონებისა და რწმენის ის საკვირველი შერწყმა, რაც ასე ხიბლავს და აჯადოებს მკითხველს. ბარათაშვილმა „ბრმა ბედისწერასთან თავგანწირულ, ტიტანურ ქიდილში დაინახა ადამიანის არსებობის უმადლესი აზრი და გამართლება“, რაც თავისთავად სრულიად ახალი მსოფლშეგრძნების დამკვიდრებას მოასწავებდა.

ზემოთ უკვე შევნიშნე, რომ ავტორი წიგნში სპეციალურად მიმოიხილავს ამ შემთხვევაში უმთავრესი ცნების („რომანტიზმი“, „რომან-

ტიკული მიმართულება“) შინაარსის გაგების საკითხებს და გადმოგვეცემს ცნობილ ავტორიტეტთა შეხედულებებსაც (მაგ. ჰეგელის აზრი რომანტიკულ პოეზიაზე, ჰიუგოსა და ბრანდისის შეხედულებები და სხვ.). მაგრამ ერთგან ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ საერთოდ რომანტიზმზე, კერძოდ, ე. წ. რომანტიკულ სულზე აბსტრაქტულ მსჯელობას მრავალ შეუსაბამობამდე მივყავართ. ასეთი მსჯელობის ერთადერთ მყარ საფუძველს მხოლოდ ისტორიზმის პრინციპი წარმოადგენს (გვ. 61).

მაგრამ, ჩემი აზრით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ეს „ისტორიზმის პრინციპი“ ნაშრომში ბოლომდე ვერ არის ხაზგასმული, რაც, ვფიქრობ, ერთგვარ დაღს ასევამს ზემოთ აღნიშნული პრობლემის თანმიმდევრულ კვლევას.

საქმე ის არის, რომ რომანტიკული მიმდინარეობისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ნიშანთა განკერძოებით წინ წამოწევის ტენდენციის წინააღმდეგ მიმართული მასხვილი შენიშვნების შემდეგ თვით ავტორი მსარს უჭერს ისეთ პრინციპს, რომელიც თვითონ არის გარკვეული ისტორიულ-კულტურული პროცესის შედეგი და მის ერთადერთ. საყოველთაო პოსტულატად წარმოდგენა, თავისთავად ასეთივე მეთოდოლოგიურ შეცდომას შეიცავს.

ავტორის აზრით (სხვათა შორის იგი აქ იშველიებს პუშკინის ცნობილ გამონათქვამს კლასიკურ და რომანტიკულ პოეზიაზე), რომანტიკული მიმდინარეობის თვისება უნდა ვეძებოთ არა მის „მსოფლმხედველობრივ შინაარსში“ არამედ ფორმის დამკვიდრებაში, რადგან, მაგალითად, „XIX საუკუნის ევროპული რომანტიზმი, როგორც მხატვრული ფორმა, მკვიდრდება და ვითარდება როგორც კლასიკური ფორმის უარყოფის შედეგი. ეს არის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება, რომელიც ასე თუ ისე დამახასიათებელია ყველა ქვეყნის და თითქმის ყველა კონკრეტული პერიოდის რომანტიკული მიმდინარეობისათვის (გვ. 61. ხაზი ჩვენია).

ავტორი ასაბუთებს ამ დებულებას, სხვათა შორის, მოაქვს კარლ მარქსის ცნობილი სიტყვებიც, რომლითაც რომანტიზმი საფრანგეთის რევოლუციის ბუნებრივი რეაქციის შედეგად ვითარდება, რის გამოც „ყველაფერი იძინდა შუა-საუკუნეობრივ ელფერს, ყველაფერი რომანტიკული სახით წარმოდგებოდა“, მაგრამ ეს დებულება სწორედ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას გულისხმობდა და ძნელია, ანალოგიის პრინციპით, იგი საყრდენად გავიხადოთ ქართული რომანტიზმის კვლევის დროსაც, რადგან ეს უკანასკნელი მისთვის სპეციფიკური წინამძღვრებითაა უწინარეს გაპირობებული.

აქ ჩვენ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, ჩემი აზრით, ასეთივე მაცთუნებელი ჰიპოთეზა, როცა ქართულ რენესანსს მექანიკურად უსადაგებენ ევროპულ რენესანსს. ერთგვარად ავიწროებენ ამ ცნების შინაარსს და ქართულ სინამდვილეშიც იმავე ნიშნების „აღმოჩენას“ ცდი-  
268

ლობენ, რაც ფაქტიურად დასაველეთ-ვერობული ამავე ტიპის იდეოლო-  
გიური მოძრაობისათვის არის დამახასიათებელი.

ეს მე იმიტომ გავიხსენე, რომ ანალოგიური ცთუნების ერთგვარი  
ნიშნები უეჭველად ეტყობა განსაზღვრული წიგნის ავტორსაც, რომე-  
ლიც ქართულ სინამდვილეში ხედავს თითქოს „რომანტიკული მიმდინ-  
არეობის“ შეუპოვარ წინააღმდეგობას „განმანათლებლობასა“ და  
„კლასიციზმთან“ და ასევე კვლევის სიმძიმის ცენტრი „ახალი ფორმის“  
დამკვიდრებაში გადააქვს.

ჩემი ეს შენიშვნა, რასაკვირველია, შეუვალე არ არის. შესაძლებე-  
ლია ზოგი რამ ახალი ფაქტი „ქართული კლასიციზტური მიმდინარე-  
ობის“ შესახებ ახალი მსჯელობის საგნად იქცეს (შდრ. მაგალითად  
აღ. კალანდაძის ახალი წიგნი „ლიტერატურული ნარკვევები“). მაგ-  
რამ როგორც ითქვა, ამ საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტას მეტი  
კონკრეტული ფაქტიური მასალა უნდა დაედოს საფუძვლად. რასაკ-  
ვირველია, არც ის მიმაჩნია მართებულად, რომ „ქართული რომან-  
ტიზმი“ მსოფლიო მწერლობასთან იზოლირებულად განვიხილოთ.  
მაგრამ მაინც, ვფიქრობ, რომ სწორედ „ისტორიზმის პრინციპის“  
შემოქმედებითად გამოყენება მეტად გვაავალებს უფრო ღრმად დავუ-  
კვირდეთ „ქართული რომანტიზმის“ წარმოშობის ეროვნულ კონ-  
ცეფციას.

„მერანის“ და მისი ავტორის“ არსებითად კვლევითი ხასიათის ნაშრო-  
მა, თუმცა რიგ შემთხვევაში მსჯელობანი ერთგვარად ესხეს სტილშია  
მოცემული, რის გამოც, მე ვფიქრობ, ავტორს მითითებათა გარეშე  
დარჩენია მანამდე არსებული რიგი ანგარიშგასაწევი შეხედულებები.  
მაგალითად, როგორც ცნობილია, „მერანის“ ეროვნულ კონცეფციაზე  
ერთ-ერთმა პირველთაგანმა სიმონ ჩიქოვანმა ვაამახვილა ყურადღება.  
ლევან ასათიანმა ქართველ მკვლევართა შორის ასევე პირველმა მიუ-  
თითა გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში დადასტურებულ ბუნების ძა-  
ლაზე თავისებურ შეგრძნებაზე. ადრევე იყო გამოთქმული აგრეთვე  
მოსაზრება ბესიკის პოეზიის დრამატულ ხასიათზე და ა. შ.

მაგრამ, რასაკვირველია, როგორც იტყვიან, არცერთი ეს შენიშვნა  
არ ჩრდილავს წიგნის ძირითად ღირსებებს. მის დამამკვიდრებელ პა-  
თოს — შთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოგვიდგინოს დიდი ქა-  
რთველი პოეტი და მოაზროვნე ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის შე-  
მოქმედებაშიც „ქართველი ერის პოეტური გენია თვალისმომკრელ  
სიმაღლებს მისწვდა“.

ა) ილია ჭავჭავაძე\*

საძირკვლად აზრი ჩააგდე,  
ზედ დაღვი გრძნობის ტაძარი“.  
ვ ა ე ა - ფ შ ა ე ვ ლ ა

ქართველი ხალხის სულიერი მოღვაწეობის დიდ გზაზე ილია ჭავჭავაძე ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა.

ილიას მონოლითურ პიროვნებაში თითქოს სრულყოფა ჰპოვა მშობელი ხალხის საუკეთესო თვისებებმა: დიადი აზრით გატაცება, გაუტეხელი ნება მრისხანე და ზარდამცემ ძალად იყო შენივთებული მის ხასიათში.

შარავანდედითაა მოსილი ილიას მოწამებრივი ღვაწლი. შეუპოვარი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის.

განსაკუთრებული იყო ისტორიული ვითარება და განსაკუთრებული შეიქნა ის მისიაც, რომელიც ასეთ დროს უნდა ეტვირთა ერის მეთაურს.

ეროვნული აღორძინება უნდა შეხებოდა თითქმის ყველა სფეროს: მატერიალურსა და სულიერს. ყოველივე ამან განაპირობა მისი მოღვაწეობის უნივერსალური ხასიათიც. მართლაც, ილიას მთელი მოღვაწეობა აშკარად განმანათლებლური იერით არის აღბეჭდილი.

განსაცვიფრებელია მისი მოღვაწეობის დიაპაზონი: პოეზია და პროზა, კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია, პუბლიცისტიკა და სოციოლოგია, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და ფინანსები, რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს. არ დაჩქენილა იმ ხანებში რაიმე მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება. რომლის ინიციატორი ან უშუალო მონაწილეც იგი არ ყოფილიყოს.

გასაგები მიზეზების გამო, გასული საუკუნე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშნით წარიმართა, ხოლო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამ გადამწყვეტი მოძრაობის უპირველესი ლიდერი სწორედ ილია ჭავჭავაძე შეიქნა. ამ უწმინდეს მიზანს დაუქვემდებარა მან მთელი თავისი მოღვაწეობა და შემოქმედებითი ძალმოსილება.

ილია ჭავჭავაძის შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც გასხვივსნებულია მიზანთა ერთობლიობით, მეტყველი მაგალითია მამულისათვის უანგარო თავდადებისა.

ასეთი უკომპრომისო ცხოვრებით იცხოვრა მან და დაფნის გვირ-

\* პირველად გამოქვეყნდა 1985 წელს, როგორც ილია ჭავჭავაძის რჩეული ან-  
წარმოებების ხუთტომეულის შესავალი წერილი.

გვინთან ერთად, როგორც გარდუვალი ხეედრო, საკუთარ თავზე იწვნია გამწირაობის მწარე სუსხიც.

საკაცობრიო გამოცდილება კი დაღაღებს: დიადი მსხვერპლი დიადი იდეალებისაკენ მიმართავს ხალხს. ამავე ქეშმარიტების ძალით უდავოა შემდეგიც: ქართველი ერის მომავალი აღზევებას სამუდამოდ იქნება დაკავშირებული წიწამურის ტრაგედიის ნათლითმოსილი გმირის სახელთან.

\*\*\*

ილია ქავჭავაძეს — პოეტს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, შეიძლება ითქვას, დაუძლეველი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი.

ილიას და მის გარშემო შემოკრებულ ახალ თაობას, როგორც ითქვა, მძიმე და ძალზე სპეციფიკურ ისტორიულ ვითარებაში მოუქდა გამოსვლა საქვეყნო ასპარეზზე.

ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი ენერგია ამ დროს თითქოსდა მთვლემარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირება, რითაც ქართველი ერი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას. ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველა პრობლემის მოგვარებას. კულტურული თვითმყოფობის საფუძველზე მას საკუთარი გზების ძიება მართებდა. მაგრამ მიძინებული ეროვნული გრძნობის ფონზე თითქოს აღარც ჩანდა ხვალისდელი დღის პერსპექტივა. მიმბაძველობისა და პროვინციალიზმის მძიმე სნეულება სულიერი და ზნეობრივი გადაგვარებისაკენ ეზიდებოდა ქართველ ხალხს.

საქირო იყო უდიდესი თავგამეტება. უშრეტი ძალისხმევა, რომ ქართველ ხალხს თავისი ისტორიული ცხოვრების ახალი დიდი მიჯნა გადაეღაზა.

ეს სასწაული, მართლაც, გაცხადდა. ხოლო მის პირველ მეკვლედ და სულის ჩამდგმელად ჩვენს ხალხს სწორედ ილია ქავჭავაძე მოეწვლინა.

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად. მეწოდეს მის ტანჯვით სული“ — ეს სიტყვები ილიამ მოღვაწეობის ქვაკუთხედად აქცია და მთელი მისი არსება ამ უწმინდეს მიზანს დაუქვემდებარა.

ილიას უწინარეს ღრმად ჰქონდა შეცნობილი, რომ ხალხის ასამოძრაველად აუცილებელია თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევი იდეალების საყოველთაო ათვისება. ყოველი ცალკეული პიროვნება უნდა გრძნობდეს დიადი მოძრაობის ერთიან ტალღას. ასეთ დროს ძალები ორკეცდება და ყოველი მათგანი ერთი მთლიანის განუყოფელ ნაწილად თვლის თავს.

„ავგიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა“. „ქართველის ბედის“ წაღმა შემობრუნებისათვის ზრუნვა იყო ის უმთავრესი ძალა, რითაც ილიამ გაიყოლია ბრძოლის ასპარეზზე თანამებრძოლები. მთელი ქართველი ერი.

ეროვნული, სოციალური თუ ზნეობრივი აღორძინებისათვის ბრძოლაში. სხვაგვარად ალბათ წარმოუდგენელიც იყო, ილია ქავჭავაძე სასტიკი და შეუპოვარი იყო საქართველოს აშკარა თუ უჩინარი მტრების მიმართ. ეს მან არაერთგზის დაამტკიცა შავრაზმელთა, კატკოვეებისა და იანოვსკების მსგავსთა თავხედური გამოხდომებისას, რომლებიც ასე უგუნურად ცდილობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ გრძნობათა აბუნად აგლებას, მისი უძვირფასესი საუნჯის, ქართული ენის ხელყოფას.

მაგრამ თავისივე პრინციპების ბოლომდე ერთგული, ილია არც საკუთარ ხალხს აპატიებდა იოტისოდენა ნაკლს. წყლულს დაფარვა და მიფუჩჩეხება კი არ შეეღის. მხილება და მკურნალობა სჭირდება. მისივე უსაყვარლესი გმირის --- ოთარაანთ ჭვრივისა არ იყოს, მოფერებით არაეინ გასულა ფონს:

„ჩემოდ ამბობენ: „ის სიივეს ქართლისას ამბობს.  
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია!“  
ბრძენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სკნობს —  
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

საკუთარი ხალხის უზომო სიყვარულთან ერთად, გონიერება და სიბრძნე იყო მისი დიდი მოღვაწეობის მანათობელი.

ილიას ეროვნული კონცეფცია იმ დროისათვის სამაგალითო იყო და აშკარად ექმნიანებოდა მსოფლიოში დაჩაგრული ხალხების უთანასწორო ბრძოლას სოციალური, ეროვნული და კულტურული აღორძინებისათვის. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ეს კონცეფცია გამოირჩეოდა კონკრეტული ამოცანების სიკვხადით და დაფუძნებული იყო საკუთარი ხალხის ისტორიული ცხოვრების გამოცდილებაზე.

XIX საუკუნეს ილია „ძლიევამოსილს“ უწოდებდა და მას მსოფლიო მასშტაბით ძირეულ გარდაქმნებს უკავშირებდა. უნივერსალური ამ თვალსაზრისით იღვია ადამიანის გონების უძლიველობისა და რწმენა მარადიული პროგრესისა. რომლებიც აგრერიგად მსჭვალავენ მის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ ქმნილებებს.

საკუთარადღებოა ისიც, რომ გასული საუკუნის სამოციანი წლებისათვის ეს იდეები ულტრათანამედროვე იყო. ზოლო მათი ავტორი მთლიანად ითვალისწინებდა როგორც მსოფლიო, ისე რუსეთის მოაზროვნეთა უკეთეს მონაპოვართ. მაგრამ, როგორც ითქვა, ამ შემთხვე-



ვაშიც თავიდათავი ის არის, რომ ილია ამ დიადი მოძრაობის მიღმა სრულიად ნათლად ჰკრეტდა საკუთარი ხალხის სპეციფიკურ გასაჭირს და საბრძოლო ამოცანებს: „ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს... — წერდა იგი თავის ერთ-ერთ საპროგრამო წერილში — ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღადადებს... ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნა დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელი ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავი-დამ არ აგვეცდენია, — ყველასათვის ცხადზე ცხადია... რომ ეგ მიმართულება იჭნება ასალი იმ დრომდე. მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადვილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოეცევა. სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ენჯლანდელ საქართველოს შვილს“...

\* \* \*

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, და ესეც ნიშანდობლივია ისეთი უნივერსალური ტიპის მოღვაწისათვის, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე. მის მიერ წამოყენებული ეროვნული კონცეფცია სავსებით იყო განძარცვული ყოველგვარი ნიპილიზმისა და სხვა ეროვნებათა მიმართ უპატივცემულობისაგან: „სხვისი ნუ გინდა რა, შენი იკმარე, — ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი. ეს არის დედაბოძი ზნეობისა... ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუით მყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველს შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე პატივდაუდებლობა, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია“.

ხალხთა ურთიერთმიმართ გამოვლენილ შემწყნარებლურ პოზიციას იგი სანთელივით ეძებდა ჩვენივე ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში და სამომავლო მანათობლად მიიჩნევდა მას.

ასეთი არაერთი ფაქტი გამოავლინა კიდევ მან, ხოლო ჩვენში ასეთი გონიერი ქმედების უპირველეს წინამორბედად, და ესეც ძალზე ნიშანდობლივია, იგი უწინარეს დავით აღმაშენებელს სახავდა, პიროვნებას, რომელმაც, მართლაც, ყველაზე ღონიერი ნაბიჯი გადადგა ძველი საქართველოს ფიზიკური და სულიერი აღორძინებისათვის: „მისი კაცთმოყვარეობა, პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნოებისა. — წერდა ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე, — საკვირველი და საოცარი მაგალითია მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან“. ილიას აქ მოტანილი სიტყვები დავით აღმაშენებლის ღვაწლის ზუსტ შეფასებასთან ერთად აშკარად ცხადყოფხ თვით მისივე ეროვნული კონცეფციის ძირითად შინაარსს.

საკუთარი ხალხის მომავლისაკენ ლოგიკური გზების ძიება ილიას შემოქმედებაში წარსულის ღრმა ანალიზზე იყო დაფუძნებული.

სწორედ ამიტომ ქართველი ერის აღორძინების ძნელად სავალ გზაზე მას ერთ უპირველეს მოკავშირედ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის წარმოჩენისათვის ბრძოლა და ისტორიული წარსულის შემეცნება მიაჩნდა.

წარსული, აწმყო და მომავალი მას უწყვეტ ჯაჭვად ჰქონდა გააზრებული და ერთი რგოლის ამოვარდნაც კი ეროვნული უბედურების მაცნედ წარმოედგინა.

იგი მთელი არსებით გრძნობდა ამ უღრმეს შინაგან კავშირს. ამიტომაც ასე გაითავისა და თავის საპროგრამო ლექსს „ქართველის დედა“ ეპიგრაფად წარუძღვარა დიდებული სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა.“

ისევე როგორც ზოგადად, კულტურის საკითხებშიაც ილია ჭავჭავაძე ყოველგვარი იზოლაციის, კარჩაკეტილობის შეუპოვარი მოწინააღმდეგე იყო. ამიტომ ასპარეზზე გამოსვლისთანავე მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა შინნასწავლ ფსევდოლიტერატორებს და მწერლებს. იგი ჩვენი ხალხის წარსულ კულტურას მსოფლიო ხალხების კულტურასთან კავშირში აღიქვამდა.

ასევე სძაგდა მას წარსულის უსაგნო განდიდება. მან ერთმა პირველთაგანმა არაერთხელ დაასაბუთა კიდევ, რომ ხალხს ჩვენი წარსულის მხოლოდ და მხოლოდ მართალი სურათი უნდა წარმოუესახოთ. ეს პოზიცია გამოკვეთილად ჩანს როგორც მის ისტორიულ თხზულებებში, ისე მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებშიც.

მისი აზრით, ჰეგემარტი ისტორიკოსი ფაქტების ზედაპირზე კი არ უნდა მოქცეს, არამედ უწინარეს იმ მამოძრავებელი ძალების აღმოჩენისაკენ უნდა ილტვოდეს, რომლებიც ამა თუ იმ ეტაპზე წარმართავდნენ ერის ცხოვრებას.

ეს დღეს აღიარებული და სახელმძღვანელო დებულებებია, მაგრამ ჩვენში მის დამკვიდრებას საკმაო ხანი დასჭირდა. კარგად არის ცნობილი, რომ ეროვნული თვითშემეცნების მწყობრ, მეცნიერულ სისტემაში მოქცევა ერის ცხოვრებაში თვისობრივ ნახტომს მოასწავებს.

პირველი სვრელის გატანა ამ მიმართულებით წილად ხვდა სწორედ ილია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს. ილიას ეკუთვნის საყოველთაოდ ცნობილი ფრაზა: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“.

ილიამ როგორც მხატვრულ შემოქმედებაში (საკმარისია აქ ისტორიული პოემის „დიმიტრი თავდადებულის“ გახსენება), ისე ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილებში, წარსულის გააზრების მაღალი მეცნიერული ნიმუშები გვიანდერძა და ისტორიული განვითარების დაფარულ მიზეზთა ძიება დაიწყო.

ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციები, მისივე შემოქმედების მთავარი რწმენის შესაბამისად, წარსული ცხოვრების რეალისტურ შეფასებაზე იყო დაფუძნებული. ილია ამ პოზიციებიდან მკაცრად აკრიტიკებდა „ქართლის ცხოვრების“ ძველ-ქართულ მატრიანეთა მიდრეკილებას ოფიციალურ მოვლენათა აღწერისაკენ, ცნობილია ილიას სიტყვები: „ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული“ — ილიასთვის. რასაკვირველია. ისიც კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომ მსგავსი მიდრეკილება საერთოდ შუა საუკუნეთა ქრონიკების მთარული სენი იყო და გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც ქართველი ჟამთააღმწერლები იყვნენ.

ილია ჭავჭავაძეს ამის გამო კარდინალურ საკითხად მიაჩნდა იმის გამოკვლევა. თუ რა შინაგანი ძალების დაძაბვით შეძლო ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე გადაერჩინა საკუთარი არსებობა, კულტურა. ენა... ან რომელ ცდუნებას აჰყვა იგი ქართველობით აღსავსე წარეკლიან გზაზე.

„ჩვენ ერს. — წერდა ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე, — ორი ათასი წელი მაინც უცხოვრია ისტორიული ცხოვრებით. ბევრიც მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში. რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყო დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ასეა, ამისი საბუთი თვალწინა გვაქვს. რა შეგვიანახავდა ამ ერთ მუჟა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენიერად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს. ერთის მხრით. მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებს ან განათლებასა. ან გამდიდრებაში, თუ ამასთან ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიაში. რომელია სიმარე ჩვენი ცხოვრებისა და რომელია სიფუყე და სისუსტე, ამას ახსნის და გვითარგმნის ხოლმე ისტორია და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ — დაგვიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავეც. და თუ ასეა. რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი“.

ისტორიულ მოვლენათა ღრმა გაგებასთან ერთად, ამ სიტყვებში ხაზგასმულია წარსულის. როგორც ისტორიული გაკვეთილის, მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის. წარსულზე დაფიქრებასთან ერთად აქ კარგად მოჩანს დიდი მოღვაწის მომავლისაკენ მზირალი თვალი.

მართლაც, როგორც ამას არაერთხელ აღნიშნავდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ ილია ჭავჭავაძემ პირველთაგანმა კვლევის სიმძიმის ცენტრი სოციალური და ეკონომიური საფუძვლების კვლევაზე გადაიტანა, რად-

ვინაც ქართველი ხალხი, როგორც ამას ილია ამბობდა, რასაკვირველია. მხოლოდ „მკლავითა და გულადობით“ ვერ შეძლებდა ისტორიის მძინე კაპანის ზიდვას.



ქართველი ხალხი დიდი სულიერი კულტურის მემკვიდრეა. ილია ჭავჭავაძის შეხედულებით. სწორედ ასეთი საამაყო წარსულის შესწავლასა და მართებულ შეფასებას უნდა წარმოეჩინა ჩვენი ხალხის კულტურული სახეც და ეროვნული თავისუფლებისათვის გამწვავებულ ბრძოლაში დაესაბუთებინა მისი არსებობის უფლება.

განსაკუთრებით კი ქართული კულტურის ყველაზე დიდი მონაპოვრის, ქართული მწერლობის დიდი ტრადიციების აღორძინება დაისახა მიზნად. ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლაში გარდასულ საუკუნეთა მწერლობა მას უპირველეს მოკავშირედ ეგულებოდა.<sup>1</sup>

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა „გააღვიძეს სიყვარული და გაამახვილეს ყურადღება შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისადმი. თითქოს მათ მოაწყვეს არქეოლოგიური გათხრები და ისტორიის წილში დაფარული პოეტური სიტყვის ღვთაებრივი ძეგლები ისევ მზის სინათლეზე ვამოიტანეს. ამ ძეგლების შესწავლის საქმე სახალხო საქმედ აქციეს“ (ს. ჩიქოვანი).

სანიმუშოდ აქ იკმარებდა ის განსაკუთრებული პოზიცია, რომელიც გამოავლინა მან „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის მიმართ. უწინარეს კი იგი „ვეფხისტყაოსნის“ მგზნებარე დამცველი და დამფასებელია. ილიას სიტყვებით. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხისათვის ის უპირველესი წიგნია, რომელსაც „მთელმა ერმა შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული. შიგ ჩაახვია თავისი სული და გული. შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი. ზრახვანი. გრძნობანი“.

ამიტომ. როგორც ეს ადრე აღნიშნული გვაქვს სპეციალურ წერილში ილია ჭავჭავაძეზე. იგი მკაცრად ემიჯნებოდა საერთოდ პოეტური ქმნილებისა და. მით უფრო, „ვეფხისტყაოსნის“ ცივი გონებით. ე. წ. „მეცნიერული პედანტიზმის“ პოზიციებიდან შეფასებას. აქ ფართო თვალთახედვაა საჭირო. რადგან „ვისაც რუსთაველზე უნდა წერა, იმან. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით. მხოლოდ, არამედ გულითაც. უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველის გულის სიღრმეს. იგრძნოს მისი მაჯისცემა“.

მაგრამ იგი კიდევ უფრო სასტიკი იყო იმათ მიმართ, ვინც, ნებისთ თუ უნებლიედ, ზოგჯერ კი უცოდინარობის გამო, სწორად ვერ აფა-

<sup>1</sup> ილიას დეაწლზე ძველი ქართული მწერლობის შესწავლაზე დაწვრ. იხ. ჩვენ წიგნში „მარადიული სახეები“, 1981 წ.

სებდა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას და ამით მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

„ჩვენმა მტრებმა კარგად იციან, — დასძენდა ამასთან დაკავშირებით ილია, — თუ რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“, კარგად იციან, — რა ბურჯია ჩვენის თავმოწონებისათვის. ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასაცხები ვისმე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედამ დაგვცხოს. აქედამ შეგვინგრიოს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა“.

სამაგალითოა ამ თვალსაზრისით ილიას პასუხი ივანე ჯაბადარს (იგივე „ნარ-დონის“), ნიკო მარისა და სხვათა მიმართ. ილიამ გამიზნულად მიმართა თავისი დროის საზოგადოებრივი აზრი კულტურული მემკვიდრეობისა და, კერძოდ, რუსთაველის შეფასების მნიშვნელობისაკენ. მართებულად შენიშნავს ამასთან დაკავშირებით ალექსანდრე ზარამიძე: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაბმული ქართველი საზოგადოებისათვის „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა ისეთი მნიშვნელობის მხატვრულ მოვლენას, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა ქართველი ერის კულტურული მოწიფულობა, სოციალური თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის კანონიერი უფლებები. ამიტომაც იყო შეუპოვარი ქომაგი რუსთაველის ღირსებისა და დაუნდობელი მებრძოლი ქართველთა ამ ეროვნული დიდების განმაქიქებელთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა ივ. ჯაბადარს, მან არ დაინდო არც ნ. მარის ზოგიერთი შეუფერებელი გამოხვლა. ნიპოლისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ილიას მხარში ამოუდგნენ აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი და ქართველთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა წარმომადგენლები“. სწორედ ასეთი პოზიციიდან აფასებს დღეს ქართული მეცნიერება იმ ბრძოლებს რუსთაველის გარშემო, რომელიც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გადაიხადა ქართველმა ხალხმა XIX საუკუნეში.

ასევე განსაკუთრებულია ილია ჭავჭავაძის წვლილი თვით „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა-შეფასების საქმეში. აქაც იგი ნიმუშის მომცემი იყო. დღესაც გზის გამკაფავია ილიას სიტყვები, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ იმიტომაა ჩვენთვის ძვირფასი, რომ იგი ქართველი ხალხის ეროვნულ საუნჯეს წარმოადგენს. „ვეფხისტყაოსანი“ თავისი მხატვრული თუ იდეური ღირსებებით, მაღალი ჰუმანიზმის მსოფლიო მასშტაბის ქმნილებაა და იგი გვერდს უმშვენებს ისეთ გიჟანტებს, როგორცაა ჰომეროსი, შექსპირი და, როგორც ილია იტყოდა, „ქმანი მათნი“.

ამიტომ იყო, რომ რაიმე შეღავათი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ ილიას დაუშვებლად მიაჩნდა. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ თვითონვე გაიკვლევდა გზას მსოფლიო ასპარეზზე, ხოლო ეს იქნებოდა ქართველი ხალხის მაღალი პოეტური კულტურის ჰეგემარითი აღიარება.

დღეს, როცა მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, წინასწარმეტყველებასავით ჟღერს ილიას სიტყვები. ასევე სამაგალითოა „ვეფხისტყაოსნის“ ილიასეული მხატვრული ანალიზი. მის წერილებში სრულიად ახლებური კუთხით გაშუქდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყარო, სიუჟეტური თავისებურებანი და პერსონაჟები. ილია ადასტურებდა ქართული ცხოვრების, ქართული სინამდვილის ანარეკლს პოემაში, რაც თავისთავად უარყოფდა პოემის ე. წ. უცხოური წარმოშობის უნიადგო თეორიას. ილიას რწმენა ამ საკომპანო საკითხში ურყევი იყო, რაც სავსებით დაადასტურა კიდევ რუსთველოლოგიის შემდგომმა განვითარებამ.

ილიამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აღმოაჩინა“ პოემის ზოგი იშვიათი მხატვრული მიგნება და ღრმა ფსიქოლოგიზმი, წარმოაჩინა პოემაში ჩაქსოვილი ზოგადსაკაცობრიო იდეები, რითაც „ვეფხისტყაოსანი“ ახალ საუკუნეებში აღმოცენებულ უდიდეს პოეტურ ქმნილებათა წინამორბედად გვევლინება.

ილია ჭავჭავაძემ თავისი დიდი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის, „ვისრამიანის“, ნიკოლოზ ბარათაშვილის და სხვა ძეგლთა თუ ავტორთა გამოცემაში. ეს, როგორც ითქვა, მას პირველ და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა.

ილიას, მრავალი საზოგადოებრივი საქმისაგან დამაშვრალს. არც დრო და არც მოცალეობა უწყობდა ხელს ქართული მწერლობის სისტემური კურსის შესაქმნელად, რაც დიდი განძი იქნებოდა დღევანდელი ჩვენი მწერლობისა და მეცნიერებისათვის.

ეს განზრახვა კი, როგორც ჩანს, პოეტს ჰქონია. ჩვენამდე შემონახულა ამ დიდი ჩანაფიქრის კონსპექტური გეგმა, რომელშიც ქართული მწერლობის განვითარების ძირითადი ეტაპებია მინიშნებული და წარმოჩენილია არაერთი თავისებურება.

მაინც მისი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ძველი საქართველოს არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მწერალი.

საკმარისია დავასაწელოთ დავით გურამიშვილი, რომლის შემოქმედების ეროვნულ ძირებზე მითითებასთან ერთად, ილიამ მის პოეზიაში დაინახა სწრაფვა სრულიად ახალი ნაპირებისაკენ, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა მე-19 საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში. აღმოსავლური პოეზიის წამლეკავი გავლენისაგან განთავისუფლება ილია ჭავჭავაძემ „ევროპეიზმის“ სახელით აღნიშნა, ხოლო მის სათავეში სრულიად მართებულად დავით გურამიშვილი დააყენა.

ილიას ალღო წარსულის მემკვიდრეობის შეფასებაში უცდომელი იყო, ხოლო მეთოდოლოგია — ზუსტი და მკაცრი; აქაც არ დალატობდა იგი თავისი ცხოვრების წესს, აზროვნების პრინციპს. იგი ორიენტაციას იღებდა მხოლოდ უკეთესზე (გავიხსენოთ მისი მკაცრი მსჯავრი ძეგლი ქართული მწერლობის ზოგიერთ წარმომადგენელზე. რომლებსაც იგი პოეტური სიტყვით თვითმიზნურ გატაცებას უსაყვედურებ-

(და), რადგან მიაჩნდა, რომ ხელაღებით წარსული მემკვიდრეობის შეფასება ზიანის მომტანია და სხვა არაფერი.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ასეთი პრინციპული პოზიცია დღესაც სანიმუშოა.

\*\*\*

ზღვასავით ვრცელია და უნაპირო ილიას ღვაწლი. განუზომელია მისი დამსახურება ქართული მხატვრული სიტყვის შემდგომ განვითარებაში. „განდევლისა“ და „აჩრდილის“ ავტორის დიადი ნააზრვევი ჩვენი ეროვნული საუნჯის ოქროს ფონდს განეკუთვნება და სამარად-ქამოდაა აღბეჭდილი ქართველი კაცის ცნობიერებაში:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..  
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული“.

---

ახლოვდება დიადი თარიღი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სრულდება 150 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. მადლიერი შთამომავლობა კიდევ ერთხელ სასოებით გადააულებს თვალს დიდი წინამორბედის უკვდავ შემოქმედებას, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება შემწე უკეთესი მერმისისთვის ბრძოლაში.

1985 წ.

ბ) „სადაც ღიღებულს მთასა მყინვარსა“...

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი აღზევების გზაზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „ოთარაანთ ქვრივსა“ და „განდევლის“. ორივე ეს დიადი თხზულება დაიწერა თითქმის ერთიმეორის მიყოლებით და სიმწიფეში შესული შემოქმედისათვის წლების მანძილზე გულში ნატარები „სულთა კვეთების“ მხატვრულ მატთანედ მოგვევლინა.

მძაფრი პრობლემატიკის კვალდაკვალ „ოთარაანთ ქვრივი“ ქართული ხასიათის ძიების გზაზე ერთი უპირველესი დოკუმენტია და ნეტწილ შემთხვევაში თვით ავტორისავე პიროვნულ თვისებათა მხატვრული გარდასახვის შედეგს წარმოადგენს.

„რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?“ იგი მთელ მოთხრობას ლეიტმოტივად გასდევს და თვით ავტორისეულ კრედოს შეიცავს. მკაცრი

სიმაართლე და მხოლოდ სიმაართლე, ჩვენი ხალხი დიდმა მოჭირნახულემ საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების პრინციპად აქცია.

ეროვნული, სოციალური თუ ზნეობრივი აღორძინებისათვის ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე სასტიკი და შეუპოვარი იყო საქართველოს აშკარა თუ უჩინარი მტრების მიმართ. ეს მან არაერთხელ დაამტკიცა შავრაზმელთა წინააღმდეგაც, რომლებიც ასე უგუნურად ცდილობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ გრძობათა და მისი უძვირფასესი განძის, ქართული ენის ხელყოფას.

მაგრამ, მისივე პრინციპებიდან გამომდინარე, იგი არც საკუთარი ხალხის თუნდაც იოტისოდენა ნაკლის დამთმობი არ იყო. წყლულს დაფარვა და მიფუჩჩეება კი არ შველის, მხილება და მკურნალობა სჭირდება. მისივე უსაყვარლესი გმირის ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, მოფერებით არაფერს გასულა იოლად ფონს: „ჩემზე ამბობენ: „ის სიძვეს ქართლისას ამბობს. ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია!“ ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს — ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“...

საკუთარი ხალხის უზომო სიყვარულთან ერთად ვინიერება და სიპრძნე იყო მისი დიდი მოღვაწეობის მანათობელი.

მამათა და შვილთა საუკუნის ბრძოლაგამოვლილია ილია, და ეს განსაკუთრებით საგულისხმოა მის პიროვნულ თვისებათა დასასიათების დროს. ასეთივე მკაცრ პოზიციას ირჩევდა მომავალი თაობების მიმართაც. ამის მაგალითად მარტო მისი კრიტიკული წერილი „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“ იკმარებდა. სათბურში ნალოლიავებ ყვავილებად მიაჩნდა ნებიერად გაზრდილი ახალგაზრდობა და მზის ქვეშეთში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად შეუპოვარი ბრძოლებისაკენ უხმობდა მათ.

თაობათა ბრძოლაც ასევე წარმოედგინა მას და იგი ამ საკითხშიც ბოლომდე თანმიმდევრული დარჩა. მაგალითად, ახალგაზრდების ერთი ჯგუფის შემოტევისას უკვე ხანდაზმულ ილიას უთქვამს, რაც ფიქსირებულია კიდევ მისი ბიოგრაფების მიერ: არავითარი დათმობა, რადგან დათმობა დაღუპვას მოასწავებს და მხოლოდ საამო ბანგით დაათრობს იოლი გამარჯვების მოყვარულთ. თუ მძლევენ პატოსან ბრძოლაში. დაე მძლიონ და მაშინ, მხოლოდ მაშინ აღიარებაცა და საქვეყნო საქმის თავკაცობაც მათთვის უპრიანი და ალალიც იქნებაო.

და ეს სიტყვები ეკუთვნის სწორედ იმ პიროვნებას, რომელიც ასეთი ზარზიმიით შეხვდა ვაჟა-ფშაველას გამოჩენას ქართული მწერლობის დიდ ასპარეზზე.

\*\*\*

ილიას ყოვლისმომცველი და ჩაღრმავებული ბიოგრაფია ჯერ კიდევ ელის თავის ავტორს, თუმცა ზოგი ძირითადი შტრიხი მისი პიროვნული თვისებებისა, ასე თუ ისე, მაინც არის ცნობილი. იყო  
280



მკაცრი სწავთა საქციელის შეფასებისას, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყველაფერს. საქმე ის არის, რომ, როგორც ეს დიდბუნებოვანთა წესია, ილია საკუთარი თავის მიმართაც ასევე მომთხოვნი და კრიტიკული იყო.

დრომ განამტკიცა და ილიამ, რაც მისთვის აგრე რიგად დამანა-სიათებელია, აშკარად გადასინჯა თავისი უმკაცრესი პოზიცია ძველი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის მიმართ. რად ღირს მართო მისი პირუთენელი სიტყვა თავისი მოღვაწეობის მომდევნო პერიოდში თვით გრიგოლ ორბელიანის პოეზიაზე ან კი მისი გამოსათხოვარი სიტყვა თქმული დიდი წინამორბედის გარდაცვალების გამო: გრიგოლ ორბელიანი ილიას აღიარებით „იყო თვითმპყრობელი ჩვენი ქართული ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენი სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ — სასობით მისი მსმენელი“. ილიამ, ჯერად იცოდა, რომ ზემონათქვამ სიტყვებს გაფაციცებით უგდებდა ყურს მთელი საქართველო და მისი ალლოც, როგორც ყოველთვის. ახლაც უცთომელი აღმოჩნდა.

მაგრამ, რაც უმთავრესია, იგი ასეთივე კრიტიკული იყო საკუთარი შემოქმედების მიმართ და უდრტიწველად იღებდა მართალ შენიშვნებს, თუნდაც იგი მისი ლიტერატურული „მტრების“ ბანაკიდან ყოფილიყო გამოსროლილი.

„ოთარაანთ ეკრივისა“ და „აჩრდილის“ ავტორი პირველი ნოქართულე და მშობლიური ენის შეუპოვარი დამცველი იყო. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ მის პირველ, სიკაბუქისდროინდელ ლექსებში აჭა-იქ გაპარულია დაუხევეწავი ფრაზა ან ქართულისათვის უცხო კონსტრუქცია (რაშიც, ჩემის აზრით, გარკვეული როლი ითამაშა ამ წლებში პოეტის მშობლიური გარემოდან მოწყვეტამაც). ეს შენიშნეს და არ აპატიეს კიდევ მისმა მოპაექრებმა „მამათა“ ბანაკიდან. თვით ილიასგან ასე სამართლიანად განქიქებული გიორგი ბარათაშვილი შენიშნავდა საპასუხო წერილში: „ელეგიაში“ უფალი ჰავჰავაძე ამბობს: „როსლა გვექნება ჩვენ გაღვიძება“. უთუოდ, ხუმრობით მოსვლია ასეთი ლექსი, თორემ განა თვითონ უფალმა ჰავჰავაძემ არ იცის, რომ არ ითქმება „გვექნება გაღვიძება“ და უნდა იყოს „როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება?“

ილიამ არამც თუ ყურად ილო ეს შენიშვნა, არამედ მომდევნო ჰუმბლიკაციებში გაასწორა იგი და რაც საგულისხმოა, გაასწორა თითქმის ისე, როგორც ამას სთავაზობდა მისივე რეცენზენტი: „ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ ამ გასწორების შემდეგ მხატვრული თვალსაზრისით ილიას დიდებული „ელეგია“ კიდევ უფრო უზადო შეიქნა.

ილია არც თვით ბარბარე ჯორჯაძის განაწყენებული წერილის კილოს მოერიდა და ცნობილ ლექსში „გაზაფხული“ უხერხული ფრაზა „ტყეის ესნმება ფოთოლი“ გაასწორა ისე, როგორც მას დღეს იც-

ნობს ყოველი ჩვენთაგანი: „ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალი ჰყევის...“

მართლაც, როგორ არა ჰკავს ასეთ დროს დიდი პოეტი ზოგიერთ მის თანამოკალმეს, რომელთა შეუუალობა მათივე უმწეობის ერთადერთი იარაღია.

ქვემოთ, ჩვენ საგანგებოდ გვინდა შევეხოთ „განდეგილის“ ერთ უცნობ ლიტერატურულ წყაროს. მაგრამ სწორედ „განდეგილთან“ ლაკავშირებით კიდევ ერთხელ გვინდა გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი პოემის შექმნის ისტორიიდან, რომელიც, ამასთან, დიდი პოეტის თავმდაბლური დამოკიდებულების ზემონათქვამ ფაქტებს ეხმიანება.

როგორც ცნობილია, ილია თავის მნიშვნელოვან თხზულებებს, მას ეს წესად ჰქონდა დათქმული, წინასწარ კითხულობდა ხოლმე მეგობართა წრეში, უკითხავდა მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეთა და, როგორც გადმოგვცემენ, ეს კითხვაც ერთ რამედ ღირდა. ეს იყო თურმე, მართლაც, ნიმუში ქართული მეტყველებისა და, ამ შემთხვევაშიც ილია როგორც ლექსის, ისე პროზის კითხვისას შეუდარებელი ყოფილა.

გამოქვეყნებამდე ანალოგიური გზა განვლო ილიას დიდებულმა „განდეგილმაც“, მაგრამ უმჯობესია, აქ სიტყვა მივცეთ ილიასავე განუყრელ თანამშრომელსა და ერთ-ერთ პირველ ბიოგრაფს გიგა ყიფშიძეს: „საზოგადო და საყურნალო მოღვაწეობით გართულმა ილიამ. — გვიამბობს მოგონების ავტორი, — უკლო მგონსობას, პატარ-პატარა ლექსების შექმნას, მაგრამ სამაგიეროდ მის გულის სიღრმეში ჰღვივოდა თურმე ამ დროს თესლი იმ ნაწარმოებისა, რომელიც ილიამ შესძღვნა თავის ქვეყანას 1882 წელს.

ეგ ნაწარმოებია „განდეგილი“, რომლის თითქმის შობასაც ვუცქირე და ნათლობასაც დავესწარი. დილა იყო, როცა მივედი ივანე მაჩაბელთან ერთად ილიასთან სახლში საქმეების გამო (აქვე იყო მოთავსებული „ივერიის“ რედაქცია — ს. ც.) დავიწყე ერთი პოემა და არ ვეცი. როგორი გამოვა. გვითხრა ილიამ, საქმეების გათავების შემდეგ და წაგვიკითხა პირველი ხანა; მეტი არა ჰქონდა ჯერ დაწერილი. დიდებული სურათი თოვლიან-ყინულიანი მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლემის მონასტრისა თვალ-წინ წარმომიდგა. თითქოს თავ-ბრუ დამეხსნა. გამოვყეყედი და თითქმის ველარა გავიგე-რა იმისი, რაც გვიამბო იმ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო შემდეგ პოემის დასათავებლად.

„განდეგილი“ დამთავრდა და წაკითხულ იქმნა განსვენებულ დავით სარაჯიშვილის სახლში, — განაგრძობს შემდეგ ავტორი, — მაშინდელი ინტელიგენცია, მოყვარულნი მწერლობისა თითქმის სულ იქ იყვნენ. ილიამ კითხვა გაათავა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქო ეკითხება შეკრებილთ, რას ბრძანებთო.

თუ ხსოვნა არ მღალატობს, წამოდგა ი. მ-ა, ცნობილი მოყვარული ქართულის მწერლობისა და სტყვა აღტაცებით: მშვენიერია, ილია, 282

მშენებელი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერა ვხედავ. თვით განდევნილის სურათს. მისი გარეგნობის აღწერას. მის პორტრეტსაო.

გაიმართა საუბარი, კამათი...

ილიამ დაბეჭდა თავისი პოემა „ივერიაში“ 1882 წელს, თებერვლის ნომერში და შიგ გაჩნდა მეხუთე ხანად აღწერა განდევნილის სურათისა: „არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა. ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი სულ სხვა მსოფლიოს შეჭხიზნებოდა. სახე გამხდარი, კუშტი და მწყვრალი სიწმინდის მადლით დაძმვენებოდა. და მალალს შებლსა. ნაოჰად შეკრულს. შარავანდედი გადაჰვენოდა...“

აქვე დავძენ, რომ შენიშვნის ავტორი, რომელიც გიგა ყიფშიძეს ინიციალებით აღუწესხავს, იყო ცნობილი ქართველი მწერალი და ლტერატორი. ილიას დიდი ნიჭის უსაზღვროდ თაყვანისმცემელი იონა მეუნარგია. აღსანიშნავია ისიც, რომ „განდევნილის“ გარშემო პირველი კრიტიკული წერილი იმავე 1883 წელს ბეჭდურად გამოაქვეყნა სწორედ იონა მეუნარგიამ და პოემის მხატვრულ ადგილთაგან ზემოთკითხილებული ნაწყვეტიც აღნიშნა.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის. რომ როგორც ცნობილი ვახდა. დიდი ილიამ. მართლაც. ყურად ილო მეგობარი თანამოკალმის შენიშვნა და ახალი თავი, რომლის ერთი ნაწყვეტიც ზემოთ მოვიტანეთ, დაუმატა კიდევ პოემის დასაბეჭდად მომზადებულ ვარიანტს. დაუმატა. მაგრამ არა ისეთი სახით. როგორც ეს. ალბათ. წარმოედგინა თვით შენიშვნის ავტორს. ეს მაინც არ არის პლასტიკური ხერხებით ნაწერი რეალისტური პორტრეტი მეუდაბნოე მწიროსა. ასეთი პორტრეტი. ჩვენის აზრით, აშკარად სტილურ აღრევას შეიტანდა მთელი პოემის არქიტექტონიკაში, რომელიც ითვალისწინებდა შუა საუკუნეთა ამ ტიპის თხზულებათა მყარ ტრადიციას. პოემაში სიმძიმის ცენტრი. ხოლო ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს დიდი პოეტის უტყუარ მხატვრულ აღლოზე. გადატანილია სულიერ მოძრაობებზე. მინიშნებებზე და მეუდაბნოეს პორტრეტიც, ფაქტიურად, მსგავსი ხერხითაა შესრულებული. გავისხენოთ თუნდაც გიორგი მერჩულეს თხზულებიდან ანალოგიური სტილით ნაწერი გრიგოლ ხანძთელის პორტრეტი. რომელიც მაინც-დამაინც სულიერ სიქველეს უფრო გამმოგვეცმს და არა გმირის დეტალურად აღწერილ გარეგნობას („იყო ხილვითა დიდ. ხორციითა თხელ. ჰასაკითა სრულ. ყოვლადკეთილ, სრულიად გუამითა მრთელ“).

რაც შეეხება თვით იმ უნივერსალურ იდეას. როგორც ითქვა და რაც საფუძვლად უდევს „განდევნილს“. ილია სიჭაბუკის წლებიდანვე ატარებდა და აკი სცადა კიდევ ადრევე მისი მხატვრული განხორციელება. მე აქ. რასაკვირველია. პირველ რიგში ვგულისხმობ მის „მგზავრის წერილებს“. მყინვარისა და თურგის მხატვრულ სახეთა შორის აშკარად გამოსჩანს ამ იდეის ხორცშესხმის პირველი ნაბიჯები.

მაგრამ გავიდა წლები. შემოქმედებითი სიმწიფის ეჟამის დადგომასთან ერთად, ილია კიდევ უფრო ღრმად დაეწაფა ძველ ქართულ

მწერლობას, კერძოდ კი ქრისტიანულ სასულიერო კულტურას, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო ახლო გაეცნო აღნიშნული თემის დამუშავების არაერთ ცდას მსოფლიო ლიტერატურაში (რაც აღნიშნულია კიდევ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში), და როგორც ჩანს, მის მხატვრულ წარმოსახვაში თანდათან იკვეთებოდა ცხოვრებასთან გამოკიდებულების საკუთარი კონცეფცია, რომელსაც მხატვრული არსებობის უფლება სწორედ მის ახალ პოემაში უნდა შეეძინა.

ტანჯვითა და სიებით აღსავსე იყო ეს წლები, რომელსაც შემოქმედი „ვანდეგილის“ გასრულებამდე უნდა მიეყვანა. თითოეული ეპიზოდის მოფიქრებას. ცალკეული ფრაზისა თუ სიტყვის შემოტანას უმკაცრესი სტილით ნაწერ მხატვრულ ქსოვილში, როგორც ეს თვით თხზულების შემოქმედებითი ისტორიიდანაც ჩანს, ალბათ, პოეტი არაერთ უძილო ღამეს უძღვნიდა.

შორს რომ არ წავიდეთ. ამაზე მეტყველებს დაკვირვება თვით ჰომერის სათაურზეც. რომელიც რამდენიმე ვარიანტითაა ცნობილი. პირველი განზრახვით ჰომერის სათაური წარმოდგენილი იყო „მეუღლებნოს“ სახით. რომელიც შემდეგ დედანშივე გადაუხაზავს და სათაურად მისთვის „ბეთლემი“ შეურჩევია. როგორც ჩანს. ორივე ეს ვარიანტი ძალზე ზოგადი შინაარსის მქონედ მოსჩვენებია და მის ცნობიერებაში, ალბათ. ისევ და ისევ ძველი ქართული სიტყვის საბადოების მოძიების შედეგად ამოტივტივებულა უფრო კონკრეტული შინაარსის მქონე სიტყვა „ვანდეგილი“.

მაგრამ აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც. იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენ დღესდღეობით მოგვეპოვება, ასეთი ფორმით იმ სიტყვას ძველი ქართული მწერლობა არ იცნობს. მაგრამ ძველი ქართული ძეგლების გაცნობა გვიდასტურებს, რომ ანალოგიურ შინაარსს გამოხატავს შუა საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული სიტყვა „ვანდგომილი“. იგი ნაწარმოებია სიტყვიდან „ვანდგომა“ და ნიშნავს განცალკევებულს, განყენებულს, განშორებულს (დაწვრ. იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი). „ვანდეგილის“ ფორმით ამ სიტყვას არ იცნობს თვით საბაც, რომელიც შედარებით ახალი ქართულის ფაქტებსაც ასახავს თავის „სიტყვის კონაში“ (იხ. ვანდგომა — გაცლა. ვანდგომილი — ვაცლილი):

როცა ამ სიტყვით „ვანდეგილი“ დავინტერესდი და უიმედოდ ვეძებდი ძველი ქართული მწერლობის მასალებში (მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის უმდიდრეს კარტოტეკაში). ამ ფაქტმა ჩემი ისეთივე განცვიფრება გამოიწვია, როგორც ერთ დროს იმის აღმოჩენამ, რომ, მაგალითად, რუსთველი არ იცნობს და არც ერთხელ არ იყენებს ისეთ სიტყვას, როგორცაა „მეგობარი“ ან „მეგობრობა“. თუმცა ეს სიტყვა დადასტურებულა თვით უძველეს ქართულ ძეგლებშიც კი. (რამდენი წერილი და წიგნი კი დაწერილა რუსთველის მიერ აღწერილ. მართლაც. შეუდარებელ მეგობრობაზე? და რამდენადაც ვიცი არც ერთხელ კი არავის აღუ-

ნიშნავს, რომ ასეთ სიტყვას თვით „ვეფ-ისტყაოსანი“ თურმე საერთოდ არ იცნობს).

ხოლო რაც შეეხება ფორმას „განდეგილი“, იგი ფაქტიურად ნეოლოგიზმის ტიპის სიტყვაა და ძველ-ქართულ „განდგომილის“ საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული. იგი მე-19 საუკუნის შუა წლებიდან დასტურდება კანტიკუნტად და, როგორც ჩანს, სწორედ ილიას დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა, რომ იგი ძველ-ქართული „განდგომილის“ ნაცვლად ასე ფუნდამენტურად დამკვიდრდა თანამედროვე ქართულ მეტყველებაში.

\*\*\*

მგონი ფლობერს მიეკუთვნება ხატოვანი თქმა, რომ დაბადების პროცესში მყოფი ქმნილებისათვის მიღებული პირველი მარჯვე ფრაზა მწერლური გამარჯვების ნახევრის ტოლფასი მინც არისო. გიგა ყიფშიძის ზემოთმოტანილი მოგონებიდან სხვათა შორის მშვენიერად ჩანს ისიც, თუ „განდეგილის“ წერისას როგორ ემზადებოდა პოეტი ასეთი ნახტომისათვის და თავის მეგობრებს როგორ გაანდობოლომდე, თუმცა მოფიქრებული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუწერელი პოემის პირველი ფრაზები: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი. არწიენი ვერ შეპნებიან, სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი. მზისგან აროდეს არა დნებიან, სად უდაბურსა მას მყუდროებას კაცთ ჟრიაშული ვერ შესწვდენია, სად მეუფება ქექა-ქუხილსა, ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია“.

პოემის პირველ სტრიქონებს, რომლებიც სამუდამოდ არიან აღბეჭდილნი ქართველი კაცის ცნობიერებაში. გიგა ყიფშიძესთან ერთად, უსმენდა ისეთი დიდი მესაიდუმლე ქართული სიტყვისა. როგორც ივანე მაჩაბელი იყო. მათი აღტაცება დასტური იყო იმისა, რომ ჩასაფქრის მომავალი ხორცშესხმის გზაზე ერთი მთავარი ციხე-კოშკი ძირს იყო გართმული.

\*\*\*

ხოლო იმის დასტურად, რომ დიდი ილია წლების მანძილზე. მართლაც ეძიებდა, ამუშავებდა ძველ-ქართულ ძეგლებს. დიდსა თუ მცირეს, რათა შესაფერი კილო თუ გამოთქმა შეერჩია პოემის წერისას. მკითხველს მინდა გაეუზიარო ერთი დაკვირვება თვით პოემის ლიტერატურული წყაროების ისტორიიდან.

ძველ-ქართულ მწერლობაში არის ერთი ნაკლებად ცნობილი თხზულება, რომელიც სამოგზაურო ჟანრს განეკუთვნება. მისი სახელწოდებაა „მცირე ანდერძი“, ხოლო ავტორია ქართულ მწერლობაში ასევე ნაკლებად ცნობილი პიროვნება გაბრიელ გელოვანი.

თხზულების ავტორი თან ახლდა ვახტანგ მეექვსეს, როცა იგი

მრავალრიცხოვანი ამალით კავკასიონის უღელტეხილის გავლით რაჭიდან რუსეთისაკენ დაიძრა. ოტია ფავლენიშვილის „ვახტანგთან“ ერთად გაბრიელ გელოვანის „მცირე ანდერჰი“, რომელშიც აღწერილია ვახტანგის მიერ განვლილი ფათერაკებით აღსავსე გზა რაჭიდან ასტრახანამდე, არის თითქმის ერთადერთი საიმედო წყარო, რომელმაც შემოგვინახა ქართული ისტორიული ცხოვრების ეს ღირსშესანიშნავი, თუმცა ტრაგიკული მოგზაურობის ამბები.

ჩვენთვის კი ამჯერად მთავარი ის არის, რომ ზვიადი კავკასიონის შეუპოვარი ბუნებით განცვიფრებული ავტორი აღწერს, თუ როგორ შეუდგა ვახტანგის მრავალრიცხოვანი ამალა (რომელთა შორის მრავლად იყვნენ ქალები და ბავშვები) კავკასიონის ერთ-ერთ უღელტეხილს: „მაშინ აღდგა მეფე და განვლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მალალსა კავკასიონისასა მსგავსსა ჯოჯოხეთისასა, სადაცა იყო ჟურღმული მრავალი გამომდინარე თოვლითა და ყინულთაგან, ესრეთ ძნიად განსასვლელიყო კაცთათვის. უკუეთუ მთავარდნილ იყოს ქვესკნელსა მას შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბნი, გინა არწივი, მასცა ვერღა ეძღმუნით აღმოსვლად, არცაღა თუ ესოდნთა ურიცხეთა დედაწულთა“.

და აი, თითქოს იბადება კიდევ „განდეგილის“ პირველი სტრიქონები, რომლებიც მალალი შემოქმედებითი წარმოსახვით გვინატავს კავკასიონის ზეცამდე ატყორცნილი ყინულეთის მარადიულ სამეფოს: „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან, სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი, მზისგან აროდეს არა დნებიან“...

მაგრამ იქნებ ეს შემთხვევითი შეხვედრაა, რომელიც თვით კავკასიონის უშუალო ხილვის დროს დაიბადა (ილიაც ხომ ხშირი სტუმარი იყო ხევის პატარბლისა, როცა იგი ამ გზით მოგზაურობდა რუსეთსა და საქართველოს შორის).

მაგრამ ფრაზა „ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან“ ვფიქრობ გამოცხავს ამ შესაძლებლობას. გამოცხავს მას აგრეთვე ერთი უტყუარი ფაქტი, რომელიც, ჩემის აზრით, გადამწყვეტია ასეთი ლიტერატურული შეხვედრის გენეზისის კვლევის დროს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე იცნობდა გაბრიელ გელოვანის ზემოაღნიშნულ თხზულებას. იგი პირველად თვით ილიასავე სანქციით დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ 1879 წელს. დიას, სწორედ „ივერიაში“, რომლის სულისჩამდგმელი და მთავარი რედაქტორი იყო თვით „განდეგილის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე. ფაქტია, რომ „მცირე ანდერჰის“ ზემოთმოტანილმა ფრაზებმა მისცეს ერთგვარი ბიძგი „განდეგილის“ რედაგვარ დასაწყის სიტყვებს, რომლებიც ასეთ პარალელებს ამკლავებენ გაბრიელ გელოვანის თხზულებასთან. (გაბრიელ გელოვანის აღნიშნული თხზულება ჩვენ დროს ხელმეორედ გამოაქვეყნა ს. ყუბანეი-

შვილმა წიგნში „დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში“. 1955 წ.).

ზემოთმოტანილი დაკვირვება, ჩემის აზრით, საგულისხმოა სხვა მხრითაც. იგი ცხადყოფს, რომ „აჩრდილისა“ და „განდევლის“ ავტორის შემოქმედებითი ინტერესის სფეროში მოქცეული იყო არა მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის უპირველესი ავტორები (ეს საკითხი დღესდღეობით შედარებით უკეთაა შესწავლილი). იგი აკვირდებოდა და შემოქმედებითად ითვისებდა თვით ისეთ უჩინო და უცნობ თხზულებებსაც, როგორცაა ამ შემთხვევაში გაბრიელ გელოვანის „მცირე ანდერძი“.

ამ მიმართულებითაც გაწეული მომავალი კვლევა-ძიება, ვინ იცის, რამდენ საგულისხმო ფაქტს წარმოაჩენს დიდი პოეტის თხზულებათა ლიტერატურული ისტორიიდან.

1982 წ

### ბ) „მრავალნი არიან ჩინებალ“...

ეს მცირე ეტიუდიც ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება. კერძოდ, კი მის დამოკიდებულებას ქართული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლის მიმართ, როგორცაა ბიბლიური ტექსტები. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ძველი და ახალი აღთქმის ქართულ თარგმანებს, რომელთა გარეშეც, მართლაც, წარმოუდგენელია ქართული შუა საუკუნეების სულიერ კულტურაზე რამდენიმე სერო-ზიული საუბარიც კი (თუმცა ასეთი რეციდივების არაერთი ფაქტი დადასტურებულია არც თუ შორეულ წარსულში).

ილია ჭავჭავაძის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ ნაწარმოებთა ერთი თვალის გადავლება უმაღლესად ცხადყოფს. თუ რა საფუძვლიანად და ღრმად იცნობდა დიდი ილია ძველ-ქართულ როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობას. ეს ფაქტი საგულისხმოა არამხოლოდ მწერლის კულტუროლოგიური პოზიციის გასარკვევად. არამედ ისეთი ფენომენის ჩამოყალიბების საქმეშიც. როგორცაა მწერლისათვის მხატვრული სიტყვა. ილიას უზადო ქართულის ცოცხალი სალაპარაკო მეტყველება და დიდი მწიგნობრული ტრადიციები ჰკვებავდა. ყოველივე ეს კი დიდად განაპირობა იმანაც, რომ იგი სიყმაწვილიდანვე ეზიარა განათლების ისეთ ფორმას, რომელიც სასულიერო წიგნების შესწავლას ემყარებოდა. ილიას პირველი აღმზრდელი მისივე სოფლის მთავარი იყო, რომელსაც მწერალი ნიდაგ ასეთი სიყვარულით იგონებდა (ფიქრობენ, მაგალითად, რომ იგია სწორედ ერთ-ერთი პროტოტიპი მღვდლის დიდებული სახისა „გლახის ნაამბობში“).

„ეს გარემოება თუა, სხვათა შორის, მიზეზი იმისა, — იგონებს

მწერლის ერთ-ერთი ბიოგრაფი. — რომ ილიას თითქმის მოხუცებულობამდე შერჩა სიყვარული საღმთო წერილის კითხვისა, მისის ქართულის ენაშჩიანობისა და სიღრმე-ძალისა. აგრეთვე სახარების კარგის, კილოიანის კითხვისა ეკლესიაში. ილია იმ აზრს ადგა, რომ ქართულის ღრმად და ყოველმხრივი შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა კითხვა საღმრთო წიგნებისა. ცოდნა ძველის ქართულისა. ქართულს ის შეისწავლის საფუძვლიანად. ვინც ხშირად კითხულობს საღმრთო წერილის წიგნებს, კითხულობს შეგნებით და უყვირდება ძველის ქართულის საგრამატიკო ფორმებს. მის მიმოხედასა, სინტაქსისსაო. თვითონაც ხშირად კითხულობდა ძველ ქართულ წიგნებს. სახარება-სამოციქულოს და მოსმენაც უყვარდა ეკლესიაში მათის წაკითხვისა. ისე აღდგომა არ გათენდებოდა თითქმის. რომ ვანსაკუთრებული გულისძებრა არ აშლოდა და არ მოენდომებინა ეკლესიაში წასვლა. უფრო-კი სახარების კითხვის მოსასმენად.

აქ ცხადად სჩანს ის გავლენა, ის ღრმა შთაბეჭდილება ყმაწვილობისა, რომელიც დაუტოვებია ილიას ნორჩ გულში საეკლესიო წიგნების კარგის კითხვით სახელგანთქმულს მთავარსა“.

ბავშვობის წლებიდანვე აღმოცენებული ეს დიდი სიყვარული ილიამ შეზღვევში ორი მიმართულებით წარმართა. როგორც მოღვაწემ მან დიდი ამაგი დასდო ძველი ქართული კულტურის გამომზეურებისა და შესწავლის საქმეს. ეროვნული თვითმყოფობისათვის უთანასწორო ბრძოლაში გარდასულ საუკუნეთა მწერლობა მას უპირველეს მოკავშირედ ეგულებოდა.

ხოლო როგორც პოეტი და მოაზროვნე. ამავე მწერლობაში ჰპოვებდა იგი შთაგონების უშრეტ წყაროს.

საპირობისამებრ, ასევე ხშირად მიმართავდა ილია ქართული ბიბლიური წიგნების ტექსტებს და საკუთარ თხზულებებში ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა მათ (ამ მხრივ მართო „აჩრდილის“ ლიტერატურულ წყაროებზე დაკვირვება იქნებოდა საკმარისი).

მაგრამ ასეთი თვალსაზრისით პოეტის მემკვიდრეობის შესწავლამ გამოაილინა აღნიშნული ტექსტებისადმი მისეული დამოკიდებულების ერთი დამაფიქრებელი თავისებურება, რაზეც ქვემოთ გვიქნება საუბარი.

გამოირკვა, მაგალითად, რომ რივ შემთხვევაში ილიას ახალ ქართულზე გადმოჰქონდა მანამდე ძველი რედაქციებით ცნობილი ბიბლიური ტექსტები, რაზედაც, როგორც ჩანს, მწერალს საკუთარი პოზიცია ჰქონდა შემუშავებული.

მოვიტან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. გადმოგვცემენ, რომ ილიას ხშირად უყვარდა ხოლმე და მისი გავლენით მასვე იმეორებდნენ მისივე ახლობელი თანამოკალმენიც, სახარების ერთი შეგონების გაქსენება. საქმე ეხება ისეთ პირთ, რომლებიც ეწვევიან ხოლმე ისეთი სახით მოღვაწეობას, რაც მათი ჰეშმარიტი მოწოდება არ არის. თავის ცნობილ წერილში „შინაურ საქმეთა გამო“ (1888 წ.) ილია ეხება, მი-



სი სიტყვით ზოგიერთ უჩეირო კალმოსანს, და აღნიშნავს, რომ „მრავალნი არიან წვეულ და მხოლოდ მცირედნი რჩეულ“.

ეს ფრაზა. არც მტკიცე არც ნაკლები. არის ციტატა მათეს სახარებიდან (შდრ. 20, 16 და 20, 14).

მაგრამ შედარება ცუდად გამოდის. ხოლო ეს არის ამ შემთხვევაში საგულისხმო. რომ აღნიშნული ადგილი სხვაგვარად იკითხება სახარების ძველ-ქართულ კანონიკურ ტექსტებში. მართლაც, სახარების გიორგი მთაწმინდელისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (შდრ. ეგვე ადგილი სახარების უფრო ძველ. აღიშნისა და ჯრღ-პარსლის. რედაქციებში: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“...).

ილიას დაფიქრება. ყველაფრიდან ჩანს, გამოუწვევია სიტყვას „ჩინებული“. სხვა მარცხ. როგორც ენახეთ, ციტატა ზუსტადაა მოხმობილი.

„ჩინებული“ დღეს გავრცელებული სიტყვაა და თანამედროვე ქართულით ნიშნავს შესანიშნავს, დიდებულს, საუცხოოს (შდრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი). როგორც ვხედავთ, თუ ამ მნიშვნელობას დავუბრუნებ მას, იგი სავსებით უარყოფს ზემოთ-მოტანილ კონტექსტს და ფაქტიურად უაზრობა გამოდის (ე. ი. მრავალნი არიან დიდებულნი. ხოლო მცირედნი რჩეულ!!!).

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ სიტყვას, ისევე, როგორც არაერთ ძველ ქართულ სიტყვასა თუ გამოთქმას, დროთა მანძილზე შინაარსი შეცვლია და შეუსაბამობაც აქედან მოდის.

რაც შეეხება ძველ ქართულს, აქ „ჩინება“ წვევას, დაძახებას, ხოლო „ჩინებულება“ წვევას, მოპატიებას ნიშნავს. (იხ. ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი, შდრ. საბა: „ჩინებუ-ლი — ესე არს რომლისა ბრძანება აქუნდეს დარბაზს მოსვლისა“). ასეთი გაგებით კი ეს სიტყვა, როგორც ვხედავთ. სავსებით ეგუება ზემოთმოტანილ კონტექსტს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მრავალ წვეულთა შორის მხოლოდ მცირედი თუა რჩეული და ღირსეული. შდრ. აგრეთვე ამავე ადგილის რუსული ტექსტი სახარებიდან («Есть много званных, а мало избранных»).

ზემოთ მოტანილ უსერხულობათა გამო, როგორც ჩანს, ილიას შეუცვლია აღნიშნული ადგილის ტრადიციული ტექსტი და ფაქტიურად მოუცია მისი ისეთი თარგმანი, რომელიც გასაგები და ახლობელი იქნებოდა თანამედროვე მკითხველისათვის, ე. ი. „მრავალნი არიან წვეულ, ხოლო მცირეოდენი რჩეული“.

ასევე საკუთარი რედაქციითაა ილიასთან წარმოდგენილი ცნობილი შეგონება მათეს სახარებიდან: „მოდით მაშვრალნი და ტანჯულნი და მე განგისვენებთ თქვენ“. შდრ. ანალოგიური ადგილი გიორგი ათონელის კანონიკურ ტექსტიდან: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისუენოთ თქვენ“ (მათ. 11, 12). ილიას :9. ს. ცაივილი

არამართო შეუცვლია თანამედროვე მკითხველისათვის ნაკლებად გასაგები სიტყვა „ტვირთმძიმე“ სიტყვით „ტანჯული“, არამედ მიუწართავს ზმნურ ფორმათა თანამედროვე წარმოებისათვის (მოვედით = მოდით, განგისუენოთ = განგისვენებით და ა. შ.).

ასეთი მაგალითების გამრავლება ილიას ნაწერებიდან კვლავაც შეიძლება, მაგრამ იგი არსებითად სურათს ვეღარ შეცვლის. ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძეს სავსებით დასაშვებად მიაჩნდა ძველი ბიბლიური ტექსტების გათანამედროვეულობა და ამას საჭიროების შემთხვევაში თვითონვე ახორციელებდა კიდევ. როგორც ჩანს. იგი ითვალისწინებდა სხვა ენებზე არსებული ბიბლიური ტექსტების მოდერნიზაციის მისი დროისთვის უკვე საკმაოდ დაკანონებულ პრაქტიკასაც. ბიბლიურ წიგნებში შემონახული ენციკლოპედიური ცოდნის საყოველთაო გავრცელებისათვის ასეთი გზა. დიდი ილიას აზრით, საჭირო და მეტად პერსპექტიული ჩანდა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს საკითხი ჩვენში დღესაც აქტუალურ საკითხთა რიგში დგას. ბიბლიური კანონიკური ტექსტების მეცნიერულ გამოცემასთან ერთად. რომელიც ბოლო წლებში ასეთი ინტენსიურობით მიმდინარეობს (საკმარისია, აქ ბიბლიის მცხეთური ხელნაწერის ახალი გამოცემის განსენება). ალბათ. უფრო მწვავედ დადგება ამავე ტექსტების თანამედროვე ქართულზე გარდაქმნის საჭიროებაც. რის პირველი ნაბიჯებიც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უკვე გადაიდგა კიდევ. ვფიქრობ, დიდი ილიას პოზიციისა და მის მიერვე ჩატარებული მუშაობის შედეგების გათვალისწინება მხოლოდ სარგებლობას მოუტანს ამ საშეილიშვილო საქმის ღირსეულად გასრულებას.

1982წ.

დ) ილია ჭავჭავაძე და გეორგ ბრანდესი

(რამდენიმე შენიშვნა და პარალელი)

„მათ ხელში ობლად კანკალებს ზეთი მწუხარე ლანდათ.“

გარეთ ქარი ჰქრის, არ არის ბელი.  
დააგვიანდათ“.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ყოველი მნიშვნელოვანი საზრისი კონკრეტულ ისტორიულ მოვლენათა ანალიზს ემყარება. მაგრამ იგი მაინც უქმარი დარჩება. თუ მას დვრიტად უნივერსალური სიდიდეები არ დაედება. მხოლოდ ასეთ გაუთიშველ ერთობლიობაზე დამყარებული კონცეფციები გამოხატავენ დროის მოთხოვნას და მათ არც სამომავლოდ გაუდით ყავლი...

დიდ ქართველ მოაზროვნეთაგან ილია ჭავჭავაძე სწორედ იმ რჩე-

ულთაგანია, რომელიც მსოლოდ და მხოლოდ ასეთი ფართო თვალთახედვით ჰვრეტდა საკუთარი ქვეყნის წარსულსა და მომავალს.

მას საქართველო იოტის წამისად არ ჰქონდა წარმოდგენილი რაღაც განკერძოებულ კუნძულად. მსოფლიო ისტორიის ძალთა კვებებაში ცდილობდა აშოეცნო. თუ რა შინაგანი ძალების დაძაბვით შეძლო ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე გადაეჩინა საკუთარი არსებობა, კულტურა, ენა... ან რა ობტიმალური გზა უნდა გამოენახა, რათა არ ჩამორჩენოდა ახალი ნაპირებისაკენ დაძრულ მსოფლიოს სხვა მოწინავე ერებს.

მთელი მისი შემოქმედება, პრაქტიკული მოღვაწეობა ამ კარდინალური კითხვებისაკენ იყო მიმართული.

•••

ის, რაც დღეს უნდა ითქვას. ხვალ მისი თუნდაც მკვერმეტყველური ლაღადისი ღია კარების მტვრევაა მხოლოდ. ილიას დიადი გონების უპირველესი შარავანდელი იმითაც ბრწყინავს. რომ მან წინათვე იგრძნო არა მარტო ის, თუ რა უნდა ეთქვა. არამედ როდის უნდა შემდგარიყო მაღალ სამრეკლოზე, რათა საღათას შემპარავი ძილიდან ეხსენა საკუთარი ხალხი. მან ზუსტად. თავის დროზე ჩამოჰკრა ზარი და ერის მეთაურის გუმანით განსკვრიტა კიდევ. თუ ვის უხმობდა იგი.

ილიას კარგად ჰქონდა გათავისებული ძველთაძველი შეგონება სიძისა და ათი ქალწულის მოლოდინის შესახებ, რომელიც მარადიულ მზადყოფნაზე მიგვანიშნებს.

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“ — ჩამქრალი ლამპრით მოსულთ სასუფეველის კარი მტკიცედ აქვთ დახშული. სულიერი აღორძინების გარეშე მართლაც ფუჰია ყოველგვარი ძალისხმევა.

დიადი წუთის მოლოდინში თვით ერი უნდა იყოს მზად, ერთიანობის ურყევი ძაფებით შეკავშირებული. რადგან „ვაი იმ ხალხს, რომელსაც სერთო ძარღვი გაუწყდა. საცა სერთო ძარღვში სისხლი გაუშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა. საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის. საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი“.

ილიას ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ურყევი ჰეშმარიტება, რომ თავისუფლება გამოცხადების სასწაულივით როდი მოეკვინება „მშვირთ“ და „მწყურვალთ“.

ამისათვის ბრძოლა და ნიადაგ მზადყოფნაა საჭირო.

იმედთან ერთად ყოვლისმომცველი შიშიც არ ტოვებდა ნიადაგ ერის წინამძღოლს. ყველაფერი უნდა ეღონათ. რათა ისტორიული ცხოვრების ახალ მიჯნაზე ქართველი ხალხი სულიერი აღორძინების დიადი მოძრაობით ყოფილიყო განმტკიცებული.

ქართველი ხალხის დიდი შემოქმედებითი ენერგია კი ამ დროს თითქოსდა მთვლემარე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ერთმორწმუნე

რუსეთთან დაკავშირება. რითაც ქართველი ხალხი გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველა პრობლემის მოგვარებას. კულტურული თვითმყოფობის საფუძველზე მას საკუთარი გზების ძიება მართებდა, მაგრამ მიძინებული ეროვნული გრძნობის ფონზე თითქოს აღარც ჩანდა ხვალინდელი დღის პერსპექტივა. მიმბაძველობისა და პროვინციალიზმის მძიმე სნეულება სულიერი და ზნეობრივი ვადგავარებისაკენ ეზიდებოდა ქართველ ხალხს.

საჭირო იყო უდიდესი თავგამოდება, უშრეტეი ენერგია, რომ ქართველ ხალხს თავისი ისტორიული ცხოვრების ახალი დიდი მიჯნა გადაეღებინა.

ეს სასწაული. მართლაც. გაცხადდა. ხოლო მის პირველ მეკვლედ და სულის ჩამდგმელად ჩვენ ხალხს სწორედ ილია ჭავჭავაძე მოევიწყა.

„XIX საუკუნეში. როცა ქართველ ერს პოლიტიკური დამოუკიდებლობა აღარ ჰქონდა, დიდმა ქართველმა მწერლებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ეროვნული გემის მესაჭეობა იკისრეს ქარიშხლიან ზღვაზე. მათ ძალიან ამაღლებული წარმოდგენა ჰქონდათ თავიანთ როლსა და მოვალეობაზე“ (გერონტი ქიქოძე).

ილია ჭავჭავაძის შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც გასხვიონებულია მიზანთა ერთობლიობით. მეტყველი მაგალითია მამულისათვის უანგარო თავდადებისა.

„ავგიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა“. ქართველი რომანტიკოსების ყველაზე ღირსეულმა მემკვიდრემ, ილია ჭავჭავაძემ უკვე სიჭაბუკის წლებიდანვე მტკიცედ განსაზღვრა ახალ ვითარებაში სამოქმედო პროგრამა და მძიმე ჯვარივით ზიდა იგი საკუთარი ცხოვრების გოლგოთას მთამდე.

მთელი ეს მოღვაწეობა კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი ტიპის განმანათლებლური იერით იყო აღბეჭდილი, ხოლო ეროვნული კონცეფციის მთავარი შენობა ქართველი ხალხის კულტურულ აღორძინებას ეყრდნობოდა.

ილიას ღრმა რწმენით, მხოლოდ კულტურული აღორძინების გზით იყო შესაძლებელი ეროვნული თვითმყოფობის დასაბუთება და ქვეყნის მომავალი პოლიტიკური ავტონომიისაკენ სწრაფვა. სწორედ ამიტომ ქართველი ერის აღორძინების ძნელად სავალ გზაზე მას ერთ უპირველეს მოკავშირედ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის წარმოჩენისათვის ბრძოლა და ისტორიული წარსულის შემეცნება მიაჩნდა.

ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება თუ პრაქტიკული მოღვაწეობა აღნიშნულ დებულებათა განმტკიცებისაკენ იყო მიმართული, ხოლო შედეგი თუ რამდენად გრანდიოზული აღმოჩნდა, ამაზე მსჯელობა აქ შორს წავიყვანდა.

ანლოვდება დიადი თარიღი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სრულდება 150 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან. ილიას დიადი აზრით განათებული მეგვიდრობა კვლავ და კვლავ ასალი ასპექტებით შესწავლას მოითხოვს.

ილიას როგორც სოციალური, ისე ეროვნული კონცეფციები თავისი დროისათვის ულტრათანამედროვე იყო. სოლო მათი ავტორი მოლიანად ითვალისწინებდა როგორც მსოფლიო, ისე რუსეთის მოაზროვნეთა უკეთეს მონაპოვართ.

ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნეს „ძლევა მოსილს“ უწოდებდა და მას მსოფლიო მასშტაბით ძირეულ გარდაქმნებს უკავშირებდა. უნივერსალურია ამ თვალსაზრისით იღუა ადამიანის გონების უძლეველობისა და რწმენა მარადიული პროგრესისა. რომლებიც აგრერიგად მსკვალავს მის როგორც მსატერულ. ისე პუბლიცისტურ ქმნილებებს.

ასევე სამაგალითო იყო ილიას ეროვნული კონცეფცია და აშკარად ეხმიანებოდა მსოფლიოში დაჩაგრული ხალხების უთანასწორო ბრძოლას სოციალური. ეროვნული და კულტურული აღორძინებისათვის.

როგორც ცნობილია, მსოფლიო მასშტაბით ამ დროისათვის არც საქართველო იყო გამონაკლისი და არც ილია ჭავჭავაძე იყო ერთადერთი საკუთარი ხალხის თვითმყოფობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

• • •

მცირერიცხოვან და დაჩაგრული ერების ისტორია სწორედ ამ ხანებში ბევრ ანალოგიას წარმოაჩენს, რომელთა ტიპოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა საგულისხმო მასალას გვაწვდის თვით მსგავსი ეროვნული კონცეფციების ბუნების გასაგებად.

წინამდებარე წერილში ამასთან, თუნდაც ორიოდ სიტყვით. მკითხველს მინდა გავახსენო ანალოგიური სურათი ეროვნული ბრძოლის ისტორიიდან, რომელიც საქართველოდან ძალზე შორეულ ქვეყანას ეხება და რომელსაც სხვებთან ერთად სათავეში ედგა ასევე გამოჩენილი მწერალი, მეცნიერი და თავისივე ქვეყნის აღორძინებისათვის მებრძოლი პიროვნება.

• • •

1894 წელი. პირველი თებერვალი, კოპენჰაგენი, დანიელი ახალგაზრდობის დიდ ფორუმზე სიტყვით გამოდის იმ დროს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე გეორგ ბრანდესი.

მაგრამ ვიდრე აღნიშნულ სიტყვას შევეხებოდეთ, აქ ორიოდ შენიშვნა თვით მის ავტორზე.

იგი წარმოშობით დანიიდან იყო, თუმცა სხვადასხვა დროს (პოლიტიკურ ვითარებათა გამო) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნებში.

აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ ბრანდესი ილია ჭავჭავაძეზე ოდნავ უმცროსი იყო (დაიბ. 1842 წელს) და იცოცხლა ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლომდე (1927 წ.).

თავისდროზე დიდად იყო გასმაურებული და დღესაც ერთ-ერთ მოქმედ წიგნებად ითვლება მისი მრავალტომიანი ნაშრომი „მე-19 საუკუნის ევროპული ლიტერატურის უმთავრესი მიმდინარეობები“. აღსანიშნავია მისი ჩინებული მონოგრაფიები შექსპირზე, გოეთეზე, ვოლტერზე, კირკეპარღზე, აგრეთვე რუსეთის ისეთ უპირველეს მწერლებზე, როგორცაა ტურგენევი, დოსტოვესკი, ტოლსტოი და მაქსიმ გორკი. მის სახელგანთქმულ ფსიქოლოგიურ-ბიოგრაფიულ პორტრეტებში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი სინთეზის სახით შერწყმულია კულტურის ისტორიკოსის იპოლიტ ტენისა და სენტ-ბევის ფსიქოლოგიზმის იმ ღრისათვის დიდი სიახლის შემცველი შემოქმედებითი ძიებები. მაღალმხატვრული სტილით შესრულებული მისი პორტრეტები მეტწილად ესეისტური ქანრის ბრწყინვალე ნიმუშებია.

გეორგ ბრანდესი ამასთან აშკარად გამოხატული დემოკრატიული მიმართულების მოღვაწე იყო და წლების მანძილზე იბრძოდა თავისი სამშობლოს, დანიის კულტურული აღორძინებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ამასთან თვალყურს ადევნებდა აგრეთვე სხვა. მცირერიცხოვანი ერების ისტორიულ ცხოვრებას და, როგორც პუბლიცისტი, არაერთხელ გამოსულა კიდეც მათ დასაცავად.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, როგორც ჩანს, ილია იცნობდა კიდეც მის ზოგაერთ ლიტერატურული ხასიათის ნაშრომს. მაგალითად, ილიას პირადი არქივის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მას დიდი ყურადღებით წაუკითხავს 1881 წელს რუსულად გამოცემული გეორგ ბრანდესის ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომი („უმთავრესი მიმართულებანი...“) და დაურთავს კიდეც ტიპოლოგიური ხასიათის შენიშვნები: ბენეამენ კონსტანის ელეონორა — თინათინი; დე-სტალის შემოქმედების განხილვასთან კი არის ასეთი მინაწერი — ავთანდილი და ნესტან-ტარგი — ლის გამარჯვება“ (იხ. თ. მაჭავარიანი, ი. ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკა, ბიბლიოგრაფიის მოამბე, 1948, №4—5; აგრეთვე, აღ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. VI, 1975, გვ. 278).

მაგრამ ამჯერად ჩვენთვის ყურადღების საგანია გეორგ ბრანდესის როგორც დემოკრატიული და ეროვნული მიმართულების მოღვაწის ევოლუცია, რომელიც აშკარა სიახლოვეს ამჟღავნებს ილია ჭავჭავაძის მერე შემუშავებულ ეროვნულ კონცეფციასთან, თუმცა ყველაფრიდან ჩანს ისიც, რომ ილია მათ არ იცნობდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ილიას ეროვნული თვალსაზრისი უკვე 60-იანი წლებიდან ყალიბ-

დებოდა, როგორც სამოქმედო პროგრამა, ხოლო ბრანდესის შემაჯამებული ხასიათის ნაშრომები ამავე საკითხზე მხოლოდ 90-იან წლებიდან ხდება ცნობილი.

მტკივნეული და ძიებებით აღვსილი გზა საკუთარი პიროვნების წეცნობიდან საზოგადოებრივ ამოცანათა გათავისებისაკენ, სხვათაშორის, შთამბეჭდავდაა გადმოცემული ბრანდესის ერთ-ერთი ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომში (იხ. ურნალი „რუსკაია მისლ“, 1907 წ. №5).

და ბოლოს, განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ქართველი მკითხველისათვის არც თუ ცნობილი გეორგ ბრანდესის ზეჰაიდნიშნული სიტყვა: „რა არის ნაციონალური გრძნობა“, რომელიც მის. როგორც ითქვა, წარმოუთქვამს 1894 წელს (რუსულად გამოცა ცალკე წიგნაკის სახით 1912 წელს ნიენი-ნოვგოროდში. აქვე შეგნიშნავთ, რომ იგი ჩვენ ვერ დავადასტურეთ რუსულ ენაზე გამოსულ მწერლის თხზულებათა კრებულებში).

\*\*\*

ვეორგ ბრანდესის ეს სიტყვა ორატორული ხელოვნების ნიმუშია და გამოირჩევა დიდი გზნებით.

ვიდრე არსებითად წარმოადგენდა ეროვნული გრძნობის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. მის მნიშვნელობას ერის თავისუფლებისა და კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში, იგი პირველ რიგში მსჯელობას აკებს თავისი ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების ანალიზზე. როგორც ცნობილია, მისი სამშობლო, დანია იმ ხანად პრუსიული რეჟიმის დამორჩენილი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

აქ ბევრი რამ არის საგულისხმო და აშკარად ეხმიანება ილიასეულ ეროვნულ თვალსაზრისს, როცა ხაზგასმულია, თუ რა სიკეთე მოაქვს ანუ პიროვნებისათვის ასეთ მოძრაობას და რომ მხოლოდ ასეთ დამატულ ვითარებაში გრძნობს ცალკეული ადამიანი თავს ერთი მთლიანის განუყოფელ ნაწილად (აქვე ავტორს მოაქვს საგულისხმო მაგალიტები სხვა ქვეყნების, კერძოდ კი იტალიისა და ნორვეგიის განმავისუფლებელი ბრძოლების ისტორიიდან).

მხოლოდ ერთიანი და სახალხო სულისკვეთებაა ის წყარო—დასტენს ამასთან დაკავშირებით გეორგ ბრანდესი —საიდანაც ცალკეული პიროვნება ისრუტავს უშრეტ ენერგიას, საკუთარი ძალების რწმენას, ორკეცდება ინიციატივა, ხოლო სამშობლო ქვეყნის სიცოცხლისა და ნათელი მომავლის რწმენით აღვსილი მზადაა შეუპოვარი ბრძოლისა და თავგანწირვისათვის. აი, რა უნდა ჩავუნერგოთ ჩვენ ყოველ ჩვენ თანამედროვეს, ყოველ ახალგაზრდას.

ილიას ეროვნულ კონცეფციაში, როგორც ცნობილია, სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სხვა ერებთან ურთიერთობის საკითხს და იგი განძარცვულია ყოველგვარი ნიჰილიზმისაგან. სამაგალიტოა ამ თვალსაზრისით ბრანდესის კონცეფცია, რომელიც ერთა შო-

რის ურთიერთობის ღრმა ანალიზზე იყო დამყარებული. მისი აზრით, ნამდვილი ინტერნაციონალისტი წარმოუდგენელია განვითარებული ეროვნული გრძნობის გარეშე. უნივერსალურია თვით დასკვნაც: ეროვნული და ინტერნაციონალური არა მხოლოდ ამდიდრებს, არამედ ახალი შინაარსით აღავსებს პროგრესის გზაზე შემდგარ კაცობრიობას.

მთელი თავისი მოღვაწეობის ძირითადი პათოსი, როგორც ზემოთაც ითქვა, ილიამ საკუთარი ხალხის კულტურული აღორძინებისაკენ მიმართა, რადგან სხვა მხრივ წარმოუდგენელი იყო ეროვნული თვითმყოფობისაკენ სვლა. საკუთარი ადგილის შენარჩუნება სხვა ერთა შორის. თითქოს ამ თვისის აგრძელებს დანიელი მეცნიერი. როცა ილაშქრებს პროვინციალიზმისა და მიმბაძველობის წინააღმდეგ (აქ უნებურად გაახსენდება მკითხველს ილიას პირველი წერილიდან „კოზლოვის თარგმანზედა“... მოკიდებული მთელი ის დიდი ბრძოლები, რომლებიც გადაიხადა ერის მესვეურმა ათეული წლების მანძილზე).

თვითმყოფი კულტურის გარეშე უიმედო საქმეა ერის მომავალზე საუბარი. სწორედ იმ ხანების დანიის კულტურული ცხოვრების ერთგვარი დაქვეითების შიშმა, მიმბაძველობის სენმა, დაბოლოს დამთრგუნველი რეჟიმის აშკარა ნაყოფმა: საშუალო და ცრუ ტალანტების მოძალებამ ათქმევინა მას მართლაც შემზარავი სიტყვები:

„ჩვენ დანიელები დიდხანს ვიყავით პატარა, მაგრამ საინტერესო ხალხი. გავიდა არც თუ ცოტა დრო და ცხადი შეიქნა ჩვენთვის, რომ უკვე აღარა ვართ საინტერესონი“ (გვ. 5) — ეს იყო, მართლაც, გულისტკივილით ნათქვამი, მაგრამ მომავალი აღორძინებისათვის აუცილებელი სიმართლე.

ნიშანდობლივია აგრეთვე ნაშრომში განვითარებული აზრი, რომელიც ეხება ყველაზე საჭირობოროტო და ამასთან უნივერსალურ საკითხს.

ამა თუ იმ ერმა, ისტორიულ უკუღმართობათა გამო, შესაძლოა, რომ დაკარგოს კიდევ პოლიტიკური თავისუფლება, მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ თავდება საქმე. სწორედ ასეთ დროს საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე, ერმა ერთი წუთითაც არ უნდა დაუშვას გულგრილი დამოკიდებულება კულტურული აღორძინებისათვის ბრძოლის ფრონტზე, რადგან ასეთ დროს მოქმედებს გარდაუვალი კანონი: მხოლოდ ის ერი ინარჩუნებს თავის კუთვნილ ადგილს სხვა ხალხებს შორის და მიიწევს წინ, რომელიც ნიადაგ ზრუნავს საკუთარი კულტურის განვითარებისათვის.

არც ჩვენ (დანიელებს) არ მოგვეპოვება — დასძენს ბოლოს ნაშრომის ავტორი — სხვა გზა და საშუალება. საჭიროა თავდადებული ბრძოლა კულტურის ასპარეზზე, ვიყოთ ნამდვილი პატრიოტები, რათა მოვიპოვოთ პატივისცემა მსოფლიოში... უნდა ვისწრაფოდეთ, რომ ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა კულტურის ახალი გზების ძიებაში (გვ. 13).

ღიას, ეს სიტყვები წარმოითქვა 1894 წელს. ამ დროს კი, როგორც



ცნობილია, ილიას უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ჰქონდა ამ საკითხებზე საკუთარი კონცეფცია და მაინც საგულისხმო აქ სხვა რამ გახლავთ. ზემოთ მოტანილი მცირე ფრაგმენტებიდანაც კარგად ჩანს შემდეგი. რამდენად ეხმიანებიან ერთურთს ის თვალსაზრისები, რომლებიც ამავე საგანზე შემუშავებული აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე მცირერიცხოვანი და დაჩაგრული ერების საუკეთესო შვილებს.

1985 წ.

2) ილია ჭავჭავაძის გვარის ისტორიიდან

### (რამდენიმე ცნობა და ვარაუდი)

ჭავჭავაძეების საგვარეულო სახლმა არაერთი სახელოვანი პიროვნებით დაამშვენა ჩვენი ქვეყანა. შედარებით ახალი დროიდან საკმარისია აქ გავიხსენოთ გამოჩენილი დიპლომატი გარსევან ჭავჭავაძე, ქართული რომანტიზმის მამამთავარი ალექსანდრე ჭავჭავაძე და ბოლოს დიდება ქართული აზრისა — ილია ჭავჭავაძე.

ისტორიის სარბიელზე გამოჩენილ საგვარეულო სახლების წარმოშობისა და მათი განსახლების შესწავლა რომ აუცილებელი რგოლია ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლის საქმეში. ამას ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა დიდი ივანე ჯავახიშვილი და, როგორც ყველაფერში, ამ საშვილიშვილო საქმეშიც იყო იგი სანიმუშო და მისაბაძი.

ქართველ ისტორიკოსთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მრავალი რამ ამ მიმართულებით დღესდღეისობით მოძიებული და შესწავლილიცაა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გამონაკლისი არც ჭავჭავაძიანთ გვარის ისტორია გახლავთ.

„საძირკვლად აზრი ჩააგდე. ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი“. დიხ. ილია ჭავჭავაძე მაინც უწინარეს არის პოეტი და ახალი ქართული მწერლობის ბაირახტარი. ამიტომაც ბუნებრივია. რომ მისი ბიოგრაფიის საკითხებს წლების მანძილზე ასეთი მონდომებით იკვლევენ ქართველი მწერლები. ლიტერატორები. საერთოდ ჩვენი კულტურის მკვლევარნი. მრავალთა შორის აქ უწინარეს უნდა გავიხსენოთ გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი და პავლე ინგოროყვა. რომელთაც უეჭველად ითავეს ამ საკითხების პირველ გზამკვლევთა მძიმე და საპატიო ტვირთი.

რასაკვირველია, სწორედ ასეთი ერთობლივი კვლევა-ძიების შედეგია, რომ ჭავჭავაძიანთ სახელოვანი გვარის ისტორიიდან დღეს უკვე დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა.

მაგრამ ირკვევა, ისიც, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის ნათელი, ხოლო ზოგი რამ მოსაძიებელი და დასადგენია. მით უფრო, რომ ახლოვდება ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისეთი დიადი თარიღი, როგორიცაა ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასორმოცდაათი წლისთავი.

რაც შეეხება წინამდებარე წერილს, იგი მიზნად ისახავს ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაზე ჩვენ მიერ გაწეული კვლევა-ძიებიდან მკითხველს წინასწარი ცნობისა თუ ერთგვარი ვარაუდის სახით გააცნოს მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხი, რომელიც ენება სწორედ ჭავჭავაძიანთ გვარის ისტორიას.

\*\*\*

მაგრამ ვიდრე მათ უფრო არსებითად შევეხებოდე. აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ყველაფრიდან ჩანს, რომ ჭავჭავაძეები არ უნდა ეკუთვნოდნენ ძირ-ძველ ფეოდალთა ოჯახს და მათი აღზევება შედარებით უფრო ახალ საუკუნეებშია დაწყებული.

ისტორიული წყაროებიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ მათ ასეთი აღზევება თავგანწირვისა და სისხლის ფასად ჰქონდათ მოპოვებული. საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ერთი ცნობა. სადაც თეიმურაზ პირველი გონიერებასა და სიქველეს უქებს ლეკებთან ბრძოლაში გარსევან ჭავჭავაძეს, რომელიც ჩვენი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის არც თუ შორეული წინაპარი ჩანს. კიდევ უფრო საგულისხმო სიტყვებს ვკითხულობთ ჩვენ ჭავჭავაძეთა დამსახურებაზე კონსტანტინე კახთა ჰეფის მიერ 1726 წელს გაცემულ სიგელში: „ერთგულებასა, სამსახურსა შინა აღსრულებულ იყვნეს (თქვენი მამა-პაპანიო — ს. ც.), რამეთუ მრავალნი შრომანი და ჭირნი თავს ესხნეს; და მრავალჯერ ექსორია ქმნილ-იყვნეს უცხოთა ადგილთა და ქვეყანათა კურთხეულთა მათ—მეფეთა და სანატრელთა ჯელმწიფეთა მამათა და პაპათა ჩვენთა თანა, ხოლო აწ, რომელნიცა დაშთომილ იყვენით—შვილნი მათნი, უფროსნი მსახურებანი აღასრულენით, რამეთუ არა ჰკრიდეთ ხორცთა თქვენთა სიკვდილად“.

სრულიად განსაკუთრებულია ასევე ყვარლელ ჭავჭავაძეთა თავდადება და ღვაწლი ერეკლესა და თეიმურაზ მეორის მეფობაში, საკმარისია აქ გახსენება ყვარლის ციხის სახელოვანი ბატალიებისა, რომლებიც ხუნძახის ბატონის სასტიკი დამარცხებით დასრულდა. ერთ-ერთ საბუთში პირდაპირაა ნათქვამი ისიც, რომ ჭავჭავაძეებმა „ოცდასამი დღე ლომებივით იბრძოლეს“.

ხოლო რაც შეეხება საერთოდ ჰავჭავაძიანთ მოხსენიებას, მათი სახლის შვილები უკვე XV საუკუნიდან უფრო და უფრო ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის ისტორიულ ქრონიკებსა თუ ნარატიულ წყაროებში. ისიც დამახასიათებელია, რომ მათი მოქმედების ასპარეზი ძირითადად ისტორიული კახეთის მიდამოებით იფარგლება.

მაგალითად, ჰავჭავაძიანთ საგვარეულოდან ერთ-ერთი პირველთაგანი მოხსენიებულია ეინმე ფეროდი, რომელიც ზოგი მკვლევარის აზრით XV საუკუნის ისტორიული პირი ჩანს, ხოლო საქმე ეხება მცხეთის საყდრისა და საგარეჯოს კუთვნილი მამულების შეუვალობას. რძულებიც გარე კახეთისა და ერწო-თიანეთის სანახებშია განლაგებული.

მომდევნო ხანის საბუთებში მოხსენიებულია სხვებიც. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ჰავჭავაძეები ამ დროს მხოლოდ აზნაურთა პატივში არიან აყვანილნი, ხოლო შემდგომი აღზევება უკვე XVI საუკუნიდან არის საგულვეტელი.

არსებობს ამის მოწამე სხვა საბუთებიც. მაგრამ აქ საკმარისია მოვიტანოთ იოანე ბატონიშვილის საგულისხმო ნაშრომი „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა...“, რომლებიც ავტორს შეუშზადებია რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ტრაქტატის ერთგვარ დანართ-განმარტებად (გამოქვეყნებულია „ივერიის“ 1884 წლის ნომრებში მძიმე შეცდომებით. ავტორგრაფი იხანება ხელნაწერთა ინსტიტუტში, S—3729. საიდანაც მოვეაქვს ნაწყვეტი).

აქ დაცულია ძვირფასი ცნობები ორი ძირითადი. ყვარლელ და წინანაწილელ ჰავჭავაძეთა შტოზე. მათ წარმომავლობასა და თავადობის ხარისხში აღზევებაზე.

აღწერაში ვკითხულობთ: „ჰავჭავაძენი არიან ორ გვარად, პირველნი რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარს ყვარელსა შინა. ივინი არიან ძველადგანვე დროსა მეფესა ლეონისასა წელსა ქრისტეს აქეთ 1529. ისენი იყვნენ ფშავის მთითვე ჰავჭეთის ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მირე გარდმოსაჭლდნენ ყვარელსა შინა და მუნ მოსცა მეფემან ადგილნი. რომელნიცა აწ არიან 1) გლახას შვილები და ძმათა ამისისა, 2) მეღქისადეკისა შვილები.

ხოლო მეორე ჰავჭავაძენიც არიან მუნვე ადგილიდან მოსრულნი, რომელნიც ანმბობდენ მონათესაობასა მათსა. გარნა არა აქენდათ მათთან მამული და ამათ მსახურეს ერეკლე მეფესა თუშეთს და ოღეს გამეფდა მეფე ირაკლი პირველი წელსა ქრისტეს აქეთ 1680-სა (?). შემდგომად მსახურებისათვის დასახლნა ადგილსა წინანდალსა და პიილო აზნაურად. შემდგომად მეფემან თეიმურაზ (თეიმურაზ II—ს. ც.) აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემან

იარაკლიმ დაუმტყიცა ჭავჭავაძეობა და არიან მუნიდგან წოდებულნი, რომელნი პირველ იწოდებოდნენ მამუჩის შვილებად და რომელნიცა ანლაცა იწოდებიან მამუჩის შვილებად: 1) ივანეს შვილები, 2) ბერი ნაზირის შვილები და 3) გარსევანის შვილები და სხვანი“.

როგორც ვხედავთ აქ საუბარია სწორედ ილიასა და ალექსანდრეს ანუ ყვარლისა და წინანდლის ჭავჭავაძეთა შტოზე და მათ წინაპრებზე. აღსანიშნავია, რომ მრავალი წლის შემდეგ იოანე ბატონიშვილი კვლავ იმეორებს თავის „კალმასობაში“, რომ ჭავჭავაძეები უფროდრე ყვარელში დამკვიდრებამდე მთაში ცხოვრობდნენო (იოანე ცხარე პოლემიკისას გარსევან ჭავჭავაძეს ათქმევინებს: „მე მთის კაცი ვარ და რა კაცის მტრობა ჩავა ჩემს გულში, აღარ ამოვო“).

\*\*\*

აი, ის ძირითადი წყარო. სადაც ჭავჭავაძეთა გვარის აღზევებასთან ერთად, ჩანს ამ გვარის მთიდან წარმომავლობა, ხოლო შემდეგში კი კახეთის გაღმა მხარსა (ყვარელი) და წინანდალში დამკვიდრება. ამასვე მოწმობს მრავალი ისტორიული საბუთი, რომელთა აქ მოტანა ზედმეტად მიმაჩნია, რადგან მათ შესახებ ხშირადაა საუბარი ჭავჭავაძეთა გვარის ისტორიაზე დაწერილ ნაშრომებში (შდრ. ჯიბო ლომაშვილი, ეტიუდები, 1984, გვ. 114—136).

მაშასადამე, ჭავჭავაძეთა შედარებით გვიანდელი საცხოვრისი სწორედ ისტორიული კახეთი ჩანს. რიგი მასალები და მათ შორის ჭავჭავაძიანთ ზოგი საოჯახო გადმოცემა მათ კახეთში დამკვიდრებამდე მთაში ყოფნას ადასტურებს. აქ აზრთა სხვადასხვაობა მხოლოდ ის არის, რომ ხან ფშავი და ერწო-თიანეთია დასახლებული, ხან კი ხევსურეთი და თუშეთი (ერთი გადმოცემით ილია ხევსურეთში ეძებდა თავის წინაპართ სამყოფს. ილიას თურმე უთქვამს ერთი ხევსურისათვის, „ჯვარის ყმაი ვარ“, ხევსური არ ვარ, მაგრამ ჩემს წინაპრებს ერთ დროს იქ უცხოვრიათო“. იხ. ა. გაჩეჩილაძე, მასალები... ლიტ. ძიებანი. VIII. 1953, გვ. 364).

არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ ფშავში აწ ნასოფლარ ყვარადან უნდა იყვნენ გადმოსასლებული ყვარლის მოსახლეობა, თუმცა ამას პირდაპირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს თვით ჭავჭავაძეთა საგვარეულო სახლებთან. რომლებიც უფრო მოგვიანებით გამოჩნდნენ ისტორიული კახეთის მიდამოებში.

\*\*\*

ასე რომ მართებული ჩანს იოანე ბატონიშვილის დებულება იმის შესახებ, ჭავჭავაძენი ჯერ მთაში ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ კი საბოლოოდ დამკვიდრდნენ კახეთში. ოღონდ აქ ერთი ცნობა. ჩემის 300

აზრით, არ უნდა იყოს ზუსტი. კერძოდ. იგი ეხება ტოპონიმს „ჭავჭავ-  
თი“, რომელიც თითქოს ფშავში ივარაუდება და ამდენად ჭავჭავაძე-  
თა გვარს უკავშირდება, ვინც იოანეს ზემოთ დასახელებულ აღწე-  
რას თვალს გადაავლებს, აშკარად დარწმუნდება. რომ იგი მეტწი-  
ლად გვარების წარმოშობის თაობაზე ძალზე ნებისმიერ მეთოდებს  
მიმართავს და ხშირად მის მიერვე გამოგონილ ტოპონიმებსა და სა-  
ხელებს უკავშირებს. მხოლოდ ორიოდ მაგალითი: „აზნაური მაჭა-  
ღარიანი: ამათნი წინაპარნი იყვნენ ყარაბაღის კერძოდ, ადგილისა მა-  
ჭარაკამურს მოსახლენი“; „აზნაურნი ბასილაშვილი: ამათნი წინაპარ-  
ნი ესახლენ პირველ ადგილსა ბასიანსა შინა“; „აზნაური ჩუბინის-  
შვილი: ამათნი წინა-პარნი არიან დროსა რუსუდან დედოფლისა ნოინ-  
თაგან შთამომავლობათაგან ჩუბინ ნოინისაგან“ და ა. შ. ასევე საეჭ-  
ვო ჩანს ფშავის ე. წ. ჭავჭავეთის ჭავჭავაძეთა თავდაპირველ საცხოვ-  
რისად გამოცხადება.

\*\*\*

მაგრამ თუ როგორ მოხდნენ ჭავჭავაძენი საქართველოს აღმო-  
სავლეთ მთიანეთში ამის გარკვევა ამჟამად ჩვენ ხელთ არსებული მა-  
სალებით არც ისე ძნელია, მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ,  
აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

ამ საკითხზე მომუშავე მკვლევართაგან რატომღაც საკლები ყუ-  
რადლება მიეპყრო ერთ ცნობას, რომელიც ეკუთვნის თვით ილიას  
თანამებრძოლსა და მეგობარს, ილია ჭავჭავაძის პირველი ფუნდამენ-  
ტური ბიოგრაფიის ავტორს გრიგოლ ყიფშიძეს. ყურადღების ცენტრ-  
ში ძირითადად იყო მოქცეული კახეთი და, როგორც ითქვა, საქარ-  
თველოს აღმოსავლეთი მთიანეთი. საქმე კი, როგორც ჩანს, მთლად  
ასე არ არის.

მართალია გაკვრით, მაგრამ სრულიად გარკვევით ამ ნაშრომში  
სხვა ზემოთ დასახელებულ ცნობებთან ერთად პირდაპირ არის აღ-  
ნიშნული, რომ ჭავჭავაძენი „აქა-იქ გლენჯაკებდად სცხოვრობს დღეს  
ქართლშიაც, მაგალითად, ცერონის — ავლევეშიო“. სხვათაშორის  
იცნობს და ასახელებს ამ ცნობას იოსებ გრიშაშვილიც. ხოლო თბი-  
ლისსა და ქართლში თითო ოროლა ჭავჭავაძის არსებობაზე, თუმცა  
რაიმე დასკვნების გარეშე, რამდენიმე საგულისხმო საბუთი მოპო-  
ვებული აქვს აგრეთვე ილიას ბიოგრაფიის ერთ-ერთ მკვლევარს  
ა. გაჩეჩილაძეს.

ამ მიმართულებით კი სპეციალური კვლევა-ძიება არავის უწარ-  
მოებია, მაშინ როცა, როგორც ირკვევა იგი აშკარად იმსახურებს მეტ  
ყურადღებას.

იქნებ მართლაც აქვს რაიმე არსებითი კავშირი ჭავჭავაძიანთ გვარს ისტორიულ ქართლთან, ან იქნებ აქ შემთხვევით არის მოხვედრილი ჭავჭავაძიანთ გვარის წარმომადგენლები სწორედ იმავე მთიანეთიდან ან უფრო მოგვიანებით კახეთიდან. მომავალი კვლევა-ძიება კი, ჩემის აზრით, უეჭველად მეტ სიცხადეს შეიტანს ამ საკითხში.

მანამდე კი მკითხველს, როგორც ზემოთაც ითქვა, მინდა გავუნიარო მხოლოდ ზოგი ასალი ცნობა და წინასწარი ვარაუდები.

მაგრამ ვიდრე გავუვებოდეთ იმ კვალს, რომელზეც ასე ორიოდ სიტყვით (და როგორც შემდეგ გაირკვევა არც ზუსტად) უთითებს გრიგოლ ყიფშიძე, საჭირო შეიქნა ამ მიზნით თვით შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული მასალების შესწავლა, ძველი ქრონიკებისა და შემორჩენილი ტოპონიმების შესწავლა.

მართლაც, პირველი შედეგები, ჩემის აზრით, არც ისე უმნიშვნელო შეიქნა, გაირკვა, რომ ისეთი ტოპონიმი, რომელსაც შესაძლოა რაიმე კავშირი ჰქონდეს საძიებელი გვარის ისტორიასთან, აღმოჩნდა რამდენიმე ძველსა და სანდო ისტორიულ წყაროში.

მათ შორის ერთი პირველთაგანი უნდა დავასახელოთ ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ძეგლი, როგორიცაა რკონის სიგელი ანუ რკონის „დაწერილი“. სიგელი მიეკუთვნება საქართველოს ისტორიიდან კარგად ცნობილ ფეოდალს კახა თორელსა და მის მეუღლეს ხათუთას, გრიგოლ სურამელის ასულს. იგი შესრულებული უნდა იყოს არაუგვიანეს 1260 წლისა. ტექსტი მოგვყავს სიგელის უკანასკნელი გამოცემის მიხედვით (იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984 წ. შეადგინეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შონიაშვილმა).

„დაწერილის“ ერთ-ერთ მუსლად იკითხება შემდეგი: „ქ. ესე, ვითა პატრონსა კახასა და მე დაუწერია და მოუწესენებია ზოვლე რკონისა ღმრთისმშობელსა, მე ხათუთა ჩემითა წელითაცა ამასვე მოგაწესენებ და გვედრებ სულსა ჩემსა, შენ იცი და ძემან შენმან, რომელიცა სამკუიდრო არის, ჩუენ ამისთვის არ მოგაწესენეთ, თქუენთა აუცილებელი: გოგოსი, ბოსელა, ხირიკე, ჭავჭავიცი, მერია, გარკალი. ამის მიწასა ვინც სნეედენ თქუენი ყმანი, ღალა თქუენია. და სანადიროსა ზეთი და სანთელი მოგართონ. ესე დასაბამითგან თქუენი სამკუიდროა, თქუენ დიდებულისა ღმრთ/ისმშობელისა. ნუ ვინ კადრებს ცილებად. რამანცა კაცმან წელჰყოს შემოცილებად, შერისხდი შენ და ძე შენი. აღმოფხურენ ძირნი მისნი საკვირველთაგან ქანრისხებითა შენ, დიდებულისათა და იესოს შენგან ჯორცშენსხმიულისათა და რომელნი ძესა შენსა სათნო ეყუნეს“.

\*\*\*

როგორც ვხედავთ, აქ არც მეტი, არც ნაკლები რკონისა და თემის ხეობის მიდამოებში დასტურდება ტოპონიმი „ჭავჭავისი“, რომელიც ჯერ კიდევ XIII საუკუნის შუა წლებში მოქმედი ჩანს და რკონის მონასტრის მამულად ითვლება. ისევე როგორც ის სოფლები, რომლებიც მის გვერდითაა დასახლებული.

მაშასადამე, ტოპონიმი „ჭავჭავისი“ დასახლებულია როგორც ერთ-ერთი სოფელი სწორედ შიდა ქართლში.

„ჭავჭავისი“ რომ ერთ-ერთი ძველი დასახლებაა ამასვე ადასტურებს, თანაც კიდევ უფრო აზუსტებს მის ადგილსამყოფელს სხვა საბუთებიც, რომელთაგან მოკლე ამონაწერი მომაქვს წიგნიდან „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის“ (წიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ, და შ. ბურჯანაძემ, 1964. გვ. 265).

„ჭავჭავისი“ სააკაძისეული სოფელი, გიორგი სააკაძის საქართველოდან „გადავარდნის“ შემდეგ სახასო გახდა. შემდეგში როსტომ მეფემ კვლავ იორამ სააკაძეს უბოძა (1652 წ. Hd—13956); როდესაც დიდი მოურავი საქართველოდან გადაიხვეწა სააკაძეების მკვიდრი მამული „ჭავჭავისი“ გორგაძეებმა და რთველიაშვილებმა პაპუნა ჩივაძისაგან იყიდეს. მას შემდეგ, რაც როსტომ მეფემ „ჭავჭავისი“ კვლავ უბოძა სააკაძეებს, თარხანმა იორამმა გიორგაძეებსა და რთველიაშვილებს პაპუნა ჩივაძისათვის მიცემული ფასი უკან დაუბრუნა (1677—1688). Hd—1446) და ა. შ.

\*\*\*

მავრამ სამწუხაროდ, „ჭავჭავისი“. ისე როგორც მის გვერდით დასახლებული რიგი სოფელი დღეს მიტოვებული და ოდენ ნასოფლარებს წარმოადგენს. აქვე შევნიშნავ, რომ ჩემ ხელთაა თემის ხეობის ნასოფლარების გრძელი სია, რომელიც მომაწოდა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა ივანე ბერიაშვილმა. მათ შორის აღწერილია ნასოფლარი „ჭავჭავისიც“.

\*\*\*

სად წავიდნენ, სად გადაიხვეწნენ „ჭავჭავისის“ მკვიდრნი, ან რა გვარის მოსახლეობით იყო იგი დასახლებული? მომავალმა კვლევებამ იქნებ მოგვცეს კიდევ ამაზე პასუხი, ამჟერად კი ამაზე უნდა შევწყვიტოთ ვარაუდები და გავყვეთ იმ კვალს, რომელიც ასე ორიოდ სიტყვით მიგვანიშნა ზემოთდასახლებულ ნაშრომში გრიგოლ ყიფშიძემ.

თემის ხეობის ნასოფლარების მიდამოების „მოხილვის“ გარდა, სადაც გვეგულება ძველი „ჭავჭავისი“, პირველ რიგში საჭიროდ ვცანით, შუა ქართლში გრიგოლ ყიფშიძის მიერ მითითებული სოფლების ავლევისა და ცერონისის გზას გავყოლოდით, ხოლო შემდეგ უფრო ზემოთაც სოფ. ნულისკენ გავვეგრძელებინა ძიება.

მაგრამ წინასწარ მინდა შევნიშნო შემდეგი: ზემოთ მოკვლეული წინასწარი ცნობები გავაცანი ჩვენ ცნობილ ისტორიკოსებს დავით მუსხელიშვილსა და ნოდარ შოშიაშვილს. ისინი არათუ დაინტერესდნენ, არამედ გამოთქვეს სურვილი უშუალო მონაწილეობა მიეღოთ დაწყებულ ძიებაში. ასე რომ შედგა პატარა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვითმოქმედი ექსპედიცია, რომელიც შეუდგა ქართლში ამ მიზნით ზემოთ აღნიშნული ადგილების შესწავლას.

ბარემ აქვე ისიც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

თემის რეგიონის დაზვერვითი მოხილვის შემდეგ, როგორც ითქვა. გეზი შუა ქართლში, ქარელისა და ზნაურის რაიონებისაკენ იქნა აღებული.

პირველი მიახლოება არც თუ სანუგეშო აღმოჩნდა. გრ. ყიფშიძის მიერ დასახლებულ სოფლებში ავნევესა და ცერონისში ჭავჭავაძეთა არავითარი კვალი არ აღმოჩნდა (აქვე ჩემს სასიამოვნო მოვალეობად ვრაცს მადლობა გადავუხადო ადგილობრივ მცხოვრებთ, რომლებიც დაუხარებლად დაგვყვებოდნენ ავლე-ცერონისის მიდამოებში ადგილობრივ ხანდაზმულთა გამოკითხვისას).

სოფელ ატოცში, რომელიც ავლევიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული, დაადასტურეს ჩვენი ვარაუდი, რომ ჭავჭავაძეთა დასახლება უფრო ჩრდილოეთით ავნევე-ნულის მიდამოებშია საძიებელი.

მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვა თვით სოფელ ნულის შესახებ.

სოფელი ნული ერთერთი უძველესი დასახლებაა და მოხსენებულია არა-ერთი ძველ წყაროში. იგი შედიოდა ფეოდალ დავითაშვილების სამფლობელოში, თუმცა ამ ადგილებს მათ თავადი ხერხეულიძენიც ეცილებოდნენ. ვასტუშტი ასახელებს ამ მიდამოებში ნულის ხევს, რომელიც მოერთვის დასავლეთიდან წუნარის წყალს და აგრეთვე ნულის ციხეს. აღსანიშნავია, რომ ნულის სანახებში ჩატარებული გათხრებისას, რომელსაც უკანასკნელ წლებში ცნობილი არქეოლოგი ო. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა, აღმოჩენილ იქნა ადრე ბრინჯაოს ხანის უნიკალური სამარხები, იარაღები, სხვადასხვა სახის ძვირფასი ჭურჭელი და სამკაულები (აღსანიშნავია, რომ მანამდე აქ უმუშავიათ ფჩელინა-სპირნოვისა და კუფტინის ექსპედიციებს).

ამჟამად ნული შედის ავნევის სოფსაბჭოში (ზნაურის რაიონი), ვაშენებულია მთის შეფერდებაზე (ზღვის დონიდან 840 მ.), აქვს



მცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა, სკოლა, მედაუნქტი და ა. შ. ანლაც დგას აქ ძველი ეკლესიისა და საკმარისად მოზრდილი ციხის ნანგრევები.

მაგრამ. რაც მთავარია. გამოირკვა მართლაც განსაცვიფრებელი რამ, რისთვისაც. როგორც ჩანს, ამოდ არ ჩაუვლია ჩვენს ძიებას.

ჩვენ თვალწინ აღმოჩნდა ქვეყანაძეთა დასახლების ერთი დიდი ბუდე. როგორც ირკვევა, ერთ დროს იგი მთლიანად ქვეყანაძეებით ყოფილა დასახლებული, როგორც ადგილობრივმა მცხოვრებ ქვეყანაძეებმა ნოგვითხრეს მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე ათეულ წელში აქედან გადასახლდა ქვეყანაძეთა რამდენიმე სახლი ამჟამად სოფელში მაინც დარჩენილა ქვეყანაძეთა გვარის 26 ოჯახი. აქვე შევნიშნავ იმასაც, რომ სოფელს. რომელიც ძირითადად ქვეყანაძეებით არის დასახლებული, უკანასკნელ ხანებში დასავლეთ საქართველოდან შემომატებია ტაბატაძეების რამდენიმე ოჯახიც.

სოფელში ეკლესიის მახლობლად არის აგრეთვე ქვეყანაძეთა სასაფლაო — ძვალშესალავი. სასაფლაო ძველ-ქართული ტიპისაა, იღონდ საფლავის ქეები ძალზე დაზიანებული და მოუვლელი. მცირე დროში, რომელიც ჩვენ იქ დავყავით. შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ მე-19 საუკუნის რამდენიმე წარწერის ამოკითხვა.

ამით დაამთავრა ჩვენმა დაზვერვითმა ექსპედიციამ ერთგვარი წინასწარი სამუშაო.

საკვლევი და საფიქრალი კი წინ მრავალზე მრავალია. საიდან ჯამკვიდრდნენ აქ ქვეყანაძეები? რაიმე კავშირი ხომ არ არსებობს თემის ხეობის ნასოფლარ „ქვეყანისა“ და აქაურ დასახლებას შორის? ბოლოსდაბოლოს სად იყო დიდი ილიას წინაპართა თავდაპირველი სამკვიდრო: ქართლში, მთიანეთში თუ კახეთში?

რაიმე მტკიცე დასკვნების გამოტანა, ჩემის აზრით, ნაადრევი ჩანს, თუმცა, როგორც აღვნიშნე, რამდენიმე წინასწარ ვარაუდს მაინც გავუზიარებ მკითხველს. ნოდარ ღუმბაძის არ იყოს, ოცნებას კაცი არ მოუკლავს, არც წინასწარი ვარაუდის გამოთქმით დაშავდება რამე.

ერთი რამ ცხადია. კახეთში ქვეყანაძეთა დამკვიდრება შედარებით ახალი დროის ფაქტია, რომელსაც ერთხმად უჭერს მხარს როგორც ზემოთ მოტანილი რამდენიმე წყარო, ისე სხვადასხვა სახის ქრონიკებში დაცული მრავალზემრავალი საბუთი. ქვეყანაძეთა ერთი შტო (რომელიც შემდეგ გაიყო) კახეთში დაწინაურებულა, აღზევებულა ჯერ აზნაურის, ხოლო შემდეგ თავადობის პატივში და უკვე XVII, XVIII საუკუნიდან მკვიდრად დასახლებულან შიდა და გარმა-მხარის კახეთში.

ასევე, ჩემის აზრით, მინიშნება მათი მთის ადგილებიდან წარმომავლობაზე. მომდინარეობს იქიდან, რომ კახეთის ქვეყანაძეები ერთ დროს მთის მოურავებად ემსახურებოდნენ კახეთის მეფეებს და მრავალი წლის მანძილზე კახეთში საბოლოოდ დამკვიდრებამდე ცხოვ-

რობდნენ ერწო-თიანეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის რომელიღაც იმ დროს სამოურაოდ ქცეულ ადგილას. აქედან უნდა მოდიოდეს მათ საგვარეულო გადმოცემებში მთასთან ეგოდენ მჭიდრო კავშირის ამბავი. ეს ვარაუდი რომ მართებული ჩანს, აქ მოვიტან მხოლოდ ორი-ოდე ცნობას. იგივე იოანე ბატონიშვილი სხვა ადგილას პირდაპირ აღნიშნავს, რომ ჰავჭავაძენი „გაათავადა მეფემან ერეკლე პირველმან ოდეს მოვიდა რუსეთიდამ თუშეთსა შინა, მუნ მსახურა ჰავჭავაძემან...“ (ხელნაწერთა ინსტ. S—3729, 82v). ასეთივე მოსაზრებისაა ამ საკითხის გარშემო პავლე ინგოროყვაც, რომელიც სხვადასხვა წყაროს მონაცემებზე დაყრდნობით შენიშნავს: „ჰავჭავაძეთა სამოურავოს უძველეს ხანაში, როგორც ირკვევა, შეადგენდა ეს კუთხე, კახეთის მთიულეთი (ახმეტა-თიანეთის მხარე, ფშავ-ხევსურეთით): ამიტომაც ჰავჭავაძენი „მთის კაცთა“ სახელით მოიხსენიებიან“.

აქ, სხვათაშორის, ისიცაა საგულისხმო, რომ მოურავებად მთის ადგილებში ქართველი მეფეები მეტწილად საკუთარ ფეოდალთა სახლების წარმომადგენლებს სხამდნენ. როგორც ცნობილია თეიმურაზ მეორისა და ერეკლეს დროს მთიულეთის მოურავობა ჩოლოყაშვილებს ეპყრათ. მაგალითად, პლატონ იოსელიანის ცნობით დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ფშავის, ხევსურეთისა და თუშეთის მოურავი ყოფილა.

\*\*\*

დასასრულს კი, კვლავ უნდა დაეუბრუნდეთ ქართლში ასე მრავალრიცხოვნად განსახლებულ ჰავჭავაძეთა შტოს. გარდა მრავალრიცხოვნებისა აქ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აქაური მკვიდრი ჰავჭავაძენი გლეხები არიან. ძნელი წარმოსადგენია, რომ კახეთში ჯერ აზნაურად, ხოლო შემდეგ თავადად აღზევებულ ჰავჭავაძეებს ქართლში ჩამოსახლებისას დაეკარგათ ყველა ეს პატივი და უბრალო გლეხკაცებად დასახლებულიყვნენ აქ. პირიქით კი შესაძლებელი და სავსებით მოსალოდნელია. აქედან დაძრულ ჰავჭავაძეთა რომელიღაც შტოს შესაძლოა მთიულეთსა და შემდეგ კახეთში მოეპოვებინა ის პატივი, რომელზეც ჩვენ ზემოთ არაერთგზის გვქონდა საუბარი.

ვგონებ არც ის არის დასავიწყი, რომ სოფელ ნულიდან არც ისე შორს მდებარე აწ ნასოფლარი „ჰავჭავისი“ ბევრად ადრეა მოხსენიებული ისტორიულ წყაროებში, ვიდრე ჰავჭავაძეთა ერთი საგვარეულო სახლი ისტორიული კახეთის სხვადასხვა ადგილებში (ყვარელი, წინანდალი) მოიხვეჭდა წოდებას და იქ დამკვიდრდებოდა საბოლოოდ.

\*\*\*

და მაინც, როგორც ითქვა, ყოველივე აქ თქმული არის მხოლოდ ვარაუდი. წინ ამ მიმართულებით კი დიდი სამკალია და მომკელიც ალბათ მრავალი გამოჩნდება.

საჭიროა უფრო ფუნდამენტური კვლევა-ძიება და ახალი, უკვე

სპეციალური ექსპედიციების მოწყობაც დასახელებულ ადგილებში.

დარწმუნებული ვარ, აქ დასმულ საკითხებს გამოემართებიან სათანადო დანერგვებები, მწერლები და მეცნიერები და, პირველ რიგში კი, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღის აღმნიშვნელი ავტორიტეტული კომისია. დიდი ილიას სახელი ყოველმხრივ იმსახურებს ასეთ ყურადღებას.

1964 წ.

P. S. ზემოთ წარმოდგენილი ნარკვევი პირველად გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (1984 წ. 19 ოქტომბერი). როგორც მოსალოდნელიც ჩანდა, აქ აღძრულმა საკითხებმა გარკვეული რეტერესი გამოიწვია. მივიღე რამდენიმე წერილი, ასევე არაერთი ზეპირი შეკითხვა შემოვიდა ილიასადმი მიძღვნილ ლექციებსა და კონფერენციებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც ამ საუბრიდან ჩანდა, იწვევდა რკონის „დაწერილის“ უძველესი ცნობა თემის ხეობის აწ გადაშენებულ სოფელ „ჭავჭავისზე“ და ზნაურის რაიონის სოფელ ნულზე. სადაც ასე კომპაქტურად აღმოჩნდა განსახლებული ჭავჭავაძეების გვარი.

ასევე საინტერესო გახლავთ აგრეთვე რ. თოფჩიშვილის გამოხმაურება ჩემს ნარკვევზე, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“ (1985 წ. 2 აგვისტო). ცნობილ მასალებთან ერთად აქ წარმოდგენილია რიგი საგულისხმო ცნობა. მათ შორის ზოგი საგვარეულო გადმოცემა ანუ ე. წ. ანდრეზი. ავტორი ამასთან იზიარებს და დამატებით მასალებითაც განამტკიცებს თვალსაზრისს, რომ ჭავჭავაძეები ადრიდანვე ქართლის მკვიდრები ჩანან, ოღონდ, მისი აზრით, ქართლისა და ერწო-თიანეთის ჭავჭავაძეები (რომლებიც შემდეგ კახეთში გადასულან) დამოუკიდებელი წარმოშობისანი უნდა იყვნენო. რასაკვირველია, ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ეს მოსაზრებაც ვარაუდების სფეროს ვერ გასცილდება. მით უფრო, რომ კახელი ჭავჭავაძეების თავდაპირველი სამშობლო ჯერ კიდევ საძიებელია (გაიხსენეთ ზემოთ ჩვენს წერილში მოტანილი თვით ილიასგან მომდინარე ცნობა, რომ ჭავჭავაძეები მთაში ცხოვრობდნენ. მაგრამ ადგილობრივი მკვიდრნი არ იყვნენო. იხ. ა. გაჩეჩილაძე, მასალები... ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, გვ. 364).

ვარაუდებით კი ვარაუდების უარყოფა ისევე სახიფათოა, როგორც სახიფათოა წყაროების ცალმხრივი მომარჩევა.

ერთი რამ კი ცხადია. ჭავჭავაძეები აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული გვარი ჩანს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი კვლევა-ძიება გაარკვევს თავდაპირველ სამკვიდროს ან კი, როგორც ითქვა, მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოშობის ვარაუდის სისწორეს.

მთელი საქართველო დღეს ილიაზე ფიქრითაა შეპყრობილი. თითქოს ასე იყო ადრეც. „თანამდევ სულთა“ შორის ილიას ყოველთვის ეკავა განსაკუთრებული ადგილი.

მაგრამ დღეს კიდევ უფრო, ვიდრე არასდროს, ილიას დიადი გონით განათებული აზრი ხელთუქმნელ საღებუნად ედება ქართველი კაცის გრძნობა-გონებას. უმიზეზოდ კი არაფერი ხდება ამ დედამიწაზე და ვინაიდან და რადგანაც არაფრიდან არ იქმნების არაჩაისი...

„ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა. მისი აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ განადგურება კი ქნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა...“

ილიას მკვლელობა არც დაწყებულა და არც დამთავრებულა 1907 წლის თავზარდამცემი აქტით. ღვთაებრივი სიკეთიდან საბედისწეროდ ანასხლეთ უგუნურებას შემდეგ და შემდეგაც არ დაუკლია მცდელობა სათრეველად გაეხადათ მოძღვართ-მოძღვარი, მამა ერისა.

როგორი გაშმაგებით ცდილობდნენ, მეტი რომ არ ვთქვათ, აშკარად ფსევდო-პროგრესის მოციქულნი, რათა ყრუ კედელი გაეკლოთ ილიასა და მის მშობლიურ ხალხს შორის, ილიასა და მის შთამომავალთა შორის, დაემხოთ იგი და მის ადგილას აღემართათ ცრუ და გამოგონილი კერპები.

იქნებ დააზიანეს კიდევ ის უხილავი კავშირი ადამიანთა შორის, რომელიც ასე გასაფრთხილებელია და ეროვნული ერთობის საფუძველთა საფუძველია. იქნებ დიდ წინაპართან მიახლოებისათვის ჩვენ ყერ კიდევ ზნეობრივი განწმენდის ძნელი გზის გავლა გვმართებს...

სრულიად ჭაბუკს, მაგრამ, მართლაც, ზეგარდმოით ხელდასხმულ პოეტს შეეძლო არა მარტო განეჭვრიტა მოახლოებული კატასტროფა, არამედ ანდერძად დაეგდო ღვთაებრივი სიბრძნით გასწივოსნებული სიტყვები: „რომ მტერთათვისაც. რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან. გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“ არა შურისძიებით (რასაც არასოდეს მოუტანია სიკეთე), არა „კბილი კბილის წილ“. არამედ საკუთარი სრულყოფითა და ყოველდღიურ ცთუნებათა დათრგუნვის მტანჯველი გზით უნდა ჩამოვირეცხოთ ის ლაქა, რომელიც „უძღებ შვილთა“ უმადურებით მოეცხო ჩვენს დედა სამშობლოს. მათ კი ისტორიამ უკვე გამოუტანა უღმობელი განაჩენი...



დიდ წინამორბედთან მიახლოების გზაზე მეორე დიდი ამოცანა მისი სწორუბოვარი შემოქმედების სათავეების წვდომაა. ამ შემთხვევაშიც ილიამ გაიზიარა გამორჩეული შემოქმედთა ბედი (იქნებ ზედ-

მეტი დოზითა(ც...)). მისი ძალმოსილი გონების ნაყოფი უფრო ღრმა კრიტიკიულებით მოითხოვს შეფასებას, ვიდრე ამას სჩადიოდნენ აქამდე. ეს კი მეტწილად მისი მაღალი მხატვრული ჩანაფიქრის გაუბრალოების ხარჯზე სდებოდა. იგი, სხვათაშორის. სიცოცხლეშივე გრძნობდა ამ სამწუნარო ხარვეზს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მას, როგორც ეს დიდბუნებოვან შემოქმედთ შეპფერის, ერთხელაც არ გაუღია ხმა და არ უცდია საკუთარი ჩანაფიქრის ლოგიკურ ენაზე დაცვა და შეფასება. მისი პოზიცია ამ შემთხვევაშიც მისაბაძი და სამაგალითო იყო.

მეტაფორიზაციის რა ხარისხითაც არ უნდა იყოს თქმული. ზუსტია და უცთომელი ტიციან ტაბიძის სიტყვები: „მეცხრამეტე საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შექმნა და თავისი სისხლით კიდევ დაჰკირა... ამ დიდი ეპოპის მთავარი მბრძანებელი იყო ილია ჭავჭავაძე...“

ილიამ პრაქტიკულსა და ერის საქიროებისათვის ზოგჯერ „შავ სამუშაოსაც“ აშკარად დიდი ხარკი გაიღო. მაგრამ სხვაგვარად, როგორც ჩანს, იგი ვერ აღასრულებდა თვით ისტორიული ვითარების გამო მასზე დაკისრებულ მაღალ მისიას.

მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ილია უწინარეს იყო „სხვა რიგის“ შემოქმედი და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ. მის შემოქმედებაზე საუბრისას გვმართებს მზერა იმ უშველებელი საჩკმლიდან. საიდანაც გადაეცლება თვალი მთელს კაცდაკაცობას.

ფუჰჰად ირჩებიან ამის გამო სხვანი და სხვანი, რომლებიც მოწადინებულნი არიან რომელიმე გაყინულ დოქტრინას მოარგონ პოეტის მხატვრული შთაგონების ნაყოფი. „ოთარაანთ ქვრივისა“ და „განდევგლის“ ავტორის შემოქმედება სრულიად განსხვავებული ოღენობაა და არა ცალკეულ, თუნდაც მნიშვნელოვან, იდეოლოგიურ მოტივთა მხატვრული ილუსტრაცია. როგორც სასიამოვნო ფაქტი აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ჩვენ ღროს აღორძინდა კიდევ ცალკეული ძიებანი, რომელთა მიზანი პოეტის შემოქმედების დაურღვეველი მთლიანობის წვდომაა.

ისევე როგორც ეს დიდ შემოქმედთა უპირველესი თვისებაა, ილია მხატვრული შთაგონების განხორციელებისას მის მიერვე გაკვალულ ვზას მიჰყვებოდა.

საკაცობრიო, უნივერსალურ იდეათა დაუფლების საფუძველზე მან საკუთარ წარმოსახვაში მარადდაუეიწყარ მხატვრულ რეალობად ვარდაქმნა მისივე თანამედროვე საქართველო, რითაც სამარადეამო ხადი გასდო წარსულსა და მომავალს შორის.

„მაგრამ გავიგებთ ერთხელაც,  
 ვინ ახლო ვსდგევართ ღმერთთანა...“

ვაჟა-ფშაველას ამ ცხოვრებიდან ბევრი გულისტკივილი გაჰყვა. მათ შორის განსაკუთრებული იყო უქმყოფილება მისივე თანამედროვე კრიტიკოსთა მიმართ. გულწრფელი ქება და აღტაცება ვერ შველოდა საქმეს. სახალხო მგოსნის ეპითეტებით ამკობდნენ პოეტს, ჭეშმარიტი სიღრმისეული შრეები კი თვალთახედვის მიღმა რჩებოდა. ცთუნების ერთი მიზეზი, უნდა ვიფიქროთ, პოეტის მარტივი გარეგნული ყოფა და მისივე პოეზიის სადა პოეტური ფორმა იყო. აერძოდ. ხალხურ კილოზე ამღერებული მისი ლექსები განამტკიცებდნენ ასეთ თვალსაზრისს. ვაჟა-ფშაველას რამდენიმე წერილი ამ გაუგებრობის გაფანტვის ცდა იყო უთუოდ.

ერთადერთი გამონაკლისი, შეიძლება ითქვას, ილია ჭავჭავაძე იყო, რომელიც სხვა პროექციით ჰკრეტდა ვაჟას გოლიათურ შთაგონებას. სამწუხაროდ, ილიას წერილობით არ გამოუთქვამს თავისი აზრი, მაგრამ მისი ცალკეული გამონათქვამები, რომლებიც ზეპირად ცის ყოველმა ქართველმა და ბოლოს სიტყვები — რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭით დაჭილდოებული პოეტი არა გვყოლია — თავისთავად ცხადყოფენ, თუ რა პოეტურ სიმაღლეებს უკავშირდება იგი „ბახტრიონისა“ და „გველის მკამელის“ ავტორს.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება სიბრძნისა და პოეზიის უშრეტი წყაროა. უდრეკი ტალანტის ძალა მის თითქმის ყოველ ქმნილებაში გამოსჭვივის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ვაჟას რთული და მრავალი ასპექტის შემცველი პოეზია ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. ალბათ ლაობებია საჭირო, რათა ყოველ მხრივ იქნას გააზრებული იდუმალებით დაღდასმული დიდი პოეტის უცნაური შთაგონება. ამ შემთხვევაშიც ვაჟა-ფშაველა გენიალურ შემოქმედთა გარდაუვალ ზეგავლენას იზიარებს.

ამიტომაც არის, რომ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ყოველი ახალი ნაშრომი ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მით უფრო, თუ ეს უკანასკნელი გამოირჩევა საკითხის ორიგინალურად დასმით და კვლევა-ძიებათა სიახლეებით. მე ვფიქრობ, რომ უეჭველად ასეთი ნაშრომია თამაზ ჩხენკელის წიგნი „ტრაგიკული ნიღბები“, რომელიც არც ისე დიდი ხანია, რაც გამოქვეყნდა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში თანამედროვეობა და წარსული რალაც უცნაურად არის გადახლართული. ხედვის სიღრმე და სამყაროს მთლიანობაში აღქმის წარმართული უნარი ისევე ბუნებრივია მისთვის, როგორც თანამედროვეობის იჭვითა და ტკივილით გამსჭვავ-

ლული მსოფლშეგრძნება. სხვადასხვა კულტურული შრეებიდან მომდინარე ნაკადთა ეს იშვიათი შერწყმა კარგად არის დახასიათებული გერონტი ქიქოძის შემდეგ სიტყვებში: „ვაჟამ თავის პოეზიაში მოგვცა ორი ერთიმეორეს დაშორებული სოციალ-კულტურული ფორმაციის სინთეზი, რომელთაგან ერთი თითქმის წინაისტორიულ ხანას ეკუთვნის. ხოლო მეორე კაცობრიობის განვითარების უკანასკნელს საფეხურს. მის შემოქმედებაში ორგანიულად შეერთებულია კაცობრიობის დილისა და მწუხრის, გულუბრყვილო სიჭაბუქისა და მომწიფებული ვაჟკაცობის შეგრძნება, მისი გმირებიდან ზოგიერთნი ბედნიერ ბავშვებს ჰგვანან, ზოგიერთნი კი დაფიქრებულ ბრძენთ, რომელთაც შუბლი დანაოჭებული აქვთ მტანჯველი იქვით“.

ეს თავისთავად სწორი დებულება მიგვანიშნებს, მაგრამ არ კი გვეხსნის პოეტის იდუმალებით მოცულ შემოქმედებას. ვაჟა-ფშაველას პოეზიის მთლიანობაში გააზრების მომავალ გზაზე მის შემოქმედებაში დადასტურებული ცალკეული ასპექტების შესწავლა პირველი და გადაუდებელი ამოცანაა.

კვლევის ერთი ასეთი ასპექტია ვაჟა-ფშაველა და მითოსური სამყარო. მართლაც, ვაჟას შემოქმედების ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება, უეჭველად, მისი პოეტური აზროვნების არქაულ იერს გულისხმობს. სამწუხაროდ, კვლევა ამ მიმართულებით მხოლოდ უკანასკნელ ხანებში აღორძინდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ცალკეული და საკმაოდ მნიშვნელოვანი წერილები ანალოგიურ საკითხებზე უფრო ადრეც, ამ ნახევარი საუკუნის წინ, დაიწერა და რიგ შემთხვევაში მათი გამოძახილია თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში გამოთქმული ასეთივე თვალსაზრისი.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უღრმესი კავშირები ქართულ წარმართობასთან საკმარისად არის ხაზგასმული გერონტი ქიქოძის, სერჯი დანელიას, გრიგოლ კიკნაძის ნაშრომებში. საგულისხმო მოსაზრებებია წარმოდგენილი ამ თვალსაზრისით სიმონ ჩიქოვანის, მიხეილ კვესელავას და განსაკუთრებით აკაკი გაწერელიას წერილებში, რომლებიც აგრეთვე ბოლოხანებში გამოქვეყნდა.

საკითხის ასეთივე დასმით და რაც, ჩემის აზრით, ძალზე ფასეულია, კონკრეტული კვლევა-ძიებით გამოირჩევა თამაზ ჩხენკელის ლიტერატურულ-კრიტიკული მონოგრაფია „ტრაგიკული ნიღბები“, რომელშიც კვლევის ძირითად ობიექტად აღებულია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძვლები ვაჟა-ფშაველას პოემებში.

ვაჟა-ფშაველას რთული პოეტური მემკვიდრეობა, როგორც ითქვა, მრავალი სიძნელის წინაშე აყენებს მკვლევარს. ეს ეხება როგორც ღრმა ქვეტექსტების შემცველ პოეტურ ენას, ისე აზროვნების სრულიად უნიკალურ ფორმებს. ავილოთ თუნდაც ისეთი საკითხი, როგორიცაა ვაჟას პოეტური სემანტიკა, რომელიც ღრმა ჩაკვირვებას მოითხოვს. თავის წერილში სიმონ ჩიქოვანი შენიშნავდა ვაჟას პოეზიის

განსაკუთრებულ სიახლოვეს ხალხის მხატვრულ აზროვნებასთან. ამ თვისებათა გათვალისწინების გარეშე ჩვენ შესაძლოა მცდარი კვალიფიკაცია მივცეთ ამა თუ იმ პოეტურ სახესა თუ ცალკეულ გამოთქმას. ვაჟა-ფშაველას ერთ პირველივე ლექსში, მაგალითად, ასეთ სტრიქონებს ვკითხულობთ: „შვეითში გამგზავრებულსა ცხენი წამექცეს გზაშია: ქვეყნისგან შაჩვენებულმა ბინა დავკარგო ცაშია. გამოწყდეს ბეწვის ხიდაი, ჩავვარდე კუპრის ზღვაშია“. აქ გამოყენებული ზოგიერთი სახე ჩვეულებრივ მეტაფორად მოეჩვენება მკითხველს. თუ მათ მოვწყვეტთ იმ ბუნებრივ გარემოს, რომელთანაც პოეტი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული. „შვეითი“ აქ მიცვალბულთა ქვეყანას ნიშნავს, სადაც, ფშაველთა მითოლოგიური წარმოდგენით. აღაღიანმა ცხენით უნდა გადალახოს „ბეწვის ხიდაი“. რომელზე მშვიდობით გავლა მხოლოდ „მართალთა“ ხვედრია. „ცის ბინა“ სამოთხე, ხოლო „კუპრის ზღვა“ ჯოჯოხეთის ხალხური წარმოდგენაა — ასეთივე ღრმა ქვეტექსტების მატარებელია ვაჟასთან სიტყვები თუ გამოთქმები, როგორცაა „სამზეო“. „სულეთის ბატონი“. „დავლათიანი“, „ბედგაუტეხელი“ და სხვა მრავალზე მრავალი. რომელთა ერთობლიობა თავისი მნიშვნელობით აშკარად სცილდება მხოლოდ და მხოლოდ სტილურ მახასიათებლებს. როგორც ეს ზოგ მკვლევარს ახლაც მიაჩნია.

ვაჟას ასეთი გაგება აუცილებელი და პირველი საფეხურია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქეშმარიტი სირთულეები აქედანვე იწყება. საქმე ის არის, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უღრმესი კავშირების გამოვლენა ძვილ-ქართულ წარმართულ აზროვნებასთან საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. იგი, როგორც ითქვა, არც პოეტური სტილის ჩარჩოებში თავსდება და ვაჟა-ფშაველას მსოფლშეგრძნების, მხატვრული აზროვნების სპეციფიკას განეკუთვნება.

მართლაც, მხოლოდ გენიოსის უკიდევანო ტალანტის სფეროშია შესაძლებელი თანამედროვეობისა და არქაულის ასეთი, ერთი შეხედვით, უცნაური შერწყმა. რაც თვალნათლივ დასტურდება ვაჟა-ფშაველას მხატვრულ წარმოსახვაში. ვაჟა-ფშაველას თანამედროვეობის განცდით დამუხტული პოეზია მარადიული პრობლემატიკითაა დატვირთული. ხოლო ასეთ მხატვრული ამოცანების პოეტისათვის. და საიდუმლოების სათავე სწორედ აქ არის დამარხული. მითოსური მასალა შეუდარებლად ფართო ასპარეზს სთავაზობს შემოქმედს. კონკრეტულისა და ზედროულის ერთიანობა მითოსის უმთავრესი ნიშან-თვისებაა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ასპექტს წამოწივს წინ გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი კლოდ ლევი-სტროსი, როცა მითოსის ზოგად ბუნებას ეხება: „მითი ყოველთვის დაკავშირებულია წარსულ ამბებთან... მაგრამ მითის შინაგანი ღირებულება იმაში გამოიხატება, რომ დროის გარკვეულ მომენტში მომხდარი ეს ამბები ქმნიან მუდმივ სტრუქტურას, რომელიც შესაბამისდროულია, როგორც წარსულისათვის, ისე აწმყოსა და მომავლისათვის“.



ვაჟას უღრმესი პოეტური ინტუიცია, ამ შემთხვევაშიც. უცთომელი აღმოჩნდა. მით უფრო, რომ ობიექტური ვითარებაც აქეთვან წარმართავდა მინდიას სიბრძნით შთაგონებულ პოეტს. თამაზ ჩხენკელის წიგნის — „ტრაგიკული ნიღბების“ უმთავრესი პათოსი სწორედ ამ დებულების დამტკიცებაში მქალავნდება და იგი შესავალშივე მოხდენილად შენიშნავს, რომ „არ არის გასაკვირი, რომ სწორედ აქ, კურთხეული ფშავის თბილსა და პოხიერ ნიადაგზე, სადაც სასწაულებრივად ჯერ კიდევ იშმუშენებოდნენ წინარე ქრისტიანული იბერიის წარმართულ-მითოსური ფესვები. დაბადებულიყო პოეტი, რომლის დიონისურმა შთაგონებამ კვლავ მკვდრებით აღადგინა მივიწყებული ღმერთები და გმირები, თანამედროვეთა მტკივნეული განცდით აღბეჭდილი ნიღბები ააფარა მათ სახეებს და თვალნათლივ დაგვანახა ტრაგიკული ხვედრის მქონე ადამიანის მარადიული სახე“.

როგორ და რა დოზით იყენებს ვაჟა მითოლოგიურ მასალას. ახდენს მათ მოდერნიზებას. თუ. პირიქით. აღადგენს არქაულ სტრუქტურებს. ყოველივე ეს მკვლევარისაგან მოითხოვს სხვადასხვა სპეციფიკური საკითხის გათვალისწინებას. პირველ რიგში, ვაჟასთან დადასტურებული მითოლოგიური პასაჟების კვლევის დროს შესაძლებლობის ფარგლებში უნდა აღდგეს არქაული სტრუქტურები. კვლევის თანამედროვე დონე ტიპოლოგიურ კვლევა-ძიებას გულისხმობს და ქართულ მასალასთან ერთად სხვა ხალხთა მითოლოგიურ მასალას გამოყენებასაც. ქართული მითოლოგია ამ თვალსაზრისით საკმარისად არის შესწავლილი და თამაზ ჩხენკელი მიზნის შესაბამისად უსვად და წარმატებით იყენებს ამ შედეგებს და, რიგ შემთხვევაში, საკუთარი დაკვირვებებითაც ამდიდრებს მათ. ქართულ მასალაში დადასტურებულ ზოგად სტრუქტურებს საგულისხმო პარალელები მოეპოვება ანტიკურ და სხვა კულტურულ წრეში აღმოცენებულ მითოლოგიაში. მითი რამდენადაც ეთნიკურია. იმდენადვე ზოგად ხაზებში ზეეროვნულიც. იგი, ფაქტიურად დაწურული ფორმით უძველესი ადამიანის წარმოდგენაში მოცემული სამყაროს სურათია. ეს სურათი. — შენიშნავს წიგნის ავტორი. — ადამიანისათვის გაშინაგებული სამყაროს მოდელს ასახავს. ამის გამოა, რომ ძირითადი სტრუქტურა სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხებისათვის მიახლოებით ერთნაირია. ზოგჯერ იდენტური.

ასეა რა უნივერსალიების დონის ფაქტებად აღიქმება. მაგალითად. სრულიად სხვადასხვა ხალხების წარმოდგენებში დადასტურებული მსგავსი ანთროპომორფისტული შეხედულებები უსულო თუ ცხოველური ბუნების შესახებ. თითქმის იდენტურია გზა ბუნების გაღმერთებიდან ასტრალური პანთეონის ჩამოყალიბებამდე. ძველი კოლხური პოეზიის იშვიათი ნიმუში „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი“... ასეთივე მახლობელი მოჩანს სრულიად განსხვავებულ ხალხთა მითოლოგიისათვისაც. ქართული მითოლოგიის იზოლირებული შესწავლით ჩვენ უძველად გაგვიჭირდებოდა ისეთი საკრალური აქტების გაცნო-

ბიერება, როგორცაა ვაჟა-ფშაველასთან ასე ხშირად წარმოდგენილი „გველის ხორცისა“ თუ „კაცის ხორცის“ შექმნა-ფერისცვალება, რაც მიღებული ტერმინოლოგიით, დიონისური ორგანიზმის კულტს უკავშირდება.

თუ რამდენად სანდო მასალას გვაწვდის კვლევის ასეთი მეთოდი, ეს ჩანს ვაჟას შემოქმედების ცალკეული პასაჟების ანალიზის დროს. ჩემ აქ ერთ დაკვირვებას შევხები მხოლოდ.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ხილვის სიღრმე და იდუმალემა გამუქდენდა ჯერ კიდევ მის ერთ ადრეულ ლექსში „დევების ქორწილი“, რომელიც 1886 წელს დაიწერა. ეს ხილვა, მართლაც, ფანტასტიკურია და ძალზე დამახასიათებელია პოეტის მხატვრული აზროვნების შინაგანი მიდრეკილებებისათვის. ის რაც აქ ერთგვარი ემბრიონის სახითაა მოცემული, თანდათან მთიდან მომსკდარი ზვავით წამლევავი ხდება და თვისობრივად ახალი სიმალეების დაუფლებას მოასწავებს.

ბუნების გრანდიოზული მღელვარების ფონზე შემდეგი სურათია გადმოცემული. დევების ქორწილზე მიპატიებულს კაცის ხორცს სთავაზობენ. შეძრწუნებულ სტუმარს ვიღაცის განწირული კვნესა მოესმის „უკვენას ყურეშითა“, რომლისთვისაც ალბათ ასევე კაცის ხორცი დაუძალეობათ დევებს. აქ თითქმის ყოველ სახეში მითოლოგიური დეტალი გამოსჭვივის. „ბუნების არეულობა“ აქ იგივე გაზაფხულის ავდარს უკავშირდება, ხოლო დევები, ქართულივე მითოლოგიით, ნაყოფიერებისა და ვეგეტაციის ევმონებს განასახიერებენ. „კაცის ხორცის დაძალეობა“ ორგანისტული პასაჟია და ადამიანურზე დევური საწყისის ზიარების მცდელობაა. თამაზ ჩხენკელის მართებული დაკვირვებით ფრაზა: „სამპირად ცეცხლი დაენტოთ. ზედ სამი ქვაბი ზნოდა“. ქართული „ამირანიანის“ გამოძახილია (სამი ქვაბი ბადრი, უსუპ და ამირანისთვის უნდა იყოს განკუთვნილი). უფრო მეტიც, ვაჟა აღრმავებს ფოლკლორულ წყაროს, რომელშიც ასეთივე პასაჟები „ბუნების არეულობის“ გარეშეა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც რიგ სხვა შემთხვევებში, ვაჟა საოცარი შთაგონებით აღადგენს სავარაუდებელ მითოლოგიურ არქეტაპს. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს დეტალი „უკვენა ყურეშითა კვნესის ხმა გამოდიოდა“? ფაქტია, რომ წინამორბედ სტუმარს ურჩობა გამოუჩენია და ამიტომ „მას კაცის ხორცის არშეკმის ალტერნატივად თვიონ მოელის დაკვლა“ და თამაზ ჩხენკელი აქ მარჯვედ იყენებს ანალოგიური პასაჟების შემცველ სხვა ხალხთა მითოლოგიურ მასალას. პრობი თავის ცნობილ წიგნში „ჯადოსნური ზღაპრების ისტორიული ძირები.“ ასახელებს არა ერთ ფაქტს, როცა ასეთივე ორგანისტული პასაჟი „მეზობელ ოთახში“ („იაკუტური ზღაპარი“), „საკუტნაოში“ (გრიმები) ხდება იქ. „სადაც აკრძალულია შეხედვა“. აღსანიშნავია, — დასძენს თამაზ ჩხენკელი, — რომ პრობის მიერ მოტანილი მასალა უცნაურ წვრილმანებამდე ემთხვევა „დევების ქორწილის“ ზოგიერთ დეტალს... „უკვენა ყურე“ — ადამიანის მსხვერპლშეწირვის უძველეს

რიტუალში (რომლის ფორმები ისტორიულად ცვალებადი იყო) ყველაზე მდგრადი ელემენტია... როგორც ჩანს. ვაჟა სწორ და ღრმა გაგებას იძლევა მითისას, რომლის არქეტიპულ მოდელს იგი გენიალური ინტუიციით წვდება.

მითოლოგიური მასალის ასეთი ფართო ჰლანით კვლევა საცნაურს ხდის არა მარტო ცალკეული დეტალების მნიშვნელობას, არამედ გარკვეულად მიგვანიშნებს მხატვრული ქმნილების დედააზრზეც, ეს ამ დეტალის ანალიზის დროსაც ხელშესახებად გამოჩნდა. დევური და აღდამიანური საწყისების მარადიული მეტოქეობა. რომელიც „დევების ქორწილის“ ფანტასტიურ ხილვებშია წარმოდგენილი, ერთ უმთავრესს ლეიტმოტივად გასდევს ვაჟა-ფშაველას მთელ შემოქმედებას.

მითოსური მასალა კიდევ უფრო ღრმად და მრავალფეროვანი ასპექტით არის დამუშავებული ვაჟა-ფშაველას ისეთ დიდებულ ქმნილებებში. როგორცაა „კოპალა“ და „ალუდა ქეთელაური“. „კოპალა“. თავისი ფაქტური. ჯადოსნური ზღაპრის ყველა ნიშანს ამტკიცებს. მაგრამ მისი ქვეტექსტი თანამედროვეობის სულითაა აღბეჭდილი.

კოპალა — დევებთან მეტროპოლი, კაცობრიობის განმასახიერებელი გმირია. კოსმიურ ძალთა ჭიდილის ფონზე გადმოცემულია დევთა შიურ კაცთა მოღვმის დამორჩილების შეწაბრაი სურათები. წინის ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველას ამ, მართლაც, განსაკვიფრებელ „კოპალას“ რატომღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მკვლევარები, მაშინ, როცა. იგი ყველაზე ხელშესახებად ავლენს ვაჟას მითოსური აზროვნების ძირითად თვისებებს. გარეგნულად კოპალას სახე წარმართული პანთეონის ღვთაებათა (კოპალა-იახსარი. წმინდა გიორგი. კვირია). მოდელის მიხედვითაა შექმნილი. მაგრამ შინაგანად იგი ახალ რწმენასა და ახალი ღვთაების ნებს განსახიერებს. სწორედ მისი შემწეობით ამარცხებს იგი დემონურ ძალებს და ახალი რწმენისათვის ათავისუფლებს კაცთა მოდგმას. ეს ახალი ღმერთი ქრისტიანულია და „დევებისა და დევურის დამარცხება პოემაში სასტიკი და დრომოჭმული მსოფლმხედველობის ახალ ეთიკურ ღირებულებებთან დამარცხების ბადალია“.

აღნიშნული მათის მითოლოგიური მასალა, რომელშიც. როგორც ცნობილია. წარმართულისა და ქრისტიანულის მსოფლგანცდის უნიკალური შეჯვარების მდიდარი ნიმუშებია წარმოდგენილი, თავისთავად იძლეოდა ნაყოფიერ ნიადაგს. მაგრამ ვაჟასთან ეს მომენტი კონცეფციის ძალას იძენს და, როგორც წიგნის ავტორი შენიშნავს. „კოპალაში“ გაშლილი ფილოსოფიურ-ეთიკური ხასიათის კოსმოსური ღრამა თითოეული ადამიანის გულში მიმდინარე შინაგანი ბრძოლის ანარეკლიცაა და ამ აზრით, ეს პოემა ახალი ღრმის სულით აღბეჭდილ მისტერიად წარმოგვიდგება“.

თამაზ ჩხენკელის წიგნის ერთი დიდი ნაწილი ეძღვნება ვაჟა-

დშაველას შემოქმედების უპირველეს შედეგს „აღუდა ქეთელაურს“. ეს გასაგებიცაა, რადგან გარდაქმნა-ფერისცვალების კათარტიკული აქტი ყველაზე რელიეფურად სწორედ ამ პოემაშია გამოკვეთილი. „აღუდა ქეთელაური კაცია დავლათიანი“, — ვკითხულობთ პოემის დასაწყისშივე და ეს უკვე მინიშნებაა, რომ აღუდა შინაგანად გამორჩეული პიროვნებაა („დავლათიანი“ იღბლიანს, ვაჟასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, წინ წასულს ნიშნავს, სხვათა შორის, ამ სიტყვის ეს საკრალური მნიშვნელობა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შეიქმნა ცნობილი. იხ. ალ. ჭინჭარაულის ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი). ხოლო მისი თავგადასავალი „სხვა-რიგის“ ვნებებითაა პირობადებული.

„აღუდა ქეთელაურზე“, და ეს გასაგებიცაა, ბევრი დაწერილა. კარგითა და ავიც, ჰეკვიანურიცა და უმეცრულიც. აქ აღძრული მარადიული პრობლემები არაერთგზის ვიწრო თემატური საკითხების დონემდე ჩამოუქვეითებიათ და ხელის მოკვეთა-არმოკვეთის აზრი პირველყოფილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ჩვეულებათა გაღმონათების უარყოფაში დაუნახავთ. თამაზ ჩხენკელის წიგნში ამ საკითხებს ეძღვნება ერთ-ერთი ცენტრალური ნაკვეთი — „აღუდა ქეთელაურის ვნებანი“ და აქვე ვიტყვი. მე არ მეგულება სხვა ნაშრომი, რომელშიც ასეთი მთლიანობით, ორიგინალური დაკვირვებებით იყოს წარმოდგენილი „აღუდა ქეთელაურის“ მხატვრული ანალიზი.

სკრუპულოზულ დაკვირვებათა საგნად არის ქცეული პოემის თითქმის ყველა პასაჟი, ცალკეული გამოთქმა თუ დეტალი და ყოველივე ეს პროეცირებულია სწორი მიდგომით, ვაჟას მსოფლგანცდის მართებული შეფასებით. აქ მე მინდა ორ უმთავრეს მომენტს გავუხსვა ხაზი. უნივერსალური პრობლემატიკით გატაცება ბედისწერასავით თანდაყოლილი თვისებაა ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედებისათვის. ყველაზე უფრო კონცენტრირებულად და მხატვრული შთაგონებით ეს განხორციელდა „აღუდა ქეთელაურში“ და ვაჟას უდიდესი მხატვრული მიღწევა სწორედ ის არის, რომ იგი ძალზე მიწიერ, ხელშესახებად ცხოვრებისეულ სახეებში ასერხებს არაჩვეულებრივად მასშტაბურ განზოგადობებს. აღუდა ქეთელაური ახალი რწმენის დამკვიდრებისათვის შეუპოვარი მებრძოლის უნივერსალური სახეა. სწორედ ასეთ, ჭეშმარიტების მაძიებელ გმირთა გამო შენიშნავდა უილიამ ჯემსი, რომ „ასეთი გმირები არღვევენ უკუნს, ისინი არიან წინამორბედნი ახალი ცხოვრებისა... მათი ცხოვრების მოწოდებაა გაანაყოფიერონ მსოფლიო, გამოაცოცხლონ სიკეთის ის მარცვლები, რომლებიც უიმათოდ ვერ გაიხარებს. იმის შემდეგ, რაც (ასეთი კაცი) გაივლის ჩვენს წინაშე, ჩვენ მეტად აღარ შეგვეძლება ისეთნაირები ვიყოთ. როგორებიც მანამდე ვიყავით. ცეცხლის ალი ყოველთვის ცეცხლსა შობს“. ამასთან დაკავშირებით, ანალოგიური პრობლემების მკვლევართა დამოწმებით თამაზ ჩხენკელი მართებულად დასძენს:

„ისინი (ეს პიროვნებანი) რეალურად იმარჯვებენ. ენიიდან პიროვნება შევემშული ანუ დაწურული სახით მოცემული საზოგადოებაა... პიროვნების ზნეობა საზოგადოების შინაგანი საწყისია... და ამდენად პირველის შინაგანი მონაპოვარი, ადრე თუ გვიან, მეორის მონაპოვრად იქცევა“. მხოლოდ ამ კონტექსტშია შესაძლებელი „აღუდა ქეთელაღრი“ კათარტიკული ბუნებისა და დაუოკებელი იმპულსების ანსის და შეფასება.

მაგრამ ყოველივე ამის შეფასება-განმარტებისათვის პირველ რიგში საჭირო იყო ნაწარმოების ღრმა და ყოველმხრივი მხატვრული ანალიზი.

რა უხით. როგორი შთაგონებით გადაწვევტა პოეტმა მის წინაშე აღმართული უძნელესი მხატვრული ამოცანა. ეს არის ყველაზე ფასეული მომენტი აღნიშნულ გამოკვლევაში.

ავიღოთ მაგალითისათვის თუნდაც ისეთი ფაქტი, როგორცაა მტრისათვის ხელის არმოკვეთა, რომელიც თვით ვაჟასავე მოწმობით ხალხურ თქმულებებში არაა და საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ვაჟამ, და ეს არის სიმძიმის ერთ-ერთი ცენტრი. იპით გაამძაფრა ეს კოლიზია, რომ იგი შედარებით არქაულ თემში გადაიტანა. თამაზ ჩხენკელის დაკვირვებით ვაჟა ამას ყოველთვის არ აკეთებდა (შდრ. მაგალით. გოგოთურ და აფშინას სამოქმედო ისტორიული ფონი). ზუსტი მხატვრული ინტუიცია კარნახობდა პოეტს, რომ ამით ეს კოლიზია ღრმა და ამასთან საკრალურ იერს შეიძენდა, ხოლო პოემაში გაშლილი მითოსური პლანი ბევრად უფრო ნოყიერ ნიადაგს მისცემდა ზოგადადამიანურ ვნებათა განზოგადებისათვის.

ავიღოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პასაჟი პოემიდან, რომლის სწორი გაგება, ტექსტზე დაკვირვება, რადიკალურად ცვლის ადრეულ ინტერპრეტაციას. გავიხსენოთ ალუდას თითქოსდა უცნაური საქციელი მოკლული ქისტი-მუცალის ცხედართან: „გულზე ძეგლიგი დაადვა, მკლავზედ ფრანგული ხმალიო. მარჯვენას არ სჭრის მუცალსა, იტყოდა, ცოდვა არიო“. აქ ეს სიტყვა „ცოდვა“ სწორად არ ესმოდათ: ალუდას კი არ შეეცოდა მუცალი, არამედ ცოდვად მიიჩნია მისთვის მკლავის მოჭრა. რომ ეს ასეა, მისგანვე სხვაგზის თქმული ადასტურებს: „ვაი, ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა“. ეს დაკვირვება სრულიად სხვაგვარ შუქს ჰფენს ამ ეპიზოდის გაგებას, საიდანაც იწყება ალუდას ფერისცვალების მძიმე და მტანჯველი გზა, რომელსაც გმირი ახალი რწმენის აღიარებამდე მიჰყავს. მუცალმა თავისი შეუპოვრობით დაუმტკიცა ალუდას. რომ იგიც „კაი ყმაა“. მას არაფრით ჩამოუვარდება, მისი მსგავსია და მისივე მსგავსის მოკვლა, მით უფრო, შეურაცხყოფა, არაკაცური, ადამიანური საწყისის საწინააღმდეგო ქმედებაა და ალუდას პიროვნებაში პირველად იღვიძებს ახალი და დიადი გრძნობა...

ასეთი საინტერესო დაკვირვებები სხვაცაა ნაშრომში, მაგრამ

ჩემის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის მიგნება „ალუდა ქეთელაურში“ წარმოდგენილი მოქმედების პარალელურ შრეებზე. მხოლოდ ფაბულური პლანი ჩვენ ვერ აგვისხნის ალუდას ფერისცვალების რეალურ მიზეზებს, თუ ჩვენ თვალს არ გავადევნებთ გარეგნულ მოქმედებაში ჩამარხულ ფარულ აზრს. გარეგნული დაპირისპირებანი და კონფლიქტები ფაქტიურად მოტივირებულია შინაგანი. როგორც წმინტეში, თვით გმირისათვის გაუცნობიერებელი კონფლიქტებით, რომლებიც კონტრაპუნქტივით ბოლოს ერთ წერტილში ცურის თავს. ფაბულისათვის თავისთავად მნიშვნელოვანი პასაჟები, როგორცაა ალუდასა და ხევსურთა შეპაექრება თუ კონფლიქტი ხვეისბერთან, არ იძლევა მთლიან წარმოდგენას ალუდას საქციელის რეალურ სარისხზე. მართლაც, იაეთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როგორცაა ხატობაზე ალუდას მიერ გამოვლენილი ურჩობა, ფაქტიურად ცრუ ფაბულურ კვანძს წარმოადგენს, რადგან ალუდას პიროვნებაში გარდატეხა უკვე ფაქტად არის ქცეული და ხატობაზე ჩვენ უკვე მისი ქცევის მხოლოდ ერთ-ერთ შედეგს ვაწყდებით. ეს მოქმედება გაუგებარია ფაბულური პლანის ფარგლებში, რაკი მისი ფესვი ალუდას ქვეცნობიერებაშია დაფარული. რაც პოემაში ვიზიონითა და სიზმრით არის პროეცირებული და ავტორის დასკვნით: „ალუდა ქეთელაურის“ შინაგან ცენტრს სწორედ ეს ადგილები წარმოადგენს.

„ალუდა ქეთელაურის“ მხატვრული ანალიზის დროს სიზმარში მოცემულ ფანტასტიურ ხილვებზე აქცენტირება მკვლევარს აძლევს საშუალებას გასაგები გახადოს დიადი მხატვრული ჩანაფიქრი. ხელშესახები ხდება აგრეთვე აქ გამოყენებული მითოსური მასალის შინაგანი ფუნქცია. ბრძოლიდან დაბრუნებული ალუდას შემზარავი ჩვენება „ღისაც მტერობა მოსწყურდეს. გადოს სახლის კარია. სისხლ დაიგუბოს კერაში. თვითონაც შიგვე მდგარია“ და დიონისური ორგიაზმით დაღდასმული სიზმარი („ესკამდი, მზარავდა თუმცაღა კაცის თავფეხი ძელიანი“) ალუდას სულში დატრიალებული მორალური ტანჯვის უკუფენაა და ამავე დროს კათარტიკული ფერისცვალების უდიდესი ნიშანსვეტი. პოემის ყველა მხატვრული ასპექტის გათვალისწინებამ მკვლევარს მისცა საშუალება ამავე დროს თვალი გაედევნებინა ალუდას სულიერი ზეადსვლის ცალკეული მონაკვეთებისათვის, რის მხატვრული მოდელიც წიგნში ასეა გადმოცემული: „პოემაში ალუდას ინდივიდუაცია, მისი პიროვნული თვითდადგენების ცალკეული ეტაპები ასეთი გრადაციით საჩინოვდება: ფერისცვალების იმპულსი (ბრძოლა) — იჭვი (ხევსურებთან დიალოგი) — წუთისოფლის ხილვა (იმედის ქაფი, მტერობა) — ახალ ღმერთთან ზიარება (სიზმარი) — გადაწყვეტილების მიღება (უჩინარი პაუზა) — რწმენის განხორციელება (ხატობა)“. აქ, ჩემის აზრით სრულყოფილადაა წარმოსახული მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვით შეკავშირებული მოქმედების შინაგანი და გარეგანი პლანი, რომელთა მეშვეობით შეუპოვარი მხატვრული ძალითაა წარმოჩენილი ახალი პიროვნების დაბადება. ალუდა ქეთელაური, როგორც ითქვა, მაძიებლის სულისა

და თავისუფალი ვნების მატარებელი გმირის უკვდავ სახედ აღიქმება.

ამავე საკითხებზე წიგნში არა ერთ სწორ და საგულისხმო დაკვირვებებს შეხვდება მკითხველი. ვაჟა-ფშაველას მთელი შემოქმედების გათვალისწინებით ავტორი მართებულად ასკვნის, რომ ალუდას ახალი ღმერთიც ასევე ჰუმანიზირებული ქრისტიანობის წიაღშია საძიებელი, ან მისივე სიტყვებით რომ ითქვას: „მზისებრ ამომხდარი მახვილით ქეთელაური ანგრევს შატლის თავზე დამხობილ ტომობრივად შეზღუდული სარწმუნოების „კლდის ცას“, რათა დაანახოს თვისტომთ უსასრულო, მარადიული ცა კაცობრიული ღმერთისა“. ასევე საგულისხმო მოსაზრებებია წარმოდგენილი ამავე თავში მუცალისა და ალუდას მძვინვარე შერკინების ანალიზის დროს და გააზრებულია ამ ბრძოლის განსაკუთრებული მნიშვნელობა ალუდას სულში ჩასახული იჰვისა და ახალი რწმენის შემდგომ განვითარებაში, მაგრამ მათი უბრალო ჩამოთვლაც აქ შორს წაგვიყვანდა. მე მინდა მხოლოდ აღვნიშნო ერთი ძალზე სასიამოვნო მოვლენა, რომლითაც ჩვენ არც ისე ვართ განებივრებული. განსაკუთრებით ეს ითქმის სწორედ იმ თავზე, რომელიც მთლიანად „ალუდა ქეთელაურს“ ეხება. ეს არის არაჩვეულებრივი ტაქტი და ფაქიზი მიდგომა მხატვრული ფაქტებისადმი და ეს ანალიზი იმდენად ოსტატურად არის შესრულებული, რომ მთელი ეს თავი თავისთავად მხატვრული ქმნილების შთაბეჭდილებას ახდენს. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით წინა თავებზე, რომლებშიც ზოგჯერ მასალობრივი სიჭარბე ხელს უშლის მკითხველს თხრობის ძირითადი ძარღვის ბოლომდე აღქმაში.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში პიროვნების ფერისცვალების მითოსური საფუძვლების კვლევის დროს, რასაკვირველია, განსაკუთრებით უხვ მასალას შეიცავს ისეთი მნიშვნელოვანი პოემა, როგორცაა „გველის მკამელი“, რომელიც ფაქტიურად ასრულებს ანალოგიური ციკლის ვაჟასეულ ქმნილებებს. მინდიას სიბრძნე და ტრაგედია ასევე მითოსურ პლანშია მოაზრებული და ადამიანის დანიშნულების უნივერსალურ საკითხს დასტრიალებს თავს. ალუდას სახე. — შენიშნავს ერთ ადგილას სიმონ ჩიქოვანი. — შორეულად ავტორის მიდრეკილებათა ანარეკლია და მისი ხასიათის ორეული“. ეს კიდევ უფრო დაბეჭითებით უნდა ითქვას მინდიას სახეზეც. მე აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ ბუნებასთან თანაზიარობის საოცარ დამთხვევებს. სიბრძნისა და შთაგონების მიმოქცევა თვით პოეტისავე სულში აღძრული შინაგანი ტრაგიზმის ერთგვარი გამოძახილია. შინაგანი წუხილისა და ღვთაებრივთან თანაზიარობის ცვალებადობას ვაჟას არა ერთ ქმნილებაში გამოუყოფნავს. თითქოს მინდიას ტრაგედიაა ტრანსფორმირებული პოეტის ერთ გვიანდელ ლექსში „მარტოობა“, რომელშიც ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ: „როცა არწივი წამივა, ჩვარი ვარ, მცირე ჩვარზედა. დამმალეთ, ნუ გამომაჩენთ, არ შესცდეთ, დამსვათ ჯარზედა“.

„გველის მკამელთან“ დაკავშირებული ძირითადი საკითხების

მთელი წყება ასევე ფართო პლანითაა განხილული. სწორია ავტორის წინასწარი დებულება პოემაში წარმოჩენილ მითოსურ საფუძვლებზე: „ვევლისაგან გმირის შთანთქმა და პირუკუ, გველის ხორცის შეჭმა ერთი და იმავე მნიშვნელობის ფაქტია და ორივე მის ქვეცნელში ყოფნასა და მითოსურ პლანში მის ინიციატიაზე, მაგიური ცოდნის მოხვეჭაზე და ზეგარდმო გულთმისნობაზე მიგვითითებს“, ასევე დამაჯერებელია ავტორის დასკვნა, რომ მხოლოდ „უდიდესი ტანჯვის საზღაურად შეიძლება გადალახოს კაცმა ადამიანური საზღვარი“ და როგორც ეს ადრე იყო შენიშნული, ტრაგიკული ვნებაც სწორედ აქედან იღებს სათავეს. ღვთაებრივ ცოდნასთან ადამიანის თანაზიარობის ცეუსლებლობის პირველ მაგალითს, ჩემის აზრით, ბიბლიური ლეგენდა გვიცხადებს და გარკვეული თვალსაზრისით მინდიას ტრაგედიაც მისი ერთგვარი გამოძახილია. მე ვფიქრობ, რომ ასეთივე ასპექტი იგულისხმება წიგნის ავტორის სიტყვებში, როცა იგი მინდიას ტრაგიკული ბედის გარდუვალობაზე საუბრობს: „ადამიანური ყოფისა და ღვთაებრივი არსებობის შერიგება კრახით დასრულდა. ბუნებას, სამყაროს პირველ დასაბამს, ღვთაებრივ წიაღს მოწყვეტილი ადამიანი თავს იკლავს და ეს ბუნებრივი დასასრულია, რაკი ბუნებისა და ღმერთის საკვებასთან ზიარებულისათვის მასთან თანაზიარობის დაკარგვა თავისთავად უდრის სიკვდილს“.

ისევე, როგორც „ალუდა ქეთელაურის“ მაგალითზე ვნახეთ, აქაც რჩვეულებრივი სიზუსტითაა გაანალიზებული მნიშვნელოვანი ეპიზოდები, თითქოსდა ერთი შეხედვით შეუმჩნეველი დეტალები. მაგალითად, საგულისხმო დაკვირვებად მეჩვენება გარეგნულად თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი. მინდიამ ცოლისაგან გამომცხვარი „მოწამლული ქადა“ ჭამა და თანდათან დევურ ცხოვრებას ეზიარა. ისევე, როგორც ფწაურ „აპირანთანში“ დევთაბერის მიერ გამოცხობილი ქადა, რომელშიაც კაცის თავფეხია ჩატანებული, მაცოთნებელ შეჭამანდს განასახიერებს. სხვა დეტალებთან ერთად ამ დაკვირვებითაც ნათელი ხდება, რომ მინდია მდედრულ-მატერიალური ყოფისაგან მაცოთნებული აღმოჩნდა და საკუთარი რწმენის ღალატის გზას დაადგა. ასეთივე მნიშვნელოვანი ქვეტექსტებია გამოვლენილი პოემის ისეთ პასაჟებში, როგორიცაა მზიას სიზმარი, მინდიას ფანტასტიკური ხილვები და ა. შ., რომელთა ანალიზის დროს გათვალისწინებულია ვაჟას მთელი პოეტური სამყარო და მდიდარი ქართული (და არა მარტო ქართული) მითოლოგიური პარალელები.

ასევე საგულისხმოა ავტორის მოსაზრება, როცა იგი ორ უმნიშვნელოვანეს პოეტურ სახეს ალუდასა და მინდიას ურთიერთმიმართებაში ახასიათებს. ამ შემთხვევაში უფრო რელიეფურად იკვეთება მათი როგორც გამორჩეულ გმირთა მარადიული პროფილები: „ალუდა ზეადმავალი გმირია, მინდია ქვეადმავალი. ალუდა ტიტანური ძალისხმევით არღვევს საზოგადოების დახშულ მორალსა და რელიგიის გაქვავებულ დოგმებს. უნივერსალურ ღმერთთან ზიარებული, იგი ზეკა-



ცურ თავისუფლებას იხვეჭს. ხოლო ზეკაცურ ცოდნასა და ბუნების საიდუმლოსთან წილნაყარი მინდია ჰკარგავს ღვთაებრივ ზეცნობას, რაკი საზოგადოებაში ცხოვრება შეუძლებელს ხდის მის შენარჩუნებას და თავისსავე თავში დამარცხებული თავს იკლავს“. აქ და სხვა შემთხვევაშიც სწორი თვალთახედვით არის დანახული ტრაგიკული ხვედრის მქონე ბრძენი მინდიას სახე და უეჭველად. აქ გამოთქმული მოსაზრებები თავის წვლილს შეიტანს ამ ურთულესი პოეტური ქმნილების შემდგომ კვლევა-ძიებაში.

...მე აქ მინდა შევეხო აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხსაც, რომელიც აღძრულია თამაზ ჩხენკელის წიგნის ფურცლებზე და რომელსაც, ვფიქრობ, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ვაჟა-ფშაველას მრავალმხრივი შემოქმედების სწორი შეფასებისათვის.

პირველ რიგში მე აქ მინდა ისევ დავუბრუნდე „გველის მჭამელის“ მხატვრულ თავისებურებებს. მიუხედავად იმისა, რომ პოემაში თითქმის თავიდანვეა მინიშნებული უმთავრესი პრობლემა და გამოკვეთილია კიდევ გმირის სახე. აშკარად შესამჩნევია რიგი წინააღმდეგობა, რომელიც ერთგვარად აძნელებს მხატვრული ჩანაფიქრის ბოლომდე ათვისებას. ეს მომენტი შენიშნულია კიდევ ჩვენს კრიტიკაში და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციაც მოიპოვება ამ საკითხზე. ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: ცალკეული ეპიზოდები აქ ვაჟასეული წვდომით, დიდი მხატვრული ძალით არის გადმოცემული (მაგალ. მინდიას ბუნებასთან თანაზიარობა. კონფლიქტი ოჯახთან. მზიას სიზმარი, ქალთა კრებულის დიალოგები, მინდიას სიკვდილი და ა. შ.), მაგრამ პოემას ამასთან გარკვეული ხარვეზები დაჰყვება, რაც ხელს უშლის ერთ მთლიანობაში მის აღქმას. ამ მოსაზრებას იზიარებს წიგნის ავტორიც და მიუთითებს კიდევ ამის ზოგიერთ მიზეზს. „გველის მჭამელში“ ბოლომდე არაა მიყვანილი მითოსური პლანი და მასში არაორგანულად ეჭრება სხვა გარეშე ნაკადები, რის გამოც აქ უეჭველად შეინიშნება შინაგანი წინააღმდეგობანი (კერძოდ. მითოსური და სოციალური პლანი შეუთავსებელი რჩება). ეს ჩანს. მაგალითად. პოემის იმ მოტივებში, სადაც მინდია ბუნების ჭომაგად გვევლინება. მაგრამ ამავე დროს იგი აქ ბოლომდე თანმიმდევრული არაა (მეტიც, იგი „ქვეყნის სარგოდ“ კაცსაც კლავს. რაც ღვთაებრიობის საწინააღმდეგო ქმედებაა). თამაზ ჩხენკელის დაკვირვებით ასევე არა ზუსტი, უფრო მეტიც, თვით ვაჟას შემოქმედებისათვის უცხო მოტივია, როცა მინდიას თავთავები მომკას შესთხოვენ ისევ და ისევ „კაცთა სარგოდ“, მაშინ, როცა მითოსური შინაარსი ამ პასაჟისა უფრო ღრმაა და საკრალურ ქვეტექსტებს უნდა შეიცავდეს (მარცვლის დაღუპვა გააზრებული უნდა იყოს, როგორც ნაყოფიერების ღმერთის დაღუპვა). აქ „მიზანი“ შეცვლილია და ზითის ისეთ პროფანირებასთან გვაქვს საქმე, რასაც ვაჟა ჩვეულებრივ არ მიმართავს და მისთვის სრულიად უცხო მხატვრული ხერხია. ასევე გონივრული ჩანს დაკვირვება თვით პოემის სტილურ თავისებურებებზე. მითოლოგიურ ჩარჩოში ჩაქსოვილ უტი-

ლიტარისტულ მოტივებს, ბუნებრივად. თან დაჰყვა უცხო ინტონაციები, და როგორც მკვლევარი დასძენს, მაგიურობას მოკლებული, პუბლიცისტური ხასიათის ლექსიკა და ფრაზეოლოგია (ამის დამადასტურებელი რამდენიმე საგულისხმო მაგალითია მოტანილი ნაშრომში). უნებლიეთ თუ იქნებ შეგნებულად დაშვებული ასეთი მხატვრული „უზუსტობანი“ უეჭველად გარკვეულ დაღს ასვამს პოემის მხატვრულ მთლიანობას და ერთგვარად გამოარჩევს მას ვაჟას სხვა პოემებისაგან.

პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძვლები ასევე ფართო მასშტაბითაა განხილული ვაჟას სხვა პოემების მაგალითებზე და არა ერთი საგულისხმო დაკვირვებებია მოტანილი ისეთი პოემებიდან, როგორცაა „სტუმარ-მასპინძელი“, „ბასტრიონი“, „ახუნდი“. და სხვ. მაგრამ ჩემის აზრით, ავტორი ზოგჯერ ისეა გატაცებული მითოლოგიზაციის პრობლემით, რომ აშკარად ზედმეტ დატვირთვას ანიჭებს სრულიად სხვა პლანში მოაზრებულ ცალკეულ პასაჟებს. სხვას რომ თავი დავანებოთ, აშკარად მითოლოგიური მოდელების თარგზვა წარმოდგენილი წიგნში „გოგოთურ და აფშინას“ ანალიზი, მაშინ, როცა მითოლოგიური შრე აქ ძალზე მცირე ღიშითაა წარმოდგენილი. თვით აფშინას სახეც ნაკლებ არქაულ იერს ატარებს და პოემის საერთო ფაქტურაც ბევრად უფრო აღბეჭდილია თანამედროვეობის ნიშნით, ვიდრე ეს ზემოთ ნახსენებ სპეციფიკურ პოემებში დასტურდება. ასევე, ჩემის აზრით, ნაძალადევი ჩანს აფშინას პიროვნების გარდაქმნის მითოლოგიურ დონეზე განხილვა და მისი ალუდას მსგავსად „ზედ-მაგალ“ გმირად დასახვა. ამაზე მიუთითებს თვით პოემის ფინალი (აფშინას ხმა: „ვაჰ, მკვლარო ვაჟაკობაო. ცოცხლად დამარხავ თავისა“). მითოსური შრე ერთი დიდი, მაგრამ არა ერთადერთი შენაკადია ვაჟა-ფშაველას მრავალმხრივ პოეტურ სამყაროში. ამაზე მეტყველებს სხვა მხატვრული ქმნილებები და განსაკუთრებით კი მისი ლირიკული შედეგები, მაგრამ მათზე საუბარი აქ შორს წაგვიყვანდა.

წიგნის დიდი ნაწილი, როგორც ითქვა, საკუთრივ მითოლოგიური მასალის კვლევა-აღდგენას ემსახურება და ზოგადი სტრუქტურების ტიპოლოგიურ დახასიათებას ეძღვნება. მაგრამ ზოგადი სტრუქტურების წიად მითოლოგიაში, ისევე, როგორც ყოველ სულიერ ფენომენში, აშკარად დასტურდება, და არც შეიძლება სხვაგვარად წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ ხალხისათვის. თუ ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვალთახედვა, გამოხატვის ფორმები (ე. წ. ველტილდი), რომელთა უგულვებელყოფა აშკარად აღარბიებს მთლიან წარმოდგენას ამა თუ იმ ხალხის საკუთარ წვლილზე. ამ მიმართულებით წარმართულ კვლევას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ვაჟა-ფშაველას მითოსური აზროვნების წყაროების გამოვლენის საქმეში.

მით უფრო, რომ ვაჟა-ფშაველა მთლიანად და არსებითად სწორედ ქართული მითოლოგიის არსენალით საზრდოობს და მისი პოეტური ენა თუ მხატვრული აზროვნება ყველა ნიუანსში ეროვნულ ძირებს უკავშირდება. ისიც ნიშანდობლივია, რომ სწორედ ფშავ-ხევსურულმა

(და საერთოდ, ქართულმა მთამ) შემოვიცინაბა მითოლოგიური არქე-ტიპი. რაც განაპირობა მთლიანი საქართველოს ისტორიულმა ცხოვ-რებამ (საქართველოს მაგალითი ბარისა და მთის თავისებური ისტო-რიული ცხოვრების უნიკალურ სურათს გვაწვდის). აქ არ უნდა დავი-ვიწყოთ დიდი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებლური დასკვნა, რაც მან ქართველ ტომთა მითოლოგიის რეტროსპექტიული კვლევის შედეგად გამოიტანა: „ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შო-რის. მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო წარმართობა არსებობდა... ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც. საერთო ენაც ქართული ჰქონია“. ვაჟა-ფშაველა ამ თვალსაზრისითაც. მიუხედავად ქართული მთის მიკროლოკალის მითოლოგიური ჩარჩოსი. ფაქტიურად ზოგადი ქართული ეროვნული ძირებით სასრდლობდა. ისევე როგორც მის მხატვრულ შემოქმედებაში აღიბეჭდა თავისი დროის საქართველოს სულიერი რეივილები.

ვაჟა-ფშაველას პოეზიის მითოლოგიური ძირების კვლევაში, რო-გორც ითქვა. თამაზ ჩხენკელს ჰყავს წინამორბედები. მაგრამ ასეთი უჩვი და მდიდარი მასალა საკვლევი ობიექტის გარშემო მანამდე არ იყო წარმოჩენილი. ამავე დროს ავტორის უპირველესი დამსახურებაა ი: ამ მასალის მხატვრული ფუნქციის ზუსტი კვალიფიკაციები. ნათლად გამოჩნდა არა მარტო ის. თუ რა დოზით, არამედ რა მხატვ-რული ამოცანების გადასაწყვეტად იყენებდა მათ გენიალური პოეტი.

და ამ ფონზე მოულოდნელი ჩანს. ჩემის აზრით. ავტორის დებუ-ლება. რომ „საეპქოა 27 წლის ვაჟს ბოლომდე ჰქონოდა გაცნობიე-რებული მითოსური საფანელი „აღუდა ქეთელაურისა“. რომლის უმ-ნიშვნელოვანეს პასაჟებში ახალი დროის დიდი შემოქმედის ინტუი-ცია და უძველესი მითოსის ხილვები ურთიერთს ერწყმიან, რათა გრანდიოზული პოეტური მასშტაბით წარმოგვისახონ ადამიანის ფე-რისცვალების სიღრმე და მისი ამალება წარმავალზე“. აქ არ შეიძ-ლება არ გავიხსენოთ ჰეგელის ცნობილი შენიშვნა იმის თაობაზე, რომ აშკარად შეცდომაა ვიფიქროთ. რომ თითქოს ნამდვილმა ხელოვანმა არ იცის რას და როგორ აკეთებს. თვით ვაჟას კრიტიკული წერილები აშკარად მეტყველებენ ამ აზრის სასარგებლოდ.

ინტუიციური წვდომის აგრერიგად წინ წამოწევის გამო, უნდა ვი-ფიქროთ. წიგნის ავტორს მხედველობიდან გამორჩა ვაჟას როგორც ძალზე თავისებური შემოქმედის ერთი თვისება. მაგრამ ვიდრე ამ თვისებაზე შევჩერდებოდე. მე მინდა აქ დავიმოწმო ერთი ამონაწერი აკაკი გაწერელიას ნაშრომიდან. რომელიც მახვილ დაკვირვებას შეი-ცავს: „ვაჟა-ფშაველა თავისი დროის თვალსაზრისით აფასებს ფშა-ველთა ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას ეთნოგრაფიულ ნარკვევებში. მაგრამ პოეზიაში იგი ახდენს ფშაური წარმოდგენების მხატვრულ ფიქსაციას თავისი გმირების სულიერი ვითარებისათვის შესაფერი ფსიქოლოგიური პრიზმით და ყოველგვარი ავტოჩარევისა და სკეპტი-კური შენიშვნების გარეშე“. ამ შენიშვნას იცნობს „ტრაგიკული ნილ-

ბების" ავტორი, მაგრამ მე არ ვიცი, როგორ ხსნის თვით ამ ფაქტს ზემოთ მოტანილი შენიშვნის ავტორი. თამაზ ჩხენკელი კი ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, იზიარებს სერგი დანელიასა და კორნელი ზელინსკის მოსაზრებას, რომლითაც ვაჟას მითოლოგიური წედომები რელიქტურ საოცრებად აღიქმება, ხოლო თვით ვაჟა „უკანასკნელ დიდ პოეტად კაცობრიობის პირველქმნილი ბავშვობისა“. აქედან კი არც ასე შორსაა იმ მცდარი შეხედულებებისკენ, რომლითაც ვაჟა ჩამორჩენილ თუ პრიმიტივისტის დონის მოაზროვნედ ცხადდებოდა.

მე აქ არ ვაპირებ ამ საკითხებზე ვრცლად შეჩერებას, სხვა დროს გვექნება ალბათ მათზე საგანგებო საუბარი. მაგრამ დავასახელებ იმ თვისებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს აღნიშნული საკითხის სწორ გაგებაში მითოლოგიური წარმოდგენების ზუსტი წარმოსახვების დროს. ჩემი დაკვირვებით. უპირველეს როლს ვაჟას არაჩვეულებრივი გარდასახვის უნარი თამაშობს. მას ისევე, როგორც ანტიკური ტრაგედიის რეტროსპექტული განცდით დაჯილდოებულ მაყურებელს, გაშინავნებული და რწმენის სიმაღლემდე აქვს აყვანილი შემოქმედებითი აქტის ქამს მითოსურ ნიადაგზე გათამაშებული ტრაგიკული კოლიზიები და ამით ღრმა დამაჭერებლობის ილუზიას ქმნის. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო სრულყოფილად იჩენს თავს ვაჟას შეუპოვარი ტალანტის ძალმოსილება.

# ესეეჭი



## გალაკტიონი

(რამდენიმე შტრიხი გალაკტიონის შემოქმედებით წყაროებზე)

„ჯერ ლექსი მწვავეა, მერე მზა“

თუ მშვენიერების შეგრძნება დაკავშირებულია ისეთ ფენომენთან, რომლის გარდაქმნა, რაიმეს მიმატება ან შეცვლა შეუძლებელია — ეს ჰუმბოლტი არაერთხელ გვაგრძნობინა „ლურჯა ცხენებისა“ და „ნიკორწმინდას“ ავტორმა. შეიძლება ანალიზის სფეროს არც კი ემორჩილებოდეს ის ფაქტი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ. „ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან“, როგორ შემოიჭრა ქართველი კაცის შემეცნებაში პოეტის უცნაური შთაგონება.

გალაკტიონი ახალი ქართული ლექსის არა მარტო მამამთავარია. არამედ, თუ შეიძლება ითქვას, მკაცრი მსაჯულიც. გალაკტიონის პოეზიას ნაზიარები მკითხველი ადვილად არ გაჰყვება „მელექსეობის“ საცთურს.

დღეს აღიარებული ფაქტია, რომ გალაკტიონმა ისეთივე გადამწყვეტი როლი ითამაშა ახალი ქართული პოეზიის აღორძინებაში, როგორც თავის დროზე, თავის ეპოქაში შოთა რუსთაველმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, საერთოდ, ჩვენმა დიადმა კლასიკოსებმა.

ჩემის აზრით, ამ ეტაპზე მხოლოდ ძირითად ხაზებში შეიძლება საუბარი იმ ნოვატორულ ძიებებზე, რომელიც გალაკტიონის სახელთანაა დაკავშირებული, რადგან ეს საკითხი ჯერ კიდევ ღრმა და სკრუპულოზურ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ერთი რამ ცხადია: XX საუკუნის ათიანი წლებიდან ქართულმა პოეზიამ ერთბაშად გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ, როგორც ტიციან ტაბიძე იტყოდა, „მსოფლიო რადიუსზე გაიმართა“ და უნივერსალიზმის ფართო მაგისტრალზე სცადა გამოსვლა. ქართული პოეზია ეზიარა ევროპული თუ რუსული მოდერნისტული სკოლების უახლოეს მიღწევებს და ამ ურთულეს პროცესს, რომელსაც ჰქონდა თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, უკვალოდ არ ჩაუვლია

ქართული პოეტური კულტურის თვისობრივ ფერისცვალებაში.

საგულისხმო და მნიშვნელოვანი ძვრების ასპარეზად იქცა ეს ხანა ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში. აქ ორი უმთავრესი პოეტური შემართება „ცისფერყანწელების“, და, მეორე მხრივ, გალაკტიონ ტაბიძისა. კიდევ აესენდა და უპირისპირდებოდა ერთერთს და ამ თავისებურ პოეტურ ქიდილში იკვეთებოდა ის გეზი, რომლის ორიენტირად იმთავითვე იქცა გალაკტიონის პოეტური სიტყვა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური გამარჯვება ბედისწერასავით გარდაუვალი შეიქნა. მთავარი მართო ის კი არ არის, რომ მან, ისე, როგორც ეს ჭეშმარიტ ტალანტს ძალუძს, სიმბოლიზმისა თუ სხვა დეკადენტურ მიმდინარეობათა თვალსაჩინო მიღწევების დაუფლება და საკუთარ პოეტურ თვისებად გარდაქმნა შეძლო, არამედ პირველ რიგში სწორედ ის, რომ იგი ერთი წუთითაც არ მოწყვეტილა მშობლიურ ნიადაგს, უღრმესი ინტუიციით გრძნობდა პოეტური ტრადიციის ცხოველმყოფელ ძალას, დაბოლოს, ქართული სინამდვილის ღრმა შემეცნება იყო მისი ტკივილებისა თუ სიხარულის ამოურწყავი წყარო, რამაც ახალი საქართველოს უპირველეს მომდერლად აქცია.

ტიციან ტაბიძის პოეტური გზისადმი მიძღვნილ ერთ წერილში გვქონდა საშუალება უფრო დეტალურად შევხებოდით, საერთოდ, „ცისფერყანწელთა“ პოზიციასა და შემოქმედებით პრაქტიკას ათიანი წლების ქართული პოეზიის ახალ ძიებათა ფონზე, რის გარკვევაც ჩვენი თანამედროვე კრიტიკული აზრის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა. უწინარეს საჭიროა, თვით „ცისფერყანწელთა“ დეკლარაციების მიღმა შევიკიროთ და უფრო არსებითად განვიხილოთ ჩვენი დღევანდელი მწერლობისათვის განუზომელი როლის მქონე ათიანი წლების რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე მთელი ეპოქა, მისი მნიშვნელობა ქართული პოეტური კულტურის ახალი თვალსაწიერის შემუშავების საქმეში.

მიუხედავად ტიტანური ძალისხმევისა, უცილო ჩანს ის ფაქტი, რომ „ცისფერყანწელებმა“ მყარი, გარკვეულ მსოფლმხედველობრივ საფუძველზე დამყარებული სკოლის ჩამოყალიბება ვერ სძლეს. ხოლო რიგ შემთხვევაში მათივე შემოქმედებითი ნიმუშები პირველ ხანებში მაინც აშკარად სკოდავენ ეკლექტიზმით და ოდენ მიბაძვის დონეზე რჩებიან. მათი დამსახურება უფრო სხვა მიმართულებითაა საძიებელი. დღეს. მართლაც, მკრეხელობა იქნებოდა ქართული ლექსის მოდერნიზაციისა და შესაძლებლობათა უმაგალითოდ გაფართოების გზაზე „ცისფერყანწელთა“ ღვაწლის იგნორირება.

მაგრამ თავიდათავი ის არის, რომ გალაკტიონ ტაბიძე ანალოგიურ ძიებათა გზაზე შორს გასცილდა თავისსავე მეტოქეებს და იმთავითვე მოხაზა საკუთარი პოეტური სამყარო, რომელიც მაცოცხლებელ „წვესს“ უწინარეს სწორედ მშობლიური ნიადაგიდან ისრუტავდა. თამაზ ჩხენკელი ძალზე საგულისხმო წერილში გალაკტიონზე. ჩემის აზრით, ყველაზე მართებულ პოზიციას ამჟღავნებს გალაკტიონისა და

„ცისფერყანწელთა“ შეპირისპირების საფუძველზე. იგი გავლენათაგან დაძრული ნაკადების ათვისებას „ყანწელებთან“ ხან სიმბიოზის, მეტ-წილად კი იმიტაციის დონეზე განიხილავს (აქვე შევნიშნავ, რომ სიმბიოზის ცნება ამ შემთხვევაში არაა ზუსტი) და დასაძენს. რომ „გალაქტიონ ტაბიძე ამ მხრივ, არსებითად სინთეზურია. იგი იმთავითვე პეტ-ნაკლები პარამონიულობით ახდენს ევროპული მოდერნიზმის ასიმილირებას და მისი ზოგადი მსოფლმხედველობრივი ელემენტის სრულ აკლიმატიზაციას. გალაქტიონის შემოქმედებაში უმეტეს შემთხვევაში პარამონიულად არის წარმოდგენილი როგორც ბუნებრივ-ტრადიციული, ისე დეკადენტური მსოფლშეგარძნებით აღბეჭდილი ჰიროზნული განცდა. ამის გამოა, რომ აღნიშნულ დროულ მონაკვეთში დაწერილი „ყანწელთა“ ლექსები თანამედროვე მკითხველზე ევროპულ-რენესანსული მოდერნიზმის გადმონაშთის შთაბეჭდილებას სთოვებენ მაშინ, როცა ამავე პერიოდის გალაქტიონის ლექსები ცოცხალ პოეზიად აღიქმება“ (წერილები, 1972, გვ. 12).

გალაქტიონის ვეებერთელა ტალანტი და მის პოეტურ ბუნებაში იმანენტურად არაებული ეროვნულ-ტრადიციული დერიტა გამარჯვების უპირველესი გარანტია იყო. მისი ინტუიცია უცთომელი აღმოჩნდა, თუმცა თეორიულ წერილებში რომელიც ამავე ხანებშია დაწერილი, იგი „ცისფერყანწელთა“ მსგავსად კულტურული ტრადიციებისადმი გარკვეულ ნიპილიზმსაც კი ავლენდა (რაც მანვე შემდეგში რადიკალურად უარჰყო).

გალაქტიონი ახალი ქართული ლექსის დიდ რეფორმატორად მოგვევლინა და ეს ეხება არა მარტო ლექსის ფორმისმიერ მხარეებს (მაშინ არც რეალურ რეფორმაციასთან გვექნებოდა საქმე). არამედ გულისხმობს ქართული ლექსის მიერ ახალი სივრცეების დაპყრობას, მანამდე უცნობი სიღრმისეული შრეების წარმოჩენას.

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის  
ქალწულებივით ხიდიდან ფენა...

იდუმალებით მოცულ გალაქტიონის ლექსში ქართველმა კაცმა იგრძნო თითქოს მანამდე უცნობი თრთოლვა. სხვაგვარად შეხედა „უთვალავი ფერებით“ დამშვენებულ სამყაროს. კიდევ ერთხელ იწამა პოეზიის უსაზღვრო შესაძლებლობები.

გამოუცნობი, უხილავი სივრცეებისაკენ ღტოლვა განსაკუთრებით ათიანი წლების შემდგომ თითქოსდა მისი პოეზიის თანდაყოლილ თვისებად გადაიქცა: „როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში! არ ჩანდა შენაპირი. ვერ ვნახე ვერაფერი, ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე“. „ლურჯა ცხენების“ (1915 წ.) ეს თემა შემდეგ და შემდეგ სხვადასხვა ვარიაციით იჩენს თავს და მანამდე შეუღწეველ სულიერ სიღრმეებში ცაფავს გზას პოეტურ დაოსტატებასთან ერთად.

პოეტის საუკეთესო ლექსებში სიტყვებიც იდუმალ შეფერილობას აქენენ. მისივე ერთ-ერთი სულიერი მოძღვრის სტეფან მალარმეს მსგავსად გალაკტიონს უცილოდ შეეძლო ეთქვა, რომ სიტყვები ნომინბლუნნი არიან არა ჩვეულებრივი, არამედ მათში ჩადებული შესაძლებელი შინაარსის გამო: „სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს, ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს, იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“ („გზაში). საოცარია სიტყვათა მიმოხრა, ხოლო უკეთეს ლექსებში როგორც წესი, მხატვრული დახასიათებანი მოულოდნელი და იდუმალი მინიშნებითაა დატვირთული. ალბათ. მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონის წარმოსახვას უნდა ეუმაღლოდეთ, რომ „არსებობს“ თურმე „გადაზნეპილი სიზმრებით წელი“, „ივლისისფერი ყინვის თასები“, „ცბიერი პერანგი“ თუ „თმაგაწეწილი ქარი“, იმპრესიონისტების მსგავსად, ნახევარტონებითაა ნაწერი სურათი: „მაგრამ მზე იყო რბილი და მკრთალი სიყვითლე, ნება ხეთა კვდომისა“. ხოლო პოეტური სახეები მის ლექსებში იმთავითვე საგანთა უჩინარ კავშირებს ავლენდა „და ჩვენ საოცარ გზაზე, ლენორა, რტოებს ტირილით ამტკრევდა ქარი“. სინანულისა და წარმავლობის განცდა ფიქსირებულია განსაცვიფრებელი გრადაციებით: „ძვირფასო, სული მევესება თოვლით: დღეები რბიან და მე ვბერდები! ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ უდაბნო ლურჯად ნახავერდები“, ან „მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი, ატირდება დრო და ჩემი ლექსი“.

გავრცელებული განსაზღვრებით სინამდვილის მსგავს მხატვრულ დაუფლებას სამართლიანად უწოდებენ სუბიექტურ რეალიზმს და გალაკტიონი შემოქმედების ამავე პერიოდიდანვე მას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ფლობდა. პოეტს, მართლაც, იმთავითვე შეეძლო ეთქვა შემდეგ ასე გახმაურებული პოეტური ფრაზა: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“. აშკარად სიმბოლისტური ხელწერით აღბეჭდილი მისი ცნობილი ლექსების გვერდით („მზეო თიბათვისა“... „მას გახელილი დარჩა თვალები“, „ედგარი მესამედ“ და მრავალი სხვა) განუმეორებელი შვენებით ბრწყინავენ ასევე აშკარად იმპრესიონისტული ფერწერით შესრულებული შედეგები („ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „შერიგება“, „თოვლი“ და სხვ.), მაგრამ ნიშანდობლივია ისიც, რომ რიგ ლექსებში ორივე ზემოთ აღნიშნული მხატვრული სტილი თუ თვისება ერთმანეთშია გადაჯაჭვული და საკუთარ პოეტურ ბუნებასთან ორგანულად შერწყმული (რასაკვირველია, სხვა კიდევ უფრო ძლიერ მაცოცხლებელ ფერმენტებთან ერთად, რომელთა გამო გაკვრით ზემოთაც ითქვა).

სხვათა შორის, აქვე შევნიშნავ, რომ თვით პოლ ვერლენმა და სტეფან მალარმემ, რომლებიც ფრანგმა სიმბოლისტებმა, როგორც ცნობილია, თავიანთ უშუალო წინამორბედებად აღიარეს, სიმბოლისტური და იმპრესიონისტული ხატვის მანერათა შერწყმით არაერთი



შედევრი შექმნეს და განუზომელი გავლენა იქონიეს ე. წ. „გვიანი სიმბოლიზმის“ წარმომადგენლებზე.

უცნაური ხილვები, სახეთა კონსტრუირებისას „თავისუფალი“ არჩევანი გალაკტიონთან დატვირთულია დიდი შინაგანი თრთოლვითა და მძაფრი დრამატიზმით (პოეტი თვითონვე მიგვანიშნებს ამ მომენტზე: „მაგრამ მე რა ვქნა. მე ვისაც სული დაწეწილი მაქვს მძაფრი ქარებით“), რის გარეშე, რასაკვირველია, ამო იქნებოდა საუბარი უმადლესი რანგის პოეზიაზე. გალაკტიონის უდიდესი დამსახურებაა ისიც, რომ ყოველივე ეს მოწოდებულია უზუსტესი მუსიკალური ბგერადობით. პოლიფონიზმის ვირტუოზული გამოყენებით, რაც მის ხელში განუმეორებელ ელფერს ანიჭებს ახალ ქართულ ლექსს.

მუსიკალური ფენომენი გალაკტიონის ლექსში ცალკე შესწავლის საგანია და იგი ოდენ ფორმისმიერი ეფექტით არ ამოიწურება. საგულისხმოა, რომ პოეტს ეს შინაგანი თვისება, როგორც ჩანს, გაცნობიერებული ჰქონია, რაც დადასტურებულია კიდევ მის ერთ ალსა-რებაში.

გალაკტიონის აზრი მუსიკასთან დამოკიდებულებაზე შემოუნახავს ჩვენ სახელოვან პოეტს სიმონ ჩიქოვანს. იგი დღიურის სახითაა ჩემს პიერ ჩაწერილი 1961 წლის ორი თებერვლის თარიღით. ბატონ სიმონთან ვიყავით სტუმრად: არჩილ სულაკაური, თამაზ ჩხენკელი, და ამ სტრიქონების ავტორი. საუბრის თემა ჩვეულებისამებრ ისევ და ისევ პოეზიის საკითხები და ქართული მწერლობა იყო. მასპინძელმა გვიამბო: ქართველ მწერალთა ვიწრო წრეში ერთ-ერთ მორიგ სერობაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: გიორგი ლეონიძე, ტიცუან ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, ლევან ასათიანი და კიდევ რამდენიმე მეგობარი, გალაკტიონს განუცხადებია შემდეგი: ჩემის აზრით, ღრმად სცდებიან ისინი, ვინც მე მაიაკოვსკის მადარებს (რაც, სხვათა შორის, ერთ დროს მოდაშიც კი იყო — ს. ც.). ჩემი პოეტური ბუნება უფრო ახლოა მაგალითად ბლოკთან (მას დაუახლოვებია აგრეთვე, რომელიღაც ფრანგი თუ ინგლისელი პოეტი). მე ვფიქრობ, რომ საგნებს აქვთ თავისი მუსიკა და პოეტმა სწორედ მას უნდა მიაგნოს, შესაფერისად აახმიანოს, რასაც შეძლებისამებრ ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ კიდევცო. ხოლო მაიაკოვსკი, ეს მისი ერთი უეჭველი თავისებურება იყო, ყველაფერს უმორჩილებდა მისსავე საკუთარ ხმას, საკუთარ ინტონაციასო. ვფიქრობ პოეტის ეს მოსაზრება ნიშანდობლივია და ორიენტირდაც გამოდგება მისი ლექსის მუსიკალური მოწესრიგებულობის კვლევის დროს.

გალაკტიონის დიდ პოეტურ გზაზე მრავალფეროვან ძიებებს უკვალოდ არ ჩაუვლია, მაგრამ ყოველგვარი ნოვატორული ნაბიჯები, ყოველი სიახლე უკვე თავისთავად გულისხმობს მის დამოკიდებულებას წინამორბედ ვითარებასთან, რადგან სხვანაირად არავითარ სიახლეზე თუ ნოვატორობაზე არც შეიძლება საუბარი. ანალოგიურ შემთხვევასთან დაკავშირებით XX საუკუნის დიდი ფრანგი პოეტი პოლ

კალერი ასე ახასიათებდა ამ, შეიძლება ითქვას, უნივერსალურ პროცესს. რამდენადაც ორიგინალურია პოეტი, იმდენადვე ნაკლებად ვამჩნევთ. თუ როგორ გამოვლინდნენ მასში სხვები. ვხედავთ დაპირისპირებულობას, მაგრამ ხელიდან გვისხლტება ურთიერთდამოკიდებულება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი უშუალოდ ღვთისაგან იღებენ დასაბამს. მაშინ, როცა იგი რალაცნაირად ყოველთვის იმეორებს წინამორბედებს და ახალ ინტონაციებში ცვლის დატვირთვის ხარისხს.

ეს დებულება, როგორც ითქვა, უნივერსალურია იმდენად. რამდენადაც იგი ეხება მდიდარი პოეტური კულტურის მქონე ქვეყნებს (რამეთუ „არარაისაგან არ იქნება არარაისი“), რომელთაც მოეპოვებათ ის საგანძური, რის ათვისებაზე თუ დაძლევაზეცაა აქ საუბარი.

რასაკვირველია, წინამდებარე წერილში შეუძლებელია მრავალფეროვანი და მდიდარი ქართული პოეტური კულტურის უბრალო მიმოხილვაც კი. იშვიათია ხალხი, და ბუნებრივია, ეს კანონიერი სიამაყით გვაესებს, რომელსაც ასეთი ძველი და თითქმის უწყვეტი პოეტური კულტურის ისტორია გააჩნდეს. ფრაგმენტების სახით მოღწეული უძველესი წარმართული ტექსტები, უმდიდრესი ქრისტიანული პიმნოგრაფია, რომელმაც შემოგვინახა ჩვენთა წინაპართა უღრმესი განცდები, დიდი ქართული საერო მწერლობა, რომლის აპოგეამ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მიაღწია; აღორძინების ხანის (XVI—XVIII სს.) საოცრად მრავალფეროვანი პოეზია და, ბოლოს, XIX საუკუნის დიდი მწერლობა ბარათაშვილის, ილიას, აკაკისა და ვაჟას გენიით განათებული. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს პროცესი ერთიანი და უმტკივნეულო არ იყო და ისევ, როგორც მთელ ჩვენს ქვეყანას, ქართულ მწერლობასაც აღზევებასთან ერთად მარცხისა და დაცემის მწარე დღეებიც დადგომა.

და აქ ჩვენს წინაშე დგება სწორედ ის საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ. რა იტაცებდა უფრო მეტად ძველი კულტურული მემკვიდრეობიდან გალაკტიონს და ან როგორი ფორმით ითვისებდა მას. მაგრამ ვიდრე ყველაზე მთავარს. პოეტის შემოქმედებას შევხებოდეთ. საგულისხმოა, გარკვეული თვალსაზრისით, თვით გალაკტიონის ზოგიერთი შეხედულება ამავე საკითხზე.

არსებობს. სხვათა შორის, რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება პოეტისა, რაც მისი ცხოვრების შედარებით ადრეულ წლებზე მოდის. ეს საინტერესოა თუნდაც იმით. რომ ეს პროცესი არც ისე უმტკივნეულო და თავისთავად იყო მოცემული, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

ამავე ხანებს ეკუთვნის, მაგალითად, პოეტის ერთგვარი ნიჰილიზმი მემკვიდრეობისადმი, როცა არ იყო ნაგრძნობი ის მარადიული ფასეულობები, რომლითაც ძვირფასია ყოველი დროის ჭეშმარიტი ხელოვნება. მაგრამ, რასაკვირველია, ეს აშკარად ყალბი მოღურა გავლენის შედეგი ჩანს, რადგან ფაქტიურად სრულიად საწინააღმდეგო აზრებს

ვაოულობთ მის სხვა სტატიებსა თუ ჩანაწერებში, რომელთა ნაწილი ასლასან გამოქვეყნდა:

„ვაჟა-ფშაველას სიმღერებიდან გამოკრთის უმაღლესი სული, როგორც ვეფხისტყაოსნის გმირებში. არავის არ შეეძლო ლიტერატურულ მასწავლებელთა პატივისცემა და შეყვარება ისე. როგორც ვაჟას, ის ყოველთვის მზად იყო მუსლი მოეყარა მათ წინ, მაგრამ არა როგორც მონას, ის სომ თვითონ იყო მეფე, ჰქონდა თავისი სამეფო და ჰყავდა თავისი ხალხი. ოქროს სკრიდა საკუთარი შტამპით...“

განსაკუთრებით კი საგულისხმოა მეორე ამონაწერი: „ჩემი ლექსების პოეტიკის ძირები ღრმად და მტკიცედ ჩაეზარდნენ ეროვნულ წიდადგს, და მთელი შემოქმედების მანძილზე მას უხვად ასაზრდოებდა მშობლიური მიწის წვენი. ჩემს ლექსებში გამომჟღავნდა მტკიცე კავშირი ეროვნულ-პოეტურ კულტურასთან, მის ხალხურ და კლასიკურ ფორმასთან, სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ჩვენი პოეზია დღეს არ იქნებოდა ის, რაც არის, რომ არ ყოლოდა ისეთი სახელები, როგორცაა რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, აკაკი, ვაჟა... მაგრამ მე მტკიცედ მჭეროდა: პოეზიაში რომ თქვა ახალი და დიდი სიტყვა, ამის აუცილებელი პირობაა — გქონდეს ბუნებისაგან მონიჭებული განსაკუთრებული ტალანტი. დაუფლებული იყო მაღალ პოეტურ კულტურას, გახასიათებდეს ლექსის გრძნობა, ძიების უნარი და სიახლისადმი მისწრაფება. ჭეშმარიტი პოეტი უნდა ზრუნავდეს ორიგინალურ საზომებზე, რითმაზე და რიტმზე, პოეზიის ყველაზე დიდი მტერია სტანდარტი და ეპიგონობა. ჩემი ლექსები ჩემი სულის ანაბეჭდია — შთაგონებული ქართული პოეზიის დიდი ტრადიციებით.“

ეს სიტყვები შეიძლება ერთგვარად დეკლარაციულად მოგვეჩვენოს, მაგრამ იგი ეკუთვნის ისეთ დიდ შემოქმედს, როგორც გალაკტიონი იყო და ამდენად, სრულიად სხვაგვარ მნიშვნელობას იძენს ჩვენს შემეცნებაში და კიდევ უფრო წარგვემართავს იმ საკითხისაკენ, რომელიც ამჟამად ჩვენი საუბრის საგანია.

მაგრამ აქ არ უნდა დავივიწყოთ ერთი, ჩემის აზრით, საგულისხმო ფაქტი, რომელიც საყოველთაო ჭეშმარიტების მნიშვნელობას იძენს: არ არის სწორი, თითქოს ნოვატორობა. ახალი გზების გაკაფვა კლასიკოსებთან ბრძოლაში იწრთობოდეს (რასაკვირველია, მე აქ არ გამოვირიცხავ შემოქმედებით მეტოქეობას). ნოვატორობა სწორედ ეპიგონობასთან (საერთოდ, ეპიგონურ მწერლობასთან) ბრძოლაში ვაჟკაცდება და იგი ებრძვის არა კლასიკას, არამედ კლასიკოსთა ეპიგონურ მიმდევრებს, რომლებიც თავისი შემოქმედებით ყველაზე უფრო აშკარავენ ნაკლოვანებებს (ს. ჩიქოვანი).

გალაკტიონის პოეტური პრაქტიკა ამის უტყუარ მაგალითებს იძლევა, რადგან მისი პირველი ნაბიჯები, და ეს სადავო არ უნდა იყოს, იწრთობოდა სწორედ XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის ზღვასავით წამლევად ეპიგონურ ლიტერატურასთან ბრძოლაში. ეს ბრძოლა მწვავე და მტკივნეული იყო და ზოგჯერ შექცევად ხასიათ-

1-აც იღებდა (თვით გალაკტიონის პირველ ლექსებს ატყვია კიდევ მისი სტილური ნიშნები), მაგრამ „განახლების სიმღერა“ მაინც ითქვამდა მისი პირველი შემოქმედი გალაკტიონი იყო.

მაგრამ მე აქ მინდა ხაზი გავუსვა, ჩემის აზრით, ერთ მნიშვნელოვან მომენტს. გალაკტიონ ტაბიძე ერთბაშად არ მისულა ძველი ქართული მწერლობის ანკარა სათავეებთან და ეს პროცესი თანდათან მის პოეტურ ზრდა-განვითარებასთან ერთად ხდებოდა.

მისი პირველი ქურუმები, სულიერი მოძღვრები, მისი შედარებით უახლოესი წინამორბედები იყვნენ. რასაკვირველია, აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნიკოლოზ ბარათაშვილი და აკაკი წერეთელი.

მაგრამ არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ მის პოეზიაში რემინისცენციების, ილუზიების ფორმით თუ აშკარა გამოძახილის სახით თავს იჩენს აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის. გრიგოლ ორბელიანის, ილიასა და ვაჟას სახეები თუ თემები. გავიხსენოთ ცნობილ ინტონაციებზე დაწერილი გალაკტიონის მუნასიბი: „მივალ, გადავკოცნი ჩემსა მთვარესა, სიტყვებს გადავტყორცნი მწარე მწარესა“, ხოლო ლექსი „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ აშკარა ვარიაციაა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასევე ცნობილი ლექსის „ღიმილმან კარი ლალისა“. მის ლექსებში ალაგ-ალაგ გაიელვებს გრიგოლ ორბელიანის კოლორიტული ფიგურა. ეს დამოკიდებულება შემდეგში პოეტმა ძველ თბილისთან სინანულიანი გამოთხოვების განცდით აღბეჭდა, ხოლო ლექსსაც შეუფარავად „ჩემო იარალი“ უწოდა.

ხოლო რაც შეეხება პოეტის ცნობილ ფრაზას: „წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“, კარგად ამხელს დიდი წინამორბედის ეპოქალური მნიშვნელობის ღვაწლს. ასევე მრავალგზის დასტურდება გალაკტიონის პოეტურ სიტყვაში ვაჟასა და XIX საუკუნის ცნობილი პოეტების ექო.

მაგრამ, როგორც ითქვა, გასული საუკუნის კლასიკოსთაგან მის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბარათაშვილსა და აკაკის, რაც სათანადოდ აღნიშნულია კიდევ ჩვენს თანამედროვე კრიტიკაში (ამდენად ვერ გავიზიარებ ი. კენჭოშვილის საინტერესო მონოგრაფიაში „გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა“ გამოთქმულ. ჩემის აზრით, ზედმეტად მაქსიმალისტურ მოსაზრებას, რომ „გ. ტაბიძემ პოეზიის რაობისა და დანიშნულების გაგება იანდერძა არა აკაკისა და ილიასაგან, არამედ სიმბოლიზმისაგან“, (გვ. 19).

გავრცელებული აზრით, გალაკტიონი ნიკოლოზ ბარათაშვილის უშუალო გამგრძელებელი იყო, რასაკვირველია, ახალ ეპოქაში და ახალი მხატვრული საშუალებებით. „მთაწმინდის მთვარისა“ და „ლურჯა ცხენების“ ავტორს პირველ რიგში ნიკოლოზ ბარათაშვილის მღელვარე პოეზიას უკავშირებდნენ.

არის აგრეთვე შეხედულება, რომლითაც გალაკტიონის პოეტური ბუნება აკაკის მელოდიურ ლექსს უკავშირდება, რასაც ერთგვარად ლეით გალაკტიონის სიტყვებიც ადასტურებს: „აკაკი წერეთელი, —

წერდა იგი ერთ ადგილას, — ჩემი სამოქალაქო ლირიკის ყველაზე ძლიერი წინამორბედია“.

მაგრამ, ჩემი აზრით, წარსულის მემკვიდრეობასთან კავშირის თვალსაზრისით, ეს მინც სწორხაზობრივი (და ამდენად, ცალმხრივი) შეხედულებებია. გალაკტიონ ტაბიძესთან, და ეს სპეციალური კვლევის საგანია, ჩვენ არ შეიძლება, განსაკუთრებით მისი შემოქმედების შედარებით უფრო ადრეულ საფეხურებზე, ბარათაშვილისეულ განწყობილებათა მძლავრი აპერცეფცია არ დავინახოთ (შდრ., ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული“. „დაქპროლა რისხვით ქარმა სასტიკმა“, „ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“ და მრავალზე მრავალი). მაგრამ თვით ლექსის შინაგანი რიტმებით, განწყობილებათა მელოდიური სადინარით იგი. მით უფრო, შემდეგ და შემდეგ, აკაკისეული ლექსის ბუნებას ენათესავებოდა და თვისობრივად ახალ პოეტურ ეტაპს უყრიდა საფუძველს.

მაგრამ ეგვევ ფაქტები. რომლებიც მოწმობენ გალაკტიონის ღრმა კავშირს უშუალო წინამორბედებთან (ბარათაშვილი, აკაკი, ილია). ამავე დროს თავისთავად გულისხმობს სწორედ ასეთი გზით მის კავშირს ძველქართულ მწერლობასთანაც, რადგან მეცნიერების თანამედროვე კვლევა-ძიების დონეზე აშკარად არის წარმოჩენილი ქართველ რომანტიკოსთა და, საერთოდ, XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა უღრმესი შემოქმედებითი კავშირები ძველი საქართველოს ღიდ პოეტურ კულტურასთან.

გალაკტიონის პოეზიაზე შემდგომი დაკვირვება, და აქეთკენ არის ამჯერად მიმართული ჩვენი ყურადღება. კიდევ უფრო საინტერესო ვითარებაზე მიგვანიშნებს. თან და თან. მის პოეტურ ზრდას იმ წიფესთან ერთად გალაკტიონში ახალი ძალით იღვიძებს შინაგანი სწრაფვა — უშუალოდ და უკავშირდეს ძველი ქართული პოეზიის სათავეებს და განსაკუთრებით კი მის უდიდეს წარმომადგენლებს, შოთა რუსთაველსა და დავით გურამიშვილს.

უკვე ოციანი წლებიდან მოკიდებული გალაკტიონის პოეზიაში უღრმესი შრეების სახით „უთვალავ ფერებად“ ვლინდება ეს ცხოველმყოფელი კავშირი ძველქართულ პოეტურ კულტურასთან. პოეტური აზროვნების კლასიკურ სიმძლავრებს მომხიბლავად ერწყმის „გარდასულ დროთა“ სურნელით აღბეჭდილი სახეები, ასოციაციები. სიტყვათა თავისებური მიმოხრა, საერთოდ, კლასიკური სტილის მანიშნებელი პოეტური ფაქტურა. „შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა. აიმართნენ კოშკები ცისა და ნესტანისა“. რასაკვირველია, ძნელი არ უნდა იყოს მტკიცება, თუ რა მიზნითაა აქ მოხმობილი პოეტური სახე „ნესტანის კოშკი“. იგი აშკარად ხელს უწყობს იდუმალის, ამაღლებულის განცდას მკითხველში, რაც მთლიანად მსკვეალავს პოეტის ამ

ერთ-ერთ უბრწყინვალეს ლექსს. პოეტური სინტაქსის თვალსაზრისით. ასევე საინტერესოა ძველქართული კონსტრუქციების თანდათანობითი მომძლავრება. თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება პოეტური ფუნქციით დატვირთული სიტყვათა ინვერსიული მწყობრები: „შენმა ღიმილმა უბოროტესმა“. „ჰაეროვანი ფრთა შემოდგომის“. „ლანდები ვეიანი ავსებენ ფიალებს“. „ბინდი ღამისა გაქრა. ვით მოჩვენება მკრთალი“, „ეს ლექსი ხანას იგონებს ნეტარს“. „რომელი იყო პოეტი წრფელი“, „საზებში ანთია ცეცხლი მისარქმელი“ და ა. შ. ან გავიხსენოთ ცალკეული ფრაზები. რომლებიც ძველქართული მეტყველებიდან იღებენ სათავეს. „კარნი განახვენს“. „განვლიე ტევრი“. „არარა ჰგიეს“, „წელნი ილტვიან“ და მრავალი სხვა. ასევე საგულისხმოა ძველქართული ფორმებისა თუ ლექსიკის დასუსტება: „გარდამოვიდეს“. „არა მგამა“. „ქმუნვა“. „ზენაარი“. „კდმა“. „სახილი“. რომელთა უბრალო ჩამოთვლაც კი ამჟერად შორს წაგვიყვანდა.

რუსთველურ პოეტიკასთან კავშირის თვალსაზრისით აღსანიშნავია ერთი თავისებულება. რაც შენიშნულია კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში. ძველქართული ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული წესი სიტყვათა გაკვეთისა. რაც ტმესის სახელითაა ცნობილი („მო-ცა-კვდა“, „შე-ვინ-ვიდო-დეს“, „მო-თუ ვინმე-კუდეს“ და ა. შ.). რუსთველთან არათუ დასტურდება ასეთი ფორმები. არამედ ბევრად უფრო გართულებულია და პოეტური სინტაქსის უნიკალურ ყდერადობას აღწევს. აქ უკვე ხშირია შემთხვევები. როცა გაკვეთილია არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ სინტაგმები (ვთქვათ. მსაზღვრელ-საზღვრული) და ზოგჯერ მთელი წინადადებებიც კი. მხოლოდ ორიოდე მაგალითი: „მას თინათინის შევენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა“ ან „დავჯი. რუსთველმან გავლექსე. მისთვის გოლლახეარსობილი. აქამდის ამბად ნათქვამი. აწ მარგალიტი წყობილი“. თუ პირველ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულს „თინათინის წამწამთა ჯარის“ შორის ჩასმულია ორი სიტყვა „შვენება ჰკლევდის“. მეორე მაგალითში წინადადება „დავჯი მისთვის გოლლახეარსობილი“ გაკვეთილია სიტყვებით „რუსთველმან გავლექსე“. რაც, თავის მხრით. მომდევნო სტრიქონს უკავშირდება.

გალაკტიონი. ერთი პირველთაგანი ახალ ქართულ პოეზიაში. უხვად და ძალზე მოხდენილად იყენებს დიდი წინამორბედის ამ. მართლაც. მშვენიერ პოეტურ „აღმოჩენას“. აქაც მხოლოდ რამდენიმე მაგალითით დაგვამაყოფილებით: გავიხსენოთ 1927 წლით დათარიღებული მისი ერთ-ერთი ცნობილი ლექსის „ვარდები“ პირველივე სტრიქონები: „მე. ზამთრისაგან ჯაჭვაწყვეტილი. ნაცნობ ბალისკენ მივემართები, სად ფერად უცხო. ყნოსვად კეთილი. ზამთარ და ზაფხულ ყვავის ვარდები“. აქ „ვარდი“ დაშორებულია თავისავე ეპითეტებს „ფერად უცხო“ და „ყნოსვად კეთილი“ წინადადების სხვა წევრებით. რაც სტროფის საერთო არქაულ იერთან ერთად (ინვირსიული მწყობრი: ფერად უცხო. ყნოსვად კეთილი) ძალზე ამაღლებულ პოეტურ

ეფექტს ქმნის. ასეთი პოეტური ფრაზები დამახასიათებელია გალაკტიონის პოეზიისათვის, და. რაც მთავარია, პოეტურ სიმწიფესთან ერთად, იგი უფრო და უფრო ხშირად იჩენს თავს. შდრ. „მზის ამოწითე ბრწყინვა“, „ხეთა ავარდა წყება“, „რაც დატეხილა ჩემს თავზე რისხვა, თქვენს მშვიდობიანს ასცდეს ხომალდებს“. „მარტობასაც ავიტან მწარეს, უმეგობრობას ავიტან მძიმეს“, „შენი მე სახება დამდევს თან“ და ა. შ.

ალიტერაციის თუ, საერთოდ. ბევრათა შეხამების ერთი უპირველესი ოსტატი ასევე დაუფლებულია ისეთ სპეციფიკურ რუსთველურ სერბს, რომელსაც პირობით ვერბალურ ალიტერაციას უწოდებენ („მზე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად“). შდრ. გალაკტიონის ცნობილ პოეტურ ფრაზეოლოგიას: „ზღვა ახმაურდა ყრუ ხმაურობით“, „შავმა ნისლმა დანისლა მთები დადესტანისა“, „სიო დაიბერა, ჩალა გაიჩალა“, „რომ არ ეტყობათ რტოებს რტობა“, „სულში სიმშვიდე არის ისეთი. თითქოს დროებით ართმევს დროებს“, „ცელი კივის და ველები, სურნელება დადგა თივით. თივას თიბვენ მთიბველები. ცა ლურჯია გუმბათივით“. „გრგვინვა ციდან ცით მიაგვირგვინებს ელვას --- კვილთა აკიაფებით“.

თუმცა ნაკლები დოზით. და ეს საესეებით გასაგები უნდა იყო. დასტურდება პარალელები რუსთველურ მიტაფორისტიკასთან. მაგრამ შემოთ აღნიშნულიც. ჩემის აზრით, საესებით ცხადყოფს ჩვენი დროის უდიდესი პოეტის სისხლხორციულ კავშირს ძველქართულ პოეტურ ტრადიციებთან.

აქ შეიძლებოდა ძველი ქართული პოეზიის სხვა წარმომადგენელთა დასახელება (მაგ. პიმნოგრაფების. დავით გურამიშვილის, ბესიკის). მაგრამ ყველაფრიდან ჩანს. რომ პოეტურ სიმალღეთა „არსთა წედომის“ ეტალონად მას ისევ და ისევ რუსთველი მოაჩნია. „ვეფხისტყაოსნის“ სახეებით შთაგონებული პოეტისათვის (აქ შეიძლებოდა ლექსების მთელი ციკლების გახსენება) ნათლად იკვეთება რუსთველის მზიური პოეზია. მისი უმალღესი ადგილი ქართული პოეზიის პარნასზე, რაც რუსთველური აპოლოგიის სახით განხორციელებულია კიდევ პოეტის ცნობილ ლექსში „თენდება, გათენდა“: „იმ ექვს მწვერვალთა გვეფარა ჩრდილი: ვინ მოგვილია. გურამიშვილი, ბარათაშვილი, ჩვენი ილია, აკაკი, ვაჟა გასაკვირველი — დიდება დროთა. და მათ გვირგვინად მუდამ პირველი, ტიტანი შოთა!“

„შემოქმედების გვიანდელ პერიოდში გალაკტიონს ქართული კულტურის ფესვეული მოდელის მოაზრებისა და აპოლოგიის პათოსი იპყრობს“ (თ. ჩხენკელი, იხ. აგრეთვე ი. კენჭოშვილის დასახელებული წიგნი, 1974 წელი, გვ. 52). და რასაკვირველია. ეს თანდათანობითი ფერისცვალება მხოლოდ პოეტიკის სფეროს (რის ნიმუშებიც ზემოთ იყო მოტანილი) როდი გულისხმობს. მართლაც. გალაკტიონის პოეზია შემოქმედების ძნელსა და ქარტეხილიან გზებზე თანდათან

იძენს ასეთ თვისებებს. მზიური ბრწყინვალება და სამყაროს ჰარმონიულ მთლიანობაში აღქმის პოეტური ძალმოსილება თანდათან მისი პოეზიის მაგისტრალური ნაკადი ხდება, „ვარდების“, „ვით არ მიყვარდეს სამშობლო, ლამაზ და სურნელოვან ველებით სავსე“ და „ნიკორწმინდას“ ავტორის შემოქმედებაში მზიური ბრწყინვალებით გასხივოსნებული რუსთველური პოეზიის აპოლონური საწყისები ახალი ძალით ახმიანდნენ:

ვწერ ვინმე მესხი მელექსე,  
რაც კი მივლია მე გზები;  
ჭერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,  
ჭერ მზე და მერე ლექსები.

მის პოეზიაში ქართული თემის კიდევ უფრო აღზევებასთან ერთად ახალი და ახალი ძალით იჭრება სულიერ „სიმადლეთა წვდომის“ რუსთველური სწრაფვა და პოეტურ ფორმათა ისეთი მომხიბლაობა, რომელიც გენიოსური ხედვის უტყუარ ნიშნებს ატარებს:

მედგარად! გრძნობამ რომ წინ წაიწიოს,  
მეშინის ვისი, მეკრძალვის რაის?!  
ამ ნანგრევებთან მშობლიურ სიოს  
მარად ეუპოვით უქცნობელ მაისს  
და მგზნებარ ხელით ჩართულ-გადართულს ---  
რით კაცი გულში ხანჯალს ჩაიგებს —  
ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,  
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს.

აღმოჩენათა საუკუნის შემდგომ, — წერდა არცთუ დიდი ხნის წინათ ერთი ცნობილი ფრანგი მწერალი,—მსოფლიოს კიდევ უფრო ჭირდება ჭეშმარიტი პოეტები, რომლებიც მაღალი ხელოვნებით ფლობენ სიტყვას და ძალუძთ გვაგრძნობინონ დღევანდლობის უმთავრესი პრობლემები. ევროპა ილუპება ცუდი ენის გამო. ჭერ კიდევ აღრეა გამოვავლინოთ ჩვენი დროის უმთავრესი ნიშანი, მაგრამ თუ ჩვენი ისტორია არ დამთავრდება კატასტროფით. ამ ეპოქის ნიშანი ექნება არა უარყოფა იმისა. რაც გააკეთა XIX საუკუნემ, არამედ აღიარება მეცნიერებისა და მასთან. აღიარება გონით განათებულ პოეტურ მიღწევათა ფასეულობისა.

ამიტომ ბუნებრივია. რომ ჩვენი ეპოქის ერთ ყველაზე უკეთეს გონებად პოეტი გვევლინება. დღეს ყოველ ცივილიზებულ ერს უნდა ჰყავდეს ასეთი პოეტი.

ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალ საუკუნეებში ქართველ ხალხს ჰყავს ასეთი პოეტი და მისი სახელია გალაკტიონ ტაბიძე



## ლეო ქიაჩელი

(რამდენიმე სტრიხი ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედებიდან).

ზუსტად ოცი წელი გავიდა ლეო ქიაჩელის გარდაცვალებიდან. ეს არც ისე დიდი დროა, რათა რაღაც ხაზგასმულად წარსულის ინტონაციებს მივმართოთ. იგი ფაქტიურად ჩვენი თანამედროვე იყო და თითქოს გუშინ წავიდა ჩვენგან...

მაგრამ ყველა ჩვენთაგანი, ვინც კი იცნობდა მას პირადად, იმასაც შეამჩნევდა, რომ წელთა სიმძიმესთან ერთად დიდოსტატის მშვიდსა და წყნარ გამოხედვაში რაღაცნაირი დაოკებით თვლემდა გარდასულ ეპოქათა მინაწლებული ცეცსლი. და ეს მაშინ, როცა ყველამ კარგად ვიცოდით, თუ რა მღელვარე მოვლენათა მომსწრე და მონაწილე იყო იგი თავად. ჭირთა ძღვევის შიგნიდან დაძრული ხმა განსაკუთრებულად მკეტველ ძალას ანიჭებდა მის გონიერულსა და დაფიქრებულ საუბარს. „ანუ არის ბრძენი ვინმე. მაღალი და მაღლად მხედრი“.

მართლაც, ახალი საუკუნის მიჯნიდან მოკიდებული ლეო ქიაჩელი ერთი იმ რჩეულთაგანია. ვინც ასე სტოიკურად გაუძლო ათასგვარ ქარტახილს, მზაკვრულ და მაცთუნებელ წყალქვეშა დინებებს, პირადად საკუთარ თავზე, მისსავე ოჯახზე დატეხილ ბედის დარტყმებს, მაგრამ ისე, როგორც ეს საზოგადოდ რჩეულთ შეაფერის. შეუმღვრევლად და სუფთად ატარა ქართველი მწერლის მაღალი და პატივსადები სახელი.

ლეო ქიაჩელმა XIX საუკუნიდან გადმოაბიჯა ჩვენს საუკუნეში. მის მომხიბლავ პიროვნებას სხვაგვარ ელფერს ანიჭებდა ის რაღაც მეტად ტკბილი და ძველი, რომელსაც ისევ და ისევ სწორედ გარდასულ დროებს ვუკავშირებთ, როცა საფუძველი ეყრებოდა ქართული კულტურის ახალ შენობას, ღრმად ეროვნულ (ეს ძირითადად XIX საუკუნის ცხოველმყოფელი ინერციის შედეგი იყო) და ფართო მასშტაბურს, გადაშლილს ახალი ევროპული კულტურის რადიუსზე.

ლეო ქიაჩელის მთელი შემოქმედება ამ ბედნიერი შერწყმის, როგორც იტყვიან, ამ თავისებური სიმბიოზის, ნიშნით იყო აღბეჭდილი. ასეთი თვალსაზრისი კიდევ უფრო ნათელი და ხელშესახები შეიქნება, თუ ჩვენ ლეო ქიაჩელთან ერთად კიდევ ერთხელ გავიხსენებთ კიტა აბაშიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძისა და სხვათა სახელებს. რომლებმაც არა მხოლოდ შემოქმედებითი ინტერესებით, აზროვნების სტილითაც განუზომელი გავლენა მოახდინეს იმ დროისათვის სრულიად ულტრათანამედროვე ლიტერატურული ატმოსფეროს ჩამოყალიბების საქმეში.

„შუალამე გადასული იქნებოდა, როცა აღვირახსნილი სტიქიის ორომტრიალს გაშლილ ზღვაზე უცხო გუგუნე შეერია.

ბრძოლაში გამომწვევ შეძახილივით, და წყვდიადის ამძვინვარებული ტანი სინათლის ლარივით სწორმა სვეტმა შეაპო და შეანგრია, ღრუბლებისა და ტალღების შავ ლაშქარს შიგ შუაგულში შეექრა და ოთხივე კუთხით უგზო-უყვლოდ მიმოაბნია.

ეს იყო რკინისა და ფოლადისაგან შეკრული კრეისერი „შმიდტი“, რომელიც ზღვის სიღრმისაკენ შეუპოვრად გზას მიიკვლევდა ცეცხლით, ორთქლით და მებრძოლ ადამიანთა უღრეკი ნებისყოფით აღჭურვილი.

ტალღების გორგალზე ქანაობით გადადიოდა. ხან თავით უფსკრულს ჩაინთქებოდა, ხან გვერდიდან გვერდზე წვებოდა, მაგრამ მაინც უვნებელი რჩებოდა და უწყვეტი ქშენითა და გუგუნით წინ მიიწევდა.

კაპიტანის საგულშაგოზე კუზმა-მრისხანე იდგა. მარცხენა ხელით რკინის ხვედს ჩასჭიდებოდა, მარჯვენით პროუექტორს მართავდა.

მკერდმაღალი ტანი წინ სივრცეში შეემართა, თავი მალა ჰაერში შეეგდო და თავდამსხმელ სტიქიონის ბნელ ძალებს პირდაპირ შესცქეროდა პირიქით შეტევით“.

ეს პატარა ნაწყვეტი ლეო ქიაჩელის ერთი ყველაზე საუკეთესო მოთხრობიდან არის მოტანილი („ჰაი აძა“). როგორი დინამიზმითაა გადმოცემული შერკინება თავაწყვეტილ სტიქიონთან. ცალ-ცალკე აღებულ ვეება ტალღებად დაძაგრული ზღვაც, თავაწყვეტილი ქარიშხალიცა და კრეისერი „შმიდტი“ თითქოს საკუთარ ხმას გამოსცემენ, რომლებიც კონტრაპუნქტივით კუზმა-მრისხანეს გაუტეხელ ნებაში იყრიან თავს. ბრძოლისა და შეუპოვრობის ხაზგასმული პათოსი აშკარად მიგვანიშნებს მთავარზე: კრეისერი „შმიდტი“, „ადამიანთა უღრეკი ნებისყოფით აღჭურვილი“, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შებშია აბობოქრებულ სტიქიონს — წინ დიდი და მრისხანე ბატალიეზია მოსალოდნელი. ამასთან ეგევე ეპიზოდი ამზადებს ახალსა და არანაკლებ მძაფრ სცენას, რომელიც სულ მალე გათამაშდება კიდევ გემის ბაქანზე.

კრეისერ „შმიდტის“ ზღვის სტიქიონთან გამართული ორთაბრძოლა უნებურად გვაგონებს ჰერმან მელვილის დიდებულ რომანში „მობი დიკი“ ჩაქსოვილ სულისკვეთებას: ქროლვაში გამოვლენილი ბრძოლის რომანტიკას.

მხატვრული სინამდვილის წარმოსახვის გზაზე ლეო ქიაჩელი ტექსტისა და ქვეტექსტის მონაცვლეობის ურთულეს ხერხებს იშვიათი ოსტატობით იყო დაუფლებული. ამ თვალსაზრისითაც იგი ერთი გზამკვლევათაგანია თანამედროვე ქართულ პროზაში.

ლეო ქიაჩელის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები მეტყველი მაგალითია ძველთაძველი და ალბათ მარად შეურყეველი ჭეშმარიტე-

ზისა: მხატვრული სიმართლე ყველაზე დიდი. მშენებლებისაგან განუყოფელი სიმართლის დაუფლებაა. „ჰაკი აძბას“ და „თავადის ქალი მაიას“ ავტორისათვის მხოლოდ ასეთი არჩევანია ყველაზე ანლობელი. მისი უპირველესი მწერლური თვისება, ეს ხაზგასმით უნდა ითქვას, სიმართლის არაჩვეულებრივად ღრმა შეგრძობებაა. ეს უკანასკნელი თითქოს თავისთავად კარნახობს მწერალს ერთადერთსა და სწორ გადაწყვეტილებას, ამიტომაც არის, რომ იგი არც თუ იშვიათად ისეთ სიმაღლეებს წვდება. რომელიც, მართლაც, მაღალი შთაგონებით დაღდასმულ დიდოსტატთა ხედრია მხოლოდ.

მე აქ ზედმეტ გარჯად მიმაჩნია. შევეკამათო ლეო ქიაჩელის შეიქმმედების ზოგიერთ მკვლევარს. ხშირ შემთხვევაში. სამწუხაროდ, თვალში საცემია მეტად გაუბრალოებული კრიტიკიუმები, მწერლის ჩანაფიქრის ზედპირული ანალიზი. ეს ეძება ისეთ ღრმა მინიშნებებით დატვირთულ მოთხრობასაც კი. როგორცაა მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენები „ჰაკი აძბა“.

მათი აზრით, მოთხრობის პათოსი თითქოს იკითხვნაა მიმართული, რომ კუზმა კილვას. იგივე კუზმა-მრისხანის ბელით ხორციელდება რევოლუციის წინაშე დამნაშავე პირების დასჯის აქტი. ზოგი მკვლევარი იქამდეც კი მიდის, რომ უჯუშ ემზა გამოჰყავს მეზღვაურებთან შეტაკების ინიციატორად, რათა ხაზი გაესვას მის დანაშაულს (როგორც მკითხველს მოესხენება, ვითარება სრულიად საწინააღმდეგოა და ამაშია სწორედ მწერლის ოსტატობაც).

მწერლის მხატვრული ძიებები კი ადამიანურ ურთიერთობათა ბევრად ღრმა შრეებს წვდება. „ჰაკი აძბა“ იშვიათი მხატვრული სრულყოფილებით წარმოგვისახავს არა მხოლოდ რევოლუციით გამოწვეულ სულიერი რღვევის ატმოსფეროს. არამედ იმ ადამიანებსაც. რომელთა გარდუვალაი შერკინების ფონზე იქმნება ის მღელვარე კოლიზიები, რომელთაც მხატვრული რეალიზაცია აშკარად ამხელენ მათი ავტორის უცთომელ მხატვრულ აღლოს.

როგორც კუზმა-მრისხანე. ისე უჯუშ ემზა და ჰაკი აძბა თავისთავში სრულიად დასრულებული, მონოლითური სახეებია, მათ აქვთ საკუთარი სიმართლე და ღირსების მაღალი გრძნობაც.

სანიმუშოა ამ თვალსაზრისით უჯუშ ემზას მხატვრული პორტრეტი. როგორი ზეადამიანური ძალით ებრძვის იგი მისივე სულის სიღრმიდან დაძრულ ფატალურ შიშს. განწირულობის გარდუვალობას. ძლია თუ ღვიძილობა. ტრაგიკული წინათგრძნობა ერთი წუთიც არ ტოვებს მას. მხოლოდ ერთი ფრაზით გვიმხელს ავტორი, თუ რა ჯოჯოხეთური ძალთა კვეთება აქვს გამოვლილი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში რუსეთიდან დაბრუნებულ თეთრ ოფიცერს, უჯუშ ემზას. სანაცვლოდ კი ძალზე მეტყველი სურათით შემოჰყავს იგი მოთხრობის ფურცლებზე.

უჯუშს სძინავს, ხოლო მისი მეგობრები სასტუმროს იმავე ნომერში ბანქოს თამაშით არიან გართულნი: „ახლაც. თუმცა სავარძელში

იწვა და ეძინა, მაგრამ ისე ბორგავდა და იკრუნჩხებოდა, რომ ეტყობოდა ამ ლანდებისაგან ძილშიაც მოსვენება არ ჰქონდა. მართლაც, უცნაური რამ ემართებოდა. დროგამოშვებით მთელი ტანის ცახცახი აუვარდებოდა და მერე მთელი ტანითვე ისე შეკრთებოდა, თითქოს უფსკრულს უნდა გადაჩხილიყო და თავი ძლივს შეიმავრაო. თან ტუჩებს რაღაც საკვირველი ღრავით მუწავდა და შლიდა. უცხო, გაუგებარი სიტყვების ნაწყვეტი შიშინით ამოუდიოდა პირიდან და ისევე გაინაბებოდა. სუნთქვაც კი შეუწყდებოდა და, დასასრულ, ისეთი კვნესა აღმოხდებოდა მკერდის სიღრმიდან, რომ თავდავიწყებამდე აზარტში შესული მისი პარტნიორები ამის გაგონებაზე თამაშს შეწყვეტდნენ და შეოცებულები სავარძლისკენ მოიხედავდნენ — ეს რა საცოდობის ხმა გაისმაო.

როცა ეს რამდენჯერმე განმეორდა, მოთამაშებმა ვერ მოითმინეს და მძინარეს ერთხმად შესძახეს გამოსალვიძებლად:

— უჯუშ!

დაძახება და უჯუშის წამოვარდნა სავარძლიდან ერთი იყო.

ფეხზე დამდგარმა, მაგრამ ისევე მძინარემ ტანი ისე მოიმარჯვა, თითქოს მოსისხლე მტერს უტევსო — წელზე წაივლო ხელები, სადაც სატევარი ეგულებოდა: მარჯვნივ ტარს ეძებდა, მარცხენით — ქარქაშს. როცა ვერც ერთი ვერ მონახა, ხელი რევოლვერისკენ გააქანა. ესეც რომ არ აღმოჩნდა, კანკალი დააწყებინა, ბრაზისაგან გაიგულა. ის იყო სასოწარკვეთილების გმინვა უნდა აღმოხდენოდა პირიდან, რომ ამ საოცრების შემყურე მოთამაშენი თავიანთი ადგილებიდან წამოიშალნენ და გარსშემოერტყნენ, დაბალი, მოალერსე ხმით მიმართეს. ტბილი სიტყვები უთხრეს.

— უჯუშ, ჰა უჯუშ! რა მოგივიდა? აქ ვართ, ნუ გეშინიაო. ახლოს მისვლა საკვირველ მძინარესთან და ხელის მოკიდება მაინც ვერ გაბედეს.

ერთხანს შემდეგ უჯუშმა უცებ შეწყვიტა მოძრაობა და ტანი გაისწორა. მერე თვალებიც გაახილა და მის წინ მდგომ ოთხსავე მეგობარს ერთბაშად შეანათა.

მოწითალო მწვანე ფერით არაამქვეყნიური შუქი გამოკრთა.

ეს იყო შიში, რომლის მსგავსი არც ერთს აქ მყოფთაგანს მოჩვენებითაც კი არასოდეს არ მოჩვენებიათ.

უკან დაიხიეს ძალაუნებურად“.

საოცრად პლასტიკური ნახატი სურათია. ბევრ რამეზე, კერძოდ კი უჯუშ ემხვას თავს გარდახდომილ საშინელებათა შესახებ მხოლოდ ამ ეპიზოდითაც ჩვენ უკვე ნათელი წარმოდგენა გვექნება. მაგრამ აქ მთავარი მაინც სხვაა. უჯუშში, მოთხრობის ფურცლებზე თანდათან რკვეთება მისი პიროვნული თვისებები, იოტის წამისად არსად არ ღაღატობს საკუთარ იდეალებს, ადამიანურ ღირსებათა მისთვის სავალდებულო კოდექსს. რასაკვირველია, სხვა საქმეა, თუ რამდენად სწო-

რია მისი ცხოვრებისეული პოზიცია სრულიად ახალ და მისთვის ჯერ კიდევ შეუცნობელ ისტორიულ ვითარებაში. ამის მაგალითად, კმარა მისი რაინდული საქციელი, როცა იგი თავისი ნებით ჩაბარდება გამძვინვარებულ მტერს, რათა იხსნას საყოველთაო მრისხანებისაგან მისი ახლობლები. ხოლო ზემოთ მოტანილი ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ყოვლისმომცველი შიში დაუფლებია უჯუშ ემხვას, მაგრამ გაივლის სულ მცირე დრო და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი მედიდური ღიმილით ეგებება იგი გემის ბაქანზე უეჭველ სიკვდილს. რა ზეადამიანურ ძალთა მოხმობაა ამისთვის საქირო.

ასეთივე მართალი შტრიხებითაა წარმოსახული მოთხრობაში ჰაკი აძბა და კუზმა-მრისხანე. მთავარი კი მაინც ისაა, რომ ისევე გაუგებარია კუზმასათვის აფხაზი გლეხის, ჰაკი აძბას რაღაც მისტრიკურ სიმაღლემდე აყვანილი ერთგულება ძიძიშვილისადმი (კუზმა ამ გრძნობას „მონურს“ უწოდებს), როგორც უცხოა და ზიზღისმომგვრელი მისთვის უჯუშ ემხას და მისი წრის სხვა ადამიანთა არისტოკრატიული გამოარჩეულობა. ასევე შესაძლოა ბოლომდე არც კია კუზმა-მრისხანესათვის გაცნობიერებული რევოლუციის მიზნები და ამოცანები. მაგრამ მას რაღაც წმინდა, შეურყეველი სასოებით სწამს ერთხელ არჩეული გზა და ესაა სწორედ მისი ძალაცა და გაუტეხელი ნებაც.

მათი მორიგება ისეთივე ნონსენსია, როგორც ცეცხლისა და წყლის, სიკვდილისა და სიცოცხლის. სწორედ ამ ტრაგიზმის უცთომელი სიმართლით წარმოსახვაშია „ჰაკი აძბას“ მხატვრულ ღირსებათა სათავე, ფასი დიდ სიმართლისა.

„ჰაკი აძბა“ განსაკუთრებულად მომხიბვლელია აგრეთვე თხრობის საოცარი უბრალოებით. სრული ილუზიაა, რომ თქვენ კითხულობთ სამოქალაქო ომის ქრონიკას და არა ძალზე მნიშვნელოვანი განზოგადობებით დატვირთულ მხატვრულ მატთანეს. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ის ეპიზოდები, რომლებშიც გადმოცემულია სოხუმში ბოლშევიკების კრეისერის „შმიდტის“ გამოჩენა, მენშევიკური მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენელთა უხერხემლობა და ქალაქის მესვეურთა რაღაც ცხოველური შიში მოსალოდნელი ისტორიული ევრების წინაშე. ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“ ქართული მხატვრულ-დოკუმენტური პროზის კლასიკურ ქმნილებათა რიგში დგას.



სხვა ფაქტორებთან ერთად მხატვრული სიტყვის ამ უმაღლეს თვისებათა შესისხლბორცებაში, ჩემის აზრით, მწერლის მდიდარმა ცხოვრებისეულმა ბიოგრაფიამაც შეასრულა გადამწყვეტი როლი. მის მღელვარე პერიპეტეიებში გატარებულ ცხოვრებას იმთავითვე მოქმედების კანონი წარმართავდა და ახალგაზრდობის წლებიდანვე იგი უშიშრად გადაეშვა ბრძოლისა და ცხოვრების მშფოთვარე ტალღებში. ბრძოლა და მოქმედება კი ადამიანს ასწავლის იმ სიბრძნეს, რო-

მელსაც იგი წიგნებიდან ვერასოდეს ამოიკითხავს. ასწავლის ცხოვრების ფასს, სამშობლოს, ადამიანის სიყვარულსა და განსაკუთრებით უღვივებს მეგობრობის იმ უძვირფასეს თვისებებს, რომელთა გარეშე ადამიანის არსებობა საცოდავი და შესაბრალისია.

უნივერსალურია ცხოვრების კანონი — ბრძოლა და მოქმედება ჰბადებს ჭეშმარიტ ადამიანს.

ცხოვრების გარიჟრაჟზე შექმნილმა დიდმა გამოცდილებამ შემდეგ და შემდეგ, როცა „ტარიელ გოლუას“ და „ჰაკი აძბას“ ავტორი ერთ-თავად ჩაიძირა შემოქმედებით მუშაობაში, თავისთავად იჩინა თავი, მწერალი აღჭურვა იმ ძნელადმოსაპოვებელი თვისებებით, რომელთა ვარეშეც. მართლაც, წარმოუდგენელია მაღალი და ჭეშმარიტად პოეტური სიტყვა. ადამიანისადმი რწმენა და ოპტიმიზმი შარავანდედად ადრას ლეო ქიაჩელის მთელ შემოქმედებას.

\*\*\*

ლეო ქიაჩელის მხატვრული სიტყვა მომხიბლავია თავისი სისადანიოთა და უბრალოებით. იგი არ ღალატობს მას თვით უმძაფრესი ვნებებისა თუ ღრმა ფსიქოლოგიური ჰასაყების გადმოცემის დროსაც. რასაკვირველია, ეს ძნელად მოსაბვეჭი თვისება, პირველ რიგში, თვით ავტორის შინაგანი ბუნებიდან იღებს სათავეს, მაგრამ აქ არ არის დასავიწყებელი შემოქმედებით ძიებათა ის მტანჯველი გზა, რომელთა დაძლევის გარეშე არასოდეს შექმნილა ჭეშმარიტი და ფასეული რამ.

ასეთ ძიებათა აშკარა ანარეკლია მისი პირველი ლიტერატურული ნაბიჯები. ადრეული მოთხრობები თუ ესკიზები, რომლებსაც უცილოდ აზის იმ ხანებში თითქმის საყოველთაო და აღიარებული მხატვრული მიმდინარეობის — იმპრესიონიზმის მძლავრი კვალი.

როგორც ცნობილია, ისევე, როგორც მხატვრობასა და მუსიკაში. მხატვრული სიტყვის სარბიელზეც ეს იყო სრულიად ახალი აღმოჩენა. რომელიც აგრე რიგად აფართოებდა აღქმის არეალსა და მხატვრის პალიტრას.

საგულისხმოა ამასთან. ლევ ტოლსტოის მიერ გამოთქმული ერთი შენიშვნა: სისადავე და უბრალოება მიაჩნდა დიდ მწერალს აღნიშნული მიმდინარეობის უმთავრეს სტილურ ნიშნად.

აქვე ისიც უნდა ითქვას, მასვე, კლასიკური პროზის ერთ უპირველეს დიდოსტატს, ცხოვრების მიწურულს გამოთქმული აქვს ერთგვარი სინანულიც. რომ წერის მსგავსი ხერხები პირადად მისთვის უკვე დაგვიანებული აღმოჩენა იყო (ტოლსტოი ამ შემთხვევაში კონკრეტულად გულისხმობდა ივან ბუნინის პროზას).

ლეო ქიაჩელის შემოქმედებაზე, მისი სტილის საბოლოო ჩამოყალიბებაზე ამ მიმდინარეობამ უეჭველად ითამაშა გამანაყოფიერებელი როლი. სტილის ლაკონიზმსა და უბრალოებასთან ერთად „აღმასგირ კიბულანისა“ და „თავადის ქალი მაიას“ ავტორს განუვითარა ღრმა ქვეტექსტებისა და იდუმალის გრძნობის გამძაფრებისაკენ მიდრეკი-

ლება. ყოველივე ეს კი ძალზე თანამედროვე და გაუხუნარ იერს ანიჭებს მის საუკეთესო ქმნილებებს.

ჩემის აზრით, დღევანდელი ქართული ბელეტრისტიკა უეჭველად არის დავალებული თავის სახელოვანი წინამორბედებისაგან (ლეო ქიაჩელთან ერთად წინამორბედთა შორის, პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე ნიკო ლორთქიფანიძე). ესეც ჭეშმარიტი მწერლური ტალანტის უკვდავების ერთი პირველი საბუთთაგანია.

\*\*\*

ლეო ქიაჩელი ეროვნული თემების, ეროვნული კოლორის მხატვრული წარმოსახვის ჩინებული ოსტატია. ამასთან დამახასიათებელია, ფერწერის ენით რომ ვთქვათ, ფრთხილი და ძუნწი მონასმი. იგი საერთოდ მხატვრული მასალის ერთგვარი დაოკების გზას ადგას. ტაქტი და ზომიერების ძალზე გამახვილებული გრძნობა გზას უზშობს ყოველგვარ ეგზოტიკურსა და მოჩვენებითს.

თვალსაჩინოა ამ თვალსაზრისით საყოველთაოდ ცნობილი მოთხრობა „თავადის ქალი მაია“, რომელიც მასალის დაუფლების ნიშნითაც ერთი ყველაზე დამახასიათებელი მხატვრული ტილოა მის შემოქმედებაში.

ლეო ქიაჩელმა, ერთმა პირველთაგანმა ახალ ქართულ ლიტერატურაში, კვლავ გააცოცხლა ანტიკური ხანის შემდეგ აგრერიგად მივიწყებული კოლხეთის ლეგენდარული თემა (საერთოდ კი მითოსის ცხოველმყოფელი ნაკადი, მე მგონი ეს საკამათო არ უნდა იყოს, ძალუმად მსჭვალავს იმ ავტორთა შემოქმედებას, რომლებიც წარმოშობით კოლხეთის მკვიდრნი არიან. საკმარისია, აქ კონსტანტინე გამსახურდიას, თედო სახოკიას, დემნა შენგელაიას, ხოლო შედარებით ახალი დროის ავტორთაგან ნოდარ წულეისკირის და სხვათა განსენებაც).

კოლხეთის მიწის ნისლიანი პეიზაჟები, ჭაობებისა და ოჩოკოჩებით დასახლებული იდუმალი მხარე. ყველაფერი ეს მისთვის მშობლიურია, დედის აკენიდან შესისხლხორცებული. ყოველ ფრაზაში, ყოველ ჩანახატში გრძნობს ამას მკითხველი. ცალკეული დეტალები ზუსტი და მიგნებულია, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა ორგანულად ერწყმის უმთავრესი მხატვრული ჩანაფიქრის გადმოცემას — უნიადავო ოცნებათა მსხვერევას, გარდაუვალობის უმკაცრესი განაჩენის აღსრულებას, რაც თავადის ქალის მაიას ურთულეს მხატვრულ სახეში იძენს სრულყოფილებას და მძაფრი კოლიზიების ფონზე ვითარდება.

ადამიანურ სიკეთესთან ერთად შური და ვერაგობა უკანასკნელი თავშესაფარია, რათა მაიამ ასე ადვილად არ დათმოს თავისი არსებობა. ლეგენდარული მედეას კვალდაკვალ, სამუდამოდ დაამახსოვროს ყველას შურისა და ეჭვის ნიადაგზე აღმოცენებული გესლი. ღრმა ქვეტექსტი და რაღაც სინანულის აღმძვრელი შინაგანი თემა (მაიას ტრაგედია აღიქმება როგორც მისივე წრის ადამიანთა განწირულობის გარდაუვალი ხვედარი) არაჩვეულებრივ პოეტურობას სძენს მთელს მო-

თხრობას, რომელიც არა მარტო ლეო ქიაჩელის, არამედ ახალი ქართული მწერლობის ერთ უპირველეს ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ.

\*\*\*

ლეო ქიაჩელს ჩვენი თაობა უკვე ხანდაზმულს შეესწრო. თითქოს მისივე სამომავლო პორტრეტია წარმოსახული მწერლის ერთ ადრეულ თხზულებაში, სადაც საუბარია ერთ მოხუც თავაღზე: „მიუხედავად ღანდაზმულობისა, ბექირბი ჩაჩბა ისე უმწიკვლოდ და შეუვალად ატარებდა თავისი მოდგმის არისტოკრატიულ ღირსებებს, რომ ყოველი თავმომწონე აფხაზი მოვალედ თვლიდა თავს მიებამნა მისი დარბაის-ლიური სიტყვა-პასუხისათვის, მოქცევა და ჩაცმა-დახურვისათვის“.

ლეო ქიაჩელის ახალგაზრდობის დროის შესახედაობაა აღწერილი ერთ მოგონებაში, რომელიც ეკუთვნის მწერლის დიდ თაყვანისმცემელს, ხოლო შემდეგ წლებში ახლო მეგობარს, მწერალსა და ლიტერატურის მკვლევარს, სოლომონ ცაიშვილს. სხვა ფაქტებთან ერთად აქ გადმოცემულია ბ-ნ ლეოს პირველი ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილება:

„1918 თუ 1919 წლის შემოდგომის პირი იყო. ზუგდიდში მასწავლებელთა ერთ-ერთ შეკრებაზე მოვხვდი. უმთავრესად ახალგაზრდა ქალები იყვნენ. მათ შორის ცხარე კამათი გაიმართა, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო:

— ტყუილია, ლეოს ბადალი აქ არავინ იყო, — ამბობდა ერთი.

— რას ამბობ, ბადალი კი არა მზესავით ანათებდა აქაურობას, ანათებდა. — დაუმატა მეორემ.

— საკვირველია ბუნების წესი — დასძენდნენ სხვები, თუ დააჯილდოებს ერთს ვინმეს, ყველა სიკეთეს მას დააყრის: განათლება, ჭკუა, ნიჭი, ასეთი სილამაზე, იშვიათი ხასიათი, ადამიანობა — ერთ კაცს არგუნა, მეორესთან კი შეიძლება სულ მთლად შემოაღამდეს და არც ერთი თვისება არ აღირსოს.

საუბარში ჩავერიე. ვინ ყოფილა ასეთი კლასიკური სილამაზის კაცი-მეთქი. ასევე ერთხმად მიპასუხეს:

— აი, ის ლეო ქიაჩელი (შენგელაია). „ტარიელ გოლუა“ რომ დაწერა.

— მერე, სად ნახეთ იგი? — ვკითხე ცნობისმოყვარეობამორეულმა.

— კრებაზე იყო, ახლაც აქ არის სასახლეში.

მაშინვე იქ გავეჩნდი. ლაპარაკობდა, დინჯად, ნელა, ხავერდოვანი ზარიტონით და ლამაზი ქართულით. ქალები მართალნი აღმოჩნდნენ. მართლაც, კლასიკური სილამაზე წარმომიდგა თვალწინ. ოქროცურვილი პენსნე კიდევ უფრო ამშვენებდა მის კოხტაულვაშებიან თეთრ და ნატიფად გამოქანდაკებულ სახეს. ოდნავ ქერა თმის კულულებს, ღანდახან შუბლზე რომ გადმოეფინებოდა, ხელით გვერდზე გადასწევდა. ვიდრე ეს თავყრილობა მიმდინარეობდა, მას ვუცქეროდი. „ტარი-



ელ გოლუას“ ავტორში ვეძებდი ტარიელის, ლევანის, ბეჟანის და ამავე მოთხრობის სხვა გმირთა ხასიათებს. მათი სულისკვეთების გამოვლინებას. მაგრამ ისე მომეჩვენა, თითქოს ყველა ეს გმირი ერთად აღებული ლეო იყო, რისთვისაც იმ მრისხანე ხატის სახელი მიუთვინებია-მეთქი. მაგრამ უფრო საკვირველი ის იყო, რომ იგი სრულიად უბრალო ხასიათის, ყოველგვარ მრისხანებასა და გოროზობას მოკლებულ ადამიანად, მშვენიერი გარეგნობის მქონე მამაკაცი მოსჩანდა. შინ დაბრუნებულს მიმინახოდა, რომ შორიდან მაინც ენახე და მოვუსმინე ერთ ცოცხალ მწერალს. მაშინ ჯერ ისევ საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი, დედაქალაქი არ მქონდა ნანახი და არც ერთ მწერალსაც არ ვიცნობდი პირადად“.

მკითხველი აქვე მიაქცევდა „მრისხანე ხატის“ თითქოსდა უადგილო ხსენებას. ამავე მოგონებაში, რომლის ერთი ფრაგმენტი გამოქვეყნდა 1954 წელს, მისმა ავტორმა სოლომონ ცაიშილმა ვგონებ ერთმა პირველთაგანმა „გაამჟღავნა“ მწერლის ფსევდონიმის „ქიაჩელის“ საიდუმლოება, რომლის შესახებაც თვით ლეო ქიაჩელი რატომღაც სდუმდა.

„ქიაჩი წმინდა გიორგის ხატის სახელია და სამეგრელოში მასზე გადასცემდნენ (მეგრულად „გინოჩამა“) მტყუანსა და მავნეს. ხატის ჯანაჩენი ყოველთვის მკაცრი და რისხვით აღსავსე იყო — დასძენენ ასლაც აქაურნი მკვიდრნი. თვით ხატი ადრევე წამოუღიათ ოჩამჩირის მახლობლად მდებარე სოფელ ქიაჩიდან (აწ ნასოფლარის კვალია დარჩენილი) და დაუსვენებიათ ლეო ქიაჩელის მშობლიური სოფლის ობუჯის მონასტერში. ერთ დროს კი ხატის მფლობელები ლეო ქიაჩელის წინაპრები შენგელიები (ძველი წყაროებით „შერგელიაიები“) ყოფილან. თვით იმ უბანსაც კი ობუჯში, სადაც ეს მრისხანე ხატი ესვენა, ბოლო დროს ასევე ქიაჩი შეერქვა. აი, სწორედ აქედან იღებს, როგორც ჩანს, სათავეს ჩვენი გამოჩენილი მწერლის ლეო ქიაჩელის (შენგელიას) ფსევდონიმიც. სხვათაშორის, უკანასკნელ ხანებში ამავე ფსევდონიმის წარმომავლობის სახელს ვრცლად შეეხო ლეო ქიაჩელის შემოქმედების მკვლევარი აკაკი თოფურია, თუმცა, სამწუხაროდ, აქ ერთი სიტყვაც არაა დამძრული ზემოთ დასახელებულ მოგონებაზე. სადაც პირველადაა გაცხადებული მისი „საიდუმლოება“ (შდრ. აკაკი თოფურია, ლეო ქიაჩელი. ცხოვრება და შემოქმედება. 1977 წ. გვ. 93—101).

\*\*\*

ლეო ქიაჩელის ოთხტომეულს (1946—1955) წამძღვარებული აქვს პატარა და ლაკონური მიძღვნა: „შეილს, მეგობარს, იმედს ოთარ შენგელიას“. ამ ერთი შეხედვით, უბრალო სიტყვებში მან გამოხატა მის არსებაში სამუდამოდ დასადგურებული უმძაფრესი ტრაგედია. თითქოს იმთავითვე, როცა მწერალი ჯერ სრულიად ახალგაზრდა იყო,

გრძნობდა შორიდან დაძრულ უმძიმეს ხვედრს და თავის ქმნილებებში („ტარიელ გოლუა“, „ალმასგირ კიბულან“, „მთის კაცი“) ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი მიანიჭა მამა-შვილობის დიდსა და ყოვლისმომცველ ადამიანურ გრძნობას, რომელიც ისევე უკვდავია, ვით კაცობრიობა.

ლეო ქიაჩელმა ფართო სოციალური ტილოებით და დიდებული მხატვრული სახეებით გაამდიდრა თანამედროვე ქართული მწერლობა. რამდენად გადარიბდებოდა იგი ამ მომზიბლავი სახელის გარეშე და ალბათ სწორედ ეს არის ჭეშმარიტად ღირსეული მწერლის შეფასების სველაზე მტკიცე კრიტერიუმი.

მისი შემოქმედება დღესაც ახალი სიცოცხლით ფეთქავს და მხნედ მიაბიჯებს თანამედროვე ქართული მწერლობის მხარდამხარ, მე მინდა ეს ჩემი წერილიც დავამთავრო მწერლისავე სიტყვებით, რომელშიც ნან ღრმა, სიმბოლური შინაარსი ჩააქსოვა:

„ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროის ქარიშხლით ტოტებზემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვმავარი და ტანძლიერი ძველი მუხა დგას ხოლმე ახლად ავარდნილ მწვანე ნორჩ ტყეში“.

:923 წ.

## სიტყვა ნიკო ლორთქიფანიძისადმი

ნიკო ლორთქიფანიძის სახელი ქართული მწერლობის დიად აღმავლობასთანაა დაკავშირებული.

ახალი მიჯნა კი ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო, როცა ჩვენში თანდათან ყალიბდებოდა მწერლის სრულიად განსხვავებული ტიპი.

ასპარეზზე გამოდის ევროპული კულტურის ახალ მიღწევებს ზიარებული, ფართო მასშტაბის სააზროვნო ამოცანებს შეჭიდებული თაობა, რომელმაც მხატვრული სიტყვის ტოტალური განახლება დაისახა მიზნად.

ის იყო მძაფრი ძიებებით დატვირთული ხანა. ახალ თაობას მთლიანად უნდა ეკისრა აწ უკვე თავისთავში დასრულებული და ვალმოხდილი ქართველ განმანათლებელთა მემკვიდრეობა: „წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“.

გალაკტიონის ეს მარადსახსოვარი სიტყვები გამოხატავს აგრეთვე ახალი მიჯნების დაუფლების გარდუვალობას.

ძიება და ეპიგონია, თუმცა არც ისე ახლო მდგომი ცნებებია,

მაგრამ ასეთ დროს ზოგჯერ ერთი მოუზომავი ნაბიჯია საკმარისი და მთელი შემოქმედებითი დინება გამოთვალ ჩიხში მოემწყვდევა.

ძიებათა რეზულტატი. მართლაც, განსაკვიფრებელი აღმოჩნდა და აღნიშნულმა ეპოქამ თავისი მნიშვნელობით წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მწერლობის შემდგომი აღმავლობის გზაზე.

ქართული მხატვრული სიტყვის რეფორმაციისათვის ბრძოლა, რომელიც ევროპული კულტურის მიღწევათა დონეზე მიმდინარეობდა, აშკარა გამარჯვებით დასრულდა.

ნიკო ლორთქიფანიძე ამ დიდი მოძრაობის სათავეებთან იდგა. თუ ერთი მხრივ გალაკტიონის და აგრეთვე ტიცოან ტაბიძის, პაოლო იანივილის და „ციცფერყანწელთა“ ორდენის სხვა წევრთა სახელებთანაა დაკავშირებული ქართული პოეტური კულტურის ახალი მიჯნების დაუფლება, ასევე ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გაშასხურდია, მიხეილ ჭავჭავაძე იყვნენ ის პირველი მეკვლეები, რომელთა ძალისხმევას შედეგად ქართული პროზა ერთბაშად აღზევდა ისეთ სიმაღლემდე. რასაც ინატრებდა ყველა მოწინავე კულტურის მქონე ქვეყანა და რომლის ნაყოფს ჩვენ აგრე რიგად ვგრძნობთ ახლაც.

მაგრამ არც ერთი თვალსაზრისით არ ვიქნებოდით სწორი, რომ ნიკო ლორთქიფანიძის დიდი ღვაწლი მხოლოდ მეკვლეობით შემოგვეფარგლა.

ჩვენდა საბედნიეროდ. მწერლის შემოქმედებითი ცხოვრება შემდეგშიაც ასევე აღმავალი გზით მიემართებოდა. ხოლო მისი ყოველი ახალი ქმნილება აღიქმებოდა როგორც მწერლური ოსტატობის უზადო ნიმუში.

„მრისხანე ბატონისა“ და „დანგრეული ბუდეების“ ავტორი თვით ჩვენი საუკუნის ორმოციან წლებამდე ქართული პროზის აღმავლობის ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე გახლდათ.

ნიკო ლორთქიფანიძის პროზა თანამედროვე ქართული მწერლობის ერთი უპირველესი მონაპოვარია. განსაკვიფრებელია. თუ როგორ გრძნობს იგი დროთა კავშირს, როგორი სიფაქრით მოაქვს ჩვენთან თითქოსდა მინავლებული წარსული. ან კი როგორი რაკურსით გვიჩვენებს დღევანდლობის უმთავრეს შტრიხებს, რათა ფუყე ზერელობიდან გაძარცვული უკეთ გვაგრძნობინოს მისი ხვალისნდელი დღის ძირითადი კონტურები.

მან ერთმა პირველთაგანმა გვასწავლა. თუ რა ფასი აქვს ჩურჩულით ნათქვამ სიმატლეს და ნიადაგ განამტკიცებდა თვალსაზრისს. რომ მაღალი ფრაზები მეტწილ შემთხვევაში ოდენ შირმაა სიყალბის დასაფარავად.

როგორი მკაცრი სელექციით ერჩოდა იგი სიტყვას, სისადავისა და უბრალოების რა სიმაღლეებს წვდებოდა იგი თავის მინიატურებში. ზოგჯერ მხოლოდ ერთი მინიშნება და ჩვენ თვალწინ გაიელვებს ადამიანურ ვნებათა ისეთი სიღრმეები. რომელთა დანახვა მხოლოდ რჩეულთა ხედრია.

თუ რა ნაყოფიერი ზეგავლენა იქონია მწერალზე ადრეულ წლებიდანვე დაუფლებულმა წერის იმპრესიონისტულმა მეთოდმა, ეს თითქმის უკლებლივ ატყვია ყოველ ცალკეულ მხატვრულ სურათსა თუ ეპიზოდს: „ყვეფდა ძალი, სახურავიდან ამოდოდა კვამლი და იყო პატარა ოჯახი“. რამდენი ინტიმი ჩაქსოვილი ამ სამიოდე ლაკონიურ ფრაზაში, რა თბილ მოგონებებს აღუძრავს იგი ყველას, ვისაც ერთხელ მაინც უგრძენია ქართული სოფლის განუმეორებელი სურნელი.

დიდი ლირიზმით დამუხტული ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები თუ მცირე ფორმის მოთხრობები თანამედროვე ქართული პოეტური პროზის უპირველესი ნიმუშებია როგორც ქრონოლოგიურად, ისე თავისი უნიკალური მხატვრული ღირსებებითაც.

მართლაც „თავსაფრიანი დედაკაცის“ ავტორის მთელი შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეუბრალებელი სიმკაცრით ექცეოდა იგი საკუთარ თავს, ძიებათა რა ტანჯვის გზაზე ვიღოდა, რა-თა ზუსტი და უცთომელი ყოფილიყო ნათქვამი.

მწერლობის (და არა მხოლოდ მწერლობის) ყველაზე დიდ მტრად უდიდძამო საშუალობას, ზერელობას თვლიდა და ყოველ ასეთ ფაქტს, ამას მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება განამტკიცებს, ეროვნულ უბედურებად მიიჩნევდა. საშუალოობა და სტანდარტიზაცია ხელოვნებაში ყოველთვის იყო და არის უნიჭოთა თავშესაფარი, ხოლო მათი მომრავლება კი ერთი ყველაზე სახიფათო სენია ეროვნული თვითგამონატვის ძნელადსავალ გზაზე.

მაგრამ, საბედნიეროდ. სწორედ ნიკო ლორთქიფანიძის მსგავსი მაღალი სახელები განამტკიცებს საწინააღმდეგო თვალსაზრისს. ქართველი ხალხი სწორედ საკუთარი და არა სხვათაგან ნაწყობობები სიბრძნით არის საინტერესო მსოფლიო კულტურის დიდ სარბიელზე.

\*\*\*

„განმარტობით მოსახლე იმერელი გლეხი ერთი ებრძვის მტერს, ეხმარება მოყვარეს; განიცდის სიმარტოვის სიდუხჭირეს. თან ჰყლავს დამოუკიდებლობის გამამხნეველ ნექტარს.

იმერეთში რამდენი კორტოხია, იმდენი ბატონია“.

პიროვნული თავისუფლების თემა ისევე აჰყვან ნიკო ლორთქიფანიძის პირველ სტრიქონებს, როგორც მზისკენ მოსწრაფე ვაზი საიმედოდ დაგებულ ხარდანს.

ღვთივმოძალდებულ ნიქს მხოლოდ მაღალი ზნეობა ანიჭებს სიმტკიცეს. უახლოეს ქართულ მწერლობაში ამის უტყუარი მაგალითი სწორედ ნიკო ლორთქიფანიძის სახელთანაა დაკავშირებული. მანვე დაგვანახა, თუ როგორ სათუთად უნდა უფრთხილდებოდეს მწერალი საკუთარ სახელს.

ამიტომაც იყო, რომ მისივე დიდი მოძღვრის. ილია ჭავჭავაძის, კვალდაკვალ მან მოიბოვა უფლება ეთქვა იმდენად მწარე სიმართლე,

რომლის გახსენება შეაძრწუნებდა ისეთ ადამიანსაც კი, რომელიც იქნებ ერთხელაც არ დაფიქრებულა მისივე ქვეყნის ხვალისდელ დღეზე: „საქართველო იყიდება, მინდორ-ველით. მთაგორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით. მომავალი სვებედი“.

თუ როგორ იწვის და უსაგნოდ იფერფლება სამშობლოს მიღმა გარჩენილი კაცის გული, ეს მან ასევე აღრე დაწერილ მინიატურებში შთამაგონებლად დაგვიხატა და შემდეგაც მთელი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე ნიადაგ უბრუნდებოდა ადამიანთა მოდგმის ამ უწმინდესი გრძნობის გაღვივებას.

ჰუმანიზმი და მომხიბლავი კეთილშობილება, დიდ, ადამიანურ სევდაში ჩაქსოვილი იმედის ნაპერწკალი მუღმივად ახლავს მის საუკეთესო ქმნილებებს, რომლებიც წარუვალა მშვენიერების განცდით აგრე რივად არიან დამუხტულნი.

ნიკო ლორთქიფანიძის საყოველთაოდ ცნობილ მოთხრობაში „დანგრეული ბუდეები“ არის ერთი ისეთი ეპიზოდი, რომელშიც ნანგრევთა სტატიურ სევდასთან ერთად მათივე რაღაცნაირი დაუოკებელი სიამაყეა გადმოცემული: „ყოველი ქვა თითქოს ვიღაცას ემუქრება მწუხარებისაგან გააფთრებული, რაც მომივიდა, მომივიდა — მეტს ვერაფერს დამაკლებო“.

იქნებ დრო-ჟამმა რაღაც მოაკლოს, ფერი უცვალოს, მაგრამ მთლიანობაში ვერ შეარყევს ნიკო ლორთქიფანიძის მტკიცედ ნაშენებ პოეტურ სიტყვას და ისევე შემორჩება იგი მომავალ საუკუნეებს, როგორც ჟამთა სიავეს გადარჩენილი, პიტალო კლდეებზე ამაყად აღმართული ჩვენი დიდებული ციხე-სიმაგრეები და საომარი კოშკები.

1982 წ.

## მწერლის დიდი მისია\*

(კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზა)

კონსტანტინე გამსახურდიას სახელთან ქართული მწერლობის არაერთი სიახლეა დაკავშირებული. ნახევარი საუკუნის მანძილზე მონუსხულივით შეჰყურებდა მას მკითხველი და ეს უკანასკნელი არც არასოდეს გაწბილებულა. არაორდინალური არაფერი დასცდენია მის კა-

\* წერილი წაკითხულ იქნა მოხსენებად კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეო ხალამოზე, რომელიც შედგა 1983 წლის 6 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

ლამს. არა მხოლოდ პირადი მაგალითი, არამედ საჯარო გამოსვლებითაც სასტიკად ებრძოდა უღიმღამო საშუალოობას, რაც უნიჭოთა საიმედო თავშესაფარი იყო და იქნება ნიადაგ.

კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც მწერალს, კულტურის მოღვაწეს, დიდი მისია დაეკისრა იმთავითვე და ოღნავადაც არ გადაუხვევია ერთხელ დასახული მიზნიდან. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამ თვალსაზრისით იყო ზრუნვა ქართული მხატვრული სიტყვის თვისობრივი გარდაქმნებისათვის.

მე აქ ვგულისხმობ ჩვენი საუკუნის ათიან წლებს, როცა ბრძოლამ ქართული კულტურის განახლებისათვის საოცრად ფართო მასშტაბები შეიძინა. გარეგნულად იგი ჩვენ გვაგონებს გასული საუკუნის სამოციან წლებს, თუმცა თავისი შინაარსით ახალი ეპოქა სხვა ამოცანების წინაშე იდგა. სხვაგვარი იყო თვით ქართული მხატვრული სიტყვის რეფორმაციისათვის წამოწყებული ბრძოლის შინაარსიც.

მეოცე საუკუნის დასაწყისი, ახალი რევოლუციების ეპოქა, პირველი მსოფლიო ომის მძიმე შედეგები სრულიად სხვადასხვაგვარად სვამდა დიდი თუ მცირერიცხოვანი ერების მომავალი არსებობის საკითხებს, ძალთა გადაადგილება ახლებურ პერსპექტივებს (ხოლო ზოგჯერ უპერსპექტივობასაც) სახავდა მის წინაშე. ერის მომავალზე რეალისტური განსჯა მხოლოდ და მხოლოდ გლობალური მასშტაბების გათვალისწინებით იყო შესაძლებელი.

პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისი თანაბრად შეეხო ჩვენი ქვეყნის კულტურულ ატმოსფეროსაც. კარჩაკეტილობისა და მოძალებული პროვინციალიზმის დაძლევა არც ისე ადვილი შეიქნა. ბრძოლამ, რომელმაც ათეული წლები გასტანა, მძაფრი ხასიათი მიიღო.

ისევე როგორც პოლიტიკურსა და სოციალურ ასპექტში, ჩვენ ხალხს კულტურის სფეროშიც ახალი მიჯნების გადალახვისათვის უნდა ებრუნა და ბოლოს და ბოლოს მან ეს შეძლო კიდევ.

ქართული მხატვრული სიტყვის რეფორმაციისათვის ბრძოლა, რომელიც ევროპული კულტურის მიღწევათა დონეზე მიმდინარეობდა, აშკარა გამარჯვებით დასრულდა.

მაგრამ უცხოური კულტურის დაძლევისა და გაშინაგნების მტკიცე ნეულ გზაზე გადაწყვეტი როლი ითამაშა იმას. რაც ამ თაობის წარმომადგენელთა უტყუარ ალღოზე მიუთითებდა, რომ მათ არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი მშობლიურ ძირებთან. ქართული მწერლობის დიდ ტრადიციებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს კი ჩვენ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. მათი ეს ძიებები, ალბათ, „მოდის“ ფარგლებს ვერ გასცილდებოდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამის მაჩვენებელია ისიც, რომ „სამშობლოს თემა“ მეტწილ შემთხვევაში ასე ორგანულადაა განცდილი. მათ უკეთეს მხატვრულ ქმნილებებში. ამის დავიწყება კი, რაც სამწუხაროდ არც ისე იშვიათი შემთხვევაა, მხოლოდ ყალბ წარმოდგენას განამტკიცებს ჩვენი კულტურისათვის ასეთი მნიშვნელოვანი ეპოქის შეფასების უამს.

კონსტანტინე გამსახურდიას, სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან ერთად, თვით ისტორიულმა ვითარებამ დააყისრა ქართული კულტურის განახლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მესვეური ყოფილიყო. თუ ერთი მხრივ გალაკტიონის და აგრეთვე ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის და „ცისფერყანწულთა“ ორდენის სხვა წევრთა სახელებთანა დაკავშირებული ქართული პოეტური კულტურის ახალი მიჯნების დაუფლება, ასევე ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, მიხეილ ჭავჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდია იყვნენ ის პირველი მეკვლეები, რომელთა ძალისხმევით შედეგად ქართული პროზა ერთბაშად აღზევდა ისეთ სიმაღლემდე. რასაც ინატრებდა ყველა მოწინავე კულტურის მქონე ქვეყანა და რის კეთილ ნაყოფს ჩვენ აგრე რიგად ვგრძნობთ თანამედროვე ქართული პროზის ამჟამინდელ წარმატებებშიც.

კონსტანტინე გამსახურდია ამ საშვილიშვილო მოძრაობის ავანგარდში იდგა და როგორც უკვე ითქვა, ქართული მხატვრული სიტყვის არაერთი სიახლე, განსაკუთრებით ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან, სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული.

მწერლის ფართო თვალსაწიერი და ესთეტიკური მრწამსი უეჭველად განაპირობა ევროპული კულტურის შემოქმედებითა ათვისებამ, მაგრამ გამარჯვების უპირატესი გარანტია მაინც ეროვნული კონცეფციის შემუშავება იყო.

მე აქ ვერ ვხედავ საჭიროებას, რომ თუნდაც ორიოდ სიტყვით შევეხო მის უაღრესად საინტერესო ცხოვრების გზას. ქართული მწერლობის ყოველმა მოყვარულმა იგი ზეპირად იცის. უფრო მეტიც, ამ დარბაზში ბრძანდება ბევრი მათგანი, ვისაც კარგად ახსოვს მისი მართლაც განსაკუთრებული იერით აღბეჭდილი სახე. მკაცრი პროფილი და ელევანტური მიხრა-მოხრა. მისმა თაყვანისმცემლებმა ზუსტად იცოდნენ. თუ როდის ან რომელ ქუჩებზე უყვარდა ჩამოსეირნება დიდ მწერალს ან რომელ ადგილსა და სავარძელს ირჩევდა მწერალთა კავშირის სასახლეში აქ გამართული ხშირი დისკუსიების ჟამს. იგი არა მხოლოდ შემოქმედებით. არამედ საკუთარი არსებობითაც უწყობდა ხელს ინტელექტუალური ატმოსფეროს შექმნას. რომლის გარეშეც ერთი ნაბიჯიღა რჩება პროვინციალიზმისა და მეშინაობის გამოუვალი ჩიხიდან.

მაგრამ, როდესაც ჩვენ ხაზს ვუსვამთ მწერლის მაღალ განსწავლულობას. მისი განათლების ენციკლოპედიურ ხასიათს. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის წლები, რომლებიც მწერალმა რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში გაატარა, კერძოდ. იგი ერთხანს იმყოფებოდა ჰეტერბურგში, სწავლობდა ლაიფციგის, მიუნხენის, ბერლინის უნივერსიტეტებში. აქვე ბერლინში დაიცვა მან ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. მოვლო მაშინდელი ცივილიზებული მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხე და, როგორც იტყვიან, საკუთარი ფილტვებით შეისრუტა მაშინდელი მსოფლიოს ქარიშხლიანი ატმოსფერო.

ათიანი წლების ბოლოს, საქართველოში დაბრუნებულ სხვა მის

თანამოკალმეებთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიამ მოიტანა სრულიად ახალი პრობლემები. რომლებიც მაშინდელ მსოფლიოს აღელვებდა, დაისვა შემოქმედებითი თვალსაზრისით ახალი კითხვები, საჭირო გახდა მხატვრული განსახოვნების სრულიად ახალი ფორმების ძიება; მაგალითისათვის ვიტყვი, რომ ქართულ მწერლობაში ამ დროიდან საოცრად მოხშირდა ისეთი სახელების ხსენება, როგორცაა: არტურ შოპენჰაუერი და ფრიდრიხ ნიცშე, ანრი ბერგსონი და ოსვალდ შპენგლერი, ფრანგული დეკადენტური სკოლების კორიფეები: სტეფან მალარმე და პოლ ვერლენი, შარლ ბოდლერი და არტურ რემბო, აღარაფერი რომ ვთქვათ „პარნასელ“ პოეტებზე, რომელთა ხმა უკვე შორეულ ექოსავით თუ აღწევდა ათიანი წლების საქართველოში.

ასევე ქართულ პროზაშიც, სადაც აშკარად შეიმჩნეოდა იმპრესიონისტული მხატვრული ხედვის აშკარა გავლენები (ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი), ხოლო თვით კონსტანტინე გამსახურდიას პირველ მხატვრულ ქმნილებებს არცთუ უხილავი ძაფებით აკავშირებს ექსპრესიონისტულ მსოფლგანცდასთან.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მე შორსა ვარ, მეტი რომ არა ვთქვათ, იმ აშკარად მიამიტური შეხედულებისაგან, რომელიც ზოგჯერ ახლაც გაისმის ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში. საქართველოში თითქმის იმდენივე მიმართულებაა აღნუსხული. რამდენიც მაშინდელ ევროპასა და რუსეთში.

მაშინ, როცა აქ მთავარი იყო ძიებათა პროცესი და პოეტური მცდელობა, ამ ხანის საუკეთესო ქართველმა მწერლებმა უშუალოდ გაუღეს კარი მოდერნისტულ პოეტიკას და გაბედულად მიმართეს მრავალფეროვან ექსპერიმენტს. ხოლო ძიებათა ასეთმა შეუპოვრობამ საოცრად ვააფართოვა სინამდვილის მხატვრული დაუფლების არე და სრულიად ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა უღრმესი სულიერი შრეების წვდომისათვის.

მართლაც, აშკარად ექსპრესიონისტული მსოფლგანცდის ელემენტები ატყვია კონსტანტინე გამსახურდიას პირველ ნოველებს, სადაც ფსიქოლოგიზმს ცვლის ანტიფსიქოლოგიზმი. ხოლო სინამდვილის მხატვრულ გარდასახვას — „თვით მწერლისავე ექსტაზური წვდომით აღმოჩენილი რეალობის აღწერა. გაუცხოების ეგზისტენციალური თემა, რომელმაც სწორედ იმ დროიდან ტოტალურად მოიცვა მსოფლიოში მხატვრული სამყარო (ჯოისი, კაფკა და ა. შ.) არც ქართველი მწერლისათვის არის უცნობი. აშკარად ეგზისტენციალური კრედოა გადმოცემული მის ადრეულ ნოველაში „მკვდართან შეხვედრა“, სადაც ასეთი ფრაზით თავდება შემადრწუნებელი მხატვრული სურათი: „ჩვენ ყველანი საგნების თოკზე ვკიდევართ დღე და ღამ და გამველ-გამომველეს ველრიკებით: „ძირს ჩამომიღე, დამასვენე, შე ქრისტიანო...“

ექსპრესიონისტული პროზისათვის დამახასიათებელი მხატვრული საშუალებები, სიმბოლიკური ჰიპერტროფირება აშკარად იჩენს თავს მწერლის სახელგანთქმულ რომანში „დიონისოს ღიმილი“. ხოლო ყთ-  
352



ველივე ეს მაშინაც, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ჩვენ დროსაც. ცდუნების ძირითად მიზეზს წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ გამომსახველობითი ხერხების მიღმა არ იყო შემჩნეული თვით ამ შესანიშნავი მხატვრული ქმნილების ძირითადი და მამოძრავებელი თემა, რაც საერთოდ უცნაო ზემოთ ნახსენები ტიპის დეკადენტური მწერლობისათვის. სხვაგვარად რომ ითქვას, აქ მთავარი ის კი არ არის, რომ თვით კონსტანტინე სავარსამიძის სახე ნაწერია დეკადენტური პოეტის ხერხებით. არამედ ის, რომ აქ მშობლიურ წილს მოწყვეტილი პიროვნების ტრაგედიაა გადმოცემული: „ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში... ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა... ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან... თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია. ყველა ასპარეზი ნაცადი, მაგრამ მაინც არ ვიცი, საით წავიდე. რადგან ყველა გზა უღევია და გაუვალა...“

პიროვნებისა და საზოგადოების, პიროვნების და მისი მიმართებისა ერთნაირად ძირებთან აქ ისეთი რაკურსითაა წარმოსახული, რომ უკვე პრინციპულად უარყოფს ექსპრესიონიზმის ძირითად პოსტულატებს და, ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის თავიდათავი.

ხოლო ამასთან ზემონათქვამი იმასაც გულისხმობს, რომ „დიონისოს ღიმილი“ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ეტაპური მნიშვნელობის მქონეა და მწერლის მრავალწლოვან ძიებათა გამარჯვებით დასრულების უპირველესი მაცნე. „მითქვამს და ვიმეორებ: თავანკარა ნაციონალური მწერლობა იქ იწყება, სადაც დაძლეულია უცხოთა ზეგავლენა...“ წერდა ამასთან დაკავშირებით შემდეგ „დიონისოს ღიმილის“ ავტორი.

კონსტანტინე გამსახურდიას პირველი შედეგების დაწერიდან გავიდა ნახევარ საუკუნეზე მეტი. ეს არც ისე პატარა დროა. რათა ბზარი გაუჩნდეს ფუყედ ნაგებ გალავანს, ფერი დააკლდეს უმწიფარი ხელით შესრულებულ ნახატს.

როგორ კითხულობს დღეს ჩვენი თანამედროვეობა კონსტანტინე გამსახურდიას? რა არის ფასეული და წარუვალი, რა არის მედინი და ეფემერული? აი, კითხვები, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს ჩვენმა თანამედროვეობამ და, რასაკვირველია, ჩვენმა მომდევნო თაობებმაც. რადგან ჰეშმარიტად მნიშვნელოვანი მხატვრული შემოქმედება ახალ და ახალ კითხვებს აღძრავს და ახლებური წაკითხვისაკენ მიმართავს ყოველ მომდევნო თაობას.

ერთი რამ კი ამთავითვე ცხადზე უცხადესია. ქართული მხატვრული პროზის ნოვაციის გზაზე კონსტანტინე გამსახურდია ერთი პირველთაგანია. ამ თვალსაზრისით მას ზემოთ ნახსენებ ქართველ მწერლებთან ერთად ისეთივე ზეამოცანის დაძლევა მოუხდა, როგორც ეს ქართულ პოეტურ მეტყველებაში განახორციელეს გალაკტიონმა და მასთან ერთად „ცისფერყანწელთა“ ორდენით სახელდებულმა პოეტების მთელმა თაობამ.

ასევე ფასდაუდებელია კონსტანტინე გამსახურდიას ღვაწლი ქართული მწერლობის წინაშე, როცა მან ერთმა პირველთაგანმა ჩვენში შექმნა ისეთი ფართო პლანის რომანები, როგორცაა „დიონისოს დიმილი“, ტრილოგია „მთვარის მოტაცება“. საერთოდ, მისმა ესოდენ დიდმა ძალისხმევამ ამ დარგში, სამართლიანობა მოითხოვს ეს აღინიშნოს, გზა გაუკაფა თანამედროვე ქართული რომანის დღევანდელ დამავლობას.

ყველას ახსოვს კონსტანტინე გამსახურდიას ერთგვარი დაჟინებული მსჯელობა მის მიერვე წამოყენებულ ე. წ. „დისტანციის თეორიის“ ვარაუდით. თითქოს მწერალი უფროსობდა და საცეცებით მიიწვედა წინ, რათა მხატვრული ასახვის საგნად ექცია ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული გრანდიოზული სოციალური ძვრები. თეორია თეორიად დარჩა და მასში მანაც გაიმარჯვა მხატვრის დაუოკებელმა ლტოლვამ: ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტი მწერლისათვის თანამედროვეობის მხატვრული წარმოსახვა ყოველთვის იყო და არის შემოქმედებითი ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ამასთან სახიფათო გამოცდა.

შედეგი კი მართლაც გრანდიოზული აღმოჩნდა. „მთვარის მოტაცება“ ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის განვითარების ოცდაათიანი წლების მატიაწე. ეს არის ფართო მასშტაბის მხატვრული ეპოპეა, რომელშიც ასეთი მაღალი ოსტატობით არის აღბეჭდილი ეპოქის სული, წარმოსახულია ახალი ისტორიული ძვრებით გარდაქმნილ ადამიანთა სახეები, მხატვრულად დასაბუთებულია სამომავლო პერსპექტივების ავტორისეული თვალსაზრისი... თანამედროვე რომანის განვითარების გზაზე „მთვარის მოტაცება“ როგორც მხატვრული, ისე იდეური თვალსაზრისით, ერთი უპირველესი შემოქმედებითი მიღწევაა არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთოდ მთელი საბჭოთა მწერლობის მასშტაბით.

კონსტანტინე გამსახურდია ასევე ერთი ყველაზე აღიარებული ფუძემდებელთაგანია ქართული ისტორიული რომანისა. ჩვენში ამ ძალზე ტევადი ჟანრის აღორძინებაში მას, როგორც იტყვიან, ლომის წილი უძევს. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მწერლის განათლების ენციკლოპედიური ხასიათი, ისტორიულ მოვლენათა ღრმა შემეცნების უნარი.

ახალი ისტორიული რომანის თვისობრივი განსხვავება ძველი, მათ შორის ანტიკური ეპოქის ქრონიკებისაგან. ძირითადად ერთ მნიშვნელოვან ასპექტში ვლინდება. ისტორიულ მასალას ასეთ შემთხვევაში აღარცა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, აქ წარსულიც თანამედროვეობის პრობლემატიკით სუნთქავს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ამ დებულების საილუსტრაციოდ უმდიდრეს მასალას შეიცავს. საკმარისია ამ შემთხვევაში ისეთი კოლოსების გახსენება, როგორებიც იყვნენ შექსპირი, ტოლსტოი, ფლობერი... საბჭოთა ისტორიული რომანიც იმთავითვე წარსული მეგვიდროების მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობა. ისტორიული თემატიკის ათვისების ასეთ გზაზე დიდ წარ-

მატებას მიაღწია ქართულმა მწერლობამაც, რომლის ერთი პირველი მებაირახტრე სწორედ კონსტანტინე გამსახურდიაა.

ისტორიული რომანი, უწინარეს, ეროვნული ხასიათების წარმოჩენითაა ფასეული, რის გარეშეც იგი ერთი ნაბიჯითაც ვერ გასცდება უბრალო ისტორიულ ქრონიკის ფარგლებს. კონსტანტინე გამსახურდია სწორედ ამ მიმართულებით მიიკვლევდა გზას ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისაკენ. ამასთან იგი, როგორც ისტორიკოსი, მკაცრი მსაჯულიც იყო. მწერალმა ჩინებულად გვაგვრძობინა, რომ ისტორია ია-ვარდებით მოფენილი სარბიელი არასოდეს ყოფილა, მით უფრო. როცა ერის ისტორიული ცხოვრება პოლიტიკურსა თუ სოციალური გარდატეხის ფაზაში აღმოჩნდება. აქ ერთი წამით უნდა გავიხსენოთ, რა ახლო დგას ეს თვალსაზრისი ივანე ჯავახიშვილის ისტორიულ კონცეფციებთან და რა შორს ყალბი სტილით შესრულებულ, თავმოწონების „ბანგით“ გაქლენილ ე. წ. „ისტორიული ბელეტრისტიკის“ ნიმუშებისაგან. რომლებიც, ცოტა არ იყოს, არცთუ იშვიათი ხელი შეიქნა თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

მწერლის სასარგებლოდ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორიული მასალის დაუფლებისას კონსტანტინე გამსახურდია, ისევე, როგორც თავის დროზე ფლობერი, ძნელად სავალ ბილიკს ირჩევს. სიმძიმის ცენტრი მას კოლორიტის შექმნაზე, ისტორიულ აქსესუარების ზუსტ აღწერაზე გადააქვს, რითაც იგი გარდასულ ეპოქათა მხატვრულ ილუზიას ქმნის და მკითხველის დიდ ნდობას იმსახურებს. მაგრამ მაინც სტრიქონსა და სტრიქონს შუა, ჩვენ კარგად ვგრძნობთ ჩვენი თანამედროვე ეპოქის მაჯისცემას, იმ პრობლემატიკას, რომელიც არა მხოლოდ გუშინ, არამედ დღესაც გვაღელვებს და დაგვაფიქრებს ხვალინდელ დღეზე... აი, სწორედ ეს დროთა კვშირის მახვილი გრძნობა, წარსულისა და აწმყოს იშვიათი სიმბიოზი ანიჭებს კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანებს ასეთ სიმტკიცეს, რასაც წელთა მძლეობა აგრე ადვილად ფერს ვერ შეუცვლის.

ფართო განათლება, ისტორიის საზრისზე აშკარად თანამედროვე კონცეფცია, იმთავითვე იფარავდა მწერალს ყოველგვარი კარჩაკეტილობისა და ნაციონალისტური შეხედულების მძიმე სენისაგან. იგი ერთიანი, მთლიანი საქართველოს ერთი უპირველესი მეხოტბე იყო. ამასთან ღრმად სწამდა, რომ ქართველი ხალხი ღირსეულ წვლილს შეიტანდა სხვა მოძმე ხალხებთან ერთად მაღალი საკაცობრიო იდეალებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

კონსტანტინე გამსახურდია, საერთოდ, არ ილტვოდა სოციალური ხასიათების ფიქსაციისაკენ. როგორ ჩანს, ეს მისი მხატვრული ამოცანის მთავარი მიმართულება არც იყო, მით უფრო ეს ვლინდება მის ისტორიულ რომანებში, სადაც მეტწილად პრობლემები და მწვავე ისტორიული ეპოქების მხატვრული სურათებია წარმოჩენილი. მაგრამ მას, როგორც მხატვარს, მომადლებული ჰქონდა ერთი ისეთი ზეგარდმო თვისება. რომელიც მწერლის იშვიათ ტალანტზე მიგვანიშნებს.

იგი ხასიათის შენობას უწინარეს ეროვნულ საფუძველზე აყრდნობს. ამიტომაც არის, რომ მის მიერ დახატული მეფე თუ მწყემსი, ინტელიგენტი თუ უბირო მიწის მუშაკი, შემოქმედი თუ კირითხურო, უწინარეს ქართულ წიაღში აღმოცენებული მხატვრული სახეებია, რომელთაც, გარდა ამისა, არც სოციალური ნიშან-თვისება და არც შესაბამისი იდეური დატვირთვა აკლიათ. ამიტომაც არიან ჩვენთვის აგრე რიგად ახლობელნი, თითქოს შინაურნიც, კონსტანტინე სავარსაძიძე თუ თარაშ ემხვარი, გიორგი მეფე თუ დიდოსტატი არსაკიძე, დავით აღმაშენებელი თუ გიორგი ჭყონდიდელი, კოლონკელიძის ასული შორენა, დედისიმედი თუ თამარ შარვაშიძე. ყველა ეს ძვირფასი სახელები რაღაც განსაკუთრებული ინტიმიტაა დამკვიდრებული ჩვენი ხალხის ცნობიერებაში და მწერლის სწორუპოვარი გამარჯვების უტყუარი მაცნეა.

კონსტანტინე გამსახურდია ქართული მითოსის, ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის უზადლო მცოდნე იყო და მარჯვედ გამოიყენა კიდევ ეს იშვიათი ცოდნა თავის შედევრებში. ერთიან, მთლიან საქართველოზე მისი თვალსაზრისი მწერალმა გამომამყდინა აგრეთვე ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მხატვრული ფუნქციით გამოყენების ჩინებული მაგალითებით.

კონსტანტინე გამსახურდიამ მარადდაუვიწყარ ლეო ქიაჩელთან ერთად პირველთაგანმა აამეტყველა ანტიკური ხანის შემდეგ მივიწყებული კოლხეთის ლეგენდარული თემა.

კოლხეთის, სამეგრელოს მიწის ნისლიანი პეიზაჟები, ქაობებისა და ოჩოკოჩებით დასახლებული იდუმალი მხარე — ყოველივე ეს მისთვის ძალზე ახლობელია. მშობლიურია და ყოველ ფრაზაში, ყოველ ჩანახატში გრძნობს ამას მკითხველი. აქაც იგი დაბეჭითებით განამტკიცებდა შეხედულებას მონათესავე ქართველ ტომთა სულიერ სიახლოვეზეც. რამაც ისინი ერთიანი საქართველოს სამარადისო მთლიანობის შეგნებამდე მიიყვანა.

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის გზაზე კონსტანტინე გამსახურდიამ ერთმა პირველთაგანმა შემოგვთავაზა პოეტური პროზის იშვიათი ნიმუშები. ასევე ერთი პირველთაგანი დაეუფლა იგი ტექსტის და ქვეტექსტის ულტრათანამედროვე მეთოდებს. ამიტომაც ასე იოლად ვერ ნახავთ მწერლის ნაჭედ სტრიქონებში ემპირიულ სიბრტყეზე გაართმულ ფრაზებს. სიღრმე და იდუმალეობა კი, როგორც მოსალოდნელია. ჭეშმარიტი მშვენიერების სასიამოვნო განცდას ბადებს.

რასაკვირველია, მწერლის შემოქმედებითი პორტრეტი უკმარი იქნება, თუ არ გავიხსენებთ მის დიდ ღვაწლს მსოფლიო მწერლობის შედევრების თარგმანში. აქ მარტო გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის“ უზადო თარგმანი იკმარებდა. რომელზედაც ჩვენში მთელი თაობები აღიზარდა. ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონსტანტინე გამსახურდიამ აგრე რიგად ცნობილი ესეისტური ხასიათის წერილებით. მკითხველის ინტელექტუალური აზროვნების გაფართოებასთან ერ-

თად, ეს კი დაბეჭითებით უნდა ითქვას, ამ წერილებმა დიდად შეუწყობ ხელი ჩვენში კრიტიკული აზროვნების თანამედროვე სტილის დანერგვას.

კონსტანტინე გამსახურდია ქართველი ერის არა მხოლოდ დამცველი, არამედ მისი გამდიდრებისა და გამშვენიერების ერთი ყველაზე თავგამოდებული მესვეური იყო. როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს შეკფერის, მან შექმნა არა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მხატვრული სტილი, არამედ დაუშრეტელი ძიებებით ახალი ელვარება შეჰმატა საუკუნეთა მანძილზე ნაქედ ქართულ სიტყვას. ქართული ენის ბუნებრივი განვითარების უამთა უკუღმართობით გაწყვეტილი კავშირების აღდგენის საქმეში მან წარუშლელი კვალი დატოვა — ამაზე ბევრი დაიწერა და ბევრიც ითქმის, ალბათ. მომავალში. ამიტომაც ამ საკითხზე მე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ოღონდ დავსძენ. რომ ამ შემთხვევაში დიდი მწერალი და მოქალაქე დღესაც ჩვენ ცოცხალ მოიავშირედ რჩება.

კონსტანტინე გამსახურდია თავისი ბუნებით არ იყო ოდენ წყნარი კაბინეტის ბინადარი. მე არ მეგულება ნახევარი საუკუნის მანძილზე რაიმე მნიშვნელოვანი სოციალური თუ კულტურული წამოწყება, რომელშიც მწერალს სიტყვით თუ საქმით მონაწილეობა არ მიეღოს. ახლაც კარგად გვახსოვს მისი ბობოქარი გამოსვლები ან მწვავე პოლემიკური წერილები რაიმე ნაჩქარევსა თუ უკუღმართად გადადგმულ ნაბიჯზე. ასეთი იყო თვით ღრმა ხანდაზმულობის წლებშიც. როცა იგი დიდის აღტაცებით შეეგება ჩვენში გაჩაღებულ ბრძოლას სულიერად ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისათვის. ცხოვრებისეული ტენდენციებისაგან განაპირებული მწერლობა — დიდოსტატის აზრით, იმთავითვე სასიკვდილოდ იყო და იქნება განწირული.

\*\*\*

ხელოვანის ბედს და მის ყველაზე უწმინდეს მისიას — იყოს მშობლიური ხალხის სანუკვარ ოცნებათა გამომხატველი — უძღვნა სახელოვანმა მწერალმა თავისი შემოქმედებითი გვირგვინი „დიდოსტატის მარჯვენა“.

ისევე როგორც გალაკტიონმა ნიკორწმინდას, კონსტანტინე გამსახურდიამ ახალი სიცოცხლე შთაბერა საქართველოს ერთიანობის მარადიულ სიმბოლოს — სვეტიცხოვლის დიდ ტაძარს. „ხელოვნება თავად უკვდავება... მხოლოდ ოსტატს არ დაეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“.

დაე, სვეტიცხოველივით უკვდავების თანაზიარი იქმნას მისი სახელი ქართველი ხალხის ცნობიერებაში. ამ დიდ პატივს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე იმსახურებს ქართული მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია.

## ტიციან ტაბიძის კომეზური ღვაწლი

ტიციან ტაბიძე კვლავ დაუბრუნდა ქართველ მკითხველს. ახლახან, თითქმის ზედიზედ გამოვიდა სხვადასხვა ხასიათის ორი კრებული, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და თვალნათლივ წარმოაჩენენ XX საუკუნის ქართული პოეზიის კემარიტ რაინდს, პოეტს, მოაზროვნესა და მწერალს.

მე აქ ვგულისხმობ ტიციან ტაბიძის ლექსებსა (1955 წ.) და წერილების კრებულს (1957 წ.), რომელთა გამოცემას ასეთი სიყვარულით მოჰკიდებია შალვა დემეტრაძე — პოეტის მეგობარი და თაყვანისმცემელი (იხ. აგრეთვე სამტომეული, რომელსაც ერთვის დევი სტურუას საინტერესო წერილი).

ტიციან ტაბიძის უცნაური შთაგონება ყოველთვის იყო პოეზიის მოყვარულთა განსაკუთრებული ინტერესის საგანი. რასაკვირველია, ამ ინტერესს ამძაფრებდა პოეტის ტრაგიკული ხედვრი, რაც წინათ-წარძნობის სახით ახლავს კიდევ მის ზოგიერთ ლექსს: „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე. შენ ჩემ სიკვდილში არ გიდევს ბრალი“.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართველი მკითხველის ივალში ტიციან ტაბიძე და ახალი ქართული პოეზიის მძლავრი მაჯის-ცემა გაუთიშველად არის დაკავშირებული. მართლაც, დიდი უმადურება იქნებოდა ამის დაეიწყება. წინამდებარე წერილიც ყოველივე ამის კიდევ ერთხელ შეხსენებას ისახავს მიზნად.

ერთი რამ ამთავითვე ცხადია: ტიციან ტაბიძე თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის იდგა ახალი ქართული პოეტური კულტურისათვის გაჩაღებული ბრძოლის წინა ხაზზე. მეტი რომ არ ვთქვათ, იგი ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც კამერტონით გრძნობდა ფერისცვალების მოახლოებულ ტალღას. მართლაც, ბრძოლა და ძიება, სიახლეებისაკენ სწრაფვა ტიციან ტაბიძის პიროვნული თვისება აღმოჩნდა, ხოლო ყოველივე ეს ბეჭედივით აზის როგორც მის ბრწყინვალე ლექსებს, ისე ფიქრისა და აზროვნების ყოველგვარ გამოვლინებას, რაც სიტყვიერი კულტურის სხვადასხვა ფორმაში იყო გამჟღავნებული.

მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ტიციანის პოეტური ბუნება თითქოს უნისონში აღმოჩნდა მისსავე ეპოქის მღელვარე სულთან. სოციალური თუ კულტურული კრიზისიდან თავის დაღწევა პირველი რიგის ამოცანა შეიქნა. ამ თვალსაზრისით მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის შემდგომი განვითარების გზაზეც ჩვენი საუკუნის ათიანი წლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ეს იყო, მართლაც, ძნელად დასაძლევნი გზაჯვარედინი და გაბედულ ძიებათა გარეშე წარმოუდგენელიც ჩანდა ახალი ნაპირების აღმოჩენა. არც ის არის დასამალი, რომ წარუმატებლობა და მარცხიც

თან ახლდა ძიებათა ასეთ გზას. მაგრამ გულწრფელობა და თავგამე-  
ტება მას ერთი წუთითაც არ მოჰკლებია.

აქ ზოგჯერ ინტუიტიური სწრაფვა ინტელექტზე ნაკლებ როლს  
ბოდი ასრულებდა. პირველ-მებრძოლნი, რომელთა შორის ტიციან  
ტაბიძე ყოველთვის გამოირჩეოდა. თითქოს საცეცებით მიიწეოდნენ  
წინ, რასაკვირველია. მაქსიმალურად ელერს სხვა შემთხვევის გამო  
ნათქვამი არტურ რემბოს სიტყვები, როცა იგი ინტუიციის სასარგებ-  
ლოდ დაუდვინებელ აზრთა მოძალებას წმიდათაწმიდა პროცესად  
წიიჩნევს. მაგრამ ერთი რამ ცხადია, ანალიზს ზოგჯერ გუმანი უსწრებს  
წინ და ეს არც ისე იშვიათი მოვლენაა ამა თუ იმ ხალხის სულიერი  
კულტურის განვითარების უღელტეხილზე.

სპეციფიკური ვითარების წინაშე აღმოჩნდა ჩვენი საუკუნის უაპა-  
წყისშივე ქართულ პოეტური კულტურა და მე მგონი ამას არც სჭირ-  
დება ზედმეტი მტკიცება. მართლაც. XIX საუკუნის დიდი ქართული  
მწერლობა. რომელსაც აგრე გამოკვეთილად ჰქონდა თავისი მიზანი.  
გამოხატვის ფორმები. დაშრეტის პირას იყო მისული და მხოლოდღა  
რხერციის ძალით განანგრძობდა ფეთქვას. ინერცია კი ისეთი ნავთსაყუ-  
დელია. რომელსაც ხალისით აფარებს თავს ყოველგვარი ფსევდო-  
კულტურული მოძრაობა. ეს ეპიგონიზმის ერთ-ერთი უნივერსალური  
კანონია და ამ შემთხვევაში 10-იანი წლების ქართული პოეზიის ზუს-  
ტი განმსაზღვრელიც.

დიდი ეროვნული თუ სოციალური ვნებათაღელვით დამუხტული  
კლასიკური პოეზია დაგვიანებული სატელიტების ხელში უნიჭო მე-  
ლექსეობად იქცა. ხოლო გერმეტიზმის კვლით დაღდასმულმა კარჩა-  
კეტილობამ აშკარა პროვინციალიზმის იერი მიიღო.

გალაკტიონისა და „ცისფერყანწელთა“ ორდენის უდიდესი დამსა-  
ხურება უწინარეს მათ წინააღმდეგ უშეღავათო ბრძოლის გამოცხა-  
დება იყო. ამის პირველი მაცნე გალაკტიონის უცნაური თრთოლვით  
აღბუქდილი ლექსები, ხოლო მეორე მხრივ „ცისფერყანწელთა“ ორ-  
დენის (1916 წ) დაარსება იყო. რომლის თავკაცები, როგორც საკუ-  
თარი პოეტური პრაქტიკით. ისე თეორიული დეკლარაციებით აშკა-  
რად ამქდაუნებდნენ მუამბოხურ განწყობილებას. ტიციან ტაბიძე ერ-  
თი პირველთაგანი იყო მათ შორის.

მაგრამ უარყოფა ჯერ კიდევ არ ნიშნავს დამკვიდრებას. რთული  
და მტკივნეული აღმოჩნდა ეს პროცესი და ზოგჯერ ესა თუ ის ღე-  
ბულება აშკარა აბსურდსაც შეიცავდა. იშვიათი არ იყო აგრეთვე  
თვალსაზრისთა აღრევა და ურთიერთგამომრიცხველ მოსაზრებათა  
წამოყენება. უარყოფის აშკარად გადაჭარბებული პათოსი ახასიათებ-  
და. მაგალითად, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის დეკლარაცი-  
ებს. რომლებიც „ცისფერი ყანწების“ პირველივე ნომრებში იყო გა-  
მოქვეყნებული. პაოლო იაშვილი თავის წერილში. რომელიც პირ-  
ველთქმის სათაურით იყო გამოქვეყნებული. წარსულის მსხვრევის  
ესთეტიკას ადიდებდა და ადრინდელ ქართულ პოეზიას ოდენ სიმშვი-

დისა და ფრინველთა გალობის მეხოტბედ წარმოგვიდგენდა. ტიცია-  
ნის ზოგი წერილი ამ ხანებში ასეთივე ნიპილიზმით სცოდავდა და  
ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას მხოლოდ „თერგდალეულობით“ გან-  
საზღვრავდა. თითქოს მხოლოდ ეს იყო ილიასა და მისი თაობის  
ერთადერთი მისია, ხოლო „თერგდალეულთა“ გამარჯვება „ეს დამარ-  
ცხებაა მთელი შემდგომი ხელოვნებისა. ამ დღიდან, — დასძენდა ტი-  
ციან ტაბიძე, — ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული. ამ ცრუ  
რუსთაველებმა და ლიბერალებმა (აშკარა ციტატა გრიგოლ ორბელია-  
ნიდან, — ს. ც.) მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია  
„გაზეთად“ („ცისფერი ყანწები“, №2).

მაშინ, როცა „ძველი ქართული სულის“ განახლება ახალ ეპოქათა  
შუქზე (გავიხსენოთ თვით ილია ჭავჭავაძისავე დამკვიდრებული ახალი  
ცნება „ეუროპეიზმისა“) იყო რომანტიკოსთა, განსაკუთრებით კი  
ილია ჭავჭავაძის და მისი თაობის უდიდესი გმირული ღვაწლი. აქვე  
შევნიშნავ, რომ ტიციან ტაბიძემ, დიდი ეროვნული სულსკვეთების  
პოეტმა, რასაკვირველია, შემდგომში საბოლოოდ უარყო მისი მოღვა-  
წეობის გარიჟრაჟზე გამოთქმული აშკარად მცდარი მოსაზრებები.

მავრამ ამ უარყოფაში იყო ჭეშმარიტების დიდი მარცვალი და  
იგი ბოლოს და ბოლოს მაინც ამ ხანებში გამეფებულ ეპიგონობისა  
და პროვინციალიზმის წინააღმდეგ იყო პირველ რიგში მიმართული.  
მავრამ „ცისფერყანწელთა“ იერიში ამაზე არ მთავრდებოდა და აქ  
უნდა დავინახოთ უწინარეს მათი დიდი დამსახურება. ქართული პოე-  
ტური კულტურის განახლებისათვის ბრძოლა მათ თანამედროვე მსოფ-  
ლიო კულტურის გამოცდილების გათვალისწინებაზე დაამყარეს. ბუ-  
ნებრივია, რომ მათი მზერა პირველ რიგში დასავლეთ ევროპასა (ჟერ-  
ძოდ, საფრანგეთსა) და რუსეთს სწვდებოდა, სადაც იმ ხანებში ასეთი  
გამოცდილების გაზიარებისა თუ გადმონერგვისათვის შესაფერი კულ-  
ტურული ატმოსფერო სუფევდა. შესაძლოა, ჯერ კიდევ გაუცნობიერე-  
ბელი, მავრამ მომავალი რაღაც სინთეზის მომასწავებელი წინათ-  
გრძნობაა გამოთქმული ტიციანის ერთ, თითქმის საპროგრამო მნიშ-  
ვნელობის ლექსში, რომელიც 1916 წელსაა დაწერილი:

გაფიზის ვარდი, მე პრუდომის!  
ჩავედ ვაზაში.  
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის  
ბორცვ ვევაილებს.  
(„ქალღვას ქალაქები“)

<sup>1</sup> ტიციან ტაბიძის გამოცემებში (და შესაბამისად მასზე არსებულ კრიტიკულ  
წერილებში) პირველი სტრიქონი ამ ლექსისა ასეა წარმოდგენილი, „გაფიზის ვარ-  
დი, მე პრუდონის ჩავედ ვაზაში,“ მაშინ, როცა აქ პრუდონი არაფერ შუაშია. უნდა  
ეყოს პრუდომი, უფრო ზუსტად პრიუდომი და იგულისხმება ცნობილი ფრანგი  
პოეტი და ესეისტი სიული-პრიუდომი (1839—1907 წწ.).



არც ის არის უმნიშვნელო ფაქტი, რომ „ცისფერყანწელთა“ ორდენის წევრთა უმრავლესობა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში იყვნენ ნამყოფნი და არა მხოლოდ წიგნებით, არამედ პირადი კონტაქტებითაც კჳონდათ ათვისებული ბევრი რამ. ქართული ლექსის ნოვაციისათვის ბრძოლაში ყოველი ახალი მიმდინარეობა, რომლებიც სოკოსავით მრავლდებოდა იმ ხანებში, მათი განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა (ზოგჯერ განუზრჩევლად). სწრაფვა მსოფლიო პოეტური კულტურის ათვისებისაკენ გამოკვეთილად არის წარმოჩენილი ტიციანის ერთ ცნობილ წერილში, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა „რუბიკონის“ პირველ ნომერში, 1923 წელს.

შეიძლება ზოგი დებულება ამ წერილისაც არ იყოს ზუსტი, მაგრამ სიახლისა და მასშტაბების გაფართოების მოთხოვნის პათოსით იგი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მოვიტან მხოლოდ ორიოდ ნაწყვეტს: თუმცა XIX საუკუნის ლიტერატურა. ტიციან ტაბიძის აზრით, გამოირჩეოდა ამავე ხანების ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურებისაგან მაღალი ხარისხით, მაინც „ეს ლიტერატურა ვერ ედგა თანამედროვე ევროპული ხელოვნების მთელს სიმალეზე და ვერ შეეფერებოდა საქართველოს ბრწყინვალე ტრადიციებს (ამ შემთხვევაში, ტიციანი, პირველ რიგში, გულისხმობდა რუსთაველის ეპოქის მწერლობას, რაც მის სხვა წერილებიდანაც ჩანს. — ს. ც.). ჩვენ ვიცით ეპოქები, როცა ქართული მწერლობა წარმოადგენდა უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას მსოფლიო ხელოვნების საზომით. ხოლო გეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა მსოფლიო. ამ შემთხვევაში, ევროპული ხელოვნების რადიუსით არის პროვინციული ლიტერატურა. თავისი ვიწრო შემოფარგვლით, პროვინციული ინტერესებით და ესთეტიკური გაუმართაობით... ქართულ მწერლობაში შემოდის ახალი ესთეტიკური კულტურა (იგულისხმება 10-იანი წლები და შემდგომ. — ს. ც.). ქართული მწერლობა თავს აღწევს გაუფალ პროვინციალობას და ექვევა მსოფლიო ლიტერატურის საერთო რკალში“.

ძიების პროცესში. რომელშიც აშკარა მიზანძვებიც არ ასრულებდა უკანასკნელ როლს, უტყუარი აქტი იყო ახალი მიმდინარეობებით საოცარი დაინტერესება. ასეთ გატაცებებზე გვიამბობს პოეტი გვიან, ერთ თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის წერილშიც, რომელშიც მოსკოვში მისი სტუდენტური წლებიცაა აღწერილი. „1914—1915 წლებში ლიტერატურული მოსკოვი ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ტყვე იყო, თუმცა უკვე იგრძნობოდა სიმბოლიზმის კრიზისი. შევიცარიიდან ახლადდებრუნებულმა ანდრეი ბელიმ თან მოიტანა თავისი ბუნდოვანი მისტიკური დაქანცულობა. ცხარე კამათი გოეთეზე და ლექციები ეესტ-მიმიკის თეატრზე. მახსენდება სკრიაბინის სიკვდილი და მისი ლაკრძალვა, სკრიაბინისავე მუსიკის კულტი. იგორ სევერიანინის პოეზიის უთვალავი სადამოები, რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების სწდომები და ფორმულა „კანტიდან პრუდონამდე“, რუსეთის ჯარის

წასვლა გერმანიის ფრონტზე, მარინეტისა და ემილ ვერჰარნის ჩამოსვლა მოსკოვში, „თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოების“ სხდომა ლიტერატურულ-მხატვრულ წრეში და ვალერი ბრიუსოვის გამოსვლა, აკმენსტებისა და დადაისტების შეტევა სიმბოლისტების წინააღმდეგ. ნაცნობობა ბალმონტთან. რომელიც მაშინ რუსთაველის ვეფხისტყაოსანს თარგმნიდა, გატაცება ბლოკით და ინოკენტი ანენსკით, დაბოლოს, მოსკოვის ქუჩებსა და ესტრადებზე ვლადიმერ მაიაკოვსკის, ხოლო უფრო გვიან — ხლებნიკოვისა და სხვა რუსი ფუტურისტების გამოჩენა. ყოველივე ეს მალეღებდა და მიტაცებდა, და ასე თუ ისე აისახა კიდევ ჩემს შემდგომ მუშაობაში. პოლიტიკურ ამბებში მე სავსებით ნათლად ვერ ვერკვეოდი. ჩემი დამოკიდებულება რუსულ და ფრანგულ სიმბოლიზმთან სრულიად არაკრიტიკული იყო“.

მაგრამ ზუსტი დეფინიცია ამ კავშირებისა არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. არც „ცისფერყანწელთა“ ზუსტი ლიტერატურის პროფილის განსაზღვრაა უბრალო საქმე (ჩემის აზრით, გალაკტიონის ამ პერიოდის ლირიკის თვისებათა დახასიათებაც ბევრ გაუგებრობას ბადებს).

როგორც ცნობილია, ამ საგანზე, განსაკუთრებით, ბოლო წლებში, ბევრი რამ დაწერილა და ალბათ. კვლავაც არაერთგზის მოუხდება ქართულ კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას მასზე ყურადღების გამახვილება. ეს სავსებით ბუნებრივიცაა თუ გავითვალისწინებთ მოვლენათა არა მხოლოდ ზედაპირულ შრეებს და გაიოლების ნაცად ბერბებს არ გამოვედევნებთ, რაც სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია,

ასეთი გაიოლების ან უფრო ზუსტად, საკითხის არასწორად დასმის ერთ-ერთ ნიმუშად მე მაინც მიმაჩნია შემდეგი: პირველი კითხვა შეეჩება იმას, არსებობდა თუ არა ჩვენში ისეთი დასრულებული დეკადენტური მიმდინარეობა. როგორცაა, მაგალითად, ფრანგული ან რუსული სიმბოლიზმი და გვაქვს თუ არა უფლება მას „ქართული სიმბოლიზმი“ ვუწოდოთ. მეორე კითხვა, რომელიც ასევეა გავრცელებული ლიტერატურულ წრეებში, პირველიდან მომდინარეობს და ერთგვარად სოციალურ ასპექტში გადააქვს საკითხის სიმძიმე, ბოლოს და ბოლოს, იყო თუ არა შესაფერი ნიადაგი საქართველოში, რათა ფეხი პოეკიდა ამ ტიპის მიმდინარეობას.

წინასწარ შევნიშნავ, რომ პირველ კითხვაზე ამ საკითხის მკვლევართა უმრავლესობის ნაშრომებში დადებით პასუხს ვიპოვით. მეტიც, ზოგს საწინააღმდეგოს მტკიცებაც კი უხერხულობად მიაჩნია. რაც უეხება მეორე კითხვას. აქ, მართლაც, მეტი კდემა იჩენს თავს. ხოლო ზოგი კი საერთოდ გვერდს უვლის ზემოთქმულ ასპექტს. აქ იგულისხმება შემდეგი: ფრანგული სიმბოლიზმი, მიუხედავად გარკვეული იდეოლოგიური ზეგავლენებისა (მათ შორის ივარაუდება უცხოურიც, კერძოდ, ვთქვათ ედგარ პოს როლი ფრანგული მისტიკური პოეზიის ადრეულ წარმომადგენლებზე). სხვაგვარად წარმოდგენილიცაა, თვით საფრანგეთის სინამდვილის პირმშოა, რომლის ერთი უპირველესი ნი-

შანი განვითარებული კაპიტალიზმის უკიდურესი ფორმაა, რასაკვირ-  
ველია. გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ელფერით.

ანალოგიური ვითარების დადასტურება ქართული სინამდვილის  
მავალითზე, მეტი რომ არ ვთქვათ, გამოუვალ ჩიხში მოამწყვდედა ამ  
საჯახების ზედმეტად გაბედულ მკვლევარს, მაგრამ ეს წინააღმდეგო-  
ნა თითქოს ქრება კიდევ. როცა ჩვენში უბრალოდ სიმბოლიზმის გად-  
ქონერგვის ცალკეულ ცდებზე ან სიმბოლიზმის ელემენტების მხო-  
ლოდ და მხოლოდ ცალკეულ გამოვლინებაზეა საუბარი.

ჩემის აზრით, ამ საკითხებს ჩვენ უფრო ღრმად უნდა შევხედოთ,  
მაგრამ ამჯერად ორიოდ სიტყვით ისევ ტიცციან ტაბიძის შემოქმედე-  
ბის ზოგიერთ მხარეზე გვექნება საუბარი. რადგან ზოგი დასკვნისა-  
თვის სწორედ მისი პოეზია თუ ცალკეული ნააზრევიც მოგვცემს გარ-  
კვეულ მასალას.

„ცისფერი ყანწების“ ორდენის დაარსების პირველსავე დღეებში  
მის აქტიურ წევრთათვის თითქოს ეს საკითხი გარკვეულიც იყო. ამაზე  
თვალნათლივ მიუთითებს ტიცციან ტაბიძის მიერ ამავე ურნალში მო-  
თაქვებული დეკლარაციული ხასიათის ნაწყვეტი მისივე წერილიდან:  
კითხვაზე. არის თუ არა ჩვენში შესაფერი ნიადაგი სიმბოლიზმისათვის.  
იგი ასეთ პასუხს გვთავაზობს: „ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი  
აქტიორული სული, მას უნდა მუდამ სცვა იყოს. მას უყვარს თეატრა-  
ლიზაცია ცხოვრების; რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ  
მოდის ბრალი არ არის. ამას ჩვენში დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც  
იგეგა. ეს აქტიორობა და თეატრალიზაციაა ცხოვრების. ეს ბუნება  
შეუქსნავლელია ჯერ სრულიად. ქართველ ხალხს უყვარს ნილაბი, სიმ-  
ბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნილაბის. და ამიტომ სიმბოლიზმი  
ჩვენში აუცილებელია. ჩვენში მზადაა ნიადაგი მოდერნიზმისათვის“.

უფრო მოგვიანებით ვალერიან გაფრინდაშვილი პირდაპირ აცხა-  
დებდა. იგი იზიარებდა პაოლო იაშვილის აზრს. რომ პირველი ლიტე-  
რატურული სკოლა ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით ჩვენში მხო-  
ლოდ „ცისფერყანწლებმა“ შექმნეს.

ექვს გარეშეა. რომ ტიცციანის ზემოთ მოტანილ ციტატაში ყველა-  
ფერზეა საუბარი (კერძოდ. ფსიქოლოგიაზე. ერის ხასიათზე და ა. შ.).  
და არა იმაზე. რასაც ამ შემთხვევაში ცნება „ნიადაგი“ გულ-სხმობს  
საზოგადოდ.

მაგრამ ბრძოლის პათოსით აღტყინებულთ მათ სწორედ ასე სწამ-  
დათ. რასაც მხარს უმაგრებდა მათივე პოეტური მცდელობა. მათ  
უწერველად გაუღეს კარი მოდერნიზმულ პოეტკას და გაბედულად  
შიმართეს მრავალფეროვან ექსპერიმენტს. „სიტყვათა „აღქმისათან“  
(სრტურ რემბო) ერთად მათ ლექსებში ისადაგურებს სიმბიზმისა თუ  
აგადმყოფურ განწყობილებათა ესთეტიკა, ირდევვა რეალური პროპორ-  
ციები. ყალბი პოზა და ბუტაფორია ცვლის ერთმანეთს. გავიხსენოთ  
ისევ ტიცციანის ცნობილი ლექსი „ბირნამიის ტყე“. სადაც თითქოსდა  
თავს იყრის მართლაც უცნაური და მოულოდნელი პოეტური ხილვები:

ბირნამის ტყე... ქალღეას ჩრდილი,  
ლორდი პიერო მოღუნულ კუზით,  
ლედი მაკბეტი პერანგგახდილი  
გადამთვრალ სტუმრებს მუხლებზე უზით.

მოჰყავთ არტური ავადმყოფ ჰინკებს,  
მოწვევით ფეხით ჰიანურს უკრავს,  
თავისმკვლელები ავსებენ ჰიქებს  
და ულოცავენ ამაყ მოურავს.

ყვითელ მალაელს მოსდევს პაოლო,  
ფარშევანგების შემოჰკრა ალყა,  
და ოფელიამ თვალი მოავლო —  
ვალერიანმა ჰაშლეტს გაარტყა.

დგება ტაძარი სახრჩობელაზე  
ფერიული და ეფემერი.  
არვის ვენდობი, მაგრამ ყველაზე  
უფრო მაწვალებს სინაზით მერი.

და კოლომბინას ქლექის ხველაზე  
შეატრიალებს კარს ნოემბერი.

ბოჰემური არტისტიზმითა და ავადმყოფობის აპოლოგიით კიდევ უფრო მძაფრია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი „ბოჰემის მონოლოგი“, სადაც დიდ წინაპართა აჩრდილებთან გათიშვის კულტია წარმოჩენილი: „სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა, გარდა თვითმკვლევლობის. არ მსურს ვიყო ვიქტორ ჰიუგო ან აკაკი. მე მიჩვენია დავილუპო როგორც ბოჰემა, სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა, გარდა სიგიჟის, პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა: სიგიჟე, ქლექი და თვითმკვლევობა“.

ნიმუშების გამრავლება აქ უსასრულოდ შეიძლება. მით უფრო, თუ მათში ჩაერთავთ „ცისფერყანწელთა“ ორდენის სხვა წარმომადგენლებსაც. მაგრამ ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა. ხოლო სურათი თვისობრივად ანალოგიური იქნებოდა.

მაინც, ჩემის აზრით. და მე ვფიქრობ. რომ ამ შემთხვევაში მარტო არა ვარ, როგორც დეკლარაციაში (რომელთა ზოგი ნიმუში ზემოთ მოვიტანეთ), ისე პოეტური პრაქტიკით „ცისფერყანწელები“ ერთაულოვანი არ იყვნენ და ამასთან ზოგი რამ მათთვის ჭერ კიდევ ბოლომდე გაცნობიერებულიც არ იყო.

წინასწარ შევნიშნავ. რომ საუკუნის მიჯნაზე მრავალფეროვანი მოღერისტიული სკოლები თვით საფრანგეთსა და რუსეთშიც გამოჩნული არ იყო. კარგა ხნის მანძილზე, მაგალითად. პოლ ვერლენს

(1844—1896 წწ.) სიმბოლისტად მიიჩნევენ თუნდაც იმიტომ, რომ არტურ რემბო (1854—1891) მისი უახლოესი მეგობარი იყო წლების მანძილზე, მაშინ, როცა ვერლენის ცნობილი ლექსების ციკლი „რომანსები უსიტყვოდ“ („Romances sans paroles“) ფრანგული ლიტერატურის თანამედროვე მკვლევართა აღიარებით მსოფლიო მასშტაბის მქონე იმპრესიონისტული ხასიათის შედეგია. დაახლოებით ასეთი ვითარებაა სტეფან მალარმეს (1842—1898) პოეზიის შეფასებისას და სრულიადაც არ არის საკმარისი ის ფაქტი, რომ ე. წ. „დაწყვეტილი პოეტები“ მას თავიანთ წინამორბედად და, ამდენად, სიმბოლიზმის მამამთავრად მიჩნევენ ფრანგულ პოეზიაში. ასეთი მაგალითების გამრავლება შეიძლებოდა, მაგრამ აქ დავსძენ, რომ რიგ შემთხვევაში ასეთივე ვითარება ხშირად იჩენს თავს რუსული სიმბოლიზმის (ამ ტერმინს ფართო მნიშვნელობით ვიყენებთ) ცალკეულ წარმომადგენელთა ზუსტი პროფილის გამოკვეთის ცდისას (საკმარისია გავიხსენოთ წინააღმდეგობანი ა. ბელის ან ვ. ბრიუსოვის შემოქმედების დახასიათების დროს).

მე, რასაკვირველია, შორს ვარ, მეტი რომ არ ვთქვათ, იმ სქოლასტიკური კვლევის მეთოდებისაგან, როცა ამა თუ იმ პოეტის შემოქმედება მიმდინარეობათა მკაცრ მიჯნებშია მოთავსებული, მაგრამ ძირითადი ტენდენციები თუ მსოფლშეგრძნების მთავარი ხაზი მაინც გვაძლევს გასაღებს აღნიშნულ მიმდინარეობებთან მათი დამოკიდებულების გასარკვევად.

მით უფრო რთულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა ვცდილობთ გავერკვეთ ათიანი წლების ქართული მწერლობის, კერძოდ კი, „ცისფერყანწელთა“ ორდენის ძირითად ტენდენციებში და ზუსტ კვალიფიკაციებს დაეუმორჩილოთ მათი მხატვრული მიდრეკილებანი.

არც ის არის დასაიწყი, რომ იმ დროს, როცა ტიციან ტაბიძის სიტყვით „ვეროპულ რადიუსზე გამართვისაკენ“ მისწრაფოდა ქართული მწერლობის ავანგარდული ფრთა. დეკადენტურ მიმართულებათა დიდი ნაწილი ფაქტიურად უკვე აღარ არსებობდა, ახალ მიმდინარეობებში იყო გადაზრდილი ან კი მხოლოდ შორეულ მოგონებადღა რჩებოდა.

ეს წინააღმდეგობანი და ზოგჯერ აშკარა დაბნეულობაც მსჭვალავს არა მარტო მათ მიერ გამოქვეყნებულ თეორიული ხასიათის დეკლარაციებს, არამედ მათსავე პოეზიას. სადაც რემინისცენციები, ცალკეული პასაჟები თუ ილუზიები აშკარად მომდინარეობს სრულიად სხვადასხვა მიმდინარეობათა, განსხვავებული სკოლებისა თუ პრინციპულად ერთმანეთის გამომრიცხველ მხატვრულ მიდრეკილებათა მქონე პოეტებისაგან.

ამის უტყუარი მაჩვენებელია თუნდაც ტიციან ტაბიძის ზემოთმოტანილი საპროგრამო ხასიათის ლექსი: „გაფიზის ვარდი, მე პრუდომის ჩავდე ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდღერის ბოროტ ყვავილებს“, სადაც ერთმანეთის გვერდით დასახელებულია აშკარა პარ-

ნასელი პოეტი სიული პრიუდომი და „დაწყველილ პოეტთა“ ერთ-ერთი ლიდერი შარლ ბოდლერი (1821—1867).

„ცისფერყანწელთა“ ორდენის პოეტების ქმნილებათა უბრალო თვალის გადავლება მყისვე დაგვარწმუნებს, რომ აქ ზუსტი პრინციპები არ იყო დაცული და პარნასელების გვერდით ასევე ხშირად არიან წარმოდგენილები იმპრესიონისტები, სიმბოლისტური პოეტიკის სახეებს ენაცვლებიან ულტრამემარცხენე მიმდინარეობათა (ფუტურიზმი, დადაიზმი) პოეტური ფორმულები და საერთოდ სხვადასხვაგვარი „იზმიდან“ მომდინარე გავლენები.

ამ მოსაზრებას განამტკიცებს ისიც, რომ ამ გავლენათაგან ბევრი რამ აშკარად უცხო ჩანდა და ფაქტიურად არც იყო ბოლომდე გაწინაგნებული (რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად). ალბათ, ესეცაა უპირველესი მიზეზი, რომ სწორედ ამ ხანებში მათ პოეზიაში ბევრია ძიება, ნაგრამ იგივე არაა პირდაპირ პროპორციული მათივე შედეგებზეა. პოზა, ზოგჯერ დაუსაბუთებელი განცდები, ბუტაფორია თუ ავადმყოფურ განწყობილებათა ყალბი ესთეტიკა, თავი რომ დავანებოთ სრულიად უცხო ურბანისტულ ნაკადს. აშკარად მიგვანიშნებენ ზემონათქვამზე და სხვაგვარად. მართლაც. წარმოუდგენელიც იქნებოდა.

ხოლო ყოველივე ამის გამო. ჩემის აზრით, ე. წ. წმინდა ქართული სიმბოლიზმი სადავო რამ არის, რაგინდ დაყინებული ჩანდეს „ცისფერყანწელთა“ სურვილი. მათ გატაცებას მყარი ფილოსოფიურ-ესთეტიკური სკოლის სახე მიეღო. მე აქ ვგულისხმობ მსოფლშეგრძნების ერთობლიობას და ოდენ სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელ პოეტიკას, რის გარეშეც რაიმე სპეციფიკური, სხვათაგან განსხვავებული, ნიშნების მქონე სკოლა წარმოუდგენელია. მით უფრო, რომ ამ „სკოლამ“ ვერცერთი ტიპიური, სულით ხორცამდე აშკარა წარმომადგენელი სიმბოლისტური მიმართულებისა ვერ მოგვცა და. ალბათ. ეს შეუძლებელი იყო. (იხ. აგრეთვე თ. ჩხენკელი. წერილები გვ. 12).

„ცისფერყანწელთა“ დიდი დამსახურება ჩვენ სხვაგან უნდა დავინახოთ და არა ე. წ. ქართული სიმბოლისტური სკოლის დაარსებაში.

მოძალბებულ ეპიგონობასა და პროვინციალიზმთან ბრძოლაში მათ ფართოდ გაუღეს კარი თანამედროვე მსოფლიო პოეზიის გამოცდილებას და იგი ქართული ლექსის განახლების ერთ-ერთ ფაქტორად მიიჩნეს (გარკვეული სოციალური პირობების გამო არც დეკადენტური განწყობილებები იყო მათთვის მთლიანად უცხო). მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მათ ეს ძიებები არ შემოუფარგლავთ რომელიმე ერთი სკოლის ფარგლებით და „პარნასელებიდან“ მოკიდებული მათი დაყინებული მზერის არეში მოექცა თითქმის ყველა იმ ხანად არსებული ახალი მოდერნისტული სკოლა.

სინამდვილის მხატვრული დაუფლების არე ყოველივე ამან საოცრად გააფართოვა და სრულიად ახალი შესაძლებლობები წარმოაჩინა უღრმესი სულიერი შრეების წვდომისათვის. ქართული ლექსი ტევადი

გახდა და პოეტიკის მრავალფეროვანი ხერხებით აღიჭურვა. იმპრესიონისტული ფერწერა თუ სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელი დანტერესება ირაციონალური სამყაროთი ქართული ლექსის მომავალი განვითარების გზაზე ახალ პერსპექტივებს სახავდა და ეს განხორციელდა კიდევ. ვალაკტიონისა და „ცისფერყანწულთა“ ზოგი წარმომადგენლის პოეტური პრაქტიკა შემდეგ და შემდეგ ამის საუცხოო მაგალითად გამოდგება.

გადამწყვეტი როლი ითამაშა იმანაც, ეს მათ უტყუარ ალლოზეც მიუთითებდა, რომ არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი მშობლიურ ძირებთან. ქართული პოეზიის დიდ ტრადიციებთან (ეს ხაზი უფრო მათ პოეტურ პრაქტიკაში გამოვლინდა) და, ამდენად, არც სამყაროს რეალისტური აღქმის ნიშანდობლივი თვისებები გაპქრობიათ ხელიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ეს ძიებები „მოდის“ ფარგლებს ვერ გასცილდებოდა. ამიტომ იყო, რომ „სამშობლოს“ თემაც ხშირ შემთხვევაში ასე ორგანულადაა შესისხლბორცებული მათ საუკეთესო პოეტურ ქმნილებებში.

ამავე ჩგუფის პოეტებისათვის. როგორც ჩანს, კარგად იყო ცნობილი პოლ კლოდელის (1868—1955) ვერლიბრებში სიმბოლისტების საწინააღმდეგო თემა „მიწის სინედლის უკვდავ გრძობაზე“, რომელიც ეხმაურება „ცისფერყანწულთა“ შემოქმედების მომდევნო ეტაპზე წამოყენებულ დებულებას „მიწასთან დაბრუნების“ შესახებ (ვალერიან გაფრინდაშვილის ფრაზა).

განახლებული და მდიდარი პოეტური შესაძლებლობებით აღჭურვილი ქართული ლექსი თამამად გამოვიდა დიდ მაგისტრალზე და საესებით მზადყოფი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ ახალ ნაბიჯებთან მიმართებაში. ქართული ლექსის რეფორმაციის პირველი მაცნეები სწორედ „ცისფერყანწულები“ იყვნენ და მათვე შემდეგ ბრწყინვალე შედეგებით გაამდიდრეს თანამედროვე ქართული პოეზია.

ტიციან ტაბიძის პოეტური გზაც ამის აშკარა დადასტურებაა.

წინამდებარე პოეტური კრებული. სამწუხაროდ. არ იძლევა საშუალებას მთლიანობაში წარმოვიდგინოთ პოეტის მთელი შემოქმედება და ეს, ალბათ. მომავალში განხორციელდება. ამიტომ შევჩერდით მის ზოგ ადრეულ ლექსზე, რომელიც წინა კრებულში (1934 წ) ან ათიანი წლების პრესაშია მიმოფანტული. აქ არც ის რამდენიმე ლექსია (მაგალ. „სერგეი ესენინს“, „ილაიალი“. „წინა მაცაშვილს“. „ოცდასამი აპრილი“ და მრავალი სხვა). რომლებიც ტიციანის შემოქმედების უფრო გვიან პერიოდს ეკუთვნის და კარგად ამხელს, თუ რა ტივილებით. მტანჯველი განცდებით მიიწევს წინ ახალი სინამდვილისაკენ მისი პოეტური სიტყვა.

ძველთან განშორებისა და ახლის მოლოდინი ნიადაგ ავსებდა მის სულს. რადგან ამას გარდუვალობის კანონი კარნახობდა: „ჭერ კიდევ ეზივარ ძველებურ ტივზე, ვტირი შეკრული ფიჭვის გედებით, არ

„შეცხერდები მე ამ მოტივზე, მე თვითონ ვცხოვრობ ამ იმედებით“  
(„თბილისის ღამე“, 1927 წ.).

ბრძოლასა და ქიდილში გამობრძმედილი მისი პოეტური სიტყვა ახალ ჟღერადობას იძენს, ხოლო სათქმელის მაღალი ოსტატობა მხარს უმაგრებს სამყაროს ნათელ აღქმას, ჰარმონიისაკენ სწრაფვას. მისი ხმა ფოლადს გამოსცემს, ხოლო პოეტური ხილვები ძლიერი და მას-შტაბურია. ამის დასტურია ტიციანის პეიზაჟური ლირიკის ერთ-ერთი შედევრი „ამოდის, ნათდება“. რომელიც აგრეთვე 1927 წელსაა დაწერილი:

აიომავალ მზის ოქროს ნათელი  
თავზე ადგება საქართველოს მთებს  
და ნამქერებში ღამენათევი  
მთვარე ანათებს და არც ანათებს.

ზღვით ღრიალით მიგორავს თერგი,  
ქვევით გრიალი გაუდის არაგვს  
მზეს გაუდენია ყინულის ქერქი,  
?თა დაუფშენია უხილავ წერაქვს.

ქ.რს მიაქვს თოვლი და მიიხვეტავს,  
გადააფარებს ყაზბეგს შვინდნად,  
შერცხვეს ვაკეცი, თუ ამ მზეს ხედავს  
და სიკვდილს კიდევ შეუშინდება.

მიჯჩერებზეარ ცას გაკვირვებით  
და აღმიტაცებს სიცოცხლის ფეთქვა.  
ვაჟა-ფშაველას ვსუნთქავ ფილტვებით,  
ხომიკაურის გული ჩამედგა.

მზიური ფერები, სიცოცხლის მძლავრი მაჯისცემა და ეროვნული აღორძინების რწმენა უხვად იღვრება მის ახალ ლექსებში. რომლებიც ოციანი წლების ბოლოსაა შექმნილი. იმ თემებშიც კი, რომლებიც მის შემოქმედებას თავიდანვე დაჰყვა. როგორც რაღაც იმანენტური და მარადიული, იგი გარდასახვის საოცარ თვისებას ავლენს.

პოეტი ერთგან არაჩვეულებრივი გულწრფელობით მიგვანიშნებს მთელი მისი შთაგონების ერთ-ერთ ყველაზე მაკოცხლებელ ფესვზე: „და აწვალებდა მას სიკვდილამდე. ქართული მზე და ქართული მიწა“, მე უკვე ზემოთ აღვნიშნე, რომ „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებაში ეროვნული სულისკვეთება ყოველთვის ძალუმაღ ფეთქდა და იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფერმენტი იყო მათი პოეზიის თვით-მყოფადობის გზაზე.

ტიციან ტაბიძისთან ეს თემა. შეიძლება ითქვას, ყველაზე გამოკ-



ვეთილად იგრძნობა და სხვადასხვა ვარაიაციებში ვლინდება. ზოგჯერ აუ ერთგვარ გადაქარბებასაც ჰქონდა ადგილი, როცა მის ცნობილ პოემაში „ცხენი ანგელოსით“ ქართველი ხალხის განსაკუთრებულობა ე. წ. მესიანიზმის იდეითაა გამოხატული. ისტორიზმის თავისებური განცდა, ძველი საქართველოს იდეოლოგიიდან ცნობილი მოტივები ავტორის პოეტური ამოცანის კვალობაზე ერთმანეთშია გადახლართული და ტრაგიკულ ტონალობას იძენს:

აქ რომ სტიროდა ამირანი, ვინ გააპარა?

აქ რომ სტიროდა რუსთაველი, ვინ გააჩუმა?

აქ რომ იბრძოდა სააკაძე, ვინ დააკავა?

სახე-იდეა „ცხენი ანგელოსით“ აღუზიანა წმინდა გიორგის მხედარზე და „მარად უკვდავი სულის“ ასლებური გააზრებაა. ხოლო „გაშლილი ველი საქართველოს, აზიის სარკე“... თარეშისა და განადგურების სარბიელია, რომელსაც ბედისწერასავით ასკდება უსეში და დამტრგუნველი ტალღები „მაჰმადის ხმლით“ ხელში და ხან კი „ყვითელი ურდო ვიწრო თვლებით“. პოემის პათოსი იქითკენ მიგვმართავს, რომ ყოველივე ეს გარდაუვალობის კანონია, ქართველი ხალხის ბედისწერაა. ასე იყო და ალბათ მომავალშიც ასე იქნება, მაგრამ მაინც აპოთეოზად აღიქმება პოემის ფინალი. ქართველი ხალხი ყოველთვის მაღალი, წმინდა იდეების დამცველია, იგი გამორჩეულია და მას მარად დაიფარავს წმინდა მხედარი, როგორც ეს იყო შორეულ და საშინელ საუკუნეებში. წარსულის რომანტიკული განცდის ძალზე თავისებური ნიმუშებია მისი ცნობილი ლექსების ციკლი „წიგნიდან ქალღმერთს ქალაქები“ და რამდენიმე სხვა. ეს ლექსებიც. მეტწილ შემთხვევაში, როგორც მსოფლშეგრძნების გარკვეული ნაკადით, პოეტური ხილვებითა და მხატვრული ხერხებით დეკადენტური პოეტიკის საკმარისად დიდი დოზითაა შეფერილი.

ახალ კრებულში მოთავსებული ლექსებიდან, ამ თვალსაზრისით, რამდენიმე ლექსი იქცევა ყურადღებას. მათ არ აკლიათ არც თავგამეტება (რაც საერთოდ დამახასიათებელია მისი პოეზიისათვის), არც სიმძაფრე, მაგრამ აქ ტრაგიკულ ნოტებს ცელის მღელვარე პათოსი. მოზღვავებული სიხარულის გრძნობა, განცდა იმისა, რომ იგი ბედნიერი და ულამაზესი ქვეყნის შვილია, მონაწილე და თვითმხილველი ეროვნული აღორძინებისა. პოემაში „ცხენი ანგელოსით“ ჩაქსოვილი იდეა მარად უკვდავებისა სრულიად ახლებურადაა აქტერებული ლექსში „სამშობლო“: „ჩემშიც გადმოდის, ჩემშიც იღვრება, ჩემი სამშობლოს ფენიქსის ბედი, არ უნდა კვესით გულს ამღერება, ცეცხლმოუდებლად იწვის აბედი“. ეს ლექსი იმითაცაა დამახასიათებელი, რომ საქართველოს ისტორიული წარსულის პოეტურ სახეებში გადმოცემის რეალისტური კონცეფცია უდევს საფუძვლად. არა ბედისწერამ, ან გამოცხადების აპოკალიფსურმა იდეებმა, არამედ ქართველი კაცის

მხნეობამ, სულიერმა სიმტკიცემ და დაუღლელმა გარჯამ გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა „აღგვას პირისაგან მიწისა“.

ამღერებით, ლალი ინტონაციებით განსაკუთრებულია ამავე თემით შთაგონებული ტიცინან ტაბიძის ცნობილი ლექსი „მაშ. გამარჯვება“. პოეტური კილოს შერჩევებისას აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ ილიას ცნობილი ფრაზები: „ქარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ. ლამაზად მორთულ და მოკაზმული, მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული“. ღრმა დაფიქრებისა და წუხილის განცდას, რომელიც ილიას ლექსს ელემენტარული ტონალობას ანიჭებს, აქ ენაცვლება კონტრასტული ხერხით გამოთქმული. მოულოდნელობის ეფექტზე აგებული სტრიქონები, რომელიც ლექსის საერთო მაჟორულ ქსოვილს შეეფარდება:

ნეტა სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,  
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი,  
სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,  
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

ტიცინან ტაბიძის ეს ლექსი დაუოკებელი სიხარულის განცდას ბადებს და ისე, როგორც პოეტის შედეგთა უმრავლესობა. თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა წარმოთქმული, ხოლო საოცრად მიგნებული პოეტური გრადაციები მას განუმეორებელ ელფერს ანიჭებს. აქ არის რნტიმი, რაღაც მღელვარება, როცა პოეტი ლექსს იწყებს შემდეგი სიტყვებით: „თუ ჩემი ძმა ხარ. ერთიც მიმღერე და დავუჩოქებ მიწას მუხლებით“, მაგრამ მისი ხმა შემდეგ და შემდეგ პათეტიკური ხდება და მოწოდებასავით გაისმის ფრაზები: „...მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს, რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს“. მაგრამ იგი ბოლომდე არ ენდობა მხოლოდ პათეტიკურ ხმას და ცხოვრებისეული. მსუყე სახეებით აძლიერებს პოეტურ სურათს. მისი პალიტრა ამ შემთხვევაშიც უხვია და მრავალფეროვანი:

ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,  
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,  
სანამდე უნდა, რომ მზედ ეღინოს  
გაეარვარებულ ოქროს თაველებს!

სამყაროს სილამაზით აღტყინება, სამშობლოსთან თანაზიარობა და მისი პირადი, ადამიანური მოვალეობის მძაფრი შეგრძნება კომპოზიციურ სრულყოფილებას ანიჭებს ლექსის, მართლაც, დიდებულ ფინალს:

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა  
და საქართველოს მედგას უღელი;

— მაშ, გამარჯვება, ტკბილი სიცოცხლე  
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!..

ახალ ლექსებში მძლავრ ნაკადადაა შესული განახლების, საკუთარი პოეტური გზის გადაფასების თემა, რომელიც სხვადასხვა ნიშნით ვლინდება თითქმის მის ყოველ ქმნილებაში, მათ შორის პუბლიცისტურ წერილებსა თუ კრიტიკულ სტატიებში. აქ მინდა გავიხსენო ერთი დგილი 1928 წელს დაწერილი ლექსისა, რომელიც უძღვის პოეტის ცნობილ „დადაისტურ მადრიგალებს“ („რა საჭიროა აქ პირფერობა, მართლა მხიბლავდა მე ერთ დროს „დადა“), სადაც ძველის გადაფასების, ახლისაკენ სწრაფვის თემა საინტერესო პოეტური სახითაა გადმოცემული: „დაფასთან ვდგევარ და ვშლი ძველ ლექსებს, ცარცი თქი არა სისხლით რომ ვწერდი, საბჭოთა მიწა! გიკოცნი ფესვებს, ახალ ცხოვრების ვარ აღაწერდი“, ეს ლექსი იმითაც არის საგულისხმო, რომ, ჩემის აზრით, აქ არა მხოლოდ ზოგადად, არამედ კოხკრეტული მინიშნებით, ეკამათება მის ადრეულ ლექსში გამოვლენილ დეკადენტურ განწყობილებას. მართლაც, ადრე დაწერილ ლექსში „სეზონის ფალავანი“, რომელშიც ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღდგენილი პოეტის სულში დარღვეული სულიერი თანაფარდობა, არის ასეთი სტრიქონები:

ეს სულ ერთია, მაინც გაუგებარია,  
შეიძლება წერა იეროგლიფებით,  
თითქოს პატარა ბავშვი ვარ გრიფლით  
და ჩემი სულიც სხვას აბარია.

ამჟამად, რომ აქ უკვე არის დაძრული ის განწყობილება, რომელიც ზემოთ მოტანილი ლექსის ხაზგასმულ სტრიქონებში უკვე ჩამოყალიბებული კონცეფციის მნიშვნელობას იძენს.

ტიციანი მთელი თავისი არსებით სუნთქავდა პოეზიით და ახალ ვითარებაშიც თავდავიწყებამდე მისული შთაგონებით უმღერდა ღვირფას ადამიანურ საუნჯეებს, ალორძინების გზაზე შემდგარ მისთვის „მარად უბერებელ“ სამშობლოს. მის ლექსებს ბოლო ხანებში ყოველივე ამან არაჩვეულებრივი პუბლიცისტური შემართება მიანიჭა და რგი იქცა ნამდვილ პოეტ-ტრიბუნად. ამ მხრივ, დაუვიწყარია მისი პოემები „რიონი-პორტი“. „თვრამეტი წელი“ და ზოგი სხვა ლექსიც. ძიებათა დახლართულ გზაზე, ეს ძალზე ნიშანდობლივია მისი პოეზიისათვის, იგი იძენდა გამოხატვის ახლებურ ფორმებს. დაყინებით ებრძოდა პოეტურ სიტყვას, მიისწრაფოდა ახალი სივრცეებისაკენ, მაგრამ მისი პოეტური ტალანტის უმთავრესი თვისებები შეუღრეკელი აღმოჩნდა და მხოლოდ შემდგომი სრულყოფისაკენ ილტვოდნენ.

პირველივე ლექსებში გამოვლენილი სიმძაფრე, ცხოველი პერცეფცია, სულიერ წინააღმდეგობათა დაურიდებელი გამქლავება,

საოცარ დაძაბულობას ანიჭებდა მის პოეტურ ხილვებს. წარუშლელ განწყობილებას ბადებდა ისიც, რომ თითქოს მას ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს, ბოლომდე გაემქლავნებინა მოზღვავებული სათქმელი, რომელიც ფორმისმიერ ასპექტში დანაწევრებულ პოეტურ ფრაზებსა და სიტყვებში ვლინდებოდა. ამასთან დაკავშირებით, მართებულად შენიშნავდა სიმონ ჩიქოვანი, რომ „ტიციან ტაბიძეს, როგორც სიტყვის ოსტატს. პოეტურ ფორმაში შეიძლება არ ჰქონდა ისეთი თავისუფალი სუნთქვა, როგორც ვალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს ანდა პაოლო იაშვილს. არც ლექსის ისეთი ნაქედობა და დახვეწილობა, როგორც მისი თაობის ზოგიერთი სიტყვის ოსტატს, მაგრამ მას ჰქონდა გასაოცარი ლირიკული სიმძაფრე და თავგამეტება. პატრიოტულ თუ სატრფიალო ლექსებში თავდავიწყებამდე მისული გატაცება და მის სტრიქონს გრძნობის უჩვეულო ტევადობა ახასიათებდა. მაშინდელ ქართულ პოეზიაში ასეთი დრამატიზირებული ხმის პოეტი მე არ მეგულება. ლექსის წერის დროს იგი თითქოს სისხლიდან იცლება და ყველა ჭრილობას პირი გახსნილი ჰქონდა, სისარულის ყველა თასი დაცლილი იყო“...

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,  
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.  
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,  
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

შორს რომ არ წავიდეთ. ამ თვისებებს საოცრად ამხელს ტიციან ტაბიძის ცნობილი სატრფიალო ლირიკის შედევი „ანანურთან“ (თამუნია წერეთელს). სადაც გამქლავნებულ გრძნობას, რომელსაც არც სიყვარულის სუბლიმირება და არც განცდათა სიფაქიზე აკლია, ამძაფრებს მასში ჩაბუდებული რაღაც წინასწარგანჩინებული ტრაგიკული აღსასრულის მოლოდინი. ლექსი თითქოს ნეიტრალური ფრაზით იწყება: „შენ აქ რა გინდა. მაგრამ ყოველთვის მომაგონდები ამ ანანურთან“. მაგრამ იგი გამძაფრებულია თავისთავადი, პარალელური წყვილით: „შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის, ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა“. მაგრამ ლექსის ფინალში ისიც ირკვევა, რომ აქ „ანანური“ შემთხვევით მინიშნება არაა და განშორების გულისტკივილთანაა დაკავშირებული. როცა. ალბათ. კიდევ ერთხელ იელვებს მისთვის ესოდენ ძვირფასი სახე მიჯნურისა: „ასე კვდებოდა ალბათ ათასი და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური, ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი და თვითმკვლელობის იავნანური“. ლექსში „ვრუბელის მიერ დახატულ თამარის სახეს“, „ნაზ მოგონებებს“ ლეიტმოტივად გასდევს უღრმესი შრეებიდან დაძრული საშინელი წინათგრძნობისა თუ გარდუვალი განშორების სიმძიმელი, რაც მისთვის დამახასიათებელ ენერგიულ სტრიქონებშია გამქლავნებული:

გარჩენილი ვარ ქვებზე კალმან-  
და ახელი მაქვს ლაუჩები,  
შემართულია ფეხზე ჩახმახი  
და უსიკელილოდ ვერ გარეუჩები.

ასეთი ინტონაციები, რაღაც შინაგანი წუხილი, ასევეა ჩაქსოვილი მის მშვენიერ ლექსებში, რომლებშიც ბუნების პოეტური სურათებია გადმოცემული. პოეტურ თვისებად ქცეული ეს სიმძაფრე განუმეორებელ ელფერს ანიჭებს მის პეიზაჟურ ლირიკასაც. მე აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ ადრეულ ლექსებს, რადგან მათში ამ განწყობილებებს გაბატონებული ადგილი უკავია. ახალ ლექსებშიც, როცა იგი ბუნების სურათებს ხატავს, ასევე პერსონიფიციკრების სერხებს მიმართავს. პლასტიკური სურათების ხატვაზე უფრო მას საკუთარ განწყობილებათა გამჟღავნება იტაცებს, თუმცა ბუნების გრანდიოზულობის აღქმის მაღალი ნიჭი ერთი მისხლითაც არ აკლია: „წამექცა თავზე ცა გარღვეული და ცაზე კიდევ სხვა მყინვარის ცა, და დარიალით გადარეული თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს“ ან „და გადაეყურებ აღმასს უფსკრულებს, კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს“, სიხარულის ბუნდოვანი, პირველი გამოღვიძების სიხარულის გამოსახატავად მას ძალუძს წარმოგვისახოს ბუნების ღიდებული პოეტური სურათი:

მე დავიბადე აპრილის თვეში,  
ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან,  
მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში  
მოდის ცრემლებად ჩემს თვლებიდან.

ასეთ დროს მრავალფეროვანია მისი პალიტრა. მკაცრი ბუნების სურათებს, რომლებიც ასეთივე ენერგიული ინტონაციებითაა გადმოცემული („შორით კი მოჩანს თეთრი მყინვარი... თითქოს ყაზბეგი სულში მძვინვარებს“). სხვა ლექსებში, ასევე მალწყებელი მის სულიერ განწყობილებათა ცვალებადობისა, ენაცვლება პეიზაჟის ხატვის სხვაგვარი მანერა, მსუბუქი და მშვიდი ტონები:

ზღვა ისე იყო მშვიდი და წყნარი,  
რომ აღარც მახსოვს, იყო თუ არა.  
ერთად გაალო ცამ შვიდი კარი  
და ზღვას სარტყელად გადაუარა.

პოეტის არტიტული ბუნება თვითგამოხატვის სხვადასხვაგვარ საიდუმლოს ფლობდა. შემოქმედებითი სიხარულის დიადი წუთები მისთვის ძალზე ნაცნობი და ახლობელი იყო. მას ეს გრძნობა არა ერთგზის გაუზიარებია კიდევ მკითხველისათვის:

მივალ, მივდივარ, და მივიმღერო,  
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება,  
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,  
ტუჩ-მიუღებლად რომ იკოცნება.

„ქართული მზე“ და „ქართული მიწა“ ნიადაგ აწვალებდა მასზე უსასზღვროდ შეეყვარებულ პოეტს და ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, მან შეძლო სამუდამო კვალი დაემჩნია ჩვენი სულიერი კულტურის ისეთ დიდ ასპარეზზე, როგორცაა ქართული პოეზია.

ცნობილი ფრანგი პოეტი ლუი არაგონი შენიშნავს ერთ თავის წერილში, რომელიც გზაჯვარედინზე მდგომი პოეტების შემოქმედებას ეხება, აქ საუბარია იმაზე, რომ მათ მხოლოდ იმ ნიშნით კი არ უნდა ვაფასებდეთ, თუ საიდან, რომელი მიმდინარეობიდან გამოვიდნენ ისინი, არამედ, მთავარია საბოლოოდ სად მივიდნენ.

ტიციან ტაბიძემ შინაგანი ბრძოლითა და არაჩვეულებრივი ძალისხმევით გადმოლახა ყველა ზღუდე და მოაშურა იმ დიდ პოეზიას, რომელსაც მშობლიური ხალხის დიადი სიმღერა უნდა წარმოეთქვა.



ტიციან ტაბიძე, როგორც ითქვა, კვლავ დაუბრუნდა ქართველ მკითხველს და იგი ჩვენთან მოვიდა არა მარტო ლექსების კრებულით, არამედ როგორც საინტერესო მოაზროვნე და მხატვრული პროზის თვალსაჩინო ოსტატი. ამის უტყუარი მოწმეა მისი წერილებისა და ნარკვევების წიგნი. რასაკვირველია, როგორც ზემოაღნიშნული ლექსების კრებული, ისევე წერილების ეს წიგნი სრულიადაც ვერ ამოწურავს პოეტის მთელ მემკვიდრეობას (განსაკუთრებით დასანანიია, რომ აქ არ არის მისი პირველი პერიოდის საინტერესო წერილები და დეკლარაციები), მაგრამ აქაც ნათლად ჩანს ის ფართო ლიტერატურული პორიზონტი და მაღალი გემოვნება, რაც უდავოდ იყო ტიციან ტაბიძის მთელი შემოქმედების მთავარი ნიშან-თვისება. მკითხველი იქ ნახავს შესანიშნავ წერილებს ქართულ კლასიკურ მწერლობაზე, დაწყებული გურამიშვილითა და ვაჟა-ფშაველათი და გათავებული ვასილ ზარნოვითა და შიო არაგვისპირელით, რუსული ლიტერატურის კორიფეებზე. პუშკინზე და ტოლსტოიზე, ამიერ-კავკასიის ხალხთა მეგობრობაზე, რომლის გულწრფელი მომღერლები იყვნენ საიათნოვა, შირვან-ზადე და ოვანეს თუმანიანი. განსაკუთრებულ ინტერესს ქმნის აგრეთვე ტიციან ტაბიძის წერილები ანდრეი ბელიზე და ვლადიმერ ნაიაკოვსკიზე. შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოება, რომ ავტორი ახლოს იცნობდა XX საუკუნის რუსული ლიტერატურის ამ ორ სრულიად განსხვავებული ბუნების შემოქმედს. მემუარულ სტილში დაწერილი ეს ორი პორტრეტი საგულისხმო მასალებს შეიცავს რუსული ლიტერატურათმცოდნეობისათვისაც.

ტ. ტაბიძემ თავის დროზე შესანიშნავი წერილები უძღვნა ჩვენ სახელოვან თეატრალურ მოღვაწეებს — ალექსანდრე სუმბათაშვილს, ზაქარია ფალიაშვილს, კოტე მარჯანიშვილს, ნატო ვაჩნაძესა და სხვებს. კრებულში ამ წერილების მოთავსება ერთხელ კიდევ ცხადყოფს მათი ავტორის მრავალმხრივ ინტერესს. თუ ამას დაეუმატებთ დიდი სიყვარულით დაწერილ სტრიქონებს სახალხო მხატვარ ნიკო ფიროსმანზე და მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეზე, თვალწინ წარმოგვიდგება კაცი რომელც ყოველთვის იყო ჩვენი კულტურული ცხოვრების შუაგულში და მთელი თავისი არსებით ეკუთვნოდა ამ ლიტერატურას.

ტიციან ტაბიძე განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით და ეს არ იყო შემთხვევითი. ტიციანს უდავოდ ბევრი რამ აახლოებდა ქართული პოეზიის ამ გოლიათთან, მაგრამ ეს სიახლოვე სრულიადაც არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ეს ერთ დროს ესმოდათ ქართველი სიმბოლისტების დიდ უმრავლესობას და ნაწილობრივ ტ. ტაბიძესაც. ცნობილია, რომ, მაგალითად, „ცისფერ ყანწელთა“ ჯგუფის თეორეტიკოსებმა ვაჟა-ფშაველას დიდი მიდრეკილება ჭანსალი და ნათელი სიმბოლური სახეებისაკენ გაათანაბრეს წმინდა დეკადენტურ სიმბოლოებთან. სადაც ყოველთვის მისტიკური გამოდის როგორც დომინანტი. ამაზე დაყრდნობით ფიქრობდნენ, რომ ვაჟა-ფშაველა ამოვარდნილია მთელი ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი რგოლიდან, და იგი არის ქართველი სიმბოლისტების ერთ-ერთი ჰერმეტიკი მამამთავარი. მიუხედავად ტიციანის ადრე გამოთქმულ ასეთივე შეხედულებებისა, ქართული სიმბოლიზმის გენეზისის საკითხებზე. იგი თავისი პოეზიის შინაგანი ბუნებით აშკარად ბევრ რამეში ენათესავებოდა ვაჟა-ფშაველას და ეს უფრო ცხადი შეიქნა მას შემდეგ. როცა დაშორდა თავის ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელ მრწამსს და შემოქმედებითად მიდიოდა იმ მდიდარ ტრადიციებთან, რასაც დიდი ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზი გულისხმობს. ვაჟა-ფშაველასთან ზოგი რამ, მართლაც, აახლოებს ტიციანს. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოეტური გამომსახველობის სისადავე და ის დიდი უშუალობა, რაც ორივე პოეტმა თავისი შემოქმედების ძირითად პოეტურ ხერხებად აქცია. ვაჟა-ფშაველა რომ იტყვის:

ხარს ვგვევარ ნაიალარს,  
რჭით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,  
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
მძინარეც ამას ვლულუნებ.

არ შეიძლება ამ უშუალობაში, სათქმელის ყოველგვარი ზედმეტი სამკაულის გარეშე გამოხატვაში, არ იგრძნო პოეტის სულში ნიადვარივით დაგუბებული ენერგია. პოეტური სიტყვის ამ საიდუმლოებას ოსტატურად ფლობდა ტ. ტაბიძეც. ავიღოთ თუნდაც ტ. ტაბიძის ერთ-

ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი: „მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს“.

აქაც ისეთივე დიდი უშუალობაა და სალექსო ფრაზის ვაჟკაცური მოქნევა, რაც ვაჟას მთელი პოეზიის ბუნებაში ზის. მაგრამ ამავე დროს ტიცციანის ლექსს ყოველთვის თან ახლავს მხოლოდ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სულიერი თრთოლვა და შინაგანი დრამატიზმი. სწორედ ზემოაღნიშნული სიახლოვე ვაჟა-ფშაველასთან, ვფიქრობ, აძლევდა ტ. ტაბიძეს ყველაზე მეტ შესაძლებლობას რომ ერთ-ერთ პირველთაგანს ჩვენს ახალ მწერლობაში სწორად შეეგრძნო ვაჟას გენია. მართალია, თავის შედარებით უფრო ადრე დაწერილ წერილში იგი ჯერ კიდევ პრიმიტივიზმის ზოგ გამოვლინებას ხედავს ვაჟას პოეზიაში, რაც, როგორც ცნობილია, იყო მაშინდელი კრიტიკული აზრის დიდი შეცდომა, მაგრამ აქვე იგი სწორად შენიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გაგებისათვის ჩვენ არ გამოგვადგება სხვა ქვეყნების მწერლებისათვის შემუშავებული მხამხარეული ფორმულები. როგორც ამას სჩადიოდა ზოგი კრიტიკოსი. აქ უმჯობესია სიტყვა თვით ტ. ტაბიძეს მივცეთ: „ეს ჩვენთვის თითქოს გასაგებიც არის, რადგან, ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, საქართველოში კრიტიკა ყოველთვის ჩამორჩებოდა მწერლობას. კრიტიკას ჰქონდა თავისი ვათლილი ყალიბი და წინდაწინ შემუშავებული ფორმულები. რომელთა დაკანონებისათვის სხვა ქვეყნებში სულ სხვა ხალხი იბრძოდა. ვაჟა-ფშაველა კი ისეთი ცომისაგან იყო მოზეილილი, რომ არც ერთ ქვეყანაში ამის პურს არ სჭამენ... და გასაგებია. რატომ უპასუხა ასე ვაჟა-ფშაველას გამოჩენას ჩვენმა ქართულმა მწერლობამ“. და როგორც აღვნიშნეთ, ტ. ტაბიძემ ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩვენს ახალ მწერლობაში სწორად მიუთითა ვაჟა-ფშაველას პოეზიის ძირითად ნიშნებზე და ვაჟას გენიის ძალა მის ხალხურობასა და ღრმა ეროვნულობაში დაინახა. მან თავის დროზე ყველაზე მკაფიოდ აღნიშნა ვაჟას ღრმადგადგმული ფესვები ქართულ სინამდვილეში და განსაკუთრებული კავშირი ჩვენს კლასიკურ მწერლობასთან. ტიცციანი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას ვაჟას ცნობილ ლექსზე, რომელშიც პოეტი ამქლავნებს თავის დამოკიდებულებას გურამიშვილთან:

შენ, ჩემო წინამორბედო,  
უძვირფასესო პაპაო.  
შენის ცრემლებით მოხარაშე  
ჩემი გარბობების ფაფაო.

„უფრო აშკარად, — წერს ტ. ტაბიძე. — არ შეიძლება პოეტმა გამოამქლავნოს თავისი პოეტური ვინაობა, როგორც ეს ამ ლექსშია გამოთქმული. მხოლოდ რაღაც გაუგებრობაა, რომ ამ გულცხელი აღიარების შემდეგ კიდევ სხვაგან ეძებენ ვაჟას შემოქმედების სათავეს. თვითონ პოეტმა მაგისტრალური ხაზებით გახსნა და გაშალა თავისი  
376



გენეალოგია... ორი მთავარი ხაზი — ერთი ეროვნული და მეორე ხალხური — აერთებს და ანათესავებს დავით გურამიშვილსა და ვაჟაფშაველას“. საინტერესოდ აყენებს საკითხებს ტ. ტაბიძე ვაჟას ენის შესახებ. საერთოდ ეპიკურ საწყისებზე ვაჟასა და ნ. ბარათაშვილის პოემებში, ვაჟასა და გურამიშვილის ზოგ საერთო პოეტურ ხერხებზე, ილიასა და აკაკის პოემების შთაგონების წყაროებზე.

აქ არის გონებამახვილური დაკვირვებანი, რომელთაგან ზოგიერთს შეიძლება ვერ დავეთანხმობთ (მაგ. ილიასა და აკაკის პოემებში ეპიური საწყისების მთავარ საფუძვლებზე და სხვ.). მაგრამ ყველგან ჩანს დიდი სიყვარული და საკითხებისადმი მძაფრი შემოქმედებითი მიდგომა. ტ. ტაბიძის აქ გამოქვეყნებული წერილებიდან განსაკუთრებით აღინიშნება წინასიტყვაობა, რომელიც მან მაშინ ერთგვარად მივიწყებული მწერლის უიარაღოს „მამელუკის“ ასალ გამოცემას დაურთო 1935 წელს და პატარა პორტრეტი ვ. ბარნოვისა, რომელიც გამიზნული იყო იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს დღის სინათლეზე ეხილა ამ იშვიათი პიროვნების ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ძვირფასი მემკვიდრეობა.

რაც შეეხება ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტს, ეს არის დიდი გულსტიკივლით აღდგენილი და მომავალი თაობებისათვის ხელშესახებად ქცეული სახე დიდი ქართველი სახალხო მხატვრისა. ეს პორტრეტი შესრულებულია ისეთი უშუალობით, ისეთი შინაგანი სიმძაფრით, რომ მკითხველიც მონაწილე ხდება ამ შესანიშნავი ბელოვანის გასაოცარი ბედისა. რასაკვირველია, ეს პორტრეტი როდია გამონაკლისი ამ წიგნში. მართებულად შენიშნავს ამ წიგნის რედაქტორი გ. მარგველაშვილი, რომ მიუხედავად წიგნის მრავალფეროვნებისა, იგი გამსჭვალულია ერთიანი სულისკვეთებით და საკვირველი შინაგანი მთლიანობით ხასიათდება, და მართლაც, ეს არის პატრიოტი მწერლის თვალით დანახული სამყარო, აღსავსე ისეთი ძვირფასი აღმოჩენებით, რომელიც თვით აკადემიურ ლიტერატურათმცოდნეობას მისცემს მდიდარ საკვებს, უბიძგებს ახალი პორიზონტებისაკენ.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე რამდენიმე მხატვრული ნარკვევი. ეს არის უშუალო გაგრძელება ტ. ტაბიძის პოეტური შემოქმედებისა. სხვა ქართველ მწერალთა იმდროინდელ ნარკვევებთან ერთად მაღალი ოსტატობით შესრულებული ეს ნარკვევებიც უდავოდ ქმნიან გარკვეულ ეტაპს ჩვენში ამ ჟანრის დამკვიდრებაში და მისგან თანამედროვე ქართული ნარკვევის ოსტატებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ.

(თედო სახოკია)

ერთი შეხედვით იგი უფრო შინ მომუშავე, კაბინეტში კარჩაკეტილ მეცნიერს ჰგავდა. თხელი, კაფანდარა ტანისა, სახე — სწორი და დახვეწილი, ოდნავ მოყვითალო ფერის, ფოლიანტების ხშირ სტუმარს რომ გადაჰკრავს ხოლმე, უღვაშები ძველებურ ყაიდაზე დაბლა დაშვებული, მაღალი „შლიაპა“ და ასეთივე მაღალი, გახამებული საყელო. ასეთი ახსოვთ თედო სახოკია მის მახლობლებს, მეგობრებსა და პატივისმცემლებს.

მაგრამ მისი ახლო გაცნობა, მასთან საუბარი მყისვე დაგარწმუნებდათ, რომ იგი მარტო წიგნის კაცი არ იყო. ხალხის სამსახურში, ყოველდღიურ ბრძოლა-ჰიდილში ჰქონდა გამობრძმედილი საკუთარი ხასიათი. თედო სახოკიას პიროვნებაში ბედნიერად იყო შერწყმული სახალხო მოღვაწისა და მეცნიერის, პრაქტიკულად მებრძოლისა და კალმის უანგარო მსახურის თვისებები. არა მარტო გარეგნობით, არამედ მრავალმხრივი საქმიანობის ხასიათითაც იგი XIX საუკუნის მოღვაწეთა ტიპური წარმომადგენელი იყო.

პიროვნების ჩამოყალიბების ერთი საყოველთაო მოქმედი კანონის უიხედვით ადამიანი ახალგაზრდობაშივე ეზიარება, ითვისებს აზროვნების წესს, ახალ იდეებს, საკუთარი ცხოვრების მიზნად აქცევს ამ უკანასკნელთ და შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე მის განხორციელებას ემსახურება.

თედოს სიჭაბუკე დაემთხვა სწორედ ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებულ ეპოქას, როდესაც კვლავ არნახული ძალით იფეთქა ჩვენი ხალხის წილში მიმალულმა მთვლემარე ძალებმა, ხოლო საზოგადო ასპარეზზე გამოსული მოღვაწის უწმინდესი ვალი, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერის წყლულთა“ განკურნება შეიქნა.

თედო სახოკია თავის დიდ მოძღვრად სწორედ ილია ჭავჭავაძეს თვლიდა და ნიადაგ ცდილობდა ურყევად ევლო ერთხელ დასახული მიზნისაკენ.

ამიტომ არის, რომ თედო სახოკიას სახელს ჩვენ უფრო ხშირად XIX საუკუნეს ვუკავშირებთ. იგი ილიას. აკაკის, იაკობ გოგებაშვილისა და ივანე მაჩაბლის უმცროსი თანაბერძოლი იყო, მათთან ერთად ეწეოდა საზოგადო მოღვაწის მძიმე უღელს. საბედნიეროდ, მან დიდხანს იცოცხლა და გადმოაბიჯა კიდევ ახალი საუკუნის მეორე ნახევარს (თედო 1956 წელს გარდაიცვალა). მოგონებებში აღგვიდგინა თანამედროვეთა ნათელი სახეები და სიჭაბუკეში წამოწყებული ბევრი დიდი საქმე ბრწყინვალედ დაასრულა. თედო სახოკია იყო დიდებული მთარგმნელი, ჟურნალისტი. შესანიშნავი ეთნოგრაფი და ლექ-

სიკოლოგი, ქართული სიტყვისათვის ვალმოხდილი მებრძოლი.

თედოს არაჩვეულებრივად საინტერესო ცხოვრების გზა ჰქონდა გავლილი.

სიყმაწვილის პირველი წლები სამეგრელოსა და აფხაზეთში გაატარა. თედო დაიბადა სოფელ ხეთაში 1868 წლის 14 მარტს. ხოლო მამამისი ტიმოთე სახოკია მღვდელი იყო და სხვადასხვა სოფლებში (მათ შორის ერთხანს ქალაქ სოხუმშიც) უხდებოდა სამსახური. თედო შემდგომ სიყვარულით იგონებდა მისთვის დაუვიწყარ სოფლებს — ხეთას, შხეფს. აქაურ გლეხკაცობას. ვანსაკუთრებით კი სოფელ ბიას. სადაც იგი ძველთა ჩვეულებისამებრ იზრდებოდა ძიძის (მეგრულად „მორღუ“) იოსავას ოჯახში. ეს პირველი შთაბეჭდილებები, აქაური ყოფა ძალზე ცოცხლად აღიბეჭდა კიდევ მის შესანიშნავ ეთნოგრაფიულ წერილებში. რასაც იგი უმადლოდა აქ გატარებულ წლებს. დამახასიათებელია ამ თვალსაზრისით თვით მწერლის ერთი ჩანაწერი, რომელშიც პირველ ბავშვურ ხილვებს გვიზიარებს:

...სახლი გვედვა უდაბურს ტყეში. სულ ექვსასი-შვიდასი წლის პუნებით იყო იქაურობა საესე. შიგა ბუდობდა ათასგვარი ნადირი. აუარება ფრინველი. განსაკუთრებით ხოხობი. ტყეშივე ჰქონდათ მწყემსიგზს კარვები და ზამთარ-ზაფხულს აქვე ცხოვრობდნენ. უვლიდნენ ძროხებს. გლეხების კარ-მიდამოები ერთი მეორისაგან აქ ნახევარი და მეტი კილომეტრით იყო დაშორებული. მეგრელის ფანტაზია აქაურობას ავსებდა ყოველგვარი მავნე სულებით და ჩემს ნორჩს წარმოსახვასაც აუარებელი მასალა ეძლეოდა საზრდოდ. აქ ჩაიყარა ჩემს გონებას წარმოდგენა ოჩოკოჩებზე. ტყის მეფეებზე, ჭინკებზე... როგორც ერთი. ისე მეორე და მესამე შეადგენდა ცეცხლა პირას ყოველდღიური ბაასის საგანს და იმდენადაც იყო პატარებისა თუ დიდების გონება ამ ბაასით შეპყრობილი, რომ მზის ჩასვლის შემდეგ სამზარეულოდან სახლში შესვლა მარტოს გვიშინოდა. მეტადრე ბნელს ღამეში. და დღესაც. უკვე სამოცდამეთექვსმეტე წელში ფეხგადადგმულს. თითქოს მთელი ქვეყნიერება შემოვლილს და ამდენის ვისიმე და რისიმე მნახველს გულწრფელად არ შემეძლია იმის თქმა — ბავშვობის შთაბეჭდილებათა გავლენისაგან სრულებით თავისუფალი იარმეთქი... იმდენად შეეწოვა ჩემს ნორჩ სისხლსა და ხორცს. იმდენად აღებეჭდა ჩემს ფსიქიკას პირველყოფილი ადამიანის ეს შიში და ზარი...

პატარა თედო 1877 წელს მიაბარეს მარტვილის (ამჟამად გეგეჭკორი) სასულიერო სასწავლებელში (სწორედ აქაური სწავლების უკუღმართ წესებზე მოგვითხრო მან შემდეგ მშვენიერ წიგნში „როგორ ვიზრდებოდი ძველად“). ხოლო 1883 წელს იგი სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. უნდა ითქვას, რომ აქედან იწყება მისი მღელვარე ცხოვრების გზა და ახლებურ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი. აღსანიშნავია, რომ მან სემინარიაშივე უარყო მშობლების არჩევანი, რომლებიც ტრაპეზის მსახურის უშფოთველ მომავალს უმზადებდნენ თავიანთ პირშმოს. სემინარიაშივე შეიძინა

ზირველი მეგობრები: იოსებ ლალიაშვილი და შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი). მათივე შთაგონებით აირჩია სამოღვაწეო ასპარეზი.

შეუბრძნებელი და პრინციპული იყო თედო საზოგადო საქმეში, უკანდახევა უცნობი იყო მისთვის. ჯერ სემინარიიდან გარიცხული, ზოლო შემდეგ პატიმრობიდან თავდაღწეული თედო 1898—1900-იან წლებში საცხოვრებლად სოსხუმში გადავიდა. როგორც ცნობილია, ეს იყო ცხარე ბრძოლების პერიოდი. რუსეთის ცარიზმი უკვე აშკარად მოქმედებდა, ცდილობდა საქართველოსათვის მოეწყვიტა ეს მხარე, ავიწროებდა ადგილობრივ მკვიდრთ და ასახლებდა კოლონიზატორებს. ცარიზმი სასტიკად უსწორდებოდა ყველას. ვინც კი ამ საქმეში უშლიდა ხელს. ხელისშემშლელთა შორის ერთი პირველთაგანი სწორედ თედო საზოგადო იყო. ცნობილია კიდევ მაშინდელი კავკასიის მხარის კანცელარიის ოფიციალური დოკუმენტი, სადაც პირდაპირ არის დასახელებული თედო და მისი თანამებრძოლნი, რომლებიც ხელს უშლიდნენ ცარიზმის ბნელ პოლიტიკას. თუ არა ის დიდი ბრძოლა, რომელიც ილია ჭავჭავაძის მეთაურობით გადაიხადეს ქართველმა მოღვაწეებმა. მეფის აგენტურა მიაღწევდა კიდევ საწადელს. თედო საზოგადო — გვიამბობს ამ ბრძოლების ერთი მომსწრე. — თბილისსა. სოსხუმსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, საიდუმლო წრეებში დაჰქროდა. ენერგიული მუშაობით ყველგან სიცოცხლე შეჰქონდა. იგი განუხრელად მტკიცე რწმენას გამოთქვამდა. რომ ბოლოს და ბოლოს. სწორ გზაზე შემდგარი რევოლუციური მოძრაობა გაიმარჯვებდა და სამარცხვინოდ დაეცემოდა ის ხელისუფლება, რომელიც რუსეთის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე და განაპირა ქვეყნებში მოსახლეობას სულს ხდიდა და ცხოვრების ყოვლად აუტანელ ზირობებს უქმნიდა.

თედოს უდრეკე ხასიათს კარგად ამხელს ერთი შემთხვევა: სწორედ ამ ხანებში დანიშნული იყო სოსხუმის ქალაქისთავის არჩევნები (მანამდე თურმე სოსხუმს გოგოლის მიერ გამასხარავებული „გოროდნიჩის“ ტიპის ხელისუფალი მართავდა). ცარიზმის აგენტებმა თავის კანდიდატურად ვინმე შავრაზმელი ბერენსი წამოაყენეს. არჩევნებმა შედეგი არ გამოიღო. რადგან თედო საზოგადო და მის თანამებრძოლთა თაოსნობით ქართველთათვის სასურველმა კანდიდატებმა გაიმარჯვეს. თუმცა ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა არჩევნები და სოსხუმის ქალაქისთავად მაინც დანიშნეს ორჯერ გაშავებული ბერენსი. და აი. როცა ქალაქისთავი გამოცხადდა თავის პოსტზე, მან მოიწვია ზმოსანთა კრება და შეეცადა თავაზიანი ქვეყით დაეფარა გულისწყრომა. იგი დარბაზში სათითაოდ ართმევდა თურმე ხელს კრების მონაწილეებს. ჯერი თედოზე მიდგა. მაგრამ თედომ ხელი არ გაუწოდა ქალაქისთავს და პირში მიახალა: ლაფდასხმულს მე ხელს არ ვართმევო! თედოს გაბედულ საქციელს დიდი სენსაცია გამოუწვევია და საბოლოოდ შეურყევეია ქალაქისთავის ავტორიტეტი. თედო კი შემთხვევით გადაღრისა დაპატიმრებას.

თედოს სოსხუმში მოღვაწეობის პერიოდიდან აღსანიშნავია, სხვა-

თა შორის, ერთი საგულისხმო ისტორიული ფაქტი. ქართველ და აფხაზ ინტელიგენტთა თაოსნობით აქ გაიხსნა რეალური სასწავლებელი, რაც ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის საწინააღმდეგო აშკარა აქცია იყო. ამ თაოსნობას გულმხურვალედ მიესალმა ილია ჭავჭავაძე და დაესწრო კიდევ სასწავლებლის საზეიმო გახსნას. ილიას აქ წარმოუთქვამს საგულისხმო სიტყვა, რომელშიც ნაზგასმით არის გატარებული დიდი მოაზროვნის მიერ წლების მანძილზე შემუშავებული ავალსაზრისი სოციალურსა და ეროვნული ერთიანობის საკითხებზე. თავისი დიდი მოძღვრის ეს სიტყვა თედოს სტენოგრაფიული სიზუსტით ჩაუწერია და შემოუნახა კიდევ ჩვენს შთამომავლობას (იგი იწახება მის არქივში). გარკვეული ინტერესის გამო მოვიტან ამ სიტყვასაც:

„ბატონებო! დიდის პატივისცემით მოგესალმებით, ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს კალმით დახატულ კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს. მადლობელი ვარ თქვენი დახვედრისათვის, ჩემი პატივისცემისა და დღეგრძელობისათვის!

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ეგრე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. აქ რომაელთა ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით გვევლინებაო. თქვენ რომ გიკტქით, ეს თქმა ასე უნდა შეეცვალოს: სინათლე დასავლეთიდან მოდის საქართველოსათვის მაინც-მეთქი! თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელს ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი დაჯდება, ვინც ირჯება. ვინც მუდამ შრომობს, ვინც ცდილობს ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს. აცა. ეგებ რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოო, ის ხალხი ტყუილა ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში, ტყუილი იმედი ნუ აქვს ცხოვრების ჭიდილში ფონს გავიდეს; ასეთ ერს. ვიმეორებ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, საკაცობრიო ცხოვრების სუფრაზე ადგილი არ ექნება. გემრიელი ლუქმა ცხვირზეით ასცთება, ნასუფრალი თუ ხვდა, ღმერთს მადლი შესწიროს. ყველასაგან გათელილი, ყველასაგან დაბრძოებული. ყველაფერში ჩამორჩენილი, ყველასაგან ყბადაღებული ისაა. ვისაც თავის მარჯვენის იმედი არა აქვს, ვინც თავისი ძალღონით არ ჰლამის ლელოს გატანას ცხოვრების მოედანზე.

თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრაღისნი, რომ მეტად ტაატით მივიღივართ ეკონომიკური მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენ გეჩაგვრავს, თავზე გვახდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენ ხელშია; აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ; გეტყობათ, დღესა და დამეს ასწორებთ, ცდილობთ. უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთი-ორად აქციოთ ფხიზლობთ, ყური მახვილად გიჭირავთ, საიდან როგორ უკეთესად და სარფიანად მოაგვაროთ თქვენი საქმე, ამისთვის თქვენთვის გამჩენს

შნო მოუცია და ამ შნოთი შნოიანად სარგებლობთ კიდევ. მერწმუნეთ, თუ ქონებრივად ღონივრები იქნებით, ყოველივე სიკეთე ამქვეყნიური თავისით მოგადგებათ კარზე. თუ ეკონომიურად წელში გავიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაადერძევი, შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს; თუ ვაჭრობას, თანამედროვე ცხოვრების ამ მთავარ ძარღვს ვუერთგულეთ, ბურთი და მოედანი ჩვენია, ლელოს გატანაში ვერავინ შეგვეცილება. რომ მოგახსენეთ: საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლის, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გნით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძოთ, ერთობლივი, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულს ათასგვარ მტერსა და ღუშ-შანს კრიჭაში ჩავუდგეთ, ხმაღამოღებულნი დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ.

მაშ, გაგიმარჯოთ, ბატონებო! ჩვენი ქვეყნის აღორძინების პირველად მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭირახობას, სიმკვირცხლეს! ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ხალხის სანუგეშოდ და წარსამატებლად“. ისიც საგულისხმოა, რომ ილიას ეს სიტყვა წარმოუთქვამს 1903 წელს.

თედო სახოკიას ძალზე საინტერესო თავგადასავლიდან (მას მოვლილი ჰქონდა ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყანა) აღსანიშნავია მისი რევოლუციური მოღვაწეობის ერთი ეპიზოდი: 1905 წლის მღელვარე ამბების დროს თედო პარიზში ცხოვრობდა სხვა გადახვეწილ ქართველებთან ერთად. მათ გადაწყვიტეს დახმარებოდნენ აჯანყებულებს. გ. დეკანოზიშვილის თაოსნობით გემი „სირიუსი“; მოადგა საქართველოს ნაპირებს, რათა აჯანყებულთათვის მიეწოდებინა საომარი იარაღი. დიდი ნაწილი იარაღისა დაურიგდა შავი ზღვის სანაპიროზე აჯანყებულ რაზმებს, მაგრამ თედოს აქტიური მონაწილეობა გამქლავნდა და მან საპატიმროში ამოყო თავი.

ეს იყო თედო სახოკიას ცხოვრების უმძიმესი წლები. განაჩენი უღმობელი იყო. მას მთელი სიცოცხლე ციმბირის შორეულ გუბერნიისაში უნდა გაეტარებინა. მაგრამ სულიერ მსნეობას არც ახლა უღალატია მისთვის, საოცარი მოხერხებულობის წყალობით (ეს ამბები თედომ აღწერა თავის ავტობიოგრაფიული ხასიათის მოთარობაში— „ციმბირში“, რომლის მოლოდ ერთი ნაწილია გამოქვეყნებული) გი თავს აღწევს საუკუნო ტყვეობას და სამშობლოში ჩამოდის, მოინახულებს თავის გატანჯულ ოჯახს. მეგობრებს და მათივე დახმარებით ლახეთის გზით ევროპაში მიემგზავრება. თითქმის მთელი 15 წლის მანძილზე იგი ევროპის სხვადასხვა ქალაქში იტანდა ემიგრანტის უსი-ჩარულო დღეებს და ელოდა უკეთეს მერმისს. ბრიუსელში ყოფნის დროს თედოს ხშირი სტუმარი იყო თურმე მაშინ ახალგაზრდა გე-

რონტი ქიქოძე. თედოს თავის პატარა ოთახში, — იგონებდა შემდეგში გერონტი ქიქოძე, — მაგიდაზე ტაბელ-კალენდარი ედო და ყოველდღე ულიდა განვლილ დღეებს, მაგრამ დღის გასვლის შემდეგ კი არა, არა-მედ დილითვე. როცა ერთხელ გერონტის უკითხავს, შე კაცო, დღე-ვანდელი დღე ეს-ესაა მხოლოდ დაიწყო, შენ კი გადავიხზავსო, თედოს უპასუხნია: ემიგრანტისათვის რომელსაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა ტანჯავს, ყოველი გათენებული დღე უკვე განვლილი დღეაო.

რევოლუციის შემდეგ თედო დაუბრუნდა სამშობლოს. ევროპაში გატარებულ წლებს უქმად არ ჩაუვლია მისთვის. დიდად განსწავლული და რემდენიმე ევროპული ენის ცოდნით აღჭურვილი თედო გაორკეცებული ენერგიით შეუდგა მოღვაწეობას, რათა თავისი წვლილი შეეტანა განახლებული ქართული კულტურის აღორძინებაში.

ახლა, როცა იგი ისტორიას ეკუთვნის და კიდევ ერთხელ ვიგონებთ, ვაჭამებთ თედოს ნაღვაწს, შეუძლებელია არ განგვაცვიფროს იმ დიდმა მემკვიდრეობამ, რომელიც მან თავის ხალხს დაუტოვა.

ჯერ კიდევ 1889 წლიდან შიდა ქართლის სოფელში, ტირქნისში მასწავლებლად მყოფი თედო ჩვენი ცნობილი ხალხოსანი მწერლის ნიკო ლომოურის წაქეზებით ხელს ჰკიდებს საშვილიშვილო საქმეს: კრებს მასალებს ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმების ლექსიკონისათვის. მან კარგად იცოდა, რომ იმას. რაც ლიტერატურაში შემოვიდა, დაკარგვა აღარ უწერია და ყველაზე საშურია ხალხში გაბნეულის საუნჯის მოგროვება; ის, რაც დღეს ზეპირ თქმაში ცოცხლობს, შეიძლება ხვალ სამუდამოდ გაქრეს და უცნობი შეიქნას შთამომავლობისათვის.

აი, როგორ იგონებდა შემდგომ თავის პირველ ნაბიჯებს ამ მიზართულებით მწერალი: „ერთ წელიწადს სოფლის მასწავლებლად მოყვები ქართლის სოფელში. თუმცა ქართულს ენას ძალიან ვეტანე-ზოდი და მეგონა სხვა ენებთან შედარებით, ეს ენა ასე თუ ისე ვიცოდი-მეთქი, მაგრამ ქართლში ყოფნამ და ქართულების მეტყველებამ დამარწმუნა, რომ დიდი და დიდი მუშაობა მჭირდებოდა ამ ენის შესათვისებლად. რომ არ შემრცხვენოდა საზოგადოებაში ჩემის ქართულის ცოდნით თავის გამოჩენა. პირდაპირ აღმაფრთოვანა ჩვენის ხალხის ზეპირსიტყვიერებამ. ამ მრავალფეროვანმა და ამოუწურავმა ზღვამ ხალხის სიბრძნისამ!.. აქვე ჩაეყარა ჩემს მიერ ქართული ხატოვანი თქმების სალექსიკონო მასალათა და ანდაზათა შეკრების საქმეს. ქართული მეტყველების მასალათა შეკრებისა და ერთად თავის მოყრისათვის ზრუნვა გადამექცა კულტად, ჩემის სიცოცხლის მიზნად. ამ ათ წელს წინად (ეს მოგონება დაწერილია 1943 წელს — ს. ც.) შევუდექი ჩემის ახალგაზრდობის დროის ნაღვაწის დალაგებას წესრიგზე, დასაბეჭდად დამზადებას. და თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვოდი, რომ იმედი მაქვს, როცა გამოქვეყნდება, მომავალი თაობა არ დაიშურებს ლოცვა-კურთხევით მომიხსენიოს-მეთქი“.

ნახევარ საუკუნეზე მეტი იშრომა თედომ შვილივით საყვარელ წიგნზე, გზადაგზა ზეწვდა, ახალი მასალებით ავსებდა და აი, ამ ათი-ოდე წლის წინ ქართველმა მკითხველმა მიიღო მშვენიერი საჩუქარი. ფიგურალური თქმების სამტომიანი ლექსიკონი.

ლექსიკონში მოხვედრილ ყოველ ხატოვან სიტყვაში აღბეჭდილია ქართველი ხალხის მხატვრული ნიჭიერება, სიტყვათშემოქმედება. ამავე დროს ფორმალურად ქვეული ყოველი გამოთქმა მთელი ისტორიაა, შეკუმშული და განზოგადებული სახით გადმოცემული.

ამასთან, თედო შესანიშნავად აგრძელებდა ჩვენი ლექსიკოგრაფების სახელოვან ტრადიციას: სულხან-საბას, ვანტანგ VI და სხვათა მსგავსად ყოველი მისი განმარტება მარჯვეა, ლაკონიურია, თვითონ არის ნიმუში დახვეწილი ქართული ენისა. თედოს ლექსიკონის ასეთ ღირსებას ქებით იხსენიებს ჩვენი ცნობილი ეთნოგრაფი გიორგი ჩიტაია და სანიმუშოდ ერთ განმარტებას ასახელებს. ხატოვანი გამოთქმა „ოწინართ ასაწევი“ ასეა განმარტებული: „დაცინვით, საქირდავად თქმა. ამით მიმართავენ მცონარა ადამიანს, რომელიც სულ სხვას შესცქერის თვალ-წარბში, ერთთავად სხვათა მოიმედება და თვითონ კი ესიკვდილება განძრევა და ფხის გამოჩენა“. აბა, დააკვირდით მთელ წინადადებას, ზარმაცი კაცის უკეთ დახატვა მართლაც რომ შეუძლებელია, ხოლო თედოსეული „ესიკვდილება“ და „ფხის გამოჩენა“ თვითონხვეა ხატოვანი მეტყველების მშვენიერი ნიმუშები.

ასეთივე უნიკალური შრომაა თედოს მიერ შეკრებილი ქართული ანდაზები. რამდენადაც ვიცი, ეს ყველაზე სრული და მსიშველოვანი კრებულია და ამ შემთხვევაშიც დაუფასებელია თედო სასოკიას ღვაწლი.

ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს მაღალი მთარგმნელობითი კულტურით, ამ დარგის ბრწყინვალე დიდოსტატებით რამდენაღ დადარიბდებოდა ჩვენი მწერლობა იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელების, ეფრემ მცირისა და სარგის თმოგველის დიდებული თარგმანების გარეშე, ან იგივე სულხან-საბა და ვანტანგ VI, ხოლო შემდეგ XIX საუკუნის მთარგმნელთა ახალი სკოლა ილიასა და ივანე მაჩაბლის მეთაურობით! მათ განუზომელი ღვაწლი დასდეს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას, მსოფლიო კულტურას აზიარეს ქართველი მკითხველი. თედო სახოკია ეკუთვნოდა გაზეთ „ივერიასთან“ ჩამოყალიბებულ ჟურნალისტთა და მთარგმნელთა წრეს, რომელსაც ამშვენებდნენ ი. მაჩაბლის, ი. მაჭავარიანის, ნ. ავალიშვილის, ი. აგლაძის, ძმები ყიფშიძეებისა და სხვათა სახელები. ეს იყო მრავალმხრივი კულტურული პროცესი. შემეცნებით დანიშნულებასთან ერთად ეს იყო დიდი ბრძოლა ქართული სიტყვის ახალი სიმამლეების დასაპყრობად. თედო ამ ბრძოლის ერთ-ერთი ღირსეული მონაწილე იყო.

იშვიათია ისეთი ქართველი მკითხველი, რომელიც არ იცნობდეს ბოკაჩიოს, მოპასანის და პიუგოს თედო სახოკიასეულ თარგმანებს.

თედომ თარგმნა აგრეთვე გარიბალდის „კლელია“, ანრი ბარბიუსის



„ცეცხლი“; „ვოლტერის, ალფონს დოდეს, ფრანსუა კოპეს, ოქტავ მიროს, ემილ ზოლას, ანდერსენის და სხვათა თხზულებები.

გარკვეულ ეროვნულ მიზნებს ისახავდა თედოს მიერ ბულგარული მწერლობის ნიმუშების თარგმნა (ი. ვაზოვის „დამონებულნი“ და სხვ.); რადგან ამ წიგნებში აღწერილი იყო დამპყრობთა წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ამდენად მახლობელი უნდა ყოფილიყო ქართველი მკითხველისთვისაც.

როგორც ზემოთაც ვთქვი, თედო რამდენიმე ევროპულ ენას ფლობდა, მაგრამ მისი, როგორც მთარგმნელის, უპირველესი ღირსება მხოლოდ აქ არ უნდა ვეძიოთ. იგი კარგი მოქართულე იყო და შესანიშნავად განიხილდა მშობლიური ენის დედაბუნებას. მისი ენა არ იყო მშრალი, მწიგნობრული, არამედ ზომიერად შეხვეებული ხალხური სასაუბრო მეტყველებით. განსაკვიფრებული მხატვრული ტაქტით თარგმნიდა იგი ისეთი განსხვავებული ეპოქისა და ხასიათის თხზულებებს, როგორცაა „დეკამერონი“ ან მოპასანის მოთხრობები, ჰიუგოს რომანტიკული მოთხრობა ან ბარბიუსის დოკუმენტური იერის მქონე პროზა. სამწუხაროდ, თედოს, როგორც მთარგმნელის, ღირსებები და თავისებურებანი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და დაფასებული.

თედო ამავე დროს ერთ-ერთი პირველი ქართველი ეთნოგრაფია. პარიზში ყოფნის დროს მან წლები მოანდომა ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა შესწავლას, იგი ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით იკონებდა პარიზში ცხოვრების ამ პერიოდს: „1900 წლის ზაფხულში ჩამოსული პარიზში. — წერს თედო თავის ერთ ავტობიოგრაფიული ხასიათის თხზულებაში.— მსოფლიო გამოფენის დათვალიერების შემდეგ, შემოდგომაზე შევდივარ პარიზის საანთროპოლოგიო საზოგადოებასთან ცნობილ ანთროპოლოგ ბროკას მიერ დაარსებულ საანთროპოლოგიო უმაღლეს სკოლაში, სადაც პროფესორებად იყვნენ მაშინდელი ისეთნი მნათობნი საანთროპოლოგიო მეცნიერებათა, როგორებადაც ითვლებოდნენ: შარლ ლეტურნი, ანდრე ლეფეერი, ლ. მანუვარი და სხვ. ჩემის სიცოცხლის საუკეთესო, უტყბესი დრო იყო ის ოთხი წელიწადი...“

მან არა მარტო შეისწავლა ორივე ეს რთული დარგი, არამედ თვითონაც შეეცადა გაეცნო ფრანგთათვის ქართული ეთნოგრაფიული ყოფა და მდიდარი ქართული ფოლკლორი. ანთროპოლოგიურ საზოგადოებაში იგი კითხულობს რამდენიმე მოხსენებას, მათ შორის, ქართულ ხალხურ სამკურნალო მედიცინაზე — „ყვავილ-ბატონები სამეგრელოში“. საქართველოში შემორჩენილმა ავადმყოფობის პერსონიფიციკრების უნიკალურმა ჩვეულებამ, საერთოდ ძალზე ორიგინალურმა მასალებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და მოხსენება მალე ფრანგულ ენაზეც დაიბეჭდა. ხოლო მისი ავტორი საფრანგეთის

ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად იქნა არჩეული.

თედოს, როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენს ქურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს საგულისხმო ნაკვეთები ქართული ეთნოგრაფიიდან, რომლებიც შემდეგში ერთ წიგნად გამოიცა სათაურით— „ეთნოგრაფიული წერილები“.

თედოს ბელეტრისტიკის ნიჭი და ეთნოგრაფის მახვილი თვალი შერწყმულია ისეთ შესანიშნავ ნაკვეთებში, როგორიცაა მოგზაურობანი გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში. სოლომონ ცაიშიელი, ერთ-ერთი პირველი აღმწერი თედო სახოკიას ღვაწლისა, „მოგზაურობებს“ განსაკუთრებულ მაღალ შეფასებას აძლევს: „ავტორი ამ ნაშრომებში, — წერს იგი, — არ არის ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის უბრალო შემკრები ან რომელიმე ძველი ლიტერატურის, რელიგიური რწმენის, ხალხის ზნე-ჩვეულების, სამეურნეო წყობის, არსებული ყოფა-ცხოვრების უბრალო აღმუხსველი, იგი მოვლენათა ანალიზით სათანადო დასკვნებს აკეთებს და ამბობს რაღაც ახალს. მოგზაურობათა ეს კრებული თავისი დროის ერთგვარი მატიანეა, მაგრამ არა ძველ მატიანეთა მსგავსი, არამედ ხალხის ყოფა-ცხოვრებით და ხასიათით დაინტერესებული. ამასთანავე ავტორი ამ მოგზაურობის მიხედვით დოკუმენტური პროზის შესანიშნავი ოსტატია“.

თედო სახოკია თავისი ცხოვრების და შემოქმედების ყველაზე დიდ მასწავლებლად, როგორც ითქვა: აღიარებდა ილია ჭავჭავაძეს. თავისი დიდი შოძღვისაგან შეითვისა აგრეთვე განსაკუთრებული სიყვარული ქართული სიტყვისადმი. იგი განსაკვიფრებელი პრინციპულობით იცავდა ქართული ენის სიწმინდეს.

არა მარტო მწერლობაში, არამედ ჩვეულებრივი საუბრის დროსაც თედო განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდა ქართულ ენას, ვაი მას, ვინც უხეირო ქართულით მეტყველებდა ან „უცხო“ სიტყვებით აკრებდა სასაუბრო ქართულს. თვითონ, პირადად, ბევრჯერ უევსწრებივარ ამგვარ სცენას, თედო ჯერ გაკიცხავდა, მერე დაარიგებდა ცუდ მოქართულეს. იგი ამ საკითხში არავის ინდობდა. თედოს აზრით, ქართველმა მწერალმა არა მარტო წიგნებში, არამედ თვით ცხოვრებაში, პრაქტიკულად უნდა იბრძოლოს მშობლიური ენის სიწმინდისათვის.

მსცოვანი მწერალი სიკვდილამდე ინარჩუნებდა მხნეობას და გატაცებით მუშაობდა, რათა საბოლოოდ მოეწესრიგებინა თავისი დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა. სიკვდილმა მას 88 წლის ასაკში მოუსწრო; თუმცა არა, კი არ მოუსწრო, ეწვია, რადგან თედომ თითქმის დაასრულა კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრება და ბიბლიური სიმშვიდით ელოდა გარდაუვალი კანონის აღსრულებას.

იგი ზორბა, გოლიათური აღნაგობის მოხუცია, თითქოს უჭირს ვეება სხეულის ტარება და ნებ-ნება, სვენებ-სვენებით მისეირნობს საყვარელი ქალაქის ქუჩებში. განსაკუთრებით რუსთაველის პროსპექტი უყვარს და ახლაც ხშირად დაინახავთ ლენინის მოედნის შესაყართან, მოაჯირზე მიყრდნობილს. ღიწკი, ჩაფიქრებული მზერით გაპყურებს ქუჩას და თითქოს წუხს, რომ ყრმობის ასლობელ მეგობართაგან თითქმის ვერავის ხედავს, კანტი-კუნტად თუ მოკრავს თვალს ნაცნობ სახეს. აბა რა გასაკვირია! ოთხმოცდაათი წელი აღამიანისთვის რამხელა სავალი გზაა, მით უფრო, როცა მთელი სიცოცხლე ხალხის სამსახურში გაუტარებია.

მაგრამ აბა შიდათ, გამოეცნაურეთ და ჰკითხეთ თანამედროვე მწერლობის ამბები. მყისვე გამოცოცხლდება და საოცარი ენთუზიაზმით დაგიწყებთ საუბარს: იგი ჩვენი მწერლობით, ლიტერატურით სუნთქავს და ისეთ ავტორებსაც კი დაგისახელებთ, რომელთაც მხოლოდ გუშინ შემოაღეს ქართული მწერლობის კარი. ოღონდ გულისტკივილით დასძენს, რომ მათ იგი პირადად არ იცნობს ისე, როგორც თავისი თაობის მწერლებს, რომლებთანაც ერთად იგი 70 წლის განმავლობაში იზიარებდა ჩვენი ლიტერატურის ჰიერ-ვარაშს.

ახალი თაობა მსცოვან კრიტიკოსს იპოლიტე ვართაგავას მეტწილად იმ პაექრობიდან იცნობს, რომელმაც გამოიწვია ვაჟა-ფშაველას ბრწყინვალე წერილი „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“. ვაჟა-ფშაველამ ამ წერილში თქვა თავისი სათქმელი და თავმდაბლურად მაგრამ მაინც გვაგრძნობინა, თუ როგორი საზომები უნდა მიეუყენოთ „სტუმარ-მასპინძლისა“ და „ალუდა ქეთელაურის“ შემქმნელ პოეტს. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, გენიოსის დანახვა შეიძლება მხოლოდ იმ უშველებელი საკმეილიდან, რომლიდანაც მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაეგლება, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზე.

მაგრამ ამის გარეშეც იპ. ვართაგავას ნარკვევი: „სიმღერა მთის შვილის ვაჟა-ფშაველასი“ თავის დროზე საინტერესო მოვლენა იყო და ერთ-ერთი პირველი ცდა ვაჟას შემოქმედების მონოგრაფიულად განხილვისა.

იპოლიტე ვართაგავა (გვარი ვართაგავა იგივეა, რაც ვახტანგაძე, როგორც ვართანაძე, ვათა — ვახტანგი და ვატო) 1894 წლიდან იწყებს მოღვაწეობას, როცა ჯერ კიდევ თბილისის სემინარიაში სწავლობდა. იგი ინტენსიურად მოღვაწეობდა გ. წერეთლის „კვალში“ შემდეგ ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ და ზედიზედ აქვეყნებდა მძაფრ პუბლიცისტურ

წერილებს, რომლებშიც დახატული იყო მაშინდელი საქართველოს მავარდნილი კუთხეების (სამეგრელო, სამურზაყანო) მძიმე სურათები. განა დასავიწყარია ის ბრძოლები, რომლებიც გადაიხადეს ილიამ, აკაკიმ, ნიკო ნიკოლაძემ, დავით ერისთავმა, იონა მეუნარგიამ, თედო ჯორდანიამ და სხვებმა იმ გადაგვარებულთა წინააღმდეგ, რომლებიც ცარიზმის ხელშეწყობით აღვივებდნენ სეპარატულ მიდრეკილებებს. ამ ბრძოლებში იპ. ვართაგავას თავისი წვლილი აქვს შეტანილი. ამაზე მეტყველებს მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა იმდროინდელ სამეგრელოს სკოლებში და აგრეთვე მისი პუბლიცისტური წერილები. 1894 წელს „კვალში“ დაიბეჭდა მთელი სერია წერილებისა „სამეგრელოს ვითარება“, რომლებშიც სამარცხვინო ბოძზე იყო გაკრული გადაგვარებულთა ერთ-ერთი ლიდერი, მასწავლებელი თადა აშორდია (სხვათა შორის, ეს ის თადა აშორდიაა, რომელმაც პროტესტი განაცხადა ილია ჭავჭავაძის სამეგრელოში ჩასვლის გამო, და შემდეგ პროვოკაციული ჭკრებით აბეზღებდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს).

მაგრამ მთავარი სარბიელი იპ. ვართაგავასთვის მაინც ქართული მწერლობაა. მას ეკუთვნის საინტერესოდ დაწერილი „მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველესი დროიდან“ (1909—1910 წწ.). „სიტყვიერების თეორია“ და ა. შ. მან დაწერა პირველი მონოგრაფია შესანიშნავ. მაგრამ რატომღაც მივიწყებულ პოეტ გრიგოლ აბაშიძეზე; რამდენიმე წერილი მიუძღვნა აგრეთვე რაფიელ ერისთავის შემოქმედებას და ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა პოეტის ღრმა კავშირი ხალხურ პოეზიასთან. იპ. ვართაგავას, სხვათა შორის, ხშირად აღუნიშნავს, რომ კრიტიკოსი შორიდან, მხოლოდ წიგნებიდან არ უნდა შეჰყურებდეს მწერლობის განვითარებას. იგი ახლოს უნდა იდგეს მწერლებთან, პოეტებთან და მათთან ერთად უნდა ეწეოდეს ლიტერატურული ცხოვრების მძიმე ჭაპანს. კრიტიკოსს მწერალთან ახლო ნაცნობობა ხელს უწყობს მისი შემოქმედების კიდევ უფრო ღრმად შესწავლაში. მსცოვანი კრიტიკოსი ამის უამრავ მაგალითებს დაგისახელებთ. იპ. ვართაგავას შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მონოგრაფია „შოი მღვიმელი და ბავშვთა სამყარო“ (1917 წ.) უეჭველად ასეთი მეზობრობის შედეგია. კრიტიკოსი საოცარი სითბოთი გვახედებს შოი მღვიმელის პოეტურ სამყაროში.

იპ. ვართაგავა ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მსცოვანი მწერალია და იგი თავის მენსიერებით ატარებს გამოჩენილ ქართველ მწერალთა სახეებს, XIX და XX საუკუნის ლიტერატურულ მოვლენათა ცოცხალ სურათებს. თავის საინტერესო „მოგონებებში“ და „ქართველ მწერალთა სილუეტებში“ მან დაიწყო ყოველივე ამის ქაღალდზე გადატანა და იმედია, რომ იგი ამ კეთილშობილურ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

## მუხენება ქართული კრიტიკული აზრისა

(გერონტი ქიქოძე)

დღეს ჩვენ რაღაც განსაკუთრებული მოკრძალებით ვიხსენებთ გერონტი ქიქოძეს, შესანიშნავ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს. მის სახელთან სიტყვის ხელოვნების დარგში არაერთი სიახლეა დაკავშირებული.

საკმარისია ითქვას, რომ მან დააფუძნა ჩვენში სრულიად ასლებური კრიტიკული პროზა, რომელიც დღესაც სანიმუშოა როგორც აზროვნების წესით, ისე მხატვრულ მოვლენათა იშვიათი ანალიზით.

იგი ქართული ენის ქვეშაირი არტისტი იყო. ეს მაღალი თვისება კიდევ უფრო ხელშესახებად გამოვლინდა მის უბაღლო თარგმანებში, რომელთაგან მეტი წილი დღეს ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის კლასიკას განეკუთვნება.

გერონტი ქიქოძე გამორჩეული იყო თავისი შეუბღალავი ბიოგრაფიით, პიროვნული ღირსებებით. პრინციპული და უკანკაღსებელი. იგი მაღალი რანგის ტიპიური ინტელიგენტი იყო. „გერონტი ქიქოძე არ იყო ისეთი მწერალი, რომელიც სიკვდილის შემდეგ ან ქრება ან კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ის სიცოცხლეშივე იყო მნიშვნელოვანი და საყვარელი“. ეს სიტყვები დემნა შენგელაას ეკუთვნის. ზართლაც, სიცოცხლეშივე მოიპოვა მან განსაკუთრებული სახელი. მაგრამ ისიც ნიშანდობლივია, რომ გერონტი ქიქოძის მწერლობა ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენს დროს. ახლა თაობების მოსვლასთან ერთად.

\*\*\*

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ჩვენში ჩამოყალიბდა გონებრივი მოღვაწის სრულიად ახალი ტიპი. ასევე ტიპიურია მათი ინტელექტუალური სრულყოფის გზაც. მეტი წილი მათ შორის განათლებას რუსეთის და ევროპის საუკეთესო ცენტრებში იღებს. მაგრამ ეს არ იყო მათთვის რაიმე თვითმიზანი ან მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის საშუალება. მათი მრწამსი უპირველეს ყოვლისა საკუთარი ხალხის ყოველმხრივი აღორძინებისაკენ იყო მიმართული. „მათ ახალთ აღვიუგინონ შენ დიდების დღენია...“ ილიას აჯრე ნათქვამი სიტყვები თითქოს გულისხმობდა კიდევ სამომავლოდ მაინც ამგვარი აჯრის დახორციელებას.

მოვიდა, მე არ შეეცდები თუ ვიტყვი, „დიდი თაობა“, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ათთქოს კიდევ ერთხელ განხორციელდა ქართველი ხალხის იმანენტური სწრაფვა, რომელიც მსოფლიოს მოწინავე კულტურული მოძრაობის

ბისაკენ იყო ყოველთვის მიმართული. ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მისწრაფება ისევ და ისევ საკუთარი ხალხის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტას ისახავდა მიზნად. გერონტი ქიქოძეს როგორც ბიოგრაფიით, ისე შემოქმედებით მრწამსითაც ამ დიდი თაობის ერთი ყველაზე აღიარებული წარმომადგენელია.

გიაგლის წლები და უკვე ხანდაზმული მწერალი ასე შეაჯამებს ზნას, რომელიც, როგორც ითქვა, იმთავითვე გამორიცხავდა დამღუპველ ცალმხრივობასა და ეროვნული ტრადიციების უგულვებელყოფას: „ევროპულ მეცნიერებაში ამაოდ ვეძებდი იმ კითხვების პასუხს, რომლებიც შეენჯინდნენ, ფლობერის რომანებით და შოპენის პრელუდიებით კი არ შეიძლებოდა სულიერი სიცარიელის ამოვსება.

ქართული კულტურის ისტორიას ცუდად ვიცნობდი, მაგრამ სწორი ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ჩემი სამშობლოს კულტურულ წარსულში შემეძლო მეპოვნა სანათური, რომლებიც ბნელ გზებს გამინათებდა სკეპტიციზმის ლაბირინტებში“. აქვე შევნიშნავ იმასაც, რომ ეს სიტყვები ამოღებული გახლავთ მწერლის ცნობილი მოგონებიდან („განთიადიდან შუადღემდე“) რომელიც ავტორის ბიოგრაფიის გადმოცემასთან ერთად ფაქტიურად ორი საუკუნის გზაჯვარედინზე მდგომი მთელი თაობის სულიერი ცხოვრების მატიაწეა.

გერონტი ქიქოძის ბიოგრაფია ტიპიურია იმ თვალსაზრისითაც, რომ სხვა მის თანატოლთა მსგავსად, ისიც სოფელში აღიზარდა და შემდეგ შეუერთდა იმ საზოგადოებას, რომელიც თანდათან ყალიბდებოდა ჩვენს აღორძინებულ ქალაქებში.

მისმა ბავშვობამ და ადრეულმა სიყმაწვილემ განვლო გურიის ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეში, კერძოდ კი, სოფელ ბახვში, რომელიც გაშენებულია ბახმაროს მთიდან დაქანებული მთის მდინარის— ბანეისწყლის ნაპირებზე.

საქართველოს აღორძინებისაკენ მუდმივად სწრაფვის საწინდარი ალბათ ისიც იყო, რომ იმ ხანად თითქმის ყოველ სოფელში შეხვდებოდა ოჯახებს, რომლებიც კულტურით, სულიერი დახვეწილობით ამჟღავნებდნენ ძველ ქართულ ტრადიციათა უკვდავებას. განათლებისაკენ ასეთი მიდრეკილებაც ალბათ ასეთ ტრადიციებითვე იყო განპირობებული. ამ თვალსაზრისითაც ტიპიური იყო ქიქოძეთა ოჯახი, მთელი საგვარეულო. საკმარისია ითქვას, რომ ქიქოძეთა სახლუელობამ შემდეგ ჩვენ ქვეყანას მისცა არაერთი გამოჩენილი ადამიანი სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში. სწორედ ამ კუთხიდან გახლდათ ქართული კულტურის ასპარეზზე ისეთი გამოჩენილი პიროვნება როგორცაა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე).

მე აქ შემთხვევით არ გამიხსენებია გაბრიელ ეპისკოპოსი, რომელიც, ილია ჭავჭავაძის სიტყვით, სხვა ღირსებებთან ერთად იყო ქართული ენისა და კულტურის ქემშარიტი „მწე და მფარველი“. სწორედ გაბრიელის დამსახურებაა სოფელ ბახვის დაწინაურებაც სწავლა-განათლების საქმეში. მან აქ საკუთარი სახსრებით საფუძველი

ჩაუყარა ეროვნული ორიენტაციის მქონე სახალხო სკოლას. ისიც ნიშანდობლივია, რომ ამ სკოლის ერთი პირველი მასწავლებლები იყვნენ პედაგოგიური და ენათმეცნიერული ნაშრომების ავტორი (მაგალ. „გურული ლექსიკონი“ და სხვ.) გიგო შარაშიძე და მისი მეუღლე ნინო.

იშვიათი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებდა შემდეგ მათ ღვაწლს ბატონი გერონტი. ბაღში გამართული სკოლა, ძველებური აკადემიის მსგავსი, ბიბლიური წვერით დამშვენებული მასწავლებელი, სიბრძნის ოსტატი, რომელიც არა მხოლოდ სასწავლო დისციპლინებს ასწავლიდა, არამედ წვრთნიდა მათ უწინარეს მაღალი ზნეობითა და ეროვნული სულისკვეთებით.

ასეთი ნათელი იდეალებით გავიდა ცხოვრების დიდ გზაზე და ამ იდეალების ერთგული დარჩა იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

\*\*\*

გერონტი ქიქოძეზე ბოლო ხანებში საკმარისად ბევრი დაიწერა და მომავალში ალბათ მეტი ითქმება. მაგრამ ცოტა არ იყოს უცნაური ჩანს შემდეგი. მათში თითქმის არცაა საუბარი ცხოვრების იმ მძიმე გზაზე, რომელიც განვლო ბატონმა გერონტიმ. ჩემის აზრით, ამის მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ თავის მოგონებებში იგი ამ საგანზე არ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. ასეთი იყო იგი ცხოვრებაშიც. არ უნდოდა წამებულ გმირთა შორის წარმოესახა საკუთარი პიროვნება — ესეც მისი იშვიათი ადამიანური ქველობის დამახასიათებელი ნიშანი იყო.

ცხოვრების გზა კი ძნელი და დაბრკოლებებით დატვირთული ეროგო. სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ჯერ დედა, ხოლო შემდეგ მამა გარდაეცვალა. იგი მძიმე ინტელექტუალური შრომით ინახავდა ოჯახის უმცროს წევრებს და თვითონაც ასეთივე შრომით იკაფავდა სამომავლო გზას. მოგეხსენებათ, თუ რა ძალისხმევასა და მატერიალურ სახსარს ითხოვდა მაშინ უცხოეთში უმაღლესი განათლების მიღება.

მწერლის ბიოგრაფიიდან ისიც ცნობილია, რომ მეფის მთავრობის რეპრესიების გამო რამდენიმეჯერ იყო პატიმრობაში (იგი ერთ-ერთი აქტიური პუბლიცისტი იყო, რაზეც მეტყველებს ათიან წლებში მისი მძაფრი წერილები სოციალურსა და პოლიტიკურ თემებზე).

რაც შეეხება მისი ცხოვრების მომდევნო მონაკვეთს, უკვე ჩვენს დროს, სამწუხაროდ, მას ამ პერიოდშიც არ მოკლებია გულისტკივილი. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე შეცდომებს, რაც უახლოეს წარსულში იყო დაშვებული შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ...

ფაქტიურად იგი გარიყული აღმოჩნდა აქტიური ცხოვრებიდან და ეს, ჩემის აზრით, იძულებითი არჩევანი უფრო იყო, ვიდრე მისი მიდრეკილება შედარებით მშვიდი ინტელექტუალური ცხოვრებისაკენ.

მაგრამ მიუხედავად ასეთი ვითარებისა, იგი არ შეჩერებულა შუა გზაზე.

მისი სულიერი ძალები შემოქმედებითი დაშრეტისაგან გადაარჩინა ალბათ მისივე ოჯახურმა გარემომ, მის გარშემო შემოკრებილმა მეგობართა იშვიათმა წრემ და, რაც მთავარია, იმ გარდაუხდელი ვალის შეგნებამ, რომელიც საკუთარი ქვეყნის წინაშე მოეპოვება ყოველ ზნესრულ პიროვნებას.



გერონტი ქიქოძის დამსახურება კი ქართული კულტურის წინაშე ძალზე მნიშვნელოვანია და მომავალში კვლავაც მოელის თავის შემფასებელს. ზემოთ უკვე ითქვა და აქაც გავიმეორებ, რომ ბატონი გერონტი ერთი პირველთაგანია, ვინც ქართული კრიტიკული აზრის ახლებური ფორმები მოსინჯა, ხოლო შემდეგ დაამკვიდრა კიდეც. თანამედროვე ქართული კრიტიკური აზრი წარმოუდგენელია გერონტი ქიქოძის სახელის გარეშე.

გერონტი ქიქოძემ, ასევე ჩინებულ რამდენიმე თანამოკალმესთან ერთად, ერთბაშად გააფართოვა კვლევის თვალსაწიერი და ქართული კულტურა მსოფლიო კულტურის ისტორიის ძირითად პროცესებთან კავშირში წარმოადგინა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სამაგალითოა მისი ჰოზიციანობა. იგი აღტაცებულია საკუთარი ხალხის შემოქმედებითი ენერგიით, მაგრამ მისთვის უცხოა რაიმე გაზვიადება, ან ცრუ პატროტული ტენდენციების ოდნავი რეციდივიც კი.

ამიტომაც ასე დამაჭერებლად ჩანს გერონტი ქიქოძის სიტყვები ქართველი ხალხის კულტურული წარსულის შეფასების ყამს. მე აქ გვულისხმობს მის ერთ-ერთ ადრეულ წერილს „ენა და ეროვნული ენერჯია“.

„ძველი ქართველობა ენერჯიული ერების რიცხვს ეკუთვნის. მისი ენერჯია გამოიხატება არა მარტო მის მიერ გათხრილ არხებსა. მის მიერ აგებულ ტაძრებსა და ციხე-კოშკებსა, მის მიერ გარდახდილ ომებში: ეს ენერჯია მის ენასა და ლიტერატურაშიც გამოაშკარავდა. თავის მეზობლებს ქართველობამ შეათვისებინა თავისი საეკლესიო ენა და სასულიერო ლიტერატურა, თავის მეზობლებს მან თვალწინ დაუყენა საუკეთესო ნიმუში ეროვნულად გამოკვეთილი საერო პოეზიისა. თვით ნასესხებ, უცხოეთიდან გადმოტანილ ლიტერატურაში მან ძლიერი ნაციონალური ელემენტები შეიტანა. სპარსული პოემები და რომანები მან უფრო გადმოაქართულა, ვიდრე გადმოთარგმნა. ერთი გერმანელი მეცნიერისა არ იყოს, „ვისრამიანი“ კიდეც უფრო თამამად შეიძლება ქართულ ეპოსად ჩაითვალოს, ვიდრე „ტრისტან და იზოლდა“ გერმანულად...“

ასევე ნიშანდობლივია მეორე მაგალითიც. როგორც ცნობილია მე-12 საუკუნის ქართული კულტურის უნიკალურ თვისებათა გამო



საგულისხმო მოსაზრებები გამოთქვეს უცხოელმა მკვლევარებმა. თუმცა ეს უფრო ანალოგიების ძიება იყო და ამავე შუა საუკუნეთა ევროპული კულტურის გლობალური სასიათის წარმოჩენას ისახავდა მიზნად. ხშირად ვივიწყებთ, რომ ქართული კულტურის ანალიზი ეროვნული ტრადიციების საფუძველზე დაყრდნობით უწინარეს სწორედ ქართველმა მეცნიერებმა და მწერლებმა წამოიწყეს. დიდ ივანე ჯავახიშვილთან ერთად ზოგადქართული კულტურის ამ მიმართულებით კვლევა გერონტი ქიქოძის სახელთანაა დაკავშირებული. რის მიუხედავად ისტორიული უსამართლობა იქნებოდა.

გერონტი ქიქოძის წერილი „ხელოვნების ფსიქოლოგიიდან“ დაწერილია ჯერ კიდევ 1915 წელს და, რაც მთავარია, აქ არამარტო წამოყენებულია თვალსაზრისი ქართულ რენესანსზე, რომელიც მოიცავდა სულიერი კულტურის თითქმის ყველა დარგს. არამედ ტიპოლოგიური პოზიციებიდან უარყოფილია ყოველგვარი მექანიკური ვაიკუნის თეორია. ეს კი დღესაც იმდენად საინტერესოა, რომ აქ მოვიყვანოთ ერთ ფრაგმენტს ავტორისეულ დასკვნიდან: „იმდროინდელ ქართველობას არ სჭირდებოდა შორეულ უცხოეთში მხატვრული იდეებისა და ფორმების ძებნა იმიტომ, რომ ეროვნული ხელოვნება უმაღლეს წერტილამდე იყო განვითარებული. მეთორმეტე საუკუნეში. როცა ბეთანიის ფრესკები უნდა იყოს დახატული. იტალიური მხატვრობა ჯერ კიდევ ფეხმოუდგმელი იყო და წასაბამ ნიმუშად ვერ ჩაითვლებოდა. ევროპული რენესანსის პირველი მახარობლები ჯერ კიდევ დაბადებულნიც არ იყვნენ.“

ყოველი მსგავსება გავლენის შემწეობით როდი აიხსნება. არსებობს იდეათა და ფორმათა პარალელიზმი, რომელსაც კულტურულ პირობათა ანალოგია ბადებს. საქართველოს კულტურა მეთორმეტე და მეთორმეტე საუკუნეში რამდენადმე წააგავს იტალიის კულტურას რენესანსის ეპოქაში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჩვენ სამშობლოში ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის და თამარის ეპოქაში თავი იჩინა ზოგიერთმა ესთეტიკურმა ძიებამ, რომელიც სავსებით მხოლოდ იტალიაში გამოაშქარავდა შემდეგი საუკუნეების განმავლობაში. ჩვენში კი ეს ძიებანი თან გადაიტანა საშინელმა კატასტროფამ. რომელმაც მთელი ჩვენი კულტურა იმსხვერპლა, სახელდობრ, მონგოლების შემოსევამ.“ ძველი საქართველოს ისტორიულ-კულტურული ვითარების ძალზე ლაკონური, მაგრამ მრავლისმეტყველი სურათია წარმოსახული.

გერონტი ქიქოძის, როგორც მწერლისა და კრიტიკოსის, მრავალ ღირსებათაგან აქ მინდა აღვნიშნო მხოლოდ რამდენიმე. იგი სამაგალითო ერუდიციის მქონე მკვლევარი იყო და, როგორც ითქმის, ჭადილში ძალაც შესწევდა. მაგრამ ასევე იშვიათი ოსტატობით, მისი კვლევა-ძიების სასწორის პინა მუდამ ეროვნული კულტურისაკენ იყო დადმობრილი და ამ პოზიციიდან ჭკრეტდა იგი მხატვრული აზროვნების განვითარების ძირითად ეტაპებს. ქართული კულტურის თვითყოფი ძარღვის მიგნება მიაჩნდა უპირველეს ამოცანად. რადგან კარგად

მოეხსენებოდა, რომ თავისთავად ერუდიციის სიჭარბე სრულიადაც არ გამოირიცხავს დილექტანტიზმის მაცოთუნებელ „ხიბლს“.

მისი კრიტიკული ნააზრევის ძალა უწინარეს დამყარებული იყო ქართული მწერლობის განვითარების სხვადასხვა საფეხურის იშვიათ ცოდნაზე, ეს აძლევდა მას საშუალებას ერთიან პროცესად აღექვა იგი, ზუსტად გამიზნული ადგილი მიენიჭებინა ამა თუ იმ ისტორიულ-კულტურული მოვლენისა თუ ცალკეული მწერლისათვის.

სამაგალითოა ამ თვალსაზრისით მისი წერილები და გამოკვლევები რუსთაველზე, დავით გურამიშვილზე, ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეზე. ისტორიზმის უმაღლესი განცდითაა შესრულებული მათი პორტრეტები და სათანადოაა წარმოჩენილი მათი ადგილი ქართული მწერლობის ისტორიის გრძელ ჯაჭვში. ასევე უცთომელია შეფასების კრიტერიუმიც, რადგან მისი აზრით „ხელოვნება არამარტო ესთეტიკური კატეგორიაა, ის დიდი ეთიკური კატეგორიაა. მან უნდა დაგვახახოს არამარტო არსებული, არამედ მართებულიც.“ ასეთი პოზიცია ჰმატებდა მას ძალას მხატვრულ მოვლენათა სიღრმისეული შრეების მისაგნებად, შემოქმედების ურთულეს ლაბირინტებში გასარკვევად. ჩემის აზრით, ამ თვალსაზრისით სანიმუშოა მისი წერილები ილია ჭავჭავაძეზე, რომლებშიც პირველად იკვეთება საკაცობრიო და ეთიკურ პრობლემებზე დაფიქრებული დიდი ეროვნული პოეტის ჭეშმარიტი სახე. „აჩრდილისა“ და „განდგეილის“ ავტორის შემოქმედებითი კონცეფციების ავტორისეული ანალიზი ორიენტირის მნიშვნელობას იძენს დღესაც, როცა ილია ჭავჭავაძის მოახლოებული იუბილის გამო ასეთი ფართო კვლევა-ძიება გაშლილი.

ბატონი გერონტის ნაწერებში, ალბათ სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის მათი ავტორის ინტერნაციონალური სულისკვეთება, რაც მისივე დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ემყარებოდა. თავის ადრეულ წერილებშიც კი იგი შეურიგებელი იყო და პირდაპირ აცხადებდა: „მხოლოდ შოვინისტურ, გონებრივ სინიწროვეს შეუძლია უარყოს ის დიდმნიშვნელოვანი როლი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რასაც ინტერნაციონალური ურთიერთობათამაშობს... დღესაც არც ერთ ხალხს არ ძალუძს ფეხი ააყოლოს კულტურის აჩქარებულ ტემპს, თუ ის სულიერად განმარტოებულია და მხოლოდ თავის საკუთარ ძალ-ღონეზე დამყარებული“.

ასეთი თანამედროვე თვალსაზრისი თავისთავად განაპირობებდა მკვლევარისა და კრიტიკოსის მიერ შემუშავებულ ეროვნულ კონცეფციას, რომელიც ისევ და ისევ ილიასა და მის თანამებრძოლთა შეხედულებებიდან იღებდა სათავეს. ერთ თავის საპროგრამო ხასიათის წერილში (იგი ახალგაზრდობის წლებშია დაწერილი და ეხება კრიტიკულ აზრს ევროპაში) კრიტიკოსი სიფრთხილით აღნიშნავდა, რომ არა ზრმა მიბაძვა, არამედ შემოქმედებითი მიდგომაა საჭირო, რათა შეეძლოთ ოქროსაგან რვალის გამოჩევა და ჭეშმარიტი საუნჯის აღმოჩენა.

ეროვნულ ენასა და ეროვნულ ლიტერატურას იმ ხანად მან არა-

ერთი ჩინებული ტრაქტატი უძღვნა და დაასაბუთა კიდევ თვალსაზრისი, რომელიც მას შემდეგაც სახელმძღვანელოდ მიაჩნდა. „ექვი არ არის — წერდა იგი ჯერ კიდევ 1914 წელს — რომ ეროვნულ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ესთეტიკურ შემოქმედებაში, კერძოდ, სიტყვაკაზმულ მწერლობაში. აქ შეიძლება კიდევ უფრო დიდი, ვიდრე სხვაგან, იმიტომ რომ ცხოველი სიტყვა ბევრად უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ ფსიქიკასთან, ვიდრე მაგალითად ხუროთმოძღვრების, მხატვრობის ან მუსიკის ფორმათა ენა...“ მკვლევარმა, მართლაც, ღირსსახსოვარი სტრიქონები უძღვნა ქართულ ენასა და მის შემოქმედ მშობლიურ ხალხს...

გეროხტი ქიქოძემ არაერთი საგულისხმო აზრი თუ დაკვირვება დაგვიტოვა როგორც ესთეტიკის ზოგად, ისე კონკრეტულ ლიტერატურათა (პირველ რიგში კი ქართულ) განვითარების თავისებურებათა ვარწმუნო. იგი ასაბუთებდა ხელოვნების ნაციონალურ მისიას და მიაჩნდა, რომ „ყოველი ესთეტიკური კულტურა ნაციონალურია და ის ხელოვნება, რომელიც ეროვნული სულიდან არ შობილა, არ ეკუთვნის ნამდვილ ესთეტიკურ კულტურას“.

საგულისხმოა ერთი მომენტიც, რაც აგრე რიგად გამოარჩევს მის კრიტიკულ ნააზრევს, მისი წერილები თუ ესეისტური ხასიათის ნარკვევები დატვირთულია მოსაზრებებით, პრობლემებითა თუ ჰიპოთეზებით. მაგრამ არსად არ იგრძნობა წარმოდგენილ მოსაზრებათა რაღაც განსაკუთრებული სიჭიუტით მოძალეობა. საკუთარ შეხედულებათა უკომპრომიზო პრეტენზია. იგი კიდევ ამტკიცებს და კიდევ უტოვებს მკითხველს განსასჯელ კითხვებს და მას, როგორც იტყვიან, სააზროვნო პროცესის თანამონაწილედ იგულებს. ამიტომაც წარმოდგენილი მოსაზრებები, თუნდაც არ იზიარებდნენ მათ, ოდნავადაც არ იწვევს გაღიზიანებასა და პროტესტის სურვილს. მაგალითისათვის იკმარებს ბატონი გერონტის მოსაზრებები, რომელსაც მომხრეებთან ერთად არც თუ ცოტა მოწინააღმდეგეც მოეპოვება. მკვლევარი, რომელმაც საფუძვლიანად იცოდა რელიგიათა და მათ შორის ქრისტიანული კულტურის ისტორია, არ იზიარებდა გამოთქმულ შეხედულებას, რომ თითქოს საჭიართველოში ქრისტიანობამ მოიმოქმედა ისეთი რამ, რაც მას არცერთ სხვა ქვეყანაში არ ჩაუდენია. საქმე ეხება ადრეულ ანუ წარმართული ქართული დამწერლობის განადგურებას. ბატონი გერონტი სრულიადაც არ თვლიდა „პრესტიჟის შემლახვე“ დებულებად ქართული ამჟამინდელი დამწერლობის დაკავშირებას ჩვენში ქრისტიანული კულტურის გავრცელების ფაქტთან. მას დიანაც მოეხსენებოდა, რომ მეცნიერების შემდგომი მსვლელობა ამ საიდუმლოსაც ახდიდა ფარდას. ხოლო ყოველ ბოლომდე მოუფიქრებელ ნაბიჯს მხოლოდ ზიანის მოტანა თუ შეუძლია.

დღეს როგორც რუსეთში, ისე უცხოეთშიც განსაკუთრებული ყურადღების სფეროში მოექცა ეროვნული ხასიათის თავისებურებათა თუ ამა თუ იმ ხალხისათვის დამახასიათებელი ეროვნული ფსიქოლოგიის კვლევა. საკმარისია, აქ აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვის ასეთი მიმართულების შრომების გახსენება. ეს ინტერესი ჩვენშიაც გაცხოველდა და, რასაკვირველია, დიდი უსამართლობა იქნება გერონტი ქიქოძის ღვაწლის დავიწყება. რომელმაც ბევრად ადრე მიაქცია ყურადღება ხელოვნებისა და ფსიქოლოგიის აღნიშნული ასპექტით კვლევას.

როგორც ითქვა, გერონტი ქიქოძე ახალი ქართული კრიტიკული პროზისა და ესეისტური ჟანრის სათავეებთან დგას. ამასთან დაკავშირებით თითქოს უცნაური ჩანს ის ფაქტი, რომ გერონტი ქიქოძე, რომელმაც კლასიკური განათლება ძირითადად გერმანიისა და შვეიცარიის მიიღო, შემოქმედებით სიახლოვეს უფრო მეტად ფრანგულ კრიტიკულ ლიტერატურასთან ამყლავნებს. ამ ფაქტს ზოგი მწერლის წინაგანი მიდრეკილებითა და ტემპერამენტით ხსნის. ზოგი კი იმეამად ფრანგული ლიტერატურის განსაკუთრებული ავტორიტეტით. ეს მართლაც ასე უნდა იყოს. მაგრამ იქნებ არ არის დასავიწყებელი, რომ ჩვენში მსგავს მიმართულებას უკვე პქონდა მნიშვნელოვანი პრეცედენტი. საკმარისია, აქ გავიხსენოთ იონა მეუნარგიას იშვიათი ოსტატობით დაწერილი ქართულ მწერალთა ბიოგრაფიები. რომლებიც გარკვეულ სიახლოვეს ამყლავნებენ ამ ტიპის ფრანგულ ეტიუდებთან. ასევე უახლოეს წინამორბედთაგან შეუძლებელია კიტა აბაშიძის ღვაწლის დავიწყება.

ყოველივე ამან როგორც ჩანს, თავისი ნაყოფი გამოიღო. პირველივე წერილებიდან გამოიკვეთა გერონტი ქიქოძის სრულიად ორიგინალური ხელწერა როგორც ფორმის, ისე პრობლემატიკის წარმოჩენის თვალსაზრისით. ძალზე თავისებურია სტილისტიკა. რომლის უმთავრესი ნიშანი სისადავისაყენ სწრაფვა და მკითხველთან გულახდილი დიალოგია. ასეთივე იშვიათი ოსტატობითაა შერჩეული სსსაუბრო კილოც, რაც პრინციპის დონემდეა აყვანილი. ამ შემთხვევაში სულერთია ავტორი ამა თუ იმ მხატვრულ დეტალზე მიგვანიშნებს თუ ურთულისი ესთეტიკური კონცეფციების გადმოცემას ცდილობს. სიტყვის დაუფლების ასეთი შინაგანი არტისტიზმი მხოლოდ და მხოლოდ სწვა რიგის ნიჭიერებაზე მეტყველებს.

სრულიად ცალკე საუბრის თემაა მისი, მართლაც, დაუფასებელი ღვაწლი თარგმნითი ლიტერატურის დარგში. შეიძლება ითქვას კიდევ, თუ მე-19 საუკუნის ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურას სათავეში ივანე მაჩაბელი ედგა, ჩვენ დროს ქართული კულტურისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დარგი გერონტი ქიქოძის უპირატესი გავლენის ნიშნით წარიმართა. ამის დასტურად მართო „ტრისტან და იზოლ-

და“, ბალზაის „შაგრენის ტყავი“ და სტენდალის თხზულებათა თარგმანები იკმარებდა.

გერონტი ქიქოძეს ორიოდ წერილი თუ მოეპოვება თარგმანისა თუ კრიტიკული პროზის ოსტატობის გარშემო. მაგრამ საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკით მან სწორედ სიცოცხლე შივე დაიმკვიდრა აღიარებული მეტრის სახელი. მის გემოვნებას ენდობოდნენ, მის შეხედულებებს (ზოგჯერ ზეპირ საუბარში გამოთქმულს) იხსენებდნენ. იშველიებდნენ ამა თუ იმ საკითხზე ლიტერატურული პაექრობის ქაშა. ერთი სიტყვით, იგი თანამედროვე ქართული მწერლობის ნამდვილი მშვენიერება იყო.

საბედნიეროდ ბატონ გერონტის ჩვენი თაობაც მოესწრო. ასლაც კარგად მახსოვს მისი მდორე მიხრა-მოხრა, საუბრის ქაშს თავის ოდნავი რბევა და იუმორით შეზავებული ტკბილი ქართული, თითქმის ყველამ ვიცოდით ის ადგილი მწერალთა სასახლის ბაღში, სადაც გვერდზე თავდახრილს უყვარდა ჩამოჯდომა.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბოლო შეხვედრა. რომელიც დაკავშირებულია ერთ მოგზაურობასთან. იმ ხანად სწირად ვიკრიბებოდით მწერალთა სასახლეში და შაბათ-კვირას ერთად გადიოდით ხან ციხე-კოშკების და მონასტრების სანახავად. ხან კი მიუვალ გამოქვაბულთა დასალაშქრავად. ასეთ მოგზაურობათა დაუდალავი ინიციატორი თბილისში ახლად დაბრუნებული ლევან გოთუა გახლდათ. გადაწყდა, რომ მომავალ კვირას წავსულიყავით რკონის მიდამოებში, სადაც ბატონ ლევანს მალა, კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული ეგულებოდა. იქვე ბაღში როგორც ყოველთვის იმყოფებოდა გერონტი ქიქოძეც. მან მოჰკრა თუ არა ყური ჩვენი თათბირის საგანს, სურვილი განაცხადა, რომ კიდევ ერთხელ მოენახულებინა ერთაწმინდისა და რკონის დიდებული სანახები. ბატონ გერონტის ფეხით ჰქონდა შემოვლილი მთელი საქართველო, მაგრამ ამ დროს ხანდაზმულიც იყო და ახლად ნაავადმყოფარიც. ყველანი შევცბით. მაგრამ უარის თქმა არ ეგებოდა... მეორე დღეს მსუბუქი ავტომანქანით იგი დემნა შენგელაისთან ერთად წინ მიგვიძღოდა, ხოლო დანარჩენები ლევან გოთუას და სერგო ზაქარიაძის თაოსნობით დიდი საბარგო მანქანით მივყვებოდით უკან.

ერთმა ჯგუფმა მალე გამოქვაბულსაც მივალწიეთ. ხოლო შუადღისას ყველამ თავი მოვიყარეთ რკონის მონასტრის მყუდრო ქალაში. ბატონი გერონტი დაბალი ხმით იგონებდა რკონის მონასტერთან დაკავშირებულ ისტორიულ ამბებს, თორელ ფეოდალთა მესხეთიდან ქართლში ვადმოსახლებას, კახა თორელის მიერ რკონის მონასტრისათვის მამულების გადაცემას და გულისტყვივლს გამოთქვამდა მიტოვებული საცხოვრისების გამო, რომლებიც ჩვენ გზადაგზა გვხვდებოდა.

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო მისი უკანასკნელი მოგზაურობა... სულ რამდენიმე კვირის შემდეგ იგი ჩვენს შორის აღარ იყო.

1987 წ.

## გიორგი ლეონიძე

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“...

ყოველ დიდ პოეტს უწინარეს ორი რამ ასაზრდოებს: გრძნობა მშობლიური ფესვისა და მისი პირადი ბედი, რომელიც საკუთარი ქვეყნის ბედთანაა გადაჯაჭვული. გიორგი ლეონიძე სწორედ ასეთ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება.

ეს ორი მაცოცხლებელი ფერმენტი ანიჭებს მის ლექსს განუზღო-რებელ კოლორიტსა და ფართო მასშტაბურობას: „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები. სიცოცხლეს ვერვის დავესესხები, თუ სამშობლოსგან გავიწირები“.

მშობლიური ქვეყნის ბედ-იღბალი მის ლექსებში მძაფრი ვნებებით არის განცდილი, ხოლო მისი წარსული ენერგიულ პოეტურ სიტყვა-წია გაცოცხლებული. აქ ტანჯვასა და სიმძიმის იმედიანი რწმენა ენაცვლება. მისი აზრით, ქართველი კაცის შეუპოვარმა და უღრეკმა ხასიათმა გამოატარა ჩვენი ქვეყანა საუკუნეთა სიღრმეებს: „დაგვწეს, დაგვდაგეს და ვერ წაიღეს თავისუფლების ამაყი სული“.

„თავისუფლების ამაყი სული“ ამ ლექსში შემთხვევით ფრანას როდი წარმოადგენს. იგი მისი პოეზიის ერთი უმთავრესი მოტივია და ბოლომდე გასდევს მის ზეაწეულ, რომანტიკული მღელვარებით აღმინებულ ლექსებს. ხალხის, სამშობლოს უეკდავების რწმენა დასადგურებულია თითქმის ყოველ ლექსში: „შენ ისევ დგეხარ, თუმცა სისხლის ზღვამ და ცეცხლის წვიმამ გადაგაიარა, ყველას უნდოდა შენი გაღწევა, თვით დაიღწენენ, იქმნენ იავარ!“ სამშობლოს ბედი, წარსული და თანამედროვეობა პოეტის მსოფლშეგრძნების ქვაკუთხედაა.

მის ფერადოვან და ხშიერ ლექსებს იმთავითვე გამორჩეული სიმ-ტიკიცე დაჰყვა. მან დიდი შემოქმედებითი გზა განვლო „ცისფერი ყან-წების“ ორდენიდან ჩვენს დღეებამდე. მაგრამ გიორგი ლეონიძის პოე-ზიის შინაგანი თვისებები ერთხელ და სამუდამოდ შეურყეველი აღ-მოჩნდა. მის პოეტურ ხომალდს ყოველთვის საკუთარი გეზი ჰქონდა და მხოლოდ მისთვის სანუკვარი სივრცეებისაკენ ისწრაფოდა.

ანტონიმურ ცნებათა გარეშე ძნელია ლეონიძისეულ ღრმად ინდი-ვიდუალურ პოეტურ ხელწერაზე საუბარი. ეპიური და ლრიკული საწ-ყისები რადაცნაირი უხილავი კავშირებით არიან გადახლართული. ვაკეცურ სულისკვეთებას აქ არ აკლია ის სიფაქიზე. რომელთა გარე-შე წარმოუდგენელია პოეტურ იდუმალებაზე საუბარი. თემურლენგის ურდობის ველურ ყიფინას მის ლექსებში ენაცვლება ლურჯთვალა იის პირველი გამოღვიძება, მშობლიური იორის „ზვირთთა ჩქერანი“.

მისი პოეტური ხილვები ფერადოვანია და სხვადასხვაგვარ ხმებს გამოსცემს. ამიტომ, მეტი რომ არ ვთქვათ. არ არის ზუსტი, როცა გიორგი ლეონიძის პოეტური ტალანტის დახასიათებისას ასე ხშირად

მოისმის თითქმის ტრაფარეტად ქცეული სიტყვები: ომახიანი, ძლიერი, ენერგიული...

ასეთ შეფასებაში, რასაკვირველია, არის ჭეშმარიტების გარკვეული წილი. ზოგი მისი ლექსი, მართლაც, იმსახურებს ასეთ ეპითეტებს: „შორიდან რატომ მელამაზები, გული მაქვს გულზე დაჯახებული“, „მე გულს დავლენავ, ნაკვესარ ლექსმა რომ დაიძვრიალოს“.

მაგრამ ასეთი დახასიათება ცალმხრივია და ამ შემთხვევაში უფრო ფორმისმიერ მხარეს ექცევა უმთავრესი ყურადღება. ასეთ დროს პოეტური ინტონაციების ძირითადი იერია წინ წამოწეული და არა ნისი პოეზიის უმთავრესი შინაგანი თვისებები.

გიორგი ლეონიძის პოეზიის განსაკუთრებულ თვისებათა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, მართლაც, ღვთით მომადლებული ნიჭი სათქმელის უშუალოდ გამოხატვისა. მისი შედეგები თითქოს ერთი ამოსუნთქვითაა შექმნილი და მკითხველიც ამ პირველქმნადობის განცდის სიხარულითაა აღვსილი. ამასთან, სწორედ ეს თვისება ფარავს, უწინარეს, მის ზეაწეულ ენერგიული კილოთი ნაწერ ლექსებს უსაგნო მაღალფარდოვნების საშიშროებისაგან.

გულუბრყვილობა იქნება იმის დაშვება, რომ ყოველივე ეს მიაბიტური უშუალობაა, ან ხალხური ინტონაციებიდან დაძრული ნაკადის ზეგავლენა, რომელსაც პოეტი საერთოდ დიდ ნდობას უცხადებს. მომნუსხველი მხატვრული ეფექტი მრავალწლოვან ძიებათა შედეგია და ჩვენ ვერც კი ვგრძნობთ, ამ სტრიქონების მიღმა ოსტატის რაოდენი ტანჯვა და რუღუნება იმალება. რთული მხატვრული აზროვნება აქ ის ფილტრია, რომელიც ბადებს ესოდენ მომხიბვლელ სისადავესა და უშუალობას:

ეს თოვლია თუ მიმინომ  
დააფეთა მტრედები?  
ვარსკვლავთა ოთახებში  
ჩათვლემილებს ეძინათ,  
ეხურათ ხავერდები...  
მინდა, ჩქარა ვუყელო,  
მესმის მათი თქერანი...  
სავსე თოფი მომეცით  
და ცხენი ნაქერალი!  
ორმა გუნდმა კიდევაც  
მდინარეში გასტოპა!  
ჩქარა,  
თორემ წასულა  
ჩემი ახალგაზრდობა!

დაუთრგუნავი ძალა სიჭაბუქისა, რომელშიც სინანულის ძირმწარე შხამიც ქონავს, უუმაღლესი პოეტური ძალითაა გამჟღავნებული.

მთავარი საიდუმლო კი ის არის, რომ პოეტური სათქმელის უშუალო-  
ბაში მისი ავტორის დახვეწილი, არტიტული სული იმალება. უშუა-  
ლობა აქ უკვე მაღალი პოეტური თვისების დონემდეა აღზევებული,  
რაც, თავის მხრით, განუმეორებელ ლეონიძისეული ტვიფარით აღბეჭ-  
დავს მის დაუდგრომელ, მჩქეფარე ლექსებს: „გავღვიძებულვარ მეც  
სიყვარულით, მეც მარხვეს მისი ქარი მქუხნარი, ვარდით ივსება ჩემ-  
თვის ქვეყანა, როცა ჩემთან ხარ სახემშუქარი“.

ყოველივე ამის გამო, მათ შორის ხალხური ინტონაციებით შეფე-  
რილი ლექსები, სხვაგვარ პოეტურ დონეზე მიგვანიშნებენ. ეს თანაბ-  
რად ეხება არა მარტო არტიტული მიმხვერით დაწერილ სტრიქო-  
ნებს: „როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამკა-  
ხებია, მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს და სიყვარულს ათაბაგის ქა-  
ლისას“, არამედ თითქოს უეცარი ამოძახილივით წარმოთქმულ ლექ-  
სებს: „ეს მთვარე ვიღამ შეკერა, ვინ არის მისი მკერავი? ეს გული  
ვიღამ დასხლიტა, ბურთივით გაუთქერავი? შენ დამარწიე, იორო, მაჩქე-  
ფე თავზე მირონი; დალაგდნენ ლექსის ჯიქნებად ეგ შევი სანაპირონი“.

გიორგი ლეონიძე ფართო განათლებისა და ღრმა ინტელექტის მქო-  
ნე პიროვნება იყო და მასთან საუბარშიც ეს არაერთხელ გვიგონდება  
მის უმცროს მეგობრებს. მას ახალგაზრდებთან შემოქმედებითი კონ-  
ტაქტის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. მაგრამ მე ყოველთვის მა-  
ოცებდა მისი ხასიათის ერთი თვისება. მას არ უყვარდა პოეზიაზე ჩა-  
კიკრიტებით საუბარი, მით უფრო, პოეტისაგან. უთქვამს კლდეც. ეს  
რა პოეტის საქმეა, ლექსი პოეტმა ყვავილებით მოჩითული მინდორი-  
ვით მთლიანობაში უნდა აღიქვასო.

გემოვნება კი უტყუარი ჰქონდა. მის თვალს არაფერი გამოეპარე-  
ბოდა. ხოლო ახალი ნიჭის ყოველი გაელვება პოეტის გულს სიხარუ-  
ლით ავსებდა. ახლაც მახსოვს მისი აღფრთოვანებული სახე ანა კა-  
ლანდაძისა და მუხრან მაჭავარიანის ბრწყინვალე დებიუტის დღეებში.

იგი თანამედროვე ქართული და, საერთოდ, მსოფლიო პოეზიის  
დიდი დამფასებელი იყო. განსაკუთრებულ მოწიწებას იჩენდა ჩვენი  
კლასიკური პოეზიისადმი, რაც კარგად ჩანს დიდი პოეტის მრავალრი-  
ცხოვან ლიტერატურულ გამოკვლევებშიც.

მოდერნისტული პოეზიის ძალთა კვეთებაში გამოვლილი (რასაც  
უკვალოდ არ ჩაუვლია და გარკვეული თვალსაზრისით ნაყოფიერიც  
აღმოჩნდა) იგი მაინც ტრადიციონალისტი დარჩა ამ სიტყვის საუკეთე-  
სო გაგებით.

იგი „ცისფერ ყანწელთა“ ორდენის ერთ-ერთი აქტიურ წევრად ით-  
ვლებოდა თავის დროზე. ჩემს აზრით. ეს მხოლოდ მოდერნი გატაცე-  
ბით არ უნდა აიხსნას. მასთან, უწინარეს ყოვლისა ახალი ძიებები და  
სასტიკად მოძალებულ ეპიგონობასთან ბრძოლის უინი აახლოებდა.  
არც ის არის დასაიწყარი და ამას აქვს თავისი ფსიქოლოგიური გამა-  
რთლება, რომ ქართველი სიმბოლისტები ნიჭითა და განათლებითაც  
გამოირჩეოდნენ ქართული ლიტერატურის იმჟამინდელ ფონზე. ეს



მისთვის თავისებური სკოლაც იყო და მეტოქეობის მაღალი ასპარეზიც.

მაგრამ შინაგანი მიდრეკილებებით გიორგი ლეონიძის პოეზია ამ მიმდინარეობის ანტითეზა იყო და მას არასოდეს უღალატნია ჯანსაღი, ცხოვრებისეული ემოციებით დატვირთული. პოეტური გზისათვის.

მშობლიური პოეტური კულტურის წიაღთან იგი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული და ეს ბევრს ავალბდა კიდევ. როგორც ქეშმარიტმა შემოქმედმა. მან კარგად იცოდა, რომ მოწინება და სიყვარული არ გამოირიცხავდა შეჯიბრს. წარსული პოეტური კულტურის ათვისება ახალ მხატვრულ ძიებათა საფანელია მხოლოდ.

ეს კავშირები სხვადასხვა ნიშნითა და სხვადასხვა ხარისხით გამოვლენებულია კიდევ მის პოეტურ სიტყვაში. გიორგი ლეონიძის ზოგ ლექსში ლაღი და მიწიერი სინედლით გაქლენილი სტრიქონები ვაჟასეული შეუდრეკელი ტონალობითაა ახშიანებული: „გაახლებული ხარი ვარ. გეშ ვიღებ ნაევქარზედა, მაჩვენეთ ჩემი ოცნება, რქა ზედ მივფშხენა რქაზედა“.

რასაკვირველია. აქ ცალკეულ შეხვედრებზე თუ შეიძლება საუბარი, რადგან ფაქტურად ვაჟასეული მითოლოგიური ნაკადი ერთგვარად უცხოა გიორგი ლეონიძისეულ პოეტურ ხილვებში. რომლებიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული იმპულსებითაა ნაკარნახევი. ვაჟასეული ამ შემთხვევაში უფრო ფორმისმიერი ელემენტების სახით იჩენს თავს და იქნებ ამას ორივე პოეტის ფოლკლორული ინტონაციებისაკენ ლტოლვა განაპირობებს.

საგულისხმო პარალელებს გვაწვდის ამ შემთხვევაში შედარება გრიგოლ ორბელიანთან, რაც რამდენადაც მასსოვს. არც უნდა იყოს შენიშნული ქართულ კრიტიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ „ჩემო იარალის“ ავტორის ლაღი პოეტური ინტონაციები („თერგი რბის. თერგი ღრიალებს. კლდენი ბანს ეუბნებიან“) და მისი ლექსების აშკარად გამოხატული არტისტული ელფერი (გავიხსენოთ თუნდაც ერთი ექსპრომტი: „სიყვარულმა მათქმევინა. თორემ მე ვინ, ლექსი ვინა“).

ზორეულ წინამორბედთაგან კი მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის შემოქმედებითი დამოკიდებულება დავით გურამიშვილთან, რაც ლეონიძის ერთ ლექსში პირდაპირაცაა გაცხადებული. ძველ ქართულ მწერლობაში სათქმელის უშუალოდ გამოხატვის ხელოვნებას ერთი პირველთაგანი სწორედ გურამიშვილი ფლობდა და. რაც განსაცვიფრებელია, ისეთ ლექსებშიც, რომლებიც ღრმა, მისტიური შინაარსით არიან დატვირთულნი. გურამიშვილმა სასულიერო პიმნებშიც ცოცხალი, ამქვეყნიური ნაკადი შეიტანა და პოეზიის ახალი გზები გაკაფა. ისიც ნიშანდობლივია. რომ ვაჟა-ფშაველაც თავის უპირველეს წინამორბედად სწორედ დავით გურამიშვილს მიიჩნევდა.

ქართული მწერლობა და ფოლკლორი (ეს კავშირები შედარებით უკეთაა დამუშავებული ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში), ქარ-  
26. ს. ცაიშვილი

თული სინამდვილე, რომელიც ასეთი სიღრმითაა განცდილი გიორგი ლეონიძის პოეზიაში, თითქოს ერთ მთლიანობადაა შენივთებული და უმძაფრესი შთაგონების სახითაა გამქლავებული. მის შედეგებში ლეგენდა და სინამდვილე, წარსული და თანამედროვეობა ისეთი ურღვევი ძაფებითაა გადახლართული, რომ ვნებათა მარადიულობის უმშვენიერეს განცდას აღვივებენ მკითხველში — აი, უპირველესი თვისება, რაც, ჩემის აზრით, განუმეორებელ ელფერს ანიჭებს მის პოეტურ სიტყვას. ხოლო მის ავტორს გამოარჩევს თანამედროვე ქართული პოეზიის თავკაცთა შორის.

ამ ნიშნებითაა დალდასმული მისი მოქალაქეობრივი პათოსით აღსილი ლექსები, ისტორიზმის მძაფრი განცდა მსქველავს მის პოემებსა და ლექსების საკმაოდ დიდ ნაწილს. ღრმა ადამიანური ტრაგიზმის ურძნობა უცხო არ არის „ოლეს“ ავტორისათვის და აქაც იგი ძლიერი, მსუყე ფერებით წარმოგვისახავს „მარტოობის შხამით შიგნიდანვე გამომწვარ“ მარტოხეს. მინიშნებები ზუსტი და უტომელია, ხოლო თანალმობის გრძნობა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს კეთილშობილური საწყისების უკვდავებას.

„ნინა ქავჭავაძისა“ და „ცეცარის“ ავტორი სილამაზის. მშვენიერ გრძნობათა დიდი ტრფიალია. ამასთან მის ლექსებში სიყვარული ბედისწერასავით გარდაუყალიბდა და მარადიულობის ნიშნითაა აღბეჭდილი. ეს აზრი მას პირდაპირაცა აქვს გაცხადებული: „ასი წლის შემდეგ შე შენ გიგალობ. ათას წელს გაძლებს შენი მშვენება: შენ — სილამაზის ნაზო გრივალო, შენგან აროდეს მომესვენება“ („ნინა ქავჭავაძის“), მაგრამ მისი პოეტური ხილვებისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია ლეონიძისეული ინტიმური ლირიკის შედეგად „ყვიჩალის პაემანი“.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ცალკეული მოტივები და ასოციაციები აქ ისე მოულოდნელად ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ პოეტური სინტაქსის მეოხებით აღწევენ ლოგიკურ გამართლებას. დიდი გოეთე, როგორც ცნობილია. ამ საიდუმლოებას პოეზიის საკუთრებად მიიჩნევდა და აზროვნების ასეთ სახეობას ადამიანური ინტელექტის სრულიად განსაკუთრებულ გამოვლინებად თვლიდა.

„ყვიჩალის პაემანის“ უპირველესი პათოსი გმირულ საწყისებზე აღმოცენებული მარადიული სიყვარულის განცდაა. დრო და სამანები აქ ისეა დარღვეული, როგორც ნისლიანი მზერა სასიკვდილოდ დაჭრილი რაინდისა. თვითონ მოძალადე ყვიჩალის თემაც, რომელიც გამოძახილს ქართულ ეროვნულ ბალადაში კპოევს, უსაზღვროდ აფართოებს მოქმედების არეს და საუკუნეთა სიღრმეში იძირება. ტრაგიაკულის განცდა ფიქსირებულია პოეტური ფრაზით: მაგრამ თითონაც დაილწება, დაბადებულა ვინც კი ყვიჩალად“, ხოლო დაუძლეველი მეტოქეობის გრძნობა სასურველი ქალისაკენ თავაწყვეტილი ლტოლვითაა გამოხატული: „ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე, შემოვამტვერე გზე-

ბი ტრიალი, მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები. ვლენე ტაძრები კელაპ-ტრიანი!“

ბოლო სტრიქონში („ვლენე ტაძრები კელაპტრიანი“) პირველი თემა გაძლიერებულია ახალი მოტივით. რომელიც დამატებით ასო-ლიაციებს ჰბადებს უცხო და უხეში ძალის მიერ წმიდათაწმინდის ხელ-ყოფაზე მიგვანიშნებს საერთოდ — აძლიერებს ეროვნული ტრაგედი-ის განცდას. დამთრგუნველი ძალა უნდა განადგურდეს, თორემ იგი ყველას და ყველაფერს წალეკვით ემუქრება. ეს უკანასკნელი ძირი-თადი ხმა კონტრაპუნქტის მნიშვნელობას იძენს და თავს უყრის თა-ლისთავად თითქოსდა დამოუკიდებელ მოტივებს. ხელმოყველი რა-ინდის სიკვდილით აღძრული სინანულის გრძობაც აქ ბუნებრივად ერწყმის წარმოსახული სურათის ერთგვარად მკაცრ ტონებს. პოეტუ-რი ალლო და ტაქტი ამ შემთხვევაშიც უცთომელია და შენდობის პუ-შანური მოტივითაა გამართლებული.

უნიკალურია ლექსის მხატვრული ქსოვილიც. პოეტის შთაგონებას აქ ბედნიერად ერწყმის გამოხატვის ფორმის არაჩვეულებრივი სრულ-ყოფილებაც.

ექსპოზიცია შედარებით წყნარი და უშფოთველია. თხრობა გაცი-სკროვებულია პოეტური სურათებით. მაგრამ აქვე ერთი პოეტური დეტალით მინიშნებულია შემდგომ განვითარებულ მოვლენათა დრამა-ტიზმზე: „ისევ აღვსდექი! მუხრანის ბოლოს ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს“. რის შემდეგაც პოეტური სურათი სრულიად განსხვავებული ტემპითა და ენერგიული სტრიქონებითაა გადმოცემული.

საგულისხმოდ აქ ისიცაა. რომ ხალხური ბალადის შემოქმედებითად ათვისებული მოტივები ფოლკლორული პოეტის ხერხებით უონავენ ლექსის ქსოვილში და პირველივე სტრიქონებში პოეტური ფრაზები პარალელურ წყვილებად ლაგდებიან: „ყურღანებიდან გნოლი აფრინ-და. ყაბარდოს ეელი გადაიარა. ისევ აღვსდექი. მუხრანის ბოლოს ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს“. ან „ქსანზიდ. არაგვზედ ისევ ჰყვავი-ან ხოდაბუნები თავთუნებისა. შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას“. პოეტური თხრობის ასეთი კილო. ძველ-ქარ-თული ბალადის მსგავსად. ეპურ ნაკადს აძლიერებს და ფართო მას-შტაბურობას ანიჭებს პოეტურ სათქმელს.

უფრო ქვემოთ სტრიქონებს „შენი ტუჩებიც ისე ტკბილია, როგორც ბადაგი დადუღებისას“ ეხმიანება ერთგვარი სინანულის შემცველი პოეტური ფრაზები: „ნეტამც ბადაგი არ დამელია და იმ დღეს ხმალი არ ამოღესა“. პირველი ბიძგიც აქედან იწყება, რაც თავისთავად მოასწა-ვეებს შემდგომ დატრიალებული ძალთაკვეთების ტრაგიკულ აღსას-რულს.

პოეტურ სურათებს აცხოველებს. მართლაც, მხოლოდ და მხოლოდ ლეონიძისათვის დამახასიათებელი მოულოდნელი სახეები, გაუღენ-თილნი მიწიერი სურნელით: „როგორც საძროხე ქვებს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები“. გრანდიოზული პოეტური სურა-

თის ფონზე აქ ხელშესახებად იგრძნობა სისხლისაგან დაცლილი რაინდის უკანასკნელი ამოსუნთქვა და განშორების დიდი გულისტკივილი.

ლექსში ორგანულადაა მოხმობილი რუსთველური ფრაზები, მაგრამ მათი ფუნქცია მეტია, ვიდრე სამკაული ან მხოლოდ სტილისტიკური ზეგნები. იგი ზუსტ ასოციაციებს აღძრავს და აძლიერებს განცდას სიყვარულის უკვდავებაზე, რომელიც რუსთველური სიყვარულის სახელითაა აღბეჭდილი ჩვენს ცნობიერებაში და საუკუნეებს წვდება. ამის გამო ასეთ გრძნობათა აპოთეოზად აღიქმება ლექსის ფინალური სტრიქონებიც:

მოდ!

გეძახი ათას წლის მერე,  
დამნაცროს ეღვამ შენი ტანისა;  
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი  
და დრო ახალი პაემანისა!..

„ახალი პაემანის“ მოლოდინი, ლექსში ჩაქსოვილი ცოცხალი განცდა თაჯამედროვეობის სულითაა აღბეჭდილი, რაც „ყივიჩაღის პაემანის“ მარადი სიჭაბუქის გარანტიაა.

მდიდარი და ცნოვრებისეულია გიორგი ლეონიძის სახეთა სისტემა. მას, როგორც ჩანს, გაცნობიერებულცივ კქონდა ის ურყევი ქეშმარიტება, რომ პოეტის შთაგონებაში არ უნდა დაიძროს ბეშვობისა და სიჭაბუქის პირველი ხილვები. როცა შენში ფეთქავს ბუნების თანაზიარობის უკვდავი გრძნობა, ხოლო ყოველი გაზაფხული ახალი აღმოჩენების ქრუანტელსა გვევრის.

მან იცის, რომ ეს იშვიათი მადლია, რაც გაცხადებულია კიდევ მის ერთ უმშვენიერეს ლექსში: „შენი დრო იყო სიჭაბუქისა. ვერ აიყარა შენი ყვაილი; სიჭაბუქე და ლექსი ერთია. ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“. აქ არც უბერებელ სიჭაბუქესა და არც მხოლოდ ჰაბუქური ცეცხლის უშრეტობაზეა საუბარი. წელთა სიმძიმე სობრძნესთან ერთად ახალსა და ახალ თვისებებსაც ჰმატებს ქეშმარიტ პოეტს. მთავარი ამ შემთხვევაში წარსულის არდავიწყებაა. როცა პოეტის წარმოსახვაში ეალიბდება პირველადი სახეები. სახეთა სისტემა, აღრეული ხილვები თავანკარა წყაროსავით სუფთაა და შეუმღვრეველი, ხოლო საკუთარი თავის შეცნობის გზაზე მიგნებული აღმოჩენები ლორთქო ბალახის პირველყოფილ სურნელებას ინარჩუნებენ. პირველადი სახეები პოეტის მუღმივი თანამგზავრები ღდებიან და მრავალფეროვანი ვარიაციების სახით იჩენენ თავს. პოეტის შთაგონებას ასეთ დროს უცთომელი ნებსიერება ასაზრდოებს. რის გარეშეც იგი განწირულია დასაშრტობად. გიორგი ლეონიძე ამ ღეთაებრივი ნიქით უხვადაა დაჭილდოებულნი.

ამიტომ არის, რომ პოეტის ლექსებში გაზაფხულს რძის სუნი ასდის, ხოლო ცა — ატმებით მსხმოიარე და ჩახჩახა. მთვარე გომბორის მთაზე შემოდგმული რძით გავსებულ ტაგანს აგონებს, ხოლო ცის-

კარი — ახალ ჩოხაში გამოკვართულ კოხტა ბიქს. ბრდღვილა კალმახს  
ნის ლექსებში ჩითები მოსავს, ხოლო განთიადის სიხარულით აღვსილი  
პოეტი მიესალმება „დილას, რომელსაც ნისკარტით ეზიდებიან ჩიტე-  
ბი“.

მსგავსი პოეტური ხილვები არასოდეს ტოვებდა პოეტის შთაგო-  
ნებას, სიწრფელისა და „პირველადვე ქმნილის“ მშვენებას ანიჭებდა  
მის რვალივით მტკიცე სტრიქონებს: „და უწმინდესი ტაძარი, არსზე  
წისქვილი პატარა, შენმა ტინებმა სიმაგრე ლექსებში გამომატანა“  
(„იორის ღამე“).

„პირველ მოწყვეტილ იების დღიდან“ აღმოცენებულმა ამ ხილვებ-  
მა შემდეგ მის დიდებულ პოეტურ პროზაშიც გადაინაცვლა და შუშ-  
ელვარა სხივივით გაანათა ეს ყრმობის მოგონებათა ფურცლები: „კ  
არ უნდა ვწერდე, ყვაილებით უნდა ვწნავდე. ჩვენი სოფლის ყვაი-  
ლებით უნდა ვქსოვდე ამ წიგნის კაბადონებს, შიგ ჩემი ცისა და მიწის  
ლიმილია ჩართული, შიგ ჩემი ყრმობის სუნთქვაა“. ეს სიტყვები მისი  
ცხოვრების მიმწუხრის ჟამსაა ხათქვამი და კიდევ ერთხელ მიგვანიშ-  
ნებს დიდ საიდუმლოზე.

რომანტიკული სულით აღზევებული გიორგი ლეონიძის ფერადო-  
ვანი ლექსი ქართული კაცის სულიერი ენერჯის ამოუწურავ შესაძ-  
ლებლობათა ახალი დადასტურებაა.

გიორგი ლეონიძე, ამასთან, ფართო დიპაზონის შემოქმედი იყო  
და, როგორც ცნობილია, ჩვეული ძალისხმევით მუშაოდა ქართული  
სულიერი კულტურის სხვა ჟანრებშიც. ქვემოთ წარმოდგენილია ორი  
ნარკვევი, რომელთაგან ერთი გიორგი ლეონიძის განმაურებული მო-  
თხრობების კრებულს „ნატვრის ხეს“ ეძღვნება და ეს ნარკვევი და-  
წერილია ადრე, ავტორის სიცოცხლეშივე, ხოლო მეორეში წარმოჩე-  
ნილია პოეტის ღვაწლი ქართული კლასიკური მწერლობის შესწავლის  
საქმეში.

გიორგი ლეონიძის ცალკეული მოთხრობები როცა ერთ კრებულად  
აიკინდა, უფრო აშკარა შეიქნა, რომ წიგნში ერთიანი პოეტური სურა-  
თია გადმოცემული. აქ მოთხრობილ ამბებს კომპოზიციურად ჰკრავს  
გმირი, რომელიც ავტორის პერსონაფიციკრებული სახეა. ჰაბუკი, მე-  
ოცნებე პოეტი (ასეა იგი წარმოდგენილი მოთხრობებში) გატაცებით.  
დიდი სიყვარულით გვიამბობს თავის სოფლის ადამიანებზე, მის ახ-  
ლობლებზე. ისეთივე ცეცხლით იწვის, როგორც ნიავეით მსუბუქ  
მარიტა ან ნიშარძელის წყალზე შეყვარებული ფორე. რომელმაც  
უნიადაგო ოცნებას შეაღია ახალგაზრდობა. მოგონებების სახით ნა-  
ამბობი უეჭველად სხვაგვარ ინტიმს ბადებს, თუმცა ეს მოთხრობები  
ბევრად სცილდებიან ჩვეულებრივ მოგონებათა ვიწრო ჩარჩოებს.

წიგნის სათაური „ნატვრის ხე“ კარგად გამოხატავს აქ მოთხრობილი  
ამბების შინაარსს. ყრმობის მოგონებები მარგალიტებივითაა ასხმული  
საოცნებო ნატვრის ხეზე. სიჭაბუკეში განცდილს ვერ შეჰხებია დროს

ნსახვრალი ხელი. პოეტის ნათელ მეხსიერებას ახალი სიცოცხლე მიუნიჭებია მათთვის. პატარძეული — სამშობლო პოეტისა, გარეკახეთის მშვენიერი კუთხე. ზოგს, მით უფრო, ქალაქის მკვიდრს, იქნებ, არც უნახავს ივრის წნორები ან ნინოწმინდის პალატები, მაგრამ ისინი კარგა ხანია ცნობილი გახდა თვითონ პოეტმა. პატარძეულის დილა პირველად გიორგი ლეონიძის ლექსებმა შემოიტანეს ჩვენს ცნობიერებაში:

პატარძეულის იები...  
დილა ბროლშენაკიები...

დილა ღმერთმოჩვენებული  
შანთივით ჩამარჩა ხსოვნაში;  
და ფიქრი მოჭერებული  
პირველი სიტყვის პოვნაში.

გიორგი ლეონიძის ძალზე კოლორიტულ მოთხრობებს საინტერესო და მრავალფეროვანი გმირები ჰყავს. ვინ არიან ისინი? ჩვენი ქართული სოფლის უბრალო მკვიდრნი, ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთაც არ აქვთ ასპარეზი დიდი შემართებებისათვის. ამაზე ავტორს აქვს თავისი შეხედულება, რომელიც მხატვრულად ხორცშესხმულია თითქმის ყველა მოთხრობაში. მის მიერ წარმოსახული გმირები, ერთი შეხედვით, მართლაც პატარა ადამიანები, დიდი შინაგანი ძლიერებით გვხიბლავენ, სისპეტაკით ბრწყინავენ. თითქოს ყოველ მათგანში თვლემს ის დვრიტა, რომელიც საჭირო შემთხვევაში ნამდვილ სახალხო გმირებად აქცევთ მათ.

ავტორი ხშირად გვიყვება თავის თანასოფლელთა გულუბრყვილობაზე. მიამიტურ შეხედულებებზე, მაგრამ ისეთი რწმენით, ისე მოზომილად, რომ მკითხველი უნებურად თვითონაც იმსჯელებს დიდი თანაგრძნობით. თბილი იუმორითაა გადმოცემული ერთ მოთხრობაში ბუნებულა დალაქის ამბავი, რომელმაც მარტოდმარტომ გადაწყვიტა სამართლიანობის აღდგენა. მერე ვინ? თორმეტი შვილის მამამ, სიღარიბეში დაბეჩავებულმა ბუნებულამ. ვერავინ რომ ვერ აიყოლია, მარტო წავიდა ხელმწიფესთან საჩივლელად: ომი და სისხლისღვრა როგორ შეიძლება? აბა ვინ მიუშვებდა, ან როგორ მიადწევდა ხელმწიფის კარამდე უბირი ბუნებულა. გამასხარავებულები და გაპანლურებული უბრუნდება ნირწამხდარი დალაქი თავის სოფელს: „იყო კაცი თავმოწონე და გარემოებამ ნაკაცარი გახდა: მერე რისთვის?“ — კაცობრიობის გულისათვისო“, — ღიმილიანი სინანულით დასძენს ავტორი.

კრებულში რამდენიმე მოთხრობა ამავე თემაზეა გაშლილი. მაგალითად, მიამიტსა და საქვეყნო საქმისათვის აჯანყებულ ბუნებულას გარკვეული კუთხით ჰგვანან სხვა მოთხრობის გმირებიც: ფორე და ჩორენი, რომელთა კეთილშობილური მიზნები თავიდანვე განწირულია. მათ არ უწერიან განხორციელება. ფორესა და ჩორენსაც ცხოვრების 406

აღლო ღალატობთ. ეს იყო მათი უბედურება. სოფლისთვის იღვწოდნენ და სოფელს კი არ ესმოდა მათი. ფორეს ამბავი კრებულში პოეტურად არის გადმოცემული. ძველი სოფლის სილატაკის მიზეზი აქ თითქოს სიმბოლურადაა აღქმული. ფორე წმინდა გიორგივით ნანატრი გმირია, რომელმაც წყალი უნდა მოუპოვოს ხალხს. სოფელი კი არ იზრძვის. არამედ ცხოვრობს და სიჭიუტით პასუხობს ბუნების ასეთ რისხვას. კარგად მიგნებული დეტალით აცხოველებს ავტორი ამ სუ. რათს: „ბავშვებს არასდროს არ ენახათ ჩანჩქერი, არც ჩახრიალა, არც შადრევანი, არც უხვი წყლით გახარებული ბაღნარი, არც მტევნის ძუძუ, არც მზის ყანა! ეპ. რა უსაწყურვილესი იყო სოფელი! ოპ! რა ბრეს ადენდა ხორშაკი ქარი! სოფელი მტვერში ეხვეოდა; რასაც დასთესდნენ ბოსტანში, თიბათვის დამდეგს აიფშრუკებოდა. მკათათვეში ამტვერდებოდა.

— რაღადა სთესო? — შევეკითხებოდი სოფლის დედაკაცებს.

— მაშ რა ვქნათ, სოფელს ხომ არ გავაციებთ, სირცხვილია!..

სიკაბუჯის ტრფიალად გადაექცა ფორეს ნიშარძეულის წყალი. მას უნდა გადაერჩინა უღაბნოდ ქვეული სოფელი. მშვენიერ წალკოტად ექცია. უნიადაგო და აუღენელი იყო მისი ოცნება. სილატაკით წელში გაწყვეტილ სოფელს არც სჯეროდა ფორეს გეგმისა და არც შეეძლო ორეული ნიშარძეულის წყლის გამოყვანა. სოფელმა ზურგი აქცია მეოცნებეს და იგი მარტო დარჩა. მოქმედებისა და ბრძოლისათვის დაბადებული ფორე უსარგებლო კაცის ცეცხლით იწვის. დიდი სიყვარულით, თანაგრძნობით არის დახატული მოთხრობაში მარტოშენილი ფორე. იგი ოცნებით ცოცხლობს, სიზმრებში აღწევს თავის საწადელს. საგანგებოდ მინდა შევნიშნო, რომ მოთხრობის ერთ-ერთი ძლიერი ადგილია ფორეს ზმანება. რომელშიც გმირის მისტიკური ხილვაა გადმოცემული. ალბათ, ასევე წარმოედგინა უწყლო ქვეყნის მკვიდრს, ან უღაბნოში გადაკარგულ ბედუნის აღთქმული ქვეყანა.

სოფლის კოლორიტულ სურათებს აცხოველებს კიდევ ერთი პერსონაჟი. რომელიც ფორესავით ჩწმენის კაცია, ეს გახლავთ ჩორეხი— თითქმის ფანატიკოსი, გარდასულ დღეთა მგზნებარე ტრფიალი. ფორე ზომავალზე უნიადაგო ოცნებამ გადაიყოლა. ჩორეხს კი მზერა მხოლოდ წარსულისაკენ მიუბრბის.

გიორგი ლეონიძემ მოთრობებში სხვა საინტერესო სახეებიც გავაცნო. ყველა ისინი საკუთარი ცხოვრებით, თავისებური ბუნებით გამოირჩევიან. ავტორს საღებავები არ დაუკლია მათთვის. სოფლის ბელადად „მოვლინებული“ ციციკორე შეურყეველი ხასიათის კაცია. სოფლის მეეტლე იაგორა სოფლიდან გაიქცა და სამუდამოდ დაკარგა ის ფესვი, რომელიც მშობლიურ მიწასთან აკავშირებდა. არაჩვეულებრივად კოლორიტულია ამბავი ორი მეზობლის ჩირიკისა და ჩიკოტელასი. რამდენი იუმორი, რამდენი სითბოა, როცა ავტორი გვიამბობს მათ უცნაურ, უმიზნო აყალმყალზე.

ცალკე მინდა აღვნიშნო მოთხრობა „სახელის მილოცვა“, რომე-

ლაც საინტერესო ნახატით გამოირჩევა. მოთხრობის პირველი ნაწილი ძველი ისტორიული ქრონიკის ასოციაციას იწვევს. ენობრივი მასალაც სხვადასხვაგვარადაა შერჩეული. ავტორი ძველი მემატრიანესავე სიტყვაძენაშია. ზოგად შტრიხებს იძლევა. მაგრამ ქრონიკა თანდათან ცოცხლდება, რეალური გმირები ავსებენ ასპარეზს. შალია ლასურაძე ძველ მეომართა ოჯახს შვილია. გვარის უკანასკნელი იმედი. ოსტატის ხელით არის დახატული დედა ჩახტაურა. უტეხი სულის ქართველი ქალი. იგი შალიას დავაჟეციების მოლოდინით ცოცხლობს. აჰა, საცაა ეს დღეც უნდა დადგეს, სოფელმა უნდა დალოცოს და „ქარფენა“ ცხენს უნდა შემოახტეს შალია ლასურაძე.

გიორგი ლეონიძე არ გვიამბობს, არამედ პოეტურ სურათებად ალაგებს ცალკეულ ნახატებს შალიასა და მისი დედის სამწუხარო თავგადასავლიდან. მე მხოლოდ ერთ ადგილს მოვიტან მოთხრობიდან, რათა მკითხველისათვის ნათელი გახდეს, თუ როგორ აღწევს მხატვრულ ეფექტს მწერალი: „...პირველი მსოფლიო ომის დროა, დეიდა ჩახტაურა ზის მარტომარტო შემშალ, ძველებურ აივანზე, კერას არ აციებს... ზის და წინდას ქსოვს... სამი ვაჟიდან ვითომდა შემორჩენილი ერთადერთი ვაჟიშვილი შალიასათვის, რომელიც სულ ამას წინათ დაელუბა. მაგრამ ჩახტაურას არ სჯეროდა, ღრმად სწამს შვილის უკვდავება და ფოსტალიონს მკაცრი კილოთი ეტყვის:

— ენამც მოგტყდება, ენამცდარო! უკან წაიღე! ეს ქალაღი იმასვე მიუტანე. ვინც გამოგატანა! შალია როდი მყავს მკვდარი! აღარ ვაბედო ამის თქმა! — და ისევ განაგრძობს წინდის ქსოვას კიბის თავზე... წუთის შემდეგ, ჩახტაურა ისევ მრისხანე ხმას დააწევს შარაზე მიმავალ, განცვიფრებულ გუგუნას: აღარ გაბედო მაგნაირ შავი ქალაღი აქ მოსვლა. თორემ ძალღებს დაგაგლეჩინებ! სამახარობლოდ მოდი, სამახარობლოდ!“

უბრალო სასაუბრო კილოთია გადმოცემული ფსიქოლოგიურად ძლიერი და დამაჭერებელი სურათი. დედის გული ფანტიკურად ეურჩება მკაცრ სინამდვილეს. არ უნდა იწამოს უკანასკნელი იმედის ჩაქრობა. ფსიქოლოგიური სიმართლითაა გადაწყვეტილი გიორგი ლეონიძის მეორე საინტერესო მოთხრობა. რომელშიც გადმოცემულია მშვენიერი მარიტას და ჭაბუკი ნათელიძის უიღბლო სიყვარულის ამბავი. მარიტა სოფლის თვალთა. ანკარა წყაროსავით სუფთაა და სპეტაკი. პოეტურად ამალლებული, რომანტიკული საღებავებითაა შესრულებული მისი სახე. მსუბუქი, ჰაეროვანი ტონებით. შინაგანი თრთოლვა და გამოუცნობი შიში ქვეტექსტად მისდევს მარიტას სახის განვითარებას. სად უნდა გაიხაროს ასეთმა ყვავილმა, როცა პოეტური ბუნების ადამიანები უხეში სინამდვილის მსხვერპლნი ხდებიან. ეს თემა ძალზე ახლობელია გ. ლეონიძისათვის. იგი სხვა მოთხრობებშიც არის წარმოსახული. ასეთია მარიტას ხვედრიც. ჭორებს აყოლილმა სოფელმა მარიტას არ აპატია ლტოლვა ქეშმარიტი სიყვარულისაკენ. ხალხის დიდი სულიერი გარდატეხის ფსიქოლოგიურად მართალი სურათია



დახატული, როცა მთელი სოფელი ეთხოვება მარიტას ცხედარს. აქ კი საბოლოოდ იმარჯვებს მარიტა... „და სამარის პირად, როცა დადგა უკანასკნელი წუთები გამოთხოვებისა და მიწის მიყრისა. იმ წამს, კუბოსთან მიჯრილმა მარიტას შეურაცხყოფელმა ხალხმა, ახლა შეშინებულმა, უეცრივ უკან დაიხია, კინალამ ერთმანეთი გადათელეს და გათქერეს... რადგან ერთი მუჟა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა ამ ღვთიურ სილამაზეს, ვერავინ... ვერავინ“...

მე მინდა კიდევ მივუბრუნდე მოთხრობას „სახელის მილოცვა“. ამ მოთხრობას ავტორი ამთავრებს სახალხო დღესასწაულის აღწერით. გიორგი ლეონიძე ქართული სოფლის, ჩვენი ეთნოგრაფიის, ფოლკლორის შესანიშნავი მკოდნეა. ეს ცოდნა საოცრად ამდიდრებს მის მოთხრობებს და ბევრად უფრო ფართო განზოგადების საშუალებას იძლევა. თავისთავად საინტერესო ეთნოგრაფიულ ჩანახატებში მხატვრის ფუნჯით გაცოცხლებული სახეები მოქმედებენ. ლეონიძის ზოგ მოთხრობას ემჩნევა ავტორის გატაცება ეთნოგრაფიული აღწერებით. მაგრამ ჩემი აზრით, მეტწილად იგი ზიანს არ აყენებს მხატვრულ ქსოვილს, პირიქით, უფრო დამაჯერებელს და ცხოვრებისეულს ხდის მწერლის ნაამბობს. ამ მოთხრობაშიც თითქოს ეთნოგრაფიული სურათია გადმოცემული: მთელი სოფელი გამოსულა ასაფლაოზე. ხალხი ერთმანეთს ულოცავს „სახელს დღეს“... სოფლელები დასტირიან მიცვალებულებს. ჩვენ ძველებს. ვისაც სახელი დაუტოვებია თავისი ვაჟ-კაცობით, თუ ზევით მოთხრობაში მემატიანის ძუნწი, ლაკონური ენით მიდიოდა თხრობა, აქ პოეტი მდიდარი ხალხური ენით მეტყველებს. სახალხო დატირება პოეზიის სიმალემდეა აყვანილი.

„ხავსი და მობიბინე ბალახი ჰფარავს გმირთა საფლავებს...“

ირგვლივ ფრთაგაშლილი გაზაფხული ფრიალებს...

— სახელი მომილოცნია, შვილო! — ყუჩად დასტიროდა შაოსანი დედაბერი ჭაფარაულის საფლავს და დედაკაცები ზედ ზუზუნს აყოლებდნენ:

— განა შინ მოკვდი, ომის კარს მოკვდი! ხელთ ხმალი გექირა!

ხალხი მოვიდა, ღვთისოს ჩოქით სახელი მიულოცა.

— ჰაი. შე უდროოდ გათავებულო, შე გამარჯვებულო. მადლობელი ვარ შენი სახელისა! — ჩასძახოდა პაპა ედიშერი მწყემს გაგნიას, — სვეტი ნათლისა დაგადგეს!“

ასეთი მხატვრული სურათითაა შემზადებული მგლოვიარე დედა ჩახტაურას შემოყვანა. მისი ხმაც ერთიან ნაკადად ერწყმის სახალხო მწუხარებას. ნუგეშად ჩაესმის ჩახტაურას, რომ მისი შალიაც სახალხო გმირად შეურაცხიათ. ლექსებიც გამოუთქვამთ: „შალიას სიკვდილისთვისა მალლა ღმერთს მოსწყდა წელია! მთვარემ ჩაიცვა შავები, ეარსკვლავთ არ ედო ფერია!“ ასეთ დროს ზღვასავით დიდია და წყნარი სახალხო მწუხარება, თითქოს სადღაც ჰქრება შენი და ჩემი, მომწვიდებული, დაწყნარებული სახით ბრუნდება უკან დედა ჩახტაურა. სხვისთვისაც ჰყოფნის ღიმილიანი სიტყვა: „რა სახელიანი შვილი

მყავდა! დახე, სოფელმა სახელი მიულოცა! თქვენც კარგები დაიზარდენით, ტყემლის ბოყებო!“ — მიმართავდა იგი გზად შემოხვედრილ ბაღებს, მომავალ ვაჟკაცებს.

ეს მოთხრობა საინტერესოა მწერლის ოსტატობის თვალსაზრისითაც. კარგად ამხელს მასალისადმი ავტორის დამოკიდებულებას, მახვილი პოეტური „სმენა“ ზუსტად ირჩევს შესაფერის მხატვრულ ესოვილს. ზევითაც აღვნიშნე, რომ ამ მოთხრობებში ორი ფენა, ორი ნაკადია შემოჭრილი. პირველი ნაწილი უფრო ფრაგმენტულია და გადმოცემულია ლასურაძეთა ძველი გვარის ამოწყვეტის ამბები. იგი ძველი ქრონიკის ლაპიდარული სტილით არის დამუშავებული. მოთხრობის ზემოაღნიშნული ფინალი ჰკრავს ამ ფრაგმენტულობას. ეს არის იოთქმის ნატურალისტური სიზუსტით აღწერილი სცენა სახალხო გლოვისა, რომელსაც თავის ხმას უერთებს შალიას დედა, მწუხარე ჩახტაურა. მწერლის ენა აქ წყალუხვ მდინარესავით მოედინება, ხალხური თქმები, იდიომები ერთმანეთს ენაცვლებიან. ჰარბი საღებავები კოლორიტის სასიამოვნო განცდას გვანიჭებენ.

ასეთივე მხატვრული ხერხითაა შესრულებული მოთხრობა „ღვინჯუა“, რომელიც პირველად სხვა სათაურით გამოაქვეყნა ავტორმა („დაუღვეველი საღღეგრძელო“). თხრობის ხალხური ნაკადი, ჰარბი კოლორიტი. ძარღვიანი დედა-ქართული აქ კახეთის შემოდგომასავით მსუყე და მათრობელაა. მოთხრობის დედაბოძია განთქმული თამადა ღვინჯუა, რომელიც გუთნის დედის პატიონებით ასრულებს გლეხური სუფრის მეთაურობასაც. სულ უბრალო ამბავზეა აგებული მოთხრობა. თამადაობის რიგი და წესი წმინდა ზიარებასავით სწამდა ღვინჯუას. ისე არ აღგებოდა სუფრიდან, რომ ტრადიციული „საყოვლადწმინდაო“ არ დაელია — „ვინც ბუდექართველია უამსადღეგრძელოდ არ უნდა ადგეს სუფრიდან! ჩვენი ქვეყნის პატივია! რა ნება გვაქვს მამაპაპური ანდერძი გავტეხოთ? მართო შევილებსა და შეილიშვილებს კი არა, ბოლო ქართველებსაც უნდა გადავცეთო!“

ერთხელ ლამის უღალატა თამადაობის წესს. ერთმა ყიამყრალმა თანამოსუფრემ უსინდისო სიტყვა ესროლა და განაწყენებული ღვინჯუა „საყოვლადწმინდაოს“ დაუღვევლად ადგა სუფრიდან. ეს მიაშიტური, გლეხური, გულუბრყვილობაზე დამყარებული კოლიზია ავტორის ისეთი რწმენით, თბილი იუმორით, მახვილად შერჩეული დეტალებით აქვს განვითარებული, რომ მკითხველი მთელი გულით განიცდის ღვინჯუას „გასაჭირს“. არაფერი მოულოდნელი აღარ არის იმაში, რომ საშინელ ქარბუქში მოხვედრილი ღვინჯუა უკან მიბრუნდება და წმინდად შეასრულებს თამადაობის წესსა და რიგს — „საყოვლადწმინდაოს“ საღღეგრძელოს არ მოაკლებს ნათლიმამის ოჯახს.

პლასტიკური ხატვის მაღლი, სიტყვაქმნადობა და უღვეველი საღებავები, როგორც ითქვა, გიორგი ლეონიძის ტალანტის ორგანული თვისებებია. ამ თვალსაზრისით, მისი მოთხრობებიც შესაფერის მხატვრულ სიმალეზე დგანან. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ერთი ეპიზო-

დი ამავე მოთხრობიდან. მამაპაპური ქართული ლხინია გაჩაღებული ნათლიმამა თაყას გლესურ დარბაზში. გულმართალი, ჯანსაღი, შრომაში გაკაყებული გლეხები შემოსხდომიან ნათლობის სუფრას და თავიდანვე სიტყვო, გულითადობა გამეფდა. ხელმოსაჭიდი, როგორც იტყვიან „ხორკლიანია“ ავტორისეული თხრობა და იგი ატყვევებს მკითხველის თვალსა და გულს.

პლასტიკური სურათები ხალხური იუმორითაა შეზავებული. სუფრას შემოსხდომიან სხვადასხვა ბუნების, ხასიათისა, მეტსახელებით „შემკული“ თანასოფლელები. ავტორს თითო შტრისი ყველასათვის ჰყოფნის. არ შეიძლება გულით არ გაგეცინოს, როცა ავტორი მსუნავ თლოშიაურს ასასიათებს. ღორის ლურთები რომ ელანდებოდა ნიადავ. ან კი „ტყავის ფეშტამალაფარებული ელამი კალატოზი ყიჟალა, სულ მთვრალი, კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემოდან ჩამოსძახებდა: „მეეცათო!“ და მართლაც, ნავაგლახევი კედელი ან პირდაპირ წამოვიდოდა, ან გვერდზე გადმოინგრეოდა. სოფელი მაინც მაღლიერი იყო ყიჟალასი: — სხვა არც მაგ სიკეთეს გვიზამდაო“.

მოთხრობებში ახლებურად გამობრწყინდა გ. ლეონიძის პოეტური ენის შესაძლებლობები. მითიური ფარხადივით ვაჟკაცურად ებრძვის პოეტი სიტყვის უზარმაზარ მთას, რომ ჯერ ხელუხლებელი ზოდები ჯადმოანგრიოს, გვაგრძნობინოს ქართული სიტყვის პირველყოფალი მშვენიერება. მე ვერ დავასახელებ უახლეს ქართულ პროზაში სხვა ისეთ ნაწარმოებს, სადაც სიტყვის ასეთი დიდი მოსავეალი იდგეს. აქ შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა, თუ როგორ უშურველად აფრქვევს პოეტი ქართული სიტყვის მარგალიტებს. იგი უხვია და მისი სიტყვა, ერთი შეხედვით, შერჩევის გარეშე მოედინება, მაგრამ წუთიც და თქვენთვის ნათელი ხდება, რომ ეს სიტყვები აქ ზუსტად თავთავის ადგილას სხედან, უკვე ახალი სიცოცხლით სუნთქავენ. თანამედროვე პროზაში ისეთ შედარებით გაცვეთილ ხერხს, როგორიცაა გმირის დახასიათება ეპითეტებით, პოეტი ისე გაბედულად, მოჭარბებული რაოდენობით იყენებს, რომ მხოლოდ დიდი ოსტატობა შევლის საქმეს. მარიტა — მწყაზარი. მოციმციმე ტრედონა, წყნარი, როგორც მაისის თეთრი წვიმა, ქალი, მტევანივით შემკობილი, ჩაკდემით მოსიარულე, ნაზი, როგორც ნიავე ვერხვში შეხიზნული და ა. შ. თითოეული სიტყვა ამავე დროს თავისი მშვენიერებით ბრწყინავს. ამიტომაც სრულიად იკარგება ფერების სიჭარბის გრძნობა.

გ. ლეონიძის მოთხრობებში სიმძიმის ცენტრი პოეტურ სიტყვაზეა გადატანილი. სიუჟეტი, კოლიზიები უკანა პლანზეა, ზოგ მოთხრობაში არც არის ცდა სიუჟეტის გასაშლელად. მაგრამ პოეტურ სიტყვას აქ ერწყმის მეორე მხატვრული ფენომენი, რომლითაც ბრწყინავს გ. ლეონიძის პროზა. ეს არის მხატვრის უტყუარი თვალი, ხასიათების საოცარი გრძნობა. გ. ლეონიძემ ქართველ მკითხველს გააცნო სახეების მრავალფეროვანი სამყარო. მონუმენტური სახეები, ეროვნული სულის ძიება ამ მოთხრობებს დიდ ზემოქმედებით ძალას ანიჭებენ.

როგორც ზევითაც აღვნიშნე, გ. ლეონიძის მოთხრობების გარეგნული ფორმა ძალიან ჰგავს მოგონებებს. ზოგ შემთხვევაში შეინიშნება კიდევ დოკუმენტური პროზის ელემენტები, თუმცა უფრო ხშირად ავტორი თავს აღწევს ამგვარ ცდუნებას. მისი თხრობის სფეროში არ შემოდის ყოფთი დეტალები, წვრილმანი, კონკრეტული შინაარსის მქონე ამბები. მწერალი ძალზე დატვირთულია ყრმობის შთაბეჭდილებებით და ზოგჯერ ნაჩქარევად ცდილა ჯერ კიდევ მხატვრულად მოუმწიფებელი მასალის გამოტანას. მაგალითად, დაუმთავრებელი და ესკიზური მონახაზის შთაბეჭდილებას ტოვებს კრებულში მოთავსებული რამდენიმე მოთხრობა („ორი შემოხედვა“, „მოხუცი გუთნისდედის სიკვდილი“). მთელი მოთხრობაა მიძღვნილი ისეთი სახისადმი, რომელიც თავისთავად ძალზე კოლორიტულია და დაამშვენებდა რომელიმე მოთხრობის ცალკეულ ეპიზოდს, მაგრამ ცალკე აღებული ვერ უძლებს მხატვრულ დატვირთვას. ამის გამო თხრობა ჭიანჭურდება და მხატვრული ეფექტიც ნაკლებია. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „ქამპურა“, ან მეორე მოთხრობა „თალხია“. ჩემის აზრით, ავტორი ზოგჯერ ზედმეტად ერევა მხატვრულ თხრობაში, ეს კი უეჭველად იწვევს სტილის „ამოვარდნას“. ავტორი თვითონ არის ამ მოთხრობების პერსონაჟი და იგი მხატვრული ფუნქციის გარეშე არ უნდა დარჩეს.

მაგრამ ეს, მართლაც, უმნიშვნელო „ლაქები“ ოდნავადაც ვერ ანელებენ მთლიან შთაბეჭდილებას. მრავალფეროვანი ქართული სახეებითა და მადლიანი ქართული სიტყვით დამშვენებული გიორგი ლეონიძის ეს მოთხრობები, ექვს გარეშეა, უნიკალური მოვლენაა თანამედროვე ქართული პროზისა და ამასთან ახალი კუთხით გვაგრძნობინებენ მათი ავტორის დაუშრეტელ ტალანტს.

ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი გიორგი ლეონიძე პატრიოტული გზნებით დაწერილი ნარკვევებით გაესაუბრა ქართველ მკითხველს, განვლო ნახევარ საუკუნეზე მეტმა. დიდ პოეტს ჰაბუკობიდან გამოყოლილი ინტერესი კვლევა-ძიებისადმი ბოლომდე შემორჩა და დღეს მის ბრწყინვალე პოეტურ მემკვიდრეობას მხარს უმშვენებენ მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, ნაყოფი მძიმე და ბეჯითი შრომისა.

„ვიეჩადის პაემანისა“ და „ნინოწმინდის ღამის“ ავტორი ქართველი ხალხის წარსული ცხოვრების უბადლო მცოდნე იყო. ეს დიდი ცოდნა, კვლევა-ძიებით გატაცება საზრდოს აწვდიდა მისსავე შემოქმედებას, წარმოუდგენლად ამდიდრებდა მგოსნის პალიტრას. წარსული და დღევანდელობა ბუნებრივად იყო გადაჯაჭვული პოეტის ლირიკულ შედეგერებში, ხოლო მისი პეროიკული პათოსით ახშიანებული ლექსები ჩვენი ხალხის გამირული ისტორიის ორგანული განცდის ნაყოფია:

პირველ მოწყვეტილ იების დღიდან  
მე ვარ დამწვარი შენი მსახური...

სამშობლოსადმი, ქართული სიტყვისადმი დაუოკებელმა სიყვარულმა სხვა სარბიელზეც გამოავლინა მისი დიდი ნიჭი და მძიებელი გონების უნარი.

ვისაც გადაუფურცლავს ჩვენი საუკუნის ათიანი წლების ეურნალ-გაზეთების აწ გახუნებული ფურცლები. მას უეჭველად თვალში მოხვდება რამდენიმე წერილი, რომელთა ავტორი ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებს დასტრიალებს თავს. აღწერს და ყველას მოუწოდებს, რომ როგორმე გადავარჩინოთ ძველი საქართველოს დიდების ეს უტყუარი მოწმეები. მათი ავტორია მაშინ სრულიად ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე. რომელიც მოკრძალებით ანდობს მკითხველს თავის ჯულისტიკვილს. საგულისხმოა, რომ იგი ერთ-ერთ თავის პირველ წერილში დაწვრილებით აღწერს ნინოწმინდის დანგრეულ პალატებს, ხოლო შემდეგ უკვე მოწიფულობის ასაკში მასვე უძღვნის თავის ლირიკულ შედევრს „ნინოწმინდის ღამეს“. პოეტური სიტყვით სამუდამოდ აღბეჭდავს მას ქართველი კაცის ცნობიერებაში.

მან დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის შესწავლის საშვილიშვილო საქმეში. დიპაზონი, მართლაც განსაცვიფრებელი იყო. ისტორიკოსი და მკვლევარი-ფილოლოგი ბედნიერად იყო შერწყმული მის გამოკვლევებში.

გიორგი ლეონიძე დიდი ინტერესით იკვლევდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებს, სხვადასხვა ეპოქას. არაერთი საგულისხმო წერილი მიუძღვნა. მაგალითად, ისეთ მნიშვნელოვან ეპოქას, როგორც იყო საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების ხანა. ვახტანგ გორგასალს, ძველი მცხეთიდან დედაქალაქის თბილისში გადმოტანას და ა. შ. ამ ეპოქის ღრმა ცოდნა გამოსჭვევს მისსავე შესანიშნავ პოემაში „სამგორი“. რომელშიც ასე ბრწყინვალედაა გაცოცხლებული ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი უმძაფრესი ეპოქა. გიორგი ლეონიძე ღრმად იყო გარკვეული ძველ ქართულ ეპიგრაფიკულ თუნარატიულ წყაროებში. თვითონაც არაერთი ძველი უნიკალური სიგელ-გუჯარი მოუპოვებია და გადაუცია ჩვენ წიგნთსაცავებს-სათვის.

მაგრამ მაინც უპირველეს წყაროდ და ძველი საქართველოს უძვირფასეს წიგნად იგი „ქართლის ცხოვრებას“ მიიჩნევდა და, ცნობილია, პოეტი-მკვლევარის გატაცება ქართული მატთანებით. გიორგი ლეონიძის ახლობელთ კარგად ახსოვთ, რომ პოეტს ხშირად უყვარდა „ქართლის ცხოვრების“ ნიშანდობლივი ადგილების გასჩენება. რომლებიც მას ზეპირადაც კი ახსოვდა. ეს სიყვარული „ქართლის ცხოვრებისადმი“. რომელსაც იგი ერთ ადგილას ხატოვნად „ქართლის მკვლევლობის“ ისტორიას უწოდებს. მან თავის გამოკვლევებითა და რამდენიმე მშვენიერი ლექსით გამოხატა. ბრწყინვალეა. ამ თვალსაზრისით. გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსი, რომელიც სწორედ ქართული მატთანებითაა შთაგონებული:

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“  
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,  
როგორ გლუწავდენ, ჩემო ქალაქო,  
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!

გამოვეარდები, ხარ თუ აღარა,  
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?  
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენ აბრებს  
და მიხარობ, რომ ისევ დგეხარ!

უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი ნაწილი გიორგი ლეონიძის გამოკვლევებისა ეხება ე. წ. აღორძინების ეპოქას (XVII—XVIII სს.) და XIX საუკუნის პირველ ნახევარს, როდესაც სულიერი კულტურის ახალი გზების ძიება დაიწყო ჩვენში. აქ კარგად ჩანს ისტორიკოსისა და ფილოლოგის მახვილი თვალი. არჩილისა თუ ვახტანგის, სულხან-საბას, გურამიშვილისა თუ ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება-შემოქმედების კვლევისას გიორგი ლეონიძე არა-ჩვეულებრივი სიცხადით, ისტორიკოსისათვის დამახასიათებელი თან-შიმდევრობით აღადგენს აქ მოხსენიებულ მწერალთა ცხოვრების შესაბამის ეპოქებს და ჩვენ ისტორიოგრაფიას არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტის მოპოვებითა თუ მეცნიერული დასკვნებით ამდიდრებს.

თავის დროზე ივანე ჯავახიშვილი ნატრობდა, რომ ფეოდალური საქართველოს ჭერ კიდევ ბნელით მოცულ ისტორიას ჩვენ სრულყოფილად ვერ შევიცნობთ. თუ სოციალურ საკითხებთან ერთად მონო-გრაფიულად არ შევსწავლით ქართველ ფეოდალთა გამოჩენილ სახელებისა თუ გვარების ისტორიას. გარეშე თუ შინაჯან ისტორიულ მიზეზთა გამო ესა თუ ის ფეოდალური გვარი არ იყო მიჯაჭვული პირვანდელ ადგილზე. ერთი გვარი ცვლიდა მეორე გვარის მფლობელობას, ხდებოდა ძირეული გადანაცვლებანი. თორღელთა სახლუფლობის შთამომავალნი მესხეთიდან შუა ქართლში მკვიდრდებოდნენ. დადიანებს აღმოსავლეთ საქართველოშიც ჰქონდათ მამულები, ხოლო თმოგველები იძულებულნი იყვნენ უჩარბაში ეძიათ ახალი საცხოვრისი. გიორგი ლეონიძე დიდ ინტერესს იჩენდა ამ საკითხებისადმი და მე ზირად საუბრებშიაც არაერთხელ დავრწმუნებულვარ. თუ რა დიდძალი მასალა ჰქონდა დაგროვებული მკვლევარს ძველქართულ ფეოდალთა არა მარტო გამოჩენილ. არამედ შედარებით მეორეხარისხოვან გვართა ისტორიისათვის. დიდის გულმოდგინებით აქვს მკვლევარს დამუშავებული და გამოქვეყნებული კიდევ ბარათაშვილ-ობელიანების გვარის რთული ისტორია. მესხეთიდან ქართლში ჩამოსახლებულ ფანასკერტელ-ცაციშვილთა გენეალოგია. გურამიშვილების წარმომავლობა (ასევე მესხეთიდან ვადმოსული ზედგენიძეთა გვარიდან) თუ გაბაშვილთა გვარის რამდენადმე ლეგენდურ გადმოცემებზე დამყარებული გენეალოგიური შტო. სამწუხაროდ. როგორც ჩანს, მკვლევარს

ბევრი რამ ამ სფეროდან გამოუქვეყნებელი დარჩა და ალბათ მისი მდიდარი არქივიდან არაერთი საგულისხმო მასალა თუ ცალკეული დაკვირვება მოელის გამომზეურებას.

მაინც გიორგი ლეონიძის, როგორც მკვლევარის პროფილი, განპირობებულია მისთვის ყველაზე საყვარელი ობიექტით, ქართული მწერლობის შესწავლით. ამ თვალსაზრისით მისი ლიტერატურული ნაღვაწი არა მარტო მრავალრიცხოვანი, არამედ მნიშვნელოვანია და მის გამოკვლევებს გვერდს ვერ აუვლის ვერაფერს. ვინც კი ძველი თუ ასალი ქართული მწერლობის შესწავლით არის დაინტერესებული.

ლიტერატურის ისტორია როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში იცნობს არაერთ ფაქტს, როცა გამოჩენილი მწერლები გატაცებთ მუშაობენ ლიტერატურათმცოდნეობის სხვადასხვა დარგში. როგორც ცნობილია, მეტწილ შემთხვევაში მათი დაკვირვებანი იმპრესიონისტული მანერით შესრულებულ ესეებს წარმოადგენენ და ამა თუ იმ მწერალზე მათი სუბიექტური შეხედულების. ხშირ შემთხვევაში მეტად ფასეულის. გადმოცემას შეიცავენ. გიორგი ლეონიძის წერილები თუ ნარკვევები პრინციპულად განსხვავებულ ხასიათს ატარებენ. იგი მაძიებელი მკვლევარის როლს ირჩევს და ახალ-ახალი ფაქტების გამოვლენით ცდილობს შესასწავლი მწერლის ცხოვრების ქრონიკის აღდგენას. მისი პიროვნების ყოველმხრივ დახასიათებას. მას ეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა, მით უფრო წარსული ეპოქების მწერალთათვის და სამართლიანად ფიქრობდა, რომ თანამედროვე ეტაპზე ამ კუთხით წარმართული კვლევა-ძიება უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა მომავალ თაობებს, რომელთათვის შესაძლოა უფრო ძნელადმოსაპოვებელი შეეყენეს ჩვენი დროის მკვლევარისათვის ჯერ კიდევ ხელმისაწვდომი ფაქტები.

გიორგი ლეონიძე სამართლიან საყვედურს გამოთქვამდა ლიტერატურის ზოგიერთ ისტორიკოსთა მიმართ. რომლებიც თავს არიდებდნენ ე. წ. შავ სამუშაოს და ამის გამო ან არ იცნობდნენ ფაქტიურ ვითარებას. ან კი სხვათა ნაკვლევის ვითომდა განზოგადების გზით ცდილობდნენ იოლად ფონს გასვლას. ასეთი „მკვლევარი“ ზოგიერთ ექიმსა ჰგავს, რომელსაც ავადმყოფი არ უყვარს და ყოველდღიური ჯაფისა და მკურნალობის ნაცვლად დიაგნოზის (ხშირ შემთხვევაში მცდარის) დასმით ათავეებს საქმეს. თვით სინამდვილემ დაადასტურა, რომ სტამბის დაზგათა სუნის შეშრობამდეც კი დავიწყების საბურველი გლის ასეთი პრეტენზიით შექმნილ წიგნებს.

გიორგი ლეონიძის გამოკვლევები ღრმა და დაუზარელი კვლევა-ძიების ნაყოფია. ყოველ მის წერილში ჩანს საარქივო მასალის სიუხვე, მკვლევარის ალღო და მიგნების უნარი. მისთვის არ არსებობს დიდი თუ პატარა ფაქტი, ოღონდ იგი რაიმე კუთხით შუქს ჰფენდეს საკვლევ ობიექტს. მასალის დაუფლება და შემდეგ ფართილი მეცნიერული დასკვნების გამოტანა — აი, ერთადერთი სწორი გზა, როგორც ეს წარმოედგინა პოეტსა და მკვლევარს გიორგი ლეონიძეს.

სანიმუშოა ამ მხრივ გიორგი ლეონიძის ვრცელი გამოკვლევა სულხან-საბა ორბელიანზე. ხშირად მასალის სიუხვე და ერთი შეხედვით წერილმანი ფაქტების გამომწვეურება მკითხველის აღქმას ერთგვარად დაბრკოლებას უქმნის. მაგრამ ლეონიძისათვის ასეთი დაბრკოლება ადვილი დასაძლევია. იგი კომპოზიციის და საერთოდ თხრობის შესანიშნავი ოსტატია, ეს მან თავის უკანასკნელი მოთხრობებითაც ბრწყინვალედ დაადასტურა. იგი ადვილად ახერხებს გამონახოს გზა მკითხველის გულისაკენ.

„მთელს საქართველოს მამად მიაჩნია“. — უთქვამს ერთ უცხოელს სულხან-საბაზე. ამ დიდებული დახასიათებით იწყებს თავის მონოგრაფიას მკვლევარი და ეს აზრი ლაიტმოტივად გასდევს მთელ გამოკვლევას, რომლის ერთადერთი მიზანიც სწორედ ის არის, რომ თანამედროვე მკითხველის წინაშე წარმოაჩინოს სულხან-საბა ორბელიანის უკე-დავი პიროვნება.

ახალი ფაქტების აღმოჩენითა და „ქილილა და დამანაში“ ჩართული ანდერძების გონებამახვილური გააზრებით გიორგი ლეონიძემ მანამდე უცნობი შტრიხებით გაამდიდრა სულხან-საბას ბიოგრაფია. ახლებურადაა ამ გამოკვლევებში გაშუქებული სულხან-საბას დიდებული წიგნის „სიბრძნე სიცრუის“ რთული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. კვლევის დღევანდელ ეტაპზე მართებული ჩანს დაკვირვება, რომ სულხანის რიგი არაკი. რომელთაც პარალელები ეძებნება სხვა ხალხების მწერლობაში. ზეპირი გზით ჩანს მაგრირებული და გაშუალებული ახალ ენობრივ წრეში. კიდევ უფრო ფასეულია გიორგი ლეონიძის დაკვირვება ფოლკლორთან „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის ორმხრივ კავშირზე. რაც შემთხვევაში, და ეს ფაქტებით არის ცხადყოფილი (ზღაპარი „მკაცრ მეფეზე“, კერძოდ პერსონაჟის შირვანგის „შირვან-შაჰის“ სახელიდან მომდინარეობა), თვით სულხანის წიგნს მოუხდენია გავლენა ხალხურ ზღაპრებზე და ეს მომენტი არ უნდა იქნეს დავიწყებული „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის ფოლკლორული წყაროების ძიების დროს.

ამ გამოკვლევებში იხილა მზის სინათლე რამდენიმე ნაწყვეტმა სულხან-საბას ქადაგებათა კრებულიდან, რომელთაც „სწავლანის“ სახელწოდებითაა ცნობილი და მანამდე ქართველი მკითხველისთვის ფაქტიურად სრულიად უცნობი იყო.

გიორგი ლეონიძემ რამდენიმე საგულისხმო წერილი მიუძღვნა სულხან საბას მოწაფესა და სულიერ მეგობარს, სახელოვან ქართველ ინჟალულს ვახტანგ მეექვსეს. განსაკუთრებით ფასეულია გიორგი ლეონიძის გამოკვლევები ქართული კულტურის ისტორიაში ისეთ მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორცაა პირველი ქართული სტამბის დაარსება თბილისში. სრულიად ახალი ფაქტების გამომწვეურებით და განსაკუთრებით რუმინეთში მიკვლეული მასალების საფუძველზე გიორგი ლეონიძემ მთელი სისრულით აღადგინა სტამბის დაარსების ისტორია და საბოლოოდ ცხადყო, რომ ვახტანგ VI-თან ერთად ამ დიდი



საქმის მეთაურის პატივი ეკუთვნის რუმინეთში მოღვაწე შესანიშნავ ქართველს ანთიმოზ ივერიელს. რომელსაც საქართველოში სტამბის გასამართავად გამოუგზავნია მისივე მოწაფე მიხაი უნგრო-ვლახელი. მკვლევარმა ახალი მასალებით თვალსაჩინო გახადა ორი დიდი პიროვნების ვახტანგ VI-ისა და ანთიმოზ ივერიელის მეგობრობა და ერთობლივი ღვაწლი საქართველოს კულტურული აღორძინების საქმეში.

აღორძინების ეპოქიდან (XVII—XVIII) სამი სახელოვანი პოეტი ქცევდა მკვლევარის ყურადღებას: ბესიკი, დავით გურამიშვილი და საიათნოვა. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია გიორგი ლეონიძის მშვენიერი მონოგრაფია ბესიკზე. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ გიორგი ლეონიძე ბესიკის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მკვლევარია. მონოგრაფიის შესავალშივე ასე განსაზღვრავს თავის ამოცანას მკვლევარი: „ბესიკის პოეტური მემკვიდრეობიდან დღეს ბევრი რამ არის გაუგებარი... ბესიკის ზოგი ლექსი გაუგებარია მისი ბიოგრაფიის გარეშე. ჩვენ გვიყვარს ბესიკი.— დასძენს იგი. — მაგრამ ნაკლებად ვიცნობთ მის ცხოვრებას. ჩვენი სურვილი იყო, შეძლების მიხედვით აღგვედგინა ბესიკის ძვირფასი სახე“.

დღეს, მართლაც, ჩვენ უფრო ახლოს გავვეცანით ბესიკს, მის შემოქმედებას. ერთი დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი ამაში სწორედ გიორგი ლეონიძეს მიუძღვის, რომელი ერთი ჩამოითვალოს. გიორგი ლეონიძემ საინტერესო ჰიპოთეზა წამოაყენა და ახალი მასალებითაც შეამაგრა ისტორია გაბაშვილთა გვარისა, რომელიც „ლურჯი მონასტრის“ წარწერით თითქოს აბულასან ერისთავთ-ერისთავის შამის იობისაგან უნდა იღებდეს სათავეს. მკვლევარმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა, აღადგინა გაბაშვილთა მრავალრიცხოვანი ოჯახის თავგადასავალი და მათი მოღვაწეობა ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერთა მეფის კარზე. ახლებურადაა დასმული და უარყოფილი ტრადიციული შეხედულება ბესიკის ტრფობის ობიექტზე, რომელიც მისი ბიოგრაფიის საკვანძო საკითხად იყო მანამდე ქცეული. სრულიად ახლებური გააზრება მიეცა ბესიკის რამდენიმე სატრფიალო ლექსს და ა. შ.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გიორგი ლეონიძემ დავით გურამიშვილის ცხოვრება-შემოქმედების შესწავლის საქმეში. აქ კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოვლინდა მისი, როგორც მკვლევარ-მეცნიერის ძირითადი ნიშან-თვისება. ცალკეულ დეტალებზე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტებზე დაყრდნობით იგი აღადგენს იმ გარემოს, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება დავით გურამიშვილს საგურამო-ლამისყანიდან მოკიდებული უკრაინაში გატარებულ მის უკანასკნელ დღეებამდე, თხრობა წარმოებს პატარ-პატარა გამოკვლევებით (მაგალ. „მოსკოვში“. „ერაჯ ქალაშვილი“. „დავით გურამიშვილი და გარაყანიძეები“ და ა. შ.). რომლებიც ბუნებრივად ავსებენ, აგრძელებენ ერთმანეთს და საბოლოოდ კი გურამიშვილის ცხოვრება-შემოქმედების ერთიან მწყობრ სურათს გვიხატავენ.

გიორგი ლეონიძემ ახლებურად გააშუქა, როგორც თვითონ უწოდებდა, მგოსან საიათნოვასთან დაკავშირებული რიგი საკითხი. სხვა მასალებთან ერთად გამოიყენა თეიმურაზისა და იოვანე ბაგრატიონების თხზულებებსა თუ მათ არქივებში დაცული ძვირფასი ცნობები და, მაგალითად, ეკვმიუტანლად დაადასტურა, რომ საიათნოვა არც ეპისკოპოსი ყოფილა და არც ერეკლე მეფის კარის დიპლომატიური მოღვაწე, რომ იგი არა 1795 წელს. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს მოუკლავთ. არამედ ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, როგორც ჩანს, 1801 წელს. დამაჯერებლად გააშუქა ერეკლეს სასახლიდან საიათნოვას დათხოვნის ამბავი. მისი თანამდებობა ამ სასახლეში (კარის სახანდარი) მგოსნის სახელწოდება და მისი ლექსების ბედი.

გიორგი ლეონიძე რუსთველოლოგიის ისტორიაში შევიდა, როგორც პოემის ერთი უნიკალური ხელნაწერის მოპოვებისა და საქართველოში ჩამოტანის ინიციატორი. მანვე პირველმა აღწერა იგი მეცნიერულად და სანიმუშო არქეოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა მას. მანვე დაადგინა როგორც მისი გადამწერის ვინაობა (იოსებ ტფილელი), ასევე გამოავლინა ხელნაწერის პირველი მფლობელი, რომლის სახელი უკვე გადაშლილი იყო ხელნაწერში. რუსთველოლოგიაში დღეს ეს ხელნაწერი თვით გიორგი ლეონიძისავე რეკომენდაციით მისი პირველი მფლობელის ზაზა ციციშვილის, ანუ „ზაზასეული“ ხელნაწერის სახელითაა ცნობილი.

მნიშვნელოვანია გიორგი ლეონიძის დეაწლი ძეგლი ქართული ტექსტების გამოცემაში. ამ მხრივ მისი მოღვაწეობის ეს სფერო ჯერ კიდევ მოელის უფრო ღრმა შესწავლას. აქაც ადრევე გამოიჩინა თავი და სიჭაბუკის წლებშივე გამოსცა ქართული პოეტიკის ისეთი უნიკალური ძეგლი. როგორცაა მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“ (გამოიცა 1920 წ.).

აღსანიშნავია სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის ლეონიძისეული გამოცემა (1928 წ.). ფეშანგის პოემის „შაჰნავაზიანის“ პირველი (და საერთოდ ერთადერთი) მეცნიერული ტექსტის დადგენა (გამოსცა 1935 წ. ს. იორდანიშვილთან ერთად), მასვე ეკუთვნის შესანიშნავი გამოცემა იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანისა“ (1939 წ.) და ა. შ.

მისი ტექსტოლოგიური მუშაობისათვის დამახასიათებელია, სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ყველა ამ ტექსტს ამკობს საკმაოდ სოლიდური მეცნიერული აპარატურა და ვრცელი გამოკვლევები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სულხან-საბას. „სიბრძნე სიცრუის“ წიგნის, „შაჰნავაზიანისა“ თუ „დიდმოურავიანის“ ლეონიძისეული გამოცემები.

„შაჰნავაზიანზე“ დართულ ვრცელ გამოკვლევაში აღძრულია ჩვენი ძველი მწერლობის რიგი საკვანძო საკითხი. რომლებიც ეხებიან ახალი ლიტერატურული სკოლის ჩამოყალიბებას. რაც არჩილსა და მის გარშემო შემოკრებილ ლიტერატურული წრის საქმიანობას უკავშირდება.

აქვე გარკვეულია პოემის ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. (ავტორის ვინაობა. დაწერის თარიღი, პოემაში ასახული ეპოქა და ა. შ.) აქ მიღებული დასკვნები საგულისხმოა და დღესაც ინაჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

ასევე. მის მიერ გამოცემულ „დიდმოურავიანს“ გ. ლეონიძემ სამეცნიერო აპარატურასთან ერთად დაუერთო ვრცელი მონოგრაფია, რომელშიც ფართოდ განიხილა პოემის როგორც იდეური, ისე მსატერული თავისებურებანი და მართებულად მიუთითა პოეტის ერთგვარ რომანტიკულ კილოზე, რაც ავტორის მიზანდასახულობამ განაპირობა (კერძოდ. იოსებ ტფილელი ცდილობდა გიორგი სააკაძის ყოველმხრივ რეაბილიტაციას მომდევნო თაობათა თვალში).

გ. ლეონიძემ ახალი მასალებისა და საბუთების მოპოვებით შეძლო პოეტის შესახებ დღემდე შემონახული. მეტად მწირი ბიოგრაფიული ცნობების გამდიდრება და შევსება-შესწორება. კერძოდ, გ. ლეონიძის გამოკვლევამ ნათელყო, რომ ტრადიციული ცნობა, თითქოს „დიდმოურავიანის“ ავტორი იყო „ისის-ძე დიდი მოურავისა შვილი გიორგის-ძის სიამისა“. არ შეეფერებოდა სინამდვილეს. მკლევარმა ზოგი ახალი მასალის მოშეკლიებით (მათ შორის აღსანიშნავია სოციალური ტერმინის „მოჯგამის“ ანალიზი) წამოაყენა ახალი, ჩვენის აზრით, საინტერესო ჰიპოთეზა. რომ იოსებ ტფილელი გიორგი სააკაძის ძმის ბაბათად ზედწოდებული შიომის ვაჟი იყო და, ამდენად, პოემის მთავარი გმირის უსასლოესი ნათესავი. ასევე ახალი მასალებია მოხმობილი ავტორის ვინაობის კიდევ უფრო დასაზუსტებლად (მისი ტფილელობა. ცხოვრების ბოლო წლები და სხვ.) და გადასინჯულია პოემის დათარიღების საკითხიც.

XIX საუკუნის მწერლობიდან გიორგი ლეონიძემ საყურადღებო გამოკვლევები მიუძღვნა ივანე მაჩაბელს („მნათობი“. 1924 წ. № 2, 4, 5). და ერთ-ერთმა პირველთაგანმა წარმოაჩინა ივანე მაჩაბლის ღვაწლი სამშობლო ქვეყნისა და ლიტერატურის წინაშე. 1935 წელს გიორგი ლეონიძემ კრებულში „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რომლის გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორიც თვითონვე იყო, თავი მოუყარა ძვირფას მასალებსა და დოკუმენტებს. რომლებიც აშუქებენ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ქართველ რომანტიკოსთაგან გიორგი ლეონიძის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი და უკვე 30 წლებიდან იგი აქვეყნებს საყურადღებო გამოკვლევებს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მის ეპოქაზე. ყველაზე საგულისხმოა მისი ვრცელი გამოკვლევა „ბარათაშვილის გარშემო“. რომელიც 1940 წელს დაიბეჭდა ლეონიძისავე ინიციატივით დაარსებულ „ლიტერატურულ მატთანში“ (1—2). გიორგი ლეონიძე ამ წერილებში XIX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესანიშნავ მცოდნედ გვევლინება და თავის გამოკვლევაში პირდაპირ ხელშესახებად აღადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქას, ამავე ეპოქის კულტურულ ატმოსფეროს და

ახალი დეტალებით ამდიდრებს ნიკოლოზ ბარათაშვილის შედარებით მწირ ბიოგრაფიას.

დაბადების თარიღის, თუ 1832 წლის შეთქმულებასთან ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულების სადავო საკითხების გარკვევასთან ერთად, ამ გამოკვლევაში, სხვათა შორის, პირველადაა გახსნილი ბარათაშვილის ყალბი პორტრეტის შექმნის ისტორია. საგულისხმოა აგრეთვე მასალები „მერანის“ შემოქმედებით ისტორიაზე და დიმიტრი ყიფიანის წერილის პირველი პუბლიკაცია, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ძალზე საინტერესო დახასიათებაა წარმოდგენილი. გიორგი ლეონიძის ვრცელი მონოგრაფია ერთვის აგრეთვე 1945 წელს გამოცემულ ნ. ბარათაშვილის ლექსების ერთ-ერთ კრებულს.

გიორგი ლეონიძის მრავალრიცხოვან წერილთა მარტო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. მე მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ. რათა ერთგვარი წარმოდგენა მოგვეცეს მის ფაქტო კულტურულ ინტერესებსა და კვლევადობის დიაპაზონზე.

გიორგი ლეონიძე ქართული თეატრის დაუცხრომელი მოამაგე იყო და თეატრის ისტორიას წერილებს მთელი სერია უძღვნა „ქართული თეატრის ქრონიკების“ სახელწოდებით (1924 წ.). მასვე ეკუთვნის ნარკვევი ძველ-ქართულ მხატვრებზე. სადაც პირველად არის თავმოყრილი ძვირფასი ცნობები ძველ-ქართულ ფუნჯისა თუ ქედური საქმის ოსტატებსა და ხუროთმოძღვრებზე („ლიტ. საქართველო“, 1939 წ.). გიორგი ლეონიძე ერთი იმ პირველთაგანია, რომელიც დაინტერესდა ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებით. აღმოაჩინა ბევრი მისი ნამუშევარი (და გადასცა იგი ხელოვნების მუზეუმს. სულ 16 ცალი). და მომავალ თაობებს აღუდგინა ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრების დაქარგული ფურცლები. გიორგი ლეონიძეს ეკუთვნის მრავალი წერილი, რომლებშიც ძირითადი თემაა ჩვენი ლიტერატურის ურთიერთობა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების მწერლობასთან. საკითხის ასეთი კუთხით კვლევა მას ძალზე საპიროდ მიაჩნდა და თავისი წვლილიც შეიტანა ჩვენი კულტურის ამ მნიშვნელოვან საქმეშიც.

გიორგი ლეონიძემ უმაგალითო მზნობა გამოიჩინა და პრაქტიკულად არაერთ სასარგებლო საქმეს უმეთაურა ახალი ქართული კულტურის აღორძინებისათვის. სიკვამლეშივე გამოვლენილი სიყვარული სიძველეებისადმი მას არასოდეს შენელებია და დღეს შესამჩნევია გიორგი ლეონიძის დეაწლი ქართული კულტურის ძეგლთა დაცვა-აღდგენაში. ლალი და დაუოკებელი პოეტური ბუნება ხელს არ უშლიდა, რომ გადაედო სხვა საქმეები. სამაგალითო სიბეჭითით ეკვლია ძველი წიგნთსაცავები და მტკრიან ფოლიანტებში გამოეხსრია ძვირფასი ცნობები. იგი სამუშეუმო საქმის მცოდნე და დიდი მოყვარული იყო. მისივე ინიციატივით გაიხსნა საქართველოში მწერალთა მუზეუმი და რამდენიმე მემორიალური სახლ-მუზეუმი. ამ საშვილიშვილო საქმეშიც განუზომელია დეაწლი გიორგი ლეონიძისა.

ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩვენი ერის ცხოვ-

რებაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყება. რომელშიც თავისი გარკვეული წვლილი არ შეეტანოს გიორგი ლეონიძეს, რაიმე მნიშვნელოვანი თარიღი, რომელსაც იგი სიტყვით თუ საქმით არ გამოხმაურებოდეს.

დიდი აღტაცებით მოელოდა იგი ქართული კულტურის უდიდეს დღესასწაულს — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. ამზადებდა კიდევ თავის ნობათს. ამ დღეებისადმი მიძღვნილს, მაგრამ 1966 წლის 9 აგვისტოს, როდესაც იუბილეს სულ რაღაც დღეები უკლდა. იგი სამუდამოდ წავიდა ჩვენგან.

გიორგი ლეონიძის ომახიანი სიტყვა უეჭველად დაამშვენებდა ჩვენი კულტურის ამ დაუვიწყარ დღესასწაულს.

სულხან-საბა ორბელიანის ერთი პირველი მკვლევარი გიორგი ლეონიძე კარგად იცნობდა თავისი დიდი წინამორბედის ანდერძად დატოვებულ სიტყვებს: „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“.

გიორგი ლეონიძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ამ ანდერძის ბრწყინვალე დადასტურება იყო.

1963—1970 წწ.

## „შემოქმედებას სიახლე უყვარს“

(სიმონ ჩიქოვანი)

სიმონ ჩიქოვანის პოეტური გზა შეუპოვარი ძიებებითაა დატვირთული. ყველაფრიდან ჩანს, რომ ახალი მიჯნების გადალახვა მისთვის შინაგანი მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი. ბუნებრივია ისიც, რომ სიტყვასთან კიდობილი პოეტი ზოგჯერ ზემოციანის დაძლევის ცდილობდა და არც შემოქმედებითი მარცხის მწაბრე განცდას გაქცევია იგი: „მაგრამ, როდესაც თავფურცელს გავშლი, რად მიმუნჯდება ცხელი ბაგენი, თუ ვარ მენავე. ცხოვრების ზღვაში ნავსადგურს რისთვის ვერ მივბაგენი?“

ასეთი დაეჭვება, რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, მას ბოლომდე ვაჰყვა. იქნებ ესეცაა ერთი მიზეზი, რომ საკუთარი თავის განმეორების უკუბრუნებელი სწრაფი იოტის წამისად არ მიჰკარებია პოეტის შთაგონებას; თაობები ენაცვლებოდნენ მის თვალწინ ერთმანეთს, ხოლო აზრით დატვირთული მისი პოეტური სიტყვა ნიადაგ მოწინავეთა შორის მიიკვლევდა გზას. სინამდვილის მხატვრული დაუფლებს პროცესში იგი ყოველთვის პოეტურ ფორმათა სიახლეებისაკენ ისწრაფოდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ასეთი ნდობით იკრიბებოდა მის გარ-

შემო ქართული მწერლობის სრულიად ახალი ლიტერატურული ძალები. სწორედ ის თაობა, რომელიც ასე ღირსეულად ატარებს დღეს ქართული მწერლობის მძიმე უღელს.

სიმონ ჩიქოვანი ცხოვრობდა, სუნთქავდა პოეზიით, ლიტერატურით; გამუდმებულად ფიქრობდა, იწვოდა, ახალ შთაგონებას ეძიებდა, ხოლო ის ისეთი გადამღები იყო, რომ მას ადვილად ვერ გადაუტრიალებოდა რაგინდარა ცივი და რაციონალიზმის მძიმე სენით დაავადებული პიროვნება — მისდაუნებურად, თუნდაც დროს გარკვეულ მონაკვეთში, მისი თანამოაზრე ხდებოდა.

ლიტერატურული კავშირების აღდგენა, ამა თუ იმ პოეტური ფაქტის შემოქმედებითი იმპულსების მიგნება. ურთულეს პროცესებში თავისებური მოღვლებების გამოვლენა მისი დაუძლეველი სტიქია იყო. იგი რაღაც არაჩვეულებრივი დინამიზმით, ზოგჯერ პარადოქსების მოშველიებით, ვულკანივით აფრქვევდა ახალ აზრებს, ესთეტიკურ იდეალებს, სრულიად მოულოდნელ ასოციაციებს, რომლითაც იგი აკავშირებდა სხედასხვა ეპოქის თუ სულიერი წყობის შემოქმედთ. მხოლოდ ერთი ფაქტი: ძალზე საინტერესო ჩანდა, მაგალითად, მისი შეხედულებები; როცა წარმართულ შრეებთან მიმართების თვალსაზრისით პარალელებს ავლებდა ვაჟა-ფშაველასა და ველიძის ხლებნიჯოვს შორის. ნიშანდობლივია ისიც, რომ კრიტიციზმის გრძნობა მას ძალზე გამახვილებული ჰქონდა და ზოგჯერ თვითონვე თმობდა წლენის მანძილზე ნალოლიავებ აზრსა და შეხედულებას.

სიმონ ჩიქოვანმა თავისი მრავალმხრივი ღვაწლით. როგორც პოეტმა, როგორც ლიტერატორმა და დაუღლელმა მოღვაწემ, ამის დავიწყება კი დიდი უსამართლობა იქნებოდა, დიდად შეუწყო ხელი არა მარტო მისი თანამედროვე, არამედ, განსაკუთრებით, მომდევნო თაობათა ლიტერატურული პოზიციების დაკრისტალებას.

მხოლოდ სიხარული შეიძლება მოგვგვაროს ჩვენ იმ ფაქტმა, რომ უფრო და უფრო ხშირად, პოეტურ ძიებებსა თუ ლიტერატურულ წერილებში არცთუ იშვიათად გამოსჭვივის სწორედ სიმონ ჩიქოვანისეული შეხედულებები. იგრძნობა აზროვნების წესის გავლენა. ეს უინასკნელი კი ზოგჯერ ისე ბუნებრივად ხდება, რომ მხოლოდ საგანგებო დაკვირვება ამხელს. თუ საიდან იღებს სათავეს დღესაც ცოცხალი. თანამედროვეობის გრძნობით აღვსილი ესა თუ ის აზრი თუ ლიტერატურული კონცეფცია.

„სულის თვისება: კმუნვა და ცრემლი“... ეს სტრიქონები ყველას კარგად ახსოვს სიმონ ჩიქოვანის საყოველთაოდ ცნობილი ლექსიდან: „არის სიყრმეს და სიმწიფეს შორის შესვენების თუ სიმორცხვის ჟამი“.

„სულის თვისება“ პოეტს ადამიანის მთელი ინტელექტუალური ცხოვრების ბადალ ცნებად მიაჩნდა, ხოლო „ემოციური ფიქრისა“ თუ „ფიქრიანი ემოციის“ გარეშე ჰეშმარტი პოეზია მას ვერ წარმოედგინა, „ბარათაშვილმა ფიქრები ლექსებად აქცია“. რამდენადაც ვიცი, ეს ფიგურალური თქმა სიმონ ჩიქოვანს ეკუთვნის. ამით ბარათაშვი-

ლის შემოქმედების ასე მარჯვე დახასიათებასთან ერთად მან გარკვეულად პოეზიაზე საკუთარი კონცეფციაც გაამჟღავნა.

მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ თვით ბატონი სიმონი საკუთარი „სულის თვისებას“ თითქმის ერთნაირი გზებით აქსოვდა სიტყვიერი ხელოვნების ყველა დარგში. რაშიც კი მას ფიქრისა თუ აზრის გაცხადება სურდა. ფიქრი და აზრი კი ისეთივე ულვეი ჰქონდა, როგორც ფერთა სიუხვით დატვირთული პოეტური სიტყვა.

ეს იყო ტიპიური თვისება მოაზროვნე, მაძიებელი ბუნებით დაჯილდოებული პიროვნებისა. მისი შეხედულებები კი განფენილია მის შინაგანი რეფლექსებით დატვირთულ ლექსებში. წერილებსა თუ საჯარო გამოსვლებში.

როგორ უცნაურად უღერდა, ალბათ, თანამედროვეთა შორის პროტის პირველი „ორკესტრალური ლექსალობით“ გახშიანებული ლექსები „ცირა“ თუ „შეკამეჩების ურმული“, ან კოლხური პეიზაჟის ყონზე ძველი ტკივილების აშკარად ექსცენტრიული ფრაზებით ამეტყველება:

ბნელი ლამეა,

ჩრდილოეთიდან ზღვაური ზმუის.

ზუზუნებს ქარი, სიბნელეში ტყეც კი შრიალებს.

ციდან ელვები ნატეხებად ალევებზე სტყუის.

დამსკლარა მიწა, გაუვალი გზები მშრალია

და დედა დარბის,

— დადაა, სიღუ უბერიაუთ,

ქარტხილებით მუხის ძრონი შეირყევია.

სიღუ გაყიდეს... ვინ გაყიდა საუბედღროდ

და დედის კვილს ქარბუქი გადახვევია...

დღეს კი, როდესაც გონების თვალით აღვიქვამთ გარდასულ დღეებს, ბევრი რამ არცთუ უცნაურად გვეჩვენება, ხოლო ისტორიულ მოვლენათა შორის ლოგიკურ კავშირებს ვამყარებთ. უარყოფის პათოსით დამუხტული ქართული დეკადენტიზმის წიაღში... მისივე უარყოფის ახალი ლიტერატურული ნაკადი იღებდა სათავეს.

რასაკვირველია, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოციან წლებში ჩვენ ლიტერატურულ ცხოვრებაში დატრიალებული ეს „ქარბორბალა“ აშკარად ეხშიანებოდა რუსულ პოეზიაში ახალ-ახალი ლიტერატურული სკოლების მონაცვლეობას.

უარყოფის უარყოფას, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნაყოფოდ არ უნდა ჩაევლო და პირველ რიგში წარსული კულტურისადმი გონივრული პოზიციის დამკვიდრებას უწყობდა ხელს. დღეს თითქოს პარადოქსივით უღერს რეალობად ქცეული ფაქტი, რომ განსხვავებულ შემოქმედებით საფუძველზე აღმოცენებული მიმდინარეობები ბოლოს და ბოლოს მაინც ერთ ფოკუსში იყრიან თავს.

სიმონ ჩიქოვანი იმთავითვე მძაფრ ძიებათა ავანგარდში მოექცა... მართლაც, როგორც ცნობილია, მისი, როგორც პოეტისა და მოაზროვნის, ყველაზე დიდი დაფიქრების საგანი იყო და ბოლომდე დარჩა შემოქმედებითი დამოკიდებულება ჩვენს დიდ წარსულ მემკვიდრეობასთან.

ეს პრობლემა, რომელიც, მართლაც, მარადიულ საკითხთა რიგს განეკუთვნება, მისთვის, იმთავითვე, ძნელად დასაძლევ ვნებებით იყო აღბეჭდილი. პოეტის სულში კი ეს სიმძაფრე სწორედ იმან გამოიწვია, რომ მისი პირველი პოეტური ცდები, როგორც ითქვა, ქართულ მწერლობაში ფუტურისტული ნაკადის ყოველსურამყოფელ ატმოსფეროში ყალიბდებოდა. მოძრაობისა, რომლის ერთ-ერთი ლიდერთაგანიც თვითონვე იყო.

მაგრამ საცნაურია, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი უმაღლეს შემოქმედებითად გარდაუვალ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა მისსავე ფუტურისტული ელფერიტ აღბეჭდილ ლექსებსა და ტრაქტატებთან.

რასაკვირველია, არც არაფერია მოულოდნელი იმაში, რომ ამ ვნაზე იყო ცალკეული რეციდივები, ზოგჯერ ჩავარდნებიც კი, მაგრამ შემდგომში მისთვის აგრე რივად დამახასიათებელი სწორი თვალსაზრისი თანდათან მკაფიო ფორმებში ყალიბდებოდა.

მემკვიდრეობის უწყვეტი ჯაჭვის ღრმა შეცნობა სწორი ორიენტირის გამონახვასაც მოასწავებდა: „მე საქართველო გამხმარ მხრებზე ფრთასავით მაძევს და გულის ფიცარს დაეწერა კითხვა მრავალი; ბარათაშვილის და ჭავჭავაძის — მე ვარ მოდგმა და პირდაპირი შთამომავალი“. ამაზევე მეტყველებდა სიმონ ჩიქოვანის პირველი პოემები. უბრალოდ რომ გავიხსენოთ მათი სათაურები („ფიქრები მტკვრის პირას“, „ბედი რესპუბლიკა“) ან აქ დასმული საკითხები, აშკარა შეჩქმნება, რომ მათში მძაფრ პოლემიკურ კილოსთან ერთად მაღალი ძალისხმევითაა გამოვლენილი წარსულის კულტურულ მემკვიდრეობასთან შინაგანი კავშირების ღრმა შეგრძნება.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ძიებათა ეს გზა თანდათან ახალ სივრცეებს იპყრობდა. იგი ესოდენ ძლიერად გამოვლინდა ეროვნული სულით დამუხტული პოეტის საუკეთესო ლექსებში: „ოი, მამულო. თუ დავინგრე. კვლავ აღმაშენე. სიკვდილს გამთიშე. ჩავვერიე და გავვაშველე...“

წარსულისა და აწმყოს შენივთებული კავშირის ასეთი შეგრძნების გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელია შინაგანი მღელვარებით აღბეჭდილი მსგავსი პოეტური სტრაიქონების აღმოცენება. ამის უპირველესი დასტურია აგრეთვე სიმონ ჩიქოვანის სხვა ლირიკული ციკლები და, უწინარეს ყოვლისა, მისი შემოქმედების ერთი უპირველესი მიღწევა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“.

ადრე იყო გამოთქმული სხვაგვარი მოსაზრებებიც, მაგრამ დღეს სრულიად ნათელია, რომ „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ მრავალპლანიანი პოემაა და მას საფუძვლად უდევს დროთა კავშირის მაღალი



შეგრძნება, სხვადასხვა ეპოქათა თუ თაობათა შორის უწყვეტი კავშირის კანონზომიერების კეთილშობილური თემა.

სიმონ ჩიქოვანი, მასთან საუბარში ჩვენ ეს სხირად გვიგვრძნია, რაღაც სიბრაღულს გრძნობით საუბრობდა მათზე, ვისაც არა აქვთ გაშინანგებული უღრმესი კავშირები გარდასულ ეპოქებთან და ძმობლიურ ნიადაგში ღრმად არა აქვთ ფესვი გადგმული. უფესვო ხე და უკულმართად გადახნული მიწდორი კი რა ნაყოფსაც გამოიღებს. ნახევარ დღესაც არ ეყოფა მშიერ კაცს საგზლად. მათი გზა დიდი ასპარეზისაკენ იმთავითვეა დახშული, ხოლო შემოქმედება, თუკი ოდნავ მანც ღვივის ნაპერწკალი. დასაშრეტადაა განწირული.

სიმონ ჩიქოვანი ამასვე უკავშირებდა ისეთ კარდინალურ საკითხს, რომელიც ეხება ტრადიციისა და ნოვატორობის მარადიულ ურთიერთ-შიმართებას. მას სრულიად გარკვეული შეხედულება მოუპოვებოდა ამ საგანზე. პასუხს ამ საკითხზე ჩვენ არა მარტო მის პოეზიაში ვნახავთ. არამედ კიდევ უფრო მკვეთრად გამოსწვივის იგი მაღალი პუბლიცისტური გზნებით დაწერილ ესერატური ხასიათის წერილებში. საბედნიეროდ, ამ შეხედულებათა ფიქსირება მან მოაწრო კიდევ. ზოგჯერ მის ახლო მყოფ მეგობართა თუ ნაცნობთა მოგონებებმა შემოგვიჩინა.

ერთ-ერთ ჩემს ადრეულ წერილში. ამასთან დაკავშირებით, მოტანილია პოეტის ძალზე საგულისხმო ფრაზა. იგი ჩამიწერია ჩემს უბის წიგნაკში „მნათობის“ რედაქციაში გურამ ასათიანთან ერთად მორიგი სტუმრობის დამს, 1960 წლის თებერვლის თვეში. სხვადასხვა დროს ეს ჩანაწერები არცთუ ისე მცირეა და. ალბათ, მთლიანად შემდეგში გამოქვეყნდება, მაგრამ როგორი ხალისიანი რედაქტორი და მასპინძელი იყო სიმონ ჩიქოვანი, ეს კარგად მოეხსენებათ იმ მწერლებს. რომლებიც მისივე წაქეზებით პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებს დგამდნენ იმხანად.

საუბარი, რასაკვირველია, ისევე, როგორც სხვა დროსაც. შეეხებოდა ქართულ მწერლობას, როგორც ძველს, ისე თანამედროვეს. ქართული მწერლობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანის საქმეს (მისი ღვაწლი კი ამ მიმართულებით და საერთოდ კონტაქტების გაფართოების თვალსაზრისით. მართლაც, განუზომელი იყო). საუბარი შეეხო აგრეთვე იმ საკითხებსაც. რომლებიც ზემოთ ვახსენე.

მან, თითქოს ვიღაც უჩინარ მეტოქეს ეკამათებოდა. უცებ ხმამაღლა, მისთვის ჩვეული სიმძაფრით განაცხადა. რომ არ მიაჩნია მართებულად შეხედულება. თითქოს ნოვატორობა, ძიება ახალი გზებისა კლასიკოსებთან ბრძოლაში იწრთობოდეს. ნოვატორობა სწორედ ერიგონობასთან ბრძოლაში ვაჟკაცდება და იგი უპირისპირდება არა კლასიკას, არამედ ამავე კლასიკის ეპიგონ მიმდევრებს, რომლებიც თავისი „შემოქმედებით“ ყველაზე უფრო აშიშვლებენ. აშუკარავებენ ყოველი ეპოქისათვის მასში იმთავითვე ჩამარხულ ნაკლოვანებებს.

აქ შორს წაგვიყვანდა ამ დებულების დამადასტურებელი ფაქტების მოტანა ქართული მწერლობის ისტორიიდან, ასეთი ფაქტები კი აშუკა-

რად არსებობენ. მაგრამ დავსძენ, რომ ეს შეხედულება, ჩემის აზრით, ქალზე ფასეულია. იგი ეხება არა მარტო ჩვენს მწერლობას, არამედ უხივერსალური თვალსაზრისითაც შეიცავს ქალზე საგულისხმო დაკვირვებას, და რაც ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია, ავლენს მისი ავტორის სააზროვნო მოვლენათა დიალექტიკური ანალიზის მისაბამ უნარს.

• • •

„წეროს დარად წიგნში მდგარი. ლოცულობ და მოსთქვამ კიდევ, სოველი და ნაწვიმარი გლოვას ველარ განერიდე“, — ასე იწყება სიმონ ჩიქოვანის პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელიც ამასთან მისი ავტორის სულიერ ბიოგრაფიად წარმოგვიდგება. წინამორბედთან სულიერი ნათესაობის ძიებისას გარდასახვის ეს ხერხი, რომელიც ერთმა პირველთაგანმა თვით გურამიშვილმა გამოიყენა ბიბლიურ მოტივებზე დაყრდნობით, მაღალი ოსტატობით იქნა გახშირებული სიმონ ჩიქოვანის „სიმღერაში“. მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ, თავის მხრით, სიმონ ჩიქოვანის „სიმღერამ“ მისცა გარკვეული ბიძგი ჩვენში ახალი ლირიკული ციკლების აღმოცენებას, რისი დავიწყებაც არცერთი თვალსაზრისით არ იქნება გამართლებული.

ამ პოემაში, როგორც სინთეზში, თავი მოიყარა ყოველივე მაღალმა და წმინდამ, რითაც სიმონ ჩიქოვანი ძვირფასია ჩვენთვის, რითაც მან აგრე რიგად შეუწყო ხელი ქართული პოეზიის ახალი პორიზონტების წარმოჩენას.

„გულზედ მქონდა მოხაზული ცხოვრებისა წყაროს ღარი“... დიდი წინაპრის ეს სიტყვები ფართო შინაარსს იძენს და ზუსტად ეხმიანება ყველას. ვისაც მიზანთა ერთობლიობა აკავშირებდა საკუთარი ხალხის მარადიულ ოცნებასთან. სიმონ ჩიქოვანიც ერთი მათგანია, ვინც ასეთი ღირსებებით ატარა პოეტისა და მამულიშვილის მძიმე და საპატიო ტვირთი.

1983 წ.

## ა რ დ ა ვ ი წ ყ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

წინამდებარე წერილი ეძღვნება კონსტანტინე ჰიჭინაძეს, ქართული პოეტური კულტურის აღმავლობისათვის ფრიად დამაშვრალ პიროვნებას.

რამდენიმე ათეული წელია, რაც იგი აღარ არის ჩვენს შორის და

გულსტიცივით უნდა ითქვას, რომ მისი სახელი აქამდე თუ ვერა-  
ზა ხოლმე, ისიც მხოლოდ სპეციალური ხასიათის ნაშრომებში.

ისევე როგორც ამ ტიპის სხვა მოღვაწენი, რასაკვირველია, არც  
კონსტანტინე ჭიჭინაძე იმსახურებს ამგვარ ინდეფერენტობას. იქნებ  
ესაა მიზეზი, რომ შედარებით ახალი თაობის წარმომადგენლები ნაკ-  
ლებად იცნობენ მის მიერ ასე უშუალოდ გაღებულ ღვაწლს.

აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში (გარდაიცვალა 1960  
წელს), იგი უფრო ქართული პოეტური კულტურის საკითხებზე მუ-  
შაობდა. განსაკუთრებით კი მისი ინტერესის საგანი „ვეფხისტყაოსანი“  
და მისი ავტორი იყო. იგი ამით ცოცხლობდა, იბრძოდა. ეკამათებოდა  
ოპონენტებს, ხან კი თვითონ იყო ოპონენტი. ახლაც ნათლად მახსოვს  
მისი გონებამახვილობით აღსავსე, ცეცხლოვანი გამოსვლები მწერალ-  
თა კავშირის სასახლეში. ხალხით გადატენილ დარბაზს არც საკითხებში  
ჩაღრმავება და არც მახვილი რეპლიკებით გამოწვეული აღტაცება აკ-  
ლდა. ისიც ცნობილია, ზოგი მისი ლიტერატურული მეტოქე როგორ  
იმალებოდა ბუჩქებში და კიდევ ახერხებდა დისკუსიების ჩაშლას...

კონსტანტინე ჭიჭინაძე ამ დროისათვის სახელმწიფოებრივი პოეტი  
და მრავალრიცხოვანი თარგმანების ავტორი იყო. ბიოგრაფიკთა და  
შემოქმედებითი მრწამსითაც იგი ეკუთვნოდა იმ ბრწყინვალე თაო-  
ბას, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ქართული პოეტური კულ-  
ტურის გაფართოებისათვის ზრუნვა.

კონსტანტინე ჭიჭინაძის პირველი ლექსებიც ჩვენს ჟურნალ-გაზე-  
თებში სწორედ ახალი საუკუნის დასაწყისიდანვე იბეჭდებოდა. ნიშან-  
დობლივია ისიც, რომ მისი თაობის სხვა წარმომადგენელთა მსგავსად,  
იგი არ იფარგლებოდა შემოქმედებითი მოღვაწეობის რომელიმე ერთი  
დარგით. ლექსებთან ერთად ზედიზედ ქვეყნდებოდა მისი თარგმანები.  
ესეისტური ხასიათის წერილები თუ გამოკვლევები როგორც ქართულ,  
რცე მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე. მისი ნაყო-  
ფიერება მართლაც რომ შესაშურია. იგი მონაწილეა თითქმის ყველა  
მნიშვნელოვანი კულტურული წამოწყებისა.

შორს რომ არ წავიდეთ, აქ საკმარისია ჟურნალ „კავკასიონის“ გაზ-  
სენება, რომელსაც სხვადასხვა მიზეზთა გამო ნაკლებად იცნობს თა-  
ნამედროვე მკითხველი. მიუხედავად იმისა, რომ მასში მონაწილეობდა  
ქართველ მწერალთა, ხელოვანთა თუ მეცნიერთა მხოლოდ ერთი ჯგუ-  
ფი (ამასაც თავისი საფუძველი ჰქონდა), ჟურნალის გადათვალისწინებამ  
შეუძლებელია არ გამოიწვიოს კანონიერი სიამაყის გრძნობა. ასეთი  
შემოქმედებითი ძალები დაამშვენებდა რომელიც გინდა მაღალკულტუ-  
როსან ერს. მწერალთა და ხელოვანთაგან მე აქ დავასახელებ მხოლოდ  
რამდენიმეს: დავით კლდიაშვილი, ლეო ქიაჩელი, ნიკო ლორთქიფანი-  
ძე, გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოტე მაცაშვილი,  
როსტომ გრიშაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, დიმიტრი არაყიშვილი...  
მეცნიერთაგან ნიკო მარი, გრიგოლ წერეთელი, პავლე ინგოროყვა და  
მრავალი სხვა. ორიგინალურ ქმნილებებთან ერთად თარგმნილი ლი-

ტერატურის ფართო სპექტრი თავისთავად მეტყველებდა ჟურნალის მიერ დასახულ ზეამოცანებზე.

მაღალი რანგის ავტორთა მონაწილეობა და თემატიკური მრავალფეროვნება განსაზღვრავს ყოველთვის ჟურნალის დონეს. ეს კარგად მოეხსენებოდა „კავკასიონის“ რედაქტორს. მაშინ ჭერ კიდევ ახალგაზრდა მწერალსა და მეცნიერს პავლე ინგოროყვას (სამწუხაროდ, ჟურნალის მხოლოდ რამდენიმე ნომერი გამოვიდა).

ეს ყველაფერი აქ იმიტომ გავიხსენე, რომ ისევე როგორც ადრე. ახლაც ჟურნალის ცხოვრებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბატონი კონსტანტინე. სხვათა შორის აქ დაიბეჭდა მისი ცნობილი ლექსი—ოღა „რიონის აპოლოგია“. მისივე თარგმანები ედგარ პოს „ყორანის“ და ემილ ვერჰარნის ლექსისა „ქარის ქება“.



კონსტანტინე ჭიჭინაძე როგორც პოეტი, ჩემის აზრით, ეს საგანგებოდ უნდა ითქვას, ოღნავ განზე იდგა ათიანი წლებიდან გაჩაღებულ ძალთა კვეთებაში. ასევე მის ლექსებსაც ნაკლებად ემჩნევა მოდერნისტული პოეტიკის გავლენაც, თუმცა, როგორც მთარგმნელი, იგი მაინც მონაწილეობდა განახლების ამ ყოვლისმომცველ პროცესში.

პლასტიკური ფერწერა და ტემპერამენტის დაოკებით გადმოცემული მშვიდი ტონალობის შემცველი სტრიქონები მას, გარკვეულად. პარნასელთა სტილის პოეტებთან უფრო ანათესავებს, რაზეც ხაზგასმით მეტყველებს აგრეთვე წარსულის პოეტიზაციის დიდი ნაკადი მის საუკეთესო ლექსებში:

„როგორც იღუმალ განძთა მოლარე  
და როგორც თვითონ ფარული განძი  
კლდოვან გვირაბში უხმოდ მწოლარე  
თელემით განიცდი ღროსა და მანძილს“

(„ვარძიის წყარო“)

მაგრამ მაინც კონსტანტინე ჭიჭინაძის ლიტერატურული სახელი უფრო დაკავშირებულია მოღვაწეობის სხვა სფეროსთან. პირველი მათ შორის თარგმანის ხელოვნებაა. ერთი რამ ცხადია, მიუხედავად ილიას და მის თანამებრძოლთა დიდი მცდელობისა, თარგმანის, განსაკუთრებით კი მისი რაოდენობის, დარგში, ჩვენ აშკარად ჩამოვრჩით. ახალ საუკუნეში საჭირო იყო მეტი აქტიურობის გამოჩენა ამ მიმართულებით. მცირერიცხოვან ერებს აქაც აქვს საკუთარი პრობლემები.

რასაკვირველია. ჩაოდენობაზე მეტად საჭიროა სიმძიმის ცენტრის გადატანა გონივრულ არჩევანზე.

ასეც მოხდა. ბოლო ნახევარ საუკუნეში, მართლაც. ბევრი რამ გაკეთდა არსებული ხარვეზის დასაძლევად და ამ დარგშიც საგრძნობია კონსტანტინე ჭიჭინაძის ღვაწლი.

აქ საკმარისია გავიხსენოთ გერმანული საგმირო ეპოსი „ნიბელუნგების სიმღერა“ და დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. ეს უკანასკნელი მან კონსტანტინე გამსაქურდასთან ერთად თარგმნა. აბა წარმოიდგინეთ, „ვეფხისტყაოსნის“ სამშობლოში რა მნიშვნელობას იძენს მსგავსი საკაცობრიო ძეგლების ქართულად გახშიანება. მანვე თარგმნა „სიმღერა იგორის ლაშქრობაზე“ და სომხური ეპოსი „დავით სასუნცი“. ასევე საგულისხმოა მისი თარგმანები როგორც დასავლეთ-ევროპის, ისე რუსეთის საუკეთესო პოეტთა შემოქმედებიდან.

\* \* \*

ზემოთ უკვე ითქვა და აქაც დავსძენ. რომ მან სიცოცხლის ბოლო ათეული წლები მიუძღვნა „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებულ საკითხებს.

ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან მან ამ დარგში გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი: „ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა“. 1925 წ., „რუსთაველის გარშემო“. 1928 წ., „ვეფხისტყაოსნის დაბოლოება და შინაგანი მოცულობა“. 1934 წ., და მრავალი ცალკეული წერილი და გამოკვლევა, ხოლო დასასრულ საგანგებო აღნიშვნის ღირსია ისიც. რომ მან 1934 წელს თავისი რედაქციით დაბეჭდა ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა. ცნობილია მისი ღვაწლიც „ვეფხისტყაოსნის“ პეტრენკოსეული თარგმანის გასრულებაშიც.

\* \* \*

თუმცა მანამდეც არსებობდა საინტერესო დაკვირვებები „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ენის ცალკეულ თავისებურებებზე (ნ. მარი, იუსტ. აბულაძე და სხვ.), მაგრამ ასე ვრცლად და ფუნდამენტურად არავინ შეხებია შოთა რუსთაველის პოეტიკას ისეთ მნიშვნელოვან მხარეებს, როგორცაა რუსთაველური ლექსის ბგერწერა (კერძოდ, ალიტერაცია). რითმა და რიტმი, მეტაფორები. მან პირველმა სცადა „ვეფხისტყაოსანში“ არსებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებათა თავმოყრა, კლასიფიცირება და თავისებურებათა ამოხსნა. კონსტანტინე ჭიჭინაძემ პირველთაგანმა გამოავლინა ვეფხისტყაოსნის ალიტერაციისა და ასონანსთა უდიდესი მარაგი და სცადა კანონზომიერებათა დადგენაც. რასაკვირველია, წარმოდგენილ დასკვნებში იყო ერთგვარი მაქსიმალიზმი. ზოგჯერ კანონზომიერებაზე ძალდატანებაც (განსაკუთრებით ტექსტოლოგიური ასპექტების კვლევის დროს), მაგრამ ობიექ-

ტური მხატვრული კრიტიკისათვის ამ გამოკვლევებით ნათელი შეიქნა, რომ თუმცა ბგერითი განმეორებანი არ წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის თვითმიზანს, მაგრამ ამასთან მისი ლექსის მუსიკალური მხარე საოცრად მდიდარი და მოწესრიგებულია, რაც თავისთავად მეტყველებს ამ მიმართულებითაც პოეტის მხატვრულ შესაძლებლობათა უსაზღვროებაზე.

დღესაც აქტუალურად გამოიყურება კონსტანტინე ჭიჭინაძის დაკვირვებანი პოემის ვახტანგისეულ გამოცემაზე და, განსაკუთრებით, ვეფხისტყაოსნის შედგენილობის საკითხებზე.

ზოგი რამ აქაც გადაისინჯა, ზოგ დასკვნაზეც მის ბოლო გამოკვლევებში თვითონვე აღო ხელი, მაგრამ, როგორც ითქვა, დღესაც ყურადღების ცენტრშია მისი დაკვირვებანი პოემის დასასრულის საკითხებზე.

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ახლოს გავიცანი ბატონი კონსტანტინე. კერძოდ, ამ ხანებში ახლად დაარსებულ ჟურნალ „ცისკრის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ჩემი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხისათვის“. პოეტისა და მკვლევარის განსაკუთრებული დაინტერესების მიზეზი კი შემდეგი იყო. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე დაკვირვება გვიჩვენებს, ხოლო ამ კონცეფციას იგი წლების მანძილზე იცავდა, რომ პოემა უნდა დასრულდეს ინდოეთის ამბების ვრცლად გადმოცემით („ინდო-ხატაელთა ამბავი“) და არა ისე შემოკლებით. როგორც ეს ვახტანგისეულ გამოცემაშია (1712 წ.). სწორედ ასეთი ვრცელი დასასრულით გამოიცა პოემა 1934 წელს, რომლის რედაქტორ-შემადგენელიც კონსტანტინე ჭიჭინაძე იყო.

სხვა ახალ მასალებთან ერთად (მეც. თუმცა გარკვეული კორექტივით, ვიზიარებდი პოემის შედარებით ვრცელი დასასრულის არსებობას). ჩემს გამოკვლევაში დასახელებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ხელნაწერი, რომელიც 1802 წელს დუშეთში გადაუწერია ბიბლიოთეკის გიორგის ძე თუმანიშვილს. ხელნაწერი. სხვათაშორის, იმითაც იყო საინტერესო. რომ აქ პოემის დასასრული წარმოდგენილი იყო „ინდო-ხატაელთა“ ამბით. ე. ი. იგი ვახტანგისეულ გამოცემაზე ვრცელი იყო. მაგრამ პოემის ძველ ხელნაწერებთან შედარებით კი მოკლე.

მთავარი კი ის იყო. რომ თუმანიშვილისეულ ხელნაწერებში პოემის დასასრული სწორედ ისე იყო წარმოდგენილი, როგორც ეს 1934 წელს თავის გამოცემაში განახორციელა კონსტანტინე ჭიჭინაძემ. მაშასადამე, ტრადიციაც ერთგვარად უჭერდა მხარს ჭიჭინაძისეულ თვალსაზრისს.

მან მთხოვა და ჩვენ ერთად ვნახეთ ეს ხელნაწერი. მან მაჩვენა აგრეთვე პოემის სხვა ხელნაწერი. რომელიც ინახებოდა მის არქივში და რომელიც შემდეგ შევიტანე ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობაში.

მე ბატონ კონსტანტინეს ვიცნობდი მახვილი პოლემიკური სტატიებით, ტრიბუნაზე ტემპერამენტით აღსავსე გამოსვლებით, მაგრამ ახლო გაცნობამ სხვა მისი ადამიანური თვისებები წარმოაჩინა.

ურთიერთობებში თბილი და შემწყნარებელი, იგი მრავლისმნახველი, ტკბილი მოქართულე იყო. რაღაც შინაგანი სითბოთი იგონებდა გადატანილ ლიტერატურულ ბრძოლებს, პატივისცემით მოიხსენიებდა მის ძველ „მეტოქეებს“ და იმავე გატაცებით ცხოვრობდა. რამაც იგი აღრიდანვე მიმართა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყაროს შესწავლისაკენ. მიუხედავად ხანდაზმულობისა იგი კვლავაც ახალ გამოკვლევებზე ფიქრობდა, რომლის საგანი, რასაკვირველია, ისევე და ისევე „ვეფხისტყაოსანი“ იყო.

1987 წ.

## არმაზის მარადიული მკვიდრი

(ლევან გოთუას გახსენება)

სულ ათიოდე წელი თუ გავიდა, რაც სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ჩვენს შესანიშნავ მწერალს, დაუღალავ საზოგადო მოღვაწეს ლევან გოთუას.

იგი შედარებით ადრე გაშორდა წუთისოფელს. კვლავაც მრავალი ჩანაფიქრის ვანზორციელებას ნატრობდა... მაგრამ ვისაც მისგანვე უოუსმენია მისი ცხოვრებიდან თუნდაც რამდენიმე ეპიზოდი. იქნებ მისი ასე ნაადრევი განშორება არც გაკვირვებოდა. ცხოვრების გზაზე მას გამარჯვების სიხარულთან ერთად, სამწუხაროდ, დაუმსახურებელი გულისტყენაც არ მოჰკლებია. თუმცა იგი ყოველთვის მამაცურად იტანდა ბედის დარტყმებს... ჰიროთა დათმენა, კი სანაცვლოდ, როგორც მოგეხსენებათ, სიცოცხლისაგან დიდ საზღაურს მოითხოვს.

მან მაინც ბევრის გაკეთება მოასწრო, დიდი მემკვიდრეობა დაგვეტოვა და საზოგადო ასპარეზზეც არაერთი საშვილიშვილო საქმის წაოწყებაშიც შეიტანა თავისი წვლილი.

• • •

მე ახლაც მახსოვს ორმოციანი წლები, როცა მისი სახელი ასე ერთბაშად გახმაურდა. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ზედიზედ დაიდგა მისი რამდენიმე პიესა. მათ შორის ერთი საუკეთესო იყო „ერეკლე მეორე“, რომელიც ასე თანხმიერი აღმოჩნდა ჩვენი ხალხის

ინჟინდელ განწყობილებასთან. ომის მრისხანე წლები, პიესაში ჩაქსოვილი დიდი ეროვნული სულისკვეთება. მშვენიერი დადგმა, ჩინებულ მსახობთა მთელი თანაჯარსკვლავედი: ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გომიაშვილი, სერგო ზაქარაძე, გიორგი შავგულიძე. ალექსანდრე ოშიაძე... დაუვიწყარია ის წლები, დაუვიწყარია სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილება.

\* \* \*

მავრამ მანც ლევან გოთუას მწერლური ავტორიტეტის მთავარი შენობა მის ჩინებულ პროზაულ ქმნალებებს ეყრდნობა. ქართულ სიტყვასთან ჰიდილში მან აქ ახალი სიმღერები დაიპყრო.

მწერლის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მხატვრულ პროზაში მან შედარებით ვეიან მოსინჯა ძალა, როგორც ჩანს, ასეთი ნაბიჯისათვის რგი დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდა. მართლაც, მისი პირველივე მოთხრობები „ყინწვისის ანგელოზი“ და „კრწანისის სევდა“ ცხოვრებანახული და გამოცდილი ოსტატის სელითაა შესრულებული. აქედან მოკიდებული მისი შემოქმედება ახალ-ახალი შემოქმედებითი ძიებებითაა აღბეჭდილი — სულ მოკლე დროის მანძილზე ლევან გოთუამ სამართლიანად დაიკავა კუთვნილი ადგილი უპირველეს ქართველ ოსტატთა შორის.

\* \* \*

თანამედროვე ისტორიულ რომანში მწერალი და ისტორიკოსი თითქოს ეჯიბრება ერთმანეთს. სხვაგვარად სერიოზულ შედეგებზე საუბარი სრულიად ზედმეტი რამაა. ლევან გოთუა ყველა ნაშნით აკმაყოფილებდა ასეთ მკაცრ მოთხოვნას. მან ეს ჩინებულად ცხადყო კიდევ თავის ისტორიულ მოთხრობებსა და რომანებში.

მართლაც, ლევან გოთუას მწერლური შთაგონების მეტი ნაწილი მშობლიური ქვეყნის ისტორიის მხატვრულ შემეცნებას მიეძღვნა. დღეს კარგად არის ცნობილი, თუ რა შთაბეჭდავ წარმატებებს მიაღწია მან ამ მეტად რთულსა და მნიშვნელოვან შემოქმედებით ასპარეზზე.

მან არა მარტო ჩინებულად იცოდა საკუთარი ხალხის სისხლით დაწერილი ისტორია, არამედ მწერლის გუმანით გრძნობდა მის არსებით თავისებურებებს.

ლევან გოთუას ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხრობა „კრწანისის სევდა“ მთავრდება ძალზე შთაბეჭდავი პოეტური სურათით. კრწანისის ტრაგედიის წლისთავი, წმიდათაწმიდა ქართულ მიწაზე მუხლი მოუყრია ორ მოხუცს: ბუჩუკურიანთ ბრმა ლომთათას, რომლის სამი ვაჟი დაეცა ბრძოლის ველზე და მისისავე სათაყვანებელ გმირს. მეფე ერეკლე მეორეს, ორივენი ერთნაირი ფიქრით არიან შეპყრო-



ბილნი, ორივენი ერთნაირად განიცდიან სამშობლო ქვეყნის უმძიმეს ზევდრს. ეს თემა შემთხვევით არ არის ლევან გოთუას ისტორიულ მოთხრობებსა თუ რომანებში. იგი ჭკვარივით გასდევს მთელს მის შემოქმედებას და დასრულებულ ისტორიულ კონცეფციად ყალიბდება.

ეროვნული სულისკვეთება რომელიმე პიროვნების ან რომელიმე ფენის პრივილეგია არასოდეს ყოფილა. მამულის გრძნობა მხოლოდ მაშინ აღწევს თავის აპოგეას, გარდაიქმნება მრისხანე ძალად, როცა რგი საყოველთაოა და ერთიანად ეუფლება დიდსა და პატარას, უბრალო ადამიანებსა და „ამა ქვეყნის რჩეულთ“.

ლევან გოთუამ არაერთხელ სცადა ამ მნიშვნელოვანი კეშმარიტების მხატვრული დასაბუთება და კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულში.

ამიტომაც მითრიდატესა თუ კახთა მეფეების, ერეკლე მეორისა და გიორგი სააკაძის მხარდამხარ მის ვრცელ მხატვრულ ტილოებში ასე ცოცხლად არიან წარმოსახულნი სახალხო გმირები: ქოსსალამურა თუ შუშპოვარი დეკაკიი ლომთათა, ოქროპაპა თუ მეზარე ალავერდელი. სანჯეფრო განსაცდელის ქამს ყველა მათგანს ერთი მიზანსწრაფვა აერთიანებდა და, ალბათ, სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო.

წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ხალხი თავისთავში ვერ აღმოაჩენდა იმ დაფარულ ძალებს, რამაც იგი გადაარჩინა სულიერსა და ფიზიკურ განადგურებას. ჩვენი ისტორიის ტრაგიკული ფურცლების მხატვრულ წარმოსახვასთან ერთად ოპტიმიზმი და მომავლის რწმენა არასოდეს ტოვებდა მწერლის შთაგონებას.

ლევან გოთუა თავისი ბუნებით რომანტიკული წყობის ადამიანი იყო და ეს თვისება სხვაგვარი სხივით აშუქებდა ვნებათაღელვით აღსავსე მის მხატვრულ კმნილებებს. იგი რიგ შემთხვევაში არც იდეალიზაციის მაცთუნებელ ხერხებს გაუბროდა, მაგრამ აქაც მისი პირველი მოკავშირე იყო უტყუარი მხატვრული ალლო და მოვლენათა მკაცრი ანალიზის უნარი. მწერალი მაინც ობიექტური ისტორიკოსის როლს ირჩევდა და შუქ-ჩრდილების განაწილებისას არ დალატობდა ისტორიულ პერსპექტივას.

ლევან გოთუა „ქართლის ცხოვრების“ უბადლო მცოდნე იყო და, ალბათ, არაერთხელ დაუფიქრებია ძველი ქართველი ისტორიკოსის, მართლაც და, გონივრულ სიტყვებს: „ქამთააღმწერლობა კეშმარიტის ნეტყველება არს და არა თუალახმა ვისთვისმე“. სხვათა საამებლად დაწერილ ისტორიას მხოლოდ ზიანი მოაქვს და სხვა არაფერი.

ამასთან მას არც ერთი პუნქტით არ სწამდა ისტორიაზე რაიმე სკეპტიკური თვალსაზრისი და ჩვენს წარსულ ცხოვრებაში აწმყოსა და მომავლისათვის ჭკუისსასწავლებელ მაგალითებს პოულობდა. ძლიერი, ეროვნული ხასიათების ძიებაში მას დამეები გაუთენებია თეთრად და მისაბამ გმირთა სახელების მდიდარი პანორამა წარმოგვიდგინა. რად ღირს თუნდაც მის მიერ წარმოსახული იგივე ლომთათა და ერეკ-

ლე მეორე ან სიბრძნით აღსავსე და რვალივით მტკიცე მარიამ დედოფალი, დედა ლუარსაბ მეფისა, „გმირთა ვარამის“ ისტორიული სიმართლით აღბეჭდილი გმირთა სახეები, რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ.

მისი მწერალური თვალი ადვილად იშორებდა წინასწარ აღებულ რაიმე სქემას, ყოველგვარ სიყალბეს, ამის მეტყველი ნიშნებია მისი მოთხრობა „უგზო ქარავანი“, სადაც, მართლაც, იყო ერთგვარი საც-ე.ური, როცა სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე შედგა სახელგანთქმული დიდი მოურავისა და გლეხი გორგასლის ვაჟის ბედ-იღბალი. საკუთარი სიცოცხლის ფასად გორგასალს ან შვილი უნდა ეხსნა ან დიდი მოურავი. რასაკვირველია, მამაშვილობის უწმინდესი გრძნობა გადასწონის ყოველთვის და, აქაც, მხატვრული სიმართლე ისევ და ისევ ავტორის მხარეზეა.

ლევან გოთუას მხატვრული საღებავები არ დაუშურებია, რათა ასევე ცოცხლად, ხელშესახებად წარმოესახა ჩვენი წარსული ცხოვრების მანკიერი მხარეები, გადაგვარებისა და დაცემის სურათები, ჩვენსავე ხასიათში ჩაბუდებული „პატარა კაცობის“ გულსატკენი თვისებები, რაც ყოველთვის უშლიდა ხელს ქვეყანას ზნეობრივი ამაღლებისაკენ ტოლვამში.

ამ ნიშნით ლევან გოთუა ქართული სულის ევოლუციის ერთი ყველაზე თანმიმდევრული მკვლევარი შეიქნა. საქართველოს ისტორიის მხატვრულ შემეცნებაში მან სახელოვან წინამორბედთა კვალდაკვალ სრულიად საკუთარი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

მისი ისტორიული თხზულებები, საგანგებოდ უნდა ითქვას, თანამედროვეობის სულითაა გაცოცხლებული და აქტიური ქმედების ძალას ინარჩუნებს. სწორედ ამ თვისებათა გამო „გმირთა ვარამის“ ავტორი თანამედროვე ისტორიული რომანის მიღწევათა თანაზიარად წარმოგვიდგება.

ლევან გოთუას ისტორიული მოთხრობები და რომანები სტრუქტურულ თავისებურებათა თვალსაზრისითაც მრავალ კითხვას აღძრვენ. მათზე საუბარი აქ შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ კი მაინც უნდა ითქვას: თითქმის ყველა მათგანი წინ წამოსწევს ადამიანური არსებობის რომელიმე მნიშვნელოვან მხარეს, მაგრამ როგორც წესი და ეს არის საგულისხმო, მწერლის ჩანაფიქრი არა მზამზარეულად, არამედ სწორედ მხატვრული დასაბუთების გზით აღწევს მკითხველის ცნობიერებაში. ასე ცოცხლდება ჩვენ თვალწინ გარდასულ დღეთა ძირითადი აზრი, რაც თავისთავად მეტყველებს მათი ავტორის მაღალ ოსტატობაზე.

ლევან გოთუა ქართული ენის დიდი ქომაგი იყო და ამ სფეროშიც მისი ძიებათა შედეგები სათანადოდ განსხეულდა, არსებობის უფლება შეიძინა მის მოთხრობებსა და რომანებში. ცნობილია მისი ყოველდღიური ზრუნვა ქართველი ხალხის ამ უძვირფასეს საუნჯის მოვლა-პატრონობის საქმეში. ან საერთოდ ყოფილა განა იმ ხანებში რაიმე

საქვეყნო საქმე, რომელიც დიდ მამულიშვილს გულთან არ მიეტანოს? ასეთსავე ინტერესს აღვივებდა იგი ჩვენს ახალგაზრდობაში, როცა წერდა: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო „მიჯაჭვული ამირანის“ ძსარე, ძველთაძველი ქვეყანაა, ან იცნებ სწორედ ამიტომ, აქ უამრავი რამ არის საძიებელი, ელასლად „აღმოხაჩენი“. საერთოდ, პირველსავალი საოცრებებით აღსავსე ამ მხარეში, ყოველ კლდეზე თუ ქედზე მოიპოვება ძველი. ჯერაც უკვლევია ეგლო, მიუვალი სელოვნური თუ ბუნებრივი გამოქვაბული, დაუპყრობელი თუ შეუსწავლელი მწვერვალი და მყინვარი.

მან მიიღო მონაწილეობა კაცის საიდუმლოებათა ამოხსნაში, ქართველ მთამსვლელებსა და ისტორიკოსებთან ერთად დაიპყრო გომარეთის, რკონისა და ქობთავის (უჯარმის მახლობლად) ძველი სასიზრგები, სადაც აღმოჩნდა კიდევ უნიკალური ნივთები. საკმარისია აქ გავიხსენოთ თუნდაც ქართლში, თოქვის გამოქვაბულში აღმოჩენილი წარწერაიანი ქვაჭვარი, რომლითაც საბოლოოდ გაიშიფრა ქართული ისტორიის ერთ-ერთი მამამთავრის ლეონტი მროველის მოღვაწეობის თარიღები და კოორდინატები. ისიც საგულისხმოა, რომ ბატონმა ლევანმა ამ კეთილშობილური საქმით დააინტერესა არაერთი ახალგაზრდა, რომლებიც დღესაც ისეთივე მონდომებით აგრძელებენ კვლევაძიებას ამ მიმართულებით.

თავისი მოღვაწეობა ამ სფეროში მან დააგვირგვინა მშვენიერი წიგნით „მგზავრული კრიალოსანი“, რომელშიც მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით არის ფიქსირებული მრავალრიცხოვან მოგზაურობებში მიღებული დაუფიქსარი შთაბეჭდილებები.

• • •

ბატონი ლევანი დღეს მცხეთის მახლობლად, ღვთივეურთხეულ არმაზის წიაღში განისვენებს. ნიშანდობლივია მისი უკანასკნელი არჩევანიც. აქ ყველაფერი სუნთქავს საქართველოს ძველი ისტორიით. სწორედ იმ წარსულით, რომლის მხატვრულ წარმოსახვასაც შესწირა მან საკუთარი სულიერი ცხოვრების უმთავრესი ნაწილი.

ძველთაძველ არმაზს დიხაბაც შვენის სახელოვანი მწერლისა და მემკვიდრის წმინდა საფლავი.

1985 წ.

## მადლი მშობლიური ენისა

(გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის)

„მხოლოდ დედაენა არის ენა გულისა, გრძნობისა, სხვა ენა აქ ყოვლად უძლეურია. მხოლოდ დედაენაზე შეუძლია ილოცოს ადამიანმა გულმხურვალედ“.

ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი.

გიორგი შატბერაშვილმა მრავალმხრივი, საგულისხმო მემკვიდრეობა დაუტოვა შთამომავლობას.

ჩინებულ პოეტს, ასევე ჩინებული მოთხრობებისა და მხატვრული ნარკვევების ავტორს, თავისი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაშიც. მწერლის მხატვრულ შემოქმედებას მართლაც ღირსეულად უმშვენებს მხარს მისივე მშენიერი გამოკვლევები ქართველი ხალხის სიტყვათშემოქმედების დიდ საიდუმლოზე.

ოჯახში ზოგი ერისათვის იბადება, ზოგი თავისთვის—ეს სიტყვები გიორგი შატბერაშვილს ეკუთვნის. თვითონაც სწორედ ასეთი ძნელად სავალი გზა აირჩია ცხოვრებაში.

ნიჭი და ძალა არ დაუკლია გიორგი შატბერაშვილს საქვეყნო საქმეებისათვის. ქართული სიტყვის დიდ ასპარეზზე მან საკუთარი კვალი გაავლო, კვალი მნიშვნელოვანი და გამიზნული არა მხოლოდ დღევანდელი დღისათვის.

ყველაფერი ეს კი მწერალმა შექმნა დროის მცირე მონაკვეთში. გიორგი შატბერაშვილი. ჩვენდა სამწუხაროდ, შემოქმედებითი სიმშვიდის ასაკში მყოფი განშორდა წუთისოფელს. ჭერ კიდევ ახალგაზრდული ყინით. სიტყვასთან ბრძოლის სურვილით ანთებული.

\* \* \*

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან გამოჩნდა ჩვენს მწერლობაში გიორგი შატბერაშვილის სახელი. ადრეული სიჭაბუკის გულისნადები მან პოეტურ სტრიქონებს ანდო, ხოლო ლექსთა პირველი კრებული კი 1933 წელს დაიბეჭდა. იგი ამ დროს 23 წლისა იყო მხოლოდ, უნივერსიტეტიც ახლად ჰქონდა დამთავრებული.

ლექსებით დაიწყო და მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ და შემდეგ მწერლობის თითქმის ყველა ქანარში სცადა მან ძალა, ლექსისათვის არასოდეს უღალატნია: „მაინც არ ვცხრებით და ვმღერით ისე, თითქოს სიმღერა ჩვენი სისხლია, რადგან სიცოცხლე ამ ნათელ მზის ქვეშ ჩვენ უსიმღეროდ არ შეგვიძლია“.

თუ გავისხენებთ ამ წლებს, ღირებულებათა გადაფასების მტკივნეულ პროცესებს, აგრეთვე იმასაც, რომ ამ დროს საუკეთესო პოეტების მთელი ზომლი ამშვენებდა ქართული პოეზიის პარნასს, არჩევანის გაკეთება და არც საკუთარი ადგილის დამკვიდრება იყო ადვილი სრულიად ახალგაზრდა შემოქმედისათვის.

ასეთ დროს ზოგი ნგრევით იწყებს, ზოგი შენებით. პირდაპირ ძველ ანაგებზე მიაქვს აგური. მაგრამ მაინც, ეს თითქმის უნივერსალური კანონია, არჩევანის სისწორე ბოლოსდაბოლოს ისევ და ისევ შემოქმედების ხარისხით იზომება, რაც დაადასტურა კიდევ მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ.

\*\*\*

გიორგი შატბერაშვილი თავის პირველ პოეტურ ცდებში ტრადიციონალისტი დარჩა, თუმცა შეუპოვარ ძიებათა ქიჩი ერთი წელიწად არ მოჰკლებია მის პოეტურ ნიმუშებს.

როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს შეჰფერის. გაივლია ხანი და იგი მკაცრი კრიტერიუმით შეაფასებს მათ. მომდევნო კრიტიკებში არც კი შეაქვს, მხატვრის ესკიზებივით კუთხეში მიაწყობს ზოგ მათგანს.

საკუთარ თავთან ჯიუტ შერკინებაში იჭედებოდა მისი ლექსი. ხალასი, სუფთა, ვაჟკაცურიცა და ნატიფ გრძნობათა მიმოხრაზე აგებული ერთდროულად. იგი ქართული ფოლკლორის ჩინებული მცოდნე იყო და გაითავისა კიდევ მამა-პაპათა მიერ საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ინტონაციები. ან კი როგორ ორგანულად ავლერდა ხალხურ კილოზე გაწყობილი მისი საუკეთესო ლექსები:

„ან შენ სად ხარ, ერთო ქალო,  
უჩოხესო ქალთავანა,  
რად გავყვარე სიყრმის სწორნი,  
რად გვატარე განდაგანა?  
სიყვარულის საშია  
არ იქნება სამთავანა...“

წლების მანძილზე ახალ ფერებს იძენდა მხატვრის პალიტრა. ცხოვრების გამოცდილებას „არსად ქმნის“ იღუმალეზაზე დაფიქრება მოჰქონდა. ფილოსოფიური განსჯა თავისთავად კარნახობდა ლტოლვას მედიტაციური ფორმებისაკენ. პოეტური აღსარება თაითგამოხატვის ყველაზე ახლობელი საშუალება შეიქნა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ეს ძიებები და სინამდვილის მხატვრული დაუფლებისათვის ბრძოლა, თვისობრივად ახალ ნახტომს ამზადებდა პოეტის შემოქმედებაში.

ამის უტყუარი დასტურია გიორგი შატბერაშვილის ლირიკული პოემა „ზაფხულის ღამის ქრონიკა“.

იგი დაიწერა სამოციანი წლების დასაწყისში. თვითონ პოეტი იმ დროს სიჭარბაგის ასაკში იმყოფებოდა და ახლაც ყველას კარგად გვახსოვს ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც პოემის გაცნობამ მოგვგვარა.

„ერთი პატარა გოგონას“ ტრაგიკული აღსასრულის პოეტურ ქრონიკაში მწერალმა ფართო მასშტაბის, გლობალური საკითხები აღძრა, ხელშესახებად გვაგრძნობინა ვერდამშვიდების მტანჯველი ფიქრები, მაგრამ ისე, რომ ფილოსოფიური განსჯის ნაკადი ოდნავადაც ვერ თრგუნავს მხატვრულ ქსოვილს: „და როცა იგი დამსხვრეულ ფრთებით, გატეხილ შუბლით ჩვენ წინ ესვენა. მე გავიფიქრე ის არის ცაში. ის არც ყოფილა და მოგვეჩვენა“. გალაკტიონის აღსასრული აქსოცირებულია პოემაში განვითარებულ ძირითად თემასთან და სხვა ანალოგიურ მოტივებთან ერთად ხაზგასმით წარმოაჩენს ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს. „ზაფხულის ღამის ქრონიკა“ კიდევ ერთხელ დავვაფიქრებს სიცოცხლის დიდ საიდუმლოზე, ადამიანური თანაღმობის უკვდავ გრძნობაზე.

„ქრონიკა“ როგორც ფორმით, ისე შინაარსით აშკარად ახალი სიტყვა იყო იმ დროს არა მხოლოდ გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებაში. პოემისათვის ნიშანდობლივია რთული შინაგანი სტრუქტურა, ასოცირების თანამედროვე ხერხები, ინტონაციათა მრავალფეროვნება და, რაც მთავარია, ცალკეულ თემატიკურ მოტივთა დამორჩილება მხატვრული ლოგიკის მკაცრ საფუძველზე.

სამწუხაროდ, „ზაფხულის ღამის ქრონიკა“ ერთი უკანასკნელი პოეტური ქმნილება აღმოჩნდა, მისი ავტორი კი კვლავაც რამდენ ახალ სათქმელს ატარებდა ალბათ მომავალი პოეტური აღსარებისათვის.



გიორგი შატბერაშვილი ცხოვრებაშიც გამორჩეული პიროვნება იყო. თავმდაბალი, მოკრძალებული, მაგრამ როცა ვითარება ითხოვდა ჩიუტიცა და სიმართლისათვის შეუპოვარი მებრძოლი.

იქნებ ამ თვისებათა გამო შეიყვარეს იგი მისმა უმცროსმა მეგობრებმა. სწორედ იმ ახალგაზრდა მწერლებმა და ლიტერატორებმა, რომლებმაც სამოციან წლებში არაერთი სიახლე მოიტანეს ქართულ მწერლობაში.

მისი დამოკიდებულებაც მათ მიმართ სამაგალითო იყო, რწმენითა და გულისხმიერებით აღსავსე.

ცალკე თემა აგრეთვე მწერლის ურთიერთობა ახალგაზრდა ჟურნალ „ცისკართან“. რომლის ერთი პირველი თანამშრომელი თვით გიორგი გახლდათ. როგორ იგერიებდა იგი მავანთა უსამართლო შემოტევებს, როგორ იცავდა ჩვენი მწერლობის ხვალისდღელ დღეს.

სანიმუშოდ იკმარებდა, ეს სხვებსაც უთქვამს. მისი მეგობრობა, გურამ რჩეულიშვილთან. რომლის მრჩეველი და ხელდასხმელიც გიორგი შატბერაშვილი იყო. მანვე უძღვნა ასე უდროოდ დაღუპულ ახალგაზრდა მწერალს მდუღარე გრძნობით აღსავსე წერილები, რომლებშიც პირველად ასე ხელშესახებად იყო წარმოჩენილი გურამ რჩეულიშვილის ტალანტის უტეხი ძალა.

ერთი სიტყვით. სულის კაცი იყო და არა ხორცის, რწმენის ერთგულებითაა აღსავსე მისი ცხოვრების გზაც! ნათელი ბიოგრაფია კი როგორ ამშვენებს ადამიანს — მით უფრო მწერალსა და საქვეყნო ასპარეზზე გამოსულ პიროვნებას.

გიორგი შატბერაშვილს ღრმად ჰქონდა შეთვისებული თითქოსდა სრულიად უბრალო ჭეშმარიტება: მაღალი ზნეობრივი პოზიცია არის და ყოველთვის იქნება შემოქმედების ყველაზე საიმედო ბალავარი. იგი გადაჭრით ემოჯნებოდა იმათაც. ვინც ადვილად უმარჯვებდა აფრას ზურგქარს და საქვეყნო საქმეთათვის გარჯის ნაცვლად. ხმალამოდებული იბრძოდა საკუთარი სახელის მოსახვეჭად.

იგი უჩემრად. ყოველგვარი ამბიციების გარეშე ეზიდებოდა მწერლური მოღვაწეობის მძიმე ტვირთს. აკი შედეგიც ასეთი შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

\* \* \*

პოეტური სათქმელის გამქლავებისათვის გიორგი შატბერაშვილმა მწერლობის სხვა ფორმებსაც მიმართა. ცნობილია, რომ მისი პირველი დრამატიული თხზულებებით დაინტერესდა თვით სანდრო ახმეტელი და პიესის დადგმა განახორციელა კიდევ 1933 წელს. მისი პიესები შემდეგაც იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

მაგრამ არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ გიორგი შატბერაშვილის მაღალი მწერლური ავტორიტეტი მაინც მის საუკეთესო მოთხრობებს ემყარება.

თხრობის იშვიათ ნიჭთან ერთად ბევრწილად ამას ხელი შეუწყო დიდმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ. მით უფრო რომ ცხოვრების არც თუ გრძელ მანძილზე მას არც შეჭირვება და არც უსამართლო გულისტკენა არ დაკლებია. ჭირნახული კაცის სიტყვას რომ მაინც სხვა ფასი ადევს, ეს კიდევ ერთხელ განამტკიცა მისმა შემოქმედებამაც: „ამ ცეცხლში რომ არ გამოველო სულს. არ გადასხმოდა მისი მდუღარე ხორცს — და გული არ გაციებულებოდა ფოლადივით. არ გამომწვარიყო, რა მექნებოდა სათქმელი შვილებისათვის...“

მრავალფეროვანია გიორგი შატბერაშვილის მხატვრული პროზა. იგი ჩვენი ისტორიის უბადლო მცოდნე იყო და ხელშესახებად გააცოცხლა კიდევ წარსულის სურათები. ვახტანგ მეექვსისა და ერეკლე მეორის ეპოქათა წარმოსახვით ისტორიის ჭკუისასწავლებელ გაკვეთილებზე მიანიშნებდა მკითხველს, ხოლო ერთ მხატვრულ ნარკვევში

გულწრფელ წუხილს გამოხატავდა იმის გამო, რომ გიორგი სააკაძის სახელი ასე ძუნწად შემოინახა ხალხის მეხსიერებამ... იქნებ ამ ფაქტ-შიც იმალება ის საიდუმლო, რომელიც ჭერ კიდევ გაურკვეველი ბურუ-სით ფარავს მისი პიროვნების ავ-კარგს.

ერთ მის მოთხრობაში „საუკუნო საგზალი“ მან ასეთი მომხიბვლე-ლი შტრიხებით დაგვიხატა ილია და ვაჟა, ილიას რედაქციის სულიერი ატმოსფერო, მისი თანამებრძოლები. მოთხრობას დვრიტად უძევს ვაჟა-ფშაველას პირველი ნაბიჯების გამო ილიას ცნობილი სიტყვები: „არა, ჩვენ ძველებმა, ახლა კალამი ძირს უნდა დავდოთ!.. გზა ვაჟას უნდა დავუთმოთ“.

როგორი ინტიმიტაა წარმოსახული ხანდაზმული ილიას სახე, მკაც-რი და ამასთან პატიოსნებით განმტკიცებული დამოკიდებულება ახალ-გაზრდების მიმართ, ან ვაჟას მომხიბვლელი თავმდაბლობა და რიდი საქართველოს უპირველესი მოძღვრის მიმართ. თაობათა კავშირის რა ურყევეი რწმენა აშუქებს მწერლის მთელს მონათხრობს.

მოთხრობების მთელი ციკლი მამალხინეზე, იუმორით აღსავსე და რწმენის მომგვრელი — არც ფუძე ქართველსა და არც ფუძე ქარ-თულს ემუქრება გადაშენება. შეიძლება განა კარგი მოქართულე გულ-ძვირი პიროვნება იყოს, ან ვინ უთარგმნიდა მწერალს „ანკესმოდებულ სიტყვას“. ვინ გაუნათებდა გზას ქართული სიტყვის გაუვალ ტევრში? მამალხინე ჭირში გაუტეხელი, გულმართალი კაცის ზოგად სახელად აღიბეჭდა მისი მოთხრობების ფურცლებზე.

სულიერი სინათლის კვალდაკვალ თხრობის ოსტატობა მშვენიე-რების გრძნობას აღვიძებს მკითხველში. მოთხრობაში, „ჩემს ძველ სახლში“, ამბავი თითქოს არც ვითარდება. იგი დამუხტულია მშობ-ლებთან მომავალი შეხვედრის განცდით, იმ სიხარულით, რომლის მი-ზეზია ბრძოლის ველიდან ძმის მიერ გამოგზავნილი ბარათი, ახლა რომ გულის ჯიბეში უდევს.

კავთისხევიდან თვალადამდე კი გზა აღარ ილევა და ავტორის წარ-მოსახვაში ცოცხალ სურათებად ლაგდება მოსალოდნელი სცენები: ძველი სახლი, ფერდობზე მიყუჩული, სიხარულის პირველი ელდა: „ნერე თავგზააბნეულნი დაიწყებენ ფარფატს ჩვენი დიდი სახლის ერთი ოთახიდან მეორეში. მეზობლები მოადგებიან კარს, მორიდებით შემოაღებენ, მოგვილოცავენ.“

ქაქის არაყი გაჩნდება, ხილი...

კაკლის მურაბა დააყოლოთო...

განჩინასთან მიიჭრება დედა... სიჩქარით ქაშანურის ჯამს გადმოაგ-დებს, დაამსხვრევს. ზედაც არ დახედავს, ლურჯ ქილას გადმოიღებს, სუფრისაკენ გააქანებს თვალებგაბრწყინებული.

ასე ტკბილად დამიბერდითქო, შემომითვალე...



მამა ეშხში შევა, სუფრას აშლის. ქვევრი უნდა მოვხადო, მარანში ჩავიდეთო. მცირე ტაბლაზე თაფლის სანთლებს დაანთებს, გზას გაგვიშუქებს, მარანში ჩავვიდლებო, მუხლებზე დაიჩოქებს, დატალახებული ქვევრს პირს მოარღვევს, სუფთად მოსწმენდს, სარქველს მოხდის, და რიხიანად დაიძახებს:

„წაფურა, ბიჭო. წაფურა მომიტანე. ჩემს ბიჭს რომ უყვარს... იმით დავლიოთ...“

ხელიდან ხელში გადადის წაფურა. მეზობლები ილოცებიან. სინათლის შუქი ანათებს მათ შეხურებულ სახეებს და ჩემი ძველი სახლის თავზე ჩამოკიდებულ ჩხებს, ჭაგნებს, აკიდოებს; უხარია თავხეს, ჩემი ძველი სახლის თავხეს...“

პლასტიკური ოსტატობით შესრულებული სურათები მწერლის წარმოსახვას რეალობად აქცევს.

მოთხრობის გმირი კი მხოლოდ ახლა უახლოვდება თავის ძველ სახლს და მკითხველიც ღრმად და დარწმუნებული რომ ყველაფერი სწორედ ისე წარიმართება, როგორც ავტორის წინდაწინ გაკრილ ფიქრებში... და იგი თითქოს თვითონვე აგრძელებს მონათხრობს. მომავალი ტკბილქართული შეხვედრის თანამონაწილედ იგრძნობს თავს. აი, სწორედ აქ იმალება თხრობის მაღალი ოსტატობა, რომელსაც ასეთი ხელოვნებით ფლობდა ამ პატარა. მაგრამ შთამბეჭდავი მოთხრობის ავტორი.

მართლაც, გამოცდილი ოსტატის ხელი არ დაკლებია მის სხვა მოთხრობებსაც, რომელიც ასე შეიყვარა ქართველმა მკითხველმა.

მაგრამ ასეა თუ ისე. მთავარი კი მაინც ის არის. რომ მის ყოველ მოთხრობასა თუ მხატვრულ ნარკვევს, როგორც წარსულზე, ისე თანამედროვეობაზე რაღაც მნიშვნელოვანის გამკლავება აქვს დაკისრებული. ეროვნული იქნება ეს, თუ საკაცობრიო. იგი, როგორც იტყვიან, ტყუილუბრალოდ არ ხარჯავდა ტყვია-წამალს... სათქმელიც ჰქონდა და იცოდა კიდევ ვისთვის და როგორ გაეზიარებინა საკუთარი გულისთქმა. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „საუკუნო საგზლის“ გარეშე არ დაუტოვებია მას თვით ცალკეული სტრიქონი და ცალკეული ფრაზაც კი.

ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართული პროზის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილებაა სწორედ გიორგი შატბერაშვილის ერთ-ერთი ბოლო მოთხრობა „მკედრის მზე“, რომელიც გამორჩეულია არა მხოლოდ მძაფრი პრობლემატიკით, არამედ მხატვრული ოსტატობის იშვიათი ხარისხით. ისევე როგორც „ზაფხულის დამის ქრონიკაში“ მწერალი უვალი ზვებით მიიწევდა წინ. რეალური და მისტიკური შრეების მონაცვლეობა აქ ულტრათანამედროვე მხატვრული ხერხებითაა გადაწყვიტილი და შემოქმედებითი წარმოსახვის მიჯნათა გაფართოების უსაზღვრო შესაძლებლობებზე მეტყველებს.

მაგრამ ყოველივე ეს ეროვნული სულის შემეცნების ღრმა ძიებაზეა დაფუძნებული, სახეთა მთელი წყება: როგორი ქართული, რო-

გორი ძირძველი ხასიათები, რომელთა ჩამოყალიბებას საუკუნეთა მანძილზე მართლაც „უამთა სიავის“ გარდახდა სჭირდებოდა. ან დააკვირდით როგორი შინაგანი კავშირები იგრძნობა „მკედრის მზის“ გმირებსა და ილიას უკვდავ სახეთა შორის, რასაკვირველია მე აქ პირველ რიგში ილიას „ოთარანთ ქვრივს“ ვგულისხმობ.

დაპირისპირების შეგნებულ გამძაფრებასთან ერთად, რა „მალღამბედი“ გონითაა აქ წარმოჩენილი დროთა კავშირი, მამაშვილობის მარად მფეთქავი თემა. ადამიანურ შესაძლებლობათა გარღვევის უწყევი რწმენა...

\* \* \*

ბატონი გიორგი მე შედარებით გვიან გავიცანი და დავუახლოვედი კიდევ. ალბათ იმავე თვისებათა გამო, რომლითაც იგი ასე უბრალოდ იკრებდა მის გარშემო უმცროს მეგობრებს.

ახლაც ყურში ჩამესმის მისი დინჯი ქართული, იუმორით დამშვენებული საუბარი. თვალწინ მიდგას მისი ფიქრიანი გამოხედვა. ქართულია, ხალხურია, ჩვენებურია, ე. ი. ნაღდი და ეროვნულია. ასე უშუალოდ გამოხატავდა იგი თავის მსჯავრს, როცა მხატვრული ქმნილება თავისუფალი იყო მანერულობისაგან და თავისთავადობის ნიჭით იყო აღბეჭდილი. ხოლო სიახლეებსა და გამოხატვის ახალ ფორმებს რომ არ უფრთხობდა, განსაკუთრებით შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო წლებში, ეს მან უწინარეს საკუთარი მხატვრული ძიებებით ცხადყო არაერთხელ.

მისი სახელი კი ადრევე მსმენოდა და ისიც ქართული სიტყვის ისეთი მოჭირნახულისაგან, როგორიც იყო თედო სახოკია. მას ხშირად უთქვამს კიდევ. ახალ მწერალთა შორის პოხიერი ქართულით გიორგი შატერაშვილი გამოირჩევა და ჩემს ხატოვან თქმათა ლექსიკონშიც არაერთი ნიმუში სწორედ მისი მოთხრობებიდან მაქვს ამოღებული ან პირადად მისგან გამიგონიაო. ისიც ცნობილი იყო ჩემთვის, რომ ქართული სიტყვის სიყვარულმა შემდეგში ძალზე დაახლოვა კიდევ მაშინ ახალგაზრდა გიორგი და მხცოვანი მწერალი თედო სახოკია.

შესაძლოა, რომ ყველამ არ იცოდეს ის ფაქტი, რომ თვითონ თედო სახოკიამაც ეს დიდი სამუშაო, რომელიც დაგვირგვინდა ქართული ხატოვანი ლექსიკონის შექმნით, წამოიწყო ჩვენი გამოჩენილი მწერლის ნიკო ლომოურის წაქეზებით სწორედ შიდა ქართლში, სოფელ ტირძნისში. სადაც თედო წლების მანძილზე ეწეოდა სახალხო მასწავლებლის მძიმე ჭაპანს. ერთ სოფელში შემოკრებილი ხატოვანი თქმებით დაიწყო და დაუდო საფუძვლად ლექსიკონს, რომელსაც შემდეგ წლების მანძილზე ამდიდრებდა ახალი მასალებით.

ასეთი იდეის სამაგალითოდ განხორციელების ნიმუშია გიორგი შატერაშვილის მარადსახსოვარი წიგნი „თვალადური ლექსიკონის ქაშნიკიც“. ვინ იცის, იქნებ მხცოვან ლექსიკოგრაფთან მეგობრობამ შთააგონა კიდევ ბატონ გიორგის წამოეწყო ეს საშვილიშვილო საქმე.



ჩვენი ინტელიგენციის უფროსი თაობის რიგების შეთხელების შემდეგ სამწუხაროდ გაიშვიათდა ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც ქალაქთან ერთად არ გაუწყვეტიათ კავშირი სოფელთანაც. მომრავლდა ისეთებიც. ბალზაკის ერთი გმირისა არ იყოს, რომლებიც დაბეჯითებით მალავენ კიდევ თავის წარმოშობას და სოფლისაკენ გახეღვაც კი არ უნდათ. კულაბზიკობის სენით დაავადებულთ არც კი ესმით. თუ რა მძიმე ხვედრს უმზადებენ საკუთარ თავსაც და საკუთარ შთამომავლობასაც.

აქ ეს. არც თუ სანაქებო ამბავი, იმიტომ გავიხსენე, რომ ამ შემთხვევაში საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე. ბატონი გიორგი ქალაქელი იყო, თბილისში, ვერაზე გაიზარდა. მაგრამ იოტის წამისაღ არ გაუწყვეტია კავშირი დედა-სოფელთან. სადაც ბავშვობის საუკეთესო დღეები ჰქონდა გატარებული. ყოველივე ამან კი სულიერი მთლიანობით აღბეჭდა როგორც მისი პიროვნება, ისე მისი შემოქმედებაც.

საგზლად თავანკარა ქართულით სავსე „ხურჯინი“ გამოატანეს მწერალს მშობლიური კუთხიდან, შიდა ქართლის დიდებული სოფლებიდან: კავთისხევიდან. თვალადიდან, შუბათიდან... როგორი ფუძე-ქართულით ელვარებს კიდევ მისი ყოველი მონათხრობი თუ ლექსად გაქართული ფრაზა. მისი მოთხრობების მეტი წილიც ხომ მამაპაპურ ქართულ სოფელს დასტრიალებს თავს, სადაც იგი ასეთი დაყინებით ეძიებდა ქართული ხასიათის აუმღვრეველ სათავეებს.



სიტყვა თავად არის ერის ისტორია და სულიერ შესაძლებლობათა ყველაზე უტყუარი საბუთი. ამიტომ იგი სხვა კუთხითაც ელოლიავე-ბოდა ერის ამ უპირველეს საუნჯეს. თუ ვინმემ, პირველ რიგში ბატონმა გიორგიმ იცოდა, რომ სიტყვა ცოცხალ არსებას წაავაგეს: იზადება, იზრდება და უღიერი მოპყრობის შემთხვევაში ნაადრევად კვდება კიდევ.

გიორგი შატბერაშვილი ქართული სიტყვის მესაიდუმლე და, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, „მჩხრეკელი“ იყო, ხოლო ძიებათა ამ გზაზე იგი მაინც თავის ყველაზე დიდ მოძღვრად სულხან-საბა ორბელიანს მიიჩნევდა. საალერსოდ „სიტყვის პაპა“ შეარქვა მწერალმა სახელოვან წინამორბედს და ერთგულად მისდევდა კიდევ მის ნათელ ანდერძს: „სამკურნალო ბალახებივით“ არჩევდა ხატოვან თქმებს და ასევე ხატოვანი. სანაქებო ქართულით განმარტავდა მის მიერვე მიკვლეულ. მეტწილ შემთხვევაში უსამართლოდ მივიწყებულ სიტყვებს.

ქართული მწერლობა ყოველთვის იყო და დარჩება კიდევ ქართული სიტყვის ყველაზე დიდ მოჭირნახულედ.

გიორგი შატბერაშვილიც ამ გზაზე ვიდოდა. ამიტომაც, იგი არა მხოლოდ იცავდა მას ხელმყოფთაგან, არამედ ასეთი დაყენებით იკვლევდა მის სათავეებს. მის მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად ამის მეტყველი ნიმუშებია აგრე რიგად გახმაურებული მისივე წიგნები: „ნაფიქრი“. და ბოლოს. ნაშრომი, რომელსაც მან ასეთი მორიდებული სახელი „ქაშნიკი“ უწოდა. ეს უკანასკნელი კი მართლაც განსაკუთრებულია, თავისი მნიშვნელობით აშკარად სცილდება ოდენ მეცნიერულ მიზნებს და მწერლისავე მხატვრული შემოქმედების კვალდაკვალ ასე თვალსაჩინოდ ამქლავებს თვით მისი ავტორის ხალას ნიჭიერებას.

მაგრამ აქ იმასაც დავსძენ, რომ ზოგ მის აშკარად მეცნიერული ხასიათის ლექსიკოგრაფიულ ნარკვევებსაც ამშვენებს ის უქვეალი ღირსება, რომელზედაც ზემოთ მე უკვე ვთქვი — ეს არის თხრობის იშვიათი ოსტატის ხელწერა. ნარკვევებში საოცარი ბუნებრიობით ერწყმის ერთმანეთს მწერალი და მეცნიერი.

ავტორი მკითხველს აწვდის არა მხოლოდ ძიებით მოპოვებულ შედეგებს, არამედ ჩვეული ოსტატობით მოუთხრობს ძიების გზაზე აღმართულ სხვადასხვა დაბრკოლებათა შესახებაც. მკითხველიც უნებურად თითქოს გაწეული კვლევა-ძიების მონაწილედ გრძობს თავს და სიამოვნებით მიჰყვება ავტორს ძნელად სავალ ბილიკზე. რამდენი სიტყვა გააცოცხლა ან როგორი მახვილი დაკვირვებები შემოგვთავაზა მწერალმა, საქმარისია აქ მარტო სიტყვების — „ხარება“, „შეკვეთილ“ „ანაგულისა“ და სხვათა გახსენება ან დაკვირვება ცნობილ ხალხურ ლექსზე, რომლის ერთი, დროთა ვითარებაში წარყვნილი ადგილის მართებული აღდგენა, „კვირია-ცისკრის“ მანამდე მიჩქმალულ მითოლოგიურ იდენტიფიკაციაზე მიგვანიშნებს.

მწერალი რაღაც არაჩვეულებრივი გატაცებით სწავლობდა ჩვენი ხალხის ამ უძვირფასეს საუნჯეს. განსაკუთრებით კი, როგორც ითქვა, ცოცხალ სასაუბრო, ხალხურ მეტყველებას აკვირდებოდა, რომლის უნიკალური ნიმუშები მას მშობლიურ კავთისხევისა და თვალადში ჰქონდა დადასტურებული. ვრცელი ლექსიკონის შედგენასაც აპირებდა, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილის გასრულება მოასწრო ზემონახსენებ მის უკანასკნელ წიგნში.



ყოველი მწერალი, თუ კი ამ მაღალ სახელს იგი ბოლომდე ამართლებს. თავისი გმირებით, მისგანვე შექმნილი მხატვრული სახეებით სულდგმულობს.

გიორგი შატბერაშვილის მიერ წარმოსახულ მხატვრულ სამყაროში მე ასეთ გმირად ხიზამბარელი ფალავანი მეჩვენება. სიცოცხლის ფასად დაუჭდა ხიზამბარელს საჯილდაო ქვის მიწიდან მოწყვეტა. როგორი ინტიმითაა მოთხრობაში წარმოსახული მარტოდშთენილი ხიზამბარელის დიადი მიძინება. კლასიკური ქრონიკის უმკაცრესი

სტილით შესრულებული ეს ეპიზოდი კი უწინარეს შემდეგზე მიგვანიშნებს: მხოლოდ თავგანწირვის, სისხლის ფასად არის შესაძლებელი შემოქმედების უმაღლესი ზღვარის დაძლევა...

არც ისაა დასავიწყებელი, რომ მწერლობას, საერთოდ, მხატვრულ სიტყვას, გაუსხლტელად მედინ მოვლენათა სამარადისოდ აღბეჭდვა აწევს ვალად... ადამიანი კიდევ ცოცხლობს და კიდევ კვდება ერთდროულად, ხოლო ჭეშმარიტი შემოქმედის თითქმის დაუძლეველი ამოცანაა, ჩაწვდეს ამ უღრმეს საიდუმლოს, აღნუსხოს სიკვდილ-სიცოცხლის ეს უწყვეტი მეტოქეობა.

გიორგი შატბერაშვილი თითქოს გუმანით გრძნობდა საკუთარი ეტლის საბედისწერო აჩქარებას და ხიზამბარელივით შეეჭიდა სიკვდილ-სიცოცხლის ამ დაუსრულებელი დიალოგის მხატვრულ ფიქსაციას. მის ქმნილებათაგან ამის დასტურია უწინარეს „მკვდრის მზე“, რომელიც მომავალი თაობებისათვისაც მისი ავტორის მწერლური უკვდავების მტკიცე ძეგლად აღიმართება.

1985 წ.

## ეროვნული ხასიათების ძიებაში

(გრიგოლ აბაშიძის ისტორიული პროზა)

გრიგოლ აბაშიძის პირველივე რომანის „ლაშარელას“ გამოჩენას ქართველი მკითხველი თითქოსდა კანონზომიერი მოლოდინით შეხვდა. ასეთ მოლოდინს უეჭველად განამტკიცებდა მწერლის შემოქმედებაში გამოვლენილი სწრაფვა მოვლენათა ეპიკური ხერხებით გადმოცემისა, რაიც ლირიკული ლექსების რამდენიმე ციკლთან ერთად განსაკუთრებით ახასიათებდა მის ისტორიულ პოემებს.

ისტორიზმის ღრმა განცდა „გიორგი მეექვსეს“ ავტორისათვის უცხო ხილი არასოდეს ყოფილა. ახალ ქანრში ამ გამოცდილებამ მართლაც უმაღლვე იჩინა თავი.

„ლაშარელა“, „დიდი ღამე“ და „ცოტნე“, დაბეჭითებით უნდა ითქვას, მწერლის მიერ ადრე ჩატარებულ მხატვრულ ძიებათა ლოგიკური შედეგია.

გრიგოლ აბაშიძე ოსტატურად ფლობს ყველა იმ ხერხებს, რაც თანამედროვე დონეზე მოეთხოვება მწერალს ისტორიული მასალის მხატვრული ათვისების პროცესში. მას კარგად მოეხსენება, რომ ისტორიულ რომანში მწერალი და მეცნიერი-ისტორიკოსი თითქოს ეჯიბრება ერთმანეთს. შთაგონებასა და მწერლურ ოსტატობას მხარს უნდა

უმაგრებდეს ისტორიის ღრმა შემეცნება, ფაქტების ანალიზის ყოველ-  
მხრივი უნარი. ამ თვისებათაგან ერთ-ერთის უკმარობა გარდუვალი  
მარცხის მიზეზი ხდება. ჩვენ არც თუ იშვიათად ვყოფილვართ მოწმე-  
ნი, რომ ასეთ ღროს მხატვრულ სინამდვილეს შიშველი ფაქტების  
დემონსტრირება ცვლის ან კი მაღალფარდოვან სტილს ამოფარებულა  
ფუჭი მორალისტიკა.

ისიც აღიარებული ფაქტია, რომ თანამედროვე ისტორიული რომანის  
თვისობრივი სიახლეები ძირითადად ერთ ასპექტში ვლინდება.  
ისტორიულ მასალას ასეთ ღროს, ფაქტიურად აღარცა აქვს დამოუკი-  
დებელი მნიშვნელობა — აქ წარსულიც თანამედროვეობის პრობლე-  
მებითაა დატვირთული. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ამ დე-  
ბულების საილუსტრაციოდ უმდიდრეს გამოცდილებას გვაწვდის. საკ-  
მარისია ამ შემთხვევაში ისეთი კოლოსების გახსენება, როგორებიც  
იყვნენ შექსპირი ან ტოლსტოი.

საბჭოთა ისტორიული რომანიც იმთავითვე წარსული მემკვიდ-  
რეობის მდიდარ გამოცდილებას ეყრდნობა. ისტორიული თემატიკის  
ათვისების ანალოგიურ გზაზე, როგორც ცნობილია, დიდ წარმატებას  
მიადნია ქართულმა მწერლობამაც.

გრიგოლ აბაშიძე ერთი იმათაგანია, ვინც შესაშური ნაყოფიე-  
რებით მუშაობს ჩვენი მწერლობის ამ რთულსა და მეტად მნიშვნე-  
ლოვან დარგში.

მისი ისტორიული რომანები, განსაკუთრებით კი რომანი ცოტნე  
დადიანზე გამოირჩევა ღრმა ეროვნული სულისკვეთებით და მხატვ-  
რულად საინტერესო ძიებებით. სწორედ ამ ნიშნებით იგი თანამედ-  
როვე ქართული ისტორიული პროზის ერთი საუკეთესო ნიმუშია.

\* \* \*

ისტორიული რომანი უწინარეს ეროვნული ხასიათების წარმო-  
ჩენითაა ფასეული, რის გარეშეც იგი ერთი ნაბიჯითაც ვერ გაცდება  
ულიმლამო ქრონიკის ფარგლებს.

ცნობილია ლაბრიუერის თითქოსდა პარადოქსული აზრი იმის შე-  
სახებ, რომ სხვადასხვა ეპოქებშიც კი ხასიათები უცვლელნი რჩებიან.  
რამდენადაც მეტია სიმართლე ამ დებულებაში, იმდენად მნიშვნელო-  
ვანია საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ეროვნული ხასიათების  
ძიება სწორედ ისტორიული რომანის ფურცლებზე.

რაც შეეხება მხატვრული ძიებისათვის მასალის შერჩევას, იგი  
თავისთავად მიგვანიშნებს ავტორის თვალსაზრისზე. შემოქმედებითი  
ძიების ამ გზაზე, როცა წარსულის ისტორიული გაკვეთილი მხატვრის  
შთაგონებაში ახალ ელერადობას იძენს. ეს საგანგებოდ მინდა აღვნიშ-  
ნო, გრიგოლ აბაშიძე რომანების თემად ისეთ ისტორიულ ეპოქას ირ-  
ჩევს, როცა ბევრზე ეკიდა ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ამითაა  
გაპირობებული ის ფაქტიც, რომ მწერალმა ისტორიული რომანების

მთელი სერია მიუძღვნა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე, ტრაგიკულ ეპოქას.

როგორც ცნობილია, ამ ეპოქის ძირითადი ნიშანი, ქართული სახელმწიფოს რღვევა და განადგურებაა. ერთი შეხედვით, მართლაც, განსაცვიფრებელი ფაქტია, ნაცვლად იმისა, რომ დავით აღმაშენებლისა და თამარის ზეობის ხანაში აგრეტივად წარმატებულ ქვეყანას ძლევაშემოსილად დაეძლია ახალი ისტორიული მიჯნა, სრულიად მოულოდნელად იგი საშინელი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა.

ავტორის არჩევანიც ამ შემთხვევაში საეხებით გასაგებია. ქართველი ხალხი დიდი სულიერი გამოცდის წინაშე იდგა და, ამდენად, ისტორიის ეს მონაკვეთი მწერლის წინაშე დასმული მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად ძალზე შესაფერისი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ვინც არ უნდა იყოს იგი, მწერალი თუ ლიტერატურის მკვლევარი, საერთოდ, ყველა, ვინც ამ საკითხებს ეხება, მოვლენათა გონივრულ ანალიზთან ერთად მართებს თანამედროვე მედიევისტიკის, კერძოდ, კი, ქართული შუასაუკუნეების ისტორიის სათანადო ცოდნა.

ამ ფონზე დროისა და ქალაქის უსაზმნო ხარკვაა მხოლოდ, როცა ზოგიერთი სიახლის ამბიციით შეპყრობილი ავტორი, ზემოთ ნახსენები კატასტროფის მიზეზებზე მსჯელობისას დავით აღმაშენებლის განდიდების ხარკზე თამარის უსაგნოდ დამცირებას ლამობს (ნუთუ საუკუნეთა მანძილზე ასე ცრუ ღირებულებებზე იყო დამყარებული ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება?). დღეს ასევე მიაპიტურ დონეზე შეიძლება განვიხილოთ ადრე გავრცელებული თვალსაზრისი, როცა თითქმის ბედისწერის დონეზე წყდებოდა ქართული სახელმწიფოს საშინელი განადგურების მიზეზი.

მხოლოდ ისტორიულ კანონზომიერებათა ღრმა ანალიზი, ეპოქათა მონაცვლეობის შინაგან პროცესებში წვდომა არის ერთადერთი საიმედო საფუძველი, რათა რეალურად წარმოვაჩინოთ არნახული აღზევების მწვერვალზე მყოფი ქვეყნის ასე ანაზღვეული დამხობის მიზეზები. რასაკვირველია, აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე პოლიტიკურ ძალთა განაწილების ფაქტორები, რომელთა შორის უპირველესი მოვლენა გახლავთ მსოფლიო ასპარეზზე მონღოლთა ურდოების გამოჩენა.

გრიგოლ აბაშიძის ისტორიულ რომანებს ორიენტირად სწორედ ასეთი თვალსაზრისი გასდევს, რაც უეჭველად სწორ წარმოდგენას უქმნის მკითხველს იმეამინდელი კატასტროფის რეალურ მიზეზებზე.

ეს იყო, მართლაც, არნახული დაცემის ეპოქა, ავტორისავე ცნობილი მეტაფორით „დიდი დამე“, რომელმაც ჩვენი ხალხის შემდგომ ისტორიულ ცხოვრებასაც წარუშლელი დაღი დაამჩნია. ისტორიზმის თვალსაზრისით, საგულისხმოა აგრეთვე ერთი, ჩემის აზრით, მოსაწონი თვისება, რომელმაც ჯერ კიდევ პირველი რომანის „ლაშარელას“ ფურცლებზე იჩინა თავი. ავტორი ისტორიულ გმირებს, ნაცვლად აღ-

რე შემდგომეული ტრადიციული აზრისა, მკაცრი კრიტიკიუმებით აფასებს და ყოველნაირად ცდილობს, გაემიჯნოს ისტორიული პროცესის ყალბ იდეალიზაციას.

აქ პატარა წილისგლა. სულ ახლახან ჩვენმა ტელემაყურებელმა ნახა სერიებად წარმოდგენილი საინტერესო ფრანგული ფილმი „ხორცშესხმული სატანა“. იგი ეძღვნება XVIII საუკუნის დიდ განმანათლებელსა და ამასთან შეუბრალებელ სატირიკოსს ვოლტერს (ასეცა იგი წარმოსახული ფილმში), რომლის დაუოკებელი ვნება გამოვლინდა საკუთარი ხალხის ზნეობრივი ამალღებისა და მაღალი ისტორიული მისიის შეგნებისათვის ბრძოლაში. ასეთ დროს ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი არც ეროვნული წყლულების ჰიპერტროპირებულ ფორმებში გამოხატვას ერიდებოდა.

საგულისხმოა, რომ თავის ესეში, რომელიც ერთვის ბოლო რომანს „კოტენ“, გრიგოლ აბაშიძე იმოწმებს სწორედ ვოლტერის, თუმცა ზედმეტად სკეპტიკურ. მაგრამ გარკვეულ ასპექტში სიმართლის შემცველ აზრს საფრანგეთის ისტორიულ წარსულზე: „კიდევ და კიდევ გვიღდება იმის აღიარება, რომ ისტორია არის ჯაჭვი დანაშაულობისა, სიგიყისა და უბედურებისა, რომელთა შორის უდაბნოში აქაიკი გაბნეული ოაზისებივით იშვიათად თუ შეხვდებით კეთილის მოქმედ ადამიანებს ან ბედნიერ ეპოქას. სხვა ხალხებიც არ იყვენენ უფრო გონიერნი, მაგრამ არცერთ ერს მკვლელობითა და ბოროტმოქმედებით თავი ისე არ შეურცხვენია, როგორც საფრანგეთს“.

მართლაც, დიდი ხელოვნებაა ისტორიული სიმართლის აღიარება და. რასაკვირველია, არც ის არის დასავიწყებელი, თუ ვინ დაიმსახურებს სიმართლის, თუნდაც ასეთი მწარე სიმართლის. თქმის უფლებას.

ისტორია ია-ვარდებით მოფენილი სარბიელი არასოდეს ყოფილა, მით უფრო ისეთ ეპოქებში. როცა ერის ისტორიული ცხოვრება პოლიტიკური თუ სოციალური კრიზისის ფაზაში აღმოჩნდება.

გრიგოლ აბაშიძე, როგორც მხატვარი და მემატიანე. როგორც იტქვა, ასახვის საგნად სწორედ ასეთ მძიმე ეპოქას ირჩევს. მართლაც, სამივე ზემოთ დასახელებული რომანი ერის დაცემისა და სულიერი მერყეობის შემზარავ სურათებს გვიხატავს.

ისტორიის მკაცრი სინამდვილე თავის ნებას ახვევს არამცთუ ჩვეულებრივ, არამედ ერის რჩეულ ადამიანებსაც, რომელთაც ხალხის მეგზურობა აქვთ მინიჭებული. ვითარება მით უფრო დამძიმებულია. როცა ცხადად თუ უჩინრად მოქმედებს ძალდატანების გარეშე ძალა. თითქოს რაღაც გაიბზარა, გატყდა მტკიცე ეროვნულ შენობაში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ წინამორბედ, შედარებით ბედნიერ ეპოქებში აღზევებული ამაყი ქართული სული მოუშზადებელი დაუხვდა ახალ დროს. მონღოლთა განუკითხავი ბატონობის ხანას.

ხოლო არაფერი ისე მწარე არ არის, ეს თითქმის უნივერსალური კანონია, როცა დამთრგუნველი ძალა უფრო დაბალი კულტურისა და



ტრადიციის ხალხია, ვიდრე მის მიერვე დაპყრობილი ქვეყნები. ამა სხვა რას უნდა მიეწეროს ის უმაგალითო დაქვეითება, რომელიც მონ-ლოლთა ბატონობის ხანას მოჰყვა საქართველოში. თითქმის არც ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ფაქტს ამ ეპოქისას ჩვენ არ ვიცნობთ.

კულტურული დაქვეითება კი ზნეობრივი გადაგვარების პირველი მაცნეა. გრიგოლ აბაშიძე პირუთენელი ისტორიკოსის თვალთ აღადგენს ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, დამცირებისა და ზნეობრივი გათახსირების შემადრწუნებელ ფაქტებს. როცა პირადული მთლიანად ჩიქვდა საზოგადოებრივ, სახელმწიფო ინტერესებს. გადაგვარების საშინელი სენი პირველად ერის თავკაცებს შეუჭდა და შემდგომ. რასაკვირველია, უკურნებელი ჭირივით მოედო ქვეყანას. თანამდებობისა თუ მარის ერთი ნაგლეჯისათვის ყველაფერს თმობდნენ. პარმონეობისა და დამცირების სავალალო სურათებია აღწერილი „დიდ დამება“ და „ცოტნეში“. მონლოლთა უწიგნურ და ხეპრე ნონების ლაქიბალ იქცნენ ის ადამიანები. რომლებიც გუშინ ერის წინამძღოლობას იმეზბდნენ: მთავარი ის იყო, ვინ ვის დაასწრებდა. პარმონეობაში ვინ ვის გადასძლევდა — ქვეყანა კი საშინელი სისწრაფით ეშვებოდა განუკითხაობის ჭაობში. ეგარსლან ბაკურციხელის ნონებთან სტუმრობის ეპიზოდი რომანში დამაფიქრებელ ასოციაციებს აღძრავს. შეუპოვარი და ერთ დროს საქვეყნო საქმეებში აქტიური პიროვნება, ზვიადი ფეოდალი რა ხერხს არ მიმართავს, რათა როგორმე თავი მოაწონოს ახალ პატრონებს. ქართული სურდენის მადლით მოხიბლოს ისინი, რომ ამით წყალობა გამოსტყუოს მათ, რასაკვირველია. ისევ და ისევ საკუთარი კეთილდღეობისათვის. მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ასეთი გზა არა მხოლოდ მაცოტნებელია, არამედ სახიფათოც. ერთ მამებელს მეორე ცვლის (უხვ არჩევანს სთავაზობდნენ ამ მხრივ პირადი კეთილდღეობით დატყვევებული ქართველი ფეოდალები უზურპატორებს) და ეგარსლან ბაკურციხელიც. ისევე, როგორც ბევრი სხვა, ტრაგიკულად ამთავრებს ზნეობრივად აგრერივად შებღალულ სიცოცხლეს.

სასახლის კარზე გამეფებულ უზნეობას აგვიწერს ავტორი ამავე რომანში ჩართულ სხვა, მხატვრულად ძლიერად შესრულებულ, დამოუკიდებელ ნოველაში, რომლის მთავარი გმირია ასევე აღზევებულ ფეოდალი თორღვა პანკელი.

საქვეყნო ინტერესებს აქ თრგუნავს წვრილმანი ინტრიგები, შური და მზაკვრობა. საკუთარ ვნებებს აყოლილი ქალები წყვეტენ საქვეყნო საქმეებს, რითაც ასე ოსტატურად სარგებლობენ პატარა სულის მქონე მედროვე ადამიანები. ხელისუფლებისაკენ უმოკლესი გზა კი ქალებს ვერ ასცდება. ასეთ დროს კი, ეს კარგადაა წარმოჩენილი რომანში, განუკითხაობის შემზარავი ატმოსფერო ბატონობს. ავტორის აზრით, ეს ისეთი სენია, რომელსაც, სხვა მიზეზებთან ერთად, დაღუპვის პირამდე მიჰყავს ქვეყანა. ნოველა „თორღვა პანკელი“ ამ თვალ-

საზრისით ერთგვარად ასრულებს მონღოლთა ბატონობის ეპოქის სოციალურსა თუ პოლიტიკურ სურათს.

მაგრამ სწორედ ეგვევ ეპოქა სხვაგვარ ისტორიულ მაგალითებსაც გვაწვდის, არც შეიძლება სხეანაირად. ქართველმა ხალხმა ბოლოს და ბოლოს თავისთავშივე აღმოაჩინა ის უღრევი ძალებიც, რამაც იგი გადაარჩინა სულიერსა და ფიზიკურ განადგურებას. დიდმა შეჭირვებამ დიდი ნებისა და ზნეობის ადამიანებიც წარმოშვა, რომელთა ქველი საქმეები იმედის შუქად მიუძღოდა თანამემამულეებს. ისტორიამ სასოებით შემოგვინახა მათი სახელები. მათ შორის გამორჩეულად ბრწყინავს ცოტნე დადიანის საარაკო თავდადების ამბავი.

გრიგოლ აბაშიძის რომანების და განსაკუთრებით კი ბოლო რომანის „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“ უმთავრესი პათოსი სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ ჩვენი ხალხისათვის ამ უმძიმეს ეპოქაშივე აღმოაჩინოს მწერალმა მისაბაძი მაგალითები, მარადიულობით აღბეჭდილი ის თვისებები, რაც ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანებს. ამითვე აიხსნება რომანის ავტორის განსაკუთრებული დაინტერესება ცოტნე დადიანის პიროვნებით.

ამ თემის დამუშავებისას მწერალს ჰყავს წინამორბედები. ფოლკლორისა და მხატვრული ლიტერატურის ცნობილ ფაქტებს თავი რომ დავანებოთ, აქ საკმარისია „უამთააღმწერელის“ დიდებული მატეანის გახსენება.

მაგრამ აქ უეჭველად ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს უკანასკნელი მომენტი, ამასთან, გარკვეულ დაბრკოლებას უქმნიდა მწერალს. ისევე, როგორც ძნელზე ძნელი ამოცანაა, ვთქვათ, მხატვრისა თუ მოქანდაკისათვის ისტორიაში უკვე ცნობილი პიროვნების მემორიალის შექმნა, ასევე რთული ამოცანის წინაშე იდგა ალბათ რომანის ავტორი, როცა ხალხის ხსოვნაში სამარადისოდ აღბეჭდილი გმირის ცხოვრების აღწერა დაისახა მიზნად. ასეთ დროს ბეწვის ხიდზე სიარული უწევს მწერალს, რომ რაიმე უცბო შტრიხით არ შებღალღოს ხალხის სათაყვანებელი გმირის პიროვნება და ამასთან შთაბეჭროს ის ცხოველმყოფელი სული, რომლის გარეშეც ფერმკრთალი და დღენაკლულია ყოველი მხატვრული სახე.

ეს უმთავრესი მხატვრული ამოცანაა, ჩემის აზრით, წარმატებით არის გადაწყვეტილი რომანში. მთავარი გმირის წარმოჩენისას საგულისხმოა ავტორის პოზიცია. მხატვრული დატვირთვა მან გმირის შინაგანი სამყაროს ევოლუციაზე გადაიტანა. ამით ავტორი გაემიჯნა ამავე თემის დამუშავებულ ადრეულ ნიმუშებს, სადაც ცოტნე იმთავითვე სახალხო გმირის ზოგადი ნიშნებით იყო აღბეჭდილი.

რომანში კი პირველ პლანზე გმირის სულიერი წრთობაა წამოწეული, რითაც ცოტნეს მხატვრულმა სახემ სასურველი დინამიზმი შეიძინა. ჩვეულებრივი, მეოცნებე ბავშვიდან რომანის ფურცლებზე მკითხველის თვალწინ იზრდება და ყალიბდება საქვეყნო იდეალებისათვის თავდადებული პიროვნება, რომელიც გადამწყვეტ მომენტში

თითქმის ზეადამიანურ სიმტკიცეს იჩენს. ავტორისეულ კონცეფციას საფუძვლად უდევს აზრი, რომ ცხოვრება თავისთავად ისეთი ასპარეზია, სადაც ადამიანი ერთხელ მაინც აღმოჩნდება უდიდესი სულიერი გამოცდის წინაშე. მომენტის გრძობა და თავისთავზე ამალღება უპირველესი პირობაა ადამიანური ქველობის ამ დიად გზაზე, თუნდაც ერთ-ერთის უკმარობა კი ნაცარტუტად აქცევს ყოველივეს. რასაკვირველია, ასეთი სიმალღებების წვდომა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია და ცოტნეს სახით ავტორმა შეძლო ქართული ეროვნული ხასიათის სამაგალითო თვისებების მხატვრული დასაბუთება.

პეროიკა, რაინდული სული. რატაც გაყდენთილია ჩვენი ძველი მწერლობა. უწინარეს კი „ქართლის ცხოვრების“ ფურცლები ბუნებრივ გაგრძელებას ჰპოვებს „ცოტნეშიც“, ოღონდ ავტორი უფრო სხვა შტრიხებს წამოწევს იდეალად დასახული გმირის ხატვისას. ცოტნე უფრო ზნეობრივი, სულიერი საწყისის პიროვნებად წარმოგვიდგება, რაც ასე ბეჯითადაა საზგასმული რომანში. ამიტომ არის, მაგალითად, ასე ზშირად მოხმობილი ამირანისა და ქრისტეს მარადიულ სახეები, რაც ძალზე საინტერესო სიმბოლიური მინიშნებებით ამდიდრებს იმ ანტელექტუალურ სამყაროს, რომელშიც იწრთობოდა და გონებრივად ყალიბდებოდა რომანის უპირველესი გმირი. ყოველივე ეს კი, სხვა კომპონენტებთან ერთად, დამაჯერებელს ხდის გმირის სულიერი ფერისცვალების გზას.

მკითხველს უეველად სჯერა, რომ კობტას შეთქმულებაც რომ არა, ცოტნე უსახელოდ არ დაამთავრებდა სიცოცხლეს, ასეთი ადამიანები ნიადაგ ეროვნული ღირსების სადარაჯოზე დგანან. რომანის ავტორის წარმატება უწინარეს ამ რწმენის განმტკიცებაშია საძიებელი. ისიც საგულისხმოა, რომ ცოტნე დადიანის სახეში ასე მძლავრად ღვივის ერთიანი საქართველოს სულისკვეთება, რამაც თავის აპოგეას სწორედ მის დიდ წინამორბედთა დავითისა და თამარის ეპოქაში მიაღწია.

\* \* \*

რომანის კომპოზიციისა და საერთოდ მხატვრული სტრუქტურის თვალსაზრისით ძალზე საგულისხმოა გზადაგზა ჩართული ნოველები, რომელთა ზოგ თავისებურებაზე ზემოთაც გვექონდა საუბარი.

უნდა ითქვას, რომ ეს ნოველები რომანის მრავალწლიან ქსოვილში განსაკუთრებით გამოირჩევიან და მეტყველებენ ავტორის ჩინებულ ოსტატობაზე. ყოველ მათგანს რალაც ერთი გარკვეული აზრი, იდეა აშუქებს და ამასთან ახალი შტრიხებით ამდიდრებენ რომანში წარმოდგენილ მხატვრულ სინამდვილეს.

ძალზე საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი პირველი ნოველა „მე მოვკალ ჩაღატა“, რომელშიც აღწერილია სამკვდრო-სასიცოცხლო კონფლიქტი მონღოლთა და ქართველთა ლაშქარს შორის (ქართველების ლაშქარი საქართველოდან შორს იძულებითი სამხედრო

ბეგარის გამო მონღოლებთან ერთად უტევედნენ ალამუთის ციხე-სიმაგრეს). კონფლიქტის საბაზი შეიქმნა მონღოლთა ერთ-ერთი ნოინის ჩალატას სიკვდილი. იგი საკუთარ კარავში იპოვეს ყელგამოღადრული. ეკვი ქართველებზე მიიტანეს და საშინელი სისხლისღვრა მოჰყვებოდა ამ ამბავს. რომ თვით მკვლელი, ფანატიკოსი მულიდი ვინმე ბადრადინი არ გამოცხადებულყო მონღოლთა ბანაკში.

აქ ნიშანდობლივი ისიცაა, რომ მიუხედავად ქართველთა ერთგული სამსახურისა. მონღოლები, ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ და პირველივე შემთხვევაში მზად იყვნენ გაეყლიტათ ისინი. დამპყრობელთა ფსიქოლოგია ასეთი იყო და იქნება ყოველთვის.

მწერალს ეს ეპიზოდი დასჭირდა, რათა კიდევ ერთხელ წარმოეჩინა ქართული ხასიათის სიმტკიცე. ერთსულოვნება, რაც მოსისხლე მტერსაც კი ხიბლავს. ამასთან, პირუთენელი ისტორიკოსის პოზიციიდან ავტორი გვისაბუთებს, რომ არ არის სწორი შეხედულება, თითქოს ერის თავკაცები. ამ შემთხვევაში ქართველი მთავრები ყოველთვის. ღალატის გზას ადგნენ. ვრიგოლ სურამელი და სხვა ქართველი ერისთავები მზად არიან. თუნდაც თავიანთი სიკვდილის ფასად გამოიხსნან თანამოძმეები. უბრალო ქართველი მოლაშქრეები.

ეს ეპიზოდი ერთგვარად ამზადებს მკითხველს ცოტნეს თავდადების აღსაქმელად. ამასთან ცხადყოფს იმასაც, რომ ცოტნე დადიანი ერთადერთი არ იყო ქართველთათვის ამ უმაგალითო ძნელბედობის ქამს.

ეგვევ ეპიზოდი მიგვანიშნებს აგრეთვე ავტორის სწორ თვალსაზრისზე. რომ შუასაუკუნეების მკვლევარი, რომელიც ეროვნული მოძრაობის წინა ხაზიდან გამოთიშავს თვით ფეოდალთა წარმომადგენლებს. აშკარად მეორე უკიდურესობაში ვარდება. იგი ვერ ერკვევა გარდასული ეპოქის მამოძრავებელ ძალთა რეალურ განლაგებაში.

ეროვნულ ხასიათებს ეროვნული მისიის შეცნობა ასაზრდოებს და სხვადასხვა ფორმით ეს აზრი არაერთგზისაა ხაზგასმული რომანში. შეიძლება გადამეტებულად ქრისტიანიზებულია, მაგრამ საგულისხმოა და ფაქტიურად რეალურ ვითარებას გამოხატავს შეხედულება, რომელიც გამოთქმულია თვით ცოტნეს აღმზრდელის ივლიანეს მიერ. აქ საუბარი შეეხება ქართული სახელმწიფოს მაღალ მისიას ახლო აღმოსავლეთში. რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ბიზანტიის დაქვეითების შემდგომ თამარის ეპოქაში, რითაც ხაზგასმულია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო როლი იმჟამინდელ მოწინავე იდეოლოგიის განმტკიცებაში.

ქრისტიანობის დაცვა აქ სამართლიანობისათვის ბრძოლის შემადგენელ ნაწილად იყო გააზრებული კლასიკური ხანის ქართულ იდეოლოგიაში და ცოტნეც ამ დიდი მისიის შთაგონებით წვრთნიდა საკუთარ სულიერ ძალებს, რაც მან შემდეგ სრულიად სხვა ასპარეზზე გამოავლინა. რომანის ავტორის პათოსიც ზნეობრივი ამბლებისაკენაა მიმართული და აღმოცენებულია ისტორიული გაკვეთილის ფართო გაგებაზე. ასევე საინტერესოა რომანში ზურთომოდვრისა და მხატვრის

მხარებელის სახე. იგი შემოქმედის ეროვნულ მრწამსს განასაზიერებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია დიდი და საყოველთაო ფასეულობათა შექმნა

ჩემს ერთ ადრეულ წერილში (წარსულის დიადი გაკვეთალი, იხ. ჩვენ წიგნში: მარადიული სახეები, 1981 წ.), რომელიც ამავე საკითხებს ეხება, კონკრეტული საუბარია ზოგიერთ იმ მხატვრულ მიგნებაზე. რაც გრიგოლ აბაშიძის ამ რომანის სტრუქტურულ თავისებურებებს განაპირობებს (ეს მოსაზრებები წარმოდგენილია სათანადო შენიშვნებთან ერთად). ოღონდ აქ დავსძენ. რომ მე საერთოდ ფუჭ საქმედ მიმაჩნია იმაზე დაჯა (რაც არც ისე იშვიათია ისტორიულ რომანზე მსჯელობისას), თუ რომელ ხერხს უნდა მიმართოს ავტორმა. სიმძიმის ცენტრი კოლორიტის დაცვაზე, გარეგანი აქსესუარების ზუსტ აღწერაზე უნდა გადაიტანოს, თუ გარდასული ეპოქის სურნელი ამავე ეპოქისათვის დამახასიათებელი სულისკვეთების გადმოცემით გეაგრძობინოს. მთავარი კი მაინც მწერლის მხატვრული მიდრეკილებაა. რაც განაპირობებს კიდევ რეზულტატს — თანადროული ქღერა მიანიჭოს იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც. ბოლოს და ბოლოს. სწორედ ამავე მიზნითაა გამოხმობილი ისტორიულ რომანში. გრიგოლ აბაშიძე წარმატებით ფლობს ამ ხელოვნებას. ტაქტი და ზომიერება ამის უპირველესი გარანტიაა.

დასასრულ, აქ მინდა შევჩერდე ერთ სიახლეზე. რომელიც აგრერიგად არის დამახასიათებელი თანამედროვე ისტორიული რომანის მოდერნიზაციის გზაზე. იგი უცხო არ არის „ცოტნეს“ ავტორისათვის. რომანში ალაგ-ალაგ ჩართულია ესეისტური ფორმით შესრულებული რამდენიმე ისტორიულ-კრიტიკული ნარკვევი.

ეს ნარკვევები ჩვენი ერის ტანჯვით აღსავსე ისტორიაზე ღრმა დაფიქრების შიდეგია და ამასთან ახალი ასპექტებით ამღიდრებენ წარსული ცხოვრების აღქმას, ისტორიული გაკვეთილის ღრმა შემეცნებას. განსაკუთრებით საგულისხმოა ამ თვალსაზრისით რომანის ბოლოსიტყვა. მასში ავტორი აჯამებს იმ ისტორიულ კონცეფციას. რომელიც საფუძვლად უდევს რომანს ცოტნე დადიანზე. პიროვნებაზე. რომლის მაღალი ზნეობა ჩვენი ხალხის ცნობიერებაში ე. წ. უცვლელ ფონს განეკუთვნება. ფართო ერუდიციასთან ერთად ავტორის ბოლოსიტყვა კარგად ამხელს, თუ რა ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოა გაწეული, ვიდრე მწერალი ხელს მოჰკიდებდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ესოდენ მნიშვნელოვანი ეპოქის მხატვრულ გარდათქმას.

„ცოტნეს“ გამოქვეყნებიდან გავიდა თითქმის ათ წელზე მეტი. რომანი და მისი ვპირები განაგრძობენ დამოუყიდებელ ცხოვრებას. კვალდაკვალ შეახსენებენ მკითხველს ჩვენი ისტორიის ღრმად შემეცნების აუცილებლობას. მის ადგილს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის გზაზე.

განკლილი წლების მანძილზე კი მისმა ავტორმა ახალ-ახალი საგულისხმო თხზულებებით გაამდიდრა ჩვენი მწერლობა. ყველაფრიდან

ჩანს, რომ მწერალი, რომელიც ასეთი სულიერი მხნეობით მიუახლოვდა ადამიანური სიბრძნის ჭეშმარიტ ასაკს, კვლავაც ღრმა და დაფიქრებულ საუბარს გაუმართავს ჩვენს მკითხველს როგორც წარსულის, ისე აწმყოსა და მერმისის მტკივნეულ პრობლემებზე.

1983 წ.

## სიბრძნე და ოსტატობა

(ეტიუდი ნოდარ დუმბაძეზე)

ნოდარ დუმბაძეზე საუბრისას, სულერთია პროფესიულ წერილებში თუ ჩვეულებრივ მოგონებებში, სიმძიმის ცენტრი მეტწილად მის ბიოგრაფიაზე გადააქვთ. ნოდარ დუმბაძეს, მართლაც, არც თუ სახარბიელო ხვედრი არგუნა საწუთრომ.

ბიოგრაფია აყალიბებს ადამიანს, პიროვნებას, მით უფრო მწერალს, ჩვენ ხომ ვიცით მრავალზე მრავალი მაგალითი, როცა ჯოჯოხეთური ტანჯვის გზებზე უხდებოდათ სვლა მავანთა და მავანთ. მაგრამ ცხოვრებისეული და შემოქმედებითი ბიოგრაფიების ერთ მნიშვნელზე დაყვანა აშკარად მაცთუნებელი გზაა და ამასთან იოლიც. მარადიულისაქენ სწრაფვის ნაცვლად ასეთ პოზიციას ისევ სანიადაგო, საწუთი-სოფლო ვიწროებისაქენ მივყავართ მეტწილად.

ამგვარ ცთუნებას კი, ჩემის აზრით, უეჭველად იმანაც შეუწყობ ხელი, რომ ნოდარ დუმბაძის თითქმის ყველა უკეთესი პროზაული ქმნილება ავტობიოგრაფიული, უფრო ზუსტად კი ლირიკული აღსარების ფორმითაა გადმოცემული. მაგრამ აქ მთავარი ის არის, როგორც ეს ჭეშმარიტ მხატვარს შეჰფერის, ცხოვრებიდან დაძრული შთაბეჭდილებები სრულიად სხვა ოდენობის მხატვრულ სინამდვილედაა გარდაქმნილი და მინიჭებული აქვთ სრულიად დამოუკიდებელი არსებობის უფლება. სინამდვილის დაუფლებისა და მისგან ემანსიპირების ასეთი გზა ბადებს იმ ნაყოფს, რომელსაც, რასაკვირველია მწერალური ტალანტის მეტნაკლებობის გათვალისწინებით, ასე ადვილად ვეღარ გადათელავს დრო-ჟამის მსახვრალი ხელი. ნოდარ დუმბაძის პოეტური სამყარო უცილობლად სწორედ ასეთი ძალისხმევის იშვიათი მაგალითია.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას, მით უფრო სიმწიფის ასაკიდან მოკიდებული, არასოდეს მოკლებია კრიტიკული აზრის ინტერესი. იგი იმთავითვე მოექცა ყურადღების ცენტრში.

მაგრამ რამდენადაც ვიცი, მიუხედავად ვრცელი საუბრებისა მის ლირიკულ პროზაზე, სპეციალური მსჯელობის საგნად არ ქცეულა მწერლის მიერ ასე დაყენებით მოხმობილი თხრობის ლირიკული ფორმა. სხვაგვარად რომ ითქვას, ილუზია ავტობიოგრაფიული ნაკადისა, როცა თვითონვეა მწერალი მისივე მონათხრობის მთავარი პერსონაჟი.

როგორც ჩანს, თქმა მარტო იმისა, რომ ლირიკული ფორმის პრივილეგირება დუმბაძისეული პროზის მთავარი თვისებაა, ეს კიდევ არ ნიშნავს მოვლენის არსის თუნდაც ზედაპირულ წვდომას.

ერთის მრავალში გარდასახვის დიალექტიკა, რომელიც კლასიკურმა პროზამ ძველი ეპიკიდან ურყევად შემოგვინახა, ფართოდ გაშლილი თხრობისათვის თითქმის ერთადერთი, ნაცადი ფორმაა და მიუხედავად ახალ საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენებული ნოვაციებისა, კვლავაც ინარჩუნებს თავის ძირითად სტრუქტურულ ნიშნებს.

ლირიკული და ეპიური პროზის ეს შინაგანი შეუთავსებლობა ამასთან არ გამორიცხავს როგორც მათ სინთეზს, ისე დამოუკიდებელი არსებობის უფლებას, რასაც ასე დამაჯერებლად ადასტურებს ახალ საუკუნეთა ლიტერატურული პრაქტიკა.

ასეთ წინააღმდეგობას, როგორც ჩანს, გრძნობდა „მზიანი ღამის“ ავტორიც და პირად საუბარში გაუმქდავებია კიდევ ერთგვარი უკმარობის განცდა: პირველი პირით, ავტორის პერსონიფიციკრების ხერხით წარმართული თხრობისას ავტორი გარკვეული თვალსაზრისით იზღუდება და იგი იძულებულია შეეღიოს მრავალზე მრავალ დეტალსა თუ შთაბეჭდილებას, რომელსაც აშკარად ისხლიტავს ნაამბობი, რომელიც შეუფერებელია იმ პერსონაჟისათვის, რომლის თვალთაცაა დანახული გარე სამყარო.

და მაინც იგი ირჩევდა თხრობის ასეთ ხერხს, და მე ვფიქრობ მას ამაში არ ღალატობდა მწერლური ინტუიცია, რომლითაც წარმოსახულია მისთვის აგრერიგად ახლობელი ადამიანები.

რასაკვირველია, ამ ფენომენის ახსნისას შესაძლოა არც ის თვალსაზრისი იყოს შეუვალი, რომელსაც მე ვთავაზობ მკითხველს, მაგრამ დრო და შემდგომი დაკვირვება წარმოაჩენს, როგორც სულხან-საბა იტყოდა, უაღრესსა და უღარესს.

მე ვფიქრობ, რომ დღეს „ანბანთ თეორეტიკის“ კვლავინდებურ დონეზეა შესაძლებელი საუბარი იმის თაობაზე, რომ თვით ასახვის საგანი განაპირობებს მის მხატვრულ ფაქტად გარდასახვის საშუალებებს. მთავარი და გადამწყვეტი ასეთ დროს თვით შემოქმედის შინაგანი მიდრეკილებებია და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია მშვილდის

უცთომელი მოზიდვა. თვითგამოხატვის შეუპოვარ გზაზე ნოდარ ღუმბაძე საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზების უტყუარ ფორმებს მისწვდა, რისი შედეგიცაა მისი ემოციური და ესოდენ უხვი ფერებით წარმოსახული მხატვრული სამყარო. ასეთ დროს არც ისაა დასაეიწყი, რომ მან პირველი სათქმელის გამჟღავნება სწორედ პოეზიის ენაზე სცადა.

\* \* \*

ნოდარ ღუმბაძე დღეს აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მისი შემოქმედებისადმი ინტერესი ოდნავადაც არ შეყოვნებულა. უკვე უხერხულიც კი ჩანს, მისი შემოქმედების ოდენ მისივე თაობის მიღწევებთან დაკავშირება. ქართული პროზის ისტორიული განვითარების გზაზე განსაკუთრებული შეიქნა ის მონაკვეთი, რომელიც ჩვენი საუკუნის დამდეგიდან იწყება. მაღლობა ღმერთს, დღეს მხოლოდ იდეოლოგიით არ იზომება მხატვრულ ძიებათა ხარისხი და თუ ეს ასეა, სხვაგვარად კი წარმოუდგენელია, მეოცე საუკუნის მწერლობა, კერძოდ კი, ქართული პროზა მსოფლიო მასშტაბის საუკეთესო ნიმუშებს უსწორებს თვალს. მიუხედავად არც თუ ხელსაყრელ. ზოგჯერ კი აშკარად გაუუღმართებულ გარემოებათა გამო. ამ ზეალმაველ პროცესს, საბედნიეროდ, არც ჩვენს დროს უქცევია მხარი. თანამედროვე ქართული პროზა კვლავაც ისწორებს ფრთებს და ახლებურ ძიებათა კვალდაკვალ, ღირსეულად აგრძელებს დიდ წინამორბედთა მიერ წამოწყებულ საუბარს. ნოდარ ღუმბაძე ერთი რჩეულთაგანია მათ შორის.

\* \* \*

ნოდარ ღუმბაძე დღეს ქართული პროზის ერთი უპირველესი ოსტატთაგანია. როგორ ამშვენებენ მისი უკეთესი რომანები და მოთხრობები ბოლო ათწლეულების ქართულ მწერლობას. რამდენი სიტბო და სიხარული აგრძნობინეს მათ, ვინც მწერლობაში ინტელექტუალური ცხოვრების საყრდენებს ეძიებს.

ნოდარ ღუმბაძის ეკვიმიუტანელ შემოქმედებით გამარჯვებებთან დაკავშირებით მე მაგონდება ივან ბუნინის, ჩემის აზრით, ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დაკვირვება.

მწერალმა. სულ ერთია იგი რას აირჩევს მხატვრული გარდასახვის საგნად. უწინარეს ყოვლისა, უნდა იპოვოს ხმა, კილო. ამის შემდეგ კი თითქოს ყველაფერი ნათდება. მართლაც, თუ შეიგრძენი ეს ხმა, მაშასადამე, იპოვენ რიტმი პროზის. ე. ი. მიაგენი მის ხმოვანებას, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ პროზაც ემყარება ისეთსავე შინაგან მელოდიას. როგორც ლექსი და მუსიკა.

ნოდარ ღუმბაძის პირველი დიდი აღმოჩენა, ჩემის აზრით, ის იყო,



რომ მან საოცარი სიზუსტით მიაგნო თხრობის შესაფერის კილოს. თითქოს მოხსნა ყოველგვარი პირობითობა და პირდაპირ, უშუალოდ გაგვაცნო მის არსებაში გარდატეხილი, ჩვენთვის კი მანამდე სრულიად უცნობი სამყარო.

სათქმელი კი მას ამ დროისათვის საკმარისზე მეტი ჰქონდა დაგროვილი. იგი ხომ შედარებით გვიან შეება მისთვის მანამდე უცნობ დარგს. მანაც ისევე, როგორც ბევრმა მისმა თანამოკალემ, პოეზიიდან პროზაში გადაინაცვლა. როგორც ჩანს, ეს მაშინ ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესის ერთ-ერთი, ალბათ აუცილებლობით გამოწვეული გამოვლინებაც იყო.

ალბათ ამიტომაც, რომ მისი შემოქმედების პირველივე ნიმუშებს არ აქვია არც ცხოვრებისეული ცოდნა და არც საჭირო ოსტატობა. ნოდარ ღუმბაძემ ძალზე მოკლე დროში დიდი მწერლური სახელი მოიხვეჭა. ეროვნული სულითა და ადამიანისადმი დიდი სიყვარულით აღბეჭდილმა მისმა ქმნილებებმა დიდი ხანია გადალახეს ჩვენი ქვეყნის საზღვარი, ხოლო მის ავტორს ჰქონდა ყველა საფუძველი, რომ ეთქვა: მე იმიტომ მოვედი ამ ქვეყნად, რომ თანამოძმეთათვის მომეტანა სისარული და ადამიანური თანალმობა...

ჩვენს თვალწინ უცებ ამოიზარდა ახალი პოეტური სამყარო, რომელიც განახლებულია ზნეობრივად სპეტაკი და მაღალი სულის მქონე ადამიანებით. ამის დასტური იყო უკვე მისი პირველივე რომანი „მე. ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომელშიც ნოდარ ღუმბაძემ თითქმის ყველა მისი მწერლური თვისება ასე სრულყოფილად გამოავლინა.

ნოდარ ღუმბაძეზე, როგორც ითქვა, ბევრი დაწერილა და მომავალში, ალბათ, კიდევ უფრო მეტი დაიწერება — მისი მაღლიანი ნიკი საცხებით იმსახურებს ასეთ დიდ ყურადღებას. მაგრამ მე ვერ დავეთანხნები როგორცაა ძალზე გავრცელებულ აზრს, როცა მის რომანებსა და მოთხრობებსაც კი იუმორისტული ენარის ყალიბებში აქცევენ. ასეთ შეფასებაში მე ერთი წამითაც არ ვხედავ რაიმე დამცირებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი არ ასახავს რეალურ ვითარებას.

სინამდვილის მხატვრული დაუფლება მის რომანებსა და მოთხრობებში სხვა მხატვრული ხერხებითაა გადაწყვეტილი და კომიკურ სიტუაციათა სიმრავლე სრულიადაც არ ქმნის რაიმე დომინანტს. ადამიანური ბიოგრაფიები აქ უფრო ფართო პრიზმაშია გარდატეხილი და დრამატიზმის დიდ დოზას შეიცავენ. სიცილი და ცრემლი, მხიარულება და სევდა აქ ისევე ენაცვლებიან ერთმანეთს, როგორც დღეს ღამე და სიკვდილს — სიცოცხლეს. მე არა მგონია, რომ დედის სახე მის რომანებში, ბებიის მიცვალების სცენა ან დიდროს ტრაგიკომიკური პერსონაჟი რაიმე მინიშნებას იძლეოდეს ზემოთმოტანილი დასკვნისათვის.

ნოდარ ღუმბაძის რომანები და მოთხრობები ეს არის ტიპური ლირიკული პროზა, რომელსაც დრამატიზმთან ერთად აგრერიგად ამ-

შენებს თბილი და მომხიბვლელი იუმორი — დასტური ავტორის კიდევე უფრო „სხვა რიგის“ ნიჭისა.

მწერლის მიერ წარმოსახული გმირები ხშირ შემთხვევაში მიაშიტი და გულუბრყვილონი არიან, მაგრამ მეტწილად თანდაყოლილ იუმორთან ერთად მათ არ აკლიათ არც სიბრძნე და არც ცხოვრებისეული გამოცდილება. ამასთან, ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებით, რომ ყოველი მათგანი ძველი და ჰირგამოვლილი ხალხის ღვიძლი შვილები არიან.

როგორც ფერადოვანი კოლორიტით, ისე ძალზე ცოცხალი დიალოგებით გამოირჩევიან ის ეპიზოდები, რომლებშიც ქართული სოფლის სურათებია გადმოცემული და მწერლის მეხსიერებას ასე უზადოდ შემოუნახავს ბავშვობის პირველ მოგონებასავით. მწერლის უმთავრესი ლირიკული პერსონაჟიც ხომ მიუხედავად ქალაქში დამკვიდრებისა სოფელთან ურღვევ კავშირებს ამკლავნებს, რაც თვით ავტორისავე სულიერი ბიოგრაფიის ზუსტი ანარეკლია.

ნოდარ დუმბაძე უწინარეს ყოვლისა, შთაბეჭდილებების მწერალია და უცთომელ მეხსიერებას ფლობს. ამიტომაცაა, ასეთი ცოცხალი და უშუალო, ხალხური იუმორით შეზავებული მისი დიალოგები თუ საერთოდ მის მიერ წარმოსახული მხატვრული სინამდვილე. მაგრამ ამასთან, და ეს არის ყველაზე ნიშანდობლივი, ცალკეული თუ ერთი შეხედვით სულ უბრალო სახუმარო ტიპის ეპიზოდები დატვირთულია ცხოვრებისეული სიბრძნით და განზოგადების დიდი ძალით. ღვინის ქურდობის სახუმარო „ოპერაცია“, მიამიტური მსჯელობანი საერთაშორისო საკითხებზე („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) თუ ხატიას „კეთილშობილური ტყუილი“ ბაბილო ვაშაყმაძის ოჯახში („მე ვხედავ მზეს“) ისეთ ღრმად ადამიანურ სიმეზზეა მომართული, რომელსაც ვერ გააფერმკრთალებს ვერავითარი ჩაღრმავებული წილისკვლები. მსჯელობებით გატაცება და რეფლექსიებზე ძალდატანება (რისკენაც მიმართავდა მწერალს ზოგი კრიტიკოსი, თუმცა საბოლოო ჯამში ასეთი გზა უკუთვადო მისმა უცთომელმა მწერლურმა ალდომ) ისეთივე უცხო სხეულია მის ფერადოვან პროზაში, როგორც ცინცხალ ტაბლაზე ქალაქიდან ჩამოტანილი მსუყე ნამცხვარი.

სიხარულის მომგვრელი იყო მისი აღმასვლა უკანასკნელ წლებში, თითქოს საათებში კეცავდა იგი დღეებისა და თვეების სავალს. ამის უპირველესი დასტურია ერთმანეთზე უკეთესი მოთხრობათა მთელი წყება. თანდაყოლილ სიბრძნეს ბედნიერად შეერწყა დიდი მწერლური ოსტატობა. უფრო ტევადი ფრაზა, ქვეტექსტებით დატვირთული თხრობა და საოცრად მიგნებული დეტალები აშკარად მეტყველებდნენ მწერლის პალიტრის თვისობრივ სიახლეებზე:

„— გამარჯობა, ერცახუ!

— სადა ხარ, შემოქმედო, დავილიე შენს მოლოდინში! — შესჩივლა ერცახუმ.

„მოვედი!“ — თქვა მზემ.

— „ყინვის სალტემ ლამის თავის ქალა ამხადოს, სუნთქვა მეკვრის, ჩემს თვალს მთელი დამე რული არ უნახავს, მიშველე!“

— „ახლავე!“ — მშემ ოდნავ აიწია. დისკო შარავანდელით შეიმოსა და უცებ იმდენი ნათელი დაღვარა, რომ მყინვარი შეტორტმანდა. ყინულის სალტემ გაიკრიალა, მერე ნელ-ნელა დაიძაბა, დაიძაბა და უცებ გასკდა. ერცახუს შეაერყოლა.

— დაილოცოს შენი ძალა, შემოქმედო! აღმოხდა მყინვარს და შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა. მზეს გაელიმა და ღვთიური თვალის გარეშემო უთვალავი ნაოკი გაუჩნდა.

— დაილოცა შენი ძალა! — გაიმეორა ერცახუმ და წუთით გაყუჩდა“.

ამ პლასტიკურად წარმოსახულ, თავისთავად დამოუკიდებელ მშენიერ ნახატში უკვე მინიშნებულია იმ ტრაგედიაზე, რომელიც უნდა დატრიალდეს ჩვენ თვალწინ. ამის მანიშნებელია ის სიმწრის წვეთები ერცახუს მთის შუბლზე რომ გამოჟონა — კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე უნდა გამოეთხოვოს ახლად აღმომხდარი მზით განათებულ წუთისოფელს...

ნოდარ ღუმბაძის შემოქმედებისათვის თითქოს უკვე ნაცნობი თემაა წარმოსახული, ჩემის აზრით, ერთ უკეთესთაგან მოთხრობაში „ნუ გააღვიძებ“. მთის ჰაერით სუფთა და პირველი სიყვარულივით სპეტაკია ყველაფერი, რასაც ასეთი სიფაქიზით ეხება მწერლის ხელი. იუმორიც თბილია და ეპიზოდებიც მრავლისმეტყველი. რად ღირს მარტო ეპიზოდი ჩოხატაურის ბაზარზე. გამწარებული კუკური უკანვე გამოგლეჯს ვაკირვების გამო ბაზარში გაყიდულ თავის ნაფერებ ძროხას. როცა შემთხვევით შეიტყობს, რომ იგი დასაკლავად შეუსყიდია მყიდველს. მთელ მოთხრობას კი ლაიტმოტივად გასდევს მთავარი გმირის (იგივე აეტორის) და ომში დაღუპული კუკურას დის ნათელა ნიქარაძისადმი ჯერ კიდევ ბოლომდე გაუცნობიერებელი, მაგრამ სამარადეამოდ აღბეჭდილი გრძნობა.

გაივლის წლები და ისინი კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს და უცებ ყურს სჭრის სრულიად უცხო ინტონაცია, სტერეოტიპი, რომელმაც სამწუხაროდ ჩვენს სოფლამდეც ასე უკულმართად ჩამოაღწია: „რამდენი დღით წამობრძანდით, ნოდარ ბატონო, მარტო ბრძანდებით თუ შემადგენლობით...“

ეს ასეთი მიგნებული დეტალია, რომლის მხატვრული ფიქსირება მხოლოდ იშვიათი ნიქის მკონე ხელოვანს თუ ძალუძს. „ხაზარულას“ აეტორი მიანდასებური ძალმოსილებით გრძნობდა ადამიანური ყოფის იდეალ შრეებს.

\* \* \*

ნოდარ ღუმბაძის ქმნილებათა დიდი ნაწილი ერთ მთლიან გულწრფელ აღსარებასავით ეღერს, რაც ასეთ უჩვეულო მომხიბვლელობას

ანიკებს მის პოეტურ სიტყვას. გულწრფელობა მან არამხოლოდ სტი-  
ლურ. არამედ რადიკალური რწმენის სიმალემდე აზიდა და ბოლომდე  
ენდობოდა კიდევ საკუთარ თავს. ალბათ ესეც იყო მიზეზი. რომ ასე-  
თი თრთოლვით ელოდა ყოველ მის ქმნილებას მისივე მშობლიური  
ხალხი: „გულითა წრფელითა, სიტყვითა ნათელითა...“

მშობლიურ ხალხთან ასეთმა ურთიერთობამ, უშრეტეი ძალა შემატა  
მას. მიანიჭა გულთამხილავის გრძნება. რათა თითქოსდა უხილავი ძა-  
ფებით შეემეცნა მათევე გულისთქმა. მან შეძლო არამარტო გამოეხა-  
ტა მშობლიური ხალხის ფიქრი და ოცნება, არამედ საჭიროების შემ-  
თხვევაში ელაპარაკა კიდევ მათევე სახელით. ისიც სათქმელია. რომ  
მხატვრული სიმართლის ძიებათა გზაზე, ბევრი რამ მან იმთავითვე  
განჰკვრიტა. ამ ნიშნითაც იგი თავის წინამორბედთა ღირსეული მემ-  
კვიდრეა. საკუთარი ხალხის „კმუნვისა და სიხარულის“ თანაზიარი.



იგი თხუთმეტი წელი იმყოფებოდა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე.  
ყველამ, დიდმა თუ პატარამ. იცოდა მისი უკუბრუნებელი სენის ამბავი.

უცნაურია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ მიუხედავად ასეთი ხან-  
გრძლივი დაავადებისა. ჯერ კიდევ არავინ ელოდა უეცარი კატასტრო-  
ფის მოახლოებას.

არავის ემეტებოდა ნოდარ დუმბაძე ასეთი ზვედრისათვის...

კატასტროფა კი. სამწუხაროდ, გარდუვალი აღმოჩნდა...

მთელი ამ მძიმე წლების მანძილზე, საბედნიეროდ, იგი თვითონაც  
კარგად გრძნობდა საკუთარი ხალხის თანადგომას. დიდ ნდობას. ეს  
მას ბევრს ავალბედა. სხვაგვარად ძნელია აიხსნას ის ძალისხმევა, რო-  
მელიც მან ბოლო ათეულ წლებში გამოავლინა.

მისმა ახლობლებმა კარგად ვიცოდით ისიც, თუ რა ტანჯვის ფა-  
სად მიიწევდა იგი წინ ახალი სიმალღეებისაკენ...

ნოდარ დუმბაძის იშვიათი ტალანტი ჰირველივე ნაბიჯებიდან ირ-  
წმუნა მისმა მშობლიურმა ხალხმა. ასეთ დიდ არჩევანში კი, მადლო-  
ბა ღმერთს, ხალხი არასოდეს შემცდარა.



მწერლის ერთ მშვენიერ ესკიზში წარმოსახულია საღამო ზღვის  
პირად. მზის დისკოს ჩასვლასთან ერთად, როგორც ეს მისი ელვარე  
ნიჰის თვისებაა, პოეტურ თხრობას თან ახლავს სიღრმისეული კონ-  
ტექსტი. გადმოცემულია დიდი სევდა ადამიანის გარდუვალი აღსას-  
რულის გამო.

მხატვრული სურათი კი გასრულებულია შემდეგი სიტყვებით:

„ვინც ჩამავალი მზის მწვანე ნათელს დაინახეს, ბედნიერი იქნება“.  
ნოდარ დუმბაძე სწორედ ერთი იმ რჩეულთაგანია, ვინც მიწვდა ამ შუქს. „მზის მწვანე ნათელმა“ გააცილა იგი ალბათ უკვდავთა მარადიულ სამყოფელში.

1988

## სიახლეთა ძიების გზაზე

(არჩილ სულაკაური)

არჩილ სულაკაურის შემოქმედება აშკარად გამორჩეულია ქართული მხატვრული სიტყვის თვით საუკეთესო ოსტატთა შორისაც.

ისიც ცხადია, რომ მისი მწერლური ავტორიტეტი არც სქელტანიან რომანებსა და არც მრავალრიცხოვან ლექსებსა თუ პოეტურ ციკლებს ეყრდნობა. იგი იშვიათად ესაუბრება მკითხველს, მაგრამ ყოველი მისი ქმნილება საგულისხმოა და მნიშვნელოვანის გამჟღავნებას ისახავს მიზნად. ამიტომაც არის, ალბათ, რომ წლების მანძილზე მის შემოქმედებას იოტის წამისად არ მოჰკლებია მკითხველის ინტერესი.

„ეს ფიქრიც თითქოს ტყეა უღრანი და მოლოდინით გარინდებულა... გმადლობ, უფალო! ამ ძველ ბუხარში ცეცხლი ანთია კვლავინდებურად!“

არჩილ სულაკაურის პირველი ლექსი 1946 წელს გამოქვეყნდა, ხოლო პირველი მოთხრობა — 1957 წელს. ოთხი ათეული წელი დიდი გამოცდაა შემოქმედისათვის. და, საბედნიეროდ. სიახლეთა დაუფლების ჟინი, რომელიც ოდნავადაც არ განელებულა, მწერლურ გამარჯვებათა უეჭვო გარანტიაა.

არჩილ სულაკაური ჩვენი თაობის სათავეებთან იდგა ყოველთვის არა მარტო წლოვანებით, არამედ თავისი მნიშვნელობით. და ეს პოზიცია მას შემდეგაც არ დაუქარგავს.

ომისშემდგომ თაობას კი მრავალი საზრუნავი ჰქონდა, სხვას რომ თავი დავანებოთ, მას უნდა შეევესო ჯერ ომამდე, ხოლო შემდეგ ომით გამოწვეული დანაკლისი ინტელიგენციისა, კერძოდ კი ქართული მწერლობის შეთხელებული რიგები.

რასაკვირველია, ესა თუ ის თაობა, მით უფრო მწერლობაში. ოდენ ასაკობრივ მაჩვენებლებით როდი განისაზღვრება. მას უნდა ერთ მთლიანობად კრავდეს მსგავსი იდეალებისა და სიახლეთა დამკვიდრების პათოსი. ეს არის ქართული მწერლობის ერთი დიდი მონაკვეთი და იგი, ჩემი აზრით ხელოვნურ დაქუცმაცებას ვერ იგუებს

(რომლის რეციდივები, სამწუხაროდ, აქა-იქ ჯერ კიდევ იჩენს თავს). ამ მოსაზრების უტყუარი მოწმეა უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის ქართული მწერლობა, რომელიც თვისებრივად ახალ საფეხურზე ავიდა, ხოლო ხვალ ახალი და მრავალფეროვანი ლიტერატურული ძალებით აღორძინებული კიდევ უფრო დიდ პერსპექტივებს გვპირდება.

გუშინდელ დღესავით მახსოვს არჩილის დებიუტი ქართულ მწერლობაში, ჩვენი შეხვედრები, უნივერსიტეტი, მწერალთა სასახლე. არჩილის პატარა ბინა ჩულურეთში. თითქოს არაფერი და ამასობაში, ოთხმა ათეულმა წელმა სიზმარივით გაიქროლა...

აღსანიშნავია, რომ არჩილ სულაკაურს, როგორც პიროვნებას, მწერალს, იმთავითვე ჰქონდა ზოგი ის თვისება. რომელსაც სხვებრთვის წლები სჭირდება და მხოლოდ გამოცდილებასთან ერთად მოდის. არჩილის პირველივე გაცნობისთანავე, მე მომეჩვენა და, ვგონებ. არც შევემცდარე. რომ მას უკვე მოესწრო თავის თავში დაეთრგუნა მოუშვიფებელი აზრებითა და საეჭვო განათლებით ფონს იოლად გასვლისადმი მიდრეკილება. რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათი ხელია ახალგაზრდობის წლებში. მის სიტყვას ყოველთვის ფასი ჰქონდა, რადგან ფიქრსა და დაკვირვებაზე იყო აღმოცენებული. ეს იშვიათი ნიჭი ბეჭედივით აზის მის მშვენიერ ლექსებსა და ცხოვრებისეული ცოდნით გამსჭვალულ მოთხრობებს. მთელ მის შემოქმედებას.

სიტყვის ხელოვნებაში სრულყოფილებისადმი სწრაფვა, სამწუხაროდ, ზოგჯერ გვიხდება ამაზეც საუბარი. უწინარეს სერიოზულ განსწავლულობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. არჩილ სულაკაურის განათლების დონის მაჩვენებელი იმთავითვე სწორედ ის იყო, რომ იგი არა მარტო იცნობდა, არამედ მას ათვისებული, გაშინაგანებული ჰქონდა მისთვის სამაგალითოდ ქცეული მწერალთა ქმნილებები და, რაც მთავარია, ყოველ მათგანთან ჰქონდა მისთვის დამახასიათებელი, ემოციური დამოკიდებულება. ყოველივე ამან, როგორც ჩანს, უმთავრესი გავლენა იქონია მწერლის მხატვრული აზროვნების დონეზე, სტილის შეგრძნებაზე. რაც მხატვრული ოსტატობის ქვაკუთხედს შეადგენს.

არჩილ სულაკაურმა ქართული მწერლობის კარიბჭე ლექსებით შემოაღო. მისი ლექსების პირველი კრებული კი 1951 წელს გამოვიდა. მასთან ერთად სიხარულით ვფურცლავდით წიგნს მისი მეგობრებიც. მას შემდეგ, როგორც ითქვა დიდმა დრომ განვლო. ყველა ჩვენგანმა ქართული ლიტერატურის, ქართული მწერლობის სხვადასხვა სფეროს მივაშურეთ და მაინც კარგად გვახსოვს მეგობრის პირველი წიგნი — დასტური აღიარებისა.

ეს იყო მისი, როგორც პოეტის, პირველი, და ხშირ შემთხვევაში, წარმატებული ცდები. ამავე წიგნში არის რამდენიმე ისეთი ლექსი,

რომლებიც დღესაც ინარჩუნებს ღირებულებას, იმ თვისებებს ავლენს, მომდევნო წლებში ასე ღონივრად რომ იჩენს თავს არჩილ სულაკაურის პოეზიაში. „როცა საღამო შემოდის ლურჯად, მე მინდა ძვირფას ოცნებას მივყვე: თავდება ჩემი პატარა ქუჩა, ჩემი ბავშვობაც თავდება იქვე“. ეს სიტყვები ამ კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსიდან არის და მასვე მხარს უმშვენივრად ლექსები „დედა“, „საღამო ზღვაზე“. ომზე, სამშობლოზე, ინტიმური ლირიკის დამახასიათებელი ნიმუშები. აქვეა იმხანად გახმაურებული ლექსი „გმირი“, რომელშიც სრულიად დარღვეულია მანამდე შემუშავებული მოდელი, არჩილ სულაკაურის ლირიკული გმირი იმ იშვიათი თავმდაბლობითა და კდემით არის აღბეჭდილი, რომელიც აგრერიგად ამშვენიებს როგორც ომის ქარცეცხლში გამოვლილ გმირს, ისე ყოველ პატიოსან და მშრომელ ადამიანს. ძუნწ, თითქოსდა შეუმჩნეველ შტრიხებში აქ საოცრად თბილი ინტიმით არის გადმოცემული სულის სიღრმიდან დაძრული ადამიანური სრულყოფილების ავტორისეული იდეალი.

არჩილს ამ ხანებში მოეპოვება ინტონაციური ხასიათისა თუ ამღერებაზე აგებული ლექსები („ქართლის გზაზე“, და სხვ.), მაგრამ უმთავრესად მაინც იგი ღრმად მოფიქრებულ სახეს ენდობოდა, რომელშიც განცდა, აზრისმიერი. ზუსტი პოეტური ფრაზებით იყო ფიქსირებული. კიდევ უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა მის შემოქმედებაში მომდევნო წლები, როცა პოეტური სათქმელი უფრო მრავალფეროვან და მასშტაბურ ფორმებში განხიანდა.

მაგრამ მაინც, როგორც თვით მწერლის, ასევე თანამედროვე ქართული მწერლობის მთლიან პროცესში. აშკარად საეტაპო მნიშვნელობისაა არჩილ სულაკაურის პირველივე მოთხრობები, რომლებიც 50-იანი წლების მიწურულიდან ზედიზედ ქვეყნდებოდა. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ მისი ეს მოთხრობები აღმოცენდა იმ სახელებთან ერთად, რომელთაც ჩვენში ახალ ფსიქოლოგიურ დონეზე სცადეს მოვლენათა ანალიზი და ადამიანის ღრმა სულიერი შრეების წარმოსაჩენად ულტრათანამედროვე მოდელები მოსინჯეს. არჩილ სულაკაური ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის და ამგვარ ძიებათა კვალი სათანადოდ არის აღბეჭდილი მის პოეტურ პროზაში.

ამასთან, ჩემი აზრით, ისიც არ არის დასავიწყებელი, რომ გმირთა ემოციური წყობის გადმოცემის ხერხებითა და თხრობის ფუნქციონალურად ძალზე გამიზნული ფერწერით (განსაკუთრებით „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, „მტრედები“, „აბელის დაბრუნება“) მათ თავის დროზე ძალზე ნაყოფიერი ზემოქმედება მოახდინეს მისი თაობის სხვა მწერალთა შემოქმედებაზეც.

აქცენტირება მის მოთხრობებში ერთი შეხედვით უბრალო ადამიანის მხატვრული წარმოსახვისაკენ იყო იმთავითვე მიმართული, მაგრამ ამასთან ეს სრულიადაც არ გულისხმობდა „პატარა ადამიანის“ დიდად გავრცელებულ თემას. ყოფითი უბრალოების მიღმა ძიება და ანალიზი იმ ადამიანთა შინაგან, ერთი შეხედვით დაფარულ შინაგან

ლირსებათა გამომზეურებას ისახავდა მიზნად, რაც თავისთავად განაპირობებდა ეთიკური პრობლემებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას. ამიტომ ემიჯნება მწერლის მიერ წარმოსახული მხატვრული სინამდვილე ეგრეთ წოდებული „ტკბილი მოთხრობების“ არცთუ იშვიათ ნიმუშებს, რომელთა ავტორები სანტიმენტალიზმისა და ყალბი პოეტურობის ცდუნებისაგან ვერ აღწევენ თავს.

მძაფრი პრობლემატიკისადმი მისწრაფების მაღალი თვისება დიდ ლიტერატურასთან აახლოებს მწერლის საუკეთესო ნიმუშებს და თავისთავად უარყოფს პროვინციალიზმის მცირეოდენ ცდუნებასაც კი. ეროვნული ხასიათებისა და კონკრეტული პრობლემატიკის ამალღებისა და განზოგადების იშვიათი უნარით მისი მხატვრული პროზა მხატვრული ოსტატობის სასურველ დონეს აღწევს. ამიტომაც არის, ალბათ, რომ დღესდღეობით ასეთი სახელი მოიხვეჭა მისმა ავტორმა როგორც თავის სამშობლოში, ისე მისი საზღვრების გარეთაც. არჩილ სულაკაურის შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა და ევროპის თითქმის ყველა ენაზე.

„ოქროს თევზის“ (1966 წ.) ავტორმა ყოველგვარი კონიუნქტურის გარეშე ერთმა პირველთაგანმა გამოავლინა ცხოვრების მახინჯ პოვლენებასა და მეშინაობის მძიმე სენთან უკომპრომისო ბრძოლის მაღალი პოზიცია და ეს მაშინ, როცა არცთუ ია-ვარდით იყო მოფენილი ამ მიმართულებით გამიზნული მცირეოდენი მცდელობაც კი. ასევე სრულიად განსაკუთრებულია როგორც მხატვრული სურათით, ისე მხილების პათოსით მისი ერთი საუკეთესო მოთხრობა „აბელის დაბრუნება“ (1960 წ.). მართლაც იმ უკუღმართ დღეთა განაჩენივით გაისმის დიდი სიმართლისათვის მომწოდებელი სმა, მოთხრობის უკანასკნელ სტრიქონებში: „მერმე გავიდა დრო და აბელი იჭდა გაჩირაღდნებულ. დიდ დარბაზში. მართლმსაჯულებამ მიიწვია და დასვა ყველაზე მაღალ სკამზე, რათა დაენახა ყველას, როგორია სიმართლე, ხოლო ისინი უსახონი და უპირონი — შეშინებულნი აცეცებდნენ წყლისფერ და უაზრო თვალებს.

ისინი აბელისაგან შეწყალებას ითხოვდნენ“.

თენგიზ აბულაძის აგრერიგად გახმაურებული ფილმის „მონანიების“ მაყურებელი შეუძლებელია კიდევ ერთხელ არ დაუბრუნდეს არჩილ სულაკაურის ამ მოთხრობას, რომელიც მორალური დაცემისაგან განთავისუფლების ზარივით გვიხმობს.

აქვე ისიც უნდა შევნიშნო, რომ არჩილ სულაკაურის შემოქმედებით თვისებას არ განსაზღვრავს სათქმელის ფორმა. ლექსშია იგი გამქლავებული თუ პროზაში, ამიტომ ყოველთვის უნიადაგოდ მეჩვენებოდა მსჯელობა იმაზე, როდის ან რატომ გადაინაცვლა მან პოეზიიდან პროზაში. მის საუკეთესო მოთხრობებში იგი უწინარეს ისევ და ისევ პოეტალ წარმოგვიდგება. მე აქ ვგულისხმობ მთლიან მხატვრულ



სურათს. და არა მარტო კონკრეტულ პოეტურ სახეებს, რომლებითაც ასე უხვია მისი ჰროზაული ქმნილებები. ამ მოთხრობებს მისხალითაც არ აკლია ეგრეთ წოდებული ცხოვრებისეული მასალა, პირიქით, ზოგჯერ მისი „შემოტევა“ კი იგრძნობა, მაგრამ მწერალი არ დალატობს საკუთარ ხელწერას და პოეტური თხრობის უზადო ნიმუშებს გვთავაზობს. ამის დასტურია მისი საუკეთესო მოთხრობები, ზევით რომ დავასახელო და აგრეთვე მისი შედარებით ბოლოდროინდელი ნამუშევრები „ლუკა“ და „თეთრი ცხენი“. განსაკუთრებულია ამ თვალსაზრისით „გაბო“. ნამდვილი და არა ყალბი ქალაქური კოლორიტით აღსავსე „წყალდიდობა“ და ისევ და ისევ „ლუკა“, რომელიც პოეტური პროზის საუკეთესო ნიმუშად მიმაჩნია უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში. ზორობებასთან ჰიდროში სიკეთის მორალური უპირატესობის წარმოსახვის ადრეული თემა არჩილ სულაკაურის ამ მოთხრობაში სრულყოფილების მიწნებამდე მალღდება.



ბოლო ათწლეულში არჩილ სულაკაურმა შემატა ქართულ მწერლობას ისეთი მომხიბვლელი პოეტური ზღაპარა, როგორიცაა „სალამურა“ (რუსთაველის სახელობის პრემიით რომ აღინიშნა) და ლექსების რამდენიმე ციკლი. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ლექსების კრებული „ოთხივე მხრიდან“. აქ, მართლაც, მისი მწერლური უკუბრუნების ძალაზე საინტერესო წახნაგები მოჩანს. თვითგამოხატვის ნაცდრ კონთან ერთად აშკარად იგრძნობა პოეტური ხედვის მეტი სიფართოვე; პლასტიკური სახეებისადმი ლტოლვა და, რაც მთავარია, ქართული პოეტური კულტურის ტრადიციების შემოქმედებითი დაუფლების ცხოველმყოფელი უნარი.

გონით განათებულ ამ ლექსებში თითქმის ყოველი ფრაზა დატვირთულია ღრმა და მრავლისმეტყველი მინიშნებებით, მედიტაციის დამაფიქრებელი ნაკადით, რაც მათი ავტორის ოსტატობის ახალი საფეხურის ნათელი მახასიათებელია... საკმარისია ამ ლექსების „გონიოს“: „ოთხივე მხრიდან“, „არა იმიტომ“ და „შენაქოში თქმული ლექსის“ დასასელება.

„მინდა ზერები გაზაფხულის ღრუბელს მოეაწვიმინო.  
ვაი, როგორ გაფრენილა ჩემი ქალაი მიმინო?!“

ახალგაზრდობის ასაკთან გამოთხოვების მწველ სინანულთან ერთად ლექსს ლაიტმოტივად გასდევს ადამიანური ვალის გარდახდით აღძრული შინაგანი სიამაყე.

ამასობაში მიიწურა ექვსი ათეული წელიც. დინჯი, საუბარში თავშეკავებული, თბილი ღიმილით მომზირალი თვალები — ასეთივე დარჩა არჩილ სულაკაური თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი, როგორც იტყვიან, „სიბრძნის ასაკის“, მიჯნაზეც.

დღეს იგი სახელმწიფოებრივი მწერალია, ქართული სალიტერატურო პრესის მეთაური ორგანოს „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, არაერთ საშვილიშვილო საქმეთა წამომწყები და თაოსანი. რომელთა შორის შეუძლებელია არ მოვიხსენიო ქართული პოეზიის თხუთმეტომეული, რომელმაც სათავე დაუდო ჩვენში ამ ტიპის გამოცემებს.

„ახლავე მივდგებ-მოვდგები. მაკაღე ვიდრე მოკვდები, გადავიხადო ვალი...“

მოვალეობის ამ დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებოდა იგი ყოველთვის თავის ხალხს, მამულს, მშობლიურ მწერლობას. „მამულის სიყვარული განგების მიერ ბოძებული უდიდესი ნიჭია“. ეს სიტყვები თვით არჩილ სულაკაურს ეკუთვნის. დაე ეს მაღალი ნიჭი არ მოკლებოდეს მას მომავალში. წინ ხომ დიდი და მიზანთა სიმადლით გასხივოსნებული გზაა.

1987 წ.

## „სათავეების“ მკვლევარი

(რამდენიმე შტრიხი გურამ ასათიანზე)

ძნელი სათქმელია, გურამ ასათიანმა როდის დაიმკვიდრა ქართული კრიტიკული აზრის ერთ-ერთი ლიდერის სახელი. ასეთი რამ ერთბაშად არ ხდება. მით უფრო მწერლობის ისეთ ქანრში, რომელსაც იგი ემსახურებოდა.

სამოციანი წლებიდან მის სიტყვას ყურს უგდებდა როგორც ძველი, ისე იმ თაობათა წარმომადგენლებიც, რომლებიც იმ დროისათვის დგამდნენ თავის პირველ ნაბიჯებს.

დღეს იშვიათია ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მწერალი, რომელზედაც გურამ ასათიანს თავისი აზრი არ გამოეთქვას, მასვე ეკუთვნის თანამედროვე ქართული მწერლობის ზოგი ისეთი ტენდენციის ჩანასახშივე დაფიქსირება, რომელიც შემდგომში ბევრად უფრო სრულყოფილად გამოვლინდა. იგი სიახლეთა შემჩნევის იშვიათად მახვილი გრძნობით იყო დაჯილდოებული.

60-იან წლებს კი ქართული ინტელიგენციის ცხოვრებაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დიდი დეპრესიის“ ხანა უსწრებდა წინ. სადღა იყო ჩვენი სახელოვანი მწერლობის გამორჩეული ადამიანები, რომ-

ლებიც ასე უსაგნოდ შეეწირნენ 20-30-იანი წლების ენითუთქმელ ძალმომრეობას. თითო-ოროლას გარდა გადარჩენილთაგან ზოგი იმდენად იყო სასელგატეხილი, რომ ფაქტიურად მათ აქტიური ცხოვრების ძორალური უფლებაც აღარ ჰქონდათ (თუმცა ზოგი მათგანი ამასაც არ დაგიდევდა და სწორედ ზედმეტი აქტიურობით აყენებდა ბუქსა და ნაცარს).

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ადრევე გამდგარიყვნენ განზე და შედარებით „უწყინარი“ ქანრებით „ირთობდნენ“ თავს.

ისიც კარგად გვახსოვს. თუ ვინ იკავებდა ამ ხანებში ლიტერატურული ასაარეზის დაცარიელებულ უჭრებს. მიხეილ ჯავახიშვილის „დამპატიყეს“ გმირივით, ისინი ყველგან მიძვრებოდნენ და თავისი უსამსი სატციელით წამლავდნენ ატმოსფეროს. გაივლის წლები და ჩვენ საზოგადოებას ძალზე გაუჭირდება ამ ფსევდო-მწერლებისა და მეცნიერებისაგან ემანსიპაცია. სარეველა იმიტომ არის სარეველი, რომ ასე ადვილად არ დათმობს მზის სინათლეს.

\* \* \*

50-60-იან წლებში გამოსულ თაობას ფაქტიურად ბევრი რამის თავიდან დაწყება მოუხდა. სიასლეთა დამკვიდრებაში კი თუ რა წვლილი შეიტანა ახალმა თაობამ, ამას ფაქტების შემდგომი ანალიზი გარკვევს, რაც ალბათ უახლოესი მომავლის საქმეა.

გურამ ასათიანი სწორედ ამ თაობის ღირსეული წარმომადგენელი იყო და, როგორც ითქვა, სერიოზული კვალიც დაამჩნია თანამედროვე ქართული კრიტიკული აზრის განვითარებას. მან ძალზე ინტენსიური ცხოვრებით იცხოვრა და პირადი ადამიანური მომხიბვლელობითაც საყოველთაო სიმპატიები დაიმსახურა.

\* \* \*

გურამ ასათიანი თავის პროფესიაზე, შემოქმედებით მოწოდებაზე მხოლოდ იუმორით, თითქოსდა საკუთარი პიროვნების დამამკირებელი რაიმე უცნაური ეპითეტით თუ უპასუხებდა ვისმეს. ყოველ შემთხვევაში გარეგნულად არც მაშინ დაიმჩნევდა განაწყენებას, როცა ქართული მწერლობის „უხამსი სტუმარი“ კადნიერად შეეხებოდა იმ სფეროს, რომელსაც შინაგან ძალთა დაძაბვით ემსახურებოდა წლების მანძილზე. შემწყყნარებლობა ხომ შეჭირვებათა დათრგუნვით მოპოვებული მაღალი სულიერი კატეგორიაა.

რეალურად კი იგი მხოლოდ და მხოლოდ ძნელი ამოცანების გადაწყვეტას ისახავდა მიზნად, კრიტიკოსის მაღალ მისიასაც სწორედ ამ მიმართულებით გაწეული შრომით აფასებდა. მსოფლიო კონტექსტის

გათვალისწინების გარეშე ქართულ მწერლობაზე საუბარი ფუტე ჩხირ-კედელაობად მიიჩნდა და მოძალბებული პროვინციალიზმის ერთი უპირველესი მოწინააღმდეგე იყო. კარგად გრძობდა ამ სენის ტოტალურ შემოტევას, რომელიც ზოგჯერ ცრუმეცნიერული ნიღბითაა აღჭურვილი. ხოლო ზოგჯერ კი ე. წ. ეურნალისტური სიმსუბუქით აჭუჭყიანებს სულიერ ატმოსფეროს.

გაგიჟვრდებოდა კიდევ, ლიტერატურის წმინდა იდეალების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში გათვლილი, როგორ იცლიდა „წვრილფეხა ნადირთა“ შესამუსრავად, რომლებიც ტელევიზიის ეკრანიდან თუ ეურნალ-გაზეთებიდან ასე ურცხვად წამოყოფდნენ თავს. აქ თავდებოდა იუმორის სფერო. მისი მართალი სიტყვა ასეთ დროს გესლიანი და დაუნდობელი იყო.



გურამ ასათიანი. მართლაც, ელვარე ნიჭის პროვინება იყო, ხოლო მისი შემოქმედება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სიტყვიერად ხელოვნების დარგებს შორის ყრუ სამანების გავლენა უნიადაგო რამაა. მისი საუკეთესო წერილები თუ ესეისტური ჩანახატები თავისთავად მხატვრული ტილოებია, რომლებშიც ზოგჯერ თვით ობიექტი კრიტიკული განხილვისა ოდენ ბიძგის, მხატვრული იმპულსის დონეზე აღიქმება. მათში აშკარად დომინანტობს ამ წერილის ავტორის პიროვნული გამოცდილება და თვით სინამდვილიდან დაძრული შთაბეჭდილებანი.

მისი მაძიებელი გონება კი თანაბრად არჩევდა ძირითად ტენდენციებს და ამასთან ზუსტ დეტალებზე მინიშნებით ცხოვრებისეულ სუნთქვას ანიჭებდა საკუთარ სათქმელს. ამიტომაც ხიბლავდა იგი მკითხველს თხრობის ოსტატობით და ეს უკანასკნელიც ასეთი ნდობით მიჰყვებოდა მას მისმიერვე წარმოსახული მხატვრული სინამდვილის შეცნობის გზაზე.

ეს სინამდვილე კი არც ისე მარტივი იყო და არც ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული. იგი არასოდეს აუბრალოებდა მწერლურ ამოცანას. და ხშირად ამოუხსნელი, ბოლომდე გაუშიფრავი პრობლემებით აღიზიანებდა მკითხველის ცნობისწადილს. უფრო ზუსტად რომ ითქვას, ეს მისი ერთი ნაცადი ხერხი იყო, პრობლემათა ძიების გზაზე თანაზიარობის სასიამოვნო განცდით მუხტავდა მკითხველს და აქტიური აზროვნების ფართო სარბიელზე გამოჰყავდა იგი.

გურამ ასათიანის გახმაურებული წერილების ერთი საიდუმლოება, ჩემის აზრით, ესეც გახლავთ, ხოლო მათი ავტორის ესოდენ დიდი პოპულარობა ქართული კრიტიკული აზროვნების დიდი გამარჯვების აშკარა დასტური იყო.

ათეული წლების მანძილზე ყალიბდებოდა იგი როგორც მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი. თვალნათლივ იგრძნობოდა

ზრდა და ფართო მასშტაბური პრობლემებით მისი დაინტერესება. ამის ერთი უპირველესი ნიშნულია მისი გვიანდელი წერილების სერია „სათავეებთან“, რომლებშიც გაბედულ აზრებთან ერთად მასვილ დაკვირვებების მთელი წყებაა წარმოდგენილი. გერონტი ქიქოძის საყოველთაოდ ცნობილი ესეის. „ჩველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“, კვალდაკვალ გურამ ასათიანის აღნიშნული წერილები ქართული ხასიათის ძიების მრავალმანიშნებელი ცდაა და ამასთან, აღბეჭდილია მათი ავტორისათვის ძალზე დამახასიათებელი სიახლის გამახვილებული გრძნობით.

მსგავსი თვალთახედვით შექმნილი წერილების დამაჯერებელ იერს უეჭველად ისიც განამტკიცებს, რომ აქ ყოველი სტრაქონის მიღმა მძაფრად გამოჩანს მოწიფულობის ეამს მიღწეული შემოქმედის თვითდაკვირვების იშვიათი უნარი. ჩვენი ხალხის გაუტყეველი სულითა და ესთეტიკურ ღირებულებათა შეცნობის უძნელეს გზაზე გურამ ასათიანის ეს წერალები. მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. მნიშვნელოვანი მოვლენაა ეროვნული ფსიქოლოგიისა და კულტურის ძირითადი მახასიათებლების შესწავლისათვის.

“ \* \* ”

გურამ ასათიანის უღრვეი ნება სიტყვასთან ჭიდილში გაიხარჯა. რა ადვილად იკითხება მისი ყოველი სტრაქონი, სტილის როგორი სიამე აჯალოებს მკითხველს და როგორ მწარედ ცდება ის, ვინც ამ სილადეს სტილისას მის მართლაცდა მაღალ ნიჭიერებას მიაწერს მსოლოდ. უძილო ღამეებში იწრთობოდა ძვირფასი მადანი (ეს მისი საყვარელი ფრანზაა), რომელსაც მისი ავტორის დაყინებული ვნებოთ, რვალის სიმტკიცე უნდა გამოჰყოლოდა და აკი გამოჰყვა კიდეც.

კატასტროფა კი ასე უღმერთოდ უახლოვდებოდა თურმე — შემპარავი, როგორც სიყვარული, და დაუნდობელი. როგორც სიკვდილი. მაგრამ ამ მძიმე დღეებში მან კიდე ერთხელ გვაგრძნობინა, რომ მისთვის, სილაამაზე იყო ყველაზე დიდი სარწმუნოება. ხოლო არტიტიზმი — არსებობის ერთადერთი ფორმა.

უფლებაც კი არ მოგვცა, რომ მის ახლობლებს თანაზიარობის რაიმე ნიშანწყალი გამოგვეხატა... საუბარი კი ეხებოდა მსოლოდ საქმეს, ჩვენ მწერლობას, ჩვენი ხალხის ხვალინდელ დღეს. იმას, რაც ჭერ კიდეც არ გაკეთებულა და უნდა გაკეთდეს კი... მოულოდნელად იშორებდა მნახველთა უნებურ, ისარივით გამკოლ მზერას და თანდათან საკუთარ ფიქრებში იძირებოდა...

„სათავეების“ ავტორმა. როგორც ჩანს, ისიც შთააგონა საკუთარ თავს, რომ „სირცხვილ არს“ ვადრეკა და სხვადქცევის გარდუევალ კანონს უმორჩილებდა სიცოცხლის დიდი სიყვარულის მწველ გრძნობას...

გურამ ასათიანი მრავალი ხილული თუ უხილავი ძაფებით იყო და-  
კავშირებული თავის ხალხთან, თავის ქვეყანასთან, რასაკვირველია  
პირველ რიგში თავის მშობლიურ თბილის-ქალაქთან.

ფართო იყო მისი ნაცნობობის წრე და მასაც ასეთივე პატივს მი-  
აგებდნენ სულ სხვა და სხვა წრისა და პროფესიის ადამიანები. მან  
იცოდა მათი ინტერესების სფერო, ზოგჯერ მწვავე კამათსაც არ ერი-  
დებოდა, მაგრამ ყოველთვის ითვალისწინებდა მათ აზრს ამა თუ იმ  
საკითხზე. ეს იშვიათად საგულისხმო პოზიციას. საკუთარ საქმიანობას  
გარედანაც უნდა შეხედო, რათა ერთი რომელიმე პროფესიის უნებურ  
ტყვეობაში არ მოექცე. ეს მით უფრო მართებს მწერალს, ლიტერა-  
ტორს, რომლის პროფესია უკვე თავისთავად გულისხმობს ცხოვრების  
შუაგულში ყოფნას. გურამ ასათიანის მოღვაწეობა ასეთი ურთიერ-  
ობის მეტყველი მაგალითი იყო...

გურამ ასათიანი უკვე რამდენიმე წელია აღარ არის ჩვენს შორის.  
მისი სიტყვა, მისი შორსგამიზნული ფიქრი კი როგორც სკირდება დღეს  
ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას, ქართულ მწერლობას... მაგრამ დარწმუ-  
ნებული ვარ, გურამ ასათიანიც, ისევე როგორც მისგანვე მოხმობილი  
„თანამდევნი სულები“ მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ადგილს დაი-  
კავენს ჩვენი ხალხის ცნობიერებაში, ხოლო მომავალი თაობები კი ასე-  
თივე გზებით გააგრძელებენ მათი სახელოვანი წინამორბედისაგან წა-  
მოწყებულ დიდ საუბარს...

1988 წ.

## იზი მკინგლა მთავარს

(ოტია პაჭკორიას წიგნების გამო)

სულ ახლახანს თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა ოტია პაჭ-  
კორიას ორი წიგნი. მოთხრობები სათაურით „შენდობა“ და რჩეული  
წერილების კრებული „ხმა სინათლეა“. სამწუხაროდ, წიგნების გა-  
მოქვეყნებას ვერ მოესწრო მათივე ავტორი. ოტია პაჭკორია გარდაიც-  
ვალა 1984 წელს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კრებულში მოთავსებულია რამდენიმე  
ჩანაწერი თუ ესეისტური ჩანახატი მწერლის არქივიდან. ეს ბოლო  
პუბლიკაციები რეკვიემით აღიქმება და კიდევ უფრო გვაახლოვებს

იმ სამყაროსთან, რომლის მხატვრული ფიქსირებაც მან საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრების უმაღლეს მიზნად დაისახა.

განსაცვიფრებელია მისი ერუდიცია. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია სათქმელის გამოხატვის უამს ვნებათა დაოკების იშვიათი უნარი, რომელიც მის ყოველ ფრაზას, მის მიერ შერჩეულ ყოველ სიტყვას ეტყობა. სტილს იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და არა სარტო ინდივიდუალურ, არამედ ეროვნული თვითგამოხატვის უპირველეს თვისებად მიიჩნევდა. ამ თვალსაზრისით იგი მკაცრი სტილისტი იყო და ასეთივე უღმობელ მოთხოვნებს უყენებდა იგი ყველას, ვისაც კი შემოქმედებით ასპარეზზე სწადდა ფეხის მოკიდება.

იქნებ ასეთმა სიმკაცრემაც განაპირობა რაოდენობის მიხედვით მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შედარებითი სიმცირე, მაგრამ ეს უფრო მის მხატვრულ კმნილებებს ეხება და არა მთლიანად მის კრიტიკულსა თუ ესეისტურ ხასიათის ნაწერებს.

მას უყვარდა და ხშირად იმეორებდა კიდევ ცნობილ გამოთქმას: ზოგი ყველაფერს განიცდის, ზოგი კი არაფერს. მას ასევე კარგად მოეცეს ეხებოდა, რომ ადამიანი ამ ქვეყნად ტანჯვისთვის არის მოვლენილი და, სამწუხაროდ, ახალგაზრდობიდანვე არაერთხელ იწვინია კიდევ უკულმართობა. ასე რომ არც ცხოვრებისეული გამოცდილება აკლდა მას და რაც მთავარია, არც მოვლენათა არსში წვდომის უნარი. ასეთ დროს კი მართლაც, ცოტა უცნაური ჩანს მისი არჩევანი. მან მხოლოდ ბოლო წლებში გამოაქვეყნა რამდენიმე მოთხრობა და, როგორც მის არქივზე დაკვირვება მოწმობს, იგი ამ დარგში უფრო ფუნდამენტური ნახტომისათვის ამზადებდა ნიადაგს. ეს შინაგანი ძალისხმევა კარგად ჩანს მის კრიტიკულ ნააზრევში, სადაც მხატვრული ფორმის დაუფლებისათვის ბრძოლაში იგი თითქოს საკუთარ თავსაც ედავებოდა და არც სხვას უტოვებდა უკან დასახვე გზას. იგი კარგად იცნობდა თანამედროვე მსოფლიოს ლიტერატურულ გამოცდილებასაც და იქნებ ამანაც ითამაშა გადამწყვეტი როლი: კრიტიკოსები შედარებით ხანდაზმული ასაკიდან ჰკიდებენ ხელს და დიდი წარმატებითაც მხატვრული შემოქმედების ისეთ დარგებს, რომელთა ბევრი საილუმლო მათ უკვე მაღალ პროფესიულ დონეზე აქვთ გაშინაგნებული.

მაგრამ რაც ზემოთ ითქვა, ეს უფრო მაინც ვარაუდობის სფეროა, თუკცა საგულისხმოა და გულდასაწყვეტი...

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ის რაც დაგვიტოვა, ან უფრო ზუსტად, ის რაც მოასწრო ოტია პაჭკორიამ თავისი არც თუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, ფასეულია და მნიშვნელოვანი. ჩვენს თანამედროვეთა შორის თუ ვინმეს მიუძღვის წვლილი ქართული კრიტიკული აზრის მაღალი ავტორიტეტის შექმნაში, ერთ-ერთი პირველთაგანი მათ შორის სწორედ ოტია პაჭკორია.

მაგრამ ამ დარგის უეჭველ წარმატებებზე საუბრისას, მით უმეტეს დღეს, ჩვენ არ გვმართებს ზოგიერთი სპეციფიკური ხასიათის დაბრკოლებათა გადავიწყება. სამოციანი წლების მიჯნაზე, როცა ასპა-

რეზს იპყრობდა ის თაობა, რომელსაც როგორც ასაკით, ისე მხატვრული მიდრეკილებებით ეკუთვნოდა ოტია პაჭკორია, აშკარად იგრძნობოდა, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთგვარი შეფერხება, რომელთა მიზეზებზე ჩვენი სულიერი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დღეს ასეთი მწარე სჯა-ბაასია გამართული.

სხვა დროს სხვა საკითხებზე, მაგრამ ამჯერად საკითხი ახლო წარსულში ქართული კრიტიკული აზრის არც თუ სახარბიელო ვითარებას ეხება. მე აქ ვგულისხმობ სოციოლოგიურ სქემათა ზეწოლას, რომელიც შეუენელებელი ინერციის სახით მხატვრულ მოვლენათა გაუბრალოების ტენდენციით იყო დაღდასმული. ამ სავალალო ინერციას. სამწუხაროდ. არც დამცველები აკლდა, რომლებიც დემაგოგიურ გამოხდომებთან ერთად, აკრძალული ილეთების გამოყენებასაც არ თაკილობდნენ. თითქოს ფუჰად ჩაეგლოს ჩვენი საუკუნის ათიანი, ოციანი წლების ვამოჩენილ ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა გარჯას, რომლებმაც ასეთი წარმატებით სცადეს და, რაც მთავარია, შეძლეს კიდევ ეროვნულ ტრადიციათა წიაღში ქართული კრიტიკული აზრის დაწინაურება მაშინდელი მსოფლიოს საუკეთესო მიღწევათა დონემდე.

ახალ სამოციანელთა თაობამ სხვა მხატვრულ მიღწევათა კვალდაკვალ ითავა სწორედ ქართული ესთეტიკური კულტურის, კერძოდ კი, ქართული კრიტიკული აზრის საჭირო კალაპოტისაკენ მიქცევა. სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს ბრძოლა იქნებ ჭერაც არ დამთავრებულა და დღევანდელი ისტორიული ვითარება გვეალებს უფრო ვადამწყვეტი ნაბიჯების ვადადვმას, მაგრამ ცხადია ისიც. რომ განახლებისათვის ნიადაგის შესამზადებლად ამაოდ არ დამაშვრალა ის თაობა, რომლის ერთი შეუპოვარი თანამოაზრეც ოტია პაჭკორია იყო.

ზემთ მე ვახსენე ოტიას ახლად გამოსული წიგნები. ერთი თავლის გადავლებაც კი საკმარისია, რომ მათში ბევრი საერთო დავინახოთ. მისი აშკარად ინტელექტუალური პროზა ისეთივე გზნებითა და პრობლემებისაკენ სწრაფვით გამოირჩევა, როგორც მისივე ესეები და კრიტიკული წერილები.

პრობლემურობა და ლიტერატურულ მოვლენათა პროფესიული ანალიზი თავისთავად განაპირობებდა შეფასებათა უკომპრომისობას. წიგნში ერთგან მოტანილია ანატოლ ფრანსის ირონიული შენიშვნა, რომ შედეგები ადვილად როდი იქმნება, მავანი და მავანი ნაწარმოები დროის თავაზიანობის გამო თუ მოექცევა ზედაპირზე. ოტია პაჭკორიას კრიტიკული ნააზრევის ერთი უპირველესი ღირსება ჩემის აზრით, ის არის, რომ მისი ავტორი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ცდილობდა „დროის თავაზიანობის“ საცთურისაგან განდგომას. ამით უწინარეს არც მხატვრისა და არც კრიტიკული წერილის ავტორის ღირსებას ადგებოდა ჩრდილი. აქვე საგანგებოდ მინდა ისიც გავიხსენო, რომ ოტია პაჭკორიას წერილებში ჩვენ ვერ ვიპოვით რაიმე გამკილავ უბრალო ფრაზასაც კი. თუნდაც იგი ამა თუ იმ ავტორის მხატვრული



ოსტატობის სერიოზულ ხარვეზებს ეხებოდეს. უხამსობა და ინტელიგენტური პოზიცია შეუთავსებელი სიდიდეებია. ავტორის მიერ გამოვლენილ ტაქტსა და ზომიერებას ქართული მწერლობის დიდი სიყვარული განაპირობებდა ნიადაგ.

კვლევის პროცესში პრინციპული და სამაგალითოა ოტია პაპკორიას, როგორც კრიტიკოსის მეთოდოლოგიაც. მისი მახვილი თვალი ზუსტად მიანიშნებდა მხატვრულ დეტალებს, ოსტატურად დამუშავებულ თხრობის ცალკეულ ელემენტებს, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა ხელიდან არ დასხლტომოდა მთავარი, რადგან გადამწყვეტი მაინც საბოლოო შედეგი იყო. მისი შემოქმედებითი კრედიო სათქმელისა და გამოსატვის ფორმის ერთიანობაზე იყო დაფუძნებული. „ჩვენ უპირველეს ყოვლისა — წერდა იგი ერთ-ერთ თავის წერილში — გვიზიდავს შედეგი — იდეა. მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, წარმოსახვა, რისი მეოხებითაც იქმნება ახალი რეალობა, ჩვენი ყოფის, ცხოვრების, მისწრაფებათა უკუფენა, სადაც შემოქმედი ერთიანად თავისუფლდება, ცრუ კდემამოსილებისაგან და კპოვებს მორალისტის. მოღვაწის წინადაგომის უფლებებს“.

სამოციანი წლებიდან. როგორც ითქვა, ოტია პაპკორია აქტიურა მონაწილეა ქართული მწერლობის აღმავალი პროცესისა. მაგრამ მისი უპირველესი ყურადღებისა და ზრუნვის საგანი უკანასკნელ დღეებამდე იყო და რჩებოდა ახალი ქართული პროზა, რომელმაც დღესდღეობით ასე ფართო მასშტაბით მიიქცია ყურადღება. ამას გვიდასტურებს აქ წარმოდგენილი რჩეული წერილების კრებულიც „ხმა სინათლეა“. მისმა ავტორმა ერთმა პირველთაგანმა მიუძღვნა შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე წერილები არა მარტო ამ მნიშვნელოვან პროცესს, არამედ მათში მონაწილე თითქმის ყველა ავტორს: გიორგი შატბერაშვილს, გურამ რჩეულიშვილს, არჩილ სულაკაურს, თამაზ და ოთარ ზილაძეებს, რევაზ ინანიშვილს, ნოდარ წულუისკირს, ჭაბუა ამირეჯიბს, ოტია იოსელიანს, გურამ გეგეშიძეს, რეზო ჭეიშვილს. გივი მალულაჩიას, ვლადიმერ სინარულიძეს... რასაკვირველია ეს არ არის სრული სურათი, მაგრამ უკვე ეს სახელებიც თავისთავად მეტყველებს, თუ რა მრავალფეროვანი პროცესის გააზრებას ესწრაფვოდა კრიტიკოსი. არც ის არის დასავიწყებელი, როგორც ზემოთაც ითქვა, რომ მან საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკითაც შეიტანა წვლილი ქართული პროზის აღორძინების ესოდენ მნიშვნელოვან პროცესში.

ოტია პაპკორია არ იფარგლებოდა მარტო მხატვრულ მოვლენათა ანალიზითა და მათი ფიქსირებით კრიტიკული წერილების სახით. იგი მეგობრობდა თითქმის ყველას, ვისაც მეტ-ნაკლებად ამ პროცესის მონაწილედ იგულებდა. ასეთი ახლო ურთიერთობის ხიბლითაა გამთბარი ის მშვენიერი პორტრეტები ქართველ მწერლებზე, რომელთა ერთი ნაწილი ამ წიგნშიცაა შეტანილი და რომელთა გამრავლებას. როგორც ჩანს, იგი მომავალშიც აპირებდა.


სამაგალითო იყო მისი ურთიერთობა ახალგაზრდებთან, რომელთა

წილში ეძებდა იგი სიახლის ელემენტებს და ყოველმხრივ უწყობდა ხელს შემოქმედებითი ნაპერწკლის გაღვივებას. აქაც იგი სამართლიანი და მკაცრი იყო. ჩვენ ხშირად ვყოფილვართ მოწმენი იმისა, როცა ლიტერატურაში მძაფრი ენებებით შემოსული ახალგაზრდა ავტორი, რა მალე იძენს მკვრეტელის თვისებებს და მყუდრო სავანეს მიაშურებს. ოტია პაჭკორიას წერილებში ხშირადაა ამ შემპარავ „სენზე“ საუბარი და გაფრთხილებასავით ისმის კრიტიკოსის სიტყვები: „დღეს ბევრია უფლებამოსილი უკან მოიხედოს, ბევრი აღიარებული ოსტატიცაა და ივიწყებს, რომ ოსტატობა ერთგვარ კონსერვატულ ელემენტებსაც მოიცავს. შესაძლოა ზოგს ნაადრევად გაუჩნდა სურვილი, „გახდეს საკუთარი თავის ძეგლი“. არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ ცხოვრების წესითაც განამტკიცებდა იგი საწინააღმდეგო თვალსაზრისს. ალბათ ესეც იყო მიზეზი, რომ „ცისკარში“ მოღვაწეობდა იგი თუ „მნათობში“. მყისვე მის გარშემო ასეთი ხალისით იყრიდა თავს ახალგაზრდა შემოქმედი ძალები. ეს კი ისეთი თვისებაა, რომელიც მხოლოდ ერთეულთა ხვედრია.

ოტია პაჭკორიას წელს შეუსრულდებოდა 60 წელი. მისი ენერგიული სიტყვა, მისი გამოცდილება ჯერ კიდევ მრავლისაღმტკმელი იყო. როგორ დააკლდა იგი თავის ახლობლებს, თავის მეგობრებს და მთლიანად ქართულ მწერლობას.

1987 წ.

# ნარკვევები



## IV

### ფილოლოგიური ეტიუდები

#### ქიზანი „დავითიანის“ გარემო

(შენიშვნები და პარალელები)

ძველ საქართველოს არ ჰყოლია რუსთველის შემდეგ ისეთი დიდა პოეტი, როგორც დავით გურამიშვილია. მისი ცხოვრება-შემოქმედება ემთხვევა ეპოქას, როცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა, ხოლო ქართველ მოღვაწეთა დასი, რომლის ერთი გამოჩენილი წევრიც იყო დავით გურამიშვილი, გადაარჩენის გზას ეძიებდა. ასეთ დროს ოღნაევი მოღუწეობაც კი ეროვნულ გადაგვარებასა და კატასტროფას უღრბდა.

ქართველმა ხალხმა თავის თავში აღმოაჩინა ძალა, რათა საბოლოო განადგურებისაგან გადაერჩინა საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული ძველი და თვითმყოფი კულტურა.

დავით გურამიშვილი სწორედ ამ მღელვარე ეპოქის ღვიძლი შვილია, ხოლო მის პოეზიაში, როგორც პრიზმაში, წარმოსახულია გზა-ჯვარედინზე მდგომი ქვეყნის გაუტეხელი სული. ტრაგიკულ განცდასთან ერთად, რომელიც ასეთ სიმძაფრეს ანიჭებს მის პოეზიას, იგი იმედინად უმზერდა მომავალს, ეძიებდა მშობლიური ქვეყნის გადარჩენის „სინათლის სხივს“ (ეს ერთი ყველაზე საყვარელი მეტაფორაა მის პოეზიაში).

ვერც სამკვიდროდან მოწყვეტამ, ვერც პირადმა ტრაგედიამ, რომელიც აგრერიგად იყო გადაჭაჭვული ქართველი ხალხის ბედთან, ვერ შეარყია და გატეხა პოეტის სულიერი მხნეობა.

მან საკუთარ თავში აღმოაჩინა გაუტეხელი რწმენა აღამიანთა

მოდგმის უკვდავებსა და გავვიმეღავნა კიდეც იგი „დავითიანის“  
უკნობ სტრიქონებში.

ქვემოთ, რასაკვირველია, ძირითად შტრიხებში საუბარია პოეტის  
ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, წარმოდგენილია ზოგი შენიშვნა თუ  
ლიტერატურული პარალელი.

ეს დაკვირვებები ფაქტიურად შეადგენს ჩემი მონოგრაფიის რამ-  
დენიმე მომცრო ნაწყვეტს. [აქვე შევნიშნავთ, რომ მონოგრაფიის  
ძირითადი ნაწილი გამოქვეყნდა 1986 წელს სათაურით „დავით გურა-  
მიშვილი“].

ა) „სუბაპის ჯარი მან შიჰმნა, ვით ისოზ ავალაჰისა...“

გურამიშვილის პოეზიის ლირიკული პერსონაჟი ხან მარტოდ  
შთენილი, ღრმა რელიგიური განწყობილებებით დატვირთული ადა-  
მიანია, ხან კი „ქართლის პირზე“ მწარედ დაფიქრებული პიროვნება,  
რომელიც მთელი არსებითაა შეძრული თავისი ხალხის დიდი ეროვ-  
ნული ტრაგედიის გამო. „დავითიანში“ პიროვნული და საზოგადო-  
ისე გაუთიშველად ერწყმის ერთმანეთს, რომ იგი აღიქმება. როგორც  
ერთიანი, მონუმენტური მხატვრული ქმნილება, თუმცა რეალურად  
იგი სხვადასხვა თემატური რეალისა და სხვადასხვა დროს შექმნილ  
რამდენიმე პოემისა და ლექსთა ციკლებისაგან შედგება.

მხატვრული თუ თემატიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით  
მნიშვნელოვანია აშკარად სპირიტუალისტური ძიებებით აღბეჭდილი  
ლექსების ერთი ნაწილი. რომელიც ავლენს პოეტის სისხლსორცეულ  
კავშირს ქართულ-ქრისტიანულ სასულიერო მწერლობასთან.

დღეს, საბედნიეროდ, აღარ ვდავობთ იმაზე, თუ ქართველი ხალხის  
ისტორიული ცხოვრების გრძელ გზაზე რა განუზომლად დიდი როლი  
ითამაშა ქრისტიანულმა კულტურამ. ჩვენი ხალხის იდეოლოგია, რო-  
მელსაც, რასაკვირველია, სხვა სულიერი ფაქტორებიც კვებავდა,  
წარმოუდგენელია ქრისტიანობის მიერ დამკვიდრებული ზნეობრივი  
თუ ეთიკური იდეალებს ცხოველმყოფელი ნაკადის გარეშე. ისევე  
როგორც სხვაგან (აქ მენტწილად იგულისხმება დასავლური სამყარო),  
ქართული შუა საუკუნეებიც ქრისტიანული აღმსარებლობის ნიშნით  
ფითარდებოდა. მაგრამ აქ ისიც არის აღსანიშნავი, რომ მიუხედავად  
ჩვენი ქვეყნის, თუ ნებისმიერ ასე ითქვას, „აღმოსავლური“ წარმო-  
შობისა, ჩვენში ქრისტიანობის დამკვიდრების პირველივე დღეებიდან  
არასოდეს გამრუდებულა ქართული კულტურის ე. წ. „დასავლური“  
ორიენტაცია. ეს ცხადად ემჩნევა ქართულ შუა საუკუნეებში შექმნილ  
როგორც მატერიალურ, ისე სულიერი კულტურის ძეგლებს. ასეთი  
ფართო თვალსაწიერის გარეშე წარმოუდგენელია ისეთ ქმნილებათა  
აღმოცენება, როგორცაა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „ვე-  
ფხისტყაოსანი“. მცხეთის ჯვარი. სვეტიცხოველი. ქართული კედლის  
მხატვრობა. რომელი ერთი უნდა გავიხსენოთ. „ქართული მზერა“.

როგორც ამას იტყვოდა დიდი პოეტი, უკვე ამ სანებიდანვე თავისთავნაო თავსებს ძველ, ანტიკურ ტრადიციებთან ერთად მშვენიერების იმ ახალ ეთიკურ საწყისებს, რომელიც ქრისტიანულ კულტურასთანაა დაკავშირებული. რაც, ამასთან, ჩვენი კულტურის ფართო სარბიელზე გასვლას გულისხმობდა.

დავით გურამიშვილი ქართული გვიანი შუა საუკუნეების ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელია და, ბუნებრივია. გარკვეულ ინტერესს იწვევს აგრეთვე მისი, როგორც პოეტ-სა და მოაზროვნის, მიმართება ქრისტიანულ კულტურასთან.

მაგრამ წინასწარ უნდა ითქვას შემდეგი: ქრისტიანული იდეოლოგიის ზემოქმედება ერთგვაროვანი არ ყოფილა ეპოქათა ცვალებადობის შესაბამისად. იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა და ეს ნათლად გამოვლინდა კიდევ როგორც V—XI საუკუნეებში, ისე ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში (XII—XIII საუკ.) ასევე დღეს დადასტურებულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ შემთხვევაში სასულიერო მწერლობის, კერძოდ კი, სასულიერო პოეზიის (ჰიმნოგრაფიის) ზემოქმედებამ ახალი ძალით იფეთქა ე. წ. ალორძინების ეპოქაში (XVII—XVIII სს.) ღრმა რელიგიური განწყობილებები მძლავრი იდეოლოგიური ნაკადის სახით იჩენს თავს ქართველ მწერალთა შემოქმედებაში (გავიხსენოთ ე. წ. „სოფლის მღურვის“ მოტივები და ა. შ.). გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ კრიზისთან ერთად ასეთ განწყობილებათა გაბატონებას ეროვნული კატასტროფის მუდმივ მიჯნაზე ყოფნაც აძლევდა ბიძგს.

გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ლექსთაგან ზოგი ჩართულია „ქართლის ჭირის“ სხვადასხვა მონაკვეთებს შორის, რომელთაც პოეტი ხან მოთქმას, ხან კი გოდებას უწოდებს. ასეთი წიაღსვლებით პოეტი გარკვეულ აქცენტებს ანიჭებს პოემაში გადმოცემულ ისტორიულ მოვლენებს. ქართლისა თუ კახეთის აქ აღწერილი ძნელბედობა არ არის შემთხვევითი, სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად ამის მიზეზია სულიერი თუ ზნეობრივი დაცემა. ავტორის აზრით, აღამიანმა დაივიწყა თავისი წმინდა მოვალეობა ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

ამიტომ ჩერდება უთუოდ პოეტი ქრისტეს ჯვარცმის მისტერიაზე. გოლგოთის მისტერიის მარადიული თემით ავტორის განზრახვაა, რომ აღამიანებს კიდევ ერთხელ შეახსენოს ზნეობრივი დაცემის სავალალო შედეგი, როცა მათ „ბოროტისაგან კეთილი შუროთ ვერ განარჩიეს“. ხოლო სხვა ჰიმნებში სასოებით მიმართავს ხან სამების რომელიმე წევრს, ხან კი ღვთისმშობელს.

როგორც თვითონ „ქართლის ჭირში“, რომელშიც ამავე ეპოქის საქართველოს ისტორიულ ქრონიკებთან ერთად გადმოცემულია პოეტისავე ბიოგრაფიის სხვადასხვა ეპიზოდები. ისევე მთელ „დავითიანში“ აქა-იქ მოთავსებულია ისეთი ხასიათის სასულიერო ჰიმნებიც,

რომლებიც თვით ავტორის პირად განცდებს გამოხატავს და თავისი აღნაგობით მედიტაციური წყობით არიან აღბეჭდილნი.

პოეტის მაღალ სასულიერო განათლებას ამხელს ისიც, რომ მას ღრმად აჯვს ნაგრძნობი ძველისა და ახალი აღთქმის შინაგანი კავშირი, როგორც ეს პირველთაგან გაშიფრული ჰქონდათ ჯერ კიდევ ქრისტიანული ეკლესიის წმინდა მამებს (გავისხენოთ ნეტარი ავგუსტინე. „რამ არს ძველი აღთქმა, თუ არა დაფარვა (შენასვა) ახლისა, ხოლო რა არს ახალი — თუ არა გამოცხადება ძველისა“). გურამიშვილი ასეთ გარდასახვას ხშირად გადმოგვცემს ბიბლიიდანვე აღებული სიმბოლოებით. პოეტურ ენაზე მიგვანიშნებს, თუ ვით გარდამოვიდა ძველი დღე (მამა ღმერთი) ახალ დღეში (ახალი დღე ძე ღვთისა — ქრისტეა), ხოლო სხვა ჰიმნებში დავით წინასწარმეტყველისა და ქრისტეს მიმართება წარმოსახულია ერთი ცხოვრების ხისაგან აღმოცენებულ შტოთა (მორჩთა) სიმბოლიკით, რითაც ასევე ძველი და ახალი აღთქმის ძირითად იდეათა უწყვეტობაა წარმოჩენილი.

პირველყოფილი ცოდვის, ადამიანური მიუსაფრობის და „ორ გემაგე“ (ცვალებადი) სოფლისადმი მდურვის მოტივები მძლავრი ნაკადის სახითაა შეჭრილი გურამიშვილის პოეზიაში. ფანტასტიურია პოეტის მისტიური ხილვები, ამასთან ყველა მათგანი ღრმადორიგინალური მხატვრული აზროვნების ნაყოფია. პოეტი მეტწილ შემთხვევაში თავს აღწევს საუკუნეთა მანძილზე ტრაფარეტად ქცეულ ტრადიციულ სახეთა ტყვეობას ან მათ განსხვავებული მიზანდასახულობით იყენებს. იგი. ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე აგებს სასულიერო შინაარსის პოეტურ სათქმელს, რაც უნიკალური მოვლენაა აღნიშნული მიმართულების მსოფლიო პოეზიის ისტორიაში.

მაგრამ ამასთან მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ სწორედ ქრისტიანული მსოფლშეგრძნების წიაღში აღმოცენებულმა კონცეფციებმა მიანიჭა მის სულიერ ძიებებს ზნეობრივი სიმაღლე, ხოლო პოეტურ შთაგონებას იდუმალების ნანატრი გაცდა.

დავით გურამიშვილის ღრმა კავშირები როგორც ბიბლიურ წიგნებთან. ისე საერთოდ ქართულ სასულიერო მწერლობასთან ამ ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ქართველ მეცნიერთა საფუძვლიანი შესწავლის საგნად გადაიქცა. და ასეთი კვლევის სათავეში ისევ და ისევ სასულიერო მწერლობის უდიდესი მკოდნე კორნელი კეკელიძე ჭგას. სასისარტლოა, რომ ამ მიმართულებით კვლევა პოპულარული შეიქმნა ახალგაზრდა მკვლევართა შორისაც, ოღონდ ამასთან არ შემოიღია არ აღვნიშნო, რომ მართლაც „საყმაწვილო სენივით“ გავრცელდა მიდრეკილება, ანალოგიურ საკითხებზე მსჯელობისას ისეთი არაქართველი მკვლევარების მოხმობა, რომლებმაც ბევრად გვიან მოაქციეს ყურადღება მხატვრული მეტყველების არქეტიპებს ქრისტიანულ მწერლობაში. უფრო მეტიც, რატომღაც. იმავე მკვლევართა აღმოჩენად ითვლება ქრისტიანულ მწერლობაში ადამიანის

პრობლემის დამუშავება, თითქოს ჩვენს სინამდვილეში ამ თემას პირველთაგანმა არ მიუძღვნა მონოგრაფია ჩვენმა სახელოვანმა ივანე ჯავახიშვილმა.

გურამიშვილზე უკანასკნელ ხანებში შესრულებულ ნაშრომებსაც ეხება „განათლებულობის“ ეს უკუღმართი მოდა და ისევ დიდი პოეტის სიტყვებს მოვიშველიებ მათი მისამართით: „ის ჩვენ პურსა ნულარ გვაკმევს, რაც იმ ფქვილით გამოაცხოს“. მანამდე ვაკეთებულის გათვალისწინება, შემდეგ ისევ შენს მიერვე მიკვლეული მხატვრული ფაქტების ანალიზი და განზოგადება არის ერთადერთი გზა, რომელსაც ბუნებრივად მოჰყვება სასურველი რეზულტატი მეცნიერულ კვლევა-ძიებაში.

ეს აქ იმიტომ გავიხსენე, რომ ჯერ კიდევ ნიკო მარმა, ხოლო შემდეგ სპეციალურად კორნელი კეკელიძემ წარმოაჩინეს ქართული სასულიერო მწერლობის მნიშვნელოვანი როლი ქართული საერო მწერლობის მხატვრული მეთყველების დახვეწა-განვითარებაში.

ასევე კორნელი კეკელიძემ დასვა საკითხი ქრისტიანული მწერლობისათვის ძირითადი მხატვრული ხერხის, კერძოდ, სიმბოლო ალეგორიის უხვად გამოყენების შესახებ დავით გურამიშვილთან. მანვე ახსნა კიდევ ზოგიერთი მანამდე გაუგებარი ალეგორიული სახე, რომელსაც მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე ტექსტის მართებული გაგებისათვის.

გურამიშვილის ხილულსა თუ უხილავ კავშირზე ქართულ სასულიერო მწერლობასთან და, კერძოდ, ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიასთან, სპეციალური ნაშრომები დაიწერა და, ალბათ, მომავალშიც გამოქვეყნდება. წარმოჩენილია, ხოლო ეს არის მართლაც უმთავრესი, თვით პოეტის ინდივიდუალური წვლილი და სასულიერო მოტივების დამუშავების ძალზე ორიგინალური მეთოდები. მათ აქ არსებითად აღარ შეეხებები, ოღონდ ვაჩვენებ რამდენიმე პარალელს, რომელიც კიდევ უფრო აშკარად ამხელს ქართული პოეზიის უწყვეტ ტრადიციებს საუკუნეთა მანძილზე. მხოლოდ რამდენიმე მაგალითი:

დავით გურამიშვილის ერთ სასულიერო შინაარსის ლექსში „უკვდავების წყაროს იგავის ახსნა“, რომელიც ჩართულია „ქართლის ქირის“ პირველივე თავებში, „ღვთის სიტყვის“, ქრისტეს მოვლინების მიზეზი და ადამიანთა დახსნისათვის თავის დადებისა და უმაღლესი ზნეობის მარადიული მაგალითია განმარტებული. ხოლო ქვემოთ კიდევ აღვლენილია ქებათა-ქება პირველმიზეზის სახელზე:

მას აქებენ: ანგელოზნი. ცა.

ქვეყანა, ბნელ, ნათელი,

ზღვა, ხმელეთი, ხე, ბალახნი.

მთა, ბორცვი. ტყე, ბღნარ ველნი...

აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ X საუკუნის ბრწყინვალე ქართველი ჰიმნოგრაფის იოანე-ზოსიმეს ცნობილი „ანდერძი იადგარისა“, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით:

გუნდი იგი ზეცისანი შენ  
წმიდასა წმიდათასა  
განწყობთნი გიგალობენ:  
ჲე, ული-ისი შეგივრდები, რათა  
ვიყო მათ თანავე  
შენგან უძაგ...

რასაკვირველია, აქ ზედმეტიცაა რაიმე უშუალო ზეგავლენაზე საუბარი, მაგრამ მთავარია ის, რომ ცნობილი ბიბლიური მოტივის დამუშავებისას სხვადასხვა ეპოქის ორივე ავტორი მხატვრული მეტყველების შემსვედრ ფენებს წარმოაჩენენ. ანალოგიური ვითარებაა აგრეთვე დავით გურამიშვილის ცნობილ მისტიკურ-ალეგორიული ხასიათის ჰიმნთან დაკავშირებით. პოეტის მხატვრული ფრაზა: „ვირემდეს განასლდებოდა ძველი დღე-ღამე მზიანი, იფქლი კალოზედ ეყარა განურჩეველი ბზიანი“, სადაც იგავური ერთ გამოსატულია ახალი ცხოვრების მოლოდინი (ამ შემთხვევაში „ძე ღვთისას“). რათა აღამიანებს კეთილი განერჩიათ ბოროტისაგან, აშკარად ესმაურება თუმცა გამსწავლებული ადრესატის მქონე, მაგრამ ასეთსავე სიმბოლიკის გამოყენებით შესრულებულ იოანე მტბევიარის ჰიმნს ბასილისაღმძი („ვი-თ-რცა ღრუბელმა აღმოივსე სოფლისა იგი ბრძენთა მეცნიერება და განარჩიე იფქლი ღვარძლისაგან და შეჰკრიბე საუნჯეთა“). ასევე არაერთ პარალელურ გამოთქმას ვიპოვით გურამიშვილთან. რომლებიც დასტურდება ქართულ ჰიმნოგრაფიაში. (შდრ. მიქელ მოდრეკილი: „ნუზებელი. ქრისტე, მზე სიმართლისა“, აგრეთვე „მუსესა მას სიმართლისა გვიტნობს“. A—144, იხ. ილია აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი), მაგრამ ამასთან ცხადია ისიც, რომ მიუხედავად სასეთა განოყენების ასეთი შეხვედრებისა, მათი თავდაპირველი წყაროებს სიბეზს ისევე და ისევე ძველი და ახალი აღთქმის წიგნებთან მიეყვართ.

უფრო მეტიც. გურამიშვილი თავის მხრივ ამდიდრებს და ახალი ცნებები შემოაქვს აღნიშნულ სიმბოლიურ სახეთა სალაროში. მაგალითად, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის საფუძველზე ცხადი შეიქნა, რომ „დავითიანიში“ მშირად გამოყენებული მუხთა-მზის სახე, როგორც მამა დმერთის, უფალთა-უფალი საბაოთის გამომხატველი, გურამიშვილმა პირველმა შემოიტანა სასულიერო ხასიათის ჰიმნებში. სასულიერო ჰიმნების მოდერნიზაციის გზაზე, როცა დიდმა პოეტმა უშურველად გაულო კარი ხალხური მეტყველების მაკადს, მან უეჭველად ეს სახეც ხალხურ პოეზიაში ანალოგიური მხატვრული გამოთქმების საფუძველზე შექმნა (ერთ ასეთ პირველ-წყაროდ თვით პოეტი ქართულ ფოლკლორში დადასტურებულ სახე-გამოთქმას „ქალთა მზეს“ ასახელებს).

ზემთ უკვე არაერთგზის ითქვა, რომ გურამიშვილი სასულიერო მწერლობისა და, კერძოდ, მისი საფუძველთა-საფუძვლის ძველი და ახალი აღთქმის უბადლო მცოდნე იყო და ეს კარგად ჩანს კიდევ მთელი „დავითიანის“ მანძილზე. სხვას რომ თავი დავანებოთ, მისი „მზია-430



რული ზაფხულის“ დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ბიბლიური სიუჟეტების ლექსად გადაღებას. ნაშრომში დავით გურამიშვილზე ჩვენ ადრე შევეუდარეთ სათანადო ადგილები შესაქმნეთა წიგნიდან, ფსალმუნებიდან და ირკვევა, რომ პოეტი რიგ შემთხვევაში, რასაკვირველია, საჭიროებისდა მიხედვით, პარაფრაზის სიზუსტით ამუშავენს ბიბლიის ცალკეულ ადგილებს. ცხადია, რომ მის ოჯახურ ბიბლიოთეკას შორეულ უკრაინაში, სხვა წიგნებთან ერთად (რომელთა კვალიც კარგად ჩანს მის ნაწერებში) ამშვენებდა ბიბლიური ტექსტები თუ გამოცემა. რომელიც მისივე „დავითიანში“ აგრე ხშირად ნახსენებ ბაქარ ბატონიშვილის სახელთანაა საბოლოოდ დაკავშირებული.

ამიტომ ჩვენ „დავითიანის“ ტექსტის სხვადასხვა ადგილის გაშიფვრისა თუ კომენტარების დროს განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, გავითვალისწინოთ პოეტის მაღალი განსწავლულობა საერთოდ, კერძოდ, სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგში. აქაც მსოლოდ ერთი მაგალითის მოტანით შემოვიფარგლები.

„ქართლის ჳირის“ ერთ-ერთ ბოლო თავში პოეტი გვიამბობს: თამაზ-ხანმა (შემდგომში სახელგანთქმულმა ნადირ-შაჳიამ) გადასწყვიტა, რომ რუსებისათვის. მათ შორის, რუსეთში მყოფ ვახტანგ მეექვსისათვის. რომელიც ამ დროს სალაშქროდ ემზადებოდა, დაესწრო და დაერბია კასპიისპირეთი, შამახია, აგრეთვე ლეკთა ქვეყანა, საერთოდ მთელი აღმოსავლეთი კავკასია, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა. აღნიშნული თავის 52-ე სტროფში ნაწილობრივ სწორედ ამ ამბებზეა საუბარი:

თამაზ-ხანს ესმა, ეოცა, იქმნა მკბენელი ნეკისა,  
სუხავის ჳარი მან შექმნა,  
ერთ ისომ ამაღეკისა,  
ჳერ შამახია დალაშქრა, ქვეყანა მოსო ლეკისა,  
კვლავ ხმა ასმინა განჯასა ოსმალს კართა რეკისა.

თამაზ-ხანი აქ. როგორც ითქვა, ნადირ-შაჳია, რომელიც გაცეცხლებული (იქმნა მკბენელი ნეკისა) დაიძრა ირანის ჩრდილოეთის მეზობლებისაკენ. სუხავი, როგორც ეს მართებულად აქვს განმარტებული ვარლამ დონდუას, ლეკების ამ დროისათვის აბრაგობით სახელმოხვეჭილი ბელადი სურხაი-ხანია. შამახია აქ იგივე დღევანდელი შემახა (აზერბაიჯანის სსრ), ხოლო განჯა კი ასევე დღევანდელი აზერბაიჯანის ქ. კიროვადი, ხოლო საუბარია იმაზე, რომ ნადირ-შაჳის ეს საომარი ოპერაცია კავკასიაში ოსმალთა ბატონობის პრეტენზიასაც უპირებდა ალაგმვას.

აქ გასარკვევია ხაზგასმული გამოთქმა, მით უფრო, რომ „დავითიანის“ 1955 წლის გამოცემაში, რომელსაც ერთვის კ. კეკელიძის კომენტარები, მასზე არაფერია ნათქვამი. რაც შეეხება „დავითიანის“ 1931 წლის გამოცემას, რომელსაც ახლავს ს. იორდანიშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონი და საკუთარ სახელთა ცნობარი ვკითხულობთ: „ამაღეკი — ბიბლიური ერი, რომელიც საულმა (იზრაელის მეფემ) ში. ს. ცაიშვილი

დაამარცხა“. ეს ერთი შეხედვით მართლაც ასეა და როგორც ცნობილია, ბიბლიაში მოთხრობილია ეპიზოდი, როცა ღვთის ჩაგონებით წინასწარმეტყველი სამოელი ავალებს ისრაელთა მეფე საულს, რათა მან შური იძიოს ამაღლეთა მომთაბარე ტომზე, რომლებიც ადრე ეგვიპტიდან ლტოლვილ ებრაელებს გზაში ესხმოდნენ თავს (სამოელის სიტყვები საულის მიმართ: „ესრეთ მრქუა უფალმან საოთ, აწ შური ვაგო, რომელი უქმნა ამაღეც ისრაელსა, რაჟამ შეემთხვია იგი გზასა ზედა აღმომავალთა მათ ეგვიპტიდან“), საული იმარჯვებს და აღასრულებს (თუმცა არა ბოლომდე) ღვთის ნებას.

მაგრამ მკითხველი გაიხსენებს, რომ „დავითიანის“ ზემოთმოტანილ ტექსტში პოეტი ასახელებს ისოს და არა საულს, ხოლო ისოს ვინაობა, საერთოდ, არაა განმარტებული აღნიშნულ ცნობარში (აქ სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით მითითებულია მხოლოდ ბიბლიური წინასწარმეტყველი ისო ზირაქი, იხ. „მხიარული ზაფხული“, სტრ. 359, 360).

უნდა გვეფიქრა, რომ „ქართლის ჳირის“ ზემოთმოტანილ ეპიზოდში პოეტს რაღაც უნებლიე ცთომილება მოსვლია და საულის ნაცვლად მოუხსენებია ბიბლიის სხვა პერსონაჟი. მაგრამ ირკვევა, და სწორედ იმის გამო, რომ პოეტი შესანიშნავად იცნობდა საღმრთო წიგნებს, „დავითიანის“ ტექსტში აღნიშნულ ადგილას ყველაფერი რიგზეა. თავის პოეტურ შედარებაში, სადაც მოთარეშე ლექების ლაშქარი მიმსგავსებულია ასევე ბიბლიით მტაცებელ ტომ ამაღეთან, იგი გულისხმობს ბიბლიის სრულიად სხვა ეპიზოდს. კერძოდ, ებრაელთა ისტორიის იმ პერიოდს, როცა მოსეს მეთაურობით ისინი ეგვიპტიდან აღთქმულ ქვეყანაში მოილტვოდნენ. აი, სწორედ ასეთი შეკირვების დროს ამაღეკის ტომი თავს ესხმოდა ფარაონისაგან ლტოლვილ ისრაელთ. ამის გამო მოსემ იხმო ისუ, ძე ნავესი და მას დაავალა ამაღეთა ტომთან ბრძოლის მეთაურობა. აქ არის სწორედ ის ცნობილი ეპიზოდი, როცა მოსე ბორცვზე მდგარი ზეაწეული კვერთხით ღვთაებრივ ძალას განასახიერებს, ხოლო ისუ, ძე ნავესი, ისრაელთა რჩეული ვაჟაკებით ამარცხებს მომხდლურ ამაღეთა ჯარს (იხ. გამოსლვათა 17).

ამ შემთხვევაში დავით გურამიშვილის მიერ ასე მოხდენილად გამოყენებული მხატვრული შედარება, რომელიც სათავეს იღებს ძველი აღთქმიდან, ზუსტია და პირველწყაროთა დრმა ცოდნას ემყარება.

როგორც ითქვა, სასულიერო მწერლობის. კერძოდ, კი სასულიერო პოეზიის აგრერიგად გათავისებამ გაამდიდრა პოეტის სულიერ ძიებათა არე, ხოლო მისი პოეზიის გმირი ზნეობრიობის მაღალ კატეგორიებს აზიარა.

მაგრამ მეცნიერებაში გურამიშვილის შესახებ ისიც არის დასაბუთებული, რომ „ქართლის ჳირის“ ავტორმა ქართული სასულიერო ლექსის თვისობრივად განსხვავებულ სახესხვაობას დაუდო სათავე.

გურამიშვილმა სასულიერო ჰიმნებში ცოცხალი, ამქვეყნიური ნაკადი შეიტანა და სხვაგვარად, ალბათ, მოულოდნელიც იყო. გურამი-

შვილი უწინარეს იყო დიდი პოეტი და შვილი თავისი ქვეყნისა. მისმა პოეტურმა ალმომ საბოლოოდ გაიმარჯვა ღრმა სულიერ წინააღმდეგობებზე. ნაცვლად ქრისტიანულ-მისტიკური ქვერეტისა და მარადიული სასუფევლის ოდენ უშფოთველი მოლოდინისა, იგი ცხოვრებისეული ცეცხლით იწვოდა. გურამიშვილმა ეს დიდი გულსტიკივილი გაგვიმჟღავნა საკუთარი შვილებივით საყვარელ სიმღერებში, რომლებსაც მომავალი წართველი კაცის ჭირისა და ლხინის მეგობრებად იგულვებდა.

1920 წ.

ა) „ქოსკოს, გალანს მზის ველოდინ...“

დავით გურამიშვილის ლექსთა კრებული, რომელიც მოთავსებულია პოეტის ავტოგრაფიულ ნუსხაში, როგორც ქვემოთაც ვნახავთ, ზუსტად 1781—1787 წლებშია გასრულებული. ამავე ავტოგრაფული კრებულიდან ისიც ჩანს, რომ „დავითიანი“ — თავისი ძირითადი სახით უკვე ჩამოყალიბებული იყო 1774 წლისათვის. ავტოგრაფული ნუსხის ერთ-ერთ ბოლოში მოთავსებულ ლექსში „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენება“ პირდაპირ არის დასახელებული ამ, მართლაც, შემაჯამებელი ლექსის ზუსტი თარიღი 1774 წლის 20 ნოემბერი: „ესთქვი წელსა ათას შვიდასსამოცდაათობზეტსა, თვესა ნოემბერსა, ოცდაცხრა გასულსა“, ეგვეე წელია ნაჩვენები ლექსის „კაცისა და საწუთროს ცილობა“ დაწერის თარიღი.

ლექსებს კი პოეტი სიჭაბუკიდანვე წერდა და სხვაგვარად, ალბათ, შეუძლებელიცაა. მისი დიდი შთაგონება უშრეტი იყო, ხოლო პოეტური სათქმელი მშვილდივით მოზიდული. ერთ თავის საანდერძო ტიპის ლექსში იგი გვიმჟღავნებს, რომ მისი ბევრი ლექსი აქა-იქ ნათქვამია და აწ გაფანტულ „ობლებს“ „დავითიანში“ მოვეუყარე თავიო („ამ ლექსით თავი მოუყარე, საცა მეთქვა თვითო ობლად“).

ვინ იცის რამდენი ასეთი „წყობილი მარგალიტი“ დაეფანტა პოეტს, როცა იგი „დავითიანში“ შეეცადა ერთ მივიად აესხა ათეული წლების ნაამაგარი.

დავით გურამიშვილს კი მაშინდელი საქართველოს განათლებულ წრეებში, რომელთა მეტი წილი სწორედ რუსეთში ვახტანგის კარზე იყო თავმოყრილი, ყველაფრიდან ჩანს, კარგად იცნობდნენ როგორც პოეტსა და განათლებულ პიროვნებას. სხვაგვარად ძნელად წარმოსადგენია, მისვლისთანავე პოეტს საკმაოდ მაღალი სახელო (თანამდებობა) ჯაბადარბაშობა მიუბოძეს და იარაღის საწყობები ჩააბარეს (უნდა გავიხსენოთ, რომ ამ დროიდან ვახტანგი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა სამხრეთისაკენ მომავალი დიდი ლაშქრობისათვის ემზადებოდა).

პოეტი იმასაც დასძენს, რომ ვახტანგის კარს მოსკოვში ჯერ კიდევ

არ აკლდა ზარ-ზეიმი და „ზმც, შაირი, გალობანი, ჩანგთ კვრა, მღერა, თამაშობა“. რომ იგიც იღებდა ამ სალალობო ტურნირებში მონაწილეობას და თავმდაბლურად შენიშნავს მისი ერთი ასეთი გამარჯვების გამო:

„ჭავახიშვილს გამალექსეს. მოშაირეს ჩემებრ ცუდსა, პირად მქლესა. ტანად ხმელსა ვით ნუქრიანს ხესა მრუდსა; რაც მე უთხარი, მას მოაჩნდის ვით ნარცეცხლა უკან კუდსა, ბევრჯელ ასე იმწვიტინის, კოტვით ძირს დასცემდის ქუდსა“.

ლიტერატურაში დავით გურამიშვილის თხზულებათა გარშემო შენიშნულია შემდეგი: პოეტის ზოგი ლექსი უეჭველად ადრევე უნდა იყოს შექმნილი. მაგრამ მათი ზუსტი დათარიღება ამჟამად არ ხერხდება. მაგალითად ადრევეა შექმნილი ლექსის „სწავლა თავის გაფრთხილებისა და შორს წასვლაზე მზად ყოფნისა“ მოკლე ვარიანტი (აქაც ლექსი იწყება სიტყვებით: „გასაგონია, მგონია, რაც თქმულა სავარგონია...“). რომელიც, როგორც ალბათ, ქართული ლექსის ერთი თავისებური სახეობა, მასვე თავისი ხელით მიუწერია მამულა ბარათაშვილის „ჰაშნიკზე“. მინაწერი შესრულებული უნდა იყოს დაახლოებით მე-18 საუკუნის ოცდაათიან წლებში, როცა ორივენი ვახტანგის კარზე მოღვაწეობდნენ მოსკოვში (იხ. ხელნაწერი S—1550. რომელიც ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში).

ასევე ზოგი ლექსის სალალობო — თავშესაქცევარი ტონი აშკარად ამხელს, რომ ბევრი მათგანი სწორედ ამავე ხანებში. კერძოდ. მოსკოვში ყოფნის დროს არის შექმნილი (იხ. ლექსები „ზმიანი შაირები“, „ამიცანად იგავი ასახსნელად აღვილი“ და ა. შ.).

მაგრამ ამასთან ვახტანგის, მისი ამაღლისა და თვით დავით გურამიშვილის გარშემო არსებული მასალებიდან ვიცით, ეს ხანა, ე. ი. ოცდაათიანი წლები სხვადასხვა პერიპეტეებითაა აღსავსე. მოსკოვის ქართველობა ამ დროს ხან მოსკოვშია, ხან გზაზე, როცა ვახტანგი თავისი ქართული ლაშქრით სამხრეთისკენ დაიძრა, შემდეგ ისევ მოსკოვში, საბოლოოდ კი 1737 წლიდან (ამ დროს გარდაიცვალა ვახტანგი, როგორც ცნობილია იგი. დაკრძალეს ასტრახანს, სადაც გაატარა მეფე-პოეტმა თავისი ცხოვრების უკანასკნელი უღიმღამო დღეები) მთელი ქართველობა ვინც კი რუსეთში დარჩა, ისევ მოსკოვში იყრის თავს და მოკლე ხანში იღებს რუსეთის ქვეშევრდომობას. ასე შეიქმნა, სხვათა შორის, ქართულ ჰუსარათა ასეული, ხოლო შემდეგ პოლკი, რომელშიც ქართველების ერთ ნაწილთან ერთად წლების მანძილზე იხდიდა მხედრის მძიმე მოვალეობას დავით გურამიშვილიც.

რუსეთში ყოფნის პირველი პერიოდი, კერძოდ, 1734 წლამდე, როცა ვახტანგის კარზე ჯერ კიდევ ფეთქავდა იმედი ხვალინდელი დღისა, როგორც ცნობილია, ბევრად უფრო ნაყოფიერი იყო შემოქმედებითი შრომისათვის და მსგავსი პოეტური ტურნირებიც, რომელსაც აგვიწერს დავით გურამიშვილი, სწორედ ამ ხანებში იმართებოდა.

ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს გურამიშვილის ზემოთდასახე-

ლებული ლექსები, რომელთაგან ერთის დათარიღება, ჩემის აზრით, შესაძლებელია და თანაც ზედმიწევნით სიზუსტით.

საქმე ეხება ერთსტროფიან. პოეტურა ტექნიკის თვალსაზრისით ძალზე რთულ ლექსს, რომელიც იწყება სიტყვებით „მოსკოს ქალაქს მზეს ველოდით...“ და ეკუთვნის პოეტის მიერ შექმნილ „ზმიანი შიარების“ ციკლს (აქვე შევსინანავ. რომ ძველ საქართველოში რუსეთის დედაქალაქი მეტწილად ამ ფორმის „მოსკო“ იხსენიება. იხ. სულხან-საბას ლექსიკონი. ვახტანგ მეექვსის „სიბრძნე მალაღობელის“ ეპილოგი და ა. შ.).

რაც შეეხება თვით ამ ლექსს, რომელსაც მე ქვემოთ მოვიტან, მაგამური რითმებითაა გამართული და გზადაგზა ზმებიც თვით ავტორის მიერაა გამოყოფილი სწორი ხაზებით. სიტყვათა ნაწილების შეერთებით ან გაყოფით „ზმებში“ აქ იკითხება სწორედ აღდგომისა და ხარების დღეებთან დაკავშირებული რიტუალური მნიშვნელობის სიტყვები:

მოსკოს ქალაქს მზეს ვე(ლოდით), და ვერ განახეთ აქ (სუ დარო)!  
სოლ (აღ დგომა) გვირჩევნია, აქ სიცოცხლე გვაქვ (ს უდარო): კა (პას ქა) რ (სა მკვალი) ეკრას. რას გვიშეგლო, ვტნავთ, (სუ დარო)! შენ გაპკურნე მწუ(ხარება) აღგომაჲ და ქვაჲ-სუდარო!“

როგორც ვხედავთ, აქ ხაზებს შორის იკითხება ლოდი, სუდარა, აღდგომა, პასქა, სამსკვალი (ლურსმანი), ხარება და ა. შ. რითაც მინიშნებაა ზემოთაღნიშნულ საეკლესიო დღესასწაულებზე.

მაგრამ ამასთან ლექსში გამოსტყვივის სხვა რეალიებიც, რომლებიც გამოხატავენ წუხილს რუსეთში შეყოვნების გამო, მაშინ, როცა მთელი ქართველობა სალაშქროდ მოისწრაფოდა კასპიისპირებისაკენ, რაც საბოლოო ჯამში მათთვის სამშობლოში დაბრუნებას ერთადერთი საშუალება იყო (შდრ. „სოლად დგომა გვირჩევნია...“ სოლადი ციხე-სიმაგრე და დასაყრდენი პუნქტი იყო კასპიისპირეთში).

მაგრამ მაინც როდის დაიწერა ეს ლექსი? ამაზე შევძლებთ გავცეთ პასუხი, თუ დაეკვირდებით ამავე ლექსზე ავტორისავე მინაწერს (იხ. ავტოგრაფი. აგრეთვე გამოცემები): „ერთს დღეს აღდგომაჲ იყო და ხარებობაჲ, დიადაც ციოდა მოსკოს და იმის მონასიბათ თქმული“.

როგორც ცნობილია, ხარებობა უძრავი დღესასწაულია და ძველი სტილით აღინიშნება 28 მარტს (სახარებით, ამ დღეს გაბრიელ მთავარანგელოზი გამოეცხადა ნაზარეთში ქალწულ მარიამს და ამცნო: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენთანაა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ — იხ. ლუკა, 1, 28). ხოლო აღდგომა კი მოძრავი დღესასწაულია და იგი გაზაფხულზე აღინიშნება ასევე ძველი სტილით 22 მარტიდან 25 აპრილამდე (იგი იანვარიშება გაზაფხულის ბუნიობის დღიდან და დაკავშირებულია მთვარის მოქცევასთან).

ამდენად, პერიოდულად ეს ორი დღესასწაული ემთხვევა ერთმანეთს (მაგალითად. 1980 წილს, როცა დაიწერა წინამდებარე გამოკვლევა, იგი ერთი დღით უსწრებდა ხარებობას).

როგორც ზემოთაც ითქვა, გურამიშვილი 1730-იანი წლებიდან ვიდრე 1739 წლამდე დროგამოშვებით იმყოფებოდა მოსკოვში (შემდეგ კი იგი უკვე ქართველ ჰუსართა ასეულთან ერთად მონაწილეობს ყირიმის ომში). მაშასადამე, უნდა გავარკვიოთ თუ როდის დაემთხვა ამ წლებში ხარებობას აღდგომის დღესასწაული, და ნათელი შეიქმნება ლექსის დაწერის თარიღი. ამის დადგენა კი არც ისე ძნელია, თუმცა გურამიშვილის მკვლევართ აქამდე მისთვის ყურადღება რატომღაც არ მოუპყრიათ.

როგორც მუდმივი საეკლესიო კალენდრის მონაცემთა განაგარიშებით ირკვევა, ამ ხანებში, კერძოდ, მე-18 საუკუნის ოცდაათიან წლებში, ხარებობის დღესასწაული აღდგომისას დაემთხვა 1733 წლის 25 მარტს (ძვ. სტ.).

ლექსი, როგორც ითქვა, ექსპრომტს წარმოადგენს და, მაშასადამე, იგი იმ დროს უნდა იყოს შექმნილი, როცა ვახტანგი და მისი მრავალრიცხოვანი ამალა მოსკოვში იმყოფებოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ სალაშქრო ნიშანს. ამასვე მოწმობს. როგორც ითქვა. მაჯამის მეორე სტრიქონში ნათქვამი ფრაზაც: „სოლალს დგომა გვირჩევენია...“

ასეა თუ ისე, ამჟამად ჩვენ უკვე ვიცით დიდი პოეტის მიერ ადრე დაწერილ ლექსთაგან ერთის ზუსტი თარიღი — 1733 წელი, 25 მარტი (ძვ. სტ).

ბ) „სახით სიტყვა შვენიერო, სხით მზეთა-მზის სახეო...“

„პოეზიისათვის განსაკუთრებით ძვირფასია წარსული“, — ვალერიან გაფრინდაშვილის ეს სიტყვები მოთავსებულია წერილში, რომელიც მან დავით გურამიშვილს მიუძღვნა („მეოცნებე ნიამორები“, 1920, IV). „დავითიანი“ მართლაც, გარდასულ დღეთა აღორძინებაა, ფიქსირებაა იმისა, რაც „ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“.

მაგრამ ასეთ დროს პოეტს შემწედ ევლინება სასულიერო პოეზიის ეს დიდი გამოცდილება, რომელზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ცხოვრებისეული ფაქტებიდან დაძრული იმპულსების სულიერ ფაქტებამდე ამაღლება (სუბლიმირების ეს პროცესი უძირითადესი ხერხია გურამიშვილთან) სრულიად სხვა სიბრტყეზე წარმოგვისახავს ერთი შესეღვით ორდინალურ ამბავსა თუ შემთხვევას პოეტის ბიოგრაფიიდან.

ხდება შებრუნებითაც, თითქოს მხოლოდ რელიგიური გრძნობებია გამოთქმული ლექსში, რომელსაც აქ მოვიტან. პოეტური სახეების ერთი რიგიც აშკარად სასულიერო მწერლობიდან არის ნასესხები (მეტწილად სახარებიდან), მაგრამ მისი ქვეტექსტი აშკარად გამოსკვივის სტრიქონთა შორის. სამოთხიდან გამოძევებული ცოდვისმოქმედი ადამიანის ზოგად ბიბლიურ მოტივს აქ ბუნებრივად ერწყმის კონკრეტული პიროვნების, ამ შემთხვევაში ავტორისეული, ღრმა სული-

ერი ტკივილები. მკვეთრად მოისმის „სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული...“ ადამიანის გოდება (აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, რომელსაც, სხვათა შორის, მშვენიერი გამოკვლევები უძღვნეს მეცნიერმა ქალბებმა მანანა კაკაბაძემ და ლაურა გრიგოლაშვილმა).

გურამიშვილის მედიტაციურ ლექსს, რომელიც პირველ რიგში საკუთარი გამოცდილებიდან იღებს სათავეს, სწორედ ეს თვისება ანიჭებს არაჩვეულებრივ ემოციურ დატვირთვას: „ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი მგელთ წარსატაცად ფარებთა გარე, ეგრეთ შენ, თაო, ხარ გახდომილი, ასეთი საქმე მე მოგიგვარე! გავხდი გლახაკი და დავრდომილი, თუმცა საწუთროს მოვიანგარე; ვარ ცარიალზე მე დაჯდომილი, საუნჯისაგან კარს გარე მდგარე, დავკარგე იგი ოქროს ბეჭედი. რომლით ნიშნულ არს ჩემი შვებადი, აწ მიქცევიან ვანი გებადი მე საუკუნო განსვენებადი...“

ან პოეტის მომდევნო სიტყვები: „ნუ გძინავს, სულო, აწ განიღვიძე, რომ არ შეიქნა ლამპარშრეტილი“. — როგორ თანამედროვედ უღერს ეს ლექსი—გალობა, თუმცა როგორც ითქვა, მისი თემაც და სახეთა სისტემაც აშკარად გვიმხელს მის ნათესაობას სასულიერო პოეზიასთან (თვით ბოლო სახე „ლამპარშრეტილიც“ მოდის სახარების იგავიდან 10 სარძლოს შესახებ).

მაგრამ ამასთან ეს სხვადასხვა შრეებიდან მომდინარე სულიერ ნაკადთა ერთობლიობა, რაც არაჩვეულებრივ მხატვრულ ეფექტს ქმნის გურამიშვილთან, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს პოეტის შემოქმედების მკვლევართაგან.

ჯერ კიდევ ამ ორი ათეული წლის წინ სრულიად მართებულად შენიშნავდა კორნელი კეკელიძე, რომ „დავითიანში“ ხშირად გამოყენებულმა „ალეგორიულმა ხერხმა“ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გაუგებრობა დაბადოს არა მარტო პოეტის ბიოგრაფიაში, არამედ შემოქმედებით ლაბორატორიაშიც (ეტიუდები, ტ. IV, გვ. 165).

ეს მნიშვნელოვანი ნაკლი უეჭველად ახლდა გურამიშვილზე დაწერილ ადრეულ ნარკვევებს. დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამ მიმართულებით კვლევის საქმეში ბოლო ხანებში უეჭველად გადაიღვა ნაბიჯები, თუმცა „დავითიანის“ ბევრი ადგილი კვლავაც მოითხოვს დაკვირვებასა და შესწავლას.

ერთ დროს თითქმის „ოფიციალურ აზრადაც“ კი იყო გამოცხადებული, მაგალითად, რომ დავით გურამიშვილი მიმართავს ე. წ. მისტიკურ-ალეგორიულ ხერხს სამშობლოს სიყვარულის გამოსახატავად, რომ მის შემოქმედებაში „სატრფო“ იგივე სამშობლოა და ა. შ.

თითქმის ყველა ადრეულ გამოკვლევაში (და შემდეგაც) ეს აზრა ურყევად მეორდებოდა. ასევე გატარებული იყო იგი სახელმძღვანელოებშიც კი, რომლებიც წლების მანძილზე იბეჭდებოდა (და ბოლო წლებშიც დაიბეჭდა). გურამიშვილის ცნობილი ჰიმნი „ოდეს დატყობულმან ურჯულს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარ ნახა,

იმის მოთქმა დავითისაგან“ და განსაკუთრებით ამავე ლექსის დასაწყისი სიტყვები გამოცხადებული იყო პატრიოტული ლირიკის აშკარა ნიმუშად. კერძოდ, ივულისხმებოდა შემდეგი სტრიქონები: „სახით სიტყვა შეენიერო, სხიო, მზეთა-მზის სახეო! ვეძებე და შენი მზგავსი მე აქ ვერცადა ვნახეო; გეაჭები ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო“. ამასთან, როგორც წესი, გურამიშვილის აღნიშნულ სტრიქონებს თავისი შინაარსით მიიჩნევდნენ აკაკის „განთიადის“ უეჭველ წინამორბედად, მაშინ, როცა ზემოდასახელებული ლექსი ტიპიურია „დავითიანში“ და გურამიშვილისათვის ჩვეულ, ქრისტიანულ სიმბოლიკაზეა დამყარებული. აქ „სახით სიტყვა მშვენიერი“ ძე ღვთისაა, ქრისტია (იხ. „პირველთაგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუა იგი“, სახარება, იოანე, I, 1), ხოლო „მზეთა-მზე“ თვით დავითისავე მეტყველებაში მამა ღმერთს აღნიშნავს. პოეტი თავის საგალობელში შესთხოვს უზენაესს, რომ იგი არ დარჩეს მიუსაფარი, რომ მასაც არგუნოს ადგილი სამოთხეში, რაც ბოლო სტრიქონში პირდაპირაა კიდევ ნათქვამი: „ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ. მიწყალობე სამოთხეო“.

ამაზე აქ საგანგებოდ იმიტომ შევჩერდი, რომ ეს მაგალითი ტიპიურია და ასეთი თვალსაზრისი პირდაპირ წამლექავი იყო. ისიც აღსანიშნავია, რომ იგი ვრცელდებოდა არა მხოლოდ გურამიშვილზე. ფაქტიურად, „აღორძინების ხანის“ მთელი ქართული ლირიკა, რომელიც ქრისტიანული მწერლობისათვის აგრეირიგად დამახასიათებელი ე. წ. საღვთო მიჯნურობისადმი იყო მიძღვნილი, პატრიოტულ ლირიკად იქნა გამოცხადებული. თითქოს თეიმურაზ პირველს, არჩილს, ვახტანგ მეექვსესა და დავით გურამიშვილს ვინმე უშლიდა ხელს, რომ პირდაპირ, ყოველგვარი ალევგორიული ფორმის გარეშე, გამოეხატათ თავისი ეროვნული გრძნობა და აკი გამოხატეს კიდევ დიდებულიად. აქ მარტო ვახტანგის „რანი და მოვაკანისა...“ ან გურამიშვილის „მოვიტიროთ ჩვენ სამკვიდროს“ ვახსენება იკმარებდა.

ამ მცდარი დასკვნების მიზეზი მსოფლშეგრძნების ე. წ. ქრისტიანული ნაკადის „უნებური“ თუ შეგნებული იგნორაცია იყო. რაც შეეხება კონკრეტულად ზემოთმოტანილ ფაქტებს, აქ ანალოგიის სრულიად უადგილო გამოყენებასთან გვაქვს საქმე, როცა მე-19 საუკუნისათვის დამახასიათებელი ალევგორიზმის ხერხები, რომლებშიც ფაქტიურად ინიღბებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ფორმები, მექანიკურად იქნა გადატანილი სულ სხვა ისტორიულ სინამდვილეში. რასაკვირველია, შედეგით, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური მივიღეთ: პატრიოტული ლირიკის ნიმუშებად იყო მიჩნეული აშკარად სპირიტუალისტური ძიებებით აღბეჭდილი ლექსები.

ალბათ ამ საკითხებზე სხვა დროს უფრო არსებითად მოგვიხდებდა საუბარი, ოღონდ აქ შევნიშნავ, რომ სამწუხაროდ, „დავითიანის“ ტექსტის ასეთმა გაგებამ გურამიშვილის სხვა ენებზე თარგმანების საქმეშიც იჩინა თავი, რაც მომავალში უნდა გასწორდეს.



ასევე, როგორც ირკვევა, აღნიშნული თვალსაზრისი არ არის უცხო უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც, სადაც ისევ და ისევ საუბარია XVII—XVIII სს. ე. წ. პატრიოტულ-ალეგორიულ ლირიკაზე. მაგალითად, ასეთი აზრი დასკვნა-დებულების სახით გატარებულია რევაზ სირაძის ნაშრომში „ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან“ (1978, გვ. 249 და ა. შ.). მით უფრო მოულოდნელი იყო ეს აღნიშნულ ნაშრომში, რადგან ავტორის მისამართით ჩვენს მიერ საჯაროდაც აღინიშნა ასეთი თვალსაზრისის მეთოდოლოგიური ნაკლოვანება.

დასკვნისათვის აქ კიდევ ერთხელ დავსძენ, რომ გურამიშვილის რთული პოეტური სამყაროს უკეთ შესწავლისათვის ზემოთ მინიშნებულ საკითხებზე ჩაღრმავებული მსჯელობა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის კიდევ ერთი გადაუდებელი საქმეა.

1980 წ.

დ) „დავითიანის“ ერთი ადგილის გაზიარებისათვის

„ქართლის ჳირის“ ფურცლებზე ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს დიდი მხატვარი და პირუთენელი მემატიანე. „დავითიანის“ აღრეული გამოცემის ერთ-ერთი მესვეური, მე-19 საუკუნის ჩვენი შესანიშნავი მოღვაწე პეტრე უმიკაშვილი ამასთან დაკავშირებით მართებულად აღნიშნავდა, რომ „მასავით ნათლად და სიმართლით არც ერთ მწერალს არ გადმოუცია ჩვენთვის საქართველოს ხალხის მწუხარება და წადილი“ (დავითიანის 1881 წ. გამოც., გვ. V). მართლაც, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ძველ ქართულ პოეზიაში ჩვენი ხალხის ეროვნული ბედ-იღბალი ისე არავის წარმოუხსახავს. როგორც დავით გურამიშვილს. მთელი „დავითიანი“ ამ უწმინდესი თემის დრამატული განცდის ნაყოფია. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ „ქართლის ჳირის“ ასე ძლიერად გამოსახატავად გურამიშვილმა მიაგნო შესაფერ პოეტურ კილოს, მისი სადა და ამასთან ჳარბი კოლორიტით აღსავსე თხრობაში მახვილი მემატიანის თვალთ აღდგენილია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმძაფრესი ეპოქა, როცა, პოეტის სიტყვით, „იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ჳედ მობრუნდა ცეცხლის კვერი“.

დავით გურამიშვილის დიდ პოეტურ შთაგონებას კვებავდა არა-ჩვეულებრივი მესხიერება. „ქართლის ჳირის“ აღწერისას ისეთი დეტალებია გადმოცემული, რომ ცოცხლად წარმოგვიდგენს მთელი ეპოქის ხასიათს, ხოლო განზოგადება-დასკვნების დროსაც თავისი ლირსებებით იგი ბევრად აჳარბებს ყველა იმ ოფიციალურ მატიანეს, რომელიც ვახტანგ მეექვსის ეპოქას ეხება.

მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით „ქართლის ჳირის“ უპირველესი თავისებურება მაინც ის არის, რომ გურამიშვილი საქართველოს ისტორიული სურათის გადმოცემისას საკუთარ თავგადასავალსაც მოგვითხრობს.

საქართველოს განსაცდელს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მან საკუთარი ჰირიც დაურთო და ამით საოცარი უშუალობა მიანიჭა „ქართლის ჰირის“ მღელვარე სტრიქონებს. აქ ეპოსი და ლირიკა თითქოს ერთმანეთს ენაცვლება და მხატვრული თვალსაზრისით ძალზე მომხიბლავ გარემოს ქმნის. საქართველოს ისტორიული პანორამის გადმოცემისას, როგორც ზემოთაც ითქვა, ცალკეულ ეპიზოდებს გზადგანა ლირიკული წიაღსვლები ენაცვლება. რაც ინტიმური ელფერიტ მოსავს პოემაში წარმოსახულ მხატვრულ სინამდვილეს (რაზეც ჩვენ საგანგებოდ გვაქვს საუბარი სხვა ნაშრომში).

მაგრამ თუ „დავითიანის“ თხრობითი მონაკვეთი, სადაც პოეტი საკუთარ თავგადასავალთან ერთად „ქართლის ჰირის“ ამბებს გადმოგვცემს, სტილურად ბევრად უფრო გამჭვირვალეა და კილოც უშუალო, ეს ნაკლებად ითქმის იმ ნაწილზე, რომელიც ასე ახლო დგას თავისი შინაარსით ძველ-ქართულ სასულიერო პოეზიის ნიმუშებთან.

აქ მკვლევარს ბეწვის ხიდზე მართებს სიარული, რათა გაარჩიოს რეალური და მისტიური პლანი, ტექსტი და ქვეტექსტი. ამის ერთა მაგალითი (იხ. ლექსის დასაწყისი სიტყვები: „სახით სიტყვა შვენიერო...“) ზემოთაც ვაჩვენეთ, ხოლო არც ისე ცოტაა მაგალითები, როცა ლექსთა არასწორი გაგების საფუძველზე თვით პოეტის ბიოგრაფიული დეტალებიც კი გამრუდებულად იყო წარმოდგენილი. მაგალითად, დავითის ერთ ჰიმნში („დავით გურამიშვილისაგან საწუთროს სოფლის სამღურავი“) ნახსენებ ახალდაბას ხან სად და ხან სად ეძებდნენ და უკავშირებდნენ რუსულ-უკრაინულ ტოპონიმს (Новоселница) ასევე გაუგებარი ჩანდა ამავე სტრიქონის სარიტმო სიტყვაც „ბოლი“ და ა. შ. მაშინ, როცა აქ იგავური ხერხით ნათქვამია, რომ დადგა ჟამი ამ ქვეყნიდან (სააქოდან) იმ ქვეყნად (საიქიოს) აღსვლისა: „ახალდაბას ნუღარ ხარო, მეძახიან ამო ბოლსა, აწ რომ მე იქ წამიყვანონ, ვინ გამიზრდის ამ ობოლსა“. „ახალდაბა“ და „ბოლი“ სოფლებია ქსნის ხეობაში (რომელსაც ასე კარგად იცნობდა პოეტი), ერთი დაბლაა გაშენებული, ხოლო მეორე უფრო მაღლა და ასეთი დაპირისპირებით მინიშნებულია ზემოთმოტანილი აზრი სააქოდან საიქიოში წასვლისა.

ასე ესმით დღეს აღნიშნული ადგილი, მაგრამ „დავითიანის“ ზოგ ცალკეულ ადგილსა თუ ფრაზას, ჩემის აზრით, სჭირდება შემდგომი დაკვირვება.

პოემაში განსაკუთრებული მხატვრული ძალით გამოირჩევა ეპიზოდი, რომელშიც პოეტი, როგორც ითქვა, თითქმის კინემატოგრაფიული სიცხადით აგვიწერს თავის დატყვევების ამბავს. ამ ეპიზოდზე მე აქ არ შევჩერდები, რადგან იგი ისედაც კარგად მოეხსენება მკითხველს. ოღონდ აღვნიშნავ, რომ მთელი ლიტერატურა შეიქმნა იმის თაობაზე, თუ როგორ პირობებში ჰყავდათ ან ეყოლებოდათ პოეტი დატყვევებულ ლეკებს.

მაგრამ უმჯობესია მოვუსმინოთ დავით გურამიშვილის ცხოვრების შესწავლაზე ერთ ყველაზე დამაშვრალ მკვლევარს სოლომონ ყუბა-490

ნეიშვილს: „ჩანს დავითი ბნელ ხაროში დაუმწყვდევიათ. ტყვეების ხაროში ჩაგდება ლეკებს წესად ჰქონიათ... საკვირველია, ამ მდგომარეობაში მყოფმა დავითმა როგორ მოახერხა ღრმა და დახურულ ხაროდან ამოსვლა“ („დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში“, 1955, გვ. 33—34). წიგნის ავტორი ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ არის. ამავე შესხედულებას გამოთქვამდა მასზე ადრე და შემდეგაც გურამიშვილის თითქმის ყველა მკვლევარი, რომელთა დასახელება აქ შორს წაგვიყვანდა.

ამასთან. ერთხმად. ანალოგიისათვის მოჰქონდათ შამილზე არსებული ლიტერატურა. ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის“ სათანადო პასაჟები. ილია ორბელიანის დაღესტანში ტყვეობის დღიურები და მრავალი სხვ. სადაც კი საუბარია ლეკთაგან პატიმრებისა თუ ტყვეთა ხაროში (თანაც დახურულში) მოთავსებაზე.

რაც შეეხება თვით „დავითიანის“ ტექსტს. დასტურად ზემოთქმულსა. ასახელებდნენ შემდეგ სტრიქონებს: „ბნელსა ვზივარ, გლეჯები სასინათლო ამიხვრიტო. ამოვსძვრე და გამოვიტყე. მოვიდე და შენა გვერიტო“... („ქართლის ჭირი“. სტრ. 335).

მაგრამ ლექსზე დაკვირვება გვიმხელს. რომ აქ არავითარ რეალურ ორმოზე არაა საუბარი. სხვათა შორის, ეს არის იგივე ჰიმნი, რომელსაც როგორც ზემოთ ვნახეთ. შეცდომით პატრიოტულ-ალეგორიული ლირიკის ნიმუშად მიიჩნევდნენ. ყველა სახე, რომელიც აქ მოტანილი. აშკარად მისტიური შინაარსისაა (შდრ. „სახით სიტყვა შევნიერო“, „საყვარელო“. „ტკბილო ცხოვრებისა წყარო“ და ა. შ. მთელი ჰიმნი კი დადადისია პირველმიზეზისადმი, რომელიც იმედად, „საესავად“ ეგულება მძიმე განსაცდელის ქამს. „ურჯულ კვეყანაში“ მყოფ ჰოეტს).

ასევე ქრისტიანული სიმბოლიკის საფუძველზე აქ სიბნელე (თუ „ბნელში ჯდომა“) გააზრებულია როგორც ამქვეყნიური ცოდვილი არსებობა და ჰოეტი გამოხატავს მარადიული სინათლისაკენ. ღვთაებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას („გეაჭები, სასინათლო ამიხვრიტო“) და ღვთისას სთხოვს მის მიმართაც გაიმეოროს ლაზარეს სასწაული („ვით ლაზარეს დამარხულსა „აღდეგ“ — თავსა დამძახეო“. იხ. იოანე, 11, 43; 12, 17 და ა. შ.).

სხვა არავითარი მინიშნება რეალურ ორმოზე, ხაროზე (თანაც, დახურულსა და უჰაეროზე) აქ ჩვენ არ გვხვდება, მაშინ, როცა წინა თავში ისეთი დეტალებიც კი არის გადმოცემული, თუ რას აჰმევედნენ ტყვეობაში ჰოეტს და როგორ „ახვრიტეს (ასვეს) ხინკლის წვენია“.

აქვე შევნიშნავ, რომ რიგ სხვა ჰიმნში, ეს სწორედ გურამიშვილისეული მხატვრული ხერხია, სულიერი პლანი რეალურით არის შემაგრებული, რაც ზოგჯერ ჰოეტს თვითონვე აქვს ხაზგასმული. მაგალითად, იხ. ჰიმნი „ოდეს დავით გურამიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ ლიაში დაეფლა, იმის მონასიბად ღვთისმშობლის შესხმა“, სადაც რეალური ამბავი „ლიაში (ქაობში) დაფლვა“ გააზრებულია, რო-

გორც ამქვეყნიური ცოდვილი არსებობა, საიდანაც დახსნას ითხოვს პოეტი. სუბლიმიერების ასეთ ხერხზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რაც დამახასიათებელია გურამიშვილის ჰიმნების დიდი უმრავლესობისათვის.

მაგრამ სადაც „ბნელში ჯდომასა“ და ორმოზეა საუბარი, ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ აქ ყველგან რეალურ ფაქტებზეა საუბარი. თორემ ძალზე შევლახავთ პოეტის ჩანაფიქრს.

მართლაც, ზემოთმოტანილ ლექსზე, სადაც თითქოს საუბარია რეალურ ორმოზე, უფრო მკვეთრი მინიშნებანი გვაქვს სხვა ლექსებში. მაგრამ აქაც ასეთივე ვითარებაა. მაგალითად, ერთგან პოეტია ამბობს: „მოდრი საქებრად, ვგდივარ სად მთხრებლად (ორმოში), გამკურნე ჰირი, მთხრებელს (ორმოს) ახსენ პირი, აღმომიყვანე!“ (იხ. ჰიმნი ნე).

სხვათა შორის, „დავითიანში“ არის სხვა ლექსიც, რომელიც იძლევა გასაღებს აღნიშნული პოეტური სახისათვის და პირდაპირაა ნათქვამი, თუ რა ორმოზე ანუ ხნარცვზეა, საერთოდ, მის ჰიმნებში საუბარი: „იესო წყემსო კეთილო, ჩემებრ წარწყმენდილო მპოველო! ჩავარდი ცოდვის ხნარცვშია, ვსცადე და ვერ ამოველო“ (ლვ. „უცხნოთ ნახვის შიშით მუხლთმოჰკრის დროს დავითის ლოცვა და გალობა“).

მე აქ მაგალითებს აღარ გავამრავლებ, ოღონდ დავსძენ. რომ „დავითიანის“ კომენტარების დროს არის საპირისპირო შემთხვევები, როცა აქცენტი მხოლოდ სულიერ პლანზეა გადატანილი და იგნორირებულია რეალური პლანი, მაგრამ მათზე სხვა დროს მოგვიხდება საუბარი.

ერთი კი, ჩემის აზრით, ცხადია, ამ თუ იმ ადგილის გაშიფვრის დროს უნდა ვერიდოთ ზედმეტ ანალოგიებს და ტექსტში ვეცადოთ ამოვიკითხოთ ის, რისი თქმაც სურდა თვით ავტორს.

1968 წ.

#### ე) ფსოვლელი იანვარასა და „პალ-კახეთის ჯვარობის“ ამბავი

I. „დავითიანში“ პოეტის ტყვეობისა და ტყვეობიდან გაქცევის ეპიზოდებს, რომლებიც პლასტიკურად ნაწერ დეტალებთან ერთად საოცარი პოეტური ხილვებითაა გასხივოსნებული, ავირგვინებს „სარუსეთოში“ გასვლის სცენა.

აქ ერთ სტროფში, როგორც იტყვიან, საღებავის ერთი მოსმით, მეტყველადაა გადმოცემული ტყვეობიდან თავდახსნა, მოულოდნელ მფარველთა დარწმუნება. რომ იგი მათი მოყვარე — ქრისტიანია და არა მომხდური — მტერი: — „წყალს გამიყვანეს ნავითა, საყდარში შემიყვანესო, დამაწერინეს პირჯვარი, ხატებსა მათაყვანესო: კვლავ მიხმეს სამდივნოშია, მაყვირეს, მაყაყანესო, მკითხეს: ვინა ხარ, სად მიხვალ, რად იყავ ლამისყანესო?“.

გასაგებია, თუ რატომ „აყვირეს და აყაყანეს იგი“, — იმათ ქართული არ იცოდნენ, ხოლო დავითმა რუსული და აი, ამ ეპიზოდში ნახსენებია ვინმე მოენე (თარჯიმანი) ფხოველი იანვარა, რომელიც მოუწვევია რუს-ყაზახს („სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოველი იანვარა“).

როგორც ცნობილია, უკვე მე-17 საუკუნიდან მაინც დაღესტანში თუ ყიზლარში საქმიანობდნენ, ცხოვრობდნენ და კიდევ სახლებოდნენ სხვადასხვა მიზეზით, მეტწილად კახეთიდან და თუშეთიდან გადასული ქართველები, აქვე ჰპოვა აგრეთვე თავშესაფარი პოლიტიკური თუ სხვა მიზეზით ემიგრაციაში მყოფმა ქართველ დიდგვაროვანთა არაერთმა წარმომადგენელმა (სხვათა შორის, სწორედ ყიზლარში დაიბადა შემდეგში სახელმწიფოეკილი სარდალი, ბოროდინოს გმირი, პეტრე ბაგრატიონი).

მაგრამ მაინც ვინ, ან საიდან იყო წარმოშობით ეს ქართველი კაცი, რომელიც შემწედ (და იქნებ მეგზურადაც) მოევიღა დავით გურამი-შვილს?

ვინაობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ წარმომავლობაზე პასუხი გადაჭრითაა გაცემული. „დავითიანის“ 1931 წლის გამოცემის საკუთარ სახელთა ცნობარში (ავტორი ს. იორდანიშვილი) ვკითხულობთ: „იანვარა — ფხოველი (ფშაველი კაცის სახელი), თარჯიმანი, მოენე“. დაახლოებით მსგავსი განმარტებაა ივ. გიგინეიშვილის ლექსიკონშიც, რომელიც ერთვის „დავითიანის“ 1955 წლის გამოცემას: „ფხოველი — ფხოველი, ფხოვის მკვიდრი, ფშაველი“.

მაგრამ ჩემის აზრით, ასეთი განმარტება არ უნდა იყოს ზუსტი. დაქვევებს იწვევს არა მხოლოდ ის, რომ, როგორც ისტორიულად ცნობილია, მეურნეობის წესისა თუ გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ საუკუნეებში ფშაველები ნაკლებად მოძრაობდნენ კავკასიონის გადაღმა, ყიზლარის მიმართულებით, არამედ ჩვენთვის უცნობი თარჯიმანის წარმომავლობისა თუ ზედწოდების ფორმა: ფხოველი (ასეა ტექსტში).

ნაკლებ საფიქრებელია, რომ ამ დროს ე. ი. მე-18 საუკუნისათვის ფშაველ კაცს ზედწოდებად (ან წარმომავლობის მაჩვენებლად) ჰქონოდა ფშაგ-ხევსურეთის ისტორიული სახელიდან „ფხოვიდან“ მომდინარე საკუთარი სახელი (სხვათა შორის თვით გურამიშვილი კარგად იცნობს ამ კუთხეს და მას „ფშავს“ უწოდებს. იხ. „ქართლის ჭირი“, 313). ასევე საექვოა იგი მომდინარეობდეს ამავე კუთხის ძველი სოფლის „შუაფხოს“ სახელიდან, ორივე შემთხვევაში მაშინ გვექნებოდა „ფხოველი“ ან „შუაფხოველი“, ხოლო გურამიშვილთან, როგორც ვნახეთ, დადასტურებული გვაქვს განსხვავებული ფორმა „ფხოველი“.

მასასადამე, „ფხოველი“ ბუნებრივად უნდა მომდინარეობდეს სახელიდან „ფხოველი“ (ე. ი. „ფხოველი“ — „ფხოველელი“ — „ფხოველი“) და აქ მე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ ფაქტზე.

კახეთში აღრევე და დღესაც, მართლაც, არსებობს სოფელი ფხოველი.

ხოლო თუ საიდან გაჩნდა იგი კახეთში, ამაზე არსებობს კიდევ სპეციალური ლიტერატურა. როგორც ცნობილია, მთის მოსახლეობის ბარად მიგრაციის ბუნებრივი პროცესი ჩვენში აღრევეა დაწყებული და ამაზე მრავალი ცნობაც მოგვეპოვება. ისტორიკოსი დავით მუსხელიშვილი მონოგრაფიაში „უჯარმა“ (1966 წ.) აღწერს რა ასეთი მიგრაციის ტოტალურ პროცესს, ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ამას გარდა მთიელების ჩამოსახლების პირდაპირი მოწმობაა ისეთი სოფლები, როგორიცაა: ფშაველი (ფშაველნი) — ჭიჭაკის ხეზე, ფხოველი (ფხოველნი) — ლაკბეს ხეში. ეს ექსპანსია დასტურდება ეთნოგრაფიული მასალებითაც. კერძოდ, ამის მოწმობაა, რომ გაღმამხარისა და შიგნიკახელები სალოცავად ხატობაში ივრის ხეობაში დადიან, ლაშარობისას — ხატხევი (ფშავეში, იხ. ვ. ბარდაველიძის მასალები) და გიორგობას — ბოკორმის წმინდა გიორგის ეკლესიაში (გვ. 40).

აღნიშნული სოფელი „ფხოველი“, როგორც ითქვა, დღესაც არსებობს კახეთში, გურჯაანის რაიონში, სადაც აწ გაკახელებული მთიელები ცხოვრობენ (სხვათა შორის, აქედანვეა ნაწარმოები კახეთში გავრცელებული გვარი ფხოველიშვილი, ხოლო მათი საგვარეულო გადმოცემით ისინი სწორედ კახეთში არსებული სოფლიდან „ფხოველიდან“ არიან გამოსულნი).

ამდენად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ფხოველი იანვარა სწორედ კახეთიდან (ალბათ, თუშეთის ან ჭარ-ბელაქნის გზით) ყიზლარში წასული ქართველია. სწორედ ლაკბეს ხეზე მდებარე სოფელი ფხოველიდან, რასაც ჩემი აზრით, ენობრივი მონაცემებიც უჭერს მხარს.

ამას ხელს არ უშლის არც სახელი იანვარა, რომელიც, მართლაც, ძალზე გავრცელებულია ფშავეში (იხ. ალ. ჭინჭარაულის მიერ შედგენილი ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი), რადგან ჩვენ ეს სახელი (მისგან ნაწარმოები გვარიც „იანვარაშვილი“) დავადასტურეთ აგრეთვე საკმაოდ ძველ საბუთებში და გავრცელებულია იგი საქართველოს ბარის რაიონებშიც. ამასთან შესაძლებელია ისიც, რომ მთიდან კახეთში ჩამოსახლებულთ ეტარებინოთ ძველი, მათთვის უკვე ტრადიციული სახელები.

11. „დავითიანი“ მე-18 საუკუნის საქართველოს არა მარტო მხატვრული მატანია. არამედ აქ დიდძალ მასალას ი. ბოვის მკვლევარი როგორც ფოლკლორული. ისე ქართული ყოფის. ძველი საქართველოს სხვადასხვა ჩვეულების თუ საზოგადოდ ეთნოგრაფიული ფაქტების შესწავლისათვის.

ამჯერად კი მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო ერთ, ჩემის აზრით, საინტერესო. მაგრამ ჩვენთვის უცნობ საკუთარ სახელსა თუ რიტუალზე. რომელიც ფიქსირებულია „დავითიანში“.

იგი დასტურდება ერთ-ერთი სასულიერო ხასიათის ლექსის სათაურში: „სიმღერა ქალ-კახეთის ჯვარობას სანაცვლოდ სათქმელი“.

ლექსი ძირითადად დიდაქტიკურია და ავტორი არიგებს ახალგაზრდას, ყრმას, რომ იგი არ აპყვეს წუთიერ ცთუნებათა გზას, რომელიც ნიადაგ უფსკრულის ნაპირს მიყვება. სიფრთხილეა საჭირო, რათა საბოლოოდ კაცი არ ჩავარდეს ცოდვის ორმოში (აქაც, როგორც ზემოთ, ისევე მისტიურ „ორმო-ხნარცვზეა“ საუბარი).

სათაურში კი პოეტი ჩვეულებრივ სთავაზობს მკითხველს, რომ სწორედ ისეთ ხალხურ კილოზე ე. ი. ქალ-კახეთის ჯვარობაზე რომ მღეროდნენ, შეასრულონ მისგან შეთხზული სასულიერო ხასიათის ლექსი (ზღრ. აგრეთვე ლექსი: „ახა წმინდა კობალეს“ სანაცლოდ სამღერალი“ და სხვ.).

მაგრამ მაინც რას უნდა ნიშნავდეს იგი ან რა იგულისხმება „ქალ-კახეთის ჯვარობაში“? (აქ რომ რაიმე უნებლიე ცთომილება არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ თვით ავტორის მიერ დართულ „ზანღუქში“ ასევე „ქალ-კახეთის ჯვარობა“ დამოწმებული).

სამწუხაროდ, ამჟამად ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა, მით უფრო, როგორც საკითხის შესწავლამ გაარკვია, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით „დავითიანი“ სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა (ისე კი ვინც „დავითიანს“ კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ იგი ამ კუთხითაც გარკვეულ ინტერესს აღძრავს!).

მიუხედავად ამისა, მე მაინც გავუმჯღავენებ მკითხველს ზოგიერთ ვარაუდს. „ქალ-კახეთი“ იქნებ აწ დაკარგული ტოპონიმი ან უკეთ ხატის ადგილის სახელია საგურამოს (ისტორიული „ხერკის“), არა-გვისპირისა ან ერწო-თიანეთის მხარეში, სადაც იმართებოდა ასეთი სახელწოდების წარმართული, ან ნახევრად წარმართული დღეობა, რომელსაც, ალბათ, დასწრებია კიდევ პოეტი (ზღრ. „ჯვარობას ჩვენც ქალ-რძალნი იცვემდენ არ ავს ჯუბახსა“. სტრ. 324).

აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც: ყველაფრიდან ჩანს, რომ პოეტი ამ დღესასწაულს იგონებს მრავალი ათეული წლის შემდეგ შორეულ უკრაინაში. იქნებ აქ უბრალოდ გადასმულია შესიტყვების რიგი და იგულისხმება „კახეთის ქალ-ჯვარობა“? ასეთი არც დღეობაა მოულოდნელი და არც ტოპონიმი. ხოლო ქალღეთაებასთან დაკავშირებული როგორც წარმართული, ისე ქრისტიანულად ტრანსფორმირებული კულტების შესახებ იხ. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, 1941, გვ. 6—34, აგრეთვე ქალთა სალოცა-ვებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალები ს. მაკალათიას წიგნებში „ფშავი“, „ხევსურეთი“ და სხვ.

რაც შეეხება ამ ტიპის ტოპონიმს (ან ხატის ადგილს), ესეც გავრცელებული ჩანს საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, კი სწორედ საგურამოდან არც ისე შორეულ ადგილებში. მაგალითად, მთიულეთში დასტურდება ადგილის სახელები, რომლებიც მსგავს წარმოებას ამხელენ. მაგ. ქალთყანა სოფ. ყოყონთან, ქალციხენი სოფ. ყველიანთან. ქალთგორი სოფ. სეფესთან, (ეს მასალები მოგვაწოდა ენათმეცნიერმა გიგი ხორნაულმა), ასევე სულ ახლახან მწერალ კონსტანტინე

ლორთქიფანიძის ახალ ნაწარმოებში „მთას დაუბრუნდა მთიელი“ თუ-  
შეთში დადასტურებულია ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი „ქალ-  
ჯვარის ტყეები“ და ა. შ. სადაც თავდაპირველად ქალთა დამოუკიდებ-  
ელი სალოცავების არსებობის გამო ჩნდებოდა მსგავსი სახელწოდებ-  
ანი. [აღნიშნული წერილის გამოქვეყნების შემდეგ მოქანდაკე გოგი  
ოჩიაურმა ჩვენი ყურადღება მიაქცია სერგი მაკალათიას ერთ ცნობაზე,  
სადაც თუშეთში, ალატოვანი ხორხის გადაღმა დასტურდება ტოპონი-  
მი „ქალჯვარი“. იხ. ს. მაკალათია, თუშეთი, 1933 წ., გვ. 215].

იქნებ ასეთი იმდროისათვის სახელგანთქმული „ქალჯვარობა“  
იმართებოდა კახეთში, რომელიც ზემოაღნიშნული ფორმით შემორჩა  
პოეტის მეხსიერებას?

არის სხვა ვარაუდებიც. მათ შორის შესაძლოა, რომ აღნიშნულ  
ფრაზაში „ქალ-კახეთის ჯვარობა“ ნაგულისხმევია ქალების „სათქმე-  
ლი“ სიმღერა: „ხმით ნატირლები“ ან მსგავსი რამ, რაც აგრეთვე  
საკულტო რიტუალების დროს სრულდებოდა. იქნებ მასვე მიუთითებ-  
დეს თვით სასიმღერო კილოც, რომელიც დადასტურებულია გურა-  
მიშვილთან („ყრმავე გონება უგუნური, აგონიარეო, თავს ნუ გახდი  
უღონოდა, აღონიარეო“).

ასეა თუ ისე, ვფიქრობ, ამ საკითხით დაინტერესდებიან როგორც  
ქართულ ტოპონიმიკაზე, ისე ძველქართულ წარმართულ რიტუალებზე  
მომუშავე სპეციალისტები.

ამასთან, როგორც ზოგიერთმა დაკვირვებამ გვიჩვენა, „დავითი-  
ანის“ ყოველმხრივი შესწავლისათვის, იგი კი ამას ყოველმხრივ იმსა-  
ხურებს, მომავლისათვის უფრო ფართო ხასიათის მოსამზადებელი სა-  
მუშაოების ჩატარება იქნება საჭირო.

1987 წ.

### 3) რამდენიმე შენიშვნა „დავითიანის“ ტიპსოლოგიიდან

ყველაფრიდან ჩანს, რომ დავით გურამიშვილს თავისი ძირითადი  
თხზულებები მოგვიანებით შეუქმნია. ალბათ მას შემდეგ, როცა იგი  
1759 წლიდან სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული საბოლოო-  
ოდ დაუბრუნდა თავის სახლ-კარს. ალბათ წლების მანძილზე ბრძო-  
ლებსა და ტყვეობაში თანდათან მწიფდებოდა ის დიდი პოეტური სა-  
თქმელი, რომელიც საბოლოოდ გამოიკვეთა „დავითიანის“ ფურცლებ-  
ზე. შემოქმედებითი თვალსაზრისით ეს იყო, ალბათ, ძალზე მტკივნე-  
ული მოლოდინი, რომელიც წინ უძღოდა „დავითიანის“ საბოლოოდ  
ჩამოყალიბებას.

პოეტი ხელსაყრელ ვითარებას ელოდა, რათა ქაღალდზე გადაე-  
ტანა ყველაფერი, რაც ცხოვრების მიწურულს ჯერ კიდევ შემორჩა  
მის პოეტურ შთაგონებას, გამოეტანა პირუთვნელი მსჯავრი „მრული  
საწუთროს ჩალხის ტრიალის“ გამო.



ანდერძნამავის ტოლფას მის ერთ ლექსში „ამ წიგნის გამლექსავის გვარისა და სახელის გამოცხადება“ ძალზე მეტყველადაა გადმოცემული ეს მწველი შიში: „რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა, მეთქვა გრძლად, თავი მეცადა. ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა“.

წიგნის ბედი ხშირ შემთხვევაში ავტორისას წააგავს. „დავითიანმა“. შეიძლება ითქვას, რაღაც სასწაულებით გაიკვლია გზა. შორეული უკრაინიდან „დავითიანის“ სამშობლოში ჩამოტანის პატივი, როგორც ვიცით ერეკლე მეორის ვაჟს, მირიან ბატონიშვილს ეკუთვნის.

მკითხველისათვის ნათელია, ალბათ, თუ რა კატასტროფა ელოდა გურამიშვილის შემოქმედებას, რომ მირიან ბატონიშვილს აღნიშნული ავტოგრაფი (მასშივე ჩართულ გურამიშვილისეულ ტექნიკურ გამოგონებებთან ერთად) დაღუპვისაგან არ გადაერჩინა. ამასთან ჩვენ არ გვექნებოდა „დავითიანის“ თვით იმ მეორეხარისხოვან ნუსხასა უმეტესობა, რომელთაგან შედარებით სრული და უმჯობესი ისევ და ისევ ამავე ავტოგრაფიდან არიან გადაწერილნი.

ამჟამად დავით გურამიშვილის ათამდე შედარებით სრული გამოცემა არსებობს. მათ შორის მეცნიერული ღირებულებით გამოირჩევა 1931 წლის (ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით) და 1955 წლის გამოცემები (სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი. გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი ალ. ბარამიძე).

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა ეს გამოცემა შუალობით თუ უშუალოდ ძირითადად აღნიშნულ ავტოგრაფულ ნუსხას ეყრდნობა. 1931 და განსაკუთრებით 1955 წლის გამოცემები აქა-იქ „დავითიანის“ მოვეციანო ნუსხების ვარიანტულ წაკითხვებსაც ითვალისწინებენ.

თუმცა „დავითიანის“ აკადემიური გამოცემის განხორციელებას მომხდელ ში. ალბათ, კიდევ დიდი მუშაობა დასჭირდება. ეს აშკარად ცხადყო ჩართულ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებულმა ტექსტოლოგიურმა შენიშვნებმა (ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ს. იორდანიშვილის, კ. კეკელიძის, ვ. დონდუას, ივ. გიგინეიშვილის, ალ. ჭინჭარაულის და სხვ. მკვლევართა დაკვირვებები).

პოეტის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მზადდება პოეტის თხზულებათა ახალი გამოცემა, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნულ მკვლევართა შენიშვნებს. ამასთან გამოცემაში შეტანილია ზოგი ახალი ცვლილებაც, რომელთაგან აქ მოვიტანთ რამდენიმეს [იგულისხმება 1980 წელს „საბჭოთა საქართველოს მიერ გამოცემული გურამიშვილის თხზულებები. კრებული შეადგინა სარგის ცაიშვილმა, სარედაქციო კოლეგია: გრიგოლ აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე გიგინეიშვილი, ელგუჯა მალრადე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩერქეზია, სარგის ცაიშვილი, შოთა ძიძიგური].

მაგრამ აქ წინასწარ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი. მიუხედავად ზემოთქმულისა, რომ დღეს ჩვენ გვაქვს პოეტის ავტოგრაფი და „და-  
32. ს. ცაიშვილი

ვითანის“ რამდენიმე არც თუ ურიგო ხელნაწერი, ტექსტის აღდგენას მაინც ელობება სხვადასხვა ტიპის დაბრკოლება. უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ძალზე მრავალფეროვანია პოეტის ენობრივი სამყარო. იგი, როგორც ზემოთაც ითქვა, მწიგნობრულისა და ხალხური, სასაუბრო მეტყველების მიჯნაზე იმყოფება. თითქმის თანაბრად ეხება, როგორც მორფოლოგიურსა თუ სინტაქსურ ენობრივ მოვლენებს. ისე „დავითიანში“ გამოყენებულ ლექსიკას. პოეტის რიგი შემოქმედებითი თავისებურებანი, მისი სწრაფვა, რომ რთული, ფილოსოფიური ხასიათის ძიებები გამოხატოს სადა, საყოველთაოდ გასაგები ფორმებით, განაპირობებენ იმას, რომ ზოგჯერ მწიგნობრულ, სასულიერო მწერლობიდან მომდინარე ფორმებისა თუ ტერმინების გვერდით ბუნებრივად თანაარსებობენ ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან შეთვისებული ენობრივი ფაქტები (რომელთა მეტი წილი, ბუნებრივია, პოეტის მშობლიური კუთხიდან, საარაგვოდან იღებს სათავეს). ამიტომ ტექსტის გააზრების დროს, მით უფრო, როცა ხელნაწერში შემთხვევითი ცთომილებაა, მკვლევარს დიდი სიფრთხილე მართებს. რათა ტექსტის აღდგენის დროს გაითვალისწინოს ეს სირთულეები.

დასტურად მხოლოდ რამდენიმე ნიმუში. გურამიშვილის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლექსში „ზუზბოვკა“ დასკვნით სტროფებში მეორდება შემდეგი სტრიქონები:

ქვესკნე[ლ]სა ვარ, ვერა გხედავ.  
მეგულეები ცადა,  
გვაჯები. ნუ გამწირავ,  
წამიყვანე მანდა!..

ავტოგრაფში ხაზგასმული სიტყვა წარმოდგენილია ასე „ქვესკნენსა“. „დავითიანის“ გამომცემლებს სამართლიანად შეუშინევიათ, რომ აქ ცთომილებაა (ალბათ უნებური) და აღუდგენიათ იგი კვადრატული ფრჩხილების გამოყენებით. სიტყვიდან „ქვესკნელი“ მიცემით ბრუნვაში გვექნება „ქვესკნელსა“ და ასეც აღუდგენიათ იგი 1931 წლისა და 1955 წლის გამოცემებში. მართლაც, „ქვესკნელი“ ძალზე გავრცელებული სიტყვაა და ასეც დასტურდება იგი ძველ, განსაკუთრებით სასულიერო შინაარსის ტექსტებში. აღსანიშნავია, რომ ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ სიტყვას „ქუესკნელი“ სხვა ფორმით არ იცნობს. ეგვევ ფორმა დასტურდება სულხან-საბასთანაც: „ქუესკნელი — ჯოჯოხეთი“.

მაგრამ ირკვევა, რომ გურამიშვილთან გასათვალისწინებელია ზოგი სხვა მომენტიც. დიალექტურ მეტყველებაში, მათ შორის იმ კილოებში. რომლებიც ახლოსაა გურამიშვილის ენასთან, დასტურდება ამ სიტყვის პარალელური ფორმებიც: ევესკნელი, ქვესკნეთი. ქვესკნი, რაც ტექსტის აღდგენის დროს აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში. მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვიკრძალავს.

გურამიშვილის „ქაცვია მწყემსის“ 31-ე სტროფში ასევე დიალექტური ფორმით და ასევე მიცემით ბრუნვაში სწორედ ზემოაღნიშნული სავარაუდო დაწერილობითაა იგი წარმოდგენილი:

არ ჩამოვსსნა კეკია ქარი,  
სანამ ან ჩაძვრ... ქვესკნის ნაშთარი.

ასეთივე ფორმითაა იგივე სიტყვა ლექსში „გალობა“. რომელიც როგორც ავტოგრაფული ხელხიდან ჩანს, პოეტის ერთ-ერთი გვიანდელი ნაწარმოებია და ზოგ სხვა ლექსთან ერთად საბოლოო რედაქტირების დროს არის ჩამატებული „დავითიანში“ (ასევე დასტურდება გურამიშვილთან კვეცილო ფორმა ამავე სიტყვისა „ქვესკნი“. იხ. 1955 წ. გამოც. გვ. 23. სტრ. 14. 4).

მაშასადამე, თუ აღნიშნული სიტყვის ავტოგრაფისეულ წაკითხვას „ქვესკნისა“ უნებურ ცთომილებად ჩავთვლით და ეს, მართლაც, ასე ჩანს, მაშინ იგი უნდა აღვადგინოთ ისევე, როგორც ნიშანდობლივია გურამიშვილის ენისათვის ე. ი. არა „ქვესკნელსა ვარ“ არამედ ფორმით „ქვესკნე(თ)სა“ ვარ, როგორც ეს „დავითიანის“ ადრეულ გამოცემებშია. (შლრ. აგრეთვე „ქართლის ჳირის“ 134-ე სტროფის პირველი სტრიქონი: „ქვეყნად ძე მოკლეს უგბილთა, არ მამა ზესკნეთოვანი“ და ა. შ.).

მაგრამ არის რიგი შემთხვევები, როცა „დავითიანის“ ადრეულ გამოცემებში არასწორად მიუჩნევიათ ან უნებურ ცთომილებადაა ჩათვლილი ავტოგრაფის ესა თუ ის წაკითხვა. ასეთი არცთუ ცოტა შემთხვევა დასტურდება და ეს აღნიშნულია კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში. აქ მხოლოდ ასეთი ტიპის ერთ ახალ დაკვირვებას გავაცნობ მკითხველს.

„ქართლის ჳირის“ იმ თავში, სადაც ავტორი ქართველთა მიერ საცთურ გზაზე მიდრეკას აღნიშნავს, რაც ერთი უმთავრესი მიზეზი შეიქნა თავსდამტყდარ უბედურებათა, პოეტი დასძენს, რომ ყოველივე ამან ღვთის რისხვა გამოიწვიაო, 155-ე სტროფში ვკითხულობთ:

მან ბრძენთა ბრძენმან რა ეს სენა. ბრძანა აღება ხელისა.  
რისხვით გაშვება მის თემთა, გოდახდა საფარველისა,  
მიუგო: რჯულთა გამრყენელნო ახალისა და ძველისა!  
თქვენცა იხილოთ ამიერ მოსპოლვა საფუძველისა!

ასე იკითხება ეს ადგილი 1931 და 1955 წლების გამოცემებში, მაგრამ ხაზგასმულ სიტყვასთან შენიშვნაა, რომელიც გვაუწყებს, რომ ავტოგრაფულ ნუსხაში დადასტურებული ყოფილა წაკითხვა „მოუგო“, რაც გამომცემელთ ასევე უნებურ ლაფსუსად მიუჩნევიათ.

მაგრამ, როგორც ჩანს, ავტოგრაფში ამ ადგილას ყველაფერი რიგზეა. აქ სიტყვა „მოუგო“ ძველი ქართულის კვალობაზეა წარმოდგენილი, როცა მნიშვნელობით გამიჯნული იყო „მოგება“ და „მიგება“ (შლრ. „სულხან-საბა“: „მოგება — პასუხის მოცემა“).

ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ გურამიშვილი ზემოაღნიშნულ ეპიზოდში აშკარად ბიბლიურ თემას გადმოგვცემს და ლექსიკაცა და საერთოდ ენობრივი ფაქტურაც მწიგნობრული ხასიათის სტილისტიკური ნიშნებითაა აღბეჭდილი. მართლაც, სხვაგვარ ფორმებს არ იცნობს სასარება, მაგალითად. „არას მოუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ?“ მარკოზ. 14, 69; უკეთუ გკითხო, ვერარაი მოიგოთ“, ლუკა 22, 68 (ასევე სახარების გავლენითაა ამავე ეპიზოდში ხმარებული სიტყვა მოსპოლვა „მოსპოლვად ყუედრებაი ჩემი კაცთა შორის“ ლ. 1, 25 და ა. შ.). ამდენად, არა მგონია აქ საკოლმანო იყოს, რომ უნდა აღდგეს ავტოგრაფული ხელნაწერის მართებული ფორმა. ზოგი ასეთი შემთხვევა. როგორც ითქვა, მითითებულია სხვა მკვლევართა მიერაც და, რასაკვირველია, ეს დაკვირვებანი უნდა აისახოს პოემის ახალ გამოცემაში (აისახა კიდეც 1980 წ. გამოცემაში).

„დავითიანის“ ჩვენს ხელთ არსებული ავტოგრაფული ნუსხა, როგორც ითქვა, მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებშია გასრულებული, როცა პოეტი ღრმა სიბერეში იყო გადამდგარი. აქი წერს კიდეც: „ცალი თვალთ ბრმა ვიყავი, მეორითაც ავად ვხედვედი. ჩემის ხელით მაგის მეტი ვერ შევიძლეო“. 1931 და განსაკუთრებით 1955 წლის გამოცემათა მესვეურებმა ბევრი უნებლიე შეცდომა შეამჩნიეს და გაასწორეს კიდეც. დანაკლისი ასოები კვადრატული ფრჩხილებით აღადგინეს, ხოლო ზოგ შემთხვევაში დედნის მცდარი წაკითხვა სქოლიოში ჩაიტანეს, რაც მეცნიერული თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია.

მაგრამ ამ მიმართულებით ტექსტზე დაკვირვება შემდგომშიაც უნდა გაგრძელდეს. „დავითიანის“ ზოგი ადგილი აშკარად დამახინჯებულია და სათანადო გაშიფვრას მოითხოვს. მხოლოდ ერთი მაგალითი „დავითიანის“ უახლოეს გამოცემაზე მუშაობიდან (იგულისხმება 1980 წლის „დავითიანის“ ზემოაღნიშნული გამოცემა):

„ქართლის ქირში“ 63-ე სტროფი იწყება სტრიქონით: „ბედი არს ქცევა წუთისა, ვით დღისა ნაობ-ბინდობა“... ტექსტზე მუშაობისას ჩემი ეჭვი აღძრა კომპოზიტის „ნაობ-ბინდობა“ პირველმა სიტყვამ. რას უნდა ნიშნავდეს აქ სიტყვა „ნაობ“? ეს კიდეც უფრო ცხადი შეიქმნა, როცა რუსულად ამ ადგილის პწკარედულ თარგმანზე მიღვა საქმე. 1955 წლის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებული არაა. ხოლო 1931 წლის ლექსიკონში სოლომონ იორდანიშვილს იგი ასე განუმარტავს: „ნაობ-ბინდობა“ გავსება-კლება, დღის დადგომა და ღამის შემოსვლა“. როგორც ჩანს იგი მკვლევარს კონტექსტის მიხედვით განუმარტავს. თუმცა ასეთი სიტყვა „ნაობი“ ჩვენ ვერსად დავადასტურეთ. ფაქტია, რომ აქაც ტექსტის რაღაც უნებურ დამახინჯებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ეს ჩემი ეჭვი გაუუზიარე „დავითიანის“ ახალი გამოცემის რედაქციის წევრსა და ლექსიკონის ავტორს ივანე გიგინეიშვილს, რომელმაც ასევე დაადასტურა, რომ აქ, მართლაც, რაღაც უნებლიე ლაფსუსი 500

უნდა ვიგულოთ. მანვე შემდეგში გამოთქვა, ჩემის აზრით, მართებული ვარაუდი: „ნაობ“ ხომ არ არის სიტყვის „ნათობ“ დამახინჯების შედეგი? ჩანს, „დავითიანის“ ავტორს, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აქ გამორჩენია ასო „თანი“, რამაც სავსებით დაუქარგა სახე აღნიშნულ სიტყვას. მკვლევარის ვარაუდს სავსებით დაუჭირა მხარი შემდგომმა დაკვირვებამ. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს მთელი სტროფის მხატვრული სტრუქტურა: „ბედი არს ქცევა წუთისა, ვით დღისა ნათობ-ბინდობა, ავდარობა თუ დარობა, ცის მოღრუბლვა და წმინდობა: ხან მოსწვავს ნამთა სიმცირე, ხან ალბობს ღვართა დიდობა. დღეს მომცემს, ხვალ კი წამართმევს, ამაღ არა მაქვს მინდობა“.

ბედის მუხანათური ცვალებადობა გურამიშვილს აქ კონტრასტული მხატვრული ხერხითა აქვს გადმოცემული. დაპირისპირებულ წყვილებს ქმნიან ნათელი და ბინდი, ავდარი და დარი, ღრუბლიანი და მოწმენდილი ცა. გვალვა და წვიმიანობა. ამდენად აქ თავდაპირველად. მართლაც უნდა ყოფილიყო სიტყვა „ნათობა“. რაც, როგორც იტყვა, დაპირისპირებულ წყვილს ქმნის სიტყვასთან „ბინდი“. ანალოგიური სახე — ფიგურა. სხვათა შორის, გურამიშვილს სხვა ადგილასაც აქვს: „ვით ღამე ბნელსა მზიანი მოკბია დღე ნათლიერი“, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ზემოთმოტანილი დაკვირვების მართებულობას. უფრო მეტიც, იმავე „ქართლის ჭირის 549-ე სტროფში დასტურდება სავსებით ანალოგიური ფრაზა: „ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი მობრუნავია“. რასაკვირველია, ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ ახალ გამოცემაში კვადრატული ფრჩხილების წესით მაინც უნდა აღდგეს პოემის აშკარად დაზიანებული ადგილი.

ტიქსტოლოგიური თვალსაზრისით „დავითიანის“ სხვა სირთულეთა შორის ცალკე აღსანიშნავია ე. წ. „მაჯამური“ გართმვის წესით წარმოდგენილი სტროფები. მიუხედავად სინათლისა და სიხადავისაკენ ბუნებრივი სწრაფვისა, „მაჯამათა“ სპეციფიკურობის გამო აქ მრავალგან ეპოულობთ ძნელად ამოსაშიფრ ადგილებს. ამ მიმართულებით კვლევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ს. კეკელიძესა და სხვა ქართველ მკვლევარებს, რომელთა დაკვირვებების დიდი ნაწილი მართებული ჩანს და, რასაკვირველია, მათ ითვალისწინებს პოემის ზემოთაღნიშნული ახალი გამოცემა. ასევე ცალკე საკითხთა წრეს ქმნის „დავითიანში“ დადასტურებული პარალელურ ფორმათა სიუხვე („წყემსი“ და „მწყემსი“, „ხრმალი“ და „ხმალი“, „საწუთრო“ და „საწუთო“, „სიფთხილე“ და „სიფრთხილე“ და მრ. სხვ.). ორთოგრაფიული ნაირობა და მრავალი სხვა. რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მისივე ეპოქისათვის დამახასიათებელი ენობრივი სიჭრელით გამოირჩევა, ასევე მნიშვნელოვანია კომპოზიკთა დაწერილობის საკითხი, რომელთა უნიფიცირებაც ასევე აკადემიური გამოცემის მესვეურთა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

როგორც წინა წლების (განსაკუთრებით 1931 და 1955 წ.წ.). ისე ახალი გამოცემა რომელიც ზემოთაც ვასენეთ, რასაკვირველია, ნა-

წილობრივ თუ უპასუხებს „დავითიანის“ ტექსტოლოგიის ყველა საკითხს.

დავით გურამიშვილის თხზულებათა მეცნიერული თვალსაზრისით ყოვლისმომცველი აკადემიური ტექსტის გამოცემა ქართული ფილოლოგიის კიდევ ერთი აუცილებელი და საშური საქმეა.

1980 წ.

## მწერლის უბის წიგნაკიდან

(ეტიმოლოგიური ძიებათა)

ა) „პირველითგან იყო სიტყვანი...“

სალიტერატურო ენას მწერლობა ჰქმნის, მაგრამ ამასთან ისიც ხომ ფაქტია რომ იშვიათია, ალბათ. ქართველი მწერალი თუ ლიტერატურის მკვლევარი, რომელსაც განსაკუთრებული ინტერესი არ გამოეჩინოს ქართული სიტყვის დაფარული შრეების მიმართ. ამითაც ისინი მხარში უდგანან ჩვენს სახელოვან ენათმეცნიერებს, რომელთა მიღწევები საერთოდ, კერძოდ კი, ლექსიკოლოგიის დარგში საყოველთაოდ აცნობილი.

ქართული სიტყვის საიდუმლო წიაღში არაერთი საგულისხმო ექსკურსი ეკუთვნის მიხეილ ჭავჭავაძისა და კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძესა და დემნა შენგელიას, ლევან გოთუასა და ვიორჯი შატბერაშვილს. რად ღირს თუნდაც მარადსახსოვარი მწერლისა და ეთნოგრაფის თედო სახოკიას ღვაწლი. მკითხველს გაახსენდება, ალბათ, მისი „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. რომელიც სამტომეულის სახით პირველად 1950—1955 წლებში გამოქვეყნდა.

ძველ-ქართულ ძეგლთა თუ თანამედროვე ქართველ მწერალთა შიშობიერებაზე მუშაობის პროცესში, საერთოდ, ყოველდღიურ სასაუბრო ენაზე დაკვირვების ჟამს, ალბათ, ყოველ ჩვენთაგანს დაჰბადებია კითხვა რომელიმე სიტყვასთან დაკავშირებით. ზოგჯერ ვისმენთ და ჩვენ თვითონაც ჩაუბრუნებთ ხოლმე საუბარში ამა თუ იმ გავრცელებულ ფიგურალურ გამოთქმას, მაგრამ შესაძლოა არც კი ვიცოდეთ, თუ რა უდგის მას საფუძვლად, ან რამ გამოიწვია გამოთქმის ასეთი სახით დაკრისტალება.

წლების მანძილზე გროვდება ასეთი საკითხები. ზოგი მათ მენსიერებით ინახავს, ზოგი კი, ალბათ, ისევე, როგორც ამ სტრიქონების ავტორი, ღობის წიგნაკს ანდობს ასეთ დაკვირვებებს.

ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოჩნდება, რომ მათი რიცხვი არც თუ ისე მცირეა. ჭვემოთ. რასაკვირველია, დიდის მოკრძალებით მკითხველს შერჩევით ეთავაზობთ რამდენიმე დაკვირვებას. ზოგი მათგანი ეხება ცალკეულ სიტყვასა თუ გამოთქმას, ხოლო ზოგი საკუთარ სახელთა ამოხსნის ეტიმოლოგიური ხასიათის ცდას წარმოადგენს.

მკითხველი დამეთანხმება, რომ იგი, მართლაც ერთ-ერთ ძალზე გავრცელებულ გამოთქმათა რიგს მიეკუთვნება. საერთოდ, ასეთი გამოთქმა მხიარულებას, საზეიმო თავყრილობას აღნიშნავს, განსაკუთრებით კი დაკავშირებულია მიცვალებულის მოხსენიების ერთ-ერთ უმთავრეს რიტუალთან. „ჭერის ახლა“. მეტწილ შემთხვევაში, წლისთავის ტოლფასი ცნებაა და გლოვის დამთავრების ნიშანს გამოხატავს.

შესიტყვების აზრი. მით უფრო. ფიგურალური გამოთქმის დონეზე. თითქმის ყველასათვის ნათელია. მაგრამ კითხვები სხვა კუთხიდან ისმის. მაინც რატომ დაუკავშირდა „ჭერის ახლა“ მიცვალებულის ხსენების ზემოაღნიშნულ რიტუალს? რომელ. აწ ჩვენთვის დაფარული, რიტუალური აქტის აღსრულებას გამოხატავდა იგი? ხოლო შემდეგ კი. როგორც ვხედავთ. მყარ, ფრაზეოლოგიურ გამოთქმად შემორჩა იგი ჩვენს თანამედროვე მეტყველებას. ირკვევა, რომ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა არც თუ ისე იოლი საქმეა, და ვგონებ, არც არავის უცდია იგი.

მაგრამ ვიდრე საკუთარ ვარაუდს შემოგთავაზებდეთ, ურიგო არ იქნება ამ თვალსაზრისით ლექსიკონებსაც გადავავლოთ თვალი. ძველ ლექსიკონებში (მათ შორის, უწინარეს, სულხან-საბასთან) ასეთი გამოთქმა არაა დადასტურებული და მით უფრო არც ახსნილი. რატომღაც არ იცნობს მას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც“, თუმცა „ჭერთან“ დაკავშირებით აქ არა ერთი შესიტყვება და მყარი ფრაზეოლოგიური გამოთქმაა მოტანილი. ფიგურალურ გამოთქმათა რიგში. მაგალითად. ნახსენებია „ჭერის გახარება“. „ჭერის გაცილება“ სათანადო საილუსტრაციო მასალითურთ. მაგრამ ცალკე გამოთქმაზე „ჭერის ახლა“ აქ არაა საუბარი.

მე მხოლოდ შემთხვევითობას უნდა მივაწერო ის ფაქტი, რომ ეს შესიტყვება არაა აგრეთვე წარმოდგენილი ისეთ შემაჯამებელი ტიპის საცნობარო ლექსიკონში როგორიცაა ალ. ლლონტის მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“.

ყველაზე ვრცლად. თანაც. ეტიმოლოგიური შენიშვნების დართვით. აღნიშნულ გამოთქმაზე ჩერდება „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათას“ ავტორი თედო სახოკია. საკითხის ინტერესის გამო მოვიტან შედარებით ვრცელ ნაწყვეტს ამ ლექსიკონიდან: „ჭერის ახსნა“ — პრდ. სახლის ჭერის აშლა. ხტვ. ხმამაღალი მხიარულება, დიდი სიცილ-სიხარული. (მოტანილია სათანადო საილუსტრაციო მასალა ვასილ ბარნოვისა და სოფრომ მგალობლიშვილის თხზულებებიდან).

ქართლში მიცვალებულის წლის წირვაზე, — ნათქვამია შემდეგ ლექსიკონში, — მეზობლებს სადილს გაუმართავდნენ. სუფრაზე დასხდომისას ოჯახის უფროსი კაცი წამოდგებოდა და დამსწრეთ მიმართავდა: „აბა, ჭერი ავხადოთო! ამით ანიშნებდა ყველას: გვეყო გლო-

ვა. აქლა ვიმხიარულოთ... გავაცინოთ ჭერიო! დამსწრენიც სამხიარუ-  
ლოს შემოსძახებდნენ: „იხარე, ჭერო, მოჰკვდი, მტერო“...

ეტიმოლოგია ამ თქმისა — დასძენს ბოლოს ლექსიკონის ავტო-  
რი — ასეთი უნდა იყოს. ჩვენებური სახლი, განსაკუთრებით გლენისა,  
უფანჯრო იყო. ასეთი სახლიდან ხმა გარეთ რომ გამოსულიყო და სხვებ-  
საც გაეგოთ მოქიფეთა, „ჭერის ამხდელთა“ ღრეობა, უნდა ჭერი  
ახდილიყო. ძველად შეიძლება მართლაც ახდიდნენ ხოლმე ჭერსა...

ვიდრე ვიტყვოდე, მართებულად მიმაჩნია თუ არა ზემოთმოტა-  
ნილი ახსნა, მხოლოდ შევნიშნავ, რომ „ჭერის ახდის“ დაკავშირება  
ოდენ მხიარულებასთან მაინც მეორეული ჩანს და იგი, უწინარეს,  
ისევ და ისევ წლისთავის რიგს უნდა აღნიშნავდეს. სხვათა შორის,  
ამასვე ადასტურებს აგრეთვე სულ ახლახან გამოქვეყნებული ძალზე  
საყურადღებო ლექსიკონის მასალებიც (იხ. „ქართული დიალექტის  
ლექსიკონი“, შემდგ. თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე).

აღნიშნულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ჭერს ახდიან — ოჯახის  
წევრის გარდაცვალების წლისთავზე, იმღერებენ გლოვის შეწყვეტის  
ნიშნად: „ეგენი როდიდა გლოვობენ, ჭა, უკვე ჭერი ახადეს (კავთის-  
ხევი)“. „ჭერის ახდა“ — წლისთავი რომ გახდება, გამართამენ წლის-  
თავის წირვასა და თან იმხიარულებენ, კიდევ იმღერებენ, კიდევ ითა-  
მაშებენ, მაგას ეტყვიან ჭერის ახდასა (კავთისხევი)“.

მართლაც, წარმოდგენილი მასალები კიდევ ერთხელ მიგვანიშნე-  
ბენ, რომ „ჭერის ახდა“ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული  
გამოთქმა იყო, მაგრამ მის ასახსნელად ნაკლებ გასაზიარებელი ჩანს  
თედო სახოკიას ზემოთმოტანილი ვარაუდი. არ არის ნათელი, თუ რა-  
ტომ ან რისთვის უნდა აეხადათ (აეშალათ) ასეთ ღროს ჭერი. ასეთი  
ვარაუდი მით უფრო საჰოკმანოა, რომ ასეთ რიტუალს, როგორც სპე-  
ციალური ლიტერატურის გაცნობა ადასტურებს, ქართული ეთნოგრა-  
ფიული ყოფა არ იცნობს.

საძიებელ გამოთქმაში სხვა რამ აზრი უნდა იმალებოდეს. იქნებ  
ღროთა ვითარებაში, როგორც ხდება ხოლმე, სიტყვებმა იცვალეს  
ფერი ან მივიწყებული, ძნელად გასაგები სიტყვები უფრო ნაცნობმა  
სიტყვამ თუ გამოთქმამ შესცვალა. ასეა თუ ისე, იგი მეტ დაფიქრებასა  
და ჩაძიებულ ყურადღებას მოითხოვს.

ერთი რამ ამთავითვე ცხადია. გამოთქმა, როგორც აღვნიშნეთ,  
უწინარეს, მიცვალებულის სულის საოხად გაწეულ რიგს, ხარჯს უკავ-  
შირდება. იგი, მართლაც ძველი და მყარი ტრადიცია ჩანს და ჩვენი  
ხალხის ერთ-ერთ განსაკუთრებულ თვისებათა წყებას განეკუთვნება.  
თუნდა ვალებში ჩავარდეს, მაგრამ ოჯახმა მიცვალებულის გაპატიოს-  
ნებას არაფერი არ უნდა დააკლოს. ეს იყო, მით უფრო ღარიბი ოჯახი-  
სათვის, მძიმე, მაგრამ წმიდათაწმიდა მოვალეობის აღსრულება. ყვე-  
ლაზე საძნელო წლისთავის ხარჯის გაწევა იყო. ვაჟა-ფშაველა ერთ  
თავის დიდებულ ეთნოგრაფიულ მოთხრობაში ასე ამთავრებს, რო-  
გორც მთაში იტყოდნენ, „წელთაობის“ მხატვრულ სურათს: „კარახე-



ლის ოჯახმა, მისმა ცოლ-შვილმა დიდი, მძიმე ტვირთი მოიგდებინა. ზურგიდან, ფრიად საშიშარ, უძლეველ მტერთან ომი გადაიხადა. ეს მტერი, ეს ტვირთი თვით ჩვეულებაა, და გამარჯვებულებაც გამოვიდა, მტერს სძლია. ყველანი თავისუფლად, თითქმის, თუ შეიძლება ასე ითქვას. ბედნიერად ჰგარძნობდა თავს მეორეს დღეს, რომ თავიანთი მოვალეობა სრულიად უკლებლივ ასრულეს“...

ხოლო „წელთაობა“ ბოლოს და ბოლოს მაინც გლოვის დამთავრების, აღების რიტუალი იყო და აკი დადასტურებულიცაა ეს საძიებელი გამოთქმის („ჭერის ახდა“) მეორე ნაწილში. სხვაგვარად. მაგრამ იგივე აზრია გამოთქმული ერთი ხევსურული დალოცვის სიტყვებში, რომლებიც ასევე წლისთავთან დაკავშირებით ითქმოდა: „სამგლოვიარო ღმერთმა აგხადოსთ, მარხე ნულარ მოგცეს, ნურც თავის სახლში და ნურც და-ძმა მოკეთეშიო“. სერგი მაკალათიას აღწერით, ასევე ნიშნად გლოვის დამთავრებისა ხევსურეთში დადასტურებულია მიცვალებულის „ტალავრის აბერტყვა“. რაც ანალოგიური რიტუალის კიდევ ერთი თავისებური სახეობაა („ხევსურეთი“, გვ. 214—215).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა თვით ამ სიტყვის „ახდა“ ძველი მნიშვნელობაც. იგი აღებას, ახდას, მოცილებას ნიშნავს (შდრ. ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, იხ. აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანთან: „აღვდა — საფარველი აილო“).

ბოლოს კი მაინც უნდა დავუბრუნდეთ საძიებელი გამოთქმის პირველ ნაწილს. მართლაც რა შუაშია ამ შემთხვევაში „ჭერი?“ „ჭერი“ ძველი ქართულით ნიშნავს მრგვალ. შედარებით წვრილ მორებს, რომლებსაც მიჯრით აწყობდნენ და ამით ზემოდან სახურავს ტიხრავდნენ ოთახისაგან. ამიტომაც შეერქვა მას შემდეგ „ჭერი“ (შდრ. ნიკო ჩუბინაშვილი: „ჭერი“ — სართული სახლისა შიგნიდან, ПОТОЛОК; აგრეთვე ალ. ჭინჭარაული: „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი“). სხვათა შორის, ქვემო იმერულ დიალექტში შემონახული სიტყვა „ჭერული“ მრგვალი მორებისაგან აგებულ ძელურ სახლს ნიშნავს (შდრ. მეგრული „ჯარგვალი“, რაც ზუსტად ასეთივე ტიპის ნაგებობას ეწოდება).

ყველაფერი ეს მართლაც ასეა. მაგრამ „ჭერის“ არც ერთი ეს მნიშვნელობა ვერ შიფრავს საძიებელ გამოთქმას და არც წლისთავის ზემოთაღნიშნულ რიტუალში შეაქვს რაიმე სიცხადე.

როგორც ჩანს, მე ამაში ეჭვი აღარ მეპარება, ამ სიტყვის („ჭერი“) მიღმა დგას მასთან ფონეტიკურად ახლო მდგომი სიტყვა „ჭირი“. ხოლო თვით ამ გამოთქმის თავდაპირველი სახე იქნებოდა არა „ჭერის ახდა“ არამედ „ჭირის ახდა“. რაც შეეხება თვით ასეთი შენაცვლების მიზეზს, ამასაც, ვფიქრობ, მოეპოვება თავისი ახსნა.

სიტყვა „ჭირმა“ დროთა ვითარებაში სხვა მნიშვნელობებიც შეიძინა, მაგრამ ოდითგან იგი უბედურებას, მწუხარებას ნიშნავდა მეტწილად. მართლაც, ასეა იგი განმარტებული ზემონახსენებ ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც: „ჭირი — მწუხარება, საღმობა, ტყვილი“ და ა. შ. (შდრ. სულხან-საბა ორბელიანი: „ჭირი — ბოროტი და ავადედვას“).

„ჭირი“ სწორედ გარდაცვალების გამო აღძრულ მწუხარებას, ოჯახში მიცვალებულის ჟოლასაც ნიშნავდა. ეს დადასტურებულია კიდევ ისეთ საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვებში, როგორიცაა „ჭირისუფალი“ ან მისი ბადალი სიტყვა „ჭირისპატრონი“, რომელიც უფრო მთის დიალექტებშია შემონახული (შდრ. ნაწყვეტი ცნობილი ხევსურული ლექსიდან: „მეწყალე ჭირის პატრონო, ჭირის გონება ძხელია“, აგრეთვე ზემოდასახელებული „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“: „ჭირის პატრონი — მიცვალებულის პატრონი, ჭირისუფალი“ და ა. შ.).

მაშასადამე, „ჭირის ახდა“ აწ დაკარგული ძველთაძველი გამოთქმა ჩანს და იგი არც მეტი, არც ნაკლები ჭირის, მწუხარების დამთავრებას, გლოვის აღებას ნიშნავდა (შდრ. ზემოდამოწმებული ხევსურული დალოცვა: „სამგლოვიარო ღმერთმა აგხადოსთ“...).

ხოლო დროთა ვითარებაში, როცა თვით სიტყვამ „ჭირი“ მნიშვნელობები იცვალა, ძველი შესიტყვება „ჭირის ახდა“ შეერწყა ფონეტიკურად. და გარკვეული თვალსაზრისით შინაარსობრივადაც, მასთან ახლო მდგომ ფიგურალურ გამოთქმას „ჭერის ახდა“, რაც მხიარულებას, ხმამაღალ ღრეობასა და საერთოდ ზეაწეულ საზეიმო განწყობილებას გამოხატავდა („სადაც ჭერი მაღალიო, მე იმისი მაყარო“).

ასეთია, ჩემის აზრით „ჭერის ახდის“ დაფარული აზრი და ცვალებადობის გზა, რომელიც განვლო საძიებელმა გამოთქმამ.

## ბ) რამდენიმე ძარბული საკუთარი სახელის ეტიმოლოგიის ძეა

წინასწარ შევნიშნავ, რომ გასაგები მიზეზების გამო, აქ მხოლოდ ორიოდ ასეთი ტიპის დაკვირვებაზე გვექნება საუბარი.

პირველი ეხება ჩვენი ქვეყნის ისეთი მშვენიერი კუთხის ტოპონიმებს, როგორიცაა ზემო გურია (ამჟამად ჩოხატაურის რაიონი). ამ მხარეში ხშირად მიხდება ყოფნა თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ იგი ჩემი დედუღეთია (დედაჩემი ჭაყელთა ოჯახის შვილი იყო. რომლის არცთუ შორეული წინაპარი, მესხეთიდან ლტოლვილი. შექტარება გურიის მთავარს). სწორედ ამ მხარეში ხშირი სტუმრობისას სიყმაწვილიდანვე შემორჩა ჩემს მესხიერებას ადგილობრივი სოფლებისა თუ ცალკეული ხევ-ხუვების დასახელებანი, მაუწყებელი ამ ადგილებში ქართველურ ტომთა უძველესი განსახლებისა.

ზოგი მათგანის ეტიმოლოგია დღესათვის ნათელია (მაგ., ბუკისციხე, დაბლაციხე, ხევი, ზენობანი, ხიდისთავი, ნაბელავი. ქვენობანი და ა. შ.). ზოგს უფრო მეტი ჩაკვირება სჭირდება და მათ გარშემო მაქვს კიდევ ჩემი მოსაზრებები (მაგალ., ერკეთის, კოხნარის და სხვათა გამო), მაგრამ ამჯერად მინდა უფრო არსებითად შევეხო ერთი სოფლის ტოპონიმს, რომელიც ამჟამად დაბლაციხის სასოფლო საბჭოში შემოდის.

მისი სახელია „საყვავისტყე“, ხოლო აქაურ მკვიდრთ. რამდენადაც

ვიცი. ეპეიც არ ეპარებათ. რომ ეს სახელი მართლაც ყვავთანაა დაკავშირებული. თუმცა შემომჩნევია ისიც, რომ მაინცდამაინც არც სიამოვნებით ამის ხაზვასმა.

მაგრამ ირკვევა, რომ მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე. ჯერ ერთი, სოფელი მთაში, ტყიან ადგილასაა ჩაბუდებული და შემოგარენიც ასევე ტყითაა დაფარული. ხოლო ყვავს აბა რა ესაქმება ტყეში და, მართლაც, არც ბინადრობს იგი ამ ადგილებში.

აღნიშნულ საკუთარ სახელში „საყვავისტყე“ სრულიად სხვა ფუძე გამოსჩანს და ეს დაადასტურა კიდევ სათანადო კვლევა-ძიებამ.

საქმე ის არის, რომ თვით „საყვავე“ დამოუკიდებელი, მაგრამ თანამედროვე მეტყველებაში შედარებით მივიწყებული სიტყვაა. იგი არც შეტი, არც ნაკლები, ნიშნავს სამშენებლო ხეს, მორს, რომლებიც სახლის სახურავის მთავარ საყრდენებად გამოიყენებოდა. საყვავე იგივეა, რაც თავხე. მთავარი კოჭი, რომელიც სახლის სახურავის გასამართავად გაიდებოდა. შდრ. სულხან-საბა: „საყვავე — სართულის ზეითი ლატანი“.

ასე რომ „საყვავისტყე“ ნიშნავს ადგილს, სადაც თავხეებს ანუ საყვავეებს ამზადებდნენ და როგორც შემდგომში ადგილზევე გაირკვა. ამ მიდამოებში, რომლებიც ადრე კიდევ უფრო უღრანი ტყეებით იყო დაფარული, მართლაც ჭრიდნენ სამშენებლო მასალას. „საყვავისტყე“ ისეთივე ტიპის ტოპონიმია, როგორც „საკოჭაი“ (ბორჯომის რაიონი), სადაც სამშენებლო კოჭებს ამზადებდნენ, სათივე (ხაშურის რაიონი), საყავრე (გორის რაიონი), საძელე, საჩალე, საბოლოყო, სალანძილე და ა. შ. აქვე შევნიშნავ, რომ მოსალოდნელი იყო ასეთი ფორმაც „სასაყვავე“. მაგრამ ერთნაირი ბეგრების განმეორების გამო (პირველი „სა“ მაწარმოებელია, მეორე კი ფუძისეული), როგორც ჩანს, მეტყველებაში უპირატესობა მიეცა შესიტყვებას „საყვავის ტყე“, რაც ასევე ზუსტად გამოხატავს მის შინაარსს (სხვათა შორის ამ რამდენიმე წლის წინ აღნიშნული დაკვირვება გავაცანი აკადემიკოს ნიკო კეტხოველს. ქართული ტოპონიმების აღიარებულ მცოდნეს. ბატონმა ნიკომ უყოყმანოდ გაიზიარა ასეთი ეტიმოლოგია).

მასასადამე, თუ „საყვავისტყის“ მკვიდრნიც ირწმუნებენ ზემოთმოტანილ ვარაუდს, მაშინ დაე ირწმუნონ ისიც, რომ მათი მშვენიერი სოფლის სახელს არავითარი კავშირი არა აქვს ავადსახსენებელ ფრინველთან და იგი ძველთაძველი ქართული სიტყვის ფუძეზეა აღმოცენებული.

\* \* \*

ასეთივე რიგისაა ჩვენი დაკვირვებები ქართულ გვარ-სახელებზე. რომელთაგან აქ მხოლოდ ერთ მათგანს წარმოვადგენ (ცნობილია, ტოპონიმების კვლევასთან ერთად რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივანე ჯავახიშვილი გვარ-სახელების ეტიმოლოგიასა და მათი ერთი კუთხიდან მეორეში მიგრაციის საკითხებს).

ამჯერად საქმე ეხება საკმარისად ცნობილ გვარს, გვერდწითელს. რომელიც ზოგჯერ იწერება აგრეთვე ფორმით გვერწითელი.

აქ თითქოს ყველაფერი ნათელია. გვარი შედგება ორი სიტყვისაგან. გვერდი და წითელი, ხოლო ენობრივად ასეთი ტიპის წარმოებაცა და გვარებიც მრავლადაა ჩვენში (შდრ. წითლიძე, წითლანაძე, იხ. აგრეთვე მეტსახელები: წითელლოყა, ცხვირწითელა, რომელთაგანაც ასევე იწარმოებოდა ხოლმე გვარები).

ალბათ მეც ასევე ჩავუვლიდი ამ გვარის ეტიმოლოგიას, რომ არა ლეგენდის მსგავსი გადმოცემა, რომელიც მიაშობო თვით ამ გვარის ერთერთმა წარმომადგენელმა.

გვერდწითლების ბუდე-ადგილი ყოფილა ხაშურთან ახლოს მდებარე სოფელი ხცისი, რომელიც გაშენებულია მტკვრის ხეობაში (ვახუშტით მას ხცისის ხევი ეწოდება). მათ ერთ წინაპარს თავი გამოუჩენია რომელიდაც ბრძოლაში. თვითონაც მძიმედ დაუჭრიათ, ცალი მხარე მთლიანად სისხლით ჰქონია მოსვრილი, მაგრამ გამარჯვებულს სოფლამდე მაინც მოუტანია თავიო. გვერდწითლების გვარიც აქედან დაიბადაო.

ლამაზი ლეგენდაა, მაგრამ ცნობილია ისიც. რომ ყოველ ასეთ გადმოცემაში ფანტაზია ჭარბობს რეალობას მით უფრო, როცა ხალხურ ეტიმოლოგიასთან გვაქვს საქმე, ხოლო ასეთი ეტიმოლოგიების ფსიქოლოგიური საფუძველი ნათელია. ეს არის მისწრაფება, რათა ყველაფერი გააზრიანდეს, შინაარსი მიეცეს. ასე გადაიქცა ესტატე წმინდის სახელობის ეკლესია (და სოფელი) ერთწმინდად. მეჯუდას ხევი მეჯვრისხევად, ძელი პატიოსანი „გრძელ პატიოსნად“ და ა. შ.

ეს ლეგენდა მეორედაც მოვისმინე, როცა ვათვალიერებდი წრომიან დიდებულ მონასტერს და იქვე ახლო მდებარე ხცისშიაც მომიხდა ყოფნა. ლეგენდა აქ კიდევ უფრო „დაზუსტდა“. გვერდწითლების სახელოვან წინაპარს თურმე გმირობა ტაშისკარის ცნობილ ბრძოლაში გამოუჩენია, როცა ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით მუსრი გააუღეს თათარხანის ლაშქარსო.

მაგრამ აქვე ყურს მოხვდა არც თუ უმნიშვნელო დეტალი. ხცისი მტრისაგან აოხრებულა მრავალგზის და მასში მეტწილად ახლადჩამოსახლებულნი ცხოვრობენო. მათ შორის გვერდწითლებიცო.

ისიც გაირკვა, რომ ახალმოსახლეთა მიერ ხცისის შევსება მეტწილად სამხრეთით მდებარე მთიანეთიდან ხდებოდა. მე ვგულისხმობ არჯევანის ქედის ჩრდილოეთ კალთებს, სადაც ხეობების გავლით გადადიოდა გზა აგრეთვე გუჯარეთსა და ძველ ისტორიულ თორში (შემდეგ ამავე გზით გუჯარეთ-ბაკურიანის მიდამოებში გადიოდა და სახლდებოდა ოსური მოსახლეობაც).

და აი. იქვე ხცისიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით. სამხრეთ მთიანეთში არის სოფელი გვერძინეთი (ვახუშტით „გვეძინი“. გვერძინი — გვეძინი კი ძველ ჩართულად გარეულ მტრედს ნიშნავს: შდრ. სულხან-საბას ლექსიკონი), რომლის მოსახლეობა უკვე

-დრიდანვე დაძრულა ბარისაკენ, მათ შორის სოფ. ხციისიკენაც.

როგორც ხდებოდა ხოლმე, სოფლის სახელიც თან მიჰყვებოდა გადასახლებულთ (ამის მაგალითები იმდენია, რომ ამით თავს არ შეეაწყენ მკითხველს). შესაბამისად, გვერძინეთიდან ჩამოსახლებულ კაცს ქართული დიალექტის კვალობაზე შესაძლოა მიეღო ასალი გვარ-სახელი გვერძინეთელი — გვერძინთელი (მრავლობითი ფორმით: გვერძინთლები). გვერძინთელის გვერდწითლამდე გადააზრებისათვის კი ერთი ნაბიჯიღა რჩება, რაც ხალხური ეტიმოლოგიის წესისამებრ შემტყცდა კიდევ ზემოთმოტანილი ლამაზი გადმოცემით.

#### ფ) საიდან მომდინარეობს გამოთქმა „დედას პური“

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩემი უბის წიგნაკიდან ვარჩევ უფრო გავრცელებულ და თითქოს ყველასათვის გასაგებ სიტყვებსა და გამოთქმებს. „დედას პურიც“ მათ რიგს მიეკუთვნება. მართლაც, ეს გამოთქმა ისე ხშირად იხმარება (განსაკუთრებით ქართლ-კახურ მეტყველებაში) და თითქოს მისი შინაარსიც იმდენად ნათელია, რომ იქნებ არც ღირდეს მასზე ასე საგანგებოდ შეჩერება.

მაგრამ ასეა კი? ირკვევა, რომ ამ გამოთქმაში სხვა აზრი უნდა იმალებოდეს და არა ის, რომელსაც ასე ხშირად მოისმენთ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „დედას პური იგეთი პურია, დედა რო გამააცხობს შეილითვინა“. — არაერთხელ მომისმენია კახეთში და ეს აზრი განმტკიცებულის კიდევ. ზოგი იმასაც დასძენს. რომ რომში მიმავალთ უცხოზღნენ დედები საუკეთესო შოთის პურებს და აქედან მოდის გამოთქმა „დედას პური“. ასეთი გააზრებით იგი ერთგვარად უკავშირდება მეორე ასევე გავრცელებულ გამოთქმას „დედას ბიჭი“, რასაც ნებიერად, დედის კალთის ქვეშ გამოზრდილ ვაჟს ეძახდნენ თურმე. კახეთში ახლაც ყველას ახსოვს განთქმული მომღერალი ასაბიშვილი სოფელ შილდიდან, რომელსაც მთელი საქართველო „დედას ლევანას“ ეძახდა. გახსოვთ, ალბათ, ტიცთან ტაბიძის ლექსიც: „ნეტავი სხვებიც წამოგეყვანათ, პოეტებს გელით სუფრა გაშლილი. შილდაში მღერის დედას ლევანა და ართანში ყარალაშვილი“.

„დედას პურთან“, „დედას პურებთან“ დაკავშირებით საინტერესო ვითარებაა ჩვენს ლექსიკონებში. ოლონდ წინასწარ შევნიშნავ, რომ ეს გამოთქმა რატომღაც გამორჩენიათ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, სადაც „დედასთან“ დაკავშირებული მრავალი ფრაზა თუ შესიტყვებაა განმარტებული.

მეტი ცნობებია აღნიშნულ გამოთქმაზე დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში, თუმცა ერთგვარობა არც მათში ჩანს.

ალექსანდრე ღლონტის მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“, როგორც მოსალოდნელი იყო, ცალკეა გატანილი ეს შესიტყვება, ოლონდ შემდეგი ფორმით: „დედოპური — ღვეზელი“. დამოწმებულია ბაბო წერეთლის მიერ გამოცემული ზემოიშვრული ლექსიკონი.

უფრო ვრცლადაა მასზე საუბარი „ქართული დიალექტის ლექსიკონში“. რომელიც ზემოთაც ვასსენეთ: „დედას პური — წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარი თონის პური“. იქვე საილუსტრაციოდ მოტანილია ქართლის სოფლებში ჩაწერილი მასალა: „წმინდა პური რუჟა, კარქი, რუჟა არა ურეჟია რა შიგ წამლათა. იმაი ვეტყვით დედაი პურსა“. „თონის პურს ეტყვიან დედას პურს“. „კაციან ოჯახებს რა მჟაღ-ც ენატრებოდათ, მაგი ბალები სუ დედას პურსა სჯამდნენ“ (ტექსტები ჩაწერილია საგურამოსა და წილკანში).

სხვაგვარი განმარტებანი ამ შესიტყვებისა მე არც შემხვედრია და ვგონებ არც არის ფიქსირებული. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ ჩემის აზრით, არც ერთი ეს განმარტება არ უნდა იყოს მართებული.

ღვეზელი სულ სხვა რამაა და დედას პური კი სხვა. შდრ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, სადაც განმარტებულია ღვეზელი. ასევე არც ყოველგვარ თონის პურს და არც წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარს არ უნდა რქმეოდა თავიდან „დედას პური“ და აი, როგორც იტყვიან, ძაღლის თავიც აქ მარხია.

გამოთქმაში „დედას პური“ არც დედაშვილობაზე, როგორც ეს გააზრიანებულია დღეს და არც სხვა მისთანაზე არაა საუბარი. იგი თვით გამომცხვარი პურის ერთ სახეობას აღნიშნავდა თავდაპირველად.

იგი ეწოდებოდა ისეთ პურს, რომელიც საფუარზე, ხაშზე, ცხვებოდა. ახლა თუ გავიხსენებთ, რომ ასეთ საფუარს, ხაშს „დედა“ ეწოდებოდა, მაშინ საძიებელი საკითხიც თანდათან შეიძენს სინათლეს. მანამდე კი მკითხველს მოვაგონებ, რომ ასეთივე ტიპისაა და ისეთსავე ტექნოლოგიურ პროცესს გამოხატავს ანალოგიური გამოთქმები „მაწვნის დედა“. „კარაქის დედა“, „დედამკვდარი მაწონი“ (შდრ. აგრეთვე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც „დედა“ განმარტებულია აგრეთვე როგორც საფუარი, ხოლო საფუართან დაკავშირებით კი ნათქვამია „დამქავებული პურის ცომი, რომელსაც ახალ ცომში ურევენ ასაფუებლად, ამოსაწევად, — ხაში და ა. შ.).

უსაფუარო პურს, ხშიადისაგან განსხვავებით საფუარზე ანუ დედაზე გამომცხვარ პურს. როგორც ჩანს. ამიტომაც ეწოდებოდა „დედას პური“. იგი თავის ხარისხითა და გემოთი სჯობდა ჩვეულებრივი წესით გამომცხვარ პურს. შემდეგ კი, როცა საერთოდ გავრცელდა ეს წესი ე. ი. საფუარზე ცომის დაყენება, თანდათან მივიწყებას მიეცა სახელწოდების შინაარსი, რომელიც გამოარჩევდა ჩვეულებრივი პურისაგან „დედას პურს“.

აუე მიეცა დავიწყებას პირვანდელი შინაარსი და გამოთქმა „დედას პური. როგორც ვნახეთ. უცნაურ ლეგენდებში გაეხვია.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

სიტყვის უცვლადება (იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“).	3
ძველი ქართული პოეზია.	23
შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“.	43
(„ღრტყაბრთუელ-კრიტიკული ვერიუდი“)	
შოთა რუსთაველი (ბიოგრაფიული ესკიზი).	64
„ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა.	82
ვახტანგ წექეცხე რუსთაველური მიჯნურობის შესახებ.	94
სულხან-საბა ორბელიანი.	105
აბეტი და მამულიშვილი (ვახტანგ მეექვსე).	121
დავით გუამაძეშვილი (ცხოვრება და შემოქმედება).	127
ცხოვრება ბენიკ გვამაშვილისა.	193

## II

ახალი საქართველოს კარიბჭესთან.	252
(„ლექსანდრე ქაჯკაეაძის დაბადების 200 წლისთავის გამო“)	252
„პერსიო“ და მისი ავტორი.	259
ნაოკვევი ილია ქაჯკაეაძეზე.	270
ვაჟა-ფშაველას სიბრძნის სამყაროში.	310

## III

## ესეებო

გალაკტიონი.	325
ლეო ქიაჩელი (რამდენიმე შტრიხი ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედებით).	337
სიტყვა ნიკო ლორთქიფანიძეზე.	346
მწერლის დიდი მისია (კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზა).	349
ტიციან ტაბიძის პოეტური ღვაწლი.	358
ეროვნული საუნჯის სამსახურში (თედო სახოკია).	378
იპოლიტე ვართაგავა (ერთიუდი).	387
მწვენება ქართული კრიტიკული აზრისა (გერონტი ქიქოძე).	389
გიორგი ლეონიძე.	398
„შემოქმედებას სიახლე უყვარს“ (სიმონ ჩიქოვანი).	421
არდავწყებრისათვის (კონსტანტინე კვიციანიძე).	426
არმაზის მარადიული მკვიდრი (ლევან გოთუას გახსენება).	431
მადლი მშობლიური ენისა (გიორგი შატბერაშვილის შემოქმედებითი პორტრეტისათვის).	436
ეროვნული ხასიათების ძიებაში (გრიგოლ აბაშიძის ისტორიული პროზა).	445
სიბრძნე და ოსტატობა (ერთიუდი ნოდარ დუმბაძეზე).	454
სიახლეთა ძიების გზაზე (არჩილ სულაკაური).	461
„სათავეების ძველუეარი“ (რამდენიმე შტრიხი გურამ ასათიანზე).	466
იგი ეძიებდა მთავარს (ოტია პაპკორიას წიგნების გამო).	470

## IV

## ნ ა რ კ ვ ე ვ ე ბ ი

ძიებანი „დავითიანის“ გარშემო (შენიშვნები და პარალელები).	475
--	-----

## V

მწერლის უბის წიგნაკიდან (ეტიმოლოგიური ძიებანი)	502
--	-----

# ЦАИШВИЛИ САРГИС СОЛОМОНОВИЧ

ГРУЗИНСКИЕ ПИСАТЕЛИ

Письма, очерки, эссе

(На грузинском языке)

Издательство «Мерапи»

пр. Руставели, 42

Тбилиси 1989

მხატვარი ე. თევზაძე  
მხატვრული რედაქტორი სპ. ცინცაძე  
ტექნიკური რედაქტორი დ. რაშაძე  
კორექტორი რ. გოცირიძე  
გამომშვიები ნ. კვატაშიძე

ს. ბ.—4240

ჩაბარდა წარმოებას 1.08.89 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 2.03.90 წ. უეი 06326.  
ფორმატი 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. საბეჭდი ქალაღი საწიგნე საეურნალე. გარნტურა ჩეეუ-  
ლებრიეი. ბეჭდეა მალალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 32. სააღრიცხვო-საგა-  
მომცემლო ფურცელი 30.28. პირობითი საღებავ გატარება 32. ტირაჟი 7000 ეგზ.  
შეეეეთა № 532.

ფასი 2 მან. 70 კაპ.

გამომცებლობა „მერანი“ რუსთაველის პრ. 42. თბილისი 1990.

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომი-  
ტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50.  
Типография № 1 Государственного комитета Грузинской ССР  
по печати. Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50